საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში
საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ

2014 წელი

www.ombudsman.ge

სარჩევი

შესავალი.....4

ადამიანის უფლებათა მდგომარეობა დახურულ დაწესებულებებში

(პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიში)

შესავალი 14

მდგომარეობა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში.....16

მდგომარეობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ ორგანოებში.....205

მიგრანტთა დაცვა არასათანადო მოპყრობისგან.....222

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მდგომარეობა პენიტენციურ დაწესებულებებში და არანებაყოფლობითი/იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის დაწესებულებაში.....231

ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა მცირე საოჯახო ტიპის სახლებში….....….254

ამნისტია და უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირების პირობით ვადამდე გათავისუფლება.....283

საქართველოს სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა.....293

სიცოცხლის უფლება.....300

წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და სასჯელის აკრძალვა.....315

დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ეფექტიანი გამოძიება.....331

თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება.....358

სამართლიანი სასამართლოს უფლება.....374

პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება.....409

აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლება.....428

ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვა და სამოქალაქო ინტეგრაცია.....454

გამოხატვის თავისუფლება.....465

შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება....488

დისკრიმინაციის აკრძალვა....494

მიმოსვლის თავისუფლება....504

საკუთრების უფლება 509

საარჩევნო უფლება....523

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უფლება 530

შრომის უფლება....538

სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლება....559

ჯანმრთელობის დაცვის უფლება....568

ბავშვის უფლებები საქართველოში....589

გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებები....651

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები....704

სათანადო საცხოვრებლის უფლება....758

სოციალური უზრუნველყოფის უფლება....779

დევნილთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში....785

კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის უფლებები....821

სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და იძულებით გადაადგილებული პირების/ეკომიგრანტების უფლებრივი მდგომარეობა....859

ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-დან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ....870

უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში....877

თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში....890

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშს 2014 წელს ქვეყანაში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ და მიმოიხილავს სამოქალაქო-პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა ფართო სპექტრს. ასევე, ყურადღებას ამახვილებს საანგარიშო პერიოდში ადამიანის უფლებათა სფეროში გამოვლენილ დადებით და უარყოფით ტენდენციებზე და თავს უყრის სახალხო დამცველის მიერ ხელისუფლების სხვადასხვა შტოების მისამართით შემუშავებულ ძირითად უმნიშვნელოვანეს რეკომენდაციებს.

აღნიშნული დოკუმენტი შემუშავებულია სახალხო დამცველის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე და წარედგინება საქართველოს პარლამენტს.

2014 წელი რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენით აღინიშნა, რასაც შეუძლია ადამიანის უფლებათა სტანდარტების არსებით გაუმჯობესებაზე მოახდინოს გავლენა. 2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა საქართველოს ევროკავშირთან „ასოცირების შესახებ შეთანხმებას“ და მოხდა მისი რატიფიკაცია. ევროკავშირთან პოლიტიკურ-ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავება ასევე გულისხმობს ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს საკანონმდებლო ბაზის ჰარმონიზაციას, მათ შორის ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში.

საქართველოს პარლამენტის მიერ 30 აპრილს დამტკიცდა ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგია (2014-2020), რომლის მომზადების ინიციატივა სახალხო დამცველმა ჯერ კიდევ 2012 წლის ბოლოს დააყენა.

მთავრობის მიერ ასევე დამტკიცდა 2015-2016 წლების შესაბამისი სამოქმედო გეგმა. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ეფექტურ იმპლემენტაციაზე მეტწილად იქნება დამოკიდებული საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის მაღალი სტანდარტების დამკვიდრება.

2014 წლის 2 მაისს მიღებული იქნა კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, რომლის მიხედვითაც დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობის განხორციელების ორგანოდ საქართველოს სახალხო დამცველი განისაზღვრა. აღნიშნული კანონის მიღება უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია და ხელს შეუწყობს ქვეყანაში სხვადასხვა უმცირესობების მიმართ არსებული შეუწყნარებლობის აღმოფხვრას, ტოლერანტობის კულტურის ჩამოყალიბებასა და თანასწორობის მიღწევას.

2014 წლის 27 ოქტომბერს საქართველოს მთავრობამ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და განხორციელების მონიტორინგის სტრუქტურად სახალხო დამცველის აპარატი დაასახელა. ასევე მიღებულ იქნა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფის 2014-2016 სამთავრობო სამოქმედო გეგმა.

მისასალმებელია საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ევროპის საბჭოს 2011 წლის „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ კონვენციის (სტამბულის კონვენცია) ხელმოწერა.

მისასალმებელია 2014 წელს ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის აღმოფხვრისა და პრევენციის სფეროში ევროპის საბჭოს „სექსუალური ექსპლოატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ“ კონვენციაზე საქართველოს შეერთების ფაქტი.

ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის კუთხით დადებითად უნდა შეფასდეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობით შემუშავებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პროექტი, რომლის მიღებაც 2015 წელს არის დაგეგმილი.

გასულ წელს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევად რჩება სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაცია, რომლის თანმიმდევრული იმპლემენტაცია უკვე აისახა პროპორციულ და გონივრულ სასჯელებზე, აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის გამოყენების პროცენტული მაჩვენებლის შემცირებაზე.

2014 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდა თავისუფალ და კონკურენტულ გარემოში და საქართველოს უახლოეს ისტორიაში პირველად თბილისში, ისევე როგორც საქართველოს არაერთ რეგიონში მერებისა და გამგებლების ასარჩევად გაიმართა მეორე ტური, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.

საქართველოს პარლამენტმა 2014 წელს, მსგავსად 2013 წლისა, გაიზიარა საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილი და შესაბამისი დადგენილებით სახელმწიფო უწყებებს კონკრეტული ღონისძიებების გატარება დაავალა ამ მიზნით, სახალხო დამცველის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი ახორციელებს. დადგენილებაში მითითებული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში შესაბამისმა უწყებებმა კომიტეტს 2015 წლის 1 მარტამდე წარუდგინეს;

კვლავ მაღალი იყო მოქალაქეთა მომართვიანობა სახალხო დამცველის ოფისში. 2014 წელს 7 ათასამდე განცხადება იქნა დასაშვებად მიჩნეული, რაც საგრძნობლად გაზრდილი

მაჩვენებელია და მეტყველებს ოფისისადმი გაზრდილ მოლოდინებზე, დარღვეული უფლებების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და ქვეყანაში თავისუფალი გარემოს არსებობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლის სექტემბერში პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული წამებისა და არაადამიანური მოპყრობის კადრების გავრცელების შემდეგ პრობლემის აღმოსაფხვრელად გამოვლენილი პოლიტიკური ნებისა და გატარებული რეფორმების წყალობით, პატიმართა წამება და არასათანადო მოპყრობის ფაქტები მთავარ გამოწვევას აღარ წარმოადგენს, წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის შესახებ მსჯავრდებულთა ათასობით საჩივარი კვლავ გამოძიების რეჟიმშია და ერთეული საქმეების გარდა, შედეგი ადამიანის უფლებათა ამ სისტემური დარღვევის ფაქტებზე არ დამდგარა.

მიუხედავად იმისა, რომ გასული წლის განმავლობაში მიმდინარეობდა სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის კუთხით განხორციელებული ინსტიტუციონალური რეფორმა, სასამართლოსადმი ნდობის გასაზრდელად ჯერ კიდევ მრავალი გამოწვევაა დასაძლევი. წლის განმავლობაში სახალხო დამცველმა არაერთხელ მიმართა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, დაეწყო დისციპლინური დევნა იმ მოსამართლეთა მიმართ, რომელთა მხრიდანაც იკვეთებოდა საქმეების განხილვის დროს პროცედურული ნორმების უხეში დარღვევები. სამწუხაროდ, იუსტიციის უმაღლესი საბჭო ყველა წინადადების განხილვისას შემოიფარგლა შაბლონური პასუხით, რომ მოსამართლეების მხრიდან არ დასტურდებოდა შესაბამისი გადაცდომები.

გაუმჯობესდა და შედარებით მრავალფეროვანი გახდა მედია გარემო. ხელისუფლების მხრიდან ადგილი არ ჰქონია მედია საშუალებების სარედაქციო პოლიტიკასა და ჟურნალისტების გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას; 2014 წლის განმავლობაში გამართული აქციების უმეტესობა ექსცესების გარეშე ჩატარდა, თუმცა, იყო გამონაკლისებიც, სადაც სახელმწიფომ ვერ შეძლო მშვიდობიანი აქციის მონაწილეებისთვის კონსტიტუციით გარანტირებული შეკრების უფლების უზრუნველყოფა ან/და მოხდა შეკრების თავისუფლების გაუმართლებელი შეზღუდვა.

ძალაში შევიდა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“ საქართველოს ახალი კანონი, რომელიც მეტად შეესაბამება აღნიშნულ სფეროებში მოქმედ საერთაშორისო სტანდარტებს;

მიღწევად უნდა ჩაითვალოს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის მიერ კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში სოციალურ/ეკონომიკური რეაბილიტაციისათვის გაწეული სამუშაოები.

მიუხედავად ზემოაღნიშნული პოზიტიური ნაბიჯებისა, საქართველოს პარლამენტმა ძალაში დატოვა მოწმეთა დაკითხვის დროებითი წესი, მაშინ როდესაც, სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის ამოქმედების ერთ-ერთ მთავარ დადებით მხარედ სწორედ, მოწმეთა მხოლოდ სასამართლოში დაკითხვა ითვლებოდა.

საქართველოს სახალხო დამცველი არადამაკმაყოფილებლად მიიჩნევს ფართომასშტაბიანი ამნისტიის შემდეგ ხელისუფლების მიერ გადადგმულ ნაბიჯებს „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული და პოლიტიკური ნიშნით სისხლის სამართლებრივი წესით დევნილ პირებთან“ დაკავშირებით. სამართლიანობის აღდგენის პროცესი შეუძლებელია შემოიფარგლოს ამნისტიის ერთჯერადი აქტის განხორციელებით, ვინაიდან აღნიშნული კატეგორიის პირთა სრული სამართლებრივი რეაბილიტაციისათვის, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ღირსებისა და რეპუტაციის აღდგენა, არამედ, სახელმწიფოსაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სამართლიანი ანაზღაურებაც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წლის 13 თებერვალს, საქართველოს მთავარ პროკურატურაში შეიქმნა სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტი, რომლის ერთ-ერთი ფუნქციაა სამართალწარმოების მიმდინარეობისას შესაძლო დანაშაულებრივი ფაქტების, მათ შორის ქონების იძულებით დათმობისა და სხვა იძულების ფაქტების გამოძიების წარმოება და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება. სახალხო დამცველი იმედს გამოთქვამს, რომ ამ დეპარტამენტის საქმიანობა იქნება ეფექტური.

საზოგადოების ლეგიტიმური მოლოდინის მიუხედავად, ამ დრომდე არ შექმნილა სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც დაინტერესებულ პირებს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების გადასინჯვის შესაძლებლობას მისცემს, მათ შორის ქონების რესტიტუციას და მორალური ზიანის ანაზღაურებას უკანონო მსჯავრდებისათვის, ასეთის არსებობის შემთხვევაში. 2014 წლის განმავლობაში, მსგავსად 2013 წლისა, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს არაერთმა მსჯავრდებულმა/ყოფილმა მსჯავრდებულმა მიმართა, რომლებიც თავს უკანონო პატიმრებად მიიჩნევენ. ერთეული საქმეების გარდა, საგამოძიებო ორგანოების მიერ შემაჯამებელი გადაწყვეტილებები არ არის მიღებული ან/და სასამართლო განხილვები კვლავ გრძელდება ადამიანის უფლებების დარღვევის წლების განმავლობაში აღიარებულ საქმეებზე; ე.წ. კორტების სპეცოპერაციის საქმის გამოძიების გაჭიანურებას იური ვაზაგაშვილის მკვლელობის ახალი ტრაგედია დაემატა. საგამოძიებო ორგანოების მხრიდან ეფექტიანი და დროული გამოძიები წარმოებაა აუცილებელი ეროსი კიწმარიშვილისა და ბესო ხარძიანის მკვლელობის საქმეებზე. ამ შემთხვევებთან დაკავშირებულ ყველა კითხვას გამოძიების შედეგებით დამაჯერებელი და გონივრული პასუხები უნდა გაეცეს.

არაერთი ყოფილი თანამდებობის პირი იყო დაპატიმრებული სხვადასხვა ბრალდებით. პოლიტიკური ოპოზიცია, რამდენიმე ორგანიზაცია და ექსპერტი სვამდა კითხვებს შერჩევითი სამართლის შესაძლო გამოყენებისა და იმის შესახებაც, თუ რატომ

ინტერესდებოდა გამოძიება სწორედ ყოფილი თანამდებობის პირების საქმეებით. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა სპეციალური სადამკვირვებლო მისიამ დაასრულა ყოფილი მაღალჩინოსნების საქმეების შესწავლა. წარმოდგენილ ანგარიშში პროცედურულ დარღვევებთან ერთად საუბარია უდანაშაულობის პრეზუმციის დარღვევის არაერთ ფაქტზე. აღმოჩენილი პროცედურული დარღვევების შესახებ სახალხო დამცველს შეფასებები წარმოდგენილი ჰქონდა 2012 და 2013 წლების საპარლამენტო ანგარიშებში.

2014 წლის განმავლობაში კვლავ პრობლემური რჩებოდა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მხრიდან ადამიანის უფლებათა სავარაუდო დარღვევის ფაქტებზე ჩატარებული გამოძიების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის საკითხი. ერთი წლის განმავლობაში სახალხო დამცველის მიერ შესწავლილი შემთხვევები იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ ამ კუთხით არსებობს როგორც საკანონმდებლო ხარვეზები, ასევე კანონმდებლობის პრაქტიკაში იმპლემენტაციის პრობლემა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია გადაიხედოს არსებული კანონმდებლობა და შეიქმნას დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი, რომელიც მსგავსი შემთხვევების მიუკერძოებელ გამოძიებას უზრუნველყოფს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის საკითხის განხილვის დაწყება.

2014 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს არაერთმა პირმა მიმართა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მხრიდან სავარაუდოდ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით. მონიტორინგმა ცხადყო, რომ ადგილი ჰქონდა დაკავების დროს პოლიციის თანამშრომლების მხრიდან გადამეტებული ძალის გამოყენების ტენდენციას. პოლიციის თანამშრომლების მხრიდან ასეთი ფაქტები უფრო ხშირია დასავლეთ საქართველოში. სამწუხაროდ, აღნიშნული დანაშაულების გამოძიების და დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მიცემის კუთხით საქართველოს პროკურატურის საქმიანობა არაეფექტურია.

2014 წელს გარემონტდა და გაიხსნა სასჯელაღსრულების ცენტრალური საავადმყოფო, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა სამედიცინო მომსახურება. ასევე გარემონტდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მე-16 დაწესებულება. ხორციელდება ვირუსული „ც“ ჰეპატიტის სამკურნალო და სუიციდის პრევენციის პროგრამები; მიუხედავად პოზიტიური ცვლილებებისა პენიტენციალურ სისტემაში, საქართველოს სახალხო დამცველისთვის საგანგაშო იყო რამდენიმე პატიმრის გარდაცვალებასთან დაკავშირებული გარემოებები, როდესაც ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო მისი კონტროლის ქვეშ მყოფ პირთა სიცოცხლისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლების ეფექტური დაცვა. საზოგადოებისთვის კვლავ უცნობია ფარტენაძის და სხვა რამდენიმე პატიმრის გარდაცვალებასთან დაკავშირებული გარემოებები და გამოძიების შედეგები. დაწესებულებებში გარდაცვლილ

პატიმართა რაოდენობა 28 შეადგენდა, საიდანაც 7-მა სიცოცხლე სავარაუდოდ სუიციდით დაასრულა.

2014 წლის განმავლობაში იმატა განცხადებებმა არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით, რის შესახებაც 28 წინადადება გაიგზავნა მთავარ პროკურატურაში გამოძიების დაწყების მოთხოვნით. პრობლემას წარმოადგენს სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულების კვალიფიკაცია. აქტუალურია არასათანადო მოპყრობის შესაძლო მსხვერპლთა დაცვის საკითხი. მნიშვნელოვანია პატიმართა სხეულზე არსებული დაზიანებების ხასიათისა და წარმომავლობის სათანადო დოკუმენტირება და შესაბამისი რეაგირება. პრობლემურია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დროული ჩატარება, სათვალთვალო კამერებიდან ჩანაწერების ამოღება და სხვა მტკიცებულებების მოპოვება. შესაბამისად, აუცილებელია პრევენციის ეროვნულ მექანიზმს ჰქონდეს დახურულ დაწესებულებებში ფოტო და ვიდეო გადაღების უფლება და წვდომა ვიდეოკამერების ჩანაწერებზე. ხაზგასასმელია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლის მიერ პატიმრის არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის საკითხი. რიგ დაწესებულებებში პრობლემად რჩება არასათანადო პირობები. ამ მხრივ, განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა #7 დაწესებულებაში და აუცილებელია მისი გაუქმება.

დღემდე უცნობია 2013-2014 წლებში გახმაურებული საქმეების გამოძიების შედეგები, მათ შორის, თბილისის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლების თავისუფლების სავარაუდოდ უკანონო აღკვეთის, ივანე მერაბიშვილის საპატიმრო დაწესებულებიდან სავარაუდო უკანონო გაყვანასთან დაკავშირებული ქმედებებისა და დეპუტატ ნუგზარ წიკლაურის ცემის ფაქტებზე. კანონის მოთხოვნათა სავარაუდო დარღვევის შესახებ ლეგიტიმური კითხვები რჩებოდა ასევე, ე.წ. „ტრაქტორების საქმეზე“, რაც გამოძიების სრულყოფილად ჩატარებას საჭიროებს, თუმცა ამ საქმეებთან დაკავშირებით რაიმე პროგრესი არ შეიმჩნეოდა. ლეგიტიმური კითხვები რჩებოდა პროკურატურის, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანოს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. სახალხო დამცველის შეფასებით, პროკურატურის მხრიდან აუცილებლობას არ წარმოადგენდა ე.წ. „კაბელების საქმისთვის“ საიდუმლო გრიფის მინიჭება მთლიანი საქმისთვის, რამაც გამოძიების საწყის ეტაპზე ხელი შეუშალა დაცვის მხარის შეუფერხებელ წვდომას საქმის მასალებისადმი. მოგვიანებით პროკურატურამ გაითვალისწინა სახალხო დამცველის რეკომენდაცია და საქმის მასალების მნიშვნელოვან ნაწილს მოხსნა გრიფი.

ამ დრომდე უცნობია სოფელ ლაფანყურთან, მდინარე ლოპოტას ხეობაში განვითარებული მოვლენების შესახებ მიმდინარე ოფიციალურ იგამოძიების შედეგები. კვლავ გრძელდება გამოძიება 2012 წლის 28 აგვისტოს ლოპოტას ხეობაში მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით. გამოძიების მიმდინარეობისა და პროგრესის შესახებ ინფორმაცია არ არის

ხელმისაწვდომი დაზარალებული ოჯახების, დაინტერესებული პირებისა თუ ფართო საზოგადოებისათვის.

ქვეყანაში პრობლემად რჩება გენდერული თანასწორობის მიღწევა. შემაშფოთებელია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მასშტაბები. განსაკუთრებულ პრობლემას ფემიციდი წარმოადგენს, რასაც კიდევ უფრო ამძიმებს ის ფაქტი, რომ რამდენიმე შემთხვევაში მსხვერპლს რეაგირების თხოვნით ინციდენტამდე ჰქონდა მიმართული სამართალდამცავი ორგანოებისადმი. დაბალია ქალთა პოლიტიკური და ეკონომიკური აქტივობა. ნიშანდობლივია ქალთა ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობისა და ადრეულ ასაკში ქორწინების მაღალი მაჩვენებლები.

გამოწვევად რჩება ჰომოფობიური დამოკიდებულება ლგბტ პირთა მიმართ და სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულების დროული და ეფექტური გამოძიება.

ვითარება კვლავაც საგანგაშო და შემაშფოთებელია ბავშვთა უფლებების დაცვის მდგომარეობის კუთხით. განხორციელებულმა მონიტორინგმა გამოავლინა ბავშვთა უკიდურესი სიღარიბე და არასრულწლოვანთა ცხოვრების არასათანადო დონე, მიუწვდომელი სახელმწიფო ჯანდაცვის მომსახურება. ბავშვთა სიკვდილიანობისა და სიღარიბის მაღალი მაჩვენებელი, ბავშვთა მიმართ ძალადობისადმი საზოგადოების ტოლერანტული დამოკიდებულება, ბავშვთა განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა მაღალმთიან რეგიონებში ხელისუფლების განსაკუთრებული ზრუნვის საგანი უნდა გახდეს. პრობლემას წარმოადგენს განათლების დაბალი ხარისხი, პედაგოგთა არასაკმარისი კვალიფიკაცია, ინკლუზიური განათლების არასათანადო დანერგვა და ფიზიკური გარემოს უხარისხო ადაპტაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებისთვის. მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლებში არსებობს აღსაზრდელთა მიმართ არასათანადო მოპყრობის, განათლების უფლების სათანადოდ განხორციელების და ბავშვთა ძალადობისგან დაცვის პრობლემები. კვლავ აქტუალურია არასრულწლოვან ბრალდებულთა განცალკევების საკითხი სრულწლოვანი პატიმრებისგან.

პრობლემად რჩება ფსიქიკური დახმარების თავშესაფრების და მედიკამენტების მიღებისთვის საჭირო დოკუმენტაციის გამცემი დაწესებულებების ხელმისაწვდომობა, ბიო-ფსიქო-სოციალური საჭიროებების მიხედვით თემზე დაფუძნებული სერვისების განვითარება, ინკლუზიური განათლების სისტემა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ძალადობის ფაქტების იდენტიფიცირების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმება, ფიზიკური გარემოსადმი ხელმისაწვდომობა.

პრობლემას წარმოადგენს რელიგიის თავისუფლებით სრულყოფილად სარგებლობა, რელიგიური ნაგებობების მშენებლობის ნებართვის მიღება, სადაო რელიგიურ ნაგებობათა კუთვნილება, საჯარო სასკოლო განათლების სივრცეში რელიგიური დისკრიმინაციისა და

ზოგადი განათლების შესახებ კანონის მოთხოვნათა იმპლემენტაცია. ასევე პრობლემური იყო რელიგიურ ნიადაგზე მომხდარი შესაძლო დანაშაულებების ეფექტური გამოძიების საკითხი.

დაბალია ეროვნული უმცირესობების მონაწილეობისა და ჩართულობის მაჩვენებელი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. პრობლემას კვლავ წარმოადგენს სასკოლო განათლების ფარგლებში მშობლიური ენის შესწავლის საკითხი და ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მოსახლეობის ინფორმირებულობის ხარისხი ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებული საკანონმდებლო პაკეტი, რომლითაც ფარული მიყურადებისა და პერსონალური მონაცემების დაცვისათვის ახალი რეგულაციები დაწესდა, რაც უდავოდ წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა შეფასდეს, „ელექტორნული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში კვლავ რჩება ნორმა, რომელიც სახელმწიფო ორგანოებს აძლევს უფლებას, ჰქონდეთ მაიდენტიფიცირებელი მონაცემების კოპირების და კომუნიკაციის შინაარსის რეალურ დროში მიღების უწყვეტი შესაძლებლობა, არღვევს საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას. განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები პრობლემურია იმ მხრივაც, რომ მიუხედავად „პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორის“ ინსტიტუტისადმი ნდობის მაღალი ხარისხისა, უწყება წარმოადგენს როგორც ფარული მიყურადების პროცესის მონაწილე მხარეს, ასევე ამ პროცესზე მონიტორინგის განმახორციელებელ ორგანოს.

2014 წელს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, ადგილი ჰქონდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებულ მოხელეთა მასიურ გათავისუფლებას რამდენიმე თვითმმართველ ორგანოში.

შრომის უსაფრთხოების მინიმალური სტანდარტების არარსებობა და სამუშაო ადგილზე დაშავებულთა და გარდაცვლილთა საგანგაშო რიცხვი კვლავ სახეზეა. სამწუხაროდ, სახელმწიფო დონეზე არ გადადგმულა ქმედითი ნაბიჯები შრომის უფლებების დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი ორგანოს - შრომის ინსპექციის შესაქმნელად. შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროში შექმნილი შრომის პირობების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამა ვერ ჩაითვლება შრომის უსაფრთხოების გაუმჯობესებისა და სამუშაო პირობების ინსპექტირების მექანიზმად.

პრობლემად რჩება უსახლკარო პირთა მონაცემთა ერთიანი ბაზის არარსებობა, რის გამოც უცნობია საქართველოს მასშტაბით თავშესაფრის საჭიროების მქონე პირთა რაოდენობა. ერთ–ერთ მთავარ პრობლემად რჩება უსახლკარო პირთა მიზნობრივი დახმარებისათვის როგორც ადგილობრივ, ასევე ცენტრალურ ბიუჯეტში გამოყოფილი ფინანსური სახსრების

ნაკლებობა. სათანადო საცხოვრებლის უფლების რეალიზების მხრივ საგანგაშო მდგომარეობაა ხელვაჩაურში, ბათუმთან მდებარე ე.წ. „მუყაოს დასახლებაში“.

საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში სახალხო დამცველის პირადი ვიზიტების შედეგად კიდევ უფრო ნათლად გამოიკვეთა ის პრობლემები, რაც ადგილობრივ მოსახლეობას აწუხებს. განსაკუთრებით მძიმეა მათი სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა, მათ შორის ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის კუთხით და საცხოვრებელი გარემო/პირობები. საქართველოს მთავრობამ უმოკლეს ვადებში უნდა შეიმუშაოს ერთიანი სახელმწიფო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა მაღალმთიან რაიონებში ადამიანის უფლებების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. აუცილებელია მთის კანონის მომზადებაზე დაჩქარებული რეჟიმში მუშაობა და მისი მიღება.

კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებების კუთხით კვლავ გამოწვევად რჩება დასაქმება, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელება და მიგრაცია. აქტუალურია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის უსაფრთხოებასა და გადაადგილებასთან დაკავშირებული პრობლემები. სამწუხაროდ, ვითარება არც პატიმართა გათავისუფლების მიმართულებით შეცვლილა.

სერიოზულ გამოწვევად დევნილთა განსახლება და სიცოცხლისათვის საშიშ გარემოში ცხოვრება რჩება.

საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით კვლავ აქტუალურია მიწის ნაკვეთების ზედდების, ე.წ. გადაფარვის პრობლემა.

სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლება ასევე დაბალია მოსახლეობის ადეკვატური, დროული და ეფექტური ინფორმირების ხარისხი, ასევე გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების საწყის ეტაპზე დაინტერესებულ პირთა ჩართულობის დონე. განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს ხუდონის ჰიდროელექტროსაგურის მშენებლობა, ასევე საყდრისის მიმდებარე ტერიტორიაზე წიაღისეულის მოპოვებითი სამუშაოების გავლენა ბუნებრივ გარემოსა და მოსახლეობის ჯანმრთელობაზე.

გასულ წელს დაფიქსირდა არაერთი შემთხვევა, როდესაც პირებს შეეზღუდათ მიმოსვლის თავისუფლება, როგორც საქართველოში შემომსვლელ უცხოელ მოქალაქეებს, ასევე საქართველოს მოქალაქეებს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას. აღნიშნულ შემთხვევებში სახალხო დამცველმა არაერთგზისი მოთხოვნის მიუხედავად შესაბამისი უწყებიდან ვერ მიიღო ინფორმაცია შემოსვლა–გასვლაზე უარის თქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების შესახებ.

წინა წლების მსგავსად კვლავაც საგანგაშოა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ათი ათასობით ოჯახის მდგომარეობა. სახელმწიფოს მიერ არ ხორციელდება ის პროგრამები, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს ეკომიგრანტის განსახლებულ პუნქტში ადაპტაცია და რეგიონში დამკვიდრება;

ანგარიში ასევე მიმოიხილავს ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელ პირთა და უცხოელთა სამართლებრივ მდგომარეობას საქართველოში, ასევე 1944 წელს რეპრესირებულ რეპატრიანტთა უფლებრივ მდგომარეობას.

ცალკე თავი ეძღვნება საქართველოში ხანდაზმულთა უფლებრივი მდგომარეობის საკითხს. ამ მხრივ გასულ წელს დაფიქსირდა სერიოზული გამოწვევები.

ადამიანის უფლებათა მდგომარეობა დახურულ დაწესებულებებში

(პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიში)

შესავალი

წინამდებარე ანგარიშში მოცემულია პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ 2014 წელს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, პოლიციის განყოფილებებში, დროებითი მოთავსების იზოლატორებში, ფსიქიატრიულ დაწესებულებებსა და მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგები. აქვე მოკლედ არის მიმოხილული 2014 წელს მიგრანტთა დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის მონიტორინგი. აღსანიშნავია, რომ მიგრანტთა დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის მონიტორინგი პირველად განხორციელდა და, მომავალში, საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმი გააგრძელებს მიგრანტთა არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის მდგომარეობის მუდმივ შეფასებას.

სასჯელაღსრულების დაწესებულებებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებული ორგანოების მონიტორინგი განხორციელდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლების მონიტორინგი შესაძლებელი გახდა „ფონდ ღია საზოგადოება - საქართველოს“ ფინანსური თანადგომით.

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განახორციელეს 24 გეგმური და 364 არაგეგმური ვიზიტი, მოინახულეს 3040 პატიმარი. შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და პოლიციის განყოფილებებში განხორციელდა 28 გეგმური ვიზიტი. ფსიქიატრიულ დაწესებულებებში განხორციელდა 3 გეგმური ვიზიტი. მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლებში განხორციელდა 44 ვიზიტი. ასევე მოხდა მიგრანტთა დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის მონიტორინგი (თბილისი - პარიზი - ვარშავა - თბილისი) და შემოწმდა პატიმართა გადასაყვანად განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალებები.

მონიტორინგის დროს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა შეამოწმეს დაწესებულებებში არსებული ფიზიკური გარემო და მოთავსებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ამ პირთა მიმართ მოპყრობაზე.

მდგომარეობა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში

ზოგადი მიმოხილვა

2014 წლის განმავლობაში სასჯელაღსრულების სისტემაში რამდენიმე პოზიტიური ცვლილება მოხდა. კერძოდ, პატიმრობის კოდექსში შევიდა ცვლილებები, რომელთა თანახმადაც, უსაფრთხოების რისკის მიხედვით, განისაზღვრა ოთხი ტიპის დაწესებულება, სადაც პატიმრებს აქვთ დიფერენცირებული უფლებრივი მდგომარეობა. შეიძლება ითქვას, მიუხედავად რამდენიმე სადავო დებულებისა, განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ზოგადად, პატიმართა უფლებრივი მდგომარეობა საკანონმდებლო დონეზე გაუმჯობესდა.

აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ მოამზადა კანონპროექტი „პატიმრობის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“[1] რაც წარედგინა საქართველოს პარლამენტს. აღნიშნულ კანონპროექტთან დაკავშირებით, 2015 წლის 28 იანვარს, საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტს წინადადებით მიმართა.

საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმა სასჯელაღსრულების სისტემაში დაგეგმილ ინსტიტუციურ რეფორმას. თუმცა, სახალხო დამცველმა წინადადებაში ყურადღება გაამახვილა კანონპროექტის ისეთ არსებით საკითხებზე, როგორიცაა პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმის სრულყოფა, პატიმართა განთავსების/გადაყვანის წესების დახვეწა, განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულისთვის ადმინისტრაციული პატიმრობის მაღალი ვადის შემცირება და სხვა.

ამასთან, სახალხო დამცველის წინადადების უმთავრეს საკითხს, საქართველოს სახალხო დამცველისთვის/სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრისთვის, პენიტენციურ დაწესებულებაში ფოტოგადაღების უფლებამოსილების მინიჭების ინიციატივა წარმოადგენდა. აღნიშნული საკითხის ირგვლივ, საქართველოს პარლამენტის ინიციატივით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს წარმომადგენლებისა და სახალხო დამცველის აპარატის მონაწილეობით.

საგულისხმოა, რომ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ გაითვალისწინა საქართველოს სახალხო დამცველის ინიციატივა და განსახილველ კანონის პროექტს დაემატა შესაბამისი დებულება, რომელიც საქართველოს სახალხო დამცველს/სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრს ანიჭებს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ფოტოგადაღების განხორციელების უფლებამოსილებას, მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით. ნორმის ფორმულირების მიხედვით, აღნიშნული წესი,

[1] იხ. კანონპროექტის სრული ტექსტი განმარტებით ბარათთან ერთად, ხელმისაწვდომია:<http://www.parliament.ge/ge/law/7805> [ბოლოს ნანახია 11.02.2015].

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა, საქართველოს სახალხო დამცველთან შეთანხმებით, უნდა შეიმუშავოს და გამოსცეს არა უგვიანეს 2016 წლის 1 აგვისტოსა. საქართველოს სახალხო დამცველის/სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრისთვის პენიტენციურ დაწესებულებაში ფოტოგადაღების უფლებამოსილების განმსაზღვრელი დებულებები 2016 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდება.

საანგარიშო პერიოდში გარემონტდა და გაიხსნა სასჯელაღსრულების ცენტრალური საავადმყოფო, რამაც გარკვეულწილად გააუმჯობესა სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის კუთხით არსებული მდგომარეობა. ასევე გარემონტდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N16 დაწესებულება.

სახალხო დამცველი მიესალმება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რეჟიმის ოფიცრების სწავლების ექვსთვიანი პროგრამის დაწყებას. მიგვაჩნია, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლების გრძელვადიანი პროფესიული სწავლება გადამწყვეტია ადამიანის უფლებათა დაცვისა და კანონის უზენაესობის პრინციპის საფუძველზე სასჯელაღსრულების დაწესებულებების სათანადო მართვის უზრუნველსაყოფად. ასევე პოზიტიურად უნდა შეფასდეს რეფორმის შემოთავაზებული ინიციატივა, რომელიც ასახავს დინამიკური უსაფრთხოების კონცეფციას და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სარეაბილიტაციო პროგრამების გაძლიერებას.

მიუხედავად ზემოთ ხსენებული პოზიტიური სიახლეებისა, სასჯელაღსრულების სისტემაში, საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა რამდენიმე ნეგატიური მოვლენა. საკმაოდ დიდი დებატები გამოიწვია პატიმრობის კოდექსში სპეციალური საშუალებების გამოყენების შესახებ ცვლილებათა პროექტმა. საბოლოო ჯამში, აღნიშნული კანონპროექტი გარკვეული ცვლილებებით მიიღეს.

საანგარიშო პერიოდში პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობის შესახებ შეტყობინებათა რაოდენობამ იმატა. შესაბამისად, 2013 წელთან შედარებით, გაიზარდა ეფექტური გამოძიების უზრუნველყოფის შესახებ სახალხო დამცველის წინადადებათა რაოდენობა. 2014 წელს გამოძიების დაწყების მოთხოვნით სახალხო დამცველის მიერ გაიგზავნა 18 წინადადება (2013 წელს - 9 წინადადება). სამწუხაროდ, არცერთ შემთხვევაში პასუხისმგებელ პირთა მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა არ დაწყებულა და სახალხო დამცველს არ აქვს დეტალური ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ. არსებითი ხარვეზები გამოვლინდა საგამოძიებო ორგანოს მიერ მტკიცებულებათა მოპოვების კუთხით, ასევე პრობლემურია არასათანადო მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლთა დაცვა, ვინაიდან ისინი, ხშირ შემთხვევაში, იმავე დაწესებულებაში რჩებიან, სადაც, სავარაუდოდ, მათ მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტები დაფიქსირდა. სახალხო დამცველის შეფასებით, აშკარად იკვეთება არასათანადო მოპყრობის გამოძიებასთან დაკავშირებული სისტემური პრობლემა

და, ამდენად, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი, ეფექტური გამოძიების უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მნიშვნელოვანია გაძლიერდეს არასათანადო მოპყრობის პრევენციის თვალსაზრისით პატიმრების ფიზიკური ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული რეალური და იმწუთიერი რისკების ადეკვატური შეფასება და შესაბამისი ზომების მიღება. უნდა შეიქმნას ისეთი გარემო, სადაც წამება და არასათანადო მოპყრობა ნაკლებად მოსალოდნელია. ეს გულისხმობს წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ძირეული მიზეზების აღმოფხვრას. აღნიშნულთან დაკავშირებით, აუცილებელია, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად გაუმჯობესდეს არასათანადო მოპყრობის ფაქტების დოკუმენტირების პრაქტიკა, მოხდეს ადამიანის ღირსებასთან თავსებადი პატიმრობის პირობების უზრუნველყოფა და უსაფრთხოების ღონისძიებების პროპორციული გამოყენება.

აქვე აღსანიშნავია, რომ არასათანადო მოპყრობის პრევენციის მიზნით, აუცილებელია პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის მხარდაჭერა, მისი ფუნქციების განმტკიცება, პრევენციის ეროვნული მექანიზმისათვის ფოტოგადაღების, პატიმრების მოპყრობასთან დაკავშირებული საიდუმლო ინფორმაციის წვდომა (მათ შორის ოპერატიულ ინფორმაციაზე) და სათვალთვალო კამერების ჩანაწერების გაცნობის უფლების მინიჭებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო რეგულაციების გადახედვა; ამჟამად არსებული თანამშრომლობისა და რეკომენდაციებზე რეაგირების ფორმატის შემდგომი გაძლიერება.

შეუძლებელია არასათანადო ეფექტური პრევენცია პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ადეკვატური წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის გარეშე. განხორციელებულმა მონიტორინგმა ცხადყო, რომ პრობლემურია წესრიგისა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ასპექტები, კერძოდ კი, დაწესებულების თანამშრომლებსა და პატიმრებს შორის არსებული კონფლიქტური ურთიერთობა, რასაც აგრეთვე ემატება კონკრეტულ ვითარებაში სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა არაადეკვატური მოქმედება ან უმოქმედობა, არასათანადო რეაგირება საჩივრებზე და სერვისების შესახებ პატიმართა ნაკლები ინფორმირება. არასაკმარისია თანამშრომელთა ცოდნისა და კვალიფიკაციის დონე. აღნიშნულის ფონზე ხშირია პატიმართა შიმშილობისა და თვითდაზიანების მიყენების შემთხვევები. მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს პატიმართა შორის ძალადობის მაღალი რისკფაქტორების არსებობა და ციხის კრიმინალური სუბკულტურის გავლენა. აქედან გამომდინარე, აუცილებელია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი წესრიგისა და უსაფრთხოების სისტემის დანერგვა, რაც გულისხმობს უსაფრთხოების უზრუნველყოფის დინამიკური კონცეფციის პრაქტიკულად განხორციელებას და მის ფარგლებში ინციდენტებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის წინასწარი გეგმის ჩამოყალიბებას.

სამწუხაროდ, პატიმართა ერთი დაწესებულებიდან მეორე დაწესებულებაში ხშირი გადაყვანის მზარდი ტენდენცია 2014 წელსაც შენარჩუნდა. სახალხო დამცველის აპარატი მოკლებულია შესაძლებლობას, შეისწავლოს გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, რადგან, როგორც სასჯელაღსრულების დეპარტამენტი ოფიციალურად განმარტავს, გადაწყვეტილებას საფუძვლად უდევს სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორის საიდუმლო წერილი, რომელიც შეიცავს ოპერატიულ ინფორმაციას, ხოლო, ამ ტიპის ინფორმაციის წვდომაზე სახალხო დამცველს დაშვება არ აქვს. საგულისხმოა, რომ საანგარიშო პერიოდში, ხშირ შემთხვევაში, პატიმრები გადაჰყავდათ აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან დასავლეთ საქართველოში მდებარე სასჯელაღსრულების დაწესებულებებში და პირიქით. შედეგად, პატიმრებს უჩნდებათ ოჯახსა და ადვოკატთან კონტაქტის შენარჩუნების პრობლემა და განიცდიან ახალ გარემოსთან ადაპტაციით გამოწვეულ დამატებით სტრესი.

პატიმრების ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მათ გადასაყვანად განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების შემოწმების შედეგად სპეციალური პრევენციული ჯგუფი მივიდა შემდეგ დასკვნამდე: ტრანსპორტირების პირობები არადამაკმაყოფილებელია, რაც დიდ დისკომფორტს უქმნის პატიმრებს. ამასთან, აღმოჩნდა, რომ „მერსედესის“ მარკის ავტომანქანაში ცალკე არის გამოყოფილი მცირე ზომის მეტალის კაბინა (დაახლოებით 0,3 კვ.მ. ფართის). კაბინაში არის სივიწროვე, უჰაერობა და სრული სიბნელე. ამ კაბინას უმეტესად ქალი პატიმრებისა და სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლების გადასაყვანად იყენებენ. სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, აღნიშნულ კაბინაში პატიმრის მოთავსება წარმოადგენს დამამცირებელ მოპყრობას და აუცილებელია მოხდეს ამ კაბინის დემონტაჟი.

დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს პატიმრობის სათანადო პირობების უზრუნველყოფას. განვლილ წლებთან შედარებით რიგ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში გაუმჯობესებულია ფიზიკური გარემო და სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა. მიუხედავად ამისა, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული პირობები ჯერ კიდევ მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საჭიროებს. პრობლემებს შორის აღსანიშნავია: დაწესებულებების ძირითად საცხოვრებელ, საკარანტინო და სამარტოო საკნებში სათანადო ხელოვნური ვენტილაციის უზრუნველყოფა; არასაკმარისი ბუნებრივი განათება-ვენტილაცია; დახურულ დაწესებულებებში პატიმართა სუფთა ჰაერზე ყოფნის ხანგრძლივობა და ვარჯიშის შესაძლებლობა; დაწესებულებების სასეირნო ეზოებში საჭირო ინვენტარისა და პირობების არარსებობა; ხანგრძლივი პაემნის ინფრასტრუქტურის არარსებობა.

საანგარიშო პერიოდში დისციპლინარული სახდელების გამოყენების შემთხვევათა რაოდენობა 2013 წელთან შედარებით გაორმაგდა. სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაცია, შემუშავებული ყოფილიყო დისციპლინური სახდელების გამოყენების

სახელმძღვანელო პრინციპები, არ შესრულებულა. ხშირია დისციპლინური სახდელის სახით პატიმართა სამარტოო საკანში მოთავსების შემთხვევები და იკვეთება დისციპლინური სახდელების არაპროპორციული გამოყენების პრაქტიკა.

პოზიტიურად უნდა შეფასდეს პენიტენციური ჯანდაცვის რეფორმა. დადებითად უნდა აღინიშნოს, პენიტენციური ჯანდაცვის გაზრდილი დაფინანსება, რამაც შესაძლებელი გახადა სამედიცინო პერსონალისათვის ხელფასების გაზრდა და პირველადი ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა ყველა დაწესებულებაში. მისასალმებელია სასჯელაღსრულების ცენტრალური საავადმყოფოსა გახსნა და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრის განახლება. დაიწყო C ჰეპატიტის პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროგრამა. აღნიშნული პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად, პენიტენციური ჯანდაცვის სისტემაში არაერთი არსებითი სახის პრობლემა რჩება. პრობლემას წარმოადგენს დროული და ადეკვატური სამედიცინო მომსახურება და ექიმ-კონსულტანტების ვიზიტი სათანადო პერიოდულობით. აუცილებელია გატარდეს შესაბამისი ზომები, რათა პატიმრებს შეუფერხებლად მიუწვდებოდეთ ხელი დანიშნულ მედიკამენტებზე. სამწუხაროა, რომ საანგარიშო პერიოდში პენიტენციური ჯანდაცვის სამოქალაქო ჯანდაცვასთან სრული ინტეგრაციის მიზნით არსებითი ნაბიჯები არ გადადგმულა. შესაბამისად, არ არის სრულად დაცული მომსახურების ეკვივალენტობის პრინციპი. პენიტენციური ჯანდაცვის სისტემისთვის კვლავ განსაკუთრებულ გამოწვევად რჩება სუიციდის პრევენცია, წამალდამოკიდებულებისა და ფსიქოტროპული მედიკამენტების ჭარბი მოხმარების პრობლემა, ასევე ფსიქიკური აშლილობის მქონე პატიმრებისათვის დროული და ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარების აღმოჩენა. სამწუხაროდ, საანგარიშო პერიოდში გარდაცვალების შემთხვევათა რაოდენობამ 2013 წელთან შედარებით იმატა. 2014 წელს 27 პატიმარი გარდაიცვალა. ასევე გაიზარდა სუიციდის შემთხვევათა რაოდენობა. დაფიქსირდა სუიციდს 7 ფაქტი. პატიმართა გარდაცვალების შემთხვევების ანალიზი წარმოშობს გონივრულ ეჭვს გაწეული სამედიცინო მომსახურების ადეკვატურობასთან მიმართებით. სახალხო დამცველს აუცილებლად მიაჩნია სასჯელაღსრულების სისტემაში მიწოდებული სამედიცინო მომსახურების ხარისხის კონტროლის უზრუნველყოფა და სუიციდის პრევენციისკენ მიმართული ძალისხმევის გაძლიერება.

სახალხო დამცველის შეფასებით, აუცილებელია, გაძლიერდეს პატიმრების კონტაქტი გარე სამყაროსთან. მიუხედავად სახალხო დამცველის რეკომენდაციისა, რომ ხანმოკლე პაემანი განხორციელებულიყო მინის გამყოფი ბარიერის გარეშე, ხანმოკლე პაემანი კვლავ მინის გამყოფ ბარიერს მიღმა მიმდინარეობს. მნიშვნელოვანია, ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მოეწყოს ხანგრძლივი პაემნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს ქალთა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები.

აუცილებელია, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ქალთა და არასრულწლოვან პატიმართა სპეციფიკურ საჭიროებებს. სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული მდგომარეობა დეტალურად არის მიმოხილული ქვემოთ, შესაბამის ქვეთავებში.

წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და სასჯელის პრევენცია სასჯელაღსრულების დაწესებულებებში

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლის თანახმად, „არავინ არ უნდა განიცდიდეს წამებას ან სასტიკ, არაადამიანურ ან მისი ღირსების დამამცირებელ მოპყრობასა თუ სასჯელს“.[2]

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-10 მუხლის თანახმად, ყველა თავისუფლებააღკვეთილ პირს აქვს უფლება, რომ ჰუმანურად მოექცნენ და პატივი სცენ მის ადამიანის პიროვნებისათვის დამახასიათებელ ღირსებას. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, „ადამიანის ღირსების პატივისცემა წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ნორმას, რომლისგანაც დაუშვებელია ყოველგვარი გადახვევა“.[3]

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თავისუფლებაშეზღუდული პირის უფლებრივ მდგომარეობას შესაბამის დაწესებულებაში. სახელმწიფოს მხრიდან ყველა სათანადო ზომა უნდა იქნეს მიღებული, რათა არ მოხდეს ადამიანის მიმართ უფრო მეტი ტანჯვის მიყენება, რაც სასჯელს ისედაც თან ახლავს. ამ ვალდებულების შეუსრულებლობა კი იწვევს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით დაცული სფეროს დარღვევას.[4]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კონვენციის მე-3 მუხლთან დაკავშირებით ხშირად უსვამს ხაზს, რომ მე-3 მუხლი წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ფუნდამენტურ ღირებულებას. შესაბამისად, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება დარწმუნდეს, რომ თითოეული პირი დაპატიმრებულია იმ პირობებში, რომლებიც უზრუნველყოფს მისი ღირსების პატივისცემას, რომ სასჯელის აღსრულების ღონისძიების პირობები მას არ აგდებს სასოწარკვეთილებაში, რომელიც აჭარბებს პატიმრობისათვის დამახასიათებელ ტანჯვის ხარისხს და რომ დაპატიმრების პრაქტიკული მოთხოვნების

[2] საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მუხლი 7.

[3] General Comment No 29, States of emergency (Article 4), CCPR/C/21/Rev.1/Add.11, 31 August 2001, para.13a.

[4] კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ (KUDLA v. POLAND) *(no. 30210/96), ასევე* ვალაშინასი ლიტვის წინააღმდეგ (Valašinas v. Lithuania), no. 44558/98, § 102, ECHR 2001-VIII.

გათვალისწინებით, მისი ჯანმრთელობა და კეთილდღეობა სათანადოდ არის უზრუნველყოფილი.[5]

საგულისხმოა, რომ ადამიანის უფლებათა სამართალი უფრო მაღალი სტანდარტით იცავს თავისუფლებააღკვეთილი პირის უფლებებს, ვიდრე სხვა პირებისას. ევროპული სასამართლოს სტანდარტით, მართალია, არასათანადო მოპყრობამ უნდა მიაღწიოს „სიმძიმის მინიმუმს“, რომ მოექცეს კონვენციის მე-3 მუხლის ჭრილში, მაგრამ თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ ფიზიკური ძალის გამოყენება, რომელიც არ არის მკაცრად აუცილებელი პატიმართა საქციელიდან გამომდინარე, ლახავს ადამიანის ღირსებას და თავისთავად ხვდება მე-3 მუხლის მოქმედების სფეროში.[6]

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილი სტანდარტების მიხედვით, წამებისა და არასათანადო მოპყრობის აკრძალვის და სიცოცხლის უფლების უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფოს აკისრია არა მხოლოდ ნეგატიური ვალდებულება (არ დაარღვიოს პირის უფლება), არამედ პოზიტიური ვალდებულებაც (დაიცვას პირის უფლება). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დახურულ დაწესებულებებში მოთავსებული პირების დაცვა წამების, არასათანადო და დამამცირებელი მოპყრობისა თუ სასჯელისგან, ისევე როგორც მათი სიცოცხლის უფლების დაცვა. პატიმრები იმყოფებიან სახელმწიფოს ექსკლუზიურ კონტროლქვეშ და აქედან გამომდინარე, ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს უჩნდებათ ვალდებულება პატიმრის ფიზიკური ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული რეალური და იმწუთიერი რისკების პრევენციის მიზნით მიიღონ ყველა გონივრული ზომა, თუ მათ იციან ან უნდა სცოდნოდათ ასეთი რისკის არსებობის შესახებ.[7]

სახელმწიფოს მიერ ნაკისრი პოზიტიური ვალდებულება – დაიცვას პირები წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობისაგან – თავისთავად გულისხმობს სწორედ ისეთი პრევენციული ღონისძიებების გატარებას, რომელიც ხელს შეუწყობს ადამიანების არასათანადო მოპყრობისგან დაცვას. აღნიშნული პრევენციული ღონისძიებების გატარების აუცილებლობა საერთაშორისო სტანდარტების სახით მოცემულია როგორც ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებებში, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებში, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტისა და გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის არაერთ ანგარიშში. წამების პრევენცია არის გლობალური

[5] დავითიანი საქართველოს წინააღმდეგ (CASE OF DAVTYAN v. GEORGIA) *(no 73241/01).*
[6] ტეკინი თურქეთის წინააღმდეგ (CASE OF TEKİN v. TURKEY) (no 22035/10).
[7] იხილეთ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებები: Pantea v. Romania (პანტეა რუმინეთის წინააღმდეგ), no. 33343/96, §190, ECHR 2003-VI და Premininy v. Russia (პრემინინი რუსეთის წინააღმდეგ), no. 44973/04, §84, 10 February 2011.

სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავს არსებითად შეამციროს რისკები და შექმნას ის გარემო, რომელშიც წამება და არასათანადო მოპყრობა ნაკლებად მოსალოდნელია.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის პირველი მუხლით გათვალისწინებული ზოგადი ვალდებულება სახელმწიფოსგან მოითხოვს ეფექტიანი გამოძიების წარმოებას, იმ შემთხვევაშიც, როდესაც არასათანადო მოპყრობა განხორციელდა კერძო პირთა მხრიდან.[8] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომით, კონვენციის პირველი მუხლის შესაბამისად, მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს წარმოეშობათ ვალდებულება, თავისი იურისდიქციის ქვეშ დაიცვან ნებისმიერი უფლებები და თავისუფლებები, რაც კონვენციის მესამე მუხლის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ავალდებულებს, მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი პირები არ დაექვემდებარონ არასათანადო მოპყრობას ასევე კერძო პირთა მხრიდან.[9]

ამ მხრივ, საგულისხმოა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N14 დაწესებულებაში მსჯავრდებულ გ.ფ.-ს სიცოცხლის მოსპობის გახმაურებული ფაქტი, კერძოდ:

2014 წლის 4 მარტს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N14 დაწესებულებაში პატიმრებს შორის მომხდარი ურთიერთდაპირისპირების შედეგად გარდაიცვალა მსჯავრდებული გ.ფ.

საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად[10], 2014 წლის 4 მარტს, დაახლოებით 02:20 საათზე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N14 დაწესებულების მეექვსე სარეჟიმო კორპუსის N322 საკანში განთავსებულ მსჯავრდებულებს – შ.შ.-ს, ლ.მ.-ს და გ.ს.-ს წარმოეშვათ კონფლიქტი თანასაკნელ გ.ფ.-სთან, რაც შემდგომ ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. შ.შ.-მ, გ.ს.-მ და ლ.მ.-მ ერთობლივად შეძლეს გ.ფ.-ს იატაკზე წაქცევა, რის შემდეგაც ამ უკანასკნელმა დაკარგა გონება და თავდამსხმელთა მოგერიება ვეღარ შეძლო. ნაცვლად იმისა, რომ შეეწყვიტათ ძალადობა, შ.შ, გ.ს. და ლ.მ განაგრძობდნენ გ.ფ.-ს მიმართ ძალადობას, კერძოდ, გულმკერდის, კისრისა და სახის არეში ხელებითა და ფეხებით სცემდნენ, და უგონო მდგომარეობაში მყოფ გ.ფ.-ს. საკნის ბეტონის იატაკზე თავს არტყმევინებდნენ. შ.შ.-ს, ლ.მ.-ს და გ.ს.-ს მხრიდან გ.ფ.-ს მიმართ ძალადობით გამოწვეულ ხმაურსა და გინების ხმაზე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N14 დაწესებულების თანამშრომლები შევიდნენ საკანში და უგონო მდგომარეობაში მყოფი გ.ფ. განარიდეს მოძალადე პატიმრებს. გ.ფ. დაწესებულების სამედიცინო ნაწილში გადაიყვანეს, თუმცა N14 დაწესებულების სამედიცინო პერსონალის, ასევე ადგილზე გამოძახებული

[8] მ. და სხვები იტალიისა და ბულგარეთის წინააღმდეგ (M. and Others v. Italy and Bulgaria), განჩინება, 2012 წლის 31 ივლისი, პარ. 99.
[9] დენის ვასილევი რუსეთის წინააღმდეგ (Denis Vasilyev v. Russia), განჩინება, 2009 წლის 17 დეკემბერი, პარ. 98.
[10] 2014 წლის 12 აპრილის N13/23626 წერილი.

სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადის მიერ გაწეული დახმარების მიუხედავად, გ.ფ. გარდაიცვალა.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, გ.ფ.-ს გარდაცვალების მიზეზია ქალა-ტვინის ბლაგვი ტრავმის შედეგად განვითარებული თავის ტვინის მკვეთრად გამოხატული შეშუპება, ღეროს დისლოკაციით და ჩაჭედვით.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად[11], მსჯავრდებული გ.ფ. 2013 წლის 30 მაისს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N2 დაწესებულებიდან გადაიყვანეს N14 დაწესებულებაში, იმავე დღეს გადაიყვანეს მეექვსე სარეჟიმო კორპუსის N221 საკანში. 2013 წლის 28 ივნისს ის გადაიყვანეს N334 საკანში. ვინაიდან N322 საკანში მისი ბავშვობის მეგობარი იმყოფებოდა, მსჯავრდებულმა ითხოვა აღნიშნულ საკანში გადაყვანა, რაც ადმინისტრაციის მხრიდან დაკმაყოფილდა და ის 2014 წლის 20 იანვარს საცხოვრებლად N322 საკანში გადაიყვანეს. N14 დაწესებულებაში მისი გადაყვანის მიზეზი ის იყო, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ სასჯელის მოსახდელად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით, 7 თვით და 15 დღით.

მსჯავრდებული შ.შ. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე, 2014 წლის 12 თებერვალს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N6 დაწესებულებიდან გადაიყვანეს N14 დაწესებულებაში, და იმავე დღეს განათავსეს ამავე დაწესებულების მეექვსე კორპუსის N338 საკანში, ხოლო 2014 წლის 14 თებერვალს გადაიყვანეს N322 საკანში.

მსჯავრდებული ლ.მ. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე, 2014 წლის 12 თებერვალს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N6 დაწესებულებიდან გადაიყვანეს N14 დაწესებულებაში, და იმავე დღეს განათავსეს მეექვსე კორპუსის N429 საკანში, ხოლო 2014 წლის 14 თებერვალს გადაიყვანეს N322 საკანში.

მსჯავრდებული გ.ს. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე, 2014 წლის 27 თებერვალს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N6 დაწესებულებიდან გადაიყვანეს N14 დაწესებულებაში, და იმავე დღეს განათავსეს მეექვსე კორპუსის N322 საკანში.

აღსანიშნავია, რომ შ.შ.-ს, ლ.მ.-ს და გ.ს.-ს N14 დაწესებულებაში გადაყვანის თაობაზე ბრძანებების გამოცემას საფუძვლად დაედო N6 დაწესებულების დირექტორის საიდუმლო წერილები, რომლის მოწოდებაზე სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ ის არის გრიფით „საიდუმლო“ და „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის

[11] 2014 წლის 7 მაისის MCLA 1 14 00207345 წერილი.

შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველი არ არის უფლებამოსილი გაეცნოს აღნიშნულ ინფორმაციას. შესაბამისად, ჩვენთვის უცნობია, თუ რა გარემოებები გახდა შ.შ.-ს, ლ.მ.-ს და გ.ს.-ს N14 დაწესებულებაში გადაყვანის მიზეზი.

აღნიშნული საქმის გარემოებების შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს მთავარ პროკურატურას დამატებით დაუსვა შემდეგი კითხვები:

1. საქმეზე რა საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა, ასევე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რამდენი თანამშრომელი დაიკითხა;
2. აქედან რა საგამოძიებო მოქმედებები ჩაატარა სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტმა;
3. გამოძიებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, ინციდენტამდე ჰქონდა თუ არა კონფლიქტური ურთიერთობა გ.ფ.-ს თანასაკნელებთან და ცნობილი იყო თუ არა აღნიშნულის შესახებ N14 დაწესებულების ადმინისტრაციისთვის;
4. 2014 წლის 4 მარტს რა გახდა გ.ფ.-ს თანასაკნელებთან დაპირისპირების მიზეზი;
5. დაზიანებების მიღებიდან რამდენ ხანში გადაიყვანეს გ.ფ. დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტში და რა სამედიცინო დახმარება გაეწია (გთხოვთ, აღწეროთ კონკრეტული სამედიცინო მანიპულაციები, ზუსტი დროის მითითებით);
6. ინციდენტის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ დაწესებულების ადმინისტრაციამ როდის გამოიძახა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა და როდის მივიდა ის გამოძახების ადგილზე (გთხოვთ, მიუთითოთ გამოძახების და ბრიგადის ადგილზე გამოცხადების ზუსტი დრო);
7. გამოძიების დროს გამოიკვეთა თუ არა N14 დაწესებულების თანამშრომლების ან სამედიცინო პერსონალის მიერ მოვალეობის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების ნიშნები და შემოწმდა თუ არა აღნიშნული ვერსია გამოძიების მიერ.

მითითებულ კითხვებთან დაკავშირებით, საქართველოს მთავარი პროკურატურიდან გვეცნობა[12], რომ საქმეზე ჩატარდა შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ნიმუშების აღება, გვამის დათვალიერება და მოწმეთა დაკითხვა. დაიკითხა N14 დაწესებულების 12 თანამშრომელი. აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებებიდან შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ნიმუშის აღება, გვამის დათვალიერება და სამი პირის დაკითხვა ნაწარმოებია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის მიერ. საქმის მასალების მიხედვით, მომხდარ ინციდენტამდე გ.ფ.-ს თანასაკნელებთან კონფლიქტური ურთიერთობა არ ჰქონია, ხოლო 2014 წლის მარტს მომხდარი დაპირისპირების ზუსტი მიზეზი გამოძიებამ ვერ დაადგინა. გ.ფ.-ს სამედიცინო დახმარება ადგილზე ექიმმა გაუწია. კერძოდ, გაუკეთდა ტკივილგამაყუჩებელი და შეძლებისდაგვარად გაუსუფთავდა სასუნთქი გზები. აღნიშნულის შემდეგ მსჯავრდებული დაწესებულების სამედიცინო პუნქტში უმოკლეს დროში გადაიყვანეს, სადაც გაესინჯა წნევა,

[12] 2014 წლის 23 ივნისის N13/39576 წერილი.

დამატებით გაუკეთდა ტკივილგამაყუჩებელი საშუალება, სისხლდენის შემაჩერებელი, საგულე საშუალებები. წნევის ვარდნის პარალელურად მას უკეთდებოდა ადრენალინი და დექსამეტაზონი. სხივის არტერიაზე პულსაციის გაქრობის შემდეგ, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უკეთდებოდა გულის მასაჟი და ხელოვნური სუნთქვა. საქმის მასალების მიხედვით, სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადა გამოიძახეს 02:38 საათზე, რომელიც N14 დაწესებულებაში მივიდა 02:59 საათზე.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ საქმეზე თავდაპირველი საგამოძიებო მოქმედებები ჩატარებულია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის მიერ, რომელიც ვერ ჩაითვლება დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ საგამოძიებო ორგანოდ. ამასთან, საქართველოს სახალხო დამცველს არ მიუღია პასუხი მთელ რიგ მნიშვნელოვან კითხვებზე, კერძოდ, სახალხო დამცველისთვის უცნობია, რა გახდა მსჯავრდებულების სასჯელაღსრულების N6 დაწესებულებიდან სასჯელაღსრულების N14 დაწესებულებაში გადაყვანის მიზეზი და მიიღეს თუ არა უსაფრთხოების ყველა გონივრული ზომა გ.ფ.-ს სიცოცხლის მოსპობის თავიდან ასაცილებლად, ასევე, ხომ არ იკვეთება სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლების სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა. აქვე აღსანიშნავია, რომ 2014 წლის 12 აპრილის N13/23626 წერილით საქართველოს მთავარმა პროკურატურამ სახალხო დამცველს აცნობა, რომ სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო მხოლოდ სამი მსჯავრდებულის მიმართ 117-ე მუხლის მე-5-მე-8 ნაწილებით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია გ.ფ.-ს სიცოცხლის მოსპობის საქმეზე ჩატარდეს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გამოძიება და ყველა დამნაშავე პირი დაისაჯოს სათანადოდ.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში განხორციელებული ვიზიტების შედეგად გამოიკვეთა ის პრობლემები, რომლებიც მნიშვნელოვანია პრევენციის ეფექტური განხორციელებისათვის. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის პრევენციისათვის მნიშვნელოვანია შემდეგი რისკფაქტორების გათვალისწინება:

- არასათანადო მოპყრობის ფაქტების დოკუმენტირება და შესაბამისი ორგანოებისათვის შეტყობინება
- მსხვერპლთა სამართლებრივი დაცვით უზრუნველყოფა (ადვოკატის ხელმისაწვდომობა)
- მსხვერპლთა დაცვა განმეორებითი არასათანადო მოპყრობისაგან
- პატიმრობა სტანდარტების შეუსაბამო პირობებში
- ტრენინგები
- სათვალთვალო კამერის მნიშვნელობა

არასათანადო მოპყრობის ფაქტების დოკუმენტირება და შესაბამისი ორგანოებისთვის შეტყობინება

წამების პრევენციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტანდარტს სწორედ არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტების დოკუმენტირება და სათანადო ორგანოებისთვის შეტყობინება წარმოადგენს. არასათანადო მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლთა სხეულზე არსებული დაზიანებების და მათი პრეტენზიების დროული და მეთოდური დოკუმენტირება, ხოლო შემდგომში შესაბამისი ორგანოებისთვის შეტყობინება გადამწყვეტია ასეთი ფაქტების ეფექტიანი გამოძიების უზრუნველსაყოფად, რაც თავის მხრივ, მომავალში არასათანადო მოპყრობის ფაქტების პრევენციას ემსახურება. არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტების დოკუმენტირების მხრივ განსაკუთრებული როლი სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მომუშავე სამედიცინო პერსონალს ეკისრება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ არასათანადო მოპყრობის პრევენციისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პირის შესახლებისას დროულად მოხდეს მისი სამედიცინო შემოწმება, რათა გადამოწმდეს, ხომ არ დაექვემდებარა იგი წამებას ან სხვა არასათანადო მოპყრობას დაკავების მომენტიდან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შესახლებამდე.[13]

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის რეკომენდაციის თანახმად, დახურულ დაწესებულებაში პირის სამედიცინო შემოწმებისას შედგენილი დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს:

- შემოწმებული პირის მიერ მიწოდებულ ყველა ინფორმაციას, რომელიც საჭიროა სამედიცინო შემოწმებისთვის (მათ შორის, მის მიერ საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის აღწერას და არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებულ ყველა განცხადებას);
- სამედიცინო გამოკვლევაზე დაფუძნებულ ობიექტური სამედიცინო დასკვნების სრულ აღწერას;
- ექიმის დასკვნებს ზემოაღნიშნულ პუნქტებთან მიმართებით, რომელიც უნდა მიანიშნებდეს პირის მიერ გამოთქმული პრეტენზიების გაკეთებულ ობიექტურ სამედიცინო დასკვნებთან შესაბამისობის ხარისხზე.

მითითებული ჩანაწერები ასევე უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ყველა დამატებითი გამოკვლევის, გაკეთებული დასკვნების და გაწეული სამედიცინო დახმარების შესახებ. სხეულის დაზიანების დოკუმენტირებისთვის უნდა არსებობდეს ამისათვის განკუთვნილი სპეციალური ფორმები, რომელიც საშუალებას იძლევა ანატომიური ილუსტრაციების მეშვეობით დაფიქსირდეს ინფორმაცია დაზიანების შესახებ. ამასთან, სასურველი იქნებოდა დაზიანებების დაფიქსირება ფოტოგადაღების მეშვეობით.[14]

წამების პრევენციის მიზნით, სხეულზე არსებული დაზიანებების ფოტოგრაფირების მეთოდით დაფიქსირების აუცილებლობაზე მიუთითებს წამებისა და სხვა სასტიკი,

[13] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 23-ე ზოგადი მოხსენება, 2013 წ. პარ. 71, 73.
[14] იქვე, პარ. 74.

არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელო – „სტამბოლის პროტოკოლი“.[15]

ექიმს, რომელიც ამოწმებს დაკავებულ პირს, უნდა შეეძლოს დაზიანების ძალადობის გზით მიყენების ალბათობის დადგენა, თუნდაც ამის შესახებ პაციენტი არ მიუთითებდეს. მას ასევე უნდა შეეძლოს ძალადობის ფსიქიკური და ფსიქოლოგიური მტკიცებულების დოკუმენტირება და პირის მიერ არასათანადო მოპყრობის შესახებ მონათხრობისა და შემოწმების შედეგების შესაბამისობის ხარისხის დადგენა.[16] ექიმს ამ მიზნით შეუძლია გამოიყენოს შემდეგი ჩანაწერები: „არ შეესაბამება“, „შეესაბამება“, „შეესაბამება მაღალი ალბათობით“ და „დამახასიათებელია (ტიპურია)“.[17] დოკუმენტირების მიზნებისათვის ექიმი უნდა იყენებდეს შესაბამის სტანდარტულ სამედიცინო ცნობას.[18]

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმრების დაზიანებების აღწერა არ ხდება „სტამბოლის პროტოკოლის“ შესაბამისად. წარმოებს „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ტრავმების აღრიცხვის ჟურნალი“, რომელშიც სამედიცინო პერსონალის მიერ აღირიცხება პატიმრის სხეულზე აღმოჩენილი დაზიანებები. ჟურნალში უნდა მიეთითოს პატიმრის სახელი და გვარი, დაზიანების აღმოჩენის დრო, დაზიანების ლოკალიზაცია და ხასიათი, დაზიანების წარმომავლობა, ექიმის ხელმოწერა და პატიმრის ხელმოწერა. ხდება დაზიანების მოკლე აღწერა და დაზიანების წარმომავლობის შესახებ ინფორმაცია შედის გრაფებში – „თვითდაზიანება“, „საყოფაცხოვრებო ტრავმა“, „სხვა პირის მიერ“. ექიმი არ ახდენს დაზიანების ხასიათისა და მისი წარმომავლობის შესახებ პატიმრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისობის შეფასებას.

დაზიანების აღმოჩენის შემდეგ პატიმრისთვის გაწეული სამედიცინო დახმარების შესახებ დოკუმენტაცია ივსება საერთო წესით და ინახება პატიმრის სამედიცინო ისტორიაში. აღსანიშნავია, რომ ფოტოგრაფირების მეთოდით დაზიანების დოკუმენტირების პრაქტიკა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არ არსებობს.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2014 წლის განმავლობაში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პატიმრობის დაწესებულებებში სხეულის დაზიანებით შესახლებულია 1040 ბრალდებული, რომელთაგან 136 ბრალდებულმა დაზიანება მიიღო დაკავებისას, 853 ბრალდებულმა – დაკავებამდე, 48 ბრალდებულმა – დაკავების შემდეგ, 3 ბრალდებულმა დაზიანების წარმოშობის მიზეზი არ დაასახელა. ამავე ინფორმაციის თანახმად, 2014 წლის განმავლობაში სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სხეულის

[15] სტამბოლის პროტოკოლი, პარ. 105.
[16] იქვე პარ. 122.
[17] იქვე პარ. 187.
[18] იქვე პარ. 125.

დაზიანება მიიღო 3169 პატიმარმა, რომელთაგან 2261 დაზიანება მიღებულია თვითდაზიანებით, 755 – საყოფაცხოვრებო ტრავმით, 53 – არ აკონკრეტებს და 100 – სხვა პირის მიერ.

2014 წლის განმავლობაში პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განხორციელებული შემოწმების შედეგებით ირკვევა, რომ სამედიცინო პერსონალის მიერ სათანადოდ არ ხდება პატიმრების სხეულზე არსებული დაზიანებების დოკუმენტირება. კერძოდ, ხშირ შემთხვევებში არ არის მითითებული დაზიანების აღმოჩენის დრო და წარმომავლობა, არ ფიქსირდება ექიმის და პატიმრის ხელმოწერა.

საანგარიშო პერიოდში პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც სამედიცინო პერსონალის მიერ საერთოდ არ მოხდა პატიმრის სხეულზე არსებული დაზიანებების დოკუმენტირება, რაც ცალსახად, შეუსაბამობაში მოდის არასათანადო მოპყრობის პრევენციის სტანდარტებთან. საუბარია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ წარმოებულ საქმეებზე:

ს.ქ.-ს მიერ საქართველოს სახალხო დამცველისთვის მიმართული ახსნა-განმარტების თანახმად, 2014 წლის 14 იანვარს N15 დაწესებულებაში მას სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებმა. სახალხო დამცველის რწმუნებულებთან შეხვედრისას მსჯავრდებულს სახის არეში აშკარა დაზიანება აღენიშნებოდა (ნახეთქი ჭრილობა მარხენა წარბის არეში). აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველმა გამოძიების დაწყების შესახებ წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს. საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, მსჯავრდებულმა ს.ქ.-მ დაკითხვისას არ დაადასტურა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლების მხრიდან მის მიმართ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტი, თუმცა აღნიშნა, რომ სახის არეში დაზიანება მიიღო N15 დაწესებულებაში, საკანში წაქცევის შედეგად. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ მითითებული საქმის შესწავლის ფარგლებში, N15 დაწესებულებაში ვერ იქნა აღმოჩენილი ს.ქ.-ს მიერ დაზიანების მიღების დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი. ამასთან, როგორც სახალხო დამცველის აპარატისთვის მთავარი პროკურატურიდან მიწოდებული ინფორმაციიდან ირკვევა, მსგავსი დოკუმენტი ვერც გამოძიებამ მოიპოვა. ამდენად, აშკარაა, რომ ს.ქ.-ს სხეულზე არსებული დაზიანების დაფიქსირება N15 დაწესებულებაში არ მომხდარა.

ო.გ.-ს გადმოცემით, 2014 წლის 3 სექტემბერს დაწესებულების სამედიცინო ნაწილში ყოფნისას მოუვიდა შელაპარაკება ამავე დაწესებულების ექიმთან, რა დროსაც ექიმმა მას მიაყენა არაერთი სიტყვიერი შეურაცხყოფა. პატიმრის თქმით, ხმაურზე ოთახში შეცვივდნენ ამავე დაწესებულების სხვა თანამშრომლები, რომლებმაც მას ცემა დაუწყეს. ო.გ.-ს სახალხო დამცველის რწმუნებულებთან შეხვედრისას აღენიშნებოდა სხვადასხვა სახის დაზიანებები,

კერძოდ, მარცხენა თვალის არეში შეშუპება და სილურჯე, შუბლზე შესიებული არე და მცირე ნაკაწრები. აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნულ ფაქტს ადგილი ჰქონდა 3 სექტემბერს, თუმცა მსჯავრდებულის სხეულის დაზიანებები არ იყო აღნუსხული შესაბამის – დაზიანებების აღრიცხვის – ჟურნალში; დაზიანებების მითითება მოხდა მხოლოდ 4 სექტემბერს, სახალხო დამცველის რწმუნებულის თანდასწრებით, მის მიერ აღნიშნული ფაქტის აღმოჩენისას. ასევე, 2014 წლის 6 სექტემბერს სახალხო დამცველის რწმუნებულების N17 დაწესებულებაში ვიზიტისას ცნობილი გახდა მსჯავრდებულ ო.გ.-ს მიერ სუიციდის მცდელობის ფაქტის თაობაზე. პატიმარს კისრის არეში, მთელ სიგრძეზე აღენიშნებოდა მოწითალო მოლურჯო სახის დაზიანება, თუმცა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ტრავმების აღრიცხვის ჟურნალის შემოწმებისას გაირკვა, რომ არც ეს დაზიანება იყო დაფიქსირებული.

2014 წლის 12 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულები იმყოფებოდნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N8 დაწესებულებაში, რა დროსაც გონივრული მიღებისა და განთავსების განყოფილებაში ჩამავალ კიბეზე გაიგონეს ყვირილისა და ჩხუბის ხმა. შესაბამისად, სცადეს ეპოვათ ოთახი, საიდანაც ისმოდა ხმაური. დერეფანში, სანიტარული ზონის (საშხაპე) ოთახთან, შეინიშნებოდა ახლად მოწმენდილი სისხლის კვალი და შესაბამისი ლაქა. დაწესებულების თანამშრომლები იყვნენ აღელვებულები, ისმოდა ხმამაღალი გადაძახილები თანამშრომლებს შორის. ამასთან, შეიმჩნეოდა გაღიზიანება საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულების მიმართ.

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულები დაინტერესდნენ სისხლის კვალის წარმოშობისა და ხმაურის მიზეზით, რაზეც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N8 დაწესებულების დირექტორის მოადგილემ განაცხადა, რომ გონივრული მიღებისა და განთავსების განყოფილებაში გადაყვანილი ჰყავდათ პატიმრები (მთვრალ მდგომარეობაში), რომლებიც მას და მის თანამშრომლებს აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას. საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა მოითხოვეს პატიმრების დაუყოვნებლივ ნახვა, რამაც დაწესებულების ადმინისტრაციის ზემოაღნიშნული თანამშრომლების აშკარა და დაუფარავი უკმაყოფილება გამოიწვია. თუმცა, საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულების კატეგორიული მოთხოვნის შედეგად, რწმუნებულები შევიდნენ საშხაპე ოთახში, სადაც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N8 დაწესებულების თანამშრომლებს დაკავებული ჰყავდათ პატიმრები მ.უ. და მ.ფ.

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულების საშხაპე ოთახში შესვლის მომენტში ორივე პირი, სველი ტანსაცმლით, იყო იატაკზე. მ.უ.-ს შეკრული ხელ-ფეხი ერთმანეთზე სპეციალური ჯაჭვით ჰქონდა მიბმული (ბორკილი ერთიან კონსტრუქციას წარმოადგენდა). ორივე პატიმარს გარეგნულად აღენიშნებოდა ძალადობის კვალი, მათ შორის, სახეზე. მ.უ.-ს შუბლის არეში ჰქონდა ნაკვეთი ჭრილობა, საიდანაც მოსდიოდა სისხლი, ასევე, სხვა მრავლობითი დაზიანება, ხოლო მ.ფ.-ს მარჯვენა თვალში აღენიშნებოდა სისხლჩაქცევა.

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა პატიმართა მდგომარეობასთან და დაზიანებების წარმოშობის მიზეზთან დაკავშირებით განმარტება მოსთხოვეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N8 დაწესებულების დირექტორის მოადგილეებს. მათი თქმით, პატიმრებმა დაზიანებები მიიღეს წაქცევის შედეგად.

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა მოითხოვეს ახსნა-განმარტება, თუ რატომ იყვნენ მოთავსებული პატიმრები საშხაპე ოთახში, სველი ტანსაცმლით და ხელ-ფეხშეკრულ მდგომარეობაში. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N8 დაწესებულების დირექტორის მოადგილის თქმით, მოცემულ ეტაპზე აღნიშნული პირების სხვა პატიმრებთან ერთად სამარტოო საკნებში განთავსება არ შეიძლებოდა, ხოლო პატიმრების სველ მდგომარეობაში იატაკზე ყოფნა განმარტა მათივე დაუდევრობით. ამასთან, დაწესებულების დირექტორის მოადგილის და უსაფრთხოების განყოფილების უფროსის განცხადებით, პატიმრების მოთავსება დეესკალაციის ზონაში მოითხოვდა შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმებას, ამავდროულად, იყვნენ სველები, სისხლიანები და დასვრიდნენ საკნებს, და სწორედ ამ მიზეზით მოათავსეს საშხაპე ოთახში.

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა მოითხოვეს პატიმრების დაზიანებების აღწერა და შესაბამის ჟურნალში დაფიქსირება. რწმუნებულებმა დააფიქსირეს, რომ დაწესებულების ექიმი განიცდიდა ზეწოლას დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან, რის გამოც დაზიანებების ჟურნალში გაკეთებულ ჩანაწერებში დეტალურად არ აისახა პატიმრების გარეგნული დაზიანებები. კერძოდ, პატიმრების გარეგნული დათვალიერების დროს ექიმის ოთახში იმყოფებოდა დაწესებულების დირექტორის მოადგილე, რომელიც ექიმს აძლევდა მითითებას, რომ პატიმრის სხეულზე არსებული აშკარა დაზიანება არ დაეფიქსირებინა სათანადო დოკუმენტაციაში.

დახურულ დაწესებულებაში პირის შესახლებისას მისი სამედიცინო შემოწმება კონფიდენციალურად უნდა მოხდეს. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ შესაძლო არასათანადო მოპყრობის შესახებ პირი გამოიკითხოს მხოლოდ ექიმის მიერ, დაწესებულების თანამშრომლების დასწრების გარეშე.[19]

საანგარიშო პერიოდში პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ შემოწმება ჩატარდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N3 დაწესებულებაში. შემოწმების მიმდინარეობისას სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები აკვირდებოდნენ დაწესებულებაში პატიმრების მიღების პროცესს. აღმოჩნდა, რომ N3 დაწესებულებაში პატიმრების მიღების პრაქტიკა სრულ შეუსაბამობაში იყო კონფიდენციალურად სამედიცინო შემოწმების სტანდარტთან. ქალი პატიმრის სხეულის ვიზუალურ დათვალიერებას ექიმის ნაცვლად დაწესებულების თანამშრომელი ახორციელებდა, რომელიც ამავე დროს ატარებდა მის ჩხრეკას და მორიგე

[19] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 23-ე ზოგადი მოხსენება, 2013წ. პარ. 75.

ექიმს სწორედ იგი აწვდიდა ინფორმაციას პატიმრის სხეულზე არსებული დაზიანებების შესახებ. მამაკაცი პატიმრის შემოწმებას კი, ექიმი ატარებდა დაწესებულების თანამშრომლების თანდასწრებით. ისინი ამავე დროს პარალელურად ატარებდნენ ჩხრეკას და უფრო მეტიც, ამ პროცესს ესწრებოდნენ საბადრაგო სამსახურის ის თანამშრომლები, რომლებმაც აღნიშნული პატიმარი მიიყვანეს დაწესებულებაში. აღსანიშნავია, რომ მითითებული ვიზუალური დათვალიერების შემდეგ ექიმი ავსებდა სამედიცინო დოკუმენტაციას, რა დროსაც ესაუბრებოდა პატიმარს, თუმცა ამ პროცესსაც ესწრებოდნენ დაწესებულების თანამშრომლები.

როგორც ზემოთ აღინიშნა, არასათანადო მოპყრობის პრევენციისთვის განსაკუთრებული როლი აკისრია იმ სამედიცინო პერსონალს, რომლის მოვალეობაშიც შედის პატიმრის სხეულზე არსებული დაზიანებების დოკუმენტირება. ამ მხრივ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პატიმარსა და ექიმს შორის ნდობის არსებობას, რათა სრულყოფილად მოხდეს არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტების დოკუმენტირება, რაც მათ შორის კონფიდენციალური კომუნიკაციის გარეშე წარმოუდგენელია.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის აზრით, დაწესებულებაში შესახლებისას პატიმრების სამედიცინო შემოწმება მსგავსი პრაქტიკით ვერ უზრუნველყოფს არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოვლენას მისი პრევენციის მიზნით. მითითებულ დასკვნას ასევე ამყარებს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომლის მიხედვით, 2014 წლის განმავლობაში N3 დაწესებულებაში შესახლებული ბრალდებულებიდან სხეულზე დაზიანება აღენიშნებოდა 43 ბრალდებულს და მათგან მხოლოდ ოთხმა მიუთითა დაზიანების წარმომავლობის შესახებ, ხოლო დანარჩენებმა თავი შეიკავეს დაზიანების წარმომავლობის შესახებ ექიმისთვის რაიმე ინფორმაციის მიწოდებისგან.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის საპარლამენტო წლიურ ანგარიშში საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს მიეცა შემდეგი რეკომენდაცია: „სტამბოლის ოქმის“ შესაბამისად შემუშავდეს და დაინერგოს დაზიანებების აღრიცხვის ახალი ფორმა, რომელშიც შესაძლებელი გახდება სხეულის დაზიანების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციის შეტანა. სამწუხაროდ, აღნიშნული რეკომენდაცია დღემდე არ შესრულებულა, თუმცა მისასალმებელია ის ფაქტი, რომ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ინფორმაციით, მითითებული რეკომენდაცია გაზიარებულია და დაწყებულია დაზიანებების აღრიცხვის ახალი ფორმების შემუშავება.

წამების პრევენციის მიზნით დაზიანებების დოკუმენტირებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტების შესახებ შესაბამისი ორგანოებისთვის დაუყოვნებლივ შეტყობინება. ასეთი მოპყრობის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში

შესაბამისი ორგანოებისთვის შეტყობინება და შემდგომში გამოძიების წარმოება სავალდებულოა როგორც ეროვნული კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო სტანდარტებით.

სასჯელაღსრულების სისტემაში მომუშავე ექიმმა უნდა გაითვალისწინოს პაციენტის საუკეთესო ინტერესები და ახსოვდეს კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება. მაგრამ, ამავე დროს, ექიმს უჩნდება მორალური საფუძველი არასათანადო მოპყრობის გამოაშკარავების სასარგებლოდ. იმ შემთხვევაში, თუ პატიმარი თანახმაა არასათანადო მოპყრობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებაზე, ექიმი ვალდებულიც კი არის, გადაუგზავნოს ეს ინფორმაცია შესაბამის საგამოძიებო ორგანოს. თუ პატიმარი უარს აცხადებს ამა თუ იმ ინფორმაციის გამჟღავნებაზე, ექიმმა უნდა აწონ-დაწონოს, რა უფრო მნიშვნელოვანია, პოტენციური საფრთხე მოცემული პაციენტისთვის, თუ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნებით მიღებული სარგებელი ყველა პატიმრისათვის, აგრეთვე საზოგადოებისთვის, რომელიც დაინტერესებულია, რომ არასათანადო მოპყრობის პრაქტიკა აღმოიფხვრას.[20]

საანგარიშო პერიოდში პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შეყვანის დროს პატიმრის სხეულზე არსებული დაზიანებების შესახებ შეტყობინება იგზავნება საქართველოს პროკურატურაში, ხოლო დაწესებულებაში ყოფნის დროს პატიმრის სხეულის დაზიანების შემთხვევაში – საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში.

სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N3 დაწესებულებაში შემოწმების ჩატარებისას აღმოაჩინა, რომ ორ შემთხვევაში დაზიანების შესახებ ინფორმაცია არ მიეწოდა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს და ეს მაშინ, როცა დაზიანების ყველა სხვა შემთხვევაში შესაბამისი შეტყობინება გადაგზავნილი იყო.

არასათანადო მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლთა სამართლებრივი დაცვით უზრუნველყოფა

გაეროს „წამების საწინააღმდეგო კონვენციის“ მე-14 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ყოველი მონაწილე სახელმწიფო თავის სამართლებრივ სისტემაში უზრუნველყოფს, რომ წამების მსხვერპლი იღებდეს ანაზღაურებას და მას ჰქონდეს სამართლებრივი სანქციით

[20] სტამბოლის პროტოკოლი, პარ. 72.

განმტკიცებული სამართლიანი და ადეკვატური კომპენსაციის, მათ შორის, რაც შეიძლება სრული რეაბილიტაციისათვის საჭირო სახსრების მიღების უფლება“.

გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ წამების მსხვერპლთა და მათი ოჯახის წევრების სათანადო ინფორმირება მათი უფლებრივი მდგომარეობის აღდგენის გზებისა და პროცედურების შესახებ. ამისათვის, აღნიშნული პროცედურები უნდა იყოს გამჭვირვალე. გარდა ამისა, მონაწილე სახელმწიფოები უნდა ეხმარებოდნენ უფლების სუბიექტებს, რათა მათ ნაკლები დაბრკოლებები შეექმნათ უფლებრივი მდგომარეობის აღდგენის პროცესში მონაწილეობისას. ამ პროცესში მონაწილეობაში წამების მსხვერპლებს არ უნდა შეექმნათ დაბრკოლება მათი ფინანსური მდგომარეობის გამო. წამების საწინააღმდეგო კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს, შექმნან წამების მსხვერპლთა უფლებრივი მდგომარეობის აღდგენის ისეთი მექანიზმი, რომელიც იქნება ადვილად ხელმისაწვდომი. წამების მსხვერპლთათვის ყოველთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს სასამართლო, როგორც მათი უფლებრივი მდგომარეობის აღდგენის საშუალება, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა სხვა საშუალებები. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სათანადო სამართლებრივი დახმარებით ის პირები, რომლებსაც ფინანსური მდგომარების გამო არ შეუძლიათ დამოუკიდებლად დაიცვან საკუთარი უფლებები.[21]

თავისუფლებაშეზღუდული პირებისთვის ადვოკატის ხელმისაწვდომობა წარმოადგენს ფუნდამენტურ სამართლებრივ გარანტიას არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ. ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას გადამწყვეტი ეფექტის მოხდენა შეუძლია იმ პირებზე, რომლებმაც შესაძლოა არასათანადო მოპყრობა განახორციელონ თავისუფლებაშეზღუდულ პირთა მიმართ. დამატებით, არასათანადო მოპყრობის განხორციელების შემთხვევაში, ადვოკატს შეუძლია მიმართოს სათანადო ზომებს.[22]

საქართველოში სახელმწიფოს ხარჯზე იურიდიული დახმარების საკითხი რეგულირდება „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით. აღნიშნული კანონის მიხედვით, სახელმწიფოს ხარჯზე იურიდიულ დახმარებას უზრუნველყოფს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური. იურიდიული დახმარებით სარგებლობა, როგორც წესი, შეუძლიათ მხოლოდ გადახდისუუნარო პირებს, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისა. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატი თავისუფლების აღკვეთისა და შეზღუდვის ადგილებში წამების მსხვერპლთათვის უფასო საადვოკატო მომსახურების გაწევას არ ითვალისწინებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, იმ პირებისთვის, რომლებიც თავისუფლების აღკვეთის პერიოდში შესაძლოა დაექვემდებარნენ არასათანადო

[21] გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის მე-3 ზოგადი მოხსენება, 2012 წ. პარ. 29 და 30.
[22] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 23-ე ზოგადი მოხსენება, 2013 წ. პარ. 18.

მოპყრობას, კანონმდებლობით ყველა შემთხვევაში არ არის უზრუნველყოფილი ისეთი ფუნდამენტური სამართლებრივი გარანტია, როგორიც არის ადვოკატის ხელმისაწვდომობა.

წამების მსხვერპლთა უფლებრივი მდგომარეობის აღდგენის პროცესში მათი ჩართულობისთვის, აუცილებელია, ისინი უზრუნველყოფილი იქნენ კვალიფიციური იურიდიული დახმარებით, რაც მოიცავს სამართლებრივი დოკუმენტების შედგენას, წარმომადგენლობას სასამართლოში და სამართალდამცავ ორგანოებში. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული პირები იურიდიული დახმარებით უზრუნველყოფილი იქნენ იმ მომენტიდან, როდესაც წარმოეშვებათ პრეტენზია მათ მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის შესახებ.

წამების მსხვერპლთათვის ეფექტური იურიდიული დახმარების (მათ შორის, დაცვის ეფექტური განხორციელებისთვის საჭირო აუცილებელი ხარჯების გათვალისწინებით) უზრუნველყოფის გაუმჯობესება, უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის გზით, გათვალისწინებულია როგორც ერთ-ერთი შესასრულებელი ღონისძიება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივლისის N445 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმაში. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ მითითებული ღონისძიება დღემდე შესრულებული არ არის.

მსხვერპლთა დაცვა განმეორებითი არასათანადო მოპყრობისაგან

გაეროს წამების საწინააღმდეგო კონვენციის მე-13 მუხლის თანახმად, „ყოველი მონაწილე სახელმწიფო ნებისმიერი პირისათვის, რომელიც ამტკიცებს, რომ იგი აწამეს ამ სახელმწიფოს იურისდიქციაში შემავალ ნებისმიერ ტერიტორიაზე, უზრუნველყოფს ამ სახელმწიფოს კომპეტენტური ხელისუფლების წინააღმდეგ საჩივრის წარდგენის და მათ მიერ ასეთი საჩივრის სწრაფად და მიუკერძოებლად განხილვის უფლებას. მიიღება ზომები საჩივრის ან ნებისმიერი მოწმის ჩვენებების გამო მომჩივნის და მოწმეთა ნებისმიერი ფორმის უხეში მოპყრობისაგან ან დაშინებისაგან დასაცავად“.

წამების პრევენციის კომიტეტი არასათანადო მოპყრობის ფაქტების ეფექტიანი გამოძიების ერთ-ერთ უმთავრეს კრიტერიუმად ადგენს, რომ გამოძიების პერიოდში არასათანადო მოპყრობის შესაძლო მსხვერპლი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იმყოფებოდეს იმ პირთა ზედამხედველობის ქვეშ, რომლებმაც სავარაუდოდ განახორციელეს მის მიმართ არასათანადო მოპყრობა.[23]

[23] წამების პრევენციის კომიტეტის მოხსენება ალბანეთში 2005 წლის 23 მაისიდან 3 ივნისამდე განხორციელებულ ვიზიტთან დაკავშირებით CPT/Inf(2006) 24, პუნქტი 52. იხილეთ ასევე წამების

საქმეში „პოპოვი რუსეთის წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ „არასათანადო მოპყრობის ფაქტის ეფექტიანი გამოძიებისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა გააჩნია იმას, რომ განმცხადებლებს თავისუფლად შეეძლოთ მონაწილეობის მიღება გამოძიების პროცესში, რაიმე სახის ზეწოლის გარეშე, რომელიც მიზნად ისახავს საჩივრის შეცვლას ან უკან გამოტანას [...] ამ კონტექსტში ზეწოლა მოიცავს არამხოლოდ პირდაპირ იძულებას ან აშკარა დაშინების ფაქტებს, ასევე გულისხმობს არასათანადო, არაპირდაპირ ქმედებებს ან კონტაქტებს, რომელთა მიზანს წარმოადგენს მომჩივანთა გადარწმუნება ან მათთვის დაბრკოლებების შექმნა, რათა არ გამოიყენონ კონვენციით უზრუნველყოფილი სამართლებრივი დაცვის საშუალება“.[24]

საქართველოს, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს, ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს, თავიდან აიცილოს, აღკვეთოს და ეფექტიანად გამოიძიოს არასათანადო მოპყრობის ყველა ფაქტი, რაც ამავდროულად საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად, მისი საერთაშორისო ვალდებულებაა. ამ ვალდებულების შესრულების მიზნით, აუცილებელია სახელმწიფოში არსებობდეს ეფექტიანი მექანიზმები არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა დასაცავად. არასათანადო მოპყრობის მსხვერპლები, აგრეთვე მათი ოჯახის წევრები, უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ დამატებითი გარანტიებით და დაცვით ნებისმიერი ძალადობის, ძალადობის მუქარის ან რაიმე სხვა ფორმის დაშინებისაგან, რომელიც შეიძლება წარმოიშვას გამოძიების დაწყების მომენტიდან სასამართლო პროცესის დასრულებამდე.

2014 წლის განმავლობაში პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის შედეგად გამოიკვეთა, რომ არასათანადო მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლთა დაცვა განმეორებითი ზეწოლისა და დაშინებისგან მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც მსჯავრდებულები სახალხო დამცველის რწმუნებულებს აწვდიდნენ ინფორმაციას სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლების მხრიდან მათ მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტების შესახებ, თუმცა საგამოძიებო ორგანოების წარმომადგენლებთან უარყოფდნენ მითითებულ ფაქტებს. სახალხო დამცველის რწმუნებულებთან განმეორებითი შეხვედრებისას აღნიშნული პატიმრები აცხადებდნენ, რომ ისინი დააშინეს იმ პირებმა, რომლებმაც განახორციელეს არასათანადო მოპყრობა და აღნიშნულის გამო უარს აცხადებდნენ რაიმე სახის რეაგირებაზე. მითითებული პატიმრების განმარტებით, თავს არ გრძნობდნენ უსაფრთხოდ და დაცულად განმეორებითი ზეწოლისაგან, ვინაიდან ისინი არ გადაჰყავდათ სხვა დაწესებულებაში და კვლავაც იმყოფებოდნენ იმ მოხელეების კონტროლის ქვეშ, რომლებმაც განახორციელეს არასათანადო მოპყრობა.

პრევენციის კომიტეტის 2007 წლის 13 მაისს გაკეთებული საჯარო განცხადების I დანართი რუსეთის ფედერაციის ჩეჩნეთის რესპუბლიკასთან დაკავშირებით CPT/Inf (2007) 17, პუნქტი 53.

[24] Popov v. Russia, judgment of 13 July, 2006, application no. 26853/04 §246.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის აზრით, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა განმეორებითი ზეწოლისაგან დაცვის გარანტია და მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობაში სათანადოდ არ არის ასახული. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ პატიმრის საჩივრის საფუძველზე დაიწყება სამსახურებრივი შემოწმება, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 91-ე მუხლის თანახმად, შესაძლოა არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ჩამდენი მოხელე ჩამოშორდეს სამსახურს. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ დაიწყება გამოძიება, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 159-162 მუხლების შესაბამისად, მოხელე მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩამოშორდეს სამსახურს, თუ მას სცნობენ ბრალდებულად. ამასთან. კანონმდებლობაში არ არის რაიმე იმპერატიული ნორმა, რომელიც დაავალდებულებს სახელმწიფოს ხელისუფლების შესაბამის ორგანოს, თავისუფლებააღკვეთილი არასათანადო მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლი გადაიყვანოს სხვა დაწესებულებაში.

მისასალმებელია ის გარემოება, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 მაისის N341 დადგენილებით შექმნილი ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობის ფარგლებში მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს წამების წინააღმდეგ ბრძოლაში მოსამართლის როლის გაზრდას, კერძოდ, შემოთავაზებული ცვლილების მიხედვით:

- თუ სასამართლო სხდომის/განხილვის ნებისმიერ სტადიაზე მოსამართლეს გაუჩნდა ვარაუდი, რომ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ განხორციელებულია წამება, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა, იგი უფლებამოსილია, გამოძიების დაწყების მოთხოვნით მიმართოს შესაბამის გამოძიების ორგანოს;
- მოსამართლე უფლებამოსილია, სასჯელაღსრულების დეპარტამენტს განჩინებით დაავალოს სასამართლოსათვის პატიმრის/მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის წარდგენა. განჩინებაში შესაძლოა მიეთითოს ინფორმაციის წარდგენის პერიოდულობა;
- თუ პატიმრის/მსჯავრდებულის დატოვებამ პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის იმავე დაწესებულებაში შესაძლოა საფრთხე შეუქმნას პატიმრის/მსჯავრდებულის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას ანდა არსებობს ვარაუდი, მათ შორის, ამ მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად მიღებული ინფორმაცია, რომ პატიმრის/მსჯავრდებულის მიმართ განხორციელდა ან შესაძლოა განხორციელდეს წამება, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა, მოსამართლე უფლებამოსილია, განჩინებით დაავალოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტს პატიმრის/მსჯავრდებულის პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის სხვა დაწესებულებაში გადაყვანა.

პატიმრობა სტანდარტების შეუსაბამო პირობებში

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, გარდა აქტიური ქმედებებისა, კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა შეიძლება გამოწვეული იყოს პატიმრობის პირობებით. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში, დოგუზი საბერძნეთის წინააღმდეგ (Dougoz v. Greece), ჩამოაყალიბა ის პირობები/კრიტერიუმები, რომელშიც პატიმარი უნდა იყოს მოთავსებული, მათ შორის, საკანში უნდა იყოს ასატანი ტემპერატურა და არა ძალიან ცხელი ან ძალიან ცივი; საძინებელი საშუალებები უნდა იყოს შესაბამისი; სანიტარიული მდგომარეობა უნდა აკმაყოფილებდეს სტანდარტებს.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში, რამიშვილი და კოხრეიძე საქართველოს წინააღმდეგ (Ramishvili and Kokhreidze v. Georgia), განმარტა, რომ „კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ პიროვნებამ სასჯელი მოიხადოს ადამიანური ღირსების პატივისცემის პირობებში, სასჯელის აღსრულებამ არ გამოიწვიოს განსაცდელი ან ტანჯვა, რომლის ინტენსივობაც გადააჭარბებს პატიმრობის თანმდევ, გარდაუვალ ტანჯვას“.

განჩინებაში, საქმეზე, მოდარკა მოლდავეთის წინააღმდეგ (Modârcă v. Moldova), ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ სხვადასხვა არასათანადო საცხოვრებელი პირობების ერთობლივმა ეფექტმა გამოიწვია მომჩივნის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით გარანტირებული უფლების დარღვევა (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა).

საქმეში, იქსი თურქეთის წინააღმდეგ , ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ მოპასუხე მთავრობამ ვერ წარმოადგინა არგუმენტები, თუ რატომ არ ეძლეოდა მომჩივანს სუფთა ჰაერზე ყოფნის შესაძლებლობა. საქმის გარემოებების განხილვის შემდეგ სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის მიმართ ადგილი ჰქონდა არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას.[25]

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული პრობლემები ფიზიკური გარემოს კუთხით მიმოხილულია წინამდებარე ანგარიშის შესაბამის თავში. აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა გამოავლინა შემთხვევები, როდესაც პატიმრები სხვადასხვა მიზეზით მოთავსებულები იყვნენ სხვა პატიმრებისგან განცალკევებით, პირობები კი, რომლებშიც ისინი იმყოფებოდნენ, არ შეესაბამებოდა დადგენილ სტანდარტებს, დამამცირებელი და მათი ღირსების შემლახავი იყო. ასე მაგალითად:

[25] X თურქეთის წინააღმდეგ (X. v. Turkey,) judgment of 9 October, 2012, application no. 24626/09, §§ 42-45.

2014 წლის 22 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულები სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N6 დაწესებულებაში შეხვდნენ და გაესაუბრნენ სხვა პატიმრებისგან იზოლირებულ ბრალდებულებს. ასევე, შეამოწმეს მათი საცხოვრებელი და სხვა პირობები.

ბრალდებულებთან გასაუბრებისა და მათი საცხოვრებელი საკნების დათვალიერების დროს გაირკვა, რომ ისინი მოთავსებულნი იყვნენ პირველ სართულზე არსებულ საკნებში, რომლებიც მიწის ზედაპირის დონიდან ნახევრად ქვევით მდებარეობდა. საკნების კედლები იყო ახლად შეღებილი, რის გამოც იყო ნესტიანი, ხოლო იატაკზე დაგებული ქვის ფილები სამშენებლო მტვრით იყო დასვრილი. საკნებში იყო თითო ფანჯარა, ზომით 70X70 სმ, რომელშიც ჩამონტაჟებული იყო გისოსების სამი რიგი. ამასთან, იმის გამო, რომ ფანჯრების წინ, ეზოში ამოშენებული იყო კედელი, საკანში არ იყო უზრუნველყოფილი საკმარისი ბუნებრივი განათება. ბრალდებულები აცხადებდნენ, რომ ფანჯრები მუდმივად გამოღებული ჰქონდათ, ვინაიდან დახურვის შემთხვევაში უჭირდათ ფანჯრის გაღება მასზე სახელურის არარსებობის გამო . მისი დახურვისგან თავს იმიტომაც იკავებდნენ, რომ საკანში არ იყო საკმარისი ვენტილაცია. აღნიშნულის გამო, ნესტიანი კედლების პირობებში, ჩართული გათბობის სისტემის მიუხედავად, საკნებში იყო დაბალი ტემპერატურა. საკნის საპირფარეშოს კარი შესასვლელს მხოლოდ ნახევრად ფარავდა და საკნისგან სრულად იზოლირებული არ იყო. საპირფარეშოში ასევე არ იყო დამონტაჟებული ჩამრეცხი ავზი. საკანში დამონტაჟებული იყო სავენტილაციო მილები, თუმცა ვენტილაცია ჩართული არ იყო და ბრალდებულთა განმარტებით, არც არასდროს ყოფილა ჩართული.

ბრალდებულებმა საუბრის დროს განაცხადეს, რომ ზემოაღნიშნული პირობების გამო, აწუხებდათ უჰაერობა, N6 დაწესებულებაში მოთავსების დღიდან (2013 წლის 28 ნოემბრიდან) არ ყოფილან უზრუნველყოფილნი გასეირნების უფლებით და საკნებში იმყოფებოდნენ მარტოები, სხვა პირებისგან იზოლირებულად. ყოველივე ეს უარყოფითად მოქმედებდა მათ ფსიქიკურ მდგომარეობაზე, რაც გამოიხატებოდა უძილობაში, შფოთვაში და ადვილად გაღიზიანებაში. ზოგიერთ მათგანს მიყენებული ჰქონდა თვითდაზიანება, რის მიზეზადაც არასათანადო პირობებში მოთავსებას ასახელებდნენ.

სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაცია მითითებული ბრალდებულების იზოლირების მიზეზად უსაფრთხოების მიზნებს ასახელებდა. რადგან მათი პატიმრობის პირობები არ შეესაბამებოდა დადგენილ სტანდარტებს, საქართველოს სახალხო დამცველმა 2014 წლის 28 იანვარს, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, მათი დადგენილი სტანდარტების შესაბამის საცხოვრებელ პირობებში მოთავსების N03-2/3953 რეკომენდაციით მიმართა..

სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა ასევე არასათანადო მოპყრობად შეაფასა 2014 წლის 23-24 ოქტომბერს სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში განხორციელებული

მონიტორინგის დროს, დაწესებულების სამარტოო საკნებში მოთავსებულ პატიმართა მდგომარეობა. შემოწმების დროს სამარტოო საკნებში შეუძლებელი იყო სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვა, იდგა აუტანელი სუნი, პატიმრებს არ ჰქონდათ ლეიბი და თეთრეული[26], უწევდათ ნარზე წოლა[27], სიცივისაგან დასაცავად ერთ-ერთ პატიმარს ტანზე, ტანსაცმლის ქვეშ ტუალეტის ქაღალდი ჰქონდა შემოხვეული. სამარტოო საკანში მოთავსებული პატიმრები არც სუფთა ჰაერზე გაჰყავდათ.[28]

განსაკუთრებით მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებია სასჯელაღსრულების N7 დაწესებულებაში, რაზეც სახალხო დამცველმა არაერთი რეკომენდაციით მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრს. აღნიშნულ პრობლემებზე დეტალურადაა საუბარი სახალხო დამცველის 2013 წლის საპარლამენტო ანგარიშში, თუმცა დაწესებულებაში არსებული არსებითი სახის პრობლემები დღემდე არ მოგვარებულა.[29]

სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა სწავლება

პროფესიული სასწავლო პროგრამებისა და ტრეინინგების შემუშავება საჯარო მოხელეებისათვის არის უმნიშვნელოვანესი სტრატეგია წამებისა და არაადამიანური მოპყრობის პრევენციისათვის.[30]

---

[26] სამარტოო საკანში მოთავსებული პატიმრების ლეიბითა და თეთრეულით უზრუნველყოფის საკითხთან დაკავშირებით მონიტორინგის ჯგუფის წევრები გაესაუბრნენ დაწესებულების იურისტს, რომელმაც განმარტა, რომ სამარტოო საკანში მოთავსებული პატიმრების ლეიბითა და თეთრეულით უზრუნველყოფა კანონმდებლობით მკაფიოდ არ იყო განსაზღვრული.

[27] აღსანიშნავია, რომ ვიზიტის მიმდინარეობისას სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში გეგმიურ მონიტორინგს ატარებდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მონიტორინგის სამმართველო, რომელსაც პრევენციის ეროვნული მექანიზმის მონიტორინგის ჯგუფმა მიაწოდა ინფორმაცია სამარტოო საკნებში ადამიანის ღირსებასთან შეუსაბამო პირობების შესახებ და მოსთხოვა დაუყოვნებლივი რეაგირება. მონიტორინგის სამმართველოს წარმომადგენლებს ასევე მიეწოდათ ინფორმაცია დაწესებულებაში ჯგუფის მიერ გამოვლენილი სხვა პრობლემების შესახებ.

[28] პატიმრობის პირობები არ უნდა იყოს ადამიანის ღირსებასთან შეუსაბამო. ადამიანის ჯანმრთელობა და კეთილდღეობა ადეკვატურად უნდა იყოს უზრუნველყოფილი (*Valašinas v. Lithuania*, no.44558/98, § 102, ECHR 2001-VIII).

[29] უფრო დეტალურად იხილეთ წინამდებარე ანგარიშის თავი: ფიზიკური გარემო, სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში.

[30] Human Rights Committee general comment No. 20: „Enforcement personnel, medical personnel, police officers and any person involved in the custody or treatment of any individual subjected to any form of arrest, detention or imprisonment must receive appropriate instruction and training. States Parties should inform the Committee of the instruction and training given and the way in which the prohibition of article 7 forms an integral part of the operational rules and ethical standards to be followed by such persons“ (para. 10).

შესაბამისად, აუცილებელია მათთვის სხვადასხვა ინტერვალებით, შესაბამისი ტრეინინგებისა და კურსების ორგანიზება. განსაკუთრებით აღსანიშნავია, ტრეინინგების ჩატარება ციხეების ინციდენტების ეფექტიან პრევენციაზე და შესაბამისი ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომებზე.

გაეროს კონვენციის წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ კონვენციის მიხედვით, „ყოველი მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს, რომ სასწავლო მასალები და ინფორმაცია, რომლებიც ეხება წამების აკრძალვას, სრულად იქნეს შეტანილი სამართალდამცავი ორგანოების პერსონალის, სამოქალაქო ან სამხედრო, სამედიცინო პერსონალის, სახელმწიფო თანამდებობის პირთა და სხვა პირთა მომზადების პროგრამებში.'' ეს გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას, შეიმუშავოს ისეთი პროგრამა, რომელსაც ექნება ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიზნობრივი მეთოდოლოგია .

აგრეთვე მნიშვნელოვანია ტრეინინგების გზით მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. ამ თვალსაზრისით არსებული საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ ბევრ ციხეში სასწავლო პროგრამები არ შეესაბამება ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომასა და პროცედურებს და აკლია პრაქტიკული გამოყენება. სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლები დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად მუშაობას ამჯობინებენ.[31] იმისათვის, რომ შენარჩუნდეს ტრენინგების მდგრადობა და მისი პრაქტიკულობა, აუცილებელია ისეთი მექანიზმის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ტრეინინგების შეფასებას. ტრეინინგის ეფექტიანობა შეიძლება შეფასდეს სხვადასხვაგვარად და წარმოადგენს მნიშვნელოვან მაჩვენებელს იმისა, გაუმჯობესდა თუ არა ფაქტობრივი შესრულება.

ტრეინინგის შეფასება შეიძლება შეიცავდეს შემდეგ კომპონენტებს: მონაწილეთა კმაყოფილება და ჩართულობა, სწავლის პრაქტიკაში გამოყენების სურვილი, ცოდნის შემოწმება ტესტირების შედეგად, მათ შორის სიმულაციური მაგალითებისა და ოპერაციული სცენარის გამოყენება. [32]

სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება კვლავაც წარმოადგენს საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას. ამ თვალსაზრისით სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

[31] United Nations Prison Incident Management Handbook, 2013, p. 23.
[32] Andrew Coyle, „A human Rights Approach to prison management" International Centre for Prison Studies, (2009).

სსიპ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასაწავლო ცენტრისთვის დამტკიცდა UNDP-ის პროგრამა, რომელიც სასწავლო ცენტრის შესაძლებლობების გაზრდას ითვალისწინებს.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა ევროპის საბჭოს დახმარებით შეიმუშავა 6-თვიანი ტრენინგ პროგრამა რეჟიმის ახალი თანამშრომლებისათვის. მიღწეული პოზიტიური შედეგების საფუძველზე, გადაწყდა აღნიშნული პროგრამის 2015 წელს გაგრძელება. ზემოაღნიშნულ სასწავლო მოდულზე დაყრდნობით, შემუშავდა მოქმედ თანამშრომელთა გადამზადების ერთიანი პროგრამა, რომლის იმპლემენტაციაც 2015 წლიდან დაიწყება. გრძელდება ტრეინინგები სასჯელაღსრულების დაწესებულების ხელმძღვანელ პირთათვის (მენეჯერთათვის), რომლის პრიორიტეტებს ადამიანის უფლებათა დაცვა და წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენცია წარმოადგენს.

მნიშვნელოვანია, რომ ტრეინინგები მიმართული იყოს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ადამიანის უფლებების დაცვისა და წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციის მექანიზმებთან დაკავშირებით. აგრეთვე, ტრენინგების პროგრამის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იყოს ტრეინინგების სათანადო სიხშირე და თემატიკის აქტუალურობა, ასევე განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა მულტიდისციპლინური პრინციპით გუნდურ მუშაობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

სათვალთვალო კამერების მნიშვნელობა

სასჯელაღსრულების დაწესებულება უნდა მოიცავდეს უსაფრთხოების რამდენიმე კომპონენტს, მათ შორის მნიშვნელოვანია ფიზიკური უსაფრთხოების ელემენტი. ეს გულისხმობს, შენობის ფიზიკურ მდგრადობას და ისეთ დამატებითი უსაფრთხოების სისტემებსაც, როგორიცაა ვიდეო-კონტროლი.[33] მნიშვნელოვანია, რომ მსჯავრდებულთა ვიდეო კონტროლი განხორციელდეს ისე, რომ დაცული იყოს ვიდეო კონტროლს დაქვემდებარებული პირების უფლებები და მათი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევასთან დაკავშირებული რისკები და საფრთხეები. შესაბამისად, აღნიშნული კონტროლი უნდა განხორციელდეს მხოლოდ კანონით კონკრეტულად განსაზღვრულ საერთო სარგებლობის ადგილებში.

ვიდეო-კონტროლის არსებობა საერთო სარგებლობის ადგილებში, გულისხმობს ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობას არა-პრივატულ საჯარო სივრცეებში. კერძოდ კი, საპატიმროს მისაღებში, დერეფნებში, სასეირნო ეზოებში და ა.შ. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ელექტრონული მეთვალყურეობა და კონტროლი არ

[33] Andrew Coyle, „A human Rights Approach to prison management“ International Centre for Prison Studies (2009).

შეიძლება განხორციელდეს დაწესებულებაში არსებულ საერთო სარგებლობის საშხაპეებში, საპირფარეშოებში და ხანგრძლივი პაემნებისთვის განკუთვნილ ოთახებში, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი (CPT) სხვადასხვა ქვეყნებში განხორციელებული ვიზიტების შედეგების შესახებ ანგარიშებში ცალსახად აღნიშნავს, რომ ციხეებში მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების პროცესში პატიმრების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება დაცული უნდა იყოს საპირფარეშოებითა და საშხაპეებით სარგებლობის დროს[34].

ვიდეო-კონტროლით მეთვალყურეობა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ელემენტს ციხის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და აძლიერებს საერთო სარგებლობის ადგილებზე საჯარო კონტროლსა და მონიტორინგსაც. ვიდეო კონტროლის უფლება საერთო სარგებლობის ადგილებში დარეგულირებულია საქართველოს კანონმდებლობით. პატიმრობის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, ადმინისტრაციას აქვს უფლება გამოიყენოს აუდიო, ვიზუალური და ელექტრონული კონტროლის ტექნიკური საშუალებები.[35] აღნიშნულის მიზანია, დაწესებულებიდან გაქცევის, სხვა დანაშაულისა და სამართალდარღვევათა თავიდან აცილება, აგრეთვე ყოფაქცევის შესახებ ინფორმაციის მიღება.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ სხვადასხვა სასჯელაღსრულების დაწესებულების მონიტორინგისას გამოიკვეთა ის პრობლემები, რომელიც თან ახლავს სათანადო ვიდეო კონტროლის არარსებობას საერთო სარგებლობის ადგილებში. კერძოდ, კი აღნიშნულის საჭიროება კიდევ ერთხელ დადასტურდა 2014 წლის 12 ნოემბერს N8 დაწესებულების ვიზიტისას, როდესაც სახალხო დამცველის რწმუნებულებმა გონივრული მიღებისა და განთავსების განყოფილებაში არსებულ საშხაპეში ხელფეხშეკრული პატიმრები იპოვეს, რომელთაც სხეულზე ძალადობის კვალი აღენიშნებოდათ. უდავოა, რომ გონივრული მიღებისა და განთავსების განყოფილება იმ მომენტისათვის სათვალთვალო კამერებით რომ ყოფილიყო აღჭურვილი, შესაძლებელი გახდებოდა გამოძიებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მტკიცებულების, ვიდეო-ჩანაწერის, მოპოვება, რითაც, სულ მცირე, დადგინდებოდა რა გარემოებებში და ვინ მიიყვანა პატიმრები გონივრული მიღებისა და

[34] Report to the Hungarian Government on the visit to Hungary carried out by the European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT) from 24 March to 2 April 2009, available at: http://www.cpt.coe.int/documents/hun/2010-16-inf-eng.pdf [last visit on 23.03.2015].

[35] საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-54 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ,,ადმინისტრაციას უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოიყენოს აუდიო-ვიზუალური, ელექტრონული ან კონტროლის სხვა ტექნიკური საშუალებები".

განთავსების განყოფილების საშხაპეში.[36] CPT-იმ თავის ერთ-ერთ ანგარიშში თურქეთთან მიმართებაში აღნიშნა, რომ საერთო დერეფნებში ვიდეო-კონტროლის არარსებობამ შეუძლებელი გახადა სხვადასხვა კოლექტიური ცემისა და ძალადობის ფაქტების დაფიქსირება, რითაც ხელი შეუშალა არასათანადო მოპყრობის პრევენციას.[37]

დამატებით აღსანიშნავია, რომ გონივრული მიღებისა და განთავსების განყოფილებაში თავსდებიან დაწესებულებაში ახლად შემოყვანილი პატიმრები, ხოლო დაწესებულების ძირითად საცხოვრებელ საკნებში უკვე განთავსებული პატიმრების გონივრული მიღებისა და განთავსების განყოფილებაში გადაყვანის შესაძლებლობას კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. ვინაიდან ერთხელ უკვე მოხდა, არსებობს რისკი, რომ ამ განყოფილებაში პატიმრებს მომავალშიც გადმოიყვანენ ძირითადი საცხოვრებელი საკნებიდან. ამასთან, ეს განყოფილება ფიზიკურად მდებარეობს შენობის იმ ნაწილში, სადაც ხდებოდა ე.წ. „კარანტინის დაშლა“ და ამდენად, ამ დანაშაულებრივი პრაქტიკის პრევენციის მიზნით აუცილებელია ამ ნაწილზე მუდმივი, სრულყოფილი ვიდეომეთვალყურეობის განხორციელება და ჩანაწერების გონივრული ვადით შენახვა-შემოწმება. მიუხედავად იმისა, რომ არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი სტანდარტი ჩანაწერების შენახვის ვადასთან დაკავშირებით, ჩვენს მიერ შესწავლილი პრაქტიკა მოწმობს, რომ ჩანაწერები უნდა ინახებოდეს გონივრული ვადით (სულ მცირე, 10 დღით).

დამატებით აღსანიშნავია, რომ N14 დაწესებულებაში ვიზიტისას გამოვლინდა, რომ დაწესებულების ტერიტორიაზე არ არის დამონტაჟებული სათვალთვალო კამერები.[38] მნიშნელოვანია აღინიშნოს, რომ აღნიშნული ხელს შეუშლის საერთო სარგებლობის ადგილებში მომხდარი სხვადასხვა ინციდენტების დაფიქსირებას, მის გამოძიებასა და დროულ პრევენციას.

რეკომენდაციები

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

---

[36] საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის ანგარიში სასჯელაღსრულების N8 დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ, გვ. 8, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: http://www.ombudsman.ge/uploads/other/2/2196.pdf [ბოლოს ნანახია 23.03.2015].

[37] Report to the Turkish Government on the visit to Turkey carried out by the European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT) from 21 to 28 June 2012 available at: http://www.cpt.coe.int/documents/tur/2013-27-inf-eng.htm [ბოლოს ნანახია 23.03.2015].

[38] საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის ანგარიში სასჯელაღსრულების N14 დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ, გვ. 3, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: http://www.ombudsman.ge/uploads/other/2/2196.pdf [ბოლოს ნანახია 23.03.2015].

- „სტამბოლის პროტოკოლის“ შესაბამისად შემუშავდეს და დაინერგოს დაზიანებების აღრიცხვის ახალი ფორმა, რომელშიც შესაძლებელი გახდება სხეულის დაზიანების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციის შეტანა
- სასჯელაღსრულების დაწესებულებათა სამედიცინო პერსონალს ჩაუტარდეს არასათანადო მოპყრობის დოკუმენტირების შესახებ ინტენსიური სწავლება;
- მიიღოს ყველა გონივრული ზომა, მათ შორის, შესაბამისი სწავლებისა და ინსტრუქციების მიცემის გზით, რათა სამედიცინო პერსონალის და პატიმრების გასაუბრება მოხდეს სრული კონფიდენციალობის დაცვით
- ექიმის მიერ არასათანადო მოპყრობის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში აუცილებლად ეცნობოს საგამოძიებო ორგანოს
- კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის გამოცემის ან არსებულში ცვლილების შეტანის გზით დაწესდეს ვალდებულება, რომ არასათანადო მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლი დაუყოვნებლივ გადაყვანილ იქნას იმ დაწესებულებიდან, რომელშიც იგი სავარაუდოდ დაექვემდებარა არასათანადო მოპყრობას
- მიიღოს ყველა გონივრული ზომა, მათ შორის, შესაბამისი სწავლებისა და ინსტრუქციების მიცემის გზით, რათა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფი ყველა პატიმარი უზრუნველყონ სტანდარტების შესაბამისი პატიმრობის პირობებით
- პატიმრობის კოდექსის 54-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, უზრუნველყოს სასჯელაღსრულების დაწესებულებების ვიდეომეთვალყურეობის სისტემით აღჭურვა
- შესაბამისი ბრძანებით განსაზღვროს ვიდეომეთვალყურეობის სისტემის მიერ განხორციელებული ჩანაწერების შენახვის გონივრული ვადა და უზრუნველყოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრების დაუბრკოლებელი დაშვება ასეთ ჩანაწერებზე

საქართველოს პარლამენტს:

- საქართველოს კანონში „იურიდიული დახმარების შესახებ“ შევიდეს ცვლილება იმ მიზნით, რომ არასათანადო მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლი ყველა შემთხვევაში უზრუნველყოფილი იყოს სახელმწიფოს ხარჯზე სათანადო სამართლებრივი დახმარებით
- საქართველოს კანონმდებლობაში შევიდეს ცვლილება იმ მიზნით, რომ არასათანადო მოპყრობაში მხილებული მოხელის თანამდებობიდან ჩამოშორება შესაძლებელი იყოს მიუხედავად იმისა, სცნეს თუ არა იგი ბრალდებულად
- საქართველოს კანონმდებლობაში შევიდეს ცვლილება იმ მიზნით, რომ სავალდებულო გახდეს არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა გადაყვანა იმ დაწესებულებიდან, რომელშიც სავარაუდოდ მათზე განხორციელდა არასათანადო მოპყრობა და გატარდეს ყველა აუცილებელი ღონისძიება მათი უსაფრთხოების დასაცავად

წესრიგი და უსაფრთხოება პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში

ზოგადი მიმოხილვა

ევროპული ციხის წესების შესაბამისად, ,,ციხეში წესრიგის შენარჩუნება უნდა მოხდეს უსაფრთხოების, უშიშროებისა და დისციპლინის მოთხოვნების გათვალისწინებით, ამავე დროს უზრუნველყოფილი უნდა იყოს ადამიანის ღირსებისა და პატივის შესაბამისი საცხოვრებელი პირობები და შეთავაზებულ იქნეს სხვადასხვა ღონისძიებით დატვირთული პროგრამა''.[39] აღნიშნული განაწესი მოითხოვს, ისეთი წესრიგისა და უსაფრთხოების სისტემის დანერგვას, რომელიც შეინარჩუნებს ბალანსს უსაფრთხოებასა და იმ პროგრამებს შორის, რომლებიც შექმნილია პატიმრების საზოგადოებაში რეინტეგრაციისათვის. ეს გულისხმობს ციხეების ეფექტური მართვისათვის აუცილებელი სხვადასხვა კომპონენტის გათვალისწინებას.

უსაფრთხოება მოიცავს პატიმართა შორის ძალადობის, ხანძრის და სხვა საგანგებო სიტუაციების პრევენციას, პატიმართა და დაწესებულებაში მომუშავე პერსონალისათვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფას, ასევე სუიციდისა და თვითდაზიანების პრევენციას. ზემოთქმული მიზნებისათვის, შესაძლებელია უსაფრთხოების კომპონენტების შემდეგი კლასიფიკაცია. ფიზიკური უსაფრთხოება, გულისხმობს შენობა-ნაგებობის ფიზიკური უსაფრთხოების საკითხებს. მათ შორის შენობის კედელს, ფანჯარას, კარს და ა.შ. პროცედურული უსაფრთხოება ეხება იმ მეთოდებსა და პროცედურებს, რომელიც არის ჩამოყალიბებული ციხის უსაფრთხოებისათვის. საუბარია გაქცევის თავიდან აცილებისა და წესრიგის დამყარებისათვის აუცილებელ არსებულ წესებზე.[40] უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთ ყველაზე კარგ საშუალებას ე.წ. დინამიკური უსაფრთხოების კონცეფცია წარმოადგენს.

დინამიკური უსაფრთხოების კონცეფცია ითვალისწინებს დაწესებულების პერსონალსა და პატიმართა შორის პოზიტიური ურთიერთობის უზრუნველყოფას სამართლიანი მოპყრობის პირობებში, ასევე რესოციალიზაციისა და საზოგადოებაში სამომავლო ინტეგრაციისკენ მიმართული აქტივობების არსებობას. ციხეში ინციდენტების მართვის გაეროს სახელმძღვანელოს თანახმად, სასჯელაღსრულების დაწესებულების პერსონალს

---

[39] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, „ევროპული ციხის წესები," წესი N49, მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec (2006)2, მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2006 წლის 11 იანვარს.

[40] ენდრიუ კოილე, „ციხეების შესწავლის საერთაშორისო ცენტრი" „ციხის მართვა ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომით" 2009, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: http://www.prisonstudies.org/ [ბოლოს ნანახია 15.02.2015].

გააზრებული უნდა ჰქონდეს, რომ პატიმრებთან ჰუმანური და სამართლიანი მოპყრობა ხელს უწყობს დაწესებულებაში მართლწესრიგისა და უსაფრთხოების შენარჩუნებას.[41]

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად აუცილებელი პირობაა სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლებსა და პატიმრებს შორის პოზიტიური ურთიერთობა. იმისათვის, რომ ასეთი პოზიტიური ურთიერთობა არსებობდეს, მნიშვნელოვანია პატიმრებს გააზრებული ჰქონდეთ, რომ დაწესებულებაში არსებული წესები და პროცედურები უსაფრთხო და ადამიანური გარემოს შესაქმნელად არის დაწესებული. პატიმრები უნდა გრძნობდნენ, რომ მათ მოეპყრობიან სამართლიანად და დაიცავენ მათ უფლებებს.

მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების თანამშრომლებსა და პატიმრებს შორის პოზიტიური ურთიერთობის პირობებში დაწესებულებაში წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენს ამოსავალ წერტილს, ზოგიერთ შემთხვევაში, პრაქტიკაში აუცილებელია ძალისა და იძულების სხვა ღონისძიებების გამოყენება. პატიმართა კონტროლი ასევე მოიცავს სტატიკური უსაფრთხოების ელემენტებს, როგორიცაა უსაფრთხოების სათანადო ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა, ასევე ინციდენტების მართვა და საჭიროების შემთხვევაში ძალის გამოყენება.[42]

აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გაეროს სამართალდამცავ ორგანოთა ქცევის კოდექსის მიხედვით, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს ძალის გამოყენება შეუძლიათ მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში და იმ ზომით, რაც აუცილებელია მათი მოვალეობის შესასრულებლად.[43] ეს გულისხმობს იმას, რომ დამატებითი უსაფრთოხების ზომას უნდა მიმართონ უკიდურეს შემთხვევაში. ძალისა თუ იძულების სხვა ღონისძიების გამოყენება უნდა განხორციელდეს მხოლოდ ადეკვატური პროცედურებისა და პრაქტიკაში არსებული საუკეთესო მაგალითის გამოყენებით.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განხორციელებული ვიზიტის დროს დადგინდა, რომ დაწესებულების თანამშრომლებსა და პატიმრებს შორის ზოგადად კონფლიქტური, დაძაბული და არაკეთილგანწყობილი ურთიერთობაა ამ კონფლიქტურ და დაძაბულ ურთიერთობას ქმნის რამდენიმე ფაქტორი, მათ შორის, პატიმრებს შორის უსამართლობის განცდა, მოთხოვნებზე და საჩივრებზე არასათანადო რეაგირება, დაწესებულებებში არსებული არადამაკმაყოფილებელი

[41] United Nations Prison Incident Management Handbook, 2013, p. 21-22, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.un.org/en/peacekeeping/publications/cljas/handbook_pim.pdf [ბოლოს ნანახია 22.03.2015].

[42] Ibid. p. 13.

[43] UN General Assembly, Code of conduct for law enforcement officials, 5 February 1980, A/RES/34/169, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.refworld.org/docid/48abd572e.html [ბოლოს ნანახია 09.03.2015].

პატიმრობის პირობები, ზოგიერთ შემთხვევაში სტანდარტების შეუსაბამო ფიზიკური გარემო, უმეტეს შემთხვევაში კი რესოციალიზაციის და რეაბილიტაციის აქტივობების ნაკლებობა, დაწესებულების თანამშრომელთა ცოდნისა და კვალიფიკაციის დაბალი დონე, ფსიქიკური ჯანმრთელობის, წამალდამოკიდებულებისა და ფსიქოტროპული მედიკამენტების ჭარბი მოხმარების შემთხვევების არაადეკვატური მართვა, სამედიცინო მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული პრობლემები, სასჯელაღსრულების სისტემაში ხელმისაწვდომი სერვისებისა და ამ სერვისების მიღების პროცედურის შესახებ პატიმართა ინფორმირებულობის დაბალი დონე და ა.შ.

სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ხშირია პატიმართა შიმშილობის შემთხვევები. როგორც ამ შემთხვევების ანალიზმა ცხადყო, პატიმართა შიმშილობა, როგორც პროტესტის უკიდურესი ფორმა, ზოგიერთ შემთხვევაში, დაკავშირებულია სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა მოქმედებასთან ან უმოქმედობასთან. ასევე პროტესტის უკიდურეს ფორმას წარმოადგენს პატიმართა თვითდაზიანება, რაც ასევე, ზოგ შემთხვევაში, უკავშირდება სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა ქმედებებს ან უმოქმედობას.

მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ასევე სასჯელაღსრულების დაწესებულებების პატიმართა შორის ძალადობის მაღალი რისკფაქტორების არსებობა. აღნიშნულ რისკებს კიდევ უფრო აძლიერებს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ციხის კრიმინალური სუბკულტურის გავლენის არსებობა ათწლეულების განმავლობაში, რის თანდათანობით აღმოსაფხვრელადაც აუცილებელია კომპლექსური მიდგომის ჩამოყალიბება, მათ შორის, ქვემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების გატარება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ადამიანის უფლებების, წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფა მოითხოვს კომპლექსურ და სისტემურ მიდგომას. ამ პროცესში მნიშვნელოვანია შემდეგი ორგანიზაციული ასპექტების[44] გათვალისწინება:

- სათანადო ნორმატიული ბაზა (რეგულაციები);
- ანგარიშვალდებულება (ანგარიშგების მექანიზმი);
- თანამშრომელთა ოპერაციული შესაძლებლობები და კომპეტენცია (თანამშრომელთა და პატიმართა რაოდენობის თანაფარდობა, ორგანიზაციული სტრუქტურა, თანამშრომელთა უნარ-ჩვევები და გამოცდილების დონე, თანამშრომელთა ეთიკის კოდექსი, დაწესებულების შინაგანაწესი და დისციპლინური სამართალწარმოების პროცედურა);
- დინამიკური უსაფრთხოების ელემენტები (თანამშრომელთა ურთიერთობა პატიმრებთან, დაკვირვება, ინფორმაციის შეგროვება და თითოეული პატიმრის პიროვნული თვისებების ცოდნა, კონფლიქტების მართვა, მედიაცია და ა.შ.)
- ინციდენტების და საგანგებო სიტუაციების მართვის წინასწარი გეგმა.

[44] Ibid. p. 15.

აღნიშნული ორგანიზაციული ასპექტები უფრო დეტალურად მიმოხილული იქნება ქვემოთ, შესაბამის ქვეთავებში.

ანგარიშვალდებულება

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ადამიანის უფლებების, წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა. საერთაშორისო სტანდარტები და ნორმები უთითებენ ანგარიშვალდებულობის მექანიზმის აუცილებლობაზე, როგორც ზოგად წესზე.[45] შესაბამისად, მთავრობებს ეძლევათ დისკრეცია თვითონ შეიმუშაონ ანგარიშვალდებულების კონკრეტული სტანდარტები. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული სტანდარტები გამოიყენონ დაწესებულებების ეფექტური მართვისათვის და იგი შესაბამისობაში იყოს გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალურ სტანდარტულ წესებთან.

აღნიშნულის უზრუნველსაყოფად უნდა შეიქმნას იმგვარი სამართლებრივი რეგულირება, რომელიც შესაძლებელს გახდის შიდა და გარე მონიტორინგის საფუძველზე ორგანოების მიერ წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორებისა და სხვა მაჩვენებლებზე დაყრდნობით როგორც სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის, ასევე თითოეული თანამშრომლის მიერ ფუნქციების შესრულებისა და დაწესებულებაში წესრიგის შენარჩუნების შესაძლებლობის შეფასებას. ამგვარი ჩარჩოს შექმნა გაზრდის დაწესებულების გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებას და სანდოობას.[46]

მართალია, სასჯელაღსრულების დაწესებულებები სასჯელაღსრულების დეპარტამენტს და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პერიოდულად უგზავნიან ანგარიშებს სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, შემუშავებული არ არის სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ ფუნქციების შესრულების შეფასების სისტემა, რომელიც თავის თავში მოიცავს წინასწარ განსაზღვრულ ინდიკატორებს.

რაც შეეხება სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომელთა ინდივიდუალური ანგარიშვალდებულების საკითხს, უშუალო ზედამხედველთან ანგარიშვალდებულების გარდა, თანამშრომლის მიერ ჩადენილ შესაძლო გადაცდომას შეისწავლის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექცია.

---

[45] ციხის ლიდერთა სახელმძღვანელო, „ძირითადი სასწავლო პროგრამა და ინსტრუმენტები ციხეების მმართველთათვის დაფუძნებული საერთაშორისო სტანდარტებზე და ნორმებზე“. გაეროს დანაშაულისა და ნარკოტიკების წინააღმდეგ ოფისი, ნიუ იორკი, 2010 წელი, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.unodc.org/ [ბოლოს ნანახია 22.03.2015].

[46] United Nations Prison Incident Management Handbook, 2013, p. 17.

სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა მიერ ფუნქციების ჯეროვნად შესრულებისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად აუცილებელია მკაფიო სამუშაო აღწერილობების, სტანდარტული საოპერაციო პროცედურის, ეთიკის კოდექსისა და ინციდენტების მართვის გაიდლაინების შემუშავება. სამწუხაროდ, ამგვარი სახელმძღვანელო დოკუმენტების ერთობლიობის არარსებობისა და თანამშრომელთა დაბალი კვალიფიკაციის პირობებში, სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლებს უჭირთ სწორი გადაწყვეტილების დროულად მიღება. ასეთ ვითარებაში იზრდება ძალის გადამეტებისა და არასათანადო მოპყრობის რისკები.

უმნიშვნელოვანესია მკაფიოდ ჩამოყალიბებული ეთიკის კოდექსის შექმნა, რომელიც, სხვა მრავალ პროფესიულ საკითხთან ერთად, მოიცავს თანამშრომლის იმგვარი ქცევის წესებს, რომლებიც დადებითად აისახება დაწესებულებაში არსებულ გარემოზე; კანონმდებლობის და სხვა ნორმატიული აქტების, არსებული სახელმძღვანელოების და ზემდგომი პირების კანონიერი ბრძანების შესაბამისად თანამშრომლის მიერ მოვალეობათა კომპეტენტურად და გულმოდგინედ შესრულებას; კოლეგიალურ დამოკიდებულებას სხვა თანამშრომლებთან; პატიმართა ღირსების პატივისცემას; კონფიდენციალურობის დაცვას და საზოგადოებასთან მაღალი პროფესიული სტანდარტით ურთიერთობას.

თანამშრომელთა სწავლება

გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალურ სტანდარტულ წესებიდან გამომდინარე სასჯელაღსრულების პერსონალს უნდა ჰქონდეს ადეკვატური განათლება და ინტელექტი[47]. გარდა ამისა, მნიშვნელოვან მოთხოვნას წარმოადგენს პერსონალის მიერ ცოდნის შემდგომი გაღრმავება. შესაბამისად, აუცილებელია მათთვის, სხვადასხვა ინტერვალით, შესაბამისი ტრენინგებისა და კურსების ორგანიზება. განსაკუთრებით აღსანიშნავია, ტრენინგების ჩატარება ადამიანის უფლებების მიდგომებზე და მასზე დაფუძნებულ ციხის მართვის მეთოდებზე.

სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება კვლავაც წარმოადგენს საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას. 2014 წლის განმავლობაში სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლებისთვის ჩატარდა სხვადასხვა ტრენინგი. ადამიანის უფლებების, წესრიგისა და უსაფრთხოების

[47] გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, 47-1, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.ohchr.org/EN/ [ბოლოს ნანახია 02.03.2015].

დაცვასთან მეტ-ნაკლებად დაკავშირებული ტრენინგების შესახებ ინფორმაცია[48] მოცემულია ქვემოთ, ცხრილში.

N	ტრენინგის თემატიკა	სამინისტროს თანამშრომლები	სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლები	სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლები
1.	ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება.	10	67	0
2.	საბადრაგო სამსახურის თანამშრომელთა მომზადება და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება.	1	38	0
3.	პირველდაწყებითი საბაზისო სწავლება პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების თანამშრომელთათვის (რეჟიმი).	0	0	120
4.	ჯგუფური მუშაობის მეთოდები (I ეტაპი)	0	0	16
5.	ბულინგი. ბულინგის პრევენცია (II ეტაპი)	0	0	19
6.	არტთერაპია (III ეტაპი)	0	0	18
7.	სასიცოცხლო უნარების გაუმჯობესება, პროფორიენტაცია და დასაქმებისათვის მომზადება (IV ეტაპი).	0	0	17
8.	ინდივიდუალური მუშაობის პროექციული და დიაგნოსტიკური მეთოდები (V ეტაპი).	0	0	0

[48] მონაცემები აღებულია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ოფიციალური ვებგვერდიდან http://pptc.ge/cms/site_images/pdf/angarisi/PPTC%20Report%202014%20GEO.pdf [ბოლოს ნანახია 21.03.2015].

9.	რისკებისა და საჭიროებების შეფასებისა და სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის მეთოდოლოგიისა და შესაბამისი ინსტრუმენტების პრაქტიკული გამოყენება სასჯელაღსრულების სისტემაში.	0	4	20
10.	საკანონმდებლო სიახლეები	0	126	319
11.	ტაქტიკური მომზადება TOT	0	0	12
12.	სასჯელაღსრულების დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების თანამშრომელთა მომზადების გრძელვადიანი სასწავლო კურსი.	0	0	25
13.	ტრენინგ-სემინარი „გონივრული მიღება-განთავსება“	1	0	23
14.	ფსიქიკური აშლილობა პატიმრებში: ადრეული გამოვლენა და პროფილაქტიკა; ჩარევის, ზრუნვის და მკურნალობის მეთოდები.	0	0	21
15.	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ (ბანგკოკის წესები).	0	0	40
16.	უსაფრთხოების სამსახურის	0	0	16

	თანამშრომელთა მომზადების სპეციალური სასწავლო პროგრამა.			
17.	ძალადობრივი ქცევისა და დამოკიდებულებების მოდიფიკაცია.	0	0	10

ცხრილში მოცემული მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ როგორც ტრენინგების მონაწილეთა რაოდენობა, ასევე ტრენინგების თემატიკა სრულყოფილად ვერ ასახავს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ადამიანის უფლებების, წესრიგის და უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით თანამშრომელთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების ამაღლების კუთხით არსებულ საჭიროებებს. ამავდროულად, მისასალმებელია პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების თანამშრომელთა მომზადების გრძელვადიანი (6 თვიანი) სასწავლო კურსის შემოღება, რომელიც 5 ეტაპისაგან შედგება და მოიცავს თეორიულ ნაწილს და სასწავლო პრაქტიკას.[49] ასევე ძალიან მნიშვნელოვანია საბაზისო სასწავლო პროგრამის შემდგომი გაძლიერება და სწავლების შედეგების მდგრადობის შენარჩუნება. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში სისტემის ახლად დანიშნული თანამშრომლებისათვის დანერგილია ტრენინგი საბაზისო სასწავლო პროგრამის მიხედვით. პირველდაწყებითი საბაზისო მომზადების კურსი მოიცავს თეორიულ, პრაქტიკულ, ტაქტიკურ და ფიზიკურ მომზადებას.[50]

მნიშვნელოვანია, ტრენინგების პროგრამის შედგენისას გათვალისწინებული იყოს ტრენინგების სათანადო სიხშირე და თემატიკის აქტუალურობა, ასევე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა მულტიდისციპლინური პრინციპით გუნდურ მუშაობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ტრენინგების გზით მიღებული ცოდნა პრაქტიკაში უნდა იყოს გამოყენებული. როგორც საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სასწავლო პროგრამების ფარგლებში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში დანერგვა პრობლემურია, ვინაიდან სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლები დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად მუშაობას ამჯობინებენ.[51] ტრენინგის შედეგების მდგრადობის შესანარჩუნებლად აუცილებელია ტრენინგის შედეგების შეფასებისა და პრაქტიკაში გამოყენების სუპერვიზიის ეფექტური მექანიზმის შემუშავება. ტრენინგის ეფექტურობა

[49] გრძელვადიანი სასწავლო კურსის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: http://pptc.ge/?action=page&p_id=127&lang=geo [ბოლოს ნანახია 14.02.2015].
[50] საბაზისო სასწავლო პროგრამის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: http://pptc.ge/?action=page&p_id=130&lang=geo [ბოლოს ნანახია 14.02.2015].
[51] United Nations Prison Incident Management Handbook, 2013, p. 23.

შესაძლებელია შეფასდეს სხვადასხვა გზით, მათ შორის, ტრენინგის მონაწილეთა კმაყოფილებისა და მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების სურვილის/მზაობის შეფასებით, ტესტების საშუალებით სიტუაციური ანალიზისა და გამოსავლის მოძებნის უნარის შემოწმებით, ხელმძღვანელი პირების მიერ ზედამხედველობით, თუ რამდენად გაძლიერდა ტრენინგის მონაწილის უნარ-ჩვევები, ასევე ტრენინგის მონაწილის მიერ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში ეფექტურად გამოყენების შესახებ ინფორმაციის უკუგებით.

მსჯავრდებულთა კლასიფიკაცია

აუცილებელია მსჯავრდებულთა კლასიფიკაცია განხორციელდეს ისე, რომ პროცესმა უზრუნველყოს თითოეული მსჯავრდებულის რისკებისა და საჭიროებების ზუსტი ანალიზი. ეს აუცილებელია იმისთვის, რათა თანამშრომლებს გაუადვილდეთ მსჯავრდებულთა ქცევის მართვა და კონტროლი. აგრეთვე მნიშვნელოვანია, რომ ეფექტური კლასიფიკაციის სისტემა პასუხობდეს შემდეგ მოთხოვნებს, როგორიცაა საიმედოობა, სიზუსტე და თანასწორუფლებიანობა.

2014 წლის 16 აპრილს პატიმრობის კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად განისაზღვრა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების შემდეგი ტიპები: დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება, ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება, დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება. სასჯელაღსრულების სისტემაში ფუნქციონირებს ასევე არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება და ქალთა სპეციალური დაწესებულება.[52]

პატიმრობის კოდექსის 46-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თავისუფლების აღკვეთის ტიპს, ამ კოდექსის შესაბამისი ნორმების გათვალისწინებით, განსაზღვრავს დეპარტამენტის თავმჯდომარე. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად კი სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით მსჯავრდებული, დეპარტამენტის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, შეიძლება გადაიყვანონ იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მის მიერ დაწესებულების დებულების სისტემატური დარღვევის გამო, ავადმყოფობის გამო, ან/და რისკის ფაქტორის გათვალისწინებით უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დაწესებულების რეორგანიზაციისას, ლიკვიდაციისას ან გადატვირთულობისას, ან იმ გარემოების არსებობისას, რომელიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 58-ე მუხლის პირველი ნაწილით, ან სხვა მნიშვნელოვანი, დასაბუთებული გარემოების არსებობისას ან/და მსჯავრდებულის თანხმობის შემთხვევაში. მსჯავრდებულის რისკების შეფასებას და პერიოდულ გადაფასებას უზრუნველყოფს მულტიდისციპლინური გუნდი. რისკის სახეები, რისკის შეფასების

[52] პატიმრობის კოდექსი, მუხ. 10.

კრიტერიუმები, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესი, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის წესი და პირობები, აგრეთვე მულტიდისციპლინური გუნდის შემადგენლობა და უფლებამოსილება განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

ზემოაღნიშნული ბრძანების პროექტი მომზადებულია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ. ბრძანების პროექტის თანახმად, უნდა შეიქმნას მონაცემთა პირველადი დამუშავების ჯგუფები[53] და მულტიდისციპლინური გუნდი. ბრძანების პროექტის შესაბამისად, მულტიდისციპლინურმა გუნდმა და მონაცემთა პირველადი დამუშავების ჯგუფებმა, ასევე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარემ, მსჯავრდებულთა რისკების შესაბამის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში გადანაწილება უნდა დაასრულონ არა უგვიანეს 2017 წლის პირველი იანვრისა.

ბრძანების პროექტში საშიშროების რისკი შემდეგნაირად არის განმარტებული. მსჯავრდებულის საშიშროების რისკი წარმოადგენს დაწესებულების, გარშემომყოფთა, საზოგადოების, სახელმწიფოს ან/და სამართალდამცველი ორგანოების უსაფრთხოებიდან მომდინარე სავარაუდო საშიშროებას, მისი პიროვნული თვისებების, დანაშაულის ჩადენის მოტივის, დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგის, დაწესებულებაში გამოვლენილი ქცევისა და კრიმინალურ სამყაროსთან დამოკიდებულების გათვალისწინებით. საშიშროების რისკის სახეებია დაბალი, საშუალო, სტანდარტული და მაღალი. საშიშროების დაბალი რისკის მქონე მსჯავრდებული განთავსდება დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში. საშიშროების მაღალი რისკის მქონე მსჯავრდებულები განთავსდებიან დახურული ტიპის დაწესებულებაში, სტანდარტული რისკის მქონე მსჯავრდებულები სასჯელს იხდიან ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში, ხოლო საშიშროების მაღალი რისკის მქონე მსჯავრდებულები - განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

ბრძანების პროექტის თანახმად, მონაცემთა დამუშავების ჯგუფებში შედიან: დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების 1 წარმომადგენელი, დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის 1 წარმომადგენელი, დაწესებულების სპეციალური აღრიცხვის განყოფილების 1 წარმომადგენელი, დაწესებულების სოციალური განყოფილების 1 წარმომადგენელი და დაწესებულების ფსიქოლოგი. ჯგუფის მიერ დამუშავებული ინფორმაცია (შევსებული კითხვარი) ეგზავნება დაწესებულების დირექტორს, რომელიც 5 დღის ვადაში მიმართავს მულტიდისციპლინურ გუნდს.

მულტიდისციპლინური გუნდი არის მსჯავრდებულთა საშიშროების რისკის სახის განმსაზღვრელი დეპარტამენტის თავმჯდომარის სათათბირო ორგანო, რომელშიც შედიან

[53] ერთი ჯგუფი არაუმეტეს 700 მსჯავრდებულზე.

დეპარტამენტის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელი თანამდებობის (უფროსი ან მოადგილე) პირები, რომლებსაც აქვთ სათანადო განათლება და პროფესიული გამოცდილება, აგრეთვე საქმიანი და მორალური თვისებები და შეუძლიათ შეასრულონ მულტიდისციპლინური გუნდის წევრის ფუნქციები. მულტიდისციპლინური გუნდი შედგება 5 წევრისაგან. მულტიდისციპლინური გუნდის შემადგენლობაში შედიან: დეპარტამენტის სოციალური უზრუნველყოფის სამმართველოს წარმომადგენელი, უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს ორი წარმომადგენელი (სამართლებრივი რეჟიმის სამმართველო და ოპერატიული სამმართველო), სპეციალური აღრიცხვის სამმართველოს წარმომადგენელი და დეპარტამენტის ფსიქოლოგი. მულტიდისციპლინური გუნდი მსჯავრდებულის საშიშროების რისკის სახის განსაზღვრის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას უგზავნის დეპარტამენტის თავმჯდომარეს და მიმართავს რეკომენდაციით მსჯავრდებულის შესაბამისი ტიპის დაწესებულებაში გადაყვანის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია მსჯავრდებულს აცნობოს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მისი საშიშროების რისკის შეფასების პროცესის დაწყების შესახებ. ამასთან, მსჯავრდებულს უფლება აქვს, წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, გაეცნოს მულტიდისციპლინური გუნდისათვის მის შესახებ გაგზავნილ დოკუმენტაციას, გარდა ამ ბრძანების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციისა და საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე წარუდგინოს დამატებითი დოკუმენტაცია, რომელიც, მისი აზრით, ხელს შეუწყობს მისთვის სასურველი გადაწყვეტილების მიღებას.

საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება აღნიშნულ ინიციატივას და ცალსახად წინგადადგმულ ნაბიჯად აფასებს მსჯავრდებულთა რისკების შეფასების და პერიოდული გადაფასების სისტემის შემოღებას. ამასთან, მისასალმებელია, საშიშროების რისკის სახის განსაზღვრის შესახებ მულტიდისციპლინური გუნდის ან/და მსჯავრდებულის გადაყვანის შესახებ დეპარტამენტის თავმჯდომარის გადაწყვეტილებების, გასაჩივრების უფლების ბრძანებით განმტკიცება.მსჯავრდებულის გადაყვანის გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებით უზრუნველყოფა, წლების განმავლობაში წარმოადგენს სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაციის საგანს.[54]

მიუხედავად აღნიშნული პროგრესისა, სახალხო დამცველის აზრით, ბრძანების პროექტის რიგი ნორმები ბუნდოვანი და სამართლებრივი ხარვეზის მატარებელია. ამ მხრივ განსაკუთრებით საგულისხმოა ბრძანების პროექტის დანართი 2, რომელიც მსჯავრდებულთა საშიშროების რისკის სახეების შეფასების კრიტერიუმებს განსაზღვრავს. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აღნიშნული კრიტერიუმები ბუნდოვანი და არასაკმარისია, რაც მათი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის და პრაქტიკაში არასწორად

[54] საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 63.

გამოყენების საფრთხეს ქმნის. კერძოდ, დანართი 2–ში ფორმულირებული კრიტერიუმები ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ მათ საფუძველზე რისკების შეფასებისას ყურადღება ცალსახად სასჯელის სიმძიმეზე გამახვილდება.

საგულისხმოა, რომ წარმოდგენილი ბრძანების პროექტი ითვალისწინებს ისეთ დებულებებს, რომლებიც საშიშროების რისკების შეფასების პროცედურის გაუმართლებელი გაჭიანურების შესაძლებლობას ქმნიან.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულს წინასწარ უნდა განემარტოს მისი უფლებები საშიშროების რისკის განსაზღვრისას. ამასთან, მსჯავრდებულს წინასწარ უნდა გაეცნოს მსჯავრდებულთა საშიშროების რისკის სახეების შეფასების კრიტერიუმები. აგრეთვე, აუცილებელია, აღნიშნული პროცედურების განხორციელების შესახებ შედგეს შესაბამისი აქტი, რომელსაც ხელს მოაწერს მსჯავრდებული. აღნიშნული, მსჯავრდებულის მიერ მისი უფლებების ეფექტურად გამოყენების გარანტიაა და აწესებს ადამიანის უფლებათა დაცვის უფრო მაღალ სტანდარტს.

ამასთან, სახალხო დამცველმა წინადადებაში ყურადღება გაამახვილა ისეთ არსებით საკითხებზე, როგორიცაა მონაცემთა პირველადი დამუშავების ჯგუფისა და მულტიდიციპლინური გუნდის შემადგენლობაში ექიმის მონაწილეობის აუცილებლობა. ასევე, მსჯავრდებულის განცხადების საფუძველზე ერთი სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან მეორე დაწესებულებაში გადაყვანის შესაძლებლობლობის უზრუნველყოფა.

აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველმა თავის წინადადებაში მოახდინა ბრძანების პროექტის სხვა პრობლემური საკითხების იდენტიფიცირებაც, რომლებიც შემდგომ დახვეწას საჭიროებს. წინადადება წარდგენილ იქნა მიმდინარე წლის 20 მარტს, შესაბამისად ამ ეტაპზე უცნობია სახალხო დამცველის შენიშვნების გათვალისწინების მდგომარეობა.

პატიმართა განთავსება

ევროპული ციხის წესების შესაბამისად, პატიმრების განთავსება უნდა მოხდეს შეძლებისდაგვარად ახლოს მათ სახლებთან ან სოციალური რეაბილიტაციის ადგილებთან.[55] აგრეთვე მნიშვნელოვანია, რომ ერთი დაწესებულებიდან მეორეში გადაყვანისას პატიმრებთან ჩატარდეს კონსულტაცია. გარდა ამისა, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის რეკომენდაციის თანახმად, პატიმრებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა შეინარჩუნონ კონტაქტი გარე სამყაროსთან, აღნიშნულის შეზღუდვა უნდა ეფუძნებოდეს

[55] ევროპული ციხის წესები. 17.1.

მხოლოდ უსაფრთოხების არსებით და აშკარა რისკებს.[56] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ კონვენცია არ ადგენს პატიმრის უფლებას, თვითონ აირჩიოს სასჯელაღსრულების დაწესებულება, მნიშვნელოვანია, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულების სიშორე არ უქმნიდეს ოჯახის წევრებს ვიზიტების განხორციელების დაბრკოლებას. შესაბამისად, ზოგიერთ შემთხვევაში ასეთი დაბრკოლების არსებობა შესაძლებელია ჩაითვალოს, როგორც ოჯახურ ცხოვრებაში ჩარევა.[57] საუბარია, ისეთ შემთხვევებზე, როდესაც საპატიმროს სიშორეს აგრეთვე ემატება გაუმართავი სატრანსპორტო სისტემა, ოჯახის წევრების ჯამრთელობის მდგომარეობა და დამღლელი მგზავრობა ბავშვებისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებიდან გადაყვანა უნდა მოხდეს პატიმართან კონსულტაციის შედეგად ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით.

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ საანგარიშო პერიოდი გამოირჩეოდა სასჯელაღსრულების ერთი დაწესებულებიდან მეორე დაწესებულებაში პატიმართა ხშირი გადაყვანის პრაქტიკით. ხშირ შემთხვევაში პატიმრები გადაჰყავდათ აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან დასავლეთ საქართველოში მდებარე სასჯელაღსრულების დაწესებულებებში და პირიქით. შედეგად, პატიმრებს უჩნდებათ ოჯახთან და ადვოკატთან კონტაქტის შენარჩუნების პრობლემა და განიცდიან ახალ გარემოსთან ადაპტაციით გამოწვეულ დამატებით სტრესს. ასევე, მაგალითად, სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში (ბათუმი) აღმოსავლეთ საქართველოდან გადმოყვანილი ბრალდებულები სასამართლომდე შორი მანძილის გამო უარს აცხადებენ სასამართლო სხდომაზე დასწრებაზე.

ხშირ შემთხვევაში, სასჯელაღსრულების ერთი დაწესებულებიდან მეორე დაწესებულებაში გადაყვანის საფუძვლები პატიმრისათვის უცნობია. ამასთან, სასჯელაღსრულების დეპარტამენტი არც სახალხო დამცველის აპარატს აწვდის ინფორმაციას პატიმრის გადაყვანის საფუძველთან დაკავშირებით. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის წერილში, როგორც წესი, შაბლონურად არის მითითებული, რომ პატიმრის ერთი დაწესებულებიდან მეორე დაწესებულებაში გადაყვანა განხორციელდა სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორის საიდუმლო წერილის საფუძველზე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ პატიმრის ერთი დაწესებულებიდან მეორე დაწესებულებაში გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს და ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს. დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების საფუძველზე ხშირი გადაყვანა ერთი დაწესებულებიდან მეორე დაწესებულებაში, კონკრეტული გარემოებების

[56] Standards of the European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT/Inf/E (2002) 1 - Rev. 2013).

[57] იხილეთ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებები (see Ospina Vargas v. Italy, Vintman v. Ukraine , Messina v. Italy).

გათვალისწინებით, შეიძლება გახდეს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის მიზეზი.[58]

სახალხო დამცველმა 2013 წლის საპარლამენტო ანგარიშში რეკომენდაცია გაუწია სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს პატიმრის სასჯელაღსრულების ერთი დაწესებულებიდან მეორე დაწესებულებაში გადაყვანისას მოხდეს პატიმრისათვის გადაყვანის საფუძვლისა და მიზეზების გაცნობა და შედგეს შესაბამისი აქტი; ასევე პატიმრებს განემარტოთ, რომ მათ აქვთ გადაყვანის შესახებ ბრძანების გასაჩივრების უფლება. აღნიშნული რეკომენდაცია გაიზიარა საქართველოს პარლამენტმა დადგენილებით „2013 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე“. სამწუხაროდ, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ ეს რეკომენდაცია შესრულებული არ არის. სადავო პრაქტიკა არ შეცვლილა.

სახალხო დამცველის 2013 წლის საპარლამენტო ანგარიშში ხაზგასმულია, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ბრალდებულები და მსჯავრდებულები ერთმანეთისგან იზოლირებული არ არიან.[59] იქვე მითითებულია, რომ არასრულწლოვანი პატიმრები და სრულწლოვანი პატიმრებიც ერთმანეთისგან არ არიან იზოლირებული[60]. აღნიშნული ორი პრობლემა დღესაც არსებობს სასჯელაღსრულების N8 დაწესებულებაში. შესაბამისად, სახალხო დამცველის რეკომენდაცია შესრულებული არ არის.

N 6 დაწესებულებაში ჩატარებული მონიტორინგის დროს გაირკვა, რომ ამ დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულებს, განურჩევლად მათთვის განსაზღვრული თავისუფლების აღკვეთის მოხდის რეჟიმისა, საკნის გარეთ ყოფნის შესაძლებლობა ეძლევათ ერთიანი წესით, დღეში ერთი საათით გასეირნების უფლებით. ამდენად, მსჯავრდებულები, რომლებიც სასჯელს იხდიან ნახევრად ღია რეჟიმის პირობებში, საკუთარი ნებით, თავისუფლად ვერ გადაადგილდებიან დაწესებულებაში ამისათვის გამოყოფილ სპეციალურ ტერიტორიაზე, მიუხედავად იმისა, რომ მათთვის დღის განრიგით ყოველდღიურად განსაზღვრულია თავისუფალი დრო 6 საათის და 30 წუთის ხანგრძლივობით. შესაბამისად, აღნიშნული მსჯავრდებულები N6 დაწესებულებაში არ არიან უზრუნველყოფილი მათთვის გარანტირებული თავისუფლების ისეთი ხარისხით, რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით.

---

[58] იხ. ხიდერი საფრანგეთის წინააღმდეგ (Khider v. France), განჩინება, 2009 წლის 9 ივლისი.

[59] მაგალითად მოყვანილია სასჯელაღსრულების N7 დაწესებულება. გვ. 62, ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1563.pdf [ბოლოს ნანახია 15.02.2015].

[60] არასრულწლოვანი პატიმრების სრულწლოვანი პატიმრებისაგან სრული იზოლირების შესახებ რეკომენდაცია შეიტანეს საქართველოს პარლამენტის დადგენილებაში „2013 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე“.

სახალხო დამცველის შეფასებით, ზემოთ მითითებული პრობლემა გამოწვეულია N6 დაწესებულების ინფრასტრუქტურული გაუმართაობით. ამ დაწესებულებაში შეუძლებელია სასჯელის მოხდა ერთდროულად დახურული და ნახევრად ღია რეჟიმის პირობებში.

უსაფრთხოების ღონისძიებები, ინციდენტების და საგანგებო სიტუაციების მართვა

გონივრული მიღებისა და განთავსების განყოფილება

2014 წლის 2 დეკემბერს ცვლილება შევიდა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 30 მაისის N97 ბრძანებაში, რომლითაც განისაზღვრა გონივრული მიღებისა და განთავსების განყოფილებაში პატიმრის მოთავსების სამართლებრივი საფუძვლები. გონივრული მიღებისა და განთავსების განყოფილებაში ცალკე არის გამოყოფილი დეესკალაციის ოთახი. ცვლილების თანახმად, თუ მოსაცდელ საკანში განთავსებული ბრალდებული/მსჯავრდებული საფრთხეს უქმნის საკუთარ ან სხვის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, დაწესებულების ადმინისტრაციამ იგი შეიძლება განათავსოს დაწესებულების სათანადოდ აღჭურვილ დეესკალაციის ოთახში სამედიცინო პერსონალის უწყვეტი ხელმისაწვდომობის და დაწესებულებაში უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის 24 საათიანი ვიზუალური საშუალებით მეთვალყურეობის პირობებში. დეესკალაციის ოთახი აღჭურვილი უნდა იყოს უსაფრთხო ლეიბით, სათვალთვალო კამერით, რომლის ხედვის არე არ მოიცავს ტუალეტის ნიჟარას, დისტანციურად მართვადი, დაზიანებისადმი მედეგი ღია ტიპის ტუალეტით, ონკანით, განათებით და სათანადო ვენტილაციით. დეესკალაციის ოთახში პირის მიმართ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ფიზიკური შეზღუდვის ზომები და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სპეციალური საშუალებები. ფიზიკური შეზღუდვა უნდა მოხდეს გონივრული ვადით, ამ მუხლის პირველ პუნქტში მოცემული კრიტერიუმების ამოწურვამდე. დეესკალაციის ოთახში პირის განთავსებისთანავე დგება სათანადო დოკუმენტი და გონივრული შუალედებით კეთდება შესაბამისი ჩანაწერები პირის მდგომარეობის შესახებ. ბრალდებული/მსჯავრდებული დეესკალაციის ოთახში განთავსდება განთავსების კრიტერიუმების ამოწურვამდე.

პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულებაში არ არის განსაზღვრული, თუ კონკრეტულად ვინ იღებს გადაწყვეტილებას პირის დეესკალაციის ოთახში მოთავსების შესახებ და როგორია დასაბუთების სტანდარტი. დებულებაში მითითებულია, რომ პირის დეესკალაციის ოთახში განთავსებისთანავე დგება სათანადო დოკუმენტი, თუმცა გაურკვეველია, ამ შემთხვევაში საუბარია ოქმის თუ გადაწყვეტილების (განკარგულების) შედგენაზე. ამასთან, დეესკალაციის ოთახში ბრალდებულის/მსჯავრდებულის მოთავსების მაქსიმალური ვადა განსაზღვრული არ არის.

დებულების თანახმად, ბრალდებული/მსჯავრდებული გონივრული მიღებისა და განთავსების განყოფილებაში შეიძლება მოთავსდეს არა უმეტეს 15 დღისა, თუმცა დებულებაში პირდაპირ არ არის მითითებული, რომ დეესკალაციის ოთახში ბრალდებული/მსჯავრდებული განთავსდება განთავსების კრიტერიუმების ამოწურვამდე არა უმეტეს 15 დღისა. შესაბამისად, გაურკვეველია, რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ გონივრული მიღებისა და განთავსების განყოფილებაში განთავსების 15 დღიანი ვადის ამოწურვის შემდეგ დეესკალაციის ოთახში განთავსების კრიტერიუმები ჯერ კიდევ ამოწურული არ არის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ გონივრული მიღებისა და განთავსების განყოფილებაში დეესკალაციის ოთახში განთავსება უნდა განხორციელდეს მხოლოდ მკაფიო სამართლებრივი რეგულირების ფარგლებში ამ ღონისძიების უკანონო, თვითნებური და არაპროპორციული გამოყენებისგან დაცვის შესაბამისი გარანტიების არსებობის პირობები.

ელექტრონული მეთვალყურეობა

2014 წლის 19 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა „ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის განსაზღვრის თაობაზე“ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანების პროექტთან დაკავშირებით სამინისტროს წინადადებით მიმართა. სახალხო დამცველი მიესალმა სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს ინიციატივას, დარეგულირდეს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის საკითხი. მიუხედავად დადებითი შეფასებისა, სახალხო დამცველმა მოითხოვა წარმოდგენილი ბრძანების პროექტის რიგი დებულებების სრულყოფა და ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება.

ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის შესახებ მინისტრის ბრძანების პროექტის მე–3 მუხლის მე–5 პუნქტის მიხედვით, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ელექტრონული მეთვალყურეობა და კონტროლი არ შეიძლება განხორციელდეს დაწესებულებაში არსებულ საერთო სარგებლობის საშხაპეებში და ხანგრძლივი პაემნებისთვის განკუთვნილ ოთახებში, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ ჩამონათვალს უნდა დაემატოს საკანში არსებული და საერთო სარგებლობის საპირფარეშოები. წამებისა პრევენციის ევროპული კომიტეტი

(CPT) სხვადასხვა ქვეყანაში განხორციელებული ვიზიტების შედეგების შესახებ ანგარიშებში ცალსახად აღნიშნავს, რომ ციხეებში მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების პროცესში პატიმრების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება დაცული უნდა იყოს საპირფარეშოებითა და საშხაპეებით სარგებლობის დროს[61].

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT) დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობას და მიუთითებს, რომ სათანადო დასაბუთების გარეშე აღნიშნული ღონისძიების გამოყენება შეიძლება ჩაითვალოს პატიმრის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევად. წარმოდგენილი პროექტის მე–4 მუხლის მიხედვით, მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს დაწესებულების დირექტორი, რის თაობაზეც გამოსცემს შესაბამის ბრძანებას. მართალია, მე–3 მუხლში მითითებულია, რომ მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და მიზნის პროპორციული, თუმცა მიზანშეწონილად მიგვაჩნია მე–4 მუხლის განვრცობა და მითითება იმაზე, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელია ბრძანებაში მიეთითოს იმ ფაქტებისა და გარემოებების ერთობლიობა, რომლებმაც განაპირობა აღნიშნული ღონისძიების განხორციელების აუცილებლობა. გარდა ამისა, ბრძანებაში დასაბუთებული უნდა იყოს, თუ რატომ არაა ეფექტური სხვა საშუალებების გამოყენება მოცემულ შემთხვევაში. ყველა ინდივიდუალურ საქმეში რისკი უნდა შეფასდეს დეტალურად და მიღებულ ბრძანებაში ნათლად უნდა ჩანდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების უალტერნატივობა. აღნიშნული მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ დამკვიდრებული პრაქტიკით ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის შესახებ ბრძანება შეიცავს მწირ ინფორმაციას და შაბლონური ხასიათისაა.

ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ადმინისტრაცია ვალდებულია გააფრთხილოს ბრალდებული/მსჯავრდებული აღნიშნულის თაობაზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ მიზნით დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს ბრალდებული/მსჯავრდებული. მიგვაჩნია, რომ უმჯობესი იქნება თუ ოქმზე ხელმოწერასთან ერთად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს ჩაბარდება ოქმის ასლიც. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ აღნიშნულის თაობაზე ჩანაწერი უნდა დაემატოს ბრძანების პროექტის მე–5 მუხლს.

პროექტის მე–8 მუხლი ფაქტიურად იმეორებს პატიმრობის კოდექსის შესაბამის მუხლს და აღნიშნავს, რომ ადმინისტრაცია უფლებამოსილია კოდექსის 54–ე მუხლის მე–6 პუნქტით

[61] http://www.cpt.coe.int/documents/hun/2010-16-inf-eng.pdf იხილეთ გვ. 19, პარ. 31,
ასევე, http://www.cpt.coe.int/documents/ita/2013-32-inf-eng.pdf გვ. 30, პარ. 60 [ბოლოს ნანახია 22.03.2015]

გათვალისწინებული პირების შეხვედრას დააკვირდეს ვიზუალურად, ტექნიკური საშუალებებით დისტანციური დაკვირვებისა და ჩაწერის პირობებში, მაგრამ მოსმენის გარეშე. მიგვაჩნია, რომ სახალხო დამცველის/სპეციალური პრევენციის ჯგუფის წევრებთან მიმართებით აღნიშნული დებულება უნდა შეიცვალოს როგორც მოცემული ბრძანების პროექტში, ასევე პატიმრობის შესახებ კოდექსში, ვინაიდან აღნიშნული დებულებები ცალსახად ეწინააღმდეგება საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ ორგანული კანონის მე–19 მუხლის მე–3 პუნქტს, რომლის მიხედვითაც „საქართველოს სახალხო დამცველის/სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრის შეხვედრა დაკავებულებთან, პატიმრობაში მყოფ ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდულ პირებთან და მსჯავრდებულებთან, აგრეთვე ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, მოხუცთა თავშესაფრებსა და ბავშვთა სახლებში მოთავსებულ პირებთან კონფიდენციალურია. რაიმე სახის მიყურადება ან თვალთვალი დაუშვებელია.“

შემდეგი საკითხი, რომელსაც მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიშებში, არის ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის თაობაზე გადაწყვეტილების პერიოდული გადასინჯვის აუცილებლობა. თუმცა, წარმოდგენილი ბრძანების პროექტი არ ითვალისწინებს აღნიშნულ ვალდებულებას. შესაბამისად, სახალხო დამცველის აზრით, აუცილებელია გაიწეროს ასეთი გადასინჯვის ვალდებულება, გადასინჯვაზე უფლებამოსილი პირი და დროის გონივრული პერიოდი, რომლის განმავლობაშიც უნდა მოხდეს მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვა.

სახალხო დამცველის ექვსი არსებითი შენიშვნიდან, გათვალისწინებულ იქნა მხოლოდ ორი არსებითი შენიშვნა. აქედან ერთი ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის თაობაზე გადაწყვეტილების პერიოდული გადასინჯვის შესაძლებლობას ითვალისწინებს, ხოლო მეორე კი, სხვა ადგილებთან ერთად, გამორიცხავს ელექტრონული მეთვალყურეობის განხორციელებას საერთო სარგებლობის საპირფარეშოებში. ამასთან, სამინისტროს მიერ გათვალისწინებულ იქნა ტექნიკური ხასიათის შენიშვნა და ბრძანების მე–5 მუხლს დაემატა ჩანაწერი, რომელიც ითვალისწინებს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შესახებ გაფრთხილების თაობაზე შემდგარი ოქმის ასლის ბრალდებულს/მსჯავრდებულისთვის გადაცემის ვალდებულებას.

2014 წლის 23 ოქტომბერს სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში ვიზიტის მიმდინარეობისას მონიტორინგის ჯგუფმა დაათვალიერა ე.წ. „ანტივანდალური საკანი“[62] (№229). საკანი ცარიელია, იატაკზე დევს მხოლოდ ლეიბი, რომელზეც უწევს პატიმარს დაძინება. საკანში მოთავსებული იყო ერთი პატიმარი, რომელიც პლასტმასის ბოთლიდან

[62] ასე უწოდებენ სასჯელაღსრულების N3 დაწესებულების თანამშრომლები N229 საკანს.

ლეიბზე და იატაკზე ასხამდა წყალს და შემდგომ იწვა სველ ლეიბზე. ამგვარად პატიმარი მის მიმართ არასათანადო მოპყრობას აპროტესტებდა. პატიმრის განცხადებით, იგი ამ საკანში მოათავსეს ერთი თვისა და თერთმეტი დღის წინ. დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა მონიტორინგის ჯგუფს ვერ მიაწოდეს ინფორმაცია, თუ როგორ აპირებდნენ აღნიშნულ პატიმართან დაკავშირებული პრობლემის შემდგომ მოგვარებას, მათ მხოლოდ განაცხადეს, რომ პატიმარი მიეკუთვნებოდა ე.წ. „პრობლემური პატიმრების“ კატეგორიას და სწორედ ამიტომ იყო მოთავსებული ე.წ. „ანტივანდალურ საკანში“. დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილებით ფორმალურად მის მიმართ ხორციელდებოდა ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა, რომლის მაქსიმალური ვადაც კანონმდებლობით დადგენილი არ არის, ხოლო ფაქტობრივად კი მის მიმართ დამატებით გამოყენებული იყო უსაფრთხოების ღონისძიება - სხვა პატიმრებისგან განცალკევება (უსაფრთხო ადგილზე გადაყვანა[63]), რაზეც შესაბამისი გადაწყვეტილება არ არსებობდა. უსაფრთხოების ღონისძიების სახით სამარტოო საკანში მოთავსების შემთხვევაში სამარტოო საკანში ყოფნის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 24 საათს, ხოლო უსაფრთხო ადგილზე გადაყვანის შემთხვევაში - 60 დღეს. ვინაიდან პატიმრის მიმართ ფორმალურად არ იყო უსაფრთხოების ღონისძიებები გამოყენებული, გაურკვეველი იყო, რამდენი ხანი შეიძლებოდა ყოფილიყო იგი მოთავსებული ე.წ. „ანტივანდალურ საკანში“.

საანგარიშო პერიოდში საკანში მარტო მოთავსებისა და ელექტრონული საშუალებით ხანგრძლივი ვადით მეთვალყურეობის პრობლემასთან დაკავშირებით, პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ შესწავლილი იქნა მსჯავრდებულ კ.გ.-ს საქმე. მსჯავრდებული კ.გ. 2013 წლის 17 ნოემბრიდან იმყოფება სხვა მსჯავრდებულებისგან განცალკევებით, რაც სასჯელაღსრულების N 7 დაწესებულების დირექტორის განმარტებით, ემსახურება მისივე უსაფრთხოების დაცვის მიზანს, თუმცა აღსანიშნავია, რომ ხსენებული ღონისძიება არ არის გამოყენებული საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 30 მაისის N 97 ბრძანებით დამტკიცებული თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულების 69-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით. ამდენად, მსჯავრდებული არ არის უზრუნველყოფილი იმ სამართლებრივი დაცვის გარანტიებით, რომელიც გამორიცხავს ხანგრძლივი იზოლირებით მისი უფლებების დარღვევას.

ამასთან, უაღრესად მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიდგომა, რომლის თანახმად, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, პერიოდულად გადასინჯოს მსჯავრდებულის უსაფრთხოების მიზნით გამოყენებული ღონისძიების საჭიროება და პროპორციულობა. „ევროპული ციხის წესების“ 50.5-ე მუხლის თანახმად,

[63] პატიმრობის დაწესებულების დებულების 59-ე მუხლი - ბრალდებულის გადაყვანა უსაფრთხო ადგილზე.

„საჭირო უშიშროების დონე უნდა გადაისინჯოს რეგულარული ინტერვალებით პირის პატიმრობის მთელი ვადის განმავლობაში.“

საქმეში რამირეზ სანჩესი საფრანგეთის წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ მსჯავრდებულის იზოლაცია არ შეიძლება განუსაზღვრელი ვადით. უფრო მეტიც, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ მსჯავრდებულს შესაძლებლობა ჰქონდეს, დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების მიერ გადაისინჯოს გამოყენებული ღონისძიების სახე და საფუძვლები. ამავე საქმეში სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევა, ვინაიდან მსჯავრდებულს არ მიეცა გამოყენებული ღონისძიების გასაჩივრების შესაძლებლობა.[64]

საქმეში პიჩოვიჩი პოლონეთის წინააღმდეგ სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლების დარღვევა, ვინაიდან ხანგრძლივი იზოლირების პირობებში, მსჯავრდებულს არ ჰქონდა საკმარისი შესაძლებლობა, მონაწილეობა მიეღო სოციალურ აქტივობებში სხვა მსჯავრდებულებთან ერთად. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ პირის ხანგრძლივი იზოლირება შესაბამისი ფიზიკური და გონებრივი აქტივობების გარეშე აზიანებს მის ფსიქიკურ და სოციალურ მდგომარეობას.[65]

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლო არაერთ განჩინებაში უსვამს ხაზს, რომ კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პირის მიერ სასჯელის მოხდა ადამიანის ღირსების პატივისცემის პირობებში, რომ სასჯელის აღსრულებამ არ გამოიწვიოს განსაცდელი და ტანჯვა, რომლის ინტენსივობაც გადააჭარბებს პატიმრობის თანმდევ, გარდაუვალ ტანჯვას და რომ პატიმრობის პრაქტიკული მოთხოვნებიდან გამომდინარე, პიროვნების ჯანმრთელობა სათანადოდ უნდა იქნას უზრუნველყოფილი.[66] სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ პატიმრობაში ყოფნის პირობების შეფასებისას გასათვალისწინებელია მათი კუმულატიური ეფექტი, ისევე როგორც მომჩივნის კონკრეტული ბრალდებები.[67]

მსჯავრდებულ კ.გ.-ს N 7 დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში მნიშვნელოვნად შეზღუდული აქვს სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობა. მან არაერთხელ მიუთითა, რომ თავს არ გრძნობს უსაფრთხოდ. მას საკანში არ აქვს ტელევიზორი. იზოლირების პერიოდში დაეკისრა არაერთი დისციპლინური ღონისძიება, რომელიც მას უზღუდავს გარე სამყაროსთან კონტაქტს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დისციპლინური სახდელების დაკისრების საფუძვლად, უმეტეს შემთხვევაში, მითითებულია კონტაქტი სხვა

[64] რამირეს სანჩესი საფრანგეთის წინააღმდეგ (Ramirez Sanchez v. France), no. 59450/00, § 145, 152.
[65] პიჩოვიჩი პოლონეთის წინააღმდეგ (Piechowicz v. Poland), no. 20071/07, § 173.
[66] ვალაშინასი ლიტვის წინააღმდეგ (Valašinas v. Lithuania), no. 44558/98, § 102, ECHR 2001-VIII; ასევე კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ (Kudła v. Poland) [GC], no. 30210/96, § 94, ECHR 2000-XI.
[67] დუგოზი საბერძნეთის წინააღმდეგ (Dougoz v. Greece), no. 40907/98, § 46, ECHR 2001-II.

პატიმრებთან, გადაძახილის სახით, რაც თავისთავად წარმოადგენს მისი, როგორც სოციალური ინდივიდის ბუნებრივ მოთხოვნილებას. კ. გ.-ს ხანგრძლივი იზოლირების უარყოფითი ეფექტი აშკარად იგრძნობოდა სახალხო დამცველის რწმუნებულების მასთან შეხვედრის დროს.

მსჯავრდებულ კ.გ.-ს მიმართ იზოლირების ღონისძიების გამოყენება მოხდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის და პროცედურის გვერდის ავლით, რაც თავისთავად წარმოადგენს მისი უფლებების უკანონო შეზღუდვას. ამასთან, გაურკვეველია, თუ რა ვადით მოქმედებს აღნიშნული ღონისძიება და კონკრეტულად რა გარემოებების დადგომის შემდეგ აღარ იარსებებს მისი გამოყენების საჭიროება. ასევე, რატომ არის შეუძლებელი N7 დაწესებულების დირექტორის მიერ მითითებული მიზნის – კ.გ.-ს უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნის მიღწევა, იმ მსჯავრდებულებთან მოთავსების ან სხვა დაწესებულებაში გადაყვანის შემთხვევაში, სადაც საფრთხე არ შეექმნება მის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. საქმის შესწავლის შედეგების გათვალისწინებით, საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, თუმცა მსჯავრდებული კვლავაც მარტო რჩება საკანში ელექტრონული საშუალები მეთვალყურეობის პირობებში.

სპეციალური საშუალებების გამოყენება

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, ისევე, როგორც წამების პრევენციის ევროპულ კომიტეტს (CPT) სპეციალური მიდგომა და სტანდარტები აქვთ დადგენილ სპეციალურ საშუალებებთან დაკავშირებით, რომელთა გამოყენებაც ნებადართულია სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად. სპეციალური საშუალებების გამოყენების შესახებ ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილების განხილვის პროცესში საქართველოს სახალხო დამცველმა წარმოადგინა დეტალური შენიშვნები შემოთავაზებულ კანონპროექტთან მიმართებით, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობაც გაზიარებული და ასახულია პატიმრობის კოდექსში. ქვემოთ მოცემულია ის შენიშვნები, რომელიც არ იყო გაზიარებული და რომელთა ასახვაც პატიმრობის კოდექსსა და შესაბამის კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტში საქართველოს სახალხო დამცველს აუცილებლად მიაჩნია.

ცრემლსადენი და წიწაკის გაზი

პატიმრობის კოდექსში შეიტანეს ცვლილება, რომლის მიხედვითაც პატიმრობის კოდექსს დაემატა 57[1] მუხლის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები, რომელიც ითვალისწინებს ცრემლსადენი და წიწაკის გაზის გამოყენებას ბრალდებულის/მსჯავრდებულის წინააღმდეგ.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დამოკიდებულება სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ აღნიშნული სახეობის გაზის გამოყენებასთან დაკავშირებით ცალსახაა. კერძოდ, სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების თანახმად, დახურულ სივრცეში ასეთი ნივთიერებების გამოყენება დაუშვებელია. იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც გაზის გამოყენება ღია სივრცეში ხდება, სასამართლო იზიარებს წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის მოსაზრებას, რომ აუცილებელია მკაფიოდ განსაზღვრული დამატებითი გარანტიების არსებობა.

საქმეში ალი გუნესი თურქეთის[68] წინააღმდეგ, წიწაკის და ცრემლსადენი გაზის გამოყენებასთან დაკავშირებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ პოტენციურად ჯანმრთელობისთვის საშიში ნივთიერებების გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს რესპირატორული პრობლემები, გულისრევა, სასუნთქი გზების, ცრემლსადენი მილებისა და თვალების გაღიზიანება, სპაზმები, ტკივილი გულ–მკერდის არეში, დერმატიტი და ალერგია; ხოლო, დიდი დოზით მისმა გამოყენებამ სასუნთქი ან გადამამუშავებელი გზების ქსოვილების კვდომა, ფილტვების შეშუპება ან შინაგანი სისხლდენა. მიუხედავად იმისა, რომ „ქიმიური იარაღის განვითარების, წარმოების, მომარაგების და გამოყენების აკრძალვისა და მისი განადგურების შესახებ“[69] კონვენციის თანახმად, ცრემლსადენი გაზი ქიმიურ იარაღად არ ითვლება და მისი გამოყენება ნებადართულია სამართალდაცვი ორგანოების მიერ, სასამართლომ გაიზიარა წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის მოსაზრება და განაცხადა, რომ არ შეიძლება იმ პირთა მიმართ გაზის გამოყენების გამართლება, რომლებიც უკვე იმყოფებიან სამართალდამცავების კონტროლის ქვეშ.

მითითებულ საქმეში სასამართლომ შეაფასა გაზის გამოყენება კონვენციის მე–3 მუხლთან შესაბამისობაში და აღნიშნა, რომ მომჩივანისათვის სახეში გაზის შესხურება მაშინ, როდესაც ის სამართალდამცავების კონტროლის ქვეშ იყო, წარმოადგენდა არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას.[70] საგულისხმოა, რომ ყველაზე რთულ სიტუაციებშიც კი, როგორიცაა ტერორიზმთან და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა, კონვენცია აბსოლუტურად კრძალავს წამებას, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას და დასჯას, იმისდა მიუხედავად, თუ როგორ იქცევა დაზარალებული[71]. კონვენცია არ უშვებს არანაირ

[68] ალი გიუნეში თურქეთის წინააღმდეგ (ALİ GÜNEŞ v. TURKEY), no. 9829/07.
[69] Convention on the Prohibition of the Development, Production, Stockpiling and Use of Chemical Weapons and on their Destruction, მიღებულია 1993 წლის 13 იანვარს.
[70] ალი გიუნეში თურქეთის წინააღმდეგ, პარ. 37-43.
[71] ლაბიტა იტალიის წინააღმდეგ (Labita v. Italy), no. 26772/95, პარ. 119.

გამონაკლისს და არ იძლევა მე-3 მუხლიდან გადახვევის საშუალებას საგანგებო სიტუაციაშიც კი, როდესაც საფრთხე ემუქრება ერის ცხოვრებას.[72]

წიწაკის გაზის გამოყენებასთან დაკავშირებით ასევე მნიშვნელოვანია წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის მიდგომა, რომელიც ჩამოყალიბებულია კომიტეტის ანგარიშში ჩეხეთთან დაკავშირებით. კომიტეტმა აღნიშნა, რომ დაუშვებელია გაზის გამოყენება დახურულ სივრცეში. იმ შემთხვევაშიც კი, თუ გაზის გამოყენება ხდება ღია სივრცეში, აუცილებელია მკაფიოდ განსაზღვრული დამატებითი გარანტების არსებობა, მათ შორის, სამედიცინო დახმარებაზე დაუყოვნებლივი წვდომის უფლება. გარდა ამისა, კომიტეტის მოსაზრებით, დაუშვებელია ასეთი ტიპის გაზის არსებობა სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომელთა სტანდარტულ აღჭურვილობაში.[73]

აღნიშნულ ანგარიშში კომიტეტმა რეკომენდაცია გაუწია ხელისუფლებას, შეემუშავებინა წიწაკის გაზის გამოყენებასთან დაკავშირებული დეტალური რეგულაცია. კომიტეტმა ასევე ხაზი გაუსვა აღნიშნულ რეგულაციაში წიწაკის გაზის გამოყენებაზე უფლებამოსილი პერსონალის კვალიფიკაციის, ტრენინგის და უნარების შესახებ ინფორმაციის არსებობის აუცილებლობას.[74]

აღნიშნულთან მიმართებით დადებითად უნდა შეფასდეს კანონმდებლობის მიერ წიწაკის გაზის დახურულ სივრცეში გამოყენების აკრძალვა, თუმცა კვლავ პრობლემად რჩება ის ფაქტი, რომ ცრემლსადენი გაზის დახურულ სივრცეში გამოყენება აკრძალული არ არის.

ხელბორკილი

წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა თავის ანგარიშში რუსეთთან დაკავშირებით რეკომენდაცია გაუწია მთავრობას, შეეწყვიტა ხელბორკილების რუტინული გამოყენების პრაქტიკა და ეს ზომა გამოეყენებინათ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, ინდივიდუალური რისკისა და საჭიროებების შეფასების საფუძველზე, შესაბამისად მომზადებული პერსონალის მიერ.[75] კომიტეტი რეკომენდაციას უწევს წევრ სახელმწიფოებს, რომ პატიმარი იმყოფებოდეს მუდმივი და ადეკვატური ზედამხედველობის ქვეშ, როდესაც ფიზიკური შეკავების ინსტრუმენტების გამოყენებაა აუცილებელი.[76]

---

[72] იქვე, პარ. 119.
[73] წამების აკრძალვის ევროპული კომიტეტის ანგარიში ჩეხეთის მთავრობისთვის, CPT/Inf (2009) 8, N46.
[74] იქვე.
[75] წამების წინააღმდეგ ევროპული კომიტეტის ანგარიში რუსეთის მთავრობისთვის, CPT/Inf(2013)41, §111, გვ. 52.
[76] წამების წინააღმდეგ ევროპული კომიტეტის ანგარიში ბოსნია-ჰერცოგოვინას მთავრობისთვის, CPT/Inf(2009)25, N77, გვ. 36.

ანგარიშში რუსეთთან დაკავშირებით, კომიტეტმა ხელბორკილების საკითხზე დამატებით განმარტა, რომ თუ დაკავებული პიროვნება აღელვებულად ან ძალადობრივად იქცევა, ხელბორკილის გამოყენება შესაძლოა გამართლებული იყოს. თუმცა პიროვნება არ უნდა იყოს მიჯაჭვული კედელზე ან მყარ საგნებზე, არამედ იგი უნდა იმყოფებოდეს მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ სათანადო გარემოში. ხოლო, თუ პირის აღელვებამ გააუარესა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, სამართალდამცავებმა უნდა მოითხოვონ სამედიცინო დახმარება და დაიცვან ექიმის მითითებები. [77]

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 12 სექტემბრის N145 ბრძანებით დამტკიცებული „პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოების შეიარაღებაში არსებულ სპეციალურ საშუალებათა სახეების, მათი შენახვის, ტარებისა და გამოყენების წესის და პირობების, აგრეთვე სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლების მქონე პირის განსაზღვრის წესის“ მე-6 მუხლის თანახმად, დაუშვებელია ბრალდებულის/მსჯავრდებულის ხელბორკილით მყარ ზედაპირზე მიმაგრება, გარდა იმ უკიდურესი შემთხვევისა, როდესაც სხვა საშუალებებით შეუძლებელია კანონით განსაზღვრული ლეგიტიმური მიზნის მიღწევა. ამ მუხლის ფორმულირებიდან გამომდინარე, ხელბორკილით პატიმრის მყარ ზედაპირზე მიმაგრება სრულად აკრძალული არ არის, რაც წარმოადგენს აღნიშნული წესის არსებით ხარვეზს და უნდა გამოსწორდეს.

ასევე, განისაზღვროს, რომ ხელბორკილის გამოყენება მყარ ზედაპირზე მიმაგრებით დაუშვებელია და რომ ხელბორკილის გამოყენების შემთხვევაში უნდა განხორციელდეს შესაბამისი ზედამხედველობა.

არალეტალური იარაღი

კანონში არ არის მოცემული არალეტალური იარაღის განმარტება და სახეობები, რაც თავისთავად, კანონის სიცხადესთან და განსაზღვრულობასთან დაკავშირებით, სერიოზულ პრობლემებს ქმნის, აქვე სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 12 სექტემბრის N145 ბრძანებით დამტკიცებული „პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოების შეიარაღებაში არსებულ სპეციალურ საშუალებათა სახეების, მათი შენახვის, ტარებისა და გამოყენების წესის და პირობების, აგრეთვე სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლების მქონე პირის განსაზღვრის წესის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, არალეტალურ იარაღად ჩაითვლება რეზინის ტყვია, საღებავის სასროლი,

[77] წამების წინააღმდეგ ევროპული კომიტეტის ანგარიში რუსეთის მთავრობისთვის, CPT/Inf(2013)41, #52, გვ. 29.

სასროლი ბადე და კვამლმდენი. მიუხედავად ამისა, საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აუცილებელია კანონში არალეტალური იარაღის მკაფიო განმარტების განსაზღვრა. გარდა ამისა, იმ საფრთხეების გათვალისწინებით, რაც შეიძლება შედეგად მოჰყვეს ზოგადად აღნიშნული ტიპის იარაღის გამოყენებას, აუცილებელია კანონით მკაფიოდ განისაზღვროს, რომ მისი გამოყენება შეიძლება მხოლოდ მაშინ და იმ ზომით, როდესაც უკიდურესად აუცილებელია უსაფრთხოებისა და წესრიგის შენარჩუნება.[78]

დამაწყნარებელი პერანგი, დამაწყნარებელი სკამი, დამაწყნარებელი საწოლი

გაეროს პატიმართა მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესების 33–ე პუნქტის თანახმად, დაუშვებელია დამაწყნარებელი პერანგის, როგორც დასჯის საშუალების გამოყენება. პატიმრობის კოდექსის 57[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი უშვებს პატიმრის მიმართ დამაწყნარებელი პერანგის, დამაწყნარებელი სკამის და საწოლის გამოყენებას. აღნიშნული საშუალების გამოყენება უნდა მოხდეს ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ.

აღსანიშნავია, რომ პრევენციის ეროვნული მექანიზმისთვის ცნობილი გახდა სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში, 2014 წლის 20 სექტემბერს ბრალდებულ ლ. ქ.-ს მიმართ დამაწყნარებელი საწოლის გამოყენების შესახებ. შემთხვევის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ დამაწყნარებელი საწოლი გამოყენებულ იქნა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 12 სექტემბრის N145 ბრძანებით დამტკიცებული „პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოების შეიარაღებაში არსებულ სპეციალურ საშუალებათა სახეების, მათი შენახვის, ტარებისა და გამოყენების წესის და პირობების, აგრეთვე სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლების მქონე პირის განსაზღვრის წესით“ დადგენილი დებულებების დარღვევით. კერძოდ, სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორს არ შეუდგენია და სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრისთვის, ასევე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარისთვის არ გაუგზავნია სპეციალური საშუალების გამოყენების შესახებ ანგარიში, როგორც ეს განსაზღვრულია ზემოაღნიშნული წესის მე-18 მუხლით.

დამაწყნარებელი საწოლის გამოყენების შესახებ შედგა ოქმი, სადაც სპეციალური საშუალების გამოყენების დასაბუთების გრაფაში მითითებულია შემდეგი: „ლ.ქ. ცდილობდა ზიანი მიეყენებინა საკუთარი თავისთვის, გარშემო მყოფთათვის. რომლის მოქმედება გამოხატულად აგრესიულია და უსაფრთხოების უკიდურესობიდან გამომდინარე გამოყენებული იქნა დამაწყნარებელი საწოლი რადგან სხვა საშუალებები არაეფექტურია.“ აღნიშნული ჩანაწერი არ შეიცავს კონკრეტულ მსჯელობას, თუ რატომ იქნა მიჩნეული სხვა

[78] იქვე N72, გვ. 38.

საშუალებები არაეფექტურად. ამასთან, გაურკვეველია, თუ ვინ მიიღო გადაწყვეტილება დამაწყნარებელი საწოლის გამოყენების შესახებ. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 12 სექტემბრის N145 ბრძანებით დამტკიცებული „პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოების შეიარაღებაში არსებულ სპეციალურ საშუალებათა სახეების, მათი შენახვის, ტარებისა და გამოყენების წესის და პირობების, აგრეთვე სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლების მქონე პირის განსაზღვრის წესის“ მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ასეთი გადაწყვეტილების მიღება უფლება აქვს დაწესებულების დირექტორს ან მისი არყოფნის შემთხვევაში, მის მიერ საამისოდ უფლებამოსილ პირს.

აქვე აღსანიშნავია, რომ სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებიდან მიღებულ წერილს დართული აქვს დაწესებულების მთავარი ექიმის მიერ შედგენილი ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, სადაც მოცემულია შემდეგი ჩანაწერი: „პატიმარი ლ.ქ., რომელიც იმყოფება ელექტრონული დაკვირვების ქვეშ, არის აგზნებული, აჟიტირებული, მიდრეკილი თვითდაზიანებისკენ. საჭიროებდა მკაცრ კონტროლს, რომელთანაც 2015 წლის 20 სექტემბერს 20 საათსა და 15 წუთიდან 22 საათსა და 10 წუთამდე გამოყენებული იქნა უსაფრთხოების მიზნით სპეციალური საშუალებებიდან საწოლი, რის ფონზეც აღნიშნული პაციენტი მორიგე ექიმის გადმოცემით, დამშვიდდა და შემოწმების მომენტში სხეულზე დაზიანების კვალი არ აღენიშნებოდა.“ აღნიშნული ცნობიდან გამომდინარეობს, რომ მთავარი ექიმი ეყრდნობა მორიგე ექიმის მონათხრობს და გაურკვეველია, განახორციელა თუ არა მან პაციენტის სამედიცინო შემოწმება, ასევე უცნობია, იმყოფებოდა თუ არა ბრალდებული ლ.ქ. ექიმის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ სპეციალური საშუალების გამოყენების დროს. ცნობა დათარიღებულია 2014 წლის 20 სექტემბრით, თუმცა უცნობია ცნობის შედგენის ზუსტი დრო. ამასთან, შედგენილი არ ყოფილა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 12 სექტემბრის N 145 ბრძანებით დამტკიცებული, სპეციალური საშუალების გამოყენების შემდგომ სამედიცინო შემოწმების აქტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბრალდებულ ლ.ქ.-ს მიმართ დამაწყნარებელი საწოლი გამოყენებულ იქნა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 12 სექტემბრის N145 ბრძანებით დამტკიცებული „პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოების შეიარაღებაში არსებულ სპეციალურ საშუალებათა სახეების, მათი შენახვის, ტარებისა და გამოყენების წესის და პირობების, აგრეთვე სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლების მქონე პირის განსაზღვრის წესის“ მოთხოვნათა არსებითი დარღვევით. მიუხედავად ამისა, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში აღნიშნულ

შემთხვევასთან დაკავშირებით სამსახურებრივი შემოწმება დაიწყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ შემთხვევით სახალხო დამცველის აპარატი დაინტერესდა.[79]

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- **შეიქმნას იმგვარი სამართლებრივი რეგულირება, რომელიც შესაძლებელს გახდის ორგანოების მიერ შიდა და გარე მონიტორინგის წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორებსა და სხვა მაჩვენებლებზე დაყრდნობით, როგორც სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის, ასევე თითოეული თანამშრომლის მიერ ფუნქციების შესრულების და დაწესებულებაში წესრიგის შენარჩუნების შესაძლებლობის შეფასებას**
- **უზრუნველყოს სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა მიერ ფუნქციების ჯეროვნად შესრულების და ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად აუცილებელი მკაფიო სამუშაო აღწერილობების, სტანდარტული საოპერაციო პროცედურის, ეთიკის კოდექსისა და ინციდენტების მართვის გაიდლაინების შემუშავება**
- **სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ადამიანის უფლებების, წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით თანამშრომელთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების ამაღლების კუთხით არსებული საჭიროებების შეფასების შედეგად შემუშავდეს შესაბამისი სასწავლო პროგრამები და უზრუნველყოფილი იყოს თანამშრომელთა სათანადო მონაწილეობა**
- **გაიზარდოს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების თანამშრომელთა მომზადების გრძელვადიან (6 თვიან) სასწავლო კურსში მონაწილეთა რაოდენობა**
- **სასწავლო პროგრამების შემუშავებისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა მულტიდისციპლინური პრინციპით გუნდურ მუშაობასთან დაკავშირებულ საკითხებს**
- **უზრუნველყოს ტრენინგის შედეგების ეფექტურობისა და მდგრადობის შეფასების, ასევე მიღებული ცოდნისა და შეძენილი უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენების სუპერვიზიის ეფექტური მექანიზმის შემუშავება.უზრუნველყოს „მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფარდებისა და გადაფასების წესის, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის წესისა და პირობების, აგრეთვე მულტიდისციპლინური გუნდის შემადგენლობისა და**

[79] სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან მიღებული 2015 წლის 12 მარტის წერილის თანახმად, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში შევიდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2015 წლის 5 მარტის წერილი, რომელსაც თან ერთვოდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის სახელზე სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 23 თებერვლის მიმართვა სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში ბრალდებულ ლ.ქ.-ს მიმართ 2014 წლის 20 სექტემბერს სპეციალური საშუალების გამოყენების შესახებ. აღნიშნული წერილების შესაბამისად, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის გენერალურ ინსპექციაში დაიწყო სამსახურებრივი შემოწმება სასჯელაღსრულების N3 დაწესებულების დირექტორის მიერ სპეციალური საშუალებების გამოყენების შესახებ ანგარიშის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარისათვის არგაგზავნის ფაქტთან დაკავშირებით.

უფლებამოსილების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბრძანების პროექტში არსებული ხარვეზების გამოსწორება ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით

- მსჯავრდებულები, რომლებსაც სასჯელის მოხდა განსაზღვრული აქვთ ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში, მაქსიმალურად მოკლე ვადებში გადაიყვანონ შესაბამის ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებებში, სადაც ისინი უზრუნველყოფილები იქნებიან ისეთი თავისუფლების ხარისხით, რაც მათთვის გარანტირებულია საქართველოს კანონმდებლობით
- ვინაიდან N6 დაწესებულებას არ აქვს შესაბამისი ინფრასტრუქტურული შესაძლებლობები ზემოაღნიშნული უფლების რეალიზაციისათვის, მომავალში ის პატიმარები რომელთაც სასჯელის მოხდა განსაზღვრული აქვთ ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, არ მოათავსონ სასჯელაღსრულების N6 დაწესებულებაში
- ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის შესახებ მინისტრის ბრძანება ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ მოიცავდეს, რომლებმაც განაპირობა ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების აუცილებლობა და უალტერნატივობა
- შევიდეს ცვლილება ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის შესახებ მინისტრის ბრძანებაში და გაკეთდეს ჩანაწერი, რომლის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველის/სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრის შეხვედრა მსჯავრდებულთან/ბრალდებულთან კონფიდენციალურია და რაიმე სახის მიყურადება ან თვალთვალი დაუშვებელია
- შევიდეს შესაბამისი ცვლილება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 12 სექტემბრის N145 ბრძანებით დამტკიცებული „პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოების შეიარაღებაში არსებულ სპეციალურ საშუალებათა სახეების, მათი შენახვის, ტარებისა და გამოყენების წესის და პირობების, აგრეთვე სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლების მქონე პირის განსაზღვრის წესში“ და განისაზღვროს დაუშვებლად ხელბორკილის გამოყენება მყარ ზედაპირზე მიმაგრებით, ხოლო ხელბორკილის გამოყენების შემთხვევაში განხორციელდეს შესაბამისი ზედამხედველობა
- უზრუნველყოს ბრალდებულ ლ.ქ.-ს მიმართ დამაწყნარებელი პერანგის გამოყენების შემთხვევის სრულყოფილი შესწავლა და მიიღოს შესაბამისი ზომები პასუხისმგებელი პირების მიმართ
- უზრუნველყოს სპეციალური საშუალებების გამოყენებისას კანონმდებლობისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნათა განუხრელი დაცვა, მათ შორის, უფლებამოსილ თანამშრომელთა ინტენსიური სწავლების ორგანიზებითა და თანამშრომელთა ანგარიშვალდებულების გაზრდით

წინადადება საქართველოს პარლამენტს:

- შევიდეს ცვლილება პატიმრობის კოდექსში და გაკეთდეს ჩანაწერი, რომლის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველის/სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრის შეხვედრა მსჯავრდებულთან/ბრალდებულთან კონფიდენციალურია და რაიმე სახის მიყურადება ან თვალთვალი დაუშვებელია
- განხორციელდეს შესაბამისი ცვლილება პატიმრობის კოდექსის 57[1]-ე მუხლში, რათა ცალსახად აიკრძალოს ცრემლსადენი გაზის დახურულ სივრცეში გამოყენება
- პატიმრობის კოდექსის 57[1]-ე მუხლში მკაფიოდ განიმარტოს, თუ რა იგულისხმება არალეტალურ იარაღში და განისაზღვროს, რომ მისი გამოყენება შეიძლება მხოლოდ მაშინ და იმ ზომით, როდესაც უკიდურესად აუცილებელია უსაფრთხოებისა და წესრიგის შესანარჩუნებლად

პატიმრობის პირობები

ფიზიკური გარემო, სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა

ციხის ევროპული წესების თანახმად, „პატიმრებისათვის უზრუნველყოფილი საცხოვრებელი, განსაკუთრებით კი, საძინებელი, უნდა პასუხობდეს ადამიანის ღირსების პატივისცემას და მაქსიმალური შესაძლებლობის ფარგლებში, ასევე განმარტოების მოთხოვნებს. ამასთან, დაცული უნდა იყოს ჯანმრთელობისა და ჰიგიენის მოთხოვნები, ჯეროვანი ყურადღება უნდა დაეთმოს კლიმატურ პირობებსა და განსაკუთრებით ფართის ოდენობის, ჰაერის მოცულობას, განათებასა და ვენტილაციის პირობებს“[80]. ,,ყველა შენობაში, სადაც პატიმრები ცხოვრობენ, მუშაობენ ან იკრიბებიან: ფანჯრები უნდა იყოს საკმარისად დიდი, რათა საშუალება მიეცეთ პატიმრებს, იკითხონ ან იმუშაონ ბუნებრივი განათების ნორმალურ პირობებში, ასევე იძლეოდეს სუფთა ჰაერის მოძრაობის შესაძლებლობას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს ჰაერის კონდიცირების ჯეროვანი სისტემა; ხელოვნური განათება უნდა აკმაყოფილებდეს მიღებულ ტექნიკურ სტანდარტებს; უნდა არსებობდეს სიგნალიზაციის სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს პატიმრებს, დაუყოვნებლივ დაუკავშირდნენ პერსონალს[81].“ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, არასათანადო და არაადამიანური მოპყრობის გარდა, ევროკონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა შესაძლოა გამოიწვიოს იმ გარემომაც, რომელშიც პირი იმყოფება. ციხის ევროპული წესების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპის მიხედვით, „ადამიანის უფლებების შემლახავი ციხის პირობების არსებობა არ შეიძლება გამართლებულ იქნეს რესურსების ნაკლებობით[82].“

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ განჩინებაში უსვამს ხაზს, რომ კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ პირმა სასჯელი ადამიანის ღირსების პატივისცემის პირობებში მოიხადოს, რომ სასჯელის აღსრულებამ არ გამოიწვიოს განსაცდელი და ტანჯვა, რომლის ინტენსივობაც გადააჭარბებს პატიმრობის თანმდევ, გარდაუვალ ტანჯვას და რომ პატიმრობის პრაქტიკული მოთხოვნებიდან გამომდინარე, პიროვნების ჯანმრთელობა სათანადოდ უნდა იქნას უზრუნველყოფილი.[83] სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ პატიმრობაში ყოფნის პირობების შეფასებისას გასათვალისწინებელია მათი კუმულატიური ეფექტი, ისევე როგორც მომჩივნის კონკრეტული ბრალდებები.[84]

---

[80] 18.1-წესი.
[81] 18.2- წესი.
[82] წესი 4.
[83] Valašinas v. Lithuania, no. 44558/98, § 102, ECHR 2001-VIII; ასევე Kudła v. Poland [GC], no. 30210/96, § 94, ECHR 2000-XI;
[84] იხ. Dougoz v. Greece, no. 40907/98, § 46, ECHR 2001-II.

განვლილ წლებთან შედარებით რიგ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში გაუმჯობესებულია ფიზიკური გარემო და სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა. მიუხედავად ამისა, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული პირობები ჯერ კიდევ მნიშვნელოვან გაუმჯობესებას და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას საჭიროებს. სახელმწიფო ვალდებულია არსებული სირთულეების მიუხედავად დროულად აღმოფხვრას ნაკლოვანებები და შექმნას პატიმრებისათვის სათანადო პირობები.

სასჯელაღსრულების N7 დაწესებულება

მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებია სასჯელაღსრულების N7 დაწესებულებაში, რაზეც სახალხო დამცველმა არაერთი რეკომენდაციით[85] მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრს. აღნიშნულ პრობლემებზე დეტალურადაა საუბარი სახალხო დამცველის 2013 წლის საპარლამენტო ანგარიშში, თუმცა დაწესებულებაში არსებული არსებითი სახის პრობლემები დღემდე არ მოგვარებულა.

სასჯელაღსრულების N7 დაწესებულებაში არის 25 საკანი. აქედან 12 საკანი ორადგილიანია, 5 საკანი განკუთვნილია 4 პატიმრისთვის, ხოლო დანარჩენი 8 საკანი გათვლილია რვა-რვა პატიმარზე. მთლიანობაში, დაწესებულებაში 108 პატიმრის ადგილია.

ორადგილიანი საკნის ფართი შეადგენს დაახლოებით 7 კვადრატულ მეტრს, ოთხ ადგილიანის - 9 კვადრატულ მეტრს, ხოლო რვა ადგილიანის - 14,5 კვადრატულ მეტრს. ორადგილიან საკანში ერთი პატიმრისთვის განკუთვნილი ფართი შეადგენს 3,5 კვადრატულ მეტრს, ოთხ ადგილიან საკანში - 2,25 კვადრატულ მეტრს, ხოლო რვა ადგილიან საკანში - 1,8 კვადრატულ მეტრს.

2015 წლის 25 მარტის მდგომარეობით, რვა ადგილიან N9 და N25 საკნებში მოთავსებული იყო 7 პატიმარი, N7 საკანში - 6 პატიმარი, N2 საკანში - 5 პატიმარი, N16 საკანში - 4 პატიმარი. რაც შეეხება ოთხადგილიან საკნებს, N10 და N17 საკნებში მოთავსებული იყო 4 პატიმარი, N24 საკანში - 3 პატიმარი. ორადგილიანი საკნებიდან N12 და N19 საკანში მოთავსებული იყო 2 პატიმარი. 15 პატიმარი საკნებში ცალ-ცალკე იყო მოთავსებული.

მონიტორინგის ზემოაღნიშნული შედეგებიდან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ N9 და N25 საკნებში, სადაც მოთავსებულია 7 პატიმარი, ერთი ადამიანისთვის განკუთვნილი ფართი შეადგენს დაახლოებით 2 კვადრატულ მეტრს, რაც ეწინააღმდეგება პატიმრობის კოდექსით დადგენილ სტანდარტს.[86] რაც შეეხება N7, N2 და N16 საკნებში, სადაც მოთავსებულია

[85] 30/07/2013 N03-3/513; 16/12/2013 N894/03-5; 19/02/2014 N03/458.

[86] პატიმრობის კოდექსის მე-15 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, 1 მსჯავრდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა ყველა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში არ უნდა იყოს 4კვ.

შესაბამისად, ექვსი, ხუთი და ოთხი პატიმარი, ერთი პატიმრისათვის განკუთვნილი ფართი 2,4 კვადრატული მეტრიდან 3,6 კვადრატულ მეტრამდე მერყეობს. N10 და N17 საკნებში, სადაც მოთავსებულია ოთხი პატიმარი და ასევე N25 საკანში, სადაც განთავსებულია 3 პატიმარი, ერთი პატიმრისთვის განკუთვნილი ფართი 2,25 კვადრატული მეტრიდან 3 კვადრატულ მეტრამდე მერყეობს.

აქ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზემოთ მოცემული გაანგარიშების დროს არ არის გამოკლებული საპირფარეშოს ფართი და ფართი, რომელიც საწოლს და მაგიდას უკავია. ტუალეტის ფართი საკნებში მერყეობს 0,4 (0,63X0,69) კვადრატული მეტრიდან 0,5 (0,62X0,78) კვადრატულ მეტრამდე, საწოლის ერთი რიგის მიერ დაკავებული ფართი შეადგენს დაახლოებით 1,3 კვადრატული მეტრს. შესაბამისად, რვა ადგილიან საკანში მთლიან ფართს უნდა გამოაკლდეს 5,2 (1,3X4) კვადრატული მეტრი, ასევე საპირფარეშოს და მაგიდის ფართი, ჯამში დაახლოებით 1 კვადრატული მეტრი, რაც შეადგენს დაახლოებით 8,3 კვადრატულ მეტრს. აშკარაა, რომ 8 ადგილიან საკანში თუნდაც 4 პატიმრის მოთავსების შემთხვევაში სივიწროვეა. იგივე შეიძლება ითქვას ოთხადგილიან საკნებზე.

საყოფაცხოვრებო პირობების, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის ჭრილში შეფასებისას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, გარდა პირადი საცხოვრებელი ფართისა, დამატებით მხედველობაში იღებს ფიზიკური გარემოს სხვა ასპექტებს, როგორიცაა სუფთა ჰაერზე ფიზიკური ვარჯიშის შესაძლებლობა, ბუნებრივი განათება, ბუნებრივი და ხელოვნური ვენტილაცია, სათანადო გათბობა, საპირფარეშოში განმარტოების შესაძლებლობა, სანიტარული და ჰიგიენური პირობები.[87] სასამართლომ, საქმეში *პეერსი საბერძნეთის წინააღმდეგ,* 7 კვადრატული მეტრის ფართობი ორ პატიმარზე მიიჩნია ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის დამადასტურებელ ფაქტორად, რასაც, სასამართლოს განმარტებით, თან ერთვოდა ვენტილაციის და დღის განათების ნაკლებობა.[88]

სასჯელაღსრულების N7 დაწესებულებაში არსებულ საკნებს აქვს მცირე ზომის ფანჯრები (75X43 სმ), ისინიც დაფარულია რამდენიმე ფენა გისოსით. აღნიშნულიდან გამომდინარე ჰაერი და მზის სხივი ფანჯრიდან ფაქტობრივად არ შედის. დაწესებულების სავენტილაციო სისტემა ვერ უზრუნველყოფს სუფთა ჰაერის საკმარის მოძრაობას, ნესტიან საკნებში არასაკმარისი განათება და გათბობაა.

მეტრზე ნაკლები. ამავე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, 1 ბრალდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა პატიმრობის დაწესებულებაში არ უნდა იყოს 3კვ. მეტრზე ნაკლები.

[87] იხ. *Vlasov v. Russia*, no. 78146/01, § 84, 12 June 2008; ასევე *Trepashkin v. Russia*, no. 36898/03, § 94, 19 July 2007.

[88] Peers v. Greece, judgment of 19 April, 2001, application no. 28524/95, § 70-72.

საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-15 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ბრალდებულის/მსჯავრდებულის საცხოვრებელს უნდა ჰქონდეს ფანჯარა, რომელიც უზრუნველყოფს ბუნებრივ განათებასა და ვენტილაციას. ბრალდებული/მსჯავრდებული უზრუნველყოფილი უნდა იყოს გათბობითაც.

1955 წელს ჟენევაში მიღებული „პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების“ მე-10 და მე-11 წესების მიხედვით, ყველა ადგილი, რომლითაც სარგებლობენ პატიმრები, განსაკუთრებით ყველა საძინებელი ოთახი, სრულად უნდა პასუხობდეს სანიტარულ მოთხოვნებს. ამასთან, სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს კლიმატურ პირობებს, განსაკუთრებით ამ ოთახების სიმაღლეს, მინიმალურ ფართობს, განათებას და ვენტილაციას, ფანჯრები უნდა იყოს საკმარისი ზომის იმისათვის, რომ პატიმრებს შეეძლოთ კითხვა და მუშაობა დღის შუქზე, და უნდა იყოს ისე კონსტრუირებული, რომ უზრუნველყოს სუფთა ჰაერის მიწოდება იმისდა მიუხედავად, არსებობს თუ არა ვენტილაციის ხელოვნური სისტემა.

აქვე აღსანიშნავია, რომ გასულ წლებში სასჯელაღსრულების N7 დაწესებულებაში იგეგმებოდა ახალი ფანჯრების დამონტაჟება, რომლებიც დაყენების შემდეგ აღარ უნდა გაღებულიყო და საკნები მხოლოდ ხელოვნური გზით უნდა განიავებულიყო.

2013 წლის 16 დეკემბერს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრს. რეკომენდაციაში ხაზგასმული იყო ის ფაქტი, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ უზრუნველყოფილი იქნებოდა ხელოვნური ვენტილაციის სისტემა, ის ვერ ჩაანაცვლებდა ბუნებრივი გზით საკანში ჰაერის მოძრაობის საჭიროებას. შესაბამისად, სახალხო დამცველი მიმართავდა N7 დაწესებულებაში საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული ფანჯრების დაყენების რეკომენდაციით, რომელიც საკნების განათებასთან ერთად უზრუნველყოფდა ბუნებრივ ვენტილაციას.

ზემოაღნიშნული ხელოვნური სისტემის და ფანჯრების დაყენების პროცესი შეაჩერეს, თუმცა სხვა მრავალი პრობლემა დღემდე მოუგვარებელი რჩება.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის მოხსენებებში, რომლებიც ეხებოდა საქართველოში განხორციელებულ ვიზიტებს, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სასჯელაღსრულების დაწესებულებების საკნების ფანჯრებს, რომლებზეც აფარებული რკინის გისოსები და ჟალუზები ზღუდავს დღის სინათლისა და სუფთა ჰაერის შემოსვლას საკანში.[89] კომიტეტი მოუწოდებდა საქართველოს ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ მიეღო

[89] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 2002 წლის 25 ივლისს გამოქვეყნებული მოხსენება საქართველოში 2001 წლის 6-18 მაისს განხორციელებული ვიზიტის შემდეგ. იხ. ბმული: http://www.refworld.org/docid/415c2d784.html

ზომები იმისათვის, რათა დაწესებულებებში ყოფილიყო ბუნებრივი განათება და ადეკვატური ვენტილაცია. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი თავის მოხსენებებში დიდ ყურადღებას უთმობს პატიმრებისთვის ბუნებრივი განათებისა და სუფთა ჰაერის ხელმისაწვდომობას და მიიჩნევს, რომ უსაფრთხოების მიზნითაც კი არ უნდა მოხდეს პატიმრისთვის ბუნებრივი განათებისა და სუფთა ჰაერის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა.[90]

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქართველოს წინააღმდეგ საქმეებში არაერთხელ მიუთითა წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ანგარიშებში მოყვანილ ფაქტებზე, რომლის მიხედვითაც, სასჯელაღსრულების დაწესებულებების ფანჯრებზე გაკეთებული რკინის გისოსები ხელს უშლიდა სუფთა ჰაერისა და დღის სინათლის საკანში შესვლას. არ არსებობდა ვენტილაციის სისტემა, რომლითაც ანაზღაურდებოდა ჰაერის უკმარისობა. სასამართლომ აღნიშნული ფაქტი მიიჩნია ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევად.[91] ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა შემდეგი:

სასამართლო, ასევე, აღნიშნავს, რომ მოცემულ საპყრობილეში, ფანჯრებს გაკეთებული ჰქონდა რკინის გისოსები, რომლებიც ხელს უშლიდა სუფთა ჰაერისა და დღის სინათლის საკანში შესვლას. არ არსებობდა ვენტილაციის სისტემა, რომლითაც ანაზღაურდებოდა ჰაერის უკმარისობა [...] სასამართლოს შეხედულებით, მის ხელთ არსებული მტკიცებულებები მას საშუალებას აძლევს, „ყოველგვარ გონივრულ ეჭვს მიღმა“ მიიჩნიოს, რომ მომჩივანი ნამდვილად იმყოფებოდა მის მიერ საჩივარში გაპროტესტებულ პატიმრობის პირობებში. კერძოდ, მას აწუხებდა საკუთარი საწოლის უქონლობა, ჰაერის მუდმივი უკმარისობა და სიბინძურე... ამიტომ, მომჩივნის მიმართ ადგილი აქვს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.[92]

სასჯელაღსრულების N7 დაწესებულებას არ გააჩნია გრძელვადიანი პაემნებისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა, რის გამოც პატიმრებს არ აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ გრძელვადიანი პაემნით.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის მოხსენება საქართველოში 2003 წლის 28 ნოემბრიდან და 2004 წლის 7-14 ნოემბერს განხორციელებული ვიზიტების შესახებ. იხ. ლინკი: http://www.cpt.coe.int/documents/geo/2005-12-inf-eng.pdf

[90]Extract from the 11th General Report [CPT/Inf (2001) 16], გვ.25, პარაგრაფი: 30 იხ. ბმული: http://www.cpt.coe.int/en/documents/eng-standards-scr.pdf.

[91] „ალიევი საქართველოს წინააღმდეგ“, საჩივარი N522/04, 2009 წლის 13 იანვარი; „რამიშვილი და კოხრეიძე საქართველოს წინააღმდეგ“, განაცხადი N1704/6, 2009 წლის 27 იანვარი; „ღავთაძე საქართველოს წინააღმდეგ“, საჩივარი N23204/07, 2009 წლის 3 მარტი; „გორგილაძე საქართველოს წინააღმდეგ“, საჩივარი N4313/04, 2009 წლის 20 ოქტომბერი.

[92] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, საქმე „ალიევი საქართველოს წინააღმდეგ“, საჩივარი N522/04, 2009 წლის 13 იანვარი, პარაგრაფები: 82, 83, 84.

სასჯელაღსრულების N7 დაწესებულებაში მყოფი პატიმრები უკმაყოფილებას გამოთქვამენ სასეირნო ეზოს მდებარეობისა და მოწყობის გამო. სასეირნო ეზოები მცირე ზომისაა და მდებარეობს ისეთ ადგილას, სადაც ჰაერი ფაქტობრივად არ მოძრაობს. მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ სასეირნოდ გამოყოფილი ფართი შეადგენს 13 კვადრატულ მეტრს (4,2X3,1). ასეთი სასეირნო ფართი სულ ოთხია დაწესებულებაში. სასეირნო ფართი შემოსაზღვრულია დაახლოებით სამი მეტრის სიმაღლის კედლებით და გადახურულია გისოსებითა და მეტალის ბადით. აღნიშნულის გამო და დამატებით იმის გათვალისწინებითაც, რომ სასეირნო ფართი მოქცეულია შენობებს შორის, მზის სხივები და სუფთა ჰაერი იქ სათანადოდ ვერ აღწევს.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ N7 სასჯელაღსრულების დაწესებულება წარმოადგენს პატიმრობის და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას და იქ მოთავსებული პატიმრები, სარგებლობენ დღეში ერთი საათით სუფთა ჰაერზე გასეირნების უფლებით. აღსანიშნავია, რომ N7 დაწესებულებაში სასჯელს იხდიან პირები, რომლებსაც წარსულში არაერთხელ აქვთ გადატანილი ფილტვების ტუბერკულოზი. ასეთ პირობებში ცხოვრება ხელს უწყობს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის დამძიმებას და ზრდის მომავალში ტუბერკულოზით განმეორებით დაავადების რისკს.

განჩინებაში საქმეზე *ანანიევი რუსეთის წინააღმდეგ,* ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ სათანადო სანიტარიული და ჰიგიენური საშუალებების ხელმისაწვდომობა აუცილებელია პატიმრის პირადი ღირსების განცდის შესანარჩუნებლად.[93]

სასამართლო განჩინებაში საქმეზე *კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ,* ცალსახად განმარტავს, რომ „კონვენციის მე-3 მუხლი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას დაიცვას თავისუფლებააღკვეთილი პირის ფიზიკური ჯანმრთელობა.“[94]

პატიმრობის კოდექსის მე-14 მუხლის „ა.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ბრალდებულსა და მსჯავრდებულს უფლება აქვს, უზრუნველყოფილი იყოს პირადი ჰიგიენით. ამავე კანონის 21-ე მუხლის თანახმად, „ბრალდებულს/მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, დაიკმაყოფილოს ბუნებრივი ფიზიოლოგიური მოთხოვნები და დაიცვას პირადი ჰიგიენა პატივისა და ღირსების შეულახავად.“

N7 დაწესებულებაში საკნებში არსებული საპირფარეშოები მცირე ზომისაა, არ არსებობს ვენტილაციის სისტემა და არც ჩამრეცხი ავზებია დაყენებული. მართალია, საპირფარეშო იზოლირებულია საკნის დანარჩენი ფართისგან, მაგრამ, საპირფარეშოს კარის ზედა ნაწილში დარჩენილი ღია სივრციდან, ვენტილაციის სისტემის არარსებობის პირობებში, არასასიამოვნო სუნი საკანში აღწევს.

---

[93] Ananyev and Others v. Russia, judgment of 10 January 2012, application nos.42525/07 and 60800/08, §156.
[94] Kudła v. Poland [GC], no. 30210/96, §94, ECHR 2000 XI.

პატიმართა განმარტებით, საპირფარეშოში არასაკმარისი ფართის გამო მათ გაძნელებული აქვთ ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. საპირფარეშოს ფართობი მერყეობს 0,4 (0,63X0,69) კვადრატული მეტრიდან 0,5 (0,62X0,78) კვადრატულ მეტრამდე. პატიმრები აცხადებენ, რომ ზოგიერთ მათგანს, მისი ფიზიკური მონაცემებიდან გამომდინარე, ტუალეტში არსებული სივიწროვის გამო არ შეუძლია ნორმალურ პირობებში დაიკმაყოფილოს ბუნებრივი მოთხოვნილება. ხშირად პატიმრებს უწევთ საპირფარეშოს კარის გაღება და ბუნებრივი მოთხოვნილებების ამგვარ დამამცირებელ მდგომარეობაში დაკმაყოფილება. აქვე აღსანიშნავია, რომ საპირფარეშოს კარების პირდაპირ განლაგებულია საწოლები და განმარტოება პრაქტიკულად შეუძლებელია. აღნიშნულ საკითხზე არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის კონტექსტში არაერთ საქმეზე აქვს ნამსჯელი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს.[95]

სასჯელაღსრულების N8 დაწესებულება

სასჯელაღსრულების N8 დაწესებულების საცხოვრებელ საკნებში არსებული ფართი უმრავლეს შემთხვევაში არ შეესაბამება საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-15 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად დადგენილ მოთხოვნებს[96]. აღსანიშნავია, რომ წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა, 2012 წელს განხორციელებული ვიზიტის შემდგომ, საქართველოს მთავრობას სასჯელაღსრულების N8 დაწესებულებაში მრავალადგილიან საკნებში მოთავსებული თითოეული პატიმრის 4 კვადრატული მეტრის სიდიდის პირადი ფართით უზრუნველყოფის და ზედმეტი საწოლების გატანის რეკომენდაციით მიმართა [97]. აღნიშნული მოთხოვნა სრულყოფილად დღემდე არ შესრულებულა, თუ არ ჩავთვლით N8 დაწესებულების არასრულწლოვანთა საპატიმრო განყოფილებას, სადაც საკნები გათვლილია ოთხ პატიმარზე და შეესაბამება ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს.

N8 დაწესებულების საცხოვრებელ საკნებში არასაკმარისად ფუნქციონირებს ხელოვნური სავენტილაციო სისტემა. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას არ გააჩნია ხანგრძლივი პაემნების ინფრასტრუქტურა.

---

[95] იხ. Inter alia რამიშვილი და კოხრეიძე საქართველოს წინააღმდეგ, 2009 წლის 27 იანვრის განჩინება, განაცხადის N1704/06, §86; Aleksandr Makarov v. Russia, judgment of 12 March 2009, application no. 15217/07, § 97.

[96] საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „1 მსჯავრდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა ყველა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში არ უნდა იყოს 4 კვ. მეტრზე ნაკლები“. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „1 ბრალდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა პატიმრობის დაწესებულებაში არ უნდა იყოს 3 კვ. მეტრზე ნაკლები“;

[97] 2012 წლის 19-23 ნოემბერს საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შესახებ ანგარიში, CPT/Inf (2013) 18, პარ. 33.

N8 დაწესებულებაში 2014 წლის ნოემბერში გაიხსნა გონივრული მიღებისა და განთავსების განყოფილება, სადაც პატიმრებს თავდაპირველად ათავსებენ. აღნიშნულ საკნებში ბუნებრივი განათება არასაკმარისია. ვერც საკნებში არსებული სავენტილაციო სისტემა უზრუნველყოფს სათანადო ვენტილაციას. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული განყოფილება ახალი გარემონტებულია, ზოგიერთ საკანში ჭერზე და კედლებზე ნესტის კვალი შეინიშნება.

მოშიმშილე პატიმრებისათვის განკუთვნილ N2 სარეჟიმო კორპუსის N105 საკნის ჭერზე ასევე შეინიშნება ნესტი. კედლები ჩამოქერცლილ მდგომარეობაშია. ამავე საკანში და N2 სარეჟიმო კორპუსის N223 საკანში არ არის საკმარისი ბუნებრივი განათება და ვენტილაცია. მოშიმშილე პატიმრების გადმოცემით, ისინი უმეტესად არ სარგებლობენ ჰაერზე გასეირნების უფლებით, ვინაიდან მათ სასეირნოდ გასვლას სთავაზობენ დილის 7 ან 8 საათზე.

N8 დაწესებულების სასეირნო ეზოები განთავსებულია კორპუსების ბოლო სართულზე. სასეირნო ეზოები საკანს წააგავს, რომელსაც ზემოდან გადაფარებული აქვს მეტალის ბადე. სასეირნო ეზოებში არ არის შესაბამისი ინვენტარი, სკამები და ზოგადად დამთრგუნველი გარემოა.[98] პატიმრებს არ აქვთ სათანადო ფიზიკური დატვირთვის შესაძლებლობა.

საშხაპე ოთახებში არის გასახდელი და ერთმანეთისგან ტიხრით გამოყოფილი 6 შხაპი. საშხაპეებში დაზიანებულია მეტლახი. ონკანი და ხელსაბანი ნიჟარა გასახდელ ოთახებში არ ფუნქციონირებს. საშხაპე ოთახებში არ არის დამონტაჟებული საპნის და სხვა ჰიგიენური ნივთების დასადები თაროები. გასახდელი ოთახების უმეტეს ნაწილში არ არის სკამი.

საგამოძიებო ოთახები განთავსებულია ადმინისტრაციული კორპუსის ორ სართულზე. აღნიშნულ ოთახებში გარდა საგამოძიებო სტრუქტურების წარმომადგენლებისა, პატიმრებს ხვდებიან ადვოკატები, სასულიერო პირები, საერთაშორისო ორგანიზაციების და სახალხო დამცველის წარმომადგენლები, ვისთანაც საუბრის კონფიდენციალურობა კანონით არის გარანტირებული. სულ 36 საგამოძიებო ოთახია, აქედან სათვალთვალო კამერა დამონტაჟებულია 35 საგამოძიებო ოთახში. დარჩენილ ერთ ოთახში სათვალთვალო კამერა არ არის, აქ ძირითადად საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესაუბრებიან პატიმრებს.

საგამოძიებო ოთახებში გათბობის სისტემა არ არსებობს. ოთახებს არ გააჩნია ფანჯარა, არც ცენტრალური სავენტილაციო სისტემა. ოთახების ელექტროენერგიით ნათდება. თითოეულ ოთახში დამონტაჟებულია კონდიციონერი, რაც უმრავლეს შემთხვევაში შეფერხებით, ზოგში

[98] სასეირნო ეზოებთან დაკავშირებული პრობლემები აღნიშნულია წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 2010 წელს საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შესახებ ანგარიშში, პარ. 81, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.cpt.coe.int/documents/geo/2010-27-infeng.htm [ბოლოს ნანახია 28.12.2014].

კი საერთოდ არ ფუნქციონირებს. სამწუხაროდ, ზემოაღნიშნული პრობლემა N8 დაწესებულების გახსნის დღიდან დგას.

N8 დაწესებულების საგამოძიებო ოთახებში მიმდინარე ვიზიტის დროს თითქმის ყველა კარი გაღებულ მდგომარეობაშია. ვიზიტზე მყოფი პირები ზამთარში სიცივის და უჰაერობის გამო აღებენ საგამოძიებო ოთახების კარებს (გათბობა მხოლოდ დერეფანშია), ზაფხულის პერიოდში, კი მაღალი ტემპერატურის გამო. ზაფხულში საგამოძიებო ოთახებში გაძლება კიდევ უფრო აუტანელი ხდება.

აღსანიშნავია, რომ საგამოძიებო ოთახებში კარების გაღების შემდეგ საფრთხის ქვეშ დგება საუბრის კონფიდენციალურობის საკითხი. ამ დროს შესაძლებელია საუბრის შინაარსი ცნობილი გახდეს გვერდზე ოთახებში მყოფი პირებისთვის და სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლებისთვის, რომლებიც იქვე ახლოს მორიგეობენ და დერეფანში სისტემატურად მოძრაობენ. აღნიშნულის გამო, ზოგიერთი პატიმარი უარს აცხადებს კონფიდენციალურ საკითხებზე საუბარზე, მითუმეტეს, რომ საგამოძიებო ოთახებში აყენია სათვალთვალო კამერები, რაც ინტერვიუირების დროს ისედაც უარყოფითად მოქმედებს პატიმართა ფსიქოლოგიაზე და გარკვეულწილად, ზღუდავს კიდეც მათ.

ქალთა N5 დაწესებულება

სასჯელაღსრულების N5 დაწესებულება განკუთვნილია ქალ პატიმართა განთავსებისთვის. დაწესებულებაში არსებულ საკნებში ფანჯრები არასაკმარისად იღება, სუსტად მუშაობს ხელოვნური სავენტილაციო სისტემაც. აღნიშნული პრობლემის გამო, ზაფხულის პერიოდში საცხოვრებელ საკნებში ცხელა და დაწესებულების ადმინისტრაცია პრობლემის დროებით მოსაგვარებლად, საცხოვრებელ საკნებში ფანჯრების დემონტაჟს ახდენს. ზამთრის სეზონის დადგომისას ფანჯრები კვლავ ძველ ადგილას მონტაჟდება.

პატიმრობის კოდექსი შესაძლებლობას აძლევს ყველა მსჯავრდებულს პაემნების მეშვეობით სისტემური კონტაქტი იქონიოს ოჯახთან და ახლო ნათესავებთან, აღნიშნული შეხვედრები ხელს უწყობს მსჯავრდებულის რესოციალიზაციას და საზოგადოებაში ინტეგრაციას.

ამჟამად დაწესებულებაში ფუნქციონირებს პაემნისთვის განკუთვნილი 16 კაბინა. აღნიშნული კაბინების გასწვრივ გამყოფი შუშის მეორე მხარეს, უფუნქციო 16 კაბინაა. აღნიშნული კაბინების შუაში დამონტაჟებულია გამყოფი მინა. პატიმრებს პაემანზე მოსულ პირებთან შეხვედრა წლების განმავლობაში მინის გამყოფი ბარიერს მიღმა უწევდათ, რაც ცუდი პრაქტიკა იყო და მინის ბარიერის გაუქმება უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია. ამჟამად ვაწყდებით პაემნების ოთახების ფართის პრობლემას, რაც თავის მხრივ კონფიდენციალური საუბრის ხელისშემშლელ გარემოებას ქმნის. კერძოდ, პაემანზე მოსულ

პირებს პატიმრებთან შეხვედრა ფაქტობრივად კაბინების გასწვრივ არსებულ დერეფანში უწევთ, ვინაიდან გამყოფი შუშის აქეთ დარჩენილი გადატიხრული კაბინის ზომა მხოლოდ 1 კვადრატული მეტრია.

ქალთა დაწესებულებაში ოთხი საგამოძიებო ოთახია, სადაც მიმდინარეობს ვიდეო-მეთვალყურეობა. ორ საგამოძიებო ოთახში ხელოვნური სავენტილაციო სისტემა საერთოდ არ არსებობს. ამ ორი საგამოძიებო ოთახიდან ერთ-ერთში ხანმოკლე პაემნებიც ინიშნება. ზაფხულის პერიოდში შეხვედრაზე მყოფი პირები მაღალი ტემპერატურის გამო იძულებულები არიან გააღონ საგამოძიებო ოთახის კარი, რამაც შესაძლებელია, დაარღვიოს საუბრის კონფიდენციალურობა.

N5 დაწესებულების საცხოვრებელ კორპუსებს გააჩნია საერთო სარგებლობის საშხაპე ოთახები. A, B, C კორპუსების აბაზანებში მოხმარებული წყალი არ გადის საკანალიზაციო სისტემაში და გუბდება სააბაზანო ოთახებში. არასაკმარისად ფუნქციონირებს ვენტილაციაც, კედელები და იატაკი კი მოძველებულია და საჭიროებს სარემონტო სამუშაოების ჩატარებას.

დედათა და ბავშვთა განყოფილებაში მოძველებულია ინვენტარი, ხელოვნური ვენტილაცია კი საერთოდ არ ფუნქციონირებს.

არასრულწლოვანთა N11 დაწესებულება

სასჯელაღსრულების N11 დაწესებულებაში საცხოვრებელი საკნები ნათდება როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური გზით. საკნები ნიავდება ბუნებრივი გზით, თუმცა სასურველია, ასევე ფუნქციონირებდეს ხელოვნური სავენტილაციო სისტემა. გათბობა ცენტრალურია. ყველა საცხოვრებელ საკანში არის ინდივიდუალური საპირფარეშო და შხაპი. ზოგიერთ საკანში საპირფარეშოს კედლიდან ჟონავს წყალი, რის გამოც არის ნესტი.

არასრულწლოვანთა საცხოვრებელ კორპუსში ასევე მოწყობილია საერთო სარგებლობის საშხაპე ოთახი. აღნიშნულ ოთახში არის 8 შხაპი. საშხაპე ოთახში საკმარისია როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათება, თუმცა არ ფუნქციონირებს ხელოვნური სავენტილაციო სისტემა. გათბობა ცენტრალურია. საშხაპე ოთახის კუთხეში ჩამოცვენილია ბათქაში და საჭიროებს სარემონტო სამუშაოებს.

დაწესებულებაში არსებული ხანმოკლე პაემნის ერთი ოთახი ამავდროულად ასრულებს საგამოძიებო ოთახის ფუნქციასაც. ოთახში დგას რამდენიმე მაგიდა და შესაძლებელია რამდენიმე პატიმარი ერთდროულად ხვდებოდეს მნახველს, რაც არღვევს საუბრის კონფიდენციალურობას. არასრულწლოვანს აქვს საშუალება ბარიერის გარეშე, პირისპირ შეხვდეს ოჯახის წევრებს, რაც მისასალმებელია. ოთახი თბება ცენტრალური გათბობის სისტემის მეშვეობით. არ ფუნქციონირებს ხელოვნური სავენტილაციო სისტემა.

დაწესებულებაში ასევე გამოყოფილია ხანგრძლივი პაემნის ორი ოთახი, რომელიც იზოლირებულია სხვა შენობებისგან. ხანგრძლივი პაემნის ორი ოთახიდან ფუნქციონირებს მხოლოდ ერთი კეთილმოწყობილი ოთახი, ხოლო მეორე ოთახი საჭიროებს გარკვეულ სარემონტო სამუშაოებს.

დაწესებულებაში ასევე ფუნქციონირებს ვიდეო პაემნის ერთი ოთახი, რომელიც გარემონტებულია და აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით.

სასჯელაღსრულების N12 დაწესებულება

სასჯელაღსრულების N12 დაწესებულებაში წლების განმავლობაში არსებობდა ინფრასტრუქტურული პრობლემები, რაზეც სახალხო დამცველი დეტალურად მიუთითებდა 2013 წლის საპარლამენტო ანგარიშში. დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ ამ დაწესებულებაში უკვე ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობის სისტემა, მათ შორის საგამოძიებო ოთახებში და სხვა დამხმარე ფართში. მოეწყო ხანგრძლივი პაემნისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა. აშენდა ახალი საცხოვრებელი კორპუსი. თუმცა დაწესებულებაში დღემდე არ არსებობს ცენტრალური სავენტილაციო სისტემა.

სასჯელაღსრულების N9 დაწესებულება

სასჯელაღსრულების N9 დაწესებულებაში განთავსებულნი არიან როგორც ბრალდებულები, ასევე მსჯავრდებულები. საკნები ნათდება როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური გზით. საცხოვრებელი საკნები ნიავდება ფანჯრების მეშვეობით, თუმცა საჭიროა დამონტაჟდეს ხელოვნური სავენტილაციო სისტემა. დაწესებულებაში ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობის სისტემა. დაწესებულებაში არ არსებობს ხანგრძლივი პაემნისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა.

სასჯელაღსრულების N3 დაწესებულება

სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში საკნები განკუთვნილია 2 (10 მ^2), 4 (15 მ^2) და 6 (19.5 მ^2) პატიმრის განთავსებისთვის. მონიტორინგის ჯგუფის მიერ დათვალიერებული 4 და 6 საწოლიანი საკნები სრულად არ იყო შევსებული. ამგვარად, თითოეული პატიმარი უზრუნველყოფილია 4 კვადრატული მეტრით.

საკნებში ბუნებრივი განათება და ვენტილაცია არადამაკმაყოფილებელია, ხელოვნური განათება ნორმალურია. ხელოვნური სავენტილაციო სისტემა გამართულად არ

ფუნქციონირებს. საკნებში ცენტრალური გათბობაა. საკნებში არის ორიარუსიანი რკინის საწოლები, ინდივიდუალური კარადები, მაგიდა და სკამები; უმრავლეს საკნებში პატიმრებს აქვთ ტელევიზორი. საკნებში არის ცალკე გამოყოფილი სანიტარიულ-ჰიგიენური კვანძი, სადაც ასევე შესაძლებელია შხაპის მიღება. დაწესებულებაში წყალმომარაგების პრობლემებია. საცხოვრებელ საკნებში სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. დაწესებულებაში არ არის სპორტული აქტივობების განხორციელებისათვის შესაბამისი პირობები.

სასჯელაღსრულების N6 დაწესებულება

გასულ წელს სასჯელაღსრულების N6 დაწესებულებაში არ ფუნქციონირებდა ხელოვნური სავენტილაციო სისტემა, ხოლო საკნებში არსებული ფანჯრები ვერ უზრუნველყოფდა ბუნებრივ ვენტილაციას. აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველმა 2013 წლის საპარლამენტო ანგარიშში რეკომენდაციით მიმართა უფროსს. ამჟამად N6 დაწესებულებაში მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები.

სასჯელაღსრულების N14 დაწესებულება

N14 დაწესებულების N6 კორპუსის საკნებში მყოფი პატიმრების უმრავლესობა არ არის უზრუნველყოფილი 4 კვადრატული მეტრის ფართით. საკნებში არის საკმარისი ბუნებრივი და ხელოვნური განათება. ფუნქციონირებს გათბობის ცენტრალური სისტემა. საკანში დგას ორიარუსიანი რკინის საწოლები, ინდივიდუალური კარადები, მაგიდა და სკამები. უმრავლეს საკნებში აქვთ ტელევიზორები. საკნები არასაკმარისად ნიავდება.

მსჯავრდებულები შეუზღუდავად სარგებლობენ საერთო საშხაპით. საშხაპე არ არის გადატიხრული, ონკანებს შორის მანძილი შეადგენს ერთ მეტრს. საშხაპით სარგებლობა ერთდროულად შეუძლია 6 პატიმარს. კანალიზაციის სისტემა სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს მოხმარებული წყლის გამტარობას, რის გამოც საშხაპეში გუბდება წყალი. საშხაპეში არ ფუნქციონირებს ვენტილაცია.

საექიმო-სამედიცინო პუნქტი უზრუნველყოფილია საკმარისი ბუნებრივი და ხელოვნური განათებით. საკნები ცენტრალური სისტემით თბება. საექიმო-სამედიცინო პუნქტში არ არსებობს სავენტილაციო სისტემა, ასევე არ არის ონკანი და საპირფარეშო. აღნიშნულის გამო, პატიმრებს უწევთ დერეფანში განლაგებული საპირფარეშოსა და პირსაბანის გამოყენება. კედლების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. საექიმო-სამედიცინო პუნქტის საშხაპე და სამრეცხაო მოთავსებულია ერთ სივრცეში. ერთმანეთის გვერდზე განთავსებულია ორი შხაპი, რომელიც არ არის ერთმანეთისაგან ტიხრით გამოყოფილი.

სამედიცინო ნაწილში სამანიპულაციო ოთახის სანიტარული მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი. ამასთან, ოთახი მიმღები ოთახისგან მხოლოდ ფარდით არის იზოლირებული.

საკარანტინო ნაწილი შედგება 2 საკნისგან, რომელიც განკუთვნილია 28 და 38 პატიმრის მოსათავსებლად. საკანში იატაკი ბეტონისაა, დგას ორიარუსიანი საწოლები და ინდივიდუალური კარადები; თითოეულ საკანში არის 3 ფანჯარა, სადაც შიგნიდან დამონტაჟებულია რკინის ბადე, ხოლო გარედან გისოსები, რაც ზღუდავს საკნებში ბუნებრივი განათების შეღწევას და აფერხებს ჰაერის მოძრაობას; საკნებში ხელოვნური განათება არ არის დამაკმაყოფილებელი. არ არის ხელოვნური ვენტილაცია; საკნებში არის გათბობის სისტემა. თითოეულ საკანში იზოლირებულია სანიტარიულ-ჰიგიენური კვანძი. სამარტოო საკნებსა და საკარანტინო განყოფილებას გააჩნია საკუთარი სასეირნო ეზო, რომელიც ნახევრად გადახურულია და შემოღობილია რკინის ბოძებზე შეკიდული რკინის ბადით. პატიმრების განცხადებით, მათ ყოველდღიურად, საკვების მიღების შემდეგ, საშუალება აქვთ ერთი საათის განმავლობაში იმყოფებოდნენ სუფთა ჰაერზე.

დაწესებულების სამეურნეო სამსახურში ჩარიცხულ მსჯავრდებულთა საცხოვრებელი კორპუსი N5 ორსართულიანია. ორივე სართულზე განლაგებულია საცხოვრებელი საკნები. საცხოვრებელ ოთახებში მსჯავრდებულების არათანაბრად განაწილების გამო, პირველი სართულის საცხოვრებელი საკნები გადატვირთულია. აღნიშნული საკნები საჭიროებს რემონტს.

დაწესებულების სამზარეულოში მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები. აღსანიშნავია, რომ პრევენციის ეროვნული მექანიზმის მონიტორინგის ჯგუფის მიერ 2014 წლის თებერვალში განხორციელებული ვიზიტის დროს ადგილზე გაიცა რეკომენდაცია სამზარეულოში არსებული ცუდი პირობებისა და არადამაკმაყოფილებელი სანიტარიული მდგომარეობის აღმოფხვრის მიზნით სარემონტო სამუშაოების ჩატარების შესახებ. მისასალმებელია, რომ დაიწყო აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება და პრევენციის ეროვნული მექანიზმი იმედოვნებს, რომ სარემონტო სამუშაოები სრულყოფილად, გონივრულ ვადაში ჩატარდება.

სასჯელაღსრულების N14 დაწესებულებაში პატიმრებს დილიდან საღამომდე შეუძლიათ იმყოფებოდნენ საკნის გარეთ, სუფთა ჰაერზე. მიუხედავად ამისა, მონიტორინგის ჯგუფის შეფასებით, N6 კორპუსის ეზო მცირე ზომის გამო ვერ უზრუნველყოფს პატიმართა რეკრეაციას. ეზოში არ არის ვარჯიშისათვის საჭირო პირობები. პატიმრებს ხელი არც სპორტულ მოედანზე მიუწვდებათ.

სასჯელაღსრულების N17 დაწესებულება

სასჯელაღსრულების N17 დაწესებულებაში სხვადასხვა ტიპის საკნებია. თითოეული საკანი 10 (30.4მ^2), 12 (32მ^2), 18 (47მ^2) და 24 (55მ^2) პატიმარზეა გათვლილი. საცხოვრებელი საკნების ფართი უმრავლეს შემთხვევაში არ შეესაბამება საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად დადგენილ მოთხოვნას[99].

საცხოვრებელი კორპუსების საკნებს აქვს ორი გისოსებიანი ფანჯარა. N17 დაწესებულების საცხოვრებელი საკნები სარემონტოა. საკნებში საკმარისი ბუნებრივი და ხელოვნური განათებაა. საცხოვრებელ კორპუსებში არის გათბობის ცენტრალური სისტემა. საცხოვრებელ კორპუსში არსებული საპირფარეშოები პატარა ზომისაა, იზოლირებული, ჭერი და კედლები ნესტიანია, არ არის წყლის რეზერვუარი.

დაწესებულებაში ორი საკარანტინო საკანია, სადაც, არსებული ფართის და საწოლების გათვალისწინებით საკნის სრულად დატვირთვის შემთხვევაში უკიდურესი სივიწროვეა. კერძოდ, სრულად შევსების შემთხვევაში, თითოეულ საკარანტინო საკანზე მოდის 24 და 32 მსჯავრდებული, რაც ვერ უზრუნველყოფს ინფექციის კონტროლის მიზანს და შესაძლოა საკარანტინო საკანში მოთავსებულ მსჯავრდებულთა შორის ინფექციის გავრცელება მოჰყვეს.

ნახევრად ღია ტიპის საცხოვრებელი კორპუსების პატიმრებს 07:00-21:00 საათებში შეუძლიათ ისარგებლონ გასეირნების უფლებით, ტელეფონით, დაკავდნენ სპორტული აქტივობებით. დახურული ტიპის საცხოვრებელ კორპუსში განთავსებულ მსჯავრდებულს შეუძლიათ დღის განმავლობაში ისარგებლონ 1 საათიანი გასეირნების უფლებით.

ნახევრად ღია ტიპის საცხოვრებელი კორპუსების სასეირნო ეზოებში არის მაგიდები, სკამები, სპორტული მოედნები და ვარჯიშისთვის საჭირო ინვენტარი. სასეირნო ეზოებში არის საერთო ტიპის საპირფარეშო და ხელსაბანი. სპორტული და დასასვენებელი ინვენტარი არ არის დახურული ტიპის სარეჟიმო კორპუსის სასეირნო ეზოში. სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტის დროს I და II სარეჟიმო კორპუსების სასეირნო ეზოში არსებული საკანალიზაციო სისტემა დაზიანებული იყო და ეზოში იდგა წყლის გუბე.

მონიტორინგის ჯგუფმა დაათვალიერა დაწესებულების სარეჟიმო კორპუსების საშხაპე ოთახები. საშხაპე ოთახებში არ არის გათბობა, არ ფუნქციონირებს ცენტრალური სავენტილაციო სისტემა. საშხაპეებში დაზიანებულია მეტლახი. გაუმართავია წყლის გამწოვი სისტემა, რაც იწვევს წყლის დაგუბებას და სინესტეს.

---

[99] საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „ერთ მსჯავრდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა ყველა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში არ უნდა იყოს 4 კვ. მეტრზე ნაკლები“.

დაწესებულების დახურული ტიპის სარეჟიმო კორპუსის საშხაპეები არ არის იზოლირებული. საშხაპე ოთახში არ არის ხელოვნური და ბუნებრივი ვენტილაცია.

N17 დაწესებულების ადმინისტრაციის შენობის პირველ სართულზე არის საგამოძიებო ოთახები. აღნიშნულ ოთახებში გარდა საგამოძიებო ორგანოს წარმომადგენლებისა, პატიმრებს ხვდებიან ადვოკატები, სასულიერო პირები, საერთაშორისო ორგანიზაციების და სახალხო დამცველის წარმომადგენლები, ვისთანაც საუბრის კონფიდენციალურობა კანონით არის გარანტირებული. სულ 4 საგამოძიებო ოთახია, ყველა ოთახში დამონტაჟებულია სათვალთვალო კამერა. პატიმართა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საგამოძიებო ოთახებში არსებული სათვალთვალო კამერების საშუალებით მიმდინარეობს მათი საუბრის აუდიო-ვიდეო ჩაწერა, რაც უარყოფითად მოქმედებს პატიმართა გახსნილობაზე და საუბრის დროს გარკვეულწილად ზღუდავს მათ.

საგამოძიებო ოთახებში არ არის ხელოვნური ვენტილაცია. ყველა ოთახს აქვს ერთი მეტალო-პლასტმასის ფანჯარა, რომელიც უზრუნველყოფს საკმარისი ბუნებრივი ვენტილაციით. საგამოძიებო ოთახები უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით, საკმარისი ბუნებრივი და ხელოვნური განათებით.

სასჯელაღსრულების N15 დაწესებულება

სასჯელაღსრულების N15 დაწესებულების საკნების ფართობია 12 მ^2; 13 მ^2; 17 მ^2; 18 მ^2, და ისინი 6 პატიმარზეა გათვლილი. ძირითად საცხოვრებელ საკნებში არსებული ფართი არ შეესაბამება საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად დადგენილ მოთხოვნას[100].

საკნებში არსებული ბუნებრივი განათება არ არის საკმარისი, ამიტომ მუდმივად ჩართულია ხელოვნური განათება. საცხოვრებელ კორპუსებში არსებული ცენტრალური გათბობის სისტემა სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს საცხოვრებელი საკნების გათბობას, ამიტომ მსჯავრდებულებს უწევთ ელექტროგამათბობლების შეძენა, რაც დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული.

საკარანტინო და სამარტოო საკნები განლაგებულია დახურული ტიპის საცხოვრებელ კორპუსში. სულ 14 სამარტოო საკანია, რომელთაგან სამში დამონტაჟებულია ვიდეოთვალი. საკნების ფართობი 10 მ^2-ს შეადგენს. ყველა საკანში არის ერთი გისოსებიანი ფანჯარა, რომელიც ვერ უზრუნველყოფს სათანადო ბუნებრივ განათებასა და ვენტილაციას.

[100] საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „ერთ მსჯავრდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა ყველა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში არ უნდა იყოს 4 კვ. მეტრზე ნაკლები“.

დაწესებულებაში 5 საკარანტინო საკანია, თითოეულის ფართობი 22 მ²-ია. ყველა საკანში დგას 5 ორიარუსიანი საწოლი. საკნების სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. ყველა საკანს აქვს 1 ფანჯარა, რომელიც საკმარისად ვერ უზრუნველყოფს ბუნებრივ ვენტილაციას. აღსანიშნავია, რომ საკნის სრულად დატვირთვის შემთხვევაში წარმოიქმნება უკიდურესი სივიწროვე. რამდენიმე მსჯავრდებულის ერთ საკარანტინო საკანში მოთავსება, ვერ უზრუნველყოფს ინფექციის კონტროლის მიზანს და შესაძლოა საკარანტინო საკანში მოთავსებულ მსჯავრდებულთა შორის ინფექციის გავრცელება გამოიწვიოს.

ძირითადი საცხოვრებელი კორპუსის სასეირნო ეზოში არის სპორტული მოედანი. ეზოში არის გადახურული (200 მ²) ადგილი, სადაც არის სპორტული ინვენტარი. დახურული ტიპის კორპუსს აქვს 4 სასეირნო ეზო. თითოეული ეზოს ფართი არის 10 მ². სასეირნო ეზოებში დამონტაჟებულია სათვალთვალო კამერები. ეზოები არ არის გადახურული, მოუწესრიგებელია სანიაღვრე სისტემა.

საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე არის 4 საშხაპე ოთახი, რომელთაგან ერთი არ ფუნქციონირებს, ხოლო ერთში მონიტორინგის დროს მიმდინარეობდა რემონტი. სულ არის ტიხრით გამოყოფილი 80 საშხაპე კაბინა. საშხაპე ოთახებში არ არის ხელოვნური და ბუნებრივი ვენტილაცია. საშხაპეების სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. საშხაპე ოთახები საჭიროებს რემონტს. დახურული ტიპის კორპუსში არის 2 საშხაპე ოთახი. საშხაპეები არ არის იზოლირებული. შხაპის მიღება პატიმრებს შეუძლიათ კვირაში ორჯერ.

N15 დაწესებულების ადმინისტრაციის შენობის პირველ სართულზე არის ორი საგამოძიებო ოთახი. აღნიშნულ ოთახებში გარდა საგამოძიებო ორგანოს წარმომადგენლებისა, პატიმრებს ხვდებიან ადვოკატები, სასულიერო პირები, საერთაშორისო ორგანიზაციების და სახალხო დამცველის წარმომადგენლები, ვისთანაც საუბრის კონფიდენციალურობა კანონით არის გარანტირებული. ყველა საგამოძიებო ოთახში დამონტაჟებულია სათვალთვალო კამერა. პატიმართა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საგამოძიებო ოთახებში დამონტაჟებული სათვალთვალო კამერების საშუალებით მიმდინარეობს მათი საუბრის აუდიო-ვიდეო ჩაწერა, რაც უარყოფითად მოქმედებს პატიმართა გახსნილობაზე და საუბრის დროს გარკვეულწილად ზღუდავს მათ.

საგამოძიებო ოთახებში არ არის ხელოვნური ვენტილაცია. ყველა ოთახს აქვს ერთი მეტალო-პლასტმასის ფანჯარა, რომელიც უზრუნველყოფს საკმარისი ბუნებრივი ვენტილაციით. საგამოძიებო ოთახები უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით, საკმარისი ბუნებრივი და ხელოვნური განათებით.

სასჯელაღსრულების N2 დაწესებულება

საცხოვრებელ საკნებში ერთი პატიმრისთვის განკუთვნილი სივრცე 4 კვადრატულ მეტრზე ნაკლებია. საკნებში ბუნებრივი და ხელოვნური განათება დამაკმაყოფილებელია. ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობის სისტემა. გაუმართავია სავენტილაციო სისტემა. საპირფარეშოში მუშაობს გამწოვი მოწყობილობა. საკნებში დგას ორიარუსიანი საწოლები, ინდივიდუალური კარადები, მაგიდა და სკამები. პატიმრებს საკანში აქვთ ტელევიზორები. საკანში არის ცალკე გამოყოფილი სანიტარიულ-ჰიგიენური კვანძი. დაწესებულებაში პრობლემას წარმოადგენს ქალი პატიმრების პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებების ხელმისაწვდომობა.

N2 დაწესებულების საკარანტინო ნაწილში განლაგებულია 8 საკანი და საშხაპე. ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობის სისტემა. არასაკმარისია ხელოვნური ვენტილაცია. აღნიშნულ საკნებში პირობები ზოგადად დამაკმაყოფილებელია, თუმცა ერთი პატიმრისთვის განკუთვნილი სივრცე 4 კვადრატულ მეტრზე ნაკლებია. საკნებში ბუნებრივი და ხელოვნური განათება დამაკმაყოფილებელია, დგას ორიარუსიანი საწოლები, ინდივიდუალური კარადები, მაგიდა და სკამები. საკანში არის ცალკე გამოყოფილი სანიტარიულ-ჰიგიენური კვანძი.

სამარტოო საკნებში არსებული საცხოვრებელი პირობები, გარდა D კორპუსში არსებული სამარტოო საკნებისა, არადამაკმაყოფილებელია. D კორპუსში არსებული სამარტოო საკნები გამოიყენება მხოლოდ ამავე კორპუსში მცხოვრები პატიმრების მოსათავსებლად.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- **გაუქმდეს სასჯელაღსრულების N7 დაწესებულება**
- **მიიღოს ყველა საჭირო ზომა N3 დაწესებულების უწყვეტი წყალმომარაგების უზრუნველსაყოფად**
- **N5, N9 დაწესებულებებში შეიქმნას ხანგრძლივი პაემნისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა**
- **N2, N8[101], N14, N15, N17 დაწესებულებებში მყოფი თითოეული პატიმარი უზრუნველყონ 4 კვადრატული მეტრის ფართით**
- **N3, N8 დაწესებულებების საცხოვრებელი საკნებიდან გაიტანონ ზედმეტი საწოლები**
- **N2, N3, N5, N8 დაწესებულებებში უზრუნველყონ სათანადო ვენტილაცია**
- **N5 დაწესებულებაში საგამოძიებო ოთახებში დამონტაჟდეს ცენტრალური სავენტილაციო სისტემა**

[101] N8 დაწესებულების შემთხვევაში, იგულისხმება მრავალადგილიანი საკნები

- N14, N15 და N17 დაწესებულებების ძირითად საცხოვრებელ საკნებში, ასევე სამარტოო და საკარანტინო საკნებში უზრუნველყონ სათანადო ბუნებრივი და ხელოვნური ვენტილაცია
- N6, N9, N11, N12 დაწესებულებებში როგორც საცხოვრებელ, ასევე სამარტოო და საკარანტინო საკნებში, საგამოძიებო ოთახებსა და საშხაპე ოთახებში უზრუნველყონ სათანადო ხელოვნური ვენტილაცია
- N8 დაწესებულების საგამოძიებო ოთახებში დამონტაჟდეს გათბობის სისტემა და შეკეთდეს არსებული კონდიციონერები. საგამოძიებო ოთახებში დამონტაჟდეს ცენტრალური სავენტილაციო სისტემა
- N11 დაწესებულებაში ხანგრძლივი პაემნისათვის განკუთვნილ ოთახში ჩატარდეს შესაბამისი სარემონტო სამუშაოები
- N11 დაწესებულებაში საცხოვრებელ საკნებში აღმოიფხვრას სინესტის გამომწვევი მიზეზი და სათანადოდ გარემონტდეს
- ბოლო სართულზე არსებულ საკნებში წყლის ჩადინების თავიდან ასაცილებლად შეკეთდეს N8 დაწესებულების სარეჟიმო კორპუსების სახურავები
- N8 დაწესებულებაში მყოფ პატიმრებს მიეცეთ შესაძლებლობა, ისარგებლონ სუფთა ჰაერზე ყოფნის უფლებით დღის განრიგით გათვალისწინებულ დროს
- N8 დაწესებულების ტერიტორიაზე, მიწის ზედაპირის დონეზე მოეწყოს სასეირნო ეზო. სასეირნო ეზოში უზრუნველყონ სკამების, სავარჯიშო და სხვა საჭირო ინვენტარის დამონტაჟება
- N3, N14 დაწესებულებებში სასეირნო ეზოს მოსაწყობად სათანადო ფართი გამოიყოს, ეზო კი იმგვარად მოეწყოს, რომ შესაძლებელი გახდეს ფიზიკური ვარჯიში, უზრუნველყოს სპორტული მოედნის ხელმისაწვდომობა
- N5 დაწესებულების დედათა და ბავშვთა განყოფილებაში განახლდეს მოძველებული ინვენტარი
- N5 დაწესებულებაში პაემანზე მყოფი პირებისთვის უზრუნველყონ კონფიდენციალური გარემო სათანადო ფართით
- N17 დაწესებულებაში მოწესრიგდეს საკანალიზაციო სისტემა მთელი დაწესებულების ტერიტორიაზე
- N5, N15 და N17 დაწესებულებების საშხაპეებში მოწესრიგდეს საკანალიზაციო და სავენტილაციო სისტემები
- N8 დაწესებულებაში გარემონტდეს საშხაპე ოთახები და აღიჭურვოს სათანადო ინვენტარით
- N14 დაწესებულებაში და N17 დაწესებულების დახურული ტიპის საცხოვრებელ კორპუსში პრივატულობის უზრუნველსაყოფად, საშხაპე გადაიტიხროს
- N14 დაწესებულებაში, სამეურნეო ნაწილში ჩარიცხული პატიმრებისთვის განკუთვნილ N5 კორპუსში მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში ჩატარდეს სარემონტო სამუშაოები, ამასთან, აღნიშნული პატიმრები განთავსდნენ შესაბამის პირობებში
- N14 დაწესებულების სამედიცინო ნაწილში არსებული სამანიპულაციო ოთახი სათანადოდ განცალკევდეს მიმღები ოთახისაგან და დაცული იქნას სათანადო სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები

- **N2 დაწესებულებაში ქალი პატიმრები უზრუნველყონ პირადი ჰიგიენის დაცვისთვის საჭირო ყველა საშუალებით**
- **N2, N3, N5, N6, N9, N11, N12, N14, N15, N17, N18 და N19 დაწესებულებებში გამოიყოს ოთახი, სადაც საქართველოს სახალხო დამცველის/სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრს ნებისმიერ დროს ექნება საშუალება შეხვდეს პატიმარს ყოველგვარი მიყურადებისა და თვალთვალის გარეშე.**

დღის განრიგი და სარეაბილიტაციო აქტივობები

სახალხო დამცველმა თავის არაერთ ანგარიშში აღნიშნა, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არსებული პირობები უნდა უზრუნველყოფდეს პატიმრის რესოციალიზაციასა და რეინტეგრაციას საზოგადოებაში. მსჯავრდებულმა სასჯელის მოხდის პერიოდში უნდა მიიღოს ან გააღრმავოს მისთვის სასურველი და ხელმისაწვდომი განათლება და უნარ-ჩვევები, მიეცეს საშუალება მონაწილეობდეს სპორტულ, სახელოვნებო, ინტელექტუალურ, თუ სხვა სახის ღონისძიებებში. ეს ყოველივე აუცილებელია, რათა მსჯავრდებული სასჯელის მოხდის შემდგომ საზოგადოებას დაუბრუნდეს, როგორც სრულფასოვანი ადამიანი.

რესოციალიზაციის პროცესი კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს, რაც გულისხმობს კარგად გააზრებული სამოქმედო გეგმის შემუშავებას, რომელიც ზოგადი ხასიათის ღონისძიებების გატარებასთან ერთად, ინდივიდუალურ მიდგომასაც ითვალისწინებს. რესოციალიზაციის ძირითადი საშუალებები, რომელთა გამოყენებაც ხდება დანიშნული სასჯელის, ჩადენილი დანაშაულის, დამნაშავის პიროვნების, მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობისა და ქცევის გათვალისწინებით, ესენია სასჯელის მოხდა დადგენილი წესის შესაბამისად, სარეაბილიტაციო პროგრამები, მსჯავრდებულთა დასაქმება, ზოგადი და პროფესიული განათლების მიღება და საზოგადოებასთან ურთიერთობა.

ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის შენარჩუნების მიზნით ყველა დაწესებულებაში პატიმრები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ დასვენებისა და კულტურული საქმიანობის შესაძლებლობით.[102] ევროპული ციხის წესების თანახმად, ყოველი სასჯელაღსრულების დაწესებულება უნდა ცდილობდეს, რომ პატიმრები უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამების ხელმისაწვდომობით, რომლებიც იქნება შეძლებისდაგვარად მრავალმხრივი და უპასუხებს პატიმართა ინდივიდუალურ საჭიროებებს მათი მისწრაფებების გათვალისწინებით.[103]

---

[102] პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, წესი 78.
[103] ევროპული ციხის წესები, წესი 28.1.

2014 წლის მანძილზე სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განხორციელდა და ამ ეტაპზეც ხორციელდება სხვადასხვა სახის პროფესიული და სახელობო კურსები. მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისათვის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ჩატარდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები, კერძოდ, ლექსების კრებულთა პრეზენტაცია, სპექტაკლები, კინოჩვენებები, პოეზიის საღამოები და სხვა სახის ღონისძიებები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სარეაბილიტაციო პროგრამები განხორციელდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N2, N 5, N8, N11, N12, N14, N15, N17 დაწესებულებებში, პატიმრებს საშუალება ჰქონდათ მიეღოთ მონაწილეობა კულტურულ ღონისძიებებში, დაუფლებოდნენ ზოგად/პროფესიულ განათლებას და შეესწავლათ სხვადასხვა ხელობები. ამ კუთხით ყველაზე კარგი მაგალითია სასჯელაღსრულების N5 და N11 დაწესებულება.

N5 დაწესებულება			N11 დაწესებულება	
N	დასახელება	მონაწილეთა ოდენობა	დასახელება	მონაწილეთა ოდენობა
1	გიტარაზე დაკვრის შემსწავლელი კურსი	17	კომპიუტერის საოფისე პროგრამები	22
2	სტილისტი	42	„ ბიბლიო- თერაპია “	9
3	ვიზაჟისტი	13	ფსიქო-განათლება	3
4	ქარგვა	38	ართ-თერაპია	12
5	მებაღეობა	24	ეფექტური კომუნიკაციის ტრენინგი	19
6	სანერგე მეურნეობა	12	ქცევა და პასუხისმგებლობა, სოციალური უნარები და პოზიტიური ქცევის კულტურა	7
7	„მცირე ბიზნესის წარმოება“	23	ტრენ. „სასიცოცხლო უნარები“	6
8	ტყავის აქსესუარების სპეციალისტი	18	EQUIP”-სოციალური უნარების ათვისება და სხვა	20
9	გობელინი	17	ხეზე ჭრა	46
10	სასტუმროს მენეჯმენტი	21	ხის კვეთა, ხის მხატვრული დამუშავებისა და დიზაინის შემსწავლელი კურსი	19
11	ქართული ენის შემსწ. კურსი ეთნიკური უმცირესობისთვის	16	ტრენინგი ჯანსაღი ცხოვრების წესი	11
12	კოსმეტოლოგია	40	ხატვის შემსწავლელი წრე	14
13	კომპიუტერის საოფისე პროგრამები	30	CV, სამოტივაციო წერილის წერა და გასაუბრებისთვის	12

			მომზადება	
14	ჭრა-კერვა	29	გიტარაზე დაკვრის შემსწავლელი წრე	16
15	მასაჟი	16	„დებატების ჯგუფი“	9
16	თექისა და ბატიკის შემსწავლელი კურსი	19	მინანქარი	20
17	ბანგკოკის წესების შესახებ ტრენინგი	41	მცირე ბიზნესის შემსწავლელი წრე	18
18	სამოქალაქო განათლების ტრენინგი	33	ცხოვრებისეული ფასეულობების შემსწავლელი კურსი	24
19	ემოციური აგრესიისა და სტრესის მართვა	8	ფეხბურთის წრე	40
20	ბავშვის განვითარება და მასთან დაკავშ. საკითხები	5	რაგბის წრე	35
21	ცხოვრების ჯანსაღი წესი	20	ჰიპ-ჰოპის შემსწავლელი წრე	4

საანგარიშო პერიოდში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N3, N7, N9, N18 დაწესებულებებში სარეაბილიტაციო პროგრამები საერთოდ არ განხორციელებულა. მიუხედავად იმისა, რომ N18 და N19 დაწესებულებები[104] წარმოადგენს სამკურნალო დაწესებულებებს[105] იქ არსებულ ცალკეულ განყოფილებებში პატიმრები თავსდებიან ხანგრძლივი დროით, ამდენად, მნიშვნელოვანია ამ დაწესებულებებში გარკვეული აქტივობების დანერგვა.

2014 წლის ოქტომბერში, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N3 დაწესებულებაში განხორციელებული მონიტორინგის დროს, დადგინდა, რომ დაწესებულებაში პრაქტიკულად არ ხორციელდება ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო აქტივობები. ამგვარ აქტივობათა განსახორციელებლად დაწესებულებაში არ არსებობს საკმარისი რესურსი. მიუხედავად რესურსების სიმწირისა, დაწესებულების ფსიქოლოგი ცდილობს განახორციელოს გარკვეული აქტივობები. ფსიქოლოგის გასაუბრება პატიმართან ძირითადად მიმდინარეობს ერთ-ერთ საგამოძიებო ოთახში, სადაც არ არსებობს შესაბამისი თერაპიული გარემო. დაწესებულებაში პრაქტიკულად შეუძლებელია ჯგუფური თერაპიის ჩატარება. მონიტორინგის ჯგუფის შეფასებით, სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში პატიმრებს არ გააჩნიათ შესაძლებლობა დაკავდნენ რაიმე ღირებული, მათთვის საინტერესო აქტივობით, რაც უარყოფითად აისახება მათ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე. ამასთან,

[104] N19 ტუბერკულოზით დაავადებულ პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში წლის მანძილზე ჩატარდა ლიტერატურული კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სამმა მსჯავრდებულმა, ასევე განხორციელდა პროექტი „პატიმრის წერილი ბავშვებს“, რომელშიც ჩართული იყო მხოლოდ 2 მსჯავრდებული.

[105] N18 დაწესებულება – მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულება, ხოლო N19 დაწესებულება ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრი.

ამგვარი მდგომარეობა დაწესებულებაში ქმნის არაჯანსაღ, სტრესულ გარემოს, რაც უარყოფითად აისახება პატიმრებსა და დაწესებულების თანამშრომლებს შორის არსებულ ურთიერთობაზე, ასევე დაწესებულებაში წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფაზე.[106]

მართალია, საანგარიშო პერიოდში სასჯელაღსრულების N6 დაწესებულებაში მიმდინარეობდა კომპლექსური სარემონტო სამუშაოები, თუმცა იქ სასჯელს მაინც იხდიდა პატიმრების გარკვეული რაოდენობა. მიუხედავად ამისა, დაწესებულებაში მხოლოდ 1 შემეცნებითი-საგანმანათლებო პროგრამა - „ქრისტიანულ თემატიკაზე საუბრები“ - განხორციელდა, რომელიც გაგრძელდა 2 თვე და ჩართული იყო 10 პატიმარი. ქვემოთ, ცხრილში მოცემულია სხვადასხვა დაწესებულებებში განხორციელებული აქტივობების და ამ აქტივობებში ჩართული პატიმრების რაოდენობა.

N	რეაბილიტაცია/რესოციალიზაცია დაწესებულებების მიხედვით	N2	N8	N12	N14	N15	N17
1.	პროექტი „ვიკითხოთ წიგნი პატრიარქის კურთხევით“	10	0	0	0	0	0
2.	ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“	34	14	12	0	0	0
3.	ეტალონი	0	11	14	0	0	0
4.	პროექტი „მზადება თავისუფლებისთვის“	25	80	36	0	35	45
5.	პროექტი „ემოციური აგრესიისა და სტრესის მართვა“	0	0	8	0	0	10
6.	პროგრამა „ფსიქოლოგიური საუბრები გისოსებს მიღმა“	7	0	0	0	0	0
7.	კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელი კურსები	10	0	60	0	0	0
8.	კონკურსი „ლოგო ჩემი, მოწონება შენი“	6	0	0	0	0	0
9.	პროგრამა „ჯანსაღი ცხოვრების წესი“	0	0	18	0	0	20
10.	„ართ-თერაპია“	არასრულწ.	0	0	0	0	0
11.	წიგნის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება	24	0	0	0	0	0
12.	პროექტი „სამოქალაქო განათლების პროგრამა“	0	0	11	0	58	0
13.	ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი	30	0	0	0	0	0
14.	ბიზნესის მწარმოებლის კურსი	0	0	0	18	29	34
15.	ხეზე კვეთის შემსწავლელი კურსი	12	0	0	0	0	30
16.	ხატწერის შემსწავლელი კურსი	3	0	0	0	0	0
17.	ქარგვის შემსწავლელი კურსი	5	0	0	0	0	0
18.	თერაპია	0	0	0	29	0	0
19.	პოეზიის საღამო	0	8	0	0	0	0
20.	„ოჯახური ტიპის მცირე სასტუმროს მენეჯმენტი“	0	0	12	0	0	0
21.	კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელი კურსი	0	21	60	60	0	0

[106] სახალხო დამცველის ანგარიში სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ, http://www.ombudsman.ge/ge/reports/specialuri-angarishebi/angarishi-sasdjelagsrulebis-n3-dawesebulebashi-vizitis-shesaxeb.page

22.	ელექტროობის შემსწავლელი კურსი	0	0	0	0	34	0
23.	მინანქრის შემსწავლელი კურსი	0	0	0	0	0	26
24.	სანერგე მეურნეობა	0	0	0	0	0	23
25.	სასტუმროს საქმის მწარმოებლის შემსწავლელი კურსი	0	0	0	0	17	0
26.	ფსიქო-სოციალური პროგრამები	0	0	0	379	0	0

გარდა ცხრილებში მოყვანილი სხვადასხვა სარეაბილიტაციო აქტივობებისა, სასჯელაღსრულების N2, N5, N8, N11, N12, N14, N15, N17 დაწესებულებებში ჩატარდა რამდენიმე კულტურული/სპორტული ღონისძიება, მათ შორის წიგნის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება; მწერლებთან და სხვა ცნობილ ადამიანებთან შეხვედრა; ფილმების ჩვენება; ტურნირი ჭადრაკში, ფეხბურთში, შაშში, მაგიდის ჩოგბურთში. უდავოდ მისასალმებელია აღნიშნული პროგრამებისა და სხვადასხვა ღონისძიებების არსებობა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, თუმცა აუცილებელია ეს პროგრამები და ღონისძიებები სისტემატიურ ხასიათს ატარებდეს და მრავლად იყოს წარმოდგენილი განსაკუთრებით დახურული ტიპის დაწესებულებებში.

2013 წელს საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, უზრუნველეყო სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N6, N7 და N8 დაწესებულებებში მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის სხვადასხვა პროგრამების დანერგვა და განხორციელება. აღსანიშნავია, რომ ეს რეკომენდაცია მხოლოდ N8 დაწესებულების შემთხვევაში შესრულდა და ისიც ნაწილობრივ.

ცხრილში მოცემული მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სხვადასხვა აქტივობებში მსჯავრდებულთა ჩართულობა არადამაკმაყოფილებელია. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ თავის მხრივ შეთავაზებული აქტივობებიც არ არის მრავალფეროვანი. მნიშვნელოვანია, მსჯავრდებულთა გამოკითხვის გზით მოხდეს მათთვის საინტერესო აქტივობების იდენტიფიცირება და შემდგომში ამ აქტივობების შეთავაზება, ასევე ამ აქტივობებში მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად უფრო ხშირად უნდა იქნას გამოყენებული წახალისების ფორმები.

რეჟიმი, დისციპლინური პასუხისმგებლობა, წახალისება

დისციპლინური სახდელები

ევროპული ციხის წესების თანახმად, დისციპლინური სასჯელი გამოყენებულ უნდა იქნეს, როგორც უკიდურესი საშუალება.[107] ციხის ადმინისტრაციამ მედიაციის ყველა შესაძლებლობას უნდა მიმართოს, რათა მოაგვაროს საკამათო საკითხები პატიმრებთან და პატიმრებს შორის.[108] ნებისმიერი სასჯელის სიმკაცრე უნდა იყოს ჩადენილი დანაშაულის პროპორციული.[109] დასჯის თვალსაზრისით აკრძალულია კოლექტიური და ფიზიკური დასჯა, რომელიც ითვალისწინებს ბნელ საკანში პირის მოთავსებას, ასევე აკრძალულია არაადამიანური და ღირსების შემლახავი სხვა სახდელები.[110] მნიშვნელოვანია, რომ დისციპლინური სახდელი არ უნდა მოიცავდეს ოჯახთან კონტაქტის სრულად აკრძალვას.[111]

დისციპლინური სახდელების გამოყენება უნდა განხორციელდეს კანონის უზენაესობის პრინციპებიდან გამომდინარე და გაეროს პატიმართა მოპყრობის მინიმალურ წესებთან შესაბამისობაში. მნიშნელოვანია განისაზღვროს ის ქმედებები, რომლებიც იწვევენ დისციპლინურ პასუხისმგებლობას.[112]

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს, თუ რომელი დისციპლინური სახდელი უნდა დაეკისროს დამრღვევს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, რაც დაწესებულების ხელმძღვანელ პირებს საკმაოდ ფართო დისკრეციას აძლევს დისციპლინური სახდელის შერჩევის პროცესში და ზრდის სახდელების არაპროპორციულად გამოყენების რისკს. მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, რომ დისციპლინური სახდელების დაკისრებისას, დაწესებულების ადმინისტრაცია ყველაზე ხშირად იყენებს პატიმართა სამარტოო საკანში მოთავსებას, ამიტომ მნიშვნელოვანია განისაზღვროს, თუ რომელი დისციპლინური სახდელი უნდა დაეკისროს დამრღვევს კონკრეტული მოცულობის დისციპლინური დარღვევის ჩადენის შემთხვევაში, რათა ჩადენილი დისციპლინური დარღვევა იყოს შესაბამისი სახდელის პროპორციული.

2014 წელს, 2013 წელთან შედარებით, დისციპლინური სახდელების გამოყენების შემთხვევები გაორმაგდა. 2013 წელს დისციპლინური სახდელი გამოყენებული იყო 1 408 შემთხვევაში, ხოლო 2014 წელს - 2 972 შემთხვევაში. 2013 წლის საპარლამენტო ანგარიშში

---

[107] ციხის ევროპული წესები. წესი 56.1.
[108] იქვე, წესი 56.2.
[109] იქვე, წესი 60.2.
[110] იქვე, წესი 60.3.
[111] იქვე, წესი 60.4.
[112] პატიმართა მოპყრობის მინამალური სტანდარტული წესები, წესი 29 .

სახალხო დამცველმა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინიტრს მიმართა რეკომენდაციით შეემუშავებინათ დისციპლინური სახდელების გამოყენების სახელმძღვანელო პრინციპები, რათა შესაძლებელი ყოფილიყო დისციპლინური სახდელების ერთგვაროვანი გამოყენება სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში. სამწუხაროდ, სახალხო დამცველის ეს რეკომენდაცია არ შესრულდა. დღესდღეობით, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმრის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლად ყველაზე მეტად გამოიყენება შემდეგი დარღვევები: ხმაური, გადაძახილი, თანამშრომლისა თუ სხვა მსჯავრდებულის სიტყვიერი შეურაცხყოფა, თანამშრომლის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, სიით შემოწმებისას დაგვიანება ან არგამოცხადება, ტერიტორიის დანაგვიანება. სასჯელაღსრულების N8 დაწესებულებაში დისციპლინური დარღვევებისთვის გამოყენებული სხვადასხვა სახდელების ანალიზისას გამოიკვეთა, რომ დაწესებულების დირექტორი ერთი და იგივე დისციპლინური გადაცდომისთვის იყენებს სხვადასხვა სახის დისციპლინურ სახდელს. ასე მაგალითად, ხმაურისთვის პატიმარს დაწესებულების დირექტორის შეხედულებისამებრ ეკისრებოდა ქვემოთ, ცხრილში მოცემული ნებისმიერი სახდელი.

თვეები	**საყვედური**	**ტელევიზორის ჩამორთმევა**	**პაემნის შეზღუდვა**	**მაღაზიის შეზღუდვა**	**ამანათის შეზღუდვა**	**ტელეფონის შეზღუდვა**	**სამარტოო საკანი**
იანვარი	14	0	0	15	0	8	25
თებერვალი	11	0	0	8	0	12	32
მარტი	10	0	3	20	1	14	44
აპრილი	6	0	8	5	0	16	22
მაისი	14	0	0	11	1	9	40
ივნისი	17	0	13	25	19	10	42
ივლისი	7	0	5	12	2	30	51
აგვისტო	10	0	5	18	36	52	62
სექტემბერი	12	0	4	26	24	58	70
ოქტომბერი	10	43	4	17	37	99	71
ნოემბერი	9	8	6	28	25	80	49
დეკემბერი	8	26	1	3	32	51	57
სულ	**128**	**77**	**49**	**188**	**177**	**439**	**565**

ამავე დაწესებულებაში დისციპლინური სახდელის სახით ტელევიზორის ჩამორთმევა 2014 წლის 1 იანვრიდან 28 ნოემბრამდე გამოყენებულ იქნა მხოლოდ ოქტომბრისა და ნოემბრის თვეში. იმ პირობებში, როდესაც საკანში პატიმრებს გააჩნიათ ერთი ტელევიზორი, მიგვაჩნია, რომ დისციპლინური სახდელის სახით ტელევიზორის ჩამორთმევამ შესაძლოა კოლექტიური დასჯის ფორმა მიიღოს, თუ დისციპლინურ სახდელდადებული პირის თანამესაკნეებს გარკვეული ხანი არ მიეცემათ შესაძლებლობა შეიძინონ და იქონიონ ტელევიზორი, ხოლო თუ თანამესაკნეები შეიძენენ ტელევიზორს, მაშინ დისციპლინური სახდელის სახით

ტელევიზორის ჩამორთმევას აზრი ეკარგება, შესაბამისად, აზრი ეკარგება ასეთი სახდელის გამოყენებასაც. ამ სახდელის გამოყენება[113] შესაძლოა განსაკუთრებით მძიმედ აისახოს განცალკევებული (საკანში მარტო მოთავსებული) პატიმრების კეთილდღეობაზე. დახურულ დაწესებულებაში სარეაბილიტაციო, სპორტული და კულტურული აქტივობების სიმწირის პირობებში ტელევიზორი ერთ-ერთ ძირითად თავშესაქცევს და ამავდროულად ინფორმაციის ძირითად წყაროს წამოადგენს პატიმრებისათვის. ამდენად, უნდა გადაიხედოს ამ სახდელის გამოყენების ახლად დამკვიდრებული პრაქტიკა. ასევე მნიშნველოვანია, რომ დისციპლინური სახდელების გამოყენებისას დაწესებულების დირექტორმა მაქსიმალურად შეიკავოს თავი იმ სახდელის გამოყენებისგან, რომელიც ზღუდავს კავშირს ოჯახის წევრებთან.

ტელევიზორის ქონასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულების თანახმად ის მოიაზრება, როგორც წახალისების ფორმა.[114] ბრალდებულთა შემთხვევაში, ტელევიზორით სარგებლობა ბრალდებულს შეუძლია ადმინისტრაციის ნებართვით.[115] მიგვაჩნია, რომ ტელევიზორით სარგებლობა არ უნდა იყოს დამოკიდებული ადმინისტრაციის კეთილ ნებაზე. ყველა ბრალდებულს/მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს ტელევიზორით ყოველგვარი წინასწარი ნებართვის გარეშე სარგებლობის უფლება და დაწესებულების დირექტორს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, წინასწარ მკაფიოდ განსაზღვრული საფუძვლების არსებობისას, დასაბუთებული გადაწყვეტილებით უნდა შეეძლოს აღნიშნული უფლების გარკვეული ვადით შეზღუდვა.

სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან მიღებული მონაცემების თანახმად, ბრალდებულის/მჯავრდებულის მიმართ ყველაზე მეტად გამოყენებად დისციპლინურ სახდელს სამარტოო საკანში მოთავსება წარმოადგენს. სასჯელაღსრულების N14 დაწესებულებიდან მიღებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, დისციპლინური სახდელის გამოყენების 124 შემთხვევიდან პატიმართა მიმართ 120 შემთხვევაში სამარტოო საკანში მოთავსება, რაც ეწინააღმდეგება პატიმრობის კოდექსის 88-ე მუხლის პირველ ნაწილს, რომლის თანახმადაც, სამარტოო საკანში მოთავსება, როგორც დისციპლინური სახდელი, გამოიყენება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში.

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სამარტოო საკანში მოთავსების პრაქტიკა მოცემულია ქვემოთ, ცხრილში.

---

[113] პატიმრობის კოდექსის 82-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას 6 თვემდე ვადით.

[114] თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულების 74-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი.

[115] პატიმრობის დაწესებულების დებულების 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

დაწესებულება	სამარტოო საკანში მოთავსება	სხვა სახდელები	სულ
N2	127 (60,5 %)	83 (39,5%)	210
N3	55 (67,1 %)	27 (32,9 %)	82
N5	3 (5,4 %)	52 (94,6 %)	55
N6	37 (60,6 %)	24 (39,4 %)	61
N7	0	145 (100 %)	145
N8	565 (34,8 %)	1058 (65,2 %)	1623
N9	0	3 (100 %)	3
N11	0	5 (100 %)	5
N12	5 (41,6 %)	7 (58,4 %)	12
N14	120 (96,8 %)	4 (3,2 %)	124
N15	119 (47,6 %)	131 (52,4 %)	250
N17	74 (23,6 %)	239 (76,4 %)	313
N18	0	48 (100 %)	48
N19	27 (65,8)	14 (34,2 %)	41
სულ	**1132 (38,1 %)**	**1840 (61,9 %)**	**2972**

წლის მანძილზე სასჯელაღსრულების N7 და N9 დაწესებულებებში სამარტოო საკანი არ ფუნქციონირებდა და შესაბამისად დისციპლინური სახით სამარტოო საკანში მოთავსება არც ერთ პატიმარს არ დაკისრებია. სამარტოო საკანი, დაწესებულების სპეციფიკიდან გამომდინარე, არ არის N11 და N18 დაწესებულებებში. ცხრილში მოცემული მაჩვენებლების ანალიზი ცხადყოფს, რომ დისციპლინური სახდელების გამოყენების შემთხვევათა მთლიან მაჩვენებელში სამარტოო საკანში მოთავსების შემთხვევათა ხვედრითი წილი ყველაზე მაღალია სასჯელაღსრულების N14, N3, N19, N6, და N2 დაწესებულებებში. ამასთან, აღნიშნულ დაწესებულებებში სამარტოო საკანში მოთავსების შემთხვევათა ხვედრითი წილი 60% აღემატება, ხოლო N14 დაწესებულების შემთხვევაში კი 96,8 % შეადგენს.

საქართველოს პატიმრობის კოდექსის 88-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სამარტოო საკანში მოთავსებულს ეკრძალება ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნები, სატელეფონო საუბარი, კვების პროდუქტების შეძენა, რაც შესაბამისად, პრაქტიკაშიც ხორციელდება. წამების საწინააღმდეგო ევროპულმა კომიტეტმა საქართველოს ხელისუფლებას მისცა რეკომენდაცია, „გაატაროს ზომები, რომ პატიმრის დისციპლინურ საკანში მოთავსება არ აკარგვინებდეს მას ოჯახთან ურთიერთობის საშუალებას. ნებისმიერი აკრძალვა ოჯახთან

კონტაქტისა, როგორც სასჯელის ფორმა, უნდა დაიშვებოდეს მხოლოდ მაშინ, როცა ამგვარ კონტაქტებს დანაშაული უკავშირდება."[116] აღნიშნულთან დაკავშირებით, 2012 წელს სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტს პატიმრობის კოდექსში შესაბამისი ცვლილებების შეტანის წინადადებით მიმართა, ხოლო 2013 წელს, საპარლამენტო ანგარიშშიც ხაზგასმით აღნიშნა, რომ აუცილებელი იყო ამ მუხლის შეცვლა, თუმცა, პატიმრობის კოდექსის 88-ე მუხლში ამ დრომდე ცვლილება არ განხორციელებულა.

სასჯელაღსრულების N14 დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის დროს მონიტორინგის ჯგუფმა მიიღო ინფორმაცია სამარტოო საკნებში ექიმის ხელმისაწვდომობის პრობლემასთან დაკავშირებით. ასე მაგალითად, ერთ-ერთ სამარტოო საკანში მოთავსებულ მსჯავრდებულს დისციპლინური სახდელის სახით შეფარდებული ჰქონდა 3 დღით სამარტოო საკანში მოთავსება. მსჯავრდებულს ჰქონდა ჯანმრთელობის, მათ შორის, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები. ფსიქიკურ პრობლემებთან დაკავშირებით მსჯავრდებულს დანიშნული ჰქონდა მედიკამენტები- „დიაზეპამი" და „ტიზერცინი". მსჯავრდებულის განმარტებით, ის დიდი ხანი ელოდა სამედიცინო პერსონალის მიერ აღნიშნული მედიკამენტების მიწოდებას, რის გამოც, პროტესტის ნიშნად საკნის კარზე დაიწყო ბრახუნი, რაც შემდგომში გახდა მისი დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი. მსჯავრდებულის განცხადებით, სამარტოო საკანში მასთან ექიმი არ მისულა.[117]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის განჩინებაში საქმეზე კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ (Kudla v. Poland) განმარტავს, რომ „კონვენციის მე-3 მუხლი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას დაიცვას თავისუფლებააღკვეთილი პირის ფიზიკური ჯანმრთელობა." სასამართლოს არაერთი განჩინების მითითებით, „შესაბამისმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ დიაგნოზი და მკურნალობა იყოს დროული და ზუსტი და სამედიცინო პერსონალის მიერ გაწეული ზედამხედველობა იყოს რეგულარული და სისტემატიური ხასიათის და მოიცავდეს სრულ თერაპიულ სტრატეგიას"[118].

2007 სტამბულის განცხადების შესაბამისად, სამარტოო საკნის გამოყენების შესახებ[119] მისი გამოყენება სრულად უნდა აიკრძალოს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პატიმრებთან. სამწუხაროდ, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმართა

---

[116] წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის მოხსენება 2010 წლის 5-15 თებერვალს საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შესახებ, პარ. 115. იხ. ბმული: http://www.cpt.coe.int/documents/geo/2010-27-inf-eng.htm [ბოლოს ნანახია 12.03.2014].

[117] იხილეთ სახალხო დამცველის ანგარიში სასჯელაღსრულების N14 დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ, იხ. ბმული: http://www.ombudsman.ge/ge/reports/specialuri-angarishebi/angarishi-sasdjelagsrulebis-n14-dawesebulebashi-vizitis-shesaxeb-2014-wlis-19-20-oqtomberi.page .

[118] Inter alia ჯაში საქართველოს წინააღმდეგ (Jashi v. Georgia), 2013 წლის 8 იანვრის განჩინება, პარ. 61.

[119] International Psychological Trauma Symposium (2007), The Istanbul Statement on the use and effects of solitary confinement.

სამარტოო საკანში მოთავსების ფაქტი გამოვლინდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N3, N14 და N17 დაწესებულებებში. განხორციელებული მონიტორინგების შედეგად, დადგინდა, რომ დაწესებულების ხელმძღვანელი პირები ნაკლებად თანამშრომლობენ და ითვალისწინებენ სამედიცინო პერსონალის რეკომენდაციებს ამა თუ იმ პატიმრის სამარტოო საკანში მოთავსების საკითხის განსაზღვრის პროცესში. აღნიშნული კი დიდი რისკის ქვეშ აყენებს ფსიქიკური პრობლემებისა თუ სუიციდური პატიმრის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ქართული კანონმდებლობის თანახმად, „ადმინისტრაცია ვალდებულია სამედიცინო პერსონალს აცნობოს სამარტოო საკანში პირის მოთავსების შესახებ. სამარტოო საკანში პირი უნდა იყოს სამედიცინო პერსონალის ყოველდღიური, განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ. აუცილებლობის შემთხვევაში სამარტოო საკანში ყოფნის ხანგრძლივობა შეიძლება შემცირდეს ექიმის დასკვნის საფუძველზე.“ [120]

საანგარიშო პერიოდში სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმრების მიმართ სულ გამოყენებულ იქნა 2 972 დისციპლინური სახდელი, აქედან განკარგულება დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ მხოლოდ სამმა მსჯავრდებულმა გაასაჩივრა.[121] საყურადღებოა ის ფაქტი, რომ წლის მანძილზე სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ პატიმრები დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ ბრძანების გასაჩივრებისგან თავს იკავებენ იმ მიზეზით, რომ მათი განმარტებით – აზრი არ აქვს გასაჩივრებას.

2014 წლის ნოემბრის თვეში, სასჯელაღსრულების N8 დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში მონიტორინგის ჯგუფმა დაათვალიერა ამავე დაწესებულების სამარტოო საკნები და გაესაუბრა იქ მოთავსებულ პატიმრებს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სამარტოო საკანში მოთავსებულ მსჯავრდებულებს არ ჰქონდათ პირადი ჰიგიენის ნივთები, აღნიშნული ნივთები მათ მხოლოდ მონიტორინგის ჯგუფის წევრების მიერ დაწესებულების პასუხისმგებელ თანამშრომელთან გასაუბრების შემდეგ გადაეცათ. აქვე უნდა აღნიშნოს, რომ სამარტოო საკანში მოთავსებულ პატიმართა ცნობით, მათ არ უსარგებლიათ არც შხაპის მიღებისა და სუფთა ჰაერზე ყოფნის უფლებით. დაწესებულების პასუხისმგებელი თანამშრომლის განმარტებით, სამარტოო საკანში მოთავსებული პატიმრები იშვიათად სარგებლობენ შხაპის მიღებისა და სუფთა ჰაერზე ყოფნის უფლებით, თუმცა ვერ წამოადგინა რაიმე სახის დოკუმენტი, რომელიც სამარტოო საკანში მოთავსებულ პატიმართა მიერ აღნიშნული უფლებებით სარგებლობას ან ამ უფლებებით სარგებლობაზე პატიმართა მიერ უარის თქმის ფაქტს დაადასტურებდა.

ანალოგიურად, 2014 წლის ოქტომბერში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N3 დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის დროს, მონიტორინგის ჯგუფმა დაადგინა,

[120] პატიმრობის კოდექსი, 88-ე მუხლი, ნაწილი 6.
[121] სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N6, N8 და N9 დაწესებულებები.

რომ სამარტოო საკანში მოთავსებული პატიმრები არ გაჰყავთ სუფთა ჰაერზე, ხელი არ მიუწვდებათ სამედიცინო სერვისებზე, ხოლო სამარტოო საკანში ცუდი პირობებია. სამარტოო საკანში (სულ 4 საკანი, ფართობი: 7 მ², 6.3 მ², 5.8 მ² და 6 მ²) ბეტონის იატაკზე დამონტაჟებულია პატარა მაგიდა და სკამი, კედელზეა დამაგრებული საწოლი; საპირფარეშო იზოლირებული არ არის; საკნებში არის ერთი მცირე ზომის სარკმელი, რომლებიც არ იღება; საკნებში არ ხდება ჰაერის ბუნებრივი და ხელოვნური ვენტილაცია, შემოწმების დროს საკანში არ მოდიოდა წყალი, იდგა გაუსაძლისი სუნი. პატიმრებს არ აძლევდნენ ლეიბსა და თეთრეულს და უწევდათ საწოლის მყარ ზედაპირზე წოლა.[122] ამავე დაწესებულების იურისტის განმარტებით, კანონმდებლობით[123] ზუსტად არ არის განსაზღვრული, ეკუთვნის თუ არა სამარტოო საკანში მოთავსებულ პატიმარს ლეიბი და თეთრეული. ზემოაღნიშნული ორივე შემთხვევაში დაირღვა საქართველოს პატიმრობის კოდექსის 21-ე [124] და 22-ე [125] მუხლებით გათვალისწინებული უფლებები[126].

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაწესებულებებიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში 2014 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდა 4 მსჯავრდებულს, აქედან 3 მსჯავრდებულს N7 დაწესებულებაში, ხოლო ერთს - N15 დაწესებულებაში. ოთხივე შემთხვევაში ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა 10 დღეს შეადგენდა. ზემოაღნიშნული შემთხვევებიდან სააპელაციო

---

[122] იქვე, ანგარიში სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ, იხ. ბმული: http://www.ombudsman.ge/ge/reports/specialuri-angarishebi/angarishi-sasdjelagsrulebis-n3-dawesebulebashi-vizitis-shesaxeb.page.

[123] საქართველოს კანონი, პატიმრობის კოდექსი, მუხლი 88, ნაწილი 4: „სამარტოო საკანი უნდა იყოს განათებული და ვენტილაციით უზრუნველყოფილი; ბრალდებულს/მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს სკამი და საწოლი. მას უფლება აქვს, მოთხოვნის შემთხვევაში მიიღოს საკითხავი მასალა“.

[124] პატიმრობის კოდექსი, 21-ე მუხლი: 1. ბრალდებულს/მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, დაიკმაყოფილოს ბუნებრივი ფიზიოლოგიური მოთხოვნები და დაიცვას პირადი ჰიგიენა პატივისა და ღირსების შეულახავად; 2. როგორც წესი, ბრალდებული/მსჯავრდებული უზრუნველყოფილი უნდა იყოს შხაპის კვირაში ორჯერ მიღების შესაძლებლობით, ასევე საპარიკმახერო მომსახურებით არანაკლებ თვეში ერთხელ. ადმინისტრაციას ეკრძალება მოსთხოვოს ბრალდებულს/მსჯავრდებულს თმის მთლიანი გადაპარსვა, თუ არ არსებობს ექიმის მოთხოვნა ან ჰიგიენური აუცილებლობა.

[125] პატიმრობის კოდექსი, 22-ე მუხლი, 3 ნაწილი: ბრალდებულს/მსჯავრდებულს პირად სარგებლობაში უნდა ჰქონდეს საწოლი და თეთრეული, რომელიც მას უნდა გადაეცეს სუფთა და დაუზიანებელი. ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს თეთრეულის სისუფთავე.

[126] პატიმრობის კოდექსი, 21-ე მუხლი: 1. ბრალდებულს/მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, დაიკმაყოფილოს ბუნებრივი ფიზიოლოგიური მოთხოვნები და დაიცვას პირადი ჰიგიენა პატივისა და ღირსების შეულახავად; 2. როგორც წესი, ბრალდებული/მსჯავრდებული უზრუნველყოფილი უნდა იყოს შხაპის კვირაში ორჯერ მიღების შესაძლებლობით, ასევე საპარიკმახერო მომსახურებით არანაკლებ თვეში ერთხელ. ადმინისტრაციას ეკრძალება მოსთხოვოს ბრალდებულს/მსჯავრდებულს თმის მთლიანი გადაპარსვა, თუ არ არსებობს ექიმის მოთხოვნა ან ჰიგიენური აუცილებლობა.

სასამართლოსათვის საჩივრით არცერთ პატიმარს არ მიუმართავს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წელს ადმინისტრაციული პატიმრობის მხოლოდ 1 შემთხვევა დაფიქსირდა.

2014 წლის ბოლოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ შემუშავებული, პატიმრობის კოდექსში შესატანი ცვლილებების თანახმად, იზრდება ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების საფუძველთა ჩამონათვალი. განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულებისთვის 90 დღე-ღამემდე ვადით ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდება შესაძლებელი ხდება შემდეგი სახის დისციპლინური დარღვევების დროს: 1) დაწესებულების მოსამსახურისა და სხვა უფლებამოსილი პირისათვის მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას დაუმორჩილებლობა ან სხვაგვარი წინააღმდეგობის გაწევა; 2) განზრახი ქმედების ჩადენა, რომელიც საფრთხეს უქმნის სხვა პირის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, აგრეთვე სხვა პირის ღირსებისა და ხელშეუხებლობის შელახვა; 3) ნებისმიერი სახის ინფორმაციის უკანონო ფორმით მიწოდება საკნიდან საკანში ან დაწესებულების გარეთ.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღნიშნული სამი სახის დისციპლინური დარღვევის ჩადენისათვის უფრო დაბალი რისკის დაწესებულებებში მოთავსებულ მსჯავრდებულს შეიძლება შეეფარდოს მაქსიმუმ 14 დღემდე[127] სამარტოო საკანში მოთავსება[128], ხოლო ადმინისტრაციული პატიმრობა 60 დღე-ღამემდე ვადით შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მსჯავრდებული დისციპლინური სახდელის მოქმედების ვადაში განმეორებით ჩაიდენს დისციპლინურ დარღვევას. აშკარაა, ერთი და იგივე ქმედებისთვის არსებითად განსხვავებული სახდელების შემოღების მიზეზს მსჯავრდებულის განსაკუთრებული რისკის პატიმრის სტატუსი წარმოადგენს. ამასთან, გაუგებარია, თუ რატომ არ შეიძლება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მიზანი განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მიღწეულ იქნას პატიმრობის კოდექსის მე-80 მუხლით გათვალისწინებული სახდელების გამოყენებით. გაურკვეველია, თუ რატომ შეიძლება იყოს ადმინისტრაციული პატიმრობა უფრო ეფექტიანი მაშინ, როდესაც მისი აღსრულება ხდება პრაქტიკულად განაჩენით დადგენილი სასჯელის ვადის ამოწურვის შემდეგ, ხოლო სხვა დისციპლინური სახდელების აღსრულება დაუყოვნებლივ. აშკარაა, რომ თვისობრივად ერთი და იგივე ქმედებისთვის შესაძლებელი ხდება აშკარად არაპროპორციული სახდელების გამოყენება. ამასთან, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს არ წარმოუდგენია დასაბუთებული და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოზიცია, თუ რატომ იქნება ადმინისტრაციული პატიმრობა განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის

[127] შემოთავაზებული ცვლილებით სამარტოო საკანში მოთავსების ვადა 20 დღიდან 14 დღემდე მცირდება, რაც მისასალმებელია.

[128] პატიმრობის კოდექსის 88-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამარტოო საკანში მოთავსება, როგორც დისციპლინური სახდელი, გამოიყენება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში.

დაწესებულებაში წესრიგის დაცვის სხვა დისციპლინურ სახდელებზე უფრო ეფექტიანი საშუალება. შესაბამისად, შემოთავაზებული ცვლილების მიღება გაუმართლებელია.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების სამართალწარმოება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებისათვის წარმოადგენს სისხლის სამართლის ბრალდების საქმეს.[129] შესაბამისად, პირი, რომლის მიმართაც მიმდინარეობს სამართალწარმოება ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შესახებ, სარგებლობს ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი მინიმალური უფლებებით[130]. სხვა უფლებათა შორის, მას უნდა ჰქონდეს საკმარისი დრო და საშუალება საკუთარი დაცვის მოსამზადებლად. ბრალდებულისათვის დაცვის მოსამზადებლად საკმარისი დროის მიცემის მოთხოვნა წარმოადგენს ნაჩქარევი სასამართლო განხილვისაგან დაცვის გარანტიას.[131] დროის საკმარისობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება საქმის არსი და სირთულე. სასამართლო სხდომის დროს გამოვლენილი ახალი გარემოების გამო ბრალდებულს უნდა მიეცეს დამატებითი დრო, რათა მან შეძლოს საკუთარი პოზიციის შესაბამისი ცვლილება.[132] ამისათვის კი მნიშვნელოვანია ბრალდებულს ჰქონდეს სასამართლო სხდომის გადადების მოთხოვნის უფლება[133], ასევე ზოგიერთ შემთხვევაში, მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, სასამართლომ საკუთარი ინიციატივით უნდა გადადოს სხდომა.[134]

პატიმრობის კოდექსის 90-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შესახებ განკარგულება გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში წარედგინება უფლებამოსილ სასამართლოს დაწესებულების ადგილმდებარეობის მიხედვით, რომელიც (ერთი მოსამართლე) ღია სასამართლო სხდომაზე განიხილავს განკარგულებას მისი წარდგენიდან 48 საათის განმავლობაში. საქმის განხილვის შემდეგ დასაბუთებული

---

[129] Ezeh and Connors v. the United Kingdom, Campbell and Fell v. the United Kingdom.

[130] მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ყოველ ბრალდებულს აქვს სულ მცირე შემდეგი უფლებები: a. მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ და დაწვრილებით გაცნონ წარმოდგენილი ბრალდების არსი და საფუძველი; b. ჰქონდეს საკმარისი დრო და საშუალებანი საკუთარი დაცვის მოსამზადებლად; c. დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით ან, თუ მას არ გააჩნია საკმარისი საშუალება იურიდიული მომსახურების ასანაზღაურებლად, უფასოდ ისარგებლოს ისეთი მომსახურებით ხაზინის ხარჯზე, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები; d. თვითონ დაკითხოს ან დააკითხვინოს მისი ბრალდების მოწმეები და, გამოაძახებინოს და დაკითხვინოს მისი დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეების თანაბარ პირობებში; e. ისარგებლოს თარჯიმნის უფასო დახმარებით, თუ მას არ შეუძლია სასამართლოში გამოყენებული ენა ან ილაპარაკოს ამ ენაზე.

[131] Kröcher and Möller v. Switzerland (dec), Bonzi v. Switzerland (dec), OAO Neftyanaya Kompaniya Yukos v. Russia, § 540.

[132] Miminoshvili v. Russia, § 141, Pélissier and Sassi v. France [GC], § 62, G.B. v. France, §§ 60-62.

[133] Galstyan v. Armenia, § 85, Campbell and Fell v. the United Kingdom, § 98.

[134] Sadak and Others v. Turkey (no. 1), § 57, Sakhnovskiy v. Russia [GC], §§ 103 and 106.

გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა იქნას გამოტანილი. აშკარაა, რომ პატიმრობის კოდექსით დადგენილი პროცედურის თანახმად, მსჯავრდებულს მაქსიმუმ 72 საათი აქვს, რათა საჭიროების შემთხვევაში, დაუკავშირდეს ადვოკატს, შეიმუშაოს დაცვის სტრატეგია, მოიპოვოს მტკიცებულებები და სასამართლოს წარუდგინოს საკუთარი პოზიცია. ამასთან, შეუძლებელია სასამართლოსათვის მიმართვიდან 48 საათიანი ვადის გასვლის შემდგომ სასამართლო სხდომის გადადება, ვინაიდან სასამართლომ გადაწყვეტილება, ნებისმიერ შემთხვევაში, 48 საათში უნდა მიიღოს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პატიმრობის კოდექსით დადგენილი პროცედურა არ შეესაბამება სამართლიანი სასამართლო განხილვის მოთხოვნებს და უნდა გადაიხედოს.

და ბოლოს, თუ ადმინისტრაციული პატიმრობა, როგორც სასჯელის ზომა დარჩება პატიმრობის კოდექსში, აუცილებელია გადაიხედოს პატიმრობის მაქსიმალური ვადა. მნიშვნელოვანია განისაზღვროს ადმინისტრაციული პატიმრობის ერთიანი სტანდარტი. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში 2014 წელს განხორციელებული ცვლილებების თანახმად, ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა 90 დღიდან შემცირდა 15 დღემდე, რაც უდავოდ პოზიტიურ ცვლილებად უნდა შეფასდეს. მიგვაჩნია, რომ იგივე სტანდარტი უნდა გავრცელდეს პატიმრობის კოდექსით დადგენილ ადმინისტრაციული პატიმრობის ვადაზეც და პატიმრობაში მყოფი პირების მიმართაც მაქსიმუმ 15 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა უნდა იქნას გამოყენებული.

პატიმართა წახალისება

პატიმრის სხვადასხვა სარეაბილიტაციო აქტივობაში მონაწილეობის შემდგომ, სოციალური მუშაკი ადგენს პატაკს მისი დადებითი ქცევის შესახებ და აწვდის დაწესებულების დირექტორს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას, თუ რა წახალისების ფორმა გამოიყენოს პატიმრის მიმართ. შესაბამისი გადაწყვეტილება ინახება მსჯავრდებულის პირად საქმეში. წახალისების სახით შესაძლებელია გამოცხადდეს მადლობა, დაემატოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი პაემანი, მოეხსნას საყვედური ან სხვა დისციპლინური სახდელი და ა.შ. წლის განმავლობაში პატიმართა წახალისების შესახებ სტატისტიკური მონაცემები მოცემულია ქვემოთ, ცხრილში.

დაწესებულებები	**N2**	**N3**	**N5**	**N6**	**N7**	**N8**	**N9**	**N11**	**N12**	**N14**	**N15**	**N17**	**N19**	**სულ**
წახალისების შემთხვევები	209	127	129	85	5	351	16	60	15	90	267	383	41	**1778**

ზემოაღნიშნულ ცხრილში მოცემული სტატისტიკური მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ 2014 წელს სასჯელაღსრულების N18 დაწესებულებაში არც ერთი პატიმრის მიმართ არ

გამოუყენებიათ წახალისების რაიმე ფორმა, ხოლო N7 დაწესებულებაში 12 თვის მანძილზე მხოლოდ 5 შემთხვევაში იქნა გამოყენებული წახალისება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პატიმართა ხშირი წახალისება შეასუსტებს დაწესებულებაში ციხის სუბკულტურის გავლენას და ხელს შეუწყობს მათ რესოციალიზაციას, ამიტომაც მნიშვნელოვანია, რომ სასჯელაღსრულების N6, N7, N9, N11, N12, N14, N19 დაწესებულებებში გაძლიერდეს პატიმართა წახალისების პოლიტიკა.

პატიმართა დასაქმება

ევროპული ციხის წესების თანახმად, „სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმრის მუშაობა უნდა აღიქმებოდეს, როგორც ციხის რეჟიმის პოზიტიური ელემენტი და არასდროს არ უნდა იქნეს სასჯელის სახით გამოყენებული.“[135] „ციხის ხელმძღვანელობა უნდა ცდილობდეს სასარგებლო ხასიათის საკმარისი სამუშაოთი პატიმრების უზრუნველყოფას.“[136] „პატიმრისათვის განკუთვნილი სამუშაო უნდა იყოს შეძლებისდაგვარად იმგვარი, რომ უნარჩუნებდეს ან ანვითარებდეს პატიმრის მიერ გათავისუფლების შემდგომ თავის რჩენის უნარს.“[137]

პატიმართა დასაქმების 3 წლის მონაცემები		
2012 წელი	2013 წელი	2014 წელი
102 პატიმარი	506 პატიმარი	804 პატიმარი

როგორც ზემოაღნიშნული სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში 2013 და 2014 წლებში 2012 წელთან შედარებით, დასაქმებულ პატიმართა რაოდენობა არსებითად არის გაზრდილი, რაც მისასალმებელია და აუცილებელია ამ დადებითი ტენდენციის შემდგომი გაძლიერება.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N11 (არასრულწლოვანთა) და N18 (სამკურნალო) დაწესებულებებში თავიანთი სპეციფიკიდან გამომდინარე, პატიმრების დასაქმება წლის მანძილზე არ განხორციელებულა. 2014 წელს პატიმართა დასაქმების სტატისტიკური მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება:

[135] ციხის ევროპული წესები. წესი 26.1.
[136] იქვე, 26.2–ე წესი.
[137] ციხის ევროპული წესები. წესი 26.3.

დაწესებულებები	N2	N3	N5	N6	N7	N8	N9	N12	N14	N15	N17	N19	ჯამი
დასაქმებულთა ოდენობა	112	28	31	51	4	192	10	37	99	68	138	34	**804**

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში დასაქმებული მსჯავრდებულები ძირითადად ასუფთავებდნენ, ალაგებდნენ, რეცხავდნენ თეთრეულს, არიგებდნენ პროდუქტსა და საკვებს და ახორციელებდნენ სხვა მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, რაშიც იღებდნენ შრომის ანაზღაურებას.

რეკომენდაცია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- **შემუშავდეს დისციპლინური სახდელების გამოყენების სახელმძღვანელო პრინციპები, რათა შესაძლებელი გახდეს დისციპლინური სახდელების ერთგვაროვანი გამოყენება სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში**
- **დისციპლინური სასჯელი გამოყენებულ იქნას, როგოც უკიდურესი ღონისძიება**
- **შემუშავდეს და ყველა დაწესებულებაში დაინერგოს ჟურნალის ფორმა, სადაც აღირიცხება სამარტოო საკანში მოთავსებული პატიმრის მიერ მისთვის კანონით მინიჭებული უფლებებით სარგებლობა (შხაპის მიღება, გასეირნება, ჰიგიენის ნივთების გადაცემა)**
- **მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა არ მოხდეს ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პატიმრის სამარტოო საკანში მოთავსება**
- **მიიღოს სათანადო ზომები, რათა სამარტოო საკანში მოთავსებული პატიმრის ექიმის მიერ მონახულება ხდებოდეს პატიმრობის კოდექსის 88-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად**
- **მიიღოს ყველა საჭირო ზომა სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში მრავალფეროვანი სარეაბილიტაციო აქტივობების განსახორციელებლად, მაქსიმალურად შეუწყოს ხელი დაწესებულების სოციალურ განყოფილებას დაგეგმოს და პატიმრების სათანადო მონაწილეობით ჩაატაროს სხვადასხვა ღონისძიებები. ასეთი ღონისძიებების დაგეგმვისას გათვალისწინებულ იქნას პატიმართა ინტერესის სფეროები, ასევე სხვადასხვა აქტივობებში მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად უფრო ხშირად იქნას გამოყენებული წახალისების ფორმები**
- **გაიზარდოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში დასაქმებულ პატიმართა რაოდენობა**

წინადადება საქართველოს პარლამენტს:

- **ადმინისტრაციული პატიმრობის მაქსიმალური ვადა შემცირდეს 15 დღემდე**

- **განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები პატიმრობის კოდექსში და ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების სამართალწარმოების პროცესში პატიმარი უზრუნველყოფილ იქნას სამართლიანი სასამართლო განხილვის ყველა გარანტიით**

სასჯელაღსრულების ჯანდაცვის სისტემა

ჯანმრთელობის უფლება არის ინკლუზიური უფლება[138] და თავის თავში მოიცავს უსაფრთხო სასმელ წყალს და ადეკვატურ სანიტარულ პირობებს, უვნებელ სურსათს, ადეკვატურ კვებას და საცხოვრებელ პირობებს, ჯანსაღ სამუშაო და გარემო პირობებს, ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ განათლებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, გენდერულ თანასწორობას.

ჯანმრთელობის უფლება ასევე მოიცავს პირის უფლებას არ დაექვემდებაროს სამედიცინო მანიპულაციას მისი თანხმობის გარეშე, წამებას ან სხვა სასტიკ, არაადამიანურ, დამამცირებელ მოპყრობასა ანდასჯას. ჯანმრთელობის უფლების შინაარსიდან გამომდინარე, პირს უნდა მიუწვდებოდეს ხელი ჯანმრთელობის დაცვის სისტემაზე; დაავადებათა პრევენციაზე, მკურნალობასა და კონტროლზე; მედიკამენტებზე; რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე; ჯანდაცვის ძირითად მომსახურებაზე (თანაბრად და დროულად); ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ინფორმაციასა და განათლებაზე. ჯანდაცვის სისტემის სერვისები უნდა იყოს ხელმისაწვდომი, მისაღები და ხარისხიანი.[139]

ჯანმრთელობის უფლების რეალიზებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პრევენციულ ჯანდაცვას, რომელიც გულისხმობს ჯანმრთელობის ხელშეწყობას და ზოგადი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას; კვების, სანიტარული პირობების, გონებრივი და ფიზიკური აქტივობის, ცხოვრებაში მიზნობრივი პრევენციული ღონისძიებების გატარებას კონკრეტული პათოლოგიების კუთხით, როგორიცაა ინფექციური დაავადებები, ფსიქიკური ჯანმრთელობა, წამალზე დამოკიდებულება და ძალადობა.

2013 წელს განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა სასჯელაღსრულების ჯანდაცვის სისტემის ფუნქციონირების ეფექტურობას და არსებულ გამოწვევებს. მონიტორინგის მიმდინარეობისას გამოიკითხნენ პატიმრები და სასჯელაღსრულების დაწესებულებათა სამედიცინო პერსონალი, ასევე შემოწმდა

---

[138] Right to Health, Fact Sheet No. 31, Office of the United Nations High Commissioner for Human Rights and World Health Organization, available at http://www.ohchr.org/Documents/Publications/Factsheet31.pdf [last visit on 31.05.2014].

[139] General comment N° 14 (2000) on the right to health, adopted by the Committee on Economic, Social and Cultural Rights.

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში საექიმო-სამედიცინო პუნქტში არსებული მდგომარეობა და სასჯელაღსრულების სამკურნალო დაწესებულებების ინფრასტრუქტურა.

კვლევის მიზნებისათვის გამოყენებული იყო საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტისა და ცალკეული სასჯელაღსრულების დაწესებულების მიერ მოწოდებული სტატისტიკური ანგარიშები და ინფორმაცია.

ქვემოთ მოცემული ანალიზი ემყარება ეროვნულ კანონმდებლობასა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს, ასევე საერთაშორისო სავალდებულო და სარეკომენდაციო ხასიათის სტანდარტებს, კერძოდ:

- გაეროს კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი არაადამიანური, ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ (1997);
- აღნიშნული კონვენციის დამატებითი ოქმი (2006);
- ევროპის კონვენცია წამებისა და არაადამიანური ან/და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აღმოფხვრის შესახებ (1987);
- სტამბოლის პროტოკოლი - გაეროს წამებისა და სხვა სასტიკი არაადამიანური ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელო პრინციპები (United Nations; New York and Geneva, 2001 - 2004);
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრინციპები და პრეცედენტები;
- ევროსაბჭოს წამების პრევენციის კომიტეტის (CPT) მე-3 გენერალური ანგარიში - ჯანდაცვა ციხეებში;
- გაეროს პატიმრობის მინიმალური სტანდარტები (1955);
- გაეროს ნებისმიერი ფორმით დაკავებულთა ან პატიმრობაში მყოფ პირთა დაცვის პრინციპთა ერთობლიობა (1989);
- ევროპული ციხის წესები (2006);
- ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია № R (87) 3 (1987);
- ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია №(98)7 მინისტრთა კომიტეტის მიმართვა მონაწილე ქვეყნებისათვის ციხეებში სამედიცინო სამსახურის ორგანიზაციული და ეთიკური ასპექტების შესახებ (სტრასბურგი 1998, 20 აპრილი);
- ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესება ციხეებში, შეთანხმებული განაცხადი, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია ევროპის რეგიონული განყოფილება (ჰააგა, ნიდერლანდები, 18 – 21 ნოემბერი, 1998 წ.);
- გაეროს საერთაშორისო სამედიცინო ეთიკის პრინციპები (1982);
- მსოფლიო ექიმთა ასოციაციის ტოკიოს დეკლარაცია (1975), ჰამბურგის დეკლარაცია (1997), ჟენევის დეკლარაცია (1948), მალტის დეკლარაცია (1991, 2006), ჰელსინკის რეზოლუცია (2003, 2007);
- წამებასთან ბრძოლის საერთაშორისო ინსტრუმენტები და მექანიზმები – წამებასთან დაკავშირებული სამართლებრივი დოკუმენტებისა და სტანდარტების კრებული (2007 წლის 4 ივლისის მდგომარეობით, წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის საერთაშორისო საბჭო (IRCT);

- ჯანდაცვა ციხეში, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის სახელმძღვანელო ციხეებში ჯანდაცვის აუცილებელი სტანდარტების შესახებ;
- მადრიდის რეკომენდაცია, ჯანმრთელობის დაცვა ციხეებში, როგორც საზოგადოებრივი ჯანდაცვის აუცილებელი ნაწილი (მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, 2010).

სასჯელაღსრულების ჯანდაცვის სისტემაში გატარებული რეფორმები და არსებული გამოწვევები მიმოხულული იქნება ქვემოთ, შესაბამის თავებში.

საქართველოს პენიტენციური ჯანდაცვის დაფინანსება, ორგანიზაციული ასპექტები და განხორციელებული რეფორმები

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტში პირველადი ჯანდაცვის, სპეციალიზებული სამედიცინო დახმარების, სამედიცინო საქმიანობის რეგულირების, ჯანდაცვის ეკონომიკისა და სამედიცინო ლოჯისტიკის პროცესების სამართავად ცალ-ცალკე სამმართველოები ფუნქციონირებენ.

2014 წელს დასრულდა პენიტენციური ჯანდაცვის 18 თვიანი სამოქმედო გეგმის განხორციელება, რომელიც ევროკავშირისა და ევროსაბჭოს წარმომადგენლებმა პოზიტიურად შეაფასეს. ევროსაბჭოს ექსპერტების ჩართულობით შემუშავდა 2014-2017 წლის პენიტენციური ჯანდაცვის განვითარების სტრატეგია, რომლის ფარგლებშიც სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- 60 პროცენტით გაიზარდა სამედიცინო პერსონალის ანაზღაურება (მაგალითად, ექიმის ხელფასი 750-დან 1200 ლარამდე, ხოლო ექთნის ხელფასი 350-დან 750 ლარამდე);
- პირველადი ჯანდაცვის მოდელი დაინერგა კიდევ ერთ დაწესებულებაში და ახლა ხემისაწვდომია ყველა დაწესებულებაში. პჯდ/ამბულატორიულ დონეზე განხორციელდა 214 567 კონცულტაცია;
- დაინერგა ელექტრონული სამედიცინო ისტორია (P-HER) და შეიქმნა საავადმყოფოებში გადაყვანისთვის განკუთვნილი ელექტრონული რიგი;
- 2014 წელს შემუშავდა და დამტკიცდა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებიდან საერთო პროფილის საავადმყოფოში, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრსა და ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში დაავადებულ მსჯავრდებულთა გადაყვანის ახალი წესი;
- გაიხნა სასჯელაღსრულების ცენტრალური საავადმყოფო. 2014 წელს სასჯელაღსრულების ცენტრალურ საავადმყოფოში (ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში) 1122 რეფერალი განხორციელდა

- მსჯავრდებულები საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო მომსახურებას იღებენ სამოქალაქო სექტორში. 2014 წელს სამოქალაქო სექტორის კლინიკებში განთავსდა 3658 რეფერალი.
- შეიქმნა და დამტკიცდა პენიტენციური ჯანდაცვის მეტიკამენტების სტანდარტი. მედიკამენტებზე დანახარჯი 2013 წლიდან 2014 -წლამდე გაიზარდა სამჯერ: 64 ლარიდან 184 ლარამდე;
- წამალდამოკიდებული პატიმრებისთვის ხელმისაწვდომია მეტადონის დეტოქსიკაციის პროგრამა, ნარკოლოგის კონსულტაცია და მკურნალობა, დეტოქსიკაცია და სპეციალიზებული დახმარება სასჯელაღსრულების ცენტალურ საავადმყოფოსა და სამოქალაქო სექტორის კლინიკებში, ნებაყოფლობითი კონსულტირება და ტესტირება ინფექციებზე. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა მეტადონით გრძელვადიანი ჩანაცვლებითი თერაპიის დაწყებაზე;
- განახლდა ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრი და გაიხსნა სპეციალური განყოფილება ბრალდებულებისთვის;
- დაიწყო C ჰეპატიტის პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც 2014 წელს 8711 ბრალდებულს/მსჯავრდებულს ჩაუტარდა სკრინიგი. 2014 წელს 180 პაციენტმა დაასრულა C ჰეპატიტის მკურნალობის კურსი;
- 2014 წელს განახლდა პატიმართა კვების სტანდარტი, რომელიც ითვალისწინებს 12 მიზნობრივ რაციონს სხვადასხვა ფიზიკური აქტივობის, კატეგორიისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე პატიმრებისთვის;
- დაიწყო სუიციდის პრევენციის პროგრამის განხორციელება. პროგრამა სასჯელაღსრულების 6 დაწესებულებაში ხორციელდება;
- განახლდა სტომატოლოგიური ინფრასტუქტურა. სასჯელაღსრულების ცენტრალურ საავადმყოფოში გაიხსნა ახალი სტომატოლოგიური კაბინეტი. სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში ჩატარდა მონიტორინგი და გამოვლინდა საჭიროებები, რომლის საფუძველზეც დაიგეგმა სტერილიზატორების შესყიდვა ყველა სტომატოლოგიური კაბინეტისთვის;
- 2014 წლის დეკემბრის თვეში სასჯელაღსრულების N5 დაწესებულებაში განხორციელდა ძუძუს, საშვილოსნოს ყელის კიბოსა და სწორი ნაწლავის კიბოს სკრინინგი რისკჯგუფების გამოსავლენად;
- შშმ პატიმრებისთვის სასჯელაღსრულების ცენტრალურ საავადმყოფოში გაიხსნა 57 ადგილიანი ხანგრძლივი მოვლის განყოფილება.

აღსანიშნავია პენიტენციური ჯანდაცვის დაფინანსების არსებითი ზრდა. პენიტენციური ჯანდაცვის ბიუჯეტი 2014 წლისათვის 15 466 000 ლარით განისაზღვრა, ხოლო საკასო შესრულებამ 13 300 800 ლარი შეადგინა. პენიტენციური ბიუჯეტის ამგვარი ზრდა მისასალმებელია, თუმცა რესურსების ოპტიმალური გამოყენების მიზნით აუცილებელია განხორციელებული აქტივობების ხარჯთეფექტიანობის შეფასება და მომავალი წლის ბიუჯეტის დაგეგმვის დროს გათვალისწინება.

სამედიცინო ინფრასტრუქტურა

სამკურნალო დაწესებულებების ინფასტრუქტურა

2014 წლის განმავლობაში სასჯელაღსრულების სამედიცინო ინფრასტრუქტურის განახლების მიზნით განხორციელდა გარკვეული აქტივობები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სასჯელაღსრულების N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში განხორციელებული სარემონტო სამუშაოები. სარემონტო სამუშაოების ჩატარების შემდგომ, დაწესებულება ექსპლუატაციაში შევიდა 2014 წლის 1 ივლისს. დაწესებულებაში პაციენტთა განთავსების ლიმიტია 158 პაციენტი (158 საწოლი). საწოლების რაოდენობა განყოფილებების მიხედვით მოცემულია ქვემოთ, ცხრილში:

N	განყოფილებებში პატიმართა ლიმიტი საწოლების მიხედვით	
1.	მიმღები განყოფილება	9
2.	თერაპიული განყოფილება	9
3.	ხანგრძლივი მოვლის განყოფილება	53
4.	ნარკოლოგიური განყოფილება	11
5.	ფსიქიატრიული განყოფილება	21
6.	ინფექციური განყოფილება	10
7.	ტუბერკულოზის განყოფილება	8
8.	ქირურგიული განყოფილება	21
9.	კრიტიკული მედიცინის განყოფილება	16

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების დიაგნოსტიკურ ბლოკში ფუნქციონირებს რენტგენოგრაფია, ექოსკოპია, ენდოსკოპია (გასტროსკოპია, კოლონოსკოპია, ბრონქოსკოპია), ელასტოგრაფია (ფიბროსკანი), შოკის დარბაზი, ლაბორატორია (კლინიკური, ბაქტერიოლოგიური, ბიოქიმიური). დაწესებულებაში ასევე არის სასტერილიზაციო, სტომატოლოგიური კაბინეტი და ობსერვაციის ოთახი.

სამკურნალო დაწესებულება აწარმოებს ზოგადი პროფილის თერაპიული, ნევროლოგიური, კარდიოლოგიური, ენდოკრინოლოგიური, ფსიქიატრიული, ინფექციური, ფთიზიატრიული, დერმატო-ვენეროლოგიური, ქირურგიული, ონკოლოგიური, ტრავმატოლოგიური, უროლოგიური, ოტორინოლარინგოლოგიური, ოფთალმოლოგიური, რეანიმაციული და სხვა პროფილის ავადმყოფთა სადღეღამისო მომსახურებას.

მონიტორინგის განხორციელებისას სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა დაათვალიერა დაწესებულება. ნულოვანი სართულის ფართი არის 746 კვ.მ. მასში განთავსებულია აფთიაქი, გვამის დაყოვნების ოთახი, საკონფერენციო დარბაზი, ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიები, სასტერილიზაციო, ბიბლიოთეკა, არქივი. პირველი სართულის ფართი შეადგენს 672 კვ. მეტრს. მასში განთავსებულია ადმინისტრაცია, მიმღები განყოფილება (5 პალატა 9 საწოლზე), სანიტარიული გამტარი, სათაბაშირე მანიპულაციის ოთახი, შოკის კაბინეტი, დიაგნოსტიკური ბლოკი: რენტგენი, ექოსკოპია, ენდოსკოპია, სპირომეტრია. მეორე სართულის ფართი შეადგენს 699 კვ. მეტრს. აღნიშნულ სართულზე განთავსებულია ტუბერკულოზის მკურნალობისა და ინფექციური განყოფილებები (7 პალატა 18 საწოლზე), ფსიქიატრიული განყოფილება (8 პალატა 21 საწოლზე) და სტომატოლოგიური კაბინეტი. მესამე სართულის ფართი შეადგენს 726 კვ. მეტრს. აღნიშნულ სართულზე განთავსებულია თერაპიული (3 პალატა 9 საწოლზე) და ხანგრძლივი მოვლის (21 პალატა 53 საწოლზე) განყოფილებები. ამავე სართულზე არის განთავსებული სარეაბილიტაციო კაბინეტი, რომელიც უზრუნველყოფილია სხვადასხვა სახის ტრენაჟორებით. მონიტორიგნის განხორციელებისას სარებილიტაციო კაბინეტი არ ფუნქციონირებდა. მეოთხე სართულის ფართი შეადგენს 738 კვ. მეტრს. აღნიშნულ სართულზე განთავსებულია კრიტიკული მედიცინის განყოფილება (5 პალატა 16 საწოლზე), ქირურგიული განყიფილება (7 პალატა 21 საწოლზე) და საოპერაციო ბლოკი. კლინიკას აქვს ორი საოპერაციო: გეგმიური და ურგენტული. პალატების და კაბინეტების სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა ზოგადად დამაკმაყოფილებელია, თუმცა სავენტილაციო სისტემები არ არის დამონტაჟებული საოპერაციოებსა და რენტგენის კაბინეტში.

მონიტორინგის ჩატარების დროს დაწესებულება უზრუნველყოფილი იყო შემდეგი სახის სამედიცინო ტექნიკით: ეკგ 3 არხიანი 1 ცალი, უვჩ-80 1 ცალი, ელექტრო-სტიმულატორი მიორიტმი 1 ცალი, გლუკომეტრი 5 ცალი, წნევის აპარატი ფონენდოსკოპით 36 ცალი. ელექტროკარდიოგრაფი 3 არხიანი 3 ცალი. ექოსკოპიის აპარატი 1 ცალი, კოლონსკოპი 1 ცალი, გასტროსკოპი 1 ცალი, ბრონქოსკოპი 1 ცალი, კარდიომონიტორი 1 ცალი, ელექტროდანა 5 ცალი, დეფიბრილატორი 3 ცალი, ხელოვნური სუნთქვის აპარატი 5 ცალი, ელექტროხერხი 3 ცალი, რენტგენის აპარატი 2 ცალი, რენტგენის აპარატი სტომატოლოგიური 1 ცალი, კომპრესორი 1 ცალი, 2 ცალი საოპერაციო მაგიდა, საოპერაციო განათება 2 ცალი, ელექტროქირურგიული აპარატი 2 ცალი, ეტლი 45 ცალი, რეგულირებადი ყავარჯენი - 42 ცალი.

ფსიქიატრიულ განყოფილებაში არის საიზოლაციო ოთახი, სადაც დგას სპეციალური საწოლი დასაფიქსირებელი ქამრებით, არის სანიტარული კვანძი. თუ პაციენტი უარს აცხადებს მედიკამენტების და საკვების მიღებაზე, არ ემორჩილება სტაციონარის წესებს, დგება შესაბამისი ოქმი. ვიზიტის პირველ დღეს განყოფილებაში ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა 5 საკანში იყო შესაძლებელი, თუმცა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის

გადაწყვეტილებით ფსიქიატრიული განყოფილების ყველა პალატაში მიმდინარეობდა სათვალთვალო კამერების დამონტაჟება.

სასჯელაღსრულების N19 ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრი

დაწესებულებაში პატიმართა განთავსების ლიმიტი 698 პატიმარს შეადგენს. სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტის დროს დაწესებულებაში მოთავსებული იყო 168 პატიმარი. დაწესებულების დირექტორის განმარტებით, ერთი მსჯავრდებული გადაყვანილი იყო „აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში“.

დაწესებულებაში სამკურნალოდ მოთავსებული პატიმრები განთავსებულები არიან პირველ და მეორე (ძირითად) კორპუსებში; პირველ კორპუსშიგანთავსებული არიან ტუბერკულოზის მულტირეზისტენტული, მგბ (+) ფორმით დაავადებული მსჯავრდებულები. ამ საცხოვრებელ კორპუსში არის 18 პალატა, სადაც, 2014 წლის 11-12 დეკემბრის მდგომარეობით, მოთავსებული იყო 8 პატიმარი. დაწესებულების მეორე კორპუსი ოთხსართულიანია, I სართულზე განთავსებულია მთავარი ექიმის და სტატისტიკოსის კაბინეტები, ასევე წამლების სამარაგო და ლაბორატორია. II და IV სართულებზე სხვადასხვა ფლიგელში განთავსებულები არიან ტუბერკულოზის სენსიტიური და რეზისტენტული ფორმის მქონე პატიმრები. III სართულის ერთ ფლიგელში გამოყოფილია პალატები, სადაც განთავსებულები არიან დაწესებულებაში ახლად შეყვანილი პატიმრები, რომლებიც გადიან პირველად გამოკვლევებს.

ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში შესაძლებელია რენტგენოგრაფიის და ექოსკოპიის, ასევე ლაბორატორიული გამოკვლევების ჩატარება. ფუნქციონირებს სტომატოლოგიური კაბინეტი, მცირე სამანიპულაციო და სასტერილიზაციო ოთახები.

სასჯელაღსრულების დაწესებულებების სამედიცინო ინფრასტრუქტურა

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურებას ახორციელებს პირველადი ჯანდაცვის 37 გუნდი. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამედიცინო დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, პირველადი ჯანდაცვის გუნდის აღჭურვილობაში შედის დეფიბრილატორი, სასწორი/სიმაღლის საზომი, კარდიოგრაფი, გლუკომეტრი, წნევის აპარატი, ნეგატოსკოპი. დაწესებულებებში ფუნქციონირებს სტომატოლოგიური და მცირე სამანიპულაციო კაბინეტები.

სასჯელაღსრულების დაწესებულებების საექიმო-სამედიცინო პუნქტებში სამედიცინო მომსახურება მიმდინარეობს ყოფილ საკნებში, რაც გარკვეულწილად ზღუდავს მიწოდებული მომსახურების ხარისხს. არსებობს პრობლემები ექიმის კაბინეტებში კედლების ზედაპირსა და იატაკის საფართან დაკავშირებით. აუცილებელია ყველა იმ კაბინეტში, სადაც მიმდინარეობს დიაგნოსტიკური გამოკვლევები ან მცირე ჩარევები, იატაკი დაფარული იყოს ანტისტატიკური ლინოლეუმით. არსებობს ვენტილაციის პრობლემებიც. ყოველივე ზემოაღნიშნული კი ზრდის ნოზოკომიური ინფექციის რისკს. პრობლემურია ასევე სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული სამედიცინო აღჭურვილობის ხარისხი და მათი ტექნიკური შენახვა.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- **უზრუნველყოს ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში არსებულ საოპერაციოსა და რენტგენის კაბინეტში სათანადო სავენტილაციო სისტემის დამონტაჟება და დაწესებულების სავენტილაციო სისტემის გამართული მუშაობა**
- **გადაიხედოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის გადაწყვეტილება ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში არსებულ ფსიქიატრიულ განყოფილებაში ყველა პალატაში სათვალთვალო კამერის დამონტაჟების შესახებ და დაიცვან პაციენტთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება**
- **უზრუნველყოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში საექიმო-სამედიცინო პუნქტების ქვეყანაში მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობა, მათ შორის, ამ პუნქტების სათანადო აღჭურვითა და სამედიცინო აღჭურვილობის კონტროლით, სავენტილაციო სისტემის მოწესრიგებით და ანტისტატიკური ლინოლეუმის დაგებით**

მედიკამენტების ხელმისაწვდომობა

წარმატებული მკურნალობის აუცილებელ პირობას პაციენტისათვის საჭირო მედიკამენტების დროულად მიწოდება წარმოადგენს. პატიმრობის კოდექსის 24-ე მუხლის შესაბამისად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, ისარგებლოს საჭირო სამედიცინო მომსახურებით. ბრალდებულისათვის/მსჯავრდებულისათვის, საჭიროების შემთხვევაში, ხელმისაწვდომი უნდა იყოს პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ნებადართული სამკურნალო საშუალებები. მოთხოვნის შემთხვევაში ბრალდებულს/მსჯავრდებულს აქვს პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების მიერ შეძენილზე მეტი ღირებულების ან ანალოგიური თვისებების მქონე სამკურნალო საშუალების საკუთარი სახსრებით შეძენის უფლება.

მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ პატიმრები ზემოაღნიშნული უფლებით ვერ სარგებლობენ, ვინადიან აფთიაქი, სადაც პატიმრებს შეუძლიათ მედიკამენტების ყიდვა, არის მხოლოდ N15 დაწესებულებაში[140]. სხვა დაწესებულებებში აფთიაქი არ ფუნქციონირებს. ამასთან, პატიმრის მიერ ოჯახის წევრებისაგან მედიკამენტების მიღების უფლებას შესაბამისი ნორმატიული აქტები არ განსაზღვრავს.

კვლავ პრობლემურია დანიშნული მედიკამენტების ჩანაცვლების საკითხი. გასაგებია, რომ პენიტენციური ჯანდაცვის სისტემის ბაზისური მედიკამენტების ნუსხის შემუშავებით სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ განსაზღვრა იმ მედიკამენტების ჩამონათვალი, რომელთა საკუთარი ხარჯებით მიწოდების ვალდებულებას ის იღებს. ამავდროულად, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2011 წლის 30 მაისის ბრძანებით დარეგულირდა საგამონაკლისო შემთხვევა, რა დროსაც პატიმარს სამინისტროს ხარჯზე შეიძლება მიეწოდოს მედიკამენტი, რომელიც ბაზისური მედიკამენტების ნუსხაში არ არის შეტანილი. აღიშნული რეგულაციის თანახმად, გამონაკლისის სახით, აუცილებელი სამედიცინო საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულების მთავარი ექიმის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს პაციენტის ფორმა № IV- 100/ა და მკურნალი ექიმის მიერ გაცემული რეცეპტი, სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის უფროსის თანხმობით, მსჯავრდებული შესაძლებელია უზრუნველყოფილ იქნეს იმ მედიკამენტებით, რომლებიც მითითებული არ არის პენიტენციური სისტემის ჯანდაცვის ბაზისური მედიკამენტების ნუსხაში, მაგრამ გათვალისწინებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ან აღიარებული კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციის (გაიდლაინის) და კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტით (პროტოკოლით). შესაბამის დაწესებულებას ამგვარი პროცედურით დანიშნული მედიკამენტებით უზრუნველყოფს სამინისტრო.[141]სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მედიკამენტების დანახარჯები მოცემულია ქვემოთ, ცხრილში.

დაწესებულება	დანახარჯი
N2	214552,074
N3	47124
N5	84475,86
N6	112333,09

[140] 2014 დეკემბრის მდგომარეობით აფთიაქი არ ფუნქციონირებდა N2, N3, N5, N6, N7, N8, N9, N11, N12, N14, N17, N18, N19 დაწესებულებებში.

[141] პატიმრობის დაწესებულების დებულების 28-ე მუხლის მე-8 პუნქტი, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულების 29-ე მუხლის მე-8 პუნქტი.

N7	19184,24
N8	267371,29
N9	17184,21
N11	7505,244
N12	50662,53
N14	473277,2
N15	265582,59
N17	307660,81
N18	182628,86
N19	201146,81
სულ	2250688,808

როგორც მონიტორინგმა აჩვენა, სასჯელაღსრულების სამედიცინო პერსონალი პატიმრებს უნიშნავს იმ გენერიკმედიკამენტებს, რომელიც ხელმისაწვდომია დაწესებულებაში სახელმწიფოს ხარჯზე, რის გამოც პატიმრებს ეზღუდებათ ბრენდული სახელწოდების მედიკამენტების საკუთარი ხარჯით/თანხით შეძენის უფლება. მნიშვნელოვანია, რომ პატიმრებს ჰქონდეთ შესაძლებლობა ექიმთან შეთანხმებით, შესაბამისი დანიშნულების საფუძველზე, შეიძინონ თავდაპირველად დანიშნული გენერიკ მედიკამენტის შესაბამისი ბრენდული სახელწოდების მედიკამენტი დაწესებულების აფთიაქში ან აფთიაქის არარსებობის შემთხვევაში მიიღონ ოჯახის წევრებისაგან.

სასჯელაღსრულების N17 დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის დროს დოკუმენტაციის შესწავლისა და მსჯავრდებულებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რიგ შემთხვევებში პაციენტი ვერ იღებს ექიმის მიერ მკურნალობის კომპლექსური კურსის ფარგლებში დანიშნულ ძირითად მედიკამენტებს. რიგ შემთხვევებში, ხდება დანიშნული მედიკამენტების ჩანაცვლება სხვა მედიკამენტებით, რასაც მწვავედ განიცდიან პაციენტები და რაც ხშირად ექიმსა და პაციენტს შორის დაძაბული ურთიერთობის მიზეზი ხდება.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- **მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა პატიმრებს შეუფერხებლად მიუწვდებოდეთ ხელი დანიშნულ ძირითად მედიკამენტებზე, ამასთან, ექიმები დანიშნულების გაცემისას არ შეიზღუდონ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არსებული მედიკამენტებით და, პატიმრის მოთხოვნის შემთხვევაში, ექიმთან შეთანხმებით, დაუბრკოლებლად იყოს ხელმისაწვდომი ბრენდული სახელწოდების მედიკამენტები პატიმრის ხარჯზე. დაწესებულებებში აფთიაქების არარსებობის პირობებში მკაფიოდ განისაზღვროს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მედიკამენტების ამანათით შეგზავნის მარეგულირებელი წესი**

სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა და ხარისხი

ექიმის ხელმისაწვდომობა

ადმიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის განჩინებაში საქმეზე: კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ განმარტავს, რომ „კონვენციის მე-3 მუხლი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას დაიცვას თავისუფლებააღკვეთილი პირის ფიზიკური ჯანმრთელობა.“ სასამართლო თავის არაერთ განჩინებაში უთითებს, რომ „შესაბამისმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ დიაგნოზი და მკურნალობა იყოს დროული და ზუსტი და სამედიცინო პერსონალის მიერ გაწეული ზედამხედველობა იყოს რეგულარული და სისტემატიური ხასიათის და მოიცავდეს სრულ თერაპიულ სტრატეგიას“.[142]

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მუშაობს 37 პირველადი ჯანდაცვის გუნდი, რომელიც დაკომპლექტებულია ოჯახის ექიმებით. 2014 წლის განმავლობაში დაწესებულებაში მომუშავე ოჯახის ექიმებმა 214 567-ჯერ გაუწიეს პატიმრებს კონსულტაცია (2013 წელს - 224 363 კონსულტაცია). მოწვეული ექიმ-კონსულტანტების მიერ გაწეულ კონსულტაციათა რაოდენობა კი 30 726 შეადგენს (2013 წელს 33 929 კონსულტაცია). სტატისტიკური მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ 2014 წელს ოჯახის ექიმებისა და ექიმ-კონსულტანტების მიერ ჩატარებული კონსულტაციების რაოდენობა 2013 წლის ამავე მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია, თუმცა არ აღინიშნება მნიშვნელოვანი კლება. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან მიღებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ავადობის მაჩვენებელი 2013 წელთან შედარებით გაზრდილია. ავადობის მაჩვენებელი მოცემულია ქვემოთ, ცხრილში.

N	დაავადებები	2014 წელი	2013 წელი	სხვაობა
1.	გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები	1650	859	791
2.	სასუნთქი სისტემის დაავადებები	5037	1536	3501

[142] Inter alia ჯაში საქართველოს წინააღმდეგ, 2013 წლის 8 იანვრის განჩინება, პარ. 61.

3.	საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები	2721	1708	1013
4.	შარდ-სასქესო სისტემის დაავადებები	6181	1180	5001
5.	ნერვული სისტემის დაავადებები	1726	958	768
6.	ფსიქიკური დაავადებები	2023	1998	25
7.	ენდოკრინული სისტემის დაავადებები	431	182	249
8.	ჰემატილოგიური დაავადებები	53	19	34
9.	გრძნობათა ორგანოების დაავადებები	1316	1349	- 33
10.	ინფექციური დაავადებები	442	168	274
11.	ტუბერკულოზი	136	294	-158
12.	აივ ინფექცია/შიდსი -ახლად	34	7	27
13.	ძვალ-სახსროვანი სისტემისა და	1121	416	705
14.	კანისა და ვენერიული დაავადებები	525	285	240
15.	თვითდაზიანება და ტრავმები	3086	3051	35
16.	სტომატოლოგიური დაავადებები	15860	15857	3
17.	მწვავე ქირურგიული დაავადებები	377	230	147
18.	ონკოლოგიური დაავადებები	37	40	- 3
		სულ: 42756	**სულ:** 30137	**სულ:** 12619

რაც შეეხება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში შტატით გათვალისწინებული ექიმების და ექთნების რაოდენობას, გასულ წელთან შედარებით, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამედიცინო დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ, როგორც ოჯახის ექიმების, ასევე ექთნების რაოდენობა 2014 წელს 2013 წელთან შედარებით შემცირებულია.[143] იმის გათვალისწინებით, რომ 2013 წლის დეკემბრის მდგომარეობით სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმართა რაოდენობა შეადგენდა 9093, ხოლო 2014 წლის დეკემბერში - 10372 პატიმარს, მათი რაოდენობისა და ავადობის მაჩვენებლის ზრდის პარალელურად ექიმების და ექთნების რაოდენობის შემცირება სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით მიზანშეუწონელია. აქვე აღსანიშნავია, რომ წინა წელთან შედარებით, ექიმების რაოდენობის შემცირების ფონზე, ექიმების მიერ ჩატარებული კონსულტაციების რაოდენობა 4,4 % არის შემცირებული. ექიმებისა და ექთნების რაოდენობა დაწესებულებების მიხედვით იხილეთ ქვემოთ, ცხრილში.

N	დაწესებულება	ექიმი	ექთანი	სხვა დამხმარე

[143] 2013 წელს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მუშაობდა 119 ექიმი, ხოლო 2014 წელს - 103. ამასთან, 2013 წელს ექთნების რაოდენობა შეადგენდა 169-ს, ხოლო 2014 წელს - 136-ს.

				პერსონალი
1.	N2 დაწესებულება	12	13	1
2.	N3 დაწესებულება	6	5	1
3.	N5 დაწესებულება	8	9	1
4.	N6 დაწესებულება	8	12	1
5.	N7 დაწესებულება	2	3	1
6.	N8 დაწესებულება	24	37	2
7.	N9 დაწესებულება	5	7	1
8.	N11 დაწესებულება	4	4	1
9.	N12 დაწესებულება	3	5	0
10.	N14 დაწესებულება	10	11	1
11.	N15 დაწესებულება	12	15	2
12.	N16 დაწესებულება	8	7	1
13	N17 დაწესებულება	9	15	2

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2014 წელს დაწესებულებებში შტატით გათვალისწინებული ექიმებისა და ექთნების რაოდენობისა და პატიმრების რაოდენობის თანაფარდობა დაწესებულებების მიხედვით მოცემულია ქვემოთ, ცხრილში:

N	სასჯელაღსრულების დაწესებულება	პატიმრებისა და ექიმების რაოდენობის თანაფარდობა	ექთნებისა და პატიმრების რაოდენობის თანაფარდობა
1.	N2 დაწესებულება	137	116
2.	N3 დაწესებულება	47	47
3.	N5 დაწესებულება	38	29
4.	N6 დაწესებულება	16	10
5.	N7 დაწესებულება	35	23
6.	N8 დაწესებულება	120	74
7.	N9 დაწესებულება	12	7
8.	N11 დაწესებულება	15	11
9.	N12 დაწესებულება	81	48
10.	N14 დაწესებულება	112	67

11.	N15 დაწესებულება	164	120
12.	N17 დაწესებულება	224	119

ზემოთ, ცხრილში მოყვანილი ციფრები გამოთვლილია თითოეულ დაწესებულებაში 2014 წლის დეკემბრის მდგომარეობით მყოფი პატიმრების რაოდენობის საშტატო განრიგით გათვალიწინებული ექიმებისა და ექთნების რაოდენობასთან შეფარდებით. ცხრილის შედგენისას არ არის გათვალისწინებული ექიმებისა და ექთნების მორიგეობის გრაფიკი, მიუხედავად ამისა, თვალშისაცემია ექთნების არასაკმარისი რაოდენობა სასჯელაღსრულების N2, N8, N14, N15 და N17 დაწესებულებებში.

2014 წლის განმავლობაში სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განხორციელებული ვიზიტების შედეგად დადგინდა, რომ ზოგიერთ დაწესებულებაში არსებობს დღისა და ღამის საათებში დაწესებულებაში საშტატო განრიგით გათვალისწინებული ექიმების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული პრობლემები. გადატვირთულობაზე და მძიმე სამუშაო პირობებზე საუბრობს ასევე სასჯელაღსრულების დაწესებულების სამედიცინო პერსონალი. ასე მაგალითად, როგორც სასჯელაღსრულების N17 დაწესებულებაში დღის საათებში მომუშავე ოჯახის ერთ ექიმზე, ასევე ღამის საათებში მორიგე ოჯახის ერთ ექიმზე 400 მსჯავრდებულზე მეტი მოდის, ხოლო ერთ ექთანზე - 200 მსჯავრდებულზე მეტი. სასჯელაღსრულების N8 დაწესებულებაში პირველადი ჯანდაცვის ერთ ექიმზე მოდის 300 პატიმრამდე. აშკარად არასაკმარისია ექთნების რაოდენობა, დღის ცვლის ერთ ექთანზე მოდის 300 პატიმრამდე, ხოლო ღამის ცვლის ერთ ექთანზე - 430 პატიმრამდე. სასჯელაღსრულების N14 დაწესებულებაში დღის მანძილზე მუშაობს 3 პირველადი ჯანდაცვის ექიმი, 3 ექთანი და 1 მორიგე ექიმი. ღამის საათებში და შაბათ-კვირას დაწესებულებაში იმყოფება 1 მორიგე ექიმი და 1 მორიგე ექთანი. დღის ცვლის ერთ ექიმსა და ერთ ექთანზე მოდის შესაბამისად 250 და 340 პატიმარზე მეტი, ხოლო ღამის ცვლის ექიმსა და ექთანზე - 1000 პატიმარზე მეტი.

სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში მძიმეა ექიმების, განსაკუთრებით კი ექთნების სამუშაო პირობები. მთელი დღის განმავლობაში მთელ დაწესებულებას ემსახურება პირველადი ჯანდაცვის მხოლოდ ერთი ექიმი და ექთანი. ასეთ ვითარებაში შეუძლებელი ხდება ექიმის მიერ პაციენტთა სრულფასოვანი მომსახურება სამედიცინო ნაწილში, პატიმართა ძირითად საცხოვრებელ საკნებში და ამასთან, სამედიცინო დოკუმენტაციის სრულფასოვნად წარმოება.

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პრობლემურია სტომატოლოგიური მომსახურება. ექიმ სტომატოლოგს არ ჰყავს ასისტენტი და ხშირ შემთხვევაში, ყოველდღე უწევს 25-30 პაციენტისათვის მომსახურების გაწევა. გარკვეული შეფერხებით მიმდინარეობს ორთოპედიული მომსახურება.

სასჯელაღსრულების N2 და N3 დაწესებულებაში ვიზიტის მიმდინარეობისას, მონიტორინგის ჯგუფმა გამოავლინა პატიმართათვის სამედიცინო მომსახურების გაწევის ახლადდამკვიდრებული პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც იმისათვის, რომ პატიმარმა მიიღოს საჭირო სამედიცინო მომსახურება, იგი წერს განცხადებას სამედიცინო მომსახურების საჭიროების შესახებ და გადასცემს დაწესებულების მორიგე კონტროლიორს. ამ უკანასკნელს დღის განმავლობაში შეგროვებული განცხადებები მიაქვს კანცელარიაში, საიდანაც განცხადებები, რეგისტრაციის შემდგომ, ეგზავნება დაწესებულების ექიმს. მხოლოდ გადაუდებელ შემთხვევაში მიაქვს მორიგე კონტროლიორს განცხადება კანცელარიაში დაუყოვნებლივ, თუმცა აქაც გაუგებარია, როგორ უნდა მოახდინოს სამედიცინო განათლების არმქონე მორიგე კონტროლიორმა შემთხვევის გადაუდებლობის განსაზღვრა. ზემოთ აღწერილი პროცედურა ქმნის დამატებით ბარიერს სამედიცინო მომსახურების მიწოდების პროცესში, ამასთან არღვევს კონფიდენციალურობის პრინციპს და იგი დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2014 წლის განმავლობაში ექიმ-კონსულტანტებს ჰქონდათ 30726 კონსულტაცია. ამასთან, ყოველთვიურად ჩატარებული კონსულტაციების რაოდენობა 2000-დან 3500 მერყეობს. ქვემოთ, მაგალითის სახით, მოცემულია ექიმ-კონსულტანტების დროული ხელმისაწვდომობის კუთხით, სასჯელაღსრულების რამდენიმე დაწესებულებაში სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ განხორციელებული ვიზიტების დროს გამოვლენილი პრობლემური შემთხვევები.

როგორც სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განხორციელებულმა მონიტორინგმა აჩვენა, პრობლემურია დაწესებულებაში მოწვეულ ექიმ-კონსულტანტთა ვიზიტების რეგულარულობა და სიხშირე. ასე მაგალითად, N3 დაწესებულებაში ექოსკოპისტს ბოლო ვიზიტი ჰქონდა მიმდინარე წლის 1 ოქტომბერს, 23-24 ოქტომბრის მდგომარეობით 12 პატიმარი ელოდა ექოსკოპისტის მომდევნო ვიზიტს, უროლოგი დაწესებულებას სტუმრობდა 14 აგვისტოს, ელოდებოდა 10 პატიმარი, რენტგენოლოგი დაწესებულებაში იმყოფებოდა 16 სექტემბერს, მომდევნო ვიზიტს ელოდა 34 პატიმარი, პროქტოლოგის ბოლო ვიზიტი თარიღდება 8 სექტემბერით, მომდევნო ვიზიტს კი ელოდა 2 პატიმარი.

სასჯელაღსრულების N2 დაწესებულებაში ერთ-ერთ პაციენტს მარცხენა წვივის ძვალზე 2 თვე ეკეთა ელიზაროვის აპარატი დამსხვრეული ძვლების ფიქსირებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ სამედიცინო დოკუმენტაციაში არსებული 2014 წლის 1 სექტემბრით დათარიღებილი ჩანაწერის თანახმად, რეკომენდირებული იყო 1 თვის შემდეგ ტრავმატოლოგის კონსულტაცია, პაციენტისთვის კონსულტაცია 2 თვის შემდეგაც არ იყო გაწეული. ამავე პაციენტს ერთი კვირის წინ ჩატარებული ჰქონდა რენტგენოგრაფიული გამოკვლევა, თუმცა გამოკვლევის შედეგების შესახებ ის ინფორმირებული არ იყო.

სასჯელაღსრულების N14 დაწესებულებაში შემოწმებისას დადგინდა, რომ ექიმ-კონსულტანტებთან კონსულტაციაზე ჩაწერილი პატიმრების მოლოდინის დრო საკმაოდ ხანგრძლივია, რაც არ შეესაბამება სამედიცინო მომსახურების დროულად მიწოდების სტანდარტს. ასე მაგალითად:

- ერთ-ერთი პაციენტი აცხადებდა, რომ 5 თვეა ითხოვს ენდოკრენოლოგის კონსულტაციას, თუმცა უშედეგოდ. დაწესებულებაში არ ხორციელდება ენდოკრენოლოგის ვიზიტი.
- პაციენტი, რომელიც მოთავსებული იყო სამედიცინო ნაწილში ოპერაციის შემდგომ ჭრილობის გახსნის გამო, ორი კვირის განმავლობაში ელოდა ქირურგის კონსულტაციას.
- პაციენტი ჩაწერილია სპეციალისტთან კონსულტაციაზე 2014 წლის 6 სექტემბერს, მაგრამ კონსულტაციის შესახებ ექიმის ჩანაწერი სპეციალურ ჟურნალში საერთოდ არ იძებნება.
- პაციენტი, რომელსაც აწუხებს ჰემოროიდული დაავადება, ჩაწერილია შესაბამის სპეციალისტთან კონსულტაციაზე 2014 წლის 16 სექტემბერს, მაგრამ კონსულტაციის შესახებ ჩანაწერი ამ შემთხვევაშიც არ ფიქსირდება.
- კიდევ ორი პაციენტი იყო ჩაწერილი შესაბამისი პროფილის ექიმთან კონსულტაციაზე 2014 წლის 17 სექტემბერს, მაგრამ კონსულტაციის ჩატარების ფაქტი კვლავ ვერ დგინდება.
- ერთ-ერთი პატიმარი, რომელსაც აქვს პრობლემები ფსიქიკური ჯანმრთელობის მხრივ, აცხადებდა, რომ რამდენიმე თვეა უშედეგოდ ელოდება ფსიქიატრის კონსულტაციას. ფსიქიატრთან ბოლო კონსულტაცია სამედიცინო ბარათში თარიღდება 2014 წლის 27 მარტით. ვინაიდან ფსიქიატრთან კონსულტაციაზე ჩაწერის ფორმაში აღნიშნული პატიმრის სახელი და გვარი მოცემული არ იყო, მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა, პატიმრის თანხმობით, პირველადი ჯანდაცვის ექიმს სთხოვეს ინფორმაციის მოწოდება. ექიმმა განაცხადა, რომ დაავიწყდა პატიმრის ჩაწერა კონსულტაციაზე და მეორე დღესვე გამოასწორებდა ამ ხარვეზს.

სასჯელაღსრულების N14 დაწესებულებაში ჩატარებული შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ 2014 წლის 16 ოქტომბერს ფსიქიატრთან კონსულტაცია გაიარა 40 პატიმარმა, 9 ოქტომბერს - 32 პატიმარმა, ხოლო 2 ოქტომბერს - 38 პაციენტმა. ერთ დღეში ამ რაოდენობის პაციენტთა კონსულტირების ფაქტი წარმოშობს გონივრულ ეჭვს კონსულტაციის მოცულობასა და ხარისხთან მიმართებით.

როგორც 2014 წლის დეკემბერში სასჯელაღსრულების N8 დაწესებულებაში სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტის დროს პატიმრებსა და სამედიცინო პერსონალთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, დაწესებულებაში პრობლემურია ნევროლოგის კონსულტაციის დროულად უზრუნველყოფა. გაირკვა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე სასჯელაღსრულების დაწესებულებებს მხოლოდ ერთი ნევროლოგი ემსახურება. მიუხედავად იმისა, რომ სასჯელაღსრულების N8 დაწესებულებაში ერთ-ერთ ყველაზე ხშირად გავრცელებულ დაავადებათა კატეგორიას საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები წარმოადგენს, პრობლემურია გასტროენტეროლოგის კონსულტაციის დროულობა. ასევე აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევებში არ არის უზრუნველყოფილი ოტორინოლარინგოლოგის დროული კონსულტაცია.

სასჯელაღსრულების N8 დაწესებულებაში კვლავ დიდ გამოწვევად რჩება ფსიქიკური ჯანმრთელობა. ფსიქიატრისადმი მიმართვიანობა საკმაოდ მაღალია. სამედიცინო პერსონალის მიერ წამოდგენილი ყოველთვიური ანგარიშებიდან ირკვევა, რომ ფსიქიატრის მიერ ჩატარებულ კონსულტაციათა რაოდენობა ყოველთვიურად 140-185 პატიმრამდე მერყეობს. ფსიქიატრის მომსახურების მხრივ გარკვეული შეფერხება იყო სექტემბრის თვეში, რის გამოც მხოლოდ 68 პატიმრის კონსულტირება მოხერხდა. სამედიცინო პერსონალის განმარტებით, კონუსლტაციაზე ჩაწერილ პატიმართა სიას ფსიქიატრს პირველადი ჯანდაცვის ექიმები გადასცემენ, რომლებიც რიგ შემთხვევაში ამ სიაში არ წერენ ზოგიერთ პატიმარს, მიუხედავად მათი მოთხოვნისა, ვინაიდან თვლიან, რომ ამ პატიმრების მხრიდან ადგილი აქვს სიმულაციას. მიგვაჩნია, რომ დაწესებულებაში არსებული არაჯანსაღი დამთრგუნველი გარემოს გათვალისწინებით, მაქსიმალურად უნდა იყოს უზრუნველყოფილი ფსიქიატრის ხელმისაწვდომობა, რათა მოხდეს ფსიქიკური პრობლემების დროული იდენტიფიცირება და ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარების დროული მიწოდება.

სასჯელაღსრულების N17 დაწესებულებაში 2014 წლის დეკემბერში ჩატარებული შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ვიწრო სპეციალიზაციის ექიმ-კონსულტანტებთან კონსულტაციაზე ჩაწერილი პატიმრების მოლოდინის დრო საკმაოდ ხანგრძლივია, რაც არ შეესაბამება სამედიცინო მომსახურეობის დროულად მიწოდების სტანდარტებს. ასე მაგალითად:

- მსჯავრდებულ გ.ბ-ს 2013 წლის 1 მარტს გასინჯვის ფურცელში ფორმა N200-5/ა ქირურგის მიერ დაფიქსირებულია, რომ ესაჭიროება მუცლის ღრუს ექოსკოპია და კოლონოსკოპია, გამოკვლევა არ იყო ჩატარებული.
- მსჯავრდებულ ვ.ბ-ს, 2014 წლის 29 ოქტომბერს ჩატარებული კონსულტაციის თანახმად, ესაჭიროება ნევროპათოლოგის კონსულტაცია, რაც არ იყო შესრულებული.
- მსჯავრდებულ დ.ტ-ს, ექიმის 2014 წლის 8 ივლისის რეკომენდაციის თანახმად, ესაჭიროება წელის სეგმენტის მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია. პაციენტი დარეგისტრირებულია შესაბამის ბაზაში, თუმცა გამოკვლევა არ ჩატარებია.
- მსჯავრდებული თ.გ. 6 თვის განმავლობაში უშედეგოდ ითხოვდა ნევროპათოლოგის კონსულტაციას.

სასჯელაღსრულების N17 დაწესებულებაში გამოკითხული მსჯავრდებულები გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას გასტროენტეროლოგის იშვიათი ვიზიტის გამო. მათი განცხადებით 3-4 თვის განმავლობაში უწევთ ლოდინი, ვიდრე ჩაუტარდებათ გასტროენტეროლოგის კონსულტაცია. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში კუჭ-ნაწლავის დაავადებათა პრევალენტობის გათვალისწინებით, გასტროენტეროლოგის ვიზიტებს შორის ხანგძლივი დაყოვნება უარყოფითად აისახება მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

სამედიცინო რეფერალი

პირველადი ჯანდაცვის რგოლი (სასჯელაღსრულების დაწესებულებებში) თავად განსაზღვრავს სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურების საჭიროებას და ითხოვს პაციენტის გადამისამართებას, რეგისტრირება ხდება პროგრამულად; რეგისტრაციის მომენტიდან სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტი ამუშავებს მოთხოვნას. რომლის საფუძველზეც, საკმარისი დასაბუთებისა და ეროვნულ (და საჭიროებისას საერთაშორისო) გაიდლაინებთან შესაბამისობის შემთხვევაში ხდება მოთხოვნის დადასტურება და შემთხვევას ენიჭება რიგითი ნომერი.

დადასტურების მომენტიდან რიგითი ნომრის მიხედვით ხდება შეთანხმება სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთან და ხორციელდება პაციენტის რეფერალი. მოთხოვნაზე უარის შემთხვევაში, უარი აღირიცხება სისტემაში და პირველადი ჯანდაცვის რგოლს ეცნობება უარის მიზეზები.

ელექტრონული რიგით სარგებლობენ მხოლოდ გეგმიური პაციენტები. გადაუდებელი შემთხვევები მოლოდინის რეჟიმს არ ექვემდებარება. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ფარგლებში ელექტრონული რიგი გამიჯნულია და დამოუკიდებლად რეგულირდება. დამოუკიდებლად რეგულირდება ასევე სტაციონარული და ამბულატორიული რეფერალიც.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის წარმომადგენელთა განმარტებით, გეგმიური რეფერალის განხორციელებაზე შემაფერხებელ გავლენას ახდენს პატიმართა მხრიდან თვითდაზიანების, შიმშილობისა და მკურნალობის თვითნებურად შეწყვეტის ფაქტები. ასევე მასზე გავლენას ახდენს სამოქალაქო საავადმყოფოების გამტარიანობა პატიმრებთან მიმართებით. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, პატიმრების სამედიცინო მომსახურება ხორციელდება სამოქალაქო სექტორის 51 კონტრაქტორ დაწესებულებაში. ამასთან, პატიმრებს ემსახურება ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრი (N19 დაწესებულება) და ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება (N18 დაწესებულება). უნდა აღინიშნოს, რომ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების სარემონტო სამუშაოების გამო დროებითმა დახურვამ სამედიცინო მომსახურების დროულად ხელმისაწვდომობის მხრივ გარკვეული პრობლემები შექმნა, თუმცა განახლებული სახით მისი გახსნა დადებითად უნდა აისახოს პენიტენციური ჯანდაცვის სისტემის შესაძლებლობებზე. სასჯელაღსრულების აღნიშნულ სამკურნალო დაწესებულებების შესაბამის განყოფილებებში სამედიცინო პერსონალის შემადგენლობა მოცემულია ქვემოთ, ცხრილებში.

N18 დაწესებულება

განყოფილება	რაოდენობა	განყოფილება	რაოდენობა
მთავარი ექიმი	1	მიმღები	
მთავარი ექიმის მოადგილე	1	განყოფილების უფროსი ექიმი	1
ხანგრძლივი მოვლის განყოფილება		ექიმი (მორიგე)	4
განყოფილების უფროსი	1	ექთანი	7
ექიმი თერაპევტი	1	რადიოლოგიის განყოფილება	
ექიმი	3	ექიმი რენტგენოლოგი	1
ექიმი (მორიგე)	1	ექიმი ენდოსკოპისტი	1
ექიმი კარდიოლოგი	1	რენტგენ-ლაბორანტი	4
ექიმი ნევროპათოლოგი	1	ექთანი	1
ექიმი ეპიდემიოლოგი	1	ლაბორატორია	
ექიმი ენდოკრინოლოგი	1	ლაბორატორიის უფროსი	1
ექიმი დერმატო-	1	ექიმი ლაბორანტი	6
უფროსი ექთანი	1	ლაბორანტი	4
ექთანი	8	თერაპიის განყოფილება	
ექთნის ასისტენტი	5	განყოფილების უფროსი ექიმი	1
ფსიქიატრიული განყოფილება		ექიმი (მორიგე)	4
განყოფილების უფროსი	1	ექიმი თერაპევტი	1
ექიმი ფსიქიატრი	4	უფროსი ექთანი	1
ფსიქოლოგი	1	ექთანი	5
ექთანი	4	კრიტიკული მედიცინის	
სანიტარი	4	განყოფილების უფროსი ექიმი	1
ტუბერკულოზისა და ინფექციური დაავადებების		ექთანი (მორიგე)	1
განყოფილების უფროსი	1	ექთანი	3
ექიმი ფთიზიატრი	1	ქირურგიული განყოფილება	
ექიმი ინფექციონისტი	3	განყოფილების უფროსი ექიმი	1
ექთანი	4	ზოგადი ქირურგი	4

სტომატოლოგიური განყოფილება		ქირურგი პროქტოლოგი	1
ექიმი ნევროპათოლოგი	1	ქირურგი უროლოგი	1
ექიმი სტომატოლოგი	1	ქირურგი ტრავმატოლოგი	1
ექთანი	1	**ექიმი ოტორინოლარინგოლოგი**	
ანესთეზიოლოგიური განყოფილება		ექთანი	14
განყოფილების უფროსი	1	ექთნის ასისტენტი	5
ანესთეზიის ექთანი	3	**სტერილიზაციის ბლოკი**	
ექთანი (მორიგე)	1	ექთანი	4
ექთანი	1		

N19 დაწესებულება

განყოფილება	**რაოდენობა**	**განყოფილება**	**რაოდენობა**
მთავარი ექიმი	1	**სტაციონარული განყოფილება**	
უფროსი ექთანი	1	განყოფილების უფროსი ექიმი	1
ექთანი	3	ექიმი	9
ექიმი რენტგენოლოგი	1	ექთანი	9
რენტგენ-ლაბორანტი	1	ექთნის ასისტენტი	2
ექიმი სტომატოლოგი	1	**ინტერსიური თერაპიის განყოფილება**	
რეზისტენტული ტუბერკულოზის განყოფილება		განყოფილების უფროსი ექიმი	1
განყოფილების უფროსი	1	ექიმი	4
ექიმი	1	ექთანი	8
ექთანი	17	**ლაბორატორია**	
სენსიტიური ტუბერკულოზის ამბულატორიული განყოფილება		ლაბორატორიის უფროსი	1
განყოფილების უფროსი	1	ექიმი ლაბორანტი	3
ექიმი	6	ლაბორანტი	3

ექთანი	8		

სასჯელაღსულებისა და პრობაციის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2014 წლის განმავლობაში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში 1122, ხოლო სამოქალაქო სექტორის სამკურნალო დაწესებულებაში 3658 რეფერალი განხორციელდა.

2013 წლის საპარლამენტო ანგარიშში მიმოხილული იყო სამედიცინო რეფერალის მარეგულირებელი ელექტრონული ბაზის ფუნქციონირების საკითხი. ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ აღნიშნული ბაზის ფუნქციონირების სპეციფიკა არ იყო დარეგულირებული შესაბამისი ნორმატიული აქტით, ხოლო სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 10 მარტის N38 ბრძანება მოძველებული იყო. შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველმა გასცა რეკომენდაცია აღნიშნული ბრძანების გაუქმებისა და სამედიცინო რეფერალის მარეგულირებელი ახალი წესის დამტკიცების შესახებ.

დადებითად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის N38 ბრძანება გაუქმდა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 10 აპრილის N55 ბრძანებით. აღსანიშნავია, რომ N55 ბრძანებით დამტკიცებული „საერთო პროფილის საავადმყოფოში, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გადაყვანის წესის“ პირველი მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად, პაციენტის სამკურნალო დაწესებულებასა და ცენტრში გადაყვანის შესახებ სამედიცინო დეპარტამენტის რეკომენდაცია მიიღება დაწესებულების ექიმის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე, რომელიც რეგისტრირდება შესაბამის სამედიცინო მომსახურების ელექტრონულ პროგრამაში (შემდგომში - სამედიცინო პროგრამა). ექიმი შუამდგომლობის შესახებ ინფორმაციას წერილობით წარუდგენს დაწესებულების დირექტორს. სამედიცინო დეპარტამენტი შუამდგომლობას განიხილავს გონივრულ ვადაში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ან აღიარებული კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციების (გაიდლაინების) და კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლების) ასევე, საჭიროებისას, საერთაშორისო სახელმძღვანელო დოკუმენტების გამოყენებით. შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, თუ პაციენტს ესაჭიროება გეგმური სამედიცინო მომსახურება, სამედიცინო პროგრამაში ენიჭება რიგითი ნომერი და მისი სამკურნალო დაწესებულებაში/ცენტრში გადაყვანის შესახებ რეკომენდაცია, გადაყვანამდე არანაკლებ ერთი დღით ადრე, ეგზავნება დაწესებულების დირექტორსა და მთავარ ექიმს.

აღნიშნული მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს რიგითობის განსაზღვრის საფუძვლებს. კერძოდ, სამედიცინო დეპარტამენტი რიგითობას განსაზღვრავს ტერიტორიული პრინციპის გათვალისწინებით, ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების შესაბამისად. სამწუხაროა, რომ არ იქნა გაზიარებული საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია სამედიცინო რეფერალის სისტემის შემდგომი დახვეწის შესახებ, რათა მაქსიმალურად თავიდან ყოფილიყო აცილებული სამედიცინო მომსახურების მიწოდების დაყოვნება. შეთავაზებული იყო ელექტრონული რიგის შემდგომი დიფერენციაცია დაავადებების მწვავე და ქრონიკული ხასიათის, დაავადების მიმდინარეობის დინამიკის, პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მათი ზეგავლენისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ აუცილებელია სამედიცინო რეფერალის ელექტრონული ბაზის შემდგომი დახვეწა, ვინაიდან რიგითი ნომრის განსაზღვრისას მხვედველობაში არ მიიღება პაციენტის ინდივიდუალური საჭიროებები და რიგითობა დამოკიდებულია არა კლინიკურ ფაქტორებზე, არამედ ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა სამედიცინო მომსახურების მომლოდინე პაციენტთა რაოდენობა და სამედიცინო დაწესებულების გამტარიანობა.

გეგმიური სამედიცინო რეფერალის განხორციელების წესის ერთ-ერთ უმთავრეს ნაკლად შეიძლება მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ ის არ ითვალისწინებს შემთხვევას, როდესაც მომსახურების მომლოდინე პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა, კლინიკური სურათი თანდათან უარესდება, თუმცა ჯერ კიდევ არ არსებობს „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ტ1“ პუნქტის შესაბამისად გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევის საჭიროება. აქვე გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთი დაავადება სწრაფად ვითარდება, ხოლო სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნის შემთხვევაში გადაუდებელი სამედიცინო დახმარება შეიძლება დაგვიანებული იყოს. სამედიცინო რეფერალის განხორციელების წესი არ ითვალისწინებს ასეთი დაავადებით დაავადებული პაციენტს რიგითობის განსაზღვრისას უპირატესობის მინიჭების შესაძლებლობას.

2013 წლის საპარლამენტო ანგარიშში ასევე ხაზგასმული იყო ის გარემოება, რომ სამედიცინო რეფერალის განხორციელება და სამედიცინო მომსახურების მიღება დამოკიდებულია დაწესებულების დირექტორის და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის, არასამედიცინო პერსონალის, ნებაზე, რაც სამედიცინო მომსახურების მიწოდების პროცესში პოტენციურ ხარვეზად იყო მიჩნეული. საქართველოს სახალხო დამცველმა გასცა რეკომენდაცია, რომ აღნიშნული წესი გაუქმებულიყო და სამედიცინო რეფერალის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება მიეღო მხოლოდ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის უფროსს პატიმრის გადაყვანის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარესთან კონსულტაციის შემდგომ. სამწუხაროდ, N55 ბრძანებით დამტკიცებული წესი სასჯელაღსრულების სამკურნალო დაწესებულებებში გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილების

მიღების უფლებამოსილებას სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორს, ხოლო სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანის შემთხვევაში - სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს ანიჭებს. როგორც სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორი, ასევე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე უფლებამოსილები არიან უარი თქვან პატიმრის გადაყვანაზე. ამასთან, წესში მითითებული არ არის, უარის შემთხვევაში, რა დამატებითი ღონისძიებების მიღება არის აუცილებელი, რომ პატიმარი უზრუნველყონ დროული და ადეკვატური სამედიცინო მომსახურებით. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ხარვეზები უნდა აღმოიფხვრას სამედიცინო რეფერალის მარეგულირებელ წესში შესაბამისი ცვლილებების შეტანის გზით.

2013 წლის საპარლამენტო ანგარიშში სამედიცინო რეფერალთან დაკავშირებით გაცემული ერთ-ერთი რეკომენდაციის თანახმად, სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებაში ამბულატორიული მომსახურების მიზნით გადაყვანილი პატიმრის არასრული გამოკვლევის ან დროის მოკლე მონაკვეთში (შემდგომ დღეებში) დამატებითი გამოკვლევების ჩატარების საჭიროების შემთხვევაში ამ პატიმარის გადაყვანა უნდა განხორციელდეს რიგგარეშე. მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანია აღნიშნული საკითხის ასახვა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N55 ბრძანებაში, რათა არსებობდეს რიგგარეშე გადაყვანის სამართლებრივი საფუძვლები.

სამედიცინო მომსახურების ეკვივალენტობა და ხარისხი

ევროპული ციხის წესების თანახმად, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურება ორგანიზებული უნდა იყოს საერთო, ეროვნულ ჯანდაცვასთან მჭიდრო კავშირის პირობებში, ამასთან, სამედიცინო მომსახურება უნდა იყოს ინტეგრირებული და შეესაბამებოდეს ჯანდაცვის ეროვნულ პოლიტიკას. პატიმრები უნდა სარგებლობდნენ ქვეყანაში ხელმისაწვდომი ჯანდაცვის სერვისებით. დაუშვებელია პატიმრების დისკრიმინაცია მათი სამართლებრივი სტატუსის საფუძველზე. პატიმრებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ქვეყანაში არსებული ყველა საჭირო სამედიცინო, ქირურგიული და ფსიქიატრიული მომსახურება.[144]

სამწუხაროდ, 2014 წელს არ გადადგმულა პენიტენციური ჯანდაცვის სამოქალაქო ჯანდაცვასთან სრული ინტეგრაციისკენ მიმართული არსებითი ნაბიჯები. შესაბამისად, ჯანდაცვის ეს ორი სექტორი გარკვეულწილად დამოუკიდებლად ვითარდება. პენიტენციურ ჯანდაცვაში ჯერჯერობით სრულად არ არის დანერგილი სამოქალაქო ჯანდაცვის სექტორში არსებული სტანდარტები. მართალია, პენიტენციურ ჯანდაცვის ორგანიზებისას გასათვალისწინებელია სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული სპეფიციკური

[144] ევროპული ციხის წესები, წესი 40.1-40.5.

გამოწვევები და სიძნელეები, მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია მაქსიმალურად შემჭირდოებულ ვადებში მოხდეს სამოქალაქო ჯანდაცვის სექტორში მოქმედი ძირითადი, საბაზისო სტანდარტების იმპლემენტაცია, რათა თანდათანობით უზრუნველყოფილ იქნას სასჯელაღსრულების ჯანდაცვის სერვისების ეკვივალენტობა. აუცილებელია დაინერგოს სამედიცინო მომსახურების ხარისხის კონტროლის ეფექტური მექანიზმი. მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ რამდენიმე ძირითად, პრობლემურ საკითხზე ქვემოთ იქნება საუბარი.

საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის 2012 წლის 12 სექტემბრის N01-63/ნ ბრძანება „სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისა და პაციენტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის შეფასების შიდა სისტემის ფუნქციონირების შესახებ“ არეგულირებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა ერთეულის შექმნას სტაციონარულ დაწესებულებებში და პაციენტზე ორიენტირებული, ხარისხიანი და ეფექტური მომსახურების უზრუნველყოფას.

ხარისხის სამსახური ახორციელებს ისეთი პრიორიტეტული სფეროების მონიტორინგს, როგორიცაა ნებართვა; ფიზიკური ინფრასტრუქტურისა და სამედიცინო აღჭურვილობის სათანადო ფუნქციონირება, პერსონალის კვალიფიკაცია; სანიტარული, ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური მეთვალყურეობის რეჟიმი; ეროვნული რეკომენდაციების (გაიდლაინების) და სტანდარტების (პროტოკოლების) ინსტიტუციონალიზაცია; ნოზოკომიური ინფექციების კონტროლი; სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება სტატისტიკისა და რეფერირების მართვის ჩათვლით. სამწუხაროდ, ზემოაღნიშნული ბრძანებით დადგენილი მოთხოვნები სასჯელაღსრულების სისტემაში ჯერ არ სრულდება.

„სამედიცინო ჩარევების კლასიფიკაციის განსაზღვრისა და პირველადი ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ ჯანდაცვის მინისტრის 2013 წლის 19 ივნისის N01-25/ნ ბრძანება პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებსისათვის აწესებს ძირითად მოთხოვნებს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბრძანებით გათვალისწინებული მოთხოვნები ვრცელდება და სავალდებულოა მხოლოდ პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებისათვის, რომლებიც ჯანდაცვის საყოველთაო დაზღვევის პროგრამას ახორციელებენ, თუმცა ამ ბრძანებით განსაზღვრული ზოგიერთი სტანდარტის დანერგვა პენიტენციური ჯანდაცვის სისტემაში წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა პენიტენციური ჯანდაცვის სერვისების ეკვივალენტობის უზრუნველყოფის პროცესში. ბრძანებით დადგენილი მოთხოვნებიდან კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება გამოიყოს ცივი ჯაჭვის უზრუნველყოფის, ბასრი საგნებისა და გამოყენებული შპრიცების მოსაგროვებლად უსაფრთხო ყუთებისა და სათანადო კონტეინერების, დეზინფექციისა და სტერილიზაციის (მრავალჯერადი გამოყენების სამედიცინო იარაღების, საგნებისა და მასალებისათვის) სათანადო რეჟიმით გამოყენებისა და დადგენილი წესის შესაბამისად აღრიცხვის, ასევე სამედიცინო და სტატისტიკური დოკუმენტაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმოების მოთხოვნები.

„მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის N359 დადგენილება არეგულირებს მაღალი რისკის შემცველ სამედიცინო საქმიანობას. ამგვარი სამედიცინო საქმიანობა, რომელიც ასევე ხორციელდება სასჯელაღსრულების სისტემაში, დაკავშირებულია ისეთ ინფექციურ დაავადებებთან, როგორიცაა ტუბერკულოზი, ჰეპატიტი და აივ ინფექცია/შიდსი. მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ აღნიშნული დადგენილების მოთხოვნები სასჯელაღსრულების სისტემაში სრულად დაცული არ არის. პრობლემები არსებობს სამედიცინო ნარჩენების სათანადო უტილიზაციასთან, დეზინფექციისა და სტერილიზაციის პროცესის კონტროლთან, გამოკვლევებისა და სამანიპულაციო ოთახების სათანადო სავენტილაციო სისტემით აღჭურვასთან დაკავშირებით.

პენიტენციური ჯანდაცვის სერვისების ეკვივალენტობის შეფასებისას უმნიშვნელოვანესია განიხილონ, თუ რამდენად არის ხელმისაწვდომი პატიმრისათვის დროული სამედიცინო გამოკვლევა და ადეკვატური მკურნალობა, რაც ასევე მოიცავს მედიკამენტოზურ მკურნალობას.

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ტ1“ პუნქტის შესაბამისად, გადაუდებელი სამედიცინო დახმარება გულისხმობს სამედიცინო დახმარებას, რომლის გარეშეც გარდაუვალია პაციენტის სიკვდილი, დაინვალიდება ან ჯანმრთელობის მდგომარეობის სერიოზული გაუარესება. „სამედიცინო ჩარევების კლასიფიკაციის განსაზღვრისა და პირველადი ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 19 ივნისის N01-25/ნ ბრძანებით დამტკიცებული სამედიცინო ინტერვენციების კლასიფიკაცია მოიცავს 4 სახის ინტერვენციას. კერძოდ, გადაუდებელი (კრიტიკული) ინტერვენცია წარმოადგენს სიცოცხლის, ორგანოს ან კიდურის გადასარჩენად მიმართულ ინტერვენციას ერთდროული რეანიმაციით და, ჩვეულებრივ, ჩარევა იწყება გადაწყვეტილების მიღებიდან რამდენიმე წუთში. სასწრაფო-დაუყოვნებელი ინტერვენცია გულისხმობს მწვავედ დაწყებული ან/და კლინიკურად გაუარესებული, სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობების დროს განხორციელებულ ინტერვენციას. ეს მდგომარეობები დაკავშირებულია სიცოცხლის, ორგანოს ან კიდურის დაკარგვის საფრთხესთან, ხოლო ინტერვენციები მოიცავს მოტეხილობების ფიქსაციას, ტკივილის მართვას და სხვა მძიმე სიმპტომების კუპირებას. ჩვეულებრივ, ინტერვენციის გადაწყვეტილება უნდა იყოს მიღებული არაუგვიანეს 24 საათისა, მას შემდგომ, რაც პირველი რიგის შემანარჩუნებელი მკურნალობა დასრულებულია. სასწრაფო დაყოვნებული ინტერვენცია არის ადრეული ინტერვენცია პაციენტის სტაბილური მდგომარეობის პირობებში, როდესაც პაციენტის სიცოცხლეს, რომელიმე ორგანოს ან კიდურს გადაუდებელი საფრთხე არ ემუქრება, თუმცა ინტერვენცია დასაგეგმია რამდენიმე დღეში (2-5 დღე).

გეგმიური ინტერვენცია იგეგმება პაციენტისთვის, ექიმისთვის და სამედიცინო დაწესებულებისთვის მოსახერხებელ დროს. ზემოთ, შესაბამის ქვეთავში მიმოხილული იყო სამედიცინო რეფერალის მარეგულირებელი წესი, ასევე დაწესებულებაში ექიმ კონსულტანტების მიერ მომსახურების გაწევის საკითხი. სამწუხაროდ, აღნიშნული ბრძანებით დადგენილი სტანდარტი, რიგ შემთხვევაში არ სრულდება და, შესაბამისად, ყველა შემთხვევაში არ არის უზრუნველყოფილი დროული სამედიცინო მომსახურება. ამდენად მნიშვნელოვანია, რომ სასჯელაღსრულების სამედიცინო პერსონალმა სამედიცინო ინტერვენციების დაგეგმვისას იხელმძღვანელოს ზემოაღნიშნული ბრძანებით.

მიუხედავად იმისა, რომ პენიტენციური ჯანდაცვის ორგანიზების კუთხით არსებითი პროგრესი აღინიშნება, კვლავაც მრავლად არის ხარვეზები სასჯელაღსრულების სისტემაში სამედიცინო მომსახურების მიწოდების პროცესში. რიგ შემთხვევებში არ არის დაცული სამედიცინო მომსახურების მიწოდების უწყვეტობა. ასე მაგალითად, გარდაცვლილ დ.გ.-ს სამედიცინო დოკუმენტაციაში არ იძებნება ქირურგის მიერ ჩატარებული კონსულტაციის ფურცელი, ასევე დაწესებულებაში არსებულ მედიკამენტების ბრუნვის ამსახველ დოკუმენტაციაში არ მოიძებნა გარდაცვლილი პაციენტისთვის მოთხოვნილი და გაცემული მედიკამენტების შესახებ ჩანაწერი. საჭირო სამედიცინო დოკუმენტაცია სასჯელაღსრულების N17 დაწესებულების სამედიცინო პერსონალს დაგვიანებით მიეწოდა მსჯავრდებულ ც.ა.-ს შემთხვევაში.

გ.კ.-ს პირად საქმეში არ აღმოჩნდა სამედიცინო ბარათი, რის გამოც პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის კონტროლისა და შეფასების მიზნით სამედიცინო პერსონალის მიერ პაციენტის დაწესებულებაში შესვლის დღიდან შეიქმნა ახალი სამედიცინო ბარათი. ხ. რ.-ს სამედიცინო დოკუმენტაციაში არ არის დაფიქსირებული ხერხემლის სვეტის რენტგენოგრაფიიის პასუხი.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველოს წარმომადგენლების მიერ სასჯელაღსრულების N12 დაწესებულებაში ჩატარებული შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სამედიცინო ჩანაწერები რიგ შემთხვევებში შესრულებულია იმგვარად, რომ წაკითხვა შეუძლებელია; პაციენტის ზოგადი მონაცემების ცხრილი შევსებულია არასრულად; იმუნიზაციის ცხრილი საერთოდ არ არის შევსებული; არ არის მითითებული ჩატარებული კონსულტაციის თარიღი, ასევე ექიმ-კონსულტანტების სახელები და გვარები. ანალოგიური ხარვეზები იყო გამოვლენილი სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ სასჯელაღსრულების სხვა დაწესებულებებშიც.

სასჯელაღსრულების N18 დაწესებულებაში დაფიქსირდა სამედიცინო პერსონალის მიერ პაციენტთა მიღებისა და გაწერის რეგისტრაციის ჟურნალსა და სტაციონარულ ბარათებზე ნუმერაციის თვითნებური ჩასწორება.

მონიტორინგის ჯგუფმა გამოავლინა შემთხვევები, როდესაც პაციენტებს არ უტარდებათ მკურნალობა დანიშნულების მიხედვით. ასე მაგალითად, სასჯელაღსრულების N17 დაწესებულებაში ერთ-ერთ პატიმარს სპეციალისტის მიერ დანიშნული ჰქონდა მკურნალობა ელექტროფორეზით, თუმცა დაწესებულებაში აპარატის არქონის გამო აღნიშნული მკურნალობა პაციენტს ვერ ჩაუტარდა. ასევე ერთ-ერთ პატიმარს, რომელსაც სასჯელაღსრულების სისტემაში ჯერ კიდევ 2012 წელს, „ავერსის“ კლინიკაში ჩატარებული გამოკვლევების შედეგად დაუდგინდა ქვემო კიდურების ვენების ოკლუზია და მიეცა ანგიოლოგიური ოპერაციის ჩატარების რეკომენდაცია, არ ჩატარებია ოპერაცია და უჭირს გადაადგილება.

მედიკამენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა წარმატებული მკურნალობის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმართა გენერიკ მედიკამენტებით მომარაგება ზოგადად დამაკმაყოფილებელია, მაგრამ პატიმრები, გარდა სასჯელაღსრულების N15 დაწესებულებაში მყოფებისა აფთიაქის არარსებობის გამო ვერ იძენენ ე.წ. ბრენდულ მედიკამენტებს. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ მედიკამენტების ხელმისაწვდომობის მხრივ ეკვივალენტობის პრინციპი დაცული არ არის.

ნიშანდობლივია, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველოს მიერ ჩატარებული შემოწმებით დადგინდა გარკვეული ხარვეზები მედიკამენტების მიწოდების პროცესში. ასე მაგალითად, ე.მ.-ს შეფერხებით მიეწოდა დანიშნული ბრენდული სახელწოდების მედიკამენტი. ნ.მ.-ს არ მიეწოდებოდა დაპატიმრებამდე დანიშნული ნეიროლეპსიური მედიკამენტი; გაიცა რეკომენდაცია სამედიცინო დეპარტამენტის მიერ აღნიშნული მედიკამენტის შეძენისა და პატიმრისათვის მიწოდების შესახებ.

გ.ნ-ს პოსტოპერაციული მკურნალობის მიზნით მიეწოდებოდა შემდეგი სახის მედიკამენტები: ნუკლეოფორტე; სოლკოსერილი; მილდრონატი; ნეირომიდინი; ომეგა. ხოლო პრეპარატი განგლერონი არ შედის ბაზისური მედიკამენტების ნუსხაში, მიუხედავად ამისა, სამედიცინო დეპარტამენტის ლოჯისტიკის სამმართველომ აღნიშნული მედიკამენტის შესასყიდად შესაბამისი პროცედურების დაცვით სცადა შეძენა, მაგრამ იმ მომენტისათვის აღნიშნული მედიკამენტი არ იყო არცერთი კონტრაქტორი ფარმაცევტული კომპანიის ბაზაში. განგლერონს ამ მომენტისათვის არ აქვს ფარმაცევტულ ბაზარზე რეგისტრაციის კოდი, შესაბამისად, სამედიცინო დეპარტამენტმა ვერ უზრუნველყო პაციენტი განგლერონით. გ.ნ.-ს შეეთავაზა, აღნიშნული მედიკამენტი შეეძინა საკუთარი ხარჯით. მსჯავრდებულ ზ.ხ.-ს შემთხვევაში, არსებული დოკუმენტაციის შემოწმებით ვერ დადასტურდა მსჯავრდებულისათვის გარკვეული მედიკამენტების მიწოდების ფაქტი. ვ.ც.-ს სამედიცინო დოკუმენტაციაში არ დევს დანიშნულების ფურცელი, რომლითაც დასტურდება პოსტოპერაციული დანიშნულების შესრულება.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველო თავად ცდილობს გამოავლინოს სამედიცინო მომსახურების მიწოდების ხარვეზები, რაც ასევე 2013 წლის საპარლამენტო ანგარიშში ერთ-ერთ რეკომენდაციად იყო მოცემული. მიუხედავად ამისა, ხარისხის კონტროლისა და უზრუნველყოფის სისტემა ამ პროცესის თანამედროვე გაგებით ჯერ კიდევ სრულად არ მოქმედებს პენიტენციური ჯანდაცვის სისტემაში. მნიშვნელოვანია, გაძლიერდეს სამოქალაქო ჯანდაცვის სისტემაში მოქმედი სტანდარტების პენიტენციური ჯანდაცვის სისტემაში იმპლემენტაციის კონტროლის მექანიზმი, დაინერგოს სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის ეფექტური სისტემა, პენიტენციური ჯანდაცვის სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს სტატისტიკური მონაცემების ანალიზის შედეგებს, მოხდეს შესყიდვების პროცესის ეფექტიანი მართვა და ხარჯთეფექტიანობის ანალიზი. პენიტენციური ჯანდაცვის სერვისების ხარისხის შეფასებისას გამოყენებული უნდა იყოს წინასწარ განსაზღვრული, ვალიდური ინდიკატორები.

რეკომენდაცია სასჯელაღსრილებისა და პრობაციის მინისტრს:

- **დროული და ადეკვატური სამედიცინო მომსახურების მიწოდების მიზნით სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში უზრუნველყოს ექიმებისა და ექთნების საკმარისი რაოდენობა**
- **დროული და ადეკვატური სამედიცინო მომსახურების მიწოდების მიზნით უზრუნველყოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ექიმ-კონსულტანტების ვიზიტი სათანადო პერიოდულობით, ასევე უზრუნველყოს ნევროლოგის, გასტოენტეროლოგისა და ფსიქიატრის დროული მომსახურება**
- **დროული სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით სამედიცინო რეფერალის მარეგულირებელ ელექტრონულ ბაზაში რიგითობის განსაზღვრისას გათვალისწინებულ იქნას დაავადების ხასიათი და დაავადების მიმდინარეობის დინამიკა. აღნიშნული აისახოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 10 აპრილის N55 ბრძანებაში**
- **განხორციელდეს ცვლილება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 10 აპრილის N55 ბრძანებაში, რომლის საფუძველზეც მხოლოდ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამედიცინო დეპარტამენტის უფროსი, გადაყვანის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარესთან კონსულტაციის შემდგომ, მიიღებს გადაწყვეტილებას სასჯელაღსრულების სამკურნალო დაწესებულებებში და სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანის შესახებ**
- **განხორციელდეს ცვლილება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 10 აპრილის N55 ბრძანებაში და განისაზვროს, რომ სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებაში ამბულატორიული მომსახურების მიზნით გადაყვანილი პატიმრის**

არასრული გამოკვლევის ან დროის მოკლე მონაკვეთში (შემდგომ დღეებში) დამატებითი გამოკვლევების ჩატარების საჭიროების შემთხვევაში ამ პატიმარის გადაყვანა განხორციელდეს რიგგარეშე

- გაატაროს ყველა საჭირო ზომა, რათა გაძლიერდეს სამოქალაქო ჯანდაცვის სისტემაში მოქმედი სტანდარტების პენიტენციური ჯანდაცვის სისტემაში იმპლემენტაციის კონტროლის მექანიზმი, დაინერგოს სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის ეფექტური სისტემა, პენიტენციური ჯანდაცვის სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს სტატისტიკური მონაცემების ანალიზის შედეგებს, მოხდეს შესყიდვების პროცესის ეფექტური მართვა და ხარჯთეფექტიანობის ანალიზი. პენიტენციური ჯანდაცვის სერვისების ხარისხის შეფასებისას გამოიყენონ წინასწარ განსაზღვრული, ვალიდური ინდიკატორები

რეკომენდაცია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- ურთიერთთანამშრომლობის გზით შეიმუშაონ პენიტენციური ჯანდაცვის ეროვნული ჯანდაცვის სისტემაში სრული ინტეგრაციის გეგმა

ექიმის დამოუკიდებლობა და კომპეტენცია, კონფიდენციალურობა და პატიმრის ინფორმირება

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის №(98) 7 რეკომენდაციის თანახმად, ექიმები, რომლებიც მუშაობენ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ვალდებულები არიან პატიმრებს გაუწიონ იმავე სტანდარტის სამედიცინო მომსახურება, როგორსაც ისინი უწევენ პაციენტებს თემში. ექიმის ნებისმიერი კლინიკური გადაწყვეტილება და შეფასება უნდა ემყარებოდეს მხოლოდ სამედიცინო ჩვენებას. ჯანდაცვის პერსონალი, საკუთარი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის ფარგლებში, უნდა მოქმედებდეს სრული დამოუკიდებლობის პირობებში.[145] ექიმი არ უნდა მონაწილეობდეს ისეთ საქმიანობაში, რომლის მიზანსაც არ წარმოადგენს პატიმრის ჯანმრთელობის დაცვა.[146]

[145] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია №(98) 7 მინისტრთა კომიტეტის მიმართვა მონაწილე ქვეყნებისათვის ციხეებში სამედიცინო სამსახურის ორგანიზაციული და ეთიკური ასპექტების შესახებ (სტრასბურგი 1998, 20 აპრილი), პარ. 19-20.

[146] გაეროს საერთაშორისო სამედიცინო ეთიკის პრინციპები (1982), მე-3 პრინციპი ხელმისაწვდომია მხოლოდ ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.un.org/documents/ga/res/37/a37r194.htm [ბოლოს ნანახია 18.03.2015].

2014 წლის განმავლობაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში არსებობს ექიმის დამოუკიდებლობასა და კომპეტენციასთან დაკავშირებული პრობლემები. ასე მაგალითად, სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში მონიტორინგის ჯგუფი შეესწრო შემთხვევას, როდესაც ერთ-ერთი პატიმარი აცხადებდა, რომ მას გადაყლაპული ჰქონდა 4-5 სანტიმეტრი სიგრძის წვეტიანი მეტალის ხრახნები. მორიგე ექიმი დამოუკიდებლად ვერ ღებულობდა რენტგენოლოგის ან ექოსკოპისტის გამოძახების გადაწყვეტილებას, რათა მომხდარიყო მეტალის საგნის მდებარეობის ნახვა ტრაქტში და განსაზღვრულიყო ჯანმრთელობის დაზიანების რისკი. მორიგე ექიმი ცდილობდა მთავარ ექიმთან დაკავშირებას, რომელიც იმ დროისათვის დაწესებულებაში არ იმყოფებოდა. ვინაიდან პატიმრის ჯანმრთელობას იმწუთიერად საფრთხე ემუქრებოდა, მონიტორინგის ჯგუფმა პატიმრის თანხმობით შემთხვევის შესახებ დაწესებულების დირექტორის მოადგილის მიაწოდა ინფორმაცია. მხოლოდ ამის შემდგომ მოხერხდა მთავარ ექიმთან დაკავშირება და რენტგენოლოგის გამოძახებაზე ნებართვის მიღება. მონიტორინგის ჯგუფს შეექმნა შთაბეჭდილება, რომ დაწესებულების ექიმები დამოუკიდებლად ვერ იღებენ გადაწყვეტილებას კონკრეტულ შემთხვევებში, რაც მათ დამოუკიდებლობასა და კომპეტენციას ეჭვქვეშ აყენებს.

სამკურნალო დაწესებულებაში რეფერალის განხორციელებისას სამედიცინო პერსონალი დამოკიდებულია სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორის ან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის ნებაზე, ვინაიდან ამ უკანასკნელთ აქვთ უფლება უარი განაცხადონ პაციენტის სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანაზე. მნიშვნელოვანია, რომ სამედიცინო მომსახურების მიწოდების პროცესში არასამედიცინო პერსონალის ამგვარი ჩარევის შესაძლებლობა აღმოიფხვრას სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 10 აპრილის N55 ბრძანებაში შესაბამისი ცვლილების შეტანით.

2014 წლის განმავლობაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა რუტინული პრაქტიკა, როდესაც დისციპლინური სახდელის სახით სამარტოო საკანში მოთავსებული პირის მიმართ სახდელის აღსრულება წყდება ექიმის რეკომენდაციის საფუძველზე. ამასთან, ყველა შემთხვევაში არ არის ნათელი, დაედო თუ არა ექიმის რეკომენდაციას პატიმრის ჯანმრთელობის ფაქტობრივი მდგომარეობა. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ პრაქტიკულად ექიმი ჩართულია სახდელის აღსრულების პროცესში და განსაზღვრავს სამარტოო საკანში მოთავსების ვადას. ერთი შეხედვით ექიმის რეკომენდაცია შვებას წარმოადგენს სამარტოო საკანში მოთავსებული პატიმრისათვის, მაგრამ აღნიშნულმა რუტინულმა პრაქტიკამ შეიძლება იმ პატიმრების გულისწყრომა გამოიწვიოს, რომელთა მიმართაც ექიმი არ გასცემს ამგვარ რეკომენდაციას. მიგვაჩნია, რომ აღნიშნულმა პრაქტიკამ შესაძლებელია ეჭვქვეშ დააყენოს ექიმის დამოუკიდებლობა.

სასჯელაღსრულების სისტემაში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის დამოუკიდებლობის ხარისხისა და კომპეტენტურობის ამაღლების მიზნით აუცილებელია სამედიცინო პერსონალის პროფესიული დამოუკიდებლობა. სამედიცინო ეთიკის პრინციპები სრულად უნდა აისახოს სასჯელაღსრულების სისტემის მარეგულირებელ სამართლებრივ ჩარჩოში. გარდა ამისა, აუცილებელია, უზრუნველყონ სამედიცინო პერსონალის უწყვეტი პროფესიული სწავლება და სხვადასხვა ტრენინგის მოდულის გაძლიერება, ასევე შესამუშავებელია ტრენინგების შედეგების მდგრადობის შეფასებისა და სუპერვიზიის ეფექტური მექანიზმი. საჭიროა ასევე სამედიცინო პერსონალის სამუშაოს მკაფიო აღწერილობის განსაზღვრა.

პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში დამკვიდრებულია პრაქტიკა, როდესაც პატიმარი ექიმთან კონსულტაციის თაობაზე მიმართავს დაწესებულების არასამედიცინო პერსონალს, ექიმი კი ხშირ შემთხვევაში პაციენტს სინჯავს და კონსულტაციას უწევს საკანში. ეს პროცედურა ეწინააღმდეგება სამედიცინო კონფიდენციალურობის პრინციპს, რადგან პაციენტის ჩივილის თაობაზე ცნობილი ხდება სასჯელაღსრულების დაწესებულების არასამედიცინო პერსონალისა და სხვა პატიმრებისათვის.[147] გარდა გადაუდებელი სიტუაციებისა, ნებისმიერი სამედიცინო შემოწმება და კონსულტაცია უნდა ჩატარდეს განმარტოებით და კონფიდენციალურობის დაცვით ექიმის კაბინეტში.[148]

კონფიდენციალურობის პრინციპს ეწინააღმდეგება ასევე პატიმრობის კოდექსის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილი,[149] რომლის თანახმადაც დაწესებულებაში პატიმრის მიღებისას მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის სავალდებულო შემოწმების თაობაზე ცნობა შემდგომ მის პირად (არასამედიცინო) საქმეში ინახება.

სამედიცინო კონფიდენციალურობა არ არის ყოველთვის დაცული პატიმრის დაწესებულებაში მიღებისას განხორციელებული სამედიცინო შემოწმების დროს. ასე მაგალითად, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა, რომლებიც აკვირდებოდნენ პატიმართა დაწესებულებაში მიღების პროცესს, გამოავლინეს, რომ სასჯელაღსრულების N 3 დაწესებულებაში ქალი პატიმრის გარეგნულ დათვალიერებას მორიგე ექიმი საერთოდ არ ესწრებოდა და პირის ფიზიკური დაზიანებების შესახებ ინფორმაციას იღებდა კონტროლიორისაგან, რომელსაც ევალება პატიმრის ჩხრეკა. მამაკაცი პატიმრის ფიზიკური დაზიანებების შემოწმება შემოიფარგლებოდა ზერელე ვიზუალური დათვალიერებით და ზოგადი ხასიათის შეკითხვების დასმით, ამ პროცესს ესწრებოდა კონტროლიორიც

[147] პუნქტი 51, ამონარიდი წამების საწინააღმდეგო კომტეტის ზოგადი ანგარიშიდან (CPT/Inf (93)12).
[148] იქვე., პუნქტი 35.
[149] იქვე., პუნქტები 50-51.

(დაწესებულების არასამედიცინო პერსონალი), რის გამოც დარღვეული იყო საუბრის კონფიდენციალურობა.

2013 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა გასცა რეკომენდაცია, რომლის თანახმადაც, უნდა გაუქმებულიყო სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 10 მარტის N38 ბრძანება „პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან საერთო პროფილის საავადმყოფოში, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრსა და ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში დაავადებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გადაყვანის წესის დამტკიცების შესახებ“ და სამედიცინო რეფერალის მარეგულირებელ ახალ ნორმატიულ აქტში სრულად ყოფილოყო დაცული სამედიცინო ხასიათის ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 10 მარტის N38 ბრძანება გაუქმდა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N55 ბრძანებით, რომლის შესაბამისად ექიმი აღარ არის ვალდებული, გადაყვანის შუამდგომლობა სამედიცინო დეპარტამენტის გარდა, გააგზავნოს დაწესებულების დირექტორთანაც (იგზავნება მხოლოდ შუამდგომლობის თაობაზე შეტყობინება), რითიც უზრუნველყოფილია კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა.

რიგ შემთხვევებში პატიმრები არ არიან ინფორმირებულები გასაწევი სამედიცინო მომსახურების შესახებ. ზოგიერთ შემთხვევაში თვალშისაცემია პატიმრებსა და დაწესებულების სამედიცინო პერსონალს შორის კომუნიკაციის დეფიციტი. ასე მაგალითად, ერთ-ერთი პატიმარი სასჯელაღსრულების N14 დაწესებულებაში გადმოყვანამდე სამედიცინო პერსონალის მიერ იყო ინფორმირებული ოპერაციის ჩატარების მიზნით ელექტრონულ ბაზაში შესაძლო რეგისტრაციის შესახებ, თუმცა რეგისტრაციაში გატარების მოთხოვნის დადასტურების შესახებ ინფორმაციას პატიმარი არ ფლობდა. პატიმრის თანხმობით, მონიტორინგის ჯგუფის წევრები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაესაუბრნენ მთავარ ექიმს, რომელმაც განაცხადა, რომ პატიმარი დარეგისტრირებული იყო ელექტრონილ ბაზაში, თუმცა აღნიშნულის შესახებ მას არ შეუტყობინებია პატიმრისათვის. მნიშვნელოვანია, რომ პაციენტები მაქსიმალურად იყვნენ ჩართული სამედიცინო მომსახურების პროცესში. ასევე აუცილებელია, პატიმრებს ხელი მიუწვდებოდეთ ზოგადად ჯანმრთელობის დაცვასთან, მათ შორის პრევენციულ ჯანდაცვასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- უზრუნველყოს სამედიცინო პერსონალის პროფესიული დამოუკიდებლობისა და კომპეტენტურობის ხელშეწყობა სამედიცინო პერსონალის პროფესიული დამოუკიდებლობისა და სამედიცინო ეთიკის პრინციპების სასჯელაღსრულების სისტემის მარეგულირებელ სამართლებრივ ჩარჩოში სრულად ასახვის, სამედიცინო პერსონალის უწყვეტი პროფესიული სწავლებისა და სხვადასხვა ტრენინგის მოდულის გაძლიერების, ტრენინგების შედეგების მდგრადობის შეფასებისა და სუპერვიზიის მექანიზმის შემუშავებისა და მკაფიო სამუშაო აღწერილობების განსაზღვრის გზით
- მაქსიმალურად უზრუნველყოს პატიმრებისა და ექიმების უშუალო კონტაქტი არასამედიცინო პერსონალის მონაწილეობის გარეშე, მათ შორის, დახურული ტიპის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში გამოძახების ღილაკის დამონტაჟებისა და სამედიცინო პერსონალის მიერ საკნების ყოველდღიური შემოვლის ვალდებულების დაწესების გზით
- მიიღოს საჭირო ზომები, რათა გარდა გადაუდებელი, საგამონაკლისო შემთხვევებისა, ნებისმიერი სამედიცინო შემოწმება და კონსულტაცია ჩატარდეს განმარტოებით და კონფიდენციალურობის დაცვით ექიმის კაბინეტში
- გაატაროს ყველა საჭირო ზომა, რათა უზრუნველყოს პაციენტების ჩართულობა სამედიცინო მომსახურების პროცესში გასაწევი სამედიცინო მომსახურების შესახებ სათანადო ინფორმაციისმიწოდების გზით, უზრუნველყოს ასევე, პატიმრებისათვის ჯანმრთელობის დაცვასთან, მათ შორის პრევენციულ ჯანდაცვასთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

წინადადება საქართველოს პარლამენტს:

- შევიდეს ცვლილება პატიმრობის კოდექსის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილში და გაუქმდეს დებულება, რომლის თანახმადაც დაწესებულებაში პატიმრის მიღებისას მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის სავალდებულო შემოწმების თაობაზე ცნობა მის პირად (არასამედიცინო) საქმეში ინახება. აღნიშნული ცნობა ყველა შემთხვევაში პატიმრის სამედიცინო ბარათში უნდა ინახებოდეს

ფსიქიკური ჯანმრთელობა, წამალდამოკიდებულების პრობლემა და სუიციდის პრევენცია სასჯელაღსრულების სისტემაში

ფსიქიკური ჯანმრთელობა

ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვა პენიტენციური ჯანდაცვის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას წარმოადგენს. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანამხმად, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმართა რაოდენობა 2020 შეადგენს, რაც ავადობის გამოვლენილ შემთხვევათა დაახლოებით 4,7 პროცენტს შეადგენს. იმის გათვალისწინებით,

რომ საერთაშორისო სტატისტიკის მიხედვით სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ფსიქიკური დაავადებების პრევალენტობა დაახლოებით 70 პროცენტს შეადგენს, 4,7 პროცენტიანი მაჩვენებელი ფსიქიატრიული შემთხვევების არასათანადო იდენტიფიცირებაზე მიუთითებს. 2013 წელს ფსიქიკური დაავადებების პრევალენტობა 6,6 პროცენტს შეადგენდა, რაც 1,9 პროცენტით აღემატება 2014 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ 2014 წლის ოქტომბერში, ნოემბერსა და დეკემბერში შეიმჩნევა ფსიქიკური დაავადებების გამოვლენის მაჩვენებლის არსებითი ზრდა.

სამედიცინო პერსონალის განმარტებით, კონუსლტაციაზე ჩაწერილ პატიმართა სიას ფსიქიატრს გადასცემენ პირველადი ჯანდაცვის ექიმები, რომლებიც, რიგ შემთხვევაში, ამ სიაში არ წერენ ზოგიერთ პატიმარს, მიუხედავად მათი მოთხოვნისა, ვინაიდან თვლიან, რომ ამ პატიმრების მხრიდან ადგილი აქვს სიმულაციას. მიგვაჩნია, რომ დაწესებულებაში არსებული არაჯანსაღი, დამთრგუნველი გარემოს გათვალისწინებით, მაქსიმალურად უნდა იყოს უზრუნველყოფილი ფსიქიატრის ხელმისაწვდომობა, რათა მოხდეს ფსიქიკური პრობლემების დროული იდენტიფიცირება და ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარების დროული მიწოდება.

პრობლემას წარმოადგენს პიროვნული აშლილობის მქონე პატიმართა იდენტიფიცირება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ფსიქიატრის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, ასევე ფსიქიატრთან ფსიქოლოგისა და სოციალურ მუშაკის თანამშრომლობის გაღრმავება. ამ ძალისხმევის შედეგად უნდა გაუმჯობესდეს ფსიქიკური დაავადებების გამოვლენის მაჩვენებელი და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმრებისათვის უზრუნველყოფილი იქნას ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარება მკურნალობის დიფერენცირებული რეჟიმების პირობებში. მწვავე ფსიქოზის მქონე პაციენტების მკურნალობა უნდა მოხდეს ფსიქიატრიულ და არა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. ამავდროულად, უნდა დაინერგოს ადეკვატური ამბულატორიული სერვისები.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2014 წლის განმავლობაში 174 პატიმარი მოათავსეს სტაციონარში არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების აღმოჩენის მიზნით. აღსანიშნავია, რომ 2013 წელს მხოლოდ 76 პატიმარი იყო მოთავსებული სტაციონარში. შესაბამისად, ამ მაჩვენებლის ზრდა 2014 წელს მისასალმებელია.

მნიშვნელოვანია, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს პატიმრის დაწესებულებაში შესახლებისას, პირველადი სამედიცინო შემოწმების დროს, პატიმრის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებას. ამასთან, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში აუტოაგრესიისკენ, სუიციდისკენ მიდრეკილი და წამალდამოკიდებული პატიმრები უნდა წარმოადგენდნენ ფსიქიკური ჯანმრთელობის სკრინინგის სამიზნე ჯგუფს. ამავდროულად, აუცილებელია იმ პატიმართა ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება,

რომლებიც სისტემატიურად ავლენენ ანტისოციალურ ქცევას და არსებობს ეჭვი, რომ ასეთი ქცევა სწორედ მათი ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობით შეიძლება არის განპირობებული.

ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების იდენტიფიცირების ეფექტური მექანიზმის არარსებობის პირობებში, პირის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმართა მიერ თვითდაზიანება, რეჟიმის მოთხოვნების დარღვევა და სხვა დისციპლინური დარღვევები, ხშირ შემთხვევაში, დისციპლინური სანქციის გამოყენების და არა დროულიდა ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარების აღმოჩენის საფუძველი ხდება. ამასთან, პატიმრობის კოდექსში განხორციელებული ცვლილება პატიმრების მიერ განზრახი და უხეში გაუფრთხილებლობით თვითდაზიანების მიყენების შემთხვევაში მკურნალობის ხარჯების პატიმრის მიერ ანაზღაურების თაობაზე[150] ასევე ვრცელდება ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმრის მიერ თვითდაზიანების მიყენების შემთხვევებზეც. მიგვაჩნია, რომ მიდგომა იმ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმრებთან მიმართებით, რომლებმაც თვითდაზიანება მიიყენეს, უნდა იყოს თერაპიული და არა სადამსჯელო.

პატიმართა შორის ფსიქიკური პრობლემების პრევალენტობა დიდწილად განპირობებულია სასჯელაღსრულების სისტემაში წამალდამოკიდებულებასა და ფსიქოატიური საშულებების ჭარბ მოხმარებასთან დაკავშირებული პრობლემებით. 2013 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველი უთითებდა პრობლემის სიმწვავეზე და პრობლემის გადაჭრისკენ მიმართული ღონისძიებების მიღების საჭიროებაზე. სახალხო დამცველის რეკომენდაციის თანახმად, შეთავაზებული იყო „სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ოპიოიდური დამოკიდებულების დროს ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამების განხორციელების წესის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2008 წლის 12-15 დეკემბრის ერთობლივი N226/ნ-N298 ბრძანების გადასინჯვა და სასჯელაღსრულების სისტემაში ჩანაცვლებითი შემანარჩუნებელი მკურნალობის დანერგვა. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის შესაბამისად, დაწყებულია მუშაობა სასჯელაღსრულების სისტემაში ჩანაცვლებითი შემანარჩუნებელი მკურნალობის დანერგვის მიზნით. აქვე აღსანიშნავია, რომ შემუშავებულია ფსიქოსარეაბილიტაციო პროგრამა „ატლანტისი“, რომლის განხორციელება დაგეგმილია 2015 წელს.

[150] პატიმრობის კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ბრალდებული/მსჯავრდებული ანაზღაურებს მკურნალობის ხარჯებს განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით თვითდაზიანების ან სხვისთვის დაზიანების მიყენების შემთხვევაში, აგრეთვე პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებისთვის მიყენებულ ზიანს, შესაბამისი დაწესებულებიდან მისი გაქცევის აღკვეთასთან დაკავშირებულ დამატებით ხარჯებს.

მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2014 წელს მეტადონის პროგრამაში ჩართული იყო 382 პატიმარი, ხოლო 2013 წელს მეტადონის პროგრამაში ჩართულთა რაოდენობა 311 პატიმარს შეადგენდა. მისასალმებელია აღნიშნულ პროგრამაში ჩართულ პატიმართა რაოდენობის ზრდა, მაგრამ სასჯელაღსრულების სისტემაში წამალდამოკიდებულების პრობლემის მასშტაბის გათვალისწინებით სერვისის ამ რაოდენობის პატიმართათვის მიწოდება სრულად ვერ აკმაყოფილებს არსებულ მოთხოვნას.

ფსიქიკური ჯანრმთელობის დაცვის პროცესში მთავარია პიროვნების ინტერესების დაცვა, მისი ღირსების პატივისცემა და მაქსიმალურად შესაძლებელ ჰუმანურ გარემოში მზრუნველობა. გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარის თანახმად[151] პირის განთავსება სამარტოო საკანში გახანგრძლივებული დროით შესაძლებელია გაუტოლდეს წამებას ან სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას. გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის დასკვნის თანახმად, ხანგრძლივი ვადით სამარტოო საკანში მოთავსება შესაძლოა გაუტოლდეს წამებას და იგი არ უნდა იყოს გამოყენებული არასრულწლოვნებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პირების მიმართ[152]. 2007 სტამბოლის განცხადების შესაბამისად,[153] სამარტოო საკნის გამოყენება სრულად უნდა აიკრძალოს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პატიმრებთან მიმართებით.

ამ აკრძალვის საპირისპიროდ, სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ გამოვლინდა ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პატიმართა სამარტოო საკანში მოთავსების შემთხვევები. ასე მაგალითად, სასჯელაღსრულების N 17 დაწესებულებაში 5 დღის განმავლობაში სამარტოო საკანში მოთავსებული იყო ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მსჯავრდებული ო.გ., რომელმაც სამარტოო საკანში სცადა სუიციდი. სასჯელაღსრულების N 3 დაწესებულებაში ერთ-ერთი პატიმარი, რომელსაც გამოხატული ჰქონდა ფსიქიკური პრობლემები, რაც ვლინდებოდა თვითდაზიანებისაკენ მიდრეკილებაში, არამოტივირებულ, აგრესიულ ქცევაში, მასთან კონტაქტში შესვლის სირთულეში და სხვა, მოთავსებული იყო სამარტოო საკანში. პატიმრის სამედიცინო ბარათიდან ირკვევა, რომ ფსიქიატრის ბოლო კონსულტაცია მას ჩაუტარდა 2014 წლის ივნისში. სასჯელაღსრულების N 3 დაწესებულებაში, სადაც იგი იმყოფება 2014 წლის 16 სექტემბრიდან, სამედიცინო დოკუმენტაციის მიხედვით, მას ფსიქიატრის კონსულტაცია არ ჩატარებია.

სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში 2014 წლის 11 დეკემბერს განხორციელებული ვიზიტის დროს, სამარტოო საკანში მოთავსებული პატიმრის ლ.ქ.-ს პირადი საქმის

[151] CCPR, General Comment 20/44, April 3, 1992.
[152] UN Subcommittee on Prevention of Torture (2010), report on the visit of the subcommittee on prevention of torture and other cruel, inhuman or degrading treatment or punishment to the republic of Paraguay (par 184).
[153] International Psychological Trauma Symposium (2007), The Istanbul Statement on the use and effects of solitary confinement.

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ პატიმარი მიმდინარე წლის 17 სექტემბერს შეასახლეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N3 დაწესებულებაში. შესახლების დღიდან იგი სამჯერ იყო მოთავსებული სამარტოო საკანში (ერთ შემთხვევაში 4 დღით, მეორე შემთხვევაში - 15 დღით, ხოლო მესამეში - 10 დღით). პატიმრის სამედიცინო დოკუმენტაციის შემოწმების შედეგად კი გაირკვა, რომ სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში შესახლების შემდგომ პატიმარს ფსიქიატრის კონსულტაცია არ ჩატარებია მიუხედავად კონსულტაციის აშკარა საჭიროებისა. აღსანიშნავია, რომ პატიმარმა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N3 დაწესებულებაში ოთხჯერ მიიყენა თვითდაზიანება. 2014 წლის 20 სექტემბერს პატიმის მიმართ გამოიყენეს სპეციალური საშუალება - დამაწყნარებელი საწოლი. აღსანიშნავია, რომ დაწესებულების დირექტორს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტთან და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარესთან არ გაუგზავნია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 12 სექტემბრის N145 ბრძანებით გათვალისწინებული სპეციალური საშუალების გამოყენების შესახებ ანგარიში, რაზედაც სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში დაწყებულია სამსახურებრივი შემოწმება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია ყველა საჭირო ზომის მიღება, რათა მომავალში თავიდან აიცილონ ფსიქიკური პრობლემების მქონე მსჯავრდებულის სამარტოო საკანში მოთავსება და ასეთი მსჯავრდებული უზრუნველყონ დროული და ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარებით.

სუიციდი

2013 წლის საპარლამენტო ანგარიშში ხაზგასმული იყო სუიციდის შემთხვევების ზრდის ფაქტი. სამწუხაროდ, 2014 წლის განმავლობაში სუიციდის შემთხვევათა რაოდენობა კვლავ გაიზარდა. ზდრის დინამიკა აშკარად მიუთითებს სუიციდის პრევენციის კუთხით არსებულ პრობლემებზე. ანგარიშის ამ ნაწილში წარმოდგენილი იქნება სუიციდის თითოეული შემთხვევის შესახებ მოკლე ინფორმაცია.

ნ.შ.

2014 წლის 17 სექტემბერს, დაახლოებით 13:40 საათზე, სასჯელაღსრულების N17 დაწესებულების სპეციალური კორპუსის N 26 საკანში იპოვნეს მოშიმშილე მსჯავრდებულის - ნ.შ.-ს გვამი, რომელსაც კისრის არეში აღენიშნებოდა დაზიანება ნაკვეთი ჭრილობის სახით.

ექსპერტიზაზე წარდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ ნ.შ. სასჯელაღსრულების N17 დაწესებულებაში მოათავსეს 2014 წლის 10 სექტემბერს. შემოსვლისას მსჯავრდებულს ბეჭის არეში აღენიშნებოდა ხანდაზმული ექსკორიაციები. ორივე წინამხრის მიდამოს შიგნითა

ზედაპირზე ასევე აღენიშნებოდა ხანდაზმული ნაკვეთი ჭრილობები, ასევე ორივე ქუთუთოს არეში სისხლნაჟღენთი და ექსკორიაციები, შუბლის თმიანი ნაწილის საზღვარზე ნახეთქი ხანდაზმული ჭრილობა.

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს N005024314 დასკვნის თანახმად, მსჯავრდებულ ნ.შ.-ს სიკვდილის მიზეზი იყო მწვავე სისხლნაკლებობა, რომელიც განვითარდა კისრის მარჯვენა ნახევარში არსებული სწორკიდეებიანი ჭრილობის შედეგად, გარეთა საძილე არტერიისა და საუღლე ვენის გადაჭრის შემდეგ. გარდა აღნიშნული ჭრილობისა ნ.შ.-ს გვამზე ასევე აღინიშნება სადაკიდეებიანი, ფუფხით დაფარული ჭრილობები ორივე წინამხარზე, სისხლჩაქცევები მარჯვენა მხრის და მარჯვენა თვალბუდის ქვედა ქუთუთოს მიდამოებში. დაზიანებები განვითარებულია რაიმე მკვრივი-ბლაგვი საგნის მოქმედებით სიცოცხლის დროს, სიკვდილის დადგომამდე 10-11 დღით ადრე. სისხლში და შინაგან ორგანოებში აღმოჩენდა ფსიქოტროპული ნივთიერება დიაზეპამი და ანტიეპილეფსიური ნივთიერება კარბამაზეპინი.

სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ 2012 წლის ნოემბერში მსჯავრდებული მოთავსებული იყო N18 დაწესებულების ფსიქიატრიულ განყოფილებაში, სადაც დაესვა შემდეგი დიაგნოზი: ორგანული, ემოციურად ლაბილური (ასთენიური) აშლილობა, ეპილეფსია, ინტელექტუალური ფუნქციების დაქვეითება. დაენიშნა: კონკურატი, დიაზეპამი, ოპტიმალი, დრიმოლინი, ჰეპატორიცი, ლერონი, უძილობისას საძილე საშუალებები.

მსჯავრდებულმა რამდენჯერმე მიიყენა თვითდაზიანება. 2014 წლის 4 თებერვალს კი პაციენტმა კისრის არეში მიიყენა 5-6 ზერელე და ერთი ღრმა ჭრილობა. აღსანიშნავია, რომ მსჯავრდებულმა სუიციდის ჩადენამდე გამოაცხადა შიმშილობა და ამის გამო მოთავსებული იყო საკანში მარტო, სადაც არ ხორციელდებოდა ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა. მიუხედავად იმისა, რომ როგორც სამედიცინო, ასევე არასამედიცინო პერსონალმა იცოდა მსჯავრდებულის ფსიქიკური პრობლემებისა და თვითდაზიანებისადმი მიდრეკილების შესახებ, არ დაწესდა სათანადო მეთვალყურეობა, რაც ფატალური შედეგით დასრულდა კიდეც. აღსანიშნავია ასევე ის ფაქტი, რომ მსჯავრდებულს შიმშილობის პერიოდში არც ფსიქოლოგის და არ ფსიქიატრის კონსულტაცია არ ჩატარებია.

ჯ. ი.

2014 წლის 1 დეკემბერს, მსჯავრდებული სასჯელაღსრულების N8 დაწესებულებიდან გადაიყვანეს N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში დიაგნოზით: დეპრესიული მდგომარეობა სუიციდური აზრებით.

სამკურნალო დაწესებულებაში შემოსვლისას პაციენტი იყო აფორიაქებული, მოუსვენარი, აცხადებდა, რომ ცუდადაა, კონტაქტში შემოდიოდა დაძაბულად. აცხადებდა, რომ არ

ასვენებს „ხმაური თავში“, ესმის ცუდი შინაარსის ხმები, „თავი მოიკალი, მინდა დავისვენო, ვხედავ მწერებს, არ მასვენებს შიშები“. რეჟიმის თანამშრომელთა გადმოცემით პაციენტი ხშირად თავს ურტყამდა კედელს, გამოთქვამდა სუიციდურ აზრებს.

პაციენტის გადმოცემით, ადრე ღებულობდა სხვადასხვა სახის ნარკოტიკებს და ფსიქოტროპულ მედიკამენტებს. პაციენტს გადაყლაპული ჰქონდა ფრჩხილის საკვნეტელა და კბილის ჯაგრისი, რაც დადასტურდა შემდგომი რენტგენოლოგიური კვლევითაც. იგი კატეგორიულად ითხოვდა ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში გადაყვანას, მისი განცხადებით, იქ თავს კარგად გრძნობდა.

N18 დაწესებულებაში პაციენტს დაესვა შემდეგი დიაგნოზი: ემოციურად არასტაბილური პერსონოლოგიური აშლილობა - დეპრესიული მდგომარეობა, სხვადასხვა სახის ნივთიერებების ერთდროული მოხმარებით და სხვადასხვა ფსიქოტროპული ნივთიერებების მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობა. პაციენტს დაენიშნა და ღებულობდა ნეიროლეპსინს, დიაზეპამს, ტრუქსალს, სოფანაქსს, ტიზერცინს, ფევარინს.

2014 წლის 2 დეკემბერს, 14 საათსა და 35 წუთზე პაციენტმა განახორციელა სუიციდი- ჩამოხრჩო თავი. როგორც ზემოთ მოცემული ინფორმაციიდან ირკვევა, მსჯავრდებული ითხოვდა ფსიქიატრიული დახმარების აღმოჩენას, რაც სამწუხაროდ ვერ მოხერხდა. მომავალში მსგავსი, ტრაგიკული შემთხვევების თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია, დროულად მოხდეს პაციენტისათვის ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარების აღმოჩენა, მით უმეტეს ისეთ შემთხვევებში, როდესაც ამას პაციენტი თავად ითხოვს და არსებობს შესაბამისი სამედიცინო ჩვენება.

ლ.მ.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, მსჯავრდებულს წარსულში არაერთხელ ჰქონდა მიყენებული თვითდაზიანებები, მათ შორის, N17 დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში, 2014 წლის 10 დეკემბერს მან მარცხენა მტევნის პირველი თითის საფრჩხილე ფალანგი მოიკვეთა. იგი აცხადებდა, რომ ბავშვობიდან მოიხმარდა ნარკოტიკულ საშუალებებს (ჰეროინს და სუბოტექსს) და დაავადებული იყო შიზოფრენიით, ითხოვდა დიაზეპამს და არ სურდა ექიმის სამკურნალო რეკომენდაციის გათვალისწინება.

ფსიქიატრის 2014 წლის 29 მარტის კონსულტაციის ბარათში აღნიშნულია: „ისმენს ექიმის სამკურნალო რეკომენდაციებს სკეპტიკურად, ითხოვს საქმის გადახედვას, აცხადებს რომ სულ ატყუებენ, პერსპექტივას ვერ ხედავს, რომ ერთი ჯოჯოხეთიდან წავა მეორეში“. 2014 წლის 20 ოქტომბერს და 20 ნოემბერს ფსიქიატრთან კონსულტაციისას მსჯავრდებული სუიციდალურ აზრებს აღარ გამოთქვამდა.

მსჯავრდებული 2014 წლის განმავლობაში პროტესტის ნიშნად რამდენჯერმე შიმშილობდა. აპროტესტებდა უკანონო დაპატიმრებას. 2014 წლის 10 დეკემბერს 09 საათსა და 20 წუთზე, დილის შემოწმება-დათვალიერებისას მსჯავრდებული ნახეს სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების თანამშრომლებმა საკნის ტუალეტში თოკის მარყუჟით კედელზე ჩამოკიდებული, იგი უკვე გარდაცვლილი იყო.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ მსჯავრდებული წარსულში გამოთქვამდა სუიციდალურ აზრებს, ფსიქიატრის ბოლო ორი კონსულტაცია ჩაუტარდა ერთი თვის ინტერვალით და ამ კონსულტაციების დროს მსჯავრდებული სუიციდალურ აზრებს არ გამოთქვამდა. სამწუხაროდ, მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე შეუძლებელია გარკვევა, როდის იგეგმებოდა ფსიქიატრის მომდევნო კონსულტაცია და ხორციელდებოდა თუ არა მსჯავრდებულზე განსაკუთრებული მეთვალყურეობა.

ზ.ს.

ექსპერტიზაზე წარგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ 2014 წლის 16 სექტემბერს, დაახლოებით 08:15 საათზე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N6 დაწესებულებაში მორიგე ექიმმა N31 საკანში აღმოაჩინა საწოლზე ზეწრით ჩამოკიდებული ზ.ს.-ს გვამი.

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს N004991614 დასკვნის თანახმად, მსჯავრდებულ ზ.ს.-ს სიკვდილის მიზეზია მექანიკური ასფიქსია, განვითარებული კისრის მარყუჟით ჩაჭერის შედეგად. გვამზე აღინიშნება ერთმაგი, გახსნილი, ირიბად აღმავალი სტრანგულაციური ღარი კისრის ზედა მესამედში, რაც მიყენებულია რაიმე მარყუჟით ჩაჭერის შედეგად. გვამზე ასევე აღმოჩენილი იყო დაჟეჟილი ჭრილობა და ნაჭდევი თავის მიდამოში, ნაჭდევი და სისხლნაჟღენთი მარცხენა ზედა კიდურზე, რაც მიყენებულია რაიმე მკვრივი ბლაგვი საგნის მოქმედებით სიკვდილამდე უახლოეს პერიოდში ან სიკვდილის დადგომის მომენტში.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შესახლებისას მსჯავრდებულმა აღნიშნა, რომ 1996 წლიდან აწუხებდა მაღალი წნევა და ადრე ჰქონდა ფარული სისხლდენა კუჭიდან. მაღალი არტერიული წნევის გამო ღებულობდა კლოფელინს. სხვა ჩივილები მას არ წარმოუდგენია. ვიზუალურად - ორივე წინამხრის წინა ზედაპირზე აღენიშნებოდა ძველი ნაწიბურები. ადრე ფსიქიატრისათვის არ მიუმართავს, მისივე გადმოცემით ალკოჰოლს და ნარკოტიკს არ ეტანებოდა.

2014 წლის 25 აგვისტოს ჩატარებული კონსულტაციის დროს მსჯავრდებული ჩივილებს არ გამოთქვამდა. ფსიქიკური სტატუსი გარეგნულად მოწესრიგებული, დროსა და სივრცეში ერკვეოდა ადეკვატურად. საუბრობდა მშვიდად.

როგორც მოწოდებული ინფორმაციიდან ჩანს, სუიციდის ფაქტამდე რამდენიმე დღით ადრე ჩატარებული კონსულტაციის დროს მსჯავრდებულს არ აღენიშნებოდა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მსჯავრდებულის გვამზე აღმოჩენილი იყო დაზიანებები თავის არეში და ზედა კიდურზე. შესაბამისად, აუცილებელია ჩატარდეს დამოუკიდებელი და მოუკერძოებელი გამოძიება და დადგინდეს, ხომ არ იკვეთება მსჯავრდებულის მიმართ ძალადობა ან/და თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტი.

ა.მ.

საქმის მასალების თანახმად, 2014 წლის 23 მარტს, დაახლოებით 08:10 საათზე, სასჯელაღსრულების N14 დაწესებულებაში, მე-6 სარეჟიმო კორპუსის N312 საკნის საპირფარეშოში თვითმკვლელობა ჩაიდინა - თავი ჩამოიხრჩო პატიმარმა ა.მ.-მ.

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურის N001465314 დასკვნის თანახმად, ა.მ.-ს სიკვდილის მიზეზია ზემო სასუნთქი გზების მარყუჟით გადაკეტვის შედეგად განვითარებული მექანიკური ასფიქსია. ა.მ-ს გვამზე კისრის ზედა მესამედში ფარისებრი ხრტილის ზემოთ აღენიშნებოდა დაზიანება, წინა ზედაპირზე განივი, გვერდითა ზედაპირებზე ირიბად აღმავალი წინიდან უკან, ქვემოდან ზემოთ, სიცოცხლისდროინდელი ორმაგი სტრანგულაციური ღარის სახით სისხლჩაქცევებით მიმდებარე რბილ ქსოვილებში, განვითარებულია სამარყუჟე მასალის აღნიშნულ მიდამოში ჩაჭერის შედეგად, რაც მიზეზობრივ კავშირშია დამდგარ შედეგთან - სიკვდილთან.

გარდა აღნიშნულისა პატიმარს გვამზე აღენიშნება სიცოცხლისდროინდელი შემდეგი დაზიანებები: მრავლობითი ნაჭდევები ცხვირის მარცხენა გვერდითა ზედაპირზე ზედა მესამედში და მარჯვენა წვივის წინა და გარეთა ზედაპირებზე ზედა და ქვედა მესამედებში; მრავლობითი სისხლნაჟღენთები მარჯვენა მუხლის სახსრის წინა ზედაპირზე, მარჯვენა ტერფის წინა ზედაპირზე ნავისებრი ძვლის საპროექტიო მიდამოში, მარჯვენა ტერფის წინა ზედაპირზე პირველი თითის წინა ტერფის ძვლის საპროექციო მიდამოში და მარჯვენა ტერფის პირველი თითის საფრჩხილე ფალანგის წინა ზედაპირზე; სისხლჩაქცევები ენის წვერზე და ქვედა ტუჩის მიდამოში მარჯვნივ და მარცხნივ ლორწოვანზე, განვითარებული რაიმე მკვრივი/ბლაგვი საგნის (საგნების) ზემოქმედებით. დაზიანებები სისხლჩაქცევებისა და სისხლნაჟღენთების სახით განვითარებულია სიკვდილის დადგომამდე უახლოეს პერიოდში, ხოლო სხვა დანარჩენი დაზიანებები - სიკვდილის წინა ადრეულ პერიოდში. ცოცხალ პირთა ექსპერტიზის შემთხვევაში აღნიშნული დაზიანებები ატარებს სხეულის დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს და მიზეზობრივ კავშირში არ არის დამდგარ შედეგთან - სიკვდილთან.

ა.მ.-ს უკანა ტანის არეში - ანუსის სფინქტერის შიგნით, ლორწოვანზე აღენიშნება დაზიანებები სისხლჩაქცევების და ლორწოვანი გარსის დეფექტის სახით, განვითარებული

რაიმე მკვრივი-ბლაგვი საგნის ზემოქმედებით, ცოცხალ პირთა ექსპერტიზის შემთხვევაში აღნიშნული დაზიანებები ატარებს სხეულის დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს და ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგება დადგენილებაში მითითებულ თარიღს.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მსჯავრდებულს 2012 წლის 27 ნოემბერს ჩაუტარდა ფსიქიატრის კონსულტაცია. დაესვა დიაგნოზი: პერსონოლოგიური აშლილობა. დაენიშნა ტიზერცინი, ზოლომაქსი. ფსიქიატრის კონსულტაცია მსჯავრდებულს ჩაუტარდა ასევე 2014 წლის 6 და 20 მარტს. მსჯავრდებულს დაენიშნა დიაზეპამი, ფევარინი და ატარაქსი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული სხეულის დაზიანებების ხასიათისა და ლოკალიზაციის გათვალისწინებით, აუცილებელია ჩატარდეს დამოუკიდებელი და მოიკერძოებელი გამოძიება, რათა დადგინდეს, ხომ არ დაექვემდებარა მსჯავრდებული ძალადობას, მათ შორის სექსუალურ ძალადობას.

ა. ჭ.

ანამნეზის თანახმად მსჯავრდებული ადრე მკურნალობდა პერსონოლოგიური აშლილობის დიაგნოზით, რის გამოც ღებულობდა დიაზეპამს და ფენაზეპამს. ადრე მოიხმარდა მეტადონს და ჰეროინს, მისი განმარტებით, ჩართული იყო მეტადონის პროგრამაში. ვიზუალურად მსჯავრდებულს შუბლზე, ორივე წინამხარზე და მუცლის წინა კედელზე აღენიშნებოდა ძველი ნაწიბურები (ახალი ტრავმული დაზიანებები არ აღენიშნებოდა). მისივე გადმოცემით, ჭრილობები მიიყენა თვითდაზიანების მიზნით.

2014 წლის 27 და 30 ივნისს მსჯავრდებულს ჩაუტარდა ფსიქიატრის კონსულტაციები და დაესვა დიაგნოზი: ჰალუცინაციურ-დეპრესიული სინდრომი სუიციდალური აზრებით, რის გამოც გაეწია რეკომენდაცია სუიციდის პროგრამაში ჩასართავად და დაენიშნა ფსიქოლოგის კონსულტაცია.

2014 წლის 28 ივლისს მსჯავრდებულს განმეორებით ჩაუტარდა ფსიქიატრის კონსულტაცია და დაესვა დიაგნოზი: არასტაბილური პერსონოლოგიური აშლილობა, სუიციდურ აზრებს არ გამოთქვამს. დაენიშნა ციტომაქსი 1/2 ტაბლეტი ერთჯერ დრეში, ტრუქსალი ერთი აბი ერთჯერ დღეში სამი კვირის განმავლობაში.

სასჯელაღსრულების N15 დაწესებულებაში, 2014 წლის 25 ნოემბერს, დაახლოებით 20 საათსა და 10 წუთზე გამოიძახეს მორიგე ექიმი, მსჯავრდებული იმყოფებოდა უგონო მდგომარეობაში, ყელის არეში, უფრო მეტად მარჯვნივ, აღენიშნებოდა სტრანგულაციური ნაჭდევი, საძილე არტერიებზე პულსაცია არ აღენიშნებოდა, გულის ტონები არ ისმინებოდა. ჩატარდა რეანიმაციული ღონისძიებები, მაგრამ, მიუხედავად ჩატარებული სამედიცინო

დახმარებისა, სასიცოცხლო ფუნქციების აღდგენა ვერ მოხერხდა. 20 საათსა და 40 წუთზე დაფიქსირდა ბიოლოგიური სიკვდილი.

შესაბამისი მასალების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ მსჯავრდებული ა.ჭ. N15 დაწესებულების საკარანტინო განყოფილებაში N8 დაწესებულებიდან შესახლებული იყო 2014 წლის 16 ოქტომბერს. 24 ოქტომბერს დაწესებულების დირექტორის N614 ბრძანებით, 30 დღის ვადით მოთავსდა უსაფრთხო ადგილზე, სხვა მსჯავრდებულებისაგან იზოლირებულად. უსაფრთხოების ეს ღონისძიება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით კვლავ გაგრძელდა 30 დღით. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად მსჯავრდებულის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობისა და მის მიერ წარსულში სუიციდური აზრების გამოთქმისა, როგორც სახალხო დამცველის რწმუნებულება დაადგინეს, მსჯავრდებულს 28 ივლისის შემდგომ არ ჩატარებია ფსიქიატრის კონსულტაცია. დაწესებულების ექიმის განმარტებით კი, ვინაიდან მსჯავრდებულს სამედიცინო პერსონალისათვის არ მიუმართავს, მას არავითარი სამედიცინო მომსახურება არ ჩატარებია. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იკვეთება სასჯელაღსრულების N15 დაწესებულების სამედიცინო პერსონალის პასუხისმგებლობის საკითხი. შესაბამისად, აუცილებელია, ჩატარდეს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გამოძიება.

ჯ. ფ.

სამედიცინო დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ 2014 წლის 17 აგვისტოს, 00:15 საათზე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N6 დაწესებულების პირველი კორპუსის N7 საკანში გამოძახებულმა ექიმმა ნახა პატიმარი ჯ.დ., რომელიც იწვა იატაკზე სისხლით მოსვრილი. პატიმარი სასწრაფოდ გადაყვანეს სამედიცინო ნაწილში. კისერზე აღენიშნებოდა დიდი ნაკვეთი ჭრილობა. პულსი არ ისინჯებოდა, არტერიული წნევა ნულის ტოლი, გუგები გაფართოებული. გამოიძახეს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა, რომელმაც დააფიქსირა გვამი. ჯ.დ.-ს ვერ ჩაუტარდა ვენის კათეტერიზაცია.

ჯ.დ.-ს სიკვდილის მიზეზი იყო მწვავე სისხლნაკლებობა, განვითარებული მარჯვენა საუღლე ვენებისა და მარჯვენა გარეთა საძილე არტერიის ტრავმული დაზიანებით კისრის მიდამოს ნაკვეთი ჭრილობის შედეგად. გვამზე აღინიშნებოდა შემდეგი დაზიანებები: კისრის მიდამოს ირიბი მიმართულების ნაკვეთი ჭრილობები მარჯვენა საუღლე ვენებისა და მარჯვენა გარეთა საძილე არტერიის დაზიანებით, რაც მიყენებული იყო რაიმე მჭრელი ზედაპირის მქონე საგნის მოქმედებით სიკვდილამდე უახლოეს პერიოდში; სისხლნაჟღენთები მარჯვენა ქვედა კიდურის, მარცხენა ზედა კიდურისა და მარჯვენა იღლიის მიდამოში, რაც განვითარებული იყო რაიმე მკვრივი-ბლაგვი საგნის (საგნების) მოქმედებით და ხანდაზმულობით 1-2 დღის იყო; ნაკვეთი ჭრილობა სისხლძარღვების დაზიანებით ცოცხალ პირთა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზისას, სხეულის დაზიანების ხარისხის განსაზღვრის დროს, მიეკუთვნება მძიმე ხარისხს, როგორც სიცოცხლისათვის სახიფათო, იგი უშუალო კავშირშია

სიკვდილის დადგომასთან, ყველა სხვა დაზიანება ატარებდა მსუბუქ ხარისხს. უკანა ტანის მიდამოში დაზიანება არ აღენიშნებოდა. გვამზე კისრის მარჯვენა მხარეს არსებული ჭრილობები მდებარეობდა მისთვის ხელმისაწვდომ ადგილას.

სამედიცინო დოკუმენტაციაში არსებული ჩანაწერებით ირკვევა, რომ მსჯავრდებული 2014 წლის 4 მარტს გასინჯა ექიმმა, ანამნეზით პაციენტი ჩივილებს არ აღნიშნავდა, ადრე მას ფსიქიატრისათვის არ მიუმართავს, ფსიქოტროპულ მედიკამენტებს არ ღებულობდა, თვითდაზიანების მცდელობა არ ჰქონია, არ იყო ჭარბად ალკოჰოლის მომხმარებელი, არ ღებულობდა ადრე ნარკოტიკულ საშუალებებს. დაესვა დიაგნოზი: პრაქტიკულად ჯანმრთელი.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ერთი მხრივ, მსჯავრდებულის სამედიცინო დოკუმენტაციაში არ არის დაფიქსირებული რაიმე სახის ჯანმრთელობის პრობლემა, რაც შეიძლებოდა გამხდარიყო მსჯავრდებულის მიერ სუიციდის განხორციელების მიზეზი, ხოლო მეორე მხრივ, ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულია 1-2 დღის ხანდაზმულობის ზედა და ქვედა კიდურების, ასევე იღლიის მიდამოში სისხლნაჟღენთები, რაც შესაძლოა ძალადობის შედეგი იყოს. შესაბამისად, აუცილებელია, ჩატარდეს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გამოძიება და დადგინდეს, ხომ არ ჰქონდა მსჯავრდებულის მიმართ ძალადობას და თვითმკვლელობამდე მიყვანას ადგილი.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ წარმოადგინა ინფორმაცია სუიციდის პრევენციის პროგრამაში ჩართულ პატიმართა შესახებ. 2014 წლის განმავლობაში სუიციდის პრევენციის პროგრამაში ჩართული იყო 99 პატიმარი. აღნიშნული ინფორმაცია დაწესებულებების და თვეების მითითებით მოცემულია ქვემოთ, ცხრილში.

თვეები	**N8**	**N11**	**N2**	**N3**	**N18**	**N5**
იანვარი	15	2	2	0	0	0
თებერვალი	6	1	0	0	0	0
მარტი	2	0	0	0	0	0
აპრილი	6	1	0	0	0	0
მაისი	4	2	0	0	0	0
ივნისი	14	0	0	0	0	0
ივლისი	3	1	0	3	0	0
აგვისტო	6	1	0	1	2	0
სექტემბერი	2	0	0	3	1	0

ოქტომბერი	0	1	0	0	2	0
ნოემბერი	3	0	1	1	4	1
დეკემბერი	3	0	0	0	3	2
სულ	**64**	**9**	**3**	**8**	**12**	**3**

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში წამალდამოკიდებულების, ფსიქოტროპული მედიკამენტების ჭარბი მოხმარებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების სიმწვავის ფონზე სუიციდის პრევენციის პროგრამაში ჩართული პატიმრების რაოდენობა აშკარად მცირეა. ასე მაგალითად, სასჯელაღსრულების N2 დაწესებულებაში სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ 2014 წლის ოქტომბერში ვიზიტის დროს დადგინდა, რომ 2014 წლის იანვრიდან ოქტომბრამდე სუიციდის პრევენციის პროგრამაში ჩართული იყო ორი პატიმარი და ეს მაშინ, როდესაც მონიტორინგის ჯგუფმა მიიღო ინფორმაცია დაწესებულებაში სუიციდის მცდელობის 50 შემთხვევის შესახებ.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ სუიციდის პრევენციის პროგრამა არ მოქმედებს ყველა დაწესებულებაში და არც ამ პროგრამის ფუნქციონირების მარეგულირებელი სპეციალური ნორმატიული ბაზა არსებობს. აშკარაა, რომ სუიციდის პრევენციისკენ მიმართული აქტივობები არასაკმარისია და, შესაბამისად, უნდა მოხდეს ამ აქტივობების გაძლიერება.

რეკომენდაცია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- **უზრუნველყოს პატიმრების ჯანმრთელობის მდგომარეობის სკრინინგი და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმრებს მიეწოდოთ დროული და ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარება**
- **უზრუნველყოს მწვავე ფსიქოზის მქონე პაციენტების მკურნალობა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში და დაინერგოს ადეკვატური ამბულატორიული სერვისები**
- **მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა თავიდან იყოს აცილებული ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმართა სამარტოო საკანში მოთავსება**
- **დაინერგოს ოპიოიდური დამოკიდებულების ჩანაცვლებითი შემანარჩუნებელი მკურნალობა**
- **დაინერგოს სუიციდის პრევენციის პროგრამა სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში**
- **ნორმატიული დონეზე განისაზღვროს სუიციდის პრევენციის პროგრამაში ჩართვის კრიტერიუმები და პროგრამაში ჩართული მულტიდისციპლინური გუნდის საქმიანობის წესი**

წინადადება საქართველოს მთავარ პროკურორს:

- **უზრუნველყოს სუიციდის ყველა შემთხვევის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გამოძიება**

განსაკუთრებით საშიში გადამდები დაავადებების მართვა და პრევენცია

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან მიღებული მონაცემების შესაბამისად, 2014 წელს ტუბერკულოზზე სკრინინგი ჩატარდა 64 672 შემთხვევაში. სულ აღრიცხულია ტუბერკულოზით დაავადებული 131 პატიმარი (2013 წელს 294 პატიმარი), დაფიქსირდა ტუბერკულოზით დაავადების 63 ახალი და 58 განმეორებითი შემთხვევა.

მულტირეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებულია 36 პატიმარი (2013 წელს 57 პატიმარი). 2014 წელს დაფიქსირდა შეწყვეტილი მკურნალობის 18 შემთხვევა (2013 წელს 20 შემთხვევა). 2014 წელს თანმხლები დაავადებების გამოკვლევის/მკურნალობის მიზნით 10 შემთხვევაში (2013 წელს 202 შემთხვევაში) პატიმრები გადაიყვანეს სამოქალაქო სექტორის სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში. როგორც ზემოაღნიშნული მონაცემებიდან ჩანს, ტუბერკულოზის კონტროლის მხრივ არსებითი პროგრესი შეიმჩნევა.

სასჯელაღსრულების N19 ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში 2014 წლის 11-12 დეკემბერს განხორციელებული ვიზიტის დროს გაირკვა, რომ ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში არის ინფექციის კონტროლის ღონისძიებებთან და თანმხლები დაავადებების მკურნალობასთან დაკავშირებული გარკვეული პრობლემები. კერძოდ, ცენტრში პაციენტები გადაადგილდებიან პირბადის გარეშე. საკანში არ აქვთ სპეციალური კონტეინერი/ჭურჭელი ნახველისთვის და სრულად არ ხდება ხელების ანტისეპტიკური დამუშავება. რაც შეეხება თანმხლები დაავადებების მკურნალობას, დადგინდა, რომ ექიმ-კონსულტანტებთან კონსულტაციაზე ჩაწერილი პაციენტების მოლოდინის დრო საკმაოდ ხანგრძლივია, ხოლო სამედიცინო რეფერალი სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებაში განხორციელდა მხოლოდ 10 შემთხვევაში, მაშინ, როდესაც 2013 წელს ეს მაჩვენებელი 202 შეადგენდა. 2013 წლის საპარლამენტო ანგარიშში მითითებული იყო რეკომენდაცია, რომლის თანახმადაც, უნდა შეესწავლათ გვერდითი მოვლენების გამო და თანმხლები დაავადებების მკურნალობის მოთხოვნით ანტიტუბერკულოზური მედიკამენტების მიღებაზე უარის თქმის შემთხვევები და, მოთხოვნის საფუძვლიანობის შემთხვევაში, უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტთა თანმხლები დაავადებების დროული მკურნალობა. სამწუხაროდ, ეს რეკომენდაცია არ შესრულებულა და სამედიცინო რეფერალის შემთხვევათა რაოდენობა 2013 წელთან შედარებით 192 შემთხვევით შემცირდა.

ანტიტუბერკულოზურ მკურნალობაზე უარყოფითად აისახება ანტიტუბერკულოზური მედიკამენტების მიღებით გამოწვეული გვერდითი მოვლენები და, ამდენად, მნიშვნელოვანია როგორც მკურნალობის პროცესში პაციენტების ფსიქოლოგიური მხარდაჭერა, ასევე ფსიქიკური მდგომარეობის კონტროლი. მიუხედავად ამისა, ცენტრს ადგილზე არ ჰყავს ფსიქიატრი და ფსიქოლოგი. უფრო მეტიც, შესაბამისი დოკუმენტაციის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ მაისიდან ნოემბრის თვემდე ტუბერკულოზის

სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში ფსიქიატრის მიერ კონსულტაცია არ ჩატარებულა.

სამწუხაროდ, არ იქნა გაზიარებული და შესრულებული სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომლის თანახმადაც, ტუბერკულოზით დაავადებული ყველა პატიმარი, ტუბერკულოზის შემთხვევათა სათანადო მართვის მიზნით, უნდა მოთავსებულიყო ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში.

2013 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა გასცა რეკომენდაცია, რომლის თანახმადაც, შესაბამისი ცვლილება უნდა შესულიყო „პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ვირუსული C ჰეპატიტის პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროგრამის დამტკიცებისა და განხორციელების წესის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 31 იანვრის №01-5/ნ ბრძანებაში, რათა მკურნალობის აუცილებლობაზე სამედიცინო ჩვენების არსებობის შემთხვევაში, ნებისმიერი ბრალდებული/მსჯავრდებული უზრუნველყოფილი ყოფილიყო ანტივირუსული მკურნალობით. სახალხო დამცველი მიესალმება იმ ფაქტს, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 31 იანვრის N01-5/ნ ბრძანებაში შევიდა ცვლილება და გაუქმდა დებულება, რომლის თანახმად ანტივირუსულ მკურნალობაში პატიმარი შეიძლებოდა ჩართულიყო იმ შემთხვევაში, თუ რეალური სასჯელი აღემატებოდა 18 თვეს. ამჟამად მოქმედი რედაქცია რეალური სასჯელის ოდენობასთან დაკავშირებულ შეზღუდვას არ ითვალისწინებს.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2014 წელს ჰეპატიტებზე გამოკვლევები ჩაუტარდა 8711 პატიმარს. წლის განმავლობაში მკურნალობა ჩაუტარდა 289 მსჯავრდებულს. აღსანიშნავია, რომ არ იქნა გაზიარებული სახალხო დამცველის რეკომენდაცია შესაბამისი სამედიცინო ჩვენების არსებობის შემთხვევაში ბრალდებულების ანტივირუსული მკურნალობის შესახებ.

2014 წელს აივ ინფექცია/შიდსზე გამოიკვლიეს 9 081 პატიმარი. აივ/ინფექცია/შიდსის ანტირეტროვისურულ მკურნალობაში წლის განმავლობაში ჩართული იყო 56 პაციენტი.

ჩატარებული მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში პრობლემულია ინფექციის კონტროლის მოთხოვნების ზედმიწევნით სრულად დაცვა, კანონმდებლობის შესაბამისად ცივი ჯაჭვის უზრუნველყოფა, მრავალჯერადი გამოყენების სამედიცინო იარაღების, საგნებისა და მასალების დეზინფექცია და სტერილიზაცია, ბასრი საგნებისა და გამოყენებული შპრიცების მოსაგროვებლად უსაფრთხო ყუთების და სათანადო კონტეინერების გამოყოფის საკითხი. ასევე თვალშისაცემია პრევენციულ ჯანდაცვასთან დაკავშირებული, პატიმრებისათვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის ნაკლებობა.

რეკომენდაცია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- **ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში სრულად დაიცვან ინფექციის კონტროლის ღონისძიებები ტუბერკულოზის მართვის გაიდლაინის შესაბამისად**
- **ტუბერკულოზით დაავადებული ყველა პატიმარი, ტუბერკულოზის შემთხვევათა სათანადო მართვის მიზნით, მოთავსდეს ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში**
- **მოხდეს გვერდითი მოვლენების გამო და თანმხლები დაავადებების მკურნალობის მოთხოვნით ანტიტუბერკულოზური მედიკამენტების მიღებაზე უარის თქმის შემთხვევების შესწავლა და, მოთხოვნის საფუძვლიანობის შემთხვევაში, სამედიცინო ჩვენებიდან გამომდინარე, უზრუნველყონ ტუბერკულოზით დაავადებულ პატიმართა თანმხლები დაავადებების დროული მკურნალობა**
- **უზრუნველყოს ინფექციის კონტროლის მოთხოვნების სრული დაცვა;**
- **უზრუნველყოს პრევენციულ ჯანდაცვასთან დაკავშირებული ინფორმაციის პატიმრებისათვის ხელმისაწვდომობა**

რეკომენდაცია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- **შევიდეს შესაბამისი ცვლილება „პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ვირუსული C ჰეპატიტის პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროგრამის დამტკიცებისა და განხორციელების წესის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 31 იანვრის №01-5/ნ ბრძანებაში, რათა შესაბამისი სამედიცინო ჩვენების არსებობის შემთხვევაში ბრალდებულებისთვის ხელმისაწვდომი გახდეს ანტივირუსული მკურნალობა**

გარდაცვლილი პატიმრები

2014 წელს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში გარდაიცვალა 27 პატიმარი. საქმის შესწავლის მიზნით პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა გამოითხოვა ინფორმაცია გარდაცვლილი პატიმრებისთვის გაწეული სამედიცინო მომსახურების შესახებ, ასევე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნები. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან მოწოდებული იქნა ექსპერტიზის 16 დასკვნა[154]. ასევე მივიღეთ გამოთხოვილი ინფორმაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან. ქვემოთ მიმოხილული იქნება გარდაცვალების 11 შემთხვევა[155].

---

[154] სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 11 მარტის MCLA 2 15 00244911 წერილი.

[155] სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ადმინისტრაციის უფროსის 2015 წლის 23 იანვრის წერილზე თანდართულ ექსპერტიზის 16

დ.გ.

2014 წლის 2 იანვარს, დაახლოებით 13:20 საათზე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N19 ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში გარდაიცვალა მსჯავრდებული დ.გ. პაციენტის სამედიცინო ბარათის თანახმად, 2013 წლის 12 აპრილს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N4 დაწესებულებაში განთავსებისას მსჯავრდებული დაავადებული იყო აივ ინფექციით და ქრონიკული C ჰეპატიტით. 2013 წლის 19 დეკემბერს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N2 დაწესებულებაში მსჯავრდებულს დაუსვეს დიაგნოზი: ფილტვების დისემინირებული ტუბერკულოზი, მგბ (-) უარყოფითი ფილტვის ფორმა, ახალი შემთხვევა.

2013 წლის 27 დეკემბერს პაციენტი გადაიყვანეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N19 ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში და ჩაერთო ანტიტუბერკულოზურ მკურნალობაში. 2013 წლის 31 დეკემბერს პაციენტს დილის 5:30 საათზე ჰქონდა ტკივილი მუცლის არეში და ითხოვდა ტკივილგამაყუჩებელს, გულისრევა და პირღებინება არ ჰქონია. ექიმის ჩანაწერის მიხედვით, მუცელი არის საშუალო დაჭიმულობის, პალპაციით მტკივნეული მარჯვენა ფერდქვეშა არე, ირადიაციით წელის არეში, ტკივილი ბარძაყის ზედაპირზე არ გადადის. ჰქონდა პირღებინება. 14:00 საათისთვის ტკივილის ინტენსივობამ იკლო, გაუკეთდა კეტზი, ნოშპა, პლატიფილინი, დაახლოებით ერთ საათში პაციენტმა მოითხოვა საძილე საშუალება, აცხადებდა, რომ ჰქონდა ყრუ ტკივილი, მარგამ ვერ ისვენებდა, გაუკეთდა ინექცია, ჰქონდა დეფეკაცია თხელი განავლით.

სამედიცინო დოკუმენტაციის თანახმად, 2014 წლის 2 იანვარს, 13:20 საათზე, გამოძახება შემოვიდა B-406 საკნიდან. ექიმის შესვლისას მსჯავრდებული საწოლში იწვა გულდაღმა, ნაღებინებ მასაში (ყავის ნალექის მაგვარი მასა), დაფიქსირდა ბიოლოგიური სიკვდილი. სავარაუდო დიაგნოზი: ასპირაცია ნაღებინები მასებით, ასფიქსია.

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს N000006514 დასკვნის თანახმად, დ.გ.-ს სიკვდილის მიზეზია დიფუზური ჩირქოვანი პერიტონიტი, განვითარებული ფილტვების მილიარული ტუბერკულოზის კუჭ-ნაწლავის ტრაქტში დისემინაციის და წვრილი ნაწლავის კედლის პერფორაციის შედეგად. გვამზე ნაპოვნია შემდეგი დაზიანებები: სისხლნაჟღენთი მარჯვენა მხრის წინა ზედაპირზე, ქვედა მესამედში და ნაჭდევი ამავე მხრის და იდაყვის მიდამოებში, უკანა ზედაპირზე, რაც განვითარებულია რაიმე მკვრივი-ბლაგვი საგნის მოქმედებით სიკვდილამდე 1-3 დღის ინტერვალში, ცოცხალ პირთა ექსპერტიზისას მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს და არ არის მიზეზობრივ კავშირში დამდგარ შედეგთან.

დასკვნიდან 4 დასკვნა სუიციდს, ხოლო 1 დასკვნა პატიმრის ძალადობის შედეგად გარდაცვალებას შეეხებოდა და შესაბამისად, ამ თავში მიმოხილული არ არის.

ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულია შემდეგი სასამართლო-სამედიცინო დიაგნოზი: ფილტვების მილიარული ტუბერკულოზი დისემინაციით საყლაპავში, კუჭში, ნაწლავებში, ლიმფურ კვანძებში, ბადექონში. საყლაპავში, კუჭში და წვრილ ნაწლავებში ტუბერკულოზური სტრუქტურების დაშლით, დეფექტების ჩამოყალიბებით, გასტრო-ეზოფაგური სისხლდენით, წვრილი ნაწლავის კედლის პერფორაციით და დიფუზური ჩირქოვანი პერიტონიტის ჩამოყალიბებით, მუცლის ღრუში 2000 მლ-მდე მორუხო-მოყვითალო-მომწვანო ელფერის სითხე და დიდი რაოდენობით ასეთივე ფერის ნადებები, თავის ტვინის და რბილი გარსების შეშუპება, კეროვანი არაქნოიდიტი. ეპი-მიოჯარდიუმის ლიპომატოზი. ქრონიკული ქოლადგიტი, ქრონიკული აქტიური ჰეპატიტი, აივ-ინფექცია/შიდსი. სისხლსა და შინაგან ორგანოებში ფსიქოტროპული ნივთიერება - დიაზეპამი, შინაგან ორგანოებში ანალგეზიური საშუალება - ანალგინი.

აღსანიშნავია, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, გარდაცვლილ დ.გ.-ს სამედიცინო დოკუმენტაციაში არ იძებნება ქირურგის მიერ ჩატარებული კონსულტაციის ფურცელი, რომლის მიხედვითაც რეკომენდებული იყო ოპერაციული მკურნალობა, ასევე დაწესებულებაში არსებულ მედიკამენტების ბრუნვის ამსახველ დოკუმენტაციაში არ მოიძებნა გარდაცვლილი პაციენტისთვის მოთხოვნილი და გაცემული მედიკამენტების შესახებ ჩანაწერი, ანუ დადასტურებულია, რომ დ.გ.-ს სამედიცინო მომსახურების დროს იყო არსებითი ხასიათის ხარვეზები და შესაბამისად, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ დ.გ. უზრუნველყოფილი არ ყოფილა დროული და ადეკვატური სამედიცინო მომსახურებით.

ტ.ჩ.

2014 წლის 28 იანვარს, 04:30 საათზე, ქუთაისში, ზ.ცხაკაიას სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში გარდაიცვალა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N2 დაწესებულებიდან 2014 წლის 26 იანვარს 10:20 საათზე გადმოყვანილი პატიმარი ტ.ჩ. სამედიცინო დოკუმენტაციის თანახმად, პაციენტი სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გადმოიყვანა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის ექიმების გადმოცემით, პაციენტს ჰქონდა სისხლიანი ღებინება. სამედიცინო დოკუმენტაციიდან ასევე ირკვევა, რომ პაციენტი 2014 წლის 25 იანვარს გაწერეს ინფექციური საავადმყოფოდან. სამედიცინო დოკუმენტაციაში პაციენტის გარდაცვალების შემდგომ მითითებულია შემდეგი დიაგნოზი: ქრონიკული C ჰეპატიტი, ღვიძლის ციროზი, ღვიძლის უკმარისობა, ღვიძლისმიერი კომა, გასტროდუოდენალური სისხლდენა, ჰიპოვოლემიური შოკი, სუნთქვის მწვავე უკმარისობა, ფ.ხ.ვ. გულის გაჩერება.

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს N000481714 დასკვნის თანახმად, ტ.ჩ.-ს სიკვდილის მიზეზია ღვიძლის ციროზის შედეგად ვარიკოზულად გაგანიერებული საყლაპავის ვენებიდან სისხლდენის გამო განვითარებული შინაგანი ორგანოების ზოგადი

სისხლნაკლებობა. ტ.ჩ.-ს გვამზე აღენიშნებოდა სიცოცხლის დროინდელი შემდეგი დაზიანებები: ნაჭდევი ლოყის მიდამოში მარჯვნივ და ზედა ტუჩის მიდამოში ცენტრალურად და მარცხნივ. სისხლნაჟღენთები მარცხენა წარბს ზედა მიდამოში, მარცხენა მხარის გარეთა ზედაპირზე შუა მესამედში და მარჯვენა მხარის გარეთა ზედაპირზე შუა მესამედში, განვითარებული სიკვდილის წინა ადრეულ პერიოდში მკვრივი-ბლაგვი საგნის (საგნების) ზემოქმედებით. ცოცხალ პირთა ექსპერტიზის შემთხვევაში მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს და მიზეზობრივ კავშირში არ არის დამდგარ შედეგთან - სიკვდილთან.

ტ.ჩ.-ს ასევე აღენიშნებოდა ნაწიბურები მარცხენა ბარძაყის გარეთა ზედაპირზე ზედა, შუა და ქვედა მესამედებში, მარცხენა ბარძაყის წინა ზედაპირზე შუა და ქვედა მესამედში, მარცხენა ბარძაყის წინა ზედაპირზე შუა მესამედში და მარცხენა მუხლის სახსრის წინა ზედაპირზე გარდამავალი მარცხენა წვივის წინა ზედაპირზე ზედა მესამედში.

ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულია შემდეგი სასამართლო-სამედიცინო დიაგნოზი: ქრონიკული ჰეპატიტი ვრცელი ანთებადი ინფილტრატებითა და ნეკროზული კერების არსებობით, ტლანქი შემაერთებელი ქსოვილის გამრავლებით და ცრუ წილების ჩამოყალიბებით. ღვიძლის ციროზი. საყლაპავის ვენების ვარიკოზული გაგანიერება. 0.4 სანტიმეტრამდე სიგრძის ნასკდომი გაგანიერებულ ვენაზე საყლაპავის ქვედა მესამედის საპროექციოდ, მის უკანა ნაწილში - კიდეებში და მიმდებარედ საყლაპავის ლორწოვანაში მუქი მოწითალო ფერის სისხლჩაქცევებით. შინაგანი სისხლდენა 2500 მლ-მდე მოცულობით მოშავო ფერის სისხლის კოლტი კუჭის ღრუში, მოშავო ფერის - კუპრისებრი მასები წვრილი და მსხვილი ნაწლავების სანათურებში. შინაგანი ორგანოების ზოგადი სისხლნაკლებობა. ასციტი (300 მლ-მდე მოცულობით თავისუფალი სითხე პერიტონეუმის ღრუში). თავისუფალი სითხის არსებობა პლევრის ღრუებში თითოეულ მხარეს 100 მლ-მდე მოცულობით. პოსტჰემორაგიული ანემია. ათეროსკლეროზული კორონაროსკლეროზი. მიოფიბროზი. აორტის ათეროსკლეროზი. სისხლში და შინაგან ორგანოებში აღმოჩნდა ფსიქოტროპული ნივთიერება - დიაზეპამი, საანესთეზიო საშუალება - ლიდოკაინი, სანარკოზე საშუალება კეტამინის მეტაბოლიტი - ნორკეტამინი.

რ.ჩ.

2014 წლის 8 მარტს, დაახლოებით 17:20 საათზე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N2 დაწესებულებაში, საკანში გარდაიცვალა მსჯავრდებული რ.ჩ. დაწესებულების მორიგე ექიმის მიერ გაკეთებული ჩანაწერიდან ირკვევა, რომ რ.ჩ.-ს არ აღენიშნებოდა პულსაცია სამილე არტერიებზე, კანი იყო ფერმკრთალი და ცივი. მსჯავრდებულს ჩაუტარდა გულის არაპირდაპირი მასაჟი, თუმცა უშედეგოდ.

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს N001228614 დასკვნის თანახმად, რ.ჩ.-ს სიკვდილის მიზეზია თავის ტვინის მკვეთრად გამოხატული შეშუპება ღეროს დისლოკაციით და ჩაჭედვით, განვითარებული თავის ტვინში არატრავმული სისხლჩაქცევის შედეგად სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლის გამო. რ.ჩ.-ს გარეგნულად მექანიკურ დაზიანებათა რაიმე ობიექტური ნიშნები არ აღენიშნება.

ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულია შემდეგი სასამართლო-სამედიცინო დიაგნოზი: თავის ტვინის სისხლძარღვების ათეროსკლეროზის შედეგად ტვინის სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლა: თავის ტვინის რბილ გარსებში დიფუზური სისხლჩაქცევა კოლტის სახით. თავის ტვინის ნივთიერებაში სისხლჩაქცევები. ნათხემის რბილ გარსებში დიფუზური სისხლჩაქცევა. მარჯვენა ჰემისფეროს მსხვილკეროვანი ინტრაცერებრული სისხლჩაქცევა გვერდით პარკუჭში შეჭრით (მარჯვენა გვერდით პარკუჭში 100 მლ-მდე სისხლის კოლტის არსებობა), თავის ტვინის რბილი გარსებისა და ნივთიერების შეშუპება ღეროს დისლოკაციითა და ჩაჭედვით. თავის ტვინის რბილი გარსების სისხლძარღვთა ათეროარტერიოლოსკლეროზი. ათეროსკლეროზული კორონაროსკლეროზი. აორტის ათეროსკლეროზი. ფილტვების შეშუპება. კეროვანი ემფიზემა. ბრონქიტი. პნევმოსკლეროზი. ჰეპატიტი. ინტრავენულ სისხლძარღვთა ათეროარტერილოსკლეროზი.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან არ ჩანს, რომ რ.ჩ. 2013 და 2014 წლებში ჩაუტარდა კარდიოლოგის კონსულტაცია ან გულ-სისხლძარღვთა და თავის ტვინის რაიმე სახის გამოკვლევა მაშინ, როდესაც რ.ჩ.-ს 2012 წელს გადატანილი ჰქონდა ჰიპერტონული კრიზი, რამდენჯერმე კონსულტირებული იყო კარდიოლოგის მიერ და ამავე პერიოდში უტარდებოდა მკურნალობა დასმული დიაგნოზის (ჰიპერტონული დაავადება, მეორე სტადია) შესაბამისად.

გ.უ.

2014 წლის 11 თებერვალს, დაახლოებით 13:30 საათზე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N8 დაწესებულებაში გარდაიცვალა 1972 წელს დაბადებული ბრალდებული გ.უ. სამედიცინო დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ ბრალდებული დაწესებულებაში მოუთავსებიათ 2014 წლის 23 იანვარს. განთავსებისას ბრალდებულს აწუხებდა ტკივილი ორივე წვივის არეში, გაძნელებული ჰქონდა სიარული. ანამნეზის თანახმად, მსჯავრდებული ასევე დაავადებული იყო ქრონიკული ვირუსული C ჰეპატიტით. ბრალდებული იყო ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელი.

2014 წლის 11 თებერვალს, 12:50 საათზე ბრალდებული საკანში გასინჯა მკურნალმა ექიმმა. ბრალდებულს აწუხებდა საერთო სისუსტე, თავბრუსხვევა, ჰაერის უკმარისობა. თანასაკნელების გადმოცემით, მან გონება დაკარგა წამოდგომისას. დაფიქსირდა

არტერიული წნევის დაბალი ციფრები. გაუკეთდა კორდიამინი და კოფეინი. ინექციის შემდეგ პაციენტის მდგომარეობა გაუმჯობესდა ხანმოკლე დროით. 10 წუთის შემდეგ განმეორდა ზემოთ ჩამოთვლილი სიმპტომები, მიეცა „ვალიდოლი“ ენის ქვეშ, მაგრამ მდგომარეობა თანდათან გაუარესდა. პულსაცია პერიფერიაზე გაქრა, სუნთქვა გახდა იშვიათი, დაკარგა გონება. გამოძახებულ იქნა რეანიმატოლოგი. მკურნალი ექიმმა დაიწყო რეანიმაციული ღონისძიებები, რაც გაგრძელდა რეანიმატოლოგთან ერთად. გამოიძახეს სასწრაფო დახმარების ბრიგადა, რომელმაც გააგრძელა გულ-ფილტვის რეანიმაციული ღონისძიებები, მაგრამ მიუხედავად ამისა, 13:50 საათზე დაფიქსირდა ბიოლოგიური სიკვდილი. დიაგნოზი: მარცხენა წვივის ზემო მესამედის და მარჯვენა წვივის დისტალური ბოლოს ხანდაზმული მოტეხილობა, ოსტეოსინთეზის შემდგომი პერიოდი. ქრონიკული ვირუსული C ჰეპატიტი (ანამნეზის თანახმად).

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს N000716414 დასკვნის თანახმად, ბრალდებულ გ.უ.-ს სიკვდილის უშუალო მიზეზია გულის კუნთის - მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი. გ.უ.-ს გვამს ზედა ტუჩის არეში მარჯვნივ, ცხვირ-ტუჩის ნაოჭის პროექციაზე და ნიკაპის გვერდით ზედაპირზე მარჯვნივ აღენიშნებოდა მომრგვალო ფორმის, მუქი მოწითალო-მოყავისფრო, მშრალი ფუფხით დაფარული, კანის ზედაპირიდან წამოწეული, მცირე ზომის ნაჭდევები თითოეული დიამეტრით 0.2, 0.1 და 0.3 სანტიმეტრი. სხვა რაიმე ფიზიკური დაზიანების ობიექტური ნიშნები არ აღმოაჩნდა. დაზიანებები მიყენებულია მკვრივი, ბლაგვი საგნის მოქმედებით, სიკვდილამდე 3-4 დღით ადრე, როგორც ცალ-ცალკე, ასევე ერთიანობაში მიეკუთვნება მსუბუქ ხარისხს და არ არის მიზეზობრივ კავშირში გარდაცვალებასთან.

ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულია შემდეგი სასამართლო-სამედიცინო დიაგნოზი: გულის ქრონიკული იშემიური დაავადება, მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი, ათეროსკლეროზული კორონოსკლეროზი, მიოკარდიუმის ფიბროზი, პოსტინფარქტული ნაწიბურები მიოკარდიუმში მიოკარდიოციტების ჰიპერტროფია, ცხიმოვანი დისტროფია, აორტის ათეროსკლეროზი. ქრონიკული ინტერსტიციული პნევმონია, ქრონიკული ბრონქიტი, ქრონიკული პლევრიტი პლევრის ფიბროზით, ქრონიკული ჰეპატიტი, თირკმლის გორგლების სკლეროზი, თირკმლის კისტა.

აღსანიშნავია, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტიდან მიღებული წერილით არ დასტურდება გულ-სისხლძარღვთა და ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულ სხვა დაავადებებთან დაკავშირებით მსჯავრდებულის გამოკვლევის და მკურნალობის ფაქტი. ამასთან, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ უკვე უგონო მდგომარეობაში ჩავარდნილ მსჯავრდებულთან რეანიმატოლოგი მივიდა მხოლოდ ერთი საათის შემდეგ.

რ.მ.

2014 წლის 22 ივნისს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N6 დაწესებულებიდან რუსთავის „კლინიკა რუსთავის“ საავადმყოფოში სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით გადაიყვანეს 1983 წელს დაბადებული მსჯავრდებული რ.მ., რომელიც საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. სამედიცინო დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ 2014 წლის 13 ივნისს სამედიცინო ნაწილის ექიმმა და ექთანმა შეადგინეს აქტი N481, რომლის თანახმადაც მსჯავრდებული მოინახულეს საკუთარ საკანში. მსჯავრდებულს მარჯვენა ქვედა კიდურზე აღენიშნებოდა ნაკვეთი ჭრილობა. ჩანაწერის თანახმად, მსჯავრდებული აღნიშნულ დაზიანებას უკავშირებს საპირფარეშოში შესვლას, განმარტავს, რომ კიდური ნიჟარას ჩამოარტყა. ესაჭიროება ქირურგი, რაზეც მსჯავრდებული უარს აცხადებს.

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს N003186414 დასკვნის თანახმად, რ.მ.-ს სიკვდილის მიზეზია გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა, განვითარებული კარდიომიოციტების (გულის კუნთოვანი უჯრედების) მწვავე იშემიური დაზიანების შედეგად. რ.მ.-ს გვამზე აღენიშნება სწორკიდეებიანი ჭრილობა მარჯვენა წვივის შუა მესამედის შიგნითა ზედაპირზე, რაც განვითარებულია რაიმე ბასრი კიდის მქონე საგნის მოქმედებით, სიცოცხლის დროს, სიკვდილის დადგომამდე 8-10 დღით ადრე და ცოცხალ პირთა სასამართლო ექსპერტიზისას, სხეულის დაზიანების ხარისხის განსაზღვრის დროს, მიეკუთვნება მსუბუქ ხარისხს. აღნიშნული დაზიანება დამდგარ შედეგთან (სიკვდილთან) მიზეზობრივ კავშირში არ არის.

ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულია შემდეგი სასამართლო-სამედიცინო დიაგნოზი: გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა, გულის იშემიური დაავადება; კარდიომიოციტების კეროვანი მწვავე იშემიური დაზიანება; კორონაროათეროსკლეროზი; კარდიოსკლეროზი; თავის ტვინის რბილი გარსებისა და ნივთიერების შეშუპება; ფილტვების ტუბერკულოზი შუასაყრის და პერიბრონქული ლიმფური კვანძების ჰიპერპლაზიით (A15.2); სისხლში და შინაგან ორგანოებში ფსიქოტროპული ნივთიერება - დიაზეპამი და ანტიფსიქოზური საშუალება - კლოზაპინი.

აღსანიშნავია, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტიდან მიღებული წერილით არ დასტურდება მსჯავრდებულისათვის გულ-სისხლძარღვთა დაავადებებთან დაკავშირებით რაიმე სახის გამოკვლევის ჩატარება. ასევე საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მსჯავრდებულს, მიუხედავად ტუბერკულოზზე ორი გამოკვლევისა (ბოლო გამოკვლევა ჩაუტარდა გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე), ტუბერკულოზის დიაგნოზი არ დაუდგინდა და ეს მაშინ, როცა ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულია, რომ გარდაცვალების მომენტში მსჯავრდებული დაავადებული იყო ფილტვების ტუბერკულოზით შუასაყრის და პერიბრონქული ჰიპერპლაზიით (A15.2).

ფ.რ.

2014 წლის 18 აგვისტოს, ღამის საათებში შპს იმერეთის რეგიონულ კლინიკურ საავადმყოფოში ღვიძლის მწვავე უკმარისობით გარდაიცვალა მსჯავრდებული ფ.რ. სამედიცინო დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ ფ.რ.-ს სამედიცინო დახმარება გაეწია 2014 წლის 4 აპრილს. მსჯავრდებულს დაუდგინდა ვირუსული C ჰეპატიტი. 2014 წლის 17 აპრილს მსჯავრდებული ჩაერთო C ჰეპატიტის მკურნალობის პროგრამაში პეგფერონით და რიბოვირინით. 2014 წლის 17 ივლისს გაუკეთდა პირველი ინექცია და 2014 წლის 7 აგვისტოსთვის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იყო. პაციენტი უჩიოდა თავბრუსხვევას და საერთო სისუსტეს. აღნიშნული ჩივილები დაეწყო პეგფერონის ინექციის შემდეგ. ფილტვებში ვეზ. სუნთქვა, გულის ტონები ნათელი, რითმული, სუსტი ავსების და დაჭიმულობის, მუცელი რბილი, პალპაციით მტკივნეული, ღვიძლი და ელენთა არ ისინჯება, პასტერნაცკის სიმპტომი უარყოფითი ორივე მხარეს. 8 აგვისტოს გასინჯვის დროს პაციენტს ჩივილები არ ჰქონია, მდგომარეობა დამაკმაყოფილებლად შეფასდა.

2014 წლის 14 აგვისტოს პაციენტს გაუკეთდა პეგფერონის ინექცია. პაციენტი უჩივის თავბრუსხვევას და საერთო სისუსტეს, ასევე ოფლიანობას. პეგფერონის ინექციიდან ერთი საათის შემდეგ პაციენტი შეუძლოდ გახდა. ფილტვებში აღენიშნებოდა შესუსტებული ვეზ. სუნთქვა, გულის ტონები ნათელი, რითმული, მაჯა სუსტი ავსების და დაჭიმულობის. არტერიული წნევა 90/70 მმ. ვწყ. სვ. პულსი 70, მუცელი რბილი, უმტკივნეულო. პაციენტს გაუკეთდა ინტრავენული ინფუზია. ინფუზიის შემდგომ მდგომარეობა გაუმჯობესდა.

2014 წლის 15 აგვისტოს მსჯავრდებული ფ.რ. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ გადაიყვანა შპს იმერეთის რეგიონულ კლინიკურ საავადმყოფოში. დაესვა წინასწარი დიაგნოზი: ღვიძლის ქვემწვავე უკმარისობა, ქრონიკული C ჰეპატიტი, ღვიძლისმიერი ენცეფალოპათია. საავადმყოფოში მიყვანისას მსჯავრდებული იყო არაადეკვატური, დეზორიენტირებული, უჭირდა კითხვებზე პასუხის გაცემა. მიუხედავად საავადმყოფოში გაწეული სამედიცინო დახმარებისა, 2014 წლის 18 აგვისტოს მსჯავრდებული გარდაიცვალა.

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს N004432414 დასკვნის თანახმად, მსჯავრდებულ ფ.რ.-ს სიკვდილის მიზეზია ფილტვ-გულის უკმარისობა განვითარებული ორმხრივი ჩირქოვანი კრუპოზული პნევმონიისა და გულის ქრონიკული იშემიური დაავადების შედეგად. დასკვნაში მითითებულია შემდეგი სასამართლო-სამედიცინო დიაგნოზი: გულის ქრონიკული იშემიური დაავადება; ათეროსკლეროზული კორონაროსკლეროზი; პოსტინფარქტული ნაწიბურები მიოკარდიუმში; მიოფიბროზი; ეპიკარდიუმის ლიპომტოზი; აორტის ათეროსკლეროზი; გულის ჰიპერტროფია. მარცხენა პარკუჭის კედლის სისქე 2.0 სმ. ორმხრივი კრუპოზული პნევმონია დაჩირქებითი უბნებით; ბრონქიტი; კეროვანი ემფიზემა; ქრონიკული ჰეპატიტი; ჰეპატოზი; ინტრავენულ სისხლძარღვთა ათეროარტერიოლოსკლეროზი; ტუბულო-ინტერსტიციული ნეფრიტი; თავის ტვინის რბილი გარსებისა და ნივთიერების შეშუპება. შინაგანი პარენქიმული ორგანოების სისხლსავსეობა, შეშუპება; სისხლში ფსიქოტროპული ნივთიერება - დიაზეპამი.

აღსანიშნავია, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მსჯავრდებულის გულ-სისხლძარღვთა სისტემისა (გარდა ელექტროკარდიოგრამისა) და ფილტვების გამოკვლევის ფაქტი არ დასტურდება.

მ.მ.

სამედიცინო დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ 2014 წლის 29 ივნისს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N6 დაწესებულებაში გამოძახებულ იქნა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა. ადგილზე მისულ ექიმს მსჯავრდებული მ.მ. დახვდათ უგონო, ტერმინალურ მდგომარეობაში. მსჯავრდებულს საძილე არტერიაზე და პერიფერიაზე პულსი არ აღენიშნებოდა, გულის ტონები არ ისმინებოდა, მ.მ.-ს რეანიმაციის ფონზე ფიქსირდებოდა უჩვეულო სუნთქვა, გუგებზე რეფლექსი უარყოფითი, გაფართოებული. პაციენტს გაუკეთდა ადრენალინი, ატროპინი, ნალოქსონი, თუმცა მიუხედავად მედიკამენტოზური ჩარევისა და უწყვეტად მიმდინარე მ.მ.-ს რეანიმაციისა, რაც გრძელდებოდა 45 წუთი, 16:00 საათზე დაფიქსირდა ბიოლოგიური სიკვდილი.

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს N003326514 დასკვნის თანახმად, მ.მ.-ს სიკვდილის მიზეზის დასადგენად საჭიროა ჩატარდეს სამედიცინო ექსპერტიზა კომისიური წესით. მ.მ-ს გვამზე აღინიშნება მოწითალო ფერის, უფუფხო ნაჭდევები ორივე ყურის ბიბილოზე, მორუხო-მოყავისფრო ფუფხით დაფარული ნაჭდევები მარცხენა სხივ-მაჯის სახსრის უკანა ზედაპირზე. დაზიანებები განვითარებულია მკვრივი-ბლაგვი საგნის მოქმედებით, სიცოცხლის დროს და ცოცხალ პირთა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზისას, სხეულის დაზიანების ხარისხის განსაზღვრის დროს მიეკუთვნება მსუბუქ ხარისხს და არ არის მიზეზობრივ კავშირში დამდგარ შედეგთან - სიკვდილთან. ყურის ბიბილოებზე არსებული ნაჭდევები განვითარებულია სიკვდილის დადგომამდე უახლოეს პერიოდში, ხოლო მარცხენა სხივ-მაჯის სახსრის მიდამოში - სიკვდილის დადგომამდე 8-10 დღით ადრე.

დასკვნაში მითითებულია შემდეგი სასამართლო სამედიცინო დიაგნოზი: შინაგანი ორგანოების მკვეთრი შეშუპება; თავის ტვინის და რბილი გარსების ინტენსიური შეშუპება (G93.6); სუსტად გამოხატული კორონაროათეროსკლეროზი; ეპიკარდიუმის ლიპომატოზი; ფილტვების ტუბერკულოზი (A15.2); ფსიქოტროპული ნივთიერება დიაზეპამი სისხლში (100,3 ნგ/მლ) და შინაგან ორგანოებში.

ზ.შ.

2014 წლის 19 ოქტომბერს 19:30 საათზე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N18 დაწესებულების რეანიმაციულ განყოფილებაში გარდაიცვალა მსჯავრდებული ზ.შ. სამედიცინო დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ მსჯავრდებული აღნიშნულ დაწესებულებაში

მოთავსებულ იქნა 2014 წლის 15 ოქტომბერს. სამედიცინო ჩანაწერების თანახმად, მსჯავრდებულს აღენიშნებოდა დიდი ზომის სიმსივნური წარმონაქმნები ზურგის, კისრის არეში და ბეჭქვეშა მიდამოში, პალპაციით რბილი, უმტკივნეულო, ელასტიური კონსისტენციის, მოძრავი. პაციენტი უჩიოდა ტკივილს და დისკომფორტს აღნიშნულ არეში. პაციენტს რამდენჯერმე გაუწია კონსულტაცია ქირურგმა და გაიცა რეკომენდაცია ოპერაციული მკურნალობის შესახებ. განისაზღვრა შემდეგი წინასწარი დიაგნოზი: სიმსივნური წარმონაქმნები კისრისა და ზურგის არეში (ლიპომატოზი). პაციენტს ჩაუტარდა ლაბორატორიული გამოკვლევები, სიმსივნური წარმონაქმნების ექოსკოპია, გულმკერდის მალების რენტგენოგრაფია.

2014 წლის 19 ოქტომბერს, 16:50 საათზე, ზოგადი ანესთეზიის ქვეშ ჩაუტარდა ოპერაცია - ზურგის მიდამოში არსებული კანქვეშა წარმონაქმნების ამოკვეთა საღი ქსოვილების ფარგლებში. ოპერაციის მსვლელობისას რაიმე გართულებას ადგილი არ ჰქონია. 17:30 საათზე პაციენტმა თვალები გაახილა, სუნთქვა აღადგინა და შეეძლო დავალებების შესრულება. უეცრად აღენიშნა კრუნჩხვის მსგავსი მოძრაობა და გულის გაჩერება. დაუყოვნებლივ დაიწყო რეანიმაციული ღონისძიებები, ჩაუტარდა მრავალჯერადი დეფიბრილაცია, 19:00 საათზე მოვიდა კატასტროფული მედიცინის ბრიგადა, რომელმაც გააგრძელა რეანიმაციული ღონისძიებები. მიუხედავად მცდელობისა, 19:30 საათზე დაფიქსირდა ბიოლოგიური სიკვდილი.

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს N005667314 დასკვნის თანახმად, ზ.შ.-ს სიკვდილის მიზეზია გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა, განვითარებული კარდიომიოციტების მწვავე იშემიური დაზიანების შედეგად. გვამზე ნანახი იქნა სიცოცხლის დროინდელი სამედიცნო მანიპულაციის კვალი: რეანიმაციული ღონისძიებებისას განვითარებული დეფიბრილაციის კვლები გულმკერდის მიდამოში ნაჭდევების სახით და მარცხნივ მე-3 და მე-4 ნეკნის, ხოლო მარჯვნივ მე-6, მე-7 და მე-8 ნეკნის მოტეხილობა (რეანიმაციული ღონისძიებების წარმოებისას განვითარებული).

ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულია შემდეგი სასამართლო სამედიცინო დიაგნოზი: კორონაროათეროსკლეროზი, კარდიოსკლეროზი, მიოფიბროზი, მიოკარდიუმის პოსტინფარქტული ნაწიბურები, კარდიომიოციტების მწვავე იშემიური დაზიანება, აორტის ათეროსკლეროზი, კეროვანი სისხლჩაქცევები პარააორტულ რბილ ქსოვილებში, კეროვანი ემფიზემა, კეროვანი პნევმოსკლეროზი, არტერიოსკლეროზული ნეფროსკლეროზი, ქრონიკული ინტერსტიციული ნეფრიტი, თირკმლის ცისტები, სისხლჩაქცევები ნაოპერაციები მიდამოს რბილ ქსოვილებში, ოპერაციული მასალა - ლიპომა, ზურგის მიდამოში არსებული კანქვეშა წარმონაქმნების ლიპომების ამოკვეთის შემდგომი მდგომარეობა.

აღსანიშნავია, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, მსჯავრდებულს ოპერაციულ ჩარევამდე ჩაუტარდა ელექტროკარდიოგრამა და კარდიოლოგის კონსულტაცია, თუმცა პათოლოგიური ცვლილებები არ აღენიშნებოდა. ასევე საყურადღებოა ის ფაქტი, რომ კატასტროფის ბრიგადა მსჯავრდებულთან მივიდა კრუნჩხვითი მოვლენებისა და გულის გაჩერებიდან საათნახევრის შემდეგ.

დ.ა.

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, 2014 წლის 15 სექტემბერს, დაახლოებით 18:05 საათზე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N17 დაწესებულების ოჯახის ექიმს სამედიცინო დახმარებისათვის მიმართა მსჯავრდებულმა დ.ა.-მ მსჯავრდებული უჩიოდა გულმკერდის არეში კუნთების ტკივილს, რომელიც მისი გადმოცემით, ცივი აბაზანის მიღების შემდეგ დაეწყო. პაციენტს ჩაუტარდა ოჯახის ექიმის კონსულტაცია: პულსი 72, რითმული, ნორმალური ავსების და დაჭიმულობის, არტერიული სისხლის წნევა 140/100 მმ. პალპაციით აღენიშნებოდა ტკივილი გულმკერდის კუნთების არეში. პაციენტი ანამნეზში გულ-სისხლძარღვთა რაიმე პათოლოგიაზე არ მიუთითებდა. ოჯახის ექიმთან კონსულტაციის შემდეგ პაციენტი გადაიყვანეს დაწესებულების სამედიცინო ნაწილში წინასწარი დიაგნოზით - გულმკერდის მიოზიტი. სამედიცინო ნაწილში დაუყოვნებლივ გაუკეთდა დიკლაკი, ნოზიტი. დაახლოებით 10 წუთის განმავლობაში, პაციენტის გადმოცემით, მდგომარეობა გაუმჯობესდა, ოთახიდან გავიდა სამედიცნო ნაწილის ეზოში, ესაუბრებოდა სხვა მსჯავრდებულებს, მოულოდნელად დაკარგა გონება დაეცა ძირს. წნევა და პულსი არ ესინჯებოდა, გამოიხატა ტუჩების ციანოზი, სუნთქვა გახდა ზერელე. დაუყოვნებლივ დაიწყო რეანიმაციული ღონისძიებები, კერძოდ, გულის არაპირდაპირი მასაჟი და ხელოვნური სუნთქვა ამბუს აპარატით, პარალელურ რეჟიმში დაუყოვნებლივ გამოიძახეს როგორც რუსთავის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა, ასევე ბრიგადა კატასტროფის ცენტრიდან. მიუხედავად ჩატარებული რეანიმაციული ღონისძიებებისა, დაახლოებით 19:00 საათზე დაფიქსირდა ბიოლოგიური სიკვდილი, სავარაუდო მიზეზი: გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა, მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი.

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს N004973114 დასკვნის თანახმად, დ.ა.-ს სიკვდილის მიზეზია მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი, განვითარებული გულის ქრონიკული იშემიური დაავადების გამწვავების შედეგად.

ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულია შემდეგი სასამართლო სამედიცინო დიაგნოზი: გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა, გულის ქრონიკული იშემიური დაავადება, კორონაროათეროარტერიოლოსკლეროზი თრომბოზით, მიოკარდიუმის ინფარქტი რეპარაციის დასრულების ფაზაში, მიოკარდიუმის ახალი ინფარქტი, თავის ტვინის რბილი

გარსების სისხლძარღვების ათეროარტერიოლოსკლეროზი, თავის ტვინის რბილი გარსების შეშუპება, ფილტვების შეშუპება, მწვავე ბრონქიტი, ფილტვის ენფიზემა, ჰეპატიტი ანთებითი ინფილტრატებით, შემაერთებელი ქსოვილის პროლიფერაციით და ცრუ წილების ჩამოყალიბებით, თირკმლის სისხლძარღვების ათეროარტერიოლოსკლეროზი.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტიზის დასკვნის თანახმად მსჯავრდებულს ადრე გადატანილი ჰქონდა მიოკარდიუმის ინფარქტი, მსჯავრდებულის გულ-სისხლძარღვთა სისტემის გამოკვლევის ფაქტი არ დასტურდება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციით. ამასთან, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ N17 დაწესებულების ექიმმა დასვა წინასწარი დიაგნოზი - გულის მიოზიტი, რომელიც საბოლოო ჯამში არასწორი აღმოჩნდა. გაუგებარია, მსჯავრდებულის ჩივილების გათვალისწინებით, რატომ გამორიცხა ექიმმა კარდიოლოგიური პათოლოგიის არსებობა.

ვ.ნ.

ექსპერტიზაზე წარდგენილი სამედიცინო დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ მსჯავრდებულს სხვადასხვა დროს დასმული ჰქონდა შემდეგი დიაგნოზი: ჰემოროიდული დაავადება IIIბ სტადია; ქრონიკული B და C ჰეპატიტი, კისრის უკანა ზედაპირის ლიპოტომა; საზარდულის რეციდიული თიაქარი; მარცხენა საზარდულის მარტივი თიაქარი; არტერიული ჰიპერტენზია I ხარისხი. ჩაუტარდა ოპერაციული მკურნალობა. 2014 წლის 3 ნოემბერს პაციენტმა გამოაცხადა შიმშილობა. 4 ნოემბერს ჩაუტარდა ექიმის კონსულტაცია, პულსი - რითმული, არტერიული წნევა - 140/90, სამედიცინო ჩანაწერის თანახმად, პაციენტი ჩივილებს არ წარმოადგენდა. 5 ნოემბერს ექიმმა პატიმარი გარდაცვლილი იპოვა. სამედიცინო დოკუმენტაციაში სავარაუდო დიაგნოზად მითითებულია თრომბოემბოლია.

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს N006037114 დასკვნის თანახმად, ვ.ნ.-ს სიკვდილის მიზეზია გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა განვითარებული გულის კუნთის უჯრედების (კარდიომიოციტების) მწვავე იშემიური დაზიანების შედეგად.

ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულია შემდეგი სასამართლო სამედიცინო დიაგნოზი: მიოკარდიუმის მწვავე იშემიური დაზიანება, კორონაროათეროსკლეროზი, კარდიოსკლეროზი, მიოკარდიუმის ფიბროზი, აორტის და ცერებრული სისხლძარღვების ათეროსკლეროზი; ფილტვის მილიარული ტუბერკულოზი, მარჯვენა და მარცხენა ფილტვის ზედა წილების პლევრალური ფურცლების შეხორცებითი უბნები, ალვეოლების ემფიზემა, პლევრის ფიბროზი; ჰეპატომეგალია, ქრონიკული პერსისტენტული ჰეპატიტი, სტეატოზი,

სანაღვლე გზების ადენომა; თირკმლის პაპილარული კარცინომა, ორივე თირკმლის პოლიცისტოზი, არტერიო და არტერიოლოსკლეროზული ნეფროსკლეროზი; კეროვანი ქრონიკული არაქნოიდიტი თავის ტვინის რბილი გარსების ფიბროზით; ჩირქოვან-ეროზიული უბნები სწორი ნაწლავის ლორწოვანზე; ნაწიბური უკანა ტანის მიდამოში, სხეულზე მრავლობითი ნაწიბურები; შუბლის მიდამოში ცენტრალურად სიკვდილის შემდგომი პერგამენტისებური უბანი; მარჯვენა ლოყის მიდამოში, პირის კუთხესთან ნაჭდევი; ზედა ტუჩზე მარჯვნივ წერტილოვანი ნაჭდევი; მარჯვენა ლოყის მიდამოში, ცხვირ-ტუჩის ნაოჭთან სისხლნაჟღენთი.

აღსანიშნავია, რომ ჩატარებული ექსპერტიზის შედეგების თანახმად, გარდაცვლილ მსჯავრდებულს დამატებით დაუდგინდა ფილტვის მილიარული ტუბერკულოზი, სანაღვლე გზების ადენომა, თირკმლის პაპილარული კარცინომა და სხვა დაავადებები. შესაბამისად, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ მსჯავრდებულს ჰქონდა ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა, თუმცა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ამ დაავადებების მიმართ კომპლექსური გამოკვლევების და მკურნალობის ფაქტი არ დასტურდება.

ე.ქ.

2014 წლის 6 ნოემბერს სასჯელაღსრულების N18 დაწესებულებაში გარდაიცვალა მსჯავრდებული ე.ქ. ექსპერტიზაზე წარდგენილი სამედიცინო დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ 2014 წლის 3 ნოემბერს მსჯავრდებული ე.ქ. მოათავსეს სასჯელაღსრულების N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში. შემოსვლისას პაციენტი უჩიოდა ტკივილებს მარჯვენა ფერდქვეშა არეში, ნაღვლის ბუშტის საპროექციოდ. პაციენტის განმარტებით, აღნიშნული ჩივილები ჰქონდა 10 წლის განმავლობაში. მისივე განცხადებით, 2011 წელს გადაიტანა მიოკარდიუმის ინფარქტი. ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში პაციენტს ჩაუტარდა ელექტროკარდიოგრაფიული კვლევა, გულმკერდის რენტგენოსკოპია, მუცლის ღრუს ექოსკოპია, ეზოფაგოგასტროდუოდენოსკოპია, სისხლის ბიოქიმიური კვლევა, სისხლის ანალიზი, ჩაუტარდა კარდიოლოგის კონსულტაცია. დაესვა წინასწარი დიაგნოზი: ქრონიკული კალკულოზური ქოლეცისტიტი, პოსტოპერაციული ვენტრალური თიაქარი, მარჯვენამხრივი ნეფრექტომიის და კუჭის რეზექციის შემდგომი პერიოდი, გადატანილი მიოკარდიუმის ინფარქტი, მე-2 ხარისხის არტერიული ჰიპერტენზია.

პაციენტი მოთავსდა ქირურგიულ განყოფილებაში გეგმიური წესით ოპერაციული მკურნალობისთვის. ენდოტრაქეალური ნარკოზის პირობებში პაციენტს ჩაუტარდა ოპერაცია, ზედა-შუა ლაპარატომია, სინექიოლიზი, ქოლეცისტექტომია, მუცლის ღრუს სანაცია-დრენირება. ოპერაციის შემდგომ გადაიყვანეს ინტენსიური თერაპიის პალატაში. ოპერაციის დასრულებიდან დაახლოებით საათნახევრის შემდეგ დრენაჟიდან დაიწყო

სისხლდენა. ნაზოგასტრალური ზონიდან აღინიშნა ნაღვლოვანი გამონადენი. ექიმების დასკვნით, სახეზე იყო ინტრააბდომინალური სისხლდენის ნიშნები. სასწრაფოდ განხორციელდა ოპერაციული ჩარევა, რელაპარატომია. რევიზიით დადგინდა, რომ ნაღვლის ბუშტის სადინარი და არტერია არ არის მომძვრალი, სისხლდენა აღინიშნებოდა სარეცელის მიდამოში. პაციენტს ჩაუტარდა საჭირო მანიპულაციები და ჭრილობა გაიკერა. სამედიცინო ჩანაწერების თანახმად, დაახლოებით ერთ საათში პაციენტის მდგომარეობა უეცრად დამძიმდა. დაფიქსირდა გულის უეცარი გაჩერება. რეანიმაციულმა ღონისძიებებმა შედეგი არ გამოიღო. 21:40 საათზე დაფიქსირდა ბიოლოგიური სიკვდილი.

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის N006078514 დასკვნის თანახმად, ე.ქ.-ს სიკვდილის უშუალო მიზეზია გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა, განვითარებული კარდიომიოციტების მწვავე იშემიური დაზიანების შედეგად.

ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულია შემდეგი სასამართლო სამედიცინო დიაგნოზი: თავის ტვინის რბილი გარსების სისხლძარღვების ათეროარტერიოლოსკლეროზი, თავის ტვინის და რბილი გარსების შეშუპება, კორონაროათეროსკლეროზი, მიოკარდიუმის პოსტინფარქტული ნაწიბურები, კარდიომიოციტების მწვავე იშემიური დაზიანება, მიოფიბროზი, აორტის ათეროსკლეროზი; ფილტვების ემფიზემა, სანაღვლე გზების ანთება; ღვიძლის კაფსულის გარეთ და მის ქვეშ სისხლის ჩაქცევა, თირკმელების სისხლძარღვების ათეროარტერიოლოსკლეროზი, ქოლეცისტექტომიის შემდგომი მდგომარეობა.

მიუხედავად იმისა, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის წერილის თანახმად, მსჯავრდებულს 2011 წელს გადატანილი ჰქონდა მიოკარდიუმის ინფარქტი, ამ წერილით არ დასტურდება მსჯავრდებულის გულ-სისხლძარღვთა სისტემის გამოკვლევის ფაქტი (ოპერაციული მკურნალობის წინ ჩატარებული ელექტროკარდიოგრამის გარდა).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აშკარაა დროული და ადეკვატური სამედიცინო მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული პრობლემები, რაც დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვს. მიგვაჩნია, რომ აუცილებელია, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემის დაავადებათა სკრინინგს და ადრეულ გამოვლენას, რათა შემდგომში შესაძლებელი იყოს დროული და ადეკვატური სამედიცინო მომსახურების გაწევა. ამასთან, მნიშვნელოვანია, მოხდეს პატიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობის კომპლექსური შემოწმება წელიწადში ერთხელ მაინც.[156]

[156] პატიმრობის კოდექსის 120-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ბრალდებულის/მსჯავრდებულის ჯანმრთელობა მოწმდება წელიწადში ერთხელ მაინც. დაავადებულ ბრალდებულს/ მსჯავრდებულს უტარდება გადაუდებელი მკურნალობა.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- **უზრუნველყოფილ იქნას პატიმართა კომპლექსური გამოკვლევა, სულ მცირე, წელიწადში ერთხელ. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემის დაავადებათა სკრინინგს და ადრეულ გამოვლენას**

ჰუმანიტარული თანადგომა - განსაკუთრებული კატეგორიები

არასრულწლოვანი პატიმრები

მსჯავრდებული, რომელსაც დაწესებულებაში მოთავსების მომენტისათვის არ შესრულებია 18 წელი, თავსდება არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში[157]. არასრულწლოვანი ბრალდებულები/მსჯავრდებულები ასევე თავსებიდან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N2 და N8 დაწესებულებებში. საანგარიშო პერიოდის ბოლოს არასრულწლოვანთა N11 სარეაბილიტაციო დაწესებულებაში განთავსებული იყო 48 მსჯავრდებული.

გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირების შესახებ (პეკინის წესები), 21–ე მუხლით განსაზღვრავს საპატიმრო დაწესებულებაში არასრულწლოვანთა მიღება–განთავსების წესებს, ხოლო ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციით[158] არასრულწლოვნის დაწესებულებაში განთავსებისას, მისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს მოთხოვნების შესაბამისი მოვლა, რომელიც შეესაბამება არასრულწლოვნის ფიზიკური და ფსიქიკური ხელშეუხებლობისა და კეთილდღეობის დაცვას. პატიმართა მოპყრობის მინიმალური წესების თანახმად, არასრულწლოვანი პატიმრები უნდა განთავსდნენ სრულწლოვანი პატიმრებისგან განცალკევებით[159]. ამავე წესების შესაბამისად, ბრალდებულები უნდა მოთავსდნენ მსჯავრდებულებისგან განცალკევებით.[160]

---

[157] პატიმრობის კოდექსი, მუხლი 68, პირველი ნაწილი.

[158] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2008) 11 „წევრი სახელმწიფოებისადმი სანქციებს ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების ევროპის წესების შესახებ“, მუხლი 54; იხილეთ ინგლისურ ენაზე: https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=1367113&Site=CM [ბოლოს ნანახია 24.03.2015].

[159] გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები მე–8 მუხლი „დ“ ქვეპუნქტი.

[160] გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები მე–8 მუხლი „ბ“ ქვეპუნქტი.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N2 და N8 დაწესებულებებისგან განსხვავებით N11 დაწესებულებაში განთავსებული არიან მხოლოდ არასრულწლოვანი მსჯავრდებულები. პრობლემად რჩება სასჯელაღსრულების N2 და N8 დაწესებულებებში არასრულწლოვანი და სრულწლოვანი მსჯავრდებულების/ბრალდებულების განცალკევებით მოთავსების საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ არასრულწლოვანი პატიმრები იზოლირებულ საცხოვრებელ კორპუსში არიან განთავსებულები, მათ მაინც აქვთ სრულწლოვან პატიმრებთან კომუნიკაციის საშუალება. მაგალითად, როდესაც ხდება არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის გაყვანა ადვოკატთან ან კანონიერ წარმომადგენელთან შესახვედრად, N2 და N8 დაწესებულებებში მათ შესაძლებლობა აქვთ, გადაყვანის პროცესში შეხვდნენ სრულწლოვან პატიმრებს. გარდა აღნიშნულისა, სასამართლო პროცესზე სრულწლოვანი და არასრულწლოვანი მსჯავრდებულების/ბრალდებულების ბადრაგირება ხდება ერთი მანქანით, რაც მათ აძლევთ ერთმანეთთან კომუნიკაციის შესაძლებლობას.

პატიმრობის კოდექსის 49-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მსჯავრდებულს დაუყოვნებლივ, წერილობითი ფორმით, მისთვის გასაგებ ენაზე უნდა გააცნონ უფლებები და მის მიმართ მოსამსახურეთა მოპყრობის, ინფორმაციის მიღებისა და საჩივრის შეტანის წესები, დისციპლინური და სხვა სახის მოთხოვნები.

N11 დაწესებულებაში უფლებების გაცნობა ძირითადად ხდება სოციალური მუშაკის ან განყოფილების უფროსის მიერ. მიუხედავად ამისა, ბავშვებს არ აქვთ სრული ინფორმაცია მათი უფლებების შესახებ, რაც მიანიშნებს, რომ არასრულწლოვანს აღნიშნული ინფორმაცია არ მიეწოდება სრულად და მისთვის გასაგებ ენაზე. მაგალითად, მსჯავრდებულების უმეტესობა არ ფლობს საჭირო ინფორმაციას გასაჩივრების პროცედურების შესახებ.

დისციპლინური სახდელების დაკისრების შესახებ განკარგულებების შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ 2014 წლის მანძილზე დისციპლინური სახდელი გამოყენებული იყო ხუთჯერ, ამათგან: 4 შემთხვევაში არასრულწლოვნებს გამოეცხადათ საყვედური, ხოლო 1 შემთხვევაში სატელეფონო საუბრის შეზღუდვა 1 თვის ვადით (2 შემთხვევაში, სხვისი შეურაცხყოფის გამო, 1 შემთხვევაში აკრძალულ ტერიტორიაზე შესვლა და დაუმორჩილებლობა, 1 შემთხვევაში პედაგოგისთვის გაკვეთილის ჩატარებაში ხელშეშლა, 1 შემთხვევაში კი არასრულწლოვანის მიერ ვაშლის სროლა საგუშაგო ანძის მიმართულებით). აღსანიშნავია, რომ 2014 წლის განმავლობაში დისციპლინური სახდელის შეფარდება არ გასაჩივრებულა.

არასრულწლოვანმა უნდა დაიცვას პირადი ჰიგიენა, ხოლო დაწესებულებამ კი უნდა უზრუნველყოს იგი აუცილებელი საშუალებებით.[161] გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილ

[161] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2008) 11 „ წევრი სახელმწიფოებისადმი სანქციებს ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების ევროპის წესების შესახებ“, მუხლი 65. 4; იხილეთ ინგლისურ ენაზე:

არასრულწლოვანთა დასაცავად განსაზღვრავს დაწესებულების ვალდებულებას უზრუნველყოს თითოეული არასრულწლოვანი ამინდის შესაბამისი და ჯანმრთელობისთვის საჭირო პირადი ტანსაცმლით, ხოლო ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციით[162] კი „არასრულწლოვნებს, რომელთაც არ გააჩნიათ საკმარისი და შესაფერისი ტანსაცმელი, ასეთი ტანსაცმლით დაწესებულება მოამარაგებს“.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულების ადმინისტრაცია პირადი ჰიგიენის ნივთებს არიგებს კვირაში ერთხელ. აღნიშნული ნივთები ბავშვებს მიეწოდებათ არა ინდივიდუალურად, არამედ საკნის მიხედვით, რაც შეუძლებელს ხდის ბავშვის მიერ ჰიგიენის დაცვას. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც თითო საკანში სამი, ოთხი ან მეტი არასრულწლოვანია. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მოზარდებს ხშირ შემთხვევაში არ აქვთ ისეთი ჰიგიენური საშუალება, როგორიც კბილის ჯაგრისია. გარდა ამისა, სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს მსჯავრდებულების თეთრეულით და ტანსაცმლით უზრუნველყოფის საკითხი.

მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს პატიმრებისათვის აუცილებელი ჰიგიენური და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებით მომარაგება. მაგალითად, ერთ-ერთ მსჯავრდებულს დაწესებულებაში შესვლის დროს მიეწოდა მხოლოდ ბალიში და გადასაფარებელი, თეთრეული კი მისცეს სხვა ბავშვებმა. მსჯავრდებულს არ აქვს გამოსაცვლელი თეთრეული. იმის გამო, რომ მსჯავრდებულის ოჯახს არ აქვს ფინანსური შესაძლებლობა, ვერ უზრუნველყოფენ საჭირო ნივთების მიწოდებას.

საანგარიშო პერიოდში N11 დაწესებულებიდან სამკურნალო დაწესებულებებში გადაიყვანეს 30 მსჯავრდებული, რომელთაგან 6 გაყვანილი იქნა სასჯელაღსრულების N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში, 24 პატიმარი კი სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოებში. N11 დაწესებულების სამედიცინო ნაწილი ამბულატორიული ტიპისაა, რომელშიც განთავსებულია მთავარი ექიმისა და სტომატოლოგის კაბინეტები, ასევე სამანიპულაციო და საორდინატორო ოთახი, წამლების სამარაგო და მედიკამენტების სათავსო.

2014 წლის განმავლობაში დაწესებულებაში განთავსებული არც ერთი მსჯავრდებული არ ყოფილა ჩართული ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მკურნალობის კურსში. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში 9 პატიმარი იყო ჩართული სუიციდის პრევენციის პროგრამაში. თუმცა, დადებითად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ 2014 წლის მანძილზე N11 დაწესებულებაში სუიციდის მცდელობას ადგილი არ ჰქონია.

---

https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=1367113&Site=CM [ბოლოს ნანახია 24.03.2015].

[162] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2008) 11 „წევრი სახელმწიფოებისადმი სანქციებს ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების ევროპის წესების შესახებ“, მუხლი 66.2; იხილეთ ინგლისურ ენაზე:
https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=1367113&Site=CM [ბოლოს ნანახია 24.03.2015].

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ტიპის ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები ერთ–ერთი წამყვანია მოზარდებში და საჭიროებენ როგორც ფსიქიატრის, ასევე ფსიქოლოგის სისტემატურ ზედამხედველობას, დაწესებულებას ჰყავს ერთი ფსიქოლოგი, რაც დაწესებულების სპეციფიკისა და საჭიროებების გათვალისწინებით, არასაკმარისია.

აღსანიშნავია, რომ 2014 წლის განმავლობაში დაწესებულება პირადი განცხადების საფუძველზე ოთხმა ფსიქოლოგმა და ერთმა სოციალურმა მუშაკმა დატოვა. შესაბამისად, ფსიქოლოგიური სერვისის ეფექტური ფუნქციონირების საკითხი დიდი რისკის ქვეშაა, რადგან ერთ ფსიქოლოგს გაუჭირდება მოზარდები უზრუნველყოს ყველა სარეაბილიტაციო პროგრამით. ახალი კადრების აყვანის შემთხვევაში საჭირო იქნება მათი აღჭურვა პენიტენციური სისტემაში მუშაობისთვის საჭირო ცოდნითა და უნარით, რაც საკმაო დროსა და ხარჯებთან არის დაკავშირებული.

ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციით[163] თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნებისთვის გარანტირებული უნდა იყოს სხვადასხვა აქტივობა და ღონისძიება ინდივიდუალური გეგმის მიხედვით, რომელიც მიზნად ისახავს ნაკლებად შემზღუდავი რეჟიმის გზით გათავისუფლებისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციისათვის მომზადებას. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში სარეაბილიტაციო პროგრამები ხორციელდება როგორც დაწესებულების სოციალური სამსახურის, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. უნდა ითქვას, რომ საანგარიშო პერიოდში პატიმრების უმეტესობა ჩართული იყო ხეზე კვეთის, ფეხბურთისა და რაგბის წრეში. გარდა აღნიშნულისა, არასრულწლოვანი პატიმრები ჩართულები იყვნენ სხვა სახელობო კურსებშიც.[164]

ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2008 წლის რეკომენდაციით[165] განსაზღვრულია სარეჟიმო საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, კერძოდ, სკოლაში სწავლა, პროფესიული მომზადება, შრომითი და დასაქმების თერაპია, სამოქალაქო განათლება, სოციალური ჩვევების დანერგვა და ინტელექტუალური მომზადება, აგრესიის მართვა, დამოკიდებულებების მკურნალობას, ინდივიდუალური ან ჯგუფური თერაპია, ფიზკულტურა და სპორტი.

---

[163] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2008)11 „წევრი სახელმწიფოებისადმი სანქციებს ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების ევროპის წესების შესახებ“, მუხლი79.1; 79.2; იხილეთ ინგლისურ ენაზე: https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=1367113&Site=CM [ბოლოს ნანახია 24.03.2015].

[164] დაწვრილებით ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ სარეაბილიტაციო პროგრამებისთვის მიძღვნილ თავში.

[165] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2008)11 „წევრი სახელმწიფოებისადმი სანქციებს ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების ევროპის წესების შესახებ“, მუხლი 77; იხილეთ ინგლისურ ენაზე: https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=1367113&Site=CM [ბოლოს ნანახია 24.03.2015].

2014 წლის განმავლობაში არასრულწლოვანმა პატიმრებმა არაერთ გასართობ და შემეცნებით აქტივობაში მიიღეს მონაწილეობა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არიან პატიმრები, რომელებიც არ იღებენ მონაწილეობას არც ერთ აქტივობაში. მაგალითად, ერთ-ერთი მსჯავრდებულის განმარტებით, მას არ გამოუთქვამს სურვილი რაიმე სახის აქტივობაში მონაწილეობის მისაღებად, თუმცა, არც სოციალურ სამსახურს შეუთავაზებია მისთვის რომელიმე სარეაბილიტაციო ან სხვა სახის პროგრამაში ჩართვა.

პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები განსაზღვრავს, რომ არასრულწლოვანთა განათლება სავალდებულო უნდა იყოს და ციხის მართვის ორგანოებმა ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ. აღნიშნული წესის მიხედვით, „პატიმრების განათლება შეძლებისდაგვარად დაკავშირებული უნდა იყოს ქვეყანაში არსებულ განათლების სისტემასთან იმ მიზნით, რომ მომავალში ამ პატიმრებმა დაუბრკოლებლად შეძლონ სწავლის გაგრძელება.“[166]

საქართველოს კონსტიტუციის 35–ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება“. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მე–7 მუხლის მე–4 პუნქტის მიხედვით, „სახელმწიფო უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მიღებას თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში პატიმრობის კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად. პატიმრობის კოდექსის მე–14 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად კი, ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, მიიღოს ზოგადი და პროფესიული განათლება“.

N11 დაწესებულების ტერიტორიაზე ფუნქციონირებს სკოლა, რომელიც თბილისის ერთ-ერთი საჯარო სკოლასთან არის მიერთებული. სკოლაში ხორციელდება არასრულწლოვანთა ზოგადი განათლების უზრუნველყოფის ქვეპროგრამა. აღნიშნული უზრუნველყოფს არასრულწლოვნების მიერ როგორც ექსტერნის ფორმით პროგრამის დაძლევის შესაძლებლობას და შემდეგ საფეხურზე გადასვლას, ასევე საატესტატო გამოცდების ჩაბარების შემდეგ ატესტატის მიღებას. ცალკე შენობაშია განთავსებული სკოლა, სადაც ასევე არის ბიბლიოთეკა და სოციალური მუშაკების სამუშაო ოთახები. სწავლება მიმდინარეობს 12 კლასის ჩათვლით. გაკვეთილების მაქსიმალური ხანგრძლივობა არის 30 წუთი და მაქსიმუმ 5 გაკვეთილი უტარდებათ დღეში, 5 წუთიანი შესვენებით. აღნიშნული განსხვავება გამართლებულია იმით, რომ არ მოხდეს მსჯავრდებულთა გადატვირთა, გადაღლა სწავლების პროცესით. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლაში სიარული ნებაყოფლობითია, დაწესებულება ცდილობს დააწესოს გარკვეული შეღავათები, რათა მათ გაუჩნდეთ სკოლაში სიარულის სურვილი. მასწავლებლები მაქსიმალურად ორიენტირებულები არიან გაკვეთილებზე ძირითადი დავალებების შესრულებაზე, ხოლო დამოუკიდებლად კლასგარეშე არ ეძლევათ სავარჯიშოები. საანგარიშო პერიოდის ბოლოს სკოლაში

[166] პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, წესი 77.

ოფიციალურად ირიცხებოდა 27 მოსწავლე. N11 დაწესებულებისგან განსხვავებით, N8 და N2 დაწესებულებებში სასწავლო პროგრამა არ არის მიერთებული არცერთ საჯარო სკოლასთან, შესაბამისად, ზოგადი განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი არ გაიცემა. ზემოაღნიშნული სპეციალური სასწავლო პროგრამის მიზანია განათლების უწყვეტობის უზრუნველყოფა, სანამ არასრულწლოვანი ბრალდებულის სტატუსით იმყოფება დაწესებულებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, უმეტესად პატიმრები დიდ ინტერესს არ იჩენენ სასწავლო პროცესის მიმართ და ხშირად არ ესწრებიან გაკვეთილებს.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ არასრულწლოვან პატიმრებს ხშირად ექმნებათ პრობლემა სკოლაში ჩარიცხვასთან დაკავშირებით, რადგან აღნიშნული მთელ რიგ პროცედურებთან არის დაკავშირებული და აუცილებელია მშობლის აქტიური მონაწილეობა. ხშირ შემთხვევაში მშობლები ვერ ახერხებენ თბილისში ჩასვლას სკოლაში ჩარიცხვასთან დაკავშირებით განცხადებაზე ხელმოწერის მიზნით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეულ შემთხვევებში ის სკოლები, სადაც დაწესებულებაში მოხვედრამდე სწავლობდნენ მსჯავრდებულები, აჭიანურებენ ამ პროცესს და არ თანამშრომლობენ სკოლასთან, რომელთანაც მიერთებულია N11 დაწესებულება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები, თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად, ხაზს უსვამს არასრულწლოვანთა გარე სამყაროსთან კონტაქტის მნიშვნელობას და განმარტავს: ,,ყველა საშუალებით უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ის, რომ არასრულწლოვანი სათანადო კონტაქტში იყოს გარესამყაროსთან, რაც სამართლიანი და ჰუმანური მოპყრობის არსებით ნაწილს შეადგენს და მნიშვნელოვანია არასრულწლოვანის საზოგადოებისაკენ მოსაბრუნებლად“.[167] არასრულწლოვანთა N11 სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მსჯავრდებულებს კანონმდებლობის შესაბამისად აქვთ ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნებით, ვიდეოპაემნებითა და ტელეფონით სარგებლობის უფლება. დაწესებულებაში მდებარეობს ხანგრძლივი პაემნებისთვის განკუთვნილი ორი კეთილმოწყობილი ოთახი. მსჯავრდებულების მიერ ხანგრძლივი და ვიდეოპაემნით სარგებლობისას დაბრკოლებას ქმნის აღნიშნული პაემნისთვის დაწესებული საფასური.[168] საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაწესებულებაში განხორციელდა 19 ხანგრძლივი და 3 ვიდეოპაემანი.

N11 დაწესებულებაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მოზარდებს შორის ძალადობა. დაწესებულებაში განთავსებულ მოზარდებს შორის არიან ლიდერები, რომლებიც ხელმძღვანელობენ დაწესებულებაში არსებულ სიტუაციას. მათი მხრიდან ადგილი აქვს სხვა

---

[167] გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირების შესახებ (პეკინის წესები) მუხლი 59.

[168] „მსჯავრდებულთა მიერ ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის წესის შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 22 ივლისის N132 ბრძანების მე-4 მუხლის პირველი ნაწილი.

პატიმრების ბარათის გამოყენებას, ასევე დამამცირებელი მოპყრობისა და ფიზიკური ძალადობის ფაქტებს. ასევე გამოიკვეთა, რომ, მაგალითად, სკოლას, სასადილოსა და ბიბლიოთეკას ჰყავს სხვადასხვა ლიდერი, რომელიც თავის თავზე იღებს არასრულწლოვნების დასჯას მათთვის მიუღებელი საქციელის გამო. დასჯის მიზეზი შეიძლება იყოს სასწავლო პროცესზე დაგვიანება, სადილობის დროს მაგიდაზე საჭმლის ნამცეცების დატოვება და ა.შ.

მაშინ, როდესაც ზოგიერთ მსჯავრდებულს თეთრეული და ჰიგიენისთვის აუცილებელი ნივთები არ აქვს, დაწესებულებაში არიან პატიმრები, რომლებიც სარგებლობენ პრივილეგიებით. კერძოდ, პრივილიგირებული პატიმრების საკნები მოწყობილია განსაკუთრებულად. მათ აქვთ რამდენიმე ლეიბი, თეთრეული, ასევე ფარდაგები და ისეთი აუცილებელი ნივთები, რაც შეზღუდულად მიეწოდებათ დაწესებულებაში განთავსებულ სხვა პატიმრებს.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში N11 დაწესებულებაში ირიცხებოდა 3 უცხო ქვეყნის მოქალაქე. ეთნიკური უმცირესობის 22 წარმომადგენელი, მათგან 8 აზერბაიჯანელი, 7 სომეხი, 4 იეზიდი, 1 სირიელი ქურთი, 1 ბოშა და 1 ოსი.

უცხო ქვეყნის მოქალაქეებთან დაკავშირებული უფლებებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკონსულო წარმომადგენლობებთან კომუნიკაციის უფლება და რელიგიური მრწამსის განხორციელების შესაძლებლობა.[169]

საანგარიშო პერიოდში დაწესებულებაში 6 მუსლიმი და 3 გრიგორიანელი არასრულწლოვანი იყო განთავსებული. დაწესებულების ტერიტორიაზე არის მართმადიდებლური ტაძარი, სხვა კონფესიის წარმომადგენლებს კი შეუძლიათ მოიწყონ სამლოცველო კუთხე. მარხვის დღეებში დაწესებულების მენიუში გათვალისწინებულია სამარხვო საკვები. სხვა კონფესიის წარმომადგენლებს რაც შეეხება, არსებობს მხოლოდ ერთი აკრძალვა, კერძოდ, მენიუდან ამოღებულია ღორის ხორცი.

რეკომენდაცია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- **უზრუნველყოფილ იქნას ყველა არასრულწლოვანი პატიმარი სეზონის შესაბამისი ტანსაცმლით**
- **უზრუნველყოფილ იქნას ყველა არასრულწლოვანი ჰიგიენისთვის აუცილებელი ნივთებით**
- **მსჯავრდებულებისთვის მათი უფლება-მოვალეობების განმარტება მოხდეს მათთვის გასაგებ ენაზე**

[169] პატიმართან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, წესი 38.

- **გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები, რათა უფრო მეტი არასრულწლოვანი პატიმარი იყოს ჩართული სპორტულ აქტივობებში**
- **დაწესებულებაში უზრუნველყოფილ იქნას ფსიქოლოგების საკმარისი რაოდენობა**

ქალი პატიმრები

ქალი პატიმრები მოთავსებულები არიან სასჯელაღსრულების N5 დაწესებულებაში. საანგარიშო პერიოდის ბოლოს დაწესებულებაში მოთავსებული იყო 270 პატიმარი. მისასალმებელია ქალი პატიმრების პირობით ვადამდე გათავისუფლების მზარდი პრაქტიკა, რაც შესაბამისობაშია ქალი პატიმრების მიმართ მოპყრობისა და არასაპატიმრო ზომათა შესახებ გაეროს წესების (ბანგკოკის წესები) 63-ე წესთან. 2014 წლის განმავლობაში სასჯელაღსრულების დეპარტამენტს N5 დაწესებულებიდან პირობით ვადამდე 43 მსჯავრდებული ქალი გათავისუფლდა. ასევე აღსანიშნავია, რომ N 5-ე დაწესებულებაში 2014 წლის მანძილზე სხვადასხვა სასწავლო პროგრამა დაინერგა და ტარდებოდა კულტურული ღონისძიებები, რაც დადებითად აისახა პატიმართა მდგომარეობაზე.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფარგლებში გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით განხორციელდა სასჯელაღსრულების N5 დაწესებულების მონიტორინგი. სპეციალურად მომზადებული მეთოდოლოგიის საფუძველზე დაწესებულების შემოწმება სხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო აქტებთან ერთად, ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ გაეროს წესების (ბანგკოკის წესების) მიხედვით ჩატარდა, რათა მაქსიმალურად ყოფილიყო გათვალისწინებული ქალთა სპეციფიური საჭიროებები.

მიუხედავად იმისა, რომ სასჯელაღსრულების N5 დაწესებულებაში ზოგადი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, მონიტორინგის პროცესში რამდენიმე არსებითი ხასიათის პრობლემა გამოვლინდა. განსაკუთრებულ პრობლემას N5 დაწესებულებაში პატიმრების მიღებისას სრული შემოწმების[170] პროცედურა წარმოადგენს, რა დროსაც ხდება პატიმრების სრულად გაშიშვლება, ამასთან, სთხოვენ გააკეთონ ბუქნები, რაც მორალურ ზიანს აყენებს მათ. აღსანიშნავია, რომ ასეთი სახის შემოწმება ტარდება პატიმრის მიერ სასჯელაღსრულების დაწესებულების დატოვებისასაც და დაბრუნების ყველა შემთხვევაშიც. არის შემთხვევები,

[170] საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 30 მაისის ბრძანება N97 „პატიმრობის, თავისუფლების აღკვეთის, შერეული ტიპის ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა დაწესებულებების, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებისა და ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების დებულებების დამტკიცების შესახებ“ მუხ. 32, ნაწ. 9.

როდესაც აღნიშნული პროცედურის გამო პატიმრები უარს აცხადებენ დაწესებულების გარეთ სამედიცინო მომსახურების მიღებასა და სასამართლო პროცესზე გაყვანაზე.[171]

დადებითად უნდა აღინიშნოს N5 დაწესებულებაში დისციპლინური სახდელის სახით სამარტოო საკანში მოთავსების შემცირებული პრაქტიკა. 2014 წლის იანვრიდან 2015 წლის თებერვლის ჩათვლით დისციპლინური სახდელი 55 პატიმარს დაეკისრა, 3 შემთხვევაში პატიმარი სამარტოო საკანში მოთავსდა, 8 შემთხვევაში დახურული ტიპის სადგომში გადაიყვანეს, 5 შემთხვევაში - გარე სამყაროსთან კონტაქტი შეეზღუდა (საოჯახო პაემნის შეზღუდვა - 2, სატელეფონო საუბრის შეზღუდვა -3). სხვა შემთხვევებში კი გამოყენებული იყო საყვედური და გაფრთხილება.

სასჯელაღსრულების N5 დაწესებულებაში 2014 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით შიმშილობის 75 ფაქტი დაფიქსირდა. პროტესტის საფუძველს წარმოადგენდა პრეტენზიები სამედიცინო მომსახურებასთან, სისხლის სამართლის საქმის გადახედვასა და პირობით ვადამდე გათავისუფლების სამართლიანობასთან დაკავშირებით.

N5 დაწესებულებაში, 2014 წლის განმავლობაში სუიციდის 3 მცდელობა დაფიქსირდა. თვითმკვლელობის ფაქტს ადგილი არ ჰქონია. აღსანიშნავია, რომ N5 დაწესებულებაში 2014 წლის ზაფხულში სუიციდის პრევენციის პროგრამა დაიწყო. ბოლო მონაცემებით აღნიშნულ პროგრამაში ჩართულია 7 მსჯავრდებული ქალი.

საანგარიშო პერიოდში N5 დაწესებულებიდან სხვადასხვა სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანილი იყო 219 პატიმარი, რომელთაგან 37 გაყვანილი იქნა სასჯელაღსრულების სამკურნალო დაწესებულებაში, ხოლო 182 - სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში. N5 დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტში არის საორდინატორო, სამანიპულაციო, ქირურგის, გინეკოლოგის, სტომატოლოგის და ინტენსიური დაკვირვების ოთახები. ამასთან, ადგილზე შესაძლებელია საკვლევი მასალის აღება ტუბერკულოზსა და აივ ინფექცია/შიდსზე გამოკვლევების ჩასატარებლად.

ქალი პატიმრები განსაკუთრებულ კატეგორიას წარმოადგენენ, რომელთაც გააჩნიათ სპეციალური საჭიროებები. მნიშვნელოვანია ამ საჭიროებების მუდმივი შეფასება და სათანადო პროგრამების შემუშავება. პატიმრებს შხაპით სარგებლობა შეუძლიათ 10:00

[171] ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ გაეროს წესების (ბანგკოკის წესები) მე-19 და მე-20 წესების შესაბამისად, ქმედითი ზომები უნდა იქნას მიღებული რათა ჩხრეკის დროს დაცული იყოს პატიმარი ქალის ღირსება და პატივი. ჩხრეკა უნდა ჩატარდეს მხოლოდ ქალი თანამშრომლის მიერ, რომელიც სათანადოდ იქნება მომზადებული ჩხრეკის შესაბამის მეთოდებში და დადგენილი პროცედურების მიხედვით განახორციელებს მას. შემოწმების ალტერნატიულმა მეთოდებმა, როგორიცაა სკანირება, უნდა ჩაანაცვლოს შიშველი ჩხრეკა და სხეულის აგრესიული (ინვაზიური) ჩხრეკა, რადგან თავიდან იქნეს აცილებული მათგან მიღებული საზიანო ფსიქოლოგიური და შესაძლო ფიზიკური გავლენა.

საათიდან 20:00 საათამდე. დაწესებულების საცხოვრებელი საკნები სათანადოდ ვერ თბება, ასევე არ აქვთ ცხელი წყალი საკანში მიუხედავად იმისა, რომ ხშირ შემთხვევაში მსჯავრდებულებს უწევთ ჭურჭლის და ტანსაცმლის რეცხვა, საღამოს კი ინტიმური ჰიგიენის პროცედურების შესრულება, რომელიც სპეციფიკიდან გამომდინარე, აუცილებელია მათთვის. მსჯავრდებულებს მნიშვნელოვანი პრობლემები აქვთ ჰიგიენურ საშუალებებთან დაკავშირებით, კერძოდ, მათ დაწესებულების ადმინისტრაციისგან არ მიეწოდებათ ჰიგიენური საფენები, ამასთან ამანათის სახით შედის მცირე რაოდენობით (10 ცალი), მაღაზიაში არსებული პროდუქტი კი - მსჯავრდებულების განმარტებით არის უხარისხო. ხშირია შემთხვევა, როდესაც პატიმარი იყენებს არაჰიგიენური მასალას, რაც თავის მხრის სერიოზულ საფრთხეს უქმნის მის ჯანმრთელობას. პატიმრებს შეზღუდულად მიეწოდებათ სხვა სახის ჰიგიენური საშუალებებიც.

მონიტორინგის დროს ასევე შემოწმდა დედათა და ბავშვთა მდგომარეობა. N5 დაწესებულების დედათა და ბავშვთა საცხოვრებელ განყოფილებაში არის 12 ოთახი და 1 ბავშვთა საერთო გასართობი ოთახი. დაწესებულებაში ჩატარებული მონიტორინგის დროს სულ 6 დედა და 6 ბავშვი იყო. განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს დედისა და ბავშვის დაშორება, მას შემდეგ რაც ბავშვი 3 წლის ასაკს მიაღწევს[172]. ამჟამად არსებული პროცედურები ძალიან მტკივნეულია როგორც ბავშვისთვის, ასევე დედისთვის. ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, დაინერგოს ისეთი სისტემა, რომელიც გაამარტივებს როგორც დედისათვის, ასევე ბავშვისთვის 3 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ დაწესებულების დატოვების პროცედურას. უმჯობესია განშორება მოხდეს საჭიროებიდან გამომდინარე, შესაბამისი ადაპტირების პროცედურების გავლით, ვიდრე ხისტად, კანონით გათვალისწინებული ასაკის მიღწევის დროს, რადგან ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა იყოს ამოსავალი წერტილი ასეთი ტიპის გადაწყვეტილებების მიღებისას.[173]

ქალ პატიმრებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, რომ განახორციელონ სხვადასხვა ღონისძიება მეურვეობის უზრუნველსაყოფად. ამ შემთხვევაში ბანგკოკის წესები იძლევა პატიმართა დროებითი გათავისუფლების შესაძლებლობასაც გონივრული ვადით. ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების დროს მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ბავშვის საუკეთესო ინტერესები, რომლებიც უნდა დაბალანსდეს სასჯელაღსრულების სისტემისთვის დამახასიათებელი საჯარო ინტერესებით. [174]

აღსანიშნავია, რომ დედათა საცხოვრებელ კორპუსში განთავსებული მსჯავრდებულების განმარტებით, მათთვის გამოყოფილი პროდუქტი არასაკმარისია იმისთვის, რომ

[172] საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი“, მუხ. 72.
[173] ბავშვის უფლებათა კონვენცია მუხ. 3.
[174] წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ (ბანგკოკის წესები), წესი 52 2. 3.

სრულფასოვანი საკვები მოამზადონ როგორც თავისთვის, ისე ბავშვებისათვის. არის შემთხვევები, როდესაც ისინი იღებენ სხვა მსჯავრდებულებისთვის განკუთვნილ საკვებს. სასადილოს თანამშრომლების განმარტებით, დედებს ეკუთვნით პატიმრის ულუფა და ხშირად თავად ამბობენ უარს ამ ულუფის მიღებაზე. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვთა კვების საკითხი მოგვარდეს ქვეყანაში არსებული სტანდარტების შესაბამისად, რადგან სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს ბავშვებზე, რომლებიც მოთავსებულები არიან მის დაქვემდებარებაში მყოფ ინსტიტუციაში.

ქალი პატიმრების კონტაქტი გარესამყაროსთან მაქსიმალურად უნდა იყოს უზრუნველყოფილი. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია, ქალ პატიმრებს მამაკაცი პატიმრების თანაბრად, მიეცეთ ხანგრძლივი პაემნის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა. აღნიშნული საკითხი განხილულია ხანგრძლივი პაემნის საკითხისადმი მიძღვნილ შესაბამის ქვეთავში.

ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ გაეროს წესების (ბანგკოკის წესები) თანახმად, ციხის ადმინისტრაციამ უნდა გააცნობიეროს, რომ სხვადასხვა რელიგიისა და კულტურის წარმომადგენელ პატიმარ ქალებს განსხვავებული საჭიროებები გააჩნიათ[175]. აუცილებელია, რომ ციხის ადმინისტრაციამ განავითაროს ისეთი პროგრამები და სერვისები, რომლებიც შეესაბამებიან მათ მოთხოვნებს. მათი შედგენისას თავად ქალი პატიმრები და შესაბამისი დაინტერესებული ჯგუფები უნდა იყვნენ ჩართულნი.

ამ ტიპის პატიმრების მიმართ ციხის ატმოსფერო უნდა იყოს კომფორტული და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მათ რელიგიასა და მსოფლმხედველობას. ციხე შეიძლება ზოგადად იწვევდეს დისკომფორტს, მაგრამ ამან არ უნდა მოახდინოს რელიგიური ან სხვა საკითხების ხელყოფა და იმაზე მეტად შეზღუდვა, ვიდრე ეს აუცილებელია. ამ დროს ქალი პატიმრები მხოლოდ გენდერულად სპეციფიკური საჭიროებების წინაშე არ დგანან და აუცილებელია ყველა იმ ინდივიდუალური მახასიათებლის მხედველობაში მიღება, რომელიც მათ განსაკუთრებულობას უსვამს ხაზს.

უცხო ქვეყნის მოქალაქეებთან დაკავშირებული უფლებებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკონსულო წარმომადგენლობებთან კომუნიკაციის უფლება და რელიგიური მრწამსის განხორციელების შესაძლებლობა.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N5 დაწესებულებაში განთავსებული ქალი პატიმრებიდან რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელია 68 პატიმარი, მათგან 41 მუსლიმია, 23 გრიგორიანელი, 1 კათოლიკე და 3 იეზიდი.

---

[175] ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ გაეროს წესები (ბანგკოკის წესები), წესი 54.

განსაკუთრებით საყურადღებოა ლბტ პატიმრების მდგომარეობა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. აღსანიშნავია, რომ ლბტ პატიმარი ქალების მდგომარეობა მკვეთრად განსხვავდება გბტ პატიმარი კაცების მდგომარეობისაგან. ერთ–ერთი მთავარი განსხვავება განთავსების საკითხსა და პატიმართა შორის მიმღებლობას უკავშირდება. გბტ პატიმრები მოთავსებულნი არიან განცალკევებით და მათთან კომუნიკაცია შეზღუდული აქვთ სხვა პატიმრებს, ხოლო ქალთა დაწესებულებაში მათი გამიჯვნა არ ხდება, რადგან უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად არ საჭიროებენ ასეთი ტიპის ჩარევას.

უნდა აღინიშნოს, რომ არც პატიმრები და არც ციხის ადმინისტრაცია არ მიუთითებს გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის გამო მომხდარ კონფლიქტზე, დისკრიმინაციისა თუ არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე. თუმცა ადმინისტრაცია არ ფლობს საკმარის ინფორმაციას რისკების შესაფასებლად. სოციალური მუშაკი არ მუშაობს ლბტ პატიმრებთან სპეციფიკური დახმარების ორგანიზებისათვის. როგორც მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, ხშირია თვითდაზიანების რისკი ლბტ პატიმარ ქალებში, თუმცა ფსიქოლოგის სპეციალიზებული მუშაობა მათთან არ ხორციელდება.

რეკომენდაცია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს

- **მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა დაწესებულებაში მიღების დროს პატიმრის შემოწმება მოხდეს ისე, რომ არ შეილახოს მისი ღირსება**
- **მოხდეს დაწესებულებაში მყოფი პირების ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფა იმგვარად, რომ გათვალისწინებულ იქნას გენდერული თავისებურებანი**
- **მოხდეს ქალთა საკნების უზრუნველყოფა გათბობითა და ცხელი წყლით**
- **გადაიხედოს და დაიხვეწოს ბავშვთა მიერ დაწესებულების დატოვების პროცედურები იმგვარად, რომ პროცესი ითვალისწინებდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, მოხდეს მათი გარე სამყაროსთან შეგუება, რათა დედასთან განშორების დროს მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ბავშვთა ტრავმირება**
- **გადაიხედოს დედათა და ბავშვთა საკვებით მომარაგების სტანდარტი და მოხდეს მათი იმგვარად დანერგვა, რომ საკვები საკმარისი რაოდენობით მიეწოდოთ**
- **გაძლიერდეს ფსიქოლოგიური და სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობა უცხო ქვეყნის მოქალაქე პატიმრებისათვის, მათ შორის ენობრივი ბარიერის დასაძლევად მოიძიონ შესაბამისი სპეციალისტები**
- **გატარდეს სპეციალური ღონისძიებები დაწესებულების თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლებისათვის ლბტ პირთა უფლებების, საერთაშორისო სტანდარტებისა და დახურული ტიპის დაწესებულებაში განთავსებისას შესაძლო რისკების შესახებ**

- **სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ლბტ პატიმრების დაწესებულებაში არსებულ პროგრამებში მონაწილეობას, სადაც ამ პატიმრებისთვის შექმნილი იქნება ჯანსაღი და ძალადობისგან თავისუფალი გარემო**
- **გაძლიერდეს ფსიქოლოგის და სოციალური მუშაკის მუშაობა ლბტ პატიმრებთან და სხვა პატიმრებთან, რათა გაიზარდოს პატიმართა შორის მიმღებლობა, ასევე მოხდეს თვითიზოლაციისა და თვითდაზიანების რისკების პრევენცია**

უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირები

უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი პირები წარმოადგენენ განსაკუთრებულად მოწყვლად ჯგუფს. შესაბამისად, აღნიშნული პატიმრების მიმართ მოპყრობა უნდა იყოს ისეთი, რომ ხელი შეუწყოს სამუდამო პატიმრობაში მყოფი პირების თავმოყვარეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობის გაზრდას.[176] სახალხო დამცველმა თავის არაერთ ანგარიშში აღნიშნა, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არსებული პირობები ვერ უზრუნველყოფს უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი პირების ადეკვატურ რესოციალიზაციასა და რეინტეგრაციას საზოგადოებაში.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის თანახმად, სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციამ უნდა გააცნოს უვადო თავისუფლება აღკვეთილ პირს დაწესებულებაში მოქმედი წესები, მისი უფლებები და მოვალეობები, პირის უფლება გააკეთოს საკუთარი არჩევანი ციხის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებულ საკითხებზე; უვადო პატიმარს უნდა შეექმნას ადეკვატური მატერიალური პირობები და მიეცეს შესაძლებლობა, იზრუნოს საკუთარ ფიზიკურ, ინტელექტუალურ და ემოციურ სტიმულირებაზე და მაქსიმალურად უზრუნველყოფილი ჰქონდეს კონტაქტი გარე სამყაროსთან.[177]

აღსანიშნავია, რომ ამ თვალსაზრისით პრობლემურია უვადო თავისუფლება აღკვეთის N6, N7, N8 სასჯელაღსრულების დაწესებულებები, სადაც არ ხორციელდება მრავალფეროვანი და სისტემატიური ხასიათის სარეაბილიტაციო აქტივობები. უფრო მეტიც, N7 დაწესებულებაში საანგარიშო წლის მანძილზე საერთოდ არ განხორციელებულა ფსიქორეაბილიტაციის პროგრამა, ხოლო N6 დაწესებულებაში მხოლოდ ერთი შემეცნებითი-საგანმანათლებო პროგრამა - „ქრისტიანულ თემატიკაზე საუბრები“ - განხორციელდა, რომელშიც ჩართული იყო 10 პატიმარი. პროგრამის ხანგრძლივობა იყო 2 თვე. ზოგადად,,

[176] Standard Minimum Rules for the Treatment of Prisoners, rules 65 and 66.

[177] Management by Prison Administrations of Life-sentence and Other Long-term Prisoners, Recommendation REC (2003) 23 adopted by the Committee of Ministers of the Council of Europe on 9 October 2003, Para. 21-25

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში[178] მამაკაცი მსჯავრდებულებისთვის არანაირი სერვისი არ არსებობს. ისინი მხოლოდ შეღავათებით სარგებლობენ, რაც DVD PLAYER-ით სარგებლობას გულისხმობს.

აღსანიშნავია, რომ ხანგრძლივი პატიმრობა, განსაკუთრებით სამუდამო პატიმრობა, ვერ უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას მანამ, სანამ არ იქნება გატარებული ადეკვატური ზომები მსჯავრდებულის საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითად მიმართულებებსა და საფეხურზე გადასაყვანად.[179] ხაზგასასმელია, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს უვადო პატიმრების რესოციალიზაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციისათვის აუცილებელ განსაკუთრებულ მიდგომას. შესაბამისად, არ არსებობს უვადო პატიმრის ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა და ამ კუთხით პროგრესის შემოწმების მექანიზმები. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ შემუშავდეს სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმა უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი პირებისა და გრძელვადიანი პატიმრებისათვის.[180]

მნიშვნელოვანია, რომ უვადო პატიმრებს უნდა მიეცეთ საშუალება შესაბამისი ზედამხედველობის პირობებში, რეგულარული ინტერვალებით ჰქონდეთ კომუნიკაცია საკუთარი ოჯახის წევრებსა და მეგობრებთან როგორც მიმოწერით, ასევე ვიზიტების მეშვეობით. საქართველოს პატიმრობის კოდექსი ითვალისწინებს უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულთათვის 1 წლის განმავლობაში 2 ხანგრძლივ პაემანს, ხოლო წახალისების ფორმით წელიწადში დამატებითი 2 ხანგრძლივი პაემნის შესაძლებლობას.[181] აღსანიშნავია, რომ სასჯელაღსრულების ზოგიერთ დაწესებულებაში არ არსებობს ხანგრძლივი პაემნისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა, რის გამოც ხდება მსჯავრდებულების ტრანსპორტირება სხვა დაწესებულებაში. იყო შემთხვევები, როდესაც არ მოხდა ხანგრძლივი პაემნის მოთხოვნის დაკმაყოფილება ინფრასტრუქტურული პრობლემების გამო.[182] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის მიერ აღინიშნა, რომ მიღებული უნდა იყოს ყველა ზომა, რათა ხელი შეეწყოს საოჯახო ურთიერთობას, რისი არ

---

[178] იგულისხმება N6, N7 და N8 დაწესებულებები.

[179] The Economic and Social Council, in its resolution 1992/1 of 6 February decided to dissolve the committee on crime prevention and control and to establish the Commission on Crime prevention and criminal justice as a functional commission of the Council, as requested by the General Assembly in its resolution 46/152 of 18th December 1991. The commission held its first session from 21 to 30 April 1992.

[180] მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec (2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2006 წლის 11 იანვარს, Available at: http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1225.pdf [ნანახია 27.03.2015].

[181] პატიმრობის კოდექსის 65-ე მუხლის პირველ ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი.

[182] აღნიშნული დეტალურად მიმოხილულია თავში, რომელიც ეძღვნება კონტაქტს გარე სამყაროსთან.

დაშვება, თავის მხრივ, უარყოფითად იმოქმედებს პატიმრის ფსიქიკაზე, ჯამრთელობაზე, მოტივაციასა და ციხეში გატარებული დროის დადებითად გამოყენებაზე. [183]

რეკომენდაცია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- **შემუშავდეს უვადო პატიმრების რესოციალიზაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციისათვის აუცილებელი, ინდივიდუალურ პატიმარზე მორგებული სამოქმედო გეგმა**
- **პატიმრებს მიეცეთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ რეაბილიტაციისათვის აუცილებელ სხვადასხვა მიზანმიმართულ და მრავალფეროვან აქტივობაში.**
- **მაქსიმალურად შეუწყოს ხელი უვადო პატიმარს, შეინარჩუნოს ურთიერთობა ოჯახის წევრებთან**

კონტაქტი გარე სამყაროსთან

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი რეკომენდაციებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თითოეული პირისთვის, რომელსაც აღკვეთილი აქვს თავისუფლება, გარე სამყაროსთან მყარი კავშირის არსებობას. „აქ სახელმძღვანელო პრინციპად გვევლინება გარე სამყაროსთან კონტაქტების შენარჩუნების მხარდაჭერა; ასეთი კონტაქტის ნებისმიერი სახით შეზღუდვა უნდა ეფუძნებოდეს სერიოზული ხასიათის უსაფრთხოების მოსაზრებებს ან არსებულ მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებულ პრობლემებს“.[184]

პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების 61-ე პუნქტი ეხება პატიმრის საზოგადოებასთან ურთიერთობის შენარჩუნების საკითხს. კერძოდ, პატიმრებთან ურთიერთობა მიზნად უნდა ისახავდეს მათი საზოგადოებასთან ინტეგრირების მცდელობას. თემის განვითარების სააგენტოებმა უნდა გამოთქვან სურვილი და შესაძლებლობა, რათა დაეხმარონ დაწესებულების თანამშრომლებს პატიმართა სოციალურ რეაბილიტაციაში. ყოველ დაწესებულებას ურთიერთობა უნდა ქონდეს სხვადასხვა სააგენტოებთან,

[183] მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec (2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით.
[184] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) საერთო ანგარიშების „სარეზოლუციო“ ნაწილები. სტრასბურგი, 18 აგვისტო 2000 წ. გვ. 37.

მუშაკებთან, რათა უზრუნველყოს პატიმართა ახლო კავშირი ოჯახის წევრებთან. გარკვეული ქმედებები უნდა განხორციელდეს იმ მიზნით, რომ დაცულ იქნას სამოქალაქო, სოციალური დაცვისა და პატიმართა სხვა სოციალური ინტერესები.

პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების 79-ე პუნქტი ეხება პატიმრის ოჯახის წევრებთან ურთიერთობის შენარჩუნების საკითხს, კერძოდ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პატიმარსა და მის ოჯახს შორის კავშირების შენარჩუნებას და განმტკიცებას, რაც სასურველადაა მიჩნეული და ემსახურება ორივე მხარის ინტერესებს.

ევროპული ციხის წესების 24.4. პუნქტის თანახმად, პაემნის ორგანიზება იმგვარად უნდა მოხდეს, რომ პატიმრებს საშუალება მიეცეთ, შეინარჩუნონ და განავითარონ ოჯახური ურთიერთობები შეძლებისდაგვარად ნორმალურ გარემოში.

პატიმრობის კოდექსის 46-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, მსჯავრდებული სასჯელს იხდის მისი ან მისი ახლო ნათესავის საცხოვრებელი ადგილიდან ყველაზე ახლოს მდებარე, შესაბამისი ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მისი იქ განთავსება შეუძლებელია დაწესებულების გადატვირთულობის გამო. გამონაკლის შემთხვევაში, მსჯავრდებულის ჯანმრთელობის გამო, პირადი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ან/და მისი თანხმობის შემთხვევაში შეიძლება გადაყვანილი იქნას სხვა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

საანგარიშო პერიოდში სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ დასავლეთ საქართველოში მდებარე სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ჩატარებული მონიტორინგების შედეგად დადგინდა, რომ ოჯახის წევრებთან პაემნის უფლების განხორციელებას ხელს უშლის რამდენიმე ფაქტორი. კერძოდ, კი პრობლემას წარმოადგენს ხანმოკლე პაემნის დროს, დაწესებულებათა უმრავლესობაში მინის ბარიერების არსებობა და აგრეთვე ოჯახის ვიზიტის დროს კონფიდენციალური გარემოს უზრუნველყოფა. აგრეთვე მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას პატიმართა განთავსების დროს ოჯახის საცხოვრებელი ადგილის გაუთვალისწინებლობის პრობლემას.

ხანმოკლე პაემანი

პატიმრის კეთილდღეობა და სასჯელის მოხდის შემდეგ საზოგადოებაში რეინტეგრაცია მნიშვნელოვნად დამოკიდებულია პატიმრობის დროს მსჯავრდებულის/ბრალდებულის ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან ურთიერთობის შენარჩუნებაზე. პატიმრის რეაბილიტაციისთვის მნიშვნელოვანია ოჯახის წევრებთან ჰქონდეს უშუალო კონტაქტი და კომუნიკაცია.

პატიმრობის კოდექსის მე-17 მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით განსაზღვრულია იმ პირთა შეზღუდული წრე, რომლებთანაც შესაძლებელია განხორციელდეს ხანმოკლე პაემანი. კერძოდ, ბრალდებულს/მსჯავრდებულს მისი წერილობითი თხოვნის საფუძველზე შეიძლება მიეცეს მის ახლო ნათესავებთან (შვილი, მეუღლე, პირი, რომელთანაც საერთო შვილი ჰყავს, მშობელი (მშვილებელი), დედინაცვალი, მამინაცვალი, მეუღლის მშობელი, გერი, ნაშვილები და მისი შთამომავალი, შვილიშვილი, და, ძმა, დისწული, ძმისწული და მათი შვილები, ბებია, პაპა, ბებიის დედ-მამა, პაპის დედ-მამა (როგორც დედის, ისე მამის მხრიდან), ბიძა (დედის ძმა, მამის ძმა), დეიდა, მამიდა, ბიძაშვილი, დეიდაშვილი, მამიდაშვილი, აგრეთვე პირი, რომელთანაც ცხოვრობდა და საერთო მეურნეობას ეწეოდა პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოხვედრამდე ბოლო 1 წლის განმავლობაში) ხანმოკლე პაემნის უფლება.

დადებითად უნდა აღინიშნოს 2014 წლის 16 აპრილს პატიმრობის კოდექსში შესული ცვლილება, კერძოდ, მე-17 მუხლს დაემატა 2[1] ნაწილი, რომლის თანახმად დეპარტამენტის თავმჯდომარის თანხმობით, ბრალდებულს/მსჯავრდებულს შეიძლება მიეცეს იმ პირებთან ხანმოკლე პაემნის უფლება, რომლებიც გათვალისწინებული არ არიან ამ მუხლის მე-2 ნაწილით. აღნიშნული ცვლილება დადებითად იმოქმედებს მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის პროცესში.

საქართველოს პატიმრობის კოდექსი განსაზღვრავს მსჯავრდებულთა მიერ ხანმოკლე პაემნით სარგებლობის საკითხებს. კერძოდ, 62-ე მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, უფლება აქვს 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 2 ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით თვეში 1 დამატებითი ხანმოკლე პაემანი. ამავე კანონის 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, უფლება აქვს 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 1 ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით თვეში 1 დამატებითი ხანმოკლე პაემანი.

პატიმრობის კოდექსი ასევე განსაზღვრავს ხანმოკლე პაემნით სარგებლობის საკითხებს ქალი და არასრულწლოვანი პატიმრებისთვის. 72-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად ქალ მსჯავრდებულს უფლება აქვს, 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 3 ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით თვეში 1 დამატებითი პაემანი. 70-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, არასრულწლოვან მსჯავრდებულს უფლება აქვს 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 4 ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით თვეში 2 დამატებითი ხანმოკლე პაემანი.

საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-17 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, ხანმოკლე პაემანი მიმდინარეობს ადმინისტრაციის წარმომადგენლის მხოლოდ ვიზუალური კონტროლით, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N97 ბრძანების 50-ე მუხლი განსაზღვრავს ხანმოკლე პაემნის განხორციელების პირობებს, კერძოდ, ხანმოკლე პაემანი ხორციელდება სპეციალურ ოთახებში. დაწესებულების სპეციფიკიდან გამომდინარე, პაემანი შეიძლება შედგეს უშუალო შეხვედრის ფორმით, ან მინის გამყოფი ბარიერის მიღმა.

აღსანიშნავია, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებების უმეტესობაში ხანმოკლე პაემანი დგება შუშით გადატიხრულ ოთახში. ასეთ შემთხვევაში პატიმარი მოკლებულია ოჯახის წევრებთან ყოველგვარი ფიზიკური ურთიერთობის საშუალებას. თუმცა, გამონაკლის შემთხვევებში, ისეთი, როგორიცაა მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა, მცირეწლოვან შვილთან შეხვედრა და ა.შ. ოჯახის წევრებთან უშუალო ფორმის ხანმოკლე პაემანი ხორციელდება დაწესებულების დირექტორის ნებართვით. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში აუცილებელია ფიზიკური გამყოფი ბარიერები, მნიშვნელოვანია, რომ ფიზიკური ურთიერთობის საშუალება იყოს აღიარებული ნორმა. გარდა ამისა, ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომლითაც ხდება ფიზიკური ურთიერთობის შეზღუდვა უნდა იყოს გონივრული, დასაბუთებული და პროპორციული იმ მიზნის მიღწევისა, რისთვისაც მსგავსი შეზღუდვა წესდება. გარდა ამისა, ფიზიკური ურთიერთობის შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილება, უნდა დაექვემდებაროს რეგულარულ გადახედვას. სხვა შემთხვევაში, მსგავსი ჩარევა პატიმართა პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, გამართლებული არ იქნება.

ამ საკითხზე იმსჯელა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში მესინა იტალიის წინააღმდეგ.[185] საქმეს საფუძვლად დაედო იტალიის მოქალაქე ბატონ ანტონიო მესინას („განმცხადებელი“) განაცხადი. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მის მიმართ დაირღვა ოჯახის პატივისცემის უფლება, რადგან განმცხადებლის პატიმრობაში ყოფნის დროს მისი ოჯახის წევრებს შეეზღუდათ ვიზიტის უფლება. არ იქნა დაცული პატიმრის მიმოწერა, რადგან იგი დაყოვნებული იქნა ციხის ადმინისტრაციის მიერ. მოცემულ საქმეში განმცხადებელი დაექვემდებარა ციხის სპეციალურ რეჟიმს, რომელიც გულისხმობდა ოჯახის წევრების ვიზიტების რაოდენობის შეზღუდვას (ერთი თვის განმავლობაში არაუმეტეს 2 ვიზიტისა) და აწესებდა ზედამხედველობას ასეთ ვიზიტებზე (პატიმრები მნახველებისგან გამოყოფილი იყვნენ მინის ბარიერით). სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს შეზღუდვები წარმოადგენს ჩარევას განმცხადებლის ოჯახური ცხოვრების უფლებაში, რომელიც გარანტირებულია კონვენციის მე–8 მუხლის პირველი ნაწილით. სასამართლო აღნიშნავს, რომ 41 bis პარაგრაფი მიზნად ისახავს პატიმარსა და მის წარმომშობ დანაშაულებრივ გარემოს შორის კავშირის გაწყვეტას იმისათვის, რომ შემცირდეს დანაშაულებრივ

[185] მესინა იტალიის წინააღმდეგ (Messina v Italy) განჩინება, 2000 წლის 28 სექტემბერი.

ორგანიზაციებთან კავშირის რისკი. კონკრეტულად, სასამართლო მიუთითებს, რომ როგორც მთავრობამ აღნიშნა სპეციალური რეჟიმის შემოღებამდე მაფიის დაპატიმრებულ წევრებს შესაძლებლობა ჰქონდათ, შეენარჩუნებინათ პოზიციები დანაშაულებრივ ორგანიზაციაში, გაეცვალათ ინფორმაცია სხვა პატიმრებთან და ციხის გარეთ და ორგანიზება გაეკეთებინათ სერიოზული დანაშაულის ჩადენისათვის ციხის გარეთ და შიგნით. ამ კუთხით სასამართლო მხედველობაში იღებს ორგანიზებული დანაშაულის სპეციფიკურ ბუნებას. განსაკუთრებით მაფიასთან დაკავშირებულ დანაშაულებს, რომლებშიც ოჯახის წევრებმა შეიძლება გადამწყვეტი როლი შეასრულონ. უფრო მეტიც, კონვენციის წევრ რამდენიმე სახელმწიფოს საშიში პატიმრებისთვის უსაფრთხოების უმაღლესი რეჟიმი აქვს. ეს რეჟიმი გულისხმობს ციხის საზოგადოებისგან პატიმრის განცალკევებას და მკაცრ ზედამხედველობას.

სასამართლო თავის განჩინებაში მიუთითებს, რომ გონივრულია იტალიის სასამართლოების მიჩნევა, რომ ასეთი ზომები აუცილებელია მიზნის მისაღწევად. ეს შეეხება იმ კრიტიკულ შემთხვევებს, როდესაც იტალიის ხელისუფლება იძიებს მაფიასთან დაკავშირებულ საქმეს. თუმცა, სასამართლო კვალავ მიიჩნევს, რომ სპეციალური რეჟიმის გაგრძელებამ დაარღვია განმცხადებლის, კონვენციის მე–8 მუხლით გარანტირებული, უფლება.

ადამიანის ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ოჯახის წევრების ვიზიტების შეზღუდვასთან დაკავშირებით მსჯავრდებულის მიმართ არ დარღვეულა კონვენციის მე–8 მუხლი. თუმცა, ამავდროულად ადგენს, რომ აღნიშნული მუხლი დაირღვა მიმოწერაზე მონიტორინგის განხორციელებით.

საქართველოს კანონის პატიმრობის კოდექსის 121[1] მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ბრალდებულის/მსჯავრდებულის ახლო ნათესავებს (შვილი, მეუღლე, პირი, რომელთანაც საერთო შვილი ჰყავს, მშობელი (მშვილებელი), დედინაცვალი, მამინაცვალი, მეუღლის მშობელი, ნაშვილები, გერი და მისი შთამომავალი, შვილიშვილი, და, ძმა, დისწული, ძმისწული და მათი შვილები, ბებია, პაპა, ბიძა (დედის ძმა, მამის ძმა), დეიდა, მამიდა, ბიძაშვილი, დეიდაშვილი, მამიდაშვილი, აგრეთვე პირი, რომელთანაც ცხოვრობდა და საერთო მეურნეობას ეწეოდა პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოხვედრამდე ბოლო 1 წლის განმავლობაში) მკურნალი ექიმის რეკომენდაციითა და დეპარტამენტის თავმჯდომარის თანხმობით, შეიძლება მიეცეთ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მინისტრის მიერ დადგენილი წესითა და ოდენობით მონახულების უფლება.

ტ.ფ.–ს საქმე

2014 წლის 5 სექტემბერს სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით მიმართა მსჯავრდებულ ტ.ფ.-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა. მისი განცხადებითა და თანდართული მასალებიდან ირკვევა, რომ მსჯავრდებული ტ.ფ. 2013 წლის 22 ოქტომბრიდან

მოთავსებულია შპს „უჯრედული ტექნოლოგიებისა და თერაპიის ცენტრში“ (კ. მარდალეიშვილის სამედიცინო ცენტრი). წარმოდგენილი სამედიცინო დოკუმენტაციის მიხედვით, იგი დაავადებულია მძიმე და განუკურნებელი სენით. მიუხედავად ამისა, არ ეძლევა ოჯახის წევრებთან შეხვედრის უფლება. უფლების შეზღუდვის საფუძვლად სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს სამართლებრივი რეჟიმის სამმართველოს 2014 წლის 24 მარტის MCLA31400131729 და 2014 წლის 29 ივლისის MCLA11400358221 წერილებით უსაფრთხოების დაცვა სახელდება.

აქვე აღსანიშნავია, რომ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით 2014 წლის 24 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა N03-2/12006 წერილით მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტს.

2014 წლის 27 სექტემბრის MCLA91400497739 წერილით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ ვინაიდან მსჯავრდებული ტ.ფ. დღემდე იმყოფება შპს „უჯრედული ტექნოლოგიებისა და თერაპიის ცენტრში“, სადაც არ არის სათანადო ინფრასტრუქტურა მოკლევადიანი პაემნისათვის, სასჯელაღსრულების დეპარტამენტი მოკლებულია შესაძლებლობას, უსაფრთხოების თვალსაზრისიდან გამომდინარე, მიიღოს დადებითი გადაწყვეტილება.

მსჯავრდებულ ტ.ფ.-ს პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებასთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა 2014 წლის 24 დეკემბერს N04-8/14884 რეკომენდაციით მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2015 წლის 6 იანვრის MCLA51500017664 წერილობითი პასუხის თანახმად, უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე მსჯავრდებულისთვის ხანმოკლე პაემნით უზრუნველყოფა მიზანშეუწონლად ჩაითვალა.

უფლების შეზღუდვის ღონისძიება უნდა ექვემდებარებოდეს დეტალურ და ყურადღებით გადამოწმებას. ამასთან, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, რომ პატიმარს ჰქონდეს გარკვეული სახის კონტაქტი ოჯახის წევრებთან და ამავდროულად, დაცულ იქნეს მნიშვნელოვანი და სენსიტიური საჯარო ინტერესები. ამ მიზნებისთვის, სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს ადეკვატური ზომები უსაფრთხოების დაცვისათვის, თუმცა, პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების დაცვის პარალელურად.

დამატებით, მნიშვნელოვანია, რომ ხანმოკლე პაემნის დროს ყურადღება მიექცეს პირადი და ოჯახური ცხოვრებისა და საიდუმლოების დაცვას. კონკრეტულად, კი ოჯახის წევრებსა და მეგობრებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა ვიზიტები განახორციელონ ადეკვატურ პირობებში, რაც შესაძლებელია ციხის პირობების გათვალისწინებით და კონფიდენციალურობის მაქსიმალური დაცულობით. განხორციელებული ვიზიტებისას გამოვლინდა, რომ ხანმოკლე

პაემნის ოთახში არსებული ინფრასტრუქტურის გამო ირღვევა პირადი საუბრის კონფიდენციალურობა.

საქართველოს პატიმრობის კოდექსის 46-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მსჯავრდებული როგორც წესი, სასჯელს იხდის მისი ან მისი ახლო ნათესავის საცხოვრებელი ადგილიდან ყველაზე ახლოს მდებარე, შესაბამისი ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, გარდა ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ოჯახის წევრებთან პაემნის უფლების განხორციელებას ხელს უშლის პატიმართა განთავსების დროს ოჯახის საცხოვრებელი ადგილის გაუთვალისწინებლობა. დასავლეთ საქართველოში მდებარე სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პაემნის უფლებით სარგებლობასთან დაკავშირებით პრობლემები ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოდან გადმოყვანილ პატიმრებს აქვთ. აღმოსავლეთ საქართველოდან გადმოყვანილ პატიმრებს პრობლემები აქვთ ასევე ადვოკატთან შეხვედრის კუთხით. აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად დაფიქსირდა პატიმართა მასიური გადაყვანა დასავლეთ საქართველოში მდებარე დაწესებულებებში. როგორც წესი პატიმრისთვის, ისევე როგორც სახალხო დამცველისთვის არ ხდება ცნობილი ერთი დაწესებულებიდან მეორეში გადაყვანის საფუძველი. აღნიშნული პრობლემა სახალხო დამცველის არაერთ ანგარიშშია აღნიშნული.

ევროპული ციხის წესების 24.1 პუნქტის თანახმად, პატიმრებს ნებართვა უნდა მიეცეთ რაც შეიძლება ხშირად იქონიონ ურთიერთობა წერილით, ტელეფონით თუ კომუნიკაციის სხვა საშუალებით თავიანთ ოჯახებთან, სხვა პირებთან და გარე ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, ასევე დაენიშნოთ პაემნები ამ ადამიანებთან. ამავე წესების 24.5 პუნქტის შესაბამისად, ციხის ადმინისტრაცია უნდა დაეხმაროს პატიმრებს გარე სამყაროსთან ადეკვატური კონტაქტის შენარჩუნებაში და უნდა უზრუნველყოს ისინი შესაბამისი მხარდაჭერით. იქიდან გამომდინარე, რომ მსჯავრდებულები დახურული ტიპის დაწესებულებების უმეტესობაში, ინფრასტრუქტურის არ არსებობის გამო, ვერ სარგებლობენ ხანგრძლივი პაემნით. ამასთან, ერთი თვის განმავლობაში 1 ხანმოკლე პაემანი, შუშით გადატიხრულ ოთახში, ვერ უზრუნველყოფს მსჯავრდებულის მიერ ოჯახთან ურთიერთობის სრულყოფილ შენარჩუნებას. ამიტომ მნიშვნელოვანია, შევიდეს ცვლილებები და დახურული ტიპის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს მიეცეთ დამატებით ხანმოკლე პაემანი.

2014 წლის განმავლობაში სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სულ განხორციელდა 44 631 ხანმოკლე პაემანი. ხანმოკლე პაემნების რაოდენობა დაწესებულებების მიხედვით მოცემულია ქვემოთ, ცხრილში.

სასჯელაღსრულების დაწესებულება	პაემნების რაოდენობა
N2 დაწესებულება	6020
N3 დაწესებულება	276
N5 დაწესებულება	1374
N6 დაწესებულება	2077
N7 დაწესებულება	345
N8 დაწესებულება	7950
N9 დაწესებულება	552
N11 დაწესებულება	909
N12 დაწესებულება	1690
N14 დაწესებულება	2940
N15 დაწესებულება	7863
N17 დაწესებულება	12067
N18 დაწესებულება	35
N19 დაწესებულება	533

ხანგრძლივი პაემანი

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ყველას აქვს უფლება, რომ დაცული იყოს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრება. „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის 23-ე მუხლის მიხედვით, ოჯახი საზოგადოების ბუნებრივი და ძირითადი უჯრედია, რომელიც საზოგადოებამ და სახელმწიფომ უნდა დაიცვას. აღნიშნულის დაცვას ემსახურება მსჯავრდებულთა მიერ ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლება, რომელიც ხელს უწყობს პატიმრის ოჯახთან ახლო ურთიერთობის შენარჩუნება, რაც ხელს უწყობს სასჯელის მოხდის შემდეგ მსჯავრდებულის ოჯახთან და საზოგადოებასთან რეინტეგრაციის პროცესს.

საქართველოს კანონის პატიმრობის კოდექსის 17^2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხანგრძლივი პაემანი არის მსჯავრდებულის ამ მუხლის მე-2 ნაწილით[186] განსაზღვრულ

[186] „მსჯავრდებულს მისი წერილობითი თხოვნის საფუძველზე შეიძლება მიეცეს შვილთან, ნაშვილებთან, გერთან, შვილიშვილთან, მეუღლესთან, პირთან, რომელთანაც საერთო შვილი ჰყავს,

პირებთან ერთად ცხოვრება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტერიტორიაზე, ამისთვის სპეციალურად გამოყოფილ ოთახში. პატიმრობის კოდექსის 62-ე მუხლის მეორე პუნქტის „ე“ პუნქტის მიხედვით მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, უფლება აქვს 1 წლის განმავლობაში ჰქონდეს 3 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით წელიწადში 2 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი.

დადებითად უნდა შეფასდეს 2014 წლის 16 აპრილს პატიმრობის კოდექსში შესული ცვლილებები, კერძოდ, 65-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატა „დ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც დახურული ტიპის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს უფლება აქვს 1 წლის განმავლობაში ჰქონდეს 2 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით - წელიწადში 1 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N8 დაწესებულებაში არ არსებობს ხანგრძლივი პაემნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა. ხანგრძლივი პაემნით სარგებლობენ მხოლოდ უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულები. როგორც წესი, პატიმრების ოჯახის წევრებთან წინასწარი შეთანხმებით, თვეში ერთხელ ხდება უვადო მსჯავრდებულების ტრანსპორტირება N6 დაწესებულებაში, სადაც ეწყობა ხანგრძლივი პაემანი.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N8 დაწესებულების მსგავსად ხანგრძლივი პაემნის განხორციელებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა არ არის N7 დაწესებულებაში. უნდა აღინიშნოს, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N7 დაწესებულებაში განთავსებული უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულები ვერ სარგებლობენ ხანგრძლივი პაემნის რეალიზაციის უფლებით.

ვ.ა.-ს საქმე

ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლების დარღვევასთან დაკავშირებით სახალხო დამცველის აპარატს არაერთი განცხადებით მიმართა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N7 დაწესებულებაში მოთავსებულმა უვადო მსჯავრდებულმა ვ.ა.-მ და მსჯავრდებულის დედა ა.ა.-მ.

სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა მსჯავრდებულ ვ.ა.-ს საქმე და დაადგინა, რომ მსჯავრდებულს 2012 წლის შემდეგ არ უსარგებლია მისთვის კანონით მინიჭებული ხანგრძლივი პაემნით. აღნიშნულთან დაკავშირებით სახალხო დამცველის აპარატმა 2014 წლის 10 ივლისს N03-3/9073 წერილით მიმართა N7 დაწესებულების დირექტორს, 2014 წლის 28 ივლისს კი N03-3/9788 წერილით სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს

მშობელთან (მშვილებელთან), ბებიასთან, პაპასთან, დასთან და ძმასთან ხანგრძლივი პაემნის უფლება“.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს. 2014 წლის 4 აგვისტოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N7 დაწესებულების დირექტორისგან მიღებული MCLA 41400370176 წერილობითი პასუხის თანახმად, დაწესებულებაში არ არის ხანგრძლივი პაემნის განხორციელებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა, ხოლო 2014 წლის 30 ივლისს სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან მიღებული MCLA91400360569 წერილობითი პასუხის თანახმად, ხანგრძლივი პაემნის უფლების მინიჭების საკითხს წყვეტს დაწესებულების დირექტორი.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მსჯავრდებულმა ვ.ა.-მ ბოლოს 2012 წლის 1 აგვისტოს ისარგებლა ხანგრძლივი პაემნის უფლებით. იმ დროისთვის N7 დაწესებულებაში ხანგრძლივი პაემნის ინფრასტრუქტურის არ არსებობის გამო, მსჯავრდებული N6 დაწესებულებაში გადაიყვანეს, სადაც ვ.ა.-მ დედასთან ხანგრძლივი პაემნის უფლებით ისარგებლა.

2014 წლის 29 სექტემბერს სახალხო დამცველმა ვ.ა.-ს ხანგრძლივი პაემნის უფლებით სარგებლობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით N03-3/12102 რეკომენდაციით მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, თუმცა აღნიშნული რეკომენდაცია არ შესრულდა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახალხო დამცველმა 2013 წლის საპარლამენტო ანგარიშში რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, რათა სასჯელაღსრულების N7, N8 და N12 დაწესებულებები უზრუნველეყო ხანგრძლივი პაემნის განხორციელებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურით. დადებითად უნდა აღინიშნოს საანგარიშო პერიოდში, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N12 დაწესებულებაში ხანგრძლივი პაემნის განხორციელებისთვის სათანადო ინფრასტრუქტურის შექმნა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ N5, N18 და N19 დაწესებულებებში არ არის ხანგრძლივი პაემნის განხორციელებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა. აღსანიშნავია, რომ სასჯელაღსრულების N18 დაწესებულებაში განთავსებული არიან მსჯავრდებულები, რომლებიც იმყოფებიან ხანგრძლივი მოვლის განყოფილებაში და ინფრასტრუქტურის არ არსებობის გამო ვერ სარგებლობენ მათთვის კანონით მინიჭებული უფლებით.

თვალსაჩინოა, რომ 2014 წლის 16 აპრილს შესული ცვლილებების შესაბამისად[187], პატიმრობის კოდექსი, განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულისთვის არ განსაზღვრავს ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლებას. კერძოდ, პატიმრობის კოდექსის 17^2 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, ხანგრძლივი პაემანი არ ეძლევა განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს. ევროპული ციხის წესების 24.2 მუხლის თანახმად, კომუნიკაციები და

[187] საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსში ცვლილებების შესახებ“ 16.04.2014 N2241-IIს.

პაემნები შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვებს და მონიტორინგს, რომელიც საჭირო იქნება სისხლის სამართლის გამოძიების გასაგრძელებლად, წესრიგის შესანარჩუნებლად, უსაფრთხოებისა და უშიშროების უზრუნველსაყოფად და სისხლის სამართლის დანაშაულთა აღსაკვეთად, დანაშაულის მსხვერპლთა დასაცავად. მაგრამ სასამართლო ხელისუფლების მიერ დაწესებული ასეთი შეზღუდვები, მათ შორის კონკრეტული შეზღუდვები, მაინც უნდა იძლეოდეს კონტაქტის დასაშვებ მინიმალურ შესაძლებლობას. პატიმრობის კოდექსის დათქმა, რომელიც განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულებს უკრძალავს ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლებას, უფრო დამატებითი სასჯელის ხასიათს ატარებს, ვიდრე წარმოადგენს უსაფრთხოების ზომას და ამდენად, უფლების მსგავსი ბლანკეტური შეზღუდვა ყოვლად გაუმართლებელია.

პატიმრობის კოდექსის 17^2 მუხლის მე-6 ნაწილი ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლებას უზღუდავს იმ მსჯავრდებულს, რომელიც არის საკარანტინო რეჟიმში, დაკისრებული აქვს დისციპლინური სახდელი ან/და შეფარდებული აქვს ადმინისტრაციული პატიმრობა.

საანგარიშო პერიოდში სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N14 დაწესებულებაში ჩატარებული მონიტორინგის დროს სოციალური განყოფილების თანამშრომლებმა მონიტორინგის ჯგუფს განუცხადეს, რომ დისციპლინური სახდელის სახით სამარტოო საკანში მოთავსებულ მსჯავრდებულს პატიმრობის კოდექსის 17^2 მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად უფლება არ ჰქონდა ერთი წლის განმავლობაში ესარგებლა ხანგრძლივი პაემნის უფლებით.

აშკარად სახეზეა ზემოაღნიშნული პუნქტის არასწორი ინტერპრეტაცია, ვინაიდან ამ პუნქტში საუბარია იმ შემთხვევაზე, როდესაც მსჯავრდებულს შეფარდებული აქვს დისციპლინური სახდელი (დისციპლინური სახდელის ვადა გასული არ არის) და ხანგრძლივი პაემნის შეზღუდვა არ უნდა გავრცელდეს იმ შემთხვევაზე, როდესაც გასულია დისციპლინური სახდელის ვადა, თუნდაც მსჯავრდებული სახდელდადებულად ითვლებოდეს.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 22 ივლისი N132 ბრძანების მე-4 პუნქტის თანახმად, ხანგრძლივი პაემნით სარგებლობა ხორციელდება მსჯავრდებულის ან სტუმრის ხარჯზე უნაღდო ანგარიშსწორებით, თითოეული ხანგრძლივი პაემნის საფასურის ოდენობა განისაზღვრება 60 ლარით, ხოლო არასრულწლოვანი მსჯავრდებულის შემთხვევაში 30 ლარით.

აღსანიშნავია, რომ პატიმრის და მისი ოჯახის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, ხშირ შემთხვევაში, აბრკოლებს მსჯავრდებულთა მიერ ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლების განხორციელებას, რაც პატიმრისთვის ოჯახთან მჭიდრო კონტაქტის შენარჩუნების ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ პატიმრობის

კოდექსის 17[2] მუხლს დაემატა 1[1] ნაწილი: „ხანგრძლივი პაემნით სარგებლობა შეიძლება განხორციელდეს საფასურის გადახდის გარეშე მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად“. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 22 ივლისი N132 ბრძანების მე-4 პუნქტის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ხანგრძლივი პაემნით სარგებლობისათვის დაწესებული საფასურის გადახდისაგან თავისუფლდებიან სტუმრები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში. 2014 წელს განხორციელებული ხანგრძლივი პაემნების რაოდენობა დაწესებულებების მიხედვით მოცემულია ქვემოთ, ცხრილში[188]

N	სასჯელაღსრულების დაწესებულება	ხანგრძლივი პაემნების რაოდენობა
1.	N2 დაწესებულება	705
2.	N3 დაწესებულება[189]	31
3.	N6 დაწესებულება[190]	343
4.	N11 დაწესებულება	19
5.	N12 დაწესებულება[191]	73
6.	N14 დაწესებულება	722
7.	N15 დაწესებულება	1559
8.	N17 დაწესებულება	1780

რაც შეეხება ბრალდებულებს, პატიმრობის კოდექსის მე-17 მუხლის მე-10 ნაწილის მიხედვით, ბრალდებული სარგებლობს მხოლოდ ხანმოკლე პაემნის უფლებით. ამასთან, ამავე კანონის გარდამავალი დებულებების 123-ე მუხლის თანახმად, ბრალდებული 2016 წლის 1 იანვრამდე სარგებლობს 1 თვის განმავლობაში არაუმეტეს 4 ხანმოკლე პაემნის უფლებით, პროკურორის ან გამომძიებლის ნებართვის საფუძველზე. აღნიშნული ზღუდავს

[188] ხანგრძლივი პაემნის განხორციელებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა არ არის N5; N7; N8; N18 და N19 დაწესებულებებში.

[189] სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში ხანგრძლივი პაემნის განხორციელება დაიწყო 2014 წლის მაისი თვიდან.

[190]მათ შორის N8 დაწესებულებიდან ხანგრძლივი პაემნისთვის გაყვანილი უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი პატიმრები.

[191] სასჯელაღსრულების N12 დაწესებულებაში ხანგრძლივი პაემნის განხორცილება დაიწყო 2014 წლის ოქტომბრის თვიდან.

ბრალდებულის კონტაქტს ოჯახის წევრებთან. წინასწარ პატიმრობაში მყოფი ბრალდებულისთვის ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის ზოგადი აკრძალვა გაუმართლებელია. ამასთან, ხაზი უნდა გაესვას, რომ ოჯახის წევრებთან კონტაქტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირებისთვის.

სახალხო დამცველის აპარატმა თბილისის საქალაქო სასამართლოდან 2015 წლის 17 თებერვალს N04-8/1205 წერილით გამოითხოვა ინფორმაცია, 2014 წლის განმავლობაში რამდენ ბრალდებულს მიეცა „პატიმრობის კოდექსის“ 123-ე და 124-ე მუხლებით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობის ნებართვა და რამდენს ეთქვა უარი. 2015 წლის 18 თებერვალ მიღებული N1-0437/3666 პასუხის თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლო არ აწარმოებს სტატისტიკას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ციხის ევროპული წესების 99-ე მუხლის თანახმად, პატიმრობაში მყოფ ბრალდებულს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს სასამართლოს სპეციალური გადაწყვეტილება დროის განსაზღვრულ პერიოდზე, მსჯავრდებული პირების თანაბრად უნდა შეეძლოთ საკუთარ ოჯახთან კონტაქტი და ასევე უნდა გააჩნდეთ დამატებითი ხელმისაწვდომობა სხვა სახის კომუნიკაციაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პატიმრობის კოდექსში უნდა განხორციელდეს ცვლილება და გამოძიების ინტერესების გათვალისწინებით, განისაზღვროს პატიმრობაში მყოფი ბრალდებულების მიერ ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის წესი.

საქართველოს კანონის პატიმრობის კოდექსის 72-ე მუხლის თანახმად, ქალ მსჯავრდებულს უფლება აქვს 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 1 საოჯახო პაემანი. ამავე კანონის 17^3 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად ქალი მსჯავრდებულები სარგებლობენ საოჯახო პაემნის უფლებით, შვილთან, ნაშვილებთან, მეუღლესთან, მშობელთან (მშვილებელთან), დასთან და ძმასთან. საოჯახო შეხვედრა მიმდინარეობს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტერიტორიაზე, სპეციალურად გამოყოფილ ოთახში და გრძელდება არა უმეტეს 3 საათისა.

გაეროს „ქალ პატიმართა მოპყრობისა და არასაპატიმრო სასჯელთა შესახებ“ ე.წ. ბანგკოკის წესების 27-ე მუხლის თანახმად, ქალ პატიმრებს უნდა ჰქონდეთ ოჯახური ტიპის პაემნებით სარგებლობის უფლება მამაკაცი პატიმრების თანაბრად. გამომდინარე იქიდან, რომ პატიმრობის კოდექსის თანახმად, მამრობითი სქესის მსჯავრდებულები 24 საათიანი ხანგრძლივი პაემნით სარგებლობენ, ხოლო, მდედრობითი სქესის მსჯავრდებულები - მხოლოდ 3 საათიანი საოჯახო პაემნით. პატიმრობის კოდექსით განსაზღვრული პირობები წინააღმდეგობაში მოდის „ბანგკოკის წესებით“ დადგენილ საერთაშორისო სტანდარტთან. აღნიშნული ასევე ეწინააღმდეგება გაეროს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის სულისკვეთებას. პატიმრობის კოდექსის 124^1 მუხლის თანახმად, ხანგრძლივი პაემნის უფლების განხორციელების მიზნით, საქართველოს

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრომ, არა უგვიანეს 2015 წლის 31 დეკემბრისა, უნდა უზრუნველყოს საჭირო პირობების შექმნა და ხანგრძლივი პაემნის უფლების განხორციელება ქალთა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში. მნიშვნელოვანია, მიღებული იქნას ყველა აუცილებელი ზომა ქალ პატიმართა მიერ ხანგრძლივი პაემნის უფლების განხორციელებისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად. აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველმა 2013 წლის საპარლამენტო ანგარიშში რეკომენდაციით მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, თუმცა აღნიშნული რეკომენდაცია ჯერ არ შესრულებულა.

ვიდეოპაემანი

პატიმრობის კოდექსის 17[1] მუხლის მიხედვით, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს, გარდა განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებული და ამ კოდექსის 50-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მსჯავრდებულებისა, უფლება აქვს, ისარგებლოს ვიდეოპაემნით (პირდაპირი ხმოვანი და ვიზუალური ტელეხიდით) ნებისმიერ პირთან.

ვიდეოპაემანი მნიშვნელოვან როლს ასრულებს მსჯავრდებულის მიერ ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან ურთიერთობის საკითხში, ამასთან, ვიდეოპაემანი პოზიტიურ გავლენას ახდენს პატიმრის რესოციალიზაციის პროცესში. ვიდეოპაემნით სარგებლობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან მისით არა მხოლოდ მსჯავრდებულის ოჯახის წევრები, არამედ მეგობრები და ახლობლებიც სარგებლობენ.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 5 აპრილის №55 ბრძანების მეორე პუნქტის მიხედვით, მსჯავრდებულთან ვიდეოპაემნის განხორციელება შესაძლებელია ათი კალენდარული დღის განმავლობაში არაუმეტეს ერთხელ, სამუშაო დღეებში 10:00 საათიდან 18:00 საათამდე და მსჯავრდებულთან ერთჯერადი ვიდეოპაემნის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 15 წუთს.

კოდექსის 17[1] მუხლის მეოთხე ნაწილის მიხედვით, ვიდეოპაემნით სარგებლობისათვის დაწესებულია საფასური, რომელიც ირიცხება პრობაციის ეროვნული სააგენტოს ანგარიშზე და ხმარდება მისი მიზნების განხორციელებასა და ფუნქციების შესრულებას. მინისტრის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია ვიდეოპაემნით სარგებლობა განხორციელდეს საფასურის გადაუხდელად. თუმცა, ამავე მუხლის 4[1] ნაწილი აკეთებს დათქმას, რომ ვიდეოპაემნით სარგებლობისათვის დაწესებული საფასურის გადახდისაგან თავისუფლდებიან ამ კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული პირები, რომლებიც რეგისტრირებული არიან

სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და რომელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი საარსებო შემწეობის მისაღებად საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვრულ ქულაზე ნაკლებია.

ვიდეოპაემნით სარგებლობისათვის დაწესებულ საფასურს იხდის მსჯავრდებულთან ვიდეოპაემნის მსურველი პირი ან მისი კანონიერი წარმომადგენელი. თავისუფლების აღკვეთის იმ დაწესებულებებს, სადაც შესაძლებელია მსჯავრდებულთან ვიდეოპაემნის განხორციელება, ვიდეოპაემნით სარგებლობის რაოდენობას, ხანგრძლივობას, საფასურის ოდენობას და ვიდეოპაემნის განხორციელების პროცედურას განსაზღვრავს მინისტრი.

აღსანიშნავია, რომ სასჯელაღსრულების მხოლოდ 4 დაწესებულებაში[192] (სასჯელაღსრულების N5, N11, N15 და N17 დაწესებულებებში) არის ვიდეოპაემნის განხორციელებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა. 2014 წელს ვიდეოპაემნის განხორციელების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ, ცხრილში.

N	სასჯელაღსრულების დაწესებულება	ვიდეოპაემნის რაოდენობა
1.	N5 დაწესებულება	9
2.	N11 დაწესებულება	3
3.	N15 დაწესებულება	106
4.	N17 დაწესებულება	136

საქართველოს სახალხო დამცველმა 2013 წლის საპარლამენტო ანგარიშში სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში ვიდეოპაემნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფის რეკომენდაციით მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს. აღნიშნული რეკომენდაცია არ შესრულებულა.

სატელეფონო საუბრები

[192] სასჯელაღსრულების N16 დაწესებულებაში 2014 წლის განმავლობაში რემონტი მიმდინარეობდა.

სატელეფონო საუბრების უფლება მსჯავრდებულისთვის/ბრალდებულისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უფლებას წარმოადგენს, რაც ხელს უწყობს პატიმრის ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან მჭიდრო კავშირის შენარჩუნებას. პატიმრობის კოდექსის მე-14 მუხლის პირველი ნაწილის „ა.დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს ისარგებლოს სატელეფონო საუბრებით და მიმოწერით.

მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში იხდის, უფლება აქვს 1 თვის განმავლობაში, საკუთარი ხარჯით ჰქონდეს 4 სატელეფონო საუბარი, თითოეული – არა უმეტეს 15 წუთისა, ხოლო წახალისების ფორმით, საკუთარი ხარჯით – ულიმიტო სატელეფონო საუბარი, თითოეული – არა უმეტეს 15 წუთისა; ამავე კანონის 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, უფლება აქვს, 1 თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით ჰქონდეს 3 სატელეფონო საუბარი, თითოეული - არა უმეტეს 15 წუთისა, ხოლო წახალისების ფორმით, საკუთარი ხარჯით - ულიმიტო სატელეფონო საუბარი, თითოეული - არა უმეტეს 15 წუთისა.

უნდა აღინიშნოს, რომ თუ პატიმარი ერთ სატელეფონო ბარათზე ვერ ამოწურავს სასაუბრო ლიმიტს, მას დარჩენილი ლიმიტი ებლოკება, შესაბამისად აღარ აქვს დამატებითი სატელეფონო ზარის განხორციელების საშუალება და იძულებულია შეიძინოს ახალი ბარათი, რაც დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული.

სატელეფონო ბარათი ასევე იბლოკება თუ პატიმარი ბარათით განხორციელებული სატელეფონო ზარების ფარგლებში ვერ მოახერხებს საუბარს (სატელეფონო კავშირის გაწყვეტის, არასწორი ნომრის აკრეფის ან სხვა მიზეზების გამო). პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად დაფიქსირდა, რომ დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიაში მუდმივად არის სატელეფონო ბარათების დეფიციტი, რაც ხელს უშლის პატიმრებს შეუზღუდავად ისარგებლონ მათთვის მინიჭებული უფლებით.

რაც შეეხება პატიმრობაში მყოფ ბრალდებულებს, პატიმრობის კოდექსის 124-ე მუხლის შესაბამისად, ბრალდებულს 2016 წლის 1 იანვრამდე უფლება აქვს, ადმინისტრაციის კონტროლით, საკუთარი ხარჯით აწარმოოს მიმოწერა და 1 თვის განმავლობაში 3-ჯერ ჰქონდეს სატელეფონო საუბარი, თითოეული – არაუმეტეს 15 წუთისა, მხოლოდ გამომძიებლის, პროკურორის ან სასამართლოს ნებართვით.

მიმოწერა

პატიმრობის კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, შეუზღუდავი რაოდენობით გაგზავნოს და მიიღოს წერილები ამ კოდექსით დადგენილი წესით, გარდა ამავე კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამავე კანონის მე-4 ნაწილის მიხედვით, ბრალდებულის/მსჯავრდებულის კორესპონდენცია ექვემდებარება შემოწმებას, რაც მოიცავს ვიზუალურ დათვალიერებას, კორესპონდენციის შინაარსის გაცნობის გარეშე, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში, დასაბუთებული ვარაუდისას, თუ შესაძლებელია ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ან სხვა პირთა უფლებებსა და თავისუფლებებს, ადმინისტრაცია უფლებამოსილია გაეცნოს კორესპონდენციის შინაარსს და საჭიროებისამებრ შეზღუდოს მისი ადრესატისთვის გაგზავნა, რის თაობაზედაც დაუყოვნებლივ ეცნობება კორესპონდენციის გამგზავნს.

პატიმრობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს ეკრძალება, შეაჩეროს ან/და შეამოწმოს ბრალდებულის/მსჯავრდებულის კორესპონდენცია, რომლის ადრესატი ან ადრესანტი არის საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს პარლამენტის წევრი, სასამართლო, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო, საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველოს სამინისტრო, დეპარტამენტი, საქართველოს სახალხო დამცველი, დამცველი, პროკურორი.

აღსანიშნავია, რომ პატიმრობის კოდექსის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით[193] დადგენილი უფლება ბრალდებულს შეიძლება შეეზღუდოს გამომძიებლის ან პროკურორის მოტივირებული გადაწყვეტილებით.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატიდან გაგზავნილი კორესპონდენციის კონფიდენციალობის დაცვის საკითხს. მიუხედავად კანონში არსებული ჩანაწერისა, სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ ჩატარებული მონიტორინგების დროს გამოვლინდა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სახალხო დამცველის აპარატის კორესპონდენციის კონფიდენციალურობის დარღვევა. ასე მაგალითად, სასჯელაღსრულების N17 დაწესებულებაში ვიზიტის დროს მონიტორინგის ჯგუფმა დაადგინა, რომ სახალხო დამცველის აპარატიდან მსჯავრდებულებისთვის გაგზავნილ კორესპონდენციას გახსნილ მდგომარეობაში არიგებს დაწესებულების ბიბლიოთეკაში

[193] ბრალდებულს დაწესებულებაში ყოფნისას უფლება აქვს: ადმინისტრაციის კონტროლით, საკუთარი ხარჯით აწარმოოს მიმოწერა და 1 თვის განმავლობაში 3-ჯერ ჰქონდეს სატელეფონო საუბარი, თოთოეული - არა უმეტეს 15 წუთისა.

დასაქმებული ერთ-ერთი მსჯავრდებული. სასჯელაღსრულების N2 დაწესებულებაში სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრმა აღმოაჩინა, რომ კანცელარიის თანამშრომელს გახსნილი ჰქონდა სახალხო დამცველის აპარატიდან პატიმრისათვის გაგზავნილი კონვერტი და წერილის ასლის გადაეღო. ამ უკანასკნელის განმარტებით, ეს დაწესებულებაში რუტინულ პრაქტიკას წარმოადგენდა. შესაბამისად, აუცილებელია ყველა საჭირო ზომის მიღება აღნიშნული მანკიერი პრაქტიკის აღმოსაფხვრელად.

სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან კორესპონდენციის გაგზავნა ხდება სოციალური სამსახურის დახმარებით. სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან[194] მიღებული მონაცემების თანახმად, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საჩივრის ყუთის საშუალებით გაგზავნილი იქნა 3 135 წერილი. უნდა აღინიშნოს, რომ წერილების 50 % გაიგზავნა N17, ხოლო 47% - N15 დაწესებულებებიდან. სხვა დაწესებულებებში საჩივრების ყუთით პატიმრები პრაქტიკულად არ სარგებლობენ.

რეკომენდაციები

საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრს:

- **უზრუნველყოს ხანმოკლე პაემნის განხორციელება მინის გამყოფი ბარიერის გარეშე**
- **უზრუნველყოს სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში ხანგრძლივი პაემნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა**
- **სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში უზრუნველყოფილი იქნას ვიდეოპაემნისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა**
- **სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში უზრუნველყოფილი იქნას პატიმრებისთვის კანონმდებლობით მინიჭებული სატელეფონო საუბრებით სრულყოფილად სარგებლობის უფლება**
- **მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა კანონმდებლობის შესაბამისად დაცული იყოს კორესპონდენციის კონფიდენციალურობა**
- **მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა კანონმდებლობის შესაბამისად დაცული იყოს კორესპონდენციის კონფიდენციალურობა**

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს:

[194]სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან 2015 წლის 2 თებერვალს მიღებული N128288 წერილობითი პასუხი.

- სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმრის მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებულ იქნას პატიმრის ოჯახის წევრების საცხოვრებელი ადგილი, რათა უზრუნველყოფილი იყოს პაემნის უფლებით შეუფერხებელი სარგებლობა

წინადადება საქართველოს პარლამენტს:

- **შევიდეს შესაბამისი ცვლილება პატიმრობის კოდექსში და გამოძიების ინტერესების გათვალისწინებით, პატიმრობაში მყოფ ბრალდებულებს მიეცეთ ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის შესაძლებლობა**

- **შევიდეს შესაბამისი ცვლილება პატიმრობის კოდექსში და დახურული ტიპის დაწესებულებებში განთავსებული პატიმრებისთვის უზრუნველყოფილი იქნას ხანმოკლე პაემნების რაოდენობის გაზრდა**

მდგომარეობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ ორგანოებში

შესავალი

წინამდებარე ანგარიში ასახავს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ პოლიციის სამმართველოებსა და განყოფილებებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგებს.

დადებითად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მონიტორინგის მიმდინარეობისას სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრები დაუბრკოლებლად დაიშვებოდნენ და თავისუფლად გადაადგილდებოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს რაიონულ სამმართველოებსა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში. ვიზიტის ფარგლებში ყველა სამმართველოსა და იზოლატორის თანამშრომლები კანონის მოთხოვნის შესაბამისად, სრულად თანამშრომლობდნენ სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან და ხელს უწყობდნენ მათ მონიტორინგის სრულყოფილ განხორციელებაში.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 1 თებერვლის N108 ბრძანების[195] თანახმად, „იზოლატორის სრულფასოვანი გამართული მუშაობისთვის წარმოებს სარეგისტრაციო-საიდენტიფიკაციო და სხვადასხვა დანიშნულების ჟურნალები,

[195] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 1 თებერვლის N108 ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულების, იზოლატორების შინაგანაწესის და იზოლატორების საქმიანობის მარეგულირებელი დამატებითი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“, დანართი N3, მუხლი 5.

ელექტრონული სისტემები და დოკუმენტაციები, კერძოდ: ა) იზოლატორში მოთავსებულ დაკავებულ პირთა აღრიცხვის ერთიანი მონაცემთა ელექტრონული ბაზა; ბ) იზოლატორში მოთავსებულ დაკავებულ პირთა აღრიცხვის წიგნი; გ) იზოლატორში მოთავსებულ პირთა სამედიცინო დახმარების რეგისტრაციის ჟურნალი; დ) შემოსული და გასული კორესპონდენციის ჟურნალები; ე) ამანათების მიღება-გადაცემის ჟურნალი; ვ) დაკავებულის გარეგნული დათვალიერების ოქმი; ზ) ბადრაგირებას დაქვემდებარებულ პატიმართა სია; თ) საგუშაგო ფურცელი; ი) პირადი დათვალიერების ოქმი; კ) საარქივო ბარათი.

განხორციელებული მონიტორინგის დროს შემოწმდა „დაკავებულ პირთა აღრიცხვისა“ და „დროებითი მოთავსების იზოლატორებში გადაყვანილ პირთა აღრიცხვის ჟურნალები“. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აღნიშნული ჟურნალები, ხშირ შემთხვევაში, არასრულყოფილად და არასწორად იყო შევსებული. კერძოდ, რიგ შემთხვევებში ვერ დგინდება, რა დროს იქნა პირი დაკავებული პოლიციის თანამშრომლის მიერ, გაურკვეველია დაკავებულის სამმართველოში შეყვანის თარიღი/დრო, ასევე შემდგომში რა ბედი ეწია დაკავებულს; არეულია ჟურნალებში არსებული ნუმერაცია, არ არის მითითებული, სად და რა ვითარებაში მოხდა სამართალდარღვევა, ზოგ შემთხვევებში კი, გრაფები ჟურნალებში საერთოდ არ არის შევსებული.

ჟურნალების შევსებისას ყველაზე მეტი ხარვეზი დაფიქსირდა ბაღდათის, ზესტაფონის, ცაგერის, საჩხერის, ჭიათურის, ამბროლაურის, ტყიბულის, სამტრედიისა და თერჯოლის რაიონული სამმართველოების მიერ წარმოებულ ჟურნალებში; ხოლო ყველაზე ნაკლები ხარვეზი ვანის, ხონისა და ლენტეხის რაიონული სამმართველოს (დმი-ს) მიერ წარმოებულ ჟურნალებში.

არასათანადო მოპყრობისგან დაცვის მდგომარეობა

ადამიანის წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის აკრძალვა დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ უმთავრეს, ფუნდამენტურ ღირებულებას წარმოადგენს, რომლის მნიშვნელოვან გარანტად ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მესამე მუხლი გვევლინება.[196]

გაეროს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა თუ სასჯელის წინააღმდეგ 1984 წლის კონვენცია წამებას განმარტავს როგორც „ნებისმიერ მოქმედებას, რომლითაც რომელიმე პირს განზრახ აყენებენ ძლიერ ტკივილს ან ტანჯვას, ფიზიკურს და ზნეობრივს, რათა მისგან ან მესამე პირისაგან მიიღონ ინფორმაცია ან

[196] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი, მე-3 მუხლი: „არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას“.

აღიარება, დასაჯონ ქმედებისათვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა ან რომლის ჩადენაშიც იგი ეჭვმიტანილია, აგრეთვე დააშინონ ან აიძულონ იგი ან მესამე პირი ან განახორციელონ ნებისმიერი მიზეზით, რომელსაც საფუძვლად უდევს ნებისმიერი ხასიათის დისკრიმინაცია, როცა ასეთ ტკივილსა და ტანჯვას აყენებს სახელმწიფოს თანამდებობის პირი ან სხვა ოფიციალური პირი, ან მათი წაქეზებით, ნებართვით და მდუმარე თანხმობით. ამ განსაზღვრებაში არ იგულისხმება ტკივილი და ტანჯვა, რომლებიც წარმოიშვება მხოლოდ კანონიერ სანქციათა შედეგად, ამ სანქციათა განუყოფელი ნაწილია ან შემთხვევით არის მათგან გამოწვეული“.[197]

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გადამწყვეტი როლი აკისრია დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის თვალსაზრისით. პოლიციის საქმიანობის განხორციელების ფორმები, მეთოდები და საშუალებები განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით, კერძოდ, „პოლიციელი თავის საქმიანობაში განუხრელად იცავს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და პატივისცემის, კანონიერების, დისკრიმინაციის დაუშვებლობის, თანაზომიერების, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების, პოლიტიკური ნეიტრალობისა და პოლიციის საქმიანობის გამჭირვალობის პრინციპებს“.[198] „პოლიციის საქმიანობის განხორციელების ფორმები, მეთოდები და საშუალებები არ უნდა ხელყოფდეს ადამიანის პატივსა და ღირსებას, არ უნდა არღვევდეს ადამიანის სიცოცხლის, ფიზიკური ხელშეუხებლობისა და საკუთრების უფლებებს და სხვა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, გაუმართლებელ ზიანს არ უნდა აყენებდეს გარემოს“.[199]

N	მონაცემები წლების მიხედვით	2013 წელი	2014 წელი
1	შესახლებულ პირთა რაოდენობა	16553	17087
2	დაზიანებით შესახლებული პირები	7095	6908
3	პრეტენზია პოლიციის მიმართ	111	198

2014 წელს, წინა წელთან შედარებით, დაკავებულ პირთა მიერ პოლიციის მიმართ პრეტენზიის წარდგენის 87 შემთხვევით მეტი დაფიქსირდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორებში გეგმიური მონიტორინგის მიმდინარეობისას სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს დაკავებული პირებისაგან არ მიუღიათ შეტყობინება იზოლატორის თანამშრომელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის შესახებ.

[197] გაეროს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა თუ სასჯელის წინააღმდეგ 1984 წლის კონვენცია, მუხლი I.
[198] საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ“, მუხლი 8, I ნაწილი.
[199] საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ“, მუხლი 9, I ნაწილი.

სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა დროებითი მოთავსების იზოლატორებში შეისწავლა დაკავებულთა გარეგნული დათვალიერების ოქმები. რამდენიმე შემთხვევაში პირი არ გამოთქვამდა პრეტენზიას პოლიციის მიმართ, თუმცა აღნიშნავდა, რომ მან დაზიანებები დაკავების დროს მიიღო. დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც აღწერილი დაზიანებების ხარისხი და ლოკალიზაცია წარმოშობს ეჭვს, რომ პირი დაექვემდებარა არასათანადო მოპყრობას.

2014 წლის ოქტომბერში განხორციელებული მონიტორინგის დროს, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა შეამოწმეს იზოლატორში არსებული 956 დაკავებული პირის საქმე, აქედან დეტალურად იქნა შესწავლილი 150 საქმე, რომელთაგან 41 შემთხვევაში დაფიქსირდა სხვადასხვა სახის დარღვევები. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული 41 შემთხვევიდან, 17 შემთხვევაში დაკავების ოქმში არ არის მითითებული დაზიანებები, რომლებიც დროებითი მოთავსების იზოლატორში შეყვანისას შედგენილი გარეგნული დათვალიერების ოქმში არის აღწერილი. აღნიშნული შემთხვევები მოცემულია ქვემოთ, ცხრილში.

	დაკავების ოქმი	**დმი გარეგნული დათვალიერების ოქმი[200]**
1.	დაზიანებები არ აღენიშნება	სახეზე აღენიშნება სიწითლე
2.	დაზიანებები არ აღენიშნება	ზედა კიდურსა და სახეზე აღენიშნება ექსკორიაცია
3.	დაზიანებები არ აღენიშნება	აღენიშნება სახეზე, ზურგზე და ზედა კიდურზე სიწითლე და ექსკორიაციები
4.	დაზიანებები არ აღენიშნება	აღენიშნება კისრის, სახის და ზედა კიდურის არეში ნაკაწრები
5.	დაზიანებები არ აღენიშნება	აღენიშნება დაზიანება სახის მიდამოში - ჰიპერემიის სახით
6.	დაზიანებები არ აღენიშნება	სახის არეში და ზედა კიდურზე აქვს ჭრილობა
7.	არ არის მითითებული	აღენიშნება სახისა და ზურგის მიდამოში, ექსკორიაცია და ჰიპერემია
8.	არ არის მითითებული	აღენიშნება კისერზე და ზურგის მიდამოში ჰიპერემია
9.	არ არის მითითებული	აღენიშნება კისერზე და ზურგის მიდამოში ჰიპერემია
10.	დაზიანებები არ აღენიშნება	ზედა და ქვედა კიდურზე აღენიშნება ექსკორიაცია
11.	დაზიანებები არ აღენიშნება	აღენიშნება კისრის, ზურგის და ზედა კიდურის არეში ჰიპერემია
12.	დაზიანებები არ აღენიშნება	აღენიშნება კისრის, ზურგის და ზედა კიდურის არეში ჰიპერემია

[200] დაზიანებების შესახებ ინფორმაცია გადმოტანილია უცვლელად.

13.	დაზიანებები არ აღენიშნება	კისერში, ზურგის მიდამოში ზედა და ქვედა კიდურებზე ექსკორიაცია
14.	დაზიანებები არ აღენიშნება	აღენიშნება ქვედა კიდურზე ექსკორიაცია
15.	დაზიანებები არ აღენიშნება	აღენიშნება კისრის არეში და ქვედა კიდურზე ჰიპერემია
16.	დაზიანებები არ აღენიშნება	აღენიშნება ქვედა კიდურისა და სახის მიდამოში ექსკორიაციები
17.	დაზიანებები არ აღენიშნება	ზედა კიდურზე აღენიშნება სისხლნაჟღენთი

აღსანიშნავია, რომ 7 შემთხვევაში, გარეგნული დათვალიერების ოქმში მითითებულია დაზიანება სახის არეში, რაც არ შეიძლება არ შეემჩნია პოლიციის თანამშრომელს გარეგნული დათვალიერების ოქმის შედგენისას. შესაბამისად, ჩნდება მყარი პრეზუმფცია, რომ ზემოთ მითითებულ 17 შემთხვევაში შესაძლებელია პირი დაკავების შემდგომ დროებით მოთავსების იზოლატორში განთავსებამდე დაექვემდებარა ფიზიკურ ძალადობას. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ 17 შემთხვევაში, დროებითი მოთავსების იზოლატორში შედგენილი ოქმისგან განსხვავებით, დაკავების ოქმში სრულად არ არის მითითებული დაკავებული პირის სხეულზე არსებული დაზიანებები.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ თუ პირმა მიიღო დაზიანება იმ დროს, როდესაც ის იმყოფებოდა პოლიციის კონტროლის ქვეშ, ნებისმიერი ამგვარი დაზიანება წარმოშობს მტკიცე პრეზუმფციას, რომ პირი სასტიკ მოპყრობას დაექვემდებარა.[201] ასეთ შემთხვევებში სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამისმა ორგანომ უნდა წარმოადგინოს სარწმუნო ახსნა, თუ როგორ მიიღო დაკავებულმა პირმა დაზიანება.[202] შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დაკავების დროს სხეულის დაზიანების სრულყოფილ დოკუმენტირებას, რათა დაკავებული პირის მიერ საჩივრით მიმართვის შემთხვევაში შესაძლებელი გახდეს სარწმუნო ახსნის წარმოდგენა.

შემოწმების შედეგად ასევე დადგინდა, რომ ზოგიერთ დაკავების ოქმში საერთოდ არ არის გათვალისწინებული გრაფა, რომელშიც უნდა მოხდეს სხეულის დაზიანების შესახებ ინფორმაციის შეტანა, შესაბამისად, დაზიანების დოკუმენტირება დაკავების ასეთ ოქმებში არ ხდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, დაკავების ყველა ოქმში იყოს სხეულის დაზიანების შესახებ გრაფა და ამ გრაფის შევსება მოხდეს ზედმიწევნით.

ზემოაღნიშნული 150 საქმის დეტალური შესწავლის შედეგად გამოვლინდა 3 შემთხვევა, როდესაც დროებითი მოთავსების იზოლატორში შედგენილ ოქმებში არ არის მითითებული ინფორმაცია სხეულის დაზიანების შესახებ მაშინ, როცა დაკავების ოქმში არსებობს ჩანაწერი სხეულის დაზიანების თაობაზე. ასევე, 4 შემთხვევაში გარეგნული დათვალიერების ოქმში

[201] ბურსუკი რუმინეთის წინააღმდეგ (Bursuc v. Romania), 2004 წლის 12 ოქტომბერი.
[202] სელმუნი საფრანგეთის წინააღმდეგ (Selmouni v. France), პარ. 87.

უფრო ნაკლები დაზიანება არის აღწერილი ვიდრე დაკავების ოქმში. აღნიშნული მიუთითებს დროებითი მოთავსების იზოლატორებში სხეულის დაზიანების დოკუმენტირების ხარვეზებზე, რაც დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას.

სხეულის დაზიანების სრულყოფილი დოკუმენტირების პრობლემას თან ერთვის პოლიციის სამმართველოების შენობების აბსოლუტურ უმრავლესობაში სათვალთვალო კამერების არარსებობა. როგორც წესი, სათვალთვალო კამერა დამონტაჟებულია მხოლოდ შენობის შესასვლელთან და ფარავს შენობის გარე პერიმეტრს. მას შემდეგ, რაც დაკავებულ პირს შეიყვანენ შენობაში, შეუძლებელი ხდება დადგენა, თუ სად და რა პირობებში იმყოფებოდა ეს პირი პოლიციის სამმართველოში და ხომ არ დაექვემდებარა ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ ძალადობას[203]. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ აუცილებელია პოლიციის სამმართველოების შენობების სათვალთვალო კამერებით აღჭურვა და ვიდეოჩანაწერის შენახვა გონივრული ვადით.

არასათანადო მოპყრობის ეფექტიანი გამოძიების თვალსაზრისით წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი განმარტავს, რომ ფორმალური საჩივრის არარსებობის პირობებშიც საპროკურორო ზედამხედველობის განმახორციელებელ ორგანოებს უნდა ჰქონდეთ ვალდებულება, დაიწყონ და ჩაატარონ გამოძიება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ნებისმიერი წყაროდან მიიღებენ სარწმუნო ინფორმაციას დაკავებული პირის მიმართ არასათანადო მოპყრობის შესახებ. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს გააჩნდეთ ვალდებულება, არასათანადო მოპყრობის შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიაწოდონ საპროკურორო ზედამხედველობის განმახორციელებელ ორგანოს.[204]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქ ხაშურის დროებითი მოთავსების იზოლატორში განხორციელებული მონიტორინგის დროს, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა დაადგინეს, რომ ერთ-ერთი დაკავებული პირის სხეულზე არსებული დაზიანებების შესახებ შეტყობინება პროკურატურაში არ გაგზავნილა. მნიშვნელოვანია, მკაფიოდ განისაზღვროს დროებითი მოთავსების იზოლატორის თანამშრომელთა ვალდებულება – დაკავებული პირის სხეულის დაზიანების შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ გაუგზავნონ პროკურორს.[205] ამასთან, აუცილებელია ამ ვალდებულების შესრულების მკაცრი კონტროლი

---

[203] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი ხაზს უსვამს პოლიციის განყოფილებებში ვიდეოკამერების ჩანაწერების განხორციელების მნიშვნელობას. იხ. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები (CPT/Inf/E (2002) 1 - Rev. 2015), პარ. 36, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.cpt.coe.int/en/docsstandards.htm [ბოლოს ნანახია 27.03.2015].

[204] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) აქტივობებთან დაკავშირებული 2004 წლის №14 ზოგადი მოხსენება, პარ. 27.

[205] აღსანიშნავია, რომ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პოლიციელი ვალდებულია ფიზიკური ძალის გამოყენების შედეგად პირის დაზიანების შესახებ აცნობოს უშუალო უფროსსა და პროკურორს. ამასთან, ბრალდებულის სხეულის დაზიანების

და ვალდებულების შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებელი პირის მიმართ სათანადო ზომების მიღება.

ქუთაისის დროებითი მოთავსების იზოლატორში დაკავებულ ა.დ.-ს და გ.კ.-ს მონახულებისას აღენიშნებოდათ ფიზიკური დაზიანებები სახის არეში, კერძოდ, ა. დ.-ს – სისხლნაჟღენთი მარჯვენა თვალბუდეში, ნახეთქი ჭრილობები მარჯვენა ლოყაზე, ქვედა ტუჩის მარჯვენა კუთხეში და კეფაზე; ხოლო გ.კ.-ს აღენიშნებოდა ნახეთქი ჭრილობები ცხვირის მარჯვენა მხარეს და მარჯვენა ხელზე. დაკავებულ პირთა განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ მათ არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ პოლიციის თანამშრომლებისთვის, დაკავების მომენტში ორივე მათგანი წააქციეს და სცემეს. ამის შემდეგ ზემოაღნიშნული პირები გადაიყვანეს ქუთაისის N4 განყოფილებაში, სადაც დაახლოებით 1 საათის განმავლობაში ემუქრებოდნენ და აიძულებდნენ ხელმოწერით დაედასტურებინათ, რომ სხეულზე არსებული დაზიანებები მიღებული ჰქონდათ დაკავებამდე.

მონიტორინგის ფარგლებში, დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაკავებულ პირებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ რიგ შემთხვევებში, დაკავებული პირები ვერ ახერხებენ შეატყობინონ ოჯახის წევრებს მათი ადგილსამყოფელი, შესაბამისად ისარგებლონ მათ მიერ არჩეული ადვოკატის მომსახურებით და მიიღონ სათანადო სამედიცინო მომსახურება, რაც წარმოადგენს არასათანადო მოპყრობისგან დაკავებული პირის დაცვის გარანტიას და უნდა ამოქმედდეს პოლიციის მიერ პირის დაკავებისთანავე. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დაშინების, ზეწოლის, შეურაცხყოფისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობის საფრთხე ყველაზე მაღალია სწორედ თავისუფლების აღკვეთის პირველ ეტაპზე.

პირის დაკავებისას პოლიციელებმა უნდა გამოიყენონ მინიმალური ძალა, რათა დაკავებულს არ მიაყენონ ფიზიკური ზიანი. ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, პოლიციისთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულების უზრუნველსაყოფად პოლიციელი უფლებამოსილია პროპორციულად გამოიყენოს გამოსადეგი იძულების ღონისძიებები მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, იმ ინტენსივობით, რომელიც უზრუნველყოფს კანონიერი მიზნის მიღწევას.[206] იძულების ღონისძიების სახე და ინტენსიურობა განისაზღვრება კონკრეტული სიტუაციის, სამართალდარღვევის ხასიათისა და სამართალდამრღვევის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. ამასთანავე,

---

შესახებ პროკურორისათვის შეტყობინების გაგზავნის ვალდებულებას ითვალისწინებს ასევე პატიმრობის კოდექსი. კერძოდ, პატიმრობის კოდექსის 75-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ბრალდებულის სხეულზე დაზიანების დაფიქსირების შემთხვევაში ადმინისტრაცია ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს პროკურორს.

[206] საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ“, მუხლი 31, ნაწილი 1.

იძულების ღონისძიების გამოყენებისას პოლიციელი უნდა შეეცადოს, რომ მიყენებული ზიანი მინიმალური და თანაზომიერი იყოს.[207]

აღსანიშნავია, რომ 2014 წლის განმავლობაში სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ პოლიციის მხრიდან გამოყენებული ძალისმიერი მეთოდებით დაკავების დროს დაკავებულებს მიადგათ არაერთი სახის დაზიანება. დაკავებულებს დაზიანებები უმეტესად გულმკერდის, ქვედა კიდურებისა და სახის არეში აღენიშნებათ. მაგალითის სახით, ქვემოთ, ცხრილში მოცემული შემთხვევებიდან ჩანს, რომ პოლიციის თანამშრომლებს დაკავების ოქმში არ აქვთ მითითებული დეტალური ინფორმაცია, თუ რაში გამოიხატა პირის წინააღმდეგობა და იძულების რა ღონისძიებების გამოყენებით მოხდა დაკავება. ამასთან, დაკავებული პირის სხეულზე არსებული დაზიანებების აღწერა დაკავების ოქმში და გარეგნული დათვალიერების ოქმში ერთმანეთს არ ემთხვევა. ყოველივე ზემოაღნიშნული კი ქმნის გონივრულ ეჭვს, რომ მითითებულ შემთხვევებში პოლიციელების მხრიდან შესაძლოა ადგილი ჰქონოდა ძალის გადამეტებას.

N	დაკავების ოქმი	დაკავების გარემოებები	გარეგნული დათვალიერების ოქმი
1	თავის არეში მარცხენა მხარეს შუბლის ზემოთ აღენიშნება დაზიანება, რომელიც მისი განმარტებით მიიღო დაკავებამდე	დააკავეს 21:15 საათზე, არ დაემორჩილა პოლიციელის კანონიერ მოთხოვნას, გაუწია წინააღმდეგობა.	დაზიანება აქვს თავის არეში, თუმცა განმარტავს, რომ რამდენიმე დღის წინ მიიღო მუშაობისას.
2	აღენიშნება მარჯვენა ბეჭის ზედა მხარეზე სიწითლე, მარცხენა ფერდზე სიწითლე, მარჯვენა წარბის ზემოთ სიწითლე და მარცხენა მუხლის თავზე ნაკაწრი	დააკავეს 17:35 საათზე პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის დროს, ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით	აღენიშნება მარჯვენა ბეჭის ზედა მხარეზე სიწითლე, მარცხენა ფერდზე სიწითლე, მარჯვენა წარბის ზემოთ სიწითლე და მარცხენა მუხლის თავზე ნაკაწრი
3	მარცხენა წარბზე აღენიშნება ნაკაწრი ჭრილობა, მარცხენა თვალბუდის არეში აღენიშნება სილურჯე, სიწითლე, მარცხენა მხარეს კისერთან აღენიშნება ნაკაწრები, მარცხენა ბეჭზე და ზურგის არეში ნაკაწრები და სიწითლე, მუცლის არეში აღენიშნება სიწითლე	დააკავეს 17:35 საათზე პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის დროს, ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით	სახის, გულმკერდის, მუცლის, ზურგის,ზედა და ქვედა მიდამოში აღენიშნება ექსკორიაცია, სისხლნაჟღენთი, დაჟეჟილობა-შეშუპება
4	აღენიშნება დაზიანება მარცხენა ყურთან, ყელის, სახის, გულ-მკერდისა და მარჯვენა ხელის არეში ნაკაწრები, მარჯვენა ფეხის წვივზე მოლურჯო ფერის სისხლნაჟღენთი.	დააკავეს 03:50 საათზე პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის დროს, იძულებითი ღონისძიების გამოყენებით	სახის, კისრის, გულ-მკერდის მიდამოში, ზედა და ქვედა კიდურებზე აღენიშნება სისხლნაჟღენთი, ჰიპერემია და დაჟეჟილობა/შეშუპება

[207] საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ“, მუხლი 31, ნაწილი 4.

5	მარცხენა ხელზე, ზურგის მარჯვენა ზედა არეში აღენიშნება დაზიანება სისხლჩაქცევების სახით	დააკავეს 23:10 საათზე, პოლიციის მუშაკების მიერ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს, წინააღმდეგობის გაწევისას	აღენიშნება ზურგის, ქვედა და ზედა კიდურზე სისხლნაჟღენთი და ჰიპერემია
6	აღენიშნება ნაიარევი თავზე, რომელიც მისი განმარტებით მიიღო რამდენიმე წლის წინ, ასევე აღენიშნება ნაკაწრები მუცლის არეში, ზურგზე მარჯვენა ბეჭთან და ტუჩზე. აღნიშნული დაზიანებები მისი განმარტებით მიიღო მანქანის შეკეთების დროს	დააკავეს 18:20 საათზე, არ დაემორჩილა პოლიციის კანონიერ მოთხოვნას	აღენიშნება სახის და გულ-მკერდის არეში, ზურგის არეში ექსკორიაცია, სისხლნაჟღენთი და ჰიპერემია
7	სხეულის წინა და უკანა მხარეზე აღენიშნება ნაჭდევები, რომელიც მისი განმარტებით გამოწვეულია დაავადებისგან, ასევე იდაყვებზე აღენიშნება დაზიანებები, მარჯვენა თვალზე აქვს სილურჯე	დააკავეს 03:15 საათზე, პოლიციის მუშაკების მიერ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს, წინააღმდეგობის გაწევისას	აღენიშნება სახის მიდამოში ნაჭდევი, სისხლნაჟღენთი
8	ქვედა და ზედა კიდურზე, ასევე მუცლის მიდამოში აღენიშნება ნაიარევი, რომელიც მისი განცხადებით მიიღო რამდენიმე წლის წინ	დააკავეს 21:50 საათზე, პატრულ ინსპექტორისთვის წინააღმდეგობის გაწევისა და სახეში დარტყმისას	ზედა კიდურზე აღენიშნება სისხლნაჟღენთი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებთ,[208] 2014 წელს დაკავებულმა პირმა სხეულის დაზიანება 6636 შემთხვევაში მიიღო დაკავებამდე, 254 შემთხვევაში - დაკავებისას, ხოლო 68 პირმა სხეულის დაზიანება მიიღო დაკავების შემდგომ, აქედან დროებითი მოთავსების იზოლატორში 28 შემთხვევაში ადგილი ჰქონდა თვითდაზიანებას, ხოლო 9 შემთხვევაში – საყოფაცხოვრებო ტრავმას.

დროებითი მოთავსების იზოლატორებში არსებული მდგომარეობა

2014 წლის განმავლობაში მთელი საქართველოს მასშტაბით ფუნქციონირებდა 37[209] დროებითი მოთავსების იზოლატორი, აქედან ორი თბილისშია, დანარჩენი საქართველოს რეგიონებში. კერძოდ, თბილისის N1, თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის, მცხეთა-მთიანეთის, დუშეთის, თელავის, საგარეჯოს, სიღნაღის, ყვარელის, გორის, ხაშურის,

[208] იგულისხმება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს N604485 წერილი, რომელიც საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა 2015 წლის 23 მარტს და დარეგისტრირდა ნომრით 3290/15.

[209] იგულისხმება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს N604485 წერილი, რომელიც საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა 2015 წლის 23 მარტს და დარეგისტრირდა ნომრით 3290/15.

ბორჯომის, ახალციხის, ახალქალაქის, რუსთავის, თეთრიწყაროს, წალკის, გარდაბნის, მარნეულის, ქუთაისის, ლენტეხის, ზესტაფონის, ბაღდათის, ჭიათურის, სამტრედიის, ამბროლაურის, ზუგდიდის რეგიონული, ზუგდიდის, სენაკის, ხობის, ფოთის, ჩხოროწყუს, მესტიის, ბათუმის, ქობულეთის, ოზურგეთის, ლანჩხუთის და ჩოხატაურის დროებითი მოთავსების იზოლატორები.

მოწოდებული წერილობითი პასუხის თანახმად, აღნიშნულ 37 დროებითი მოთავსების იზოლატორში, წლის მანძილზე შესახლებულ იქნა 17087 პირი. თითოეული დროებითი მოთავსების იზოლატორის წლიური მონაცემები იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

N	იზოლატორი	დაკავებული პირები	N	იზოლატორი	დაკავებული პირები
1	თბილისის N1 დმი	859	20	ლენტეხის დმი	12
2	თბ. და მცხ. მთიანეთის დმი	5351	21	ზესტაფონის დმი	297
3	მცხეთა-მთიანეთის დმი	390	22	ბაღდათის დმი	83
4	დუშეთის დმი	45	23	ჭიათურის დმი	101
5	თელავის დმი	333	24	სამტრედიის დმი	302
6	საგარეჯოს დმი	211	25	ამბროლაურის დმი	54
7	სიღნაღის დმი	198	26	ზუგდიდი რეგ. დმი	338
8	ყვარელის დმი	431	27	ზუგდიდის დმი	518
9	გორის დმი	535	28	სენაკის დმი	311
10	ხაშურის დმი	428	29	ხობის დმი	233
11	ბორჯომის დმი	136	30	ფოთის დმი	166
12	ახალციხის დმი	277	31	ჩხოროწყუს დმი	183
13	ახალქალაქის დმი	52	32	მესტიის დმი	20
14	რუსთავის დმი	477	33	ბათუმის დმი	2039
15	თეთრიწყაროს მდი	27	34	ქობულეთის დმი	221
16	წალკის დმი	46	35	ოზურგეთის დმი	171
17	გარდაბნის დმი	78	36	ლანჩხუთის დმი	65
18	მარნეულის დმი	893	37	ჩოხატაურის დმი	28
19	ქუთაისის მდი	1178	-	სულ	17087

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წელს დროებითი მოთავსების იზოლატორებში შეასახლეს 16553 პირი, შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში შეინიშნება დაკავებულ პირთა რაოდენობის ზრდა წინა წელთან შედარებით.

დროებითი მოთავსების იზოლატორებში განთავსებული პირების საყოფაცხოვრებო პირობები უნდა შეესაბამებოდეს როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო სტანდარტებს. გაეროს „პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების“ მე-10 წესის თანახმად, „ყველა ადგილი, რითაც პატიმრები სარგებლობენ, განსაკუთრებით ყველა საძინებელი ოთახი, სრულიად უნდა პასუხობდეს სანიტარულ მოთხოვნებს. ამასთან, სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს კლიმატურ პირობებს, განსაკუთრებით ოთახების სიმაღლეს, მინიმალურ ფართობს, განათებასა და ვენტილაციას“.

საქართველოს კანონმდებლობით[210] ასევე განსაზღვრულია ადმინისტრაციული პატიმრობის პირობები. იზოლატორში არსებული სანიტარიულ-ჰიგიენური და საერთო პირობები არ უნდა ლახავდეს ადამიანის ღირსეული არსებობის უფლებას, მის პატივსა და ღირსებას, პიროვნების ხელშეუხებლობას, პირადი ცხოვრების პატივისცემის ინტერესებს. იზოლატორების ადმინისტრაციას ევალება: დაკავებულ პირთა საკნებში საძილე პირობების ჯანმრთელობის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა; საკნების ბუნებრივი და ხელოვნური განათების, გათბობის, ვენტილაციის, საკნებში სათანადო სანიტარული პირობების, საკნებში ჰიგიენის სათანადო დონეზე დაცვის უზრუნველყოფა; დაკავებული პირის საკუთარი სახსრებით საკვების და ტანსაცმლის შეტანის უფლებისა და ამანათის მიღების უფლების უზრუნველყოფა; იზოლატორებში სამედიცინო მომსახურებისა და დაკავებული პირისათვის საკანში განცალკევებულად ყოფნის უფლების უზრუნველყოფა. აგრეთვე დაკავებული პირის გასეირნების, გარე სამყაროსთან კომუნიკაციის და საჩივრების წარდგენის უფლების უზრუნველყოფა.

საქართველოს რეგიონებში არსებულ უმეტეს დროებითი მოთავსების იზოლატორში სავენტილაციო სისტემები პრაქტიკულად არ ფუნქციონირებს. მცირე ზომის სარკმლები კი ვერ უზრუნველყოფს ბუნებრივ ვენტილაციას და განათებას. საკნები სათანადოდ ვერ თბება. მონიტორინგის შედეგების საილუსტრაციოდ ქვემოთ მოცემულია რამდენიმე დროებითი მოთავსების იზოლატორში არსებული მდგომარეობა.

ქუთაისის დროებითი მოთავსების იზოლატორში არ არის დაკავებულ პირთა სასეირნო ადგილი. იზოლატორში არსებული ათი საკნიდან რვა ოთხადგილიანია, ერთი – ექვსადგილიანი და ერთიც – ათადგილიანი; სამი საკანი[211] მეტ-ნაკლებად სარემონტოა (ზედა სართულიდან ჩამოსული წყლის გამო კედლები ნესტიანია); დანარჩენ საკნებში არსებული სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ოთხადგილიანი

[210]„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულების, იზოლატორების შინაგანაწესის და იზოლატორების საქმიანობის მარეგულირებელი დამატებითი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 1 თებერვლის №108 ბრძანება, დანართი N1, მუხლი 4.
[211] №4, №7 და №8 საკნები.

საკნის ფართობი (საპირფარეშოს ფართის ჩათვლით) შეადგენს დაახლოებით 9.48-9.78 კვადრატულ მეტრს, ათადგილიანი საკნის ფართობია 21.14 კვადრატული მეტრი, ექვს ადგილიანის – 16.32 კვადრატული მეტრი.

საკნებში სანიტარული კვანძი არ არის იზოლირებული. იატაკიდან 60 სმ სიმაღლეზე კედლიდან გამოდის წყლის მილი, რომელიც გამოიყენება როგორც დასალევად და ხელ-პირის დასაბანად, ასევე საპირფარეშოს ჩასარეცხად; წყლის მოშვება ხდება საკნების გარედან. საკნებში ხელოვნურ განათებას უზრუნველყოფს საკნის კარის ზემოთ არსებულ პატარა სარკმელში დამონტაჟებული ერთი ნათურა, რომელიც მუდმივად ანთია.[212]

ლენტეხის დროებითი მოთავსების იზოლატორი განთავსებულია პოლიციის განყოფილების შენობაში და გამოყოფილია რკინის გისოსებითა და ხის კარით. ასეთი საკანი არის სულ ორი. თითოეული გათვლილია ორ ადამიანზე. საკნების ფართობებია: 4.3 და 4.4 კვადრატული მეტრი, ჭერის სიმაღლე – 2.9 მეტრი; საკნებში არ არის ფანჯრები, ხელოვნური ვენტილაცია, გათბობის სისტემა, წყალი, სანიტარული კვანძი, მაგიდები და სკამები. დაკავებული პირები საჭიროების შემთხვევაში სარგებლობენ პოლიციის თანამშრომლებისთვის განკუთვნილი, საერთო სარგებლობის სანიტარული კვანძით. იზოლატორს არ აქვს სასეირნო ადგილი.

გორის დროებითი მოთავსების იზოლატორში არსებულ ხუთივე საკანში არასაკმარისი ბუნებრივი განათებაა. საკნებში არ დგას რაიმე სახის ავეჯი. სანიტარული კვანძი არ არის იზოლირებული. საპირფარეშოს ჩასარეცხი წყლის ონკანი მოთავსებულია იზოლატორის დერეფანში და წყალს მორიგე ოფიცერი უშვებს.

ხაშურის დროებითი მოთავსების იზოლატორში დაკავებულ პირთათვის განკუთვნილია სულ 4 საკანი. ყველა საკანი იდენტურია: არ არის უზრუნველყოფილი ბუნებრივი და ხელოვნური გათბობით, ვენტილაცია არასაკმარისია, სანიტარული კვანძი არ არის იზოლირებული.

დუშეთის დროებითი მოთავსების იზოლატორში არსებულ საკნებში ბეტონის იატაკი, კედლები და ჭერია. საკნებს აქვს ერთი მცირე ზომის ფანჯარა, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ვერც ბუნებრივ განათებას და ვერც ვენტილაციას. ხელოვნური განათება საკნებში არასაკმარისია, სავენტილაციო სისტემა კი საერთოდ არ არსებობს. ყველა საკანში იგრძნობა სინესტე და სპეციფიკური სუნი. იზოლატორს არ აქვს სასეირნო ეზო.

მცხეთის დროებითი მოთავსების იზოლატორში საკნებში ბეტონის იატაკი, კედლები და ჭერია. საკნები ნესტიანია, იდგა სპეციფიკური სუნი. მცირე ზომის ფანჯრები ვერ უზრუნველყოფს საკნების ნორმალურ განათებასა და ვენტილაციას. საკნებში სანიტარული კვანძი არ არის იზოლირებული. საპირფარეშოს ჩასარეცხი წყალი ირთვება საკნების გარედან.

[212] ნათურის ანთება/ჩაქრობა ხდება საკნის გარედან.

იზოლატორში ერთი საკანი[213] განკუთვნილია დაკავებული ქალებისთვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკანში საერთოდ არ არის სანიტარული კვანძი, რის გამოც საჭიროების შემთხვევაში დაკავებული პირები სარგებლობენ იზოლატორში არსებული საერთო სანიტარული კვანძით. დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ მცხეთის იზოლატორს აქვს დაკავებულ პირთა სასეირნო ეზო.

თეთრიწყაროს დროებითი მოთავსების იზოლატორს არ აქვს დაკავებულ პირთა სასეირნო ეზო. საკნებში არ არის გათბობა და საკმარისი ხელოვნური განათება. სანიტარული კვანძი არ არის იზოლირებული. დროებითი მოთავსების იზოლატორის ხელმძღვანელი პირის განმარტებით, დაკავებულებს რამდენიმე თანამშრომლის თანხლებით ასეირნებენ დაწესებულების გარეთა ეზოში.

რუსთავის დროებითი მოთავსების იზოლატორში 4 საკანია. არასაკმარისია საკნების ხელოვნური და ბუნებრივი განათება და ვენტილაცია. სანიტარული კვანძი არ არის იზოლირებული. საკანში არ არის პირსაბანი, რის გამოც დაკავებულ პირს სასმელი წყლის აღება უწევს საპირფარეშოს ჩასარეცხი მილიდან.

გარდაბნის დროებითი მოთავსების იზოლატორში სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ მონიტორინგის განხორციელების დროს მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარდაბნის დროებითი მოთავსების იზოლატორი განთავსებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს გარდაბნის რაიონული სამმართველოს შენობის სარდაფში, სადაც 2013 წელს განხორციელებული მონიტორინგის დროს დადგინდა, რომ არ ხდებოდა საკნების ბუნებრივი გზით განათება და ვენტილაცია. საქართველოს სახალხო დამცველმა 2013 წლის საპარლამენტო ანგარიშში შინაგან საქმეთა მინისტრს რეკომენდაციით მიმართა ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორის საკნები უზრუნველყოფილიყო სათანადო სავენტილაციო სისტემით. როგორც 2014 წელს განხორციელებული ვიზიტის დროს გახდა ცნობილი, აღნიშნული სარემონტო სამუშაოები დაკავშირებული იყო სწორედ საკნებში არსებული საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებასთან, რაც მისასალმებელია.

მარნეულის დროებითი მოთავსების იზოლატორში დაკავებულ პირთა განთავსებისთვის არის 6 საკანი. საკნებში ხელოვნური და ბუნებრივი განათება არასაკმარისია. მართალია სავენტილაციო სისტემა მუშაობს, მაგრამ ვერ უზრუნველყოფს სათანადო ვენტილაციას. სანიტარული კვანძი არ არის იზოლირებული. იზოლატორს აქვს თავისი შიდა სასეირნო ეზო, სადაც დაკავებულ პირებს ასეირნებენ. . აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წვიმიან/თოვლიან ამინდში შეუძლებელია გასეირნება, ვინაიდან ეზო არ არის ადაპტირებული სხვადასხვა კლიმატურ პირობებთან.

[213] N4 საკანი.

მონიტორინგის ჯგუფის წევრების ერთ-ერთ საკანში შესვლის დროს აღმოჩნდა, რომ იქ განთავსებულ პირებს არ ჰქონდათ პირადი ჰიგიენის ნივთები, კერძოდ, საპონი და ტუალეტის ქაღალდი.

ციხის ევროპული წესების მიხედვით, „პატიმრებს იოლად უნდა მიუწვდებოდეთ ხელი საპირფარეშოებზე, რომლებიც უნდა იყოს ჰიგიენური და იძლეოდეს განმარტოების საშუალებას“.[214] აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული დროებითი მოთავსების იზოლატორებიდან არც ერთში არ არის იზოლირებული სანიტარული კვანძი. გარდა ამისა, იზოლატორებში არსებული საკნების ფართობი არ შეესაბამება სტანდარტებს. სახალხო დამცველმა თავის არაერთ საპარლამენტო მოხსენებაში გასცა რეკომენდაცია, თითოეულ დაკავებულზე გათვალისწინებული ყოფილიყო 4 კვ.მ. ფართი. აღნიშნული რეკომენდაცია გაიცა აგრეთვე წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის მიერ. რაც შეეხება საკნებს, სადაც დაკავებულები მარტო არიან განთავსებულნი, მათი ფართობი არ უნდა იყოს 7 კვ.მ.-ზე ნაკლები.[215]

დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაკავებულებს მიეწოდებათ სტანდარტული საკვები, პურის, ჩაის, პაშტეტის, საქონლის ხორცის კონსერვისა და მშრალი პაკეტი სუპის სახით. იმის გათვალისწინებით, რომ პირს შეიძლება 15 დღის მანძილზე მოუწიოს დროებითი მოთავსების იზოლატორში ყოფნა და არ ჰყავდეს ახლობლები, რომლებიც ამანათით დამატებით საკვებს შეუგზავნიან, აღნიშნული საკვები არასრულფასოვანია, ვინაიდან „ადმინისტრაციულ პატიმრობა შეფარდებული პირისათვის მიწოდებული საკვები უნდა შეიცავდეს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის აუცილებელ კომპონენტებს“.[216]

ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორებში, საკნების გარეთ დამონტაჟებულია სათვალთვალო კამერები, თუმცა ვიდეოჩაწერა და ჩანაწერების გონივრული ვადით შენახვა არ ხდება. მიგვაჩნია, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორებში არასათანადო მოპყრობის შესახებ საჩივრის შემთხვევაში გამოძიებისათვის ვიდეო ჩანაწერის სახით მტკიცებულების მიწოდების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია განხორციელდეს ვიდეოჩაწერა და ჩანაწერების გონივრული ვადით შენახვა.

სამედიცინო შემოწმება დროებითი მოთავსების იზოლატორებში

---

[214] ციხის ევროპული წესები. წესი 19.3.

[215] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) 2010 წლის ანგარიში საქართველოს მთავრობას, პარ. 117.

[216]„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულების, იზოლატორების შინაგანაწესის და იზოლატორების საქმიანობის მარეგულირებელი დამატებითი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 1 თებერვლის №108 ბრძანება. დანართი N4, მუხლი 2, ნაწილი 6.

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულების, იზოლატორების შინაგანაწესის და იზოლატორების საქმიანობის მარეგულირებელი დამატებითი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 1 თებერვლის №108 ბრძანების მეოთხე მუხლის II ნაწილის „ზ“ პუნქტის თანახმად, იზოლატორების ადმინისტრაციას ევალება იზოლატორებში სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა, ხოლო „იმ შემთხვევაში, თუ დაკავებული უჩივის ჯანმრთელობის მდგომარეობას ან გამოვლინდება ავადმყოფობის აშკარა ნიშნები, იზოლატორის პასუხისმგებელი მორიგე ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოიძახოს შინაგან საქმეთა სამინიტროს სამედიცინო პერსონალი ან სამედიცინო დახმარების ბრიგადა, ან ჯანდაცვის ორგანოების უახლოესი სამკურნალო დაწესებულების ექიმი, რათა მიიღოს დასკვნა იზოლატორში ასეთი პირის მოთავსების შესაძლებლობის შესახებ“.[217] „იზოლატორში ყოფნის დროს დაკავებული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში იზოლატორის მორიგე ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოიძახოს მედპერსონალი და გაწეული სამედიცინო დახმარების შესახებ გააკეთოს ჩანაწერი იზოლატორში განთავსებულ პირთა პირველადი სამედიცინო დახმარების რეგისტრაციის ჟურნალში, ხოლო საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს დაკავებული პირის გადაყვანა შესაბამის სტაციონალურ დაწესებულებაში ბადრაგის თანხლებით“.[218]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2014 წელს, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, სულ 241 პირი გადაიყვანეს სამკურნალო დაწესებულებაში; დაკავებულთა მხრიდან დაფიქსირდა სუიციდის მცდელობის 3 შემთხვევა.[219]

საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა შეამოწმეს შსს შიდა ქართლის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ქალაქ გორის დროებითი მოთავსების იზოლატორში წარმოებული დოკუმენტაცია. შედეგად დადგინდა, რომ 2014 წლის იანვრისა და თებერვლის თვეებში დროებითი მოთავსების იზოლატორებში შემოყვანილ პირთა პირველადი შემოწმების დროს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის მიერ დაკავებულ პირთა სამედიცინო შემოწმება არ მოხდა ათეულობით შემთხვევაში. აღნიშნულთან დაკავშირებით იზოლატორის თანამშრომელმა განმარტა, რომ ამ პერიოდში იძახებდნენ სამედიცინო პერსონალს, თუმცა ისინი უარს აცხადებდნენ დაკავებული პირების სამედიცინო შემოწმებაზე. ამ მიზეზის გამო, დაკავებულის პირველადი გარეგნული დათვალიერება ხდებოდა მხოლოდ მათ მიერ.

[217] იქვე, დანართი N3, მუხლი 3, ნაწილი 2.
[218] იქვე, დანართი N3, მუხლი 5, ნაწილი 4.
[219] ბათუმის, ხობისა და სიღნაღის დროებითი მოთავსების იზოლატორებში.

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების მიერ დუშეთის რაიონული სამმართველოს მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ დაკავებულთა შეყვანისას სხეულის დაზიანების 4 შემთხვევაში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის გამოძახების ბარათში არ არის ჩანაწერი დაზიანებების არსებობა-არარსებობის შესახებ მაშინ, როცა ამგვარი ინფორმაცია მითითებულია გარეგნული დათვალიერების ოქმში.

მონიტორინგის მიმდინარეობისას ქუთაისის დროებითი მოთავსების იზოლატორში მყოფი ზ.ბ-ს და რ.ჭ-ს განმარტებით, ისინი ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ თბილისში, სადაც ჩართული იყვნენ მეტადონით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამაში. ზ.ბ-მ და რ.ჭ-მ განმარტეს, რომ 24 საათზე მეტი იყო გასული, რაც არ მიუღიათ ექიმის მიერ დანიშნული პრეპარატი მეტადონი და განიცდიდნენ აბსტინენციის სინდრომს. გარდა ამისა, რ.ჭ-მ განაცხადა, რომ იგი დაავადებულია დიაბეტით.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა მიმართეს დროებითი მოთავსების იზოლატორის უფროსს, რომელმაც გადააგზავნა შესაბამისი მიმართვა ქუთაისის სამხარეო ნარკოლოგიურ ცენტრში, სადაც ფუნქციონირებს მეტადონით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამა, აგრეთვე, სამხარეო ცენტრალურ კრიმინალურ პოლიციას გაუგზავნა ელექტრონული შეტყობინება საბადრაგო ჯგუფის გამოყოფის თაობაზე. იმავდროულად, სანამ საბადრაგო ჯგუფის გამოყოფის ფორმალური პროცედურები დასრულდებოდა, დმი-ში გამოცხადდა იურიდიული დახმარების სამსახურის, იმერეთის-ქუთაისის იურიდიული ბიუროს ადვოკატი, რომელიც შეხვდა და ესაუბრა რ.ჭ-ს.

იმავე საღამოს სპეციალური ჯგუფის წევრები შეხვდნენ დაკავებულ პირებს. იზოლატორის უფროსის გადმოცემით, ქუთაისის სამხარეო ნარკოლოგიურ ცენტრში არ დააკმაყოფილეს მისი მიმართვა, დაკავებულებისთვის შესაბამისი სამედიცინო დახმარების გაწევის თაობაზე, რის გამოც, დაკავებულ პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო საჭირო გახდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმის გამოძახება, რომელმაც დაკავებულებს მხოლოდ ზოგადი თერაპიული დახმარება გაუწია.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, წამალდამოკიდებული პირების აბსტინენციის მდგომარეობის მართვა დროებით მოთავსების იზოლატორებში პრობლემას წარმოადგენს. ამ მხრივ, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ და გლობალურმა ფონდმა ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამის ფარგლებში უნდა გადადგან შემხვედრი ნაბიჯები, რათა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ნარკოტიკებზე დამოკიდებულ დაკავებულ პირებს გაეწიოთ შესაბამისი დახმარება. ამასთან ერთად, შინაგან საქმეთა სამინისტრომ უნდა გააძლიეროს ძალისხმევა დროებითი მოთავსების იზოლატორებში სამედიცინო მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებით.

რეკომენდაცია შინაგან საქმეთა მინიტრს:

- მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა დაკავებულ პირთა შესახებ დოკუმენტაცია სრულყოფილად შეივსოს
- ყველა შემთხვევაში ბრალდებულ პირს მიეცეს შესაძლებლობა, დაკავებისთანავე ან დაპატიმრების შემთხვევაში, თავისი ოჯახის წევრს ან ახლო ნათესავს შეატყობინოს დაკავების ან დაპატიმრების ფაქტი და ადგილსამყოფელი, თავისი მდგომარეობა, ასევე შეატყობინოს კრედიტორს, სხვა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს, რომელთა მიმართაც მას სამართლებრივი ვალდებულებები აკისრია
- ყველა შემთხვევაში ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირს მიეცეს შესაძლებლობა, შეატყობინოს მისი დაკავების ფაქტი და ადგილსამყოფელი მის მიერ დასახელებულ ახლობელს, ასევე მისი სამუშაო ან სასწავლო ადგილის ადმინისტრაციას
- შესაბამისი ნორმატიული აქტით განსაზღვროს დროებითი მოთავსების იზოლატორის თანამშრომლების ვალდებულება დაკავებული პირის სხეულზე არსებული დაზიანების შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ გაუგზავნონ პროკურორს. ამასთან, განახორციელოს მკაცრი კონტროლი ამ ვალდებულების შესრულებაზე და პასუხისმგებელი პირების მიმართ მიიღოს შესაბამისი ზომები
- პოლიციის ყველა სამმართველოს შენობაში დამონტაჟდეს სათვალთვალო კამერები და ვიდეოჩანაწერები შენახულ იქნას გონივრული ვადით
- დროებითი მოთავსების იზოლატორებში უზრუნველყოფილ იქნას სათვალთვალო კამერების ჩანაწერების შენახვა გონივრული ვადით
- ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორის საკნებში დამონტაჟდეს ცენტრალური გათბობა, ასევე უზრუნველყოფილ იქნას საკნების სათანადო განათება და ვენტილაცია
- ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორში მოხდეს სანიტარული კვანძის სრული იზოლირება
- ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორში შეიქმნას პირობები ჰიგიენის დაცვისთვის, მათ შორის, ყველა საკანში დამონტაჟდეს ონკანი და ხელსაბანი ნიჟარა, რათა დაკავებულმა პირმა დამოუკიდებლად შეძლოს წყლით სარგებლობა
- ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორში ლიკვიდირებულ იქნას ფიცარნაგები და ყველა დაკავებული უზრუნველყოფილ იქნას ინდივიდუალური საწოლით
- ყველა იზოლატორს მიეწოდოს სათანადო რაციონის საკვები
- დროებითი მოთავსების იზოლატორებში, ყველა შემთხვევაში, უზრუნველყოფილ იქნას დაკავებულ პირთათვის დროული და ადეკვატური სამედიცინო მომსახურება

რეკომენდაცია საქართველოს მთავარ პროკურორს:

- უზრუნველყოს არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტების დროული და ეფექტიანი გამოძიება

მიგრანტთა დაცვა არასათანადო მოპყრობისგან

საერთაშორისო სამართლის შესაბამისად სახელმწიფოებს აქვთ უფლება შეიმუშაონ თავიანთი საემიგრაციო პოლიტიკა და დეპორტაციის პროცედურები. მიუხედავად ამისა აუცილებელია, რომ აღნიშნულმა პროცედურებმა არ შელახოს ადამიანის უფლებები. არასათანადო მოპყრობის პრევენცია მიგრანტების მიმართ გულისხმობს საემიგრაციო კანონმდებლობის შესაბამისობას ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებთან. კერძოდ კი, მიგრანტთა მიმართ სამართლიან მოპყრობას, პროპორციულ სანქციებს, უკანონო დაკავების აღკვეთას, პატივისა და ღირსების შესაბამის დეპორტაციის პროცედურებს და მიგრანტთა შესაბამის პირობებში განთავსებას.[220]

საქართველოს მიგრაციის შესახებ კანონმდებლობა მოიცავს სხვადასხვა ეროვნულ საკანონმდებლო რეგულაციებს, რომლებიც ერთობლიობაში ქმნიან საემიგრაციო პოლიტიკას. წინამდებარე თავისთვის მიმოიხილა საქართველოში მიგრანტთა დეპორტაციის, განთავსებისა და არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის კუთხით არსებული ვითარება, აგრეთვე, საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული რეადმისიის[221] ხელშეკრულებიდან გამომდინარე განხორციელებული მონიტორინგის შედეგები.

უცხოელთა გაძევება/დეპორტაციის პროცედურები

საქართველოდან უცხოელთა დეპორტაციისა და გაძევების პროცედურები მოწესრიგებულია საქართველოს კანონით „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“. აგრეთვე, „უცხოელის საქართველოდან გაძევების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N525 დადგენილებითა და სხვა ნორმატიული აქტებით. მნიშვნელოვანია, რომ უცხოელის საქართველოდან გაძევება უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების დაცვით.

მიგრაციის საკითხების არსებული რეგულაციების შესწავლისას გამოვლინდა გარკვეული ხარვეზები, რასთან დაკავშირებითაც 2014 წლის 14 აგვისტოს, საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს მთავრობას ცალკეული დადგენილებებისა და ბრძანების პროექტების მიმართ შენიშვნები წარუდგინა.

„უცხოელის საქართველოდან გაძევების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N525 დადგენილების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, გაძევების პროცესში

---

[220] Human Rights Watch, „Unfair Immigration Policies“ Available at: http://www.hrw.org/united-states/us-program/unfair-immigration-policies [last visited: 24.03.2015].

[221]საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ხელშეკრულება, „უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ'' შეთანხმება (შემდგომში ,,რეადმისიის შეთანხმება'') ძალაში შევიდა 2011 წლის პირველი მარტიდან.

უცხოელისათვის უზრუნველყოფილი უნდა იქნეს იურიდიული რჩევის მიღების შესაძლებლობა. აღნიშნული რეგულაციის მიუხედავად, იურიდიული რჩევა ვერ ჩაითვლება სრულფასოვან იურიდიულ დახმარებად, რადგანაც მნიშნელოვანია, რომ პირის გაძევების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მას გაეწიოს სრული იურიდიული დახმარება, რაც გულისხმობს სამართლებრივი დოკუმენტების შედგენას, ასევე წარმომადგენლობას სასამართლოში და ადმინისტრაციულ ორგანოში.

გასათვალისწინებელია, რომ „იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონი განსაზღვრავს იურიდიული დახმარებით მოსარგებლე პირთა წრეს, რომელშიც არ ხვდება გასაძევებელი უცხოელი. შესაბამისად, აღნიშნულის რეალიზაციისათვის საჭიროა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილება დასახელებულ კანონში.

დადგენილების მე-14 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოთვლის იმ ფაქტორებს, რომლებიც სამინისტროს უფლებამოსილმა ორგანომ პირის ესკორტით გაძევების აღსრულების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს უნდა გაითვალისწინოს. მიზანშეწონილი იქნება, თუ აღნიშნულ ნორმას დაემატება გარემოება, როდესაც გასაძევებელი უცხოელის პიროვნებიდან გამომდინარე, სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოსათვის ცნობილია, ან აქვს საფუძველი ივარაუდოს, რომ უცხოელის მიმართ შესაძლოა განხორციელდეს ძალადობრივი ქმედება ქვეყნის დატოვების პროცესში.

ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, უცხოელთა ესკორტირება გამგზავრების პუნქტამდე ხდება სათანადოდ აღჭურვილი სატრანსპორტო საშუალებით. ვინაიდან არასათანადო პირობებში სატრანსპორტო საშუალებით დაკავებული უცხოელის ესკორტირებამ შესაძლოა გამოიწვიოს დაკავებული უცხოელის მიმართ არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა,[222] მნიშვნელოვანია, ხსენებულ ნორმაში დაკონკრეტდეს, თუ რა ძირითად მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს სათანადოდ აღჭურვილი სატრანსპორტო საშუალება. კერძოდ, უნდა მიეთითოს, რომ სატრანსპორტო საშუალებაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო განათება, გათბობა, ვენტილაცია, საკმარისი სივრცე; ასევე ხელმისაწვდომი უნდა იყოს საკვები, წყალი და მედიკამენტები; გონივრული ინტერვალებით გაჩერება დასვენების მიზნით.[223] ესკორტირებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ქალების, ბავშვების, ხანდაზმულთა და შშმ პირთა სპეციალური საჭიროებები. ასევე მნიშვნელოვანია, მიეთითოს, რომ ხელბორკილის და შებორკვის სხვა საშუალების

[222] პატიმრებთან მიმართებით, ანანიევი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Ananyev and Others v. Russia), დაკავებულ უცხოელებთან დაკავშირებით, საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (Georgia v. Russia) (I), პარ. 196.

[223] განჩინებაში საქმეზე იაკოვენკო უკრაინის წინააღმდეგ (Yakovenko v. Ukraine) ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის მოხსენებაზე დაყრდნობით დეტალურად იმსჯელა ტრანსპორტირების პირობებზე. განჩინებაში გამოყოფილია რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი.

გამოყენება დაიშვება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საფუძვლების არსებობისას.[224]

მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სამედიცინო შემოწმების შედეგები უნდა გადაეცეს ესკორტის ჯგუფის ხელმძღვანელს. აღნიშნული ნორმა წარმოშობს გასაძევებელი პირის პერსონალური მონაცემების გამჟღავნების საფუძველს. სასურველია, სამედიცინო შემოწმების შედეგების ასლი გადაეცეს თავად უცხოელს, ხოლო ორიგინალი დარჩეს სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოში.

ამავე დადგენილების მე-14 მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, მიმღებ სახელმწიფოში იმ ოფიციალური პირების მიუწვდომლობის შემთხვევაში, რომლებიც უფლებამოსილნი არიან, მიიღონ აუცილებელი ზომები, ან დახმარება გაუწიონ ესკორტის ჯგუფის წევრებს დაუყოვნებელი და სერიოზული რისკის შემთხვევაში, ესკორტის ჯგუფის წევრებს შეუძლიათ მიიღონ ყველა გონივრული და სათანადო ზომა, რათა არ დაუშვან გაძევებას დაქვემდებარებული უცხოელის გაქცევა, მის მიერ საკუთარი თავისთვის ან ნებისმიერი მესამე პირისთვის ზიანის მიყენება ან ქონების დაზიანება. აღნიშნული ნორმა ესკორტის ჯგუფის წევრს აძლევს შეუზღუდავ დისკრეციას გაძევებას დაქვემდებარებული პირის მიმართ. მიზანშეწონილია, დაკონკრეტდეს, რა სპეციალური საშუალების გამოყენების უფლება აქვს ესკორტის ჯგუფის წევრს ასეთ შემთხვევაში, რათა არ მოხდეს არათანაზომიერი საშუალების გამოყენება.

უცხოელის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსება

„უცხოელის დაკავებისა და დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების N631 ბრძანების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, დაკავებაზე უფლებამოსილ პირს უფლება აქვს ჩაატაროს ზედაპირული შემოწმება და ნივთების ზედაპირული დათვალიერება კანონმდებლობით დადგენილი წესით. აუცილებელია ამავე მუხლში განიმარტოს ზედაპირული შემოწმების და ნივთების ზედაპირული დათვალიერების განმარტებები და გაიწეროს შემოწმების/დათვალიერების ადრესატის უფლებების დაცვის შემდეგი სამართლებრივი გარანტიები, კერძოდ: 1. პირის ზედაპირული შემოწმება გულისხმობს მისი ტანსაცმლის მხოლოდ გარე ზედაპირზე ხელით, სპეციალური ხელსაწყოთი ან საშუალებით შეხებას; 2. ზედაპირულ შემოწმებას ახორციელებს შესაბამისი სქესის დაკავებაზე უფლებამოსილი პირი. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ზედაპირული შემოწმება შეიძლება განახორციელოს ნებისმიერმა დაკავებაზე უფლებამოსილმა პირმა

[224]ესკორტირებისას ხელბორკილის და ფიზიკური შეზღუდვის სხვა საშუალებების გამოყენების საკითხთან დაკავშირებით იხ. წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის მე-13 საერთო მოხსენება, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.cpt.coe.int/en/annual/rep-13.htm ნანახია [25.03.2015].

მხოლოდ სპეციალური ხელსაწყოთი ან საშუალებით; 3. ნივთის ზედაპირული დათვალიერება გულისხმობს ნივთის ვიზუალურ დათვალიერებას, რასაც უნდა დაესწროს ნივთის მფლობელი; 4. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, ზედაპირული შემოწმების და ნივთების ზედაპირული დათვალიერების შესახებ შედგეს შესაბამისი ოქმი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით (ან შესაძლოა აღნიშნული ღონისძიების შესახებ მიეთითოს დაკავების ოქმში).[225] 5. აუცილებელია რომ დაკავების ოქმში გაკეთდეს აღნიშვნა დაკავებული პირის სხეულზე დაზიანების არსებობის შესახებ.[226]

ასევე მნიშვნელოვანია, ამავე ბრძანების მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „დაკავებული უცხოელის ცენტრში მოთავსებამდე ცენტრის უფლებამოსილი პირი გამოჰკითხავს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ; იგი ზედმიწევნით ათვალიერებს გარეგნულად და სინჯავს მას განცალკევებულ ოთახში სხვა პირების დაუსწრებლად, რის შესახებაც დგება შესაბამისი ოქმი, სადაც მიეთითება ოქმის შედგენის თარიღი და დრო, დამთვალიერებლის (სახელი, გვარი, თანამდებობა, წოდება) და დათვალიერებულის (სახელი, გვარი, მამის სახელი, დაბადების ადგილი და თარიღი, ვინ დააკავა და რა დროს) ვინაობა, დათვალიერებულის სხეულზე არსებული ჯანმრთელობის დაზიანების სახეობანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დათვალიერებულის ახსნა-განმარტება და საჩივრები“.[227]

დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ ბრძანების პროექტის მე-7 მუხლი ითვალისწინებს დაკავებული უცხოელის სამედიცინო შემოწმებას და დამატებით გამოკვლევას დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების დროს, მაგრამ არც მე-7 და არც მე-8 მუხლში, რომელიც ადგენს დაკავებული უცხოელის უფლებებს, არ არის მითითებული დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსებული პირის უფლებაზე, ნებისმიერ დროს, დროულად მიიღოს ადეკვატური სამედიცინო მომსახურება საკუთარ ან სახელმწიფოს ხარჯზე, ასევე არაფერია ნათქვამი ჯანმრთელობის მდგომარეობის პერიოდულ შემოწმებაზე.

დაკავებული უცხოელის დაცვის გარანტიები

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლი აყალიბებს დაკავებული უცხოელის დაცვის გარანტიებს, კერძოდ, დროებითი განთავსების ცენტრში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს უცხოელის მიმართ დისკრიმინაციული, ღირსების შემლახველი და დამამცირებელი მოპყრობის

[225] მნიშვნელოვანია ბრძანების პროექტი შესაბამისობაში იქნას მოყვანილი „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლთან.
[226] როგორც ეს ხდება ადმინისტრაციული დაკავების ოქმში.
[227] როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 1 თებერვლის N108 ბრძანებით დამტკიცებული „დროებითი მოთავსების იზოლატორის საქმიანობის მარეგულირებელი დამატებითი ინსტრუქციის“ მე-3 მუხლით.

დაუშვებლობა; უცხოელის მიმართ მისი სქესის, ასაკის და კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით მოპყრობა; დროებითი განთავსების ცენტრში ოჯახის მოთავსების შემთხვევაში, ოჯახის ერთიანობის პრინციპის დაცვა; არასრულწლოვნის უფლებების დაცვა; ქალებისა და მამაკაცების ცალ-ცალკე განთავსება. ამავე კანონის 30-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოში უცხოელს აქვს ჯანმრთელობის დაცვის უფლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სოციალური, პოლიტიკური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-12 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას ჰქონდეს ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლესი დონე. პატიმრებთან მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესების 24-ე მუხლი ასევე განამტკიცებს სამედიცინო მომსახურების მიღების უფლებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია, შესაბამის ნორმატიულ აქტში მკაფიოდ განისაზღვროს დროებითი განთავსების ცენტრში მყოფი დაკავებული უცხოელის უფლება, დროულად მიიღოს ადეკვატური სამედიცინო მომსახურება, როგორც საკუთარ, ისე სახელმწიფოს ხარჯზე.

მნიშნველოვანია, შესაბამის ნორმატიულ აქტში მკაფიოდ ჩამოყალიბდეს დაკავებული უცხოელის უფლებები და სამართლებრივი დაცვის გარანტიები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს გასაჩივრების, მათ შორის კონფიდენციალური საჩივრის წარდგენის, საკითხს. შესაბამისად, უნდა განისაზღვროს შემდეგი საკითხები: 1. დაკავებული უცხოელის უფლება, მისთვის გასაგებ ენაზე განემარტოს უფლებები და მოვალეობები; თარჯიმნის მომსახურებით სარგებლობის უფლება; 2. საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებისა და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად დაკავებული უცხოელის მიერ თავშესაფრის ძიების და მიღების უფლება; 3. დაკავებული უცხოელის სტატუსის შესაბამისი მოპყრობა;[228] 4. პირადი უსაფრთხოების დაცვა; 5. კონტაქტი გარე სამყაროსთან; 6. ამანათებისა და ფულადი გზავნილების მიღება-გაგზავნა; 7. პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით ინფორმაციის მიღება, მხატვრული და სხვა ლიტერატურით სარგებლობა; 8. მოთხოვნის, საჩივრის, მათ შორის კონფიდენციალური საჩივრის, შეტანის უფლება; 9. სათანადო საცხოვრებელი პირობები, კვება, პირადი ჰიგიენა, ტანსაცმლით უზრუნველყოფა; 10. სუფთა ჰაერზე ყოფნის, დასვენებისა და რეკრეაციის უფლება; 11. სპეციფიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობა; 12. რელიგიის თავისუფლების რეალიზება; 13. საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით აღიარებულ უფლებებზე და თავისუფლებებზე მითითება. ასევე მნიშნველოვანია ამ

[228] გაეროს ნებისმიერი ფორმით დაკავებულთა ან პატიმრობაში მყოფ პირთა დაცვის პრინციპთა ერთობლიობა (1989), მე-8 პრინციპი.

უფლებების და თავისუფლებების შესახებ ინფორმაციის დაკავებულ უცხოელთათვის ხელმისაწვდომობა.[229]

„უცხოელის დაკავებისა და დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების N631 ბრძანების მე-9 მუხლი, რომელიც შეეხება დაკავებული უცხოელის მიმართ ძალის გამოყენებას, არ შეესაბამება „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლს (იძულების ღონისძიებების გამოყენების უფლება). ამ კანონის 30-ე მუხლი განსაზღვრავს იძულებითი ღონისძიებების ცნებას. იძულების ღონისძიებები არის პოლიციის მიერ ფიზიკური ძალის, სპეციალური საშუალებებისა და ცეცხლსასროლი იარაღის პოლიციის ფუნქციების შესასრულებლად გამოყენება. 31-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პოლიციისთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულების უზრუნველსაყოფად პოლიციელი უფლებამოსილია პროპორციულად გამოიყენოს გამოსადეგი იძულების ღონისძიებები მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, იმ ინტენსივობით, რომელიც უზრუნველყოფს კანონიერი მიზნის მიღწევას. ბრძანების მე-9 მუხლი არ მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა ძალის გამოყენების აუცილებლობა და პროპორციულობა. მასში ასევე არ არის გათვალისწინებული ძალის გამოყენების წინ გაფრთხილების ვალდებულება, როგორც ეს განსაზღვრულია „პოლიციის შესახებ“ კანონის 31-ე მუხლის მესამე პუნქტით.[230] იგივე მუხლი ასევე არ არეგულირებს ძალის გამოყენების შემდგომ სამედიცინო დახმარებისა და უშუალო უფროსის ან პროკურორისათვის ძალის გამოყენების შესახებ შეტყობინების საკითხებს. შესაბამისად, აუცილებელია ბრძანების პროექტის მე-9 მუხლში აისახოს ყველა ის მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც მოცემულია „პოლიციის შესახებ“ კანონის 31-ე მუხლში.

„უცხოელის დაკავებისა და დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებაში (N631) აუცილებელია, აისახოს „პოლიციის შესახებ“ კანონის 35-ე მუხლის დებულება, რომლის თანახმადაც, აკრძალულია ფიზიკური ძალის, სპეციალური საშუალებებისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება ორსულობის, მცირეწლოვნობის, შეზღუდული შესაძლებლობის ან ხანდაზმულობის აშკარა ნიშნების მქონე პირთა მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი შეიარაღებულნი არიან ან ჯგუფურად ესხმიან თავს,

[229] საკითხთა ნუსხა შედგენილია გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის „თავშესაფრის მაძიებელთა დაკავებასთან დაკავშირებული სტანდარტების და კრიტერიუმების, ასევე დაკავების ალტერნატიული ზომების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპების“ შესაბამისად. ტექსტი ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: http://www.unhcr.org/505b10ee9.html ბოლოს ნანახია [28.03.2015].

[230]პოლიციელი ვალდებულია ფიზიკური ძალის, სპეციალური საშუალებებისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ წინასწარ გააფრთხილოს პირი, მისცეს გონივრული ვადა მისი კანონიერი მოთხოვნის შესასრულებლად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს პირის ან/და პოლიციელის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფა ან სხვა მძიმე შედეგი, ან შექმნილ სიტუაციაში ასეთი გაფრთხილება გაუმართლებელია ან შეუძლებელია.

შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევენ პოლიციელს, რაც საფრთხეს უქმნის სხვა პირის ან პოლიციელის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, თუ ასეთი თავდასხმისა და წინააღმდეგობის სხვაგვარი ხერხებითა და საშუალებებით მოგერიება შეუძლებელია.[231]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემდგომი დახვეწა საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

მიგრანტთა დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის მონიტორინგი

პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის განხორციელების პროცესში 2014 წელს დაინერგა სიახლე, კერძოდ მიგრანტთა დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის მონიტორინგი. აღნიშნული მონიტორინგი განხორციელდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული რეადმისიის ხელშეკრულების იმპლემენტაციის ფარგლებში.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 2014 წლის 19 ნოემბერს განახორციელეს ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოს 18 მოქალაქის დეპორტაციის მონიტორინგი. აღნიშნული პირები დეპორტირდნენ საფრანგეთიდან, ჰოლანდიიდან, გერმანიიდან, დანიიდან, პოლონეთიდან და ლიტვიდან. საფრანგეთისა და პოლონეთის სასაზღვრო პოლიციამ ქართულ მხარეს (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების ესკორტს) თვითმფრინავის ბორტზე (პარიზში და ვარშავაში) გადასცა ზემოაღნიშნული ქვეყნებიდან დეპორტირებული პირები.

დეპორტაციის განხორციელებას კოორდინირებას უწევდა ევროპული ორგანიზაცია „ფრონტექსი". მოქალაქეების დაბრუნების ოპერაციის პროცესში საქართველო მონაწილეობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომლების და საპატრულო პოლიციის თანამშრომლების ჩართვით.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლები მონიტორინგის ფარგლებში გაემგზავრნენ თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან შემდეგი მიმართულებით: თბილისი – პარიზი – ვარშავა – თბილისი.

[231]„პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნებისა და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, უცხოელის საქართველოდან გაძევების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამის მუხლებში ძალის გამოყენება მკაფიოდ უნდა დარეგულირდეს სამართლებრივად.

დეპორტირებული პირები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა თვითმფრინავში მეტალის დეტექტორით შეამოწმეს, რის შემდეგაც განათავსეს შესაბამის სამგზავრო ადგილებზე. სამგზავრო ადგილზე მოთავსებული თითოეული პირის გვერდით იჯდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთი ან ორი თანამშრომელი. დასაბრუნებელი პირების მიღების, შემოწმების და მგზავრობის პროცესის მონიტორინგი მიმდინარეობდა უწყვეტად.

მგზავრობის პროცესში პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრები ესაუბრნენ დეპორტირებულ პირებს, რომელთაც რაიმე სახის პრეტენზია არ გამოუთქვამთ. დაბრუნების ოპერაციის მიმდინარეობისას რაიმე სახის ინციდენტს ადგილი არ ჰქონია. პროცესმა ჩაიარა მშვიდ გარემოში. ესკორტის წევრებს არ გამოუყენებიათ ძალა ან რაიმე სახის სპეციალური საშუალება. აღნიშნული მონიტორინგის შედეგად დეპორტირებული პირების უფლებადარღვევის ფაქტი არ გამოვლენილა.

რეკომენდაცია საქართველოს მთავრობას:

- **„უცხოელის საქართველოდან გაძევების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N525 დადგენილებასთან დაკავშირებით,**
- **დადგენილების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტში ტერმინი „სამართლებრივი რჩევა“ შეიცვალოს სიტყვით „იურიდიული დახმარება“, რაც უცხოელს მისცემს საშუალებას მიიღოს არა მხოლოდ სამართლებრივი კონსულტაცია, არამედ წარმომადგენლობა სასამართლოსა და ადმინისტრაციულ ორგანოში**
- **მე-14 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს გარემოება, როდესაც გასაძევებელი უცხოელის პიროვნებიდან გამომდინარე, სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოსთვის ცნობილია, ან აქვს საფუძველი ივარაუდოს, რომ უცხოელის მიმართ შესაძლოა განხორციელდეს ძალადობრივი ქმედება ქვეყნის დატოვების პროცესში**
- **მე-14 მუხლის მე-3 პუნქტში უნდა დაკონკრეტდეს, თუ რა ძირითად მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს სათანადოდ აღჭურვილი სატრანსპორტო საშუალება**
- **მე-14 მუხლის მე-6 პუნქტი ჩასწორდეს, სამედიცინო შემოწმების შედეგები უნდა გადაეცეს არა ესკორტის ჯგუფის ხელმძღვანელს, არამედ თავად უცხოელს და ორიგინალი დარჩეს სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოში**
- **მე-14 მუხლის მე-14 პუნქტში აუცილებელია დაკონკრეტდეს, ესკორტის ჯგუფის წევრებს რა სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლება აქვთ განსაკუთრებულ შემთხვევებში**

რეკომენდაცია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- **„უცხოელის დაკავებისა და დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების წესის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის N631 ბრძანებასთან დაკავშირებით,**

- ბრძანების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტში აუცილებლად უნდა განიმარტოს ზედაპირული შემოწმების და ნივთების ზედაპირული დათვალიერების განმარტებები და დეტალურად გაიწეროს შემოწმების/დათვალიერების ადრესატის სამართლებრივი დაცვის გარანტიები
- მე-7 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს, რომ დაკავებული უცხოელის გარეგნული გასინჯვისა და დათვალიერების შესახებ უნდა შედგეს მაქსიმალურად ინფორმაციული ოქმი
- მე-7 და მე-8 მუხლებში დაემატოს დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსებული პირის უფლება, ნებისმიერ დროს, დროულად მიიღოს ადეკვატური სამედიცინო მომსახურება საკუთარ ან სახელმწიფოს ხარჯზე
- მე-9 მუხლი მოვიდეს შესაბამისობაში „პოლიციის შესახებ“ კანონთან, სადაც დეტალურად არის გაწერილი ძალისა და იძულების ღონისძიების გამოყენების პროცედურა და შემთხვევები
- ბრძანებაში მკაფიოდ ჩამოყალიბდეს დაკავებული უცხოელის უფლებები და სამართლებრივი დაცვის გარანტიები

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა პენიტენციურ დაწესებულებებში, არანებაყოფლობითი და იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის დაწესებულებაში - რეკომენდაციების შესრულების ანალიზი

შესავალი

წინამდებარე ანგარიში ასახავს პენიტენციურ დაწესებულებებში, არანებაყოფლობითი და იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის დაწესებულებასა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში[232] მოცემული რეკომენდაციების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას. რეკომენდაციების შესრულების პროცესის შეფასების მიზნით, ფონდის "ღია საზოგადოება - საქართველო" ფინანსური მხარდაჭერით, 2014 წლის 4-12 დეკემბერს განხორციელდა განმეორებითი (საკონტროლო) ვიზიტი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N2 და N3 დაწესებულებებში, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და აკად. ბ.ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში (შემდგომში „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“). აღნიშნული დაწესებულებები შერჩეული იქნა შემდეგი პრინციპით:

1. 2013 წლის ნოემბერში განხორციელებული ვიზიტის დროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N2 დაწესებულებაში სხვა დაწესებულებებთან შედარებით, ყველაზე მეტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი იყო;
2. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N3 დაწესებულება ახლად გარემონტებული დაწესებულებაა, რომელიც მიმდინარე წლის მაისში გაიხსნა, ამდენად საინტერესო იყო რამდენად იქნა გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებები;
3. ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში შექმნილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ხანგრძლივი მოვლისა და რეაბილიტაციის განყოფილება. ასევე, ამ დაწესებულებაში ფუნქციონირებს ფსიქიატრიული განყოფილება. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო ამ დაწესებულების გახსნას მიიჩნევდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატიმართა პრობლემების მოგვარების ერთ-ერთ ძირითად საშუალებად;

[232] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მდგომარეობა პენიტენციურ დაწესებულებებში, დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული მკურნალობის დაწესებულებაში, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:
http://www.ombudsman.ge/ge/projects/angarishebi/ssnp-mdgomareoba-fsiqiatriul-dacesebulebebshi.page

4. ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი წარმოადგენს არანებაყოფლობითი და იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის დაწესებულებას მსჯავრდებულთათვის.

რეკომენდაციების შესრულების შემოწმების მიზნით, შესაბამისი ინფორმაცია გამოთხოვილ იქნა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან.

რეკომენდაციების შესრულების მიმდინარეობა - სასჯელაღსრულების დაწესებულებები

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სტატისტიკის წარმოება

შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებების სოციალური სამსახურები აწარმოებენ ყოველთვიურ ანგარიშებს, რომელიც წარედგინება სასჯელაღსრულების დეპარტამენტს. აღნიშნული ანგარიში შეიცავს ინფორმაციას დაწესებულებაში მყოფი პატიმრების შესახებ, სადაც ერთ-ერთ მონაცემად მითითებულია, არის თუ არა პატიმარი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე. აღსანიშნავია, რომ ასეთი ფორმით ინფორმაციის დამუშავება იძლევა მხოლოდ დაწესებულებაში შშმ პატიმართა რაოდენობის შესახებ ინფორმაციას.

ნიშანდობლივია, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არ არის დადგენილი შშმ პატიმრების იდენტიფიცირების კრიტერიუმები, რის გამოც დაწესებულების პერსონალი ვერ ახდენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პაციენტთა სრულფასოვანი სტატისტიკის წარმოებას და უფრო მეტიც, ეჭვქვეშ აყენებს წარმოებული სტატისტიკის სიზუსტეს.

2014 წლის ივლისში ერთჯერადად მხოლოდ N2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატიმართა აღრიცხვა გარკვეული იდენტიფიცირების კრიტერიუმებით. ამისთვის სამედიცინო პერსონალმა შეავსო სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის მიერ მიწოდებული სპეციალური ბლანკი, სადაც შეფასდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატიმართა ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა.

სამწუხაროა, რომ შშმ პატიმრების ასეთი შეფასება და აღრიცხვა მხოლოდ ერთჯერადად განხორციელდა და მას არ აქვს პერმანენტული ხასიათი.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა იდენტიფიცირებისა და საჭიროების შეფასების მექანიზმის შემუშავება

სასჯელაღსრულების სისტემაში არ არის შემუშავებული პატიმრის პირველადი ფსიქო-ფიზიკური ჯანმრთელობის შეფასების და გამოვლენილი პრობლემების მართვის სტანდარტები; სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმრის პირველად სამედიცინო შემოწმებას პირველადი ჯანდაცვის ექიმი ახდენს.

დაწესებულებაში მიღებისას პატიმრის ფსიქო-ფიზიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება ფორმალურ ხასიათს ატარებს და არ ხდება პატიმრის მდგომარეობის მულტიდისციპლინური შეფასება, სომატური, ფსიქოლოგიური/ფსიქიატრიული, სოციალური, სამართლებრივი საჭიროებების განსაზღვრა, შესაბამისად არ წარმოებს გამოვლენილი პრობლემების დაძლევაზე ორიენტირებული ინტერვენციების დაგეგმვა და განხორციელება.

პატიმრის პირველადი ფსიქიატრიული შეფასება საერთოდ არ ხდება, იშვიათად შეიძლება მოიძებნოს, მხოლოდ არასრული, ნაკლებად ინფორმაციული ანკეტური ჩანაწერი და ამ ინფორმაციის არსებობის შემთხვევაშიც კი, პირველადი ჯანდაცვის სისტემის სამედიცინო პერსონალი, ოჯახის ექიმი, შესაბამისი კვალიფიკაციის არქონის გამო, პატიმრის მიღებისას მისი ფსიქიკური მდგომარეობის შეფასებას არ აწარმოებს; ფსიქიატრის კონსულტაციის რეკომენდირება დაგვიანებით, ძირითადად მწვავე ფსიქოზური სიმპტომების და აშკარად გამოხატულ არაადეკვატური ქცევის გამოვლინების შემთხვევაში ხდება. დაპატიმრებასთან დაკავშირებული ფსიქიკური პრობლემები და შედარებით მსუბუქი ფსიქიკური დარღვევები შეუმჩნეველი რჩება.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N2 დაწესებულების მთავარი ექიმის განმარტებით, პატიმართა შეზღუდული შესაძლებლობის დადგენა/შეფასება ხდება პირველადი ჯანდაცვის ექიმების მიერ. თუ აღნიშნული პატიმარი სავარაუდო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია, ხდება შესაბამისი სპეციალური ფორმის შევსება. აღნიშნული ფორმა დაწესებულების მთავარ ექიმს მიაწოდა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტმა. ფორმაში მითითებულია კრიტერიუმები, რის საფუძველზეც დგინდება, რომ კონკრეტული პატიმარი არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ N2 დაწესებულების მთავარი ექიმის განმარტებით, აღნიშნული ფორმის შევსებას ჰქონდა ერთჯერადი ხასიათი. მონიტორინგის ჩატარების დღემდე, 2014 წელს გაგზავნილი იქნა მხოლოდ 10 პატიმრის თაობაზე ინფორმაცია; რაც შეეხება ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმართა სტატუსის დადგენას, აღნიშნული ხორციელდება ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში პატიმრის გადაყვანის შემდგომ.

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებას ჯერაც არ გააჩნია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა იდენტიფიცირების ფორმალური კრიტერიუმები. დაწესებულების ადმინისტრაციის განცხადებით, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო დაახლოებით 6 თვეა აწარმოებს კონსულტაციებს კრიტერიუმების შესამუშავებლად. N3 დაწესებულებას არ გააჩნია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა იდენტიფიცირებისა და მათი საჭიროებების შეფასების რაიმე ინსტრუმენტი.

ჯერ კიდევ მოუგვარებელ პრობლემად რჩება სასჯელაღსრულების სისტემაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბრალდებულთა/მსჯავრდებულთათვის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენა, რაც შეუძლებელს ხდის იმ პირების საჭიროებებისა და შესაბამისი სპეციალური სერვისებით უზრუნველყოფას, რომლებმაც შეზღუდული შესაძლებლობა შეიძინეს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნისას.

დაწესებულებები არც იმ პატიმრების შესახებ ფლობენ სტრუქტურირებულ ინფორმაციას, რომლებსაც შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი განსაზღვრული ჰქონდათ დაპატიმრებამდე.

პატიმრობის პირობებთან ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ზრუნვის სტანდარტების შემუშავება

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატიმართა სტატისტიკის წარმოებისა და მათი საჭიროების იდენტიფიცირების პრობლემების, სპეციალიზირებული სერვისების სიმცირის ფონზე, დაწესებულებებს მათ შორის ახლად გახსნილ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებას არ გააჩნია პატიმრობის პირობებთან ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ზრუნვის სტანდარტები. შესაბამისად, ეს რეკომენდაცია არ შესრულებულა.

შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებული სპეციალიზებული მომსახურებების დანერგვა (ხანგრძლივი მოვლა, რეაბილიტაცია, პერსონალური დამხმარე)

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატიმრებს აღენიშნებათ სპეციფიური ჯანმრთელობის საჭიროებები, რაც დაკავშირებულია მათ სტატუსთან. ამ საჭიროებების დაკმაყოფილების გარეშე შესაძლოა მათი ფუნქციონალური სტატუსი მოკლე ხანში მკვეთრად გაუარესდეს, შედეგად კი უფრო მეტად შეეზღუდოთ საკუთარი თავის მოვლის, სივრცეში გადაადგილებისა თუ სხვა მნიშნელოვანი შესაძლებლობა. ამ საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, სტანდარტულ სამედიცინო მომსახურებებთან ერთად, მათ ესაჭიროებათ რეგულარული ფიზიკური თერაპია, სმენისა და მხედველობის შემოწმება,

ოკუპაციური თერაპია და ა.შ. მათთვის აუცილებელია იყოს ხელმისაწვდომი ის დამხმარე საშუალებები, რომელთა გარეშეც ისინი ვერ განახორციელებენ თავიანთ ფუნდამენტურ უფლებებს. მათ შორის: სავარძელ-ეტლი, სმენის აპარატი, ხელჯოხი, ორთეზი, პროთეზი და სხვა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შესაძლოა აღენიშნოთ ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების მაღალი საჭიროება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, ეს უკანასკნელი ხშირია სენსორული შეზღუდვის მქონე პირებთან (უსინათლო, ყრუ, სმენადაქვეითებული და სხვ.) ან კომუნიკაციის პრობლემის მქონე პატიმრებთან მათი იზოლირების ან მათდამი ძალადობისა და ბულინგის შემთხვევებში. სამედიცინო მომსახურებების საჭიროება ასევე მძაფრდება ფსიქოლოგის საკონსულტაციო მომსახურების არქონის შემთხვევებში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატიმრებისათვის ჯანდაცვის სერვისების განსაკუთრებულად ადვილი ხელმისაწვდომობა, წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთ რეკომენდაციას საპატიმრო ადგილებში[233].

განმეორებითი მონიტორინგისას შემოწმებულ არცერთ დაწესებულებაში არ არის დანერგილი სპეციალიზირებული მომსახურებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის. მიმდინარე წლის ივლისიდან ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში მიმდინარეობს „ხანგრძლივი ზრუნვის/მოვლის სერვისი“, რომელიც ასევე ითვალისწინებს პერსონალური დამხმარის მომსახურებას და მათ მოვალეობას ე.წ. სანიტრები - მომვლელები ასრულებენ. ეს სერვისი განკუთვნილია 52 ბენეფიციარზე და ითვალისწინებს პაციენტების როგორც სოციალურ, ისე სამედიცინო რეაბილიტაციით უზრუნველყოფას. მიუხედავად ამისა, რეაბილიტაციის ოთახი დაკეტილია და ჯერ კიდევ ხელმიუწვდომელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატიმრებისათვის. აღსანიშნავია, რომ არც ერთ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არსებულ სარეაბილიტაციო პროგრამაში არ იყო ჩართული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ფიზიკური მდგომარეობის და ფუნქციონალური სტატუსის დაქვეითების პრევენციის მიზნით რეკომენდირებულია სპორტი და სარეაბილიტაციო აქტივობები, რომელიც მიმართული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატიმართა ფიზიკური და ფსიქო-სოციალური ფუნქციონირების შენარჩუნებისკენ/აღდგენისკენ. ასევე, რეკომენდირებულია ოკუპაციური თერაპია, რაც საკუთარი თავის მოვლის უნარ-ჩვევების შენარჩუნებას/გამომუშავებას უწყობს ხელს. ასეთი სარეაბილიტაციო პროგრამები მონიტორინგის დროს არცერთ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არ იყო დანერგილი, გარდა ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა

[233] United Nations Office of Drugs and Crime (2009). Criminal Justice Handbook Series, Handbook on Prisoners with disabilities. ISBN 978-92-1-130272-1

სამკურნალო დაწესებულების ფსიქიატრიულ განყოფილებაში ერთეულ პატიმრებთან ჩატარებულ ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციისა.

მართალია, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებას ჰყავს ერთი მორიგე დამხმარე, მაგრამ იგი ვერ ასწრებს გადაადგილების შეზღუდვის მქონე ყველა პაციენტის მომსახურებას. ამის გამო მის ფუნქციებს ხშირად ასრულებენ სართულის მორიგე ოფიცრები. პაციენტი გ.მ. სისტემაში მიღებული ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანების გამო დამოუკიდებლად ვერ გადაადგილდება და ამას გარდა აქვს მცირე მენჯის ღრუს ორგანოთა ფუნქციის სტაბილური მოშლა. იგი ხშირად ვერ ასწრებს ტუალეტში გასვლას და პერსონალური დამხმარის მაგივრად დახმარებისათვის ეძახის სართულის მორიგეებს. მას ასევე, ხშირად ესაჭიროება სველი ხელსახოცები პირადი ჰიგიენის დასაცავად, რაც მას არ მიეწოდება.

სასჯელაღსრულების N3 დაწესებულების სამედიცინო პერსონალის საშტატო განრიგი საერთოდ არ ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატიმრებისათვის პერსონალური დამხმარის შტატს. N2 დაწესებულების მთავარი ექიმის განმარტებით, დაწესებულებაში არის მხოლოდ ერთი სავარძელ-ეტლი, რომლითაც ერთ-ერთი პატიმარი სარგებლობს, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დაწესებულებაში შეყვანის დროს, ეტლის საჭიროების შემთხვევაში მიმართავენ სამედიცინო დეპარტამენტს, რომელიც უზრუნველყოფს მათ დამატებითი დამხმარე საშუალებით, რაც დროში საკმაოდ გაწელილი პროცედურაა.

ფიზიკური ხელმისაწვდომობის, ასევე სერვისებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის თანახმად, ხელმისაწვდომობა, გულისხმობს არა მხოლოდ ფიზიკური გარემოს, არამედ ინფორმაციის, სოციალური პროგრამებისა და სხვა სახის ხელმისაწვდომობას. იმისათვის, რომ შშმ პატიმარმა, სხვა პატიმრების თანასწორად მოახდინოს თავისი უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაცია, აუცილებელია, მისთვის უზრუნველყოფილი იყოს ხელმისაწვდომობა, ამ სიტყვის ფართო გაგებით. ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია გონივრული მისადაგების პრინციპის განხორციელება, ანუ გარემოს, პროგრამის, კონკრეტული საქმიანობის ადაპტაცია.

ვიზიტის მიმდინარეობისას მონიტორინგის ჯგუფის მიერ შემოწმდა, თუ რამდენად შესრულდა გაცემული რეკომენდაციები შშმ პატიმრებისთვის ხელმისაწვდომობის სათანადოდ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმ გარემოებას, თუ რამდენად იქნა გათვალისწინებული აღნიშნული რეკომენდაციები და

მოხდა თუ არა მათი იმპლემენტაცია სასჯელაღსრულების N3 და ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების ინფრასტრუქტურის განახლებისას.

ფიზიკური ხელმისაწვდომობა

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების მესამე სართულზე მოეწყო ხანგრძლივი მოვლის განყოფილება, რომელიც დაწესებულების ადმინისტრაციის განმარტებით, განკუთვნილია სასჯელაღსრულების სისტემაში მყოფი შშმ პატიმრებისთვის, თუმცა როგორც ჩატარებულმა მონიტორინგმა გამოავლინა, ამ დაწესებულებაში მნიშვნელოვანი პრობლემებია შშმ პატიმრებისთვის როგორც სხვა უფლებების, ასევე ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობის მხრივ.

დაწესებულების შესასვლელის კიბეზე არის პანდუსი დახრილობით – 26.4% (სტანდარტი - 6%, ≤ 6%)[234]. სასეირნო ეზოებამდე მისვლა შესაძლებელია დერეფნის გავლით, რომელშიც დამონტაჟებულია პანდუსით აღჭურვილი კიბეები, პანდუსის დახრილობა – 15%. ხანგრძლივი მოვლის განყოფილებაში მყოფ შშმ პატიმრებს შხაპის მიღება შეუძლიათ მესამე სართულზე არსებულ საერთო სააბაზანოში, რომელიც შედგება ოთხი ნახევრად იზოლირებული საშხაპისგან. ერთ-ერთ საშხაპეში დგას სკამი და აღჭურვილია მოძრავი ონკანით. აღნიშნული სააბაზანოს კარზე ასასვლელის სიმაღლეა 30 სმ, ხოლო კარის სიგანე 66 სმ. ასასვლელში მოწყობილია ხის მასალისგან დამზადებული პანდუსი მოაჯირის გარეშე, რომლის სიგანეა 66 სმ (სტანდარტი – 120 სმ) და სიმაღლე – 30 სმ, ხოლო პანდუსის დახრილობა შეადგენს 44.8%.

ხანგრძლივი მოვლის განყოფილებაში არის სამი პალატა, რომელიც აღჭურვილია ადაპტირებული ტუალეტებით შშმ პატიმრებისთვის. აღნიშნული პალატების ტუალეტში შესასვლელ კარს არ აქვს ზღურბლი, უნიტაზთან დამონტაჟებულია სახელურები და უნიტაზის გვერდით არის საკმარისი ფართი.

ვიზიტის მიმდინარეობისას გაირკვა, რომ განყოფილებაში არიან ეტლით მოსარგებლე შშმ პატიმრები, რომლებიც ცხოვრობენ სრულიად არაადაპტირებულ პალატებში. ერთ-ერთ პალატაში, სადაც იმყოფებოდა ეტლით მოსარგებლე პატიმარი, ტუალეტში და პირსაბანთან არ იყო დამონტაჟებული სახელურები. ტუალეტის კარის სიგანე შეადგენდა 66 სმ, ხოლო ასასვლელის სიმაღლე – 11 სმ, პანდუსის გარეშე. უნიტაზის მარჯვნივ გათვალისწინებული ფართის სიგანეა 42 სმ (სტანდარტი – 90 სმ). დერეფნის სიგანე პალატის შესასვლელში შეადგენდა 88 სმ, ხოლო ტუალეტში – 66 სმ (სტანდარტი – 120 სმ). სამოძრაო გზის სიგანე

[234] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N41 დადგენილება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“.

საწოლის სიგრძივ იყო 112 სმ (სტანდარტი – 150 სმ). აღნიშნულ პალატაში მცხოვრებმა პატიმარმა განმარტა, რომ მისთვის შეუძლებელი იყო ტუალეტში ეტლით შესვლა და მას ეტლის გარეშე უწევდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში, სხვადასხვა საგნებზე დაყრდნობით ტუალეტამდე გადაადგილება, რაც აუტანელ ტკივილთან იყო დაკავშირებული. მას არ შეეძლო პალატაში განათების დამოუკიდებლად ჩართვა/გამორთვა, რისთვისაც უწევდა დაწესებულების თანამშრომლისთვის დაძახება. ასევე, ძალისხმევა სჭირდებოდა ფანჯრის გაღების მიზნით სახელურამდე მიწვდომისთვის.

ერთ-ერთ პალატაში იმყოფებოდა უსინათლო პატიმარი, რომელიც არ იყო ადაპტირებული უსინათლო პირებისთვის. პატიმრის განმარტებით, იგი ცდილობდა დამოუკიდებლად ცხოვრებას, რის გამოც მაქსიმალურად თავს იკავებდა დახმარების თხოვნისგან. ესაჭიროებოდა წვერის გაპარსვა, რაზეც ადმინისტრაციამ უთხრა, რომ N8 დაწესებულებიდან მოუყვანდნენ პარიკმახერს. ასევე, განმარტა, რომ ფრჩხილები დააჭრეს თხოვნიდან სამი დღის შემდეგ. მისი თქმით, სააბაზანომდე მისვლაში და წყალის მოშვებაში, ასევე, ტელეფონთან მისვლაში და ნომრის აკრეფაში ეხმარებიან ადმინისტრაციის თანამშრომლები, თუმცა მათ მოვალეობაში ეს არ შედის.

შემოწმების შედეგად ასევე გაირკვა, რომ სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაშიც სერიოზული პრობლემებია შშმ პატიმრების მიერ უფლებების რეალიზებაზე ხელმისაწვდომობის მხრივ. შემოწმებისას, დაწესებულებაში იმყოფებოდა ერთი ეტლით მოსარგებლე შშმ პატიმარი, რომელიც ცხოვრობდა სამედიცინო ნაწილის ერთ-ერთ პალატაში. აღნიშნული პალატა არ იყო ადაპტირებული შშმ პირებისთვის. ტუალეტის შესასვლელის სიმაღლე იყო 25 სმ და არ იყო დამონტაჟებული პანდუსი. პატიმრის განმარტებით, მას არ შეეძლო დამოუკიდებლად ესარგებლა ტუალეტით და მას დახმარებას უწევდა სამეურნეო სამსახურში დასაქმებული პატიმარი.

სასჯელაღსრულების N2 დაწესებულებაში შშმ პატიმრებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მხრივ ფაქტობრივად არაფერი შეცვლილა. მონიტორინგის დროს დაწესებულების სამედიცინო ნაწილში იმყოფებოდნენ შშმ პატიმრები, რომელთაგან ერთი სარგებლობდა ეტლით, ხოლო მეორეს ეტლი არ ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ იგი დაავადებული იყო პოლინეიროპათიით და დამოუკიდებლად სიარული არ შეეძლო. აღნიშნულმა პატიმარმა განაცხადა, რომ ეტლი არ მოუთხოვია, ვინაიდან საკანში არ იყო საკმარისი ფართი ეტლით სამოძრაოდ. გაზომვის შედეგად გაირკვა, რომ საკანში სამოძრაო ფართი მართლაც ვერ უზრუნველყოფდა ეტლით სათანადოდ სარგებლობას. საწოლებს შორის სამოძრაო ფართის სიგანე არ აღემატებოდა 45 სმ (სტანდარტი 150 სმ), ხოლო ტუალეტის ასასვლელის სიმაღლე იყო 37 სმ და არ იყო დამონტაჟებული პანდუსი. პატიმრის გადმოცემით, მან ადმინისტრაციას სთხოვა ტუალეტის ასასვლელში საფეხურების დამონტაჟება, თუმცა უშედეგოდ. ამავე სამედიცინო ნაწილში მყოფი ეტლით მოსარგებლე შშმ პატიმრის საცხოვრებელი პალატაც არ იყო ადაპტირებული. სამოძრაო ფართის

გათვალისწინებით, შესაძლებელი იყო ეტლით მოძრაობა, თუმცა ტუალეტის ასასვლელის სიმაღლე 36 სმ და არ იყო დამონტაჟებული პანდუსი. ონკანი დამონტაჟებული იყო იატაკიდან 86 სმ სიმაღლეზე, რის გამოც პატიმრის თქმით, მას უწევდა ეტლიდან წამოდგომა და ერთ ფეხზე დაყრდნობილს პირსაბანით სარგებლობა, თუმცა ასეთ მდგომარეობაში ყოფნა მას ძლიერ ტკივილს აყენებდა და პირსაბანით საკმარისი დროით ვერ სარგებლობდა.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N2 დაწესებულებაში არც ერთი საკანი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განთავსებისთვის (ისევე როგორც N3 დაწესებულებაში). მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დროს დაწესებულებაში იმყოფებოდა 3 მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატიმარი. ეტლით მოსარგებლე პატიმარი მოთავსებული იყო საკანში, რომელიც არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განთავსებისთვის.

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების ხანგრძლივი მოვლის განყოფილების პალატებში არ არის გამოძახების ღილაკი, რომლის მეშვეობითაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი მიმართავს სამედიცინო პერსონალს ან დაწესებულების თანამშრომელს.

მიუხედავად იმისა, რომ სასჯელაღსრულების N3 დაწესებულება ახლად გარემონტებულია, იგი სრულიად არაადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატიმართა ელემენტარული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

სერვისების და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების სასეირნო ეზოები განლაგებული იყო ძირითადი შენობის გარეთ, 35-40 მეტრის მოშორებით არსებულ სპეციალურ შენობაში. დერეფანი და სასეირნო ეზოები გადახურული იყო მხოლოდ მეტალის ბადით. ვიზიტის მიმდინარეობისას გამოკითხულმა ყველა შშმ პატიმარმა განაცხადა, რომ ზამთარში სიცივის გამო, ისინი თავს იკავებენ სასეირნოდ გასვლისგან, თუმცა სატელეფონო ზარის უფლებით სარგებლობა შესაძლებელია მხოლოდ აღნიშნულ ეზოებში კედელზე დამონტაჟებული ტელეფონის აპარატებით. აღსანიშნავია, რომ ტელეფონების (ციფერბლატების) სიმაღლე იატაკიდან იყო 150 სმ და ეტლით მოსარგებლე პატიმრების გადმოცემით, აღნიშნულის გამო ისინი ნომრების აკრეფას სთხოვდნენ ადმინისტრაციის თანამშრომლებს.

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა დაწესებულების მესამე სართულზე არსებულ სააბაზანოს შესასვლელ დერეფანში კედელზე დამონტაჟებულია საჩივრების ყუთი, რომლის ზედაპირის სიმაღლე იატაკიდან 170 სმ-ია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეტლით

მოსარგებლე შშმ პატიმარი დამოუკიდებლად ვერ შეძლებს ყუთში საჩივრის ჩაგდებას, რაც გამორიცხავს კონფიდენციალობის დაცვით საჩივრით მიმართვის შესაძლებლობას, ხოლო სააბაზანოს შესასვლელში დამონტაჟებული პანდუსის დახრილობა (44.8%) შეუძლებელს ხდის ეტლით მოსარგებლე პირებისთვის დამოუკიდებლად სააბაზანოში შესვლას.

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს იქ მყოფი პაციენტების მიერ მაღაზიის ხელმისაწვდომობა. კერძოდ, აღნიშნულ დაწესებულებაში მაღაზია არ ფუნქციონირებს და პაციენტებს ადმინისტრაცია უფლებას აძლევს N8 დაწესებულების მაღაზიიდან შეიძინონ მხოლოდ სიგარეტი, ასანთი, ერთჯერადი საპარსები და სატელეფონო ბარათები, ხოლო სხვა დანარჩენი პროდუქცია მათთვის ხელმიუწვდომელია. აღსანიშნავია, რომ მაღაზიის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ აისახება ხანგრძლივი მოვლის განყოფილებაში მყოფი პაციენტების მდგომარეობაზე, ვინაიდან მათ გაცილებით დიდი ხნით უწევთ ამ დაწესებულებაში ყოფნა ვიდრე სხვა განყოფილებებში მცხოვრებ პაციენტებს.

ამავე დაწესებულებაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, თუმცა წიგნების ფონდი საკმაოდ მოძველებულია და არ აქვთ წიგნების კატალოგი, რომლის მიხედვითაც პატიმრები შეძლებდნენ სასურველი წიგნების შერჩევას. გამოკითხული პატიმრების განმარტებით, წიგნების შესარჩევად ისინი ბიბლიოთეკაში არ მიყავთ და წიგნების შერჩევა მხოლოდ სასურველი ჟანრის მიხედვით არის შესაძლებელი. წიგნების კატალოგი არ აქვთ ასევე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N2 დაწესებულებაში.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N3 დაწესებულებაში ტელეფონი დამონტაჟებულია იატაკიდან 150 სმ სიმაღლეზე, რის გამოც ეტლით მოსარგებლეს გაუჭირდება დამოუკიდებლად ნომრის აკრეფა. საჩივრების ყუთი დამონტაჟებულია სასეირნო ეზოების შესასვლელთან, რომლის ზედაპირის სიმაღლე იატაკიდან 155 სმ-ია. სასეირნო ეზოებამდე მისასვლელი დერეფანი არაადაპტირებულია ეტლით მოსარგებლე პირებისთვის, არის სამი ზღურბლი სიმაღლით 4 სმ და კიბის სამი საფეხური.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N2 დაწესებულების სასეირნო ეზოები განლაგებულია მე-5 სართულზე და სამედიცინო ნაწილი მე-3 სართულზე, ხოლო კიბეები ადაპტირებული არ არის. აღნიშნულიდან გამომდინარე, გამოკითხული შშმ პატიმრების გადმოცემით, ისინი უარს აცხადებენ სასეირნოდ გასვლაზე. პოლინეიროპათიით დაავადებული შშმ პირის თქმით, იგი აღნიშნულ დაწესებულებაში იმყოფება 1 წელი და 7 თვეა, რა პერიოდშიც მხოლოდ სამჯერ იყო სასეირნოდ გასული.

საინფორმაციო დაფები ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში გამოკრული არ არის, ხოლო სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N2 და N3 დაწესებულებებში გამოკრულია ისეთ სიმაღლეზე, რომ ეტლით მოსარგებლე შშმ პირს

გაუჭირდება ამ დაფებიდან ინფორმაციის წაკითხვა. ზემოთ ჩამოთვლილ არცერთ დაწესებულებაში არ არის ხელმისაწვდომი სურდო თარჯიმანი და არ აქვთ უფლება-მოვალეობების ნუსხა ბრაილის შრიფტით, რაც მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს შესაბამისი შეზღუდვის შშმ პირების ინფორმირების მხრივ.

ხარისხიანი და დროული ფსიქიატრიული დახმარების ხელმისაწვდომობა, სასჯელის მოხდის დიფერენცირებული რეჟიმის პირობებში პატიმართა ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარებითა და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციით უზრუნველყოფა

შედარებით ხარისხიანი ფსიქიატრიული მომსახურება ხელმისაწვდომია ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში, სადაც მუშაობენ გუნდური პრინციპით (ფსიქიატრი, ფსიქოლოგი, ფსიქოთერაპევტი). სასჯელაღსრულების N2 დაწესებულებაში უზრუნველყოფილია ფსიქოლოგის და ფსიქიატრის მომსახურება, თუმცა ისინი არ მუშაობენ გუნდური პრინციპით. ფსიქოლოგის მომსახურება არ შედის ფსიქიატრიულ სერვისში.

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების ადმინისტრაციამ არ იცის, თუ რა სახის სპეციფიური ტრენინგები უნდა ჩაუტარონ პერსონალს. დაწესებულებაში უკვე დანიშნული არის რეაბილიტოლოგი და ფიქრობენ, რომ სწორედ მან უნდა შეიმუშაოს განსაკუთრებული საჭიროებების მიწოდების სტრატეგია. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N2 და N3 დაწესებულების პერსონალი, მათ შორის, სამედიცინო პერსონალი, არ არის ინფორმირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის სპეციალურ საჭიროებათა შესახებ.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N3 დაწესებულებაში არ ხდება აუტოაგრესიულ პატიმართა ადეკვატური ფსიქოლოგიური და ფსიქიატრიული მართვა, არ არის დანერგილი სუიციდის პრევენციის პროგრამა.

ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა სპეციალური/განსაკუთრებული საჭიროებად შეიძლება ჩაითვალოს ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია, რომელსაც ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების ფსიქიატრიულ განყოფილებაში ერთეულ პაციენტებთან ატარებს ფსიქოლოგი, რასაც არ აქვს თანმიმდევრული ხასიათი. სამწუხაროდ, პერსონალის ნდობა და მოლოდინი ქცევის პოზიტიური მართვისა და პიროვნების განვითარების სტრატეგიების მიმართ დაბალია.

გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარის თანახმად[235] პირის განთავსება სამარტოო საკანში გახანგრძლივებული დროით შესაძლებელია გაუტოლდეს წამებას ან სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ

[235] CCPR, General Comment 20/44, April 3, 1992

მოპყრობას. გაერთიანებული ერების წამების პრევენციის ქვეკომიტეტის დასკვნის თანახმად, გახანგრძლივებული სამარტოო საკნის ღონისძიება შესაძლოა გაუტოლდეს წამებას და იგი არ უნდა იყოს გამოყენებული არასრულწლოვნებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პირებთან[236]. 2007 სტამბოლის განცხადების შესაბამისად, სამარტოო საკნის გამოყენების შესახებ[237] მისი გამოყენება სრულად უნდა აკრძალულ იქნეს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პატიმრებთან.

სამწუხაროდ, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმართა სამარტოო საკანში მოთავსების ფაქტი გამოვლინდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N3 დაწესებულებაში. სამარტოო საკანში მოთავსებული პატიმრის პირადი საქმის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ პატიმარი მიმდინარე წლის 17 სექტემბერს შეასახლეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N3 დაწესებულებაში. შესახლების დღიდან 3 ჯერ იქნა მოთავსებული სამარტოო საკანში (ერთხელ 4 დღით, მეორედ 15 დღით და მესამედ- ვიზიტის დროს, ბრძანებაში 10 დღე იყო მითითებული). პატიმრის სამედიცინო დოკუმენტაციის შემოწმების შედეგად კი გაირკვა, რომ სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში შესახლების შემდგომ პატიმარს ფსიქიატრის კონსულტაცია არ ჩატარებია, მიუხედავად კონსულტაციის აშკარა საჭიროებისა. აღსანიშნავია, რომ პატიმარმა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N3 დაწესებულებაში 4-ჯერ მიიყენა თვითდაზიანება.

აუცილებელია ყველა საჭირო ზომის მიღება, რათა მომავალში თავიდან იქნას აცილებული ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმრის სამარტოო საკანში მოთავსება და რომ ასეთი პატიმარი უზრუნველყოფილი იქნას დროული და ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარებით.

დადებითად უნდა შეფასდეს ის გარემოება, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის N762 დადგენილებით დამტკიცდა „ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტი და 2015-2020 წლის სამოქმედო გეგმა“. მითითებული დოკუმენტი საქართველოში ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების განვითარებასთან ერთად ითვალისწინებს ისეთ სტრატეგიულ მიმართულებას, როგორიც არის ფსიქიკური ჯანმრთელობა პენიტენციურ სისტემაში, რომელიც უზრუნველყოფას სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ფსიქიატრიული მომსახურების თანაბარი სტანდარტებით მიწოდებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია მხოლოდ ნაწილობრივ არის შესრულებული, სამოქმედო გეგმის დამტკიცებით საქართველოს ხელისუფლების მიერ გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი

[236] UN Subcommittee on Prevention of Torture (2010), report on the visit of the subcommittee on prevention of torture and other cruel, inhuman or degrading treatment or punishment to the republic of Paraguay (par 184).
[237] International Psychological Trauma Symposium (2007), The Istanbul Statement on the use and effects of solitary confinement,

განსახილველი რეკომენდაციის შესრულებისკენ და საჭიროა ძალისხმევის გაძლიერება რათა ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმრებს მიეწოდოთ ხარისხიანი და დროული ფსიქიატრიული დახმარება.

სასჯელაღსრულების სისტემის პერსონალის დამატებითი სწავლება პატიმრობის ყველა ეტაპზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების გამოვლენის, მათი ფსიქოლოგიური/სომატური/სოციალური საჭიროებების შეფასების და შესაბამისი დახმარების მიწოდების საკითხებში

ზემოხსენებული რეკომენდაცია მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში და ნაწილობრივ შესრულდა. ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების ფსიქიატრიული განყოფილების სამედიცინო პერსონალის ნაწილს გავლილი აქვს ტრენინგები სტრესული რეაქციის, ადაპტაციის დარღვევის, დეპრესიის, აუტო და ჰეტეროაგრესიული ქცევის პრევენციის, სიმპტომების და ნიშნების შეცნობის, რისკების შეფასებისა და მართვის საკითხებში, ასევე ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების ქრონიკული და მწვავე შედეგების შეცნობისა და მართვის საკითხებში; ასევე გავლილი აქვს ტრენინგები სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N2 დაწესებულების ფსიქიატრს.

ფსიქოაქტიური მედიკამენტების (ნივთიერებების) არასამედიცინო მიზნით ჭარბი რაოდენობით მოხმარების პრევენცია

ამ რეკომენდაციის შესრულების მიზნით გარკვეული ზომები უკვე მიღებულია ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N2 დაწესებულებაში, ნაწილობრივ ასევე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N3 დაწესებულებაში. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N2 და N3 დაწესებულებებში ფსიქოტროპული მედიკამენტებს პატიმარი ექთანის თანდასწრებით იღებს, რითაც ცდილობენ მოახდინონ ფსიქოტროპული მედიკამენტების მიწოდების კონტროლი. ამასთან, სასჯელაღსრულების N2 დაწესებულების ფსიქიატრი ესაუბრება პატიმრებს მედიკამენტების ჭარბი დოზების მიღებით გამოწვეულ გართულებებზე. სამწუხაროდ, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N3 დაწესებულებაში ექიმი კვლავაც განიცდის გარკვეულ წნეხს ფსიქოტროპული მედიკამენტების გადაჭარბებული მოთხოვნის გამო.

დაწესებულების სტომატოლოგების გადამზადება სპეციალური საჭიროებების სტომატოლოგიის საფუძვლებში

თითოეულ პატიმარს უნდა ჰქონდეს იმის შესაძლებლობა, ისარგებლოს კვალიფიციური სტომატოლოგის მომსახურებით. (პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, მუხლი 22).

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების სტომატოლოგს არ აქვს გავლილი რაიმე სახის გადამზადების კურსები სპეციალური საჭიროებების სტომატოლოგიის საფუძვლებში. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N3 დაწესებულებას საერთოდ არ ემსახურება სტომატოლოგი ორთოპედი, ხოლო თერაპევტი სტომატოლოგი მუშაობს დამხმარე ექთნის გარეშე. რაიმე სპეციალური სწავლების კურსი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპეციალური სტომატოლოგიური საჭიროებების თაობაზე მას გავლილი არ აქვს. ზემოხსენებულიდან გამომდინარე ეს რეკომენდაცია შესრულებული არ არის.

რეკომენდაციების შესრულების მიმდინარეობა ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში

ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების მიწოდებას აწარმოებს ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, რომლის თანახმად, არანებაყოფლობითი სტაციონარული მომსახურების მოსარგებლეები არიან როგორც საქართველოს მოქალაქეები, ასევე პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი სხვა პირები.

ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში ვიზიტის დროს მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს IX, X, XI და XII განყოფილებებში არსებული პალატები. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ IX, XI და XII განყოფილებებში არსებული პალატები საჭიროებს სარემონტო სამუშაოებს. ასევე სავალალოა იქ არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა (IX, XI და XII განყოფილებები). არც ერთი განყოფილების პალატებში არ არის სავენტილაციო სისტემა. საპირფარეშოში არ მუშაობს ჩამრეცხი ავზები, ზოგ შემთხვევაში გაფუჭებულია ონკანიც. დაწესებულებაში არსებული სასეირნო ეზოები არ არის სათანადოდ აღჭურვილი და გადახურული. წვიმიან ამინდში სრულიად შეუძლებელია გასეირნება. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ მითითებულ განყოფილებებში საცხოვრებელი პირობების მდგომარეობა 2013 წლის ნოემბერში ჩატარებული მონიტორინგის შემდეგ არ შეცვლილა და კვლავაც მნიშვნელოვან პრობლემად რჩება.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბრალდებულ/მსჯავრდებულთათვის ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარების მიწოდება

ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის რაოდენობა არასაკმარისია. პაციენტები უმეტესობა არ არის ჩართული მკურნალობის პროცესში, არ არიან ინფორმირებული დაავადების, მკურნალობის და მედიკამენტების გვერდითი ეფექტების შესახებ.

ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში ფსიქიკური ჯანმრთელობის სტანდარტები შემუშავებული არ არის. ცენტრში არ ტარდება პატიმრების ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სარეაბილიტაციო პროგრამები. დირექტორმა განმარტა, რომ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამების შემუშავება და განხორციელება უჭირთ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრების დეფიციტის გამო. არსებული რესურსით მხოლოდ ერთეულ პაციენტებთან ატარებენ სარეაბილიტაციო აქტივობებს. ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის აქტივობებიდან ტარდება არტთერაპია, ერგოთერაპია, სინემათერაპია, ფსიქოთერაპია. მაგრამ სარეაბილიტაციო აქტივობებში ერთეული პაციენტები არიან ჩართული, ძირითადად ქალები. ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის აქტივობები არ არის სისტემური და სტრუქტურირებული. დაწესებულებაში არ მუშაობენ საკმარისი რაოდენობის ფსიქოლოგები, არ მიმდინარეობს სისტემური ფსიქო-თერაპია და ფსიქო-რეაბილიტაცია. დაწესებულებას არ ჰყავს ოკუპაციური თერაპევტი, რომელიც იმუშავებდა აბილიტაცია/რეაბილიტაციის პროგრამებზე.

„პატიმრებისადმი მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესები“, სადაც ჯანდაცვის სერვისების საკვანძო საკითხები სრულად არის ასახული, პატიმრის ფსიქიკური ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მიზნით, ადგენს, რომ აუცილებელი არ არის დაწესებულებებში უსაფრთხოების ერთნაირი ზომების მიღება ყველა ჯგუფისთვის. უფრო მეტიც სასურველია ამ ზომების სიმკაცრის გრადაცია ჯგუფების მიხედვით (წესი 63).

სასჯელაღსრულების სისტემიდან გადმოყვანილი პატიმრების და იძულებით მკურნალობაზე მყოფი პაციენტისთვის შემუშავებული მკურნალობისა და ცხოვრების რეჟიმი იდენტურია, თუმცა იგი განსხვავდება იმ რეჟიმისაგან, რომელიც მოქმედებს სხვა არანებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი პირების შემთხვევაში. დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული დიფერენცირებული რეჟიმის პირობებში ფსიქიატრიული დახმარების მიწოდების სტანდარტები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ ამჟამად ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში სტაციონალური არანებაყოფლობით/იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის ქვეშ მყოფ მსჯავრდებულებს/ბრალდებულებს არ მიეწოდებათ ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარება, თუმცა როგორც ზემოთ აღინიშნა, ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტის და 2015-2020 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცებით საქართველოს ხელისუფლების მიერ გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი განსახილველი რეკომენდაციის შესრულებისკენ.

ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის უსაფრთხოების სამსახურის როლის და ფუნქციის გადახედვა

ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის 2013 წლის 28 თებერვლის N12 ბრძანებით, განახლებული საშტატო განრიგის შესაბამისად, ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დაცვის სამსახურს შეეცვალა სახელწოდება და 2013 წლის 1 მარტიდან იწოდება, როგორც საზედამხედველო სამსახური. ამავე დღეს დამტკიცდა ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის საზედამხედველო სამსახურის ახალი დებულება, თუმცა შეიცვალა აღნიშნული სამსახურის მხოლოდ დასახელება და არა საქმიანობის სფერო.

ვიზიტის მიმდინარეობისას გამოკითხული პაციენტები კვლავაც უთითებენ, რომ პაციენტების ფიზიკური შეზღუდვა ხდება ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლების მიერ და უფრო მეტიც, ზოგ შემთხვევებში ადგილი აქვს ამ სამსახურის თანამშრომლების მხრიდან პაციენტების მიმართ „დაბმის“ მუქარას.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 20 მარტის N92/ნ ბრძანებით დამტკიცებული ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტისათვის ფიზიკური შეზღუდვის მეთოდების გამოყენების წესისა და პროცედურების შესახებ ინსტრუქციის მე-8 წესის თანახმად, „ფიზიკურ შეზღუდვას ახორციელებს დაწესებულების შინაგანაწესით განსაზღვრული შესაბამისი პერსონალი, რომელსაც გააჩნია საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ფიზიკური შეზღუდვის მეთოდების გამოყენების საკითხებში.“

ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის საზედამხედველო სამსახურის დებულების 3.8 მუხლის თანახმად, „საზედამხედველო სამსახურის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს: პაციენტის გამწვავების […] შემთხვევაში მედ-პერსონალთან ერთად მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა მიმართ […]“

ზემოაღნიშნული ნორმების ანალიზის ცხადყოფს, რომ საზედამხედველო სამსახურის თანამშრომლებს უფლება აქვთ განახორციელონ პაციენტის ფიზიკური შეზღუდვა, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ გააჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ფიზიკური შეზღუდვის მეთოდების გამოყენების საკითხებში. როგორც შემოწმების შედეგად გაირკვა, საზედამხედველო სამსახურის თანამშრომლებს სპეციალური მომზადება ან ტრენინგი პაციენტების ფიზიკური შეზღუდვების პროცედურების შესახებ გავლილი არ აქვთ, თუმცა მიუხედავად აღნიშნულისა, ისინი მონაწილეობენ პაციენტების ფიზიკურ შეზღუდვაში, რაც დაუშვებლად მიგვაჩნია.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით,[238] დაგეგმილია ტრენერთა გადამზადება, რომლის შემდეგ განხორციელდება კასკადური ტრენინგები ფსიქიატრიული მკურნალობის დაწესებულებების პერსონალისთვის (მათ შორის, ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის საზედამხედველო სამსახურის თანამშრომლებისთვის).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის საქმიანობაში საზედამხედველო სამსახურის როლის და ფუნქციების პრაქტიკაში განხორციელება ამჟამადაც პრობლემურ საკითხად რჩება.

გასაჩივრების მექანიზმის მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის შექმნა

ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრის გენერალური დირექტორის 2008 წლის 23 დეკემბრის N34 ბრძანებით, ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში შექმნილია პაციენტთა საჩივრებისა და წინადადებების განმხილველი კომისია, რომელიც შედგება ცენტრის სხვადასხვა თანამდებობის პირებისგან. აღნიშნულ კომისიას ევალება ცენტრის საჩივრების ყუთების პერიოდულად გახსნა და მასში არსებული საჩივრებისა და წინადადებების კომისიაზე განხილვა. აღსანიშნავია, რომ დადგენილი არ არის, თუ რა პერიოდულობით უნდა გაიხსნას საჩივრის ყუთები. ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის განმარტებით, რომელიც ამ კომისიის წევრია, მისი შექმნის დღიდან რაიმე საჩივარი ან წინადადება არ განუხილავთ, ვინაიდან საჩივარი საჩივრის ყუთში არასდროს აღმოუჩენიათ.

ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში IX, X, XI, XII განყოფილებებში საჩივრის ყუთები მოთავსებულია დერეფნებში. აღნიშნულ ადგილას სამედიცინო პერსონალს და დაცვის თანამშრომლებს მოწყობილი აქვთ მოსასვენებელი ადგილი (მაგიდა-სკამებით), რაც მეტყველებს იმაზე, რომ სურვილის შემთხვევაში პაციენტი ვერ მოახერხებს დაწესებულების თანამშრომელთა შეუმჩნევლად კონფიდენციალური წერილის საჩივრის ყუთში მოთავსებას.

XI განყოფილების სოციალური სამსახურის თანამშრომლის განმარტებით, საჩივრის ყუთი კვირაში ერთხელ მაინც იხსნება, თუმცა აღნიშნულზე არანაირი სახის აქტი არ დგება. პაციენტებთან საუბრისას დადგინდა, რომ წერილების დაწერაში აქტიურად მონაწილეობენ სოციალური სამსახურის თანამშრომლები. აღნიშნულს ადასტურებს თვით სოციალური სამსახურის თანამშრომელიც (XI განყოფილება). პაციენტებთან გასაუბრებისას აღმოჩნდა, რომ არც ერთ პაციენტს არ ქონდა პალატაში ფურცლისა და საწერი კალმის ქონის შესაძლებლობა.

[238] 2014 წლის 12 დეკემბრის N01/99693 წერილი.

2014 წლის განმავლობაში საჩივრის ყუთებში არცერთი საჩივარი არ ყოფილა ნაპოვნი, რაც ნათლად მიუთითებს, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში არ მოქმედებს გასაჩივრების ეფექტიანი მექანიზმი.

როგორც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან[239] ირკვევა, ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის ერთობლივი პროექტის „ადამიანის უფლებების დაცვა ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში“ ფარგლებში დაგეგმილია გასაჩივრების მექანიზმების კვლევა, ფსიქიატრიული დახმარების შესახებ კანონმდებლობის/კანონქვემდებარე აქტების სრული რევიზია და შესაბამისი ცვლილებებისათვის რეკომენდაციების მომზადება საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.

პაციენტების სტაციონარიდან გაწერის სტანდარტების შემუშავება და ინსტიტუციაში ხანგრძლივად მყოფი პაციენტების თემში დაბრუნება, მათი ფსიქო-სოციალური სტატუსის შესაბამისი ბენეფიტებით უზრუნველყოფა

პაციენტის ინსტიტუციაში ხანგრძლივი დაყოვნება სოციუმიდან იზოლირებულად იწვევს დამოუკიდებელი ცხოვრების უნარ-ჩვევების გაქრობას და აძნელებს მის რესოციალიზაციას. პაციენტი ვერ სარგებლობს დაავადებით ან ასაკით განსაზღვრული სოციალური ბენეფიტებით და დაკარგული აქვს ოჯახის მხარდაჭერაც.

არანებაყოფლობითი და იძულებითი მკურნალობის სტაციონარული დახმარების ვადებთან დაკავშირებით, ფსიქიატრიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონში და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2014 წლის 26 ივლისის ცვლილების თანახმად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლო უფლებამოსილია პირის მიმართ გამოიყენოს იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ დადგინდა, რომ ბრალდებული დანაშაულის ჩადენისას შეურაცხი იყო, სასამართლოს მიერ შეწყდება მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა და საქმის განმხილველი მოსამართლე ვალდებულია „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22^1 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, იმავე განჩინებით გადაწყვიტოს ამ პირისთვის იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის ჩატარების საკითხი, რომლის ვადა ამავე კოდექსის 191-ე მუხლის 2^1 ნაწილის შესაბამისად არ უნდა აღემატებოდეს 4 წელს. ასევე, მითითებული ცვლილების შესაბამისად, საქართველოს

[239] 2014 წლის 12 დეკემბრის N01/99693 წერილი

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 1 ოქტომბრის N69/ნ და N70/ნ ბრძანებებით დამტკიცდა იძულებით ფსიქიატრიულ მკურნალობაზე მყოფი პაციენტების რისკის შეფასების სტანდარტისა და რისკის შემცირების, რესოციალიზაციისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესებისკენ მიმართულ ღონისძიებათა ჩამონათვალი და იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობისადმი დაქვემდებარებული პაციენტის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასების მიზნით ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოქმედი სპეციალური კომისიის შემადგენლობა და საქმიანობის წესი.

ამასთან, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,[240] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის N762 დადგენილებით დამტკიცებული ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტის და 2015-2020 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, სიტუაციური ანალიზისა და არსებული რეალობის გათვალისწინებით (ფინანსური შესაძლებლობები, კადრების მომზადების ხარისხი) უახლოეს მომავალში დაიწყება თანამედროვე თემზე დაფუძნებული სერვისების დანერგვის საფეხურებრივი პროცესი, რომელიც ფსიქიკური ჯანმრთელობის სამსახურების გამთლიანებული ჯაჭვის შექმნის საწინდარი იქნება.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ზემოხსენებული ცვლილებებისა, ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში დღემდე რჩება ათობით პაციენტი, რომელიც დაწესებულებაში იმყოფება უკვე 15-20 წელზე მეტი. აღნიშნული გარემოება კანონის სათანადო აღსრულებისა და შესაბამისი თემზე დაფუძნებული სერვისების განვითარების აუცილებლობაზე მიუთითებს.

ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტების მიმართ ფიზიკური შეზღუდვის მეთოდის ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად გამოყენება

დაშვებულია ფიზიკური შეზღუდვის შემდეგი ორი მეთოდი: პაციენტის სპეციალიზებულ პალატაში იზოლაცია და პაციენტის ფიზიკური შებოჭვა. ამასთან, ფიქსაციის პერიოდში პაციენტი უნდა იმყოფებოდეს განუწყვეტელი სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ. ფიქსირების ყოველი შემთხვევა უნდა აღინიშნოს სპეციალურ ჟურნალში. შეზღუდვის აუცილებლობის ამოწურვისთანავე ფსიქიატრი იღებს გადაწყვეტილებას პროცედურის შეწყვეტის, ან გაგრძელების შესახებ და აკეთებს შესაბამის ჩანაწერს, თუ რა სახის მანიპულაცია ჩაუტარდა ავადმყოფს და დროის რა მონაკვეთში.

[240] 2014 წლის 12 დეკემბრის N01/99693 წერილი.

ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში პაციენტის ფიზიკური შეზღუდვის შიდა სტანდარტი შემუშავებული არ არის. აწარმოებენ ფიქსაციის ჟურნალს, სადაც ხდება პაციენტის შებოჭვასთან დაკავშირებული ჩანაწერების გაკეთება. განყოფილებაში არის სპეციალური საიზოლაციო ოთახი, სადაც ჩვენებისას ხდება პაციენტთა შებოჭვა. პაციენტის შესაბოჭად აქვთ ზეწრები და სპეციალური პერანგები, თუმცა ამ უკანასკნელს არ იყენებენ არაპრაქტიკულობის გამო.

2014 წლის მანძილზე ზემოაღნიშნულ ოთხივე განყოფილებაში პაციენტის ფიზიკური შეზღუდვის 13 ფაქტი დაფიქსირდა. პაციენტებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სამედიცინო პერსონალი ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის საზედამხედველო სამსახურის დახმარებით პერიოდულად იყენებს გამწვავებული პაციენტების ფიზიკური შეზღუდვის მეთოდებს, შეზღუდვა ხდება სხვა პაციენტების თანდასწრებით, განყოფილების დერეფნებში, რაც ეწინააღმდეგება ეროვნულ კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში პაციენტების მიმართ ფიზიკური შეზღუდვების გამოყენების პრაქტიკა კვლავ პრობლემად რჩება.

ფსიქიატრიული სერვისების მუშაობისა და ფსიქიატრიული დახმარების მიწოდების სპეციალური ზედამხედველობის სისტემის შემუშავება

2013 წლის 1 თებერვალს შეიქმნა ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხარისხის კონტროლის სამსახური. გენერალური დირექტორის 2013 წლის 1 აპრილის N15 ბრძანებით დამტკიცდა ცენტრის სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების და პაციენტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის შეფასების შიდა სისტემის ფუნქციონირების წესი.

აღნიშნული წესის თანახმად, ხარისხის მართვის სისტემა უზრუნველყოფს მონიტორინგს, კონტროლს, შედეგების ანალიზს და ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებების შემუშავებას. სამედიცინო მომსახურების ხარისხის მართვის სისტემა აღრიცხავს და შეისწავლის შემდეგ შემთხვევებს, როდესაც სახეზეა ლეტალური გამოსავალი; პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება, როგორც ფსიქიკური, ასევე სომატური; სამედიცინო შეცდომა/გადაცდომა; პაციენტის/პაციენტის წარმომადგენლის საჩივარი; სტატისტიკურად ხშირი გართულება; სტატისტიკურად ხშირი გვერდითი მოვლენების გამოვლენა და მართვა.

მითითებული წესი ასევე ითვალისწინებს კადრების კვალიფიკაციის ამაღლების შიდა სისტემას, რომელიც მოიცავს პერსონალთან პერიოდული ღონისძიებების გამართვას. ხარისხის მართვის სისტემის მიმდინარე ღონისძიებები მოიცავს არსებულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში ექიმის მუშაობის სისტემატიურ მეთვალყურეობას, პაციენტთა მდგომარეობის სისტემატიური კომისიური განხილვების გზით. მიმდინარე ღონისძიებები

ასევე მოიცავს სამედიცინო შემთხვევის დეტალურ კომისიურ განხილვას, როცა ადგილი ჰქონდა შეცდომას სამედიცინო საქმიანობის დროს, პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრ გაუარესებას და ლეტალურ გამოსავალს.

ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხარისხის მართვის სამსახურის საქმიანობის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს სამედიცინო პერსონალისთვის საკვალიფიკაციო უნარ-ჩვევების ამაღლების მიზნით ტრენინგების ჩატარება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, მითითებული ხარისხის მართვის სამსახური ასრულებს ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის შიდა საზედამხედველო სისტემის ფუნქციას, თუმცა მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, გაძლიერდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ფსიქიატრიული სერვისების მუშაობისა და ფსიქიატრიული დახმარების მიწოდების სპეციალური ზედამხედველობის სისტემა, რომელიც ფსიქიატრიული სერვისების ხარისხთან ერთად, შეაფასებს შიდა კონტროლის სამსახურის საქმიანობის ეფექტურობას, დამყარებული იქნება კორპორატიულობის პრინციპზე და არ ექნება რეპრესიული ფუნქცია.

დასკვნა

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N2 და N3 დაწესებულებებში, ასევე ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში განხორციელებული განმეორებითი (საკონტროლო) ვიზიტების შედეგად დადგინდა, რომ მიუხედავად გარკვეული პოზიტიური ცვლილებებისა, სამწუხაროდ, რეკომენდაციების შესრულების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პროგრესი არ შეიმჩნევა. საგანგაშოა ის ფაქტი, რომ მთელ რიგ რეკომენდაციებთან მიმართებით არცერთი ღონისძიება არ გატარებულა.

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების გახსნას სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო მიიჩნევდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატიმართა პრობლემების მოგვარების ერთ-ერთ ძირითად საშუალებად. მართალია, აღნიშნულ დაწესებულებაში ხანგრძლივი მოვლის განყოფილების ფუნქციონირება ნაწილობრივ დადებითად აისახა სასჯელაღსრულების სისტემაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პატიმრების მდგომარეობაზე, თუმცა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში კვლავ რჩებიან ფიზიკური და მენტალური შეზღუდვის მქონე პატიმრები, ხოლო თავის მხრივ, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების ხანგრძლივი მოვლის განყოფილებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატიმართა საჭიროებები სრულად დაკმაყოფილებული არ არის, მათ შორის ადაპტირებული არ არის ფიზიკური გარემო.

დადებითად უნდა შეფასდეს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის N762 დადგენილებით ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტის და 2015-2020 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცება, რაც ცალსახად მიუთითებს სახელმწიფოს ნებაზე, პენიტენციურ სისტემაში და სხვა დახურულ დაწესებულებებში პაციენტებს მიეწოდოთ ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ფსიქიატრიული სერვისები. ამდენად, მნიშვნელოვანია აღნიშნულ გეგმაში გაწერილი ღონისძიებების ზედმიწევნით შესრულება.

შესაბამისად, მოვუწოდებთ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, ასევე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, გაატაროს ყველა საჭირო ზომა ქვემოთ მოცემული რეკომენდაციების შესასრულებლად.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს:

- **შეიქმნას შშმ პატიმართა იდენტიფიცირებისა და საჭიროებათა შეფასების მექანიზმი და ამ მეთოდით განხორციელდეს ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სტატისტიკის მუდმივ რეჟიმში წარმოება**
- **შემუშავდეს ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულებისთვის პატიმრობის პირობებთან ადაპტირებული შშმ პირებზე ზრუნვის სტანდარტები**
- **ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში განხორციელდეს შშმპ პატიმართა უზრუნველყოფა პერსონალური დამხმარით. შშმ პატიმრები უზრუნველყოფილ იქნან სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციით**
- **ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში უზრუნველყოფილ იქნას სრული ფიზიკური ხელმისაწვდომობა; დაწესებულებების ფიზიკური გარემოს სრული ადაპტირება; სერვისების და ინფორმაციის სრული ხელმისაწვდომობა**
- **მოხდეს ხარისხიანი და დროული ფსიქიატრიული დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში**
- **სასჯელის მოხდის დიფერენცირებული რეჟიმის პირობებში განხორციელდეს პატიმართა ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარებითა და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციით უზრუნველყოფა**
- **უზრუნველყოფილ იქნას სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში პერსონალის განგრძობადი სწავლება**
- **მოხდეს სამედიცინო პერსონალზე არასასურველი წნეხის თავიდან აცილების მიზნით სამედიცინო პერსონალის უფრო მეტი დაცულობის უზრუნველყოფა; ფსიქოტროპული მედიკამენტების მიწოდების მკაცრი კონტროლი**
- **უზრუნველყოფილ იქნას დაწესებულებების სტომატოლოგების გადამზადება სპეციალური საჭიროებების სტომატოლოგიის საფუძვლებში**

რეკომენდაცია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრს:

- უზრუნველყოფილ იქნას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბრალდებულ/მსჯავრდებულთათვის ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარების მიწოდება ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში
- გადაიხედოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის საზედამხედველო სამსახურის როლი და ფუნქციები; გამოირიცხოს ამ სამსახურის თანამშრომლების მონაწილეობა პაციენტების ფიზიკურ შეზღუდვის პროცესში ან ჩაუტარდეთ სათანადო მომზადება ფიზიკური შეზღუდვების პროცედურების შესახებ
- ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში შეიქმნას გასაჩივრების მექანიზმის მარეგულირებელი ნორმატიული ბაზა
- მოხდეს პაციენტების სტაციონარიდან გაწერის სტანდარტების შემუშავება და ინსტიტუციაში ხანგრძლივად მყოფი პაციენტების თემში დაბრუნება, მათი ფსიქო-სოციალური სტატუსის შესაბამისი ბენეფიტებით უზრუნველყოფა
- ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტების მიმართ ფიზიკური შეზღუდვის მეთოდის გამოყენება მოხდეს ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად
- შემუშავდეს ფსიქიატრიული სერვისების მუშაობისა და ფსიქიატრიული დახმარების მიწოდების სპეციალური ზედამხედველობის გარე სისტემა; განხორციელდეს ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხარისხის კონტროლის სამსახურის საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება

ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლებში

შესავალი

2014 წლის ნოემბერში საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა, პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის ფარგლებში, სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრთან ერთად, მონიტორინგი განახორციელა 14 მცირე საოჯახო ტიპის (შემდგომში „მსტ“) სახლში. კერძოდ, საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაჯითის (1), ამბროლაურის (1), ქუთაისის (3), ხონის (1), ჩხოროწყუს (1), წალენჯიხის (2), ბათუმის (1), ოზურგეთის (2), ლანჩხუთისა (1) და ზესტაფონის (1) მცირე საოჯახო ტიპის სახლებში. მონიტორინგის მიზანს წარმოადგენდა მსტ სახლებში ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის შემოწმება და ბენეფიციართათვის მიწოდებული მომსახურების შიდა კანონმდებლობითა და საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

მოსამზადებელ პერიოდში განხორციელდა მონიტორინგის დაგეგმვა, განისაზღვრა შესამოწმებელი სახლების და ვიზიტების, მონიტორინგის ჯგუფებისა და მასში შემავალი წევრების რაოდენობა, ასევე, შემუშავდა სამიზნე ჯგუფებზე გათვლილი თემატური კითხვარები.

მონიტორინგის შემდგომ ეტაპზე შეჯამდა შედეგები, შედგა ტექნიკური ანგარიშები და მათ საფუძველზე მომზადდა წინამდებარე ანგარიში და შესაბამისი რეკომენდაციები.

2014 წლის ნოემბრის მონიტორინგის ორი ჯგუფი დაკომპლექტებული იყო სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტისა და ბავშვის უფლებების ცენტრის თანამშრომლებისაგან (ნიკოლოზ კვარაცხელია, დანიელ მგელიაშვილი, თამთა ბაბუნაშვილი, თამარ ჩხოლარია), აგრეთვე, პრევენციის ეროვნული მექანიზმის 5 მოწვეული ექსპერტისაგან (ქეთევან ფილაური, მაია ცირამუა, ქეთევან გელაშვილი, ლალი წულეისკირი, ნანა ქორიძე).

წინამდებარე ანგარიშის მომზადებისას, სხვა მასალებთან ერთად, გამოყენებულ იქნა მონიტორინგის ჯგუფის წევრების მიერ მომზადებული ტექნიკური ანგარიშები. სააღმზრდელო დაწესებულების მონიტორინგი განხორციელდა ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების მიხედვით[241].

[241] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №66 დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების“ შესახებ ტექნიკური რეგლამენტი.

დეტალურად იქნა შესწავლილი თითოეული სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისობა მსტ სახლებში არსებულ მდგომარეობასთან. ანგარიში შედგენილია იმგვარად, რომ ინტერვიუს კონფიდენციალური ხასიათიდან გამომდინარე, არ მოხდეს მსტ სახლების ბენეფიციარის იდენტიფიკაცია.

მონიტორინგის ჯგუფი „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისას ხელმძღვანელობდა საქართველოს კონსტიტუციით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კონვენციით, ბავშვზე ზრუნვის სტანდარტებითა და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით[242].

მონიტორინგის შედეგებმა ცხადყო, რომ მცირე საოჯახო ტიპის სახლებში კვლავ პრობლემად რჩება პერსონალის კვალიფიკაცია, ბავშვის მიმართ ძალადობა, ბენეფიციართა ჯანმრთელობის დაცვის უფლება, მათი ფსიქოლოგიური/ფსიქიატრიული მომსახურება, განათლების უფლება, დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადება.

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე–20 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ბავშვს, რომელიც დროებით ან მუდმივად მოკლებულია ოჯახურ გარემოს, ანდა, მისივე ყველაზე ჭეშმარიტი ინტერესებიდან გამომდინარე, არ შეიძლება დარჩეს ასეთ გარემოში, უფლება აქვს სახელმწიფოს განსაკუთრებული მფარველობითა და დახმარებით სარგებლობდეს“. ამავე კონვენციის 27–ე მუხლით დაცულია ბავშვის უფლება, უზრუნველყოფილი იყოს ცხოვრების სათანადო დონით, ხოლო ამავე მუხლის მე–3 პუნქტი განსაზღვრავს სახელმწიფოების ვალდებულებას, ,,დახმარება გაუწიონ მშობლებსა და ბავშვთა აღმზრდელ სხვა პირებს ამ უფლების განხორციელებაში, აუცილებლობის შემთხვევაში, მატერიალურად ეხმარებიან და თანადგომას უწევენ პროგრამებს, უწინარესად, საკვებით, ტანსაცმლითა და საცხოვრებლით უზრუნველყოფის თვალსაზრისით“.

მყარი და სტაბილური ოჯახი ბავშვის კეთილდღეობის საფუძველია. დღეს საქართველოში ყველა ოჯახი ვერ უზრუნველყოფს ბავშვის საჭიროებებს. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო ვალდებულია, თავად აიღოს ბავშვის აღზრდაზე პასუხისმგებლობა და მას განვითარებისათვის შესაბამისი პირობები შეუქმნას.

---

[242] საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“; საქართველოს კანონი ,,შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 31 მაისის ერთობლივი ბრძანება №152/ნ-№496-№45/ნ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის ბრძანება №52/ნ „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“.

სახელმწიფო ზრუნვის ერთ-ერთი ფორმაა ბავშვის მცირე საოჯახო ტიპის სახლში განთავსება და ოჯახთან მიახლოებული გარემოს შექმნა, მისი საუკეთესო ინტერესების შესაბამისად. ბენეფიციარებმა უნდა მიიღონ მათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მომსახურება. მომსახურების ინდივიდუალური მიდგომა მნიშვნელოვანია ბავშვის განვითარების პროცესში და ზრდის იმის პერსპექტივას, რომ არასრულწლოვანმა სრულად მოახდინოს თავისი შესაძლებლობების განვითარება.

სტანდარტი 1 – ინფორმაცია მომსახურების შესახებ[243]

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის მესამე პუნქტის მიხედვით, ბავშვზე ზრუნვისათვის ან მათი დაცვისათვის პასუხისმგებელი დაწესებულებები, სამსახურები უნდა შეესაბამებოდნენ კომპეტენტური ორგანოების მიერ დაწესებულ ნორმებს. ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების პირველი მუხლით განსაზღვრულია იმ დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რომელიც უნდა აწარმოოს მომსახურების მიმწოდებელმა და უზრუნველყოს მისი ხელმისაწვდომობა დაინტერესებული პირებისათვის.[244]

მსტ სახლებში, კანონით დადგენილი წესით, წარმოდგენილი იყო დეტალური საინფორმაციო ფურცელი და სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულების ლიცენზია. შემუშავებულია ასევე სააღმზრდელო პროგრამა, რომელიც შეიცავს აღზრდის მეთოდიკასა და დღის წესრიგს. შინაგანაწესი, უმეტეს შემთხვევაში, მოიცავს ბავშვზე ზრუნვის სტანდარტით გათვალისწინებულ ყველა საკითხს. მსტ სახლში იყო წარმოდგენილი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაფორმებული ხელშეკრულებები აღმზრდელებთან.

ბათუმის მცირე საოჯახო ტიპის სახლში[245] წარმოდგენილია სააღმზრდელო პროგრამა, თუმცა, დღის წესრიგი სრულყოფილი სახით არ არის მოცემული. კერძოდ, არ არის გაწერილი შაბათ/კვირის გეგმა. მსტ სახლში მონიტორინგის ჯგუფისთვის არ იყო ხელმისაწვდომი არც სააღმზრდელო საქმიანობის სალიცენზიო მოწმობა. როგორც მონიტორებს აცნობეს, აღნიშნული დოკუმენტი სერვისის მიმწოდებელი პროვაიდერი ორგანიზაციის ოფისში ინახება. რაც შეეხება შინაგანაწესს, მასში არ არის ასახული ბენეფიციართა მხრიდან სოციალურად მიუღებელი ქცევის მართვის წესები და მეთოდები, კონფიდენციალობის დაცვის საკითხები, თანამშრომლების, მოხალისეებისა და პრაქტიკაზე

[243] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №66 დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების“ შესახებ ტექნიკური რეგლამენტი, სტანდარტი №1.
[244] ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №66 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი.
[245] ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრი, ბათუმი, 26 მაისი ქ. №106.

მყოფი სტუდენტების ქცევის წესები, აგრეთვე ინფექციური დაავადებების თავიდან აცილების მიზნით შემუშავებული წესები.

შინაგანაწესი ხელმისაწვდომია თითქმის ყველა მსტ სახლში, თუმცა არის გარკვეული ხარვეზებიც. არასრულყოფილად იქნა წარმოდგენილი შინაგანაწესი რამდენიმე მსტ[246] სახლში.

მსტ სახლებში აქვთ შემდეგი დოკუმენტაცია: უბედური შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი, ძალადობის ფაქტების აღრიცხვის ჟურნალი, ნდობის ყუთის გახსნის აღრიცხვის ჟურნალი, ბავშვების, მოზარდების დასასვენებლად და კულტურულ ღონისძიებებზე გაყვანის აღრიცხვის ჟურნალი, გადამდებ დაავადებათა რეგისტრაციის ჟურნალი.

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ ჟურნალები სრულყოფილად არ იწარმოება. აზრის გამოხატვის ჟურნალი მხოლოდ რამდენიმე მსტ სახლშია ხელმისაწვდომი, ძირითადად, ჩანაწერების გარეშე და ამდენად, ფორმალურ ხასიათს ატარებს. უბედური შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალები, ხშირ შემთხვევაში, ცარიელია, არ ხდება ფაქტების სათანადოდ დოკუმენტირება. ხშირ შემთხვევაში, მონიტორების ინფორმაციით, აღმზრდელებს კარგად არა აქვთ გააზრებული უბედური შემთხვევის არსი, ჟურნალში დაფიქსირებულია ბავშვების სახლიდან გაპარვის შემთხვევები.[247]

დადებით ტენდენციად უნდა შეფასდეს, რომ ოზურგეთის მსტ სახლში[248] ანონიმური ყუთის საფუძველზე არსებული წერილების პასუხად გატარებული ღონისძიებები წარმოებულია კანონით დადგენილი წესით. წარმოების ჩანაწერს თან ახლავს ახსნა–განმარტებებიც. კარგ პრაქტიკას წარმოადგენს შემთხვევის კონფერენცია, რომელსაც ესწრებიან სახლის მენეჯერი, აღმზრდელები, აღსაზრდელები და სოციალური მუშაკი. ამ შეხვედრაზე განიხილება ყველა საკითხის ირგვლივ არსებული საჭიროებები და ამოცანები.

დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ ზესტაფონის მსტ სახლში[249] ინახება ჩატარებული შეხვედრების ჟურნალი, სადაც აღნიშნულია ბავშვის საჭიროებები, შეხვედრები სკოლის დირექტორთან. გარდა ამისა, სახლში ჩამოყალიბებულია მშობელთა საბჭო, რომელიც ფსიქოლოგთან ერთად განიხილავს ბავშვების საჭიროებებს.

---

[246] საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“, ლაგოდეხი, სოფელი ბაისუბანი.
[247] ასოციაცია „საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“, საჩხერე, სოფელი ბაჯითი.
[248] ა(ა)იპ „მომავლის სხივი“, ოზურგეთი, დ. აღმაშენებლის ქ. №148.
[249] ასოციაცია „საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“, ზესტაფონი, სოფელი კვალითი.

სტანდარტი 2 – მომსახურების ინკლუზიურობა[250]

ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების[251] მე–2 მუხლი განსაზღვრავს მომსახურების მიმწოდებლის ვალდებულებას, უზრუნველყოს ბენეფიციარი ისეთი მომსახურებით, რომელიც აკმაყოფილებს მის საჭიროებებს და შეესაბამება მის შესაძლებლობებს. ბენეფიციარებს ასევე ხელი უნდა მიუწვდებოდეთ თემში არსებულ სხვადასხვა მომსახურებაზე.

ბენეფიციარებს, ორგანიზაციების შესაძლებლობის ფარგლებში, ხელი მიუწვდებათ თემში არსებულ სხვადასხვა მომსახურებაზე. ბავშვები იღებენ განათლებას – დადიან სკოლაში, პროფესიულ სასწავლებელში, კოლეჯში, სხვადასხვა სახის საგნობრივ წრეებზე, თუმცა, ასაკისა და ინტერესების გათვალისწინებით, მათი სხვადასხვა აქტივობებში ჩართვა განსხვავებულია და დამოკიდებულია ორგანიზაციის შესაძლებლობებსა და ადგილმდებარეობაზე. ამ მხრივ, არჩევანი[252] განსაკუთრებით შეზღუდულია რეგიონებში. უფროსი ასაკის ბავშვებს, საჭირო რესურსთან დაკავშირების მიზნით, რეგიონის ცენტრში უწევთ გადაადგილება. უმცროსი ასაკის ბავშვები კი ასეთ მანძილზე დამოუკიდებლად ვერ გადაადგილდებიან. ადამიანური რესურსის ნაკლებობის გამო, აღმზრდელიც მოკლებულია შესაძლებლობას, პირადად უზრუნველყოს მცირე ასაკის ბენეფიციარის რეგიონის ცენტრში ტარება.

გარკვეულ შემთხვევებში, აღმზრდელი ვერ გამოკვეთს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს. მომსახურების ინდივიდუალურ გეგმაში დეტალურად არ არის გაწერილი ბენეფიციარის საჭიროებები და შესაბამისი მომსახურების მიწოდების მნიშვნელობა.[253] იყო შემთხვევა, როდესაც ბენეფიციარები ვერ სარგებლობდნენ ქალაქში არსებული სხვადასხვა მომსახურებით (სპორტი, ცეკვა, მუსიკა). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დღის წესრიგში ასახული წრეებში ჩართულობა, არტ–აქტივობები რეალურად არ ხორციელდება[254].

მსტ სახლების მონიტორინგის შედეგად ზოგიერთ შემთხვევაში, გამოიკვეთა საზოგადოებაში მსტ სახლების აღსაზრდელების სტიგმატიზაციის ფაქტები, მცირე საოჯახო ტიპის სახლების

---

[250] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №66 დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების“ შესახებ ტექნიკური რეგლამენტი, სტანდარტი №2.

[251] ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №66 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი.

[252] ასოციაცია „საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“, საჩხერე, სოფელი ბაჯითი; ა(ა)იპ ასოციაცია „მომავლის სხივი“. ლანჩხუთი, სოფელი ლესა; ასოციაცია „საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“, დაბა ჩხოროწყუ, შენგელიას ქ. №24.

[253] ასოციაცია საქართველოს ეს–ო–ეს ბავშვთა სოფელი“, ამბროლაური, წერეთლის ქ. №8; საქართველოს ეს–ო–ეს ბავშვთა სოფელი“, ხონი, იპ. ხვიჩიას ქ. №28; ასოციაცია „საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“, წალენჯიხა, სოფელი ქვემო მაზანდარა; ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრი, ბათუმი, 26 მაისი ქ. №106.

[254] ასოციაცია „საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“, ქუთაისი, შალვა დადიანის ქუჩა №17.

აღსაზრდელების მიმართ სკოლაში მასწავლებლებისა და თანაკლასელების მხრიდან არსებული უარყოფითი დამოკიდებულების ტენდენცია.[255]

სტანდარტი 3 – კონფიდენციალობის დაცვა[256]

ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების[257] მე–3 მუხლი უზრუნველყოფს ბენეფიციართა პირადი ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვას.

მცირე საოჯახო ტიპის სახლებში ბენეფიციართა კორესპონდენციის, საუბრების, პირადი შეხვედრების კონფიდენციალურობა მეტ-ნაკლებად დაცულია, თუმცა აღსანიშნავია, რომ ინდივიდუალური შეხვედრებისთვის ძირითადად გამოიყენება აღსაზრდელის საცხოვრებელი ოთახი. საუბრის კონფიდენციალურობის უკეთ დაცვისათვის მიზანშეწონილია ყველა მცირე საოჯახო ტიპის სახლში გამოიყოს სპეციალური ოთახი, სადაც შესაძლებელი იქნება ბენეფიციართან ინდივიდუალური მუშაობა, კონფიდენციალური გასაუბრება და კონსულტირება.

მცირე საოჯახო ტიპის სახლებში ბენეფიციართა პირადი საქმეები ინახება აღმზრდელთა ოთახებში უცხო პირთათვის ხელმიუწვდომელ ადგილზე. ბავშვებზე არსებული კონფიდენციალური ინფორმაცია დაცულია და საჯაროდ არ განიხილება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აღმზრდელები არ ფლობენ სრულყოფილ ინფორმაციას მე-3 სტანდარტის „თ“ ქვეპუნქტთან დაკავშირებით[258].

---

[255] ასოციაცია „საქართველოს ეს–ო–ეს ბავშვთა სოფელი“, ხონი, იპ. ხვიჩიას ქ. №28; ა(ა)იპ ასოციაცია „მომავლის სხივი“. ლანჩხუთი, სოფელი ლესა; ასოციაცია „საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“, საჩხერე. სოფელი ბაჯითი.

[256] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №66 დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების“ შესახებ ტექნიკური რეგლამენტი, სტანდარტი №3.

[257] ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №66 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი.

[258] ბავშვისათვის მომსახურების შეწყვეტის შემთხვევაში, მის შესახებ არსებული ინფორმაცია სამი წლის ვადით ინახება მომსახურების მიმწოდებელთან. იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაცია წყვეტს საქმიანობას და ბენეფიციარები გადადიან სხვა მომსახურებაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთან შეთანხმებით ყველა დოკუმენტაცია გადადის მომსახურების ახალ მიმწოდებელთან, ხოლო თუ ბენეფიციარი ბრუნდება ბიოლოგიურ ოჯახში, ბავშვის კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმებით (თანხმობით) ხდება დოკუმენტაციის გატანა/განადგურება“.

სტანდარტი N4. მომსახურებისას ინდივიდუალური მიდგომა[259]

ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების[260] მე–4 მუხლი ყურადღებას ამახვილებს ზრუნვის პროცესში ინდივიდუალურ მიდგომებზე, რაც ითვალისწინებს ბავშვის ინდივიდუალურ უნარებსა და მოთხოვნებს. ბენეფიციარის მიერ მიღებული მომსახურება უნდა იყოს მორგებული მის საჭიროებებზე.

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის 25-ე მუხლი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, დაიცვას მოვლის მიზნით, სამეურვეოდ გამწესებული ბავშვის უფლება, პერიოდულად შეაფასოს მის მიმართ მეურვეობასთან დაკავშირებული პირობები.

მცირე საოჯახო ტიპის სახლების ყველა ბენეფიციარზე იწარმოება პირადი საქმე. ინდივიდუალური განვითარებისა და მომსახურების ინდივიდუალური გეგმები უმეტესად ფორმალურ ხასიათს ატარებს: დეტალურად არ ასახავს დასახულ მიზანს, დაგეგმილ ღონისძიებებს, მოსალოდნელ შედეგებს, ზოგადია და მათში არ არის გათვალისწინებული ბენეფიციარის ინდივიდუალური საჭიროებები, დაგეგმილი აქტივობები. ბენეფიციარები, უმეტესად, არ არიან ჩართული თავიანთი გეგმის შედგენის პროცესში. არის შემთხვევები, როდესაც ბავშვს აქვს ჯანმრთელობის პრობლემა, რომელიც არ არის ნახსენები ინდივიდუალური განვითარების გეგმაში.[261]

სოციალური მუშაკი ვალდებულია, ბავშვის უშუალო განთავსებამდე, დეტალურად გააცნოს პროვაიდერს სახლში მისაღები ბავშვის საქმე, რაც, ხშირ შემთხვევაში არ ხორციელდება. მაგ: რამდენიმე ბავშვს ჩარიცხვისას არ ჰქონდა ჯანმრთელობის ცნობა №IV-100/ა[262]. ასევე, აღმზრდელებმა აღნიშნეს, რომ რამდენიმე ისე ჩარიცხეს, რომ მათზე სრულ ინფორმაციას არ ფლობდნენ[263]. მონიტორინგმა გამოავლინა, რომ ერთ-ერთ სახლში ბენეფიციარი სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსების წესის დარღვევით 2 თვის განმავლობაში იყო მოთავსებული[264].

---

[259] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №66 დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების“ შესახებ ტექნიკური რეგლამენტი, სტანდარტი №4.

[260] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №66 დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების“ შესახებ ტექნიკური რეგლამენტი.

[261] ა(ა)იპ „მომავლის სხივი“, ოზურგეთი; „ასოციაცია „საქართველოს ეს-ო-ეს ბ/სოფელი“, ზესტაფონი, სოფელი კვალითი. ასოციაცია „საქართველოს ეს-ო-ეს ბ/სოფელი“, ქუთაისი, შალვა დადიანის ქ. №17.

[262] ასოციაცია „საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“, საჩხერე, სოფელი ბაჯითი, დაბა ჩხოროწყუ, შენგელიას ქ. №24.

ა(ა)იპ „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“, ოზურგეთი, აღმაშენებლის ქ. №53; საქველმოქმედო ჰუმანიტარული ფონდი „ბრეს საქართველო“ ქუთაისი, კეკელიძის ქ. №26.

[263] „საქართველოს ეს–ო–ეს ბავშვთა სოფელი“, ზესტაფონი, სოფელი კვალითი.

[264] ა(ა)იპ ასოციაცია „მომავლის სხივი“, ლანჩხუთი, სოფელი ლესა

რამდენიმე მსტს–ში ინდივიდულური განვითარების გეგმა სოციალური მუშაკის მიერ შემუშავებულია 2014 წლის იანვარში, აქტივობები გაწერილია 6 თვეზე და შესაბამისად ექვემდებარებოდა გადასინჯვას. ახალი ინდ.განვითარების გეგმები არ დევს ბავშვების პირად საქმეებში.[265]

მწვავე შემთხვევების დროს არ ჩანს მულტიდისციპლინური მიდგომა – პრობლემის მოგვარებასთან მიმართებაში დასახული ერთობლივი ღონისძიებები. [266]

სტანდარტი 5 – ემოციური და სოციალური განვითარება[267]

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის 27–ე მუხლი განსაზღვრავს ბავშვის უფლებას, უზრუნველყოფილი იყოს ცხოვრების ისეთი დონით, რომელიც აუცილებელია მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარებისათვის. ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების[268] მე–5 მუხლი განმარტავს, რომ მომსახურებაში შექმნილი გარემო უნდა უზრუნველყოფდეს ბენეფიციართა ემოციურ და სოციალურ განვითარებას, ამზადებდეს დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის, ხელს უწყობდეს მათ სოციალურ ინტეგრაციას და ოჯახთან კონტაქტების გაძლიერებას.

მცირე საოჯახო ტიპის სახლებში ბავშვთა ემოციური და სოციალური გარემო პირობები, ზრუნვის ფორმები ერთმანეთისაგან განსხვავდება და დამოკიდებულია, როგორც მმართველი ორგანიზაციის ფინანსურ შესაძლებლობებზე, ასევე ამ სახლების ზოგადი ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის მოდელზე (ბრიტანული მოდელი[269], პოლონური მოდელი). პოლონური მოდელის შემთხვევაში, მსტ სახლში მუშაობს ხუთი აღმზრდელი, რომელთაგან ერთი იკავებს ლიდერის პოზიციას. თითოეული ბენეფიციარი ცალკეული აღმზრდელის პატრონაჟის ქვეშ იმყოფება, რაც მონიტორინგის ჯგუფის შეფასებით, ზრუნვის პროცესში გარკვეულ სირთულეებს ქმნის. ერთი აღმზრდელი არ არის ინფორმირებული მეორე აღმზრდელის პატრონაჟის ქვეშ მყოფი ბავშვის საჭიროებებზე, პრობლემებზე, მის სტრეს-მოწყვლადობაზე და ფსიქო-ფიზიკურ ჯანმრთელობაზე, რაც თავისთავად,

---

9. „ბრეს–საქართველო“– ქუთაისი, კეკელიძის ქ. N26

[265] „ბრეს–საქართველო“– ქუთაისი, კეკელიძის ქ. N26

[266] საქველმოქმედო ჰუმანიტარული ფონდი „ბრეს საქართველო“, ქუთაისი, კეკელიძის ქ. 26

[267] ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №66 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი, სტანდარტი №5.

[268] ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №66 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი.

[269] ბრიტანული მოდელი მაქსიმალურად არის მიახლოებული ოჯახურ გარემოსთან – სახლში განთავსებულია მაქსიმუმ 8 ბავშვი, დედობილ-მამობილი ადგილზეა კვირის დღეებში, ხოლო შაბათ-კვირას მათ ცვლიან სხვა აღმზრდელები(დეიდა-ბიძა). ისინი ერთად იკვებებიან, დედობილ-მამობილს აქვს საკუთარი ოთახი.

გამორიცხავს ბავშვზე ზრუნვის ერთიანი სტრატეგიის შემუშავების შესაძლებლობას. მსტ სახლების ბენეფიციართა განვითარებისათვის ხელშემწყობი ემოციური და სოციალური გარემოს შექმნა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ასევე აღმზრდელების უნარ–ჩვევებზე.

ბავშვის ბიოლოგიური ოჯახების მოძიების, მათთან კონტაქტების აღდგენისა და გამყარების საქმეში დადებითი ტენდენციაა, როგორც სოციალური სამსახურის, ასევე აღმზრდელების მონაწილეობა. ოჯახთან კომუნიკაციის ძირითადი საშუალება ტელეფონია. ბიოლოგიური მშობლები იშვიათად აკითხავენ ბენეფიციარებს, უმრავლესობა ვერ იხსენებს მშობლებთან ბოლო შეხვედრის თარიღს.[270]

მსტ სახლების უმრავლესობაში ბენეფიციარები ინტეგრირებული არიან თემში, სკოლის სოციუმში, დადიან მათ ოჯახებში სტუმრად, სახლშიც ხშირად იღებენ სტუმრებს. ბავშვებს ჰყავთ მეგობრები[271]. ყოფითი უნარების განვითარების მიზნით, ბავშვები ჩართული არიან საოჯახო საქმეებში: ერთად ამზადებენ საჭმელს, ალაგებენ სახლს. გარკვეულ შემთხვევებში, გამოიკვეთა მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელების მიმართ სკოლაში მასწავლებლებისა და თანაკლასელების მხრიდან არსებული უარყოფითი დამოკიდებულების შემთხვევები[272].

რამდენიმე მსტ სახლში ინტერიერი მოკლებულია სიმყუდროვეს, კრეატიულობას და არ ქმნის ბავშვის ემოციური და ინტელექტუალური განვითარებისათვის საჭირო გარემოს.[273] მაგ. ბათუმის მსტ სახლი გაურემონტებელია, ავეჯი ძველი, მოუხერხებელი და დაზიანებულია. ბავშვების გასართობი საშუალებები მცირეწლოვანი ასაკისათვის გათვალისწინებული თოჯინებითა და რამდენიმე წიგნით შემოიფარგლება, სახლში არ აქვთ კომპიუტერი და ინტერნეტი, აქვთ მხოლოდ ერთი ტელევიზორი.

რამდენიმე მსტ სახლში დაკმაყოფილებულია ბავშვების მხოლოდ ბაზისური მოთხოვნილებები, მწირია სათამაშოებისა და წიგნების რაოდენობა, ბავშვის შემეცნებითი, ემოციური და სოციალური განვითარების სხვა საშუალებები,[274]

---

[270] ასოციაცია „საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“, დაბა ჩხოროწყუ, შენგელიას ქ. 24.

[271] ასოციაცია „საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“, წალენჯიხა, სოფელი ქვემო მაზანდარა; ასოციაცია საქართველოს ეს–ო–ეს ბავშვთა სოფელი“, ამბროლაური, წერეთლის ქ. №8; ა(ა)იპ „მომავლის სხივი“ , ოზურგეთი, დ. აღმაშენებლის ქ. №148.

[272] ასოციაცია „საქართველოს ეს–ო–ეს ბავშვთა სოფელი“, ხონი, იპ. ხვიჩიას ქ. №28; ა(ა)იპ ასოციაცია „მომავლის სხივი“. ლანჩხუთი, სოფელი ლესა; ასოციაცია „საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“, საჩხერე. სოფელი ბაჯითი.

[273] ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრი, ბათუმი, 26 მაისი ქ. №106; „საქართველოს ეს–ო–ეს ბავშვთა სოფელი“, ხონი, იპ. ხვიჩიას ქ. №28.

[274] ასოციაცია „საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“, დაბა ჩხოროწყუ, შენგელიას ქ. №24; ასოციაცია „საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“, წალენჯიხა, სოფელი ქვემო მაზანდარა.

მიუხედავად მსტ სახლების შინაგანაწესით გათვალისწინებული ვალდებულებისა, აღმზრდელები იშვიათად ან უხარისხოდ აწარმოებენ ჩანაწერებს ბავშვის აღზრდის პროცესის ყოველდღიურ მიმდინარეობაზე და ამის მიზეზად თავიანთ გადატვირთულობას ასახელებენ. არსებულ ჩანაწერებში არ ჩანს ცალკეულ ბავშვთან წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის ან მათი წახალისების თემატიკა, არ ჩანს სკოლის პედაგოგებთან სახლის აღმზრდელების კავშირი და სწავლის პროცესის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული აქტივობები.

სტანდარტი 6 – კვება[275]

ბავშვზე ზრუნვის სტანდარტის[276] მე–6 მუხლით განსაზღვრულია მომსახურების მიმწოდებლის ვალდებულებები ბენეფიციარების საკვებით უზრუნველყოფის პროცესში.[277] სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვი უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო ოდენობის საკვებით მისი ასაკის გათვალისწინებით.

მონიტორინგმა გვიჩვენა, რომ მენიუს შედგენისას არ ითვლება კალორაჟი და რამდენად დაცულია ბალანისირებული კვების პრინციპი, აღმზრდელები კი ბავშვის ულუფას ხშირ შემთხვევაში საკუთარი გამოცდილებით განსაზღვრავენ.

ხშირ შემთხვევაში დაკმაყოფილებულია ბავშვების სურვილი, იკვებონ ძეხვეულით, გაყინული ხინკლით, ჭარბად მიიღონ ტკბილეული. აღნიშნული არ პასუხობს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, ორგანიზმის ჯანსაღი ზრდა–განვითარების მოთხოვნებს. ერთ–ერთ მსტ სახლის მენიუში განსაკუთრებით შეიმჩნეოდა გაზიანი სასმელების სიმრავლე[278], ხოლო ერთ–ერთი სახლის[279] სასურსათო საწყობში განთავსებული იყო დიდი რაოდენობით დაფასოებული სუპი „ანაკომი“, რაც დედობილ–მამობილმა იმით ახსნეს, რომ ეს თავად ბავშვების მოთხოვნას წარმოადგენდა.

დასავლეთ საქართველოში განხორციელებული მონიტორინგისას არ გამოვლენილა საკვების შეზღუდვის ფაქტები.

---

[275] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №66 დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების“ შესახებ ტექნიკური რეგლამენტი, სტანდარტი №6.

[276] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №66 დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების“ შესახებ ტექნიკური რეგლამენტი.

[277] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №66 დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების“ შესახებ ტექნიკური რეგლამენტის მე–6 მუხლი.

[278] ა(ა)იპ ასოციაცია „მომავლის სხივი“. ლანჩხუთი. სოფელი ლესა;

[279]ასოციაცია „საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“. დაბა ჩხოროწყუ: შენგელიას ქ. 24.

მონიტორინგის დროს გამოიკვეთა სასმელი წყლის პრობლემა. მსტ სახლების უმრავლესობაში ვერ წარმოადგინეს წყლის ვარგისიანობის დამადასტურებელი სერტიფიკატი. ასევე, სახლების ლიდერები უმეტესწილად არ ფლობენ ინფორმაციას მათ მიერ მოხმარებული წყლის უსაფრთხოებაზე. ერთ–ერთ მსტ სახლში, სადაც ჭის წყლით სარგებლობენ, გაირკვა, რომ წელიწადში 8 თვის განმავლობაში ჭა დამშრალია და სახლში იძულებული არიან, სოფლის წყაროთი ისარგებლონ[280].

მსტ სახლებში საკვები პროდუქტების შეძენა შესაძლებელია მხოლოდ ელექტრონული ზედნადების გაცემის შემთხვევაში. ამის შესაძლებლობა რეგიონებში იშვიათადაა. მთელს თემში შეიძლება მხოლოდ ერთ მაღაზიას ჰქონდეს მსგავსი მომსახურება. ამიტომ აუცილებელი ხდება მენიუს მორგება ამ მაღაზიაში არსებულ არჩევანთან. რის გამოც, იზღუდება საკვები პროდუქტების ხელმისაწვდომობა და მრავალფეროვნება.[281]

სტანდარტი 7 – დასვენებისა და გაჯანსაღების შესაძლებლობები[282]

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის 31–ე მუხლით დაცულია ბავშვის დასვენებისა და თავისუფალი დროის ქონის უფლება. ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების[283] მე–7 მუხლი ეხება დასვენებისა და გაჯანსაღების შესაძლებლობების კუთხით მომსახურების მიმწოდებლის ვალდებულებებს.

დასვენებისა და გაჯანსაღების შესაძლებლობები მსტ სახლებში განსხვავებულია ერთი მხრივ, პროვაიდერი ორგანიზაციის რესურსისა და მეორე მხრივ, აღმზრდელების ჩართულობის ხარისხის მიხედვით.

მსტ სახლების უმეტესობაში ბენეფიციარები ჩართული არიან არაფორმალურ აქტივობებში. ამ კუთხით არსებობს რამდენიმე პრობლემა, კერძოდ: აღმზრდელების ინფორმაციით, ბავშვებს მალე ბეზრდებათ წრეები და ხშირად იცვლიან მათ. არის შემთხვევები, როდესაც

[280] ასოციაცია „საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“. საჩხერე. სოფელი ბაჯითი.
[281] ა(ა)იპ ასოციაცია „მომავლის სხივი“. ლანჩხუთი. სოფელი ლესა; ასოციაცია „საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“. დაბა ჩხოროწყუ: შენგელიას ქ. 24; ასოციაცია „საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“, საჩხერე, სოფელი ბაჯითი.
[282] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №66 დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების“ შესახებ ტექნიკური რეგლამენტი, სტანდარტი №7.
[283] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №66 დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების“ შესახებ ტექნიკური რეგლამენტი.

ბავშვისთვის სასურველი წრე იმ რაიონში არ ფუნქციონირებს და შესაბამისად, ვერ ხერხდება ბენეფიციარების ჩართვა არაფორმალურ აქტივობებში [284].

მსტ სახლების უმეტესობაში აქვთ ტელევიზორი და კომპიუტერი. თითოეული ბენეფიციარი კომპიუტერთან, საშუალოდ, ერთ საათს ატარებს. აღსაზრდელები თავისუფალ დროს ძირითადად ტელევიზორთან ატარებენ და ხშირ შემთხვევაში, ტელევიზორი, მათი გართობის ერთადერთ საშუალებადაც გვევლინება.

მონიტორინგმა ასევე ცხადყო, რომ ყველა მსტ სახლს[285] ინტერნეტი არ მიეწოდება. ეს კი პირდაპირაა დაკავშირებული ბენეფიციარების საგანმანათლებლო საჭიროებებთან.

მსტ სახლებში აწარმოებენ ბავშვების დასასვენებლად და კულტურულ ღონისძიებებზე გაყვანის აღრიცხვის ჟურნალს. ბენეფიციარები უზრუნველყოფილი არიან ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო სტანდარტით განსაზღვრული სეზონური დასვენების უფლებით, მაგრამ სახლების უმეტესობაში ბავშვები იშვიათად დაჰყავთ ექსკურსიებსა და კულტურულ ღონისძიებებზე.

სტანდარტი 8 – განათლება[286]

განათლების უფლება განმტკიცებულია საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით. გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის 28-ე მუხლის თანახმად, ბავშვს აქვს განათლების მიღების უფლება და თანაბარი შესაძლებლობების საფუძველზე, სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს ამ უფლების რეალიზებას. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი განსაზღვრავს ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიზნებს, მათ შორის აწესებს ზოგადი განათლების ღიაობისა და თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპს, ინკლუზიური განათლების დანერგვას და სხვა. აღნიშნული ვალდებულებები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მაშინ, როდესაც სახელმწიფოს მზრუნველობის ქვეშ მყოფ ბავშვებზეა საუბარი. ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების[287] მე–8 მუხლი განსაზღვრავს იმ ვალდებულებებს, რომლებიც მომსახურების მიმწოდებელს ბავშვის მიმართ გააჩნია განათლების უფლების სრულყოფილი რეალიზაციის თვალსაზრისით.

---

[284] სოფელი ბაჯეთის მსტს „ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“, ჩხოროწყუს მსტს „ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“, „იმედის სხივი“, ლანჩხუთის რ–ნი, სოფ ლესა.

[285] ბაჯეთის მცირე საოჯახო ტიპის სახლი – ასოციაცია „საქართველოს SOS ბავშვთა სოფელი“; „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“ ოზურგეთი, ოზურგეთის მცირე საოჯახო ტიპის სახლი.

[286] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №66 დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების“ შესახებ ტექნიკური რეგლამენტი, სტანდარტი №8.

[287] ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №66 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი.

მსტ სახლების უმეტესობაში ბავშვები დამოუკიდებლად მეცადინეობენ. ამასთან, ისინი, უმეტეს შემთხვევაში, საგნებში დამატებით მომზადებასაც საჭიროებენ, განსაკუთრებით უცხო ენასა და მათემატიკაში, რაც პროვაიდერის მხრიდან ხშირ შემთხვევაში, ვერ ხერხდება. აღსაზრდელები საუბრობენ სკოლაში მასწავლებლების მხრიდან ძალადობის ფაქტებზე. არის ბულინგის შემთხვევებიც, რამდენიმე აღსაზრდელმა აღნიშნა, რომ ისინი სკოლის მიმართ სიძულვილს განიცდიან.

არასრულწლოვანებს არ აქვთ სწავლის გაგრძელების ინტერესი და უმეტესად ორიენტირებული არიან პროფესიულ განათლებაზე. ამ ფაქტს აღმზრდელები ბავშვების სიზარმაცით ხსნიან. ჩხოროწყუს[288] მსტ სახლში განთავსებული 6 ბენეფიციარიდან მხოლოდ ორი დადის საჯარო სკოლაში. დანარჩენებმა აღნიშნეს, რომ დაამთავრეს 9 კლასი და აღარ უნდათ სწავლის გაგრძელება. მოცემული მომენტისათვის რამდენიმე აღსაზრდელი საერთოდ არ არის ჩართული არც ფორმალურ და არც არაფორმალურ საგანმანათლებლო პროცესში. ამ მსტ სახლის 4 ბენეფიციარი ძირითადად სახლშია და კომპიუტერით ერთობა. ისინი არც განათლებას იღებენ, არც რაიმე პროფესიას უფლებიან და არც სხვა საქმით არიან დატვირთული.

აღსანიშნავია, რომ მსტ სახლებს საგანმანათლებლო საჭიროებების უზრუნველყოფაში სხვადასხვა ორგანიზაციები ეხმარებიან, მაგრამ ვერც ისინი ფარავენ ყველა ბენეფიციარის საჭიროებას. ამ პრობლემის მოგვარება არ შეიძლება მხოლოდ ორგანიზაციების ქველმოქმედებაზე იყოს დამოკიდებული; გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს საკითხისადმი სახელმწიფოს მხრიდან სისტემური მიდგომის შემუშავება.

ხონის[289] მსტ სახლში მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა პედაგოგიური გულგრილობა, ბენეფიციართა სასწავლო უნარ-ჩვევების დეფიციტი, შემეცნებითი განვითარების არასათანადო დონე, კომუნიკაციის და ზოგადად სოციალური უნარების სიღარიბე. ამ სურათის მიუხედავად, ინკლუზიური სწავლების პროგრამაში მხოლოდ ერთი ბავშვია ჩართული, რომელმაც წერილობით განაცხადა უარი სწავლის გაგრძელებაზე.

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ ბათუმის მსტ სახლის[290] ბენეფიციარ მოსწავლეთა უმრავლესობა საჭიროებს დამატებით მეცადინეობას და ინკლუზიური განათლების პროგრამაში ჩართვას. ამ ბავშვებში გამოვლინდა აკადემიური ჩამორჩენილობა – ისინი ვერ ძლევენ სასწავლო პროგრამას და ინტენსიურ მუშაობას საჭიროებენ. დადებით პრაქტიკად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ ამ სახლში სამ ბენეფიციართან რეგულარულად მუშაობს განვითარების პედაგოგი, თუმცა აღნიშნული სრულად არ ფარავს სახლში მცხოვრები ყველა ბავშვის საჭიროებას.

---

[288] ასოციაცია „საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“. დაბა ჩხოროწყუ, შენგელიას ქ. 24.
[289] ასოციაცია „საქართველოს ეს–ო–ეს ბავშვთა სოფელი“, ხონი, იპ. ხვიჩიას ქ. №28.
[290] ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრი, ბათუმი, 26 მაისი ქ. №106.

სახლებში არსებული ბიბლიოთეკები გამოირჩევა მხატვრული ლიტერატურის სიმწირით. წიგნები მოძველებული და ერთფეროვანია; ამასთან, არ შეესაბამება არასრულწლოვანთა ასაკსა და ინტერესებს. უმეტეს შემთხვევაში, სახლებში ბიბლიოთეკების არსებობა ფორმალურ ხასიათს ატარებს.

განსაკუთრებით პრობლემურია სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონე ბავშვების მდგომარეობა. ხშირ შემთხვევაში, მათ არ ყავთ სპეციალური პედაგოგები და ისინი დამოუკიდებლად მეცადინეობენ. მათთვის დაგეგმილი აქტივობები არ შეესაბამება მათსავე ინდივიდუალურ საგანმანათლებლო საჭიროებებს.

მცირე საოჯახო ტიპის სახლების მონიტორინგმა ცხადყო, რომ გარკვეულ შემთხვევებში მსტ სახლების პერსონალის ნაწილი არ ფლობს ცოდნას ინკლუზიური განათლების შესახებ. მათ არ იციან, თუ რა ღონისძიებების განხორციელებაა სავალდებულო ამ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების განათლების უფლების დასაცავად.

ხშირია შემთხვევები, როდესაც პროვაიდერი ვერ უზრუნველყოფს აბიტურიენტი ბენეფიციარის მომზადებას. ამ შემთხვევაში პერიოდულად მიმართავენ უფასო მოსამზადებელ კურსებს, მოხალისე სტუდენტებს[291].

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროების მქონე ბენეფიციართა იდენტიფიკაციასთან ერთად, მნიშვნელოვანია შედგენილი გეგმის რეალური განხორციელებაც. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, მსტ სახლი ვალდებულია, ითანამშრომლოს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან და აკონტროლოს ეს პროცესი. ამ კუთხით, აღსანიშნავია სკოლის როლიც. მონიტორინგის დროს გამოვლინდა სკოლის მხრიდან თავისი ვალდებულებების უგულებელყოფის რამდენიმე შემთხვევა.

ბენეფიციარების საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასწრებას ზედამხედველობას უწევს დედობილი ან მამობილი, მაგრამ სახლების უმეტესობაში დაფიქსირდა, რომ მათ არ აქვთ სრული ინფორმაცია ბავშვების საგანმანთლებლო საჭიროებებზე და სკოლაში არსებულ პრობლემებზე.

მონიტორინგმა აჩვენა, რომ მსტ სახლის ბენეფიციარების უმრავლესობისთვის უცნობია გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის შესახებ. აუცილებელია ბავშვის უფლებების საკითხებში ბენეფიციარებისა და აღმზრდელების ინფორმირებულობის გაზრდა.

[291] საქველმოქმედო ჰუმანიტარული ფონდი „ბრეს საქართველო“ ქუთაისი. კეკელიძის ქ. 26.

სტანდარტი 9 – ჯანმრთელობის დაცვა[292]

ბავშვზე ზრუნვის სტანდარტის[293] მე-9 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ბენეფიციარები უნდა იზრდებოდნენ ისეთ გარემოში, სადაც წახალისებულია ცხოვრების ჯანსაღი წესი და სათანადო ყურადღება ექცევა მათი ჯანმრთელობის მდგომარეობას.

ბავშვზე ზრუნვის სტანდარტის[294] თანახმად, მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია, უზრუნველყოს ბენეფიციართა იმუნიზაციისა და სამედიცინო პროფილაქტიკური შემოწმების პროცესის ხელმისაწვდომობა.[295]

ბენეფიციართა იმუნიზაციის კუთხით, მსტ სახლებში ასაკობრივი აცრა ყველა ბენეფიციარს აქვს ჩატარებული. ბავშვებს სეზონურად უტარდებათ გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაციაც. მონიტორინგის განხორციელების დროს რამდენიმე ბენეფიციარის შემთხვევაში დაფიქსირდა გრიპის აცრის შემდგომი გართულება. ბავშვები გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც შეფასდა მათი მდგომარეობა და დაინიშნა მკურნალობა.[296]

აღმზრდელები არ არიან ინფორმირებული იმის შესახებ, თუ რა ქმედებები უნდა განახორციელონ მათ ვირუსული ინფექციის პროფილაქტიკისა და გავრცელების თავიდან აცილების მიზნით. მსტ სახლებში ძირითადად არ აქვთ ინფიცირებული ბავშვების იზოლაციის საშუალება.

ბენეფიციარები გადიან პროფილაქტიკურ შემოწმებას, რაც დასტურდება წარმოდგენილი ფორმით №IV-100/ა. მედიკამენტების შეძენა ხორციელდება ექიმის მიერ გამოწერილი რეცეპტით. ზოგადად, მსტ სახლებში მედიკამენტების მცირე მარაგები აქვთ გაკეთებული. პირველადი სამედიცინო დახმარების ნივთები საერთოდ არ აღმოჩნდა ერთ-ერთ მსტ სახლში.[297] შინაგანაწესით გათვალისწინებულია მედიკამენტების სპეციალურად განკუთვნილ ადგილას შენახვა, თუმცა წამლები რამდენიმე მსტ სახლში ბავშვებისათვისაც ხელმისაწვდომია.[298]

---

[292] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №66 დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების“ შესახებ ტექნიკური რეგლამენტი, სტანდარტი №9.

[293] საქართველოს მთავრობის დადგენილება №66, 2014 წლის 15 იანვარი, ტექნიკური რეგლამენტი– ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ.

[294] საქართველოს მთავრობის დადგენილება №66, 2014 წლის 15 იანვარი, ტექნიკური რეგლამენტი– ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ.

[295] მე–9 მუხლის მე–2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

[296] ასოციაცია „საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“. ქუთაისი ახალგაზრდობის გამზ.მე-3 შეს. სამხრეთ-დასავლეთი. №1 სახლი.

[297] ასოციაცია „საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“, წალენჯიხა. ლევან II დადიანის ქ.

[298] ასოციაცია „საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“, ქუთაისი, შალვა დადიანის ქ. №17.
ასოციაცია „საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“, ამბროლაური, წერეთლის ქ. №8; ასოციაცია „საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“, ზესტაფონი, სოფელი კვალითი.

სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის კუთხით, გამოიკვეთა გარკვეული პრობლემები, მათ შორის ტერიტორიული ხელმისაწვდომობის პრობლემაც. რიგ შემთხვევებში პოლიკლინიკა, რომელშიც მსტ სახლის ბენეფიციარები არიან აღრიცხვაზე, შორს მდებარეობს, რაც ართულებს ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგს და მათი ჯანმრთელობის სათანადო დაცვას.[299] საჭირო წამლების შეძენის მხრივ, აფთიაქების არარსებობის გამო, პრობლემები იკვეთება სოფლებში მდებარე მსტ სახლებში.

ცხოვრების ჯანსაღ წესთან დაკავშირებით იკვეთება მეტი საგანმანათლებლო აქტივობების ჩატარების საჭიროება. სახლების უმრავლესობაში ბენეფიციარები მოიხმარენ თამბაქოს, ბავშვები ნაკლებად არიან ჩართული სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში.

მცირე საოჯახო ტიპის სახლებში ბენეფიციართა განთავსებისას, სხვა აუცილებელ დოკუმენტებთან ერთად, აუცილებელია, წარმოდგენილი იქნეს ჯანმრთელობის მდგომარეობის ცნობა (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV–100/ა).[300]

პრობლემად რჩება სოციალური მუშაკის როლი ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის ადმინისტრირების სფეროში. სოციალური მუშაკის მიერ შედგენილ ინდივიდუალური განვითარების გეგმებში, უმრავლეს შემთხვევაში, პუნქტი „ჯანმრთელობის მდგომარეობა“ ფორმალურადაა შევსებული. ინდივიდუალური გეგმების გადასინჯვისას, შეფასებები მეორდება, რაც არ ასახავს ბავშვის ჯანმრთელობის რეალურ მდგომარეობას და საჭიროებებს. ეს გარემოება მიანიშნებს სოციალური მუშაკებისა და აღმზრდელების თანამშრომლობის დეფიციტზე.

„ბრეს საქართველოს“ მსტ სახლში ყველა სამედიცინო დოკუმენტაცია ინახებოდა მკურნალ ექიმთან და სოციალურ მუშაკთან, აღნიშნული ხელს უშლის ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის დინამიკაში მეთვალყურეობას.[301]

სამედიცინო მომსახურება მსტ სახლის ბენეფიციარებისათვის უზრუნველყოფილია სახელმწიფო სადაზღვევო ვაუჩერით, თუმცა სახალხო დამცველის გასული წლების ანგარიშებშიც აღინიშნა, რომ ვაუჩერის ფარგლებში დაფინანსებისას, არ არის გათვალისწინებული ბავშვთა და მოზარდთა ასაკის თავისებურებები და საჭიროებები, რაც აისახება სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის ეფექტურობაზე.

მოზარდობის ასაკში ხშირია დარღვევები ენდოკრინული და სქესობრივი მომწიფების მხრივ, ხშირ საჭიროებას წარმოადგენს, აგრეთვე, მხედველობის კორექცია და სათვალის

---

[299] „საქართველოს კარიტასი“, თბილისი, ბეჟანიშვილის ქ. №8; მსტ სახლი „სათნოება“.

[300] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის №52/ნ ბრძანება „სპეციალიზირებულ დაწესებეულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, მუხ. 6.

[301] საქველმოქმედო ჰუმანიტარული ფონდი „ბრეს საქართველო“, ქუთაისი, კეკელიძის ქ. №26

შეძენა. მონიტორინგმა გვიჩვენა, რომ სტომატოლოგიური დახმარება მსტ სახლების უმეტესობაში კვლავ პრობლემატურია, რადგან სადაზღვევო პაკეტი არ ფარავს ამ მომსახურებას. მსტ სახლების პროვაიდერების ვალდებულებაა ბენეფიციართა სტომატოლოგიური მკურნალობის უზრუნველყოფაც.

სტანდარტი 10 – უკუკავშირისა და გაპროტესტების პროცედურები[302]

ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების[303] მე–10 მუხლის შესაბამისად, მომსახურების მიმწოდებელმა ბავშვისა და მისი კანონიერი წარმომადგენლისათვის მომსახურების მიწოდების ფორმისა და ხარისხის შესახებ უნდა შექმნას უკუკავშირისა და პროტესტის გამოხატვის მარტივი და ნათელი პროცედურა.

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ მსტ სახლებში, ხშირ შემთხვევაში, აწარმოებენ აზრის გამოხატვის პასუხად გატარებული ღონისძიებების აღრიცხვის ჟურნალს. უმრავლეს შემთხვევაში, ჩანაწერები ფიქსირდება, მაგრამ არ იკვეთება, რა ვადებში განხორციელდა შესაბამისი რეაგირება და რა შედეგი იქნა მიღწეული ან ეს დოკუმენტი სულაც ცარიელი გვხვდება. ამდენად, ის ხშირად ფორმალური ხასიათისაა.

უკუკავშირის უზრუნველყოფის მიზნით, მსტ სახლებში ფუნქციონირებს საჩივრის ყუთები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ცარიელია. უკუკავშირისა და გაპროტესტების პროცედურები სერვისის მიმწოდებელთა მხრიდან ნაკლებადაა წახალისებული და სერვისის მომხმარებლები, არაინფორმირებულობის გამო, ამ უფლებით არ სარგებლობენ.

მსტ სახლებში თვალსაჩინო ადგილასაა დამაგრებული საჩივრების ყუთი. მონიტორინგის ექსპერტთა მიერ ინტერვიუირებული ბენეფიციარები აცხადებენ, რომ იშვიათად სარგებლობენ ამ ყუთით. მონიტორინგის დროს უკუკავშირისა და გაპროტესტების ჟურნალი თითქმის ყველა სახლში ან ცარიელი იყო ან არ იყო სრულყოფილად ნაწარმოები. ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოიკვეთა ბათუმის მსტ სახლი[304]. ყუთი მოთავსებული იყო ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას. მას არ ჰქონდა წარწერა. აშკარა იყო, რომ ამ სახლში ის სრულიად უფუნქციო საგანს წარმოადგენს. უკუკავშირის რვეული მონიტორებს ცარიელი დახვდათ.

---

[302] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №66 დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვზე ზრუნვის სტანდარტები“-ს შესახებ ტექნიკური რეგლამენტი, სტანდარტი №10

[303] ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №66 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი;

[304] ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრი, ბათუმი, 26 მაისი ქ. №106.

ჩხოროწყუს მსტ სახლში[305] ბენეფიციარები არ არიან ინფორმირებული იმის შესახებ, რომ მათ შეუძლიათ, გამოთქვან საკუთარი მოსაზრება ან გააპროტესტონ მომსახურების ხარისხი. არ არსებობს წინასწარ შეთანხმებული პროცედურა, რომელიც ბენეფიციარს ან მის კანონიერ წარმომადგენელს მისცემს შესაძლებლობას თავისი მოსაზრება ანონიმურად დააფიქსიროს.

სტანდარტი 11 – ძალადობისგან დაცვა[306]

„ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების“[307] მე-11 მუხლით განსაზღვრულია ბავშვის უფლება, დაცული იყოს ძალადობისგან. ბავშვის უფლებათა კონვენციის მე–19 მუხლი ავალდებულებს მონაწილე სახელმწიფოებს დაიცვან ბავშვი ნებისმიერი სახის ძალადობისგან, ხოლო გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტი, თავის ზოგად კომენტარში №8, მოუწოდებს სახელმწიფოებს, მოახდინონ სწრაფი რეაგირება არასრულწლოვანთა მიმართ ნებისმიერი სახის ფიზიკური ძალადობის აღმოსაფხვრელად.[308] აღნიშნულ კომენტარში კომიტეტმა განსაზღვრა, რომ დისციპლინა მკაფიოდ უნდა იყოს გამიჯნული ძალადობისაგან. ეს უკანასკნელი, პირველისგან განსხვავებით, იწვევს გარკვეული ინტენსივობის ტკივილს, დისკომფორტსა და დამცირებას.

მსტ სახლების ბენეფიციართა უმრავლესობას ფსიქო-ფიზიკური ძალადობის გამოცდილების ისტორია აქვს (ზრუნვის გარეშე მიტოვება, უგულებელყოფა, დედის გარდაცვალება, მშობლების მხრიდან ფსიქო-ფიზიკური ძალადობა, საკვების უკმარისობა, ინსტიტუციური აღზრდის გამოცდილება, ზრუნვის ფორმების ხშირი ცვლა და სხვა).

ყველა მსტ სახლში აქვთ ძალადობის რეგისტრაციის ჟურნალი ან სპეციალური რვეული, მაგრამ ჩანაწერები არ შეესაბამება მსტ სახლში არსებულ რეალობას და სათანადოდ არ ფიქსირდება ძალადობის ყველა ფაქტი.

ერთ–ერთი მსტ[309] სახლის ძალადობის აღრიცხვის ჟურნალში ფიქსირდება 2013 წლის ჩანაწერი ბავშვის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე, მამობილის მხრიდან მასზე განხორციელებული ძალადობის შესახებ. არ განხორციელებულა ბავშვზე ზრუნვის პროცესზე პასუხისმგებელი პირების მიერ საკითხის უფრო ღრმად შესწავლა, ძალადობის პრევენციისათვის საჭირო ღონისძიებების ინიცირება და ტრავმული განცდების მქონე

[305] ასოციაცია „საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“, დაბა ჩხოროწყუ, შენგელიას ქ. №24.
[306] ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №66 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი, სტანდარტი №11.
[307] „ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების“ დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №66 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი.
[308] General Comment №8, the Right of the Child to Protection from Corporal Punishment and other Cruel or Degrading Forms of Punishment, Committee on the Rights of the Child, 2006, Para. 2.
[309] ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრი. 26 მაისის ქ. №106.

ბავშვის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია. აღნიშნული შემთხვევის შესახებ, სახალხო დამცველის 2012 წლის ანგარიშში მოყვანილია ფაქტები, თუმცა მიმდინარე მონიტორინგის განხორციელების დროსაც მამობილი კვლავ მსტ სახლში აგრძელებდა მუშაობას.

ერთ–ერთ მსტ[310] სახლში ბენეფიციართა უმრავლესობას სირთულეები აქვს სკოლაში. მათ აღენიშნებათ ემოციური და ქცევითი დარღვევები და საჭიროებენ კვალიფიციურ დახმარებას, ინდივიდუალურ პროგრამებს, რომლებიც მორგებული იქნება საგანმანათლებლო თუ ფსიქიკური ჯანმრთელობის საჭიროებებზე. აღნიშნული არ განხორციელებულა. უკვე რამდენიმე თვეა ყავთ აღმზრდელი, რომელსაც ჯერ არ აქვს გავლილი გადამზადების კურსი, დედობილი ნაკლებად ურთიერთობს ბავშვებთან და ბენეფიციარების შესახებ ინფორმაციის ძირითად ნაწილს მამობილი ფლობს. პროვაიდერი ორგანიზაციის ახალდანიშნული წარმომადგენელი მოტივირებულია დაეხმაროს ბენეფიციარებს. ის აქტიურადაა ჩართული სახლის ცხოვრებაში, თავად დაჰყავს ბავშვები სკოლაში, აწყობს მათთვის სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, ხშირად მიმართავს ოჯახის ექიმს. თუმცა, მას არა აქვს გავლილი შესაბამისი მომზადება და ამდენად, მისი ძალისხმევა არ არის მორგებული ბენეფიციართა კონკრეტულ საჭიროებებზე.

ბავშვზე ზრუნვაში ჩართული პირები, ხშირ შემთხვევაში, დამოუკიდებლად, სპეციალისტის დახმარების გარეშე, ვერ ახერხებენ ბენეფიციარების ფსიქოლოგიური/ფსიქიატრიული პრობლემების დროულ იდენტიფიცირებას და კრიზისის დადგომამდე ვერ საზღვრავენ ბავშვის საჭიროებებს. ისინი, შესაბამისად, წინასწარ არ ატარებენ პრევენციულ ღონისძიებებს ან კრიზისის დაძლევას პრობლემის იგნორირებით, დამალვით და ზოგადი ხასიათის საუბრებით ცდილობენ, რაც, უმრავლეს შემთხვევაში, შედეგს არ იძლევა. ერთ–ერთი მსტ სახლის[311] დედობილმა, მონიტორებთან საუბრისას, განაცხადა, რომ მას არ უყვარს ფსიქიატრთან ბავშვის ტარება. ამიტომ მან ბენეფიციარს თვითნებურად მოუხსნა ფსიქიატრის მიერ დანიშნული მედიკამენტი, რადგან მიიჩნია, რომ მედიკამენტი უარესად მოქმედებდა ბავშვზე. მონიტორინგის ჯგუფის წევრების დაკვირვებით, აღნიშნული აღმზრდელის ზრუნვის ქვეშ მყოფი რამდენიმე ბავშვი კვლავ ავლენდა ქცევითი და ემოციური აშლილობის სიმპტომებს და ნიშნებს. აღმზრდელი, ცხადია, ვერ ახერხებდა ამ ბენეფიციარების ქცევის დამოუკიდებლად მართვას.

აღსანიშნავია, რომ რთული, გამოხატული ქცევითი დარღვევების მქონე ბენეფიციარების არსებობა, იმ შემთხვევაში, როდესაც მომსახურება ვერ უზრუნველყოფს მისი ქცევის რეგულირებას, ნეგატიურ გავლენას ახდენს მოცემული მსტ სახლის სხვა ბენეფიციარებზეც.[312] აღმზრდელების დიდ ნაწილს არა აქვს ცოდნა იმის შესახებ, თუ რა

[310] ა(ა)იპ ასოციაცია „მომავლის სხივი“, ლანჩხუთი, სოფელი ლესა.
[311] ასოციაცია „საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“, ზესტაფონი, სოფელი კვალითი.
[312] საქველმოქმედო ჰუმანიტარული ფონდი „ბრეს საქართველო“, ქუთაისი, კეკელიძის ქ. №26.

გავლენას ახდენს ბავშვის განვითარებასა და ქცევაზე ტრავმული გამოცდილება. ხშირ შემთხვევაში, ასეთი რთული წარსულის მქონე ბავშვების არასასურველი ქცევა ინტერპრეტირდება, როგორც „სიჯიუტე“, „უმადურობა“, „ გენეტიკა“ და ა.შ.

მსტ სახლების უმრავლესობაში ბავშვებს შორის ურთიერთ ძალადობას სისტემატიური ხასიათი აქვს, რაც სახლებში არაკეთილსაიმედო გარემოს ქმნის. მსტ სახლებში[313] დაფიქსირდა ბულინგის შემთხვევები.

ერთ–ერთი მსტ სახლის[314] ბენეფიციარებს აღენიშნებოდათ სხვადასხვა სახის ფიზიკური დაზიანებები, რაც, უმეტესად, ჩხუბის და ერთმანეთის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის შედეგად მიიღეს. ბავშვები, როგორც აღმზრდელების ჩანაწერებიდან ირკვევა, ერთმანეთის მიმართ სიტყვიერ და ფიზიკურ აგრესიას ავლენენ. მსგავსი სიტუაციაა ბათუმის მსტ სახლშიც.[315]

აღმზრდელები ბავშვის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას მის მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე, ობიექტური მონაცემების გარეშე, ხშირად სარწმუნოდ არ იღებენ და ბავშვთა შორის ძალადობას „ბავშვების კინკლაობად“ მოიხსენიებენ.

განსაკუთრებით საყურადღებოა ბენეფიციართა ბიოლოგიურ ოჯახებში არსებული მდგომარეობა. ბენეფიციარების და აღმზრდელის მიერ მოწოდებული ინფორმაცია მიუთითებს ბიოლოგიურ ოჯახებში არსებულ სხვადასხვა ტიპის ძალადობაზე, რომლის შესწავლაც, ხშირ შემთხვევაში, სრულფასოვნად არ ხორციელდება. ბენეფიციარის ოჯახში არსებული ვითარება არც მისი დროებითი გაყვანის დროს არის გათვალიწინებული. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია სოციალური მუშაკის აქტიური ჩართულობა ბავშვის პრობლემის გამოვლენისა და მასზე რეაგირების პროცესში.

---

[313] ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრი; 26 მაისის ქ. №106; ასოციაცია „საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“, ხონი, იპ. ხვიჩიას ქ. №28; ასოციაცია „საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“, წალენჯიხა, ლევან II დადიანის ქ; ა(ა)იპ ასოციაცია ,,მომავლის სხივი“, ლანჩხუთი, სოფელი ლესა; ასოციაცია „საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“, საჩხერე, სოფელი ბაჯითი.

[314] ასოციაცია „საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“. ხონი, იპ. ხვიჩიას ქ. №28.

[315] ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრი. 26 მაისის ქ. №106.

სტანდარტი 12– ზრუნვა და მეთვალყურეობა[316]

„ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების“ მე-12 მუხლით განსაზღვრულია მომსახურების მიმწოდებლის ვალდებულებები და დაცულია ბავშვის უფლება, იმყოფებოდეს სათანადო მზრუნველობისა და მეთვალყურეობის ქვეშ.

მსტ სახლებში არსებობს „ბავშვის გაუჩინარების აღრიცხვის“ ჟურნალი, მაგრამ როგორც მონიტორინგის შედეგად გაირკვა, მისი წარმოება, ძირითადად, ფორმალურ ხასიათს ატარებს და ყველა შემთხვევის ჟურნალში რეგისტრირება არ ხორციელდება.

ბავშვის რთული ქცევის შეფასება და მართვა, უმეტეს შემთხვევაში, ბავშვის ინდივიდუალური განვითარების გეგმაშია გაწერილი, მაგრამ რეალურად მოკლებულია მულტიდისციპლინურ ხასიათს და პასუხისმგებლობის მთელი სიმძიმე აღმზრდელზეა გადატანილი.

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა მსტ სახლიდან ბენეფიციართა ბიოლოგიურ ოჯახში გაპარვის შემთხვევები, როცა მზრუნველებს მათი მოძიება და სახლში დაბრუნება დამოუკიდებლად ან სოციალური სამსახურისა და პოლიციის დახმარებით უხდებათ.

გაპარვის მიზეზად, უმეტესად, მშობლებისა და და-ძმის მონატრება სახელდება – მატერიალური პრობლემების გამო, მსტ სახლში ბენეფიციარების ოჯახის წევრები იშვიათად სტუმრობენ.

მონიტორინგის ჯგუფის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ქუთაისის[317] და ხონის[318] მსტ სახლებში ბავშვზე ზრუნვის მხრივ არსებულმა პრობლემებმა. წლების განმავლობაში მოუგვარებელმა და უყურადღებოდ დატოვებულმა რთულმა ქცევამ ბავშვებს შორის ურთიერთ ძალადობის, ცალკეულ შემთხვევაში კი, ასოციალური ქცევის სახე მიიღო. ხონის მსტ სახლში[319] ბავშვები ხშირად ნებართვის გარეშე გადიან სახლიდან და გვიან ბრუნდებიან. ჩანაწერში არ ჩანს აღმზრდელის ინფორმირებულობა ბავშვის სახლიდან გასვლის მიზეზების, პრობლემებისა და ინტერესების ან გარეთ გატარებული პერიოდის შესახებ. არც ის იკვეთება, თუ რა სახის აღმზრდელობითი სამუშაოები აქვს ჩატარებული ბავშვებთან აღმზრდელს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

---

[316] ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №66 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი, სტანდარტი №12.
[317] ასოციაცია „საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“, ქუთაისი, შალვა დადიანის ქ. №17.
[318] ასოციაცია „საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“, ხონი, იპ. ხვიჩიას ქ. №28.
[319] ასოციაცია „საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“, ხონი, იპ. ხვიჩიას ქ. №28;

ერთ–ერთ მსტ[320] სახლში შექმნილი ატმოსფერო, იმაზე მიანიშნებს, რომ ბენეფიციარებს მხოლოდ ბაზისური მოთხოვნილებები აქვთ დაკმაყოფილებული. დედობილ-მამობილთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ დედობილი ნაკლებად არის ჩართული ბენეფიციარების აღზრდის საკითხში. სავარაუდოდ, იგი მხოლოდ საოჯახო საქმეებითაა დაკავებული, ამიტომ ნაკლებად იცნობს ბავშვების პრობლემებს, მიაჩნია, რომ მოზარდებს არანაირი სირთულეები არა აქვთ, გარდა იმისა, რომ ზოგჯერ აგვიანებენ სახლში მოსვლას. ის ნაკლებადა ერკვევა ბენეფიციართა ინდივიდუალური საჭიროებებში.

სტანდარტი 13 – დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადება და მომსახურების დატოვება[321]

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის მიხედვით, დაწესებულების დატოვების შემდეგ, მოზარდის ოჯახთან და საზოგადოებასთან ინტეგრაციის მიზნით და მისი ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს იგი მხარდაჭერითა და ადეკვატური დახმარებით[322]. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი 2008 წლის დასკვნაში მოუწოდებს საქართველოს, შემოიღოს ზომები მზრუნველობის ცენტრებიდან წასული ახალგაზრდების შემდგომი დახმარებისა და ზრუნვის უზრუნველსაყოფად[323].

სახალხო დამცველმა 2012 წლის საპარლამენტო ანგარიშში რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, უზრუნველყოს დამოუკიდებელი ცხოვრების მხარდამჭერი ეფექტური პროგრამის შემუშავება შესაბამისი საჭიროების მქონე იმ ბენეფიციარებისათვის, რომლებიც სრულწლოვანების ასაკის მიღწევის გამო ტოვებენ მცირე საოჯახო ტიპის სახლებს, მათ შორის, მათი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებითა და დასაქმების ხელშეწყობით.

ბავშვზე ზრუნვის სტანდარტი ავალდებულებს მომსახურების მიმწოდებელს, მოამზადოს ბავშვი დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და დაეხმაროს მას მომსახურების დატოვებაში.

---

[320] ასოციაცია „საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“, დაბა ჩხოროწყუ, შენგელიას ქ. №24.

[321] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №66 დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების“ შესახებ ტექნიკური რეგლამენტი, სტანდარტი №13.

[322] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2005)5, *ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოების მიმართ დახურული ტიპის დაწესებულებებში მყოფ ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებით,* ძირითადი პრინციპები.

[323] გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ორმოცდამერვე სხდომა, CRC/C/GEO/CO/3, 37–ე რეკომენდაცია.

მონიტორინგის შედეგად ნათელია, რომ ამ მიმართულებით სახელმწიფოს სათანადო ღონისძიებები არ გაუტარებია. რაც შეეხება მომსახურების მიმწოდებლებს, ისინი, წინა წლებისგან განსხვავებით, უფრო აქტიურად მონაწილეობენ ბენეფიციართა მომავლის დაგეგმვაში. სახელმწიფოს მხრიდან კი, ქმედითი ნაბიჯების გადადგმა აუცილებლობას წარმოადგენს.

პროვაიდერი ორგანიზაციები საკუთარი რესურსით ან საქველმოქმედო ორგანიზაციების დახმარებით ცდილობენ ბენეფიციართათვის პროფესიული განათლების მიცემას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფონდი „ნატახტარი“ ეხმარება მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყებაში. ფონდის წარმომადგენელი მუშაობს სახლთან, აფასებს ბენეფიციარების საჭიროებებს და მათთან ერთად განსაზღვრავს მათ სამომავლო გეგმებს. ეს პროცესი სოციალური მუშაკის ჩართულობასაც გულისხმობს. მიუხედავად ამისა, მთელი ტვირთი გადასულია პროვაიდერ ორგანიზაციებსა და მათ მიერ სხვადასხვა წყაროებიდან მოპოვებულ დაფინანსებაზე.. მსტ სახლების ბენეფიციართა დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადების პროცესში, ძირითადად, არც მათი ბიოლოგიური ოჯახები არიან ჩართული.

მონიტორინგის პროცესში, მსტ სახლებში არ აღმოჩნდა მოზარდის დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მზადების მკაფიოდ გაწერილი გეგმა. მომსახურების ინდივიდუალურ გეგმაშიც ეს საკითხი ნაკლებადაა გაწერილი. ბენეფიციარებთან ამ მიმართულებით თანმიმდევრული მუშაობა და მათი ინტერესებისა და საჭიროებების გამოკვეთა გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს.

ბენეფიციარების უმრავლესობა პროფესიული განათლების მიღების სურვილს გამოხატავს. მათ სწავლის მიმართ ინტერესი არა აქვთ, რადგან სურთ, რაც შეიძლება დროულად გაუჩნდეთ საკუთარი შემოსავალი და დამოუკიდებელ ცხოვრებას მომზადებული შეხვდნენ.

ჩხოროწყუს მსტ სახლის რამდენიმე აღსაზრდელმა შესაბამისი პროფესიული კურსები დაამთავრა. სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ, ისინი ბიოლოგიურ ოჯახებს დაუბრუნდნენ, სადაც მძიმე პირობები დახვდათ. აღსანიშნავია, რომ ეს ახალგაზრდები არ არიან უზრუნველყოფილი სამსახურით. დაფიქსირდა ნაადრევი ქორწინების შემთხვევებიც, რისი მიზეზიც შესაძლებელია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მოუმზადებლობა და ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნების თავის არიდება იყოს. [324]

აღსანიშნავია, რომ აღსაზრდელების უმრავლესობას გამომუშავებული აქვს საკუთარ თავზე ზრუნვის უნარ–ჩვევები. ისინი დედობილს და მამობილს ყოველდღიურ საქმიანობაში ეხმარებიან, შეძლებისდაგვარად მონაწილეობას იღებენ საკვების მომზადებაში, ალაგებენ თავიანთ ოთახებს და სახლს.

[324] ასოციაცია „საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“, დაბა ჩხოროწყუ, შენგელიას ქ. №24.

სტანდარტი 14 – ბენეფიციარზე ორიენტირებული გარემო[325]

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად,[326] „ყველა ბავშვს აქვს უფლება, უზრუნველყოფილი იყოს ცხოვრების ისეთი დონით, რომელიც აუცილებელია მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი თუ სოციალური განვითარებისთვის.“ სახელმწიფო კი, თავის მხრივ, ვალდებულია, უზრუნველყოს შესაბამისი პირობები ამ ვალდებულების განსახორციელებლად. ბავშვის სრულფასოვანი განვითარებისთვის საჭიროა ნორმალური, ოჯახის გარემოსთან გათანაბრებული გარემო.

ბავშვზე ზრუნვის მე–14 სტანდარტის თანახმად, მომსახურების მიწოდება ხორციელდება ისეთ გარემოში, რომელიც შეესაბამება მომსახურების მიზანს და სათანადოდ აკმაყოფილებს ბენეფიციარის საჭიროებებს. მომსახურება ხორციელდება კეთილმოწყობილ, სუფთა და კომფორტულ გარემოში. მომსახურების ფიზიკური გარემო მაქსიმალურად უნდა იყოს მიმსგავსებული ოჯახურ პირობებს.

წალენჯიხის[327] მცირე საოჯახო ტიპის სახლს დაზიანებული აქვს სახურავი, საიდანაც წვიმის დროს საცხოვრებელ ოთახში ჩადის წყალი. ამავე სახლში ბუნებრივი ნალექის დროს სამზარეულოს კედელში ჟონავს წყალი. სახლში ამორტიზირებულია მეორე სართულზე ასასვლელი შიდა კიბეების მოაჯირი. ლანჩხუთში[328] და სოფელ ბაჯითში[329] არსებულ მცირე საოჯახო ტიპის სახლებში საცხოვრებელ ოთახებში არ ინთება შუქი, რის გამოც ბავშვებს მეცადინეობა მაგიდის სანათის შუქზე უწევთ.

ბათუმში[330] მდებარე მცირე საოჯახო ტიპის სახლში არსებული ნესტის გამო იგრძნობა სპეციფიური უსიამოვნო სუნი. კედლების საღებავი ჩამოქერცლილია და საჭიროებს რემონტს.

ამბროლაურის[331], ხონის[332], ზესტაფონის[333] და ქუთაისის მცირე საოჯახო ტიპის სახლებში არსებულ სველ წერტილებში შესაცვლელია ონკანები, წყალგაყვანილობის და

---

[325] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №66 დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების“ შესახებ ტექნიკური რეგლამენტი, სტანდარტი №14.
[326] გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია; 27-ე მუხლი, ნაწილი პირველი.
[327] ასოციაცია „საქართველოს ეს–ო–ეს ბავშვთა სოფელი“, წალენჯიხა, ლევან მეორე დადიანის ქ.
[328] ა(ა)იპ „მომავლის სხივი“ ლანჩხუთი, სოფელი ლესა.
[329] ასოციაცია „საქართველოს ეს–ო–ეს ბავშვთა სოფელი“, საჩხერე, სოფელი ბაჯითი.
[330] ბათუმის, განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრი; ბათუმი, 26 მაისის ქ. №106.
[331] ასოციაცია „საქართველოს ეს–ო–ეს ბავშვთა სოფელი“ ამბროლაური; წერეთლის ქ. №8.
[332] ასოციაცია „საქართველოს ეს–ო–ეს ბავშვთა სოფელი“, ხონი, იპ.ხვიჩიას №28.
[333] ასოციაცია „საქართველოს ეს–ო–ეს ბავშვთა სოფელი“, ზესტაფონი, სოფელი კვალითი.

საკანალიზაციო სისტემა, დასამონტაჟებელია ხელოვნური ვენტილაცია. ქუთაისის[334], სოფელ ბაჯითის[335] და ხონის[336] სამზარეულოებში არ ფუნქციონირებს გამწოვი სისტემები.

სტანდარტი 15 – უსაფრთხოება და სანიტარული მდგომარეობა[337]

მე-15 სტანდარტის[338] მიხედვით ბენეფიციარები მომსახურებას იღებენ უსაფრთხო გარემოში, სადაც დაცულია სანიტარიული წესები; მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია, მომსახურებისთვის განკუთვნილ ტერიტორიაზე შეინარჩუნოს სისუფთავე, ნაგავი შეინახოს დახურულ კონტეინერში, სპეციალურად ამისთვის გამოყოფილ ადგილას.

მცირე საოჯახო ტიპის სახლების სველ წერტილებში ბავშვების კუთვნილი კბილის ჯაგრისები ყოველგვარი ჰიგიენურად დამცავი საშუალების და განმასხვავებელი ნიშნის გარეშე ინახება საერთო ღია ჭურჭელში. აქედან გამომდინარე, ადვილად შესაძლებელია კბილის ჯაგრისები ერთმანეთში აირიოს, ძირს ჩამოვარდეს ან სხვა გზით დაბინძურდეს, რაც საფრთხის შემცველია ჯანმრთელობისათვის.

აღსანიშნავია ისიც, რომ მსტ სახლების უმეტესობაში სანაგვე ურნებს არა აქვს თავსახურავი. აღნიშნული ეხება როგორც სახლში, ისე ეზოში განთავსებულ სანაგვე ურნებს. მონიტორინგის დროს ქუთაისის[339] მცირე საოჯახო ტიპის სახლში სამზარეულოს კარებთან დაფიქსირდა ნარჩენებით სავსე უთავსახურო ნაგვის ურნები. ნაგვის ნაწილი იქვე ძირს ეწყო, რაც სანიტარიული წესების დარღვევას წარმოადგენს.

რეკომენდაციები საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- **მომსახურების მიმწოდებლებმა უზრუნველყონ მსტ სახლებში დასაქმებული პირების საბაზისო მომზადება მუშაობის დაწყებამდე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებული სატრენინგო კურსის მიხედვით, ხოლო შემდგომ – კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების რეგულარული ჩატარება**

---

[334] საქველმოქმედო ჰუმანიტარული ფონდი „ბრეს საქართველო“ ქუთაისი, კეკელიძის ქ. №26.
[335] ასოციაცია „საქართველოს ეს–ო–ეს ბავშვთა სოფელი“ საჩხერე, სოფ. ბაჯითი.
[336] ასოციაცია „საქართველოს ეს–ო–ეს ბავშვთა სოფელი“, ხონი, იპ.ხვიჩიას №28.
[337] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №66 დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების“ შესახებ ტექნიკური რეგლამენტი, სტანდარტი №15.
[338] საქართველოს მთავრობის დადგენილება №66; 2014 წლის 15 იანვარი; ტექნიკური რეგლამენტი - ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ.
[339] საქველმოქმედო ჰუმანიტარული ფონდი „ბრეს საქართველო“, ქუთაისი; კეკელიძის ქ. №26.

- ზედამხედველობა გაეწიოს ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების პირველი მუხლითა (სტანდარტი №1 – ინფორმაცია მომსახურების შესახებ) და „სპეციალიზებულ დაწესებულებაში მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის №52/ნ ბრძანების №3 დანართით გათვალისწინებული დოკუმენტაციის სათანადო წესით წარმოების უზრუნველყოფას
- უზრუნველყოფილ იქნეს რეგიონებში ფუნქციონირებადი მცირე საოჯახო ტიპის სახლების ბავშვებისთვის საჭირო მომსახურების ხელმისაწვდომობა; უზრუნველყოფილ იქნეს ბენეფიციართა დამატებითი რესურსით მხარდაჭერა
- სოციალურმა სამსახურებმა უფრო აქტიურად იმუშაონ ბიოლოგიური ოჯახების ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით, რათა შესაძლებელი გახდეს ბიოლოგიურ ოჯახთან ბავშვის კონტაქტების გაჯანსაღება და შემდგომში ბავშვის ოჯახში რეინტეგრაცია
- უზრუნველყოფილ იქნეს ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების მულტიდისციპლინური შეფასება, განვითარების ინდივიდუალურ გეგმაში მათი რეალური ასახვა და დასახული მიზნების მიღწევის ინდიკატორების შემუშავება
- დაინერგოს, პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე, მოკლევადიანი ინდივიდუალური აქტივობების დაგეგმვა. შემუშავდეს მიღწეული შედეგების შეფასების ინდიკატორები
- დაწესდეს მკაცრი მონიტორინგი მსტ სახლებში „ბავშვზე ზრუნვის სტანდარტით“ განსაზღვრული, ბავშვის ემოციური და სოციალური განვითარებისათვის კეთილსაიმედო გარემოს შექმნასა და შენარჩუნებაზე
- უზრუნველყოს პერსონალის გადამზადება განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბენეფიციართა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესადგენად საჭირო პროცედურებისა და მათი შესრულების კონტროლის საკითხებზე
- უზრუნველყოს მომსახურების მიმწოდებლებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლობა ბენეფიციარების საგანმანათლებლო საჭიროებების გამოსაკვეთად
- უზრუნველყოს ბენეფიციარების დამატებითი სისტემური და კვალიფიციური მეცადინეობა საჭირო საგნებში და მათი მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა;
- უზრუნველყოს ბენეფიციარებისა და აღმზრდელების ინფორმირებულობა ბავშვის უფლებებისა და ამ უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ
- უზრუნველყოს ბენეფიციართათვის ადეკვატური სამედიცინო მომსახურების დროული მიწოდება
- გადაუდებელი წესით ჩარიცხვის დროს მსტ სახლში დაუყოვნებლივ უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება, ბენეფიციართა ჯანმრთელობისათვის საფრთხის თავიდან აცილების მიზნით
- ხელი შეეწყოს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. გაიზარდოს ფიზიკური აქტივობებისა და სპორტის როლი მცირე საოჯახო ტიპის სახლების ბენეფიციართა ყოველდღიურ ცხოვრებაში
- სრულად იქნეს დაცული ინფექციის კონტროლის მოთხოვნები. უზრუნველყოფილ იქნეს აღმზრდელთა და ბენეფიციართა ინფორმირებულობა გადამდები დაავადებების შესახებ

- უზრუნველყოფილ იქნეს მსტ სახლებში მედიკამენტების უსაფრთხო შენახვა და მედიკამენტების მიღების დოკუმენტირება
- უზრუნველყოფილ იქნეს სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფ ბავშვთა ფსიქოლოგიური/ფსიქიატრიული დახმარების სტანდარტების შემუშავება განხორციელდეს ბენეფიციართა საჭიროებებზე მორგებული ფსიქოლოგიური დახმარების იმპლემენტირება, შესაბამისი კადრების მომზადებით, ჩატარებული მუშაობის სუპერვიზირების მექანიზმების დანერგვით, ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარებისა და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამების შემუშავებითა და დროული ინიცირებით
- უზრუნველყოფილ იქნეს, ბავშვის უფლებებისა და ძალადობის პრევენციის საკითხებში სერვისის მიმწოდებელთა და სერვისის მომხმარებელთა რეგულარული ხასიათის სწავლება. მზრუნველთათვის შემუშავდეს სპეციალური ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამები
- განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ბიოლოგიურ ოჯახებში დროებითი გაყვანის პერიოდში ბავშვების სოციალურ პირობებს და მათ მიმართ ძალადობის პრევენციას

რეკომენდაცია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს:

- საუბრის კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით, ყველა მსტ სახლში გამოიყოს სპეციალური ოთახი
- კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით, შემუშავდეს მცირე საოჯახო ტიპის სახლების მიერ ბენეფიციართა პირადი ინფორმაციის გაცემის თაობაზე უფლებამოსილი პირის თანხმობის ფორმა
- უზრუნველყოფილ იქნეს მსტ სახლების პერსონალის გადამზადება ბენეფიციართა მომსახურების ინდივიდუალური გეგმების სრულყოფილი სახით წარმოების სწავლების მიზნით. გეგმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნეს ბენეფიციარების და აღმზრდელების მოსაზრებები
- მეთვალყურეობა გაეწიოს ინდივიდუალური განვითარების გეგმების წარმოებას
- უზრუნველყოფილ იქნეს ბენეფიციართა მცირე საოჯახო ტიპის სახლებში განთავსებისას, სახლისთვის ბავშვის დოკუმენტაციის დროულად მიწოდება, რისკების ადეკვატური შეფასება და ზრუნვის ალტერნატიული ფორმის განსაზღვრა ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების გათვალიწინებით
- მსტ სახლებისთვის შემუშავდეს კვების სპეციალური სტანდარტი
- უზრუნველყოფილ იქნეს მსტ სახლების აღმზრდელთა რეგულარული გადამზადება ბავშვის ზრდა–განვითარების, საკვები პროდუქტების შენახვის, ხარისხის უვნებლობისა და ბავშვის ჯანსაღი, ბალანსირებული კვების საკითხებში
- მიღებულ იქნეს სათანადო ზომები საკვები პროდუქტების შეუფერხებელი შეძენის განსახორციელებლად
- რეგულარულად შემოწმდეს წყლის ვარგისიანობა
- განხორციელდეს ბავშვის რთული ქცევის მულტიდისციპლინური მართვა ფსიქოლოგისა და საჭიროების შემთხვევაში, ფსიქიატრის აქტიური მონაწილეობით

- უზრუნველყოფილ იქნეს სოციალური მომსახურების რაიონული ცენტრების სოციალურ მუშაკთა აქტიური და ქმედითი ჩართულობა მსტ სახლების ბენეფიციარებზე ზრუნვის პროცესში
- ბავშვზე ზრუნვის პროცესის ჩაშლისა და ბავშვის უფლებების დარღვევის თავიდან აცილების მიზნით ფსიქოლოგიური/ფსიქიატრიული/პედაგოგიური/სოციალური ღონისძიებების არაეფექტურობის შემთხვევაში, უზრუნველყოფილ იქნეს ბენეფიციარის ალტერნატიული მზრუნველობის ფორმის შერჩევის საკითხის დროული განხილვა და ადექვატური ზომების გატარება
- უზრუნველყოფილ იქნეს იმ მცირე საოჯახო ტიპის სახლების რემონტი, კეთილმოწყობა, ინვენტარის შევსება, რომლებიც ვერ ქმნიან ბავშვებისთვის სათანადო საცხოვრებელ პირობებს
- უზრუნველყოფილ იქნეს აღმზრდელების ტრენინგი ბუნებრივი კატასტროფების რისკების მართვის საკითხებთან დაკავშირებით
- შემუშავდეს მცირე საოჯახო ტიპის ყველა სახლის საევაკუაციო გეგმა, რომელსაც გაეცნობიან როგორც აღმზრდელები, ისე ბენეფიციარები
- უზრუნველყოფილ იქნეს მსტ სახლები ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით. ამ მიზნით სახლებში გამოიყოს საგანგებო კუთხე
- უზრუნველყოფილ იქნეს ჰიგიენური პირობების დაცვის რეგულარული კონტროლი

რეკომენდაცია ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრს:

უზრუნველყოს:

- ბათუმის მსტ სახლში ფსიქო–სოციალური გარემოს გაჯანსაღება ფსიქოლოგის მუშაობითა და აღმზრდელთა აქტიური ჩართულობის გზით
- აღმზრდელთა გადამზადება ბავშვზე ზრუნვის საკითხებში
- სოციალური სამსახურის აქტიური ჩართულობა ბავშვზე ზრუნვის პროცესში

რეკომენდაციები საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს, პროვაიდერ ორგანიზაციებს:

- სისტემურად იქნეს უზრუნველყოფილი, ბენეფიციარების ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად, მათი ჩართვა სხვადასხვა წრეებში, იმუშაონ ბავშვთა მოტივაციის გაზრდაზე, დაფინანსებაზე, ტრანსპორტის გამოყოფაზე
- მსტ სახლების ადგილმდებარეობის განსაზღვრისას გათვალისწინებულ იქნეს ბენეფიციართა საჭიროებები და ადგილობრივ თემში არსებული შესაბამისი რესურსი

- მცირე საოჯახო ტიპის სახლების დოკუმენტაციაში სრულყოფილად იქნას გაწერილი უკუკავშირის და გაპროტესტების პროცედურები, მოხდეს ბენეფიციართა ინფორმირება უკუკავშირისა და გაპროტესტების წესების შესახებ და სათანადო წესით აღირიცხოს უკუკავშირის ყველა შემთხვევა
- უზრუნველყოფილ იქნეს მსტ სახლების ბენეფიციარების მიერ უკუკავშირისა და გაპროტესტების უფლებით სარგებლობა, მათი რეგულარული ინფორმირებულობის, წესების გამარტივების, უკუკავშირის ანონიმური კითხვარების გამოყენების და წამოჭრილი პრობლემების სისტემატიური ინტერაქტიური განხილვის გზით

რეკომენდაცია საქართველოს მთავრობას:

- შემუშავდეს სახელმწიფო სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს სახელმწიფო ზრუნვიდან გასული არასრულწლოვანის დასაქმებასა და ფინანსურ დახმარებას მის სრულ დამოუკიდებლობამდე; უზრუნველყოფილ იქნეს ბენეფიციართა კვალიფიციური ინფორმირება მომავლის დაგეგმვასა და პროფორიენტაციასთან დაკავშირებით

ამნისტია და უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირების პირობით ვადამდე გათავისუფლება

2013 წლის მსგავსად, საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში კვლავ მაღალი იყო უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირთა მომართვიანობა, მათ მიმართ 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის გამოყენების მოთხოვნით, ასევე, დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა, როცა აღნიშნული კანონის აღუსრულებლობა ცალკეულ პირთა მიმართ გამოწვეულია შექმნილი კაზუალური შემთხვევის შედეგად, რომელიც ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების მხრიდან სათანადო რეაგირებას საჭიროებს იმისათვის, რომ არ შეილახოს ინდივიდების უფლებები.

საქართველოს სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ მიესალმება „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონით, ჰუმანიზმის პრინციპიდან გამომდინარე, სამართლიანობის აღდგენაზე საზოგადოების მოთხოვნის შესაბამისად, პატიმართა და პირობით მსჯავრდებულთა რაოდენობის შემცირების მიზანშეწონილობისა და საზოგადოების უსაფრთხოების ინტერესების გათვალისწინებით, კრიმინოგენული სიტუაციის კონტროლისა და პრევენციის სათანადო მექანიზმების არსებობის პირობებში, ერთჯერადი, დროებითი და განსაკუთრებული ღონისძიების სახით გამოხატულ ნებას.

მიუხედავად ამისა, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მოცემული აქტის მოქმედებასთან დაკავშირებით, 2014 წლის საანგარიშო პერიოდში, რამდენიმე ხარვეზი გამოავლინა, რომელსაც წინამდებარე თავში წარმოგიდგენთ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2012 წლის 28 დეკემბრის ამნისტიის აქტის მოქმედებასთან დაკავშირებულ ხარვეზთა ნაწილი გამოვლენილი და განხილული იქნა, ასევე, საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის საპარლამენტო ანგარიშის[340] წარდგენის პერიოდში.

2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ" საქართველოს კანონის გამოუყენებლობის შემთხვევები

2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ იქნა ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული ან/და მსჯავრდებული პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ვალდებულება. ამასთან, 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ" საქართველოს კანონმა განსაზღვრა აღნიშნული კანონის აღსრულების პერიოდი - მოცემული კანონის ამოქმედებიდან 2 თვის ვადა.[341]

მიუხედავად 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ" საქართველოს კანონის მიერ აღნიშნული კანონის აღსრულების ზღვრული ვადის დაწესებისა, 2014 წლის მდგომარეობით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამოვლინდა ფაქტი, სადაც „ამნისტიის შესახებ" საქართველოს კანონი დღემდე არ არის გამოყენებული. ხსენებული საქმის სრულყოფილი შესწავლის მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა გაანალიზა როგორც წარმოდგენილი განცხადება, ასევე, საქართველოს მთავარი პროკურატურიდან და თბილისის საქალაქო სასამართლოდან მიღებული ინფორმაციები.

მოქალაქე ს.მ.-ს საქმე

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი მასალებიდან ირკვევა, რომ 1998 წელს მოქალაქე ს.მ. მიცემულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისგებაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 241-ე მუხლის პირველი ნაწილით (მოძრაობის უსაფრთხოებისა და სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლუატაციის წესების დარღვევა იმ პირთა მიერ, რომლებიც სატრანსპორტო საშუალებებს, ესე იგი ყველა სახის ავტომობილებს,

[340] 2013 წლის საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, 148-153გვ.

[341] 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის „ამნისტიის შესახებ" 23-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „ამ კანონის პირველი–21-ე მუხლებით (გარდა ამავე კანონის მე-11 მუხლისა) გათვალისწინებული ამნისტია აღსრულდეს ამავე კანონის ამოქმედებიდან 2 თვის ვადაში. ამ კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებული ამნისტია აღსრულდეს ამავე კანონის ამოქმედებიდან 4 თვის ვადაში."

ტრაქტორებს და სხვა თვითმავალ მანქანებს, ტრამვაი-ტროლეიბუსებს, აგრეთვე მოტოციკლებსა და სხვა მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებებს მართავენ, რასაც მოჰყვა დაზარალებულის სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება) გათვალისწინებული დანაშაულისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ს.მ.-ს მიმართ არსებული სისხლის სამართლის საქმის სასამართლო პროცესის ჩანიშვნისა და მის მიმართ 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის გამოყენების თაობაზე შუამდგომლობა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში გაიგზავნა 2014 წლის ოქტომბერში, მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით, 2014 წლის 29 სექტემბერს მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას.

2014 წლის 27 ოქტომბრის საქართველოს მთავარი პროკურატურის #13/66648 წერილით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს მიეწოდა ქ.თბილისის ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 1998 წლის 01 ივლისის განმწესრიგებელი სხდომის განჩინების ასლი სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულ ს.მ.-ს მიმართ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 241-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით, რომლის თანახმად, ს.მ.-ს აღკვეთის ღონისძიება გაუსვლელობის ხელწერილი შეეცვალა პატიმრობით და მის მიმართ გამოცხადდა ძებნა. ამასთან, 2014 წლის 24 ნოემბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს #1-01336/39246 წერილის თანახმად, სისხლის სამართლის #01097323 საქმე ბრალდებულ ს.მ.-ს მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში განსახილველად არ შესულა. შესაბამისად, ერთის მხრივ, არსებობს დოკუმენტი, ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 1998 წლის 1 ივლისის განმწესრიგებელი სხდომის განჩინების ასლი, რომელიც ადასტურებს, რომ პროკურატურიდან სს საქმე გადაგზავნილი იქნა სასამართლოში, რაც საქართველოს მთავარ პროკურატურას „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის გამოყენების შესაძლებლობას არ აძლევს, ხოლო, მეორეს მხრივ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიაში არ იძებნება ს.მ.-ს წინააღმდეგ არსებული სს საქმე,რაც ასევე არ აძლევს შესაძლებლობას თბილისის საქალაქო სასამართლოს გამოიყენოს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილება.

საქართველოს სახალხო დამცველის აზრით, აუცილებელია შესაბამისმა საგამოძიებო ორგანოებმა დაიწყონ გამოძიება ს.მ. წინააღმდეგ არსებული სს საქმის მასალების დაკარგვის ფაქტზე.

ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „გამოძიება უნდა შეწყდეს, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს ან უნდა შეწყდეს თუ გამოცემულია

ამნისტიის აქტი, რომელიც პირს ათავისუფლებს ჩადენილი ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან“. ამავე კოდექსის მე-12 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, „სისხლისსამართლებრივ დევნას ამ კოდექსით დადგენილი წესით ახორციელებს მხოლოდ პროკურორი.“ ამასთან, მოცემული კოდექსის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, „პროკურორი უფლებამოსილია შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა.“ ხოლო, ამავე კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად, „სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება მხოლოდ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებაა.“

შესაბამისად, იმისათვის, რომ ს.მ.-მ ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებით და შეღავათებით, საქართველოს მთავარი პროკურატურა არის უფლებამოსილი მიიღოს კანონშესაბამისი ზომები და შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა მის წინააღმდეგ.

პოლიტიკურ პატიმრებად აღიარებული პირების სასჯელისაგან გათავისუფლების მექანიზმი 2012 წლის 28 დეკემბრის ამნისტიის მიხედვით

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ერთ-ერთი საქმის შესწავლის შედეგად გამოვლინდა 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული ზოგადი ხასიათის კიდევ ერთი ხარვეზი. კერძოდ, პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულად ცნობილი მსჯავრდებულების მიმართ, კანონის აღსრულების არასრულყოფილი მექანიზმი.

2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგინდა ბრალდებულების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების, მსჯავრდებულების სასჯელისაგან გათავისუფლების ან სასჯელის შემცირების საფუძვლები და წესი. ამასთან, საქართველოს პარლამენტმა დაადგინა, რომ საქართველოში არსებობდნენ პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული და პოლიტიკური ნიშნით სისხლისსამართლებრივად დევნილი პირები. შესაბამისად, საკანონმდებლო ორგანომ ხსენებული კანონით გამოაცხადა პოლიტიკური ამნისტიაც.

თავად პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული და პოლიტიკური ნიშნით დევნილი პირის სტატუსი ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებს მიენიჭათ „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“ საქართველოს პარლამენტის მიერ 2012 წლის 5 დეკემბერს მიღებული №76-Iს დადგენილებით. მოცემული დადგენილების თანახმად, საქართველოს პარლამენტს უმოკლეს ვადაში უნდა უზრუნველეყო ზემოაღნიშნული პირებისთვის სისხლისსამართლებრივი

პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლების ან/და სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის სამართლებრივი მექანიზმების შექმნა.

2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონით[342] საქართველოს პარლამენტის მიერ განისაზღვრა პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულად და პოლიტიკური ნიშნით დევნილად მიჩნეული პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლების მექანიზმი. ამ დებულების მიხედვით: *„გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან პირი, რომელსაც საქართველოს პარლამენტის დადგენილებით მინიჭებული აქვს პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული ან პოლიტიკური ნიშნით სისხლისსამართლებრივად დევნილი პირის სტატუსი.“*

ამასთან, ამ კანონის 23-ე და 24-ე მუხლების შესაბამისად, განსხვავებულად განისაზღვრა პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულად და პოლიტიკური ნიშნით დევნილად ცნობილ პირთა და დანარჩენი ბრალდებულების/მსჯავრდებულების მიმართ კანონის გამოყენების წესი და აღმასრულებელი ორგანო.

თავის მხრივ, 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონით[343] ერთმანეთისგან გაიმიჯნა საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის დადგენილებით პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულად და პოლიტიკური ნიშნით დევნილად ცნობილი პირების მიმართ მოცემული კანონის გამოყენებისათვის უფლებამოსილი ორგანო. კერძოდ,

> *„1.საქართველოს მთავარი პროკურატურა პოლიტიკური ნიშნით სისხლისსამართლებრივად დევნილი ბრალდებული პირის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების გაუქმების შესახებ ამ კანონის საფუძველზე შუამდგომლობით მიმართავს უფლებამოსილ სასამართლოს ან ბრალდებულის თანხმობით წყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას, ხოლო მსჯავრდებულის სასჯელისაგან გათავისუფლების შესახებ მიმართავს თავდაპირველი გადაწყვეტილების გამომტან რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს.*
>
> *2.ამ კანონის 22-ე მუხლით გათვალისწინებული პოლიტიკური ამნისტია პოლიტიკური ნიშნით პატიმრობაში მყოფ პირთა მიმართ აღასრულონ საქართველოს მთავარმა პროკურატურამ და საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრომ ამავე კანონის ამოქმედებიდან 1 კვირის ვადაში. იმავე ვადაში მოხდეს ამ კანონის 22-ე მუხლით გათვალისწინებულ პოლიტიკური ნიშნით სისხლისსამართლებრივად დევნილ პირთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების გაუქმება ან მათი სასჯელისაგან გათავისუფლება.“*

[342] 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 22.
[343] 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 24.

აღსანიშნავია, რომ 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად[344], ამნისტია ერთნაირად და პროპორციულად უნდა გავრცელებულიყო ყველა მსჯავრდებულისათვის (მათ შორის, პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულად ცნობილი პირებისთვის) თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნულ რეალურ სასჯელზე, პირობით მსჯავრსა და გამოსაცდელ ვადაზე, როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელზე, გარდა ჯარიმისა და ქონების ჩამორთმევისა.

პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულად ცნობილი პირების (მსჯავრდებულების) მიმართ მოცემული კანონის აღმასრულებელ ორგანოებს წარმოადგენდნენ საქართველოს მთავარი პროკურატურა და საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო (ამჟამად საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო). 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონში პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირთა (მსჯავრდებულთა) მიმართ მოცემული კანონის აღმასრულებელ უფლებამოსილ ორგანოდ სასამართლო არ იყო მითითებული. შესაბამისად, ზემოაღნიშნულ მსჯავრდებულთა მიმართ ამნისტიის გამოყენებაზე სასამართლო არ მსჯელობდა და არ იღებდა გადაწყვეტილებას. აღნიშნული პირები გათავისუფლდნენ მხოლოდ თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელისაგან, დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული – თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის აღსრულება კი გაგრძელდა, რადგან სასჯელის მოცემული სახის მოხდისაგან გათავისუფლების საკითხზე საქართველოს პროკურატურას და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს არ უმსჯელია და ვერ იმსჯელებდა, რადგან მსჯავრდებულისათვის სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის – თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევისგან გათავისუფლების უფლებამოსილება, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, აღნიშნულ ორგანოებს არ აქვთ. საქართველოს პროკურატურა სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოა. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო კი, უფლებამოსილია აღასრულოს სასამართლოს მიერ თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი.

ნიშანდობლივია, რომ 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ კანონი მხოლოდ ჯარიმისა და ქონების ჩამორთმევის სახით დანიშნულ სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებაზე არ ვრცელდებოდა. რაც შეეხება თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევას, მსჯავრდებულები (მათ შორის, პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირად ცნობილი მსჯავრდებულები), ამავე კანონის მე-18 და მე-20 მუხლების შესაბამისად, უნდა გათავისუფლებულიყვნენ სასჯელის აღნიშნული სახის მოხდისაგან. თუმცა, პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირებად ცნობილი მსჯავრდებულები დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის მოხდისაგან ვერ გათავისუფლდნენ, რადგან 2012 წლის

[344] 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ.18, პუნ.10.

28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონი არ განსაზღვრავს პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირებად ცნობილი მსჯავრდებულების დამატებითი სასჯელისაგან გათავისუფლების მექანიზმს (კანონის გამოყენებაზე მოცემული პირების მიმართ სასამართლოს მიერ საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი არ არსებობს). ამრიგად, სახეზეა, რომ პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირებად ცნობილმა მსჯავრდებულებმა სრულად ვერ ისარგებლეს ამავე კანონის მე-18 და მე-20 მუხლებით მინიჭებული ამნისტიით – დამატებითი სასჯელისაგან გათავისუფლებით.

მოქალაქე ზ.ხ.-ს საქმე

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ყოველმხრივ და სრულად შეისწავლა მოქალაქე ზ.ხ.-ს განცხადება. საქმის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის განაჩენით, ზ.ხ. დამნაშავედ იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისთვის და საბოლოოდ, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 17 წლის ვადით, ჯარიმა 50 000 ლარის ოდენობით და სამეწარმეო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 3 წლის ვადით. 2013 წლის 13 იანვარს ზ.ხ. გათავისუფლდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N16 დაწესებულებიდან, 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის საფუძველზე, როგორც „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის №76-Iს დადგენილებით, პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულად ცნობილი პირი.

2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ზ.ხ. გათავისუფლდა სასამართლოს მიერ მისთვის თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელისგან. თუმცა, ზ.ხ. დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული – საქმიანობის უფლების ჩამორთმევისგან არ გათავისუფლებულა და შესაბამისად, სასჯელის ამ სახის აღსრულება გაგრძელდა. თბილისის საქალაქო სასამართლომ 2013 წლის 22 ივლისის წერილით მოქალაქე ზ.ხ.-ს აცნობა, რომ სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს მოცემულ საკითხზე, რის გამოც ვერ მიიღებს ვერანაირ გადაწყვეტილებას მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების თაობაზე.

უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ პირთა სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების ან სასჯელის შეცვლის წესი და მათ მიმართ 2012 წლის 28 დეკემბრის ამნისტიის გამოყენება

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ყველა პატიმარს, მათ შორის, უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ პირს, სახელმწიფომ უნდა მისცეს რეაბილიტაციის შესაძლებლობა და შედეგის მიღწევის შემთხვევაში

გათავისუფლების პერსპექტივა. აღნიშნული გამომდინარეობს კონვენციიდან, რომლის ერთ-ერთი არსებითი პრინციპია ადამიანის ღირსების პატივისცემა[345].

საქმეში ვინტერი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ *(Vinter and Others v. The United Kingdom, 2013)* სასამართლომ აღნიშნა, რომ უვადო პატიმრობა *(Lifetime Imprisonment)* ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული სამართალი არ ითვალისწინებს სასჯელის გადახედვის შესაძლებლობას[346]. სასამართლოს აზრით, ნებისმიერი სახის სასჯელი, თუნდაც უვადო პატიმრობა, ჰუმანური პრინციპებიდან გამომდინარე და ადამიანის ღირსების დაცვის შესაბამისად (რაც გამომდინარეობს კონვენციის მე-3 მუხლიდან – წამების აკრძალვა) უნდა ემსახურებოდეს პატიმრის რეაბილიტაციას. შესაბამისად, სასამართლომ დასახელებულ საქმეში მიიჩნია, რომ უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი *პირი არ არის ვალდებული მოიხადოს წლების განუსაზღვრელი რაოდენობა* (რეაბილიტაციის პროცესის წარმატებით გავლის შემთხვევაში) და ელოდოს როდის ექნება შესაძლებლობა წამოაყენოს საჩივარი, რომ მის სასჯელთან დაკავშირებული სამართლებრივი მდგომარეობა არ შეესაბამება კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნებს. ამასთან, ევროსასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ პატიმარს, სასჯელის დადგენის მომენტიდანვე აქვს უფლება იცოდეს თუ რა უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ განხილულ იქნას მისი გათავისუფლების საკითხი და ასევე, კონკრეტულად როდის, რა პირობებში წარიმართება ან იგეგმება მისი სასჯელის გადახედვა[347].

ამრიგად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და მისი ავტონომიური განმარტების მექანიზმი - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი - სახელმწიფოებს უტოვებს დისკრეციას კონკრეტული ვადის განსაზღვრის მიმართულებით და იქვე აკეთებს დათქმას, რომ პირი არ არის ვალდებული მოიხადოს წლების განუსაზღვრელი რაოდენობა. აღნიშნული კი გულისხმობს, რომ კანონმდებელს უფლება აქვს განსაზღვროს შესაბამისი ზღვარი და შემდგომი პროცედურები, რომლის შემთხვევაშიც მსჯავრდებულს ექნება პირობით ვადამდე გათავისუფლების საშუალება. უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირებთან დაკავშირებით კი, დანაშაულის ხასიათისა და საშიშროების გათვალისწინებით, კანონმდებელი ადგენს შესაბამის პერიოდს, რომელიც საჭიროა მსჯავრდებულის რესოციალიზაციისათვის და აღნიშნული არ შეიძლება განიხილებოდეს კანონდარღვევად.

---

[345] იხ: Pretty v. the United Kingdom, no. 2346/02, § 65, ECHR 2002-III; and V.C. v. Slovakia, no. 18968/07, § 105, ECHR 2011.

[346] იხ. Kafkaris v. Cyprus, application no. 21906/04, ECHR 2008.

[347] იხ. Vinter and Others v. The United Kongdom, 09/07/2013. Para: 119-122; See also para: 102-118. Available at:<http://hudoc.echr.coe.int/sites/fra/pages/search.aspx?i=001-122664#{"itemid":["001-122664"]}> [Last Accessed on 12th of March].

2014 წლის 31 ოქტომბრის კანონით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილება[348] უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი პირის სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის წესთან დაკავშირებით. ცვლილების შედეგად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლის მე-7 ნაწილით განისაზღვრა, რომ

> *„მსჯავრდებული უვადო თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან შეიძლება გათავისუფლდეს, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის ოცი წელი და თუ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭო მიიჩნევს, რომ საჭირო აღარ არის, მსჯავრდებულმა გააგრძელოს ამ სასჯელის მოხდა.“*

ამავე კოდექსის 73-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად კი -

> *„მსჯავრდებულს უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიძლება შეეცვალოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან თავისუფლების შეზღუდვით, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის თხუთმეტი წელი და თუ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭო მიიჩნევს, რომ საჭირო აღარ არის, მსჯავრდებულმა გააგრძელოს ამ სასჯელის მოხდა.“*

ნიშანდობლივია, რომ ხსენებული ცვლილებების განხორციელებამდე, 2014 წლის 1 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველმა N04-8/9982 წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს, უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი პირების მდგომარეობის შემსუბუქების, მათ მიმართ ჩადენილი უსამართლობის აღმოფხვრისა და ღირსების დაცვის განმტკიცების საკანონმდებლო რეფორმის მიმდინარე მომენტში, ემსჯელა ფაქტობრივად მოსახდელი სასჯელის ვადის 15 წლამდე შემცირებაზე (პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლების წარმოშობის ვადა).

საქართველოს სახალხო დამცველი, აქვე, აფიქსირებს პოზიტიურ დამოკიდებულებას 2014 წლის 27 მარტს საქართველოს პრეზიდენტის N120 ბრძანებულებით დამტკიცებული შეწყალების ახალი წესის მიმართ, რომელმაც 25 წლიდან 15 წლამდე შეამცირა უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის მიერ ფაქტობრივად მოსახდელი თავისუფლების აღკვეთის დრო.

საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება როგორც საქართველოს პრეზიდენტის, ისე საკანონმდებლო ხელისუფლების გააქტიურებას უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი პირების ღირსებისა და სასჯელის პროპორციულობის უზრუნველსაყოფად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, თუ უვადოდ თავისუფალებააღკვეთილი პირი იმგვარად შეიცვლება და გარდაიქმნება სასჯელის მოხდის

[348] ანალოგიური ცვლილება შევიდა საქართველოს კანონში „პატიმრობის კოდექსი“, მუხ. 40, ნაწ. 6.

პროცესში, რომ თავისუფლების აღკვეთის გაგრძელება აღარ არის გამართლებული და ლეგიტიმური სასჯელის მიზნებიდან გამომდინარე, აუცილებელია არსებობდეს ამ სასჯელის გადახედვის და მისი შემცირების მექანიზმი.

საქართველოს სახალხო დამცველის პოზიციით, საქართველოში ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მიზეზით, რომ უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ პირებზე არ გავრცელდა 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ კანონის საფუძველზე განხორციელებული ფართომასშტაბიანი ამნისტია. თუმცა, ცხადია, რომ საქართველოს სისხლის სამართალის მართლმსაჯულების და პენიტენციური ორგანოს სისტემურმა ნაკლოვანებებმა და უსამართლობამ ამ პირებს სულ მცირე იმგვარივე ზიანი მიაყენა, როგორც იმავე პერიოდში ვადიანი თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ სხვა პირებს.

საქართველოს სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონმა დე-ფაქტო ასახვა ვერ ჰპოვა უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირთა უფლებრივ მდგომარეობაზე და მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივად ამნისტიის ხსენებული აქტი შეეხო უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულებსაც, ფაქტობრივი აღსრულება ვერ განხორციელდა. საქართველოს სახალხო დამცველის პოზიციით, აღნიშნულმა დააზარალა უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირთა კანონიერი ინტერესი და საქართველოს სახალხო დამცველის პოზიციით, ეს ერთგვარი კომპენსაციაც შეიძლება ყოფილიყო.

საქართველოს სახალხო დამცველის აზრით, იმის გათვალისწინებით, რომ საუბარია მხოლოდ უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულისთვის უფლების მინიჭებაზე, განიხილონ მისი განცხადება სასჯელისაგან გათავისუფლებაზე, რაც თავისთავად არ ნიშნავს ამ პირთა უპირობო გათავისუფლებას, განსახილველი ვადის შემცირება არ წარმოადგენს საფრთხეს საზოგადოებისთვის. საპირისპიროდ, აღნიშნული უფლების მინიჭება ამ პირებისთვის გამოსწორების, რეაბილიტაციისა და გარდაქმნის მნიშვნელოვან სტიმულს და მათ მიმართ ჩადენილი სისტემური დარღვევებისა და უსამართლობის გამოსწორების შესაძლებლობის შექმნის.

ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოს სახალხო დამცველი საკანონმდებლო ორგანოსადმი წინადადების წარდგენისას დაეყრდნო როგორც საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ დამოუკიდებლად მომზადებულ კვლევას, ისევე, ზემოხსენებული საკანონმდებლო ცვლილებების მიღებამდე მომზადებული კანონპროექტის განმარტებით ბარათს, სადაც ნათლად ჩანს, რომ ევროპის საბჭოს განვითარებული დემოკრატიები თავისუფლების აღკვეთის 15 წლის ფაქტობრივად მოხდის შემდეგ მსჯავრდებულებს მათი სასჯელის გადახედვის მოთხოვნის უფლებას აძლევენ.

რეკომენდაცია:

საქართველოს პროკურატურას:

- მოქალაქე ს.მ.-ს მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

საქართველოს სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად[349], საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას ზედამხედველობას უწევს საქართველოს სახალხო დამცველი.

> *„საქართველოს სახალხო დამცველი ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სახელმწიფოებრივი გარანტიების უზრუნველყოფის მიზნით ზედამხედველობას უწევს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა, საჯარო დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა მხრიდან საქართველოს ტერიტორიის ფარგლებსა და მის იურისდიქციაში მყოფი ყველა პირისთვის სახელმწიფოს მიერ აღიარებულ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვასა და პატივისცემას, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, სქესისა, ენისა, რელიგიისა, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა თუ სხვა გარემოებისა.“*[350]

საქართველოს სახალხო დამცველის უფლებამოსილებების განსახორციელებლად საქართველოს კონსტიტუციით და ორგანული კანონით განსაზღვრულია შესაბამისი ბერკეტები. „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად[351], საქართველოს სახალხო დამცველს უფლება აქვს, შემოწმების ჩატარებისას დაუბრკოლებლად შევიდეს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ნებისმიერ ორგანოში, საწარმოში, ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, მათ შორის, სამხედრო ქვედანაყოფში, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, დაკავების და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს სახალხო დამცველისთვის (მისი რწმუნებულისთვის) ნებისმიერ ვითარებაში (მათ შორის, საომარი და საგანგებო მდგომარეობისას)[352], ნებისმიერ დროს და ნებისმიერ სახელმწიფო ორგანოში შესვლის დაბრკოლება, ასევე, თავისუფლებაშეზღუდულ პირებთან შეხვედრის და გასაუბრების უფლების შეზღუდვა საქართველოს უზენაესი კანონის მოთხოვნათა დარღვევას წარმოადგენს.

---

[349] საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 43, პუნ.1.

[350] „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხ. 3, პუნ. 1.

[351]„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხ. 18, ქპ. „ა“.

[352] „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე–11 მუხლის შესაბამისად, საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადება არ წყვეტს საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობას და არ ზღუდავს მის უფლებამოსილებას.

ამავდროულად, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, საქართველოს სახალხო დამცველისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ეფექტიანად განსახორციელებლად, დადგენილია რეაგირების ის საშუალებები, რომლებიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში შესაძლოა, გამოიყენოს საქართველოს სახალხო დამცველმა. კერძოდ, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის თანახმად[353], ადამიანის უფლებათა დარღვევის შესწავლისათვის საჭირო შემოწმების ჩატარებისას, საქართველოს სახალხო დამცველს ან სახალხო დამცველის წარმომადგენელს უფლება აქვს: საჯარო დაწესებულებებსა და თანამდებობის პირებს მოსთხოვოს და დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა, მიიღოს შემოწმებისათვის აუცილებელი ყველა ცნობა, დოკუმენტი და სხვა მასალა; ნებისმიერ თანამდებობის პირს, მოხელეს, მასთან გათანაბრებულ პირს მოსთხოვოს და მიიღოს წერილობითი ახსნა-განმარტება გამოსაკვლევ საკითხებზე; სახელმწიფო ან/და არასახელმწიფო დაწესებულებების მეშვეობით ჩაატაროს საექსპერტო გამოკვლევები ან/და მოამზადოს დასკვნები; მოიწვიოს სპეციალისტები/ ექსპერტები საექსპერტო ან/და საკონსულტაციო სამუშაოთა შესასრულებლად და გაეცნოს სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებს, რომლებზეც მიღებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული.

აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილია საქართველოს სახალხო დამცველის უფლებამოსილების განხორციელების სამართლებრივი გარანტიები. კერძოდ, ყველა სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, თანამდებობის თუ იურიდიული პირი ვალდებულია ყოველმხრივ დაეხმაროს საქართველოს სახალხო დამცველს, დაუყოვნებლივ წარუდგინოს მასალები, საბუთები და სხვა ინფორმაცია, რომელიც ესაჭიროება საქართველოს სახალხო დამცველს თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად.[354]

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმ პირთა მიერ დაკისრებული ვალდებულების შესრულებაზე, რომლებმაც საქართველოს სახალხო დამცველს უნდა მიაწოდონ ამა თუ იმ საკითხის შესწავლისათვის საჭირო მასალები, საბუთები და სხვა ინფორმაცია.

სწორედ ამიტომ, საქართველოს სახალხო დამცველის მიერ თავისი უფლებამოსილების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, მოქმედი კანონმდებლობა სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, თანამდებობის თუ

[353] „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხ. 18, ქპ. „ბ“, „გ“, „დ“ და „ე“.
[354] „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი, მუხ. 23, პუნ. 1.

იურიდიული პირის მიერ საქართველოს სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნის შესრულებას უკავშირებს გარკვეულ ვადას. კერძოდ,

> „მასალა, საბუთი, სხვა ინფორმაცია და ახსნა-განმარტება საქართველოს სახალხო დამცველს უნდა გადაეცეს მოთხოვნის მიღებისთანავე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მასალა, საბუთი და სხვა ინფორმაცია მოთხოვნილია წერილობითი მიმართვის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში საბუთი და სხვა ინფორმაცია საქართველოს სახალხო დამცველს უნდა გადაეცეს 10 დღის ვადაში.“[355]

ასევე,

> „სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, საჯარო დაწესებულება, თანამდებობის პირი, რომელიც მიიღებს საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციებს ან წინადადებებს, ვალდებულია განიხილოს ისინი და 20 დღის განმავლობაში წერილობით აცნობოს საქართველოს სახალხო დამცველს მათი განხილვის შედეგები."[356]

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით,

> *„საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობის უზრუნველსაყოფად იქმნება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, რომლის სტრუქტურას, მუშაობის წესს და ორგანიზებას განსაზღვრავს საქართველოს სახალხო დამცველი აპარატის დებულებით. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი მოქმედებს საქართველოს სახალხო დამცველის სახელით და მის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილებით.“*

ამავე კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით,

> *„საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილე და აპარატის თანამშრომლები, ასევე სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები ამ კანონის მე-18 და მე-19 მუხლით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას ან მის ნაწილს ახორციელებენ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური რწმუნებით.“*

საქართველოს სახალხო დამცველის უფლებამოსილების შეუფერხებლად და დაუბრკოლებლად განხორციელების მნიშვნელობაზე მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 43–ე მუხლის მე–2 პუნქტი, რომელიც დაუშვებლად აცხადებს საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობისთვის დაბრკოლებათა შექმნას. ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173^4–ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას წარმოადგენს სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა.

---

[355] „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხ. 23, პუნ. 3.
[356] „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხ. 24.

ამდენად, დაუშვებელია საქართველოს სახალხო დამცველის (მისი რწმუნებულის) კონსტიტუციით დადგენილი უფლებამოსილების განხორციელებისთვის ხელის შეშლა. თუმცა, 2014 წლის საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა შემთხვევები, როცა საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებს უფლებამოსილების განხორციელების პროცესში დაბრკოლებები შეექმნათ.

საქართველოს სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები

2014 წლის საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევებში აქტიურად იქნა გამოყენებული მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი რეაგირების მექანიზმები. კერძოდ, 2014 წლის მეორე ნახევრიდან დეკემბრის ჩათვლით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში დაიწყო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოება 16 საქმეზე. საქართველოს საერთო სასამართლოებში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განსახილველად გადაიგზავნა სამართალდარღვევის ოქმი 5 საქმეზე, რომელთაგან სასამართლომ სამართალდამრღვევად ცნო შემდეგი თანამდებობის პირები და სახდელის ზომად განუსაზღვრა ჯარიმა (800 ლარის ოდენობით): საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე[357], თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი[358], ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებელი[359], ხოლო ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებელი სასამართლომ ცნო სამართალდამრღვევად და მიეცა სიტყვიერი შენიშვნა[360]. ამასთან, ერთი საქმე სასამართლოში განხილვის პროცესშია.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული დეპარტამენტის და სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის თანამშრომლების მიერ საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებისთვის დაბრკოლებების შექმნა

---

[357] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 6 ნოემბრის დადგენილება (საქმე N4/7068-14).

[358] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 9 სექტემბრის დადგენილება (საქმე N4/5280-14).

[359] ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 26 ნოემბრის დადგენილება (საქმე N820510014655529(N4-559).

[360] ხაშურის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 18 სექტემბრის დადგენილება (საქმე N4-350-2014).

2014 წლის 15 ივლისს, დაახლოებით 16:00 საათზე, საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულები მივიდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს (დეპარტამენტის) ადმინისტრაციულ შენობასთან (ე.წ. „მოდულის“ შენობა) ამავე შენობაში მყოფ მოქალაქე გ.თ.–სთან შეხვედრის მიზნით. მოქალაქე გ.თ.–ს ადვოკატის – მ.ჩ.–ს განმარტებით, ადვოკატს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ე.წ. მოდულის შენობაში მყოფ გ.თ.–სთან შეხვედრის შესაძლებლობა არ ეძლეოდა. საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის თანამშრომლებს წარუდგინეს რწმუნებები, განუმარტეს ნებისმიერ სახელმწიფო დაწესებულებაში დაუბრკოლებლად შესვლის უფლებამოსილება და მოითხოვეს შენობაში შესვლა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის თანამშრომლებმა საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებს არ მისცეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ე.წ. „მოდულის“ შენობაში დაუყოვნებლივ შესვლის საშუალება (მათი განცხადებით, საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებზე საშვი დაშვებული არ იყო, რის გარეშეც სამინისტროს შენობაში არ შეუშვებდნენ). დაახლოებით 17:00 საათზე, ერთსაათიანი დაყოვნების შემდეგ და არა დაუყოვნებლივ, მოხერხდა რწმუნებულების შენობაში შესვლა.

დაახლოებით 17:10 საათზე საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულები შეხვდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს (დეპარტამენტის) დირექტორს – ხ.პ.–ს და დირექტორის მოადგილეს – უ.ლ.–ს, რომლებმაც დაადასტურეს, რომ მოქალაქე გ.თ. იმყოფებოდა შენობაში, იგი არ იყო დაკავებული და მიმდინარეობდა საგამოძიებო მოქმედება – გ.თ.–ს მოწმის სახით დაკითხვა და დაკითხვის დასრულების შემდეგ, რწმუნებულები შეძლებდნენ მოქალაქესთან შეხვედრას. მოგვიანებით, დაახლოებით 21:20 საათზე, საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა კვლავ მოითხოვეს მოქალაქე გ.თ.–სთან შეხვედრა. ხ.პ.–ს განცხადებით, გ.თ.–ს დაკითხვა გრძელდებოდა. 2014 წლის 16 ივლისს, დაახლოებით 00:10 საათზე, საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებთან შეხვედრისას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს (დეპარტამენტის) დირექტორმა – ხ.პ.–მ და დირექტორის მოადგილემ – უ. ლ.–მ აღნიშნეს, რომ გ.თ.–ს დაკითხვა დასრულებული იყო და მოცემულ ეტაპზე მიმდინარეობდა გ.თ.–ს მონაწილეობით სხვა საგამოძიებო მოქმედება – ამოღებული დოკუმენტაციის დათვალიერება.

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულები მხოლოდ 2014 წლის 16 ივლისს დაახლოებით 00:25 საათზე შეხვდნენ, ე.წ. „მოდულის“ შენობაში, ანტიკორუფციულ სააგენტოში (დეპარტამენტი) მოწმის სტატუსით მყოფ მოქალაქე გ.თ.–ს, რომელიც „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს ადმინისტრაციულ შენობაში (ე.წ. „მოდულის“ შენობა) იმყოფებოდა 2014 წლის 15 ივლისის

07:20 საათიდან 2014 წლის 16 ივლისის 00:54 საათამდე.“[361] 2014 წლის 15 ივლისს გ.თ.–ს დაკითხვა დაიწყო 11:25 საათზე და დასრულდა 20:20 საათზე. 15:25 საათიდან 16:25 საათამდე გ.თ.–ს მიეცა შესვენება. დაკითხვის შემდეგ, 2014 წლის 15 ივლისს 21:00 საათიდან 16 ივლისს 00:50 საათამდე გ.თ.–ს მონაწილეობით ჩატარდა დოკუმენტების დათვალიერება.[362]

მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქე გ.თ.–ს დაკითხვის დასრულების შემდეგ (2014 წლის 15 ივლისი, 20:20 საათი), დოკუმენტების დათვალიერების დაწყებამდე (21:00 საათი), მოქალაქე გ.თ.–ს მიმართ ან მისი მონაწილეობით არ მიმდინარეობდა არც ერთი საგამოძიებო მოქმედება, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს (დეპარტამენტის) თანამშრომლებმა საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებს, რომლებიც მოცემულ დროს იმყოფებოდნენ ზემოაღნიშნული დეპარტამენტის ადმინისტრაციულ შენობაში (ე.წ. „მოდულის“ შენობა), არ მისცეს მოქალაქე გ.თ.–სთან შეხვედრის შესაძლებლობა, აცხადებდნენ, რომ მიმდინარეობდა გ.თ.–ს მოწმის სახით დაკითხვა.

2014 წლის 21 ოქტომბერს, ზემოაღნიშნული გარემოებების შესწავლის შედეგად, საქართველოს სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს ამავე სამინისტროს ზემოაღნიშნული თანამშრომლების მიმართ დისციპლინური საქმისწარმოების დაწყების წინადადებით. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილით[363] საქართველოს სახალხო დამცველს ეცნობა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში დაიწყო სამსახურებრივი შემოწმება მოცემულ ფაქტთან დაკავშირებით. ამასთან, 2015 წლის 4 თებერვლის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილით საქართველოს სახალხო დამცველს ეცნობა, რომ გენერალურ ინსპექციაში ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად, ანტიკორუფციული სააგენტოს დირექტორის მოადგილეს უ.ლ.–ს და სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის სტრატეგიული ობიექტების დაცვის დეპარტამენტის მე–3 სამმართველოს მე–2 განყოფილების პირველი ქვეგანყოფილების ცვლის უფროსს თ.გ.–ს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდების მე–2 მუხლის მე–2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით (სამსახურებრივი მოვალეობებისადმი დაუდევარი დამოკიდებულება) გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენისთვის შეეფარდათ დისციპლინური სახდელი – შენიშვნა.

---

[361] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2014 წლის 6 აგვისტოს წერილი.

[362] საქართველოს მთავარი პროკურატურის 2014 წლის 28 ივლისის წერილი.

[363] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2014 წლის 9 ნოემბრის წერილი.

რეკომენდაციები:

სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, საჯარო დაწესებულებებს, თანამდებობის თუ იურიდიულ პირებს:

- უზრუნველყოფილ იქნეს, საქართველოს სახალხო დამცველის მიერ მინიჭებულ უფლებამოსილებათა დაუბრკოლებლად განხორციელების მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნის „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესის შესაბამისად შესრულება

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- უზრუნველყოფილ იქნეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისთვის ინფორმირება საქართველოს სახალხო დამცველის უფლებამოსილებებთან დაკავშირებით

- შს სამინისტროს ყველა სტრუქტურული ერთეულის/თანამშრომლის მიერ უზრუნველყოფილ იქნეს საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებისთვის უფლებამოსილების დაუბრკოლებლად, დაყოვნების გარეშე განხორციელების საშუალება; ასევე, დაუყოვნებლივ აღმოიფხვრას ნებისმიერი დაბრკოლება საქართველოს სახალხო დამცველის (მისი რწმუნებულების) მიერ უფლებამოსილების განხორციელების პროცესში

- განხორციელდეს შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება საქართველოს სახალხო დამცველის (მისი რწმუნებულისთვის) დაბრკოლებათა შექმნის თითოეულ ფაქტზე.

სიცოცხლის უფლება

სიცოცხლის უფლება ერთ–ერთი ფუნდამენტური უფლებაა, რომელიც გულისხმობს, რომ ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის თანდაყოლილი უფლება. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილი სტანდარტების მიხედვით, სიცოცხლის უფლების უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფოს აკისრია არა მხოლოდ ნეგატიური ვალდებულება (არ ხელყოს სიცოცხლის უფლება), არამედ პოზიტიური ვალდებულებაც (დაიცვას სიცოცხლე ხელყოფისაგან). პოზიტიური ვალდებულება სახელმწიფოს პროცედურულ ვალდებულებასაც მოიცავს. სიცოცხლის ხელყოფის შემთხვევაში სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ეფექტიანი გამოძიების ჩატარება, რომელიც მიმართული უნდა იყოს დამნაშავე პირის გამოვლენისა და მართლმსაჯულების განხორციელებისაკენ.

განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია დახურულ დაწესებულებებში მოთავსებული პირების სიცოცხლის უფლების დაცვა. სახელმწიფო პასუხისმგებელია საპატიმროში/სასჯელაღსრულების დაწესებულებაში განთავსებული პირის (ბრალდებული/მსჯავრდებული) სიცოცხლის უფლების დაცვასა და ამ უფლების ხელყოფის შემთხვევაში, ეფექტიანი გამოძიების წარმოებაზე.

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის მოცემული თავი განიხილავს იმ შემთხვევებს, როდესაც პირის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით გაჩნდა არაერთი შეკითხვა ან/და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმეთა სრულყოფილად შესწავლის შედეგად გამოიკვეთა სასჯელაღსრულების დაწესებულების ცალკეულ თანამშრომელთა პასუხისმგებლობის დაყენების საფუძვლები. ამასთან, ამ დრომდე არ არის დამდგარი შედეგები საქმეებზე, რომელთა ეფექტიანი გამოძიების შესახებ რეკომენდაციები სახალხო დამცველის 2013 წლის ანგარიშში არის მოყვანილი.

2012 წლის 28 აგვისტოს ლოპოტას ხეობაში, სოფელ ლაფანყურთან ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად, ადამიანის უფლებათა (მათ შორის, სიცოცხლის უფლების) სავარაუდო დარღვევები, სპეციალური ძალოვანი სტრუქტურების მიერ შესაძლო დანაშაულის ჩადენა და გამოძიების პროცესში არსებული ხარვეზები დეტალურად არის განხილული საქართველოს სახალხო დამცველის 2012[364] და 2013 წლების საპარლამენტო ანგარიშებში[365]. ამასთან, 2014 წელს მომზადდა საქართველოს სახალხო დამცველთან

[364] 2012 წლის საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, 408-413 გვ.
[365] 2013 წლის საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, 164-167 გვ.

შექმნილი საზოგადოებრივი საბჭოს ანგარიში 2012 წლის 28 აგვისტოს სოფელ ლაფანყურთან, ლოპოტას ხეობაში, ჩატარებული სპეციალური ოპერაციის შესახებ[366].

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სახალხო დამცველმა არაერთხელ დეტალურად წარმოადგინა შესაძლო უფლებადარღვევების შესახებ ინფორმაცია და შესაბამისი რეკომენდაციები, ისინი დღემდე არ შესრულებულა.

შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ლაფანყურის სპეცოპერაციის საქმეზე ეფექტიანი, ობიექტური და დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარების მიზნით, კვლავ აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების წარმოება: გამოძიების დაწყება სამართალდამცავთა მიერ ლეტალური ძალის გამოყენების მართლზომიერებისა და პროპორციულობის შესასწავლად; სპეცოპერაციის დაგეგმვისა და განხორციელების გარემოებების გამოძიება; გარდაცვლილთა ოჯახის წევრებისთვის დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსის მინიჭება და გამოძიების პროცესში მათი ეფექტიანი მონაწილეობის უზრუნველყოფა.

2015 წლის 12 თებერვალს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ წარმოადგინა „2013 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 1 აგვისტოს დადგენილებით საქართველოს მთავარი პროკურატურისთვის გაცემული რეკომენდაციების შესასრულებლად განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ანგარიში.

სხვა საკითხებთან ერთად, საქართველოს მთავარი პროკურატურის ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის დროს ჩადენილი დანაშაულების გამოძიების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურის ცნობით, ხსენებულ საქმეებზე ჩატარდა ფართომასშტაბიანი და კომპლექსური საგამოძიებო მოქმედებები, გამოძიება საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის საპარლამენტო ანგარიშში დასახელებული პირების უგზო-უკვლოდ დაკარგვის ფაქტებთან დაკავშირებით, არ დასრულებულა და არც შემაჯამებელი გადაწყვეტილებაა მიღებული.

* * *

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება), მე-3 (წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და სასჯელის აკრძალვა) და მე-13 (დაცვის ეფექტიანი საშუალებების არსებობა) მუხლები სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, ამ მუხლებით დაცული უფლებების დარღვევის

[366] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ვებ-გვერდი http://www.ombudsman.ge/ge/reports/specialuri-angarishebi/saqartvelos-saxalxo-damcveltan-sheqmnili-sazogadoebrivi-sabchos-angarishi-2012-wlis-28-agvistos-sofel-lafanyurtan-lopotas-xeobashi-chatarebuli-specialuri-operaciis-shesaxeb.page

შემთხვევაში ჩატარდეს ეფექტიანი გამოძიება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ რამდენიმე საქმეში, მათ შორის, საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილ გადაწყვეტილებებში, არაერთხელ აღნიშნა გამოძიების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის მნიშვნელობა და ეფექტიანი გამოძიების ერთ-ერთი კრიტერიუმის – დამოუკიდებლობის დარღვევად შეაფასა ერთი უწყების მიერ მისივე თანამშრომლის ჩადენილი შესაძლო დანაშაულის ფაქტის გამოძიება.

ამ მხრივ, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიცია ბოლო წლების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საქმეში - „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ". მოცემულ საქმეში სტრასბურგის სასამართლომ განაცხადა:

> *„იმისათვის, რომ გამოძიება ეფექტიანი იყოს, გამოძიებაზე პასუხისმგებელი და მისი წარმმართველი პირები დამოუკიდებელნი და მიუკერძოებელნი უნდა იყვნენ, როგორც სამართლის, ისე პრაქტიკის თვალსაზრისით. ეს ნიშნავს, რომ არა მხოლოდ არ უნდა არსებობდეს იერარქიული ან ინსტიტუციური კავშირი მოვლენების მონაწილე პირებთან, არამედ ისინი პრაქტიკულადაც დამოუკიდებელნი უნდა იყვნენ. ეფექტიანი გამოძიება, რომელსაც მოითხოვს კონვენციის მე-2 მუხლი, განამტკიცებს საზოგადოების რწმენას, რომ ხელისუფლებას ძალუძს უზრუნველყოს სამართლის უზენაესობა, რათა აღკვეთოს უკანონო ფარული გარიგებების ნებისმიერი გამოვლინება ან მართლსაწინააღმდეგო ქმედებების მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულება და როდესაც საქმეში სახელმწიფოს წარმომადგენლების ან სახელმწიფო ორგანოების ხელი ურევია, უზრუნველყოს, რომ მათ პასუხი აგონ თავიანთი ქმედებებისთვის, რომლებსაც შედეგად ადამიანის სიკვდილი მოჰყვა.[367]"*

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში - „ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ", აღნიშნა, რომ *„ყველა ძირითადი საგამოძიებო ქმედება აწარმოა იმავე სამინისტროს სტრუქტურულ დაქვემდებარებაში მყოფმა დასავლეთ საქართველოს საგამოძიებო დეპარტამენტმა, ხოლო, პროკურორი ყოველგვარი დამატებითი მოკვლევის წარმოების გარეშე მიემხრო მითითებული დეპარტამენტის დასკვნებს და მათ საფუძველზე სარჩელი არ დააკმაყოფილა [...]. აღნიშნული ინსტიტუციონალური კავშირი გამომძიებლებსა და ინციდენტში მხილებულ პირთა შორის, სასამართლოს მოსაზრებით, ეჭვქვეშ აყენებს გამოძიების დამოუკიდებლობას.[368]"*

ამასთან, მეტად საგულისხმოა სახელმწიფოს მიერ, სასჯელაღსრულების სისტემაში მოთავსებული პირების ჯანმრთელობის უფლების დაცვის მიზნით გატარებული

---

[367] საქმე *„ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ"*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2011.

[368] საქმე *„ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ"*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2011.

ღონისძიებები და კონკრეტული სამედიცინო დახმარების ხარისხი (ეფექტიანობა, ადეკვატურობა) და შედეგები თითოეული მსჯავრდებული/ბრალდებული პირის მიმართ. პატიმრობის პირობებში ადეკვატურად უნდა იქნეს დაცული პატიმრის ჯანმრთელობა და ამ მიზნით, კვალიფიციური გამოკვლევების ჩატარება და შესაბამისი მედიკამენტების მიწოდება.

ციხის ჯანდაცვა, სულ მცირე, უნდა ითვალისწინებდეს:

- ექიმის ხელმისაწვდომობას;
- თანაბარ სამედიცინო მომსახურებას;
- კონფიდენციალურობას;
- პრევენციულ ჯანდაცვას;
- პროფესიულ დამოუკიდებლობას;
- პროფესიულ კომპეტენციას;
- რეგულარულ კონსულტაციებს ზოგადი პროფილის ექიმებსა და ექიმ-სპეციალისტებთან;
- ამბულატორიულ მკურნალობას ზედამხედველობის ქვეშ;
- სტომატოლოგიურ მკურნალობას;
- ლაზარეთს;
- სრული მომსახურების უზრუნველყოფას სამოქალაქო ან ციხის საავადმყოფოში;
- ინტერვენციებს გადაუდებელი მდგომარეობის დროს.

ციხის ჯანდაცვა, არა უშუალოდ და მხოლოდ მკურნალობის კომპონენტს, არამედ სრულყოფილ და სისტემატიურ დოკუმენტირებასაც მოიცავს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფოს ეკისრება პასუხისმგებლობა, უზრუნველყოს თავისუფლებააღკვეთილი პირი სათანადო სამედიცინო მომსახურებით, ფსიქიატრიული დახმარების ჩათვლით.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ბულგარეთის წინააღმდეგ გამოტანილ გადაწყვეტილებაში დაადგინა სიცოცხლის უფლების დარღვევა, რადგან დაგვიანებული სამედიცინო მკურნალობა გახდა პირის გარდაცვალების გადამწყვეტი მიზეზი.[369] საქმეში „ქიინანი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ“, სადაც პირმა, რომელსაც ჰქონდა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები და იყენებდა თვითდაზიანებებს, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, ევროპულმა სასამართლომ შეაფასა, პასუხისმგებელ პირთა მოქმედებებისა და მკურნალობის ადეკვატურობა. სასამართლომ იმსჯელა იმ მკურნალობის ხარისხზე, რომელიც უტარდებოდა მას პატიმრობაში, ფსიქიკური ჯანმრთელობის მხრივ და იყო თუ არა შესაძლებელი დამდგარი შედეგის თავიდან აცილება გაწეული ფსიქიატრიული

[369] საქმე „ანგელობა ბულგარეთის წინააღმდეგ“ (*Anguelova v. Bulgaria, application no. 38361/97, 13 June 2002, paras. 125-130).*

მეთვალყურეობის ფონზე. გადაწყვეტილებაში ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ როდესაც დადასტურებულია პირის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის დაზიანებებს იყენებს და თუნდაც, სიმულანტობს, მნიშვნელოვანია შეფასდეს, მიიღო თუ არა ციხის ადმინისტრაციამ ყველა გონივრული ზომა იმ რისკის შესაფასებლად, რასაც აღნიშნული პირი თავის თავს უქმნიდა.[370] ამავე საქმეში, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ გაწეული სამედიცინო მომსახურება, რომელიც ექიმის მხრიდან ყოველდღიურ ყურადღებას და მედიკამენტების მიღებას, ასევე, პატიმრის ვიზუალურ მეთვალყურეობას გულისხმობდა, არ იყო ადეკვატური და არღვევდა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლს.[371]

აღსანიშნავია წამების საწინააღმდეგო კომიტეტის 2007 წლის 25 ოქტომბრის მოხსენება, რომელიც ასახავს საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებულ მდგომარეობას და შეიცავს შესაბამის რეკომენდაციებს. ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც მოხსენებაში აისახა, ეხებოდა იმ საკითხს, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში შესვლისას, პატიმრებს არ უტარდებოდათ სრული სამედიცინო შემოწმება და შესაბამისი მკურნალობა. ექიმი პატიმარს სინჯავდა მხოლოდ განსაკუთრებული ჩივილების ან მკურნალობის გაწევის აუცილებლობის არსებობის შემთხვევაში. აღნიშნულს სახელმწიფო ამართლებდა არასაკმარისი სამედიცინო პერსონალის არსებობით. შესაბამისად, კომიტეტის ერთ-ერთი რეკომენდაცია მიუთითებდა სწორედ იმაზე, რომ საქართველოს მთავრობამ უნდა გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები, რათა ციხის სამედიცინო პერსონალმა გასინჯოს თითოეული პატიმარი ციხეში შესვლიდან 24 საათის განმავლობაში. ამასთან, ჩატარებული სამედიცინო გამოკვლევა უნდა იყოს სრული და მოიცავდეს სამედიცინო დიაგნოსტიკას.

სიცოცხლის უფლების ჭრილში მნიშვნელოვანია პატიმრის უსაფრთხოების დაცვის სტანდარტიც. სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია უზრუნველყოს პატიმრის უსაფრთხოების დაცვა.

2011 წლის 30 მაისის საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N97 ბრძანების („პატიმრობის, თავისუფლების აღკვეთის, შერეული ტიპის ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა დაწესებულებების, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებისა და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრის დებულებების დამტკიცების შესახებ“) დანართი N2-ით დამტკიცებული თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულების 69-ე მუხლის შესაბამისად,

---

[370] საქმე „ქიინანი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ“, 2001 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილება (Keenan v. UK, application no.27229, paras. 159–172).

[371] საქმე „ქიინანი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ“, 2001 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილება (Keenan v. UK, application no.27229, paras. 179-186).

„1.მსჯავრდებულის პირადი უსაფრთხოებისათვის საფრთხის წარმოშობისას მსჯავრდებულების ან სხვა პირების მხრიდან იგი უფლებამოსილია მიმართოს დაწესებულების ნებისმიერ თანამდებობის პირს ზეპირი ან წერილობითი განცხადებით. ადმინისტრაცია ვალდებულია გაატაროს განმცხადებლის პირადი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები.

2.დაწესებულების დირექტორი ასეთი განცხადების საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით, თუ არსებობს ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული საფრთხე, იღებს გადაწვეტილებას მსჯავრდებულის უსაფრთხო ადგილზე გადაყვანის ან მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის სხვა ღონისძიებების შესახებ.

3.მსჯავრდებულის უსაფრთხო ადგილზე გადაყვანა ხდება არა უმეტეს 30 დღის ვადისა დაწესებულების დირექტორის მიერ, ხოლო ოპერატიულ შემთხვევებში - დირექტორის მოსვლამდე დირექტორის მიერ უფლებამოსილი მოადგილის მიერ, მაგრამ არა უმეტეს 24 საათისა.

4.აუცილებლობის შემთხვევაში, უსაფრთხო ადგილზე ყოფნის ხანგრძლივობა შეიძლება გაიზარდოს კიდევ 30 დღით.

5.თუ უსაფრთხოების ღონისძიებებმა შესაბამისი შედეგები არ გამოიღო, დაწესებულების დირექტორი დეპარტამენტის წინაში აღძრავს საკითხს მსჯავრდებულის ან მისი უსაფრთხოებისათვის საშიში პირების სხვა დაწესებულებაში დადგენილი წესით გადაყვანის თაობაზე, შესაბამისი საფუძვლების არსებობისას ასეთი შუამდგომლობის აღსაძრავად აუცილებელი არ არის 60 დღიანი ვადის ამოწურვა.“

ამრიგად, მოცემული მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ადმინისტრაცია ვალდებულია გაატაროს განმცხადებლის პირადი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები. ხოლო, მე-5 პუნქტის თანახმად, თუ უსაფრთხოების ღონისძიებებმა შესაბამისი შედეგები არ გამოიღო, დაწესებულების დირექტორი დეპარტამენტის წინაშე აღძრავს საკითხს მსჯავრდებულის ან მისი უსაფრთხოებისათვის საშიში პირების სხვა დაწესებულებაში დადგენილი წესით გადაყვანის თაობაზე.

შესაბამისად, ზემოაღნიშნული მუხლის ანალიზი ცხადყოფს, რომ დაწესებულების ადმინისტრაცია და უპირველეს ყოვლისა, დაწესებულების დირექტორი ვალდებულია უზრუნველყოს პატიმრის უსაფრთხოება და ამ მიზნით გაატაროს შესაბამისი ეფექტიანი ღონისძიებები.

საქართველოს კანონის, „პატიმრობის კოდექსი“, 54-ე მუხლი განსაზღვრავს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის გამოყენების წესს. მოცემული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით,

„დასაბუთებული ვარაუდის არსებობისას ადმინისტრაციას უფლება აქვს,

ბრალდებულის/მსჯავრდებულის ან სხვა პირთა უსაფრთხოებისა და სხვა კანონიერი ინტერესებიდან გამომდინარე – თვითმკვლელობის, თვითდაზიანების, მის ან სხვა პირთა მიმართ ძალადობის, ქონების დაზიანების, აგრეთვე სხვა დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად განახორციელოს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი. ელექტრონული მეთვალყურეობა ხორციელდება აუდიო–ვიდეო საშუალებებით ან/და კონტროლის სხვა ტექნიკური საშუალებებით. ადმინისტრაცია უფლებამოსილია განახორციელოს ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის, კონტროლის და ამ პროცესის შედეგად მიღებული ინფორმაციის ჩაწერა.“

ამასთან, ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით,

„ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ სხვა საშუალებების გამოყენება არაეფექტიანია. მიღებული გადაწყვეტილება დასაბუთებული და მიზნის პროპორციული უნდა იყოს.“

პენიტენციურ სისტემაში მოთავსებული პატიმრების უსაფრთხოების დაცვის პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება სახელმწიფოს. სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია არა მხოლოდ თავი შეიკავოს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა კანონიერი უფლებების დარღვევისაგან (ნეგატიური ვალდებულება), არამედ უნდა მიიღოს ზომები მათი უფლებების დასაცავად (პოზიტიური ვალდებულება).

2015 წლის 17 მარტს საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის მოწოდებული ინფორმაციით, 2014 წლის განმავლობაში სასჯელაღსრულების დაწესებულებებში დაფიქსირდა პატიმართა გარდაცვალების 19 (ცხრამეტი) შემთხვევა.

პროკურატურის მიერ მოწოდებული მონაცემებით, ცხრამეტი საქმიდან მხოლოდ ერთ საქმეზეა ცნობილი რამდენიმე პირი ბრალდებულად და საქმე არსებითი განხილვისთვის გადაგზავნილია სასამართლოში. ერთ საქმეზე შეწყდა გამოძიება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო. ხოლო სხვა ჩვიდმეტ შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი დევნა არ არის დაწყებული და ამ დრომდე მიმდინარეობს გამოძიება.

ყურადსაღებია ის გარემოება, რომ გარდაცვლილის ოჯახის წევრი დაზარალებულის უფლებამონაცვლედ მხოლოდ ერთ საქმეზეა ცნობილი. ამასთან, ცხრამეტი შემთხვევიდან მხოლოდ ერთი საქმის კვალიფიკაცია მოხდა - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა), თერთმეტ შემთხვევაში საქმე დაკვალიფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლით

(სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით), ხოლო შვიდი საქმის კვალიფიკაცია მოხდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით (თვითმკვლელობამდე მიყვანა).

თვალსაჩინოებისთვის წარმოგიდგენთ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ რამდენიმე საქმეს, რომელშიც იკვეთება სიცოცხლის უფლების სავარაუდო დარღვევის შემთხვევები.

მსჯავრდებულ ა.ჭ.-ს საქმე

დაწესებულების ე.წ. საკარანტინო განყოფილებაში მსჯავრდებულ ა.ჭ.-ს გარდაცვალების შესახებ ინფორმაციის მოპოვების მიზნით, 2014 წლის 25 ნოემბერს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N15 დაწესებულებაში იმყოფებოდნენ საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულები.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N15 დაწესებულებიდან მოპოვებული დოკუმენტაციისა და ინფორმაციის მიხედვით, 2014 წლის 25 ნოემბერს 20:05 საათზე დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის ინსპექტორმა, საბარათე შემოწმებისას, გისოსებზე ზეწრის ნაჭრით ჩამოკიდებულ მდგომარეობაში აღმოაჩინა მსჯავრდებული ა.ჭ. გამოძახებულმა ექიმმა პატიმრის გარდაცვალების დროდ დააფიქსირა 20:40 საათი.

მსჯავრდებულის გარდაცვალების ანამნეზში აღნიშნულია, რომ მსჯავრდებული საკანში უგონო მდგომარეობაში იმყოფებოდა, ყელის არეში, უფრო მეტად მარჯვენა მხარეს, აღენიშნებოდა სტრანგულაციური ნაჭდევი, საძილე არტერიებზე პულსაცია არ აღენიშნებოდა, გულის ტონები არ ისმინებოდა, მსჯავრდებულს ჩაუტარდა გულ-ფილტვის რეანიმაციული ღონისძიებები, მაგრამ მიუხედავად ჩატარებული სამედიცინო დახმარებისა, სიცოცხლის ფუნქციის აღდგენა ვერ მოხერხდა. 20:40 საათზე დაფიქსირდა ბიოლოგიური სიკვდილი, სავარაუდო DS: ასფიქსია.

შესწავლილი მასალების მიხედვით, მსჯავრდებული ა.ჭ. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N15 დაწესებულებაში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N8 დაწესებულებიდან 2014 წლის 16 ოქტომბერს შეასახლეს და ე.წ. საკარანტინო განყოფილებაში მოათავსეს. ხოლო, 2014 წლის 24 ოქტომბერს დაწესებულების დირექტორის N614 ბრძანებით, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N97 ბრძანებით დამტკიცებული თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულების 69-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, მოათავსეს უსაფრთხო ადგილზე (სამარტოო საკანი), 30 დღის ვადით. ამავე ღონისძიების გამოყენება დაწესებულების დირექტორის 2014 წლის 24 ნოემბრის N685 ბრძანებით გაგრძელდა დამატებით 30 დღით.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი სასჯელაღსრულების

დეპარტამენტის N15 დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების მიერ შედგენილი არაერთი ოქმი ადასტურებს, რომ მსჯავრდებული ა.ჭ. უარს აცხადებდა სეირნობის უფლებით სარგებლობაზე.

2014 წლის 26 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებთან გასაუბრებისას სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N15 დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების უფროსმა დ.ნ.-მ და ამავე განყოფილების ინსპექტორმა ვ.მ.-მ დაადასტურეს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულ ა.ჭ.-ს დაპირისპირება ჰქონდა მასასთან და ემუქრებოდა საფრთხე. თუმცა, ამ ინფორმაციას ისინი ფლობდნენ მხოლოდ უშუალოდ აწ გარდაცვლილისგან.

მნიშვნელოვანია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N15 დაწესებულების დირექტორის 2014 წლის 26 ნოემბრის წერილი, რომლის მიხედვით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N15 დაწესებულების დახურული ტიპის განყოფილებაში არსებობს ვიზუალური და ელექტრონული კონტროლის ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი 3 (სამი) ერთ მსჯავრდებულზე განკუთვნილი საკანი, რომლებშიც 2014 წლის 22 ოქტომბრიდან არავინ მოუთავსებიათ.

დაწესებულების დირექტორის ამავე წერილის მიხედვით, მსჯავრდებული ა.ჭ. 22 ოქტომბრიდან - 25 ნოემბრამდე მოთავსებული იყო იზოლირებულად, ერთ მსჯავრდებულზე განკუთვნილ N3 საკანში, რომელიც არ არის აღჭურვილი ვიზუალური და ელექტრონული კონტროლის ტექნიკური საშუალებებით.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მსჯავრდებულმა ა.ჭ.-მ 2014 წლის 24 ნოემბერს (გარდაცვალებამდე ერთი დღით ადრე) დაწერა განცხადება ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის თავმჯდომარის სახელზე. მსჯავრდებული, განცხადებაში, მისი ჯანმრთელობისა და უსაფრთოხების საკითხებზე გასაუბრების მიზნით, უმოკლეს ვადებში შეხვედრას ითხოვდა. დაწესებულების სოციალური განყოფილების უფროსის მტკიცებით, აღნიშნული წერილის გარდა, სხვა განცხადება მსჯავრდებულ ა.ჭ.-ს არ დაუწერია.

მსჯავრდებულის სამედიცინო ბარათის ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ მსჯავრდებულ ა.ჭ.-ს 2014 წლის 27 ივნისს გაეწია ექიმ-ფსიქიატრის კონსულტაცია, სადაც დაფიქსირდა, რომ მას ჰქონდა ჰალუცინაციური დეპრესიული სინდრომი, სუიციდური აზრებით და გაიცა რეკომენდაცია მისი სუიციდის პროგრამაში ჩართვის შესახებ. ამასთან, ექიმ–ფსიქიატრის 2014 წლის 27 ივნისის კონსულტაციის ბარათში აღნიშნულია, რომ მსჯავრდებული თვითდაზიანებებს 14 წლის ასაკიდან იყენებდა. 2014 წლის 28 ივლისს ა.ჭ.-ს განმეორებით ჩაუტარდა ექიმ-ფსიქიატრის კონსულტაცია, დაესვა არასტაბილური პერსონოლოგიური აშლილობის დიაგნოზი, რომლის დროსაც აქტიურად არ გამოთქვამდა სუიციდურ აზრებს და დაენიშნა მედიკამენტოზური მკურნალობა.

სამედიცინო დოკუმენტაციაში წარმოდგენილია მსჯავრდებულისთვის მედიკამენტების მიწოდების განრიგი 2014 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით. ამბულატორიული პაციენტის სამედიცინო ბარათის მიხედვით, მსჯავრდებულ ა.ჭ.-ს სუიციდის პროგრამაში ჩართვა არ დასტურდება.

2014 წლის 26 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა შეადგინეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N15 დაწესებულების მთავარ ექიმთან, მ.ბ.-სთან გასაუბრების ოქმი. მთავარი ექიმის განმარტებით, მსჯავრდებულ ა.ჭ.-ს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N15 დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში არანაირი მედიკამენტი არ მიწოდებია. ამას გარდა, მთავარი ექიმის განმარტებით, მსჯავრდებულ ა.ჭ.-ს N15 დაწესებულებაში ყოფნის დროს არც ჩივილი გამოუთქვამს და არც სამედიცინო პერსონალისთვის მიუმართავს. შესაბამისად, დაწესებულებაში მოთავსების დღიდან მსჯავრდებულ ა.ჭ.-ს არანაირი გამოკვლევა და კონსულტაცია არ ჩატარებია. ამასთან, მთავარი ექიმის განცხადებით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N15 დაწესებულებაში არ მოქმედებს ანტი-სუიციდის პროგრამა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან საქმის მასალების სრულყოფილად შესწავლით დადგინდა, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N15 დაწესებულებაში არ განხორციელდა მსჯავრდებულ ა.ჭ.-ს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და ადეკვატური/ეფექტიანი დაცვა, ამასთან, სრულყოფილად არ გატარდა შესაბამისი ღონისძიებები მსჯავრდებულ ა.ჭ.-ს უსაფრთხოების დაცვის მიზნით, 2014 წლის 12 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა, საქართველოს მთავარ პროკურორს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N15 დაწესებულების თანამშრომლების მიერ შესაძლო დანაშაულის ჩადენის შესახებ გამოძიების დაწყების შესახებ წინადადებით მიმართა.

საქართველოს სახალხო დამცველმა ამავე წინადადებით მოითხოვა, მოცემული საქმის გამოძიება, ინსტიტუციური დამოუკიდებლობის პრინციპის მოთხოვნების შესაბამისად, საქართველოს პროკურატურას ეწარმოებინა.

საქართველოს მთავარი პროკურატურის 2014 წლის 27 დეკემბრის N13/80822 წერილით საქართველოს სახალხო დამცველს ეცნობა, რომ მოცემული წინადადების განხილვის შედეგად, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით, 2014 წლის 26 დეკემბერს, საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილის დადგენილებით, ამოღებულ იქნა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის წარმოებიდან და გამოსაძიებლად გადაეცა საქართველოს შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილს.

საქართველოს მთავარი პროკურატურის ამავე წერილის მიხედვით, ამჟამად, გამოძიება მიმდინარეობს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N15 დაწესებულების ცალკეული თანამშრომლების მიერ სამსახურის დადგენილი წესის დარღვევის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

მსჯავრდებულ ე.ქ.-ს საქმე

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა მსჯავრდებულ ე.ქ.-ს გარდაცვალების საქმე. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მოპოვებული დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დაადგინა, რომ მსჯავრდებული ე.ქ. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N17 დაწესებულებიდან N18 დაწესებულებაში (სამკურნალო დაწესებულება) გადაიყვანეს დიაგნოზით - ქრონიკული კალკულოზური ქოლეცისტიტი, პოსტოპერაციული ვენტრალური თიაქრით.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი სამედიცინო დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ პაციენტს 2014 წლის 6 ნოემბერს გაუკეთდა ოპერაცია (ოპერაციის დაწყების დრო - 12:10 საათი).

პატიმრის გარდაცვალების ეპიკრიზის მიხედვით, ოპერაციისას განხორციელდა ქოლეცისტექტომია, მუცლის ღრუს სანაცია, დრენირება. 16:30 საათიდან - 16:45 საათამდე აღინიშნა სისხლდენა. გამონადენის მთლიანმა მასამ შეადგინა 300 მლ., რის გამოც დაიგეგმა სასწრაფო ოპერაციული ჩარევა.

ოპერაციის შემდეგ (20:00 საათი) პაციენტი გადაიყვანეს ინტენსიურ განყოფილებაში.

21:00 საათზე უეცრად განვითარდა ასისტოლია. გატარებული სამედიცინო ღონისძიებების მიუხედავად, 21:40 საათზე დაფიქსირდა მსჯავრდებულის ბიოლოგიური სიკვდილი.

საქართველოს მთავარი პროკურატურის 2015 წლის 17 მარტის წერილით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს მოცემულ საქმესთან დაკავშირებით ეცნობა, რომ 2014 წლის 6 ნოემბერს დაიწყო გამოძიება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N18 დაწესებულებაში ე.ქ.-ს სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით.

მთავარი პროკურატურის ამავე წერილის მიხედვით, საქმეზე ჩატარდა რიგი საგამოძიებო მოქმედებები, ასევე, დაინიშნა სასამართლო-სამედიცინო და ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზა. თუმცა, ბრალდებულად და დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ამ დრომდე არავინ არ არის ცნობილი.

მსჯავრდებულ ჯ.ი.-ს საქმე

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა 2014 წლის 2 დეკემბერს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N18 დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულის, ჯ.ი.-ს სუიციდის ფაქტი.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოპოვებული მასალების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მსჯავრდებული ჯ.ი. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N18 დაწესებულებაში შეიყვანეს 2014 წლის 1 დეკემბერს დაახლოებით 20:00 საათზე, დიაგნოზით: დეპრესიული მდგომარეობა, სუიციდური აზრებით, და მოათავსეს ფსიქიატრიულ განყოფილებაში.

2014 წლის 3 დეკემბერს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N18 დაწესებულების ექიმ-ფსიქიატრისა და ფსიქიატრიული განყოფილების უფროსის მიერ ერთობლივად შედგენილი სამედიცინო ცნობის მიხედვით, პაციენტი მოთავსებისას იყო გარეგნულად მეტ-ნაკლებად მოწესრიგებული. ორიენტირებული საკმარისად. სახის გამომეტყველება ჰქონდა შეწუხებული. კონტაქტში ერთვებოდა უხალისოდ. უჩიოდა გაღიზიანებას, შინაგან მოუსვენრობას, მომეტებულ შფოთვას, უხალისობას, ძილის გაძნელებას, ხმაურს ყურებში და თავში, მუდმივი ხასიათის თავის ტკივილებს, უსიამოვნო შინაარსის ფიქრების არსებობას. გადაყლაპული ჰქონდა ფრჩხილების საკვნეტელა და კბილის ჯაგრისი. ითხოვდა ხონის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში გადაყვანას.

სამედიცინო დოკუმენტაციის სრულყოფილად შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ მსჯავრდებული ჯ.ი. მიდრეკილი იყო თვითდაზიანებებისა და სუიციდისკენ. ასევე დადგინდა, რომ მსჯავრდებულ ჯ.ი.-ს რამდენჯერმე ჰქონდა ჩატარებული მკურნალობა ფსიქიატრიული პროფილის საავადმყოფოში.

საქმის მასალების სრულყოფილად შესწავლით დადგინდა, რომ პატიმარს ჰქონდა ემოციურად არასტაბილური პერსონოლოგიური აშლილობა F60.3. დეპრესიული მდგომარეობა; სხვადასხვა სახის ნივთიერებების ერთდროული მოხმარებით და სხვა ფსიქიატრიული ნივთიერებების მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობანი F19.

2014 წლის 3 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულები გაესაუბრნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N18 დაწესებულების ფსიქიატრიული განყოფილების უფროსს, თ.მ.-ს, რომელმაც განაცხადა, რომ ჯ.ი. 2014 წლის 1 დეკემბერს დაწესებულებაში შეყვანისთანავე მოთავსდა ფსიქიატრიულ განყოფილებაში. პაციენტი ჩართული იყო ანტისუიციდურ პროგრამაში (2014 წლის იანვრიდან), თუმცა, რადგან მოცემული დროისათვის ვიდეოთვალიან პალატებში არ იყო თავისუფალი ადგილი, მისი ვიდეოთვალიან პალატაში მოთავსება ვერ მოხერხდა.

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულის მოთხოვნის საფუძველზე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N18 დაწესებულების დირექტორის წერილობითი პასუხით ირკვევა, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N18 დაწესებულების ფსიქიატრიულ განყოფილებაში ხუთი პალატაა აღჭურვილი სათვალთვალო ვიდეოკამერებით, რომელთაგან ორი 2014 წლის 2 დეკემბერს თავისუფალი იყო (ამათგან ერთ-ერთი პალატა გათავისუფლდა 2014 წლის 2 დეკემბრის 12:40 საათზე).

2014 წლის 2 დეკემბერს 14:35 საათზე პაციენტმა განახორციელა სუიციდი - ჩამოხრჩობის სახით.

2015 წლის 17 მარტის საქართველოს მთავარი პროკურატურის წერილით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ 2014 წლის 2 დეკემბერს დაიწყო გამოძიება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N18 დაწესებულებაში ჯ.ი.-ს თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით.

მთავარი პროკურატურის ამავე წერილის მიხედვით, საქმეზე ჩატარდა რიგი საგამოძიებო მოქმედებები, ასევე, დაინიშნა და ჩატარდა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. თუმცა, ბრალდებულად და დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ამ დრომდე არავინ არ არის ცნობილი.

მოქალაქე შ.თ.-ს საქმე

2014 წლის 24 მარტს გარდაბნის რაიონული სამმართველოს თელეთის განყოფილებაში დაიწყო გამოძიება მოქალაქე შ.თ.-ს თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

2014 წლის 27 მარტს აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე გამოსაძიებლად გადაეცა საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალურ ინსპექციას.

გამოძიების მასალებით[372] დადგენილია, რომ 2014 წლის 23 მარტს გარდაბნის რაიონის სოფელ წალასყურში საკუთარ საცხოვრებელ სახლში ნახეს შ.თ.-ს გვამი.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი საქმის დოკუმენტაციის თანახმად, შ. თ. თბილისის პროკურატურაში 2014 წლის 24 თებერვალს, ე.წ. ნავთლუღის სპეცოპერაციასთან დაკავშირებით, მოწმის სახით დაიკითხა ადვოკატების: ე.ბ.-სა და ვ.თ.-ს თანდასწრებით. იმავე დღეს, მისივე მოთხოვნით, შ.თ. პროკურორის დადგენილების

[372] ხსენებული სისხლის სამართლის საქმის მასალები საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს მიეწოდა 2014 წლის 29 მაისის საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციის წერილით.

საფუძველზე, ჩაერთო დაცვის სპეციალურ პროგრამაში.

საქმის მასალებით დგინდება, რომ 2014 წლის 25 თებერვალს შ.თ. მივიდა გარდაბნის რაიონის სოფელ წალასყურში მდებარე თავის საცხოვრებელ სახლში, საიდანაც გაუჩინარდა. მოგვიანებით, კერძოდ, 2014 წლის 18 მარტს, შ. თ. პოლიციელებმა ნახეს თბილისში, ლილოს ბაზრობის ტერიტორიაზე არსებულ ღამის კლუბში. იმავე დღეს, 2014 წლის 18 მარტს, შ.თ. თბილისის პროკურატურაში განმეორებით დაიკითხა მოწმის სახით ე.წ. ნავთლუღის სპეცოპერაციის საქმეზე.

ამასთან დადგენილია, რომ შ.თ.-ს გაუჩინარებასთან დაკავშირებით, მთავარი პროკურატურის გენერალურ ინსპექციაში მიმდინარეობდა სამსახურებრივი შემოწმება, რომლის ფარგლებშიც 2014 წლის 18 მარტს შ.თ.-ს ჩამოერთვა ახსნა-განმარტება, რა დროსაც მან მიუთითა, რომ არც 2014 წლის 24 თებერვალს და არც 2014 წლის 18 მარტს თბილისის პროკურატურაში მოწმის სახით დაკითხვის დროს, მის მიმართ რაიმე სახის ფიზიკურ და ფსიქიკურ ზეწოლას, ძალადობას, მუქარას ადგილი არ ჰქონია და მისთვის ცნობილი გარემოებების შესახებ ჩვენებები მისცა ნებაყოფლობით. საქართველოს მთავარმა პროკურატურამ გამოაქვეყნა შ.თ.-ს დაკითხვის ვიდეო ჩანაწერიც.[373] შ.თ.-ს დაკითხვაზე შეყვანისა და დაკითხვის პროცესის ამსახველ ვიდეო ჩანაწერს გაეცნო სახალხო დამცველიც.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, მოქალაქე შ.თ.-ს გარდაცვალების შემდგომ, გარდაცვლილის ოჯახის წევრების და ახლობლების მიერ ვრცელდებოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ შ.თ.-ს მიმართ სამართალდამცავმა პირებმა განახორციელეს ზეწოლა და მუქარა ე.წ. ნავთლუღის სპეცოპერაციაში მონაწილე სამართალდამცავების, მათ შორის, დ.ა.-ს წინააღმდეგ მამხილებელი ჩვენების მოპოვების მიზნით.

ამასთან, აღსანიშნავია 2014 წლის 2 აპრილის ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური, სამედიცინო და ჰისტოლოგიური ექსპერტიზის დასკვნაც[374], რომლის მიხედვით, შ.თ.-ს გვამზე აღინიშნებოდა: ნაჭდევები მარცხენა წინამხრის, ორივე მუხლის სახსრის, წელის, მარცხენა კოჭ-წვივის სახსრის და მარჯვენა მტევნის პირველი თითის მიდამოებში. დაზიანებები განვითარებულია მკვრივი, ბლაგვი საგნის მოქმედებით, სიცოცხლის დროს და ცოცხალ პირთა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზისას, სხეულის დაზიანების ხარისხის განსაზღვრის დროს, მიეკუთვნება მსუბუქ ხარისხს. ექსპერტიზის დასკვნიდან ასევე ირკვევა, რომ სისხლჩაქცევა განვითარებულია სიკვდილის დადგომამდე უახლოეს პერიოდში. კერძოდ, მარჯვენა მტევნის პირველი თითის არეში არსებული ნაჭდევი ხანდაზმულობით 6-7 დღისაა, ხოლო ყველა დანარჩენი ნაჭდევი - 1-2 დღის.

---

[373] http://pog.gov.ge/geo/news?info_id=462

[374] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს მიეწოდა 2014 წლის 4 აპრილს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ.

მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტიზის დასკვნა გამორიცხავს აღნიშნული დაზიანებების მიზეზობრივ კავშირს დამდგარ შედეგთან (სიკვდილთან), სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, გამოძიებამ დამაჯერებელი პასუხი გასცეს შ.თ.-ს საქმეში არსებულ ყველა შეკითხვას.

რეკომენდაციები:

საქართველოს მთავარ პროკურატურას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს:

- დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, სწრაფი და ეფექტიანი გამოძიების პრინციპების დაცვით წარიმართოს ყველა იმ საქმის გამოძიება, რომელიც შეეხება სიცოცხლის უფლების დარღვევის სავარაუდო შემთხვევებს. სახელმწიფოს ვალდებულება, დაცული იყოს ინსტიტუციური დამოუკიდებლობის პრინციპი გამოძიების პროცესში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც სიცოცხლის უფლების ხელყოფა სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ განხორციელდა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, საქართველოს მთავარ პროკურორს:

- ლოპოტას ხეობაში 2012 წლის 28 აგვისტოს ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად გარდაცვლილ პირთა საქმეების გამოძიება წარიმართოს საქართველოს მთავარ პროკურატურაში, დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, სწრაფი და ეფექტიანი გამოძიების ყველა პრინციპის დაცვით

საქართველოს მთავარ პროკურორს:

- ჩაატაროს სწრაფი, ინტენსიური და ეფექტიანი გამოძიება უგზო-უკვლოდ გაუჩინარებულ პირთა გაუჩინარების ფაქტზე
- 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების დროს და მის შემდგომ პერიოდში სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების, მათ შორის უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა საქმეების გამოძიება წარიმართოს ეფექტურად, შემჭიდროვებულ ვადებში

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრსა და საქართველოს პარლამენტს:

- საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის რეკომენდაციის შესაბამისად, დაიწყოს გაეროს 2006 წლის 20 დეკემბრის „იძულებით გაუჩინარებისგან ყველა პირთა დაცვის შესახებ“ კონვენციის რატიფიცირების პროცესი.

წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და სასჯელის აკრძალვა

საქართველოს კონსტიტუციით[375] და ევროპული კონვენციით[376] გარანტირებული უფლება – წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა – აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიას მიეკუთვნება. შესაბამისად, დაუშვებელია მისი შეზღუდვა ნებისმიერი მიზნით ან შეზღუდვის გამართლება რომელიმე გარემოებითა თუ დანაშაულის სიმძიმის მოტივით.

საქართველოს უზენაესი კანონის – კონსტიტუციის[377] მიხედვით:

> *„1.ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია.*
>
> *2.დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება.*
>
> *3.დაუშვებელია დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება.“*

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის[378] თანახმად, „არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას.“

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, ერთი მხრივ, თავი შეიკავოს პირის წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისგან (ნეგატიური ვალდებულება); მეორე მხრივ, აკრძალოს წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობა საკანონმდებლო დონეზე. ხოლო, ასეთი ქმედების ჩადენის გამოვლენის შემთხვევაში ჩაატაროს ეფექტიანი გამოძიება, გამოავლინოს აღნიშნული ქმედების ჩამდენი პირი (პირები), განახორციელოს მართლმსაჯულება და დამნაშავეს დააკისროს სამართლიანი სასჯელი (პოზიტიური ვალდებულება).

წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის პრევენციასთან ერთად, არსებითი მნიშვნელობა აქვს მსგავსი ფაქტების დადგენის შემთხვევაში, ყოველმხრივი, დამოუკიდებელი და ეფექტიანი გამოძიების ჩატარებას. ამასთან, ეფექტიანი გამოძიება, დამნაშავე პირების გამოვლენა და დასჯა მსგავსი შემთხვევების პრევენციის ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის გამოძიების მექანიზმებს, მათი

---

[375] საქართველოს კონსტიტუცია, მუხ.17.
[376] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, მუხ. 3.
[377] საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 17.
[378] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, მუხ. 3.

ეფექტიანობა არაერთხელ დამდგარა ეჭვქვეშ როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე, მათ შორის საქართველოს სახალხო დამცველის მიერ საქმეთა შესწავლის პროცესში. მსგავსი დანაშაულების გამოძიების ხარვეზებს და მისი გამოსწორების გზების განსაზღვრას წინამდებარე ანგარიშის ცალკე თავი დაეთმობა, ხოლო, ამ თავში მიმოხილული იქნება საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი რამდენიმე შემთხვევა, რომლებშიც გამოიკვეთა სამართალდამცავი პირების ან/და სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან განხორციელებული შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტები.

მიუხედავად იმისა, რომ წამების, არასათანადო მოპყრობის პრაქტიკა სასჯელაღსრულების სისტემასა თუ სამართალდამცავ ორგანოებში არ არის სისტემატური ხასიათის, 2013 წლის მსგავსად, ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როდესაც დაკავებული თუ პატიმრობაში მყოფი პირები მათ მიმართ სასჯელაღსრულების თუ პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობაზე საუბრობენ.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა ათეულობით საჩივარი, რომელშიც საუბარია სასჯელაღსრულების დაწესებულებებისა თუ პოლიციის თანამშრომლების მხრიდან ჩადენილ უკანონო მოქმედებებსა თუ არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე. მათი შესწავლის შედეგად, საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველმა 28 წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას და გამოძიების დაწყება მოითხოვა, ხოლო, რიგ შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შესწავლის შედეგებით, არასაკმარისი მასალების გამო, შეუძლებელი იყო დანაშაულის არსებობის შესახებ დასკვნების გამოტანა, მასალები შემდგომი რეაგირებისათვის გადაიგზავნა მთავარ პროკურატურაში. პრობლემის უკეთ წარმოსაჩენად წინამდებარე ანგარიშში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ რამდენიმე შემთხვევაზე ვისაუბრებთ.

პირის წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისაგან დაცვის სახელმწიფოს ვალდებულება მოიცავს ექსტრადიციის საკითხის განხილვისას ყველა ზომის მიღებას იმისათვის, რათა გამოირიცხოს მიმღებ ქვეყანაში ექსტრადირებული პირის მსგავსი მოპყრობის რისკის ქვეშ ჩაგდება. წინამდებარე თავში მიმოხილული იქნება შემთხვევები, როდესაც საქართველოს სახალხო დამცველმა ინდივიდუალურ საქმეთა შესწავლის შედეგად, საქართველოს მთავარ პროკურატურას ექსტრადიციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების აღნიშნულ გარემოებათა ყოველმხრივი შესწავლისაკენ მოუწოდა.

სამართალდამცავთა და სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომელთა მიერ განხორციელებული შესაძლო არასათანადო მოპყრობის შემთხვევები

2015 წლის 5 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს მთავარი პროკურატურიდან გამოითხოვა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ სისხლის სამართლის რა რაოდენობის იმგვარი საქმეა საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის წარმოებაში, რომელშიც ფიქსირდება სამართალდამცავი პირების მხრიდან 2012 წლამდე და 2014 წლის განმავლობაში ჩადენილი შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტები (ქმედება გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^1, 144^3, 332-ე და 333-ე მუხლებით). საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ასევე გამოითხოვა აღნიშნულ შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე მიმდინარე გამოძიების შესახებ ინფორმაცია.

2015 წლის 17 თებერვლის საქართველოს მთავარი პროკურატურის წერილით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში 2012 წლამდე ჩადენილ არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^1, 144^3, 332-ე და 333-ე მუხლებით დაწყებულია გამოძიება 7 სისხლის სამართლის საქმეზე. სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^1, 144^3, 332-ე და 333-ე მუხლებით დაიწყო 42 პირის მიმართ, რომელთაგან 38 პირის მიმართ დადგენილია გამამტყუნებელი განაჩენი, ხოლო 4 პირის მიმართ - გამამართლებელი. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს აქვე ეცნობა, რომ გამოყოფილ სისხლის სამართლის საქმეებზე გრძელდება გამოძიება.

საქართველოს მთავარი პროკურატურის ამავე წერილის მიხედვით, 2014 წლის განმავლობაში საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში არ დაწყებულა გამოძიება სამართალდამცავი პირების მხრიდან შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით.

მსჯავრდებულ მ.ფ.-სა და ბრალდებულ მ.უ.-ს საქმე

2014 წლის 12 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულები იმყოფებოდნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N8 დაწესებულებაში. როდესაც მათ დაწესებულების დირექტორთან გასაუბრების სურვილი გამოთქვეს, დაწესებულების თანამშრომლებმა დირექტორის სავარაუდო ადგილსამყოფელად მიუთითეს ამავე დაწესებულების ადმინისტრაციის კორპუსის პირველ სართულზე განთავსებული გონივრული მიღებისა და განთავსების განყოფილება, ე.წ. „სმარტი“.

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N8 დაწესებულების გონივრული მიღებისა და განთავსების განყოფილებაში ჩამავალ კიბეზე გაიგონეს ხმამაღალი ყვირილისა და ჩხუბის ხმა. ინციდენტის ადგილზე რწმუნებულებს დახვდნენ ამავე დაწესებულების დირექტორის მოადგილეები - ი.პ. და ზ.მ., სამართლებრივი

რეჟიმის განყოფილების უფროსი გ.ფ., ოფიცრები და მორიგე–კონტროლიორები: ბ.ფ., გ.ბ., ვ.ჯ. და სხვები. დერეფანში, სანიტარული ზონის (საშხაპე) ოთახთან, შეინიშნებოდა ახლად მოწმენდილი სისხლის კვალი და შესაბამისი ლაქა. დაწესებულების თანამშრომლები აღელვებულები იყვნენ, იყო ხმამაღალი გადაძახილები თანამშრომლებს შორის. ამასთან, შეიმჩნეოდა გაღიზიანება საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულების მიმართაც.

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულების კატეგორიული მოთხოვნის შედეგად, რწმუნებულები შევიდნენ საშხაპე ოთახში, სადაც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N8 დაწესებულების თანამშრომლებს დაკავებული ჰყავდათ მსჯავრდებული მ.ფ. და ბრალდებული მ.უ.

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულების საშხაპე ოთახში შესვლის მომენტში ორივე პირი, სველი ტანსაცმლით, იწვა იატაკზე. მ. უ.-ს შეკრული ხელ–ფეხი ერთმანეთზე სპეციალური ჯაჭვით ჰქონდა მიბმული (ბორკილი წარმოადგენდა ერთიან კონსტრუქციას). ორივე პატიმარს გარეგნულად აღენიშნებოდა ძალადობის კვალი, მათ შორის, სახეზე. მ.უ.-ს შუბლის არეში ჰქონდა ნაკვეთი ჭრილობა, საიდანაც მოსდიოდა სისხლი, ასევე, სხვა მრავლობითი დაზიანებები, ხოლო მ.ფ.-ს მარჯვენა თვალში (გუგა) აღენიშნებოდა სისხლჩაქცევა.

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა მოითხოვეს პატიმრების დაზიანებების აღწერა და შესაბამის ჟურნალში ასახვა. მათვე დააფიქსირეს, რომ დაწესებულების ექიმი – ზ.ქ. განიცდიდა ზეწოლას დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან, რის გამოც დაზიანებების ჟურნალში გაკეთებულ ჩანაწერებში დეტალურად არ აისახა პატიმრების გარეგნული დაზიანებები.

2014 წლის 17 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს და მოითხოვა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N8 დაწესებულების თანამშრომლების მიერ ზემოხსენებული პატიმრების მიმართ განხორციელებული შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიების დაწყება. გამოძიების დამოუკიდებლობის მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველმა მოითხოვა, რომ გამოძიება არა მხოლოდ ფორმალურად დაეწყო საქართველოს მთავარ პროკურატურას, არამედ ეწარმოებინა კიდეც, დამნაშავე პირების პასუხისგებაში მიცემის მიზნით.

საქართველოს სახალხო დამცველი ასევე ითხოვდა ყველა საჭირო და აუცილებელი საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას, მათ შორის, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დროულად ჩატარებას ბრალდებულების სხეულზე არსებული დაზიანებების ხარისხის, ხასიათის, ხანდაზმულობის, წარმოშობისა და განვითარების მექანიზმის დასადგენად; ასევე, საგამოძიებო ორგანოს მიერ მითითებული ფაქტის ამსახველი ვიდეო-ჩანაწერების დროულად ამოღებას.

2014 წლის 24 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველს საქართველოს მთავარი პროკურატურის წერილით ეცნობა, რომ საქმეზე გამოძიება დაიწყო საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტმა და მხოლოდ 2014 წლის 20 ნოემბერს, საქართველოს მთავარი პროკურატურის გადაწყვეტილებით ამოიღეს სისხლის სამართლის საქმე საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის ქვემდებარეობიდან და ობიექტური გამოძიების უზრუნველყოფის მიზნით, გადაეცა თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილს.

2014 წლის 21 ნოემბერს მითითებულ საქმეზე შეიცვალა კვალიფიკაცია და ამჟამად, გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებითა და 378[2]-ე მუხლის პირველი ნაწილით.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს სახალხო დამცველმა არაერთ საჯარო განცხადებაში მოუწოდა საგამოძიებო ორგანოებს გამოძიება ეწარმოებინათ სპეციალური მუხლით - საქართველოს სისხლის სამართლის 144[3]-ე მუხლით და არა 333-ე მუხლით. გამოძიების ეფექტიანობისა და პატიმართა უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველი ასევე მოითხოვდა შესაძლო დამნაშავე თანამდებობის პირებისთვის სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერებას, თუმცა, უშედეგოდ.

აქვე ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ პატიმრები მ.ფ. და მ.უ., უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, მხოლოდ და მხოლოდ 2014 წლის 8 დეკემბერს გადაიყვანეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N8 დაწესებულებიდან N15 დაწესებულებაში. ეს კი მხოლოდ მას შემდეგ გააკეთეს, რაც 2014 წლის 26 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა წერილით მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს და ამ პატიმრების უსაფრთხოების დაცვის მიზნით, მათი სხვა დაწესებულებაში გადაყვანა მოითხოვა.

ბრალდებულების, გ.წ.-სა და გ.ა.-ს საქმე

2014 წლის 2 მაისს საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულები იმყოფებოდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის დროებითი მოთავსების იზოლატორში, სადაც შეხვდნენ და ესაუბრნენ ბრალდებულებს: გ.წ.-სა და გ.ა.-ს.

ბრალდებულების განმარტებით, ისინი 2014 წლის 1 მაისს დააკავეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა და დაკავებისას და დაკავების შემდგომაც, მათ მიმართ განხორციელდა არასათანადო მოპყრობა, რაც გამოიხატა არაერთგზის ფიზიკურ ძალადობაში. ბრალდებულთა ახსნა-განმარტებების მიხედვით, დაკავების შემდეგ ისინი

გადაიყვანეს გლდანი-ნაძალადევის შს სამმართველოს VIII განყოფილებაში, სადაც ისინი ფიზიკურად და სიტყვიერად შეურაცხყვეს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს უფროსმა და სამმართველოს სხვა თანამშრომლებმა.

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებთან შეხვედრისას, ბრალდებულ გ.წ.-ს აღენიშნებოდა მრავლობითი დაზიანებები სახის, თავისა და კისრის არეში, ხოლო გ.ა.-ს აღენიშნებოდა სისხლნაჟღენთი მარჯვენა თვალზე, მრავლობითი დაზიანებები ზურგის, მკლავების, მაჯების, მუხლების, კისრისა და მუცლის მიდამოებში.

ინფორმაცია, არაერთი დაზიანების შესახებ, დასტურდებოდა ბრალდებულ გ.წ.-სა და გ.ა.-ს შსს დროებითი მოთავსების იზოლატორში ჩატარებული გარეგნული დათვალიერების ოქმებით, ასევე, 2014 წლის 2 მაისის გ.წ.-ს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობითა და 2014 წლის 2 მაისის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს N27/9-292 ცნობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2014 წლის 6 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს და მოითხოვა გამოძიების დაწყება ბრალდებულების გ.წ.-სა და გ.ა.-ს მიმართ სამართალდამცავი პირების მხრიდან განხორციელებულ შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით.

საქართველოს სახალხო დამცველს საქართველოს მთავარი პროკურატურის 2014 წლის 14 მაისის წერილით ეცნობა, რომ 2014 წლის 12 მაისს თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონულ პროკურატურაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, გ.წ.-სა და გ.ა.-ს მიმართ ჩადენილი სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

მოქალაქე მ.ქ.-ს საქმე

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში განიხილება მოქალაქე მ.ქ.-ს დედის ნ.დ.–ს განცხადება. განმცხადებლის განმარტებით, 2014 წლის 1 ივლისს მისი შვილი – მ.ქ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა სცემეს.

მოქალაქე მ.ქ.-ს ახსნა–განმარტებით, 2014 წლის 1 ივლისს დაკავების შემდეგ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ის გადაიყვანეს თბილისის გლდანის პოლიციის პირველ განყოფილებაში და სცემეს: თავდაპირველად ურტყამდნენ სახეში (ცხვირის არეში), შემდეგ სკამზე დააბეს ხელბორკილებით და განაგრძეს მისი ცემა. იმავე დღეს, გამთენიისას, მ.ქ. პოლიციის განყოფილებიდან გადაიყვანეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისისა და მცხეთა–მთიანეთის დროებითი მოთავსების იზოლატორში.

2014 წლის 1 ივლისს 04:55 საათზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისისა და მცხეთა–მთიანეთის დროებითი მოთავსების იზოლატორში შედგენილი დაკავებულის გარეგნული დათვალიერების ოქმის მიხედვით, „მ.ქ.-ს მთელ სახეზე, კისერსა და ორივე ზედა კიდურზე აღენიშნებოდა მრავლობითი სისხლნაჟღენთები, ექსკორიაციები და ჰიპერემიული უბნები.“

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მ.ქ.-ს სხეულზე პირადი შემოწმებით აღენიშნებოდა მრავლობითი დაზიანებები ნაჭდევების და სისხლნაჟღენთების სახით, რომლებიც ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგებიან შესამოწმებლის მიერ მითითებული ტრავმის მიღების თარიღს (შესამოწმებლის გადმოცემით, ტრავმა მიიღო დაახლოებით 10–12 დღის წინ).

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს 2014 წლის 19 სექტემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილით ეცნობა, რომ 2014 წლის 1 ივლისს საქართველოს მთავარ პროკურატურაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი–ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის პირველი განყოფილების თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332–ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. აღნიშნული საქმე იმავე დღეს საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილის დადგენილების საფუძველზე გამოსაძიებლად გადაეცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ამავე წერილის მიხედვით, გამოძიების საფუძველი გახდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში 2014 წლის 1 ივლისს შესული შეტყობინება მოქალაქე მ.ქ.-ს ცემის ფაქტზე. იმავე დღეს, მ.ქ.-ს ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხის განსაზღვრის მიზნით გამოიტანეს დადგენილება სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, რის საფუძველზეც გაიცა სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა. ამასთან, ირკვევა, რომ საქართველოს მთავარი პროკურორის დადგენილების საფუძველზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ ჩადენილი შესაძლო დანაშაულის ფაქტზე მიმდინარე სისხლის სამართლის საქმე გამოძიების ჩატარების მიზნით, გადაეცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას.

ამრიგად, 2014 წლის 26 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს მთავარ პროკურორს წინადადებით მიმართა, რომ მოქალაქე მ.ქ.-ს მიმართ პოლიციელების მიერ განხორციელებული შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების

უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილი იყო აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე საქართველოს პროკურატურას გამოეძიებინა.

საქართველოს მთავარი პროკურატურის 2015 წლის 3 თებერვლის წერილით საქართველოს სახალხო დამცველს ეცნობა, რომ ზემოაღნიშნული სისხლის სამართლის საქმე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეული თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით, 2015 წლის 30 იანვარს საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილის დადგენილებით, გამოსაძიებლად გადაეცა თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილს.

მოქალაქე დ. ხ.-ს საქმე

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ქუთაისის ფილიალის წარმომადგენლებმა შეისწავლეს მოქალაქე დ.ხ.-ს შემთხვევა. მისი განმარტებით, 2014 წლის 18 სექტემბერს ის საკუთარ სახლში დააკავეს შსს წყალტუბოს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, რის შემდეგაც წაიყვანეს სოფელ გუბისწყლის ტერიტორიაზე, სადაც ათზე მეტმა პოლიციელმა მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა. მისივე განმარტებით, პოლიციელები მას უმოწყალოდ ცემდნენ და ყაჩაღობის ფაქტის აღიარების მიზნით, რამდენჯერმე თავიც დაატანეს ავტომობილის კარებში, ასევე, შესაშინებლად სამჯერ გაისროლეს ცეცხლსასროლი იარაღიდან.

დ.ხ.-ს გადმოცემით, ცემის შემდეგ ხელებზე ბორკილდადებული მთელი ღამის განმავლობაში, სოფელ გვიშტიბის შესასვლელში მდებარე ტყეში, შიშველ მდგომარეობაში (ეცვა მხოლოდ ქვედა საცვალი) გააჩერეს ავტომობილში, სადაც აყენებდნენ ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას, ასევე მუდმივად ახორციელებდნენ სატელეფონო ზარებს ზემდგომ პირებთან. ის მხოლოდ 19 სექტემბერს 06:00 საათზე წაიყვანეს შსს წყალტუბოს რაიონულ სამმართველოში, ხოლო შემდეგ ქუთაისის დროებითი მოთავსების იზოლატორში.

სახალხო დამცველის რწმუნებულთან შეხვედრის დროს დ.ხ.-ს ხელებზე, ფეხებზე და ზურგზე აღენიშნებოდა ფუფხით დაფარული დაზიანებები.

დ.ხ.-ს მიმართ შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტის თაობაზე გამოძიების დაწყების წინადადებით საქართველოს სახალხო დამცველმა მთავარ პროკურორს მიმართა. პროკურატურის ცნობით, შსს წყალტუბოს რაიონული სამმართველოს თანამშრომლების მიერ ძალადობით სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტზე დაწყებულია გამოძიება სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

მოქალაქე თ. გ.-ს საქმე

მოქალაქე თ.გ.-ს განმარტებით, 2014 წლის 26 აგვისტოს დაახლოებით 16:15 საათზე, ის საკუთარი ავტომანქანით მოძრაობდა ზესტაფონში, კეკელიძის ქუჩაზე, როდესაც გზა გადაუკეტეს პოლიციის თანამშრომლებმა, ახსნა-განმარტების გარეშე გადმოიყვანეს მანქანიდან, დააგდეს ზურგით მიწაზე და ცდილობდნენ ძალის გამოყენებით ჩაესხათ მისთვის პირში გაურკვეველი სახის სითხე.

თ.გ.-მ აღნიშნა, რომ პოლიციის თანამშრომლებმა ხელბორკილები დაადეს და დაუწყეს ცემა წაქცეულ მდგომარეობაში. ცემასთან ერთად გაჩხრიკეს და ამ დროს პოლიციის თანამშრომელმა, მარცხენა ფეხის წინდაში ჩაუდო შეხვეული ქაღალდი, რომელშიც შემდეგ ნარკოტიკული ნივთიერება აღმოჩნდა. დაკავებული სიტყვიერად აპროტესტებდა ნარკოტიკული ნივთიერების ჩადების ფაქტს და მიზანმიმართულ ვიდეოგადაღებას. მისივე გადმოცემით, დადგმული ჩხრეკის შემდეგ, შსს ზესტაფონის რაიონული სამმართველოს უფროსმა და მოადგილეებმა მას ასევე მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა თავისა და გვერდების არეში, რის შემდეგაც ჩასვეს ავტომანქანაში.

ზესტაფონის დროებითი მოთავსების იზოლატორში წარმოებული დოკუმენტაციის თანახმად, თ.გ. იზოლატორში მოათავსეს ა/წ 29 აგვისტოს 00:13 საათზე. ამ დროს მას ვიზუალურად აღენიშნებოდა შემდეგი დაზიანებები: ესკორაციები შუბლ-საფეთქლის მიდამოში მარჯვნივ, დაჟეჟილობები სისხლნაჟღენთი მარჯვენა მხრისა და წინა მხრის მიდამოში, ნახეთქი ჭრილობა მარჯვენა იდაყვის მოსახრელში, გულმკერდის წინა ზედაპირზე სისხლნაჟღენთები, სისხლნაჟღენთები მარცხენა წვივის და ტერფის ზედა ნაწილზე.

თ.გ.-ს მიმართ შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტის თაობაზე გამოძიების დაწყების წინადადებით საქართველოს სახალხო დამცველმა მთავარ პროკურორს მიმართა. პროკურატურის ცნობით, შსს ზესტაფონის რაიონული სამმართველოს თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტზე დაწყებულია გამოძიება სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. საქმეზე ჩატარდა რიგი საგამოძიებო მოქმედებები, თუმცა სისხლისსამართლებრივი დევნა კონკრეტული პირის/პირების მიმართ არ დაწყებულა.

მოქალაქე ბ.რ.-ს საქმე

2014 წლის 11 დეკემბერს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა სად–ის ქუთაისის #2 დაწესებულებაში მოინახულეს და ახსნა-განმარტება ჩამოართვეს ბრალდებულ ბ.რ.-ს. ბრალდებულის გადმოცემით, 2014 წლის 20 ნოემბერს ის ბაღდათის რაიონის სოფელ აჯამეთში, მეგობართან იმყოფებოდა. დაახლოებით 12:00 საათზე სახლთან გაჩერდა „შკოდას“ მარკის ავტომობილი, საიდანაც გადმოვიდა შსს-ს ბაღდათის რაიონული სამმართველოს სამი თანამშრომელი (მათ შორის ერთი ნიღბით). მათ დააკავეს ბ.რ., ძალის გამოყენებით ჩასვეს

მანქანაში, თვალებზე ჩამოაფარეს ქუდი და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. შემდგომ ის ტყეში აღმოჩნდა, სადაც, მისი განმარტებით, იმყოფებოდა სამმართველოს უფროსის ერთ-ერთი მოადგილეც. პოლიციის თანამშრომელი, რომელსაც ბ.რ. ახსნა-განმარტებაში ზედმეტსახელით მოიხსენიებს, სთხოვდა იმ დანაშაულის აღიარებას, რომელიც, ბ.რ.-ს განმარტებით, მას არ ჩაუდენია. ბ.რ. აღნიშნავდა, რომ მასზე სხვადასხვა ფორმით განხორციელებული ფიზიკური ძალადობა დაახლოებით 13:00 საათიდან 19:00 საათამდე გრძელდებოდა. ამ პერიოდის განმავლობაში ის ხელბორკილებით იყო მიბმული ხეზე და ცემდნენ ასეთ მდგომარეობაში, ამის შემდეგ ის დაახლოებით 10-15 წუთით თოკით ფეხებით ჩამოკიდეს. ბ.რ. აცხადებდა, რომ ცემის შემდეგ გადაადგილება აღარ შეეძლო, ამიტომ მოგვიანებით ის კვლავ ძალის გამოყენებით ჩასვეს მანქანაში და გადაიყვანეს ბაღდათის რაიონულ სამმართველოში დაკითხვაზე, სადაც ასევე აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას.

ბაღდათის დროებითი მოთავსების იზოლატორში არსებული დოკუმენტების მიხედვით, ბ.რ. 2014 წლის 21 ნოემბერს 04:15 საათზე დააკავა ბაღდათის რაიონული სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებელმა მ.ჯ.-მ. დაკავებული დმი-ში შეიყვანეს იმავე დღეს 10:30 საათზე. მას განთავსების მომენტისთვის აღენიშნებოდა შემდეგი დაზიანებები: ექსკორიაციები მარჯვენა ყურზე და მუცლის მარჯვენა მხარეს, ასევე მცირე ზომის ჭრილობა ზედა ტუჩზე შიდა მხარეს. დოკუმენტში დაფიქსირებულია ბ.რ.-ს განმარტება, რომ აღნიშნული დაზიანებები მიიღო დაკავებამდე ტყეში, ბაღდათის შს რაიონული სამმართველოს თანამშრომლების მიერ, ცემის შედეგად.

ბ.რ.-ს მიმართ შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტის თაობაზე გამოძიების დაწყების წინადადებით საქართველოს სახალხო დამცველმა მთავარ პროკურორს მიმართა. პროკურატურის მიერ განხორციელებული რეაგირების შესახებ ამ ეტაპზე სახალხო დამცველისათვის ცნობილი არ არის.

მოქალაქე დ.ფ.-ს საქმე

2014 წლის 5 დეკემბერს სახალხო დამცველის აპარატის ქუთაისის ფილიალის წარმომადგენელი სად–ის ქუთაისის #2 დაწესებულებაში შეხვდა და ესაუბრა მსჯავრდებულ დ.ფ.-ს. მსჯავრდებულის გადმოცემით, 2014 წლის 10 სექტემბერს ის მეგობრის საცხოვრებელ სახლში იმყოფებოდა, სადაც გამთენიისას, დაახლოებით 05:00 საათზე, შეიჭრნენ ნიღბიანი სპეციალური დანიშნულების რაზმის თანამშრომლები, შინაგან საქმეთა სამინისტროს წალენჯიხის სამმართველოს და ზუგდიდის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლები. დ.ფ.-ს განმარტებით, სპეციალური დანიშნულების რაზმისა და პოლიციის თანამშრომლებმა ის წააქციეს და წაქცეულ მდგომარეობაში მყოფი, ხელბორკილდადებული სასტიკად სცემეს. ხოლო, პოლიციის ერთ-ერთმა თანამშრომელმა საწოლზე ცეცხლსასროლი იარაღი დადო და დ.ფ.-ს უსვამდა კითხვებს იარაღის წარმომავლობის შესახებ. დ.ფ.-ს გადმოცემით, ამის

შემდეგ ის წალენჯიხის რაიონული სამმართველოს ჯვარის პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს, რის შემდეგაც მან ოჯახის წევრებთან დაკავშირება ითხოვა, თუმცა უარი მიიღო. დ.ფ. ასევე აცხადებდა, რომ პოლიციის თანამშრომლები მას სხვადასხვა დოკუმენტების გაცნობის გარეშე ხელმოწერას სთხოვდნენ. მისი მხრიდან უარს კი კვლავ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მოჰყვა. შემდეგ პოლიციის ერთ-ერთმა თანამშრომელმა მას წაუკითხა ბრალდებულის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმი, სადაც მითითებული იყო, რომ ჩხრეკის შედეგად შარვლის მარჯვენა ჯიბეში ნარკოტიკული ნივთიერება აღმოაჩნდა. აღნიშნულის მოსმენის შემდეგ, დ.ფ.-მ თანამშრომელს კითხვა შეაწყვეტინა და ადვოკატი მოითხოვა. პოლიციის თანამშრომლების მხრიდან ეს თხოვნაც უგულებელყოფილი დარჩა და მას კვლავ მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა. ცემის შემდეგ, დ.ფ.-ს განმარტებით, ის რამდენიმე საათის განმავლობაში იწვა იატაკზე. განყოფილებიდან დ.ფ. ნარკოლოგიურ შემოწმებაზე წაიყვანეს, რის შემდეგაც გადაიყვანეს ზუგდიდის სამხარეო სამმართველოში და საბოლოოდ ჩხოროწყუს დროებითი მოთავსების იზოლატორში განათავსეს.

ჩხოროწყუს დროებითი მოთავსების იზოლატორში არსებული დოკუმენტების მიხედვით, დაკავებულს ვიზუალური დათვალიერებით შუბლზე აღენიშნებოდა ნახეთქი ჭრილობა და შესივება, ორივე მხარზე სიწითლე, მარჯვენა მუხლზე და წელის არეში გვერდებზე სიწითლე, რომელიც დაკავებულის განმარტებით მიიღო დაკავებისას და პრეტენზია ჰქონდა პოლიციის თანამშრომლების მიმართ.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მითითებულ შემთხვევათა უმრავლესობაში დაკავებულების მხრიდან პოლიციის თანამშრომლების მიმართ რაიმე სახის წინააღმდეგობის გაწევის ფაქტი არ ფიქსირდება, რაც კიდევ უფრო ზრდის ვარაუდს, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორში აღწერილი დაზიანებები დაკავების შემდეგ, პოლიციის თანამშრომლების ზედამხედველობის ქვეშ ყოფნის დროს მიიღეს.

დ.ფ.-ს მიმართ შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტის თაობაზე გამოძიების დაწყების წინადადებით საქართველოს სახალხო დამცველმა მთავარ პროკურორს მიმართა. საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ განხორციელებული რეაგირების შესახებ ამ ეტაპზე ცნობილი არ არის.

პირის ექსტრადიციის პროცესში სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება

დაკავებული პირის ერთი სახელმწიფოდან მეორეში ექსტრადიციის საკითხს როგორც საერთაშორისო, ისე შიდა კანონმდებლობა განიხილავს, უპირველესად, ადამიანის უფლებათა დაცვის ჭრილში.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით დაცული უფლების აბსოლუტური ხასიათი განაპირობებს, რომ ექსტრადიცია, შესაძლოა, მოხვდეს ამ მუხლით დაცული უფლების სფეროში. სწორედ ამიტომ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას მე-3 მუხლის მოთხოვნები და გაითვალისწინოს წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის პოტენციური რისკი, რომელიც შეიძლება დაემუქროს ექსტრადირებულ პირს.

ექსტრადიციის საკითხის მიმართ ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის მოქმედების სფეროს განსაზღვრის თვალსაზრისით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით,[379] „პასუხგასაცემია კითხვა, იწვევს თუ არა კონვენციის მე-3 მუხლი მონაწილე სახელმწიფოს პასუხისმგებლობას პირის ექსტრადიცია სხვა სახელმწიფოში, სადაც იგი გახდება ან შეიძლება გახდეს წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის მსხვერპლი. [...] საეჭვოა, რომ კონვენციის ძირითად ფასეულობებს, საკუთრივ, „პოლიტიკური ტრადიციების, იდეალების, თავისუფლებისა და სამართლის უზენაესობის საერთო მემკვიდრეობას“, რომელზეც უთითებს კონვენციის პრეამბულა, შეესატყვისებოდეს ის, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა გადასცენ პირი სხვა სახელმწიფოს, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ იგი შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, როგორი სასტიკიც არ უნდა იყოს მის მიერ ჩადენილი დანაშაული. ასეთ გარემოებებში ექსტრადიცია, მიუხედავად იმისა, რომ ამაზე პირდაპირ არ არის მითითებული მე-3 მუხლის მოკლე და ზოგად ფორმულირებაში, აშკარად წინააღმდეგობაში იქნებოდა ამ მუხლის სულისკვეთებასა და შინაარსთან, და სასამართლოს აზრით, ეს ნაგულისხმევი ვალდებულება გადაცემისგან თავის შეკავების შესახებ ასევე ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც პირი იმ სახელმწიფოში, რომელსაც გადაეცემა, აღმოჩნდება რეალური რისკის წინაშე, გახდეს მოცემული მუხლით აკრძალული არაადამიანური, ან დამამცირებელი მოპყრობის, ან დასჯის მსხვერპლი.“

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა[380], რომ გაერთიანებული სამეფო, თუკი განახორციელებდა განმცხადებლის ექსტრადიციას ამერიკის შეერთებულ შტატებში (ვირჯინიის შტატში, სადაც მოქმედებდა სიკვდილით დასჯა), დაარღვევდა მის უფლებას არ დაქვემდებარებოდა წამებას, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას და დასჯას, რადგან „სიკვდილმისჯილთა საკნის სინდრომი“ წარმოადგენდა მე-3 მუხლით გარანტირებული უფლების დარღვევას. შესაბამისად, პასუხისმგებლობა დაეკისრებოდა გაერთიანებულ სამეფოს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა[381], რომ ირანის მოქალაქის ირანში დეპორტაციისას მას ელოდებოდა სიკვდილი ჩაქოლვით და გამათრახებით, სიკვდილით დასჯის ეს ფორმა კი წარმოადგენდა მე-3 მუხლის დარღვევას.

---

[379] იხ. საქმე „Soering v. the United Kingdom“.
[380] იხ. საქმე „Soering v. the United Kingdom“.
[381] იხ. საქმე „Jabari v. Turkey“.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით,[382] „როდესაც სახელმწიფო ექსტრადიციის ღონისძიებას განიხილავს კონვენციის მე-3 მუხლის კუთხით, იგი პირველ რიგში აფასებს ობიექტური საკითხის არსებობას, რომელიც იცოდა ან უნდა სცოდნოდა ექსტრადირების მომწყობ სახელმწიფოს გადაწყვეტილების მიღების მომენტში. [...] სასამართლო მუდმივად იმეორებს, რომ ხელშეკრულებაში მონაწილე სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, არ გაუკეთონ ექსტრადიცია ან არ გააძევონ პირი, მათ შორის, თავშესაფრის მთხოვნელი, რომელიმე ქვეყანაში, როდესაც არსებობს სერიოზული და აშკარა მოტივები იმის სარწმუნოდ, რომ მას ემუქრება რეალური საშიშროება, დაექვემდებაროს კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობას [...] სასამართლომ უნდა გამოიყენოს მკაცრი კრიტერიუმები ცუდი მოპყრობის რეალური რისკის არსებობის შესაფასებლად მე-3 მუხლის აბსოლუტური ხასიათიდან გამომდინარე და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ იგი ემყარება იმ დემოკრატიული საზოგადოებების ფუნდამენტალურ ფასეულობებს, რომლებიც ქმნიან ევროპის საბჭოს. [...] მოსალოდნელი რისკის შესაფასებლად იმ შემთხვევაში, როდესაც ექსტრადიცია ჯერ კიდევ არ მომხდარა, ყველაზე შესაფერისი მომენტი, საიდანაც უნდა დაიწყოს შეფასება, ეს არის ის დრო, როდესაც საქმე სასამართლოში განიხილება.“

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისი დებულება გათვალისწინებულია საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობაშიც: „ექსტრადიცია არ განხორციელდება, თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ პირის ექსტრადიცია მოითხოვება იმ მიზნით, რომ შემდგომ იგი პასუხისგებაში იქნეს მიცემული ან დაისაჯოს მისი რასის, ეროვნების, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიური ან პოლიტიკური შეხედულებების ან სხვა მსგავს გარემოებათა გამო.“[383]

ევროპის საბჭოს „ექსტრადიციის შესახებ“ კონვენციის თანახმად[384], ექსტრადიცია არ განხორციელდება, თუ თხოვნის მიმღებ მხარეს გააჩნია საკმარისი საფუძველი ივარაუდოს, რომ ექსტრადაციის მოთხოვნა ჩვეულებრივი სისხლის სამართლის დანაშაულისათვის გაკეთებულია პირის დევნისა და დასჯის მიზნით მისი რასის, რელიგიის, ეროვნების ან პოლიტიკური მოსაზრების გამო ან იმ მიზნით, რომ ამ პირის მდგომარეობას მიადგეს რაიმე ზიანი, რომელიმე აღნიშნული მიზეზის გამო. მსგავსი დანაწესი გვხვდება საქართველოს კანონმდებლობაშიც:

> „ექსტრადიცია არ განხორციელდება, თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობის ინიციატორ სახელმწიფოში პირი დაექვემდებარება წამებას, სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას ან

[382] იხ. საქმე „Shamaev and 12 others v. Georgia and Russia“.

[383] „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 29, პუნ. 1.

[384] „ექსტრადიციის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენცია, მუხ. 3, პუნ. 2.

სასჯელს, რომელიც დაკავშირებული იქნება ამ პირის წამებასთან, მისდამი სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობასთან.“[385]

„სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ შუამდგომლობის შესრულებაზე უარის თქმის საფუძველია, თუ სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ შუამდგომლობის შესრულებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს.“[386]

მოქალაქე ბ.ლ.–ს საქმე

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა განიხილა ყაზახეთის მოქალაქის ბ.ლ.-ს საქმე. ბ.ლ.-სა და მისი ადვოკატის გ.კ.-ს განცხადების თანახმად, ყაზახეთის მოქალაქე ბ.ლ. 2013 წლის 11 მარტს თბილისში, ყაზახეთის რესპუბლიკის გენერალური პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე დააკავეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა. 2013 წლის 13 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლომ ბ.ლ.-ს შეუფარდა სამთვიანი საექსტრადიციო პატიმრობა, რაც ორჯერ გაგრძელდა 9 თვის ვადით. ბ. ლ.-სა და მისი ადვოკატის მტკიცებით, ბ.ლ.-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა ყაზახეთის რესპუბლიკაში ხორციელდება ეთნიკური კუთვნილების ნიადაგზე – ბ.ლ. ეროვნებით ჩეჩენია. ზემოაღნიშნული პირების განცხადებით, ბ.ლ. ყაზახეთის რესპუბლიკაში ექსტრადირების შემთხვევაში, დაექვემდებარება წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას, ასევე, არსებობს მისი სიცოცხლის ხელყოფის რეალური საფრთხეც. ყაზახეთის რესპუბლიკაში აღნიშნული მოპყრობის მსხვერპლნი გახდნენ ბ.ლ.-ს ოჯახის წევრები, რის გამოც ბ.ლ.-ს დამ – ა.ლ.–მ ავსტრიის სახელმწიფოში მიიღო პოლიტიკური თავშესაფარი.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა,[387] რომ საქართველოს მთავარ პროკურატურაში შევიდა ყაზახეთის რესპუბლიკის გენერალური პროკურატურის შუამდგომლობა მათი სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი ბ.ლ.-ს ექსტრადიციის შესახებ. 2014 წლის 5 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ დასაშვებად იქნა ცნობილი ბ.ლ.-ს ყაზახეთის რესპუბლიკაში ექსტრადიცია მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ბ.ლ.-ს ყაზახეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის დასაშვებობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება საქართველოს უზენაეს სასამართლოში გასაჩივრდა.

---

[385] „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 29, პუნ. 3.

[386] „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 12, ქპ. „დ“.

[387] საქართველოს მთავარი პროკურატურის 2014 წლის 7 აგვისტოს წერილი.

2014 წლის 15 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველმა სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით[388] მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს. საქართველოს სახალხო დამცველის მოსაზრებით, მნიშვნელოვანი იყო, რომ საქართველოს უზენაეს სასამართლოს ბ.ლ.-ს ყაზახეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას სრულყოფილად შეესწავლა და გაეთვალისწინებინა ყაზახეთის რესპუბლიკაში მის მიმართ შესაძლო წამებისა და არასათანადო მოპყრობის განხორციელების რისკები, რადგან როგორც საქართველოს მიერ აღიარებული საერთაშორისო ნორმებით, ისე შიდა კანონმდებლობითაც ექსტრადირების დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დაკავებულის უფლებების გარანტირებას მიმღებ სახელმწიფოში. ყაზახეთის რესპუბლიკაში დაკავებული პირების მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტსა და, შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას არაერთ საქმეში ადასტურებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. მითითებული ფაქტი კი ცალსახად მიანიშნებდა იმ გარემოებაზე, რომ არსებობდა დიდი რისკი იმისა, რომ ბ. ლ. ექსტრადირების შემთხვევაში დაექვემდებარებოდა ღირსების შემლახავ მოპყრობას. აღსანიშნავია, რომ „Human Rights Watch“-ის ანგარიშის[389] თანახმად, 2013 წელს ყაზახეთში შეინიშნებოდა ადამიანის უფლებების მდგომარეობის გაუარესება. მიუხედავად იმისა, რომ ყაზახეთის რესპუბლიკამ მიიღო კანონი წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის თაობაზე, წამება ფიქსირდება დაკავებისა და პატიმრობის ადგილებში.

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ წარდგენილი სასამართლოს მეგობრის მოსაზრების თანახმად, საქართველოს უზენაეს სასამართლოს ბ.ლ.-ს ექსტრადიციის საკითხზე სამართალწარმოება უნდა განეხორციელებინა საქართველოს უზენაესი კანონისა და საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი პრინციპების საფუძველზე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკით დადგენილი რეგულაციების დაცვით, რათა უზრუნველყოფილიყო ადამიანის უფლების – წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვის რეალიზაცია. თუმცა, საქართველოს უზენაეს სასამართლოს არ გაუთვალისწინებია საქართველოს სახალხო დამცველის მიერ წარდგენილი სასამართლო მეგობრის მოსაზრება.

[388] 2014 წლის 15 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველი სასამართლოს მეგობრის მოსაზრება.
[389] იხ. http://www.hrw.org/world-report/2014/country-chapters/kazakhstan

რეკომენდაციები:

საქართველოს მთავარ პროკურორს, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრსა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსა და საქართველოს მთავარი პროკურატურის თანამშრომლები გადიოდნენ მუდმივ სწავლებასა და გადამზადებას წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის აღმოსაფხვრელად

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს საერთო სასამართლოებს:

- პირის ექსტრადიციის საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას სრულყოფილად შეისწავლონ და გამოიკვლიონ მიმღებ სახელმწიფოში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობა; ასევე, პირის მიმართ არასათანადო მოპყრობის რისკი; შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას უზრუნველყოფილი იქნეს ადამიანის უფლებების დაცვა.

დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ეფექტიანი გამოძიება

წინამდებარე თავის მიზანს წარმოადგენს კიდევ ერთხელ იმის ხაზგასმა, რომ სიცოცხლის მოსპობის, წამების, არაადამიანური და ღირსებისშემლახავი მოპყრობის ფაქტების გამოძიებისას სახელმწიფოს განსაკუთრებული ვალდებულებები ეკისრება - სწრაფად, ეფექტიანად, დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით გამოიძიოს ჩადენილი დანაშაული, გამოავლინოს და დასაჯოს დამნაშავეები. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკით, გამოძიების ეფექტიანობა განისაზღვრება შემდეგი კრიტერიუმებით: 1. დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა; 2. ზედმიწევნითობა; 3. სისწრაფე; 4. კომპეტენცია; 5. მსხვერპლის მონაწილეობა საზოგადოებრივ კონტროლში. სახელმწიფომ ზემოაღნიშნული ელემენტების დაცვით უნდა უზრუნველყოს ეფექტიანი გამოძიების ჩატარება, რომლის მიზანი მართლმსაჯულების განხორციელებაა. როდესაც სახეზეა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-3 (წამების, არაადამიანური და ღირსებისშემლახავი მოპყრობისა და სასჯელის აკრძალვა) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ მსხვერპლისათვის მხოლოდ ზიანის ანაზღაურება არ არის საკმარისი[390] და დამნაშავე პირების გამოსავლენად ეფექტიანი გამოძიების ჩატარება და მათი დასჯა მხოლოდ დარღვეული უფლების აღდგენის საშუალება შეიძლება იყოს.

„საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2014–2020 წლებისთვის)“[391] მიხედვით, ერთ–ერთ სტრატეგიულ მიმართულებას სამართალდაცვის სისტემაში დანაშაულის თავიდან აცილებისა და ეფექტიანი გამოძიების სტანდარტების გაუმჯობესება, ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტების ამაღლება და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა წარმოადგენს, რაც მიზნად ისახავს სამართალდაცვის სისტემაში დანაშაულის ჩადენის ფაქტების მაქსიმალურად გამორიცხვას და ნებისმიერ გადაცდომაზე ეფექტიან რეაგირებას, აგრეთვე სამართალდამცველი ორგანოების საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას, ისე, რომ სრულად იქნეს გათვალისწინებული ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტები.

ამასთან, „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2014–2020 წლებისთვის)“[392] ერთ–ერთი მიზანი ისეთი სისტემის ჩამოყალიბებაა, სადაც უზრუნველყოფილი იქნება ადამიანის წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების თავიდან აცილება, ეფექტიანი გამოძიების წარმოება და მსხვერპლთა დაცვისა და

[390] იხ. „მაკკერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ no. 28883/95, „კაია თურქეთის წინააღმდეგ.“ no. 22535/93.

[391] საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 30 აპრილის №2315-IIს დადგენილება.

[392] საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 30 აპრილის №2315-IIს დადგენილება.

რეაბილიტაციის ეფექტიანი მექანიზმების არსებობა. ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად განსაზღვრულ ამოცანებს წარმოადგენს:

1. „ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს წამებისა და არასათანადო მოპყრობის თავიდან აცილებას, აგრეთვე წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების დროულ, სრულყოფილ და ეფექტიან გამოძიებას;

2. ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის, სამართალდამცველი ორგანოებისა და საჯარო მოხელეების მიერ განხორციელებული წამებისა და არასათანადო მოპყრობის თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად და ნებისმიერ გადაცდომაზე დროული, მიუკერძოებელი და სრულყოფილი რეაგირება“.

„საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015 წლებისთვის)[393] მიხედვით, წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების დროული, სრულყოფილი, ეფექტური და მიუკერძოებელი გამოძიების უზრუნველსაყოფად ერთ–ერთ საქმიანობად/ღონისძიებად მითითებულია ძალოვანი უწყებების ანგარიშვალდებულების და დემოკრატიული ზედამხედველობის გაზრდა; პოლიციელებისა და პროკურორების წინააღმდეგ საჩივრებზე სანდო პასუხის გასაცემად პროფესიონალური სისტემის შემუშავება, ამგვარი საქმეების შესასწავლად დამოუკიდებელი და ეფექტური მექანიზმის შექმნის განხილვა.

ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიასა და ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული ზემოაღნიშნული საკითხების მიუხედავად, საანგარიშო პერიოდში კვლავ გადაუჭრელი იყო საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის საპარლამენტო ანგარიშში საგამოძიებო ორგანოების მიერ ეფექტიანი გამოძიების წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები იყო ასახული. 2014 წელს კვლავ პრობლემური იყო სამართალდამცავების მიერ შესაძლო დანაშაულის განხორციელების ფაქტების, ასევე, სასჯელაღსრულების დაწესებულებების ტერიტორიაზე ჩადენილი შესაძლო დანაშაულების გამოძიების პროცესში ინსტიტუციური დამოუკიდებლობის არარსებობა, დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმა. ასევე, გამოძიების სათანადო კვალიფიკაცია. შესაბამისად, აღნიშნული პრობლემების გადაჭრის მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციები, მათ შორის, დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს შექმნის თაობაზე, ძალაში რჩება.

სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი შესაძლო დანაშაულების ეფექტიანი გამოძიების განხილვას საქართველოს სახალხო დამცველმა დიდი ადგილი დაუთმო თავის 2013 წლის საპარლამენტო ანგარიშში,[394] ასევე, 2014 წელს გამოქვეყნდა საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში - „სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი შესაძლო

[393] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივლისის N445 დადგენილების პირველი დანართი.
[394] იხ. http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1563.pdf გვ. 189–220

დანაშაულების გამოძიების პრაქტიკა, საკანონმდებლო რეგულაციები და ეფექტიანი გამოძიების საერთაშორისო სტანდარტები“[395]. ორივე დოკუმენტში დეტალურად იქნა განხილული ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ეფექტიანი გამოძიების წარმოებისათვის აუცილებელი საკანონმდებლო ხარვეზები, ასევე მიმოხილული იქნა პრაქტიკა, რომელიც მიუთითებს, რომ საკანონმდებლო პრობლემებთან ერთად, სახეზეა დამკვიდრებული არასწორი პრაქტიკა, რომელიც იმთავითვე ხელს უშლის სიცოცხლის მოსპობის, წამების თუ არაადამიანური მოპყრობის შემთხვევების ეფექტიან გამოძიებას, როდესაც დანაშაული სავარაუდოდ ჩადენილია სამართალდამცავი ან სასჯელაღსრულების უწყების წარმომადგენლის მიერ.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველმა 28 წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას პოლიციის და სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომლების მიერ სავარაუდოდ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ან სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ სიცოცხლის მოსპობის შემთხვევებზე გამოძიების წარმოების მოთხოვნით. საქართველოს სახალხო დამცველის 21 წინადადება შეეხებოდა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა არასათანადო მოპყრობისა და სიცოცხლის მოსპობის ფაქტზე გამოძიების დაწყებას/ეფექტიანი გამოძიების ჩატარებას. აღნიშნული წინადადებების საფუძველზე გამოძიება არ დაწყებულა 7 შემთხვევაში, ერთ შემთხვევაში საქართველოს პროკურატურამ წინადადება გადაუგზავნა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს, 12 ფაქტზე დაიწყო გამოძიება, თუმცა 11 ფაქტზე გამოძიებას მოცემულ ეტაპზე თავად აწარმოებს პროკურატურა, ხოლო 1 ფაქტზე გამოძიებას აწარმოებს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118–ე მუხლით. დანარჩენ საქმეთა უმრავლესობაზე გამოძიება მიმდინარეობს სამოხელეო დანაშაულის ნიშნებით (თანამდებობის პირის მიერ უფლებამოსილების გადამეტება), მხოლოდ ერთ შემთხვევაში დაიწყო გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^3–ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

რაც შეეხება საანგარიშო პერიოდში პოლიციელების მიერ მოქალაქეთა მიმართ განხორციელებული შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე გამოძიების დაწყების/ეფექტიანი გამოძიების ჩატარების თაობაზე საქართველოს სახალხო დამცველის წინადადებებს, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სახალხო დამცველის 7 წინადადებიდან

[395] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში - „სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი შესაძლო დანაშაულების გამოძიების პრაქტიკა, საკანონმდებლო რეგულაციები და ეფექტიანი გამოძიების საერთაშორისო სტანდარტები“, 2014 წელი http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1702.pdf

6 ფაქტზე გამოძიებას აწარმოებს საქართველოს პროკურატურა, ხოლო ერთ შემთხვევაში გამოძიება არ დაწყებულა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის[396] მიხედვით, საქართველოს სახალხო დამცველის წინადადებების საფუძველზე დაწყებულ საქმეებზე გამოძიება გრძელდება, თუმცა სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებული არ არის. შესაბამისად, ამ ეტაპზე საქმეებზე შემაჯამებელი გადაწყვეტილებები მიღებული არ არის.

საქართველოს სახალხო დამცველისთვის მიწოდებული ინფორმაციის[397] თანახმად, 2014 წელს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში დაფიქსირდა პატიმართა გარდაცვალების 19 ფაქტი, რომელთაგან ერთ სისხლის სამართლის საქმეზე შეწყდა გამოძიება, 17 ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს, ჩატარებულია რიგი საგამოძიებო მოქმედებები (მათ შორის, სათვალთვალო კამერის ჩანაწერების ამოღება), თუმცა შემაჯამებელი გადაწყვეტილებები მიღებული არ არის და მხოლოდ ერთ ფაქტზე მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვა სასამართლოში.

საქართველოს პარლამენტის წევრის ნუგზარ წიკლაურის ცემის ფაქტის ეფექტიანი გამოძიების შესახებ

საქართველოს სახალხო დამცველმა 2014 წელს ეფექტიანი გამოძიების წარმოების კუთხით არაერთი წინადადებით მიმართა სამართალდამცავ ორგანოებს და საჯაროდ მოუწოდა საგამოძიებო უწყებებს მოცემული საქმის ეფექტიანი გამოძიებისკენ. მათ შორის, 2014 წლის 31 მარტს საქართველოს პარლამენტის წევრის ნუგზარ წიკლაურის ცემის ფაქტთან დაკავშირებით მედია საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე.

საქართველოს სახალხო დამცველმა, აღნიშნულ შემთხვევაზე, საკუთარი ინიციატივით დაწყებული საქმისწარმოების ფარგლებში, 2014 წლის 4 აპრილს საქართველოს მთავარი პროკურატურიდან გამოითხოვა გამოძიების მიმდინარეობის შესახებ დეტალური ინფორმაცია. საქართველოს მთავარი პროკურატურის 2014 წლის 14 აპრილის წერილით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ 2014 წლის 31 მარტს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის დიდუბე–ჩუღურეთის სამმართველოს პირველ განყოფილებაში დაიწყო გამოძიება ნუგზარ წიკლაურის ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120–ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. საქართველოს მთავარი პროკურატურის ამავე წერილის მიხედვით,

[396] საქართველოს მთავარი პროკურატურის 2015 წლის 9 მარტის წერილი.
[397] საქართველოს მთავარი პროკურატურის 2015 წლის 17 მარტის წერილი.

2014 წლის 31 მარტს საქმე გამოსაძიებლად გადაეცა საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილს. საქმეზე დაიკითხა 60–ზე მეტი მოწმე, მათ შორის, თავად ნუგზარ წიკლაური, დაინიშნა სხვადასხვა სახის ექსპერტიზა, ჩატარდა ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებები.

აქვე უნდა აღინიშნოს პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრ ზურაბ ჭიაბერაშვილი ცემის ფაქტის და ჩატარებული გამოძიების შედეგების შესახებ.

2014 წლის 27 მაისს აბაშიძის ქუჩაზე მდებარე „ლიტერატურულ კაფეში“, ზურაბ ჭიაბერაშვილსა და ნ.ლ.-ს თავს დაესხნენ. მედია საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, თავდამსხმელები რ.თ. და გ.მ. იყვნენ. ზურაბ ჭიაბერაშვილის მტკიცებით, დაპირისპირების მოტივი მის პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირდებოდა.

ფაქტზე გამოძიება დაიწყო საქართველოს შს სამინისტრომ, სსკ-ის 120-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის, რაც ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქ დაზიანებას გულისხმობს. საქმეზე ბრალი წაუყენეს რ.თ.-ს (სსკ-ის 120-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის) და აღკვეთი ღონისძიების სახით 2000 ლარიანი გირაო შეეფარდა. 2014 წლის 15 სექტემბერს რ.თ.-ს მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი, დამნაშავედ იქნა ცნობილი სსკ-ის 120-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებისთვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა - 2000 ლარის ოდენობით.

საგამოძიებო ქვემდებარეობა და ხარვეზები, რომელიც ხელს უშლის დამოუკიდებელი გამოძიების სტანდარტის დაცვას

ობიექტური გამოძიების წარმოება განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხია სახელმწიფოს ვალდებულების თვალსაზრისით, რომელიც დანაშაულის ჩადენის ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების ჩატარებას გულისხმობს. გამოძიების ქვემდებარეობის საკითხი ეფექტიანი გამოძიების ერთ–ერთ კრიტერიუმთან – დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა – უშუალო შემხებლობაშია.

გამოძიება უფლებამოსილი პირის მიერ ამ კოდექსით დადგენილი წესით განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობაა, რომლის მიზანია დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვება.[398] რაც შეეხება გამოძიების მწარმოებელ უფლებამოსილ პირებს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად,[399] სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებას აწარმოებენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს

[398] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. მე–3, ნაწ. 10.
[399] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 34, ნაწ. 1.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დანაყოფების გამომძიებლები. ყველა ზემოაღნიშნული უწყების გამომძიებელი ვალდებულია გამოძიება აწარმოოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად.[400]

მიუხედავად იმისა, რომ კანონის იმპერატიული მოთხოვნით, გამოძიების მწარმოებელი ორგანო/პირი ვალდებულია გამოძიება აწარმოოს დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად, კვლავ პრობლემად რჩება სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლის მიერ შესაძლო დანაშაულის ჩადენის ფაქტზე, ასევე, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში, გამოძიების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის საკითხი.

საგამოძიებო ქვემდებარეობას საქართველოს მთავარი პროკურორის წარდგინებით განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.[401] აღნიშნული კანონქვემდებარე აქტის თანახმად, პროკურატურის გამომძიებლის საგამოძიებო ქვემდებარეობას განეკუთვნება საქმეები პოლიციელის მიერ ჩადენილ დანაშაულთა თაობაზე, ასევე, თანამდებობაზე მყოფი უმაღლესი სამხედრო ან უმაღლესი სპეციალური წოდების მქონე ოფიცრის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილ დანაშაულთა თაობაზე.[402] პროკურატურის გამომძიებლის საგამოძიებო ქვემდებარობას ასევე, განეკუთვნება საქმეები პროკურატურის მუშაკის მიერ ჩადენილ დანაშაულთა თაობაზე.[403] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დანაყოფის გამომძიებლები იძიებენ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342[1]–ე, 378–ე, 378[1]–ე, 379–ე, 380–ე და 381–ე (თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებული განაჩენის შეუსრულებლობის ნაწილში) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებს, აგრეთვე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაქვემდებარებაში არსებული დაწესებულებებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული ორგანოების - თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებების ტერიტორიაზე მომხდარ დანაშაულს.[404]

---

[400] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 37, ნაწ. 2.

[401] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 35–ე მუხლი.

[402] „სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 7 ივლისის #34 ბრძანება, დანართის პუნ. 2.

[403] „სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 7 ივლისის #34 ბრძანება, დანართის პუნ. 2.

[404] „სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 07 ივლისის #34 ბრძანება, დანართის პუნ. 8.

საქართველოს კანონმდებლობით, სასჯელაღსრულების დაწესებულების ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულის, ასევე, პროკურატურის მუშაკის მიერ ჩადენილი შესაძლო დანაშაულებრივ ფაქტზე გამოძიების ინსტიტუციური დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილი არ არის შემდეგ შემთხვევებში:

- პროკურატურის მუშაკის მიერ ჩადენილ დანაშაულს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საგამოძიებო ქვემდებარეობის შესაბამისად, იძიებს მთავარი პროკურატურა.[405] საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტის) ერთ–ერთ ამოცანას წარმოადგენს პროკურატურის მუშაკის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოძიების ჩატარება.[406] პროკურატურის მუშაკის მიერ ჩადენილ შესაძლო დანაშაულის გამოძიებას აწარმოებს იმავე უწყება საქართველოს პროკურატურა;

- სასჯელაღსრულების დაწესებულებაში განთავსებული ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულებას ახორციელებენ პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოები.[407] აღნიშნული ორგანოები ფუნქციონირებს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში, სადაც დასაქმებული არიან სახელმწიფო სპეციალური ან სამხედრო წოდების მქონე პირები, აგრეთვე სხვა საჯარო მოსამსახურეები.[408] პროკურატურის გამომძიებლის საგამოძიებო ქვემდებარეობას განეკუთვნება საქმეები მხოლოდ თანამდებობაზე მყოფი უმაღლესი სამხედრო ან უმაღლესი სპეციალური წოდების მქონე ოფიცრის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილ დანაშაულთა თაობაზე,[409] ხოლო სასჯელაღსრულების სისტემაში დასაქმებული არიან არა მხოლოდ უმაღლესი სპეციალური ან უმაღლესი სამხედრო წოდების მქონე პირები, არამედ საჯარო მოსამსახურეები.

- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის უფლებამოსილებას მიეკუთვნება სასჯელაღსრულების დაწესებულების ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულების გამოძიება[410], მათ შორის, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიმართ განხორციელებული წამების,

---

[405] „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 38, პუნ. 3.

[406] „საქართველოს მთავარი პროკურატურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 10 ივლისის #38 ბრძანება, მუხ. 6, პუნ. 2, ქპ. „ვ“.

[407] საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი“, მუხ. 2, ნაწ. 3.

[408] საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი“, მუხ. 6, ნაწ. 1^1.

[409] „სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 07 ივლისის #34 ბრძანება, დანართის პუნ. 2.

[410] „სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 07 ივლისის #34 ბრძანება, დანართის პუნ. მე–8.

> არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის, სიცოცხლის მოსპობის ფაქტებზეც. იმ შემთხვევაში, თუ სასჯელაღსრულების ტერიტორიაზე ჩადენილია დანაშაული (მათ შორის, ბრალდებულის/მსჯავრდებულის გარდაცვალება ან წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა), მოცემულ ფაქტზე გამოძიებას აწარმოებს იმავე სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი. შესაბამისად, გამოძიების დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაზე ჩნდება ლეგიტიმური კითხვები.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით,[411] ინსტიტუციონალური კავშირების არსებობის გამო გამოძიება არ ჩაითვალა დამოუკიდებლად: „ყველა საგამოძიებო ღონისძიება გატარდა იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის მიერ, ეს არის იგივე სამინისტრო, რომელიც იმ დროისთვის პასუხისმგებელი იყო სასჯელაღსრულების სისტემაზე. […] ეს ინსტიტუციური კავშირი გამომძიებლებსა და მომჩივნის მიერ დასახელებულ, ინციდენტში მონაწილე პირებს შორის, სასამართლოს აზრით, წარმოშობს გამოძიების დამოუკიდებლობასთან დაკავშირებულ, ლეგიტიმურ ეჭვს.“

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობაში არსებული წესის გამოყენებით შესაძლებელია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის საგამოძიებო ქვემდებარეობიდან სასჯელაღსრულების დაწესებულების ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულის ფაქტზე მიმდინარე საქმის ამოღება და პროკურატურისთვის დაქვემდებარება, კერძოდ, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით[412] განსაზღვრული საგამოძიებო ქვემდებარეობის მიუხედავად, იერარქიულად ზემდგომი ნორმატიული აქტით – საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის[413] თანახმად, საქართველოს მთავარ პროკურორს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, საგამოძიებო ქვემდებარეობის მიუხედავად, ერთი საგამოძიებო ორგანოდან ამოიღოს საქმე და გამოსაძიებლად გადასცეს სხვა საგამოძიებო ორგანოს.

საქართველოს მთავარი პროკურორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ მოცემული უფლებამოსილების გამოყენების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება სასჯელაღსრულების დაწესებულების ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულის ფაქტზე გამოძიება პროკურატურამ აწარმოოს, როგორც დამოუკიდებელმა ორგანომ. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში განხილულ არაერთ საქმეში დაფიქსირდა, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულების ტერიტორიაზე ჩადენილი შესაძლო დანაშაულის ფაქტზე გამოძიებას იმავე სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი აწარმოებს და ზემოაღნიშნული უფლებამოსილების გამოყენებით, საქმის პროკურატურისთვის გადაცემა არ ხდება.

---

[411] მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (Mikiashvili v Georgia), ნო. 18996/06, 09.10.2012, პარ. 87. იხ. აგრეთვე ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ (Tsintsabadze v Georgia), ნო. 35403/06, 15.02.2011, პარ. 78.
[412] საქართველოს იუსტიციის 2013 წლის 7 ივლისის #34 ბრძანება.
[413] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 33, ნაწ. 6, ქპ. „ა“.

ცალკე უნდა აღინიშნოს პოლიციის თანამშრომლის მიერ შესაძლო დანაშაულის ჩადენის ფაქტზე გამოძიების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის პრობლემა. მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურის გამომძიებლის საგამოძიებო ქვემდებარეობას განეკუთვნება საქმეები პოლიციელის მიერ ჩადენილ დანაშაულთა თაობაზე,[414] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით[415] გათვალისწინებული უფლებამოსილება შესაძლებლობას იძლევა, პოლიციელის მიერ ჩადენილი შესაძლო დანაშაულის ფაქტზე გამოძიება იმავე სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ აწარმოოს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ერთ–ერთ ამოცანას საქართველოს მთავარი პროკურორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ გამოსაძიებლად გადმოცემულ საქმეებზე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარება წარმოადგენს.[416] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხილულ რამდენიმე საქმეში, პოლიციის თანამშრომლის მიერ ჩადენილი შესაძლო დანაშაულის ფაქტზე მიმდინარე სისხლის სამართლის საქმე გამოსაძიებლად გადაეცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას. მოქალაქის მიმართ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ ჩადენილი შესაძლო დანაშაულის ფაქტზე მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის იმავე სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ გამოძიების წარმოება ვერ უზრუნველყოფს ეფექტიანი გამოძიებისთვის საჭირო დამოუკიდებლობის ხარისხს.

„როდესაც პირი წამოჭრის პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ იგი პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი გახდა, რითაც დაირღვა მე–3 მუხლი, აღნიშნული მუხლი, კონვენციის პირველი მუხლით გარანტირებულ სახელმწიფოს ზოგად ვალდებულებასთან ერთად, „ყველასთვის თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში უზრუნველყონ [...] კონვენციით განსაზღვრული უფლებები და თავისუფლებები“, გულისხმობს რომ საჭიროა ჩატარდეს ეფექტიანი ოფიციალური გამოძიება. აღნიშნული გამოძიება უნდა იძლეოდეს პასუხისმგებელ პირთა გამოვლენისა და დასჯის საშუალებას. [...] იმისთვის, რომ გამოძიება წარიმართოს ეფექტურად, შესაძლოა, ზოგად საჭიროებად ჩაითვალოს გამოძიების მწარმოებელთა დამოუკიდებლობა განსახილველ მოვლენებში

[414] „სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 7 ივლისის #34 ბრძანება, დანართის პუნ. 2.

[415] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 33, ნაწ. 6, ქპ. „ა“.

[416] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 23 თებერვლის #123 ბრძანება, დანართის მე–2 მუხლი, ქპ. „გ“.

მონაწილე პირთაგან. ეს გულისხმობს არამარტო იერარქიული და/ან ინსტიტუციური კავშირების არარსებობას, არამედ პრაქტიკულ დამოუკიდებლობასაც.“[417]

ამდენად, სახელმწიფოს ვალდებულება – დანაშაულის ფაქტზე (მათ შორის, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში) განახორციელოს შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება: ჩაატაროს ეფექტიანი გამოძიება, აუცილებლად გულისხმობს და მოიცავს მის ინსტიტუციურ და პრაქტიკულ დამოუკიდებლობას.

მოქალაქე მ.ქ.–ს საქმე

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა მოქალაქე მ.ქ.–ს საქმე, რომელიც პოლიციელების მიერ ჩადენილი შესაძლო დანაშაულის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე გამოსაძიებლად იმავე სამინისტროს გენერალურ ინსპექციას გადაეცა.[418] 2014 წლის 26 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33–ე მუხლის მე–6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილება მოქალაქე მ.ქ.–ს მიმართ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტზე მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის ეფექტიანი გამოძიების ერთ–ერთი სტანდარტის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფით წარმართვის მიზნით. საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ საქართველოს სახალხო დამცველისთვის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მოცემული სისხლის სამართლის საქმე 2015 წლის 30 იანვარს საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილის დადგენილებით გამოსაძიებლად გადაეცა თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილს. საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება იმ ფაქტს, რომ საქართველოს პროკურატურამ გაიზიარა მოცემული წინადადება, თუმცა მნიშვნელოვანია, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით განსაზღვრული

---

[417] ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეში: „ღავთაძე საქართველოს წინააღმდეგ.“ No 23204/07.

[418] მოქალაქე მ.ქ.–ს ახსნა–განმარტებით, დაკავების შემდეგ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა გადაიყვანეს თბილისის გლდანის პოლიციის პირველ განყოფილებაში და სცემეს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2014 წლის წერილის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ 2014 წლის 1 ივლისს საქართველოს მთავარ პრკურატურაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი–ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის პირველი განყოფილების თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332–ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. აღნიშნული საქმე იმავე დღეს საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილის დადგენილების საფუძველზე გამოსაძიებლად გადაეცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას.

წესი ყველა შემთხვევაში, გამოძიების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვით წარმართვას უზრუნველყოფდეს.

მოქალაქეების: გ.კ.–ს და გ.ს.–ს საქმე

2014 წლის 26 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულები სასჯელაღსრულების დეპარატამენტის #3 დაწესებულებაში შეხვდნენ და ესაუბრნენ მსჯავრდებულებს: გ.კ.–ს, გ.ს.–ს, ვ.ჭ.–ს და გ.ყ.–ს. მსჯავრდებულთა განმარტებით, 2014 წლის 12 სექტემბერს განათავსეს სასჯელაღსრულების დეპარატამენტის #2 დაწესებულებაში, რა დროსაც გ.კ.–ს და გ.ს.–ს დაწესებულების თანამშრომლებმა მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა.

გ.კ.–ს განმარტებით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის #2 დაწესებულების სამარტოო საკანში მისი გადაყვანა განხორციელდა მსჯავრდებულის მიმართ სიტყვიერი შეურაცხყოფის თანხლებით და ფიზიკური ძალადობის (ხელის კვრით) გამოყენებით, რა დროსაც გახდა ცუდად, თუმცა ადმინისტრაციის თანამშრომლებმა შეიყვანეს სამარტოო საკანში, გახადეს მაისური, ხელებზე დაადეს ხელბორკილები და ცემეს: სასჯელაღსრულების დეპარატამენტის #2 დაწესებულების დირექტორის მოადგილემ – კ.გ.–მ დაარტყა სახეში რამდენჯერმე, ასევე, მარჯვენა ტერფში დაარტყა ფეხი, ხოლო სხვა თანამშრომლებმა ჩაარტყეს ზურგის არეში რამდენჯერმე. იგივე განაცხადა მსჯავრდებულმა გ.კ.–მ 2014 წლის 2 დეკემბერს სასჯელაღსრულების დეპარატამენტის #7 დაწესებულებაში საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულთან გასაუბრების დროს.

მსჯავრდებულ გ.ს.–ს განმარტებით, იგი 2014 წლის 12 სექტემბერს გადაიყვანეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის #2 დაწესებულებაში. საკანში განთავსების შემდეგ მან დაინახა, რომ გვერდით საკანში მყოფი მსჯავრდებული გ.კ., რომელიც ჯანმრთელობის პრობლემების გამო ექიმთან შეხვედრას ითხოვდა, დირექტორის მოადგილე კ.გ.–ს და სხვა თანამშრომლებს ძალის გამოყენებით (ამოუტრიალეს ხელები) მიჰყავდათ დერეფანში. გ.ს.–მ პროტესტის ნიშნად მიიყენა თვითდაზიანებები ხელზე, რის შემდეგაც იგი საკნიდან გაიყვანეს და წაიყვანეს „ა“ კორპუსის მიმართულებით, რა დროსაც მას კ.გ. სახის და თავის არეში დახვეული თაბახის ფურცლების გროვით ცემდა. სასჯელაღსრულების დაწესებულების „ა“ კორპუსის შესასვლელში გ.ს.–მ დაინახა წაქცეული მსჯავრდებული გ.გ., რომელსაც ამავე დაწესებულების თანამშრომლები მიათრევდნენ.

2014 წლის 6 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა წერილობით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას მსჯავრდებულების: გ.კ.–ს და გ.ს.–ს მიმართ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N2 დაწესებულებაში განხორცილებული შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტთან დაკავშირებით.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს საქართველოს მთავარი პროკურატურიდან აცნობეს, რომ 2014 წლის 15 სექტემბერს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარატამენტის დასავლეთის სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის N073150914001 საქმეზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118–ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

2014 წლის 12 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33–ე მუხლის მე–6 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, მიეღო გადაწყვეტილება მსჯავრდებულების: გ.კ.–ს და გ.ს.–ს მიმართ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტზე მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის ეფექტიანი გამოძიების ერთ–ერთი სტანდარტის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფით წარმართვის მიზნით.

დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს შექმნის აუცილებლობა

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილ გადაწყვეტილებებში, არაერთხელ აღნიშნა გამოძიების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის მნიშვნელობა და ეფექტიანი გამოძიების ერთ–ერთი კრიტერიუმის – დამოუკიდებლობის დარღვევად შეაფასა ერთი უწყების მხრიდან მისივე თანამშრომლის მიერ ჩადენილი შესაძლო დანაშაულის ფაქტის გამოძიება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებებიდან ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის[419] მიერ გამოყოფილია 6 საქმე,[420] რომელიც გაერთიანებულია ერთ ჯგუფში და რომელთა აღსრულება

[419] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი ზედამხედველობს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებათა აღსრულებას, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მუხ. 46, პუნ. 2.

[420] იხ. http://www.coe.int/t/dghl/monitoring/execution/Reports/pendingCases_en.asp?CaseTitleOrNumber=&StateCode=GEO&SectionCode=ENHANCED+SUPERVISION

1. „ღარიბაშვილი საქართველოს წინააღმდეგ" (29.07.2008 წ; საბოლოო გახდა 29.10.2008 წ. საჩივარი №118030/03).
2. „ხაინდრავა და ძამაშვილი საქართველოს წინააღმდეგ" (08.06.20010 წ; საბოლოო გახდა 08.09.2010 წ. საჩივარი №18183/05).
3. „ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ" (15.02.2011 წ; საბოლოო გახდა 18.03.2011 წ. საჩივარი №35403/06).
4. „ენუქიძე, გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ" (26.04.2011 წ; საბოლოო გახდა 26.06.2011 წ.

მინისტრთა კომიტეტის განსაკუთრებული ზედამხედველობის ქვეშაა. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი აღნიშნავს, რომ მოცემული ჯგუფის საქმეები ეხება სიცოცხლის უფლების ხელყოფისა და არასათანადო მოპყრობის ეფექტიანი გამოძიების არარსებობას (კონვენციის მე–2 (სიცოცხლის უფლება) და მე–3 (წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის აკრძალვა) მუხლების პროცედურული მხარე). სამ შემთხვევაში (ხაინდრავა და ძამაშვილი; ცინცაბაძე; ენუქიძე და გირგვლიანი) ხელისუფლების მიერ არ განხორციელდა ეფექტიანი გამოძიება განმცხადებლების უახლოესი ნათესავების გარდაცვალების და განმცხადებელზე თავდასხმის ფაქტებზე. დანარჩენ სამ შემთხვევაში (ღარიბაშვილი; მიქიაშვილი; დვალიშვილი) ადგილი ჰქონდა დაკავებისას ან პატიმრობაში არასათანადო მოპყრობის ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების არარსებობას.

მოცემულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებასთან მიმართებით, მინისტრთა კომიტეტი აღნიშნავს, რომ ამ საქმეების მსგავსებისა და მათში გამოკვეთილი კომპლექსური პრობლემის გათვალისწინებით, შეთავაზებული იქნა მათი შემოწმება–განხილვა ერთობლივად. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების აღსრულების ზედამხედველობის პროცესში მინისტრთა კომიტეტმა გამოკვეთა არა მხოლოდ ინდივიდუალური ღონისძიებების, არამედ ზოგადი ხასიათის ღონისძიებების გატარების აუცილებლობა იმ მიზნით, რომ მომავალში თავიდან იქნას აცილებული კონვენციით დაცული უფლებების მსგავსი დარღვევები.

სახელმწიფოს მიერ გატარებულ ზოგად ღონისძიებებთან მიმართებით, მინისტრთა კომიტეტი აღნიშნავს (2014 წლის 23–15 სექტემბრის შეხვედრაზე (1208) გამოთქმული შენიშვნები), რომ სასამართლოს მიერ გამოვლენილი სხვადასხვა დარღვევების გათვალისწინებით, საქმისწარმოების ყველა ეტაპზე, შემდგომი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ღონისძიებები შეიძლება იყოს საჭირო ეფექტიანი გამოძიებისა და სასამართლო წარმოების კონვენციის მოთხოვნების შესაბამისობასთან მოყვანის მიზნით.

ამდენად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლომ საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილ ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებებში კონვენციის მე–2 და მე–3 მუხლებით დაცული უფლების დარღვევის ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების ჩატარების არარსებობის გამო პროცედურული დარღვევა დაადგინა. აღსანიშნავია, რომ ეფექტიანი გამოძიების არარსებობა სისტემური ხასიათის პრობლემაა და მხოლოდ ერთეული საქმეებისთვის არ არის დამახასიათებელი, რასაც ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მოცემულ საქმეებზე

განაცხადი N25091/07);

5. „მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ (09.10.2012 წ. საბოლოო გახდა 09.01.2013 წ. განაცხადი №18996/06).
6. „დვალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ (18.12.2012 წ. საბოლოო გახდა 18.03.2013 საჩივარი №19634/07).

გადაწყვეტილებების აღსრულების მიზნით მათი ერთ ჯგუფად გაერთიანება და საკითხის კომპლექსურად განხილვაც ადასტურებს.

სამართლებრივ, საკონსტიტუციო და ადამიანის უფლებების საკითხებში ევროკავშირის სპეციალური მრჩევლის მიერ 2013 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში[421] აღნიშნული იყო საჩივრების ეფექტიანი და დამოუკიდებელი სისტემის შექმნის აუცილებლობის შესახებ. ანგარიშის მიხედვით, წარსულში არსებული სისტემური დარღვევების გათვალისწინებით, სტრუქტურული რეფორმების შემადგენელ ნაწილად სახელმწიფომ უნდა გადაწყვიტოს, რომ ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე, როდესაც არსებობს მასში სამართალდამცავების ჩართულობის ეჭვი, საუკეთესო გზა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გამოძიების წარმართვაა. გადაწყვეტილების მიმღები პირები უნდა ცდილობენ მინიმუმამდე დაიყვანონ იმ შემთხვევების დამღუპველი შედეგები, როცა სამართალდამცავი აწარმოებს საკუთარი კოლეგის შესაძლო დანაშაულის გამოძიებას. ქვეყნის უახლოესი წარსულის გათვალისწინებით, მოსახლეობასა და სამართალდამცავებს შორის ნდობის ჩამოყალიბების საჭიროებისთვის, აუცილებელია სრულად დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს შექმნა. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშებში ხაზგასმულია გამოძიების დამოუკიდებლობის მნიშვნელობა, მათ შორის, სპეციალურ ანგარიშშიც: „სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი შესაძლო დანაშაულების გამოძიების პრაქტიკა, საკანონმდებლო რეგულაციები და ეფექტიანი გამოძიების საერთაშორისო სტანდარტები."[422] ეფექტიანი გამოძიების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს პარლამენტს მომზადდეს და განხორციელდეს ცვლილებები და დამატებები საქართველოს შესაბამის საკანონმდებლო აქტებში დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს შექმნის მიზნით, რომელიც აწარმოებს გამოძიებას სამართალდამცავების (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს თანამშრომლის, სასჯელაღსრულების ტერიტორიაზე ჩადენილი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის, საქართველოს პროკურატურის მუშაკის) მიერ სიცოცხლის მოსპობის, წამების, არასათანადო და ღირსების შემლახავი მოპყრობის შესაძლო ჩადენის ფაქტებზე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2015 წლის 13 თებერვლის №62 ბრძანებით დამტკიცდა საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის დებულება. აღნიშნული დებულების თანახმად, საქართველოს მთავარ პროკურატურაში ახლადშექმნილი დეპარტამენტის ამოცანებს წარმოადგენს: სამართალწარმოების მიმდინარეობისას შესაძლო დანაშაულებრივ ფაქტებზე,

---

[421] იხ. http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/virtual_library/cooperation_sectors/georgia_in_transition-hammarberg.pdf გვ.23

[422] იხ. http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1702.pdf

მათ შორის, წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის, ქონების იძულებით დათმობისა და სხვა იძულების ფაქტებზე საქართველოს მთავარი პროკურორის მიერ დადგენილ საქმეებზე სრული მოცულობით გამოძიების წარმოება და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება.

საქართველოს სახალხო დამცველი ზოგადად დადებითად აფასებს საქართველოს მთავარ პროკურატურაში სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის შექმნას. მოცემული დეპარტამენტი საქართველოს მთავარი პროკურატურის სტრუქტურული დანაყოფია, რომელიც საქართველოს მთავარი პროკურორის მიერ დადგენილ საქმეებზე სრული მოცულობით ატარებს გამოძიებას. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, საქართველოს მთავარი პროკურორის (ან მის მიერ უფლებამოსილი პირის) უფლებამოსილებას წარმოადგენდა და წარმოადგენს საგამოძიებო ქვემდებარეობის მიუხედავად, ერთი საგამოძიებო ორგანოდან ამოიღოს საქმე და გამოსაძიებლად გადასცეს სხვა საგამოძიებო ორგანოს. შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველის პოზიციით, მოცემული დეპარტამენტი ვერ შეფასდება როგორც სამართალდამცავების მიერ ჩადენილი შესაძლო დანაშაულის გამოძიების წარმოებისთვის დამოუკიდებელი ორგანო, მითუმეტეს, რომ 2014 წლის განმავლობაში სახალხო დამცველის მიერ საქართველოს მთავარი პროკურატურისთვის მიმართვის 28 შემთხვევაში არსებობს მთელი რიგი ლეგიტიმური კითხვები გამოძიების დროულად და ეფექტიანად წარმართვასთან დაკავშირებით.

ამდენად, საქართველოს სახალხო დამცველის პოზიციით, ეფექტიანი გამოძიების (მათ შორის ინსტიტუციონალური დამოუკიდებლობის) თვალსაზრისით, საქართველოს კანონმდებლობაში არსებული პრობლემების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, სახელმწიფოს მიერ შემუშავდეს და განხორციელდეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები და პრაქტიკული ღონისძიებები „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის“ მე–2 და მე–3 მუხლებით დაცული უფლებების დარღვევის ფაქტებზე ეფექტიანი გამოძიების ჩატარების უზრუნველსაყოფად დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს შექმნისათვის.

დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა სისხლის სამართალწარმოების პროცესში

სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება გულისხმობს სახელმწიფოს მოვალეობას - გაატაროს ცალკეული ქმედითი ღონისძიებები ადამიანის უფლებათა ეფექტიანი დაცვის მიზნით. ადამიანის უფლებათა პატივისცემა და ეფექტიანი დაცვა ხელშემკვრელი სახელმწიფოებისაგან სხვადასხვა პოზიტიური ქმედების განხორციელებას მოითხოვს. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ იძლევა პოზიტიური ვალდებულებების

ზუსტ დეფინიციას, რომელთა განხორციელებაც სახელმწიფოებისათვის, კონკრეტული უფლების ეფექტიანი დაცვის თვალსაზრისით სავალდებულოა, თუმცა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების ანალიზის შედეგად, შესაძლებელია ცალკეული უფლებების კონტექსტში ნაგულისხმევი ვალდებულებების ძირითადი ასპექტების იდენტიფიცირება.

ნაგულისხმევი პოზიტიური ვალდებულებები უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი ელემენტია ისეთ ფუნდამენტურ უფლებებთან მიმართებით, როგორიცაა სიცოცხლის უფლება და წამების აკრძალვა, რომლებიც უზრუნველყოფილია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებით. მიუხედავად იმისა, რომ პოზიტიური ვალდებულებების უშუალო ხსენება არ ხდება კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების ტექსტში, სასამართლომ მრავალ საქმესთან დაკავშირებით დაადგინა, რომ ხსენებული მუხლების დებულებებით დაცული ფუნდამენტური ღირებულებების გათვალისწინებით, კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფო ვალდებულია, ეფექტიანად განახორციელოს კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებით დაცული უფლებები. ამ კუთხით სახელმწიფო ვალდებულია:

- მიიღოს კანონმდებლობა, რომელიც ეფექტიანად დაიცავს სიცოცხლის უფლებას;
- აღძრას და ჩაატაროს დაუყოვნებელი და ეფექტიანი გამოძიება, სიცოცხლის უფლების ან არასათანადო მოპყრობის თითოეულ ფაქტთან დაკავშირებით, არა მხოლოდ სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ, სავარაუდოდ, ჩადენილი მკვლელობისა თუ არასათანადო მოპყრობის შემთხვევაში, არამედ კერძო პირების მონაწილეობისას და სხვა შემთხვევებშიც;
- უზრუნველყოს დაზარალებული პირები და ნათესავები სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებებითა და კომპენსაციით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, იმისათვის, რომ არ დაირღვეს კონვენციის მეორე მუხლი, გარდაცვლილის ახლო ნათესავს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს სიკვდილის მიზეზის დასადგენ გამოძიებაში.

საქმეში სლიმანი საფრანგეთის წინააღმდეგ[423] სასამართლომ მეორე მუხლის პროცედურული მხარის დარღვევა აღმოაჩინა, რადგან ახლო ნათესავს უარი ეთქვა საქმის მასალების გაცნობაზე და არ ეცნობა სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ ახლო ნათესავს შეეძლო, გამომძიებელისა და მოსამართლისთვის მოეთხოვა მკვლელობის ბრალდებით სისხლის სამართლის საქმის აღძვრა უცნობი პირების წინააღმდეგ, რაც მისთვის საქმის მასალების ხელმისაწვდომობის გარანტი იქნებოდა, ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ ასეთი საკანონმდებლო და პრაქტიკული

[423] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, განაცხადი N57671/00, 2004 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილება.

მორიგება ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მეორე მუხლის მოთხოვნებს და ამიტომ გამოძიება არაეფექტიანი იყო.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“[424] მიიჩნია, რომ ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული დარღვევა, რომელიც თბილისის პროკურატურამ გამოძიებისას დაუშვა, არის მისი ჯიუტი უარი, ნება დაერთო განმცხადებლებისთვის, მონაწილეობა მიეღოთ მნიშვნელოვან საგამოძიებო მოქმედებებში, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ამას დაბეჯითებით ითხოვდნენ. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამრთლომ განაცხადა: „სამწუხაროა, რომ შესაბამისი შიდა კანონმდებლობისა და პრაქტიკის თანახმად (სსსკ-ის 69-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტი), წინასწარი გამოძიების ეტაპზე განმცხადებლებს არ მიუწვდებოდათ ხელი სისხლის სამართლის საქმის მასალებზე.“ ევროპულმა სასამართლომ დაგმო ის ფაქტი, რომ პროკურატურამ განმცხადებლებს არც კი შეატყობინა, რა დასკვნამდე მივიდა ის საგამოძიებო მოქმედებების შედეგად. სასამართლოს შეფასებით, ამ ფაქტორმა განაპირობა ის, რომ წინასწარი გამოძიების მიმდინარეობის პროცესში განმცხადებლები სრულ ვაკუუმში იმყოფებოდნენ, რის გამოც მათ აშკარად წაერთვათ შესაძლებლობა, გამოძიების დასრულებისთანავე დაეცვათ საკუთარი კანონიერი საპროცესო უფლებები.

უფრო მეტიც, სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ არც მეორე დაზარალებულს ლ.ბ.-ს მისცემია შესაძლებლობა, ეფექტიანი მონაწილეობა მიეღო საგამოძიებო მოქმედებებში, რადგან, გარდა იმისა, რომ მას არ ჰყავდა კვალიფიციური ადვოკატი, წინასწარი გამოძიების ეტაპზე არც მას მიუწვდებოდა ხელი საქმის მასალებზე. თუმცა, რადგან იგი დანაშაულის შემდეგ ერთადერთი ცოცხლად დარჩენილი პირი და დანაშაულის უშუალო თვითმხილველი იყო, ლ.ბ. იყო განსაკუთრებული, უდავოდ ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის წყარო. აქედან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს გააჩნდათ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ვალდებულება, მიეღოთ ქმედითი ზომები, რათა უზრუნველეყოთ იგი ყველა აუცილებელი საშუალებით, რომელიც მას თავისი საპროცესო უფლებების სრულად და ეფექტურად რეალიზაციის შესაძლებლობას მისცემდა.

სასამართლომ დაასკვნა, რომ საქმის გამოძიების იმ ნაწილს, რომელიც თბილისის პროკურატურაში ჩატარდა, აშკარად აკლდა ჯეროვანი გულმოდგინება, ობიექტურობა და რაც ყველაზე მთავარია, კეთილსინდისიერება. გარდა ამისა, არ მისცა განმცხადებლებსა და მეორე დაზარალებულს შესაძლებლობა, გაცნობოდნენ სისხლის სამართლის საქმის მასალებს ან, მინიმუმ, რეგულარულად მიეღოთ ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ, რასაც დაემატა გარკვეული სხვა დარღვევებიც, პროკურატურამ არ შეასრულა თავისი

[424] საქმე „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 26.04. 2011.

ვალდებულება, დაეცვა დაზარალებულების ინტერესები და უზრუნველეყო გამოძიებაზე ჯეროვანი საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელება.

2009 წლის 9 ოქტომბერის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა ახლებურად მოაწესრიგა დაზარალებულის სტატუსი და უფლებები. დაზარალებული აღარ წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის მხარეს, არამედ არის პროცესის მონაწილე. მას გააჩნია ბრალდების მხარისგან ინფორმაციისა და კონსულტაციის მიღების უფლებები, თუმცა, აღარ აქვს ძველი კოდექსით გათვალისწინებული გასაჩივრებისა და პროცესის მსვლელობაში ჩარევის უფლება. ამასთან, დაზარალებულს შეუძლია ქონებრივი ინტერესების დაცვა სამოქალაქო წესით, სამოქალაქო სარჩელის განხილვა აღარ არის დამოკიდებული სისხლის სამართლის საქმის შედეგზე.

ახალი საპროცესო კოდექსის[425] მეშვიდე თავი ეძღვნება დაზარალებულს, რომელსაც მიენიჭა მოწმის ყველა უფლება და ეკისრება მისი ყველა მოვალეობა. სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებული იურიდიული პირი მონაწილეობს წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მეშვეობით, რომელსაც ენიჭება დაზარალებულის ყველა უფლება და ეკისრება მისი ყველა მოვალეობა.

2014 წლის მანძილზე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდა გარკვეული ცვლილება/დამატებები, რომელიც შეეხო დაზარალებულის უფლებრივ მდგომარეობას. ქვემოთ სწორედ აღნიშნული ცვლილებები და მათი წინამდებარე ანგარიშის მომზადების პერიოდისთვის არსებული იმპლემენტაციის პრაქტიკა იქნება მიმოხილული.

დაზარალებულის/დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსის მინიჭება

ახლებური რეგულაციების მიხედვით, კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის მე-5 ნაწილით განისაზღვრა, რომ

> *„პირის დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის სათანადო საფუძვლის არსებობისას პროკურორს გამოაქვს დადგენილება საკუთარი ინიციატივით ან ამ პირის მიერ შესაბამისი განცხადებით მიმართვის შემთხვევაში. თუ პროკურორმა განცხადება არ დააკმაყოფილა მისი შეტანიდან 48 საათის განმავლობაში, აღნიშნულ პირს უფლება აქვს, დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის მოთხოვნით ერთჯერადად მიმართოს ზემდგომ პროკურორს. ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. ამ შემთხვევაში, თუ ზემდგომი პროკურორი არ დააკმაყოფილებს საჩივარს, აღნიშნულ პირს უფლება აქვს, პროკურორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.“*

[425] მოცემული კოდექსი მიღებულ იქნა 2009 წლის 9 ოქტომბერს.

მოცემული უფლებით სარგებლობის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღების მიზნით, 2014 წლის 8 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა წერილობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს, თელავის რაიონულ სასამართლოს, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, ხოლო 2014 წლის 12 დეკემბერს ბათუმის საქალაქო სასამართლოს. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა სასამართლოებიდან გამოითხოვა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენმა პირმა ისარგებლა 2014 წლის 24 ივლისიდან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის მე-5 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილებით მიემართა თბილისის საქალაქო სასამართლოსთვის განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში, როდესაც ზემდგომმა პროკურორმა არ დააკმაყოფილა მისი დაზარალებულად/დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობის შესახებ საჩივარი.

ამასთან, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ხსენებული სასამართლოებიდან გამოითხოვა ინფორმაცია, თუ როგორია მოცემული სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სტატისტიკა საჩივრის დაკმაყოფილების/დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თვალსაზრისით.

2014 წლის 11 დეკემბერის თბილისის საქალაქო სასამართლოს, 2014 წლის 15 დეკემბრის ზუგდიდის რაიონული სასამართლოს, 2014 წლის 12 დეკემბრის თელავის რაიონული სასამართლოსა და 2014 წლის 17 დეკემბრის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს წერილებით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ არსებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული საჩივრები შესაბამის სასამართლოებში განსახილველად არ შესულა.

აღსანიშნავია, რომ 2014 წლის 19 დეკემბრის ბათუმის საქალაქო სასამართლოს წერილით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ 2014 წლის 24 ივლისიდან ბათუმის საქალაქო სასამართლოში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის დადგენილების გაუქმების მოთხოვნით, შევიდა მხოლოდ ერთი საჩივარი. თუმცა, აღნიშნული საჩივარი დარჩა განუხილველი.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს მიაწოდა 2014 წლის 24 ნოემბრის ხსენებული განჩინება საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ. განჩინების მიხედვით, საჩივარმა არ დააკმაყოფილა საპროცესო კანონმდებლობის ფორმალური მოთხოვნები. სასამართლომ მიიჩნია, რომ საჩივარი წარდგენილი იყო არაუფლებამოსილი პირის მიერ საპროცესო კანონის დარღვევით. კერძოდ, სასამართლოს

განმარტებით, საჩივარს არ ერთვოდა მასში მითითებული გარემოებების დამადასტურებელი მასალები, დაზარალებულად ცნობის/დაზარალებულად ცნობის მოთხოვნაზე პროკურორის მიერ უარის თქმის გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრების შემდგომ (ასეთის წარდგენის შემთხვევაში) ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება.

ამრიგად, სასამართლოების მიერ წარმოდგენილი მონაცემები ცხადყოფს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული უფლებამოსილების პრაქტიკაში რეალიზაციის შემთხვევები საკანონმდებლო ცვლილებების ამოქმედებიდან 2014 წლის დეკემბრამდე ფაქტობრივად არ არსებობდა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების უფლება დაშვებულია მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ იმ საქმეებში, სადაც დადგა პირის გარდაცვალება, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა დაზარალებულის უფლებამონაცვლის არსებობა, უპირველეს ყოვლისა, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე.

არსებული პრაქტიკით, არაერთ სიკვდილის შემთხვევაზე, რომელიც დადგა, მათ შორის, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, გამოძიება იწყება და მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით (თვითმკვლელობამდე მიყვანა), რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს მაქსიმუმ თავისუფლების აღკვეთას ორიდან ოთხ წლამდე ვადით. შესაბამისად, აღნიშნული დანაშაული მიეკუთვნება ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას. ამდენად, ამ მოცემულობით, გარდაცვლილის ახლო ნათესავს არ ენიჭება უფლება გაასაჩივროს ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება სასამართლოში. უნდა აღინიშნოს, რომ არსებული გამოცდილების გათვალისწინებით, მოსახლეობაში ნდობა ზემდგომი პროკურორის მხრიდან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღებისადმი საკმაოდ დაბალია.

ამრიგად, მიგვაჩნია, რომ მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევებით არ უნდა იყოს შეზღუდული დაზარალებულების უფლებები. ხსენებულმა მუხლმა, უნდა მოიცვას, მინიმუმ ის პირები, რომლებიც დაექვემდებარენ შესაძლო არასათანადო მოპყრობას, ან როდესაც დადგა პირის გარდაცვალება (ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის შემთხვევაში).

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში განხილულ რამდენიმე საქმეში დაფიქსირდა შემთხვევა, როცა სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესში დაზარალებულის/მისი უფლებამონაცვლის სტატუსი არ მიენიჭა მსხვერპლს/მის ახლო ნათესავს.

უნდა აღინიშნოს, რომ სიცოცხლის ხელყოფის, ასევე, არასათანადო მოპყრობის ფაქტზე მიმდინარე გამოძიების პროცესში დაზარალებულის მისი ახლო ნათესავის მონაწილეობის უზრუნველყოფა ეფექტიანი გამოძიების ერთ–ერთ სტანდარტს წარმოადგენს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, სიცოცხლის მოსპობის „ყველა შემთხვევაში, მსხვერპლის ახლო ნათესავი ჩაბმული უნდა იყოს პროცესში, თანაც იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია მისი კანონიერი ინტერესების დასაცავად."[426]

მართალია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში „დაზარალებულის" საკანონმდებლო დეფინიცია განსაზღვრულია იმგვარად, რომ დაზარალებულს წარმოადგენს პირი, ვისაც უშუალოდ დანაშაულის შედეგად მიადგა ზიანი[427], თუმცა ეს არ გულისხმობს, რომ დანაშაულის ჩადენის ფაქტი დადგენილი და დადასტურებული უნდა იყოს ასეთი სტატუსის მინიჭების მომენტისთვის. ნორმის ამგვარი ინტერპრეტაცია ხელს უშლის დანაშაულის მსხვერპლს საკუთარი უფლებების რეალიზაციაში. მხოლოდ სასამართლოა უფლებამოსილი დაადგინოს ადგილი ჰქონდა თუ არა დანაშაულის ჩადენის ფაქტს, გამოძიების ეტაპზე კი – ხორციელდება დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვება. დაზარალებულის სტატუსის მინიჭების უფლებამოსილებას კანონი ანიჭებს პროკურორს და არა სასამართლოს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დაზარალებულის სტატუსის მინიჭებისათვის არ არის აუცილებელი დანაშაულის დადასტურებულად არსებობის აუცილებლობა. ამასთან, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს პროკურორის შესაბამისი დადგენილების გაუქმების შესაძლებლობას: თუ პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანის შემდეგ გაირკვევა, რომ ამის საფუძველი არ არსებობს, პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას ამ დადგენილების გაუქმების თაობაზე, რის შესახებაც დაზარალებულს წერილობით ეცნობება.[428]

მოქალაქე ც.შ–ს საქმე

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა განიხილა მოქალაქე ც.შ–ს განცხადება. განმცხადებლის განმარტებით, 2008 წლის 16 აგვისტოს ბათუმში განხორციელდა მისი მეუღლის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სერჟანტის რ.შ.–ს, მკვლელობა. საქართველოს მთავარი პროკურატურის წერილით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, გაირკვა, რომ აჭარის ა/რ პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, რ.შ.–ს განზრახ მკვლელობის ფაქტზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის

---

[426] იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: ,,ენუქიძე, გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ" 26.11.2011 წ. პარ.243

[427] „დაზარალებულს წარმოადგენს სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის შედეგად", საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 3, ნაწ. 22.

[428] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 56, ნაწ. 6.

108–ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. რ.შ.–ს მეუღლე ც.შ. ან გარდაცვლილ რ.შ.–ს რომელიმე ახლო ნათესავი გამოძიების ამ ეტაპზე არ არის ცნობილი დაზარალებულის უფლებამონაცვლედ.

მოქალაქე ნ.ძ.–ს საქმე

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა განიხილა მოქალაქე ნ.ძ.–ს განცხადება. წინამდებარე განცხადებაში მოქალაქე მიუთითებდა, რომ მისი შვილის ვ.ძ.–ს გარდაცვალების ფაქტზე გამოძიება არაეფექტიანად მიმდინარეობდა. საქართველოს პროკურატურის მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს მე–2 განყოფილების წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115–ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. საქმეზე დაიკითხნენ მოწმეები, დაინიშნა და ჩატარდა სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზა, რომლის დასკვნის თანახმად, ვ.ძ.–ს გარდაცვალების მიზეზია ეთილის სპირტით გამოწვეული მწვავე მოწამვლა. გარდაცვლილის სხეულზე არსებული დაზიანებები მოყენებულია მკვრივი ბლაგვი საგნის მოქმედებით. ისინი ცოცხალ პირთა ექსპერტიზაში განისაზღვრება როგორც მსუბუქი ხასიათის დაზიანებები და არ იმყოფება მიზეზობრივ კავშირში დამდგარ შედეგთან – სიკვდილთან. ხანდაზმულობით არ შეეფარდება დადგენილებაში მითითებულ თარიღს და მიყენებული უნდა იყოს სიკვდილამდე 7–10 დღით ადრე. ამავე წერილის თანახმად, „გამოძიების ამ ეტაპზე პროკურორის მიერ საგამოძიებო ორგანოს მიეცა მითითებები შემდგომი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე გამოიკვეთება შესაძლო დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის ფაქტი, მოხდება დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა.“

დაზარალებულის უფლება გაასაჩივროს პროკურორის დადგენილება გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ

აქვე ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ 2014 წლის 1 ოქტომბრიდან ამოქმედდა საქართველოს სისხლის სამართლოს საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის პირველი ნაწილის ახლებური რედაქცია, რომლის მიხედვით გამოძიების ან/და სისხლისამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილების ასლს პროკურორი უგზავნის დაზარალებულს გადაწყვეტილების მიღებიდან 1 კვირის ვადაში. ამასთან, დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილების გამოტანამდე პროკურორი ვალდებულია დაზარალებულს შეატყობინოს ამის შესახებ და შეადგინოს ოქმი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის მე-5[1] ნაწილით დადგენილი წესით[429].

დაზარალებულისთვის 106-ე მუხლით გაფართოებული უფლებამოსილება, ასევე, გულისხმობს, რომ დაზარალებულს უფლება აქვს გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილება ერთჯერადად გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან. ამასთან, კანონის თანახმად[430], ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. ამ შემთხვევაში, თუ ზემდგომი პროკურორი არ დააკმაყოფილებს საჩივარს, დაზარალებულს უფლება აქვს, პროკურორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში. სასამართლოს განჩინება გამოაქვს 15 დღის ვადაში, ზეპირი მოსმენით ან მის გარეშე. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება[431].

საქართველოს სახალხო დამცველის პოზიციით, დადებით ცვლილებად უნდა შეფასდეს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 108-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ ზემდგომმა პროკურორმა გააუქმა დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ ან სასამართლომ გააუქმა დადგენილება/განჩინება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ და არ გასულა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა, სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა განახლდეს. ამ შემთხვევაში საქართველოს მთავარი პროკურორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი სისხლისსამართლებრივი დევნის განახლებისა და სხვა საპროკურორო საქმიანობის განხორციელების ვალდებულებას სხვა პროკურორს აკისრებს.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნის განახლების შესახებ წერილობით ეცნობება ბრალდებულს, მის ადვოკატს და დაზარალებულს.

2014 წლის 24 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა დაზარალებულის/დაზარალებულის უფლებამონაცვლის მიერ მოცემული უფლებით სარგებლობის პრაქტიკის გაანალიზების მიზნით, წერილობით მიმართა თბილისის

---

[429] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 56, ნაწ. 5[1] - „პროკურორი ან მისი დავალებით გამომძიებელი პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილებას გააცნობს დაზარალებულს და განუმარტავს მას ამ კოდექსით გათვალისწინებულ ყველა უფლებას და მათ განხორციელებასთან დაკავშირებულ პროცედურებს, რის შესახებაც ადგენს ოქმს. ამ ოქმს ხელს აწერენ დაზარალებული და ოქმის შემდგენი. დაზარალებულს უფლება აქვს, შენიშვნა გააკეთოს ოქმზე. თუ დაზარალებული უარს ამბობს ოქმის ხელმოწერაზე, ოქმში აღინიშნება ხელმოწერაზე უარის თქმის მიზეზი.“

[430] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 106.

[431] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 106, ნაწ. 1[1].

საქალაქო სასამართლოს, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს, ბათუმის საქალაქო სასამართლოს, თელავის რაიონულ სასამართლოს და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს.

2014 წლის 27 ნოემბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს, 2014 წლის 1 დეკემბრის ზუგდიდის რაიონული სასამართლოს, 2014 წლის 28 ნოემბრის ბათუმის საქალაქო სასამართლოს , 2014 წლის 28 ნოემბრის თელავის რაიონული სასამართლოსა და 2014 წლის 1 დეკემბრის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს წერილებით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ მოცემულ სასამართლოებში 2014 წლის 24 ივლისიდან დაზარალებულს ან დაზარალებულის უფლებამონაცვლეს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის 1[1] ნაწილით გათვალისწინებული პროკურორის გადაწყვეტილების (განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის თაობაზე არსებული გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ) გასაჩივრების უფლებით არ უსარგებლია. დაზარალებულების მიერ აღნიშნული უფლებით სარგებლობის პრაქტიკა, სასამართლოს გადაწყვეტილებები და საგამოძიებო ორგანოების მიერ შემდგომ განხორციელებული ქმედებები წარმოაჩენს, არის თუ არა განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილება ეფექტიანი.

დაზარალებულის ინფორმირება გამოძიების მიმდინარეობის და შედეგების შესახებ

ცვლილებები/დამატებები მნიშვნელოვნად შეეხო დაზარალებულების ინფორმირების ხარისხს. კოდექსმა გააფართოვა იმ საკითხთა წრე, რომელთან დაკავშირებითაც დაზარალებულს/დაზარალებულის უფლებამონაცვლეს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია. მათ შორის აღსანიშნავია, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით, დაზარალებულს უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს. ამავე მუხლის „კ“ ქვეპუნქტი კი იმპერატიულად ადგენს, რომ დაზარალებულს უფლება აქვს წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს 10 დღისა გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს.

ერთი მხრივ, აღსანიშნავია, დაზარალებულისთვის გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლების მინიჭება, რაც ცალსახად, პოზიტიურ ცვლილებად უნდა დასახელდეს. თუმცა, მეორე მხრივ, კანონმდებელმა შეზღუდა დაზარალებულის ეს უფლება გამოძიების ინტერესებით.

ყურადსაღებია ის გარემოება, რომ გამოძიების ინტერესები ძალიან ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა და არსებობს საფრთხე არასწორი პრაქტიკის განვითარებისა. აუცილებელია, საგამოძიებო ორგანოს უარს დაზარალებულისადმი, ჰქონდეს კონკრეტული

საფუძველი. საქართველოს სახალხო დამცველის მოსაზრებით, უარი უნდა იყოს დასაბუთებული და შეზღუდვა უნდა იყოს აუცილებელი და მიზნის (გამოძიების ინტერესების დაცვა) პროპორციული. ამავდროულად, დაზარალებულისთვის განჭვრეტადი უნდა იყოს საგამოძიებო ორგანოს პოზიცია და უფლების შეზღუდვის საფუძველი, რათა არ გაჩნდეს მიკერძოებულობის, სუბიექტური დამოკიდებულებისა და განჭვრეტადობის არარსებობის შეგრძნება, საფრთხე.

მისასალმებელია ის გარემოებაც, რომ როგორც უკვე აღინიშნა, დაზარალებულს უფლება აქვს წინასასამართლო სხდომის გამართვამდე, არაუგვიანეს 10 დღისა, გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს. თუმცა, მნიშვნელოვანია ეს ცვლილება მხოლოდ ფორმალურად არ დარჩეს საქმის მასალების გაცნობის შესაძლებლობად. თუკი მასალების გაცნობის შემდგომ დაზარალებული ბრალდების მხარეს დამატებით ჩასატარებელი საგამოძიებო მოქმედებების ან/და გამოსაკვლევი გარემოებების დასაბუთებული მოთხოვნით მიმართავს, რაც მისი აზრით, არ არის განხორციელებული უკვე ჩატარებული გამოძიებით, აუცილებელია ბრალდების მხარემ მოახდინოს რეაგირება და ადეკვატური და დასაბუთებული პასუხი გასცეს დაზარალებული მხარის მსგავს მიმართვას. წინააღმდეგ შემთხვევაში, საპროცესო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები მხოლოდ ფორმალური იქნება და ეს ფაქტობრივად არ შეცვლის დაზარალებულის მონაწილეობის ხარისხს სისხლის სამართლის პროცესში.[432] .

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი[433] სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობის განხილვისას და სასჯელის შეფარდების სასამართლო სხდომაზე დაზარალებულს უფლებას აძლევს მხოლოდ იმ ზიანის შესახებ მისცეს ჩვენება, რომელიც მას დანაშაულის შედეგად მიადგა ან წერილობით წარადგინოს აღნიშნული ინფორმაცია. რაც შეეხება დაზარალებულის მიერ გამოძიების ეფექტიანი მიმდინარეობის შესახებ პოზიციის დაფიქსირებას, ასეთ უფლებას კანონმდებლობა არ იძლევა, მიუხედავად იმისა, ბრალდების მხარე მისცემს თუ არა დაზარალებულს შესაძლებლობას გაეცნოს საქმის მასალებს. ეს საკითხი კანონმდებლობის ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან, განსაკუთრებით სიცოცხლის მოსპობის, წამების, არაადამიანური და ღირსებისშემლახავი მოპყრობის შემთხვევებში, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების შესრულება არ შემოიფარგლება ზიანის ანაზღაურებით. ევროპული სასამართლოს არაერთი განმარტებით, ამ უფლებების დარღვევის შემთხვევაში მსხვერპლისთვის უფლებრივი მდგომაროების აღდგენა ეფექტიანი გამოძიების გზით დამნაშავეთა გამოვლენა და დასჯაა.[434]

---

[432] იხ. „Ramsahai and others v. the Netherlands“ no 52391/99

[433] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 57, ნაწ. 1.

[434] „მაკკერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ no. 28883/95, „კაია თურქეთის წინააღმდეგ.“ no. 22535/93.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 58-ე მუხლის პირველი ნაწილით გაფართოვდა იმ ინფორმაციის ფარგლები, რომელიც დაზარალებულს მიეწოდება. კერძოდ, დაზარალებულს შესაძლებელია ეცნობოს, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობის განხილვის სასამართლო სხდომის ჩატარების ადგილი და დრო. თუმცა, შეიცვალა მოცემული მუხლის პირველი ნაწილის ფორმულირება და დღესდღეობით მითითებული ინფორმაციის ავტომატური მიწოდების ვალდებულება პროკურორს აღარ ეკისრება. ნორმის ახლებური რედაქციის მიხედვით, პროკურორი ვალდებულია წინასწარ შეატყობინოს დაზარალებულს ამავე მუხლში[435] მითითებული საპროცესო მოქმედებების ჩატარების ადგილი და დრო, თუ ამას მოითხოვს დაზარალებული.

ყურადსაღებია ის გარემოება, რომ დაზარალებულმა/დაზარალებულის უფლებამონაცვლემ ხშირ შემთხვევაში არ იცის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული ვადები და შესაბამისად, დიდია იმის ალბათობა, რომ ხშირად დაზარალებულები ვერც განსაზღვრავენ ზუსტ დროს, როდის უნდა მიმართონ პროკურატურას, მოცემული ინფორმაციის (საპროცესო მოქმედებების ადგილისა და დროის შესახებ) მიღების მიზნით.

დაზარალებულის უფლებები საპროცესო შეთანხმების პროცესში

რაც შეეხება დაზარალებულის უფლებებს საპროცესო შეთანხმების დადების პროცესში - აღსანიშნავია, რომ დაზარალებულს ისევ არ აქვს საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების უფლება. თუმცა, მას რჩება სამოქალაქო სარჩელით სასამართლოსთვის მიმართვის უფლებამოსილება.

საპროცესო გარიგების გაფორმებისას დაზარალებულის მონაწილეობა მინიმალურია და შემოიფარგლება მხოლოდ პროკურორის ვალდებულებით, კონსულტაცია გაიაროს დაზარალებულთან. ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 217-ე მუხლის 11 ნაწილის მიხედვით, სასამართლოს მიერ საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას დაზარალებულს უფლება აქვს, სასამართლოს წერილობით ან სასამართლო სხდომაზე მოსამართლეს ზეპირად მიაწოდოს ინფორმაცია იმ ზიანის შესახებ, რომელიც მას დანაშაულის შედეგად მიადგა.

თუმცა, აღნიშნული ინფორმაციის გავლენის შესაძლებლობა საპროცესო გარიგების გაფორმების პროცესზე არ დგინდება. შესაბამისად, ფორმალურად უფლებამოსილების ზრდის ფარგლებს მოცემული დანაწესი არ შეიცავს.

[435] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 58, ნაწ. 1.

რეკომენდაციები:

საქართველოს პარლამენტს/საქართველოს მთავრობას:

- შემუშავდეს და განხორციელდეს ცვლილებები საქართველოს კანონმდებლობაში, რომელიც გაითვალისწინებს სამართალდამცავი პირების მიერ, ასევე სასჯელაღსრულების დაწესებულების ტერიტორიაზე ჩადენილი სიცოცხლის მოსპობის, წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტებზე დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს შექმნას
- შემუშავდეს და განხორციელდეს ცვლილებები კანონმდებლობაში, რომელიც უზრუნველყოფს დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობის გაზრდას ეფექტიანი გამოძიების მიზნებიდან გამომდინარე, ასევე, სიცოცხლის უფლებისა და წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელის აკრძალვის მიზნით, დაზარალებულს მიეცემა გამოძიების მიმდინარეობისა და მასალების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიღების/გაცნობის შესაძლებლობა

საქართველოს მთავარ პროკურორს:

- სისხლის სამართლის საქმეების გამოძიება, რომლებიც მიმდინარეობს სასჯელაღსრულების დაწესებულების ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულის ფაქტზე, ასევე, სამართალდამცავი პირების მიერ ჩადენილი შესაძლო დანაშაულის ფაქტებზე, აწარმოოს საქართველოს პროკურატურამ
- უზრუნველყოფილი იქნეს დაზარალებულის/მისი უფლებამონაცვლის სტატუსის მინიჭება შესაბამისი საფუძვლების არსებობისას გამოძიების საწყის ეტაპზე.

თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა ადამიანის ერთ-ერთ ძირითად უფლებად აღიარებს თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებას. ადამიანის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების დაცვის ვალდებულება სახელწიფოს ეკისრება როგორც საქართველოს კონსტიტუციით[436], ასევე სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებით[437], რომელთა ხელშემკვრელი მხარე საქართველოა.

თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება არ არის აბსოლუტური უფლება. მიუხედავად ამისა, აღნიშნული უფლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მასში ჩარევა შეუძლია მხოლოდ კანონით მკაცრად გაწერილი წესის შესაბამისად, წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება პირის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების დარღვევას.

საქართველოს სახალხო დამცველი ყოველწლიურ საპარლამენტო ანგარიშებში პერმანენტულად ამახვილებდა ყურადღებას საქართველოში თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების დარღვევის ფაქტებზე, მათ შორის, არაერთხელ იქნა განხილული სისხლის სამართლის საქმეებზე ბრალდებული პირების მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შემთხვევებში სასამართლოთა განჩინებების დაუსაბუთებლობის პრობლემა. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშებში, ასევე, განხილული იყო პირის დაკავებისას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევის შემთხვევები.

2014 წლის საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა განიხილა თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების დარღვევის რამდენიმე შემთხვევა. შესაბამისად, მოცემულ თავში მიმოხილულია ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებისას თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების დარღვევის, ასევე პირის დაკავებისას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევები.

---

[436] საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 18.

[437] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, მუხ. 5; გაეროს „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტი, მუხ. 9.

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების პრაქტიკა და სასამართლოს განჩინებათა დასაბუთებულობა

2012 და 2013 წლების საპარლამენტო ანგარიშებში საქართველოს სახალხო დამცველი აღნიშნავდა პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების გამოყენებისას სასამართლო განჩინების დასაბუთებულობის პრობლემის არსებობას.

2013 წლის საპარლამენტო ანგარიშში საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ინიციატივით შექმნილ კომისიას განაჩენების დასაბუთებულობის ხარისხის ამაღლების საკითხების გარდა, შეემუშავებინა სტანდარტები, საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ბრალდებულთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების ამა თუ იმ სახის გამოყენების თაობაზე გამოტანილი განჩინებების დასაბუთებულობის ხარისხის ამაღლების მიზნით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ინიციატივით შექმნილმა კომისიამ 2014 წელს შეიმუშავა სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე. თუმცა, მოცემულ დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი წინადადებები სხვა სახის სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის სტანდარტების თაობაზე, მათ შორის, ბრალდებულთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების ამა თუ იმ სახის გამოყენების თაობაზე გამოტანილი განჩინებების დასაბუთებულობის სტანდარტის შესახებ.

2014 წლის საანგარიშო პერიოდში, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის გასაანალიზებლად, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ფოთის საქალაქო სასამართლოებისა და ბოლნისის, ახალციხის, გურჯაანისა და ზუგდიდის რაიონული სასამართლოებისა და მათ ტერიტორიაზე მოქმედი მაგისტრატი მოსამართლეების მიერ გამოტანილი განჩინებები ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198–ე მუხლის პირველი ნაწილი მკაცრად განსაზღვრავს ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნებს და კრძალავს აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას, თუ მითითებული მიზნების მიღწევა შესაძლებელია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების გარეშე. იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულის მიმალვის, მის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის, გამოძიებისათვის ხელის შეშლის თავიდან აცილება ან/და განაჩენის აღსრულება შეუძლებელია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების გარეშე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198–ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების ის ფორმა უნდა შეირჩეს, რომელიც უზრუნველყოფს მითითებული მიზნების

მიღწევას. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა კრძალავს ბრალდებულის მიმართ უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას, თუ აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევა შესაძლებელია ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით.

აღსანიშნავია, რომ წინა წლებთან შედარებით, საანგარიშო პერიოდში შეინიშნება პოზიტიური ცვლილებები როგორც თბილისისა და ბათუმის საქალაქო სასამართლოების, ასევე რაიონული სასამართლოების ნაწილის, კერძოდ კი, ზუგდიდის, ახალციხის, ბოლნისის რაიონული სასამართლოების მიერ გამოტანილი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე განჩინებების დასაბუთებულობისა და სასამართლოს მიერ გათვალისწინებული გარემოებების განჩინებაში აღნიშვნის მხრივ. სასამართლოებმა შესამჩნევად გააუმჯობესა პროკურატურის მიერ პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების (განჩინების) დასაბუთებულობის სტანდარტი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობას, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.[438] ასევე, მისასალმებელია, განჩინებებში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გათვალისწინება და იმ საქმეებიდან ამონარიდების მითითება, რომლებშიც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა მოცემულ შემთხვევაში ეროვნული სასამართლოს მიერ განსახილველი გარემოებების მსგავს შემთხვევებზე. ამასთან, დადებითად უნდა შეფასდეს სასამართლოების მიერ ევროპის საბჭოს რეკომენდაციებისა და „ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის“ დანაწესების გათვალისწინება.

მიუხედავად სასამართლოების მიდგომისა, გაიზარდოს ბრალდებულების მიმართ აღკვეთის ღონისძიებების, განსაკუთრებით პატიმრობის გამოყენების დასაბუთებულობის სტანდარტები, ქუთაისის და ფოთის საქალაქო სასამართლოების, ასევე, გურჯაანის რაიონული სასამართლოს მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის წარმოდგენილი განჩინებების შესწავლის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბრალდების მხარის შუამდგომლობის შემოწმებისას, ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თაობაზე, აღნიშნული სასამართლოები უმეტეს შემთხვევაში ახდენენ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2

[438] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება იმ მიზნით, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენის აღსრულება. ბრალდებულს პატიმრობა ან სხვა აღკვეთის ღონისძიება არ შეიძლება შეეფარდოს, თუ ამ ნაწილით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა შესაძლებელია სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით“.

ნაწილით გათვალისწინებული აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძვლების ციტირებას და უთითებენ, რომ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი ბრალდებულის მიმალვის, მისი სასამართლოში გამოუცხადებლობის, საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურების ან ახალი დანაშაულის ჩადენის. თუმცა, აღკვეთის ღონისძიების საფუძვლებზე ზოგადი მითითებისა და მათი ჩამოთვლის გარდა, განჩინებებში არ არის მითითებული, თუ რა ფაქტებისა და გარემოებების განხილვის შედეგად მივიდა სასამართლო იმ დასკვნამდე, რომ, თუ ბრალდებულის მიმართ არ იქნება გამოყენებული ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიება - პატიმრობა და ბრალდებული არ იქნება მოთავსებული სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ვერ იქნება მიღწეული აღკვეთის ღონისძიების მიზნები. მაშინ როცა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული აღკვეთის ღონისძიების საფუძვლებიდან თუნდაც ერთ-ერთის არსებობა აუცილებელია აღკვეთის ღონისძიების ნებისმიერი სახის გამოყენებისათვის, მათ შორის, ყველაზე მსუბუქი სახის აღკვეთის ღონისძიების და არა მხოლოდ პატიმრობის გამოყენებისათვის.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ერთი და იგივე მოსამართლეების მიერ გამოტანილი განჩინებები ერთ შემთხვევაში შესაძლებელია იყოს არგუმენტირებული, მითითებული იყოს გარემოებები, რომელთა განხილვისა და შეფასების საფუძველზეც სასამართლომ მიიჩნია, რომ ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში ვერ იქნებოდა მიღწეული აღკვეთის ღონისძიების მიზნები, სხვა შემთხვევაში კი, იმავე მოსამართლის მიერ გამოტანილ განჩინებაში გვხვდება მხოლოდ აღკვეთის ღონისძიების საფუძვლების ჩამოთვლა, გარემოებებისა და ბრალდებულის პიროვნული თვისებების განხილვის გარეშე.

აღსანიშნავია, რომ ფოთის საქალაქო სასამართლოს მხრიდან ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თაობაზე განჩინებების დაუსაბუთებლობაზე მითითებული იყო ასევე საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის ანგარიშში. მიუხედავად ამისა, ფოთის საქალაქო სასამართლოს მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის წარმოდგენილი განჩინებებიდან ირკვევა, რომ ფოთის საქალაქო სასამართლოს მიერ არ მომხდარა საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციების გათვალისწინება და ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ განჩინების დასაბუთებულობის სტანდარტის გაზრდა.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის საერთო სასამართლოების მიერ წარმოდგენილი განჩინებებიდან ირკვევა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 199–ე მუხლის მე–2 ნაწილით გათვალისწინებული ბრალდებულის ქცევისადმი დამატებითი კონტროლის მექანიზმებიდან, ბრალდებულების მიმართ, აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად; სამართალდამცავ ორგანოებში პასპორტისა და პირადობის დამადასტურებელი სხვა

დოკუმენტის ჩაბარება, ასევე გამოძიების ორგანოში განსაზღვრული პერიოდულობით გამოცხადების ვალდებულება გამოიყენება[439].

შესწავლილი განჩინებების თანახმად, საანგარიშო პერიოდში არ დაფიქსირებულა არც ერთი შემთხვევა, როდესაც სასამართლომ აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად, ბრალდებულის მიმართ გამოიყენა ელექტრონული მონიტორინგი, ვალდებულება გარკვეულ ადგილას ყოფნისა გარკვეულ საათებში ან უამისოდ, გარკვეული ადგილის დაუტოვებლობის ან მასში შეღწევის აკრძალვა, აკრძალვა გარკვეულ პირებთან შეხვედრისა სპეციალური ნებართვის გარეშე. ასევე, არ დაფიქსირებულა 199–ე მუხლის მე–2 ნაწილში ჩამოთვლილი ღონისძიებების გარდა, სასამართლოს მიხედულებით, სხვა ღონისძიების გამოყენების შემთხვევა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 199–ე მუხლის მე–2 ნაწილით განსაზღვრული ღონისძიებების გამოყენება წარმოადგენს ბრალდებულის ქცევისადმი დამატებითი კონტროლის მექანიზმებს და შესაძლებლობას აძლევს სახელმწიფოს მიღწეულ იქნეს აღკვეთის ღონისძიების მიზნები, ამასთან, ნაკლებად შეიზღუდოს ბრალდებულის უფლებები. ამდენად, მისასალმებელი იქნებოდა სასამართლომ ხშირად გამოიყენოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 199–ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული დამატებითი ღონისძიებები რაც სახელმწიფოს შესაძლებლობას მისცემს აღკვეთის ღონისძიების მიზნები ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით იქნეს მიღწეული.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა სასამართლოების განჩინებების შესწავლისას დააფიქსირა, რომ ბრალდებულების მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენებისას, როგორც წესი, არ იკვეთება სასამართლოს წინაშე წარდგენილია თუ არა დოკუმენტაცია ბრალდებულის ან/და იმ პირის მატერიალური მდგომარეობის შესახებ, ვინც უნდა უზრუნველყოს ბრალდებულის სახელით გირაოს თანხის გადახდა. სასამართლოს განჩინებებში არ არის მითითებული ბრალდებულების დასაქმების, შემოსავლის, მათ სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონების, ასევე მათზე მატერიალურად დამოკიდებული პირების არსებობის შესახებ ინფორმაცია. ბრალდებულის ან/და იმ პირის, ვინც უნდა უზრუნველყოს ბრალდებულის სახელით გირაოს თანხის გადახდა, მატერიალური მდგომარეობის შესახებ სწორი ინფორმაციის არარსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია ბრალდებულმა ვერ უზრუნველყოს გირაოს თანხის გადახდა, რაც ბრალდების მხარეს უფლებას აძლევს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს ბრალდებულის მიმართ უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების, პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით. მართალია, საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სასამართლომ მხარეების მიერ

[439] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 199, ნაწ. 2.

წარდგენილი შუამდგომლობისა და მასალების განხილვის შედეგად, თუმცა არის რისკი, რომ ბრალდებულს შეეცვალოს აღკვეთის ღონისძიება უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით და შეეფარდოს პატიმრობა, მიუხედავად იმისა, ასრულებდა თუ არ ბრალდებული მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, ცხადდებოდა თუ არა გამოძიებისა და სასამართლო ორგანოებში, ახდენდა თუ არა მოწმეებზე გავლენას, ან წარედგინა თუ არა სხვა ბრალდება ახალი დანაშაულის შესაძლო ჩადენისათვის.

მისასალმებელია ის გარემოება, რომ საანგარიშო პერიოდში სასამართლოების მიერ წარმოდგენილი რამდენიმე განჩინების შესაბამისად, სასამართლომ არ შეცვალა ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება - გირაო პატიმრობით, მხოლოდ გირაოს თანხის გადაუხდელობის მიზეზით, მაშინ, როდესაც ბრალდებული კეთილსინდისიერად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას და ცხადდებოდა გამოძიების ორგანოებში და სასამართლოში.

რაც შეეხება აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკას, ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მდგომარეობა შეცვლილია 2013 წელთან შედარებით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ გვერდზე განთავსებული 2014 წლის სტატისტიკური მონაცემების თანახმად, მითითებულ პერიოდში სასამართლოების მიერ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიება გამოყენებულ იქნა 13 644 შემთხვევაში, აქედან 4 365 შემთხვევაში ბრალდებულის მიმართ გამოყენებულ იქნა პატიმრობა, 8 207 შემთხვევაში გირაო, ხოლო 1 072 შემთხვევაში სხვა არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება. აღსანიშნავია, რომ მოცემულ პერიოდში, 2013 წლის პერიოდთან შედარებით, იმატა ბრალდებულების მიმართ საპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების როგორც რაოდენობრივმა, ასევე პროცენტულმა მაჩვენებლებმა.

სააპელაციო სასამართლოების მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საანგარიშო პერიოდში მხარეების მიერ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში გასაჩივრდა 1 339 მაგისტრატი და რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განჩინება ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ. აქედან, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიამ დაუშვებლად ცნო 1 198 საჩივარი, საერთო რაოდენობის 89.47%, ხოლო ზეპირი მოსმენით განიხილა 141 საჩივარი, საერთო რაოდენობის 10.53%.

საანგარიშო პერიოდში თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში მხარეების მიერ გასაჩივრდა მაგისტრატი სასამართლოებისა და რაიონული (საქალაქო) სასამართლოს 28 განჩინება ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლის/შეცვლაზე უარის თქმის შესახებ. აქედან, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიამ დაუშვებლად ცნო 9 საჩივარი, საერთო რაოდენობის 32.14%. ზეპირი მოსმენის გარეშე არ დააკმაყოფილა 18 საჩივარი, საერთო რაოდენობის 64.29%. ხოლო ზეპირი

მოსმენით განიხილა 1 საჩივარი, რომელიც ასევე არ დააკმაყოფილა, საერთო რაოდენობის 3.57%.

საანგარიშო პერიოდში თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში მხარეების მიერ გასაჩივრდა მაგისტრატი სასამართლოებისა და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების 5 განჩინება ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების გაუქმების თაობაზე. აქედან, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიამ დაუშვებლად ცნო 2 საჩივარი, საერთო რაოდენობის 40%. ხოლო ზეპირი მოსმენის გარეშე არ დააკმაყოფილა 3 საჩივარი, საერთო რაოდენობის 60%.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ასევე წარედგინა ინფორმაცია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მიერ საანგარიშო პერიოდში განხილული მხარეთა საჩივრების შესახებ ბრალდებულის მიმართ გამოყენებულ აღკვეთის ღონისძიებებთან დაკავშირებით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2014 წლის განმავლობაში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში შევიდა 770 საჩივარი ბრალდებულის მიმართ გამოყენებულ აღკვეთის ღონისძიებებთან დაკავშირებით. აქედან, 736 საჩივარი ეხებოდა ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლას, ხოლო 34 საჩივარი ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების გაუქმებას. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიამ დაუშვებლად ცნო 722 საჩივარი, განუხილველად დატოვა 3 საჩივარი, ხოლო 45 საჩივარი განიხილა ზეპირი მოსმენით.

საქართველოს სახალხო დამცველის პოზიციით, სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილების დასაბუთებულობა უაღრესად მნიშვნელოვანია სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვისთვის. ამასთან, არანაკლებ მნიშვნელოვანია პირის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების შეზღუდვის აუცილებლობის არგუმენტირება, მითუმეტეს მაშინ, როდესაც პირის მიერ დანაშაულის ჩადენა არ არის დამტკიცებული და პირი ითვლება უდანაშაულოდ.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნების დარღვევა პირის დაკავებისას

საქართველოს კონსტიტუციის მე–18 მუხლით დაცულია ადამიანის თავისუფლება. მოცემული მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია. კონსტიტუცია დასჯადად აცხადებს ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევას.“ [440]

ამასთან, „საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადებიდან გამომდინარე, „ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში საგანგებოდ უფლებამოსილი პირის მიერ.“ ეს კონსტიტუციური ნორმები, ისევე როგორც მთლიანად მე–18 მუხლი ეძღვნება ადამიანის თავისუფლების დაცვას. ადამიანის თავისუფლება გარანტირებულია არა მხოლოდ მატერიალური ნორმებით, არამედ კონსტიტუციურ რანგში აყვანილი პროცესუალური ნორმების ერთობლიობით, რაც ხაზს უსვამს მის განსაკუთრებულ ადგილს ძირითად უფლებათა სისტემაში.“[441]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 170-ე მუხლი განმარტავს დაკავების ცნებას, კერძოდ, ამავე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დაკავება არის თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთა, ხოლო მე-2 ნაწილის შესაბამისად, პირი დაკავებულად ითვლება მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის მომენტიდან. დაკავების მომენტიდან პირი ითვლება ბრალდებულად.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, პირი დაკავებულად შეიძლება ჩაითვალოს იმ მომენტიდან, როდესაც დაკავებისთვის საგანგებოდ უფლებამოსილი პირი კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და საფუძველზე შეუზღუდავს ადამიანს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ თავისუფლებას.“[442]

„რაც შეეხება „ადამიანის თავისუფლებას,“ იგი გულისხმობს ადამიანის ფიზიკურ თავისუფლებას, მის უფლებას თავისუფლად გადაადგილდეს ფიზიკურად, თავისი ნების შესაბამისად, იმყოფებოდეს ან არ იმყოფებოდეს რომელიმე ადგილზე. ადამიანის თავისუფლება არის მისი გადაადგილების თავისუფლება ვიწრო გაგებით. თუმცა, აშკარად განსხვავდება იმ ჩარევების ინტენსიურობა და სიმძიმე, რომლისგანაც ამ უფლებებს იცავს კონსტიტუცია. ადამიანის თავისუფლებაში ჩარევა უფრო წონადია და კონსტიტუციაც მისგან

---

[440] „კონსტიტუციის კომენტარები“, „გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2005 წ. გვ. 96.

[441] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს სახალხო დამცველის საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“

[442] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქე ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშერიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

დასაცავად განსაკუთრებულ რეგულირებას ადგენს.“[443]

ზემოაღნიშნული საკანონმდებლო რეგულაციების მიუხედავად, 2014 წლის საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა დააფიქსირა პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან პირის დაკავებისას საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებისა და პირის თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტი.

ბულგარეთის მოქალაქეების საქმე

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა 2014 წლის 15 აგვისტოს ბათუმში ბულგარეთის მოქალაქეების დაკავების გარემოებები.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხელთ არსებული მასალების თანახმად, 2014 წლის 15 აგვისტოს დაახლოებით 15 საათზე ბულგარეთის მოქალაქეები ხ.ხ., ვ.ვ. და ი.გ. ტაქსით გადაადგილდებოდნენ ბათუმის აეროპორტისკენ სოფიაში (ბულგარეთი) გამგზავრების მიზნით, რა დროსაც პოლიციის თანამშრომლებმა გააჩერეს ავტომანქანა, სამივე მათგანი გადაანაწილეს პოლიციის ავტომანქანებში ცალ–ცალკე და ჩაუტარეს პირადი ჩხრეკა, რომელიც დაახლოებით ღამის 12 საათისთვის დასრულდა. ამასთან, პოლიციელებმა არ უზრუნველყვეს თარჯიმნის მონაწილეობა, მოქალაქეებს არ მისცეს ადვოკატთან დაკავშირების უფლება, არ განუმარტეს უფლებები და არ აძლევდნენ გადაადგილების შესაძლებლობას. ამასთან, აიძულეს ხელი მოეწერათ მათთვის უცნობ (ქართულ) ენაზე შედგენილ დოკუმენტებს. პირადი ჩხრეკის დასრულებისთანავე, დაახლოებით 24:00 საათზე გადაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, სადაც იმყოფებოდნენ 16 აგვისტოს დღის 12:00 საათამდე. 2014 წლის 16 აგვისტოს დღის 12:00 საათზე პოლიციის თანამშრომლებმა ხ. ხ., ვ. ვ. და ი. გ. გადაიყვანეს მათ მიერ შერჩეულ სასტუმროში და სამივე მოათავსეს ერთ ნომერში, ამასთან, დერეფანში იყვნენ პოლიციის თანამშრომლები, რომლებიც მათ მეთვალყურეობდნენ. პოლიციელებმა მხოლოდ 2014 წლის 16 აგვისტოს 17:00 საათზე განახორციელეს აღნიშნული პირების დაკავების ოფიციალური პროცედურა და შედგა შესაბამისი ოქმები.

2014 წლის 16 აგვისტოს ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორმა შუამდგომლობით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ბულგარეთის მოქალაქეების ხ.ხ.-ს, ვ.ვ.-ს და ი.გ.-ს დაკავების თაობაზე. 2014 წლის 16 აგვისტოს ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინებებით (13:11 საათი, 13:23 საათი და 13:38 საათი) დაკმაყოფილდა პროკურორის შუამდგომლობა.

[443]საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველის საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

დაკავების ოქმების თანახმად, ხ.ხ.-ს, ვ.ვ.-ს და ი.გ.-ს დაკავება განხორციელდა 2014 წლის 16 აგვისტოს 17:00 საათზე ბათუმში, ჰაიდარ აბაშიძის ქ. N46, სასტუმრო „კენტის“ ადმინისტრაციულ შენობაში.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ ბრალდებულების სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომის საფუძველზე მიღებულ განჩინებაში აღნიშნა, რომ ბრალდებულები დაკავებული იქნენ არა დაკავების ოქმში მითითებულ დროს, არამედ, მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის მომენტიდან – ჩხრეკის დაწყებიდან, ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 170–ე მუხლის მე–2 ნაწილი დაკავებულად პირს მიიჩნევს სწორედ მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის მომენტიდან.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ბრალდებულები პირადი ჩხრეკის დაწყების დროს იყვნენ პოლიციის თანამშრომლების მეთვალყურეობის ქვეშ, რომლებიც არ აძლევდნენ თავისუფალი გადაადგილების ნებას. აღნიშნული გარემოებები დასტურდება თავად სხდომაზე მონაწილე პროკურორის განმარტებით, რომელმაც აღნიშნა, რომ ხ.ხ., ვ.ვ. და ი.გ. მიემგზავრებოდნენ აეროპორტისკენ ქვეყნიდან გასამგზავრებლად, რაშიც მათ ხელი შეუშალეს საგამოძიებო ორგანოს თანამშრომლებმა, რომლებმაც არ მისცეს ბრალდებულებს გადაადგილების – გზის გაგრძელების შესაძლებლობა, ანუ ფაქტობრივად ისინი დააკავეს. გარდა აღნიშნულისა, პროკურორმა ასევე დაადასტურა ის გარემოებაც, რომ ბრალდებულების გარკვეული დროით „შეჩერება“ აეროპორტის გზატკეცილზე, გამოწვეული იყო ბულგარული ენის მცოდნე თარჯიმნის დროულად მოუძიებლობით. ანუ, ფაქტობრივად დაადასტურა ფაქტი, რომ ასეთ „შეჩერებას“ ნამდვილად ჰქონდა ადგილი და ეს გაგრძელდა მანამ, სანამ არ იქნა ნაპოვნი და ამ პირების „შეჩერების“ ადგილზე მიყვანილი ბულგარული ენის თარჯიმანი.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ აღნიშნა, რომ ცალსახად გასაგებია სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების მოქმედება, მათ არ მისცეს სავარაუდო დამნაშავეს მიმალვის და ქვეყნის დატოვების შესაძლებლობა, მაგრამ გაურკვეველია, რატომ არ მოხდა აღნიშნულ მომენტში კანონით გათვალისწინებული წესის და პროცედურის დაცვით მათი დაკავების ოქმების შედგენა და ყველა შესაბამისი ზომის გატარება, მით უფრო, რომ ყველა ის ძირითადი მტკიცებულება, რაც მათი დაკავების მოთხოვნით სასამართლოსადმი მიმართვის საფუძველი გახდა მომდევნო დღეს, უკვე არსებობდა.

წინამდებარე საქმის გარემოებების სრულყოფილად შესწავლის შედეგად, საქართველოს სახალხო დამცველმა ბულგარეთის მოქალაქეების უკანონო დაკავების ფაქტზე გამოძიების დაწყების შესახებ წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს.

აქვე აღსანიშნავია, რომ, როგორც საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ წარმოდგენილი ბრალდებულის სასამართლოში

პირველი წარდგენისა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ განჩინებებიდან გაირკვა, ბათუმის საქალაქო სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე ამოწმებს ბრალდებულის დაკავების კანონიერების საკითხსაც, მათ შორის, იყო თუ არა სახეზე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით[444] გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევა, რის გამოც ბრალდებულის დაკავება განხორციელდა სასამართლოს წინასწარი კონტროლის გარეშე. ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული მოცემული პრაქტიკა – სასამართლომ ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე შეამოწმოს დაკავების კანონიერებისა და გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევების არსებობის საკითხი, უდავოდ მისასალმებელი ფაქტია.

გ.კ.-ს საქმე

2014 წლის 12 დეკემბერს, დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის N009121214004 საქმეზე. გამოძიებას საფუძვლად დაედო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივ–გამომძიებლის პატაკი (ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, გ.კ. მისი მართვის ქვეშ არსებულ ავტომანქანში ან მითითებულ მისამართზე ინახავდეს ცეცხლსასროლ იარაღსა და საბრძოლო მასალებს).

2014 წლის 12 დეკემბერს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივ–გამომძიებლის დადგენილების საფუძველზე, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, ჩატარდა გ.კ.-ს პირადი ჩხრეკა და მისი ავტომანქანის ჩხრეკა. გ.კ.-მ წერილობითი ფორმით გამოხატა თანხმობა, როგორც პირადი ჩხრეკის, ასევე, მისი მართვის ქვეშ არსებული ავტომანქანის ჩხრეკის ჩატარებაზე.

---

[444] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლის თანახმად, პირის დაკავება სასამართლოს განჩინების გარეშე შესაძლებელია, თუ:
ა) პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე;
ბ) პირი დაინახეს დანაშაულის ჩადენის ადგილას და მის მიმართ დაუყოვნებლივ ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნა მისი დაკავების მიზნით;
გ) პირზე, მასთან ან მის ტანსაცმელზე აღმოჩნდა ჩადენილი დანაშაულის აშკარა კვალი;
დ) პირი დანაშაულის ჩადენის შემდეგ მიიმალა, მაგრამ შემდგომ იგი თვითმხილველმა ამოიცნო;
ე) პირი შესაძლოა მიიმალოს;
ვ) პირი ძებნილია.
3. პირის დაკავება სასამართლოს განჩინების გარეშე ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული და მისი მიმალვის, სასამართლოში გამოუცხადებლობის, საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურებისა თუ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე თავიდან ვერ იქნება აცილებული სხვა, ალტერნატიული ღონისძიებით, რომელიც პროპორციულია სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის გარემოებებისა და ბრალდებულის პირადი მონაცემებისა.

ჩხრეკის ოქმის თანახმად, გ.კ.-ს „ავტომანქანის ჩხრეკისას საბარგულში, ნანახი და ამოღებული იქნა შავი ფერის პოლიეთილენის პარკში მოთავსებული, 4 ნაწილად დაშლილ მდგომარეობაში ცეცხლსასროლი იარაღის მსგავსი რკინის საგანი.“ ექსპერტრიზის N14004/ბ დასკვნის თანახმად, ავტომანქანის ჩხრეკისას ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღი, არის გერმანული წარმოების 9 მმ. კალიბრის „პარაბელუმის“ სისტემის 1908 წლის ნიმუშის (#4625), მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას და ვარგისია სროლისთვის. აღნიშნული ცეცხლსასროლი იარაღი, 2014 წლის 19 ნოემბერს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული IB0185482 ნებართვის საფუძველზე, შენახვის უფლებით რეგისტრირებულია გ.კ.-ზე. გ.კ.-ს მიერ სამართალდამცავებისათვის მიცემული ჩვენების მიხედვით, მას იარაღი დაშლილ მდგომარეობაში მოჰქონდა ხელოსნისაგან.

დაკავების ოქმის თანახმად, გ.კ. დააკავეს 2014 წლის 12 დეკემბერს 18:40 საათზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციულ შენობაში, დაკითხვის დასრულების შემდეგ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236–ე მუხლის მე–2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისთვის.

2014 წლის 14 დეკემბერს, გ.კ.ს სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე მისი დაკავების კანონიერების საკითხზე მსჯელობისას სასამართლომ აღნიშნა, რომ გამოირიცხებოდა დასაბუთებული ვარაუდის არსებობა ბრალდებულის შესაძლო მიმავლვის თაობაზე, რადგან ბრალდებულმა იცოდა სისხლის სამართლის საქმის წარმოების შესახებ და ამის მიუხედავად მცდელობასაც კი არ ჰქონია ადგილი თავი აერიდებინა საგამოძიებო მოქმედებებისათვის. [...] საქმეში არსებული გარემოებების ერთობლიობა გამორიცხავდა ბრალდებულის მიმალვის ვარაუდს და არ იძლეოდა ბრალდებულის დაკავების საფუძველს. სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ „სახეზეა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171–ე მუხლის მოთხოვნების არსებითი დარღვევა, რაც დაკავებულის გათავისუფლების საფუძველია.“

2014 წლის 30 დეკემბერს, საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს მოქალაქე გ.კ.-ს წინააღმდეგ არსებულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით.

2015 წლის 15 იანვარს, თბილისის საქალაქო სასამართლო სასამართლოს გადაწყვეტილებით, გ.კ.-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა, რაც ძალაში დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 23 იანვრის განჩინებით.

საქართველოს პარლამენტის წევრის დაკავება საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი წესის დარღვევით

საქართველოს უზენაესი კანონით საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრი აღჭურვილია იმუნიტეტით: „პარლამენტის წევრის დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი არ მისცემს თანხმობას, პარლამენტის დაკავებული ან დაპატიმრებული წევრი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს."[445]

პირის დაკავება შეიძლება განხორციელდეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171–ე მუხლის ან საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 244–ე მუხლის საფუძველზე. რაც შეეხება საქართველოს პარლამენტის წევრის დაკავების შემთხვევას, საქართველოს უზენაესი კანონის ზემოაღნიშნული ნორმა ერთმნიშვნელოვნად დაუშვებლად აცხადებს პარლამენტის წევრის დაკავებას საქართველოს პარლამენტის თანხმობის გარეშე. საქართველოს კონსტიტუციის 52–ე მუხლის მე–2 პუნქტში იგულისხმება დაკავება როგორც სისხლის სამართლის წესით, ასევე, ადმინისტრაციული წესით, რადგან აღნიშნული პუნქტის პირველი წინადადება საუბრობს საქართველოს პარლამენტის წევრის დაკავების (ზოგადად) დაუშვებლობაზე საკანონმდებლო ორგანოს თანხმობის გარეშე.

საქართველოს კონსტიტუცია და მის შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი,[446] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი[447] და ,,საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ"[448] საქართველოს კანონი საქართველოს

---

[445] საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 52, პუნ. 2.

[446] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 173–ე მუხლის თანახმად, „არ შეიძლება დაკავებულ იქნენ: დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირი და მისი ოჯახის წევრები, საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრი, გენერალური აუდიტორი, საქართველოს სახალხო დამცველი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი, მოსამართლე. ეს აკრძალვა, საქართველოს პრეზიდენტის, დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირისა და მისი ოჯახის წევრების გარდა, არ ვრცელდება ამ კოდექსის 171-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით (პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე) გათვალისწინებულ შემთხვევებზე."

[447] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე–20 მუხლის თანახმად, ,,პარლამენტის წევრის დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი 48 საათის განმავლობაში არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული პარლამენტის წევრი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს."

[448] „საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე–18 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „პარლამენტის წევრის დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით.

პარლამენტის წევრის დაკავებას, პარლამენტის თანხმობის გარეშე, დაუშვებლად აცხადებს. საქართველოს საკანონმდებლო აქტებით დადგენილი საქართველოს პარლამენტის წევრის იმუნიტეტი დაკავებისას სრულ შესაბამისობაშია საქართველოს კონსტიტუციის 52–ე მუხლის მე–2 პუნქტით დადგენილ აკრძალვასთან.

ამავდროულად, საქართველოს კონსტიტუციის 52–ე მუხლის მე–2 პუნქტი ითვალისწინებს გამონაკლისს მოცემული წესიდან: ერთადერთი შემთხვევა, როცა შესაძლებელია საქართველოს პარლამენტის წევრის დაკავება დანაშაულზე წასწრების შემთხვევას წარმოადგენს, თუმცა შემდეგი პირობით – აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი არ მისცემს თანხმობას, პარლამენტის დაკავებული ან დაპატიმრებული წევრი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. საქართველოს კონსტიტუციის მოცემული ნორმა ნათლად და არაორაზროვნად მიუთითებს დანაშაულზე წასწრების შემთხვევაზე. საქართველოს პრალამენტის წევრის ადმინისტრაციული წესით დაკავება ე.ი. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის გამო, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 52–ე მუხლის მოთხოვნას.

საქართველოს პარლამენტის წევრის – ლევან ბეჟაშვილის საქმე

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საკუთარი ინიციატივით შეისწავლა 2014 წლის 4 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოსთან საქართველოს პარლამენტის წევრის – ლევან ბეჟაშვილის დაკავების კანონიერების საკითხი.

ადმინისტრაციული დაკავების ოქმის თანახმად, „2014 წლის 04 ივლისს, 23:50 საათზე, თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანზე მდებარე თბილისის საქალაქო სასამართლოს ეზოში, ადმინისტრაციული წესით, დაკავებული იქნა მოქალაქე ლევან ბეჟაშვილი. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166–ე და 173–ე მუხლებით“[449]. დაკავების ოქმში, დაკავებული პირის სხვა მონაცემებთან ერთად, გრაფაში სახელწოდებით: „სამუშაო ადგილი და თანამდებობა“ მითითებულია: „საქართველოს პარლამენტის წევრი.“ ოქმში აღნიშნულია: „დაკავებულმა განმარტა, რომ იგი არის საქართველოს პარლამენტის წევრი, რის გამოც ოქმის წერა დროებით შეჩერდა აღნიშნულის გადამოწმების მიზნით.“ დაკავებული პირის ანალოგიური შინაარსის განმარტება (არის

გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული პარლამენტის წევრი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს.“

[449] 2014 წლის 7 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს დადგენილებით, ლევან ბეჟაშვილის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის საფუძველზე დაწყებული საქმის წარმოება შეწყდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევის არარსებობის გამო.

პარლამენტის წევრი) ფიქსირდება თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს გლდანის ოცეულის პატრულ ინსპექტორის მიერ 2014 წლის 05 ივლისს შედეგენილ ოქმშიც. მოცემული ოქმის თანახმად, ,,გადამოწმებისთანავე ლევან ბეჟაშვილი გათავისუფლდა დაკავებიდან.“ ოქმზე აღნიშნული შენიშვნის თანახმად, ოქმი შედგენილია 2014 წლის 5 ივლისს 02 საათსა და 10 წუთზე. შესაბამისად, დაკავებული გათავისუფლდა ოქმის შედგენის დასრულებისთანავე, ე.ი. 2014 წლის 5 ივლისს 02:10 საათზე, აღნიშნული კი ნიშნავს იმას, რომ ლევან ბეჟაშვილი დაკავებული იყო ფაქტიურად 02 საათისა და 10 წუთის განმავლობაში, რაც კანონის მოთხოვნებს ეწინააღმდეგება.

დაკავების ოქმში ლევან ბეჟაშვილის მიერ დაფიქსირებული შენიშვნის თანახმად, დაკავებულმა დაკავებისთანავე განუცხადა დამკავებელ პირს იმ ფაქტის შესახებ, რომ ის საქართველოს პარლამენტის წევრი იყო. ამდენად, ნათელია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელს დაუყოვნებლივ უნდა გადაემოწმებინა აღნიშნული ინფორმაცია, რათა არ დაეშვა საქართველოს კონსტიტუციის დარღვევით, საქართველოს პარლამენტის წევრის დაკავება. საქართველოს პარლამენტის წევრის – ლევან ბეჟაშვილის დაკავება განხორციელდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის წესით. შესაბამისად, არ არსებობდა საქართველოს კონსტიტუციის 52–ე მუხლის მე–2 პუნქტით განსაზღვრული საგამონაკლისო – დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რის გამოც საქართველოს პარლამენტის წევრის დაკავება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 52–ე მუხლის მე–2 პუნქტის იმპერატიული ხასიათის მოთხოვნას.

რეკომენდაციები:

საქართველოს საერთო სასამართლოებს:

- გაიზარდოს ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თაობაზე სასამართლოს განჩინების დასაბუთებულობის სტანდარტი. განჩინებებში აღინიშნოს, თუ რა გარემოებების გათვალისწინებით მიიჩნია სასამართლომ აუცილებლად ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის გამოყენება და რატომ ვერ უზრუნველყოფდა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება აღკვეთის ღონისძიების მიზნებს
- ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენებისას სასამართლოს მიერ დეტალურად, შესაბამის მტკიცებულებებზე დაყრდნობით მოხდეს ბრალდებულის ან იმ პირის მატერიალური მდგომარეობის შესწავლა, ვინც უნდა გადაიხადოს გირაოს თანხა
- სასამართლოს მიერ უფრო ხშირად მოხდეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ღონისძიებების ყველა სახის გამოყენება
- საერთო სასამართლოების მიერ ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე მოხდეს დაკავების კანონიერებისა და საქართველოს სისხლის სამართლის

საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლით გათვალისწინებული დაკავების გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევების არსებობის საკითხის შემოწმება

•

საქართველოს უზენაეს სასამართლოს

- შემუშავდეს სტანდარტები საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების ამა თუ იმ სახის გამოყენების თაობაზე გამოტანილი განჩინების ფორმისა და დასაბუთებულობის ხარისხის ამაღლების მიზნით

საქართველოს პროკურატურას

- მოსამართლის განჩინების გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობით პირის დაკავება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც არსებობს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევები

სამართალდამცავ ორგანოებს

- პოლიციის თანამშრომელთა მიერ პირის დაკავებისას მკაცრად და განუხრელად იქნეს დაცული პირის თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება და მოხდეს დაკავების ყველა შემთხვევის დოკუმენტირება საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით
- პოლიციის თანამშრომლებმა დაუყოვნებლივ შეადგინონ ოქმი პირის დაკავების შესახებ, ასევე, სხვა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას პირისათვის თავისუფლების შეზღუდვის შემთხვევაში ოქმში მიუთითონ დაკავების ზუსტი დრო და ადგილი.

სამართლიანი სასამართლოს უფლება

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების შესაბამისად, მართლმსაჯულების განხორციელება სამართლიანი სასამართლო განხილვის გარეშე წარმოუდგენელია. საქართველოს კონსტიტუციის 42–ე მუხლი[450] სამართლიანი სასამართლოს მნიშვნელოვან ელემენტებს შეიცავს.

ევროპის საბჭოს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე–6 მუხლით გარანტირებულია სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება. „სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.“ კონვენციის მე–6 მუხლი შეიცავს ისეთ უმნიშვნელოვანეს და ფუძემდებლურ გარანტიებს, როგორიცაა უდანაშაულობის პრეზუმფცია; დაცვის, თარჯიმნის მომსახურებით სარგებლობის უფლება; ბრალდებისა და დაცვის მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის უზრუნველყოფის მიზნით მტკიცებულებათა მოპოვებისა და გამოკვლევის პროცესში თანაბარი უფლებების რეალიზაციის შესაძლებლობა. ყველა ზემოაღნიშნული ელემენტი არის მინიმალური სტანდარტი, რასაც სასამართლო განხილვა უნდა აკმაყოფილებდეს.

---

[450] საქართველოს კონსტიტუციის 42–წ მუხლის თანახმად,

„1. ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

2. ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

3. დაცვის უფლება გარანტირებულია.

4. არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის.

5. არავინ არ აგებს პასუხს იმ ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.

6. ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი მოწმეების ისეთსავე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორიც აქვთ ბრალდების მოწმეებს.

7. კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს.

8. არავინ არ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრეც განისაზღვრება კანონით.

9. ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან.“

წინამდებარე თავში მიმოხილულია 2014 წლის საანგარიშო პერიოდში მართლმსაჯულების სფეროში გამოვლენილი ნაკლოვანებები. კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში საპროცესო შეთანხმების შესახებ განხორციელებული ცვლილებების ანალიზი, სასამართლოს მიერ საქმის განხილვის გაჭიანურების შემთხვევები, სამართალდამცავი მიერ სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის ფაქტები[451], მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრობითობის პრინციპის დარღვევა, უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის ფაქტები და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის საპარლამენტო ანგარიშში ასახული რეკომენდაცია, ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების გადასინჯვის მექანიზმის შექმნის შესახებ კვლავ არ არის შესრულებული. ამ საკითხის დასარეგულირებლად 2014 წელს საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტის მხრიდან რაიმე ნაბიჯები გადადგული არ ყოფილა.

ასევე არ შესრულებულა სახალხო დამცველის 2013 წლის რეკომენდაცია[452], რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საქმეთა განაწილების წესში ცვლილების აუცილებლობას შეეხებოდა, იმისათვის, რომ გარანტირებული ყოფილიყო საქმეთა განაწილების პროცესის გამჭვირვალობა და სასამართლოს დამოუკიდებლობა.

„საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2014–2020 წლებისთვის)“[453] თანახმად, სტრატეგიულ მიმართულებებს წარმოადგენს:

> 1. სისხლის სამართლის კანონმდებლობის დახვეწა და მხარეთა თანასწორობის პრინციპის განმტკიცება. მისი მიზანი ისეთი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიღებაა, რომელიც სრულად შეესაბამება ადამიანის უფლებების დაცვის კონსტიტუციურ და საერთაშორისო სტანდარტებს და მხარეთა რეალურ თანასწორობას უზრუნველყოფს;

---

[451] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, სამართლიანი სასამართლოს უფლება გამოიყენება არა მხოლოდ საქმის უშუალოდ სასამართლო განხილვის ეტაპზე, არამედ, იმ ეტაპების მიმართაც, რომლებიც წინ უსწრებენ და თან სდევენ სასამართლო განხილვას. სისხლის სამართლის საქმეებთან მიმართებით, სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე–6 მუხლის მოქმედების სფეროში ხვდება წინა სასამართლო ეტაპზე ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს მიერ განხორციელებული გამოძიების პროცესი (იხ. Imbroscia v. Switzerland). მოქალაქე გ.ო.სა და მოქალაქე გ.ო.-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმეებში გამოძიების ეტაპზე სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ადგილი ჰქონდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებს, რომელთა შესწავლის შედეგად საქართველოს სახალხო დამცველმა 2015 წლის 12 მარტსა და 2015 წლის 23 მარტს წინადადებებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორსა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს

[452] საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 246-250

[453] საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 30 აპრილის N2315-IIს დადგენილება

2. სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დაცვის გაუმჯობესება სასამართლო სისტემის განგრძობადი რეფორმის განხორციელებით. მისი მიზანი ეფექტიანი მართლმსაჯულების სისტემის ჩამოყალიბებაა, რომლის ფარგლებშიც სხვა საპროცესო უფლებებთან ერთად მაქსიმალურად იქნება გარანტირებული სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია სასამართლო სისტემის ფართომასშტაბიანი რეფორმის განხორციელებით, რომელიც მოიცავს როგორც მოსამართლეების დამოუკიდებლობის გარანტიების შექმნას, ისე ეფექტიანი გამოძიებისა და სამართალწარმოების სისტემის ჩამოყალიბებას.

„საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014–2015 წლებისთვის)“ თანახმად,[454] სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მიმართულებით დასახულია შემდეგი ამოცანები: სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის დახვეწისათვის საჭირო ცვლილებების ინიცირება; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ლიბერალიზაციის, მოსამართლის დისკრეციის გაზრდის, ნათელი და განჭვრეტადი სისხლის სამართლის ნორმების ფორმირების მიზნით, ცვლილებების პროექტის მომზადება; სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში ადამიანის უფლებების დაცვის გაუმჯობესების მიზნით მოსამართლის როლის გაზრდა.

ამავე გეგმის მიხედვით, დამოუკიდებელი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე მართლმსაჯულების სისტემის მიზანს, სასამართლოს სისტემის განგრძობადი რეფორმის მხარდაჭერის გზით, სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვის გაუმჯობესება წარმოადგენს. აღნიშნული მიზნის მიღწევისთვის დასახულია შემდეგი ამოცანების განხორციელება: სასამართლოს დამოუკიდებლობის გაზრდის ხელშეწყობა სამართლიანი სასამართლოს პრინციპების შესაბამისად; მოსამართლეთა ანგარიშვალდებულების სისტემის გაუმჯობესების მხარდაჭერა სამართლიანობის, ობიექტურობისა და მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვით; სასამართლო სისტემის გამჭვირვალობის გაზრდის მხარდაჭერა საზოგადოებისა და მართლმსაჯულების ინტერესების სამართლიანი დაბალანსების პრინციპის შესაბამისად; მოსამართლეთა კვალიფიკაციის ამაღლება.

2014 წელს საქართველოს პარლამენტის წევრების მიერ მომზადდა კანონპროექტი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ ცვლილებების შეტანის შესახებ.[455] კანონპროექტით შემოთავაზებული იქნა საპროცესო კოდექსის 120–ე მუხლის ცვლილება, რომლის მიხედვით, საგამოძიებო მოქმედებების: ჩხრეკისა და ამოღების გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარებისას გამომძიებლის მიერ დადგენილების გამოტანა საჭირო აღარ იქნებოდა. აღნიშნულ ინიციატივისათან

[454] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივლისის N445 დადგენილება.

[455] იხ. კანონპროექტის სრული ტექსტი განმარტებით ბარათთან ერთად, ხელმისაწვდომია: http://www.parliament.ge/ge/law/7792/15860 [ბოლოს ნანახია 2015 წლის 11 თებერვალს]

დაკავშირებით, 2015 წლის 13 იანვარს, სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს.[456]

სახალხო დამცველის წინადადებაში აღინიშნა, რომ წერილობითი დადგენილების ვალდებულების ამოღება კიდევ უფრო ფორმალურს გახდიდა გადაუდებელი აუცილებლობის გამომწვევი გარემოებების დასაბუთებას და ხელს არ შეუწყობდა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღებას, რაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტანდარტს წარმოადგენს.

სახალხო დამცველის წინადადებაში ხაზი გაესვა იმასაც, რომ მნიშვნელოვანია გადაუდებელი აუცილებლობისას საქართველოს კონსტიტუციის მე–20 მუხლით (პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა) გარანტირებული უფლებით დაცულ სფეროში ჩარევის შემთხვევაში არსებობდეს შესაბამისი წერილობითი დოკუმენტი, სადაც მითითებული იქნება ჩხრეკის ან ამოღების სასამართლოს განჩინების გარეშე ჩატარების საფუძველი, მიზანი და აუცილებლობა. წერილობითი და დასაბუთებული დადგენილების გამოტანა აუცილებელია, რათა სასამართლომ შეაფასოს, რამდენად არსებობდა კონკრეტულ შემთხვევაში შესაბამისი საგამოძიებო მოქმედების გადაუდებლად ჩატარების აუცილებლობა. სასამართლოს გარდა, აუცილებელია, აღნიშნულის შეფასების და გასაჩივრების შესაძლებლობა მიეცეს თავად იმ პირს, რომლის მიმართაც ტარდება ეს მოქმედება, თუ მიიჩნევს, რომ არ არსებობდა გადაუდებელი აუცილებლობით ჩხრეკის ჩატარებისათვის აუცილებელი გარემოებები. შესაბამისად, წერილობითი დადგენილების არარსებობა დააბრკოლებდა მხარის აღნიშნული უფლებით სარგებლობის შესაძლებლობას.

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ კანონპროექტის ავტორებმა გაითვალისწინეს სახალხო დამცველის წინადადება და უკან გაიხმეს მათი 2014 წლის 25 დეკემბრის საკანონმდებლო ინიციატივის ის ნაწილი, რომელიც ითვალისწინებდა ცვლილების შეტანას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლში[457].

საპროცესო შეთანხმების შესახებ განხორციელებული ცვლილებები

საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის საპარლამენტო ანგარიშში გაცემულ ერთ–ერთ რეკომენდაციას იმ საკანონმდებლო ცვლილების განხორციელება წარმოადგენდა, რომლის

---

[456] წინადადება პარლამენტს „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია: http://www.ombudsman.ge/ge/recommendations-Proposal/winadadebebi/winadadeba-parlaments-sisxlis-samartlis-saproceso-kodeqsshi-cvlilebebis-shetanis-shesaxeb-kanonproeqttan-dakavshirebit.page [ბოლოს ნანახია 2015 წლის 11 თებერვალს]

[457] იხ. კანონპროექტის სრული ტექსტი განმარტებით ბარათთან ერთად, ხელმისაწვდომია:http://www.parliament.ge/ge/law/7805 [ბოლოს ნანახია 2015 წლის 11 თებერვალს].

თანახმად, აიკრძალებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144[1], 144[3] და 144[3] მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებზე ბრალდებული და მსჯავრდებული პირებისთვის სასჯელისგან სრულად გათავისუფლება. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2014 წლის 24 ივლისს განხორციელებული ცვლილების თანახმად, განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების დადების შემთხვევაშიც, დაუშვებელია ბრალდებულის/მსჯავრდებულის სასჯელისაგან სრულად განთავისუფლება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144[1]–144[3] მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებზე.[458] შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველი დადებითად აფასებს ზემოაღნიშნული რეკომენდაციის გაზიარების ფაქტს და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილ ცვლილებას.

2014 წლის 24 ივლისს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტმა განიცადა გარკვეული ცვლილებები.

საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებამდე მოქმედი რედაქციის თანახმად, საპროცესო შეთანხმება შესაძლებელი იყო ბრალზე ან სასჯელზე. ცვლილებების შემდეგ, სასჯელზე შეთანხმების მოდელი გაუქმდა (როცა პირი არ ეწინააღმდეგებოდა წაყენებულ ბრალს (თუმცა არც ეთანხმებოდა მას) მაგრამ თანხმდებოდა სასჯელზე), რაც დადებითად უნდა შეფასდეს: „საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საფუძველია საპროცესო შეთანხმება, რომლის თანახმად, ბრალდებული აღიარებს დანაშაულს და უთანხმდება პროკურორს სასჯელზე, ბრალდების შემსუბუქებაზე ან ნაწილობრივ მოხსნაზე.[459] ამდენად, ბრალის აღიარება აუცილებელია საპროცესო შეთანხმების დადებისთვის.

სიახლეს წარმოადგენს ის გარემოება, რომ საპროცესო შეთანხმების დადებისას ბრალდებული პროკურორს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ პირობებთან ერთად შეიძლება შეუთანხმდეს ზიანის ანაზღაურებაზე.[460] ამასთან, პროკურორს დაეკისრა ვალდებულება საპროცესო შეთანხმების დადებისას გააფრთხილოს ბრალდებული საპროცესო შეთანხმების შედეგების შესახებ და განუმარტოს მას, რომ საპროცესო შეთანხმების დადების შემთხვევაში სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი მტკიცებულებების უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევის გარეშე გამოაქვს.[461]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, საპროცესო შეთანხმების შესახებ დგება ოქმი, რომელშიც ასახულია

---

[458] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 218, ნაწ. 8.
[459] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 209, ნაწ. 1.
[460] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 209, ნაწ. 2.
[461] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 210, ნაწ. 1^{2}.

ბრალდებულსა და პროკურორს შორის მოლაპარაკების პროცესი (საპროცესო შეთანხმების ოქმი). საპროცესო შეთანხმების ოქმის ასლი ბრალდებულსა და მის ადვოკატს გადაეცემა. ბრალდებულსა და მის ადვოკატს უფლება აქვთ, საპროცესო შეთანხმების ოქმზე გამოთქვან შენიშვნები, რომლებიც თან დაერთვის ამ ოქმს. საპროცესო შეთანხმების ოქმს ხელს აწერენ პროკურორი, ბრალდებული და მისი ადვოკატი, აგრეთვე ბრალდებულის კანონიერი წარმომადგენელი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.[462] სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობას თან ერთვის საპროცესო შეთანხმების ოქმი.[463] აღსანიშნავია, რომ საპროცესო შეთანხმების ოქმის კანონმდებლობაში დამატების მიუხედავად, ცვლილებებამდე მოქმედი კანონით გათვალისწინებული იყო საპროცესო შეთანხმების წერილობით გაფორმება.[464] შესაბამისად, პრაქტიკაშიც დგებოდა საპროცესო შეთანხმების დადების წერილობითი დოკუმენტი (ოქმი).

რაც შეეხება სასამართლოს მიერ საპროცესო შეთანხმების თაობაზე შუამდგომლობის განხილვას, სიახლეს წარმოადგენს წესი, რომელიც იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ სასამართლომ არ უნდა დაამტკიცოს საპროცესო შეთანხმება, თუ მას მიაჩნია, რომ ამ კოდექსის 212-ე მუხლის მე-2 ნაწილით[465] გათვალისწინებულ გარემოებებზე

---

[462] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 210, ნაწ. 6.

[463] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 211, ნაწ. 7.

[464] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 212, ნაწ. 1.

[465]საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 212 მუხლის მე–2 ნაწილის თანახმად, სასამართლო ვალდებულია საპროცესო შეთანხმების დამტკიცებამდე დარწმუნდეს, რომ:

ა)საპროცესო შეთანხმება დადებულია წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სხვაგვარი ძალადობის, დაშინების, მოტყუების ან რაიმე უკანონო დაპირების გარეშე.

ბ)საპროცესო შეთანხმება ნებაყოფლობით არის დადებული და ბრალდებული ნებაყოფლობით აღიარებს ბრალს.

გ)ბრალდებული სრულად აცნობიერებს საპროცესო შეთანხმების, მათ შორის, ნასამართლობის, სამართლებრივ შედეგებს.

დ)ბრალდებულს ჰქონდა კვალიფიციური იურიდიული დახმარების მიღების შესაძლებლობა.

ე)ბრალდებული სრულად აცნობიერებს იმ დანაშაულის ხასიათს, რომლის ჩადენაშიც მას ბრალი ედება.

ვ)ბრალდებული სრულად აცნობიერებს იმ დანაშაულისათვის გათვალისწინებულ სასჯელს, რომლის ჩადენასაც ის აღიარებს.

ზ) ბრალდებულისათვის ცნობილია საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული, კანონით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა ბრალის აღიარების შესახებ.

თ) ბრალდებული აცნობიერებს, რომ, თუ სასამართლომ არ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება, დაუშვებელია მომავალში მის წინააღმდეგ გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც იგი საპროცესო შეთანხმების განხილვისას სასამართლოს მიაწვდის.

ი) ბრალდებული აცნობიერებს, რომ მას აქვს შემდეგი უფლებები:

ი.ა) დაცვის უფლება.

ი.ბ) საპროცესო შეთანხმებაზე უარის თქმის უფლება.

ი.გ) სასამართლოს მიერ მისი საქმის არსებითი განხილვის უფლება.

კ) ბრალდებული ეთანხმება ბრალის აღიარების შესახებ საპროცესო შეთანხმების ფაქტობრივ საფუძველს.

დამარწმუნებელი პასუხები ვერ მიიღო.[466] საქართველოს სახალხო დამცველის პოზიციით, მოსამართლისთვის აღნიშნული უფლებამოსილების მინიჭება მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, რადგან საპროცესო შეთანხმების დადებისას მიუხედავად იმისა, რომ პირი აღიარებს ბრალს, აუცილებელია ზემოაღნიშნული გარანტიები დაცული იყოს და მათი უგულებელყოფის შემთხვევაში, სასამართლო (მოსამართლე) ვალდებულია არ დაამტკიცოს საპროცესო შეთანხმება.

დადებითად უნდა შეფასდეს მოსამართლის როლის გააქტიურება საპროცესო შეთანხმების დადებისას, თუკი მიიჩნევს, რომ ადგილი ჰქონდა ბრალდებულის უფლებების დარღვევას. კერძოდ, ცვლილების მიხედვით, თუ წინასასამართლო სხდომის გამართვამდე იხილება სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობა და სასამართლო მიიჩნევს, რომ საპროცესო შეთანხმება წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სხვაგვარი ძალადობის, დაშინების, მოტყუების ან რაიმე უკანონო დაპირების შედეგად არის დადებული, იგი საქმეს ზემდგომ პროკურორს გადასცემს. ზემდგომი პროკურორი საპროკურორო საქმიანობის განხორციელების ვალდებულებას სხვა პროკურორს აკისრებს.[467]

მნიშვნელოვანია, რომ ცვლილებების შედეგად, საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გასაჩივრების საფუძვლებს დაემატა შემდეგი საფუძვლები,[468] კერძოდ, მსჯავრდებულს უფლება აქვს, ამ თავით გათვალისწინებული განაჩენის გამოტანიდან 15 დღის ვადაში ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში შეიტანოს საჩივარი საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გაუქმების თაობაზე, თუ:

1. საპროცესო შეთანხმება ისე დაიდო, რომ ამ კოდექსის მე-3 მუხლის 11^1 ნაწილით გათვალისწინებული საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებები არ არსებობდა
2. საქმის განმხილველმა სასამართლომ უგულებელყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსითა და ამ თავით გათვალისწინებული არსებითი მოთხოვნები.

ლ) საპროცესო შეთანხმებაში ბრალდებულსა და პროკურორს შორის მიღწეული შეთანხმების ყველა პირობაა ასახული.
მ) ბრალდებული და მისი ადვოკატი სრულად იცნობენ საქმის მასალებს.

[466] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 213, ნაწ. 3^1.
[467] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 213, ნაწ. 5.
[468] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 215, ნაწ. 3, ქპ. „გ“ და „დ“.

ცვლილებამდე არსებული რედაქცია საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე განაჩენის გასაჩივრების შესაძლებლობას ითვალისწინებდა იმავე თავით[469] (საპროცესო შეთანხმება) გათვალისწინებული არსებითი მოთხოვნის უგულებელყოფის შემთხვევაში, ხოლო დამატებების შედეგად, განაჩენის გასაჩივრების საფუძველია, ასევე, საპროცესო კოდექსის არსებითი მოთხოვნის უგულებელყოფაც. საქართველოს სახალხო დამცველის მოსაზრებით, მტკიცებულებათა არასაკმარისობის საფუძველზე განაჩენის გასაჩივრების შესაძლებლობა უდავოდ, დადებითად უნდა შეფასდეს.

მიუხედავად ზემოაღნიშნული პოზიტიური ხასიათის ცვლილებისა, საკითხის რამდენიმე ახლებური რეგულაცია, სახალხო დამცველის შეფასებით, აუარესებს ბრალდებულთა მდგომარეობას. კერძოდ,

მნიშვნელოვან სიახლეს საპროცესო შეთანხმების პროცესში წარმოდგენს მტკიცებულებითი სტანდარტი, რომელიც საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გამოსატანად არის საკმარისი. ცვლილებების ამოქმედებამდე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი იცნობდა 3 მტკიცებით სტანდარტს: დასაბუთებულ ვარაუდს,[470] ალბათობის მაღალ ხარისხს[471] და გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს.[472] კანონპროექტის განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ ,,მოქმედი რედაქციით, პროკურორს მოეთხოვება სასამართლოს წარუდგინოს საკმარისი მტკიცებულებები, რომ ბრალდებულმა დანაშაული ჩაიდინა. აღნიშნული კი ეწინააღმდეგება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე–13 მუხლის მე–2 ნაწილს.[473]“ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე პროკურორის შუამდგომლობაში მითითებული მტკიცებულებითი სტანდარტი (დასაბუთებული ვარაუდი), რა თქმა უნდა, უფრო დაბალი სტანდარტია განაჩენის გამოსატანად საჭირო მტკიცებულებათა სტანდარტთან შედარებით, თუმცა, ეს არ განსაზღვრავდა სასამართლოს მიერ საპროცესო შეთანხმებისას გამოსატანი განაჩენისათვის მტკიცების სტანდარტს.

გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთვის საჭირო იყო და არის მტკიცებულებათა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის არსებობა, რადგანსაქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე–13 მუხლის მე–2 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას.

---

[469] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თავი 21.
[470] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 3, ნაწ. 11.
[471] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 3, ნაწ. 12.
[472] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 3, ნაწ. 13.
[473] იხ. http://parliament.ge/ge/law/1371/3812

ანალოგიური წესი მოქმედებდა საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანისას: „თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილია უტყუარი მტკიცებულებანი პირის ბრალის დასადასტურებლად, ხოლო მოთხოვნილი სასჯელი არის კანონიერი და სამართლიანი, მას გამოაქვს განაჩენი სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობის პროკურორის მიერ წარდგენიდან 15 დღის ვადაში."[474] სხვა რაიმე დამატებითი მტკიცებულების სტანდარტი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცვლილებებამდე მოქმედ რედაქციაში არ გვხვდებოდა. საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ, საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გამოსატანად საჭიროა არა უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა ბრალის დასადასტურებლად, არამედ <u>საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობა</u>, კერძოდ, „თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ წარდგენილია ამ კოდექსის მე-3 მუხლის 11^1 ნაწილით გათვალისწინებული საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებები, ამ კოდექსის 212-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ გარემოებებზე დამარწმუნებელი პასუხები მიიღო და მოთხოვნილი სასჯელი არის კანონიერი და სამართლიანი, მას გამოაქვს გადაწყვეტილება სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე."[475]

საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარის მტკიცებულებებს წარმოადგენს მტკიცებულებები, რომლებიც დაარწმუნებდა ობიექტურ პირს, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული, იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებული აღიარებს დანაშაულს, სადავოდ არ ხდის ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს და უარს ამბობს სასამართლოს მიერ მისი საქმის არსებითი განხილვის უფლებაზე.[476] ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ განხორციელებული ცვლილებების შედეგად საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გამოსატანად საჭირო მტკიცებულებითი სტანდარტის დაწევა მოხდა მიღებული ცვლილებებით.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების მიზნებს ემსახურება. საპროცესო შეთანხმების დადების შემთხვევაში სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი მტკიცებულებების უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევის გარეშე გამოაქვს. ბრალდებული უარს ამბობს მის ზემოაღნიშნულ უფლებაზე (მტკიცებულებათა გამოკვლევაზე), ეთანხმება ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, რაც, ბუნებრივია, არ გულისხმობს მტკიცებულებათა ერთობლიობის უფრო დაბალი სტანდარტის არსებობას ან იმას, რომ ბრალდებული პირის მიმართ უფრო დაბალი სტანდარტის ბრალის დამტკიცება არის

---

[474] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (2014 წლის 24 ივლისამდე მოქმედი რედაქცია), მუხ. 213, ნაწ. 4.
[475] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 213, ნაწ. 4.
[476] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 3, ნაწ. 11^1.

საპროცესო სეთანხმების მიზანი. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შემთხვევაში პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი დგება. გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის აუცილებელი მტკიცებულებითი სტანდარტი ნებისმიერ შემთხვევაში, მათ შორის, საპროცესო შეთანხმების დადებისას, უზრუნველყოფილი და გარანტირებული უნდა იყოს.

კიდევ ერთი ცვლილება, რომელმაც შესაძლოა გააუარესოს ბრალდებულის მდგომარეობა, არის მოსამართლის მიერ საქმის პროკურორისთვის დაბრუნების წესი.

2014 წლის 24 ივლისს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანამდე მოქმედი რედაქციის თანახმად, „თუ წინასასამართლო სხდომის ჩატარებამდე იხილება შუამდგომლობა საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე და სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს ბრალის დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულებანი, ან დაადგენს, რომ შუამდგომლობა სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე წარდგენილია ამ თავის მოთხოვნათა დარღვევით, იგი საქმეს უბრუნებს პროკურორს. სასამართლო პროკურორისათვის საქმის დაბრუნებამდე მხარეებს სთავაზობს, შუამდგომლობის სასამართლო განხილვისას შეცვალონ საპროცესო შეთანხმების პირობები, რაც შეთანხმებული უნდა იყოს ზემდგომ პროკურორთან. თუ სასამართლოს შეცვლილი პირობებიც არ აკმაყოფილებს, იგი საქმეს უბრუნებს პროკურორს.“[477]

ამდენად, ზემოაღნიშნული დანაწესისამებრ, მოსამართლეს პროკურორისთვის საქმის დაბრუნება შეეძლო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წინასასამართლო სხდომის ჩატარებამდე იხილებოდა შუამდგომლობა საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე. რაც შეეხება საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ დადგენილ წესს, მოსამართლეს იმავე საფუძვლებით საქმის პროკურორისთვის დაბრუნება შეუძლია არა მხოლოდ წინასასამართლო სხდომის გამართვამდე, არამედ ნებისმიერ ეტაპზე: „თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ კოდექსის მე-3 მუხლის 11^1 ნაწილით გათვალისწინებული საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებები არ არსებობს, ან დაადგენს, რომ სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობა ამ თავის სხვა მოთხოვნათა დარღვევით არის წარდგენილი, იგი საქმეს პროკურორს უბრუნებს. პროკურორისათვის საქმის დაბრუნებამდე სასამართლო მხარეებს სთავაზობს, შუამდგომლობის სასამართლო სხდომაზე განხილვისას შეცვალონ საპროცესო შეთანხმების პირობები, რაც შეთანხმებული უნდა იყოს

[477] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (2014 წლის 24 ივლისამდე მოქმედი რედაქცია), მუხ. 213, ნაწ. 5.

ზემდგომ პროკურორთან. თუ სასამართლოს საპროცესო შეთანხმების შეცვლილი პირობებიც არ აკმაყოფილებს, იგი საქმეს პროკურორს უბრუნებს."[478]

თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკმარისი მტკიცებულებები ბრალის დასადასტურებლად, საქართველოს სახალხო დამცველის შეხედულებით, გაუმართლებელია საქმის პროკურორისთვის დაბრუნების უფლებამოსილების არსებობა სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ ეტაპზე. პროკურორისთვის საქმის დაბრუნება შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ იმ ეტაპზე, როცა წინასასამართლო სხდომის გამართვამდე იხილება შუამდგომლობა საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე, რადგან წინასასამართლო სხდომის გამართვამდე შესაძლებელია დამატებითი მტკიცებულებების მოპოვება, ხოლო თუ არსებითი განხილვის ეტაპზე მოსამართლე მიიჩნევს, რომ არ არსებობს ბრალის დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულებები, მან კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს.

საქმის განხილვის გაჭიანურება

საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა რამდენიმე შემთხვევა, როცა პირველი ინსტანციის სასამართლო კანონით დადგენილ ვადაში არ გადასცემს მხარეს (მსჯავრდებულს) განაჩენის ასლს, ასევე, არ უგზავნის სააპელაციო საჩივარს სააპელაციო სასამართლოს.

განაჩენისა და განსხვავებული აზრის ასლი მსჯავრდებულს ან გამართლებულს და ბრალმდებელს უნდა გადაეცეს განაჩენის გამოცხადებიდან არა უგვიანეს 5 დღისა, ხოლო რთულ, მრავალტომიან ან მრავალი პირის ბრალდების საქმეზე – არა უგვიანეს 14 დღისა.[479] ამდენად, სახეზეა, რომ სასამართლოს ეკისრება ვალდებულება გადასცეს განაჩენის ასლი მხარეს ზემოაღნიშნულ ვადაში. ამავდროულად, საგამონაკლისო წესს კანონი არ ითვალისწინებს. რაც შეეხება სააპელაციო საჩივრის სააპელაციო სასამართლოსთვის გადაგზავნას, უნდა აღინიშნოს, რომ სააპელაციო საჩივარი განაჩენის გამომტან პირველი ინსტანციის სასამართლოში შედის, რომელიც კანონით დადგენილი წესით უზრუნველყოფს მის გადაგზავნას სააპელაციო ინსტანციაში.

სასამართლო სააპელაციო საჩივრის ასლს არა უგვიანეს 5 დღისა გადაუგზავნის მეორე მხარეს, რათა მან წარადგინოს საჩივრის შესაგებელი. მეორე მხარემ სასამართლოს შესაგებელი უნდა წარუდგინოს საჩივრის ასლის მიღებიდან არა უგვიანეს 5 დღისა.[480] სააპელაციო საჩივრის შესაგებლის წარდგენის ან მისი წარდგენისთვის განსაზღვრულ 5–

---

[478] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 213, ნაწ. 6^{1}.
[479] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 278.
[480] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 294, ნაწ. 2.

დღიან ვადაში წარუდგენლობის შემდეგ, პირველი ინსტანციის სასამართლო ვალდებულია სისხლის სამართლის საქმე, სააპელაციო საჩივარი და შესაგებელი (მისი არსებობის შემთხვევაში) გადაგზავნოს სააპელაციო სასამართლოში. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა, რომ კანონი არ აწესებს კონკრეტულ ვადას, რა ვადაში უნდა გადაგზავნოს პირველი ინსტანციის სასამართლომ სააპელაციო სასამართლოში სააპელაციო საჩივარი და სისხლის სამართლის საქმე. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად,[481] საქმე, საჩივარი და მისი შესაგებელი პირველი ინსტანციის სასამართლოდან იგზავნება სააპელაციო სასამართლოში. მიუხედავად კონკრეტული ვადის შესახებ მითითების არარსებობისა, ეს პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის, სააპელაციო სასამართლოში საქმის რამდენიმე თვის განმავლობაში არგადაგზავნის და შესაბამისად, არაგონივრული ვადით საქმის განხილვის გაჭიანურების საფუძველი არ უნდა გახდეს.

წარმოგიდგენთ რამდენიმე საქმეს, რომლებშიც განმცხადებლები საქართველოს სახალხო დამცველს მიუთითებდნენ განაჩენის გამომტანი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მათი სააპელაციო საჩივრის სააპელაციო სასამართლოში გადაუგზავნელობის შესახებ. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში განხილულ რამდენიმე განცხადებაში მსჯავრდებულების მიმართ განაჩენი გორის რაიონულმა სასამართლომ გამოიტანა და განმცხადებლები სწორედ გორის რაიონული სასამართლოს მიერ საქმის სააპელაციო სასამართლოში გადაუგზავნელობაზე მიუთითებდნენ.

მოქალაქე ჯ.მ.–ს საქმე

მსჯავრდებულ ჯ.მ.ს მიერ საქართველოს სახალხო დამცველისთვის წარმოდგენილი განცხადებიდან ირკვევა, რომ გორის რაიონულმა სასამართლომ მის მიმართ განაჩენი 2014 წლის 27 ივნისს გამოიტანა. მოცემული განაჩენი დაცვის მხარემ გამოცხადებიდან დაახლოებით 20 დღის ვადაში გაასაჩივრა. ჯ.მ.–ს თქმით, განაჩენის ასლი მსჯავრდებულმა მხოლოდ 2014 წლის 23 ოქტომბერს მიიღო. მსჯავრდებული სასჯელაღსრულების დაწესებულების სოციალური მუშაკის საშუალებით დაუკავშირდა გორის რაიონულ სასამართლოს და გაარკვია, რომ სააპელაციო საჩივარი 2014 წლის 25 ნოემბრის მდგომარეობითაც არ ყოფილა გადაგზავნილი თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

2014 წლის 12 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს და ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოითხოვა კონკრეტული ინფორმაციის წარმოდგენა (როდის გამოიტანა ჯ.მ.–ს მიმართ განაჩენი გორის რაიონულმა სასამართლომ; როდის დარეგისტრირდა ჯ.მ.–ს და მისი ადვოკატის სააპელაციო სასამართლოში), თუმცა, აპარატს მოცემულ წერილზე პასუხი დღემდე არ მიუღია.

[481] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 295.

მოქალაქე ნ.თ.–ს საქმე

მსჯავრდებულ ნ.თ.–ს მიერ საქართველოს სახალხო დამცველისთვის წარმოდგენილი განცხადებიდან ირკვევა, რომ 2014 წლის 13 აპრილს მის მიმართ განაჩენი გამოიტანა გორის რაიონულმა სასამართლომ. დაცვის მხარემ აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა, თუმცა მსჯავრდებულის ინფორმაციით, 2015 წლის 13 თებერვლის მდგომარეობით, მისი სააპელაციო საჩივარი გორის რაიონული სასამართლოდან თბილისის სააპელაციო სასამართლოში ჯერ კიდევ არ ყოფილა გადაგზავნილი. მსჯავრდებულმა ნ.თ.–მ 2014 წლის 8 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულთან შეხვედრისას ასევე აღნიშნა, რომ განაჩენის ასლი მოცემულ დრომდე არ ჰქონია მიღებული.

მოქალაქეების: ლ.ი.–ს და გ.კ.–ს საქმე

მსჯავრდებულ ლ.ი.–ს მიერ საქართველოს სახალხო დამცველისთვის წარმოდგენილი განცხადებიდან ირკვევა, რომ გორის რაიონულმა სასამართლომ მის მიმართ განაჩენი 2014 წლის 8 დეკემბერს გამოიტანა. მსჯავრდებულ გ.კ.–ს განმარტებით კი, გორის რაიონულმა სასამართლომ მის მიმართ 2014 წლის 17 დეკემბერს გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი. მსჯავრდებულები აღნიშნავენ, რომ მათ 2015 წლის 5 თებერვლის მდგომარეობით, ჯერ კიდევ არ ჰქონდათ მიღებული გორის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენების ასლები. აღნიშნულის გამო ისინი ვერ სარგებლობდნენ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მსჯავრდებულის უფლებებით (მათ შორის, პაემნის, სატელეფონო საუბრის და სხვა უფლებებით).

2014 წლის საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ დაფიქსირდა სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის არაერთი შემთხვევა საქმის უსაფუძვლოდ (ბრალდების მხარის გამოუცხადებლობა) გაჭიანურების მიზეზითაც.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა, მათ შორის, საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით ნაკისრი ვალდებულებები, ითვალისწინებს პირის უფლებას, მისი ბრალდების სისხლის სამართლის საქმე ეროვნულმა სასამართლომ განიხილოს გონივრულ ვადაში, უსაფუძვლო გაჭიანურების გარეშე.[482]

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა, საქმის უსაფუძვლოდ გაჭიანურების მიზეზით, არაერთ საქმეში დაადგინა. ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პრეცედენტული სამართლით

[482] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, „წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.“

დაამკვიდრა საქმის გონივრულ ვადაში განხილვის სტანდარტები. ერთ-ერთ პირველ საქმეში სასამართლომ მკაფიოდ და დამაჯერებლად ჩამოაყალიბა გონივრულ ვადაში საქმის განხილვის უფლების დანიშნულება: „ამ დებულების ნამდვილი მიზანი სისხლის სამართლის საქმეებში არის იმის უზრუნველყოფა, რომ პირები ბრალდების ქვეშ არ იყვნენ ძალზე დიდი ხნით და რომ ბრალდების საფუძვლიანობა განისაზღვროს.“ [483]

სასამართლომ საქმის განხილვის უფლება შეიძლება ეფექტიანად განახორციელოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილება გონივრულ ვადაში იქნება გამოტანილი. ამის ალტერნატივა იქნებოდა განუსაზღვრელი ვადით მისი გადადება, რაც მართლმსაჯულებაზე უარის თქმის ტოლფასია. არსებობს ასევე სასამართლო განხილვის გაუმართლებელი გაჭიანურების საზოგადოებრივი ინტერესი. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემას აქვს გაცილებით უფრო ფართო მიზნები, ვიდრე უბრალოდ სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის ხელშეწყობა.

ეროვნული სასამართლოს მიერ საქმის განხილვის უსაფუძვლოდ გაჭიანურების საკითხის განხილვისას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აფასებს როგორც საქმის სირთულეს, ასევე მხარეების მოქმედებას, კერძოდ, ხომ არ ყოფილა საქმის გაჭიანურება გამოწვეული მხარეების მოთხოვნის მიზეზით. ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო რეგულარულად აცხადებს, რომ „ხელშემკვრელ სახელმწიფოებს კონვენცია აკისრებს ვალდებულებას, მოახდინონ თავიანთი სამართლებრივი სისტემის ისეთი ორგანიზება, რომელიც უზრუნველყოფს, სასამართლოების მიერ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნების დაკმაყოფილებას, მათ შორის, სასამართლო განხილვის ჩატარებას „გონივრულ ვადაში“.

თვალსაჩინოებისთვის წარმოვადგენთ მოქალაქე გ.ს.–ს და მოქალაქე ლ.მ.–ს საქმეებს.

მოქალაქე გ. ს.–ს საქმე

საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა ბრალდებულმა გ.ს.–მ. ამავდროულად, საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, თელავის რაიონული სასამართლოს წარმოებაში არსებულ გ. ს.-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე არსებითი განხილვის სხდომა 41-ედ გადაიდო. ამავე ინფორმაციის თანახმად, ბრალდების მხარე საქმის არსებითი განხილვის 13 სხდომაზე არ გამოცხადდა.

თელავის რაიონული სასამართლოს მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე სხდომა პროკურორის გამოუცხადებლობის მიზეზით გადაიდო ექვსჯერ, საქმის

[483]იხ. ვემჰოფი (Wemhoff) გერმანიის წინააღმდეგ, §18.

გაცნობის მიზეზით - სამჯერ, პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე კი, ერთხელ გადაიდო.

ამასთან, როგორც თელავის რაიონული სასამართლოს მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან გაირკვა, გ. ს.-სა და სხვების ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე საქმის არსებითი განხილვა მრავალჯერ გადაიდო სხვა დროისთვის ბრალდების მხარის მიერ დასახელებული სხვადასხვა მიზეზით.

თელავის რაიონული სასამართლოს მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის მოწოდებული დოკუმენტაციის თანახმად, გაირკვა, რომ რამდენიმე შემთხვევაში პროკურორმა განცხადებით მიმართა სასამართლოს სხდომის გადადების მოთხოვნით, მაშინ, როდესაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, მხარეს სასამართლოს სხდომის გადადების მოთხოვნით შეუძლია მიმართოს შუამდგომლობით.[484]

მოცემულ მიმართვაზე სასამართლომ პროკურორს წერილობით განუმარტა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 185-ე მუხლით გათვალისწინებული სხდომის თარიღის შეცვლის შესახებ შუამდგომლობით მიმართვის პროცედურა, თუმცა, მიუხედავად ამისა, პროკურორმა შემდგომ შემთხვევებშიც კვლავ განცხადებით და არა შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს სხდომის თარიღის შეცვლის შესახებ.

მოქალაქე ლ. მ.–ს საქმე

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა განიხილა მოქალაქე ლ.მ.–ს განცხადება. თბილისის საქალაქო სასამართლოსთვის მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია სისხლის სამართლის საქმე ბრალდებულების: გ.დ.–ს და ლ.მ.–ს მიმართ, დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143–ე მუხლის პირველი ნაწილით, 333–ე მუხლის მე–3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით; 144[1]–ე მუხლის მე–2 ნაწილის „ა,“ „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით. ზემოაღნიშნული საქმის არსებითი განხილვა 2014 წლის ივნისიდან 2015 წლის იანვრამდე ვერ მოხერხდა, გადაიდო 22 სასამართლო სხდომა. სასამართლო

[484] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 185-ე მუხლის მე–4 და მე–5 ნაწილების თანახმად, „4. მხარეს უფლება აქვს, სასამართლოს წინასწარ მიმართოს დასაბუთებული შუამდგომლობით სასამართლო განხილვის სხდომის თარიღის შეცვლის (დადგენილ თარიღზე ადრე ან გვიან დანიშვნის) შესახებ, რის თაობაზედაც უნდა აცნობოს მეორე მხარეს. სასამართლო შუამდგომლობას განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე. მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება. 5. მხარეებს უფლება აქვთ, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ერთობლივად, წინასწარ მიმართონ სასამართლოს დასაბუთებული შუამდგომლობით სასამართლო განხილვის სხდომის თარიღის შეცვლის (დადგენილ თარიღზე ადრე ან გვიან დანიშვნის) შესახებ. სასამართლო შუამდგომლობას განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე. მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ გასაჩივრდება.“

სხდომებზე პროკურორები ან საერთოდ არ ცხადდებოდნენ, ანდა მოუმზადებელნი მოდიოდნენ და სხდომის გადადებას ამ მოტივით ითხოვდნენ.

მართალია, საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საქმის განხილვისას პროკურორის უცვლელობის სავალდებულოობას, როგორც ეს მოსამართლის შემთხვევაშია გათვალისწინებული. შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ ისეთ შემთხვევებში, როდესაც პროკურორი, რომელიც ახორციელებდა საქმეზე საპროცესო ხელმძღვანელობას გამოძიების მიმდინარეობისას და მხარს უჭერდა სახელმწიფო ბრალდებას, საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვერ ახერხებს გამოცხადებას, საქართველოს პროკურატურა ვალდებულია საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მიავლინოს სხვა პროკურორი, რომლისთვისაც სხდომის თარიღისთვის უკვე ცნობილი იქნება საქმის მასალები და შეძლებს სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერას. აღნიშნული ქმედებით თავიდან ავიცილებთ საქმის განხილვის უსაფუძვლოდ გაჭიანურებას.

მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა

საქართველოს კონსტიტუციის[485] თანახმად, სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის კონსტიტუციური პრინციპი გაზიარებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშიც.[486] მოცემული საკანონმდებლო აქტი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესის მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე განხორციელების იმპერატიულობაზე მიუთითებს.

მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა სამართლიანი სასამართლოს უფლების ფუძემდებლური ელემენტია, ურომლისოდაც სამართლიანი სასამართლო განხილვა წარმოუდგენელი და შეუძლებელია. ბრალდებულს აქვს სამართლიანი პროცესის უფლება.[487] სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის რეალიზაციისთვის არაერთ გარანტიას აწესებს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის განმტკიცების მიზნით ცვლილებები საქართველოს პარლამენტმა 2013 წლის ივნისში მიიღო. გამოძიების პროცესში მოწმის დაკითხვის წესი 2015 წლის 31 დეკემბრამდე კვლავ მოქმედებს. საქართველოს სახალხო დამცველის

[485] საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 85, პუნ. 3.
[486] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 9, ნაწ. 1.
[487] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 8, ნაწ. 1.

პოზიციით, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია მოწმის მხოლოდ სასამართლოში დაკითხვის სავალდებულოობის წესის დროულად ამოქმედება. ამასთან, მნიშვნელოვანია, შესაბამისმა უწყებებმა წარმოადგინონ სრული ინფორმაცია მათ მიერ აღნიშნული ნორმის დროულად ამოქმედების მიზნით გადადგმული ნაბიჯების შესახებ. მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია, რაც შეიძლება სწრაფად გაუქმდეს გამოძიების ეტაპზე მოწმის დაკითხვის წესი და შემცირდეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლით განსაზღვრული ვადა, რაც საპროცესო უფლებების თანაბარ რეალიზაციას უზრუნველყოფს.

მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის უზრუნველსაყოფად სასამართლო ვალდებულია შეუქმნას მათ თანაბარი შესაძლებლობები ისე, რომ არცერთ მათგანს არ მიანიჭოს უპირატესობა. იმისთვის, რომ სასამართლო განხილვის დროს მხარეები რეალურად იყვნენ თანასწორ პირობებში, მათ უნდა ჰქონდეთ თანაბარი შესაძლებლობები, ერთნაირად მიუწვდებოდეთ ხელი სისხლის სამართლის საქმის მასალებზე, იცნობდნენ ერთმანეთის მტკიცებულებებს, მიიღონ მონაწილეობა მათ გამოკვლევაში, წარმოადგინონ საწინააღმდეგო პოზიციის არგუმენტები და მტკიცებულებები.[488]

იმ მიზნით, რათა თანასწორობის პრინციპის საფუძველზე დაცული იყოს ბრალდებულის უფლება ბრალდების მხარის მიმართ, კანონით ბრალდებულს და მის ადვოკატს უფლება აქვთ, ამ კოდექსით დადგენილ ფარგლებში და დადგენილი წესით გაეცნონ ბრალდების მხარის მტკიცებულებებს, მიიღონ მტკიცებულებისა და სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლები.[489] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი აკონკრეტებს მხარეთა მიერ შესაძლო მტკიცებულებათა თაობაზე მხარეებს შორის ინფორმაციის გაცვლის წესს. დაცვის მხარის მოთხოვნა ბრალდების მხარის იმ ინფორმაციის გაცნობის თაობაზე, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც ბრალდების მხარე აპირებს, სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს. ბრალდების მხარე ასევე ვალდებულია ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაცვის მხარეს გადასცეს მის ხელთ არსებული გამამართლებელი მტკიცებულებები.[490] სასამართლოში ბრალდებულის პირველ წარდგენამდე მხარეები ვალდებული არიან მისცენ ერთმანეთს იმ ინფორმაციისა და მტკიცებულების გაცნობის შესაძლებლობა, რომელთა სასამართლოში წარდგენასაც ისინი აპირებენ, ასევე გადასცენ წერილობითი მტკიცებულებების ასლები.[491]

---

[488] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 25, ნაწ. 1.
[489] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 38, ნაწ. 13.
[490] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 83, ნაწ. 1.
[491] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 83, ნაწ. 8.

სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობისას, მხარისთვის მეორე მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულების გაცნობის, მხარეთა შორის ინფორმაციის გაცვლის სავალდებულოობა ნათლად მეტყველებს იმ ფუნდამენტურ მნიშვნელობაზე, რაც მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპს აქვს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საგულისხმოა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესი, კერძოდ, ინფორმაციის გაცვლის მოთხოვნის შემდეგ იმ მომენტისათვის არსებული მასალის მხარისათვის სრული მოცულობით გადაუცემლობა იწვევს ამ მასალის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობას;[492] სასამართლოს (ნაფიც მსაჯულებს) არ უნდა წარედგინოს მტკიცებულება, თუ მხარეებს მისი უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევის თანაბარი შესაძლებლობა არ ჰქონიათ, გარდა ამ კოდექსით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.[493]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, თანასწორობის პრინციპი „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ კონვენციის მე–6 მუხლის მე–3 პუნქტთან ერთად აკისრებს ვალდებულებას საგამოძიებო ორგანოებს, ბრალდებულს გააცნონ ნებისმიერი მასალა, რომელიც მათ ხელთ აქვთ, ან რომელზეც მათ შეიძლება ხელი მიუწვდებოდეთ – იმის გათვალისწინებით, რომ ამ მასალის ან ინფორმაციის მეშვეობით ბრალდებულს შეეძლება თავის გამართლება ან მისთვის დაკისრებული სასჯელის შემსუბუქება.“[494]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თანახმად, „შეჯიბრებითობის პრინციპი ნიშნავს იმას, რომ სამართალწარმოების მხარეებს ჰქონდეთ შანსი იცნობდნენ და ჰქონდეთ კომენტარების გაკეთების საშუალება საქმესთან დაკავშირებულ ყველა მტკიცებულებასთან დაკავშირებით.“[495] „ეროვნულმა სასამართლომ უმთავრესად არ შეიძლება მსჯავრდება დააფუძნოს იმ მტკიცებულებაზე, რომლის მიმდინარეობა ან თვით შინაარსი არ არის ცნობილი განმცხადებლისთვის.“[496] „საქმის მასალების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამართალწარმოების დასაწყისშივე, ანუ პირისთვის ბრალდების წარდგენის, დაპატიმრების ან სამართალწარმოების შედეგად მისი მდგომარეობის არსებითი ცვლილების მომენტიდან“.[497]

საქმეში, „ჩაჰალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, სასამართლომ ასევე განმარტა, რომ როდესაც სასწორზე დევს სახელმწიფო უშიშროების ინტერესები, ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა შეიძლება აუცილებელი იყოს, მაგრამ ადგილობრივი

[492] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 83, ნაწ. 3.
[493] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 14, ნაწ. 1.
[494] იხ. საქმე ,,Jespers v. Belgium.“
[495] იხ. საქმე „Vermelen v. Belgium.“
[496] იხ. საქმე „Rowe and Davis v. the United Kingdom.“
[497] შტეფან ტრექსელი „ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში,“ 2009 წ., გვ. 254, იხ. საქმეები: „ჰარისი, ო'ბოილი და უორბრიქი“ (1995) პარ. 253; „მერილსი და რობერტსონი“, 2001 წ., პარ.121.

ხელისუფლების ორგანოები სასამართლოს ეფექტიანი კონტროლისგან ნებისმიერ შემთხვევაში არ თავისუფლდებიან, როცა ამტკიცებენ, რომ საქმე ეხება სახელმწიფო უშიშროებასა და ტერორიზმს. აქედან გამომდინარე, ყოველ საქმეში, როდესაც დაცვის მხარე ითხოვს გარკვეული მტკიცებულების გაცნობას, ხოლო პროკურატურა ამის წინააღმდეგია სახელმწიფო უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე, საქმის განმხილველმა სასამართლომ უნდა დააბალანსოს ინფორმაციის გამჟღავნების საჯარო ინტერესი და ამ ინფორმაციის მნიშვნელობა დაცვის მხარისათვის. ამავე დროს მე-6 (1) მუხლით დასაშვებია დაცვის უფლების მხოლოდ ისეთი შეზღუდვა, რომელიც „მკაცრად აუცილებელია."[498] ამასთან, საქმეში, „დოუსეტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ", სასამართლომ განმარტა, რომ „ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის შესახებ ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სასამართლომ და არა ერთპიროვნულად პროკურატურამ. გარდა ამისა, ასეთი ინფორმაციის საქმესთან შესახებობის საკითხი ასევე უნდა განსაზღვროს საქმის განმხილველმა მოსამართლემ."[499]

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ერთადერთ გამონაკლისს საქმის მასალების სრულყოფილად გაცნობის (გადაცემის) წესიდან, წარმოადგენს შემდეგი შემთხვევა: დაცვის მხარის უფლება ინფორმაციის მიღებაზე, ბრალდების მხარის შუამდგომლობით სასამართლომ შეიძლება შეზღუდოს მხოლოდ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ან ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ნაწილში და მხოლოდ წინასასამართლო სხდომამდე.[500]

რაც შეეხება სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ მასალას, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ამ თვალსაზრისით არაფერს ამბობს. საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა საქმე (ე.წ. „კაბელების" საქმე), სადაც იკვეთება აღნიშნული პრობლემა, კერძოდ, გამომდინარე იქიდან, რომ სისხლის სამართლის საქმეს მთლიანად მინიჭებული ჰქონდა გრიფი „საიდუმლო," დაცვის მხარეს არ გადაეცა საქმის მასალების ასლები.

საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ სისხლის სამართლის საქმისთვის „საიდუმლო" გრიფის მინიჭების გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია შეფასდეს საქმის კონკრეტული მასალისთვის (დოკუმენტისთვის) „საიდუმლო" გრიფის მინიჭების მიზანშეწონილობა; ასევე, კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის მხოლოდ ის მასალა

---

[498] „სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად", (სარედაქციო კოლეგია: მთავარი რედაქტორები/ავტორები: იონკო გროზევი, დოვიდას ვიტკაუსკასი, სიან ლევის-ენტონი), 2008 წ. გვ.83.

[499] „სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად", (სარედაქციო კოლეგია: მთავარი რედაქტორები/ავტორები: იონკო გროზევი, დოვიდას ვიტკაუსკასი, სიან ლევის-ენტონი), 2008 წ. გვ.84.

[500] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 83, ნაწ. 5.

უნდა გასაიდუმლოვდეს , რომელიც შეიცავს „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ინფორმაციას, რადგან მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იქნეს გამოძიების პროცესში ბრალდებულებისთვის საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო აქტებით გარანტირებული ადამიანის უფლებები, მათ შორის, მხარეთა თანასწორობის პრინციპის შესაბამისად, დაცვის მხარისთვის სისხლის სამართლის საქმის მასალებზე ხელმისაწვდომობა.[501]

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლების (ე.წ. „კაბელების“) საქმე

2014 წლის 28 ოქტომბერს დააკავეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლები: გ.ღ., ა.ა., ნ.კ., გ.ლ. და დ.წ. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანხმად, „2014 წლის 20 ივნისს საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის #074200614801 საქმეზე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცალკეული თანამშრომლების მიერ სახელმწიფოს კუთვნილი თანხის გაფლანგვის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182–ე მუხლის მე–2 ნაწილის „ა,“ „დ“ და მე–3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. იმის გათვალისწინებით, რომ საქმე ეხებოდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვას და ამ შესყიდვასთან დაკავშირებულ ყველა დოკუმენტს თავდაცვის სამინისტროს მიერ მინიჭებული ჰქონდა საიდუმლო გრიფი [...], 2014 წლის 20 ივნისს საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილის დადგენილებით საქმეს მიენიჭა გრიფი „საიდუმლო.“ [...] მას შემდეგ რაც გაირკვა, რომ დაცვის მხარის არცერთ ადვოკატს არ ჰქონდა საიდუმლო დოკუმენტაციაზე დაშვების უფლება და შესაბამისად, ვერ წარმოადგინეს სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული საქმიანობის და სახელმწიფო საიდუმლოებაზე შესაბამისი დაშვების ნებართვის დოკუმენტი, განემარტათ, რომ ვერ მოხერხდებოდა მათთვის საქმის მასალების ასლების სახით გადაცემა, ვინაიდან საქმის მასალები იყო საიდუმლო და შესაბამისად საქმეს მინიჭებული ჰქონდა გრიფი საიდუმლო.“

2014 წლის 25 ნოემბერს საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად,[502] „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტმა, როგორც ერთადერთმა კომპეტენტურმა ორგანომ, საიდუმლოების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, თავდაცვის სამინისტროს და პროკურატურის მიმართვის შემდეგ, შეისწავლა ხსენებული საქმის მასალები და დასაშვებად მიიჩნია საქმის

[501] იხ. http://www.ombudsman.ge/ge/about-us/struqtura/departamentebi/samoqalaqo-politikuri-ekonomikuri-socialuri-da-kulturuli-uflebebis-dacvis-departamenti/siaxleebi-jus/saxalxo-damcveli-tavdacvis-saministros-tanamshromlebis-saqmis-nawilis-gansaidumloebas-sachirod-miichnevs.page

[502] იხ. http://pog.gov.ge/geo/news?info_id=593

მასალებისთვის გრიფის მოხსნა, გარდა იმ ნაწილისა, რომლებიც შეიცავს ქვეყნის სამხედრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საიდუმლო ინფორმაციას. [...] საიდუმლოდ დარჩენილი სისხლის სამართლის საქმის მცირე ნაწილი კი დადგენილი წესით გაეცნობა მხარეებს სათანადო პროცედურების დაცვით. [...] პროცენტებში რომ ვთქვათ საიდუმლო გრიფი არ მოეხსნა მთლიანი სისხლის სამართლის საქმის მხოლოდ 7 პროცენტს, რისი გაცნობის შესაძლებლობაც კანონის ფარგლებში ექნება დაცვის მხარეს.“

ამდენად, სახეზეა, რომ საქართველოს პროკურატურამ გრიფი „საიდუმლო“ მიანიჭა სისხლის სამართლის საქმეს მთლიანად და არა მის ნაწილს. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთვნება თავდაცვის სფეროში არსებული გარკვეული ხასიათის ცნობები[503] და მართალია, სისხლის სამართლის საქმის იმ ნაწილისთვის გრიფი „საიდუმლოს“ მინიჭება კანონის მოთხოვნიდან გამომდინარეობდა, თუმცა სისხლის სამართლის საქმეში არსებული მასალის უმრავლესობა, როგორც ეს საქართველოს პროკურატურის ზემოაღნიშნული განცხადებიდან ირკვევა, არ მიეკუთვნებოდა სახელმწიფო საიდუმლოებას. მნიშვნელოვანია, რომ მოცემული სისხლის სამართლის საქმის მასალის ნაწილს მოეხსნა გრიფი „საიდუმლო,“ თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გრიფი „საიდუმლო“ მოიხსნა 2014 წლის 25 ნოემბერს, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულების მიმართ დაიწყო 2014 წლის 28 ოქტომბერს და მთელი ამ პერიოდის განმავლობაში დაცვის მხარე არ იცნობდა საქმის მასალებს. შესაბამისად, სახეზეა, რომ მოცემულ პერიოდში დაცვის მხარეს არ ჰქონდა კანონმდებლობით გარანტირებული დაცვის უფლების სრულად რეალიზაციის შესაძლებლობა.

უდანაშაულობის პრეზუმფცია

„ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი

---

[503] „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–7 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო საიდუმლოებას შეიძლება მიეკუთვნოს შემდეგი სახის ცნობები თავდაცვის სფეროში:
„ა)რომელიც შეიცავს სტრატეგიულ და ოპერატიულ გეგმებს, სამხედრო ოპერაციების მომზადებისა და ჩატარების ამსახველ დოკუმენტებს, ჯარების სტრატეგიული და ოპერატიული გადაადგილების, მათი მობილიზაციის, საბრძოლო მზადყოფნისა და სამობილიზაციო რესურსების გამოყენების საკითხებს;
ბ)შეიარაღებისა და საბრძოლო ტექნიკის განვითარების მიზნობრივი პროგრამების აგრეთვე სამეცნიერო - კვლევითი და საკონსტრუქტორო სამუშაოების შესახებ, რომლებიც შეეხება ახალი სახეობის სამხედრო იარაღის, საბრძოლო ტექნიკისა და თავდაცვითი ტექნოლოგიების შემუშავებას;
გ)განსაკუთრებით დაცული სამხედრო და სამოქალაქო თავდაცვის ობიექტების რეჟიმის, სტრუქტურისა და შემადგენლობის შესახებ.“

განაჩენით.“[504] საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი პრინციპი აისახება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში.[505] კერძოდ, სისხლის სამართლის ერთ–ერთი ფუნდამენტური პრინციპია უდანაშაულობის პრეზუმფცია.

„ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით“ გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ–ერთ ელემენტს უდანაშაულობის პრეზუმფცია წარმოადგენს: „ყოველი პირი, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად.“[506] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით, უდანაშაულობის პრეზუმფცია, როგორც სამართლიანი სასამართლო განხილვის ელემენტი, „მიზნად ისახავს კანონის უზენაესობის ფუნდამენტური პრინციპის დაცვას.“[507]

ერთადერთი ორგანო, რომელიც უფლებამოსილია დაადგინოს, ჩაიდინა თუ არა კონკრეტულმა პირმა დანაშაული და ცნოს პირი დამნაშავედ, არის სასამართლო. სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე, ბრალდებულის მიმართ არსებობს მხოლოდ დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული.[508]

უდანაშაულობის პრეზუმფცია მოქმედებს სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობის მთელ პერიოდში, როგორც გამოძიების ეტაპზე, ასევე, სასამართლო განხილვის და განაჩენის გამოტანის შემდეგაც. უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლება „არა მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო გარანტიაა, არამედ ყველა სახელმწიფო ორგანოსგან მოითხოვს, ბრალდებულის დამნაშავეობასთან დაკავშირებით განცხადებების გაკეთებისგან თავის შეკავებას მანამ, სანამ უფლებამოსილი სასამართლოს გადაწყვეტილებით არ დამტკიცდება მისი ბრალეულობა.“[509]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილული საქმე, „ალენე დე რიბემონი საფრანგეთის წინააღმდეგ“, მნიშვნელოვანია საჯარო განცხადების შედეგად უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის თვალსაზრისით. მოცემულ საქმეში პოლიციის მაღალი თანამდებობის პირმა პრესკონფერენციაზე გააკეთა განცხადება პატიმრობაში მყოფ პირთან დაკავშირებით, რომ ის იყო მკვლელობის წამქეზებელი. სასამართლომ დაადგინა, რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია ასევე ეხება ხელისუფლების ორგანოებს, როდესაც პირი

---

[504] საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 40, პუნ. 1.
[505] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 5, ნაწ. 1.
[506] ევროპის საბჭოს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ“ კონვენცია, მუხ. 6, პუნ. 2.
[507] იხ. გადაწყვეტილება საქმეზე „სალაბიაკუს საფრანგეთის წინააღმდეგ“, §28.
[508] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 3, ნაწ. 19.
[509] იხ. გადაწყვეტილება „P, RH, და LL ავსტრიის წინააღმდეგ“ განაცხადი 15776/89.

ბრალდებულია სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში. პოლიციის თანამდებობის პირის მიერ ბრალის დადასტურებამ, რაიმე კვალიფიკაციისა თუ დათქმის გარეშე, საზოგადოებას უბიძგა, მანამდე დაეჯერებინა, რომ განმცხადებელი დამნაშავე იყო, სანამ სასამართლო საქმესთან დაკავშირებულ ფაქტებს განიხილავდა და შესაბამის გადაწყვეტილებას გამოიტანდა, რაც უდანაშაულობის პრეზუმფციასთან შეუსაბამოდ იქნა მიჩნეული. ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია არ უკრძალავდა ხელისუფლებას საზოგადოების ინფორმირებას მიმდინარე გამოძიების შესახებ, თუმცა ჩათვალა, რომ ეს უნდა გაკეთებულიყო ამ პრეზუმფციის შესაბამისად.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, „მრავალ გადაწყვეტილებაში ვხვდებით შემდეგ ფორმულირებას: უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლება ჩაითვლება დარღვეულად, თუ საჯარო პირის განცხადება დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ პირთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ ის არის დამნაშავე მანამ, სანამ მისი ბრალეულობა დამტკიცდება კანონის შესაბამისად.“[510]

2014 წლის საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა სამართალდამცავი ორგანოების მიერ დაკავებული პირის (ბრალდებულის) დანაშაულის ჩამდენ პირად დასახელების არაერთი შემთხვევა გამოავლინა. სამართალდამცავი ორგანოების უფლებამოსილების ეფექტიანი განხორციელება – დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, გამოძიების წარმოება და დანაშაულებრივი ქმედების ჩამდები პირის გამოვლენა – უზრუნველყოფს მოქალაქეთა დანაშაულებრივი ხელყოფისგან დაცვას, უსაფრთხოებას და მართლწესრიგს. მნიშვნელოვანია, საზოგადოების ინფორმირება გამოძიების მიმდინარეობის, საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნის/მსჯავრდების შესახებ, გამოძიებაზე საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელების თვალსაზრისით, თუმცა აუცილებელია, რომ საჯარო მოხელეებმა დანაშაულის გახსნის, პირის დაკავების და ბრალდების შესახებ ინფორმაცია უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვით გაავრცელონ.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს პროკურატურის მიერ გავრცელებული არაერთი საჯარო განცხადება შეიცავდა ბრალდებული პირების დამნაშავეობის შესახებ ინფორმაციას.

მართალია, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ–გვერდზე გავრცელებულ საჯარო განცხადებებში დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირების დაკავების შესახებ, ცალკეულ შემთხვევებში, პირი მითითებულია მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციის გამორიცხვით (სახელი და გვარი აღნიშნულია ინიციალებით), თუმცა გამოვლინდა არაერთი შემთხვევა, როდესაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

[510] იხ. გადაწყვეტილებები შემდეგ საქმეებზე: „დაკტარასი ლიტვის წინააღმდეგ“, §41; „ბიომერი გერმანიის წინააღმდეგ“, §54, (შტეფან ტრექსელი „ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“ თბილისი, 2009 წ. გვ. 186).

ოფიციალურ საჯარო განცხადებაში კონკრეტული პირი (სახელი და გვარი სრულად არის მოცემული) მოხსენიებულია, როგორც დანაშაულის ჩამდენი/დამნაშავე. საგულისხმოა ის გარემოება, რომ აღნიშნულ ინფორმაციას სამართალდამცავი ორგანო ავრცელებს მაშინ, როდესაც პირს მოცემულ ეტაპზე მხოლოდ ბრალდებულის სტატუსი აქვს.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს პროკურატურის მიერ გავრცელებული ინფორმაცია რამდენიმე შემთხვევაში შეიცავდა მტკიცებითი ხასიათის დასკვნებს კონკრეტული პირის/პირების – ბრალდებულის/ბრალდებულების დამნაშავეობის შესახებ. ბუნებრივია, მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება გამოძიების მიმდინარეობის შესახებ, განსაკუთრებით, როცა კონკრეტული საქმის მიმართ მაღალია ინტერესი, თუმცა ყველა შემთხვევაში, აღნიშნული ინფორმაცია მიწოდებული უნდა იყოს იმგვარად, რომ ბრალდებული არ წარმოჩინდეს როგორც დამნაშავე. უდანაშაულობის პრეზუმფციის კონსტიტუციური პრინციპის დაცვა აუცილებელი და სავალდებულოა საქართველოს პროკურატურისა და მისი წარმომადგენლებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ორგანო სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციას ასრულებს. საქართველოს სახალხო დამცველის პოზიციით, აუცილებელია, სამართალდამცავი ორგანოებმა ან/და მათმა თანამდებობის პირებმა საჯარო განცხადებები სისხლის სამართლის საქმეთა შესახებ უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვით გააკეთონ.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლების საქმე

2014 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს პროკურატურის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად[511], „საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად, გამოვლენილ იქნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოქმედი მაღალი თანამდებობის პირების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 4 102 872 ლარის გაფლანგვის ფაქტი.
[...] საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოქმედმა თანამდებობის პირებმა: გ.ღ.–მ, გ.ლ.–მ, ა.ა.–მ, ნ.კ.–მ და დ. წ.–მ განიზრახეს სს „სილქნეტის“ სასარგებლოდ, სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი თანხების გაფლანგვა. [...] აღნიშნული ქმედებით გ.ღ.–მ[512], გ.ლ.–მ, ა.ა.–მ, ნ.კ.–მ, დ.წ.–მ და თავდაცვის სამინისტროს სხვა ხელმძღვანელმა პირებმა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, სს „სილქნეტის“ სასარგებლოდ გაფლანგეს სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 4 102 872.6 ლარი.“

აღსანიშნავია, რომ საგამოძიებო ორგანოს მიერ განცხადების გაკეთების დღეს, მოცემული პირები იყვნენ დაკავებულები (ბრალდებულები) და მათ მიმართ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი არ არსებობდა. მიუხედავად ამისა, საქართველოს პროკურატურის

[511] იხ. http://pog.gov.ge/geo/news?info_id=567
[512] პროკურატურის განცხადებაში მოცემული პირების სახელი და გვარი დაფიქსირებულია სრულად.

განცხადებაში მითითებული იყო, რომ ამ პირებმა „გაფლანგეს სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი თანხა.“

მოქალაქეების: გ. მ.–ს და ა. გ.ს–ს საქმე

2014 წლის 14 მაისს საქართველოს პროკურატურის მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად[513], „ქვემო ქართლის პროკურატურის თანამშრომლებმა, დიდი ოდენობით თანხის თაღლითურად დაუფლების ფაქტზე ადვოკატი გ.მ. და მისი თანამზრახველი ა.გ. დააკავეს. გამოძიებით დადგინდა, რომ გ.მ.–მ და ა.გ.–მ პატიმრების ოჯახის წევრებს მოტყუებით გამოსძალეს თანხა 51 000 ლარის ოდენობით.“

მოქალაქე გ. ს.–ს საქმე

2015 წლის 8 თებერვალს საქართველოს პროკურატურამ გაავრცელა საჯარო განცხადება[514] შემდეგი სათაურით: „იური ვაზაგაშვილის მკვლელობის ჩამდენი პირი დაკავებულია.“ ამავე განცხადების თანახმად, „საქართველოს პროკურატურის მიერ, კასპის რაიონის სოფელ ყარაფილაში აფეთქების შედეგად მოკლული იური ვაზაგაშვილის მკვლელობის ჩამდენი პირი დაკავებულია. კერძოდ, ჩატარებული საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების შედეგად დაკავებულია პოლიციის თანამშრომელი გ.ს[515]. [...] ამდენად, უტყუარად შეიძლება ითქვას, რომ იური ვაზაგაშვილი მოკლული იქნა გ.ს.–ს მიერ საფლავზე დამონტაჟებული ხელყუმბარის აფეთქების შედეგად.“

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პროკურატურის განცხადების თანახმად, პირი დაკავებული იყო, ანუ მხოლოდ ბრალდებულის სტატუსი ჰქონდა, და შესაბამისად, არ არსებობდა მის მიმართ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი, სამართალდამცავი ორგანოს მიერ გავრცელებული განცხადება მტკიცებითი ფორის წინადადებით, მას მკვლელობის ჩამდენ პირად ასახელებდა.

ე.წ. „კორტების სპეცოპერაციის“ საქმე

2015 წლის 2 თებერვალს საქართველოს პროკურატურის მიერ გავრცელებული განცხადების[516] თანახმად, პროკურატურამ დაადგინა, რომ „[...] ზურაბ ვაზაგაშვილი და ალექსანდრე ხუბულოვი მოკლულ იქნენ შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის ყოფილი მოადგილის ი.ფ.–ს ხელმძღვანელობით მომხდარი შეიარაღებული თავდასხმისას, რომელსაც ყალბად ყაჩაღობის მომზადების აღსაკვეთად

[513] იხ. http://pog.gov.ge/geo/news?info_id=487
[514] იხ. http://pog.gov.ge/geo/news?info_id=632
[515] პროკურატურის წინამდებარე განცხადებაში დაკავებულის სახელი და გვარი მოცემულია სრულად.
[516]იხ. http://pog.gov.ge/geo/news?info_id=629

ჩატარებული წარმატებული სპეცოპერაცია უწოდეს. [...] ი.ფ. საკუთარი დანაშაულებრივი გეგმის განხორციელებას შეუდგა, მის მიერ მობილიზებულ იქნა კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და სპეციალური დანიშნულების რაზმის თანამშრომლები და დაიწყო სპეცოპერაციის დაგეგმვა, რომელიც შეინიღბა ყაჩაღური თავდასხმის მომზადებაში ეჭვმიტანილი პირების მიმართ ჩასატარებელ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებად. [...] ი.ფ.–ს მიერ ხელის რადიოსადგურის მეშვეობით ბრძანების გაცემისთანავე, ცეცხლსასროლი იარაღებით შეიარაღებული სპეცდანიშნულების რაზმის წევრები: ი.მ., გ.გ., ა.ც., ზ.ჯ., დ.ა., ს.ჩ., ა.ს. და კ.ნ. გადმოვიდნენ ავტომანქანიდან და გაემართნენ ზურაბ ვაზაგაშვილის მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანისაკენ. [...] ი.ფ.–ს მიერ წინასწარ შემუშავებული გეგმის შესაბამისად, ყოველგვარი მოწოდებისა და გამაფრთხილებელი გასროლის გარეშე, ცეცხლი გაუხსნეს ზურაბ ვაზაგაშვილის მართვის ქვეშ მყოფ ავტომანქანას და მის მგზავრებს. [...] ინტენსიური სროლის შეწყვეტისთანავე, ე.წ. „სპეცოპერაციის“ მონაწილე, კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის სამძებრო სამმართველოს უფროსის მოადგილე გ.ც. წინასწარ შემუშავებული გეგმის თანახმად, ი.ფ.–ს მიერ ორგანიზებული დანაშაულის დაფარვის, თვითმხილველი მოწმეების განადგურების და წარმატებული ოპერაციის დასრულებაში დარწმუნების მიზნით, მიუახლოვდა ზურაბ ვაზაგაშვილის მართვის ქვეშ მყოფ ავტომობილს და თანნაქონი ცეცხლსასროლი იარაღიდან მოახდინა საკონტროლო გასროლები, სალონის წინა ნაწილში მჯდომი ზურაბ ვაზაგაშვილისა და ალექსანდრე ხუბულოვის მისამართით.“

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო ვალდებულია სიცოცხლის მოსპობის ყველა ფაქტზე, ერთი მხრივ, ჩაატაროს ეფექტიანი გამოძიება, რომელიც მართლმსაჯულების განხორციელებისკენ იქნება მიმართული, თუმცა იმავდროულად, სახელმწიფო ვალდებულია – უზრუნველყოს ბრალდებული საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო აქტებით გათვალისწინებული ყველა უფლებით, მათ შორის, სამართლიანი სასამართლოს განხილვის უფლებით. ამდენად, უდანაშაულობის პრეზუმფციის კონსტიტუციური პრინციპის დაცვა სავალდებულოა სახელმწიფო ორგანოს (ამ შემთხვევაში, პროკურატურის) და თანამდებობის პირისთვის დანაშაულის გამოძიების შესახებ ინფორმაციის საჯარო გავრცელების პროცესში და მოცემული წესიდან გამონაკლისი არ არსებობს.

მოქალაქეების: გ.კ.–ს, ლ.ქ.–ს და თ.ჭ.–ს საქმე

2014 წლის 27 დეკემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად,[517] „შსს-ს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა დანაშაულის ჩადენაში ამხილეს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს აჭარის ა/რ რეგიონული სამმართველოს თანამშრომლები: გ.კ.[518] და ლ.ქ., აგრეთვე, ამავე

[517] იხ. http://police.ge/ge/shss-m-gaqtseuli-patimari-daakava/7743

[518]წინამდებარე განცხადებაში აღნიშნული პირების სახელები და გვარები მოცემულია სრულად.

სამინისტროს ლაბორატორიის ბათუმის საველე სადგურის უფროსი თ.ჭ., რომლებიც ერთმანეთთან და შპს „ფუმიგატორის“ ხელმძღვანელ ი.ზ.–თან კავშირში, თავიანთი სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში მისაღები გადაწყვეტილებების სანაცვლოდ, ოფიციალური გადასახადების გარდა, მოქალაქეებს ქრთამის სახით დამატებით თანხებს სძალავდნენ.“

მოქალაქე გ.ღ–ს საქმე

2014 წლის 18 დეკემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად,[519] „შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს გურჯაანის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ გრემის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული, 1956 წელს დაბადებული გ.ღ. სამსახურებრივი სიყალბის ბრალდებით დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებული, თანამდებობის ბოროტად გამოყენებით, მიმდინარე წლის შემოდგომაზე, რთველის პერიოდში, ყურძნის მიღება-ჩაბარებისას, მოქალაქის სახელზე სისტემატიურად გასცემდა ყალბ დოკუმენტაციას. გ.ღ.–მ აღნიშნული მოქალაქის სახელზე სულ გასცა 108 ტონა ყურძნის მიღება-ჩაბარების შესახებ ყალბი ცნობები.“

მოქალაქე დ. გ.–ს საქმე

2014 წლის 26 ნოემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად,[520] „შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქრთამის აღების ფაქტზე, ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ბაკურიანის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული დ.გ. ამხილეს და დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ დაბა ბაკურიანის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა დ.გ.–მ წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფთან ერთად, თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების შესრულებისას, თავისი თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენებით, დაბა ბაკურიანში, ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებულ მიწაზე კომერციული ფართის ნებართვის გარეშე აშენების სანაცვლოდ მოქალაქეს მოსთხოვა და გამოართვა 3000 აშშ დოლარი.“

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები

2012 და 2013 წლის საპარლამენტო ანგარიშებში საქართველოს სახალხო დამცველი ხაზგასმით აღნიშნავდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შეცვლის, ახალი კოდექსის შემუშავებისა და მიღების აუცილებლობის შესახებ. საქართველოს სახალხო

---

[519] იხ.http://police.ge/ge/shss-m-samsakhurebrivi-sikalbis-braldebit-sofel-gremis-rtsmunebuli-daakava/7513

[520] იხ. http://police.ge/ge/shss-s-antikoruftsiulma-saagentom-qrtamis-aghebis-faqtze-daba-bakurianis-rtsmunebuli-daakava/7379

დამცველის პოზიციით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე ნორმატიული აქტის სტანდარტებს, შეიცავს ბუნდოვან ჩანაწერებს და საჭიროებს სისტემატიზაციას. ხსენებული პრობლემა უარყოფითად აისახება საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის პროცესზე.

„საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014–2015 წლებისთვის) თანახმად,[521] ერთ–ერთ ამოცანას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის სისტემური გადასინჯვა წარმოადგენს. მოცემული ამოცანის შესასრულებლად განსახორციელებელ საქმიანობად/ღონისძიებად მითითებულია: საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევების კოდექსის სისტემურად ახალი პროექტის შემუშავება; ადმინისტრაციულ პატიმრობასთან დაკავშირებული ნორმების სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან შესაბამისობაში მოყვანა.

პოზიტიურად უნდა შეფასდეს საქართველოს მთავრობის განკარგულების[522] საფუძველზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სისტემის რეფორმის ხელშემწყობი სამთავრობო კომისიის შექმნა, რომლის ამოცანებს წარმოადგენს: კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპების გათვალისწინებით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სისტემის რეფორმის თაობაზე შესაბამისი წინადადებების, რეკომენდაციების, კონცეფციის შემუშავება; საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პროექტის შემუშავება; ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სისტემის ფარგლებში სხვა სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და საქართველოს მთავრობისთვის წარდგენა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი აქტიურად მონაწილეობს მოცემული კომისიის სამუშაო ჯგუფის შეხვედრებში. ამავდროულად, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა აღნიშნული კომისიის სამუშაო ჯგუფს წარუდგინა შენიშვნა/წინადადებები საქართველოს კანონის, „ზოგადი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ“, პროექტთან დაკავშირებით.

ასევე, დადებითად უნდა შეფასდეს ადმინისტრაციული პატიმრობის ვადების შემცირება 90 დღიდან 15 დღემდე. ამდენად, 2014 წლის 1 აგვისტოს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებით, გათვალისწინებულ იქნა საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია, ადმინისტრაციული პატიმრობის ვადის შემცირების თაობაზე, რაც უდავოდ მისასალმებელი ფაქტია.

2014 წლის საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა თბილისისა (842 საქმე) და ქუთაისის (166 საქმე) საქალაქო სასამართლოებიდან გამოითხოვა

[521] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივლისის N445 დადგენილება.
[522] 2014 წლის 3 ნოემბრის საქართველოს მთავრობის №1981 განკარგულება.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის შედეგად მიღებული დადგენილებების ასლები (სულ 1008 საქმე). საქმეთა ანალიზისა და შესწავლის შედეგად გამოიკვეთა რიგი დადებითი ტენდენციები, თუმცა, კვლავ თვალსაჩინოა ის ხარვეზები, რომლებიც თან სდევს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების პროცესს.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოცემული საქმეების შემოწმების შედეგად გამოიკვეთა, რომ კვლავ აქტუალურია სასამართლო პროცესზე მტკიცებულებათა გამოკვლევის საკითხი და გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის პრობლემა. ამ კუთხით, გასული საანგარიშო წლის შემდგომ, მდგომარეობა ფაქტობრივად უცვლელია. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი საქმეების ანალიზი ცხადყოფს, რომ მოსამართლე ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებისას, უმეტეს შემთხვევაში, ეყრდნობა პოლიციელის განმარტებას, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და დაკავების ოქმებს. სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში მიუთითებს, რომ არსებობს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის უტყუარობის პრეზუმფცია და ამ მოტივით არ იზიარებს სამართალდამრღვევის პოზიციას, მაშინ, როდესაც სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის მიერ შედგენილი პატაკისა და სამართალდარღვევის ოქმის გარდა საქმეს არ ერთვის სხვა ინფორმაცია და არც მოწმეები არიან წარმოდგენილნი.

საგულისხმოა ისიც, რომ მიუხედავად მტკიცებულებათა ერთობლიობის არსებობის ფორმალური საფუძვლისა, ყველა მათგანი მოპოვებული და წარმოდგენილია ერთი სამართალდამცავი ორგანოს/პირის მიერ, რომელიც სასამართლო პროცესზეც იმეორებს სამართალდარღვევის ოქმში დაფიქსირებულ ფაქტებს. ამასთან, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ეფექტიანად განხილვაზე ნეგატიურ გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში მტკიცების სტანდარტის არარსებობა, რის გამოც სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელი არ წარადგენს საკმარისი ოდენობის მტკიცებულებას. აღნიშნულის საპირისპიროდ, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ იმ საქმეებში, სადაც სახეზეა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45–ე მუხლით[523] გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მიერ ყოველთვის წარმოდგენილია ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების დადგენის მიზნით ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა. იგივე შეიძლება ითქვას, ალკოჰოლური თრობის ქვეშ მყოფი პირის მიერ ჩადენილ სამართალდარღვევებზე წარმოდგენილ დოკუმენტაციაზეც.

[523] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45–ე მუხლის შესაბამისად, „ნარკოტიკული საშუალების გასაღების მიზნის გარეშე, მცირე ოდენობით უკანონოდ შეძენა ან შენახვა ანდა ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება“.

ნიშანდობლივია ისიც, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ საქმეთა უმრავლესობაში არ გვხვდება სამართალდამრღვევის მიერ მტკიცებულების წარდგენის შემთხვევა და როგორც წესი, სამართალდამრღვევი მხოლოდ სიტყვიერი განმარტებითა და მონანიებით შემოიფარგლება.

აღსანიშნავია ასევე ის გარემოება, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებების უმრავლესობა იმეორებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლის დისპოზიციას და არ ადგენს კონკრეტული პირის მიერ ჩადენილი ქმედების შესაბამისობას მოცემული მუხლის დესკრიფციულ ნაწილთან. ამასთან, სასამართლოს გადაწყვეტილება უმეტეს შემთხვევაში გაჯერებულია სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი პირის მიერ მიწოდებული ინფორმაციით და გადაწყვეტილებათა მნიშვნელოვან ნაწილში არ გვხვდება მოსამართლის დამატებითი მსჯელობა სამართალდარღვევის ოქმში დაფიქსირებული შესაძლო სამართალდარღვევის ფაქტის გამოკვლევისა და დადგენის შესახებ.

დასაბუთების ნაკლებობა შეინიშნება სახდელის განსაზღვრისას მსჯელობის პროცესთან დაკავშირებითაც. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 33–ე მუხლის მე–2 ნაწილი ადგენს სამართალდამრღვევისთვის სახდელის დადებისას მხედველობაში მისაღებ გარემოებათა ჩამონათვალს, კერძოდ, როგორებიცაა: ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათი, დამრღვევის პიროვნება, მისი ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი. უმრავლეს შემთხვევებში სასამართლო საკუთარ გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, რომ სახდელის შერჩევის პროცესში დაეყრდნო 33–ე მუხლით[524] განსაზღვრულ კრიტერიუმებს, თუმცა, ამავე გადაწყვეტილებაში ვერ ვხვდებით, მოსამართლის მიერ განვითარებულ მსჯელობას მოცემულ გარემოებათა დადგენის თაობაზე, ასევე არ არის მითითებული, თუ რომელი კონკრეტული გარემოების არსებობის გათვალისწინებით განისაზღვრა სახდელი.

იდენტური ტენდენცია შეინიშნება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებზე მსჯელობისას. შესწავლილ სასამართლო დადგენილებებში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 34–ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებებიდან ვხვდებით მხოლოდ ბრალეულის გულწრფელი მონანიების შემთხვევებს. რაც შეეხება ამავე კოდექსის

[524] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 33–ე მუხლის თანახმად, „ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის სახდელი დაედება იმ ნორმატიული აქტით დაწესებულ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევისათვის ამ კოდექსის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ სხვა აქტების ზუსტი შესაბამისობით. სახდელის დადებისას მხედველობაში მიიღება ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათი, დამრღვევის პიროვნება, მისი ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი“.

35–ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებს, ძირითადად გვხვდება ორი ძირითადი გარემოება, სამართალდარღვევის ჩადენა ნასვამ მდგომარეობაში და მართლსაწინააღმდეგო ქცევის განგრძობა მისი შეწყვეტის შესახებ საამისოდ უფლებამოსილ პირთა მოთხოვნის მიუხედავად. აღსანიშნავია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებები შემოიფარგლება მხოლოდ პასუხისმგებლობის დამამძიმებელ თუ შემამსუბუქებელ გარემოებაზე მითითებით და არ აკონკრეტებს მოცემული გარემოების შინაარსსა და გავლენას ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებაზე.

გარდა ამისა, როგორც შესწავლილი საქმეების ანალიზით ირკვევა, დასაბუთების პრობლემა აქტუალურია იმ გადაწყვეტილებებშიც, სადაც სასამართლო ადმინისტრაციული სახდელის სახით განსაზღვრავს ადმინისტრაციულ პატიმრობას. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი საქმეები ცხადყოფს, რომ გადაწყვეტილებაში არ არის დასაბუთებული ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენების აუცილებლობა და სხვა სახის, უფრო მსუბუქი სახდელის გამოყენების სავარაუდო არაეფექტიანობა. მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციული პატიმრობა თავისი შინაარსითა და სიმძიმით განსხვავდება ყველა სხვა ტიპის სახდელისგან და განსაკუთრებით ზღუდავს ადამიანის ძირითადი უფლებების რეალიზებას, სასამართლო, უმრავლეს შემთხვევაში, არ ითვალისწინებს აღნიშნულ ფაქტს და, შესაბამისად, დადგენილების სამოტივაციო ნაწილში არ ასახავს იმ ფაქტებსა და გარემოებებს, რომელთა გამოკვლევის შედეგად მიიღო სამართალდამრღვევად ცნობილი პირის მიმართ ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება.

ყველა ხსენებული გარემოების გათვალისწინებით, უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებებს აქვთ შაბლონური ხასიათი და ხშირ შემთხვევაში ვერ აკმაყოფილებენ სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობის სტანდარტს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ, წარმოვადგენთ საქმეებს, რომლებიც განიხილა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა.

მოქალაქე გ.ჩ.–ს საქმე

2014 წლის 5 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განიხილა მასალები გ.ჩ.–ს მიმართ ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების თაობაზე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166–ე და 173–ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისთვის. სასამართლოს გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: „2014 წლის 05 აგვისტოს თბილისში ადმინისტრაციული წესით დაკავებული იქნა გ.ჩ., რომელმაც საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და არ დაემორჩილა მათ არაერთგზის კანონიერ მოთხოვნას.“

ხსენებულ გადაწყვეტილებაში სახეზეა სასამართლოს გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობისა და არასაკმარისი არგუმენტაციის პრობლემა, კერძოდ, სამართალდამრღვევმა პირმა არ აღიარა ქმედების ჩადენა, სასამართლომ კი გადაწყვეტილება მხოლოდ პოლიციელის სიტყვიერ განმარტებას, სამართალდარღვევისა და დაკავების ოქმებს დააყრდნო. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ ამ შემთხვევაში მოსამართლემ ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნობილ გ.ჩ.–ს სახდელის სახით 7 დღით ადმინისტრაციული პატიმრობა განუსაზღვრა. სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში სრული სიზუსტით იმეორებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 33–ე მუხლის შინაარსს, რომ: „სახდელის დადებისას მხედველობაში მიიღება ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათი, დამრღვევის პიროვნება, მისი ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი“.

სასამართლოს განმარტების თანახმად, დამრღვევის პიროვნებისა და ბრალის ხარისხის გათვალისწინებით, გ.ჩ.–ს შეეფარდა ადმინისტრაციული პატიმრობა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სასამართლო გადაწყვეტილების არცერთ მონაკვეთში არ გვხვდება მოსამართლის მსჯელობა, თუ რატომ, კონკრეტულად რომელი პიროვნული თვისებისა თუ მახასიათებლების გამო გახდა აუცილებელი სამართალდამრღვევისთვის ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდება და რატომ იქნებოდა არაეფექტიანი სხვა, უფრო ნაკლები სიმძიმის სახდელის განსაზღვრა.

დასაბუთების პრობლემა აქტუალურია ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებებშიც. უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე მოსამართლის დადგენილება სხვა მოსამართლეების დადგენილებებისაგან გამოირჩევა შედარებით ვრცელი დასაბუთებით, თუმცა არგუმენტაცია, ხშირ შემთხვევაში უცვლელად მეორდება იმავე მოსამართლეთა სხვა გადაწყვეტილებაშიც, რაც იმას მოწმობს, რომ შაბლონური ტექსტის გამოყენებაზე უარის თქმა კვლავ სასამართლოს ძირითად გამოწვევად რჩება.

მოქალაქე ლ.ტ.–ს საქმე

იდენტური პრობლემები იკვეთება ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებებშიც. 2014 წლის 7 აგვისტოს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ განიხილა სამართალდარღვევის მასალები მოქალაქე ა.ჯ.–ს მიმართ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173–ე და 166–ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისთვის. სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, „ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ა.ჯ. ქუთაისში იგინებოდა და ილანძღებოდა უმისამართოდ, რითაც არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს, რა დროსაც პოლიციის მუშაკებმა მოუწოდეს დაეცვა საზოგადოებრივი წესრიგი, იგი არ დაემორჩილა პოლიციის მუშაკებს და დაკავებისას გაუწია წინააღმდეგობა.“

მოცემულ გადაწყვეტილებაშიც ცალსახაა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება არ არის დასაბუთებული და არ ასახავს საქმის საკმარის ფაქტობრივ გარემოებებს. სახეზეა, რომ სასამართლო განმარტების გარეშე ტოვებს როგორც საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის, ისე დაუმორჩილებლობის შეფასების საკითხს და ეთანხმება სამართალდარღვევის ოქმით წარმოდგენილ ინფორმაციას.

მოქალაქე ჯ.კ.–ს საქმე

ბათუმის საქალაქო სასამართლომ განიხილა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე მოქალაქე ჯ.კ.–ს მიმართ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45–ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტზე. სასამართლოს გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: „წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ ჯ.კ.–ს მიმართ 2014 წლის 12 აგვისტოს შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი მასზედ, რომ ჯ.კ.–ს 2014 წლის 30 ივლისს აჭარის ა.რ. საექსპერტო–კრიმინალისტიკურ სამსახურში შემოწმების შედეგად დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარების ფაქტი, რის გამოც საქართველოს ა.რ. მთავარი სამმართველოს უბნის ინსპექტორების სამმართველოს უბნის ინსპექტორ–გამომძიებელმა მ.ბ–მ შეადგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი [...].“

ამდენად, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოცემული დადგენილებით ირკვევა, რომ მოქალაქე ჯ.კ.–ს საექსპერტო–კრიმინალისტიკურ სამსახურში შემოწმების შედეგად დაუდგინდა ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების ფაქტი, თუმცა ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ სასამართლოს დადგენილებაში, რაც წარმოადგენს სასამართლოს შემაჯამებელ გადაწყვეტილებას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე, ვერსად ვხვდებით მითითებას ნარკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნაზე, მის ნომერსა და შედგენის თარიღზე. გადაწყვეტილებაში ასევე არ გვხვდება საქმეზე დართულ მტკიცებულებათა ნუსხა და მათზე მხოლოდ ზოგადი მითითებაა წარმოდგენილი.

რეკომენდაციები:

საქართველოს პარლამენტს/საქართველოს მთავრობას:

- შემუშავდეს მექანიზმი, რომელიც შესაძლებელს გახდის სისხლის სამართლის საქმეებზე კანონიერი ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების გადასინჯვას, დაზარალებულთა სრულ რეაბილიტაციას, მათ შორის, სახელმწიფოს უკანონო ქმედებების შედეგად მიყენებული ზიანის აღდგენის ჩათვლით
- შეიტანოს ცვლილებები და დამატებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომლის თანახმად,

1. *საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გამოსატანად საჭირო სტანდარტი შესაბამისობაში იქნება ამავე კოდექსით დადგენილ დანარჩენ შემთხვევებში გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად საჭირო სტანდარტთან*
2. *საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობის განხილვისას საქმის პროკურორისთვის დაბრუნება შესაძლებელი იყოს მხოლოდ წინასასამართლო სხდომის გამართვამდე*

- შეიმუშავოს და მიიღოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ახალი კოდექსი, რომელიც გაითვალისწინებს ადამიანის უფლების დაცვის გარანტიებს ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას
- *(რეკომენდაცია საქართველოს მთავრობას და საქართველოს პარლამენტს: შემუშავდეს მექანიზმი, რომელის შესაძლებელს გახდის, მართლმსაჯულების ხარვეზების არსებობის შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმეთა გადასინჯვას, მართლმსაჯულების ხარვეზის მსხვერპლთა სრულ რეაბილიტაციას, მათ შორის, სახელმწიფოს უკანონო ქმედებების შედეგად მიყენებული ზიანის აღდგენის ჩათვლით.*

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს/საქართველოს პარლამენტს:

- გადაისინჯოს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის დებულებები და საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილების წესი, მათ შორის, ამ კუთხით არსებული სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება და მიღებული იქნეს იმგვარი რეგულაციები, რომელიც სრულად გამორიცხავს სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას და უზრუნველყოფს მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობასა და გამჭვირვალობას

საქართველოს პროკურატურას:

- პროკურორის სასამართლოში გამოუცხადებლობის გამო საქმის განხილვის გაჭიანურების თავიდან ასაცილებლად, უზრუნველყოს საქმის სასამართლო განხილვის დროს სასამართლოში პროკურორების მონაწილეობა
- უზრუნველყოს დაცვის მხარისთვის საქმის მასალებზე ხელმისაწვდომობა
- შეაფასოს სისხლის სამართლის საქმისთვის „საიდუმლო“ გრიფის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას საქმის კონკრეტული მასალისთვის გრიფის მინიჭების მიზანშეწონილობა და აუცილებლობა იმ გარემოების გათვალისწინებით, შეიცავს თუ არა კონკრეტული დოკუმენტი სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციას

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს პროკურატურას:

- სისხლის სამართლის საქმის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების, ბრალდებულის დაკავების შესახებ საჯარო განცხადების გაკეთებისას უზრუნველყოს

უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვა კონკრეტული პირის/პირების დამნაშავეობის შესახებ მტკიცებითი ხასიათის დასკვნის გარეშე

საქართველოს საერთო სასამართლოებს:

- უზრუნველყოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის შედეგად დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება
- უზრუნველყოს მხარეებისთვის განაჩენის ასლის კანონით დადგენილ ვადაში გადაცემა
- უზრუნველყოს სააპელაციო საჩივრის და საქმის სააპელაციო სასამართლოში გაუჭიანურებლად გადაგზავნა, სააპელაციო საჩივრის შესაგებლის წარდგენისთანავე ან შესაგებლის წარდგენისთვის კანონით გათვალისწინებული ვადის გასვლისთანავე.

პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება

საქართველოს კონსტიტუციის მე–20 მუხლით[525] დაცული „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ფარგლებში პირები უზრუნველყოფილი არიან ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობის, სახელის, პირადი მონაცემების, საცხოვრებლის, ოჯახისა და სქესობრივი ცხოვრების საიდუმლოების, მიმოწერის და სატელეფონო საუბრის საიდუმლოების ხელშეუხებლობის უფლებებით.“[526]

ევროპის საბჭოს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-8 მუხლით უზრუნველყოფილია პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება: „ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას.“ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, „პირადი ცხოვრება იმდენად ფართო კონცეფციაა, რომ არ ექვემდებარება ამომწურავ განსაზღვრას[527]“.

„საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2014–2020 წლებისთვის)“[528] მიხედვით, ერთ–ერთ სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის მაღალი სტანდარტების დანერგვა, რომელიც მიზნად ისახავს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას.

---

[525] საქართველოს კონსტიტუციის მე–20 მუხლის თანახმად,

„1. ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.

2. არავის არა აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ბინაში და სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა, თუ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა.“

[526] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

[527] იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „კოსტელო–რობერტსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ [1993].

[528] იხ. საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 30 აპრილის N2315-IIს დადგენილება.

საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის[529] მიხედვით, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის მაღალი სტანდარტების დანერგვის მიზნით განისაზღვრა რამდენიმე ამოცანა, რომელთა შესასრულებლად არაერთი საქმიანობის/ღონისძიების განხორციელება იქნა გათვალისწინებული[530].

ამასთან, „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2014–2020 წლებისთვის)“[531] თანახმად, ერთ–ერთ სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენს სისხლის სამართლის კანონმდებლობის დახვეწა და მხარეთა თანასწორობის პრინციპის განმტკიცება, რომლის მიზანს ადამიანის უფლებების დაცვის კონსტიტუციურ და საერთაშორისო სტანდარტებთან სრულად შესაბამისი სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიღება წარმოადგენს. საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის[532] მიხედვით, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების კუთხით სისხლის სამართლის კანონმდებლობის გადახედვის პროცესში ერთ–ერთ საქმიანობად/ღონისძიებად მითითებული იქნა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში პირადი ცხოვრების უფლების დაცვისათვის საჭირო ევროპული სტანდარტების დასამკვიდრებლად აუცილებელი საკანონმდებლო ინიციატივების მომზადება.[533]

ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური ანგარიშის მიხედვით, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში პირადი ცხოვრების უფლების დაცვისათვის საჭირო ევროპული სტანდარტების დასამკვიდრებლად

---

[529] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივლისის N445 დადგენილება „საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015 წლებისთვის) დამტკიცებისა და საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014–2015 წლებისთვის) საკოორდინაციო უწყებათშორისი საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ დანართი N1.

[530]საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის თანახმად, განისაზღვრა შემდეგი ღონისძიებების განხორციელების ვალდებულება, კერძოდ,

1.საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა:

2.კანონმდებლობის ეფექტური იმპლემენტაცია და პერსონალურ მონაცემთა დაცვის და დამუშავების სწორი პრაქტიკის დანერგვა პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის მიზნით;

3.პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის და პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

[531] საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 30 აპრილის N2315-IIს დადგენილება.

[532]საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივლისის N445 დადგენილება ,,საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015 წლებისთვის) დამტკიცებისა და საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014–2015 წლებისთვის) საკოორდინაციო უწყებათშორისი საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ დანართი N1.

[533] საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა, ქპ. 1.1.5.

აუცილებელი საკანონმდებლო ინიციატივების მომზადების თვალსაზრისით აღნიშნულია, რომ „2014 წლის 1 აგვისტოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული ცალკეული ღონისძიებები, რომელთა განხორციელების დროსაც დიდია ადამიანის კონსტიტუციურ უფლებათა შეზღუდვის ხარისხი, გადავიდა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის რეგულირების სფეროში. სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა ახალი XVI[1] თავი, რომელიც განსაზღვრავს ფარული საგამოძიებო მოქმედებების სახეებს, პროცედურებსა და პრინციპებს, რომელიც შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან. განხორციელებული ცვლილებებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია შემდეგი: ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების შესაძლებლობა და შემდგომი მოქმედებები, ამასთან საქართველოს უზენაესი სასამართლო ადგენს ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრს, რომელშიც აისახება ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაცია. აღსანიშნავია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" კანონში განხორციელებული ცვლილება და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის, როგორც გარე კონტროლის მექანიზმის ჩართვა პროცესში.“

ამავე ანგარიშის მიხედვით, „2014 წლის 1 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა საქართველოს კანონმდებლობის პერსონალური მონაცემების დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების მიზნით მიიღო საკანონმდებლო ცვლილებებისა და დამატებების პაკეტი. ცვლილებები ითვალისწინებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების სფეროს გაფართოებას და მის გავრცელებას დანაშაულის თავიდან აცილების, გამოძიების, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნით“.

ანგარიშში ასევე მითითებულია, რომ 2014 წლის 2 მაისს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებები ითვალისწინებს პირად ცხოვრებაში ჩარევასთან დაკავშირებულ დანაშაულებზე, კერძოდ, 157-ე, 158-ე და 159-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე, სანქციების გამკაცრებას.

ფარული საგამოძიებო მოქმედებები

საქართველოს კონსტიტუციის მე–20 მუხლით დაცული პირადი ცხოვრების უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას. მოცემული უფლებით დაცულ სფეროში ჩარევად შეიძლება განვიხილოთ სისხლის სამართლის პროცესში საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში

განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების შედეგად[534] განისაზღვრა ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების წესი და პროცედურა. ფარული საგამოძიებო მოქმედების სახეებს წარმოადგენს[535]:

ა) სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩაწერა;
ბ) ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან (კავშირგაბმულობის საშუალებებთან, კომპიუტერულ ქსელებთან, სახაზო კომუნიკაციებთან და სასადგურო აპარატურასთან მიერთებით), კომპიუტერული სისტემიდან (როგორც უშუალოდ, ისე დისტანციურად) და ამ მიზნით კომპიუტერულ სისტემაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების ინსტალაცია;
გ) საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის (დიპლომატიური ფოსტის გარდა) კონტროლი;
დ) ფარული ვიდეო და აუდიოჩაწერა, კინო და ფოტოგადაღება;
ე) ელექტრონული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებებით, რომელთა გამოყენება ზიანს არ აყენებს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და გარემოს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით შეიზღუდა ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების ფარგლები: მისი ჩატარება არ არის შესაძლებელი ყველა დანაშაულის ფაქტზე მიმდინარე გამოძიების პროცესში.[536] ასევე, განისაზღვრა ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების პრინციპები:[537] მისი ჩატარება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად – ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, უწესრიგობის ან დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესების ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. ამასთან, ფარული საგამოძიებო მოქმედების

---

[534] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს დაემატა ახალი XVI^{1} თავი.

[535] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 143^{1}, ნაწ. 1.

[536] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143^{3}–ე მუხლის მე–2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, გამოძიება დაწყებული უნდა იყოს ან/და სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა ხორციელდებოდეს განზრახი მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის გამო: 117-ე მუხლის პირველი ნაწილი, 134-ე მუხლი, 139-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 140-ე და 141-ე მუხლები, 143-ე მუხლის პირველი ნაწილი, 143^{3} მუხლის პირველი ნაწილი, 180-ე მუხლის პირველი ნაწილი, 181-ე მუხლის პირველი ნაწილი, 186-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 187-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 198-ე მუხლის პირველი ნაწილი, 210-ე მუხლის პირველი ნაწილი, 253-ე მუხლის პირველი ნაწილი, 255^{1}, 259^{4} და 284-ე მუხლები, 285-ე მუხლის პირველი ნაწილი, 286-ე და 287-ე მუხლები, 288-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები, 289-ე, 290-ე და 292-ე–303-ე მუხლები, 304-ე მუხლის პირველი ნაწილი, 305-ე და 306-ე მუხლები, 318-ე მუხლის პირველი ნაწილი, 322^{1} მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები, 340-ე და 341-ე მუხლები.

[537] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 143^{2}.

ჩატარების ფარგლები (ინტენსივობა) ლეგიტიმური მიზნის პროპორციული უნდა იყოს. ფარული საგამოძიებო მოქმედების განმახორციელებელ ორგანოს/საგამოძიებო ორგანოს და პირს დაეკისრა ვალდებულება, თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მაქსიმალურად შეზღუდონ იმ კომუნიკაციისა და პირის მონიტორინგი, რომელთაც გამოძიებასთან კავშირი არ აქვთ.[538] რაც შეეხება ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადას, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ მოსამართლის განჩინება გაიცემა იმ ვადით, რომელიც საჭიროა გამოძიების მიზნის მისაღწევად, მაგრამ არაუმეტეს 1 თვისა. თუ ეს ვადა საკმარისი არ აღმოჩნდება, დასაშვებია მისი გაგრძელება პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე, მოსამართლის განჩინებით, მაგრამ არაუმეტეს 2 თვისა. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადა შეიძლება კიდევ ერთხელ, არაუმეტეს 3 თვისა, გაგრძელდეს საქართველოს მთავარი პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადის შემდგომი გაგრძელება დაუშვებელია.[539]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება დასაშვებია სასამართლოს განჩინების საფუძველზე, ასევე, მოსამართლის განჩინების გარეშე, პროკურორის მოტივირებული დადგენილებით გადაუდებელი აუცილებლობისას, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს საქმისათვის (გამოძიებისათვის) მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება ან შეუძლებელი გახადოს ამ მონაცემების მოპოვება. მოცემულ შემთხვევაში, პროკურორი ვალდებულია ფარული საგამოძიებო მოქმედების დაწყებიდან არაუგვიანეს 24 საათისა, მიმართოს შუამდგომლობით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს, რომელიც შუამდგომლობის განხილვის შედეგად განჩინებით იღებს გადაწყვეტილებას: ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის და მისი გაგრძელების შესახებ ან ფარული საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობის, მისი შეწყვეტის, შედეგების გაუქმებისა და ამ მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის განადგურების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრის მონაცემების[540] მიხედვით, საქართველოს პირველი ინსტანციის სასამართლოებს 2014 წლის 18 აგვისტოდან 2014 წლის 1 დეკემბრამდე სასამართლოს ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების თაობაზე პროკურატურამ შუამდგომლობით მიმართა 738 შემთხვევაში, სასამართლოების მიერ განუხილველად დატოვებულია 15 შუამდგომლობა, განხილულია 723. აქედან, სასამართლოების მიერ დაკმაყოფილდა 451 შუამდგომლობა; ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – 63 და არ დაკმაყოფილდა 209 შუამდგომლობა.

---

[538] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 143^7, ნაწ. 1.
[539] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 143^3, ნაწ. 12.
[540] იხ. http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/faruli-reestris-cxrili-2014.pdf

2015 წლის 31 მარტიდან უნდა ამოქმედდეს ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ორეტაპიანი ელექტრონული სისტემა, რაც გულისხმობს ტექნიკურ და პროგრამულ გადაწყვეტილებათა ერთობლიობას, რომელიც გამორიცხავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ელექტრონული თანხმობის გარეშე სამართალდამცავი ორგანოს მონიტორინგის სისტემის მეშვეობით ობიექტის აქტივაციის შესახებ ბრძანების დამოუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობას.[541] შესაბამისად, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩაწერა სწორედ აღნიშნული სისტემის მეშვეობით უნდა განხორციელდეს.[542]

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს დაუყოვნებლივ მიეწოდება ფარული საგამოძიებო მოქმედებების თაობაზე სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება (შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებს და სარეზოლუციო ნაწილს)[543], ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ პროკურორის მოტივირებული დადგენილება[544], ასევე, ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალის განადგურების შესახებ შესაბამისი პროკურორისა და მოსამართლის ხელმოწერებით დადასტურებული ოქმი გადაეცემა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს[545].

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით, ფარული სატელეფონო მიყურადების და ჩაწერის განხორციელებაზე ზედამხედველობას ახორციელებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი შემდეგი ღონისძიებებით:[546] კონტროლის ელექტრონული სისტემის მეშვეობით, მონაცემთა დამუშავების საფუძვლის კანონიერების შემოწმებით; ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ორეტაპიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელებაზე ელექტრონული თანხმობის გაცემით; მონაცემთა დამმუშავებლის/უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმებით (ინსპექტირებით). საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143^1 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ფარულ საგამოძიებო მოქმედებაზე (ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან (კავშირგაბმულობის საშუალებებთან, კომპიუტერულ ქსელებთან, სახაზო კომუნიკაციებთან და სასადგურო აპარატურასთან მიერთებით), კომპიუტერული სისტემიდან (როგორც უშუალოდ, ისე დისტანციურად) და ამ მიზნით კომპიუტერულ სისტემაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების ინსტალაცია) ზედამხედველობას პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი

---

[541] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 3, ნაწ. 31.

[542] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 143^4, ნაწ. 2.

[543] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 143^3, ნაწ. 7.

[544] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 143^3, ნაწ. 6^2.

[545] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 143^8, ნაწ. 5.

[546] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 35^1, პუნ. 1.

ახორციელებს მონაცემთა დამმუშავებლის/უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმებით (ინსპექტირებით).[547] რაც შეეხება კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებულ საგამოძიებო მოქმედებებზე ზედამხედველობას, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი ახორციელებს სასამართლოს, პროკურატურის და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის შედარებით და მონაცემთა დამმუშავებლის/უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების საფუძვლის კანონიერების შემოწმებით (ინსპექტირებით).[548]

ამდენად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი, ერთი მხრივ, ახორციელებს ფარული სატელეფონო მიყურადებისა და ჩაწერის კონტროლს, ამავდროულად, გასცემს ელექტრონულ თანხმობას ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელებაზე.

განსაკუთრებით საყურადღებოა წესი, რომლის თანახმად, უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულ–ტექნიკური დეპარტამენტი[549]) ხორციელდება ფარული საგამოძიებო მოქმედებები. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულ–ტექნიკური დეპარტამენტი ფარული საგამოძიებო მოქმედებების (სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩაწერა, ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან (კავშირგაბმულობის საშუალებებთან, კომპიუტერულ ქსელებთან, სახაზო კომუნიკაციებთან და სასადგურო აპარატურასთან მიერთებით), კომპიუტერული სისტემიდან (როგორც უშუალოდ, ისე დისტანციურად) და ამ მიზნით კომპიუტერულ სისტემაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების ინსტალაცია) ჩატარების უზრუნველსაყოფად იყენებს კავშირგაბმულობისა და კომუნიკაციის ფიზიკური ხაზებიდან და მათი შემაერთებლებიდან, მეილსერვერებიდან, ბაზებიდან, კავშირგაბმულობის ქსელებიდან და კავშირგაბმულობის სხვა შემაერთებლებიდან ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების ტექნიკურ შესაძლებლობას, აგრეთვე კომუნიკაციის აღნიშნულ საშუალებებთან განათავსებს და ამონტაჟებს სათანადო აპარატურას და პროგრამული უზრუნველყოფის მოწყობილობებს.[550]

ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ორეტაპიანი ელექტრონული სისტემის ამოქმედებისა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აქვს უფლებამოსილება რეალურ დროში მოიპოვოს ზემოაღნიშნული ინფორმაცია. ამასთან, ნიშანდობლივია, რომ საქართველოს კანონმდებლობით გაწერილი არ არის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულ–ტექნიკური დეპარტამენტის მოცემულ საქმიანობაზე (რეალურ დროში ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობა) კონტროლის განხორციელების მექანიზმი. საქართველოს კანონმდებლობით, ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიამ

[547] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 35^1, პუნ. 3.
[548] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 35^1, პუნ. 2.
[549] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 3, ნაწ. 32.
[550] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 143^3, ნაწ. 4.

სამართალდამცავი ორგანოსათვის ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გადაცემის (როდესაც გადაცემა არ ხორციელდება ინფორმაციის რეალურ დროში მიწოდების ტექნიკური შესაძლებლობის გამოყენებით) შესახებ უნდა აცნობოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს მათი გადაცემიდან 24 საათში.[551] ამდენად, სახეზეა შემთხვევა, როდესაც არამხოლოდ რეალურ დროში მონაცემების გადაცემაზე კონტროლის მექანიზმი არ არსებობს, არამედ ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიას არ ეკისრება აღნიშნულის თაობაზე ინფორმაციის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისთვის მიწოდების ვალდებულება.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მსგავსად, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონიც[552] ფარული საგამოძიებო მოქმედებების განსახორციელებლად შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოს უფლებას ანიჭებს, ჰქონდეს კავშირგაბმულობისა და კომუნიკაციის ფიზიკური ხაზებიდან და მათი შემაერთებლებიდან, მეილსერვერებიდან, ბაზებიდან, სასადგურე აპარატურიდან, კავშირგაბმულობის ქსელებიდან და კავშირგაბმულობის სხვა შემაერთებლებიდან ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების ტექნიკური შესაძლებლობა და ამ მიზნით კომუნიკაციის აღნიშნულ საშუალებებთან, საჭიროების შემთხვევაში, უსასყიდლოდ განათავსოს მართლზომიერი გადაჭერის მენეჯმენტის სისტემა და სხვა სათანადო აპარატურა და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებები. თუმცა, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონი, განსხვავებით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისგან, ადგენს, რომ ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების შემდგომ ღონისძიებებს უფლებამოსილი ორგანო ახორციელებს უშუალოდ, სასამართლოს განჩინების ან პროკურორის მოტივირებული დადგენილების საფუძველზე. ამდენად, მოცემული კანონი მხოლოდ ინფორმაციის მოპოვების შემდგომი ღონისძიებების ჩატარებას ითვალისწინებს სასამართლოს განჩინების ან პროკურორის დადგენილების საფუძველზე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ფარული საგამოძიებო მოქმედებების განსახორციელებლად შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოს უფლება აქვს განახორციელოს კავშირგაბმულობის არხში არსებული მაიდენტიფიცირებელი მონაცემების კოპირება და მათი 2 წლის ვადით შენახვა. ამ შემთხვევაში ინფორმაციის კავშირგაბმულობის არხიდან/კომპიუტერული სისტემიდან მოხსნის და ფიქსაციის შემდგომ ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს უფლებამოსილი ორგანო ახორციელებს აღნიშნულ კოპირებულ მონაცემთა ბანკებიდან, სასამართლოს განჩინების ან პროკურორის მოტივირებული დადგენილების საფუძველზე.[553] ამდენად, მოცემული ნორმა ითვალისწინებს ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების შესაძლებლობას სასამართლოს განჩინების ან პროკურორის

[551] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 20, პუნ. 4.

[552] „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 8^3, პუნ. 1.

[553] „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 8^2, ქპ. „ბ“.

დადგენილების გარეშე, რადგან განჩინების ან დადგენილების არსებობის გარეშე იძლევა შესაძლებლობას მონაცემების კოპირების და შენახვის, და მხოლოდ ინფორმაციის მოხსნის და ფიქსაციის შემდგომი მოქმედებები ხორციელდება სასამართლოს განჩინების ან პროკურორის დადგენილების საფუძველზე.

2015 წლის 2 თებერვალს, საქართველოს კანონმდებლობის ზემოთ მითითებული დანაწესების გაანალიზების შედეგად, საქართველოს სახალხო დამცველმა საკონსტიტუციო სარჩელით მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8[3] მუხლის პირველი პუნქტის არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით საქართველოს კონსტიტუციის მე–20 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8[3] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული იქნა ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისაგან დამოუკიდებელი საკანონმდებლო საფუძველი. აღნიშნული მუხლი არ შეიცავს არანაირ მითითებას, რომ ამ კანონით გათვალისწინებული „ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელება“ აუცილებლად უნდა მოხდეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XVI[1] თავით განსაზღვრული წესების შესაბამისად. საქართველოს სახალხო დამცველი თვლის, რომ სადავო ნორმების შინაარსი უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოებს ფაქტიურად პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შეზღუდვის განუსაზღვრელ უფლებამოსილებას ანიჭებს, ამ უფლების შეზღუდვისათვის საპირწონე საჯარო ინტერესების განსაზღვრის ვალდებულების გარეშე. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8[3] მუხლის მიხედვით, ფარული საგამოძიებო მოქმედების ისეთი ფორმები, როგორებიცაა კავშირგაბმულობისა და კომუნიკაციის ფიზიკური ხაზებიდან და მათი შემაერთებლებიდან, მაილსერვერებიდან, ბაზებიდან, კავშირგაბმულობის ქსელებიდან და კავშირგაბმულობის სხვა შემაერთებლებიდან ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვება, აგრეთვე სათანადო აპარატურისა და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებათა განთავსება–მონტაჟის შესაძლებლობა, ისევე, როგორც კავშირგაბმულობის არხში არსებულ მონაცემთა ბანკების კოპირება, კანონის შესაბამისად, არ საჭიროებს სასამართლოს სანქციას. ამასთან, საქართველოს სახალხო დამცველის პოზიციით, კანონი არ უთითებს ოპერატიული ორგანოების ზემოაღნიშნული უფლებამოსილებების მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის რეჟიმში გამოყენების თაობაზე, რაც წარმოადგენს ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევას და ეს კანონი შესაძლებელია, შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მიერ იქნეს გამოყენებული, როგორც ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების დამოუკიდებელი საკანონმდებლო საფუძველი.

საკონსტიტუციო სარჩელში საქართველოს სახალხო დამცველმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები არ შეიცავს არანაირ გარანტიას უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მიერ ზემოაღნიშნულ პერსონალურ მონაცემთა ბოროტად გამოყენების, დაკარგვის, დაზიანების, გამოცვლის ან საიდუმლოების დაცვის თვალსაზრისით. საქართველოს სახალხო დამცველის შეხედულებით, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში 2014 წლის 30 ნოემბერს განხორცილებული ცვლილებები, სახელმწიფოს ფაქტიურად უკონტროლო უფლებას აძლევს, ახორციელებდეს „ფარულ საგამოძიებო მოქმედებას“ ქვეყნის კეთილსინდისიერ მოქალაქეთა განუსაზღვრელი რაოდენობის წინააღმდეგ, რაც, თავის მხრივ, სახელმწიფოს აქცევს ერთგვარ „პანოპტიკუმად“. საქართველოს სახალხო დამცველის აზრით, ის გარემოება, რომ სახელმწიფოს შეუზღუდავად მიუწვდება ხელი კომუნიკაციის უდიდესი ნაწილის, როგორც მაიდენტიფიცირებელ მონაცემებზე, ისე მათ შინაარსზე, მას აძლევს შესაძლებლობას საქმის კურსში იყოს მოქალაქეთა უმრავლესობის ყოველდღიური ქცევის, მათი ჩვევების, სოციალური კავშირებისა და გარემოცვის შესახებ, რაც საზოგადოებაზე ფსიქოლოგიური კონტროლის სერიოზულ საფრთხეს შეიცავს. ეს კი, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება არა მხოლოდ ადამიანთა პირად თავისუფლებაზე, არამედ, ასევე, ადამიანთა სოციალურ კავშირებსა და მთლიანად საზოგადოების ჯანსაღ განვითარებაზე.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების პროექტის განხილვისას, საქართველოს სახალხო დამცველმა მოუწოდა[554] საქართველოს პარლამენტს, პროცესის გამჭირვალობის უზრუნველსაყოფად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორთან დაარსდეს კოლეგიური ორგანო (ე.წ. საბჭო), რომელიც უზრუნველყოფს კომუნიკაციის სფეროში ინფორმაციის დაცულობის ხარისხზე კონტროლს და რომელშიც თანამდებობრივად შევლენ საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები და საქართველოს სახალხო დამცველი. სამწუხაროდ, საქართველოს სახალხო დამცველის აღნიშნული წინადადება საკანონმდებლო ორგანოს მიერ არ იქნა გათვალისწინებული „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების პროცესში.

[554] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის 28 ოქტომბრის განცხადება http://www.ombudsman.ge/ge/about-us/struqtura/departamentebi/samoqalaqo-politikuri-ekonomikuri-socialuri-da-kulturuli-uflebebis-dacvis-departamenti/siaxleebi-jus/saxalxo-damcvelistvis-miugebelia-faruli-miyuradebisas-informaciis-mopovebis-kontrolis-meqanizmis-taobaze-gadawyvetilebis-gadavadeba.page [ბოლოს ნანახია 2015 წლის 21 მარტს].

საგამოძიებო მოქმედების /ოპერატიულ–სამძებრო ღონისძიების კანონიერების საკითხის სასამართლოს მიერ არასრულყოფილად განხილვა

აღსანიშნავია, რომ კვლავ პრობლემად რჩება საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის საპარლამენტო ანგარიშში[555] დაფიქსირებული საკითხი: გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარებული პირადი ცხოვრების უფლების შემზღუდავი საგამოძიებო მოქმედებების/ოპერატიულ–სამძებრო ღონისძიებების კანონიერების საკითხის სასამართლოს მიერ განხილვის არასრულყოფილება და ფორმალური ხასიათი, ასევე, წინამდებარე საკითხის განხილვის შედეგად მიღებული განჩინების დაუსაბუთებლობა, რაც გადაწყვეტილების მიღების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების შემოწმების შესაძლებლობას გამორიცხავს.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ საქართველოს პარლამენტმა არ გაითვალისწინა საქართველოს სახალხო დამცველის წინადადება[556] – საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ კანონპროექტის მომზადების თაობაზე, რომელიც უზრუნველყოფს, მოსამართლის განჩინების გარეშე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების კანონიერად ცნობის საკითხის განხილვისას, მოსამართლის ვალდებულებას - სრულყოფილად გაეცნოს სისხლის სამართლის საქმისა და ოპერატიული ინფორმაციის შემცველი დოკუმენტაციის მასალებს, ასევე, დაავალდებულებს მოსამართლეს, საკითხის განხილვისას დაკითხოს საგამოძიებო მოქმედებების/ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების განმახორციელებელი და საგამოძიებო მოქმედებაში/ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარებაში მონაწილე სხვა პირები საგამოძიებო მოქმედების/ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარებისას არსებული გარემოებების თაობაზე. საქართველოს სახალხო დამცველის წინამდებარე წინადადების თანახმად, ოპერატიული ინფორმაციის შემცველი მასალის გაცნობის შესახებ უნდა აღინიშნებოდეს სასამართლო სხდომის ოქმში. გარდა ამისა, საქართველოს სახალხო დამცველის მოსაზრებით, აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებით გათვალისწინებულ უნდა იქნეს მოსამართლის განჩინების გარეშე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების კანონიერად ცნობის საკითხის განხილვისას სასამართლოს სხდომის ოქმის წარმოების სავალდებულოობა, რომელშიც სრულყოფილად იქნება ასახული ინფორმაცია მოსამართლის მიერ განხილული მასალების თაობაზე.

[555] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის ანგარიში გვ.262–267.
[556] 2014 წლის 26 თებერვალი.

გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერების სასამართლო კონტროლი

საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით გარანტირებული ადამიანის ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა გამართლებულად რომ ჩაითვალოს, უნდა არსებობდეს უფლებით დაცულ სფეროში ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი, რომელსაც თვით კონსტიტუცია ადგენს: სასამართლოს გადაწყვეტილება ან გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევა.

სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესში ჩხრეკის/პირადი ჩხრეკის ჩატარება საქართველოს კონსტიტუციის მე–20 მუხლით გარანტირებული უფლებით დაცულ სფეროში ჩარევას წარმოადგენს. „ჩხრეკა წარმოადგენს ყველაზე მძიმე ჩარევას დაცულ სფეროში. [...] სახელმწიფოს მიერ ადამიანის საცხოვრებელში შესვლა, ჩხრეკის ჩატარება და საცხოვრებლის თვალთვალი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კანონით განსაზღვრულ კონკრეტულ შემთხვევებში, რასაც საფუძვლად უნდა ედოს სასამართლოს გადაწყვეტილება. ჩარევა შეიძლება განხორციელდეს აგრეთვე კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.“[557]

„სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციითა და ამ კოდექსით გათვალისწინებული სპეციალური ნორმების საფუძველზე.“[558] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილია ჩხრეკის წესები და პროცედურა და მოცემული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების პროცესში გარანტიები ხელისუფლების მიერ ამ უფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ.

„საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ტარდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით.“[559] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112–ე მუხლის მე-5 ნაწილი ითვალისწინებს კერძო საკუთრების, მფლობელობის ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შემზღუდველი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესაძლებლობას სასამართლოს განჩინების გარეშეც. ეს შემთხვევა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, გადაუდებელ აუცილებლობად ითვლება.

---

[557] იხ. „ძირითადი უფლებები“ კონსტანტინე კუბლაშვილი, გამომცემლობა „ჯისიაი,“ 2008წ. მეორე გამოცემა. გვ.162.

[558] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 6, ნაწ. 1.

[559] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 112, ნაწ. 1.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით,[560]

> *„უფლების შეზღუდვისთვის სასამართლოს გადაწყვეტილების ალტერნატივად კონსტიტუცია მიიჩნევს კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობის არსებობას. [...] „გადაუდებელი აუცილებლობა“ გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც თანაზომიერების პრინციპზე დაყრდნობით, კონსტიტუციით გათვალისწინებული საჯარო ინტერესის მიღწევა, რეალურად არსებული ობიექტური მიზეზების გამო, შეუძლებელია კერძო ინტერესების დაუყოვნებლივი, მყისიერი შეზღუდვის გარეშე. ამასთან, ძალზე მკაფიო, ნათელი და ცალსახა უნდა იყოს, რომ კონსტიტუციის ფარგლებში საჯარო ინტერესის სხვაგვარად დაცვის მცირედი ალბათობაც არ არსებობს. გადაუდებლობა მიუთითებს დროის სიმცირეზე, რაც უფლების შესაზღუდად მოსამართლის ბრძანების მოპოვების საშუალებას არ იძლევა და საჭიროებს დაუყოვნებლივ მოქმედებას.“*

ამასთან, კანონი გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებლის სავალდებულოდ განსახორციელებელ ქმედებებს ადგენს: პროკურორი ვალდებულია ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შესახებ აცნობოს მოსამართლეს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზე ჩატარდა აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება, ან გამოძიების ადგილის მიხედვით მოსამართლეს საგამოძიებო მოქმედების დაწყებიდან 24 საათის განმავლობაში უნდა გადასცეს სისხლის სამართლის საქმის მასალები (ან მათი ასლები), რომლებიც ასაბუთებს საგამოძიებო მოქმედების გადაუდებლად ჩატარების აუცილებლობას. თუმცა, საპროცესო კოდექსის მოცემული მუხლით დადგენილი პროცედურა ამით არ ამოიწურება. „მოსამართლე მასალების შესვლიდან არა უგვიანეს 24 საათისა, ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს შუამდგომლობას. [...] შუამდგომლობის განხილვისას მოსამართლე ამოწმებს სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერებას.“[561] მასალების განხილვის შედეგად სასამართლოს გამოაქვს განჩინება: 1. ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ ან 2. ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობისა და მიღებული ინფორმაციის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ.[562]

საქართველოს უზენაესი კანონი, ასევე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს პირადი ცხოვრების შემზღუდველ საგამოძიებო მოქმედებაზე სასამართლო კონტროლის სავალდებულოობას და აუცილებლობას. აღნიშნული კანონის იმპერატიული მოთხოვნაა და რაიმე გამონაკლისი ამ წესიდან არ არსებობს.

---

[560] იხ. გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

[561] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 112, ნაწ. 5.
[562] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 112, ნაწ. 6.

2014 წლის საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში განხილულ რამდენიმე საქმეში მოსამართლემ უარი თქვა გადაუდებელი აუცილებლობისას ჩატარებული ჩხრეკის/პირადი ჩხრეკის კანონიერად ცნობის შესახებ პროკურორის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე კანონით გაუთვალისწინებელ მიზეზზე მითითებით (სასამართლოს განმარტებით, საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს პირის თანხმობის შემთხვევაში, გადაუდებელი აუცილებლობისას, სასამართლოს განჩინების გარეშე ჩატარებული ჩხრეკის/პირადი ჩხრეკის კანონიერების საკითხის სასამართლოს მიერ შემოწმებას).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად[563], თანამესაკუთრის ან თანამფლობელის ან კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობა საკმარისია ამ ნაწილით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების სასამართლოს განჩინების გარეშე ჩასატარებლად. აქ იგულისხმება ის შემთხვევა, როცა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებამდე არსებობს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისათვის თანამესაკუთრის ან თანამფლობელის ან კომუნიკაციის ერთი მხარის გაცნობიერებული თანხმობა, რომელიც არის ნამდვილი ნების გამოვლენის შედეგი (პირს უნდა გააჩნდეს ნების გამოვლენის უნარი და ნების გამოვლენის თავისუფლება). თანხმობის ან უარის განცხადება პირის უფლებაა. ჩხრეკის/ამოღების ჩატარების დაწყებამდე გამომძიებელი პირს აცნობს მოსამართლის განჩინებას ან გამომძიებლის დადგენილებას.[564] შესაბამისად, კანონში პირის თანხმობაზე მინიშნებაც არ არის, რადგან მას საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელი პირის (სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის) კანონიერი მოთხოვნის შესრულების ვალდებულება აკისრია, ხელი არ უნდა შეუშალოს საგამოძიებო მოქმედებას (დაწყებას და მიმდინარეობას) და უფლება არ აქვს თანხმობა ან უარი განაცხადოს მის ჩატარებაზე. საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე თანხმობა, ასევე, უნდა გაიმიჯნოს საგამოძიებო მოქმედების – ჩხრეკის/ამოღების ჩატარებისას ამოსაღები საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის ნებაყოფლობით გადაცემის შემთხვევისგან, რომელიც საგამოძიებო მოქმედების პირის ნებართვით ჩატარებას არ გულისხმობს. ჩხრეკის/ამოღების დაწყებამდე გამომძიებელი სთავაზობს პირს, რომელთანაც ჩხრეკა/ამოღება ტარდება, ნებაყოფლობით გადასცეს ამოსაღები ობიექტი.[565] გამომძიებელს, სასამართლოს განჩინების ან გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, დადგენილების საფუძველზე უფლება აქვს ჩაატაროს ჩხრეკა და ამისთვის აღნიშნული პირის თანხმობას არ საჭიროებს. ამასთან, ნებაყოფლობით ამოსაღები ობიექტის გადაცემას ადგილი აქვს მაშინ, როცა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების გადაწყვეტილება უკვე არსებობს.

პირადი ცხოვრების უფლებით დაცულ სფეროში ჩარევის საფუძველს და წესს ადგენს საქართველოს კონსტიტუცია. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ვერ

[563] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 112, ნაწ. 1.
[564] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 120, ნაწ. 2.
[565] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 120, ნაწ. 4.

დაადგენს და არც ადგენს სახელმწიფოს უზენაესი კანონისგან განსხვავებულ წესს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ჩხრეკის/პირადი ჩხრეკის, ასევე, ამოღების ჩასატარებლად აუცილებელია სასამართლოს განჩინება ან გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, გამომძიებლის დადგენილების საფუძველზე მოსამართლის განჩინების არარსებობის გარეშეც ჩატარება, თუმცა მის კანონიერებას ამოწმებს სასამართლო. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, სასამართლოს განჩინების გარეშე პირადი ჩხრეკის ჩატარების 2 შემთხვევას იცნობს: 1. ჩხრეკის ადგილზე მყოფი პირის[566] და 2. დაკავებულის პირად ჩხრეკას.[567] ზემოაღნიშნულ ორივე შემთხვევაში, როგორც ზოგადად, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩხრეკის ჩატარებისას, პირადი ჩხრეკის კანონიერებას ამოწმებს სასამართლო. კანონის მოთხოვნა არ არის ბუნდოვანი ან განუსაზღვრელი, პირიქით, არაორაზროვნად, ცალსახად და მკაფიოდ განსაზღვრულია, რომ პირადი ჩხრეკის გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში მის კანონიერებას ამოწმებს სასამართლო.

ამდენად, გადაუდებელი აუცილებლობისას მიმდინარე ჩხრეკის/პირადი ჩხრეკის დროს (იმ შემთხვევაშიც, თუ პირი ამოსაღებ ნივთს ნებაყოფლობით გადასცემს), არსებობს სასამართლოს (მოსამართლის) მიერ საგამოძიებო მოქმედების კანონიერების შემოწმების აუცილებლობა და სავალდებულოობა. თუ დავუშვებთ შემთხვევას, რომ მოსამართლის განჩინების გარეშე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების სასამართლო კონტროლი არ განხორციელდება, მივიღებთ კონსტიტუციით დაცული უფლების სფეროში განსაკუთრებით მძიმე ჩარევის შემთხვევებს, რომლებიც გაუმართლებელია.

მოსამართლის მიერ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარებული ჩხრეკის ან ამოღების კანონიერების საკითხის შემოწმებაზე უარის თქმის შედეგად, გარდა იმისა, რომ ადგილი აქვს მოსამართლის მიერ საკუთარი ვალდებულების შეუსრულებლობას, მართლმსაჯულების განხორციელებას პრობლემები შესაძლოა მტკიცებულებათა დასაშვებობის თვალსაზრისითაც შეექმნას, რადგან ნებისმიერი სასამართლო გადაწყვეტილება კანონის მოთხოვნის დაცვით მოპოვებულ მტკიცებულებებს უნდა ეფუძნებოდეს. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, კანონის მოთხოვნის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს იურიდიული ძალა არა აქვს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო „კოდექსის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად

[566] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 120, ნაწ. 8.
[567] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 121, ნაწ. 2.

მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია.“[568]

რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის კომპეტენციაა ადამიანის კონსტიტუციური უფლების შეზღუდვისა და იძულებით ღონისძიებასთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ სასამართლოს განჩინების გამოტანა.[569]

შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველის პოზიციით, მოსამართლე ერთი მხრივ, უფლებამოსილია განიხილოს გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, სასამართლოს განჩინების გარეშე ჩატარებული ჩხრეკის/პირადი ჩხრეკის, ასევე, ამოღების კანონიერების შემოწმების შესახებ პროკურორის შუამდგომლობა; მეორე მხრივ, იმავე კოდექსის თანახმად[570], მას შუამდგომლობის განხილვისა და განჩინების (ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ ან ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობისა და მიღებული ინფორმაციის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ) გამოტანის ვალდებულება ეკისრება.

მოქალაქე შ.ი.–ს საქმე

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა მოქალაქე შ.ი.–ს განცხადება. 2013 წლის 14 სექტემბერს 05:25 საათზე სენაკში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სენაკის რაიონული სამმართველოს წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე, იმავე სამმართველოს დეტექტივის თანაშემწე–გამომძიებლის მიერ ბრალდებულის სახით დაკავებული იქნა მოქალაქე შ.ი., რომელსაც გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, დაკავების ადგილზევე დეტექტივის თანაშემწე–გამომძიებლის, ასევე, უბნის ინსპექტორ–გამომძიებლების მიერ ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა, რა დროსაც ბრალდებულმა შ.ი.–მ, მოთხოვნაზე წარმოედგინა ნარკოტიკული საშუალება, ნებაყოფლობით წარმოადგინა შარვლის უკანა მარცხენა ჯიბიდან ინსულინის ერთჯერად შპრიცში მოთავსებული გამჭვირვალე სითხე.

2013 წლის 15 სექტემბერს სენაკის რაიონული სასამართლოს მოსამართლის – დ.ჯ.–ს მიერ მიღებული განჩინებით, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების – შ.ი.-ს პირადი ჩხრეკის კანონიერად ცნობის შესახებ პროკურორის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა იმ მოტივით, რომ „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს სასამართლო კონტროლს იმ საგამოძიებო მოქმედებათა კანონიერების შემოწმების სახით, რომლებიც ჩატარებულია პირის

[568] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 72, ნაწ. 1.
[569] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 20, ნაწ. 2.
[570] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 112, ნაწ. 5 და 6, მუხ. 121 ნაწ. 2, მუხ. 120 ნაწ. 8.

(მესაკუთრის, მფლობელის) თანხმობით, მისი ნების შესაბამისად. შესაბამისად, არ არსებობს მოსამართლის განჩინების გარეშე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერების სასამართლოს მიერ შემოწმების სამართლებრივი საფუძველი. სასამართლოს განმარტებით, „შუამდგომლობის ავტორს უარი უნდა ეთქვას მის დაკმაყოფილებაზე, ვინაიდან ასეთი საგამოძიებო მოქმედების (კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების) კანონიერების შემოწმებას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს“.

საქართველოს სახალხო დამცველმა, წინამდებარე საქმის მასალების სრულყოფილად შესწავლის შედეგად, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიმართა მოსამართლის მიმართ დისციპლინური საქმისწარმოების დაწყების წინადადებით,[571] რადგან სენაკის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ – დ.კ.–მ უგულებელყო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 121-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 112-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილების მოთხოვნები.

მოქალაქე გ.კ.–ს საქმე

2014 წლის 12 დეკემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მე–2 მთავარი სამმართველოს პირველი სამმართველოს მე–3 განყოფილების დეტექტივ–გამომძიებლის დ.გ.–ს მიერ, სისხლის სამართლის საქმეზე, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, გამოტანილი დადგენილებების (1. დადგენილება გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში პირადი ჩხრეკის წარმოების შესახებ; 2. დადგენილება გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩხრეკის წარმოების შესახებ) საფუძველზე ჩატარდა შემდეგი საგამოძიებო მოქმედებები:

1. 2014 წლის 12 დეკემბერს 15:35–15:45 საათამდე თბილისში ჩატარდა მოქალაქე გ.კ.–ს პირადი ჩხრეკა;

2.2014 წლის 12 დეკემბერს 15:50–16:30 საათამდე თბილისში ჩატარდა გ.კ.–ს მართვის ქვეშ მყოფი „იაგუარის“ მარკის ავტომანქანის ჩხრეკა.

2014 წლის 13 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის – ლ.ლ.–ს მიერ მიღებული განჩინებით, გადაუდებელი აუცილებლობისას ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების – გ.კ.–ს პირადი ჩხრეკის კანონიერად ცნობის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა იმ მოტივით, რომ „გ.კ.–მ პირადი ჩხრეკის ჩატარებაზე განაცხადა თანხმობა. შესაბამისად, საგამოძიებო მოქმედების ჩატარება არ საჭიროებდა წინასწარ სასამართლოს განჩინებას, ხოლო კომუნიკაციის ერთ–ერთი მხარის თანხმობით

[571] საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის 13 მაისის N04–12/7144 წინადადება.

უკვე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების ჩხრეკის კანონიერების შემოწმებას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს.“

2014 წლის 13 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის – ლ.ლ.–ს მიერ მიღებული განჩინებით, გადაუდებელი აუცილებლობისას ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების – გ.კ.–ს ავტომანქანის ჩხრეკის კანონიერად ცნობის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა იმ მოტივით, რომ „როდესაც კომუნიკაციის ერთი მხარე ან თუნდაც ერთი თანამფლობელი ან მესაკუთრე თანახმაა მის მფლობელობაში (საკუთრებაში) არსებულ ფართში საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე, ასეთ შემთხვევაში საგამოძიებო მოქმედება ტარდება სასამართლოს განჩინების გარეშე, შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედება არ საჭიროებს სასამართლოს მხრიდან კონტროლს.“

რეკომენდაციები:

საქართველოს პარლამენტს:

- განხორციელდეს „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონსა და „ელექტორნული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებები, რომელიც უზრუნველყოფს ისეთი მექანიზმის შექმნას, რაც გამორიცხავს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების თვითნებურ ჩარევას ადამიანის პირად ცხოვრებაში, ასევე, შექმნის მონიტორინგის ეფექტურ მექანიზმს
- განხორციელდეს ცვლილებები კანონმდებლობაში, რომელიც გამორიცხავს ფარული საგამოძიებო მოქმედებების სასამართლოს განჩინებისა და პროკურორის დადგენილების გარეშე ჩატარების შესაძლებლობას
- უზრუნველყოფილი იქნეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების კონტროლის ქმედითი და ეფექტიანი მექანიზმის შემუშავება
- განხორციელდეს ცვლილებები კანონმდებლობაში, რომელიც უზრუნველყოფს მოსამართლის განჩინების გარეშე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების კანონიერად ცნობის საკითხის განხილვისას, მოსამართლის ვალდებულებას - სრულყოფილად გაეცნოს სისხლის სამართლის საქმისა და ოპერატიული ინფორმაციის შემცველი დოკუმენტაციის მასალებს, ასევე, დაავალდებულებს მოსამართლეს, საკითხის განხილვისას დაკითხოს საგამოძიებო მოქმედებების/ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების განმახორციელებელი და

საგამოძიებო მოქმედებაში/ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარებაში მონაწილე სხვა პირები საგამოძიებო მოქმედების/ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარებისას არსებული გარემოებების თაობაზე. ამასთან, მიზანშეწონილია, ოპერატიული ინფორმაციის შემცველი მასალის გაცნობის შესახებ აღინიშნებოდეს სასამართლო სხდომის ოქმში. გარდა ამისა, აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებით გათვალისწინებულ უნდა იქნეს მოსამართლის განჩინების გარეშე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების კანონიერად ცნობის საკითხის განხილვისას სასამართლოს სხდომის ოქმის წარმოების სავალდებულოობა, რომელშიც სრულყოფილად იქნება ასახული მოსამართლის მიერ განხილული მასალების თაობაზე ინფორმაცია

საქართველოს საერთო სასამართლოებს:

- უზრუნველყოფილი იქნეს გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების კანონიერების საკითხის განხილვა და შესაბამისი დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება.

აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლება

რელიგიის თავისუფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციითა[572] და სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით[573].

აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება მოიცავს, inter alia, თავისუფლებას, პირს ჰქონდეს ან არ ჰქონდეს რელიგიური მრწამსი და იყოს ან არ იყოს რელიგიის მიმდევარი.[574]

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით დაცული სფერო მოიცავს როგორც ადამიანის შინაგან რელიგიურ და მსოფლმხედველობრივ რწმენას (შინაგანი თავისუფლება), ისე რელიგიური და მსოფლმხედველობრივი რწმენის გამოვლინების თავისუფლებას (გარეგანი თავისუფლება). აღნიშნული მუხლით დაცული უფლებები ვრცელდება ნებისმიერ პირზე და არამარტო საქართველოს მოქალაქეებზე.[575] რელიგიის თავისუფლებით სარგებლობა პირს შეუძლია როგორც ინდივიდუალურად, ისე კოლექტიურად.

რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება სახელმწიფოს აკისრებს როგორც ნეგატიურ, ასევე პოზიტიურ ვალდებულებასაც. სახელმწიფო ვალდებულია არამხოლოდ არ ჩაერიოს რელიგიის თავისუფლებით სარგებლობაში, არამედ ხელი შეუწყოს ამ უფლების ეფექტიან რეალიზაციას.

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი დასაშვებად მიიჩნევს ამავე მუხლით დაცულ სფეროში ჩარევას, თუ მათი გამოვლინება ლახავს სხვათა უფლებებს. კერძოდ, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლების შეზღუდვა გამართლებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი გამოვლინებით ილახება სხვათა უფლებები. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მოცემული დებულებით უფლება აქვს შეზღუდოს რელიგიის თავისუფლების გამოვლინება, თითოეული ასეთი შეზღუდვისას უნდა შეადაროს ის უფლებები და ინტერესები, რომლებიც კონკრეტულ შემთხვევაში ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ასეთი შედარების საფუძველზე სახელმწიფომ უნდა დაადგინოს

[572] საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი;
[573] ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ ევროპული კონვენციის მე-9 მუხლი;
[574] Buscarini v. San Marino, No. 24645/94;
[575] საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თბილისი 2005;

კონკრეტულ გარემოებაში რომელი მხარის უფლებები და ინტერესები იმსახურებს უფრო მეტ დაცვას.[576]

2014 წელს რელიგიის თავისუფლების დაცვისა და ტოლერანტული გარემოს განვითარების კუთხით, წლების განმავლობაში არსებულ და გადაუჭრელ პრობლემურ საკითხებთან ერთად, რამდენიმე მნიშვნელოვან სიახლეს ჰქონდა ადგილი.

2014 წელს სახელმწიფომ მიიღო საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომლის ერთ-ერთი თავი რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებისა და რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვის კუთხით გასატარებელ ღონისძიებებს ეხება.

საანგარიშო პერიოდში შეიქმნა სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, ხოლო მეორე მხრივ, წარსულში მიყენებული ზიანისათვის სახელმწიფო დაფინანსება გამოეყო ოთხ რელიგიურ გაერთიანებას.

ამავდროულად, პრობლემად დარჩა რელიგიური ნიშნით ძალადობისა და მასზე სამართალდამცველების მხრიდან არაადეკვატური რეაგირების საკითხი. ამასთან, გამოძიება არ დასრულებულა 2012-2013 წლებში საქართველოს მუსლიმი მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებულ ქმედებებთან დაკავშირებულ საქმეებზე.[577]

კვლავაც გადაუჭრელია საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული რელიგიური ქონების რესტიტუციის საკითხი, საგადასახადო უთანასწორობა, საჯარო სკოლებში რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციული გარემოს არსებობა, საჯარო სივრცის ხელმისაწვდომობა და ინკლუზიურობა და სიძულვილის ენის გამოყენება.

ადამინის უფლებების დაცვის სამთავრობო გეგმა (2014-2015 წელბისთვის)

ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ განსახორციელებელი პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებულ საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიასთან[578] შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა საქართველოს ადამიანის უფლებების

[576] საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თბილისი 2005.
[577] საქართველოს მთავარი პროკურატურის 2014 წლის 16 დეკემბრის N13/76718 წერილი.
[578] „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2014–2020 წლებისთვის)“ დამტკიცების შესახებ საქართველოს პარლამენტის დადგენილება.

დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა[579] და შექმნა „საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭო“.[580]

სამოქმედო გეგმის მე-12 თავი რწმენის და აღმსარებლობის თავისუფლებასა და რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვის საკითხებს ეთმობა. სამოქმედო გეგმის აღნიშნული თავის მიზანია რელიგიური შემწყნარებლობის დამკვიდრება და რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობა, ხოლო მის ამოცანებს წარმოადგენს რელიგიური ჯგუფებისთვისთვის დისკრიმინაციისგან დაცვის საკანონმდებლო გარანტიების შექმნა; რელიგიური სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის პრევენცია და ეფექტური გამოძიება; საჯარო სამსახურში სეკულარიმზის პრინციპების განმტკიცება; რელიგიური ორგანიზაციებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება; განათლების სისტემაში რელიგიური თანასწორობის პრინციპების დანერგვა და ცნობიერების ამაღლება.

სამოქმედო გეგმის ამ ნაწილის შესრულების ინდიკატორად, მთელ რიგ საკითხებზე, მითითებულია საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშები და შეფასებები.

სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო

საქართველოს მთავრობამ 2013 წლის 29 ნოემბერს N305[581] დადგენილებით, შექმნა რელიგიურ გაერთიანებებთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების შემსწავლელი უწყებათაშორისი კომისია. კომისიის შემადგენლობაში სხვადასხვა სამინისტროების წარმომადგენლები იყვნენ წარმოდგენილი.

კომისიის დებულებით, მის ძირითად ამოცანებს წარმოადგენდა რელიგიურ-საკულტო ნაგებობების მშენებლობის მარეგულირებელი და რელიგიურ გაერთიანებებთან დაკავშირებული სხვა კანონმდებლობის ანალიზი და შემუშავება, რელიგიური გაერთიანებების საკუთრების შესწავლა და ა.შ.

კომისიის ფარგლებში 2013 წლის 29 ნოემბრიდან 2014 წლის 10 თებერვლამდე ჩატარდა 5 სხდომა და შემუშავდა ორი ნორმატიული აქტის პროექტი:

---

[579] საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015 წლებისთვის) დამტკიცებისა და საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014–2015 წლებისთვის) საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივლისის N405 დადგენილება.

[580] იგივე;

[581] „რელიგიურ გაერთიანებებთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების შემსწავლელი უწყებათაშორისი კომისიის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 ნოემბრის N305 დადგენილება.

- „საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისთვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი (2014 წლის 27 იანვარი);
- „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი (2014 წლის 19 თებერვალი).

სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს შექმნის შემდეგ, 2014 წლის 30 ივნისს კომისიამ არსებობა შეწყვიტა.

სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს (შემდგომში სახელმწიფო სააგენტო), დებულების[582] თანახმად, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრისათვის ახორციელებს საინფორმაციო, კვლევით, სამეცნიერო-საგანმანათლებლო და სარეკომენდაციო საქმიანობას რელიგიის სფეროში და მის უფლებამოსილებებს განეკუთვნება: რელიგიის სფეროში არსებული მდგომარეობის ანალიზი, სამართლებრივი აქტების, პროექტებისა და რეკომენდაციების მომზადება, კონსტიტუციური შეთანხმებით განსაზღვრულის მიზნების შესრულებისთვის რეკომენდაციების მომზადება, აგრეთვე რეკომენდაციების მომზადება საკულტო ნაგებობების მშენებლობასთან, რელიგიის სფეროში განათლებასთან დაკავშირებით, რელიგიურ გაერთიანებებს შორის კონფლიქტის შემთხვევაში შუამავლის როლის შესრულება, ტოლერანტული გარემოს მხარდაჭერა და ა.შ.

სახელმწიფო სააგენტოს მიმართ რელიგიური გაერთიანებების მხრიდან კრიტიკულ დამოკიდებულებას იწვევს ის გარემოება, რომ მისი შექმნისა და უფლებამოსილების განსაზღვრის ეტაპზე არ იყო უზრუნველყოფილი სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა საბჭოს და ამ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციათა ჩართულობა. გარდა ამისა, შექმნილი ორგანო არ არის დაფუძნებული წარმომადგენლობაზე.

ამასთანავე, ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI), საქართველოს შესახებ 2010 წლის მოხსენებაში[583], საქართველოს მთავრობას მხოლოდ რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალიზებული ორგანოს შექმნის რეკომენდაციას უწევდა. ამავე მოხსენებაში ხაზგასმითაა აღნიშნული სახალხო დამცველთან არსებული

[582] 2014 წლის 19 თებერვლის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N177 დადგენილება.

[583] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < http://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/Country-by-country/Georgia/GEO-CbC-IV-2010-017-GEO.pdf > [ბოლოს ნანახია 2015 წლის 29 მარტს]

რელიგიათა საბჭოს და ტოლერანტობის ცენტრის მიღწევები რელიგიური შემწყნარებლობის ხელშეწყობის თვალსაზრისით:

> „2005 წელს სახალხო დამცველთან დაარსდა ეთნიკური უმცირესობებისა და რელიგიათა საბჭოები, რომლებიც ასრულებენ მნიშვნელოვან საკონსულტაციო ფუნქციას... სახალხო დამცველთან მუშაობს აგრეთვე ტოლერანტობის ცენტრი, რომელიც ახორციელებს სიტუაციის მონიტორინგს და პასუხობს ეთნიკური, რელიგიური და სხვა უმცირესობების მიმართ გამოვლენილ შეუწყნარებლობის ფაქტებთან დაკავშირებულ პრობლემებს.“[584] „რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლაში სახალხო დამცველის საკვანძო როლის გათვალისწინებით, ECRI ურჩევს საქართველოს ხელისუფლებას, კვლავაც განაგრძოს ამ ინსტიტუტის მხარდაჭერა“[585]. „ECRI რეკომენდაციას უწევს საქართველოს ხელისუფლებას, განაგრძოს დიალოგი რელიგიურ უმცირესობათა წარმომადგენლებთან, კერძოდ, სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა საბჭოსთან თანამშრომლობის ფარგლებში.“[586]

რელიგიური გაერთიანებებისთვის თანხის გამოყოფის საკითხი

საქართველოს მთავრობამ 2014 წლის 27 იანვრის დადგენილებით[587] მიიღო გადაწყვეტილება, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გარდა, დამატებით ოთხი რელიგიური გაერთიანებისთვის საბჭოთა პერიოდში მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ.

ზიანის ნაწილობრივი კომპენსაცია განხორციელდა მხოლოდ 2014 წლის 27 იანვრამდე „საჯარო სამართლის იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით რეგისტრირებულ ისლამური, იუდეური, რომაულ-კათოლიკური და სომხური სამოციქულო აღმსარებლობის მქონე რელიგიური გაერთიანებების“[588] მიმართ.

---

[584] „მოხსენება საქართველოს შესახებ“, ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ, CRI (2010)17, 2010 წლის 28 აპრილი, პარ 23.

[585] „მოხსენება საქართველოს შესახებ“, ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ, CRI (2010)17, 2010 წლის 28 აპრილი, პარ 26.

[586] „მოხსენება საქართველოს შესახებ“, ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ, CRI (2010)17, 2010 წლის 28 აპრილი, პარ 70.

[587] „საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის N177 დადგენილება.

[588] „საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზოგიერთი

სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა საბჭოში შემავალი რელიგიური გაერთიანებებისათვის გაურკვეველი დარჩა, რა კრიტერიუმის გამოყენებით, ან/და რა ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით შეირჩა მხოლოდ ეს ოთხი კონფესია მაშინ, როცა საბჭოთა კავშირში ანალოგიურად იდევნებოდნენ სხვა რელიგიური ჯგუფებიც (ეზიდები, ლუთერელები და სხვა პროტესტანტული დენომინაციები, კრიშნაიდები და სხვ.).

გაურკვეველი დარჩა მიყენებული ზიანის ოდენობის განსაზღვრის წესიც: „უცნობია …. ზიანის ზუსტი ოდენობა და ამდენად ზიანის ანაზღაურება განხორციელდება სიმბოლურად … სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხის ყოველწლიურად გამოყოფის გზით.“ (...) [589]

იმ შემთხვევაში, თუ რელიგიური აღმსარებლობა წარმოდგენილია რამდენიმე საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ, მათ მოეთხოვებათ ერთ იურიდიულ პირად გაერთიანება, საკოორდინაციო საბჭოს შექმნა, ან ერთ-ერთი გაერთიანების სასარგებლოდ ანაზღაურების უფლების დათმობა, იმისთვის რომ რელიგიურ გაერთიანებაზე გაიცეს თანხა.[590]

რელიგიური ნეიტრალიტეტი საჯარო სამსახურში

სეკულარიზმის პრინციპი, რომელიც სამართლებრივი სისტემის მნიშვნელოვან მიღწევად უნდა მივიჩნიოთ, დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოში ყველა მოქალაქის უფლების თანაბარი უზრუნველყოფის ერთ–ერთ მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს. საქართველოში, რომელიც მულტიეთნიკური და მულტირელიგიური ქვეყანაა, მნიშვნელოვანია ტოლერანტობის კულტურის განმტკიცება, ხოლო სეკულარიზმის პრინციპის რეალიზაციის აუცილებლობა განსაკუთრებულ როლს თამაშობს.

სეკულარულ რეჟიმში რელიგია პილიტიკური ფუნქციისაგან არის დაცული. სეკულარულ კონსტიტუციონალიზმში რელიგია, პოლიტიკურ–იურიდიული გადაწყვეტილებების

ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის N177 დადგენილების პირველი მუხლის მე-3 პუნქტი.

[589] „საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის N177 დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები;

[590] „საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის N177 დადგენილების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი.

მიღების პროცესში არ მონაწილეობს.[591] სეკულარიზმის პრინციპი, იმ ღირებულებებს შორისაა, რომელიც გამომდინარეობს ასევე საქართველოს კონსტიტუციიდან.[592] გარდა ამისა, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–13 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს საჯარო სამსახურის ძირითად პრინციპებს, მათ შორისაა საჯარო სამსახურის საერო ხასიათი, რაც რელიგიური ნეიტრალიტეტის პრინციპს გულისხმობს.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საანგარისო პერიოდსი განიხილა ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის განცხადება, რომელიც 2014 წლის 2 ოქტომბერს სასჯელაღსრულების №8 დაწესებულებაში თურქეთის მოქალაქის მართლმადიდებელ ქრისტიანად მონათვლის საკითხს შეეხება. სახალხო დამცველის შეფასებით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სოციალური სამმართველოს უფროსის ლ.ა.-ს მიერ ნათლობის პროცესში გამოთქმული სუბიექტური მოსაზრებები[593] წინააღმდეგობაში მოდის საჯარო მოხელის კონსტიტუციითა და სხვა კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარო მოხელის საერო ხასიათთან[594].

მუსლიმთა წინაშე არსებული პრობლემები

2014 წელს, წინა წლების მსგავსად, ისლამის აღმსარებელი მოქალაქეების ერთი ნაწილის უფლებათა დარღვევის რამდენიმე ფაქტი დაფიქსირდა. სამწუხაროდ, მთელ რიგ

---

[591] ანდრაშ შაიო, კონსტიტუციონალიზმი და სეკულარიზმი: საზოგადოებრივი საღი აზრის საჭიროება, 2009, გვ:4; 33.

[592] ევა გოცირიძე, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი“, 2013, გვ:164.

[593] აღნიშნული პირის განმარტებით: „ჩვენ დღეს ძალიან სერიოზული მისიით ვართ მობრძანებული აქ. 6 ადამიანი რომლის სურვილი იყო უწმინდესის ლოცვა კურთხევით მიეღოთ ჯვრები, ეს მისია შევასრულეთ და
ყველაზე მთავარი, ჩვენი ერთ–ერთი ბრალდებული, რომელიც თურქეთის მოქალაქეა, მაგრამ არის ჩვენებური და ისტორიულად ქართველი, დღეს დაუბრუნდა თავის ძირს, თავის ფესვებს, თავის ჯიშს და გენს და მოინათლა ქრისტიანად, მართლმადიდებლურად, ჩვენ ამაში მონაწილეობა მივიღეთ, სოციალურმა სამმართველომ, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია ის რომ საპაქტრიარქო და უშუალოდ ჩვენი უწმინდესი ყველაფერ ამაში უდიდეს მონაწილეობას იღებს.. მისი ლოცვა–კურთხევით ძალიან ბევრი კარგი საქმე კეთდება.“

[594] „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78–ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი დისციპლინური გადაცდომის ერთ–ერთ სახედ განსაზღვრავს სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეულ შეუსრულებლობას ან არაჯეროვნად შესრულებას. ამავე კანონით დადგენილი პრინციპების დარღვევა, რომელთა შესრულებაც საჯარო მოხელისათვის სავალდებულოა, უნდა ჩაითვალოს სამსახურებრივის მოვალეობის არაჯეროვან შესრულებად. თუმცა, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა განმცხადებლის საჩივარი ზემოთ ხსენებულ ფაქტთან დაკავშირებით დისციპლინური წარმოების დაწყების თაობაზე განუხილველად დატოვა, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2014 წლის 31 ოქტომბრის MCLA41400590055 წერილი.

შემთხვევებში არ გამოძიებულა და პასუხისგებაში არ მიცემულა 2012-2013 წლებში მუსლიმთა წინააღმდეგ განხორციელებულ კანონდარღვევებში მონაწილე პირები.

ქობულეთი

2014 წლის 10 სექტემბერს ქობულეთის მუნიციპალიტეტში, ლერმონტოვის ქუჩა N13-ში მდებარე მუსლიმ ბავშვთა პანსიონის გახსნა ადგილობრივმა მცხოვრებლებმა გააპროტესტეს. მათ პანსიონის შესასვლელთან დაკლეს ღორი და მისი თავი პანსიონის კარზე მიაჭედეს. ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილმა მშენებლობის ფაქტის გასაპროტესტებლად, გადაკეტა ქუჩა. მოსახლეობის პროტესტი არც მომდევნო დღეებში შეწყვეტილა. ისინი განაგრძობდნენ მორიგეობას შენობის შესასვლელთან. 2014 წლის 15 და 16 სექტემბერს მათ კვლავ გადაკეტეს შენობასთან მისასვლელი გზა და მოსწავლეებს არ მისცეს შესაძლებლობა, შესულიყვნენ სასწავლებელში.

ქობულეთში, რუსთაველის ქ. №33-ში, მუსლიმთა პანსიონი, რომელიც 15 მოსწავლეს იტევს, რამდენიმე წელია ფუნქციონირებს. მოსწავლეების რაოდენობის მატების გამო, ლერმონტოვის ქ. N13-ში იგეგმებოდა ახალი, 40 მოსწავლის მომსახურებაზე გათვალისწინებული პანსიონის გახსნა.

პანსიონში მცხოვრები ბავშვები განათლებას საჯარო სკოლებში იღებენ. პანსიონში კი მათ გაკვეთილების მომზადებასა და დამატებითი ცოდნის მიღებაში ეხმარებიან. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, აღნიშნული პანსიონის გახსნა და ფუნქციონირება, მისი დანიშნულებიდან და შინაარსიდან გამომდინარე, არ საჭიროებს სპეციალურ ნებართვას ან ლიცენზიას; ასევე, არ წარმოადგენს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც ავტორიზებასა და აკრედიტაციას საჭიროებს.

საქართველოს სახალხო დამცველის შესწავლის შედეგების, ისევე როგორც მედიით გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, 2014 წლის 10, 15 და 16 სექტემბერს ლერმონტოვის ქუჩა N13-ში მდებარე მუსლიმ ბავშვთა პანსიონთან გამართულ საპროტესტო აქციებზე იმყოფებოდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის თანამშრომლები.

ადგილობრივი მუსლიმები, საქართველოს სახალხო დამცველისათვის მიცემულ ახსნა–განმარტებებში[595] მიუთითებენ, რომ 2014 წლის 10 სექტემბერს, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა, სიტუაციის განმუხტვის მიზნით, მათ შენობიდან გასვლა მოსთხოვეს. პანსიონის მიმდებარე ტერიტორიაზე დარჩნენ სამართალდამცავი პირები.

[595] გ.დ.-ს, ბ.ი.-ს, შ.კ.-სა და რ.კ.-ს 2014 წლის 15 სექტემბრის ახსნა-განმარტებები.

მოგვიანებით, მუსლიმებმა შეიტყვეს პანსიონთან ღორის დაკვლისა და კარზე ღორის თავის მიმაგრების შესახებ. ახსნა-განმარტებების[596] თანახმად, 2014 წლის 15 და 16 სექტემბერს მიმდინარე საპროტესტო აქციის დროს ადგილობრივი მუსლიმები იმყოფებოდნენ შენობაში და მათ აქციის მონაწილეები არ აძლევდნენ შენობის დატოვების შესაძლებლობას. ხოლო, მოსწავლეებს პანსიონში არ უშვებდნენ. ახსნა–განმარტებების მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ ორივე დღეს პანსიონის მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ საპატრულო პოლიციის თანამშრომლები და აკვირდებოდნენ საპროტესტო აქციის მიმდინარეობას, მათ არ უზრუნველყვეს მოსწავლეების პანსიონში შესვლა და მეორე მხრივ, შენობაში მყოფი პირებისთვის შენობის დატოვების შესაძლებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ პანსიონის თანამშრომლებს და მოსწავლეებს შეეზღუდათ გადაადგილების თავისუფლება, არ მიეცათ საკუთრებით სარგებლობის საშუალება, ხოლო მოსწავლეებს, განათლების მიღების უფლება, სამართალდამცველებმა არ უზრუნველყვეს აღნიშნული უფლებების შეზღუდვის ფაქტების აღკვეთა.

სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა[597] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას, შეესწავლა ქობულეთში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით სამართალდამცველთა მიერ გატარებული ღონისძიებები. მიღებული კორესპონდენციებით,[598] სახალხო დამცველს ეცნობა, რომ შს სამინისტროს მოსამსახურეების მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ფაქტები არ დადასტურდა.

სახალხო დამცველმა ასევე მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას და გამოითხოვა ინფორმაცია, 2014 წლის 10 სექტემბერს ქობულეთის მუნიციპალიტეტში ლერმონტოვის ქ. 13-ში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით გამოძიების მიმდინარეობის შესახებ. [599]

საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის მოწოდებული ინფორმაციით,[600] მომხდართან დაკავშირებით გამოძიება დაწყებულია მ.მ.-ს მიმართ მუქარის ფაქტზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა კონკრეტული პირების მიმართ დაწყებული არ არის.

---

[596] იგივე.

[597] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2014 წლის 6 ოქტომბრის N04-9/12270.

[598] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინიტროს გენერალური ინსპექციის 2014 წლის 20 ოქტომბრის N2072683 და 2014 წლის 12 დეკემბრის N2516371 წერილები.

[599] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2014 წლის 23 სექტემბრის N04-9/11965 და 2015 წლის 16 თებერვლის N04-9/1216 წერილები.

[600] საქართველოს მთავარი პროკურატურის 2014 წლის 01 ოქტომბრის N13/61116 და 2015 წლის 24 თებერვლის N13/11035 წერილები.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ასევე შეისწავლა ააიპ „ქართველ მუსლიმთა ურთიერთობის“ წარმომადგენლის, რ.კ.-ს განცხადება. განცხადების თანახმად, 2014 წლის 26 ივნისს ააიპ „ქართველ მუსლიმთა ურთიერთობის“ თავმჯდომარემ შპს „ქობულეთის წყალს“ ქობულეთის მუნიციპალიტეტში, ლერმონტოვის ქ. N13-ში მდებარე უძრავი ქონების (შენობა სადაც პანსიონის გახსნა იგეგმებოდა) ქობულეთის წყალმომარაგების სისტემაზე მიერთებასთან დაკავშირებით მიმართა. საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ 2014 წლის 24 ივნისს მომხმარებელმა წყალმომარაგების სისტემაზე მიერთების საფასური - 1650 ლარი გადაიხადა. თუმცა, შპს „ქობულეთის წყალს“ არ განუხორციელებია შესაბამისი სამუშაოები.

სახალხო დამცველის აპარატმა შპს „ქობულეთის წყალს“[601] მიმართა და გამოითხოვა ინფორმაცია, ქობულეთის მუნიციპალიტეტში ლერმონტოვის ქ. N13-ში მდებარე უძრავი ქონების ქობულეთის წყალმომარაგების სისტემაზე მიერთების პროცესის გაჭიანურების მიზეზებთან დაკავშირებით. შპს „ქობულეთის წყლის“ მიერ საქართველს სახალხო დამცველის აპარატისათვის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,[602] აღნიშნულ მისამართზე ტექნიკური განყოფილების ბრიგადა არაერთხელ იმყოფებოდა, თუმცა ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობის გამო ვერ მოხერხდა ვალდებულების შესრულება. აღნიშნულის შესახებ მათ ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და პოლიციას მიაწოდეს ინფორმაცია. მოწოდებული კორესპონდენციის თანახმად, შპს „ქობულეთის წყალი“ მზად არის გადახდილი საფასური დაუბრუნოს განმცხადებელს და პრობლემის მოგვარების შემდეგ განაახლოს წყალმომარაგების სისტემაზე მიერთების სამუშაოები.

მოხე

2014 წლის ოქტომბერში ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეში რელიგიური შეუწყნარებლობის გამოვლინების კიდევ ერთ შეთხვევას ჰქონდა ადგილი.

ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეში მცხოვრები მუსლიმი თემი წლების მანძილზე ითხოვს ამავე სოფელში მდებარე სადავო ნაგებობის მათთვის გადაცემას. 2007 წლიდან აღნიშნული შენობა წარმოადგენს თვითმმართველი ერთეულის (ადიგენის მუნიციპალიტეტი) საკუთრებას. 2014 წლის მაისში ადგილობრივმა მუსლიმებმა ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობას შენობის საქართველოს მუსლიმთა სამუფთოსთვის გადაცემის თხოვნით მიმართეს.

[601] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2014 წლის 18 ნოემბრის N04-9/13524 წერილი.
[602] შპს „ქობულეთის წყლის“ 2014 წლის 29 ნოემბრის N01-18/201 წერილი.

2014 წლის სექტემბერში ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობამ „ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხის კლუბის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვის შესახებ“ ელექტრონული ტენდერი გამოაცხადა[603]. ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ 2014 წლის 18 ოქტომბერს სარემონტო სამუშაოები დაიწყო. 22 ოქტომბერს კომპანიის მიერ სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას ადგილობრივი მუსლიმი მრევლის პროტესტი მოჰყვა. ადგილზე მობილიზებულნი იყვნენ საპატრულო პოლიციის თანამშრომლები, რომლებმაც აქციის მონაწილე 14 მუსლიმი პირი დააკავეს.

სამი პირი - თ.მ., ო.მ. და მ.ბ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის მეორე ნაწილით[604] გათვალისწინებული ქმედებისთვის დააკავეს, ხოლო 11 პირი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე[605] და 173-ე[606] მუხლებით გათვალისწინებული ქმედებებისთვის.

2014 წლის 23 ოქტომბერს სამი ბრალდებული გათავისუფლდა დროებითი მოთავსების იზოლატორიდან. ხოლო ახალციხის რაიონული სასამართლოს დადგენილებით[607] 11 დაკავებული ცნობილი იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად. ამასთან, თბილისის სააპელაციო სასამართლოს დადგენილებით,[608] ორი პირი გათავისუფლდა ადმინისტრაციული სახდელისაგან.

საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,[609] თ.მ., ო.მ. და მ.ბ.-ს მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის სავარაუდო ჩადენის ფაქტზე გრძელდება გამოძიება. მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ მიუხედავად დაკავებულთა გათავისუფლებისა, მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ შეწყვეტილა. სახალხო დამცველის აპარატმა 2015 წლის 22 იანვარს დამატებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას და ზემოაღნიშნული სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია მოითხოვა. პასუხად, საქართველოს მთავარი პროკურატურიდან 2015 წლის 2 თებერვლით დათარიღებული კორესპოდენციით შეგვატყობინეს, რომ სახალხო დამცველის აპარატს დეტალური ინფორმაცია აღნიშნულ

---

[603] იხ. http://tenders.procurement.gov.ge/public/?go=123766&lang=ge [ბოლოს ნანახია 2015 წლის 29 მარტს].

[604] პოლიციის მუშაკის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ ჯგუფურად წინააღმდეგობის გაწევა;

[605] წვრილმანი ხულიგნობა.

[606] სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა.

[607] ახალციხის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 24 ოქტომბრის დადგენილება.

[608] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 28 ნოემბრის დადგენილება.

[609] საქართველოს მთავარი პროკურატურის 2014 წლის 8 დეკემბრის N13/76134, 2014 წლის 9 დეკემბრის N13/76390 და 2015 წლის 2 თებერვლის N13/5931 წერილები.

საქმეზე უკვე მიეწოდა 2014 წლის 8 დეკემბრის წერილით. შესაბამისად უნდა მივიჩნიოთ, რომ როგორც გამოძიება, ასევე სისხლისსამართლებრივი დევნა თ.მ., ო.მ. და მ.ბ.-ს მიმართ კვლავ გრძელდება.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს დამატებით ეცნობა, რომ 2014 წლის 2 დეკემბერს პოლიციის თანამშრომელთა მიმართ ცალკე წარმოებად გამოიყო სისხლის სამართლის საქმე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით[610] გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის ფაქტზე. მოცემულ საქმესთან დაკავშირებით გრძელდება გამოძიება.

საკითხის შესწავლის მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულები იმყოფებოდნენ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეში, სადაც გაესაუბრნენ ადგილობრივ მართლმადიდებელ და მუსლიმ მოსახლეობას, შეხვდნენ ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ამავე მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს და იმყოფებოდნენ ახალციხისა და ბორჯომის დროებითი მოთავსების იზოლატორებში, სადაც გაეცნენ 2014 წლის 22 ოქტომბერს დაკავებული პირების გარეგნული დათვალიერების ოქმებს. ოქმების მიხედვით დასტურდება, რომ დაკავებულ პირებს აღენიშნებოდათ ფიზიკური დაზიანებები. შემთხვევის ადგილზე მყოფი მუსლიმების თქმით, ადგილზე იმყოფებოდა პოლიცია, მათ შორის სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულებიც; ასევე იმყოფებოდნენ ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებელი და სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი.

დაკავებულები აღნიშნავდნენ, რომ სამართალდამცველები მათ სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ და „თათრებს“ უწოდებდნენ. მათი თქმით, რამდენიმე დაკავებულს სამართალდამცველებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს როგორც დაკავების პროცესში, ისე ადიგენის პოლიციის განყოფილებაში.

2014 წლის 2 დეკემბერს შეიქმნა „ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეში მდებარე, კლუბის სტატუსით რიცხულ შენობასთან დაკავშირებით არსებული გარემოებების შემსწავლელი კომისია“. კომისიას სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე ხელმძღვანელობს. კომისიის შემადგენლობაში ასევე შედიან აღმსარებლობით მუსლიმი და მართლმადიდებელი პირები, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და სამცხე-ჯავახეთის გუბერნიის წარმომადგენლები.

ადიგენის რაიონის სოფელ მოხეში განვითარებული მოვლენების შემდგომ, საქართველოს სახალხო დამცველმა, მისი მანდატის გათვალისწინებით, მიმართა სსიპ რელიგიის საქმეთა სახელმწიფო სააგენტოს „ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეში მდებარე, კლუბის

[610] მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება.

სტატუსით რიცხულ შენობასთან დაკავშირებით არსებული გარემოებების შემსწავლელი კომისიის“ (შემდგომში კომისია) საქმიანობაში დამკვირვებლის სტატუსით ჩართვასთან დაკავშირებით.[611]

სამწუხაროდ, კომისიის შექმნიდან, 2014 წლის დეკემბრიდან ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, კომისიამ ვერ უზრუნველყო შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება და სახალხო დამცველის ჩართულობა კომისიის სხდომებში.[612]

იმის გათვალისწინებით, რომ ადიგენის რაიონის სოფელ მოხეში სადავო შენობის დანიშნულებისა და კუთვნილების საკითხმა ადგილობრივ მოსახლეობაში ვნებათაღელვა გამოიწვია და შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ადამიანის ისეთ ძირითად უფლებაში ჩარევას, როგორიცაა რელიგიის თავისუფლება, ისევე როგორც მართლმადიდებელ და მუსლიმ თემს შორის სოციალური მშვიდობისა და თანაცხოვრებისათვის საფრთხის შექმნას, საქართველოს სახალხო დამცველს აუცილებლად მიაჩნია კომისიის საქმიანობაში მონაწილეობა მიიღოს დამკვირვებლის სტატუსით და განახორციელოს ამ პროცესის მონიტორინგი.

რელიგიის თავისუფლების საკითხებზე მსჯელობისას ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფომ უნდა მოარგოს სხვადასხვა ჯგუფების ინტერესები ერთმანეთს, რათა ნეიტრალურად და მიუკერძოებლად დაიცვას მორწმუნეთა შორის

---

[611] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე:
http://www.ombudsman.ge/ge/about-us/struqtura/departamentebi/samoqalaqo-politikuri-ekonomikuri socialuri-da-kulturuli-uflebebis-dacvis-departamenti/siaxleebi-jus/saxalxo-damcveli-sofel-moxeshi-mdebare-sadavo-shenobastan-dakavshirebit-sheqmnil-komisiashi-damkvirveblis-statusit-chartvas-itxovs.page [ბოლოს ნანახია 2015 წლის 29 მარტს]

[612] სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს 2015 წლის 6 თებერვლის N1/54 წერილში აღნიშნულია „ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეში მდებარე, კლუბის სტატუსით რიცხულ შენობასთან დაკავშირებით არსებული გარემოებების შემსწავლელი კომისიის“ მსჯელობის საგანს წარმოადგენს ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეში მდებარე, მუნიციპალიტეტის ბალანსზე, ძირითადი - განუსხვისებელი ქონების სახით, კლუბის სტატუსით, რიცხულ შენობასთან დაკავშირებული გარემოებების შესწავლა, შენობის ისტორიულ-კონფესიური წარმომავლობის ჭრილში და არა საკუთრების ან/და რწმენის თავისუფლების, ან სხვა საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ჭრილში. ამდენად, კომისიის საქმიანობა სცილდება „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის რეგულაციას“. ამავე წერილის თანახმად, კომისია წარმოადგენს მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შექმნილ სათათბიროს, რომლის უფლებამოსილებაში არ შედის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღება. ამასთან, კომისიის წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა არ არის საჯარო მოხელე და არ წარმოადგენს საჯარო დაწესებულებას ფორმატიდან გამომდინარე. ამდენად, კომისიის საქმიანობაზე არ ვრცელდება „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის რეგულაცია. მიუხედავად აღნიშნულისა, განსახილველი საკითხის მიმართ დიდი საჯარო ინტერესის არსებობის გამო, სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, როგორც კომისიაზე წარმოდგენილი ერთ-ერთი მხარე, არ არის წინააღმდეგი საქართველოს სახალხო დამცველი დამკვირვებლის სტატუსით ჩაერთოს კომისიის საქმიანობაში“.

სოციალური მშვიდობა და ურთიერთგაგება (კოკინაკისი საბერძნეთის წინააღმდეგ, 1993, §33). სწორედ ნეიტრალიტეტზე და მიუკერძოებლობაზეა დამოკიდებული ქვეყნის დემოკრატიულობა და პლურალიზმი (ბესარაბიის სამიტროპოლიტო ეკლესია და სხვები მოლდოვას წინააღმდეგ, 1999, §115–116). სასამართლო აღნიშნავს, რომ ქვეყანას არ აქვს იმის დისკრეციული უფლებამოსილება, შეამოწმოს, თუ რამდენად ლეგიტიმურია ადამიანთა რწმენა ან საშუალებები, რითიც ის გამოიხატება (მანოსაკისი საბერძნეთის წინააღმდეგ, 1996, §47). სახელმწიფოს როლი ის კი არ არის, რომ პლურალიზმის გაუქმებით აღმოფხვრას სხვადასხვა ჯგუფებს შორის დაძაბულობის მიზეზი, არამედ ხელი შეუწყოს, რომ ამ ჯგუფებმა ერთად თანაცხოვრება შეძლონ (სერიფი საბერძნეთის წინააღმდეგ, 1999, §53).

იეჰოვას მოწმეების წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებები

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველისათვის ცნობილი გახდა იეჰოვას მოწმეთა წინააღმდეგ 2014 წელს რელიგიური ნიშნით განხორციელებული დევნის, ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის, დისკრიმინაციის 45-მდე ფაქტის შესახებ. ამათგან, 13 შემთხვევაში აღწერილია ფიზიკური, ხოლო 30 შემთხვევაში სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტები. მიღებული ინფორმაციით, ადგილი ჰქონდა რელიგიური ლიტერატურის ან სტენდების დაზიანების 11 ფაქტს, რომელთაგან 7-ში საუბარია სასულიერო პირების მონაწილეობაზე, ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზიანების ორ ფაქტს და მშენებლობისთვის დაბრკოლების შექმნის ერთ ფაქტს.

საანგარიშო პერიოდში იეჰოვას მოწმეების წინააღმდეგ ჩადენილ სამართალდარღვევის ფაქტებზე გამოძიება დაიწყო:

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლით (დევნა) 8 შემთხვევაში;
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 155-ე მუხლით (რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა) ერთ შემთხვევაში;
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლით (ცემა) – 3 შემთხვევაში. ამათგან ორ შემთხვევაში გადაკვალიფიცირდა 156-ე მუხლით;

საანგარიშო პერიოდში იეჰოვას მოწმეთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულთათვის დამნაშავედ ცნობილი იქნა ორი პირი, რომელთაგანაც ერთს სასჯელის სახედ განესაზღვრა ჯარიმა 3 000 ლარის ოდენობით, ხოლო მეორეს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-64-ე მუხლების თანახმად ჩაეთვალა პირობითად და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 2 წელი.

დანაშაულის ჩადენაში მხილებული პირების მიმართ განრიდება გამოყენებული იყო 3 შემთხვევაში.

საანგარიშო პერიოდში საქმეების ნაწილზე გამოძიება გრძელდებოდა.

იეჰოვას მოწმეების სამეფო დარბაზის მშენებლობა თერჯოლაში

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა არარეგისტრირებულ კავშირ „თერჯოლას“ წარმომადგენლის, მ.ც.-ს განცხადება, რომლის წევრები თ.ც., ა.ვ. და ნ.ბ. რელიგიური ორგანიზაციის, „იეჰოვას მოწმეთა“ მიმდევრები არიან, თერჯოლის მუნიციპალიტეტში, ოთხი ძმის ქუჩის პირველი შესახვევის N1-ში მშენებლობის ნებართვის შეჩერების კანონიერების შესწავლასთან დაკავშირებით.

საქმის მასალების თანახმად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 19 თებერვლის ბრძანების[613] შესაბამისად, არარეგისტრირებულ კავშირ „თერჯოლას“ მიენიჭა უფლებამოსილება, თერჯოლაში, ოთხი ძმის ქუჩის პირველი შესახვევის N1-ში განეხორციელებინა სამშენებლო სამუშაოები.

კავშირის წარმომადგენლებმა მათ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ბრძანებით გათვალისწინებული საცხოვრებელი სახლის მშენებლობა 2014 წლის მაისში დაიწყეს. ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან მშენებლობის დაწყებამ გამოიწვია პროტესტი. [614]

2014 წლის 3 ივნისის თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების[615] თანახმად, შეჩერდა ამავე მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 19 თებერვლის ბრძანება[616] თერჯოლაში საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მშენებლობის ნებართვის შეჩერებასთან დაკავშირებით ბრძანებას[617] საფუძვლად დაედო თერჯოლაში, ოთხი ძმის პირველ შესახვევში მცხოვრები კ.მ.- ს განცხადება, რომლის თანახმად, ოთხი ძმის ქუჩის პირველი შესახვევის N1-ში მიმდინარე მშენებლობა საფრთხეს უქმნიდა მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთისა და საავტომობილო გზების მთლიანობას, ასევე საავტომობილო გზების მდგრადობას.

კ.მ.-ს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვასთან დაკავშირებული ვადა გაგრძელდა 2014 წლის 31 ივლისამდე.

---

[613] „ქ. თერჯოლაში საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 19 თებერვლის N67 ბრძანების.

[614] https://www.youtube.com/watch?v=ZhDZ-ZKHhE0 [ბოლოს ნანახია 27.11.2014].

[615] 2014 წლის 3 ივნისის თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის N244 ბრძანება, რომლის თანახმად, თერჯოლაში, ოთხი ძმის ქუჩის პირველი შესახვევის N1 სამშენებლო სამუშაოების გაგრძელებამდე, საჭიროა საინჟინრო - გეოლოგიური დასკვნის წარდგენა.

[616] თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 19 თებერვლის N67 ბრძანება.

[617] 2014 წლის 3 ივნისის თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის N244 ბრძანება.

ადმინისტრაციული საჩივრის ზეპირი განხილვის დროს[618] არარეგისტრირებულ კავშირ „თერჯოლის“ წარმომადგენლებმა წარადგინეს თერჯოლაში, ოთხი ძმის პირველი შესახვევის N1 - ში მდებარე N108 ნაკვეთის საინჟინრო - გეოლოგიური გამოკვლევის შედეგები ერთსართულიანი ნაგებობის მშენებლობასთან დაკავშირებით.[619] აღნიშნული დასკვნის თანახმად, *„საკვლევი ტერიტორია, სადაც გათვალისწინებულია ერთსართულიანი ნაგებობის მშენებლობა, იმყოფება დამაკმაყოფილებელ პირობებში და არ შეინიშნება უარყოფითი ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენები“.* მითითებულ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით ასევე გაიცა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ საექსპერტო დასკვნა, რომლის თანახმად, *„ქ. თერჯოლაში ოთხი ძმის ქუჩის შესახვევის N1-ში საცხოვრებელი სახლის აშენება ამავე ქუჩაზე მდებარე ი.ც.სა და კ.მ.-ს საცხოვრებელ სახლებზე უარყოფით ზეგავლენას არ მოახდენს და მათ მდგრადობას საფრთხეს არ შეუქმნის“.*[620]

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში წინამდებარე საკითხის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2014 წლის 3 ივნისის თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის N244 ბრძანება გაიცა კანონის მოთხოვნათა დარღვევით შემდეგ გარემოებათა გამო:

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 19 თებერვლის N67 ბრძანების შეჩერების სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 184-ე მუხლი.[621] თუმცა, სპეციალური ნორმა განსხვავებულ რეგულაციას ადგენს მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებით. კერძოდ, ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენა ავტომატურად არ იწვევს მშენებლობის ნებართვის მოქმედების შეჩერებას. ამასთან, გადაწყვეტილება მშენებლობის ნებართვის მოქმედების შეჩერების თაობაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, უნდა იყოს დასაბუთებული და უნდა მიუთითებდეს კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომელიც საფუძვლად დაედო მას.

ასევე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლი ადგენს წერილობით გამოცემული ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის

---

[618] თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობაში კ.მ.-ს ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ზეპირი განხილვა 2014 წლის 3 ივლისს ჩატარდა.

[619] „ქ. თერჯოლა, ოთხი ძმის ქუჩა, შესახვევი N1, N108 ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევის შედეგები ერთსართულიანი ნაგებობის მშენებლობასთან დაკავშირებით“.

[620] 2014 წლის 30 სექტემბრის სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საექსპერტო დასკვნა“.

[621] თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, გასაჩივრებული აქტის მოქმედება შეჩერდება ადმინისტრაციული საჩივრის რეგისტრაციის მომენტიდან. ამის თაობაზე ადმინისტრაციული ორგანო გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

დასაბუთების ვალდებულებას.[622] ვინაიდან, თერჯოლის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 3 ივნისის N244 ბრძანება არ მიუთითებს საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის ან ზნეობის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მიზანზე, იგი ვერ აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობამ დაარღვია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 183-ე მუხლის პირველი ნაწილით[623] დადგენილი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ვადა.[624]

მოცემულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველმა ადმინისტრაციულმა ორგანომ საჩივრის განხილვა 2014 წლის 3 ივნისს დაიწყო და კ.მ.-ს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვასთან დაკავშირებული ვადა 2014 წლის 31 ივლისამდე გაგრძელდა.[625] შესაბამისად, საჩივრის განხილვის ვადა 2014 წლის 31 ივლისს ამოიწურა. თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობას, 2 იდენტური შინაარსის მქონე საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის[626] არსებობის პირობებში, რომელთა წარდგენამდეც ითხოვდა საჩივრის ავტორი აქტის მოქმედების შეჩერებას და რომლებითაც ბათილდება საჩივრის წარმდგენი პირის არგუმენტები, არ მიუღია საბოლოო გადაწყვეტილება კ.მ.-ს ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით და არარეგისტრირებულ კავშირ „თერჯოლას“ არ მისცემია სამშენებლო საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან 2014 წლის 3 ივნისის თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის N244 ბრძანება არ შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და დარღვეულია მისი მომზადებისა და გამოცემისათვის დადგენილი წესები, გარდა ამისა თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობა უსაფუძვლოდ აჭიანურებს საჩივრის განხილვას, რის გამოც შესაძლოა დაირღვეს არარეგისტრირებულ კავშირ „თერჯოლას“ წევრების რელიგიის თავისუფლებაც.

საქართველოს სახალხო დამცველმა საკითხის შესწავლის შედეგად, არარეგისტრირებული კავშირის, „თერჯოლას“ წევრების უფლებების დარღვევის თაობაზე, 2015 წლის 20

---

[622] წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას.

[623] თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული საჩივარი განიხილოს და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღოს ერთი თვის ვადაში.

[624] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 183-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

[625] თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2014 წლის 10 ივნისის N154 ბრძანება

[626] „თერჯოლაში ოთხი ძმის ქუჩის შესახვევის N1-ში საცხოვრებელი სახლის აშენება ამავე ქუჩაზე მდებარე ი.ც.-სა და კ.მ.-ს საცხოვრებელ სახლებზე უარყოფით ზეგავლენას არ მოახდენს და მათ მდგრადობას საფრთხეს არ შეუქმნის“ და „საკვლევი ტერიტორია, სადაც გათვალისწინებულია ერთსართულიანი ნაგებობის მშენებლობა, იმყოფება დამაკმაყოფილებელ პირობებში და არ შეინიშნება უარყოფითი ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენები“.

თებერვალს N04-9/1404 რეკომენდაციით თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგებელსა და ამავე მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს მიმართა. თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობის კორესპონდენციით[627] საქართველოს სახალხო დამცველს ეცნობა, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობასთან დაკავშირებით დავა მიმდინარეობდა თერჯოლის რაიონულ სასამართლოში და საკითხი სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად დარეგულირდებოდა.

2015 წლის 16 თებერვალს[628], საქმეში რელიგიური ნიშნით შესაძლო დისკრიმინაციის არსებობის გათვალისწინებით, საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს კონსტიტუციის 43–ე მუხლის მეორე პუნქტის, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე–12 მუხლისა და 21–ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის, ასევე „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად, აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს სასამართლო მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება წარუდგინა.

განმცხადებლის მიერ სახალხო დამცველის აპარატისათვის მოწოდებული ინფორმაციით, არარეგისტრირებული კავშირის „თერჯოლას“ წევრების სარჩელის საფუძველზე, ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ გადაწყვეტილება 2015 წლის 19 მარტს მიიღო, რომლითაც ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩელეთა მოთხოვნა, გაუქმდა თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბრძანებები მშენებლობის ნებართვების შეჩერების შესახებ და გამგეობის წერილი მშენებლობის ნებართვის გაგრძელებაზე უარის თქმის შესახებ. სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოპასუხეს ასევე დაევალა მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელება. თუმცა, შევიდა თუ არა აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში ამ ეტაპზე უცნობია.

განმცხადებელი ასევე მიუთითებდა, რომ მშენებლობის წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციებში, სასწავლო პროცესის დროს, მონაწილეობდნენ სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები. აღნიშნულის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს იეჰოვას მოწმეთა ინტერესების დამცველმა აცნობა. ამასთან წარადგინა შესაბამისი ვიდეომასალა. ვიდეომასალიდან ირკვევა, რომ დეკანოზი სპირიდონ ცქიფურაშვილი 2014 წლის 2 ივნისს გამართულ აქციაზე აღნიშნავს, რომ N2 საჯარო სკოლის დირექტორმა საკუთარი ინიციატივით შესთავაზა მას მშენებლობის წინააღმდეგ ხელმოწერების შეგროვება და მხარდაჭერა სკოლის სახელით[629]. საქართველოს განათლებისა

[627] თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 11 მარტის N305 წერილი.
[628] საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის 16 თებერვლის N13/1257 სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება;
[629] https://www.facebook.com/photo.php?v=608770665899513&set=vb.378911675552081&type=2&theater

და მეცნიერების სამინისტროს პასუხში[630] აღნიშნულია, რომ სკოლის დირექტორი არ ადასტურებს ხელმოწერების შეგროვების დაპირების ფაქტს და არც საპროტესტო აქციებში მიუღია მონაწილეობა. მოსწავლეები კი აქციებში საკუთარი ინიციატივით, არასასკოლო დროს მონაწილეობდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ იეჰოვას მოწმეები თერჯოლაში განვითარებული მოვლენების შემდეგ, მათ მიმართ გახშირებული მუქარის, შეურაცხყოფის და დევნის ფაქტებზე საუბრობენ. 2014 წლის 24 ივნისს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე თ.ც.-ს ინტერესების დამცველმა. მოწოდებული ინფორმაციით, 2014 წლის 22 ივნისს თერჯოლაში თ.ც.-ს საცხოვრებელ სახლს ესროლეს ქვები, რასაც თან ახლდა სიტყვიერი შეურაცხყოფა რელიგიური ნიშნით.

სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს მთავარი პროკურატურიდან ზემოაღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით საგამოძიებო ორგანოების მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ გამოითხოვა ინფორმაცია. საქართველოს მთავარი პროკურატურის კორესპონდენციებით[631] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ 2014 წლის 27 ივნისს ზესტაფონის რაიონულ პროკურატურაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, თ. ც.-ს რწმენის გამო დევნის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. ამავე წერილის თანახმად, საქმეზე დაიკითხნენ მოწმეები და მიმდინარეობს გამოძიება.

დუშეთი - სამეფო დარბაზის დაზიანება

2014 წლის 2 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველისათვის ცნობილი გახდა დუშეთის მუნიციპალიტეტში იეჰოვას მოწმეთა სამეფო დარბაზის დაზიანების ფაქტის შესახებ. კერძოდ, დუშეთის მუნიციპალიტეტში, უცნობმა პირებმა დუშეთის მუნიციპალიტეტში მდებარე იეჰოვას მოწმეთა სამეფო დარბაზის ეზოში აგურის სროლით დააზიანეს ღამის განათების ლამპიონი და სამეფო დარბაზის კედელი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მსგავს ფაქტებს ადგილი სხვა დროსაც ჰქონია. დუშეთის მუნიციპალიტეტში იეჰოვას მოწმეთა სამეფო დარბაზის დაზიანების ფაქტთან დაკავშირებით მიმართეს პოლიციას.

---

[630] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2014 წლის 11 ივლისის N71400498237 წერილი;

[631] საქართველოს მთავარი პროკურატურის 2014 წლის 22 ივლისის N13/46268 და 2015 წლის 2 თებერვლის N13/5927 წერილები.

სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს მთავარი პროკურატურიდან გამოითხოვა ინფორმაცია[632] ზემოაღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გატარებული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ. საქართველოს მთავარი პროკურატურის კორესპონდენციებით[633] საქართველოს საახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ დუშეთის რაიონულ სამმართველოში გამოიკითხნენ რელიგიური ორგანიზაცია იეჰოვას მოწმეების მიმდევრები ი. კ. და გ. ა., რომლებმაც განმარტეს, რომ სამეფო დარბაზის კედელზე აღინიშნებოდა აგურის ნატეხის სროლის კვალი, ასევე, აგურის სროლით დაზიანებული იყო ღამის განათების ლამპიონი და ზიანი შეადგენდა 30 ლარს. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გამოძიება არ დაწყებულა დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.

2014 წლის 1 იანვარი, ოზურგეთი - მოზარდებმა დააზიანეს იეჰოვას მოწმის, შ.ხ.-ს კუთვნილი ავტომანქანა - ესროლეს ქვები და ჩაამსხვრიეს მინები, რის შესახებაც ეცნობა სამართალდამცავ ორგანოს. აღნიშნულმა პირებმა შ.ხ.-ს აუნაზღაურეს ზიანი. საქართველოს მთავარი პროკურატურის ინფორმაციით,[634] შ.ხ.-ს კუთვნილი ავტომანქანის დაზიანების ფაქტზე გამოძება დაიწყო სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით. მოცემულ საქმეზე გამოძიება შეწყდა, ვინაიდან მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენ პირებს არ მიუღწევიათ იმ ასაკისთვის, რომლიდანაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება.

2014 წლის 4 იანვარი, სენაკი - ლ.ნ. იმყოფებოდა იეჰოვას მოწმეთა სამეფო დარბაზში. შენობაში შეიჭრა მისთვის უცნობი მამაკაცი, რომელიც მოითხოვდა ლ. ნ.-ს დაეტოვებინა ტერიტორია. ჩაქუჩს ურტყამდა შენობას, რის შედეგადაც დააზიანა ფასადის ნაწილი და გატეხა აბრა. პოლიციამ აღნიშნული პიროვნება გადაიყვანა ადგილობრივი პოლიციის განყოფილებაში. შსს-ს სენაკის რაიონულ სამმართველოში გამოძიება დაიწყო იეჰოვას მოწმეთა დევნის ფაქტზე სსკ-ის 156-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. დანაშაულის ჩადენაში მხილებულ ზ. ც.-ს მიმართ გამოყენებული იქნა განრიდება, ამდენად, 2014 წლის 24 მარტს საქმეზე გამოძიება შეწყდა.[635]

2014 წლის 15 იანვარი, ქუთაისი - იეჰოვას მოწმეებს, გ.ძ., გ.კ., მ.კ. და სხვებს უცნობმა პირებმა მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. გამოძიება დაიწყო ბ.ძ. გ.ძ. და შ. ძ.-ს მიმართ განხორციელებულ ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტზე, სსკ-ის 118 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. ვ.ს. ცნობილი იქნა ბრალდებულად სსკ-ის 156-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ

---

[632] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2014 წლის 6 ივნისის N04-9/8431 და 2014 წლის 8 აგვისტოს N04-9/10293 წერილები.

[633] საქართველოს მთავარი პროკურატურის 2014 წლის 27 ივნისის N13/40764 და 2014 წლის 21 აგვისტოს N13/53006 წერილები.

[634] საქართველოს მთავარი პროკურატურის 2014 წლის 1 აგვისტოს N13/48628 წერილი.

[635] საქართველოს მთავარი პროკურატურის 2014 წლის 1 აგვისტოს N13/48628 წერილი.

დანაშაულის ჩადენაში. 2014 წლის 1 აპრილს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით ვ.ს. ცნობილი იქნა დამნაშავედ და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა 3 000 ლარის ოდენობით.[636]

2014 წლის 24 აგვისტო, თერჯოლის რაიონი, სოფელი ჩხარი - თ.ც. და ბ.ც. ეწეოდნენ რელიგიურ მსახურებას, როდესაც აგრესიულად განწყობილმა ახალგაზრდების ჯგუფმა მათ მოსთხოვა ტერიტორიის დატოვება. ამასთან, მათ მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. თ.ც.-სა და ბ.ც.-ს მიმართ სიტყვიერი შეურაცხყოფა და მუქარა განმეორდა ასევე 2014 წლის 12 სექტემბერს.

საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ 2014 წლის 16 ოქტომბერს გვეცნობა გვეცნობა, რომ 2014 წლის 25 აგვისტოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თერჯოლის რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156–ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. საქმეზე დაიკითხნენ მოწმეები, დაინიშნა და ჩატარდა სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზები. 2014 წლის 3 სექტემბერს ლ.დ. ცნობილი იქნა ბრალდებულად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156–ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და აღკვეთი ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო 3000 ლარის ოდენობით.ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 26 ნოემბრის განაჩენით, ლ. დ. ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-64-ე მუხლების თანახმად ჩაეთვალა პირობითად და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 2 წელი.

2014 წლის 4 ნოემბერი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელი ბირკილი - გ.ტ. და ე.ქ., რომლებიც არიან რელიგიური ორგანიზაცია „იეჰოვას მოწმეების“ მიმდევრები, ეწეოდნენ რელიგიურ მსახურებას, როდესაც ადგილობრივმა მაცხოვრებელმა ა.შ.-მ მათ რელიგიური მრწამსის გამო მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. ზემოაღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, გამოიძახეს საპატრულო პოლიცია. მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით ჩვენების მისაცემად, ისინი გარდაბნის პოლიციის შენობაში გადაიყვანეს. განმცხადებლები მიუთითებენ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს გარდაბნის რაიონული სამმართველოს თანამშრომელი მათი დაკითხვის დროს აიძულებდა ხელი მოეწერათ მისთვის სასურველ ჩვენებაზე, სადაც არ იქნებოდა საუბარი რელიგიური ნიშნით სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებაზე.

[636] იგივე.

განცხადებიდან ასევე ირკვევა, რომ **2014 წლის 5 ნოემბერს** გ.ტ. და ე.ქ. იმყოფებოდნენ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ბირლიკში, სადაც ა.შ.-მ საპატრულო პოლიციის თანამშრომლების თანდასწრებით მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, რაზედაც სათანადო რეაგირება არ განუხორციელებიათ სამართალდამცველებს. განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ 2014 წლის 9 ნოემბერს გარდაბანში რელიგიური მსახურების დროს გ.ტ.-ს დაუზიანეს ავტომანქანა.

საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციით, შსს გარდაბნის რაიონულ სამმართველოში გამოძიება დაიწყო სსკ-ის 156-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. სისხლისსამართლებრივი დევნა კონკრეტული პირების მიმართ დაწყებული არ არის. გამოძიება გრძელდება. ხოლო შსს გენერალური ინსპექციიდან მიღებული წერილის თანახმად, შსს თანამშრომლების ქმედებების შესწავლის მიზნით, განცხადება შემდგომი რეაგირებისთვის გადაეგზავნა რუსთავის რაიონულ პროკურატურას.

იმედის ფესტივალი

2014 წლის 6-8 ივნისს შპს „სპორტის სასახლეში“ უნდა გამართულიყო ღონისძიება - „იმედის საერთაშორისო ფესტივალი“, რომელშიც მონაწილეობა 150 ქრისტიანულ კონფესიას, მრავალ უცხოელ და ადგილობრივ სტუმარს უნდა მიეღო.

ფესტივალის ორგანიზატორებმა შპს „სპორტის სასახლესთან“ 2013 წლის 20 ივნისს დადეს შესაბამისი ხელშეკრულება და გადაიხადეს საიჯარო მომსახურების თანხა. 2014 წლის 3 ივნისს, ფესტივალის გახსნამდე 3 დღით ადრე, ორგანიზატორებმა შეიტყვეს, რომ სპორტის სასახლის ერთ-ერთ ფლიგელში გაჩნდა ხანძარი. ხანძარი მოკლე პერიოდში იქნა ლიკვიდირებული. როგორც თბილისის საგანგებო სიტუაციების სამსახურის უფროსმა, თემურ გიორგაძემ განაცხადა, ხანძარს მნიშვნელოვანი ზიანი არ გამოუწვევია[637].

ხანძრის გაჩენის გამო, სპორტის სასახლის ხელმძღვანელობამ ფესტივალის ორგანიზატორებს უარი უთხრა ღონისძიების ჩატარებაზე. სპორტის სასახლის ადმინისტრაცია აღნიშნავს, რომ რისკების შეფასებისა და თავიდან აცილების მიზნით, მათ იმავე დღეს მიმართეს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ და მოითხოვეს დასკვნა შენობის ვარგისიანობაზე.

ექსპერტიზის ბიუროს 2014 წლის 6 ივნისის დასკვნაში აღნიშნულია, რომ აუცილებელი იყო ჩატარებულიყო დეტალური ლაბორატორიული კვლევა, საბოლოო შედეგებამდე კი შენობის

[637] http://www.netgazeti.ge/GE/105/News/32155/

ექსპლოატაცია შეჩერებულიყო. როგორც ცნობილი გახდა, ექსპერტიზის საბოლოო დასკვნის მოსამზადებლად ერთი თვე იყო საჭირო.

ფესტივალის ორგანიზატორებმა მოითხოვეს ალტერნატიული ექსპერტიზის დაშვება. მათი განმარტებით, 2014 წლის 4 ივნისს, სპორტის სასახლის ადმინისტრაციამ შემთხვევის ადგილზე არ შეუშვა ფესტივალის ორგანიზატორები და მათ მიერ მიწვეული ექსპერტები.

ორგანიზატორებმა განმეორებით, წერილობით მიმართეს სპორტის სასახლის ხელმძღვანელობას და მოითხოვეს ალტერნატიული ექსპერტების შეშვება. სახალხო დამცველის ოფისის მიერ სპორტის სასახლის ადმინისტრაციიდან მიღებულ წერილში ნათქვამია, რომ მათ უარი არ უთქვამთ ექსპერტიზის დაშვებაზე და ისინი 2014 წლის 10 ივნისს კონკრეტულ დროს ელოდებოდნენ მათ მისვლას, თუმცა არავინ გამოცხადებულა. [638]

შპს „სპორტის სასახლის“ მიმართვის საფუძველზე სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ ჩატარებული ექსპერტიზის 2014 წლის 30 ივნისის საბოლოო დასკვნაში ნათქვამია, რომ „ქ. თბილისის სპორტის სასახლის შენობაში 2014 წლის 3 მაისს მე-15 სექტორის ზონაში გაჩენილმა ხანძარმა არ იქონია გავლენა რკინაბეტონის კონსტრუქციების მდგრადობასა და მზიდუნარიანობაზე“.

სახალხო დამცველის ოფისმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა და გამოითხოვა ინფორმაცია[639] აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სამართალდამცავი ორგანოების მიერ გატარებულ საგამოძიებო ღონისძიებებზე. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კორესპონდენციებით[640] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ 2014 წლის 4 ივნისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მე-5 განყოფილებაში გამოძიება დაიწყო სპორტის სასახლის მეორე სართულზე ხანძრის გაჩენის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ჩატარდა საგამოძიებო მოქმედებები, დაიკითხნენ მოწმეები, დათვალიერდა შემთხვევის ადგილი, დაინიშნა ექსპერტიზა. ამჟამად საქმეზე გამოძიება გრძელდება.

---

[638] შპს „სპორტის სასახლის“ 2015 წლის 15 ივლისის N07-37 წერილი.

[639] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2014 წლის 2 ივლისის N04-9/8367 და 2014 წლის 14 ნოემბრის N04-9/13448 წერილები.

[640] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2014 წლის 16 ივლისის N13046 და 2015 წლის 20 იანვრის N124853 წერილები.

საბოლოო ჯამში, ფესტივალი ვერ ჩატარდა სპორტის სასახლეში და ორგანიზატორებს მისი გამართვა ფორსმაჟორულ ვითარებაში, დაგეგმილზე გაცილებით მცირე მასშტაბით, ეკლესიის ეზოში, საპროტესტო აქციების ფონზე,[641] მოუხდათ.

ფესტივალის ჩასატარებლად ორგანიზატორებს არაერთი დაბრკოლება შეხვდათ. სპორტის სასახლის ინცინდენტის შემდეგ, მათ ვერ შეძლეს თბილისში ვერცერთი მასშტაბური სივრცის დაქირავება. სარეკლამო კომპანიამ, „აუთდორ ჯიმ“ კი, მიუხედავად გაფორმებული შეთანხმებისა, ფესტივალის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ფესტივალის გარე რეკლამის დიდი ნაწილი ჩამოხსნა. საქართველოს სახალხო დამცველი განაგრძობს აღნიშნული საქმის შესწავლას „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის ჭრილში.

სურბ მინას ეკლესია

2014 წლის 7 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმიდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიის წარმომადგენელმა თბილისში, გელათის ქ. N13-ში მდებარე „სურბ მინას“ სახელობის ე.წ. სადავო ტაძრისა და მიმდებარე ტერიტორიის კერძო პირებზე გასხვისების კანონიერების შესწავლასთან დაკავშირებით მიმართა.

განმცხადებლის განმარტებით, ტაძარი სომეხთა ეპარქიას საბჭოთა პერიოდში ჩამოერთვა. საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2007 წლის 1 ოქტომბრის ბრძანებით, ტაძარს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

2013 წლის 12 მარტს ეპარქიამ ტაძრისა და მიმდებარე ეზოს კერძო პირების მიერ პრივატიზების კანონიერების დასადგენად საქართველოს მთავარ პროკურატურას მიმართა. კერძოდ, წერილში აღნიშნულია, რომ „სურბ მინას“ ტაძარი და მისი ეზო პრივატიზებულია ეზოს მობინადრეების მიერ; პრივატიზაციის შემდეგ მათ შეცვალეს ეკლესიის მისამართი და ტაძრის ქვეშ გარკვეულ სამუშაოებს ატარებენ.

სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს მთავარი პროკურატურიდან გამოითხოვა ინფორმაცია[642] ზემოაღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით გატარებული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ.

საქართველოს მთავარი პროკურატურის წერილით[643] გვეცნობა, რომ 2013 წლის 26 აპრილს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ძველი თბილისის სამმართველოს პირველ

[641] http://pia.ge/show_news.php?id=16071&lang=geo
[642] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2014 წლის 28 ოქტომბრის N04-9/12873 წერილი.

განყოფილებაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, თბილისში, გელათის ქუჩა N13-ში მდებარე „სურბ მინას“ სახელობის სომხური ტაძრისა და მიმდებარე ტერიტორიის კერძო პირებზე გასხვისების კანონიერების შემოწმებისა და ყალბი დოკუმენტის დამზადება-გამოყენების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. საქმეზე ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება.

რეკომენდაციები:

საქართველოს მთავარ პროკურატურას:

- გამოიძიოს ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭელასა და მოხეში, ასევე ქობულეთის მუნიციპალიტეტში მუსლიმთა უფლებების დარღვევის შემთხვევები, რაც ცალკეულ შემთხვევებში გამოიხატა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მხრიდან ძალის გამოყენებასა თუ მოვალეობების არაჯეროვან შესრულებაში

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს/საქართველოს მთავარ პროკურატურას:

- 2012-2013 წლებში მუსლიმი მოსახლეობის წინააღმდეგ სოფელ ნიგვზიანში, წინწყაროსა და სამთაწყაროში განხორციელებულ იმ ქმედებებზე, რომლებშიც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები იკვეთება ეფექტიანად წარიმართოს გამოძიება და დროულად მოხდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილებები მიღება

- შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის თანამშრომლებისთვის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის ჩართულობით, ჩატარდეს კვალიფიციური ტრენინგები რელიგიის თავისუფლებისა და თანასწორუფლებიანობის დაცვის საკითხებზე

საქართველოს მთავრობას:

- მიიღოს ზომები ქვეყანაში რელიგიური ტოლერანტობის კულტურის ამაღლებისათვის, განსაკუთრებით საჯარო მოხელეებისა და გადაწყვეტილების მიმღები პირების ცნობიერების ასამაღლებლად, საჯარო მოხელეების მხრიდან რელიგიური ნეიტრალიტეტის განუხრელად დაცვისათვის

[643] საქართველოს მთავარი პროკურატურის 2014 წლის 14 ნოემბრის N13/70401 წერილი.

- შეიქმნას ე.წ. რესტიტუციის საკითხთა შემსწავლელი კომისია, რომელშიც ჩართულები იქნებიან სახალხო დამცველი, რელიგიური და არასამთავრობო ორგანიზაციები

საქართველოს მთავრობას/საქართველოს პარლამენტს:

- გაგრძელდეს სხვა რელიგიური გაერთიანებების სამართლიანი და არადისკრიმინაციული კომპენსაციით უზრუნველყოფის საკითხის განხილვა, საერთაშორისო გამოცდილებისა და არსებული განსხვავებული მოდელების გათვალისწინებით. უზრუნველყოს ამ პროცესში შესაბამისი სფეროს ექსპერტებისა და უშუალოდ რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენლების ჩართვა

- აღმოიფხვრას უთანასწორო საგადასახადო რეჟიმი, რომლის მიხედვითაც სხვა რელიგიური გაერთიანებები მართლმადიდებელი ეკლესიისგან განსხვავებული წესით იბეგრება.

სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს:

- უზრუნველყოს საქართველოს სახალხო დამცველის „ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეში მდებარე, კლუბის სტატუსით რიცხულ შენობასთან დაკავშირებით არსებული გარემოებების შემსწავლელი კომისიის“ საქმიანობაში დამკვირვებლის სტატუსით ჩართვა.

ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვა და სამოქალაქო ინტეგრაცია

2009-2014 წლებში სახელმწიფო უწყებები საქართველოს მთავრობის განკარგულებით[644] დამტკიცებულ შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ პროგრამებს ახორციელებდნენ ამავე გეგმით გათვალისწინებული ექვსი ძირითადი მიმართულებით - კანონის უზენაესობა, განათლება და სახელმწიფო ენა, მედია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო მონაწილეობა, სოციალური და რეგიონული ინტეგრაცია, კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება. ამ პროგრამის განხორციელების შედეგად შეინიშნება გარკვეული დადებითი ტენდენციები, მაგრამ ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის თვალსაზრისით ქვეყანაში არსებული ვითარება ძირეულ ცვლილებას და პროგრესს ძალიან ნელი ტემპით და, რიგ საკითხებში, პრაქტიკულად არ განიცდის.

სახალხო დამცველის 2012[645], 2013[646] და სხვა წლების მოხსენებებში არაერთხელ იყო აღნიშნული ის გამოწვევები, რაც არსებობს ეროვნული უმცირესობების სკოლამდელი, ზოგადი და უმაღლესი განათლების; სახელმწიფო ენის შესწავლის ხელმისაწვდომობის; კულტურის განვითარებისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების; გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა/ჩართულობის; ქვეყენაში მიმდინარე მოვლენების თაობაზე ეროვნული უმცირესობებით დასახლებული რეგიონების მოსახლეობის სრულფასოვანი ინფორმირების; მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირესობების მშობლიური ენის შესწავლის ხელშეწყობისა და სხვა საკითხებში. აღნიშნულ მოხსენებებში ასევე ასახული იყო რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც გააუმჯობესებდა ამ სფეროში არსებულ ვითარებას.

აღნიშნული საკითხები საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებულ „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიასა (2014–2020 წლებისთვის)“ და საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმაშიც (2014–2015 წლები) არ იყო სრულფასოვნად ასახული ან ძალზე ზოგადად იყო წარმოდგენილი.

---

[644] http://www.smr.gov.ge/docs/doc43.pdf
[645] http://www.ombudsman.ge/uploads/other/0/86.pdf გვ.531
[646] http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1563.pdf გვ.318

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის 2009-2014 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელებაც სრულფასოვნად ვერ ახდენდა ამ სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრას.

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის შესრულების მონიტორინგს 2010-2014 წლებში ყოველწლიურად ახორციელებს სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭო (საბჭოს საქმიანობა ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციისა და აშშ-ს განვითარების სააგენტოს (USAID) ხელშეწყობით). მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით საბჭო იღებს რეკომენდაციების პაკეტს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების მიმართ. სახალხო დამცველისა და სახალხო დამცველთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს მნიშვენლოვანი ადგილი უკავია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის დასკვნაში.

2010 წლის 15 ივნისს რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპულმა კომისიამ (ECRI) გამოაქვეყნა მოხსენება საქართველოში ეთნიკური უმცირესობებისა და, ზოგადად, დისკრიმინაციასთან დაკავშირებული პრობლემატიკის თაობაზე. ეს რიგით მესამე მოხსენება იყო საქართველოს შესახებ.

ECRI-ს მოხსენებაში საგანგებოდ იყო ხაზგასმული ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სფეროში სახალხო დამცველის მუშაობაზე. .

მოხსენებაში წარმოდგენილია ხელისუფლებისადმი რეკომენდაციების პაკეტი, რომელთა გათვალისწინებას და/ან განხორციელებას ECRI მიზანშეწონილად მიიჩნევს.

„რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლაში სახალხო დამცველის საკვანძო როლის გათვალისწინებით, ECRI ურჩევს საქართველოს ხელისუფლებას, კვლავაც განაგრძოს ამ ინსტიტუციის მხარდაჭერა. განსაკუთრებით ყურადღებით მოეკიდოს სახალხო დამცველის კონსულტაციებს ისევე, როგორც მისი ეგიდით მომუშავე ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოს კონსულტაციებს, სრულად ითანამშრომლოს მასთან და გაითვალისწინოს მისი რეკომენდაციები[647] “ (26-ე აბზაცი).

აღსანიშნავია, რომ 2014 და 2015 წლის დასაწყისში მიმდინარეობდა მუშაობა შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის ახალ სამოქმედო გეგმაზე. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმა სრულფასოვნად იყოს ორიენტირებული ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სფეროში არსებული სიღრმისეული გამოწვევების დაძლევაზე. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მასში სრულყოფილად

[647] http://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/country-by-country/georgia/GEO-CbC-IV-2010-017-GEO.pdf

აისახოს სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოსა და სახალხო დამცველის რეკომენდაციები.

საქართველომ 2005 წელს მოახდინა „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპის ჩარჩო კონვენციის“ რატიფიცირება. ეროვნული უმცირესობებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობის თვალსაზრისით „ჩარჩო კონვენცია“ მრავალ მნიშვენლოვან დებულებას შეიცავს, კერძოდ, კონვენციის მიხედვით: აღიარებულია ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირების კანონის წინაშე თანასწორობა და აკრძალულია ნებისმიერი დისკრიმინაცია; ეროვნულ უმცირესობებს უნდა შეექმნათ მათი კულტურის შენარჩუნების, განვითარებისა და თვითმყოფადობის ძირითადი ელემენტების - რელიგიის, ენის, ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის აუცილებელი პირობები; ეროვნული უმცირესობები დაცულები უნდა იყვნენ ნებისმიერი ქმედებისაგან, რომელიც მიზნად ისახავს ასიმილაციას მათი სურვილის წინააღმდეგ; მხარეებმა უნდა წაახალისონ ტოლერანტობისა და კულტურათშორისი დიალოგის სულისკვეთება და მიიღონ ეფექტური ზომები მათ ტერიტორიებზე მცხოვრებ ყველა პირს შორის ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის მხარდასაჭერად განათლების, კულტურისა და მასმედიის სფეროში; მხარეებმა უნდა უზრუნველყონ მასმედიისადმი ხელმისაწვდომობა ეროვნულ უმცირესობების წარმომადგენლებისათვის; მხარეები იღებენ ვალდებულებას უზრუნველყონ ყველა დონის განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთათვის. კონვენციის ამ დებულებებსა და მოთხოვნებს ეფუძნება გასულ წლებში სახალხო დამცველისა და სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილი, კერძოდ, ის საკითხები, რომლებიც უკავშირდება ეროვნული უმცირესობების სკოლამდელ, ზოგად და უმაღლეს განათლებას; სახელმწიფო ენის შესწავლის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას; კულტურის განვითარებასა და თვითმყოფადობის შენარჩუნებას; გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა/ჩართულობის; ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ეროვნული უმცირესობებით დასახლებული რეგიონების მოსახლეობის სრულფასოვან ინფორმირებას; მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირესობებისათვის მშობლიური ენის შესწავლის ხელშეწყობას. აღნიშნული რეკომენდაციების ამ და სხვა ნაწილების მიმართ ჩარჩო კონვენციის მიღებით საქართველოს აღებული აქვს გარკვეული სამართლებრივი ვალდებულება და, ამდენად, მნიშვნელოვანია მათი გათვალისწინება.

ეროვნული უმცირესობების ჩართულობა და მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებში

გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეროვნული უმცირესობების ჩართულობისა და მონაწილეობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი არის ქვეყანაში მიმდინარე ყველა საჯარო პროცესში ეროვნულ უმცირესობათა სრულფასოვანი მონაწილეობის შესაძლებლობა და საჯარო თანამდებობებზე წარმომადგენლობითობის უზრუნველყოფა.

მისასალმებელია, რომ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები, მათ შორის კომიტეტების თავმჯდომარის მოადგილეების დონეზე.

ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ეროვნული უმცირესობები არიან მუნიციპალიტეტის გამგებლის, გამგებლის მოადგილის, საკრებულოს თავმჯდომარის, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილისა და სხვა წამყვან თანამდებობებზე. ამ თვალსაზრისით განსხვავებული ვითარებაა დედაქალაქში. აღსანიშანვია, რომ თბილისი ისტორიულად იყო და ამჟამადაც არის მრავალეროვანი ქალაქი (2002 წლის აღწერის მონაცემებით მოსახლეობის დაახლოებით 15 პროცენტი ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელია), მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი არ არიან ჩართულები ქალაქის მმართველობის სისტემაში.

თბილისის ამჟამინდელ საკრებულოში, ისევე როგორც ბოლო რამდენიმე მოწვევის საკრებულოში, ეროვნული უმცირესობის არცერთი წარმომადგენელი არ არის. სამწუხაროა, რომ დედაქალაქის საკრებულოს კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების არცერთ ე. წ. „გამსვლელ სიაში“ არ აღმოჩნდა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი. არსებული მონაცემების მიხედვით, ისევე როგორც გასულ წლებში, დედაქალაქის მერიის არცერთი საქალაქო სამსახურის უფროსი, მისი მოადგილე, რაიონის გამგებელი და გამგებლის მოადგილე არ არის ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი.

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა ნაკლებობა დედაქალაქის მმართველობაში, კვლავ რჩება ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა სრულფასოვანი ჩართვის თვალსაზრისით ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად.

განათლების სისტემა ეროვნული უმცირესობების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხთან მიმართებით.

განათლების სისტემაში კვლავ პრობლემურად რჩება სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე კვალიფიციურად თარგმნილი სახელმძღვანელოების, ქართული ენის, როგორც მეორე ენის სწავლების, ორენოვანი სახელმძღვანელოების ეფექტურობისა და სხვა საკითხები, რომლებიც სახალხო დამცველის გასული წლების მოხსენებაშიც დეტალურად იყო აღწერილი.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები

ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, განსაკუთრებით ქვემო ქართლში მცხოვრებ მოსახლეობის ნაწილში, არსებობს ბავშვების ქართულ სკოლაში შეყვანის ინტერესი. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2009-2014 წლებში ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა, განხორციელდა საპილოტე პროგრამები ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რამდენიმე სკოლასა და საბავშვო ბაღში. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისთვის შეიქმნა სპეციალური სახელმძღვანელო - "ქართული ენა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის" [648].

სწავლის პროცესის გაიოლებისა და საკომუნიკაციო დონეზე ქართულის შესწავლის მიზნით მშობლებს აქვთ სურვილი, რომ ბავშვები შეიყვანინ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, სადაც ქართულს ელემენტარულ დონეზე მაინც შეასწავლიან. ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგონებში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებზე დიდი მოთხოვნის მიუხედავად მათი რაოდენობა მცირეა.

პედაგოგების მომზადების საკითხი

ეროვნული უმცირესობების ენებზე სწავლების მქონე სკოლებში უფრო და უფრო მწვავედ დგება კადრების დეფიციტი. სოფლებში, ერთი მხრივ, კლებულობს პედაგოგების რაოდენობა, ხოლო, მეორე მხრივ, კლებულობს პედაგოგის პროფესიის მიმართ ახალგაზრდების ინტერესი. პრობლემას ამძიმებს ისიც, რომ ქართულ უნივერსიტეტებში არ არსებობს საგანამანათლებლო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იქნება ეროვნული უმცირესობების ენებზე სწავლების მქონე სკოლებისთვის სხვადასხვა საგნის სპეციალისტების მომზადება. არსებული ტენდენციის შენარჩუნების შემთხვევაში, უახლოეს წლებში, ეროვნული უმცირესობების ენებზე სწავლების მქონე სკოლების დიდი ნაწილი, კადრების მწვავე დეფიციტის გამო დახურვის საშიშროების წინაშეც შეიძლება დადგეს.

უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში წარმატებულად მიმდინარეობს ე. წ. „ერთს პლიუს ოთხი სისტემით" ეროვნული უმცირესობების აბიტურიენტების ჩარიცხვა. აღნიშნული სისტემით ეროვნული უმცირესობების ასობით წარმომადგენელს მიეცა საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა, მაგრამ არსებობს

[648] http://elibrary.emis.ge/ge/books/details/154

გამოწვევები, რომლებიც სწავლის პერიოდში იჩენს თავს. კერძოდ, ამ პროგრამის ეფექტურობის გაზრდისთვის მნიშვნელოვანია, რომ სწავლების პროცესის პარალელურად მიმდინარეობდეს კულტურათშორისი და ეთნოსთაშორისი დიალოგის ხელშემწყობი სხვადასხვა პროგრამა, რათა როგორც უმცირესობების, ასევე უმრავლესობის წარმომადგენლები მზად იყვნენ მრავალეროვან გარემოში ურთიერთობისა და სწავლისათვის.

უმაღლესი განათლების თვალსაზრისით პრობლემურად რჩება ოსურენოვანი საგამოცდო ტესტით გამოცდის ჩაბარების საკითხი. საკანონმდებლო ნორმის არსებობისა და ოსური თემის მოთხოვნის მიუხედავად, დღემდე ვერ მოხერხდა უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის მსურველი ოსებისათვის (სომხურისა და აზერბაიჯანულის მსგავსად) ე.წ. „ერთს პლიუს ოთხი“ სისტემით სარგებლობა. ამჟამად მოქმედი საკანონმდებლო ნორმის მიხედვით, ოსურენოვანი საგამოცდო ტესტის საფუძველზე ზოგად უნარებში მხოლოდ ერთი გამოცდის ჩაბარებით, ოსურენოვან აბიტურიენტებს 2015 -2016 წლიდან უნდა მიეცეთ შესაძლებლობა ჩაირიცხონ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში. ამ საკანომდებლო ნორმის შეუსრულებლობის ერთ-ერთ მიზეზად გამოცდების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლების მიერ სახელდება ოსურ ენაზე საგამოცდო ტექსტის თარგმნასთან დაკავშირებული სირთულე.

სახალხო დამცველის ოფისისა და ოსური თემის მოთხოვნის მიუხედავად, 2015 წელს საერთო ეროვნულ გამოცდებზე, ზოგად უნარებში, მხოლოდ ერთი გამოცდის ჩაბარების შესაძლებლობა ოსურენოვან აბიტურიენტებს არ მიეცემათ. გამოცდების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები ასახელებდნენ სხვა ალტერნატიულ მოდელებს ოსურენოვანი აბიტურიენტებისთვის, მაგრამ მათ მიერ აღნიშნული მოდელი ჯერჯერობით წარმოდგენილი არ არის.

მცირერიცხოვანი ეთნოსებისათვის მშობლიური ენის სწავლება სკოლებში

ეროვნული უმცირესობების განათლების თვალსაზრისით მრავალი წლის განმავლობაში პრობლემად რჩება სკოლებში მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირესობებისთვის მშობლიური ენის შესწავლის შესაძლებლობის მიცემის საკითხი.

წლების განმავლობაში არაერთი მოთხოვნისა და სახელმწიფო უწყებების მიერ სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოსთვის მიცემული მრავალი დაპირების მიუხედავად, მცირერიცხოვანი ერების კომპაქტურად დასახლებული სოფლებისა და ქალაქების სკოლებში ვერ ხერხდება მათი მშობლიური ენის სწავლების საკითხის მოგვარება. აღნიშნული პრობლემის წინაშე დგას ქისტების, დაღესტნელების, ქურთების, ასურელების, ოსებისა და უდიების თემი.

მცირერიცხოვანი ერებისთვის მშობლიური ენის შესწავლის შესაძლებლობის მიცემას განათლების გარდა დიდი მნიშვნელოვაბა აქვს ეროვნული იდენტიფიკაციის შენარჩუნების კუთხით.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით სამინისტროს ქვეპროგრამა „ენობრივი განათლება _ ხარისხიან განათლება“-ში მომზადდა ცვლილების პროექტი, რომლის მიხედვითაც უნდა შემუშავდეს „ქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის მცირერიცხოვან ეროვნულ უმცირესობათა მშობლიური ენების (ოსურის, უდიურის, ავარულის, სხვ.) სტანდარტი და საგნობრივი პროგრამები“. სამინისტროს წარმომადგენელთა ინფორმაციით, 2015 წლიდან შესაძლებელი გახდება მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირესობების ენების სწავლების დანერგვა რამდენიმე სკოლაში.

ეროვნული უმცირესობების კულტურული თვითმყოფადობა

სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში ძალზე მნიშვნელოვანია როგორც ეროვნული უმცირესობების კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, ასევე კულტურის სფეროში სამოქალაქო ინტეგრაციაზე ორიენტირებული პროგრამების განხორციელება. კულტურის სფეროში განხორციელებულ პროექტებს დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც კონკრეტული ეთნოსის კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის, ასევე სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობისთვის.

საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო სამართლებრივი თუ სხვა საკანონმდებლო ნორმებით საქართველოს მოქალაქეებს, მათ შორის, ბუნებრვია, ეროვნულ უმცირესობებს აქვთ მნიშვენლოვანი უფლებები მინიჭებული კულტურისა და თვითმყოფადობის გამოვლენისა და განვითარების თვალსაზრისით. საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით :

> „სახელმწიფო ხელს უწყობს კულტურის განვითარებას, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურული თვითმყოფობის გამოვლინებასა და გამდიდრებას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა აღიარებას და საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებას“

ასევე კონსტიტუციის 38-ე მუხლით განსაზღვრულია მოქალაქეთა ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილების მიუხედავად მათი თანასწორობა სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. მოქალაქეებს უფლება აქვთ ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა.

აღნიშნული უფლება გამყარებულია საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით, კერძოდ, „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპის ჩარჩო კონვენციის“ მე-5 მუხლის მიხედვით:

> „მხარეები იღებენ ვალდებულებას შეუქმნან აუცილებელი პირობები იმ პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, მათი კულტურის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის და მათი თვითმყოფადობის ძირითადი ელემენტების, კერძოდ, რელიგიის, ენის, ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის“.

ამავე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით

> „მხარეებმა თავი უნდა შეიკავონ ისეთი პოლიტიკისა და პრაქტიკის განხორციელებისაგან, რომლებიც მიზნად ისახავს ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების ასიმილაციას მათი სურვილის წინააღმდეგ და უნდა დაიცვან ეს პირები ნებისმიერი ქმედებისაგან, რომელიც მიზნად ისახავს ამგვარ ასიმილაციას.“

ამავე კონვენციის მე-15 მუხლი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, შექმნას აუცილებელი პირობები „ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირების ეფექტური მონაწილეობისთვის კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში“.

ამდენად, სახელმწიფოს ეკისრება ეროვნული უმცირესობების როგორც თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და კულტურულ ცხოვრებაში თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფის, ასევე ასიმილაციისგან დაცვის ვალდებულება.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ფუნქციის მატარებელია თბილისის სომხური და აზერბაიჯანული თეატრები, მაგრამ მათი ფუნქციონირება პრაქტიკულად შეფერხებულია. მრავალი წელია ავარიულ მდგომარეობაშია თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური და ჰეიდარ ალიევის სახელობის აზერბაიჯანული თეატრების შენობები. აღსანიშნავია, რომ ეს თეატრები ერთ-ერთი უძველესია სამხრეთ კავკასიაში. შენობების ავარიულობის გამო მაყურებელი პრაქტიკულად ვერ ესწრება სპექტაკლებს.

სახალხო დამცველის 2013 წლის ანგარიშში ასახული იყო ეს პრობლემა და ამ თეატრების რეაბილიტაციის მიზნით კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიმართ გაკეთდა რეკომენდაცია. 2015 წლის 17 თებერვალს, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში, სახალხო დამცველის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე გამართული მოსმენის დროს[649], საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილემ ბატონმა გიორგი ბაქრაძემ განაცხადა, რომ - „2 თვეში საპროექტო

[649] http://www.ombudsman.ge/ge/news/kulturisa-da-dzeglta-dacvis-saministros-angarishi-saxalxo-damcvelis-rekomendaciebis-shesulebis-taobaze.page

სამუშაოებისა და კვლევების დასკვნები ექნებათ და 2015 წელს გათვალისწინებულია დაახლოებით მილიონ ლარამდე ორივე თეატრის შენობის გამაგრებითი და სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის“. ვიმედოვნებთ, რომ სამინისტროს განცხადების შესაბამისად, 2015 წლიდან დაიწყება ამ თეატრების რეაბილიტაცია და ისინი სრულფასოვნად შეასრულებენ როგორც სომხური და აზერბაიჯანული კულტურის დაცვისა და პოპულარიზების, ასევე კულტურათშორისი დიალოგის ხელშემწყობ ფუნქციას.

სახალხო დამცველის 2013 წლის ანგარიშში ასევე ასახული იყო რეკომენდაცია თბილისის გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში ე.წ. „ოსური სახლის“ რესტავრაციისა და მისი ფუნქციონირების აღდგენის შესახებ. სახალხო დამცველის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში გამართული ზემოაღნიშნული მოსმენის დროს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილემ ბატონმა გიორგი ბაქრაძემ განაცხადა, რომ „ოსური სახლის“ რეაბილიტაციის საკითხი სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციასთან (დ.სანაკოევი) თანამშრომლობით 2015 წელს დასრულდება[650]. ამ საკითხის გადაწყვეტის შესახებ კულტურის სამინისტროს მიერ გაკეთებული განცხადებები დადებითად უნდა შეფასდეს.

კვლავ პრობლემად რჩება ეროვნულ უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების სოფლებში არსებული კულტურის სახლები. ისინი ტრადიციულად დიდ როლს ასრულებდნენ სოფლად მცხოვრები მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში. ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სოფლების კულტურის სახლების (ისევე როგორც საქართველოს სხვა რეგიონების სოფლების) შენობები დიდწილად ამორტიზებულია. აუცილებელია, რომ ხელი შეეწყოს სოფლების კულტურის სახლების რეაბილიტაციას და მათში სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშემწყობი პროექტების განხორციელებას.

მედია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში

2014 წელს, წინა წლების მსგავსად, კვლავ დიდ გამოწვევად დარჩა ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მოსახლეობისთვის ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის მიწოდების საკითხი. 2014 წელს საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი ტრადიციულად ამზადებდა საინფორმაციო გადაცემებს ოსურ, აფხაზურ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, რაც უდავოდ დადებითად

650 http://www.ombudsman.ge/ge/news/kulturisa-da-dzeglta-dacvis-saministros-angarishi-saxalxo-damcvelis-rekomendaciebis-shesulebis-taobaze.page

უნდა შეფასდეს, მაგრამ თანამედროვე ვითარებაში 10-15 წუთიანი გადაცემები არ არის საკმარისი ეროვნული უმცირესობებით დასახლებული რეგიონების მოსახლეობის სრულფასოვანი ინფორმირებისთვის. როგორც აღინიშნა, გასული წლების მოხსენებებში ამ პრობლემას მხოლოდ საზოგადოებრივი მაუწყებელი ვერ დაძლევს. საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან გადაიდგას უფრო ქმედითი ნაბიჯები და განხორციელდეს სპეციალური პროგრამები საიმისოდ, რომ ეროვნულ უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, მოსახლეობას მიეწოდოს სრულფასოვანი ინფორმაცია ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ინფორმირებისთვის ასევე მნიშვნელოვანია გაზეთების „გურჯისტანის“ და „ვრასტანის“ გაძლიერება და მოდერნიზება.

რეკომენდაციები:

საქართველოს მთავრობას:

- ეროვნულ უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მოსახლეობის სრულფასოვანი ინფორმირების მიზნით განხორციელდეს სპეციალური სახელმწიფო პროგრამები

საქართველოს მთავრობას და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს:

- გამოიყოს მატერიალური რესურსები თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური და ჰეიდარ ალიევის სახელობის აზერბაიჯანული თეატრების შენობების რეაბილიტაციისათვის

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- იმ მუნიციპალურ ცენტრებსა და სოფლებში, სადაც არსებობს შესაბამისი მოთხოვნა ხელი შეეწყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შექმნას
- ხელი შეეწყოს საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის ფარგლებში ეროვნული უმცირესობების ენებზე სწავლების მქონე სკოლებისთვის პედაგოგების მომზადებისა და გადამზადების სისტემის შექმნას
- „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2016 წლიდან ოსურენოვან აბიტურიენტებს მიეცეთ საერთო ეროვნული გამოცდების მხოლოდ ერთი გამოცდით ჩაბარების შესაძლებლობა ან მათთვის გამოიძებნოს სხვა ალტერნატიული მოდელი
- იმ ფაკულტეტებზე და კურსებზე, სადაც სწავლობენ ე.წ. „ერთს პლიუს ოთხი“ სისტემის სტუდენტები, სწავლების პროცესის პარალელურად განხორციელდეს კულტურათშორისი და ეთნოსთაშორისი დიალოგის ხელშემწყობი ინტენსიური საგანამათლებლო პროგრამები

- მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირესობები, მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოფილები იყვნენ, სასკოლო განათლების ფარგლებში მშობლიური ენის შესწავლის შესაძლებლობით.

გამოხატვის თავისუფლება

გამოხატვის თავისუფლება საქართველოსა[651] და საერთაშორისო[652] კანონმდებლობით დაცული ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი ღირებულებაა. გამოხატვის თავისუფლება თავის თავში არაერთ ასპექტს აერთიანებს, მათ შორის, აზრის ქონის, გამოხატვისა და ინფორმაციის მიღება/გავრცელების უფლებებს. გამოხატვის თავისუფლების სრულყოფილი რეალიზაცია დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. შესაბამისად, საგულისხმოა, რომ გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში სახელმწიფოს გააჩნია როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური ვალდებულებები.

აზრის გამოხატვის თავისუფლება დაცულია იმის მიუხედავად, თუ რა საკითხებს ეხება იგი. ეს უფლება მოიცავს კომუნიკაციის ყველა სფეროს და არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, აზრის გამოხატვა ემსახურება საჯარო თუ კერძო მიზანს. კონსტიტუციით დაცულია ნებისმიერი კატეგორიის აზრი, იმის მიუხედავად, იგი რაციონალურია თუ ემოციური, დასაბუთებულია თუ უსაფუძვლო, აღიქმება სასარგებლოდ თუ საზიანოდ. კონსტიტუციისათვის მიუღებელია აზრის გამოხატვის დროს რაიმე დისკრიმინაცია მათი მნიშვნელობისა და ღირებულების მიხედვით. აზრის გამოხატვა განსაკუთრებული აუცილებლობის შემთხვევაში მხოლოდ მაშინ შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვას, თუკი მისდამი ლოიალური დამოკიდებულება საფრთხეს შეუქმნის ძირითად კონსტიტუციურ ფასეულობებს.[653]

როგორც საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის საპარლამენტო ანგარიშშია აღნიშნული, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 2013 წელს, ბელგრადში გამართულ კონფერენციაზე მიღებული პოლიტიკური დეკლარაციებისა და რეზოლუციების მიხედვით, ბლოგერებისა და სხვა მედია აქტორების საქმიანობა ასევე დაცულია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული გარანტიებით. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ორგანიზაცია Freedom House–ის ანგარიშის მიხედვით საქართველო 26 ქულით იმ ქვეყანებს შორისაა, სადაც ინტერნეტის თავისუფლების ხარისხი მაღალია. ამავე ორგანიზაციის მონაცემებით, პრესის

---

[651] საქართველოს კონსტიტუციის 24–ე მუხლი, 2004 წლის 24 ივნისის საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“.

[652] ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ 1950 წლის ევროპული კონვენცია, 1966 წლის საერთაშორისო პაქტით სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ.

[653] ზოიძე ბესარიონ, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა.
ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი“, 2013, გვ: 255–256.

თავისუფლების კუთხით საქართველო კვლავ ე.წ. „ნაწილობრივ თავისუფალ“ ქვეყნებს შორისაა და 47 ქულით 197 ქვეყანას შორის 93–ე ადგილს იკავებს.[654] საქართველომ 15 საფეხურით გაიუმჯობესა მაჩვენებელი საერთაშორისო ორგანიზაცია „რეპორტიორები საზღვრების გარეშე“ ყოველწლიურ პრესის თავისუფლების ინდექსში და 180 ქვეყანას შორის 69 ადგილი მიიღო[655].

გამოხატვის თავისუფლებაზე მსჯელობისას აუცილებელია აღინიშნოს 2015 წლის 14 იანვარს საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტი საქართველის სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილებების თაობაზე (კანონპროექტი მოამზადა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ). აღნიშნული ინიციატივის თანახმად, სისხლისსამართლებრივად დასჯადი ხდებოდა მოწოდება შუღლის გაღვივების მიზნით.[656]

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად, მოწოდება მხოლოდ მაშინ იწვევს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას, როდესაც ის ქმნის კანონსაწინააღმდეგო შედეგის აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს. ხოლო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს მოწოდება დანაშაულისკენ, რომელიც შედეგის დადგომას არ ითვალისწინებს და მოწოდება დანაშაულისკენ, როდესაც არსებობს მისი განხორციელების რეალური შესაძლებლობა. სასამართლოს განმარტებით, „ძალადობის განხორციელების საფრთხის რეალურობის განსაზღვრისათვის უნდა შეფასდეს ის, თუ რა კონტექსტში და რა ვითარებაში არის წარმოთქმული ასეთი მოწოდება. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, უფლებამოსილმა ორგანომ (პირმა) უნდა შეაფასოს, წარმოადგენს თუ არა განცხადება დამხობისკენ, ძალადობით ხელისუფლების შეცვლისკენ მოწოდებას და არის თუ არა ძალადობის საფრთხე. სახელმწიფო უფლებამოსილია, ჩაერიოს და შეწყვიტოს [გამოხატვა] მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოწოდება ორივე კრიტერიუმს აკმაყოფილებს. *ნორმა კონსტიტუციის შეუსაბამო იქნება, თუ ის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას შესაძლებელს ხდის ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გაუთვალისწინებლად.*“ სასამართლოს მიაჩნია, რომ პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის საჭიროა ძალადობის და/ან დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის ფაქტი, ან ასეთი ქმედების განხორციელების რეალური საფრთხე.[657]

---

[654] კვლევა „პრესის თავისუფლება 2014“, გამოქვეყნებული 2014 წლის პირველ მაისს.

[655] http://index.rsf.org/#!/index-details/GEO.

[656] კანონპროექტის 239[1] მუხლის თანახმად: „მოწოდება შუღლის გაღვივების მიზნით, ესე იგი ზეპირად, წერილობით ან გამოხატვის რომელიმე სხვა საშუალებით საჯაროდ მოწოდება ძალადობრივი ქმედებებისკენ რასობრივი, რელიგიური, ეროვნული, კუთხური, ეთნიკური, სოციალური, ენობრივი ან/და სხვა ნიშნების მქონე პირთა ჯგუფებს შორის მტრობის ან განხეთქილების ჩამოგდების მიზნით ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით ორიდან ხუთ წლამდე.“

[657] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.პ.93,96,104.

აღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით, წარმოდგენილ კანონპროექტთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტს მიმართა წინადადებით, რომელშიც დეტალურად არის განხილული კანონპროექტში შესატანი ცვლილებები, რათა, მისი მიღების შემთხვევაში, გამოხატვის თავისუფლება გაუმართლებლად არ შეიზღუდოს. სახალხო დამცველის წინადადებაში რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზეა ყურადღება გამახვილებული:

1. შემოთავაზებული ნორმის ტექსტი (კერძოდ, ტერმინი „მტრობა და განხეთქილების ჩამოგდება“) საკმაოდ ზოგადია და არ აკმაყოფილებს კანონის განჭვრეტადობის მოთხოვნებს, რაც ქმნის მისი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის და პრაქტიკაში არასწორად გამოყენების საფრთხეს. ნორმა არ ითვალისწინებს იმ ობიექტურ და რეალურ კრიტერიუმებს, რომლითაც აღნიშნული მიზანი შეიძლება გაიზომოს. კერძოდ, ნორმის მოცემული ფორმულირებით, არ არის სავალდებულო, რომ მოწოდებისას არსებობდეს კანონსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის აშკარა, პირდაპირი და არსებითი საფრთხე. მოწოდება მხოლოდ მაშინ შეიძლება მოექცეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სფეროში, თუკი ის ქმნის კანონსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს. თავისთავად, მოწოდება რომელიც არ ქმნის მსგავსი ტიპის საფრთხეს, რაც არ უნდა მიუღებელი იყოს ის ცალკეული ჯგუფებისთვის თუ მთელი საზოგადოებისთვის, არის სიტყვის თავისუფლებით დაცული სფერო.

იმისათვის, რომ არ დაირღვეს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, რომელიც არის საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული დემოკრატიული საზოგადოების უმთავრესი ღირებულება, აუცილებელია, რომ ნორმა ითვალისწინებდეს მითითებას, აშკარა, პირდაპირი და არსებითი საფრთხის შესახებ. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ აღნიშნულის თაობაზე ჩანაწერი უნდა დაემატოს კანონის პროექტის 239[1] მუხლს.

2. განსახილველი ნორმა არეგულირებს შუღლის გაღვივების მიზნით ისეთ მოწოდებას, რომელიც „პირთა ჯგუფებს შორის“ მტრობის ან განხეთქილების ჩამოგდებას ისახავს მიზნად. შესაბამისად, ნორმა არ არეგულირებს შუღლის გაღვივების მიზნით იმგვარ მოწოდებას, რომლის ადრესატები/მსხვერპლები რასობრივი, რელიგიური, ეროვნული, კუთხური, ეთნიკური, სოციალური, ენობრივი ან/და სხვა ნიშნების მქონე პირთა ჯგუფები შეიძლება იყვნენ. საგულისხმოა, რომ წარმოდგენილი დეფინიცია არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს. კერძოდ, წარმოდგენილი დეფინიცია არ თავსდება რასიზმის და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის (ECRI) მე–7 რეკომენდაციაში წარმოდგენილ განმარტებაში, რომელიც სწორედ მარგინალიზებულ ჯგუფებს იცავს რასიზმის და რასობრივი უპირატესობის თეორიაზე დაფუძნებული გამოხატვებისგან. გამოხატვის თავისუფლებაზე შინაარსობრივი შეზღუდვის დაწესებისას, სახელმწიფოს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლები მკვეთრად შეზღუდულია. ვენეციის კომისიის 2008 წლის 23 ოქტომბრის ანგარიშის შესაბამისად, სიძულვილის

საკანონმდებლო რეგულირება უნდა გაიზომოს იმ ინტერესით, უმცირესობების თვითნებობისგან, ექსტრემიზმისგან, რასიზმისგან დაცვის პოტენციური მიზანი ხომ არ იწვევს განსხვავებული აზრების ცენზურას, უმცირესობების გაჩუმებასა და დომინანტი პოლიტიკური, სოციალური და მორალური დისკურსის, იდეოლოგიის გაძლიერებას. ამასთან, წარმოდგენილი დეფინიცია არ შეესაბამება საერთაშორისო პრაქტიკას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია მუხლის ფორმულირებაში ნაცვლად სიტყვისა „შორის", ჩაიწეროს სიტყვა „წინააღმდეგ/მიმართ", რაც უფლებათა დაცვის მაღალი სტანდარტის დაწესების წინაპირობაა და ამცირებს მუხლის ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და მისი არასწორად გამოყენების რისკებს.

3. კანონის პროექტის 239[1] მუხლი მართლსაწინააღმდეგო ქმედების სავარაუდო სამიზნე ჯგუფების ჩამონათვალიში ექსპლიციტურად არ ითვალისწინებს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნებს, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში გამოვლენილი მასობრივი ძალადობის ობიექტები სწორედ აღნიშნული ჯგუფებია. მართალია, ისინი „ან/და სხვა ნიშნების მქონე" პირთა ჯგუფებში მოიაზრებიან, თუმცა, მათ მიმართ გახშირებული ძალადობის პირობებში, აუცილებელია აღნიშნული ჯგუფების ექსპლიციტური მითითება თავად ნორმის ტექსტში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ მუხლის ფორმულირებას, კერძოდ 239[1] მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების სავარაუდო სამიზნე ჯგუფების ჩამონათვალს, უნდა დაემატოს სექსუალური ორენტაცია და გენდერული იდენტობა, რაც აღნიშნულ ჯგუფებს მიანიჭებს უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის უფრო მყარ გარანტიებს, ვიდრე ამას ითვალისწინებს ნორმის შემოთავაზებული რედაქცია.

4. ამასთან, საყურადღებოა ის გარემოება, რომ შემოთავაზებული 239[1] მუხლით (მოწოდება შუღლის გაღვივების მიზნით) გათვალისწინებული სანქციები საკმაოდ მკაცრია. პირველი ნაწილი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით ორიდან ხუთ წლამდე, ხოლო მეორე ნაწილი[658] – თავისუფლების აღკვეთას რვიდან თხუთმეტ წლამდე. მნიშვნელოვანია აღნიშნული სასჯელების გადახედვა და მათი პროპორციულობის უზრუნველყოფა თავად დანაშაულის ბუნებასთან.

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ კანონპროექტზე მომზადებული შენიშვნები და კომენტარები წერილობითი ფორმით მიეწოდა საქართველოს შს სამინისტროსა და საქართველოს პარლამენტს. მისასალმებელია, რომ საკითხის განხილვის პროცესში გამოითქვა სახალხო დამცველის შენიშვნების გათვალისწინების მზაობა. ამ დროისათვის კანონპროექტი წამყვან კომიტეტს პირველი მოსმენითაც არ განუხილავს. იმედს

[658]„იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის მქონე პირთა ჯგუფებს შორის მტრობის ან განხეთქილების ჩამოგდება, რაც გამოიხატა ადამიანის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებაში, სიცოცხლის მოსპობაში ან სხვა მძიმე შედეგში."

გამოვთქვამთ, რომ მას არ მიიღებენ ინიცირებული სახით და კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, გაითვალისწინებენ სახალხო დამცველის ყველა შენიშვნას.

მედია გარემო

დემოკრატიული კონსტიტუციურ-სამართლებრივი წესრიგის სიცოცხლისუნარიანობისთვის ჯანსაღი მედია გარემოს არსებობის აუცილებლობა დღეს არავისთვის აღარ არის სადავო. ინფორმაციის შეუფერხებელი გავრცელება განაპირობებს პლურალისტური საზოგადოების ჩამოყალიბებასა და მის უწყვეტ განვითარებას.

სახალხო დამცველის 2013 წლის საქმიანობის ანგარიშში[659] დადებითად შეფასდა საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2013 წლის 1 მაისის დადგენილებით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა. სწორედ, საანგარიშო პერიოდში დაასრულა აღნიშნულმა კომისიამ თავისი საქმიაონობა. საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 7 მარტის №2090–IIს დადგენილების თანახმად, საქართველოს პარლამენტმა საკითხის შესწავლის შედეგად მიიჩნია, რომ კომუნიკაციების ეროვნული კომისია წლების განმავლობაში არღვევდა საქართველოს კონსტიტუციის 30–ე მუხლით გათვალისწინებულ თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარების ხელშეწყობის მოთხოვნას; უხეშად არღვევდა და უგულებელყოფდა საქართველოს საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დაცულ მომხმარებელთა უფლებებს, უგულებელყოფდა საქართველოს კონსტიტუციით დაცულ ცალკეული პირების მიერ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის აკრძალვის უფლებას, არაჯეროვნად ასრულებდა და ხშირად უგულებელყოფდა კანონით მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს; ამეტებდა უფლებამოსილებებს, და თავის საქმიანობას დისკრიმინაციულად ახორციელებდა. საქართველოს პარლამენტმა მიზანშეწონილად ჩათვალა მოკვლეული მასალები და დოკუმენტაცია რეაგირებისთვის გაეგზავნა საქართველოს მთავარი პროკურატურისათვის, ხოლო საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას აღმოჩენილი დარღვევების აღმოფხვრის მიზნით ეთხოვა კონკრეტული ღონისძიებების განხორციელება. გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფის პროცესში კომუნიკაციების ეროვნული კომისიის განსაკუთრებული როლის გათვალისწინებით, დადებითად უნდა შეფასდეს საქართველოს პარლამენტის მხრიდან საპარლამენტო კონტროლის განხორციელება. აღნიშნული პრეცედენტი პრევენციულად დადებით გავლენას იქონიებს კომისიის სამომავლო საქმიანობაზეც.

[659] გვ: 333.

გამოხატვის თავისუფლების მიმართ სახელმწიფოს ვალდებულებებზე, მიზნებსა და საქმიანობაზე საუბრისას მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია და ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა.

საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 30 აპრილის N2315-IIს დადგენილებით 2014–2020 წლებისთვის დამტკიცებული საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიით განსაზღვრულია, რომ სახელმწიფოს ერთ–ერთ მიზანს წარმოადგენს ადამიანის უფლებების დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო სტანდარტებით დაცული გამოხატვის თავისუფლების დაცვის გარანტიის შექმნა, მედიის თავისუფლების უზრუნველყოფა, ჟურნალისტთა პროფესიულ საქმიანობაში ჩარევისაგან დაცვა და შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლების რეალიზებისათვის ხელის შემშლელი ფაქტების აღკვეთა და თავიდან აცილება.

2014–2015 წლებისთვის საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივლისის N445 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მე–9 პუნქტის თანახმად, სახელმწიფოს ერთ–ერთ მიზანს წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფა, ხოლო აღნიშნული მიზნის მისაღწევად განსაზღვრული ერთ–ერთი საქმიანობა საგამოძიებო ორგანოების მიერ ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შემშლელი ფაქტების სწრაფი და ეფექტიანი გამოძიებაა. მისასალმებელია, რომ საგამოძიებო ორგანოებს დაევალათ სპეციალური სტატისტიკის წარმოება, რომელიც ასახავს ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის თაობაზე რეგისტრირებულ დანაშაულთა, ასევე მისი გახსნის მაჩვენებელს. თუმცა, კარგი იქნება, თუ ამ სტატისტიკაში მოხვდება არა მხოლოდ ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის ამსახველი დანაშაულები, არამედ ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილი ყველა ის დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც მათ პროფესიულ საქმიანობას უკავშირდება. ვინაიდან, ხშირ შემთხვევებში ჟურნალისტის წინააღმდეგ ადგილი აქვს არა მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154–ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს, არამედ სხვა დანაშაულებრივ ქმედებებსაც, მაგალითად, ცემას და ა.შ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ყველა აღნიშნული ქმედების სტატისტიკური მონაცემების სისტემატიზაცია, რაც შესაძლებელს გახდის ჟურნალისტების წინააღმდეგ მათი პროფესიული საქმიანობის გამო ჩადენილი ყველა დანაშაულის თაობაზე სრულყოფილი ინფორმაციის მიღებას.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, პროკურატურაში დაზარებულის პროფესიის მიხედვით ინფორმაციის სტატისტიკური აღრიცხვა არ წარმოებს,[660] საქართველოს შინაგან

[660] საქართველოს მთავარი პროკურატურის 2015 წლის 3 თებერვლის №13/6242 წერილი.

საქმეთა სამინისტროს[661] მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ჟურნალისტების საჩივრების თაობაზე დაწყებული გამოძიებების შესახებ ასევე არ აღირიცხება სტატისტიკური მონაცემები. შესაბამისად, რამდენად ეფექტიანია სისხლის სამართალწარმოების გზით მედია გარემოს თავისუფლების დაცვა, ხოლო დარღვევებზე ადეკვატური რეაგირება, მსგავსი სტატისტიკური ინფორმაციის არარსებობის პირობებში ამის გაგება რთულია.

ჟურნალისტთა მიმართ განხორციელებულ სავარაუდო დანაშაულთა გამოძიების შესახებ

გამოხატვის თავისუფლება საქართველოს სახალხო დამცველის ყოველწლიური საქმიანობის ერთ–ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. მისასალმებელია, რომ წინა წლებისგან განსხვავებით, 2014 წელი, ისევე როგორც 2013, არ გამოირჩეოდა ჟურნალისტების პროფესიულ საქმიანობაში ჩარევისა და ხელის შეშლის ფაქტების სიმრავლით.

თუმცა აუცილებელია ყველა იმ საქმის გამოძიება, რომელიც ასახულია სახალხო დამცველის წინა წლების საქმიანობის ანგარიშებში[662]. აღნიშნულს უკიდურესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება კანონის უზენაესობის პრინციპის განმტკიცებისა და მომავალში მსგავსი ქმედებების პრევენციის პროცესში.

საქართველოს მთავარი პროკურატურიდან სხვადასხვა დროს მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, რამდენიმე საქმეზე მედია საშუალებების წარმომადგენლების მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებზე დაწყებული გამოძიებები ჯერ არ დასრულებულა.

მათ შორისაა ტელეკომპანია „მე-9 არხის“ ჟურნალისტის, ნ.ჩ.-ს მიმართ 2012 წლის 23 და 26 ივლისს განხორციელებული მუქარისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტები. აღნიშნულის თაობაზე საუბარი იყო საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის საქმიანობის ანგარიშში.[663] ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით, ნ.ჩ.-ს მიმართ განხორციელებულ მუქარის ფაქტზე და აღნიშნული გამოძიება დღემდე არ დასრულებულა.[664]

ანალოგიური მდგომარეობაა, მედია–კავშირ „ობიექტივის“ ჟურნალისტის, ი.ჩ.-სა და ტელეკომპანია „კავკასიის“ ჟურნალისტის, ჯ.პ.-ს მიმართ 2012 წლის 28 იანვარს ჩადენილ

[661] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2015 წლის 4 მარტის №441511 წერილი.
[662] საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ.: 334.
[663] http://www.ombudsman.ge/uploads/other/0/86.pdf გვ: 497–498.
[664] საქართველოს მთავარი პროკურატურის 2014 წლის 9 აგვისტოს №13/50513 წერილის შესაბამისად;

დანაშაულებთან დაკავშირებით. გამოძიება მიმდინარეობს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333–ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. გამოძიება დღემდე არ დასრულებულა.

საგულისხმოა, სამაუწყებლო კომპანია „მაესტროს“ ჟურნალისტის, შ.რ.-სთვის 2011 წლის 18 სექტემბერს პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტთან დაკავშირებით დაწყებული გამოძიება[665]. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქართველოს მთავარი პროკურატურიდან ინფორმაციის მიღების არაერთი მცდელობის მიუხედავად, ჩვენთვის უცნობია გამოძიების მიმდინარეობისა და შედეგების თაობაზე.

ჟურნალისტ ზ.დ.-ს საქმე

მედია საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 2014 წლის 30 სექტემბერს გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტს ზ.დ.-ს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მას თავს „თავისუფალი ზონის“ წარმომადგენლები დაესხნენ. ჟურნალისტის კოლეგის განმარტებით, ზ.დ.-ს დამტვრეული ჰქონდა ნეკნები. მისივე თქმით, ზ.დ.-ს თავს დაესხნენ „თავისუფალი ზონის“ წარმომადგენლები, მათ შორის იყო „თავისუფალი ზონის“ ერთ-ერთი ლიდერი ფ.ჭ. ზ.დ.-ს მიმართ დანაშაულის ნიშნების შემცველი ქმედება განმეორდა 2014 წლის 22 ოქტომბერს. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსთან უცნობი პირი მას მოულოდნელად დაესხა თავს და სცემა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, იგი თბილისის ცენტრალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ამ ფაქტთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა საქართველოს სახალხო დამცველმა. მან სამართალდამცავ ორგანოებს აღნიშნული ფაქტების ეფექტიანად გამოძიებისკენ მოუწოდა, ინციდენტებში მონაწილე პირების გამოვლენისა და მათ მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებული ადეკვატური სანქციების გატარების მიზნით.[666]

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქართველოს მთავარი პროკურატურიდან გამოთხოვილი ინფორმაციის[667] თანახმად, 30 სექტემბერს შსს–ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს კრიმინალური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საგამოძიებო სამსახურში დაიწყო გამოძიება დ.გ.-სა და ფ.ჭ.-ს მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353–ე მუხლის პირველი

[665] საქართველოს სახალხო დამცველის 2011 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ.: 90 – 91.
[666] 1 ოქტომბერი, 2014 წელი, http://www.ombudsman.ge/ge/about-us/struqtura/departamentebi/samoqalaqo-politikuri-ekonomikuri-socialuri-da-kulturuli-uflebebis-dacvis-departamenti/siaxleebi-jus/saqartvelos-saxalxo-damcveli-jurnalistis-cemis-faqtsa-da-tavisufali-zonis-ofistan-momxdar-incidents-exmianeba.page
[667] საქართველოს მთავარი პროკურატურის 2014 წლის 3 ნოემბრის №13/68491 წერილი.

ნაწილითა[668] და 239–ე მუხლის მე–2 ნაწილის „ა“[669] ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ნიშნებით. ზ.დ. ცნობილი იქნა დაზარალებულად. რაც შეეხება 22 ოქტომბერს მომხდარ ინციდენტს, აღნიშნულთან დაკავშირებით გამოძიებიება დაწყებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125–ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. 2014 წლის 24 ოქტომბერს ა.კ.-ს წარედგინა ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156–ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. აღნიშნული მუხლი გულისხმობს ადამიანის დევნას სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო, ანდა მის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, პროფესიულ, რელიგიურ ან მეცნიერულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით. იქიდან გამომდინარე, რომ სახალხო დამცველი თავისი საქმიანობის არაერთ ანგარიშში აღნიშნავდა ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებებისთვის სწორი კვალიფიკაციის მიცემის მნიშვნელობას, მისასალმებელია, რომ მოცემულ შემთხვევაში შესაბამისმა ორგანოებმა ხსენებულ ფაქტებზე დაიწყეს გამოძიება და არ შემოიფარგლნენ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრებით.

ჟურნალისტ ნ.მ.-ს საქმე

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი საკუთარი ინიციატივის საფუძველზე შეისწავლის 2014 წლის 23 სექტემბერს ჟურნალისტ ნ.მ.-სა და სტუდია „ანატომიის“ მიერ გაკეთებულ საჯარო განცხადებას. განცხადების თანახმად, სტუდია ამზადებდა გადაცემას ახალი ხელისუფლების პირობებში ბიზნესის გადანაწილების თაობაზე, სადაც ძირითადად შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ყოფილ უფროსზე, ზვიად ჯანყარაშვილზე იქნებოდა საუბარი. ნ.მ.-ს განმარტებით, ჯანყარაშვილი მას სიტყვიერად ემუქრებოდა, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ მისი მეუღლე აიძულა შინაგან საქმეთა სამინსტროს რიგები დაეტოვებინა.

აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველმა მიმდინარე წლის 24 სექტემბერს გააკეთა განცხადება[670] და საქართველოს მთავარ პროკურატურას, თავისუფალი ჟურნალისტური საქმიანობისათვის სათანადო გარემოს შექმნის უზრუნველსაყოფად, ჟურნალისტ ნ.მ.-ს მიმართ განხორციელებული სავარაუდო მუქარის თაობაზე სწრაფი და ეფექტიანი საგამოძიებო ღონისძიებების გატარებისკენ მოუწოდა.

---

[668] წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ.

[669] ხულიგნობა.

[670] http://www.ombudsman.ge/ge/page/saqartvelos-saxalxo-damcveli-jurnalist-natia-miqiashvilis-gancxadebis-taobaze

საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის მოწოდებული ინფორმაციის[671] თანახმად, აღნიშნულ ფაქტზე დაწყებულია გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით[672] გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. გამოძიება გრძელდება. აღნიშნული მუხლი გულისხმობს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას მუქარისთვის. როგორც უკვე აღინიშნა, ჟურნალისტი განხორციელებულ მუქარას უკავშირებდა მის პროფესიულ საქმიანობას. მისი განმარტებით, მუქარის მთავარ მოტივს წარმოადგენდა სწორედ კონკრეტული ჟურნალისტური გამოძიების განუხორციელებლობა. პლურალისტურ და დემოკრატიულ საზოგადოებაში ჟურნალისტური გამოძიების განსაკუთრებული ფუნქციიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ მსგავს შემთხვევებში სამართლდამცავმა ორგანოებმა ქმედების კვალიფიკაციისას გაითვალისწინონ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი ნორმა ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის თაობაზე. უკიდურესად მნიშვნელოვანია, როგორც მოცემულ საქმესთან, ისე ყველა მსგავსი ტიპის ფაქტებთან დაკავშირებით დაწყებული გამოძიება წარიმართოს ეფექტიანად და გამოძიება დასრულდეს გონივრულ ვადებში.[673]

ჟურნალისტ ჯ.ა.-ს საქმე

2014 წლის 8 ივნისს ტელეარხ 25-ის ეთერში გადაიცა ჟურნალისტური გამოძიების ფარგლებში ჯ.ა.-ს საავტორო ფილმი, რომელიც შეეხებოდა აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა საქმიანობას. ჟურნალისტის განმარტებით, ფილმის დასრულებიდან რამდენიმე წუთში (22:55 სთ-ზე) მას პირად მობილურზე დაუკავშირდა აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე მედეა ვასაძე.

ჯ.ა. მიუთითებს, რომ გავრცელებული საუბრის ჩანაწერის მიხედვით, აჭარის ა/რ-ის ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე მედეა ვასაძე ჟურნალისტზე ეთერში გასული ფილმის შინაარსის გამო ახორციელებდა ზეწოლას და მუქარას.

2014 წლის 10 ივნისს მთავარ პროკურატურაში გაიგზავნა მიმართვა, რომლითაც სახალხო დამცველი ითხოვდა ინფორმაციას, დაიწყო თუ არა დასახელებულ ფაქტებზე გამოძიება და კონკრეტულად რომელი მუხლით იქნა აღძრული სისხლის სამართლის საქმე.

2014 წლის 1 ივლისს საქართველოს მთავარი პროკურატურიდან საქართველოს სახალხო დამცველს ეცნობა, რომ ჟურნალისტ ჯ.ა.-სა და დეპუტატ მედეა ვასაძეს შორის შემდგარი სატელეფონო საუბრის ჩანაწერის და სხვა დამატებითი დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად

---

[671] საქართველოს მთავარი პროკურორის 2014 წლის 27 ოქტომბრის №13/66655 და 2015 წლის 10 თებერვლის №13/7604 წერილები.

[672] სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების ანდა ქონების განადგურების მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

[673] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლი.

პროკურატურა მივიდა დასკვნამდე, რომ არ არსებობდა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, რის გამოც გამოძიება არ დაწყებულა.

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ ცნობს საგამონაკლისო ნორმებს რომელიც საშუალებას მისცემს საგამოძიებო ორგანოებს უარი თქვან გამოძიების დაწყებაზე, უფრო მეტიც, საგამოძიებო ორგანოები ვალდებულნი არიან გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ყველა სამართლებრივი შესაძლებლობა, რათა ეფექტურად გამოავლინონ დანაშაულებრივი ქმედებები და სათანადო რეაგირება მოახდინონ კანონდარღვევებზე. ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლი ადგენს გამოძიების დაწყების მოვალეობას. შესაბამისად საქართველოს სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ საქართველოს მთავარმა პროკურატურამ დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს გამოძიება მედეა ვასაძის მხრიდან ჟურნალისტის მიმართ განხორციელებული სავარაუდო უკანონო ქმედებების თაობაზე, ვინაიდან მხოლოდ დროული და ეფექტური საგამოძიებო მოქმედებებით არის შესაძლებელი საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საქართველოს მთავარი პროკურატურის წერილით გვეცნობა, რომ არ იქნა გაზიარებული სახალხო დამცველის წინადადება, შესაბამისად მოცემულ საქმეზე გამოძიება არ დაწყებულა.

პოლიტიკოსთა გამოხატვის თავისუფლების ფარგლები

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა ჟურნალისტ ე. ჯ.-ს 2014 წლის 9 სექტემბრის მომართვა, რომელიც დეპუტატის მხრიდან მის მიმართ გამოთქმულ კომენტარებს შეეხებოდა. ჟურნალისტის განცხადებით, დეპუტატმა ეკა ბესელიამ მას საჯარო სივრცეში შეურაცხყოფა მიაყენა, რაც მისი მხრიდან ჟურნალისტის დისკრედიტაციისა და მასზე ზეწოლის განხორციელების მცდელობად იქნა აღქმული. ჟურნალისტი პოლიტიკოსის მხრიდან აღნიშნული შეფასებების გაკეთებას მის ჟურნალისტურ საქმიანობას უკავშირებდა.

გამოხატვის თავისუფლებაზე, როგორც ერთ–ერთ ფუნდამენტურ უფლებაზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია განისაზღვროს ჟურნალისტისა და პოლიტიკოსის გამოხატვის თავისუფლების ურთიერთმიმართება. აღნიშნულის გაანალიზებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს ევროპული სასამართლოს განმარტებანი.

ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ გაუსვა ხაზი პრესის თავისუფლების მნიშვნელობას. აღნიშნულთან ერთად სასამართლოს ინფორმაციისა და პოლიტიკური, ასევე საზოგადოებრივი ინტერესის სფეროსთან დაკავშირებული საკითხების თაობაზე

მოსაზრებების გავრცელება პრესის ვალდებულებად მიაჩნია, ხოლო მათი მიღება – საზოგადოების უფლებად.[674]

განსაკუთრებით საყურადღებოა სასამართლოს მოსაზრება გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული პრინციპების ფარგლების განმარტებისას, როდესაც საკითხი ეხება პოლიტიკოსს. სასამართლოს მტკიცებით, „პრესის თავისუფლება საზოგადოებას ანიჭებს ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო საშუალებას, რათა მან აღმოაჩინოს და ჩამოაყალიბოს საკუთარი მოსაზრება იმ იდეებსა და მიდგომებთან დაკავშირებით, რომლებიც გააჩნიათ პოლიტიკურ ლიდერებს“. ამიტომაც, „დასაშვები კრიტიკის ზღვარი პოლიტიკოსთან მიმართებით უფრო ფართოა, ვიდრე კერძო პირთან. კერძო პირისგან განსხვავებით, პოლიტიკოსი, განზრახ და შეგნებულად, თავის თითოეულ სიტყვასა და ქმედებას ჟურნალისტებისა და საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების საგნად აქცევს. შესაბამისად, მან უფრო მეტი მოთმინება უნდა გამოამჟღავნოს“ განსაკუთრებით, როცა თავად აკეთებენ ისეთ საჯარო განცხადებებს, რომელთაც შეუძლიათ კრიტიკის გამოწვევა[675].“

„სახელმწიფოში, რომელშიც აღიარებულია კანონის უზენაესობა, არ უნდა იქნეს უგულებელყოფილი პრესის უპირატესი როლი.[676] სასამართლოს მიდგომით პოლიტიკური მოღვაწენი მოთმინების მაღალი ხარისხით უნდა მოეკიდონ სერიოზულ კრიტიკას, თუნდაც, გამოხატულს შეურაცხმყოფელი ფორმით. „კრიტიკის ნებადართული ზღვარი შედარებით ფართოა მთავრობასთან, ვიდრე კერძო პირთან ან თუნდაც პოლიტიკოსთან მიმართებაში“. სასამართლომ დაადგინა, რომ პრესის თავისუფლების განსაკუთრებული როლიდან გამომდინარე, პოლიტიკოსებმა მედიის მხრიდან კრიტიკისას დიდი თავშეკავება უნდა გამოამჟღავნონ.[677]

სასამართლოს შემწყნარებლური დამოკიდებულება პოლიტიკოსებისა და პოლიტიკური დებატების მიმართ წყდება მაშინ, როდესაც მათი მიზანი აღარ არის საზოგადოების ინფორმირება, აზრების თავისუფალი გაცვლა და ამის ნაცვლად მიზნად ისახავს სიძულვილისკენ მოწოდებას და მათ წახალისებას.[678]

„პოლიტიკოსები განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეკიდონ დემოკრატიისა და მისი პრინციპების დაცვას, ვინაიდან მათი საბოლოო მიზანი ხელისუფლებაში მოსვლაა.“[679]

---

[674] Lingens-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1986 წლის 8 ივლისი, სერია A, №103, პუნქტი 41.
[675] Lingens-ის საქმე, პუნქტი 42.
[676] Castells-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1992 წლის 23 აპრილი, სერია A №236, პუნქტი 43.
[677] Ceylan-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1999 წლის 8 ივლისი, მოხსენებები 1999-IV, პუნქტი 34.
[678] „სიძულვილის ენის აღმოფხვრა პოლიტიკურ დისკურსში – სისხლის სამართლის პასუხისმგებლობიდან
თვითრეგულაციის მექანიზმებისკენ“, http://gdi.ge/uploads/other/0/192.pdf.
[679] ფერე ბელგიის წინააღმდეგ, პარ. 75.

შესაბამისად, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ კიდევ უფრო მაღალი სტანდარტი მოქმედებს ხელისუფლების ერთ–ერთი შტოს, საკანონმდებლო ორგანოს წევრის მიმართ.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებებიდან ნათელია, რომ მედია გარემოს ზეწოლისაგან მაქსიმალურად გათავისუფლებისათვის გაუმართლებელია პოლიტიკოსების მხრიდან ჟურნალისტთა მიმართ ისეთი შეფასებების გაკეთება, რომელიც შესაძლებელია აღიქმებოდეს ჟურნალისტურ საქმიანობაზე ზემოქმედებისა და საზოგადოების თვალში ჟურნალისტის დისკრედიტაციის მცდელობად. თითოეული ასეთი შემთხვევა შესაძლოა არაჯანსაღი და უარყოფითი ტენდენციის ჩამოყალიბების საფუძველი გახდეს, რაც, მედიის განსაკუთრებული როლიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, დაუშვებელია.

გარდა ამისა, პოლიტიკოსებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ თავიანთი მოსაზრებების გავრცელებისას. აღნიშნული გამომდინარეობს მათ მიმართ განსაკუთრებული საჯარო დაინტერესებისა და ამასთან, ობიექტური შესაძლებლობებიდან – მეტი გავლენა მოახდინონ საზოგადოებაზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია პოლიტიკოსს გააზრებული ჰქონდეს თავისი სტატუსიდან გამომდინარე პასუხისმგებლობა და ვალდებულებები საზოგადოების წინაშე.

შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ პოლიტიკოსების, საქართველოს მთავრობისა თუ პარლამენტის წევრების მხრიდან არ უნდა გაკეთდეს ისეთი კომენტარები და შეფასებები, რომელიც ჟურნალისტურ საქმიანობაში ჩარევად ან/და ჟურნალისტებზე ზეწოლად შეიძლება იყოს აღქმული

სიძულვილის ენის გამოყენება თანამდებობის პირების/საჯარო მოხელეების მიერ

თავის რეკომენდაციაში ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი ხაზს უსვამს ხელისუფლების და პოლიტიკური ინსტიტუციების, ასევე, საჯარო პირების „განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას, თავი შეიკავონ იმგვარი განცხადებებისგან, განსაკუთრებით, მედიის საშუალებით, რომლებიც შესაძლოა, მიჩნეულ იქნეს სიძულვილის ენად.“[680] ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაც ხაზსგასმით აღნიშნავს, რომ განსაკუთრებით პრობლემატური და საყურადღებოა საჯარო პირების მხრიდან სიძულვილის ენის გამოყენება. ასამბლეა აცხადებს, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ხელისუფლების წარმომადგენლებმა არა მხოლოდ პრაქტიკულად და ეფექტიანად დაიცვან ადამიანის უფლებათა ინსტრუმენტებში გაცხადებული უფლებები, არამედ თავიც შეიკავონ გამოხატვისგან, რომელიც ახდენს

[680] 1997 წლის 30 ოქტომბრის რეკომენდაცია 97 (20).

დისკრიმინაციის ან შეუწყნარებლობაზე დაფუძნებული სიძულვილის ლეგიტიმაციას და ხელშეწყობას.[681]

სიძულვილის ენის უნივერსალური დეფინიცია არ არსებობს, თუმცა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1997 წელს მიღებული რეკომენდაციით სიძულვილის ენა მოიაზრებს გამოხატვის ყველა ფორმას, რომელიც ავრცელებს, აქეზებს, ხელს უწყობს ან ამართლებს რასობრივ შუღლს, ქსენოფობიას, ანტისემიტიზმს ან შეუწყნარებლობაზე დაფუძნებულ შუღლის სხვა ფორმებს, ნაციონალიზმის, ეთნოცენტრიზმის, დისკრიმინაციისა და უმცირესობათა ან მიგრანტთა მიმართ გამოხატული მტრობის ჩათვლით.[682]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომის მიხედვით, სიძულვილის ენა არ არის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვეციით დაცული. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომის მიხედვით, სიტყვისა და აზრის თავისუფლება არ განეკუთვნება აბსოლუტურ, შეუზღუდავ თავისუფლებათა კატეგორიას და სასამართლო ითვალისწინებს მისი შეზღუდვის შესაძლებლობას თუ გამოხატვის თავისუფლების გამოვლინება ლახავს სხვათა უფლებებს და ეს არის ერთადერთი პირობა, რაც შეიძლება გახდეს სიტყვის და აზრის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი.[683]

გამოხატვის თავისუფლებას, რომლითაც რასაკვირველია, ასევე სარგებლობს თანამდებობის პირი, ევროსასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, გააჩნია გარკვეული ფარგლები. გამოხატვის თავისუფლება არის უფლება, რომლის ბოროტად გამოყენების შემთხვევაში დაწესებული სანქციები ლეგიტიმურია, ვინაიდან კონვენცია წარმოადგენს „დემოკრატიული საზოგადოების იდეალებისა და ღირებულებების შენარჩუნების და ხელშეწყობის ინსტრუმენტს“[684].

ზემოთაღნიშნული პრინციპების განუხრელი დაცვა პირველ რიგში სწორედ საჯარო პირების - სახელმწიფო მოხელეების, პოლიტიკოსებისა თუ მაღალი რანგის თანამდებობის პირების ვალდებულებაა. სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლის მხრიდან გამოთქმული მოსაზრების მიმართ მოქმედებს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი და ნებისმიერ ისეთი შემთხვევა, როდესაც შესაძლებელია მისი მხრიდან გაკეთებული შეფასებები რაიმე სახის ძალადობრივი ქმედების წახალისებას უწყობდეს ხელს, დასაგმობია. მსგავსი განცხადებები ხელს უშლის ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების განვითარებას. ვინაიდან, დემოკრატიულ სახელმწიფოში ერთ–ერთ უმნიშვნელოვანეს ღირებულებას სწორედ

[681] ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2010 წლის 29 აპრილის რეზოლუცია 1728 (2010) სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის შესახებ, პარ. 7.

[682] ევროპის საბჭო, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია სიძულვილის ენაზე No. R(97)

[683] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის N2/1/241 გადაწყვეტილება, პ.1.

[684] კიელსენი, ბუსკ მანდსენი და პედერსენი დანიის წინააღმდეგ, 1976 წლის 7 დეკემბერი, პარ. 53.

განსხვავებული აზრის პატივისცემა, გამოხატვის თავისუფლების სრულყოფილი რეალიზაცია და სიძულვილის ენის დაუშვებლობა წარმოადგენს.

ორგანიზაცია „იდენტობის“ საქმე

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველს მიმართა არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობის“ წარმომადგენელმა. განცხადების თანახმად, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილის ალექსანდრე ბრეგაძის მიერ 2014 წლის 25 ოქტომბერს გაზეთ „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნებული ინტერვიუ[685] წარმოადგენდა არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობის“ აღმასრულებელი დირექტორის პატივისა და ღირსების შეურაცხყოფას, მის მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარასა და ზოგადად, არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობის“ მიმართ განხორციელებულ ზეწოლას.

მოგვიანებით, მინისტრის მოადგილემ დამატებით განმარტა, რომ მისთვის მიუღებელია ყველა სახის ძალადობა ან სიძულვილი და გმობს და ემიჯნება მსგავს შემთხვევებს.[686] კიდევ უფრო შემაშფოთებელია დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის 2014 წლის 10 ნოემბრის №01–10/800 წერილი, რომლის თანახმად, მინისტრის მოადგილის განცხადებება განპირობებული იყო ორგანიზაცია „იდენტობის“ დირექტორის საქმიანობით და უმჯობესია მის გამონათქვამებს მოჰყვეს კანონისმიერი რეაგირება, სანამ ხალხი თვითონ აღასრულებს სამართალს.

„საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მინისტრის მოადგილე წარმოადგენს თანამდებობის პირს. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად კი იგი საჯარო პირია.[687]

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–13 მუხლი განსაზღვრავს საჯარო სამსახურის ძირითად პრინციპებს, მათ შორისაა ადამიანისა და მოქალაქის უფლებების, თავისუფლებების და ღირსების პატივისცემა. საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი უფლება სწორედ გამოხატვის თავისუფლებაა.

---

685 25.10.2014http://www.kvirispalitra.ge/public/23148-sandro-bregadze-didi-imedi-maqvs-rom-araraoba-irakli-vatcaradzes-arsad-shevkhvdebiq.html

686 30.10.2014 http://iverioni.com.ge/8659-ras-mimarthavs-sandro-bregadze-saerthashoriso-organizaciebs-da-ras-ganmartavs-uckhoeli-megobrebis-da-thanamemamuleebis-gasagonad.html.

687 „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ი“ პუნქტის დანაწესი.

შესაბამისად, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე სახელმწიფო თანამდებობის პირია, რომელიც მონაწილეობს საჯარო პოლიტიკის ფორმირების პროცესში და შესაბამისი პასუხისმგებლობა ეკისრება საზოგადოების წინაშე. პირველ რიგში, სწორედ აღნიშნული პირები უნდა იყვნენ მოწოდებულები განსხვავებული აზრის მიმართ დანერგონ პლურალისტური და შემწყნარებლური პოლიტიკა.

განსახილველ შემთხვევაში, არ აქვს მნიშვნელობა მინისტრის მოადგილის მიერ გაკეთებული შეფასებები ვისი ქმედებითა და მოსაზრებებით იყო ინსპირირებული. ან/და ამა თუ იმ პირისა თუ ორგანიზაციის საჯარო განცხადებები არის თუ არა შოკისმომგვრელი საზოგადოებისათვის, თუ ცალკეულ შემთხვევაში - შეურაცხმყოფელი, გამოხატვის თავისუფლებით დაცული ღირებულების მნიშვნელობა ასევე ვრცელდება საზოგადოებისათვის მიუღებელ და შეურაცხმყოფელ მოსაზრებებზე, რადგან აღნიშნულის გარეშე შეუძლებელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა;[688] ეს პრინციპები კი პირველ რიგში სწორედ მაღალი რანგის თანამდებობის პირებმა უნდა დაიცვან.

ამასთან, დემოკრატიულ სახელმწიფოში არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების განსაკუთრებული როლიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სახელმწიფომ უზრუნველყოს როგორც საკანონმდებლო დონეზე, ასევე პრაქტიკაში შესაბამისი გარემოს შექმნა ხსენებული ორგანიზაციების არსებობისა და მათი შეუფერხებელი საქმიანობის მიზნით. შესაბამისად, ამ პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ხელისუფლების დამოკიდებულებასა და ქმედებებს.

ინფორმაციის თავისუფლება

ინფორმაციის თავისუფლების მნიშვნელობაზე და სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებაზე – გონივრული შეზღუდვების ფარგლებში ხალხისათვის ხელმისაწვდომი გახადოს საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ინფორმაცია, წინა წლების ანგარიშებშიც არაეთხელ აღინიშნა.

საქართველოში ინფორმაციის თავისუფლება ქვეყნის უზენაესი კანონით – საქართველოს კონსტიტუციით არის გარანტირებული, რომელიც სახელმწიფოს აკისრებს არა მხოლოდ ნეგატიურ ვალდებულებას, ხელი არ შეუშალოს პიროვნებას ინფორმაციის მიღებაში, არამედ პოზიტიურ ვალდებულებას – გასცეს მის ხელთ არსებული ინფორმაცია. სამართლებრივ სახელმწიფოში, დემოკრატიული სისტემის სრულყოფილად ფუნქციონირებისთვის, მნიშვნელოვანია საზოგადოებას ხელი მიუწვდებოდეს საჯარო დაწესებულებაში დაცულ ინფორმაციაზე. ინფორმაციის თავისუფლების ეფექტურ რეალიზაციას დიდი წვლილი

[688] Handyside-ს საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1976 წლის 7 დეკემბერი, სერია A, №24, პუნქტი 49.

შეაქვს ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის ნდობის გაძლიერებაში, სტაბილური დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებაში, კორუფციის პრევენციასა და კორუფციასთან ბრძოლაში, ხელისუფლების საქმიანობის გამჭირვალობისა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების გაზრდაში. ინფორმაციის თავისუფლება არის საჯარო დაწესებულებების საქმიანობაზე „საზოგადოებრივი კონტროლის" განხორციელების უმნიშვნელოვანესი მექანიზმი, რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს ხელისუფლების განხორციელების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდას და სახელმწიფოს კარგი მმართველობის ჩამოყალიბებას.[689]

ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით მნიშვნელოვანია კანონმდებლობაში განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები, კერძოდ, შეიქმნას ინფორმაციის თავისუფლებაზე მონიტორინგის განმახორციელებელი შესაბამისი მექანიზმი.

საქართველოს კონსტიტუციის 24–ე მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოცემული მუხლით დაცულია ინფორმაციის თავისუფლება, მისი თავისუფალი გავრცელება და მიღება საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან, რომლებიც გამოსადეგია ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელებისათვის. აღსანიშნავია, რომ საყოველთაოდ ხელმისაწვდომ წყაროდ ვერ იქნება მიჩნეული სახელმწიფო დაწესებულებები. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, კონსტიტუციის 41-ე მუხლი ყოველ მოქალაქეს ანიჭებს უფლებას[690] კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე, იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მარეგულირებელი ნორმები კიდევ უფრო დეტალურად არის გაწერილი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მესამე თავში. მოცემული ნორმატიული აქტის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ყველას

---

[689] მიიჩნევა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის გადაწყვეტილება უნგრეთის წინააღმდეგ გამოტანილ საქმეზე იყო გარდამტეხი ამ მიმართულებით, როდესაც სასამართლომ მე–10 მუხლის ფარგლებში (გამოხატვის თავისუფლება) აღიარა სახელმწიფო დაწესებულებებიდან ინფორმაციის მიღების უფლება:
http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/Pages/search.aspx#{„fulltext":[„tarsasag"], „itemid":[„001-92171"]}

[690] საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტი საჯარო დაწესებულებებიდან ინფორმაციის გამოთხოვის უფლებას სიტყვასიტყვით - ,,საქართველოს ყოველ მოქალაქეს" ანიჭებს, თუმცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2006 წლის 14 ივლისის N2/3/264 გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ „...აღნიშნული მუხლი ღიად მიიჩნევს სახელმწიფო დაწესებულებებში დაცულ ოფიციალურ ინფორმციას და ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს აძლევს მათი გაცნობის შესაძლებლობას...".

აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე, გაეცნოს ინფორმაციას დედანში.

2014 წელს საქართველოს სახალხო დამცველის მიერ შესწავლილი საქმეების ანალიზი ცხადყოფს, რომ წინა წლების მსგავსად, გასულ წელსაც, ზოგიერთმა სახელმწიფო დაწესებულებამ არასათანადოდ შეასრულა საქართველოს კონსტიტუციის 41–ე მუხლით ნაკისრი პოზიტიური ვალდებულება – გაეცათ მათ ხელთ არსებული საჯარო ინფორმაცია. კონკრეტული საქმეების ანალიზით ირკვევა, რომ რიგ შემთხვევებში ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან დარღვეული იყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი კანონიერების პრინციპი და მოქმედი კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი მიზეზით, ისეთით, როგორიც არის ,,ინფორმაციის გაცემის მიზანშეუწონლობა", უარი ეთქვათ განმცხადებელებს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე. ამასთან, დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც სახელმწიფო დაწესებულების მხრიდან არასრულყოფილი სახით გაიცა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია. ასევე გამოიკვეთა, რომ გარკვეულ შემთხვევებში სახელმწიფო დაწესებულებები საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის მიზეზად უსაფუძვლოდ იშველიებდნენ ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის რეგულაციებს.

სამწუხაროდ, კვლავ გამოწვევად რჩება პარლამენტის მხრიდან სათანადო ქმედებების განხორციელება, რომელთა საფუძველზეც საქართველოს კანონმდებლობით დადგინდება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის უკანონოდ თქმისათვის. ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ევროპის საბჭოს 2009 წლის 18 ივნისის ,,ოფიციალურ დოკუმენტაციასთან დაშვების შესახებ კონვენციის" რატიფიკაციისათვის საჭირო პროცედურების დასაწყებად, შესაბამისი ორგანოების მხრიდან, დღემდე არ განხორციელებულა შესაბამისი ღონისძიებები[691].

ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის" საქმე

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველმა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევა დაადგინა ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის" (IDFI) საქმეში. 2014 წლის 27 იანვარს აღნიშნულმა ორგანიზაციამ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან

[691] 2015 წლის 20 თებერვლის N01/6026 წერილით საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს აცნობა, რომ ჩვენი წერილის გათვალისწინებით, რომლითაც ვითხოვდით ინფორმაციას დაწყებული იყო თუ არა ევროპის საბჭოს 2009 წლის 18 ივნისის ,,ოფიციალურ დოკუმენტაციასთან დაშვების შესახებ კონვენციის" რატიფიკაციისათვის საჭირო პროცედურები, სამინისტრომ განაახლა პროცედურები აღნიშნულ საკითხზე.

გამოითხოვა შემდეგი ინფორმაცია: თანამდებობის პირებზე დარიცხული პრემიების, სახელფასო დანამატების, ე.წ. „როუმინგულ“ მომსახურებაზე გაწეული და სამივლინებო ხარჯების შესახებ; მინისტრისა და მისი მოადგილეების უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების, მინისტრის სამუშაო ელექტრონული ფოსტიდან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების, სამინისტროს მიერ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯების შესახებ, გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული შესყიდვების სია, სამინისტროს ბალანსზე რიცხულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე ტექნიკურ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების შესახებ ინფორმაცია, აუდიტორული შემოწმების (შიდა, გარე, სახელმწიფო და არასახელმწიფო) აქტები, აუდიტორული შემოწმებების შედეგების ამსახველი ინფორმაციის სამართალდამცავ ორგანოებში გადაგზავნის შემთხვევების რაოდენობა და სხვა ინფორმაცია.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის ნაწილი არასრულყოფილი სახით მიაწოდა განმცხადებელს, ნაწილზე განუმარტა, რომ მიზანშეუწონლად მიაჩნდა აღნიშნული ინფორმაციის გაცემა[692], ხოლო გარკვეული სახის ინფორმაციაზე „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს“ აცნობა, რომ სამინისტროში მოთხოვნილი ინფორმაცია არ ინახებოდა[693]. IDFI-ს მიერ მინისტრის წინაშე წარდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარზე გადაწყვეტილება ვადების ამოწურვის მიუხედავად არ მიღებულა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არც საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს მოაწოდა სრულყოფილი სახით IDFI-ს მიერ 2014 წლის 27 იანვრის წერილით მოთხოვნილი ინფორმაცია.

საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად საქართველოს სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს უფლებამოსილი პირის/პირების მიერ დაირღვა საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები,

---

[692] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. „მიზანშეუწონლობის“ მოტივით საჯარო ინფორმაციის არ გაცემას არ ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა.

[693] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–40 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია, მათ შორის, ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, დაუყოვნებლივ, ან არა უგვიანეს 10 დღისა, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს: ა) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას; ბ) მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძებასა და დამუშავებას; გ) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას.

რამაც თავის მხრივ გამოიწვია „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ უფლებების დარღვევა.

დ.მ.–ს საქმე

2014 წლის 28 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალქე დ.მ.–მ და მოითხოვა მისი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან გათავისუფლების კანონიერების შესწავლა. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მოცემული საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან გამოითხოვა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ შედგენილი მოკვლევის მასალები, რომლებიც საფუძვლად დაედო დ.მ.–სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ გენერალური ინსპექციის დასკვნის შედგენას და მოცემული დასკვნის საფუძველზე მოქალაქე დ.მ.–ს დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებას. აღნიშნული მასალების გადაცემის მოთხოვნით თავად მოქალაქემაც მიმართა სამინისტროს, თუმცა იმ საფუძვლით, რომ დოკუმენტები შეიცავდნენ პერსონალურ მონაცემებს, არც დ.მ.–სათვის და არც საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის ხელმისაწვდომი არ გახდა მოთხოვნილი მასალები.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის დასკვნის შედგენასთან დაკავშირებული მასალები მიიღო მოქალაქე დ.მ.–სგან, რომელმაც სასამართლოს დახმარებით გამოითხოვა ადმინისტრაციული ორგანოდან აღნიშნული დოკუმენტაცია და მხოლოდ ამის შემდგომ გახდა შესაძლებელი მოქალაქე დ.მ.–ს დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების კანონიერების შესწავლა.

მოცემულ შემთხვევაში სამინისტროს თავისუფლად შეეძლო დაეფარა გენერალური ინსპექციის მოკვლევაში მონაწილე პირთა პერსონალური მონაცემები და აღნიშნული სახით გაეცა როგორც მოქალაქეზე, ისე საქართველოს სახალხო დამცველის აპარატზე მოთხოვნილი დოკუმენტაცია. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ზემოაღნიშნული ქმედება წარმოადგენს ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევას.

10 დეკემბრის ანგარიშების კანონშესაბამისობა

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ იქნა 2014 წელს ყველა სამინისტროსა და ოცდაათამდე საჯარო სამართლის იურიდიული პირის მხრიდან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49–ე მუხლით დადგენილი

ვალდებულების[694] შესრულების ხარისხი. მოცემული ნორმით რეგლამენტირებულია, რომ საჯარო დაწესებულება ვალდებულია ყოველი წლის 10 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პრემიერ–მინისტრს წარუდგინოს, აგრევე „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ გამოაქვეყნოს ანგარიში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დღემდე, საქართველოს კანონმდებლობით არ არის მოწესრიგებული ზემოაღნიშნული ანგარიშების ადრესატთა ვალდებულება, რომლის მიხედვით შესაძლებელი იქნება საჯარო დაწესებულებათა ყოველწლიურ ანგარიშებში ასახული მონაცემების სისწორის გადამოწმება. აღნიშნული რეგულაციების არარსებობის პირობებში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49–ე მუხლით დადგენილი ვალდებულების შესრულება მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს. შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შემოწმდა ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ანგარიშების მხოლოდ ფორმალური მხარე და გამოიკვეთა, რომ:

---

694 საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49–ე მუხლის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, ყოველი წლის 10 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პრემიერ–მინისტრს წარუდგინოს, აგრეთვე ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ გამოაქვეყნოს ანგარიში:
ა) საჯარო დაწესებულებაში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემისა და საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობის შესახებ და მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ;
ბ) მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის, გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობის, აგრეთვე კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;
გ) საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ;
დ) საჯარო მოსამსახურეთა მიერ ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხისმგებელი პირებისთვის დისციპლინური სახდელების დადების შესახებ;
ე) იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებსაც საჯარო დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვისას;
ვ) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების თაობაზე;
ზ) საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ.

- ზოგიერთი საჯარო დაწესებულების ანგარიშში არ არის ასახული პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და შენახვისა შესახებ ინფორმაცია;
- არ არის მითითებული საჯარო მოსამსახურეთა ვინაობა, რომელთაც მიიღეს გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ;
- არ არის მითითებული რომელ საკანონმდებლო აქტებს ეყრდნობოდა საჯარო დაწესებულება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.

საკანონმდებლო დონეზე საჯარო დაწესებულებებისათვის ფაქტობრივად მხოლოდ დეკლარირებული ვალდებულება, რომლის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში არანაირი სანქცია საქართველოს კანონმდებლობით არ არის დადგენილი, ერთ–ერთი საფუძველია იმისა, რომ საჯარო დაწესებულებები უმეტეს შემთხვევაში არაჯეროვნად ასრულებენ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის მოთხოვნებს.

რეკომენდაციები:

საქართველოს პარლამენტს:

- შუღლის გაღვივების მიზნით მოწოდების კრიმინალიზაციის შესახებ კანონპროექტის მიღებისას გაითვალისწინოს საქართველოს სახალხო დამცველის მიერ წარმოდგენილი შენიშვნები
- პარლამენტის წევრების საქმიანობის ეთიკის ფარგლებში მოქცევისათვის შეიქმნას ეთიკის ნორმები დეპუტატებისათვის და მის აღსრულებაზე უფლებამოსილი შესაბამისი მექანიზმი
- განხორციელდეს სათანადო მოქმედებები, რომელთა საფუძველზეც საქართველოს კანონმდებლობით დადგინდება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის უკანონოდ თქმისათვის
- კანონმდებლობაში განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები, რათა შეიქმნას შესაბამისი მექანიზმი ინფორმაციის ხელმისაწვდომის უზრუნველყოფისა და ინფორმაციის თავისუფლებაზე მონიტორინგის განხორციელების მიზნით
- მოხდეს ევროპის საბჭოს 2009 წლის 18 ივნისის „ოფიციალურ დოკუმენტაციასთან დაშვების შესახებ კონვენციის“ რატიფიცირება, რათა აღნიშნული დოკუმენტით დადგენილმა სტანდარტებმა ოფიციალურ დოკუმენტაციასთან დაშვების უფლების უზრუნველყოფისათვის, კიდევ ერთი დამატებითი სამართლებრივი ბერკეტის სახით, სავალდებულო ხასიათი შეიძინოს საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი ორგანოებისათვის
- განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილებები, რათა შეიქმნას მექანიზმი, რომელიც შესაძლებელს გახდის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის

საფუძველზე, საჯარო დაწესებულებების მიერ წარდგენილი ყოველწლიური ანგარიშების სისწორის დადგენას და ამავდროულად აიძულებს საჯარო დაწესებულებებს, ყოველი წლის 10 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგინოს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–3 თავით დადგენილი რეგულაციების შესრულების შესახებ“ სრულყოფილი ანგარიში

საქართველოს მთავრობას

- საქართველოს მთავრობის წევრებმა/აღმასრულებელი ხელისუფლების თანამდებობის პირებმა თავი შეიკავონ ისეთი შეფასებების გაკეთებისგან, რომელიც შესაძლოა აღიქმებოდეს სიძულვილის ენის ტირაჟირებად ან რაიმე სახის ძალადობრივი ქმედების წახალისებად ან/და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დაცული ნეიტრალობის პრინციპის დარღვევად.

საქართველოს მთავარ პროკურატურას:

- ჟურნალისტთა პროფესიული საქმიანობისათვის ხელის შეშლის ყველა შემთხვევაში მიეცეს ქმედებას შესაბამისი კვალიფიკაცია და ყველა ზემოთხსენებული საქმის თაობაზე გამოძიების რაც შეიძლება მოკლე დროში დასრულების მიზნით გატარდეს კანონით გათვალისწინებული ყველა ეფექტიანი ღონისძიება
- საგამოძიებო ორგანოებმა აწარმოონ სტატისტიკა ჟურნალისტების მიმართ ჩადენილი ნებისმიერი დანაშაულებრივი ქმედების თაობაზე

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს:

- განხორციელდეს სათანადო ღონისძიებები ევროპის საბჭოს 2009 წლის 18 ივნისის „ოფიციალურ დოკუმენტაციასთან დაშვების შესახებ კონვენციის“ რატიფიკაციისათვის საჭირო პროცედურების დასაწყებად.

შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება

შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების საკანონმდებლო გარანტიებს წარმოადგენს ეროვნული[695] და საერთაშორისო[696] კანონმდებლობა. შეკრებისა და მანიფესტაციის

[695] საქართველოს კონსტიტუცია, „შეკრებებისა და მანიფესტაციის შესახებ“ საქართველოს კანონი.

თავისუფლების სრულყოფილი რეალიზაცია დემოკრატიული სახელმწიფოსთვის ერთ-ერთი სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. ეს უფლება გამოხატვის თავისუფლების ერთ-ერთ ასპექტად უნდა მივიჩნიოთ. შესაბამისად, მისასალმებელია, რომ წარსულის გამოცდილებისაგან განსხვავებით, საანგარიშო პერიოდში ამ უფლების შეზღუდვის ფაქტები მასიურად არ დაფიქსირებულა, თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც სამართალდამცავების მხრიდან შესაძლოა ადგილი ჰქონოდა შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებაში გაუმართლებელ ჩარევას.

შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლებაზე საუბრისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი კრიტერიუმები, ესენია: საჯაროობა, მშვიდობიანი ხასიათი და შეკრების წინასწარი ნებართვის გარეშე განხორციელების შესაძლებლობა.[697] აღნიშნული უფლება თავის თავში მოიცავს ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა შეკრებაში/მანიფესტაციაში მონაწილეობის, მისი ინიცირებისა და ორგანიზების უფლება.[698] ამასთან, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებასთან მიმართებით სახელმწიფოს გააჩნია როგორც ნეგატიური, ასევე პოზიტიური ვალდებულებები.

სწორედ სახელმწიფოს აღნიშნულ ვალდებულებებს ეხმიანება ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია[699] და ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა[700]. სტრატეგიის თანახმად, სახელმწიფოს ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების მაღალი სტანდარტით დაცვის გარანტიებისა და სათანადო რეალიზებისათვის გარემოს შექმნა, შეკრებისა და მანიფესტაციის მონაწილეთა დაცვა და ამ მიზნით სახელმწიფოს პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებების შესრულება, შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების დარღვევის ფაქტებზე სამართლებრივი რეაგირება და მისი დარღვევის თავიდან აცილება; სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლება ხელისუფლების მიერ შეკრებისა და

---

[696] ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ ევროპული კონვენცია, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი.

[697] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, პ.7, 99,100, 138.

[698] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.პ.131,121.

[699] საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 30 აპრილის N2315-IIს დადგენილება „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2014–2020 წლებისთვის)“ დამტკიცების შესახებ.

[700] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივლისის N445 დადგენილება „საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015 წლებისთვის) დამტკიცებისა და საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014–2015 წლებისთვის) საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“.

მანიფესტაციის თავისუფლების უზრუნველსაყოფად პოზიტიური ვალდებულების სათანადოდ შესრულებისათვის.

მისასალმებელია, რომ სახალხო დამცველის 2013 წლის რეკომენდაციის შესაბამისად, 2014 წელს შსს-ს აკადემიაში ჩატარდა ტრენინგი მასების მართვის შესახებ. სწავლების დროს განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: მასების მართვის სამართლებრივი საფუძვლები (ნორმატიული აქტები), ორგანიზატორების უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობები, პოლიციის მუშაობის სპეციფიკა, ეთიკის ნორმები და ადამიანის უფლებების დაცვა, პოლიციის როლი სექსუალური უმცირესობების (ლგბტ) მიერ გამართული მანიფესტაციების დროს და სხვა. მომზადება გაიარეს შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტისა და შსს-ს აკადემიის წარმომადგენლებმა, სულ ოცდაათმა მონაწილემ.[701] მნიშვნელოვანია, რომ სამართალდამცავების მომზადება ამ მიმართულებით მომავალშიც აქტიურად და გაცილებით ფართო მასშტაბებით გაგრძელდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს არ იქნება საკმარისი არსებითი გაუმჯობესების მისაღწევად.

ისევე როგორც 2013 წელს, 2014 წელსაც არ განხორციელებულა საკანონმდებლო ცვლილებები შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების მარეგულირებელ კანონმდებლობაში. სახალხო დამცველის 2013 წლის საქმიანობის ანგარიშში ხაზგასმულია სახალხო დამცველის 2011-2012 წლის საპარლამენტო ანგარიშებში ასახული შენიშვნების გათვალისწინების მნიშვნელობა და აღნიშნული დღემდე აქტუალურ საკითხად რჩება. მით უმეტეს, რომ ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მიხედვით, 2014–2015 წლებში ერთ-ერთ ამოცანას სწორედ შეკრებისა და მანიფესტაციების უფლებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან უფრო მეტად დაახლოება წარმოადგენს და აღნიშნულის განსახორციელებლად სათანადო მექანიზმად მიჩნეულია ვენეციის კომისიის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის და სახალხო დამცველის რეკომენდაციების შესაბამისად საკანონმდებლო ცვლილებების პროექტის მომზადება და პარლამენტისთვის წარდგენა.

შეკრებისა და მანიფესტაციის მონაწილეთა დაცვის და სახელმწიფოს პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ გამოიძიოს გასული წლების განმავლობაში ამ უფლების ხელყოფის ფაქტები. საქართველოში კონსტიტუციით დაცული შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების დარღვევის ფაქტებს ადგილი ჰქონდა 2007 წლის 7 ნოემბერს (ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირზე მიმდინარე აქციის დაშლა), 2009 წლის 15 ივნისს (პოლიციის მთავარ სამმართველოსთან მიმდინარე აქციის დაშლა), 2011 წლის 3 იანვარს (ვეტერანთა აქციის

[701] http://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-latvieli-eqspertebi-etsvivnen/6226 25.02.2014 ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს მიერ მომზადებული ანგარიში, გვ.56.

დაშლა), 2011 წლის 26 მაისს (ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირზე მიმდინარე აქციის დაშლა) და 2013 წლის 17 მაისს (კონტრდემონსტრანტების ძალადობრივი ქმედებების გამო ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის დღესთან დაკავშირებული აქცია ვერ ჩატარდა, სახელმწიფომ კი სრულყოფილად ვერ უზრუნველყო მისი დაცვა). საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წერილის[702] საპასუხოდ, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ[703] გვაცნობა, რომ 2014 წლის 27 თებერვალს, 2011 წლის 26 მაისთან დაკავშირებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით დამნაშავედ სცნეს საქართველოს ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი ივანე მერაბიშვილი. მას სასჯელის სახედ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 6 თვის ვადით და 1 წლის, 1 თვისა და 15 დღის ვადით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება. ხოლო 2013 წლის 17 მაისს მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 161-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის ბრალდებულია ოთხი პირი, რომელთა საქმესაც არსებითად განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო. 2013 წლის 17 მაისს კონტრდემონსტრანტების მხრიდან მშვიდობიანი დემონსტრანტების მიმართ ძალადობამ და უფლებადარღვევის ფაქტებმა იმდენად მასშტაბური ხასიათი მიიღო, რომ მხოლოდ 4 პირის ბრალდებულად ცნობა არ არის საკმარისი ჩატარებული გამოძიების სრულყოფილად, ეფექტურად და ადეკვატურად მიჩნევისათვის. ამასთან, უარყოფითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ აღნიშნული საქმის განხილვა ჯერ პირველი ინსტანციის სასამართლოშიც არ დასრულებულა და არ არის მიღებული სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება ბრალდებულ პირთა მიმართ. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ მიღებული ინფორმაციით, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების დარღვევის ზემოთ მითითებულ ყველა დანარჩენ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება კვლავ მიმდინარეობს და ჯერჯერობით შემაჯამებელი გადაწყვეტილებები მიღებული არ არის. საქართველოს სახალხო დამცველმა არაერთხელ გაუსვა ხაზი მსგავსი შემთხვევების დროული გამოძიების მნიშვნელობას და აღნიშნული მიზნის მისაღწევად სახელმწიფოს მხრიდან ყველა კანონისმიერი ღონისძიების ეფექტურად გატარების აუცილებლობას.

საანგარიშო პერიოდი არ გამოირჩეოდა ფართომასშტაბიანი შეკრების/მანიფესტაციების სიმრავლით. 2013 წლის მსგავსად, 2014 წელს სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ადგილი არ ჰქონია აქციის მასობრივ დაშლას.

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, ზუგდიდში, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რაიონული ორგანიზაციის ოფისის წინ აქცია გაიმართა, რომლის მიმდინარეობისას ადგილი ჰქონდა ცალკეულ ინციდენტებს. აღნიშნულზე საუბარია წინამდებარე ანგარიშის საარჩევნო უფლების შესახებ თავში.

---

[702] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2015 წლის 28 იანვრის №04–11/654 წერილი.
[703] საქართველოს მთავარი პროკურატურის 2015 წლის 5 თებერვლის №13/6916 წერილი.

შეკრების თავისუფლების რეალიზაციას უკავშირდება 2014 წლის 23 სექტემბერს ახალგაზრდული მოძრაობა „თავისუფალი თაობის“ მიერ არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალი ზონის“ ოფისთან გამართული აქცია. მედიასაშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აქციის მონაწილეებმა კვერცხები ესროლეს „თავისუფალი ზონის“ ოფისს და საღებავი შეასხეს ოფისის შენობაზე გაკრულ პლაკატს. აღნიშნულის შედეგად, საპატრულო პოლიციამ დააკავა რამდენიმე აქტივისტი. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები ინციდენტის დღეს იმყოფებოდნენ „თავისუფალი ზონის“ ოფისში და გაესაუბრნენ მის წარმომადგენლებს. შესწავლილი მასალებით დადგინდა, რომ დაკავეს რვა პირი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა), 173-ე (სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა ან ამ პირის მიმართ სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელება) და 150-ე მუხლის პირველი ნაწილით (თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯება) გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა ჩადენის ფაქტებზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით ხუთ შემთხვევაში შეწყდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება და შესაბამის პირებს გამოეცხადათ სიტყვიერი შენიშვნა, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში სამართალდამრღვევები დაჯარიმდნენ.

თუმცა, ინციდენტი ამით არ ამოწურულა. მედიასაშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 2014 წლის 30 სექტემბერს ფიზიკური დაპირისპირება მოხდა ორგანიზაციების – „თავისუფალი ზონის“ და „თავისუფალი თაობის“ – წარმომადგენლებს შორის. „თავისუფალი თაობის“ წარმომადგენლების განცხადებით, ისინი „თავისუფალი ზონის“ ოფისთან „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტის, ზ.დ.-ს ცემის ფაქტის გაპროტესტების მიზნით შეიკრიბნენ, ამ დროს მათ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს „თავისუფალი ზონის“ წევრებმა. „თავისუფალი ზონის“ წევრების განმარტებით კი, „თავისუფალი თაობის“ 50-მდე წარმომადგენელი ოფისში შეიჭრა და დაპირისპირებაც სწორედ ამას მოჰყვა. ფიზიკური დაპირისპირების დროს რამდენიმე პირი დაშავდა, მათ შორის „თავისუფალი ზონის“ წარმომადგენელი კ.ხ., ასევე ჩაიმსხვრა „თავისუფალი ზონის“ ოფისის მინები. კ.ხ.-ის განმარტებით, შინაგან საქმეთა სამინისტრო წინასწარ იყო ინფორმირებული მოსალოდნელი თავდასხმის თაობაზე, თუმცა მათ ადეკვატური ღონისძიებები არ გაატარეს. . საქართველოს სახალხო დამცველმა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით პირველ ოქტომბერს განცხადებაც გაავრცელა.[704]

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ დაწყებულია გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მე-2

[704] http://www.ombudsman.ge/ge/about-us/struqtura/departamentebi/samoqalaqo-politikuri-ekonomikuri-socialuri-da-kulturuli-uflebebis-dacvis-departamenti/siaxleebi-jus/saqartvelos-saxalxo-damcveli-jurnalistis-cemis-faqtsa-da-tavisufali-zonis-ofistan-momxdar-incidents-exmianeba.page

ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით. გამოძიების მიმდინარეობისას დაიკითხა ოცზე მეტი მოწმე და დაინიშნა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზები. სისხლისსამართლებრივი დევნა კონკრეტული პირის მიმართ არ მიმდინარეობს.[705]

საქართველოს სახალხო დამცველი გმობს ყოველგვარ ძალადობრივ ქმედებას, მათ შორის ორგანიზაციების „თავისუფალი ზონისა“ და „თავისუფალი თაობის“ წარმომადგენლებს შორის ფიზიკურ დაპირისპირებას და მიაჩნია, რომ თითოეული ეს ფაქტი უარყოფითად აისახება ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების განვითარებაზე. ამასთან, ინციდენტებში მონაწილე პირების გამოვლენისა და მათ მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებული ადეკვატური სანქციების გატარების მიზნით, მნიშვნელოვანია სამართალდამცავმა ორგანოებმა ეფექტურად აწარმოონ გამოძიება. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ მსგავსი ინციდენტების პრევენციის მიზნით სამართალდამცავმა ორგანოებმა მათი ვალდებულების შესაბამისად, მოსალოდნელ ინციდენტთან დაკავშირებით მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში მოახდინონ სწრაფი და ეფექტური რეაგირება. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ყველა კანონდამრღვევი პირის წინააღმდეგ სამართალწარმოების პროცესში ადეკვატური სასჯელი იყოს გამოყენებული, მით უფრო მაშინ, როდესაც ამა თუ იმ პირის მხრიდან კანონდარღვევა განმეორებით, ძალადობრივ ხასიათს ატარებს. როგორც საგამოძიებო ორგანოებმა, ასევე სასამართლომ საქმის განხილვის ეტაპზე ადეკვატური შეფასება უნდა მისცეს ჩადენილ ქმედებას და სასჯელი ჩადენილი ქმედების თანაზომიერი, რიგ შემთხვევაში მკაცრი უნდა იყოს, რათა მოხდეს ძალადობრივი ქმედებების პრევენცია.

შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების ჭრილში მნიშვნელოვანია აღინიშნოს 2014 წლის 17 მაისის მოვლენები. როგორც ცნობილია, 17 მაისი ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეა. თუმცა, წინა წლებისაგან განსხვავებით, 2014 წლის 17 მაისს საქართველოში არ ჩატარებულა ამ დღისადმი მიძღვნილი აქცია, რაც შესაძლებელია გარკვეულწილად უკავშირდებოდეს 2012-2013 წლებში აღნიშნული აქციების ორგანიზატორებისა და მონაწილეებისადმი გამოვლენილი ძალადობის განმეორების შიშს. როგორც სახალხო დამცველის 2012 და 2013 წლის საქმიანობის ანგარიშებშია ასახული, სამართალდამცავმა ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს სათანადო ღონისძიებების გატარება და ლგბტ და მათი მხარდამჭერი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შეკრების თავისუფლებით სარგებლობის უფლების რეალიზაცია. შესაბამისად, თუნდაც იმის დაშვება, რომ ძალადობის შიშის გამო შეიძლება რომელიმე ჯგუფმა უარი თქვას კონსტიტუციით გარანტირებული შეკრების თავისუფლებაზე, დაუშველებელია და საშიში ტენდენციის ჩამოყალიბების საფრთხეს წარმოშობს. აღნიშნული უშუალო კავშირშია ძალადობის, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების ხელშეშლის ფაქტების ეფექტური გამოძიების

[705] საქართველოს მთავარი პროკურატურის 2015 წლის 14 იანვრის №13/1985 წერილი.

აუცილებლობასთან, როგორც მომავალში სახელმწიფოს მხრიდან საკუთარი პოზიტიური ვალდებულებების სათანადოდ შესრულების ერთგვარ გარანტიასთან.

2014 წელს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის საპატრიარქომ 17 მაისი გამოაცხადა ოჯახის სიმტკიცისა და მშობლების პატივისცემის დღედ, ხოლო მის აღსანიშნავად სასულიერო პირებისა და მრევლის მონაწილეობით ქუჩებში მსვლელობა მოეწყო. საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლები უშუალოდ აკვირდებოდნენ 17 მაისის მსვლელობას, ხოლო აპარატში მუშაობდა ცხელი ხაზი. თუმცა, რაიმე სერიოზული ინციდენტი ამ დღის განმავლობაში არ დაფიქსირებულა.

2014 წლის დეკემბრის ბოლოს საზოგადოების ყურადღება მიიქცია თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინ „პარტიზანი მებაღეების“ მიერ გამართულმა აქციამ. ისინი საკრებულოს მიერ მთაწმინდის რაიონის ტერიტორიაზე არსებული რამდენიმე ზონისათვის სტატუსის შეცვლის საკითხის ნაჩქარევად განხილვასა და „პანორამა თბილისის“ მშენებლობას აპროტესტებდნენ. თბილისის საკრებულოს შესასვლელთან მჯდომარე აქციის ოთხი მონაწილე პოლიციამ შენობის შესასვლელის ბლოკირების საფუძვლით დააკავა, მიუხედავად იმისა, რომ შენობას სხვა შესასვლელებიც ჰქონდა. მედიასაშუალებებით გავრცელებულ ვიდეოკადრებში ჩანს, რომ აქციის მონაწილეთა დაკავებისას საკმაოდ უხეში მეთოდები იყო გამოყენებული. სასამართლომ პარტიზანი მებაღეები სამართალდამრღვევებად სცნო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე (სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) და 174[1] მუხლებით (შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების წესის დარღვევა), თუმცა ისინი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი ასევე აკვირდებოდა 2014 წლის 15 ნოემბერს, ქ. თბილისში, პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ორგანიზებულ აქციას. აქციის მონაწილეებმა შეკრება დაიწყეს ვარდების მოედანზე, მანიფესტაციამ შემდეგ საქართველოს ყოფილი პარლამენტის შენობასთან გადაინაცვლა. აქციის დროს სახალხო დამცველის აპარატისთვის ცნობილი არ გამხდარა შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების ხელყოფის არცერთი ფაქტი. აღსანიშნავია, რომ 15 ნოემბერს გაიმართა ასევე კონტრაქცია, კერძოდ, სახალხო დარბაზის რამდენიმე ათეული წევრი შეიკრიბა რუსთაველის გამზირზე. საპატრულო პოლიციამ მათ ვარდების მოედანთან მისვლის საშუალება არ მისცა. აღნიშნული ქმედება სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების შესასრულებლად გატარებულ ეფექტურ და პროპორციულ ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს .

2015 წლის 15 მარტს, მედიასაშუალებებით გავრცელებული ინფორმაციით, კოალიცია „ქართული ოცნების“ აქტივისტებმა ზუგდიდში პოლიტიკური პარტია „ერთიანი

ნაციონალური მოძრაობის“ ოფისის წინ აქცია გამართეს, სადაც 21 მარტს დაგეგმილ აქციას აპროტესტებდნენ. სხვადასხვა ტელეარხით გავრცელებული ვიდეომასალის მიხედვით, აქციის მონაწილეთა ნაწილი ძალის გამოყენებით შეიჭრა ორგანიზაცია „თავისუფლებისა და მხარდაჭერის ცენტრის“ ოფისში. ასევე, ადგილი ჰქონდა ხელკეტებისა და ქვების გამოყენებას. გავრცელებული ინფორმაციით, დაშავდა 10-მდე ადამიანი, დაზიანდა შენობის შესასვლელი კარი, ჩაიმსხვრა ფანჯრის მინები. მედიასაშუალებებით გავრცელებულ ვიდეოკადრებში აშკარად ჩანდა, რომ შემთხვევის ადგილზე სამართალდამცავთა საგრძნობი ნაკლებობა იყო, ხოლო ის რამდენიმე პოლიციელი, რომელიც ადგილზე იმყოფებოდა, ვერ უზრუნველყოფდა მოძალადეთა შეკავებას და ძალადობრივი ქმედებების აღკვეთას. ინციდენტის დღესვე, მედიით გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აქციასა და ძალადობრივ ქმედებებში მონაწილეობდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლები, საჯარო მოხელეები.

მომდევნო დღეს გავრცელებულ საჯარო განცხადებაში[706] საქართველოს სახალხო დამცველმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია გამოძიება წარიმართოს დროულად და ეფექტურად, ყოველგვარი გაჭიანურების გარეშე და კანონით გათვალისწინებული შესაბამისი პასუხისმგებლობა დაეკისროს ყველა დამნაშავე პირს. გამოძიებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზეც, თუ რამ შეუშალა ხელი აქციის მიმდინარეობისას სამართლდამცავთა მობილიზებას იმისათვის, რომ დაპირისპირებულ მხარეებს შორის ფიზიკური ძალადობა არ მომხდარიყო. ზემოაღნიშნულ ქმედებებში საჯარო მოხელეების მონაწილეობა ასევე უნდა გახდეს შესწავლის საგანი, რადგან ინფორმაციის დადასტურების შემთხვევაში, აშკარაა, რომ მნიშვნელოვნად დაზარალდება საჯარო სამსახურის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი, რომელიც მის პოლიტიკურ ნეიტრალობას გულისხმობს.

რეკომენდაციები:

საქართველოს მთავრობას/საქართველოს პარლამენტს:

- შემუშავდეს და მოხდეს საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება შეკრებისა და მანიფესტაციების უფლებასთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობის

[706] http://www.ombudsman.ge/ge/about-us/struqtura/departamentebi/samoqalaqo-politikuri-ekonomikuri-socialuri-da-kulturuli-uflebebis-dacvis-departamenti/siaxleebi-jus/saxalxo-damcvelis-gancxadeba-zugdidshi-momxdar-incidenttan-dakavshirebit.page

საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის მიზნით, სახალხო დამცველის და ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად; ცვლილებებში გათვალისწინებულ იქნას, *inter alia,* სპონტანური აქციების ჩატარების შესაძლებლობის უზრუნველყოფა, შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარების ბლანკეტური აკრძალვების ნაცვლად საკითხის ინდივიდუალური გადაწყვეტის უზრუნველყოფა.

საქართველოს მთავარ პროკურატურას:

- გაატაროს ყველა ღონისძიება 2007 წლის 7 ნოემბერს, 2009 წლის 15 ივნისს, 2011 წლის 3 იანვარს, 2011 წლის 26 მაისს და 2013 წლის 17 მაისს ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევის ფაქტების დროულად, ეფექტურად და სრულყოფილად გამოსაძიებლად, თითოეულ საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილებების დროულად მიღების მიზნით;
- დროულად მოხდეს 2014 წლის 30 სექტემბერს „თავისუფალი ზონის“ ოფისთან და 2015 წლის 15 მარტს ზუგდიდში მომხდარი ინციდენტების გამოძიება, მასში მონაწილე პირების გამოვლენისა და მათ მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებული ადეკვატური სანქციების გატარების მიზნით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- შს სამინისტროს შესაბამისმა უწყებებმა შეკრებისა და მანიფესტაციის გამართვის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე უზრუნველყონ ყველა ზომის მიღება, რომ აქცია/მანიფესტაცია მშვიდობიანად ჩატარდეს, თავიდან იქნეს აცილებული ნებისმიერი სახის ძალადობა, მათ შორის, კონტრაქციის მიმდინარეობის პირობებში დაცული იყოს ყველა მხარის ინტერესები და აქციის მონაწილეებს მიეცეთ მათი უფლებების ეფექტური რეალიზების შესაძლებლობა.

დისკრიმინაციის აკრძალვა

საქართველოს პარლამენტმა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონი“ 2014 წლის 2 მაისს მიიღო. ამ კანონის მიღებით საქართველოს პარლამენტმა დისკრიმინაციასთან ბრძოლა სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად აღიარა, ვინაიდან დისკრიმინაციისაგან თავისუფალი გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა უმნიშვნელოვანესია პლურალიზმის იდეაზე დაფუძნებული დემოკრატიული საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის და განსხვავებული ჯგუფების მიმართ ტოლერანტულად განწყობილი საზოგადოების ფორმირებისთვის. აღნიშნული კანონი უმნიშვნელოვანესია ქვეყანაში უმცირესობების უფლებების დაცვის და ზოგადად დისკრიმინაციის აღმოფხვრის კუთხით.

კანონის დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ მან სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა კანონით აკრძალულ ნიშანთა შორის პირდაპირ მოიხსენია, ასევე განსაზღვრა პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაციის ცნება და აკრძალა დისკრიმინაციის იძულება, წაქეზება და ხელშეწყობა.

კანონმა დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობის ფუნქცია სახალხო დამცველს დააკისრა. სახალხო დამცველს უფლება აქვს შეისწავლოს დისკრიმინაციის ფაქტები, გამოსცეს რეკომენდაციები და ზოგადი წინადადებები, როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორის მიმართ.[707] კანონმა ასევე შესაძლებელი გახადა, რომ დისკრიმინაციის მსხვერპლმა მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება.

ქვემოთ წარმოდგენილი მიმოხილვა მოიცავს 2014 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს. 2015 წლის ივნისში გამოქვეყნდება ცალკე სპეციალური ანგარიში, რომელშიც მოცემული იქნება დისკრიმინაციის კანონის მიღებიდან განხორციელებული საქმიანობის და გამოკვეთილი ტენდეციების შესახებ დეტალური მიმოხილვა.

დისკრიმინაციის შესახებ საქმეები

[707] სახალხო დამცველის მიერ აღნიშნული ფუნქციის განხორციელების მიზნით შეიქმნა თანასწორობის დეპარტამენტი, რომელიც მუშაობას 2014 წლის 20 ნოემბერს შეუდგა

2014 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით, სახალხო დამცველს დისკრიმინაციის დადგენის მოთხოვნით 38 ადამიანმა მიმართა. ამ საქმეებიდან 10 საქმე გადაეცა სხვა დეპარტამენტებს შესასწავლად, ვინაიდან საკითხი ეხებოდა უფლების დარღვევას და არა დისკრიმინაციას; 10 საქმე შეწყდა, ვინაიდან არ გამოიკვეთა დისკრიმინაცია; 3 საქმე შეჩერდა, ვინაიდან განმცხადებელმა მიმართა სასამართლოს; ერთ საქმეზე გამოვიდა ზოგადი წინადადება. აღნიშნული საჩივრებიდან ჭარბობს დისკრიმინაცია სამუშაო ადგილას, პოლიტიკური, სხვა შეხედულებების, პროფესიული კავშირებისადმი კუთვნილების და ეროვნების გამო, ასევე საჩივრები შეეხება სექსუალური ორიენტაციის მიზეზით მომსახურებაზე უარის თქმას, კანის ფერის გამო შევიწროებას, დისკრიმინაციული სიტყვების შემცველი ვაკანსიების გამოქვეყნებას და სხვა.

სახალხო დამცველის ზოგადი წინადადება სააქციო საზოგადოება საქართველოს ბანკს

სააქციო საზოგადოება საქართველოს ბანკმა გაავრცელა რეკლამა, რომელსაც ქვია „ქმარკომატი“. სურათზე ჩანს, რომ ქალი მის ქმარს სთხოვს 100 ლარს, შემდეგ კიდევ 20 ლარს, რეკლამის ბოლოს კი ჩანს რომ მისი ქმარი ბანკომატთან არის გაიგივებული.

რეკლამის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ ქალი მატერიალურად სრულად დამოკიდებულია მამაკაცზე და არ გააჩნია საკუთარი შემოსავალი.

საზოგადოებაში ისედაც ღრმად გამჯდარი აზრი, რომ ქალი უნდა იყოს ოჯახში და შემოიფარგლებოდეს მხოლოდ მეუღლესა და შვილებზე ზრუნვით, ხოლო მამაკაცი უზრუნველყოფს ოჯახს მატერიალურად, სადავო რეკლამის ფოტო ილუსტრაციით კიდევ უფრო არის გამყარებული.

აღსანიშნავია ასევე, რეკლამის სახელწოდება „ქმარკომატი“, რომელიც ბანკომატიდან მომდინარეობს; ბანკომატი კი საზოგადოებაში სწორედ არსებული ფინანსების გამარტივებული გზით მიღების საშუალებაა. ბუნებრივია, ფოტოს სახელწოდებისა და ილუსტრაციაზე დატანილი ფრაზების წაკითხვის შემდეგ მკითხველს უჩნდება წარმოდგენა, რომ ქალი მოკლებულია უნარს ჰქონდეს საკუთარი შემოსავლის წყარო, დამოკიდებულია ქმარზე და ავიწროებს მამაკაცს თანხის მუდმივი მოთხოვნითა და პრეტენზიებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ აღნიშნული რეკლამა არის სექსისტური ხასიათის მატარებელი, რომელიც ამკვიდრებს გენდერულ სტერეოტიპს. ხოლო, ამგვარი სტერეოტიპების დამკვიდრება საზოგადოებაში ხანგრძლივი დროის მანძილზე, სქესის ნიშნით დისკრიმინაციული გარემოს შექმნის საფუძველია.

სადავო არ არის, რომ მიუხედავად ბოლო წლების განმავლობაში საზოგადოების მიერ განცდილი მნიშვნელოვანი სახეცვლილებისა, გენდერული თანასწორობის პრობლემა ქართულ საზოგადოებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

ტრადიციული თუ სოციალური მედიით გავრცელებული რეკლამა, საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის აზროვნების მიმართულების ფორმირებას ახდენს, ამასთან, განსაკუთრებით საშიშია და დამანგრეველი ეფექტი შეიძლება იქონიოს ბავშვებისა და ახალგაზრდების აზროვნების ჩამოყალიბებაზე. თუ გავითვალისწინებთ, რომ ტექნოლოგიური განვითარების ეპოქაში, ადამიანთა უმრავლესობა, მათ შორის ბავშვები, საგანგაშოდ დამოკიდებულები არიან მედიასა და ინტერნეტზე, ბუნებრივია ამა თუ იმ რეკლამის, ინფორმაციის გავლენის ქვეშ მოქცევა შეუქცევადი პროცესია. მაშინ როდესაც ბავშვებისთვის ტელევიზია, ვირტუალური სივრცე ინფორმაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს, რეკლამების აქტიური ტირაჟირება და სისტემატიური ხასიათი გაუაზრებლადაც კი ლექავს გადმოცემულ ინფორმაციას მეხსიერებაში. ამგვარად ხდება მათი არასწორი მიმართულებით იდეოლოგიზება. ის სტერეოტიპები, რომელიც სექსისტური რეკლამების გავლენით ყალიბდება, ამართლებს გენდერულ დისკრიმინაციას და ამასთან აძლიერებს და ამყარებს ისტორიულად დამკვიდრებულ, დისკრიმინაციის განხორციელების ფორმებს. სექსისტური რეკლამებით ხდება საზოგადოებაში ფორმირებული, ღრმად გამჯდარი სტიგმების მართებულობის მუდმივად მტკიცება და პოპულარიზაცია.

სექსისტური რეკლამა უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს ქალსა და მამაკაცს და საზოგადოებაში განამტკიცებს აზრს, რომ მამაკაცს დომინანტური როლი აქვს. ეს კი, კიდევ უფრო ართულებს გენდერული თანასწორობისთვის ბრძოლას და საზოგადოებას უბიძგებს ჩამოიყალიბოს და გაიმყაროს მავნე სტერეოტიპები მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა მიმართ. მამაკაცების მსოფლმხედველობაში იკვეთება აზრი, რომ ქალს, როგორც მასზე დამოკიდებულ სუსტ არსებას, შეუძლია მოექცენ ისე, როგორც მათ სურთ და შემდეგში გაამართლონ მათ მიმართ ძალადობა.

მართალია, კერძო ორგანიზაციებს გააჩნიათ კომერციული ინტერესი გაყიდონ პროდუქტი და მას პოპულარიზაცია გაუწიონ რეკლამის მეშვეობით, თუმცა მათი გამოხატვის თავისუფლება არ არის შეუზღუდავი. ერთ-ერთი შემზღუდველი პირობა სწორედ სხვათა უფლება, ღირსება და ადამიანთა თანასწორობაა.

იმის გათვალისწინებით რომ სარეკლამო რგოლებს შეუძლია ითამაშოს პოზიტიური როლი სტერეოტიპების დასამსხვრევად და ხელი შეუწყოს საქართველოში გენდერული თანასწორობის გაზრდას, ქალთა მიმართ ძალადობის შემცირებას და ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას, სახალხო დამცველმა მოუწოდა სს „საქართველოს ბანკს“, რომელიც მაღალი რეიტინგით სარგებლობს საზოგადოებაში, მომავალში თავი შეიკავოს მსგავსი ხასიათის სექსისტური შინაარსის შემცველი სარეკლამო რგოლების დამზადება–გავრცელებისგან და

სარეკლამო რგოლების მომზადების დროს მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ქალის ღირსებისადმი პატივისცემას და მის წარმოჩენას მამაკაცის თანასწორად. ასევე, მიზანშეწონილად მიიჩნია, საზოგადოებასთან ურთიერთობის თანამშრომლებისა და სარეკლამო რგოლებზე პასუხისმგებელი პირებისთვის გენდერული თანასწორობის შესახებ ტრეინინგების ჩატარება.

დისკრიმინაციის აღმოფხვრის ხელშემშლელი ნორმები და გარემოებები

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, მიუხედავად კანონმდებლის მონდომებისა, რომ სახალხო დამცველს ჰქონდეს ქმედითი და ეფექტური მექანიზმი დისკრიმინაციის აღმოფხვრის წინააღმდეგ, ჯერ კიდევ არსებობს სხვადასხვა სამართლებრივი ნორმები და ხარვეზები, რომელიც სახალხო დამცველს უქმნის რეალურ დაბრკოლებას ეფექტურად განახორციელოს მისი დისკრიმინაციის აღმოფხვრის და თანასწორობის უზრუნველყოფის ფუნქცია. კერძოდ,

საქართველოს ორგანული კანონის „შრომის კოდექსის“ 38-ე მუხლის მე-6 პუნქტისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127-ე მუხლის 1 პუნქტის თანახმად, დასაქმებულს შეუძლია დამსაქმებლის მიერ გამოცემული გათავისუფლების ბრძანება გაასაჩივროს ბრძანების მიღებიდან ერთი თვის ვადაში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363[2] მუხლის მიხედვით, „ნებისმიერ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს, სასამართლოში შეიტანოს სარჩელი იმ პირის/დაწესებულების წინააღმდეგ, რომელმაც, მისი ვარაუდით, მის მიმართ დისკრიმინაცია განახორციელა.“

სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვა შესაძლებელია „3 თვის განმავლობაში, მას შემდეგ რაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას დისკრიმინაციულად მიაჩნია.“

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტი კი ადგენს, რომ სახალხო დამცველი აჩერებს საქმის წარმოებას, თუ სავარაუდო დისკრიმინაციის იმავე ფაქტის გამო დავას სასამართლო განიხილავს.

სახალხო დამცველის პრაქტიკიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ დისკრიმინაციის ფაქტების უმეტესობა ეხება შრომითი ხელშეკრულებების შეწყვეტას დისკრიმინაციული მოტივებით. იმ პირობებში, როცა დასაქმებულებს არსებითად მცირე დრო ეძლევათ გადაწყვეტილების გასასაჩივრებლად და სახალხო დამცველის მიერ საქმის განხილვის პროცესში იძულებითი განაცდურის ანაზღაურება არ მოხდება, უმეტეს შემთხვევაში, სახალხო დამცველისთვის მიმართვის პარალელურად მომჩივანი სარჩელით მიმართავს სასამართლოსაც, რაც იწვევს სახალხო დამცველის მიერ საქმის წარმოების შეჩერებას. სახალხო დამცველმა უკვე ორ მნიშვნელოვან საქმეზე შეაჩერა საქმის განხილვა

სასამართლოსთვის მიმართვის გამო. სახალხო დამცველი ამჟამად განიხილავს 8 ადამიანის დისკრიმინაციული მოტივებით გათავისუფლების საკითხს, სადაც ასევე იძულებული იქნება შეაჩეროს საქმის წარმოება სასამართლოში სარჩელის შეტანის მიზეზით.

იგივე შეიძლება ითქვას სხვა დავებზე, სადაც სასამართლოსადმი მიმართვის ვადა არის სამი თვე და სადაც მომჩივანს სასამართლოში სარჩელი შეაქვს იმის გამო, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას შეძლებს. შედეგად, უამრავი დავა და მათი სწრაფი მოგვარების შესაძლებლობა სახალხო დამცველის კომპეტენციის გარეთ რჩება.

სახალხო დამცველისთვის და სასამართლოში სარჩელით მიმართვა არის ძირითადი ბერკეტები იმ სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტურად განსახორციელებლად, რასაც დისკრიმინაციასთან ბრძოლა გულისხმობს. საკანონმდებლო ბადე ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ სახალხო დამცველისა და სასამართლოს ფუნქციები არ ფარავდეს ერთმანეთს და მათი ერთობლივი თანაარსებობა, ურთიერთდახმარების გზით, ორიენტირებული იყოს დისკრიმინაციისგან ადამიანთა ეფექტურ დაცვაზე.

სახალხო დამცველის და სასამართლოს, ამ ორი მნიშვნელოვანი ინსტიტუტის თანაარსებობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, რომ ცვლილება იქნეს შეტანილი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის“ 363[2] მუხლში, საქართველოს ორგანული კანონის „შრომის კოდექსის“ 38-ე მუხლსა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127-ე მუხლში და დაემატოს ნორმები, რომლებიც გაითვალისწინებს, რომ სახალხო დამცველისთვის მიმართვა გამოიწვევს ამ მუხლებით დადგენილი გასაჩივრების ვადების დენის შეჩერებას.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველი აჩერებს საქმის წარმოებას, თუ სავარაუდო დისკრიმინაციის იმავე ფაქტის გამო „მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება“. ადმინისტრაციული წარმოება აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის ნაწილია, რომელიც ფართო დისკრეციით და მიზანშეწონილობით სარგებლობს. მისი საქმიანობის ბუნების გათვალისწინებით, ის „ადვილად“ შეიძლება მოვიდეს კონფლიქტში ადამიანის უფლებებთან. დისკრიმინაციის ფაქტის ჩადენა თუ უკვე მოხდა ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნია უკვე მომხდარ ფაქტზე რეაგირებისა და დარღვეული უფლების ეფექტური აღდგენის შესაძლებლობა (დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის, ზიანის ანაზღაურების, რის გამოც ის სახალხო დამცველთან საქმის განხილვის ალტერნატიულად მექანიზმად არ შეიძლება განვიხილოთ; უშუალოდ ადმინისტრაციული წარმოების დროს ხშირად ადგილი აქვს წარმოების გაჭიანურებას, ამიტომ წარმოების დასრულებისთვის დალოდება დისკრიმინაციის ფაქტზე რეაგირებას დააყოვნებს. შესაბამისად, მიზანშეწონილი იქნება, თუ მე-9 მუხლიდან მთლიანად ამოღებული იქნება „ბ“ ქვეპუნქტი.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად

> „ნებისმიერი ადმინისტრაციული, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო (მათ შორის, პროკურატურის, საგამოძიებო, სასამართლო ორგანო) ვალდებულია საქმის განხილვასთან დაკავშირებული მასალა, საბუთი, ახსნა-განმარტება და სხვა ინფორმაცია კანონით დადგენილი წესების დაცვით გადასცეს საქართველოს სახალხო დამცველს მოთხოვნიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.“

იმავე მუხლის შესაბამისად, ინფორმაციის მიღება კერძო პირისგან შესაძლებელია მხოლოდ ნებაყოფლობით.

სახალხო დამცველის წარმოებაში არსებობს 8 საქმე და 15 დაზარალებული, სადაც მოპასუხე არის კერძო პირი. პრაქტიკაში უკვე არსებობს ორი შემთხვევა, როდესაც ორმა კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა ინფორმაცია არ მოაწოდა სახალხო დამცველს.

კანონში არ არსებობს ბერკეტი, ერთგვარი იძულების მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც კერძო სამართლის იურიდიული და ფიზიკური პირებისგან მოხდება საქმის განხილვასთან დაკავშირებული მასალის, საბუთის, ახსნა-განმარტებისა და სხვა ინფორმაციის მიღება და იგი მინდობილია მხოლოდ მხარეთა კეთილ ნებაზე. აღნიშნული მნიშვნელოვან პრობლემას ქმნის პრაქტიკაში, რამდენადაც საკმაოდ რთულდება და ზოგჯერ შეუძლებელიც კი არის საქმის გარემოებების ყოველმხრივი გამოკვლევა, დისკრიმინაციის დადგენა და მასზე სათანადო რეაგირების მოხდენა.

მართებული იქნება „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონში“ ისეთი ჩანაწერის გაკეთება, რომლის შესაბამისადაც, თუ კერძო პირები ან საჯარო დაწესებულებები არ წარმოადგენენ მოთხოვნილ ინფორმაციას და საქმეში არსებული მასალები ქმნიან დისკრიმინაციის ფაქტის არსებობის შესახებ გონივრული ვარაუდის საფუძველს, მაშინ საჩივარში/განცხადებაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ჩაითვალოს.

ფაქტობრივი გარემოებების დადასტურებულად მიჩნევა ინფორმაციის მოუწოდებლობისას იქნება ქმედითი ინსტრუმენტი, რათა სახალხო დამცველმა მოახდინოს ანტიდისკრიმინაციული მექანიზმის სათანადოდ ამოქმედება და წარმოუშვას ინფორმაციის წარმოდგენის არაპირდაპირი ვალდებულება კერძო პირებს. ეს ინსტრუმენტი ერთგვარად სტიმულის მიმცემიც კი იქნება ყველა კერძო პირისა და საჯარო დაწესებულებისათვის, რომ სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტზე მათი პოზიცია დააფიქსირონ და იკისრონ საპირისპიროს მტკიცების ტვირთი.

დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 14[1]-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად სახალხო დამცველი

> „უფლებამოსილია, როგორც დაინტერესებულმა პირმა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ან ქმედების განხორციელება, თუ ადმინისტრაციულმა ორგანომ მის რეკომენდაციას არ უპასუხა ან ეს რეკომენდაცია არ გაიზიარა და არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციას ადასტურებს“.

ასევე „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 24–ე მუხლის შესაბამისად

> „სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, საჯარო დაწესებულება, თანამდებობის პირი, რომელიც მიიღებს საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციებს ან წინადადებებს, ვალდებულია განიხილოს ისინი და 20 დღის განმავლობაში წერილობით აცნობოს საქართველოს სახალხო დამცველს მათი განხილვის შედეგები.“

აღნიშნული მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, სახალხო დამცველს გააჩნია რეალური ბერკეტი იმისათვის, რომ უზრუნველყოს მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულება ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ. იგივე სახის მექანიზმი არ არის გათვალისწინებული ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მიმართაც. იმ შემთხვევაში თუ ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ განხორციელებული სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტი დადასტურდება, სახალხო დამცველი შემოიფარგლება რეკომენდაციის ან ზოგადი წინადადების გამოცემით. ამის შემდეგ არ არსებობს არანაირი ბერკეტი, რათა უზრუნველყოფილ იქნას კერძო პირთა მხრიდან რეკომენდაციის შესრულების ზედამხედველობა ან/და უზრუნველყოფა.

შექმნილ ვითარებაში აუცილებელია აღნიშნული ვალდებულებების გარკვეული ფორმით გავრცელება კერძო სამართლის იურიდიულ და ფიზიკურ პირებზეც, რადგანაც „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე–3 მუხლის 1[1] პუნქტით გათვალისწინებული ზედამხედველობის ფუნქცია, ფაქტობრივად დეკლარაციულ ხასიათს იძენს ხსენებული პირთა წრის მიმართ და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლას არაეფექტურს ხდის.

შესაბამისად, მიზანშეწონილი იქნება, რომ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 24–ე მუხლს დაემატოს კერძო სამართლის იურიდიული და ფიზიკური პირების ვალდებულება დისკრიმინაციის აღმოფხვრასთან დაკავშირებულ საქმეებზე განიხილონ რეკომენდაცია და მათი განხილვის შედეგები აცნობონ სახალხო დამცველს.

სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტს უკვე მიმართა საკანონმდებლო წინადადებით ზემოაღნიშნული ცვლილებების შესახებ. ამჟამად მიმდინარეობს მისი განხილვა კომიტეტების მიერ.

რეკომენდაცია

საქართველოს პარლამენტს

- **დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით შეიტანოს ცვლილებები შესაბამის საკანონმდებლო აქტებში.**

მიმოსვლის თავისუფლება

საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საქართველოს თავისუფლად დატოვების უფლება შეიძლება შეიზღუდოს *„მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, დანაშაულის თავიდან აცილების ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.“*

„საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლის და საქართველოში შემოსვლის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მიხედვით,

> *„საქართველოს მოქალაქეს შეიძლება უარი ეთქვას საქართველოდან დროებითი გასვლისათვის საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემაზე ან პასპორტის მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, აგრეთვე საზღვრის გადაკვეთაზე, თუ 1) იძებნება სამართალდამცავი ორგანოების მიერ ან 2) წარმოადგენს ყალბ ან ძალის არმქონე საბუთებს.“*

სხვა შეზღუდვას, საქართველოს კანონმდებლობა, საქართველოს მოქალაქის მიერ ქვეყნის დატოვების უფლების შეზღუდვისათვის, არ იცნობს.

ისევე როგორც 2013 წელს[708], საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შეისწავლა შემთხვევები, როდესაც, საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირებს, ახსნა-განმარტების მიუცემლად შეეზღუდათ ქვეყნის დატოვების უფლება.

საქართველოს მოქალაქეებმა, ტ.მ.-მ და თ.მ.-მ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში წარმოადგინეს განცხადებები იმის შესახებ, რომ რამოდენიმეჯერ სცადეს თურქეთის რესპუბლიკაში გამგზავრება, მაგრამ პოლიციის თანამშრომლებმა, ისე, რომ მიზეზი არ განუმარტავთ, ისინი სარფის საბაჟო-გამშვებ პუნქტზე არ გაატარეს. თუმცა, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის გამოგზავნილ წერილში საქართველოს შს სამინისტრო მიუთითებს, რომ აღნიშნულ პირებს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთაზე შეზღუდვა არ ჰქონიათ დაწესებული.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო უშიშროება და საზოგადოებრივი უსაფრთხოება, ისევე, როგორც ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა, დაუშვებელია კანონის მოთხოვნათა უგულებელყოფით, მოქალაქეთა გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის 27-ე ზოგადი კომენტარის მიხედვით, რომელიც განმარტავს გაეროს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების 1966 წლის პაქტის მე-12 მუხლით დაცულ მიმოსვლის თავისუფლებას, კანონი

[708] საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 361-370.

უნდა ადგენდეს მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის პირობებს. კომიტეტი განმარტავს, რომ მსგავსი კანონების მიღების დროს, სახელმწიფო ყოველთვის უნდა ხელმძღვანელობდეს იმ პრინციპით, რომ შეზღუდვამ არ უნდა დაარღვიოს უფლების არსი. ისე არ უნდა მოხდეს, რომ უფლების/ნორმის ადგილი შეზღუდვამ და გამონაკლისმა დაიკავოს. ამასთან, კანონმა, რომელიც მსგავს შეზღუდვებს აწესებს, უნდა დაადგინოს ზუსტი კრიტერიუმები და ამ კანონის აღმასრულებელ პირსა თუ უწყებას არ უნდა მიანიჭოს განუზომელი დისკრეცია. კომიტეტის განმარტებით, მიმოსვლის თავისუფლებაში ჩარევისათვის არ არის საკმარისი შეზღუდვა ემსახურებოდეს ერთ-ერთ ჩამოთვლილ მიზანს; აუცილებელია, რომ ეს შეზღუდვები ამავე დროს აუცილებელი იყოს. ამასთან, შეზღუდვა უნდა იყოს მისაღწევი მიზნის პროპორციული და ამავდროულად, ყველაზე ნაკლებად უნდა ერეოდეს მიმოსვლის თავისუფლებაში. კომიტეტის განმარტებით, მნიშვნელოვანია, რომ კანონი ზუსტად და დეტალურად განსაზღვრავდეს მსგავსი შეზღუდვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესსა და პირობებს. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი განმარტავს, რომ პროპორციულობის პრინციპი უნდა დაიცვას არა მარტო იმ კანონმა, რომელიც მსგავს შეზღუდვებს აწესებს, არამედ ყველა იმ ადმინისტრაციულმა და სასამართლო უწყებებმა, რომელიც ამ კანონს იყენებს.

თუმცა, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებები ცხადყოფს, რომ ცალკეულ შემთხვევებში, კანონის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, ადგილი აქვს საქართველოს მოქალაქეების გადაადგილების თავისუფლების, ქვეყნის დატოვების უფლების დარღვევას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ რამდენიმე საქმეში, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის შესაძლებლობა მოგვიანებით მიეცათ განმცხადებლებს.

მოქალაქე გ. დ.- ს საქმე

2014 წლის 15 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველს, თავისუფალი მიმოსვლის შესაძლო შეზღუდვის საკითხთან დაკავშირებით, N 9066/1 განცხადებით მიმართა მოქალაქე გ. დ.-მ. მოქალაქის მტკიცებით, 2014 წლის 22 იანვარს, სარფის საბაჟო-გამშვებ პუნქტზე, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, მას მიზეზის განმარტების გარეშე არ მისცეს საქართველოს საზღვრის გადაკვეთის შესაძლებლობა. ამასთან, იგი მიუთითებდა, რომ წერილობით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს, თუმცა ინფორმაცია განცხადების განხილვისა და მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე მოქალაქისთვის უცნობია.

მოქალაქე გ.დ.-ს განცხადების საფუძველზე, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა 2014 წლის 5 აპრილს N11-12/6844 წერილით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საიდანაც გამოითხოვა ინფორმაცია, მოქალაქე გ.დ.-ს საზღვრის კვეთაზე შესაძლო უარის თქმის სამართლებრივი საფუძვლების თაობაზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2014 წლის 6 მაისის N1068951 წერილით, საკითხთან დაკავშირებით გვეცნობა, რომ მოქალაქე გ.დ.-ს, შეზღუდვა საქართველოს საზღვრის კვეთაზე არ გააჩნია. აღნიშნულის თაობაზე წერილობით ეცნობა განმცხადებელს, რის შედეგადაც მოქალაქე გ.დ.-მ შეძლო საქართველოს საზღვრის გადაკვეთა.

მოქალაქე დ.ქ.- საქმე

2014 წლის 30 მაისს საქართველოს სახალხო დამცველს, თავისუფალი მიმოსვლის შესაძლო შეზღუდვის საკითხთან დაკავშირებით, N12073/1 განცხადებით მიმართა მოქალაქე დ.ქ.-მ. მოქალაქის მტკიცებით, 2014 წლის 15 აპრილსა და 2014 წლის 14 ივნისს სარფის საბაჟო-გამშვებ პუნქტზე, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მხრიდან, არ მიეცა საქართველოს საზღვრის გადაკვეთის შესაძლებლობა. მოქალაქე დ.ქ. განცხადებაში მიუთითებდა, რომ წერილობით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს, თუმცა ინფორმაცია განცხადების განხილვისა და მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე მოქალაქისთვის უცნობი იყო.

მოქალაქე დ.ქ.-ს განცხადების საფუძველზე, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა 2014 წლის 17 ივლისს N11-12/9420 წერილით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საიდანაც გამოითხოვა ინფორმაცია, მოქალაქე დ.ქ.-სთვის საზღვრის კვეთაზე შესაძლო უარის თქმის სამართლებრივი საფუძვლების თაობაზე.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის N11-12/9420 წერილში მითითებული იყო საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ ორგანული კანონით, ინფორმაციის მოწოდებისათვის დადგენილი ვადა, თუმცა ამ ვადისგასვლის მიუხედავად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ არ მოგვაწოდა ინფორმაცია მოქალაქე დ.ქ.-ს საკითხთან დაკავშირებით. 2014 წლის 29 სექტემბერს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, იმავე ინფორმაციის მოწოდების მოთხოვნით, განმეორებით გაეგზავნა N11-12/12980 წერილი. მოქალაქე დ.ქ.-სთვის საზღვრის კვეთის შესაძლო შეზღუდვასთან დაკავშირებით ინფორმაცია, შინაგან საქმეთა სამინისტროს ამ დრომდე არ მოუწოდებია. აღსანიშნავია რომ მოქალაქე დ.ქ.-ს ამ დრომდე არ ეძლევა საზღვრის კვეთის შესაძლებლობა.

მოქალაქე გ.გ.-ს საქმე

2014 წლის 4 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველს, თავისუფალი მიმოსვლის შესაძლო შეზღუდვასთან დაკავშირებით, N12468/1 განცხადებით მიმართა მოქალაქე გ.გ.-მ. განმცხადებლის რწმუნებით, 2014 წლის განმავლობაში, რამოდენიმეჯერ სცადა სარფის საბაჟო-გამშვები პუნქტის გადაკვეთა, მაგრამ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა არ მისცეს საქართველოს საზღვრის გადაკვეთის შესაძლებლობა. მოქალაქე გ.გ. განცხადებაში მიუთითებდა, რომ წერილობით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს, თუმცა ინფორმაცია განცხადების განხილვისა და მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე მოქალაქისთვის უცნობი იყო.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, მოქალაქე გ.გ.-ს განცხადების საფუძველზე, 2014 წლის 12 ივლისს N11-12/9599 წერილით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საიდანაც მოითხოვა ინფორმაცია, მოქალაქე გ.გ.-ს საზღვრის კვეთაზე შესაძლო უარის თქმის სამართლებრივი საფუძვლების თაობაზე.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის N11-12/9599 წერილში მითითებული იყო საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ ორგანული კანონით, ინფორმაციის მოწოდებისათვის დადგენილი ვადა, თუმცა ამ ვადის გასვლის მიუხედავად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ არ მოგვაწოდა ინფორმაცია მოქალაქე გ.გ.-ს საკითხთან დაკავშირებით, რაზედაც 2014 წლის 26 დეკემბერს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, განმეორებით გაეგზავნა N11-12/14753 წერილი იმავე ინფორმაციის მოწოდების მოთხოვნით.

ინფორმაცია, მოქალაქე გ.გ.-ს საზღვრის კვეთის შესაძლო შეზღუდვის საკითხთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ამ დრომდე არ მოუწოდებია სახალხო დამცველის აპარატისთვის. მოქალაქე გ.გ.-ს ამ დრომდე არ ეძლევა საზღვრის გადაკვეთის შესაძლებლობა.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შესწავლის შედეგების მიხედვით, საგამოძიებო ორგანოების მხრიდან გამოიკვეთა სისხლისსამართალწარმოების პროცესში, კანონის მოთხოვნათა დარღვევით, მიმოსვლის თავისუფლებაზე შეზღუდვის დაწესების მცდელობა.

მოქალაქე გიორგი (გიგი) უგულავას საქმე

2014 წლის 1 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართეს ბრალდებულ გიორგი უგულავას ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა - გ.გ.-მ და ბ.ბ.-მ. მათი განმარტებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის გამომძიებელმა დაარღვია ბრალდებულ გიორგი უგულავას თავისუფალი მიმოსვლის უფლება.

განმცხადებლებმა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში წარმოადგინეს 2014 წლის 30 ივნისის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს მეორე სამმართველოს გამომძიებლის - ვ.უ.-ს მიერ შედგენილი ბრალდებულის გაფრთხილების ოქმი. ხსენებული დოკუმენტიდან ირკვევა, რომ გამომძიებელმა ვ.უ.-მ ბრალდებული გიორგი უგულავა, ბრალდების წარდგენის შემდეგ, გააფრთხილა იმის თაობაზე, რომ მას არ უნდა გადაეკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი და არ უნდა დაეტოვებინა ქვეყნის ტერიტორია, რათა მონაწილეობა

მიეღო სისხლის სამართლის საქმეზე დაგეგმილ საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებებში, მათ შორის, აღკვეთი ღონისძიების შეფარდებაში.

თავისუფლების შეზღუდვის ნებისმიერი ფორმა კანონით მკაფიოდ უნდა იყოს გაწერილი და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა წარმოადგენდეს პირის მიმართ გასატარებელი უკიდურესი აუცილებლობის ზომას.[709] პირის თავისუფლების ხელშეუვალობის უფლება ექვემდებარება მხოლოდ მოსამართლის, ლეგიტიმურ საფუძველზე დაფუძნებულ, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მიღებულ გადაწყვეტილებას. მოქალაქის თავისუფალი მიმოსვლის უფლების ერთპიროვნულად შეზღუდვის უფლებამოსილება არ გააჩნიათ სამართალდამცავ ორგანოებს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობიდან გამომდინარე, საქმის გამომძიებელსა და პროკურორს არ გააჩნიათ უფლებამოსილება განუსაზღვრონ ბრალდებულს თავისუფლების შეზღუდული ფარგლები და დააკისრონ ქვეყანაში ყოფნის ვალდებულება.

მიუხედავად ამისა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს მეორე სამმართველოს გამომძიებელმა - ვ.უ.-მ, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, გააფრთხილა ბრალდებული გიორგი უგულავა ქვეყანაში დარჩენის ვალდებულების შესახებ. შესაბამისად, მსგავსი მოთხოვნა და გაფრთხილება არ ექცევა კანონიერ ფარგლებში და წარმოადგენს სამართალდამცავი პირის არალეგიტიმურ ქცევას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2014 წლის 18 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს მეორე სამმართველოს გამომძიებლის - ვ.უ.-ს მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების მოთხოვნით, თუმცა, სახალხო დამცველის წინადადება არ გაუთვალისწინებიათ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- **არ დაუშვას საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ საქართველოს მოქალაქეების, ქვეყნის დატოვების კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების დარღვევა.**

[709] *„ვინტერვერპი ნიდერლანდების წინააღმდეგ“*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო [1979].

საკუთრების უფლება

„საქართველოს კონსტიტუციის 21–ე მუხლში განმტკიცებული კერძო საკუთრების უფლება, ერთი მხრივ, არის საკუთრების, როგორც ინსტიტუტის გარანტია და, მეორე მხრივ, საკუთრების, როგორც პიროვნების უფლების გარანტია.“[710] „საკუთრების კონსტიტუციური გარანტია, პირველ რიგში, ადამიანის უფლებაა, და არა ქონებრივი გარანტია.“[711] „საქართველოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებიდან და ნორმებიდან გამომდინარე, საკუთრების უფლება წარუვალი და უზენაესი ადამიანური ღირებულებაა, საყოველთაოდ აღიარებული ძირითადი უფლება, დემოკრატიული საზოგადოების, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს ქვაკუთხედია. საკუთრება ადამიანის ყოფიერების არსებითი საფუძველია.[712]

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საკუთრების უფლება არ არის აბსოლუტური უფლება. შესაძლებელია მისი შეზღუდვა და თვით კონსტიტუცია ადგენს საკუთრების უფლების შეზღუდვის საფუძველსა და მიზანს: „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, იმგვარად, რომ არ დაირღვეს საკუთრების უფლების არსი.“[713]

2013 წლის მსგავსად, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მუშაობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას საკუთრების უფლების შესახებ საქმეთა განხილვა წარმოადგენდა. 2013 წლის საპარლამენტო ანგარიშში დასმულ პრობლემურ საკითხთა მოგვარება საანგარიშო პერიოდში მხოლოდ ნაწილობრივ მოხდა.

2014 წლის განმავლობაში არსებით პრობლემად კვლავ იმ ასობით საჩივრის განხილვა რჩებოდა, რომელიც საკუთრების იძულებით თუ სხვა უკანონო მეთოდებით ჩამორთმევას შეეხება. საქართველოს სახალხო დამცველს საანგარიშო პერიოდში არაერთმა მოქალაქემ მიმართა, მათ მიმართ იძულების შედეგად უძრავი ქონების მიტოვების, სახელმწიფოს თუ მესამე პირთა სასარგებლოდ უსასყიდლოდ დათმობისა თუ ჩუქების შემთხვევების კანონიერების შესწავლასთან დაკავშირებით. მსგავსი საქმეების განხილვის მთავარი დამაბრკოლებელი გარემოება სამართლებრივი ხასიათისაა. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 89-ე მუხლის თანახმად, იძულებით დადებული გარიგება შეიძლება სადავო გახდეს ერთი წლის განმავლობაში იძულების დამთავრების მომენტიდან. იძულების

[710] ,,კონსტიტუციის კომენტარები“ ავტორთა კოლეგია, გამომცემლობა ,,მერიდიანი“ 2005 წ. გვ.145.
[711] ,,კონსტიტუციის კომენტარები“ ავტორთა კოლეგია, გამომცელობა ,,მერიდიანი“ 2005 წ. გვ. 147.
[712] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება.
[713] საქართველოს კონსტიტუციის 21–ე მუხლის მე–2 პუნქტი.

დამთავრების მომენტად კი არსებული სასამართლო პრაქტიკით, გარიგებაზე ხელმოწერის მომენტი მიიჩნევა[714]. საქართველოს სახალხო დამცველისადმი მოქალაქეთა მხრიდან მიმართვის მომენტისთვის ყველა შემთხვევაში გასული იყო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა, რაც აზრს უკარგავს სამოქალაქო დავის დაწყებას. ამავდროულად, იძულება წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150–ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს და იწვევს იძულების განმახორციელებელი პირის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, თუმცა სისხლის სამართლის საქმის გამოძიება ხანგრძლივ ვადებთან არის დაკავშირებული და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემოსულ განცხადებათაგან არცერთზე ამ ეტაპზე გამოძიება დასრულებული არ არის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში, ყოველმხრივ და ეფექტურად მოხდეს საქმეთა გამოძიება და უფლების უკანონო ხელყოფის ფაქტის დადგენის შემთხვევაში, სახელმწიფომ უზრუნველყოს დარღვეული უფლების აღდგენა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წლის 13 თებერვალს, საქართველოს მთავარ პროკურატურაში შეიქმნა სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტი, რომლის ერთ-ერთი ფუნქციაა სამართალწარმოების მიმდინარეობისას შესაძლო დანაშაულებრივი ფაქტების, მათ შორის ქონების იძულებით დათმობისა და სხვა იძულების ფაქტების გამოძიების წარმოება და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება. სახალხო დამცველი იმედს გამოთქვამს, რომ ამ დეპარტამენტის საქმიანობა იქნება ეფექტური და დროულად მოხდება პროკურატურის მიერ აღნიშნულ საქმეებზე შემაჯამებელი გადაწყვეტილებების მიღება.

2014 წლის 30 აპრილს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული N 2315 დადგენილება „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2014-2020 წლებისთვის)“ დამტკიცების შესახებ. საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია ადამიანის უფლებების ყოველდღიურ ცხოვრებაში რეალიზების იდეას ეფუძნება და განსაზღვრავს საქართველოს ხელისუფლების გრძელვადიან პრიორიტეტებსა და ამოცანებს ამ უფლებათა სფეროში უწყებათაშორისი, მრავალსექტორული, ერთიანი და თანმიმდევრული პოლიტიკის ჩამოყალიბების, „კარგი მმართველობის“ განხორციელებისა და ადამიანის უფლებების დაცვის გაძლიერების მიზნით[715]. აღნიშნული დადგენილების მე-18 მუხლის მიზანია საკუთრების უფლების დასაცავად მაღალი სტანდარტების დანერგვა, ხოლო ამოცანებს წარმოადგენს შემდეგი:

> „ა. საკუთრების უფლების დაცვის საკანონმდებლო ბაზისა და ინსტიტუციური მექანიზმების დახვეწა;

[714] საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2014 წლის 21 ივლისი, საქმე Nას-333-31432014.
[715] 2014 წლის 30 აპრილის საქართველოს პარლამენტის N2315 დადგენილება „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2014-2020 წლებისთვის)“ დამტკიცების შესახებ.

ბ. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების შემთხვევაში საკუთრების ჩამორთმევისას კონსტიტუციური და საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი წესების დაცვა;

გ. მფლობელობაში/სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების ან საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების ყოველი კონკრეტული საქმის საფუძვლიანი გამოკვლევის შედეგად, კანონის შესაბამისად მიღება.“

საქართველოს მთავრობამ 2014 წლის 9 ივლისს მიიღო N445 დადგენილება „საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015 წლებისთვის) დამტკიცებისა და საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014–2015 წლებისთვის) საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“, რომლის 22.1.1 პუნქტის მიხედვით[716], საკუთრების უფლების დასაცავად უნდა შეიქმნას საკუთრების უფლების ხელშეუხებლობის გარანტიები საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად. უნდა დაიხვეწოს და გაუმჯობესდეს უძრავი ქონების რეგისტრაციის ფორმები; შეიქმნას ერთიანი ელექტრონული საკადასტრო ბაზა, რათა ქაღალდის აზომვითი ნახაზებით რეგისტრირებული უძრავი ქონება გადატანილ იქნას ელექტრონულ ფორმატში[717].

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში ამჟამინდელი მდგომარეობით, საარქივო დოკუმენტაციაში მოძიებული და განხილული საკადასტრო აზომვითი ნახაზების რაოდენობა შეადგენს 10 068-ს. ამასთან, ელექტრონულ საკადასტრო ბაზაში აღდგენილია 6 853 ერთეული უძრავი ნივთის გრაფიკული მონაცემი. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს განმარტებით, გარკვეული მონაცემების ელექტრონულ ფორმატში გადატანის შეუძლებლობა გამოწვეულია რიგი მიზეზებით, მაგრამ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივლისის N445 დადგენილების 22.1.1 პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობა მიმდინარეობს და გაგრძელდება იმ დრომდე, სანამ სრულად არ დასრულდება საქართველოს მასშტაბით რეგისტრირებული ძველი საკადასტრო მონაცემების განხილვა და ერთიან საკადასტრო რუკაზე მონაცემების შეძლებისდაგვარად ასახვა[718].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წლის საპარლამენტო ანგარიშში განხილული სამეურნეო სათავსების/სარდაფების რეგისტრაციის პრობლემა საანგარიშო პერიოდში აღარ წამოჭრილა, რადგან შეიცვალა მიდგომა სამეურნეო სათავსების/სარდაფების რეგისტრაციასთან

[716] 2014 წლის 9 ივლისის საქართველოს მთავრობის N445 დადგენილება.
[717] 2014 წლის 9 ივლისის N445 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა, გვ. 105.
[718] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 16 იანვრის N9184 წერილი.

დაკავშირებით და ამ კუთხით საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტები სახალხო დამცველის აპარატში არ დაფიქსირებულა.

მიუხედავად განხორციელებული ცვლილებებისა, საანგარიშო პერიოდში უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის საკითხები კვლავ აქტუალური რჩება.

მნიშვნელოვანია დაბა ბაკურიანისა და სოფელი დიდი მიტარბის მოსახლეობის, ზემო სვანეთის, მათ შორის ხაიშის, ასევე აჭარის მოსახლეობის საკუთრების უფლების რეგისტრაციასთან, მიწის რეფორმასთან და მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწების დაკანონებასთან დაკავშირებული საკითხები, რაც ამ რეგიონების მკვიდრთა საკუთრების უფლების გაუმართლებელი შეზღუდვის საფუძველი ხდება. პრობლემას წარმოადგენს ის გარემოება, რომ, სოფელი დიდი მიტარბის ტერიტორიაზე არ ჩატარებულა, ხოლო მესტიის მუნიციპალიტეტში არასრულყოფილად ჩატარდა მიწის რეფორმა, კერძოდ, მესტიის საკომლო წიგნების ჩანაწერებში არ არის მითითებული მიწის ფართობის რაოდენობა ან/და არ მოიპოვება მიწის გადასახადის გადამხდელთა სიები, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება მართლზომიერ მფლობელთა იდენტიფიცირება. ბუნებრივია, ამ რეგიონებში საკუთრების უფლებით სარგებლობის უზრუნველყოფისათვის სახელმწიფოს აქტიური ჩარევაა საჭირო; სხვა შემთხვევაში, წლების განმავლობაში არსებული პრობლემა კვლავ გადაუჭრელი დარჩება.

რაც შეეხება უძრავი ქონების რეგისტრაციის საკითხებს და ამ მხრივ მოქალაქეთა დარღვეული უფლებების აღდგენას, მიუხედავად იმისა, რომ გადაიდგა ნაბიჯები სსიპ საჯარო რეესტრის მონაცემების დაზუსტების და ხარვეზების აღმოფხვრის კუთხით, ე.წ. ზედდება/დუბლირებული რეგისტრაციები კვლავ პრობლემად რჩება. ე.წ. დუბლირებული რეგისტრაციების შესახებ კვლავ ასობით საქმე განიხილება საერთო სასამართლოებში, ასევე მაღალია მომართვიანობა სახალხო დამცველის აპარატში. ამ კუთხით არსებული ხარვეზები დეტალურად იყო განხილული საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის საპარლამენტო ანგარიშში[719], შესაბამისად, იმავე საკითხების მიმოხილვა წინამდებარე ანგარიშში დეტალურად არ მოხდება, თუმცა მაგალითის სახით მიმოვიხილავთ 2014 წელს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ ერთ-ერთ საქმეს, რომელიც წარმოაჩენს ამ სფეროში არსებულ პრობლემებს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სისტემური პრობლემები წარმოშვა საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 ივნისის N231 დადგენილების „საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციასა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხის მოწესრიგების შესახებ“ საფუძველზე განხორციელებულმა ე.წ. საყოველთაო

[719] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 375-386.

რეგისტრაციამ, რომელიც განხორციელდა მთელი რიგი ხარვეზებით და გამოიწვია მოსახლეობის გარკვეული ნაწილის საკუთრების უფლების ხელყოფა და ზედდების პრობლემა.

მსგავს შემთხვევაში ურთიერთობას, როგორც წესი, სამი მხარე ჰყავს: მესაკუთრე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (საჯარო რეესტრის ტერიტორიული სამსახური) და ახალი მესაკუთრე (ეს უკანასკნელი შეიძლება წარმოდგენილი იყოს სახელმწიფოს, ფიზიკური ან იურიდიული პირის სახით). პრობლემის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების, ასევე მათი გადაჭრის გზების გამოსაკვლევად, მიზანშეწონილია შესაბამისი სამართლებრივი ბაზის გაანალიზება, რაც თავის მხრივ კიდევ ერთ პრობლემას წარმოაჩენს, კერძოდ, ურთიერთობის მონაწილეთაგან (მესაკუთრე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ახალი მესაკუთრე) რომელ მხარეს ეკისრება პასუხისმგებლობა.

საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციით განსაზღვრულია სარეგისტრაციო წარმოების მონაწილეთა უფლებები და მოვალეობები. შესაბამისად, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, მარეგისტრირებელი ორგანო ან მისი თანამშრომელი პასუხს არ აგებს წარმოდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ნამდვილობაზე, მაგრამ ამავე ნორმის მიხედვით, მარეგისტრირებელი ორგანო და მისი თანამშრომელი პასუხისმგებელია რეგისტრირებული მონაცემების და მათთან დაცული სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტაციის ურთიერთშესაბამისობასა და უსაფრთხოებაზე.[720]

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გადაწყვეტილება მიიღოს მხოლოდ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევის შემდეგ.

საჯარო რეესტრის ვალდებულებებზე გაამახვილა ყურადღება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ[721] და მიუთითა, რომ

> „...პირველად დაუზუსტებელ რეგისტრაციას არ აქვს მხოლოდ საცნობარო მნიშვნელობა, უმართებულოა მისი დაყვანა მხოლოდ ფაქტობრივ აღრიცხვამდე, რომელიც აღრიცხვის ობიექტის მიმართ არ ითვალისწინებს რაიმე სამართლებრივ შედეგს. სააღრიცხვო მონაცემებს იურიდიული მნიშვნელობა გააჩნია, სარეგისტრაციო აღრიცხვის ოფიციალურობა უზრუნველყოფილია საჯარო რეესტრით. სარეგისტრაციო პროცედურას შედეგად მოსდევს უფლებადამდგენი დოკუმენტის გაცემა, რომელიც ადასტურებს იურიდიული ფაქტების კანონიერებას. რეგისტრაციას პრეიუდიციული მნიშვნელობა აქვს, ის არის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალიზაციის პირობა, რეგისტრაცია არის უძრავ ქონებაზე უფლების

[720] 2008 წლის 19 დეკემბრის საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი.
[721] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 28 თებერვლის ბს-367-363(კ-12) გადაწყვეტილება.

> წარმოშობის/შეცვლის სახელმწიფოს მხრიდან დადასტურების იურიდიული აქტი, რითაც რეგისტრაციის განმახორციელებელი კისრულობს უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ სამართალურთიერთობათა კომპლექსის დაცვის ვალდებულებას, სახელმწიფო რეგისტრაცია მოწოდებულია მთლიანობაში სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის განსამტკიცებლად, ის არის ტიტულის, პირის უფლებების სახელმწიფო დაცვის ფორმალური პირობა.“

მოცემულ გადაწყვეტილებაში საკასაციო სასამართლომ დაადგინა, რომ

> „...კანონმდებლობა არ გამორიცხავს დაუზუსტებელი რეგისტრაციის არსებობას, შესაბამისად, რეგისტრაციის არსებობის გადამოწმება მხოლოდ ელექტრონული ნახაზის მეშვეობით არ ადასტურებს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებას, აღნიშნული ყოველგვარ აზრს უკარგავს დაუზუსტებელ რეგისტრაციას.“

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოყვანილი განმარტებები სრულად ეფუძნება არსებულ კანონმდებლობას და ამ საკანონმდებლო ნორმებში გაწერილ ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას.

მოქალაქე გ.ქ.-ს საქმე

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა მოქალაქე გ.ქ.-ს საქმე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ საკუთრების უფლების ხელყოფასთან დაკავშირებით.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საქმის მასალების შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ 2006 წლის 20 ნოემბერს „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მოქალაქე გ.ქ.-ზე, გაიცა მიწისა და სხვა უძრავი ქონების შეძენის დამადასტურებელი ოქმი N45 მასზედ, რომ მან შეიძინა მიწის ნაკვეთი სარეგისტრაციო ნომრით N810800668, რომელიც მდებარეობს გარდაბანში, დ/ლილოს საკრებულოს ტერიტორიაზე; მიწის ნაკვეთის ფართობი 0,94 ჰა.

2006 წლის 20 ნოემბერს გაიცა ასევე მიწისა და სხვა უძრავი ქონების შეძენის დამადასტურებელი ოქმი N46 მასზედ, რომ გ.ქ.-მ შეიძინა მიწის ნაკვეთი სარეგისტრაციო ნომრით N810800669, რომელიც მდებარეობს გარდაბანში, დ/ლილოს საკრებულოს ტერიტორიაზე; მიწის ნაკვეთის ფართობი 12,19 ჰა.

2006 წლის 29 ნოემბერს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ დარეგისტრირდა მოქალაქე გ.ქ.-ის საკუთრების უფლება 0,94 ჰა. და 12,19 ჰა. დაუზუსტებელ ფართობზე და მომზადდა საკადასტრო რუკები.

2014 წლის 12 თებერვალს მოქალაქე გ.ქ.-მ მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურმა შეაჩერა სარეგისტრაციო წარმოებები და განმცხადებელს განუმარტა, რომ სარეგისტრაციოდ წარდგენილ და საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს შორის არსებობდა ინსტრუქციით განსაზღვრული ზედდება, კერძოდ, განცხადებას თანდართული საკადასტრო აზომვითი ნახაზის მიხედვით, წარდგენილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემები არ შეესაბამებოდა მომიჯნავე უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს და მიწის ნაკვეთის საზღვრები იჭრებოდა მომიჯნავე მიწის ნაკვეთის საზღვრებში. შესაბამისად, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურმა მოქალაქეს მოსთხოვა კორექტირებული საკადასტრო აზომვითი ნახაზის წარდგენა. მოგვიანებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ მოტივით, რომ სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაში დაინტერესებული პირის მიერ არ იქნა წარდგენილი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტაცია/ინფორმაცია.

2010 წლის 19 თებერვალს საქართველოს ეკონომიური განვითარების სამინისტროს N16-334 წერილის საფუძველზე განხორციელდა გარდაბანში, სოფელ ნორიოში მდებარე 468350.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია სახელმწიფო საკუთრებად; ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთი მოგვიანებით დარეგისტრირდა თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში. ამავდროულად, აღნიშნულ მიწის ნაკვეთს შეეცვალა ფუნქცია და გახდა არასასოფლო–სამეურნეო. საბოლოოდ, აღნიშნული მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ შპს „თბილსერვის ჯგუფი“ დარეგისტრირდა.

2010 წლის 13 დეკემბრის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის N326332 წერილის თანახმად, გ.ქ.-ს უძრავი ქონება ფარავდა შპს „თბილსერვის ჯგუფის“ მიწის ნაკვეთს.

აღსანიშნავია, რომ 2010 წლის 23 თებერვლამდე გ.ქ.-ს მომიჯნავე მიწის ნაკვეთები არ იყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, ვინაიდან სახელმწიფოს საკუთრებაში პირველადი რეგისტრაცია მოხდა 2010 წლის 23 თებერვალს, ხოლო მოქალაქე გ.ქ.-მ სარეგისტრაციო განცხადებები გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურში წარადგინა მანამდე – 2010 წლის 14 იანვარს, ეს ფაქტი ვერ გახდებოდა სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების საფუძველი.

მნიშვნელოვანია, ასევე აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ მოქალაქე გ.ქ.-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის წინამორბედი რეგისტრაცია მოხდა საქართველოს ეკონომიკური

განვითარების სამინისტროს გარდაბნის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს 2006 წლის 2 ოქტომბრის N458 წერილის საფუძველზე, რომელსაც თანდართული ჰქონდა საპრივატიზებო გეგმა, შერჩევის აქტი და საპრივატიზებო გეგმის საკადასტრო ინფორმაცია, ასევე არსებობდა აღნიშნული მიწების საკადასტრო რუკები.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურს უნდა შეესწავლა და დაედგინა 2010 წლის 19 თებერვალს საქართველოს ეკონომიური განვითარების სამინისტროს N16-334 წერილის საფუძველზე გარდაბანში, სოფელ ნორიოში მდებარე 468350.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი[722], მოიცავდა (ფარავდა) თუ არა 2006 წლის 29 ნოემბერს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ მოქალაქე გ.ქ.-ს საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებს; ასევე უნდა განესაზღვრა და მოქალაქე გ.ქ.-სთვის განემარტა მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ზუსტი მდებარეობა.

ზემოაღნიშნული ვალდებულების შესრულების შემთხვევაში მარეგისტრირებელი ორგანო აღმოაჩენდა, რომ სახელმწიფოს საკუთრებაში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის რეგისტრაციისას ადგილი ექნებოდა მოქალაქე გ.ქ.-ს საკუთრების უფლების შელახვას, კერძოდ, განხორციელდებოდა მისი ნაკვეთის გადაფარვა[723]. საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, საკითხის შესწავლისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ რეკომენდაცია არ იქნა გაზიარებული.

საკუთრების უფლება სისხლის სამართლის საქმეებში

საკუთრების უფლების შეზღუდვის ერთ–ერთ შემთხვევას წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმის გამოძიების მიმდინარეობისას ქონებაზე ყადაღის დადება. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციის „21-ე მუხლი იცავს საკუთრებას, აქ იგულისხმება მხოლოდ კანონიერი საკუთრება. უკანონო საკუთრება 21-ე მუხლით დაცულ სფეროში ვერ ექცევა, რადგან ამ დროს თავად საკუთრების უფლების არსებობაა საეჭვო.“[724] მართალია, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა და მართლმსაჯულების განხორციელება საზოგადოების

[722] აღნიშნული მიწის ნაკვეთი 2010 წლის 7 აპრილს დარეგისტრირდა თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში და შეეცვალა ფუნქცია (გახდა არასასოფლო–სამეურნეო), ხოლო მოგვიანებით, 2010 წლის 30 ივნისს, აღნიშნული უძრავი ქონება, თბილისის მთავრობის 2010 წლის 5 მაისის N13.24.662 დადგენილების საფუძველზე დარეგისტრირდა შპს „თბილსერვის ჯგუფის“ საკუთრებად.

[723] საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის 28 ივლისის რეკომენდაცია გ.ქ.-ს საკუთრების უფლების დარღვევასთან დაკავშირებით.

[724] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება.

ინტერესებს ემსახურება, უზენაესი კანონის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ საკუთრების უფლების ნებისმიერი შეზღუდვა კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, კანონის შესაბამისად და საფუძველზე განხორციელდეს, შეზღუდვა უნდა იყოს ლეგიტიმური და გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული უნდა იყოს საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობა და ბალანსი.

ქონებაზე ყადაღის დადება კანონით გათვალისწინებული საფუძვლისა და მიზნის არსებობის გარეშე

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი[725] განსაზღვრავს ქონებაზე ყადაღის დადების მიზანს და საფუძველს. ქონებაზე ყადაღის დადების მიზნებია: სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების – ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველყოფა. ქონებაზე ყადაღის დადების საფუძველია მონაცემთა არსებობა, რომ ქონებას გადამალავენ ან დახარჯავენ ან/და ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული. რაც შეეხება პირთა წრეს, ვის ქონებასაც შეიძლება დაედოს ყადაღა, ესენია, ბრალდებული, მისი მოქმედებისათვის მატერიალურად პასუხისმგებელი პირი ან/და მასთან დაკავშირებული პირის ქონება. ქონებას ყადაღა შეიძლება დაედოს მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მიზნით და ამავე კოდექსში მითითებული საფუძვლების არსებობისას.

თანამდებობის პირის ქონებაზე ყადაღის დადებასთან დაკავშირებით კანონი მიუთითებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151–ე მუხლის პირველ ნაწილში რეგლამენტირებული პირობების არსებობის აუცილებლობაზე, კერძოდ, ყადაღის დადების საფუძვლის არსებობაზე, რომელიც მხოლოდ კანონით გათვალისწინებული მიზნით უნდა განხორციელდეს.

მოქალაქეების: თ.ჯ.–ს და ხ.ნ.–ს საქმე

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა მოქალაქეების: ხ.ნ.–ს და თ.ჯ.–ს ადვოკატის ბ.ბ.–ს განცხადებები. 2014 წლის 13 აგვისტოს საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის N081260213001 საქმეზე, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ყოფილ უფროსს თ.ჯ.–ს ბრალი წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182–ე მუხლის მე–2 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით და მე–3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის. 2014 წლის 18 აგვისტოს თბილისის

[725] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 151.

საქალაქო სასამართლოს განჩინებით, ყადაღა დაედო თ.ჯ.–სა და მასთან დაკავშირებული პირების (ყოფილი მეუღლის – ხ.ნ.–ს და შვილების) ქონებას.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ქონებაზე ყადაღის დადების მიზანს არ წარმოადგენს ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა, მოსამართლემ ქონებაზე ყადაღის დადების საფუძვლად მიუთითა ბრალდებულის მიერ ქონების გასხვისების ან გადამალვის შესაძლებლობა, რაც ხელს შეუშლის ზიანის ანაზღაურებას, ხოლო ყადაღის დადების მიზნად – ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველყოფა, „იმისათვის, რომ არ მოხდეს ქონების გასხვისება.“

ქონებაზე ყადაღის დადების მიზანს მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების და ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველყოფა წარმოადგენს. სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიება გამოიყენება ბრალდებულის მიმართ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით და არ ვრცელდება ბრალდებულის ოჯახის წევრებსა თუ სხვა პირებზე. ამდენად, საქართველოს სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ ხ.ნ.–ს საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე ყადაღის დადების საფუძველი არ შეიძლება იყოს სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების განხორციელება.

რაც შეეხება ქონების ჩამორთმევას, იგი „ნიშნავს დანაშაულის საგნის ან/და იარაღის, დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ან/და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას.“[726] ნიშანდობლივია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებაში არ არის მითითება იმაზე, რომ ქონება, რომელსაც ყადაღა დაედო, იყო დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული ან რაიმე სახით გამიზნული დანაშაულის ჩასადენად, ე.ი. არ წარმოადგენს დანაშაულის საგანს ან იარაღს.[727]

თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინების თანახმად, თ.ჯ.–ს ბრალად ედება „2010 წლის 24 ივნისიდან – 2013 წლის 25 თებერვლამდე პერიოდში, როცა ის იყო საჯარო მოხელე, სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი თანხის გაფლანგვა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი მხოლოდ მსჯავრდებულისათვის დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების (და არა ნებისმიერი) ჩამორთმევის შესაძლებლობას ითვალისწინებს, სასამართლოს განჩინებით, ყადაღა დაედო არა მარტო ბრალდებულის თ.ჯ.–ს ქონებას, არამედ თ.ჯ.–ს ყოფილი მეუღლის – ხ.ნ.–ს იმ უძრავ ქონებასაც,[728] რომელიც თ.ჯ.–სა და ხ.ნ.–ს მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში

[726] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 52, ნაწ. 1.
[727] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 52, ნაწ. 3.
[728] 1.უძრავი ქონება (სასწავლო საცდელი მეურნეობა, ფართობი: 0,0800 ჰექტარი) ხ.ნ.–ს მიერ შეძენილია 2006 წელს.
2. უძრავი ქონება (ფართობი 1501 კვ.მ.) შეძენილია ხ. ნ.–ს მიერ 2007 წელს.

წარდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შეძენილია თ.ჯ.–სთვის ბრალად წარდგენილი ქმედების ჩადენამდე რამდენიმე წლით ადრე.

წინამდებარე საქმის გარემოებების შეფასების შედეგად გაირკვა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ[729] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151–ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნის უგულებელყოფით, ყადაღა დაადო პროკურორის შუამდგომლობაში მითითებულ ყველა უძრავ ნივთს, მათ შორის, იმ ქონებასაც, რომლის ჩამორთმევის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს (არ წარმოადგენს დანაშაულის იარაღს, საგანს ან დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ქონებას, არ არის დანაშაულის სავარაუდოდ ჩადენის პერიოდში შეძენილი), რაც ნიშნავს, რომ გამოირიცხება ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველყოფის მიზნით მასზე ყადაღის დადება.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თანამდებობის პირის ქონებაზე ყადაღის დადების შემთხვევაში, აუცილებელია, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მიზნის და საფუძვლის არსებობა. თანამდებობის პირის ქონებას წარმოადგენს თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან თანამდებობის პირთან დაკავშირებული პირის შემოსავალი, ქონება ან ქონებიდან მიღებული შემოსავალი, რომლის მართლზომიერი საშუალებებით მიღების დამადასტურებელი საბუთი ან სხვა მტკიცებულება არ არსებობს.[730] მოცემულ საქმეში სასამართლოს განჩინებით, ყადაღა დაედო მოქალაქე ხ.ნ.–ს მიერ თ.ჯ.–სთვის ბრალად წარდგენილი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენამდე დროის ხანგრძლივი პერიოდით ადრე შეძენილ ქონებასაც, რომლის კანონიერად შეძენის დოკუმენტები მოქალაქეს გააჩნდა.

საკუთრების/მემკვიდრეობის უფლების შეზღუდვა სისხლის სამართლის საქმის გამოძიების გაჭიანურების გამო

საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლების შეზღუდვა შეიძლება გამოიწვიოს სისხლის სამართლის საქმის გამოძიების უსაფუძვლო გაჭიანურებამ, როცა გამოძიების

---

3. უძრავი ქონება (სასწავლო საცდელი მეურნეობა, ფართობი 606 კვ.მ.) ხ.ნ.–ს გადაეცა 2008 წელს.
4. საცხოვრებელი ბინა ხ.ნ.–ს გადაეცა 2009 წელს, სს „თიბისი ბანკის“ გათამაშებაში გამარჯვების შედეგად.
5. უძრავი ქონების ხ.ნ.–სა და მისი ოჯახის წევრებისთვის გადაცემა მოხდა 1983 წელს და 1993 წელს.
6.უძრავი ქონება (ფართობი 0.15 ჰექტარი) თ.ჯ.–ს მიერ საკუთრებაში დარეგისტრირებულია 2001 წელს.
7.უძრავი ქონება (საერთო ფართით 104.00 კვ.მ.) თ.ჯ.–ს მიერ შეძენილია 2007 წელს, რომელიც შემდეგში აჩუქა შვილს – ს.ჯ.–ს.
8.უძრავი ქონება (ავტოსადგომი, საერთო ფართით 18.00 კვ.მ.) ხ.ნ.–მ შეიძინა 2008 წელს.

[729] 2014 წლის 22 აგვისტოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის განჩინებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 18 აგვისტოს განჩინება თ.ჯ.–სა და მასთან დაკავშირებული პირების ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ დარჩა უცვლელად.

[730] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხ. 356[1], ქპ. „მ“.

მიმდინარეობის პროცესში მესაკუთრეს/მემკვიდრეს არ ეძლევა საკუთრებით სარგებლობის შესაძლებლობა.

გამოძიება მიმდინარეობს გონივრულ ვადაში, მაგრამ არა უმეტეს შესაბამისი დანაშაულისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადისა.[731] საქართველოს კანონმდებლობა მიუთითებს გამოძიების წარმოების გონივრულ ვადაზე, რომელიც შეფასებითი კატეგორიაა. შესაძლებელია, საქმის სირთულიდან და სხვა გარემოებებიდან გამომდინარე, კონკრეტული საქმის გამოძიების წარმოების ვადა განსხვავებულად შეფასდეს. ერთი მხრივ, გამოძიების წარმოება უნდა მოხდეს გონივრულ ვადებში, მეორე მხრივ, აუცილებელია, რომ გამოძიების წარმოების ვადა არ აღემატებოდეს სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადას.

შესაძლებელია, გამოძიება მიმდინარეობდეს თითოეული დანაშაულისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში, მისი ჩადენიდან სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე, თუმცა ეს არ უნდა იყოს გაგებული ისე, თითქოს საფუძველს იძლეოდეს გამოძიების გაჭიანურებისათვის. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლით დადგენილია ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი, შესაბამისად, გამოძიების წარმოების მაქსიმალური ვადაა მოცემული, რომელშიც შესაძლებელია გამოძიების წარმოება. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლი არ უნდა განიმარტოს ისე, რომ გამოძიების მწარმოებელი ორგანო/პირი აუცილებლად ხანდაზმულობის ვადას უნდა დაელოდოს და გამოძიების სისწრაფის სტანდარტი უგულებელყოფილი იყოს იმ მიზეზით, რომ ხანდაზმულობის ვადა რამდენიმე წლით განისაზღვრება. ასეთი მიდგომა, საქართველოს სახალხო დამცველის პოზიციით, ცალსახად უნდა შეფასდეს, როგორც გამოძიების გაჭიანურება, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ეფექტური გამოძიების ერთ-ერთ კრიტერიუმს – სისწრაფეს, მიუხედავად საქმის სირთულისა (ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით) და სხვა გარემოებებისა, რაც გამოძიების წარმოების პროცესში შეიძლება წარმოიშვას.

მოქალაქე გ.ე.–ს საქმე

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა მოქალაქე გ.ე.–ს საქმე. 2008 წლის 21 ივლისიდან თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმის გამოძიება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე და 332-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენის ფაქტებზე. 2008 წლის 21 აგვისტოს მოცემულ საქმეზე ჩატარდა საგამოძიებო მოქმედება – ნოტარიუს მ.ლ.–ს სანოტარო

[731] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 103.

არქივიდან, 2008 წლის 6 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის ბრძანების საფუძველზე, ამოიღეს გ.ე.–ს სამკვიდრო მოწმობასთან დაკავშირებული სანოტარო აქტები. აღნიშნული გარემოების გამო, მოქალაქე გ.ე.–ს შეზღუდული აქვს სამკვიდრო ქონების სარგებლობის/განკარგავის უფლება.

2008 წლის 21 ივლისს დაწყებული გამოძიება 5 წელზე მეტი ხნის (თითქმის 6 წლის) განმავლობაში მიმდინარეობს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ხანდაზმულობის ვადაა მისი ჩადენიდან 6 წელი,[732] ხოლო ამავე კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ფაქტზე 15 წელი.[733] აღსანიშნავია ისიც, რომ 2014 წლის 21 ივლისს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362–ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა გავიდა, რადგან მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულის ჩადენის ზუსტი დრო საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის უცნობია, სამკვიდრო მოწმობის გაყალბების ფაქტზე გამოძიება დაიწყო 2008 წლის 21 ივლისს, შესაბამისად, ლოგიკურია, რომ დანაშაულის ჩადენის ფაქტი წინ უსწრებდა გამოძიების დაწყებას, როგორც მინიმუმ, დროის მოკლე პერიოდით. რაც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332–ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ფაქტზე ხანდაზმულობის ვადას, ის 15 წელს შეადგენს. აღნიშნული ვადის განმავლობაში გამოძიების მიმდინარეობა კი, საქართველოს სახალხო დამცველის აზრით, არაგონივრულად ხანგრძლივი დროის პერიოდს წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ 2008 წლიდან დღემდე ნაკლებად მძიმე დანაშაულთა ფაქტზე (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 332-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულებზე) გამოძიების მიმდინარეობის ხანგრძლივობა ვერ პასუხობს ეფექტური გამოძიების ისეთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს და სტანდარტს, როგორიცაა სახელმწიფოს ვალდებულება - უზრუნველყოს სწრაფი გამოძიების ჩატარება. შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველმა დაასკვნა, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილის აქვს გ.ე.–ს კანონისმიერი უფლებების დარღვევას, რადგან გაუმართლებლად ხელყოფილია გ.ე.–ს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით გარანტირებული მემკვიდრეობისა და საკუთრების უფლება.

2014 წლის 18 მარტს საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს მოქალაქე გ.ე.–ს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით გარანტირებული საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლების უზრუნველყოფის მიზნით, რათა თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის წარმოებაში არსებული

[732] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 71, ნაწ. 1, ქპ. „ბ“.
[733] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 71, ნაწ. 1, ქპ. „გ[1]“.

სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესი წარიმართოს ეფექტიანი გამოძიების ერთ-ერთი სტანდარტის – სისწრაფის დაცვით.

რეკომენდაციები:

საქართველოს პროკურატურას:

- სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების პროცესში მხედველობაში მიიღონ ის ფაქტი, რომ გამოძიების გაჭიანურების შედეგად შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ამა თუ იმ პირის საკუთრების/მემკვიდრეობის უფლების გაუმართლებელ შეზღუდვას და ყველა ზომას მიმართონ ამ უფლების დარღვევის თავიდან ასაცილებლად.
- მოხდეს საქართველოს პროკურატურაში შესული იმ საჩივრების დროული და ეფექტური განხილვა, რომელიც შეეხება იძულების სხვადასხვა ფორმით სახელმწიფოს თუ მესამე პირთა სასარგებლოდ ქონების დათმობას.

საქართველოს საერთო სასამართლოებს:

- სისხლის სამართლის საქმეებზე ქონებაზე ყადაღის დადება განხორციელდეს მხოლოდ კანონით განსაზღვრული საფუძვლით და მიზნით, რათა გამოირიცხოს კანონიერი გზით მოპოვებულ ქონებაზე ყადაღის დადებით საკუთრების უფლების შეზღუდვა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს:

- უძრავ ნივთზე უფლების რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად უზრუნველყოს მასთან დაცული ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გამოკვლევა და შესწავლა, რათა არ დაუშვან უკვე რეგისტრირებული უფლების სხვა პირზე რეგისტრაცია.

საარჩევნო უფლება

საქართველოს კონსტიტუციის 28–ე მუხლის პირველი პუნქტი განამტკიცებს საქართველოს მოქალაქის უფლებას მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში. საარჩევნო პრინციპები და არჩევნებთან დაკავშირებული საკითხები მოწესრიგებულია საქართველოს კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლითა და ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი.“ საარჩევნო უფლება, როგორც ერთ–ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური უფლება, განსაკუთრებულ როლს თამაშობს დემოკრატიულ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში.

2014 წელს ერთ–ერთ მნიშვნელოვან მოვლენას ქვეყანაში ჩატარებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები წარმოადგენდა.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ პირველად, 2014 წელს საქართველოში გამგებლები (მერები) აირჩიეს პირდაპირი წესით. დემოკრატიული მმართველობის პრინციპის გათვალისწინებით, აღნიშნული სიახლე საქართველოს სახალხო დამცველს მნიშვნელოვან პოზიტიურ ნაბიჯად მიაჩნია. ამასთან, რამდენიმე ქალაქში ჩატარებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტური კონკურენტულ და თავისუფალ საარჩევნო გარემოზე მიუთითებს და დადებით პრეცედენტად უნდა შეფასდეს.

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს წინ უძღოდა საარჩევნო კანონმდებლობის მორიგი რეფორმა, რომელიც მთლიანობაში პოზიტიურად ფასდება. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2013 წლის 26 დეკემბრის ბრძანებით შეიქმნა საარჩევნო საკითხებზე მომუშავე ინტერფრაქციული ჯგუფი, რომლის მიზანს წარმოადგენდა თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების მომზადება და პარლამენტისთვის წარდგენა. საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენციისა და დარღვევებზე რეაგირების მიზნით საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან შეიქმნა აგრეთვე უწყებათაშორისი კომისია.

როგორც აღინიშნა განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების ერთ–ერთ მთავარ წარმატებად უნდა მივიჩნიოთ მერებისა და გამგებლების პირდაპირი წესით არჩევის დანერგვა. ამასთან, დაწესდა მერებისა და გამგებლების არჩევნებისთვის 50%+1, ხოლო პროპორციული სისტემით დეპუტატების ასარჩევად თანაბარი 4%–იანი ბარიერი. მნიშვნელოვანია, რომ მომავალში კვლავ გაგრძელდეს საარჩევნო კანონმდებლობის

სრულყოფის პროცესი ამომრჩეველთა სიების ოპტიმიზაციის, საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების, ამომრჩეველთა ხმების პროპორციულად ასახვის უზრუნველყოფის მიმართულებებით. მით უმეტეს, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის[734] მიხედვით, სახელმწიფოს ერთ–ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების უზრუნველმყოფი საარჩევნო სისტემის ჩამოყალიბება საკანონმდებლო ნორმების დახვეწითა და პრაქტიკული განხორციელების გზით.

მიუხედავად იმ პოზიტიური ცვლილებისა, რომლის მიხედვითაც განხორციელდა გამგებლების (მერების) პირდაპირი წესით არჩევა, საქართველოს სახალხო დამცველს საფრთხის შემცველად მიაჩნია ის ნორმა, რომლის თანახმადაც, საკრებულოს აქვს შესაძლებლობა არჩეულ გამგებელს (მერს) გამოუცხადოს უნდობლობა. აღნიშნული სამართლებრივი მექანიზმის არსებობა პირდაპირი წესით არჩეულ თანამდებობის პირთან მიმართებით არ შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს და იგი თანამდებობის პირის პირდაპირი წესით არჩევის ერთ–ერთ მიზანს – წარმომადგენლობითი დემოკრატიის პრინციპს ეწინააღმდეგება.

დადებითი ტენდენციების მიუხედავად, წინასაარჩევნო პერიოდში კანდიდატებზე ზეწოლისა და აღიშნული ზეწოლის შედეგად კანდიდატურების მოხსნის ფაქტების, კენჭისყრის ფარულობის პრინციპის დარღვევისა და სხვა შემთხვევების თაობაზე საქართველოს სახალხო დამცველს არაერთი განცხადებით მიმართა საარჩევნო ბლოკმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, რაც, სათანადო რეაგირების მოთხოვნით, გადაგზავნილი იყო შესაბამის უწყებებში, ამ საკითხზე ქვემოთ დეტალურად ვისაუბრებთ.

წინასაარჩევნო პერიოდი

ადგილობრივი თვითმმართველობის წინასაარჩევნო პერიოდმა და არჩევნების დღემ განსაკუთრებული ექსცესების გარეშე ჩაიარა. საზოგადოების ვნებათაღელვა გამოიწვია 12 ივლისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩვენებამდე ორი დღით ადრე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებულმა სარეკლამო რგოლმა[735]. აღნიშნული ვიდეორგოლის თანახმად, რამდენიმე კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა მოქალაქეებს 12 ივლისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის სანაცვლოდ საკუთარ მომსახურებაზე ერთდღიანი ფასდაკლება შესთავაზა. საქართველოს სახალხო

[734] საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 30 აპრილის N2315-IIს დადგენილება „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2014–2020 წლებისთვის)“ დამტკიცების შესახებ.
[735] 10.07.2014, 14:57 სთ, http://www.myvideo.ge/?act=dvr&chan=rustavi2&seekTime=10-07-2014%2014:57.

დამცველის აპარატის მიერ საკითხის შესწავლის, მათ შორის შესაბამისი უწყების[736] მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესწავლის შედეგების თანახმად, კავშირი ხსენებულ კერძო სამართლის სუბიექტებსა და საარჩევნო სუბიექტებს შორის არ გამოიკვეთა. აღნიშნულზე უთითებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის მოწოდებული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ფასდაკლების აქციაში მონაწილე არცერთი იურიდიული პირი არ ფიქსირდებოდა საარჩევნო სუბიექტების შემომწირველთა ბაზაში. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ საკითხის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული წამახალისებელი აქციით არ დარღვეულა „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 47–ე მუხლისა და სისხლის სამართლის კოდექსის 164[1]–ე მუხლის მოთხოვნები ამომრჩევლის მოსყიდვის თაობაზე. ამასთან, ამომრჩევლებისკენ მიმართული მოწოდებები - მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში, წარმოადგენს სამოქალაქო აქტივობას, რაც განპირობებულია საარჩევნო უფლების, როგორც დემოკრატიულ სახელწიფოში ერთ–ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური უფლების განსაკუთრებული დანიშნულებით. მსგავსი ღონისძიებები მიმართულია სამოქალაქო შეგნების ამაღლებისა და მოქალაქეობრივი ვალდებულებების გაცნობიერების ხელშეწყობისკენ.

სახალხო დამცველის მიერ დაფიქსირდა ჟურნალისტზე ზეწოლისა და პროფესიული საქმიანობისათვის ხელის შეშლის ფაქტი[737]. საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,[738] წინასაარჩევნო პერიოდში, არჩევნების მეორე ტურამდე რამდენიმე დღით ადრე, ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელშეშლის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154–ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით დაიწყო გამოძიება ახმეტის რაიონში ახმეტის მაჟორიტარ დეპუტატს - ზურაბ ზვიადაურსა და „სტუდია რეს“ ჟურნალისტებს შორის მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით. საქართველოს სახალხო დამცველს აუცილებლად მიაჩნია აღნიშნული ფაქტის ეფექტური გამოძიება და დამნაშავე პირთა დასჯა. ამასთან, მნიშვნელოვანია სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებმა თავი შეიკავონ ნებისმიერი ისეთი ქმედებისგან, რომელიც შეიძლება მიიჩნიონ მედიის წარმომადგენლებისთვის პროფესიული საქმიანობის პროცესში ხელის შეშლად და ოპონენტების მიმართ პოლიტიკური ნიშნით დევნად.

---

[736] სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის 2014 წლის 26 ნოემბრის №2587/57 წერილი.

[737] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2014 წლის 14 ივლისის N04-11/9236 წერილი საქართველოს მთავარ პროკურატურისთვის გაგზავნილი.

[738] საქართველოს მთავარი პროკურატურის 2014 წლის 6 აგვისტოს №13/49894.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადების თანახმად, ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან განხორციელებული ზეწოლის შედეგად, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ბლოკის ოცდახუთმა კანდიდატმა განაცხადა კანდიდატობაზე უარი. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას და სთხოვა განხორციელებული რეაგირების თაობაზე ინფორმაციის მოწოდება. აღნიშნული უწყების 2014 წლის 5 აგვისტოს წერილის თანახმად, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ შეისწავლა ხსენებული საკითხი. პროკურატურამ განმარტა, რომ კანდიდატების გარკვეულმა ნაწილმა არ დაადასტურა ინფორმაცია ზეწოლის შედეგად კანდიდატურის მოხსნის შესახებ. შესაბამისად, მითითებული პირების მიმართ მუქარის ან სხვა დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების ფაქტზე გამოძიება არ დაწყებულა. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა დამატებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას და სთხოვა კანდიდატებთან გასაუბრების ამსახველი დოკუმენტაციის ასლები და დანარჩენ კანდიდატებთან დაკავშირებით პროკურატურის მიერ განხორციელებული რეაგირების ამსახველი დოკუმენტაცია. ჩვენ მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია სახალხო დამცველის აპარატს ამ ეტაპისთვის არ მიუღია.

ინციდენტი მოხდა არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ქ. ზუგდიდში, საარჩევნო ბლოკის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისთან, რის შედეგადაც დაზიანებები მიიღო მაჟორიტარობის კანდიდატმა ს.მ.-მ. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ზუგდიდის რაიონულ სამმართველოში მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125–ე მუხლის პირველი ნაწილით (ცემა) გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. საქმეზე დაიკითხნენ მოწმეები, ამოღებული და დათვალიერებულია ვიდეოჩანაწერები, ჩატარდა სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზა, რომლის თანახმად, ს.მ.-ს სხეულზე არსებული დაზიანებები მიეკუთვნა მსუბუქ ხარისხს.

გამოძიება მიმდინარეობს ბოლნისის რაიონის სოფელ ტალავერში, №50 საარჩევნო უბანზე მომხდარი ინცინდენტის თაობაზე. კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განმარტებით, გამოძიება მიმდინარეობს მ.გ.-ს ცემის ფაქტთან დაკავშირებით, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125–ე მუხლის პირველი ნაწილით (ცემა).

გამოძიება მიმდინარეობს ასევე საარჩევნო ბლოკის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თეთრიწყაროს თემის საკრებულოს წევრობის კანდიდატად წარდგენილი პირის - ს.ჯ.-ის მეუღლეზე - გ.ჯ.-ზე განხორციელებული მუქარისა და ზეწოლის გამო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151–ე მუხლით გათვალისწინებული ნიშნებით.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ მიღებული ინფორმაციით, არცერთ ზემოთხსენებულ ფაქტზე გამოძიება დასრულებული არ არის და არ ყოფილა მიღებული

შემაჯამებელი გადაწყვეტილება. ძალადობრივი ქმედებების პრევენციის მიზნით აუცილებელია ყველა მსგავსი შემთხვევა დროულად და ეფექტურად იყოს გამოძიებული, რაც ზემოთაღწერილ ფაქტებზე არ განხორციელებულა.

არჩევნების დღე

არჩევნების დღეს კენჭისყრის ფარულობის პრინციპი დაირღვა ზუგდიდში №97 საარჩევნო უბანზე. საქართველოს სახალხო დამცველმა ზუგდიდში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას და საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.[739] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ[740] მოწოდებული ინფორმაციისა და დოკუმენტაციის მიხედვით, საარჩევნო კომისიამ შეისწავლა ზუგდიდში №97 საარჩევნო უბანზე მომხდარი ინციდენტი. ზუგდიდის საარჩევნო კომისიის №78/2014 განკარგულების თანახმად დადგინდა, რომ კომისიის თავმჯდომარემ და კომისიის ზოგიერთი წევრმა დაარღვია საარჩევნო კანონმდებლობა კერძოდ, დაირღვა კენჭისყრის ფარულობის პრინციპი, თუმცა ზეწოლისა და იძულების ფაქტებს ადგილი არ ჰქონია. აღნიშნულის შესაბამისად, სამსახურეობრივი მოვალეობის ბრალეულად და არაჯეროვნად შესრულების გამო №67 ზუგდიდის საარჩევნო ოლქის №97 საარჩევნო უბნის კომისიის თავმჯდომარის თ.შ.-ს, კომისიის წევრების ნ.თ.-ს, ე.დ.-ს, ი.კ.-სა და მ.ხ.-ს მიმართ გამოიყენეს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა – გაფრთხილება. საქართველოს მთავარ პროკურატურის მიერ მოწოდებული[741] ინფორმაციით, სამეგრელო–ზემო სვანეთის პროკურატურაში შეისწავლეს აღნიშნული ფაქტი, თუმცა არ გამოიკვეთა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება და გამოძიება არ დაწყებულა. იქიდან გამომდინარე, რომ ცესკო-ს გადაწყვეტილებით დადასტურებულია აღნიშნული პირების მხრიდან კენჭისყრის ფარულობის პრინციპის დარღვევა და სახეზეა სავარაუდო დანაშაულის ნიშნები[742], გაუგებარია თუ რა ფაქტობრივ/სამართლებრივ საფუძვლებზე დაყრდნობით მიიჩნია პროკურატურამ, რომ არ გამოიკვეთა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება და არ დაიწყო გამოძიება.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი ერთ–ერთი განცხადების თანახმად, მარნეულის №22 საარჩევნო ოლქის შემადგენლობაში შემავალ №15, №25 და №57 საარჩევნო

---

[739] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2014 წლის 4 აგვისტოსა და 30 სექტემბრის N04-11/10085 და N04-11/12151 წერილები.

[740] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2014 წლის 8 ოქტომბრის №01–03/2002 წერილი.

[741] საქართველოს მთავარი პროკურატურის 2014 წლის 9 აგვისტოს №13/50515 წერილი.

[742] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 164–ე მუხლი ხმის მიცემის ფარულობის დარღვევის თაობაზე.

უბნებზე დაფიქსირდა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეების მიერ არჩევნების გაყალბების ფაქტი. საქართველოს მთავარი პროკურატურის წერილის[743] თანახმად, 2014 წლის 16 ივნისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მარნეულის რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება 15 ივნისს, მარნეულის №22 საარჩევნო ოლქის შესაბამის საარჩევნო უბნებზე არჩევნების გაყალბების ფაქტის თაობაზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 164³–ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. 2014 წლის 20 ივნისს აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 13 პირის მიმართ, მათ შორის მარნეულის №22 საოლქო საარჩევნო კომისიის №25-ე საარჩევნო უბნის კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, რეგისტრატორების, ამომრჩევლებისა და დამკვირვებლების მიმართ. 2014 წლის 20 ივნისს, ბოლნისის რაიონული სასამართლოს განჩინებით ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდათ გირაო. სახალხო დამცველის აპარატისათვის ამ ეტაპზეა უცნობია ინფორმაცია სასამართლოში საქმის განხილვის შედეგების შესახებ.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი საკუთარი ინიციატივით შეისწავლის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ანაკლიის №32 საარჩევნო უბანზე მომხდარ ინციდენტს. კერძოდ, არჩევნების დღეს, გარკვეულ დროს, საარჩევნო უბანზე შეწყვეტილი იყო ხმის მიცემის პროცედურა. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, 15 ივნისს, დაახლოებით 10:00 საათზე საარჩევნო უბანზე მივიდა მოქალაქეთა ჯგუფი, რომლებმაც დაარბიეს საარჩევნო უბანი, დაამტვრიეს საარჩევნო ყუთი, დახიეს ბიულეტენები და დააზიანეს სხვა ინვენტარი. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნული ინციდენტის გამო ანაკლიის №32 საარჩევნო უბანზე ჩაიშალა არჩევნები და მიმდინარე წლის 29 ივნისს ცესკოს განკარგულებით დაინიშნა და ჩატარდა განმეორებითი კენჭისყრა.

მიუხედავად იმისა, რომ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ჩატარება მთლიანობაში დადებითად უნდა შეფასდეს, ზემოთ აღწერილი მოვლენები ცალსახად ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისათვის უარყოფითი მაჩვენებელია. ამასთან, არსებითი მნიშვნელობისაა დარღვევის თითოეული ფაქტის სათანადოდ და მყისიერად შესწავლა შესაბამისი უწყებების მიერ დამნაშავე პირების გამოვლენისა და დასჯის მიზნით. სხვა შემთხვევაში მსგავსი ძალადობრივი ქმედებების პრევენცია ვერ მოხდება.

[743] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2014 წლის 7 ივლისის N04-11/8867 წერილი; საქართველოს მთავარი პროკურატურის 2014 წლის 24 ივლისის №13/46993 წერილი.

რეკომენდაციები:

საქართველოს პარლამენტს:

- საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის მიზნით უზრუნველყოს საარჩევნო კანონმდებლობის სრულყოფა: ამომრჩეველთა ხმების პროპორციულად ასახვის უზრუნველყოფის მიზნით საარჩევნო სისტემის დახვეწა; გამგებლების (მერების) მიმართ უნდობლობის ინსტიტუტის გაუქმება; ამომრჩეველთა სიების ოპტიმიზაცია ბიომეტრიული რეგისტრაციის დანერგვის გზით; საარჩევნო ადმინისტრაციის კვალიფიციური წევრებით დაკომპლექტების მიზნით შესაბამისი რეგულაციების შემუშავება და სხვა.
- კანონმდებლობის დახვეწის მიზნით განახლდეს საარჩევნო საკითხებზე მომუშავე ინტერფრაქციული ჯგუფის მუშაობა საარჩევნო მოსაზრებებისა და წინადადების შესამუშავებლად.

საქართველოს მთავარ პროკურატურას:

- უზრუნველყოს ყველა ზემოაღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების წარმართვა და შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღება გონივრულ ვადაში.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უფლება

კულტურული უფლებები ადამიანის უფლებათა სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. „ადამიანის თვითმყოფადობის წყაროს ხშირად იმ კულტურულ ტრადიციებში პოულობენ, რომელშიც ის დაიბადა და აღიზარდა. თვითმყოფადობის შენარჩუნებას უდიდესი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ადამიანის კეთილდღეობისა და ღირსებისათვის. ამ თვალსაზრისით „კულტურულმა უფლებებმა“ პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს პირის საკუთარი კულტურისადმი ხელმისაწვდომობას და შესწავლას, ასევე ამ კულტურის გავრცელებასა და მის შემდგომ განვითარებაში მონაწილეობას.“[744]

სწორედ კულტურული უფლებების დიდი მნიშვნელობის გამო არის ეს უფლებები რეგულირებული არაერთი საერთაშორისო აქტით, რომელიც ადმიანის კულტურული უფლებების რეალიზების შესაძლებლობას იძლევა. კერძოდ,

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 27-ე მუხლის მიხედვით, „ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავისუფლად მონაწილეობდეს კულტურულ ცხოვრებაში, ტკბებოდეს ხელოვნებით, მონაწილეობდეს სამეცნიერო პროგრესში და სარგებლობდეს მისი სიკეთით.“[745]

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის თანახმად, პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს კულტურულ ცხოვრებაში[746]. ამასთან, აღნიშნული უფლების სრული განხორციელებისათვის წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოების მიერ მიღებული ზომები უნდა შეიცავდეს იმ ღონისძიებებს, რომლებიც აუცილებელია მეცნიერულ და კულტურულ მიღწევათა დასაცავად, გასავითარებლად და გასავრცელებლად[747].

კულტურულ უფლებებს ცნობს და აღიარებს საქართველოს უზენაესი კანონი - კონსტიტუცია. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის თანახმად, „სახელმწიფო ხელს უწყობს კულტურის განვითარებას, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურული თვითმყოფადობის გამოვლინებასა და გამდიდრებას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა აღიარებას და

---

[744] „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები“, რედაქტორები: ასბორნ ეიდე, კატარინა კრაუზე, ალან როსა, სახელმძღვანელო, მეორე განახლებული გამოცემა, გვ.342.
[745] ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხ. 27, პუნქ. 1.
[746] ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი, მუხ. 15, პუნქ.1, ქვეპუნქტი „ა“.
[747] ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი, მუხ. 15, პუნქტი2.

საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებას.“ იქვე, კონსტიტუცია ადგენს საქართველოს მოქალაქის ვალდებულებას „ზრუნავდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებაზე.“

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის თანახმად, „ძეგლის დაცვის ძირითადი პრინციპებია მისთვის იმ თვისებებისა და მახასიათებლების, უძრავი ძეგლის შემთხვევაში - ასევე იმ გარემოს შენარჩუნება, რომლებიც (რომელიც) განაპირობებს მის ისტორიულ, კულტურულ, მემორიალურ, ეთნოლოგიურ, მხატვრულ, ესთეტიკურ, მეცნიერულ ან სხვა ღირებულებებს.“

ამასთან, არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის[748] პირველი მუხლის თანახმად, კონვენციის მიზანია არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვა, როგორც კოლექტიური ევროპული მეხსიერებისა და როგორც ისტორიული და მეცნიერული კვლევის ინსტრუმენტისა.[749] ამავე კონვენციის მიხედვით, არქეოლოგიურ მემკვიდრეობაში იგულისხმება სტრუქტურები, შენობები, არქიტექტურული ანსამბლები, მოწყობილი ნაკვეთები, ნივთები, სხვა სახის ძეგლები, აგრეთვე მათი გარემო, მიწაზე თუ წყალზე.[750]

დასახელებული ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ კულტურული თუ არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვა ასევე მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ გარემოს დაცვასთან, რომელშიც ესა თუ ის ობიექტი იმყოფება. გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით კი, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება გარანტირებულია „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენციის“ (ორჰუსის კონვენცია)[751] მე-6 მუხლის მე-2 პუნქტითა და მე-7 მუხლით გათვალისწინებული ნორმებით, რომელიც ადგენს დაინტერესებული საზოგადოების ადეკვატურ, დროულ და ეფექტურ ინფორმირებას გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესის საწყის ეტაპზე.

ამავე კონვენციის თანახმად, „საზოგადოება“ ნიშნავს ერთ ან ერთზე მეტ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს და ეროვნული კანონმდებლობის და ქმედებების შესაბამისად, მათ ასოციაციებს, ორგანიზაციებს და ჯგუფებს.[752] ამასთან, „დაინტერესებული საზოგადოება“ ნიშნავს საზოგადოებას, რომელსაც ეხება ან შესაძლოა შეეხოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღება ან რომელიც დაინტერესებულია გარემოს დაცვის სფეროში

[748] რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 23 თებერვლის N158-IIს დადგენილებით.
[749] არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის შესახებ ევროპული კონვენცია, მუხ.1, პუნ. 1.
[750] არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის შესახებ ევროპული კონვენცია, მუხ. 1, პუნ. 3.
[751] რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 11 თებერვლის N135-IIს დადგენილებით.
[752] ორჰუსის კონვენცია, მუხ. 2, პუნ. 4.

გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობით; არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ხელს უწყობენ გარემოს დაცვას და პასუხობენ ეროვნული კანონმდებლობის ყველა მოთხოვნას, განიხილებიან, როგორც დაინტერესებული სუბიექტები.[753]

საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს საქმე[754]

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროსთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოხსნის კანონიერების საკითხი როგორც კულტურული უფლებების, ასევე სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების კუთხით.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა. თუმცა, ეკონომიკის განვითარებისა და ინვესტიციების მოზიდვის პროცესში ასევე აუცილებელია, რომ დაცული იქნეს ბალანსი ეკონომიკის განვითარებასა და ადამიანის ისეთი ფუნდამენტური უფლებების დაცვას შორის, როგორიცაა კულტურული უფლებები და სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლება.

საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროსათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოხსნის კანონიერების საკითხის შესწავლისას გამოვლინდა, რომ შესაბამისმა ორგანოებმა სათანადოდ არ გაითვალისწინეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ მოქმედი საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნები და არ უზრუნველყვეს დაინტერესებული საზოგადოების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

კერძოდ, კულტურული მემკვიდრეობის სფეროში წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებს აწესრიგებს საქართველოს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ.“[755] დასახელებული კანონის მე-3 მუხლის „ი.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი არის „კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ან მოძრავი ობიექტი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული უძრავი ან მოძრავი ნივთი), რომელსაც ამ კანონით დადგენილი წესით მიენიჭა ძეგლის სტატუსი.“ ამავე კანონის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „ამ კანონის ამოქმედებამდე გამოცემული სამართლებრივი აქტები კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების უძრავ ძეგლთა სახელმწიფო რეესტრში შეტანის, მათთვის ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის მინიჭების, ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტთა სიის დამტკიცებისა და კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების

[753] ორჰუსის კონვენცია, მუხ.2, პუნ. 5.
[754] საქმე N7093/1
[755] მიღებულია 2007 წლის 8 მაისს (N4708-Iს).

დადგენის შესახებ მათი ამ კანონით დადგენილი წესით რეგისტრაციამდე ჩაითვალოს ამ კანონის შესაბამისად გამოცემულად.“

მართალია, საყდრისი-ყაჩაღიანის უძველეს ოქროს მაღაროს კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის N3/133 ბრძანებით, ხოლო ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი განესაზღვრა საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 7 ნოემბერს N665 ბრძანებულებით. თუმცა, კანონის მითითებული დანაწესიდან გამომდინარე, საყდრისი-ყაჩაღიანისათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭება ითვლება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ 2007 წლის 8 მაისს მიღებული საქართველოს კანონის შესაბამისად გამოცემულად. აღნიშნულიდან გამომდინარე, კულტურული ძეგლის სტატუსის მოხსნა უნდა განხორციელდეს მოხსნის მომენტისათვის მოქმედი სამართლებრივი რეგულაციის შესაბამისად.

საყდრისი-ყაჩაღიანის უძველეს ოქროს მაღაროს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მოეხსნა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის N03/108 ბრძანებით, რომლის გამოცემას საფუძვლად დაედო საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის N03/82 ბრძანების საფუძველზე შექმნილი ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის დასკვნა.

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის თანახმად, „ძეგლისათვის სტატუსის მოხსნა შესაძლებელია მხოლოდ საბჭოს შესაბამისი დასკვნის საფუძველზე (გარდა ამ კანონის V[1] თავით გათვალისწინებული შემთხვევებისა), იმ შემთხვევაში, თუ ძეგლი განადგურდა ან ისე დაზიანდა, რომ დაკარგა ისტორიული ან კულტურული ღირებულება, რომლის აღდგენა შეუძლებელია, ან, მეცნიერული (მეთოდოლოგიური) კრიტერიუმებით, დაკარგა ის ძირითადი მახასიათებელი, რომლის გამოც მას მიენიჭა სტატუსი.“[756]

ამავე კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სამინისტროში იქმნება მინისტრის სათათბირო ორგანო – კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭო (შემდგომში – საბჭო)“. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, „საბჭო დაკომპლექტებულია დარგის ექსპერტებითა და საზოგადო მოღვაწეებით. საბჭოს საქმიანობის წესი და კომპეტენცია განისაზღვრება საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს მინისტრი.“

[756] 2013 წლის 5 ივლისისთვის მოქმედი რედაქციით.

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილია საბჭოს უფლებამოსილება, რომელსაც მიეკუთვნება ძეგლის სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის, ასევე ძეგლის კატეგორიის განსაზღვრისა და შეცვლის საკითხები.[757]

დასახელებული საკანონმდებლო ნორმები ცხადყოფს, რომ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის N03/82 ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისია არ იყო უფლებამოსილი ემსჯელა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოხსნის თაობაზე.

მოგვიანებით, 2014 წლის 12 დეკემბერს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბრძანებით[758], ძალადაკარგულად გამოცხადდა საყდრისი-ყაჩაღიანისათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოხსნის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტი. თუმცა, იმავე ბრძანებით, ისევ მოეხსნა აღნიშნულ ობიექტს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებას საყდრისი-ყაჩაღიანისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მოხსნის თაობაზე საფუძველად დაედო საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ ასევე 2014 წლის 12 დეკემბერს მიღებული გადაწყვეტილებები.[759]

ამასთან, შესწავლილი არ იქნა არაერთი ქართველი და უცხოელი ექსპერტის განსხვავებული მოსაზრება საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროსთვის კულტურის უძრავის ძეგლის სტატუსის შენარჩუნებისა და ამ მიზნით არქეოლოგიური კვლევების გაგრძელების თაობაზე. ასევე, გაურკვეველია არქეოლოგიური ობიექტის აღების (დაშლის) შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას რა ზომები გაატარეს შესაბამისმა ორგანოებმა მის დასაცავად, მით უმეტეს, რომ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს უპირველესი მიზანი სწორედ კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და ამ მიზნით საჭირო ღონისძიებების შემუშავებაა.

შესწავლილი მასალებით დგინდება, რომ საყდრისი-ყაჩაღიანისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მოხსნაზე 2014 წლის 12 დეკემბერს გადაწყვეტილებების მიღებისას

---

[757] „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

[758] საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბრძანება N03/266 (12.12.2014)

[759] საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს სტრატეგიული საკითხების სექციის 2014 წლის 12 დეკემბრის სხდომის ოქმი; საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის ბრძანება N2/271 (12.12.2014).

დაცული არ იყო საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის[760] მოთხოვნები და „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენციის" (ორჰუსის კონვენცია)[761] მე-6 მუხლის მე-2 პუნქტითა და მე-7 მუხლით გათვალისწინებული ნორმები, რომლებიც ადგენს დაინტერესებული საზოგადოების ადეკვატურ, დროულ და ეფექტურ ინფორმირებას გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესის საწყის ეტაპზე.

ონის მხარეთმცოდნეობის ისტორიული მუზეუმი

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა რაჭაში, ონის მხარეთმცოდნეობის ისტორიული მუზეუმის საქმე. ონის მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან სახალხო დამცველის შეხვედრის დროს, ცნობილი გახდა, რომ ონის მხარეთმცოდნეობის (ისტორიული) მუზეუმის შენობა არის რთულ მდგომარეობაში, მუზეუმში დაცულ ექსპონატებს შესაძლოა შეექმნას დაზიანების და განადგურების საფრთხე.

იმავე დღეს სახალხო დამცველი იმყოფებოდა ონის მხარეთმცოდნეობის (ისტორიული) მუზეუმში (მდებარე: ონი, რუსთაველის ქ.#26), სადაც შეხვდა მუზეუმის თანამშრომლებს და ადგილზე გაეცნო არსებულ ვითარებას.

თანამშრომელთა განმარტებით ირკვევა, რომ დასახელებულ მისამართზე მდებარე შენობაში მუზეუმი განთავსდა 1975 წლიდან. შენობა არის ძველი, მიწისძვრის შედეგად კიდევ უფრო გამოვიდა მწყობირდან და ვერ პასუხობს სამუზეუმო მოთხოვნებს.

ვიზუალური დაკვირვებით კარგად ჩანს, რომ შენობა არის ავარიული. დაბზარულია კედლები, დაზიანებულია ჭერი და იტაკი. არ არსებობს ხანძარსაწინააღმდეგო, ცენტრალური გათბობის, გამწოვი ვენტილაციის ან ჰაერის კონდიცირებისა და დაცვის სისტემა. შეუძლებელია შენობის სათანადო წესით დასუფთავება, რაც საფრთხეს უქმნის სამუზეუმო ექსპონატებს.

მუზეუმში დაცულია ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა პერიოდის ქვის ხანიდან გვიანფეოდალური ხანის ჩათვლით, რაჭა-ლეჩხუმის მხარის ისტორიასთან და კულტურასთან დაკავშირებული ექსპონატები. კერძოდ, ბრინჯაოს პერიოდის ბრინჯაოს ცხვრის ქანდაკება, ჭვირული ასტრალური ბალთები, ხარის საბუზარები, ქალის სამკაულები, საბრძოლო და შრომის

[760] საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსი, მუხ. 8, მუხ. 13, მუხ.32, მუხ.34, მუხ.53, მუხ.96.
[761] რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 11 თებერვლის N135-IIს დადგენილებით.

იარაღის სეგმენტები; X-XI ს-ის წმ. გიორგისა და წმ. სამების ეკლესიების არქიტექტურული დეტალები და რელიეფის ფრაგმენტები, X-XIV სს-ის ფულის ნიშნები, XIX ს-ის ეთნოგრაფიული ხასიათის მასალები, ხელნაწერი და ბეჭდური წიგნები, XX ს-ის ცნობილ ქართველ მხატვართა უჩა ჯაფარიძის, ვალენტინ შერპილოვის, ვასილ შუხაევისა და სხვათა ფერწერული ტილოები, სულ 15000-მდე ექსპონატი, რომელთა სათანადო დაცვა მტვირისა და მავნე მწერებისგან, ასევე ტემპერატურის, ტენიანობისა თუ სხვა აუცილებელი პირობების გათვალისწინებით, არსებულ ფიზიკურ გარემოში, არის შეუძლებელი.

საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის მეორე ნაწილის თანამხად „კულტურულ მემკვიდრეობას სახელმწიფო იცვას კანონით“.

საქართველოს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახე“ მე-4 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად „კულტურული მემკვიდრეობის სახელმწიფო დაცვას საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ფარგლებში ახორციელებენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო (შემდგომ – სამინისტრო), საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, აგრეთვე სხვა სახელმწიფო ორგანოები, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირები, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე – აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი ორგანოები.“

საქართველოს კანონი „კულტურის შესახებ“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან დაიცვან თავიანთ საკუთრებაში მყოფი ბიბლიოთეკები, მუზეუმები, საარქივო და სხვა ანალოგიური ფონდები, უზრუნველყონ მათი შენახვა, ფუნქციონირება და განვითარება“

საქართველოს კანონის „მუზეუმების შესახებ“ მე-5 მუხლის თანახმად, „1.სამუზეუმო საქმიანობისა და მუზეუმების უფლებების დაცვის გარანტი, განურჩევლად მათი კუთვნილებისა, არის სახელმწიფო. 2.სამუზეუმო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირებასა და კონტროლს ახორციელებს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო.“ გარდა ამისა, ამავე კანონის მე-20 მუხლის მერე ნაწილის თანახმად „სამუზეუმო ექსპონატი უნდა ინახებოდეს და გამოიფინებოდეს სათანადოდ აღჭურვილ შენობაში, სამუზეუმო საცავში ტემპერატურის, ტენიანობის თუ სხვა აუცილებელი რეჟიმის დაცვით.“

დასახელებული ნორმატიული აქტების პრინციპებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს, მუზეუმთან დაკავშირებით წარმართოს საკანონმდებლო თუ საფინანსო-ეკონომიკური, საქმიანობა იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს მუზეუმის ხელშეწყობით (სათანადო ინფრასტრუქტურით) მემკვიდრეობის დაცვა, მისი მოვლა/პატრონობა და წარმოჩინება.

რეკომენდაციები

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ სააგენტოს:

- უზრუნველყონ საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროსათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოხსნის თაობაზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების შესწავლა და შესაბამისი აქტების გამოცემა კანონით დადგენილი წესით
- გადაწყვეტილება საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროსათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოხსნის თაობაზე მიიღონ ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობით და მხოლოდ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს:

- განახორციელოს სათანადო ღონისძიებები ონის მხარეთმცოდნეობის (ისტორიული) მუზეუმის ახალი შენობით უზრუნველსაყოფად, რათა არ იქნას უგულებელყოფილი კულტურული თვითმყოფადობის პატივისცემის პრინციპი, რომელიც თავის თავში მოიცავს მუზეუმისთვის მატერიალურ/ტექნიკურ მხარდაჭერას სათანადო ინფრასტრუქტურით და ასევე, თითოეული მოქალაქის კულტურული ფასეულობებით სარგებლობის უფლებას.[762]

[762] საქართველოს კანონი „კულტურის შესახებ“ მე-11 მუხლის პირველი ნაწილი. „1.ყოველ ადამიანს უფლება აქვს ეზიაროს კულტურულ ფასეულობებს, ისარგებლოს სახელმწიფო ბიბლიოთეკების, მუზეუმების, არქივების ფონდებით, კულტურული მოღვაწეობის სხვა შესაბამისი მასალებით კანონმდებლობის ფარგლებში.“

შრომის უფლება

შრომის უფლება ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას წარმოადგენს და ამ უფლების დაცვა ნებისმიერ დემოკრატიულ სახელმწიფოში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. შრომასთან დაკავშირებული უფლებები აღიარებული და დაცულია როგორც ქვეყნის უზენაესი კანონით – საქართველოს კონსტიტუციით, ისე საერთაშორისო ხელშეკრულებებით[763], საქართველოს ორგანული კანონით, „საქართველოს შრომის კოდექსი", „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონითა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

საქართველოს კონსტიტუციის 30–ე მუხლი იცავს ადამიანის შრომის უფლებას, ხოლო მისი მე-13 მუხლით დეკლარირებულია სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, მფარველობა გაუწიოს თავის მოქალაქეებს, განურჩევლად მათი ადგილსამყოფელისა[764], რაც სახელმწიფოს მხრიდან აქტიურ მოქმედებაში უნდა გამოიხატებოდეს. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება მოსამსახურეთათვის არა მხოლოდ სამართლებრივი გარანტიების მიცემაში გამოიხატება, არამედ მან პრაქტიკაში უნდა განახორციელოს ზემოაღნიშნული რეგულაციებით ნაკისრი ვალდებულებები.

1994 წლის 3 აგვისტოდან საქართველო წარმოადგენს 1966 წლის 16 დეკემბრის გაეროს „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ" საერთაშორისო პაქტის მონაწილე მხარეს, რომლის რატიფიცირების შედეგად სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, მიიღოს შესაბამისი ზომები შრომის უფლების დასაცავად, რომელიც მოიცავს თითოეული ადამიანის უფლებას, მოიპოვოს საარსებო სახსრები შრომით, რომელსაც თავისუფლად აირჩევს ან რომელზეც თანხმდება.[765]

საქართველოს კანონმდებლობით იკრძალება შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა

[763] ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, ევროპის სოციალური ქარტია და სხვ.
[764] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 13, პუნ.1.
[765] გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხლი 6, პუნ.1.

გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო.[766]

გარდა ზემოაღნიშნულისა, კანონმდებლობით აღიარებულია დამსაქმებლის ვალდებულება, უზრუნველყოს დასაქმებული სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო გარემოთი[767] და სრულად აუნაზღაუროს დასაქმებულს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით მიყენებული ზიანი და აუცილებელი მკურნალობის ხარჯები[768].

ასევე, უნდა აღინიშნოს შრომის უფლების დაცვის კუთხით 2014 წელს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები და დადებითი ტენდენციები, კერძოდ:

დადებითად უნდა შეფასდეს ორგანულ კანონში, „საქართველოს შრომის კოდექსი“ და კანონში, „საჯარო სამსახურის შესახებ“ 2013 წლის სექტემბერში შეტანილი ცვლილებები, რომლებიც ამოქმედდა 2014 წლის 1 იანვრიდან და რომლითაც გაიზარდა დასაქმებულის/მოსამსახურისთვის ორსულობისა და მშობიარობის გამო გათვალისწინებული შვებულების ხანგრძლივობა. ასევე გაიზარდა შვებულების ხანგრძლივობა ახალშობილის შვილად აყვანის გამო[769]. ცვლილებების შედეგად დასაქმებულის/მოსამსახურის შვებულების ხანგრძლივობა ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო 477 კალენდარული დღიდან გაიზარდა 730 დღემდე, ხოლო აქედან ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა 126–დან 183 კალენდარულ დღემდე. გარდა ამისა, გაიზარდა ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების ხანგრძლივობა 365–დან 550 კალენდარულ დღემდე, ხოლო აქედან ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა 70–დან 90 კალენდარულ დღემდე.

საქართველოს კანონიდან, „საჯარო სამსახურის შესახებ“, 2014 წლის 29 მაისს განხორციელებული ცვლილების საფუძველზე ამოღებულ იქნა მუხლი, რომლის მიხედვითაც 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების შემდეგ, ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა მოხელე ჩაითვლებოდა დროებით მოვალეობის შემსრულებლად და ისინი უფლებამოსილებას განახორციელებდნენ შესაბამისი თანამდებობის კონკურსის წესით შევსებამდე[770]. საქართველოს სახალხო დამცველი ზემოაღნიშნულ მუხლს მიიჩნევდა არაკონსტიტუციურად და მისი არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით სარჩელიც ჰქონდა შეტანილი საქართველოს

[766] საქართველოს შრომის კოდექსი, მუხ. 2, ნაწ. 3.
[767] საქართველოს შრომის კოდექსი, მუხ. 35, ნაწ. 1.
[768] საქართველოს შრომის კოდექსი, მუხ. 35, ნაწ. 6.
[769] საქართველოს შრომის კოდექსი, მუხ. 27; მუხ. 28, ასევე საჯარო სამსახურის შესახებ კანონი, მუხ. 41^1.
[770] საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, 2014 წლის 29 მაისი, მუხლი პირველი.

საკონსტიტუციო სასამართლოში, შესაბამისად მისასალმებელია, რომ სადავო ნორმა კანონიდან სასამართლოში საქმის განხილვამდე ამოიღეს. ამის მიუხედავად, პრობლემატურია საქართველოს ორგანულ კანონში – „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ მოქმედი ნორმები, რომლებითაც დადგინდა, რომ გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებს უფლებამოსილება შეუწყდათ ახალი გამგებლის/მერის არჩევისას (უფლებამოსილების დაწყებისას)[771]. აღნიშნული დანაწესის საფუძველზე, მოხელეები, რომლებიც სამსახურში განუსაზღვრელი ვადით იყვნენ მიღებულები და ჰქონდათ განუსაზღვრელი ვადით დასაქმების ლეგიტიმური მოლოდინი, ყოველგვარი ახსნა–განმარტებისა და დამატებითი საფუძვლის გარეშე გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან, რაც ლახავს მათ კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებას შრომაზე.

საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის ანგარიშში შრომის უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ ერთ–ერთ რეკომენდაციას, შრომის უსაფრთხო გარემოს მონიტორინგზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ინსტიტუციის შექმნის მიზნით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა წარმოადგენდა. საქართველოს პარლამენტის მიერ, 2014 წლის 1 აგვისტოს მიღებულ დადგენილებაში „2013 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე, აღინიშნა, რომ საქართველოს სახალხო დამცველის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების დროულად და ხარისხიანად შესრულებაზე მნიშვნელოვანწილად იქნება დამოკიდებული ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის მაღალი სტანდარტების დამკვიდრება. პარლამენტმა დაადგინა, რომ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უნდა შეექმნა შრომის უსაფრთხო გარემოს მონიტორინგისათვის პასუხისმგებელი სახელმწიფო ინსტიტუტი (შრომის ინსპექცია). გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 ივნისის N400 დადგენილებით დამტკიცდა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“, რომელშიც გამოყოფილია შრომის ბაზრის განვითარების ხელშეწყობის ქვეთავი, სადაც აღნიშნულია, რომ:

„შრომის ბაზრის განვითარების პროცესში მნიშვნელოვანია, რომ დასაქმებული არა მარტო სამუშაო ადგილით იყოს უზრუნველყოფილი, არამედ, ამავდროულად, მისი, როგორც დასაქმებულის, უფლებები იყოს მკაცრად დაცული და საქმიანობის შედეგად შრომის შესაბამისი ანაზღაურება მიიღოს, რაც მას ცხოვრების ნორმალური პირობებით უზრუნველყოფს. ამ მიმართულებით საქართველოს მთავრობა იზრუნებს შრომისა და დასაქმების სფეროში არსებული კანონმდებლობის შემდგომ სრულყოფასა და ევროპულ სტანდარტებთან გათანაბრებაზე. გარდა ამისა, არსებული რეალობის გათვალისწინებით,

[771] საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლები: 59.2 და 60.4.

საქართველოს მთავრობა ევროპული გამოცდილების შესაბამისად უზრუნველყოფს შრომითი უფლებების დაცვის მონიტორინგის ინსტიტუციური მექანიზმების შექმნას, რომლებიც დაიცავს დასაქმებულთა უფლებებს, ჰქონდეთ უსაფრთხო და შესაფერისი სამუშაო გარემო და სამუშაო პირობები, ასევე, ზედამხეველობას გაუწევს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებების დაცვას."

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივლისს მიღებულ N445 დადგენილებაში, „საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015 წლებისთვის) დამტკიცებისა და საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014–2015 წლებისთვის) საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ", ერთ–ერთ ამოცანად გაწერილია სწორედ შრომის უსაფრთხოების გაუმჯობესება და სამუშაო პირობების ინსპექტირების მექანიზმის ფორმირება, რომლის განხორციელებაზეც პასუხისმგებელ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ხოლო ვალდებულების შესრულების ვადად გაწერილია 2014–2015 წლები. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 თებერვლის N38 დადგენილებით დამტკიცდა შრომის პირობების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამა, რომლის მიზანსაც წარმოადგენს დამსაქმებლისთვის უსაფრთხო და ჯანსაღ სამუშაო გარემოს შექმნაში დახმარება. პროგრამის ფარგლებში ხდება მხოლოდ იმ დამსაქმებელთა შემოწმება, რომლებიც წერილობით თანხმობას განაცხადებენ ამ პროგრამაში ჩართვის შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროგრამა ვერ ჩაითვლება შრომის უსაფრთხოების გაუმჯობესებისა და სამუშაო პირობების ინსპექტირების მექანიზმად, ხოლო გამოვლენილი ტენდენციების საფუძველზე იკვეთება, რომ ზემოაღნიშნული ინსპექტირების მექანიზმის ფორმირების ვალდებულება შესაძლებელია დადგენილ ვადებში არ შესრულდეს.

მიუხედავად ზემოაღნიშნული დადებითი ტენდენციებისა და კანონმდებლობაში არსებული რეგულაციებისა, შრომასთან დაკავშირებული უფლებები კვლავ რჩება ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების ერთ–ერთ ყველაზე პრობლემურ სფეროდ, რასაც ადასტურებს საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ, შრომითი უფლების დარღვევასთან დაკავშირებით განხილული განცხადებების სიმრავლე. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის წინამდებარე თავში განხილული იქნება შრომის უფლების რეალიზების პრობლემა საჯარო სამსახურში, თვითმმართველი ერთეულებიდან და სხვა საჯარო სამსახურებიდან მოხელეთა დაუსაბუთებელ გათავისუფლებასთან, შრომის უსაფრთხოებასა და შრომითი მოვალეობების შესრულებისას დაზარალებულ პირთა უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებული საკითხები.

საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო პოლიტიკა

შრომისა და დასაქმების სფეროში საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო კონვენციების მოთხოვნათა შესრულების, ქვეყნის შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების, სამუშაო ძალის დასაქმების ხელშეწყობისა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგია და სტრატეგიის რეალიზაციის სამოქმედო გეგმა[772]. აღნიშნული სამოქმედო გეგმის მიხედვით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაევალა „საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2015-2018 წლების სამოქმედო გეგმით“ განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელების კოორდინაცია, მონიტორინგი და მათი შესრულების მდგომარეობის შესახებ ანგარიშების საქართველოს მთავრობისადმი წარდგენა[773].

ამასთან, საქართველოს მთავრობამ 2014 წლის 26 დეკემბერს, #721 დადგენილებით დაამტკიცა „საქართველოში უწყვეტი პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის საყოველთაოდ ხელმისაწვდომი მომსახურების განვითარების კონცეფციისა და მისი განხორციელების 2015-2017 წლების სამოქმედო გეგმა“. აღნიშნული დადგენილებით შეიქმნა სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისი დოკუმენტი, რომელშიც ასახულია პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების განვითარების ზოგადი ხედვა და კონცეპტუალური მიდგომები, არსებული პრობლემების პრიორიტეტიზაციის საფუძველზე მათი მოგვარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი პერსპექტივები და მათ მოგვარებაში სახელმწიფო სტრუქტურების როლი[774].

აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოში შეიქმნა დასაქმების პროგრამების დეპარტამენტი, რომელმაც განახორციელა პროექტი – შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემა – worknet.gov.ge, რომელიც წარმოადგენს სამუშაოს მაძიებელთა, დამსაქმებელთა, ვაკანსიების, საგანმანათლებლო პროგრამებისა და მიმწოდებელთა მონაცემთა ბაზას. დღეისათვის – worknet.gov.ge-ზე შესაძლებელია, მხოლოდ სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაცია. სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო ახორციელებს სამუშაოს მაძიებელთა მომსახურებას 10

[772] „საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2015-2018 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ №199 დადგენილება, საქართველოს მთავრობა, 2013 წლის 2 აგვისტო.
[773] იგივე, მუხლი 1.6.
[774] „საქართველოში უწყვეტი პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის საყოველთაოდ ხელმისაწვდომი მომსახურების განვითარების კონცეფციისა და მისი განხორციელების 2015-2017 წლების სამოქმედო გეგმა“ საქართველოს მთავრობა, 2014 წელი, 26 დეკემბერი N721 დადგენილება, გვ.2.

რეგიონულ ოფისსა და 69 რაიონულ ცენტრში, სადაც მომუშავე სპეციალისტები სამუშაოს მაძიებლებს სთავაზობენ ზოგად კონსულტირებას შემდეგ თემებზე: სამუშაოს მოძიების ტექნიკები, თვითშეფასება, რეზიუმეს და სამოტივაციო წერილის მომზადება და დასაქმების მიზნით გასაუბრებისთვის მომზადება.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის მოწოდებული ინფორმაციით[775] ირკვევა, რომ სისტემაში სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაცია დაიწყო 2013 წლის 25 დეკემბრიდან. დღეისათვის სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაციის ერთიან სისტემაში – worknet.gov.ge-ზე რეგისტრირებულია 34 356 სამუშაოს მაძიებელი. სააგენტო მოემსახურა 17 716 მაძიებელს, რეგისტრაციაზე კონსულტირება გაეწია 29 755 მოქალაქეს. სამუშაოს მაძიებლად რეგისტრაციაზე უარი განაცხადა 8 054–მა მაძიებელმა.

მიღებული ინფორმაციით ასევე ირკვევა, რომ სააგენტოს ყველა ტერიტორიული ერთეული ეწევა საშუამავლო მომსახურებას. აღნიშნული მომსახურების თაობაზე ინფორმაცია მიეწოდა 5 176 დამსაქმებელს, თანამდებობაზე თანხმობა განაცხადა 645–მა დამსაქმებელმა, ვაკანსიები სააგენტოს მიაწოდა 243 დამსაქმებელმა, მიწოდებული ვაკანსიების რაოდენობაა – 1 922, ვაკანსიებზე გაიგზავნა 1 776 სამუშაოს მაძიებელი. საშუამავლო მომსახურების გაწევის შედეგად დასაქმდა 407 სამუშაოს მაძიებელი, მათ შორის 12 შშმ პირი. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, ინფრასტრუქტურულ პროექტებში დროებით დასაქმდა 12 809 სამუშაოს მაძიებელი.

გარდა აღნიშნულისა, ირკვევა, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ, სამოქმედო გეგმის შესაბამისად, 2014 წელს სამუშაოს მაძიებლებს ჯგუფური კონსულტაცია ჩაუტარა ქვეყნის მასშტაბით ყველა მუნიციპალიტეტსა და მსხვილ სოფელში. კონსულტაციას სულ დაესწრო 5 422 სამუშაოს მაძიებელი, მათ შორის 113 პრობაციონერი, 24 შშმ პირი.

შრომის უფლება საჯარო სამსახურში

საქართველოში მოქმედ ერთ–ერთ მნიშვნელოვან შიდასახელმწიფოებრივ აქტს, რომლითაც დადგენილია საჯარო მოხელეთა შრომით–სამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი წარმოადგენს. სწორედ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი ანიჭებს საჯარო სამართლებრივ კომპეტენციას საჯარო მოსამსახურეებს და იმავდროულად, განსაზღვრავს საჯარო მოსამსახურეთა უფლებებსა და გარანტიებს.

[775] სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს წერილი N04/831109.02.2015.

2014 წლის საანგარიშო პერიოდში ყოფილი საჯარო მოხელეების დაკავებული თანამდებობებიდან გათავისუფლების და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების კანონიერების საკითხის შესწავლის მოთხოვნით წარმოდგენილი მომართვებისა და „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე–12 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში შესწავლილი საქმეების ანალიზი ცხადყოფს, რომ ხშირ შემთხვევაში, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შესაბამისი უფლებამოსილი პირების მხრიდან, ადგილი აქვს დაკავებული თანამდებობებიდან საჯარო მოხელეების უკანონო გათავისუფლებას და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაუსაბუთებლად დაკისრებას.

სამსახურიდან გათავისუფლება დაწესებულების რეორგანიზაციისას, რომელსაც თან არ სდევს შტატების შემცირება

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–10 თავით დადგენილია საჯარო სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლები, რომელთაგან ერთ–ერთს წარმოადგენს დაწესებულების შტატებით გათვალისწინებული თანამდებობის შემცირება.[776]

2014 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ყოფილ საჯარო მოხელეთა მიერ წარმოდგენილი საჩივრების შესწავლის შედეგად, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მხრიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97–ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით მოხელეთა გათავისუფლებისას გამოვლინდა მთელი რიგი სამართლებრივი დარღვევები, მათ შორის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ბრძანებების საფუძველზე განხორციელდა დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების რეორგანიზაცია, რომელსაც თან ახლდა შტატების შემცირება, რის გამოც კონკრეტული საჯარო მოხელეები გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან. თუმცა, რეორგანიზაციამდე მოქმედი და რეორგანიზაციის შემდგომ დამტკიცებული საშტატო ნუსხათა ურთიერთშედარებისას გამოიკვეთა, რომ ზოგიერთი მოხელის მიერ რეორგანიზაციამდე დაკავებული საშტატო თანამდებობა რეორგანიზაციის შემდგომ არ შემცირებულა ან რეორგანიზაციამდე კონკრეტული საშტატო ერთეულისთვის გათვალისწინებული ფუნქციები რეორგანიზაციის შემდგომ არ შეცვლილა. მიუხედავად აღნიშნულისა, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97–ე მუხლის საფუძველზე განხორციელებული დაწესებულების რეორგანიზაცია გახდა კონკრეტული მოხელეების სამსახურიდან გათავისუფლების ფორმალური საფუძველი. დაწესებულების რეორგანიზაცია არ ქმნის მოხელეთა დაკავებული თანამდებობებიდან გათავისუფლების საფუძველს. მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლება შესაძლებელია,

[776] „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 97, პუნ. 1.

როდესაც დაწესებულების რეორგანიზაციას თან სდევს დაწესებულების შტატებით გათვალისწინებული თანამდებობების შემცირება.[777] სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები მიეკუთვნებიან ადმინისტრაციულ ორგანოებს,[778] რომელთა მიერ საჯარო მოხელის გათავისუფლებასთან დაკავშირებით მიღებული ბრძანებები[779] წარმოადგენენ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტებს, რომლებიც თავის მხრივ, უნდა პასუხობდნენ „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ IV თავით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საქმეთა შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ საჯარო სამსახურში რეორგანიზაციის შედეგად შტატების შემცირების შემთხვევაში „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97–ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით მოხელეთა გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, ადმინისტრაციული ორგანოები არ შეისწავლიან საჯარო მოხელეების უნარ–ჩვევებისა და პიროვნული თვისებების შესაბამისობას დაკავებული თანამდებობისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან და არ ასაბუთებენ, თუ რატომ მიენიჭა უპირატესობა იმავე რანგის და მსგავსი თანამდებობის სხვა სპეციალისტს სამსახურში დატოვებისას. ამასთან, ხშირ შემთხვევაში მხოლოდ თანამდებობის დასახელება იცვლება, შტატების რაოდენობა და მათთვის გათვალისწინებული უფლება–მოვალეობები კი იგივე რჩება, შესაბამისად არ არსებობს რეორგანიზაციის საფუძვლით საჯარო მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლების კანონით დადგენილი საფუძველი და ადგილი აქვს მისი უფლებების უკანონო ხელყოფას. საანგარიშო პერიოდში დამკვიდრებული მსგავსი პრაქტიკით ადმინისტრაციული ორგანოები უგულებელყოფენ „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ დეკლარირებულ კანონის უზენაესობის პრინციპს,[780] რომლის თანახმად, უფლება არა აქვთ კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელონ რაიმე სახის ქმედება.

2014 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საქმეთა შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97–ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით საჯარო მოხელეები დაკავებული თანამდებობიდან დაუსაბუთებლად გათავისუფლდნენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროდან,

---

[777] საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, მუხ. 96 და მუხლის 97, პუნ.1.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–2 მუხლის პირველის ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე, ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.
[778] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხ. 2, ნაწ. პირველი, ქპ „ა“.
[779] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხ. 2, ნაწ. პირველი, ქპ. „დ“.
[780] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხ. 5, ნაწ. 1.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან, ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან და რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიიდან. შესაბამისად, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21–ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს სახალხო დამცველმა ზემოაღნიშნულ ორგანოებს მიმართა რეკომენდაციებით, და მოითხოვა მოქალაქეთა დარღვეული უფლებების აღდგენა. სამწუხაროდ აღნიშნული რეკომენდაციები არ გაუთვალისწინებიათ.

მოქალაქე თ. მ.–ს საქმე

საქართველოს სახალხო დამცველმა შეისწავლა მოქალაქე თ. მ.–ს საქმე, რომელიც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში განხორციელებული სტრუქტურული რეორგანიზაციის საფუძველზე, შტატების შემცირების მოტივით, 2013 წლის 10 დეკემბერს გათავისუფლდა ადმინისტრაციის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობიდან.

სახალხო დამცველმა საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ დაწესებულების რეორგანიზაციის შედეგად[781], სტრუქტურული ერთეულის მხოლოდ ორგანიზაციული ფორმა და დასახელება შეიცვალა და საშტატო განრიგით კვლავ დამტკიცდა სამმართველოს უფროსის თანამდებობა.[782]

საქართველოს სახალხო დამცველმა აღნიშნულ საქმეზე დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა მოქალაქის, თ. მ.–ს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული შრომის უფლების დარღვევას, კერძოდ მისი დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება არ შეიცავდა დასაბუთებას, თუ რატომ გათავისუფლდა თ. მ. დაკავებული თანამდებობიდან მაშინ, როცა სტრუქტურული ერთეულის მხოლოდ ორგანიზაციული ფორმა და დასახელება შეიცვალა და მის მიერ დაკავებული შტატი რეალურად არ შემცირებულა (გაუქმებულა). საქართველოს სახალხო დამცველმა 2014 წლის 26 მარტს რეკომენდაციით მიმართა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მოქალაქის დარღვეული უფლებების აღდგენის თაობაზე. სამწუხაროდ რეკომენდაცია არ გაუთვალისწინებიათ.

---

[781] რეორგანიზაცია განიცადა სამინისტროს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა, რომლიც ჩამოყალიბდა „ადმინისტრაციულ და იურიდიულ საკითხთა სამმართველოდ“.

[782] ადმინისტრაციულ დეპარტამენტში არსებობდა 8 საშტატო ერთეული და სამმართველოდ რეორგანიზებულ სტრუქტურულ დანაყოფში განისაზღვრა 9 საშტატო ერთეული, შემცირდა მხოლოდ 3 - მთავარი სპეციალისტის საშტატო ერთეული.

მოქალაქე ვ. გ.–ს საქმე

საქართველოს სახალხო დამცველს, რუსთავის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის სპეციალისტის თანამდებობიდან გათავისუფლების კანონიერების შესწავლასთან დაკავშირებით განცხადებით მიმართა მოქალაქე ვ.გ.–მ.

მოქალაქე ვ.გ. დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 13 აგვისტოს №750 ბრძანებით, დაწესებულების ლიკვიდაციის საფუძვლით.

ვ.გ.–ს დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების ბრძანების გამოცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოებისას სათანადოდ არ გამოკვლეულა და შეფასებულა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში დღემდე არსებობს როგორც სტრუქტურული, ისე საშტატო ერთეული, სადაც განმცხადებელი მუშაობდა და რეალურად სამსახურის ლიკვიდაციას ადგილი არ ჰქონია, არამედ შეიცვალა სამსახურის დასახელება, კერძოდ, სამსახურის დასახელებას დაემატა სიტყვა „მუნიციპალიტეტი“ და დაერქვა რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური.

მოცემულ შემთხვევაში, სამსახურის ლიკვიდაციის საფუძვლით საჯარო მოხელე დაკავებული თანამდებობიდან მხოლოდ სამსახურის ლიკვიდაციის შემთხვევაში შეიძლებოდა გათავისუფლებულიყო, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ყველა არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებისა და ფაქტის შესწავლის შედეგად შესაბამისი დასაბუთებული ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის მიღებით, რასაც ვ. გ.–ს შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დადგინდა, რომ ბრძანება ვ. გ–ს დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე, ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს და არღვევს განმცხადებლის შრომის უფლებებს.

საქართველოს სახალხო დამცველმა 2014 წლის 2 ოქტომბერს რეკომენდაციით მიმართა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერს მოქალაქის დარღვეული უფლებების აღდგენის თაობაზე. სამწუხაროდ რეკომენდაცია არ იქნა გათვალისწინებული.

სამსახურიდან გათავისუფლება დისციპლინური გადაცდომისათვის

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99–ე მუხლით გათვალისწინებულია დისციპლინური გადაცდომისათვის მოხელის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესაძლებლობა. ამავე კანონით განსაზღვრულია როგორც დისციპლინური

გადაცდომის,[783] ასევე დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები,[784] რომელთა გამოყენებაც, ცალსახად ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს[785].

ამასთანავე, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს უფლებამოსილი პირის ვალდებულებაა, დისციპლინური გადაცდომისათვის მოხელის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის წერილობით დასაბუთებაში მიუთითოს ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოცემისას.[786]

სამწუხაროდ, რიგ ადმინისტრაციულ ორგანოებში, მოხელეთა დაკავებული თანამდებობებიდან გათავისუფლებაზე უფლებამოსილი პირების მხრიდან უგულებელყოფილია კანონმდებლობის მოთხოვნები, კერძოდ, არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებებისა და ფაქტობრივი წინამძღვრების გამოკვლევის გარეშე და შესაბამის დოკუმენტაციაში მათ აუსახავად მიიღეს დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებები საჯარო მოხელეთათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისა და აღნიშნულის საფუძველზე მათი გათავისუფლების შესახებ, რომელმაც ხელყო საჯარო მოხელეთა კანონით დაცული უფლებები.

2014 წლის საანგარიშო პერიოდში შესწავლილ საქმეთაგან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ყოფილ თანამშრომელთა გათავისუფლების ბრძანებებისა და აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტების გამოცემისას ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების გამოკვლევის შედეგად, გამოიკვეთა დისციპლინური გადაცდომისათვის მოხელეთა დაკავებული თანამდებობებიდან დაუსაბუთებლად გათავისუფლების შემთხვევები.

კერძოდ, ზემოაღნიშნული უწყებების მიერ მოხელეთა გათავისუფლების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტების გამოცემისას, უგულებელყოფილ იქნა „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 96–ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო

---

[783] საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 78.

[784] საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 79.

[785] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად დისკრეციული უფლებამოსილება არის უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.

[786] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხ.53, ნაწ. 4.

ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ყოფილ საჯარო მოხელეთა მომართვების განხილვის შედეგებით დასტურდება, რომ ზემოაღნიშნულმა ადმინისტრაციულმა ორგანოებმა არ გამოიკვლიეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა ის გარემოება, რომლითაც დადასტურდებოდა კონკრეტული საჯარო მოხელის მიერ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენა. ცალკეულ შემთხვევებში, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ასევე დაადგინა, რომ ყოფილ საჯარო მოხელეებს ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული ორგანოების უფლებამოსილი თანამდებობის პირების ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტებით, ისე შეეფარდათ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური სახდელები, რომ მათ მიერ კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის ფაქტი შესაბამისი მტკიცებულებებით არ დადასტურებულა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველმა, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს კანონის 21–ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიმართა რეკომენდაციებით და მოითხოვა დარღვეული უფლებების აღდგენა. სამწუხაროდ აღნიშნული რეკომენდაციები არ გაუთვალისწინებიათ.

მოქალაქე ჯ. ვ.–ს საქმე

საქართველოს სახალხო დამცველს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საზღვრის დაცვის N3 რეგიონული სამმართველოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლების კანონიერების შესწავლის მიზნით განცხადებით მიმართა მოქალაქე ჯ. ვ.–მ.

მოქალაქე ჯ. ვ. დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა შსს–ს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 9 თებერვლის N60 ბრძანებით, იმ მოტივით, რომ ის არ შეეფერებოდა დაკავებულ თანამდებობას, არ გააჩნდა დაკისრებული მოვალეობების სათანადო ცოდნა და არ უწევდა სათანადო კონტროლს მის დაქვემდებარებაში მყოფ თანამშრომლებს.

შსს–ს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტმა ჯ.ვ.–ს გათავისუფლების ბრძანების გამოცემისას არ გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რომლითაც დადგინდებოდა, თუ რაში გამოიხატებოდა ჯ.ვ.–ს მხრიდან დაკისრებული მოვალეობების სათანადო ცოდნის უქონლობა ან მის დაქვემდებარებაში მყოფ თანამშრომლებზე სათანადო

კონტროლის გაუწევლობა (საქმეში არ მოიპოვება ჯ.ვ.–ს მიერ მსგავსი ქმედების ჩადენის დამადასტურებელი დოკუმენტი).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილიდან გამომდინარე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი) უფლებამოსილი არ იყო თავისი გადაწყვეტილება დაეფუძნებინა იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. ჯ.ვ. დაკავებული თანამდებობიდან მხოლოდ ყველა არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებისა და ფაქტის შესწავლის შემდეგ და გადაწყვეტილების შესაბამის დასაბუთებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახვით შეიძლებოდა გათავისუფლებულიყო, რაც არ მომხდარა, ამით კი შეილახა მოქალაქე ჯ.ვ.–ს უფლებები.

2014 წლის 15 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა მოქალაქე ჯ. ვ.–ს დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების შესწავლის მოთხოვნით რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს. სამწუხაროდ რეკომენდაცია არ გაუთვალისწინებიათ.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან პირადი განცხადების და რეორგანიზაციის საფუძვლით მოხელეთა მასობრივი გათავისუფლება

2014 წლის საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან თანამშრომელთა მასობრივი გათავისუფლების, თვითმმართველ ერთეულებში ჩატარებული რეორგანიზაციებისა და თანამშრომელთა ატესტაციების ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები. აღნიშნული მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა სხვადასხვა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოდან გამოითხოვა ინფორმაცია, არჩევნების შემდეგ გათავისუფლებულ მოხელეთა რაოდენობისა და მათი გათავისუფლების საფუძვლების შესახებ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში გავრცელებულია პრაქტიკა, რომლის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილი პირები საჯარო მოხელეებს სთხოვდნენ საკუთარი ინიციატივით დაეწერათ განცხადებები დაკავებული

თანამდებობებიდან გათავისუფლების შესახებ, რაც უმეტეს შემთხვევაში, გახდა კიდეც მათი დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების ფორმალური საფუძველი.[787]

2014 წლის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველს არაერთმა ყოფილმა საჯარო მოხელემ მიმართა. ისინი წარმოდგენილ საჩივრებში აღნიშნავდნენ, რომ დაკავებული თანამდებობებიდან გათავისუფლების შესახებ განცხადებები მათ ზემდგომი თანამდებობის პირების მოთხოვნით დაწერეს. ზოგიერთ განცხადებაში ყოფილი საჯარო მოხეელები ასახელებდნენ კონკრეტულ თანამდებობის პირებს, რომელთა მხრიდან მათ მიმართ ხორციელდებოდა ფსიქოლოგიური ზეწოლა, რათა საკუთარი განცხადების საფუძველზე დაეტოვებინათ დაკავებული თანამდებობები. ვინაიდან, წარმოდგენილ განცხადებებში აღნიშნული ფაქტები სავარაუდოდ შეიცავდნენ „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით“ გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, მსგავსი ტიპის განცხადებები თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად შემდგომი რეაგირებისათვის საქართველოს მთავარ პროკურატურას გადაუგზავნა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რამდენიმე შემთხვევაში, საქართველოს მთავარი პროკურატურის მხრიდან დაიწყო გამოძიება საჯარო მოხელის მიმართ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, განხორციელებული დევნის[788] და შრომის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებზე.[789] ამ დროისათვის საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, რიგ შემთხვევებში გამოძიება გრძელდება, ხოლო, რამდენიმე საქმეზე შეწყდა სს გამოძიება დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–12 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში შესწავლილი საქმეების ანალიზის თანახმად, გაირკვა, რომ 2014 წლის განმავლობაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან ადგილი ჰქონდა პირადი განცხადების ან დაწესებულების რეორგანიზაციის (რომელსაც თან ახლავს შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირება) საფუძვლით მოხელეთა მასობრივ გათავისუფლებებს. სახელმწიფოში უმუშევრობის მაღალი დონის გათვალისწინებით, ლეგიტიმურ კითხვებს ბადებს საბიუჯეტო დაწესებულებებში საკუთარი ინიციატივით სამსახურიდან გათავისუფლებების მასობრივი ხასიათი.

2014 წელს პირადი განცხადების საფუძველზე თანამშრომელთა მასობრივი გათავისუფლების ტენდენცია იკვეთება თბილისის მუნიციპალიტეტში, სადაც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების შემდეგ პირადი განცხადების საფუძველზე

[787] საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 95–ე მუხლი ითვალისწინებს მოხელის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესაძლებლობას პირადი ინიციატივის საფუძველზე.
[788] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 156, ნაწ.2 ქპ. „ბ“.
[789] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 169.

გათავისუფლდა 312 თანამშრომელი. მოხელეთა პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლების შემთხვევები გვხვდება სხვა მუნიციპალიტეტებშიც.[790]

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, ადგილობრივი თვითმმართველობის არაერთ ორგანოში ჩატარდა რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის პროცესი. საქართველოს სახალხო დამცველმა სხვადასხვა მუნიციპალიტეტებიდან გამოითხოვა რეორგანიზაციის ჩატარების შესახებ მიღებული აქტები, რეორგანიზაციამდე მოქმედი და რეორგანიზაციის შემდეგ დამტკიცებული საშტატო ნუსხები და ინფორმაცია რეორგანიზაციის/ლიკვიდაციის საფუძვლით გათავისუფლებულ თანამშრომელთა რაოდენობის შესახებ.

ამ შემთხვევაშიც საკმაოდ მაღალია რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შედეგად მუნიციპალიტეტებიდან გათავისუფლებულ მოხელეთა რაოდენობა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს რამდენიმე მუნიციპალიტეტი, რომლებშიც იკვეთება აღნიშნული საფუძვლით თანამშრომელთა მასობრივი გათავისუფლების ტენდენციები, კერძოდ, 2014 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ლიკვიდაციის საფუძვლით გორის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან გათავისუფლდა 313 საჯარო მოხელე (ლიკვიდაციის შემდეგ ახლადშექმნილ მუნიციპალიტეტში აღნიშნული 313 საჯარო მოხელისგან დასაქმდა მხოლოდ 97); მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან ლიკვიდაციის საფუძველზე გათავისუფლდა 86 საჯარო მოხელე; სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან ლიკვიდაციის საფუძველზე გათავისუფლდა 53 საჯარო მოხელე; ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან, ტერიტორიული ორგანოს ლიკვიდაციის საფუძველზე – 37 საჯარო მოხელე; შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან, ტერიტორიული ორგანოს ლიკვიდაციის საფუძველზე – 74

---

[790] 2014 წელს მესტიის მუნიციპალიტეტიდან პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა 5 საჯარო მოხელე; ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან – 1 საჯარო მოხელე; წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან – 1 საჯარო მოხელე; ბათუმის მუნიციპალიტეტიდან – 2 საჯარო მოხელე; ფოთის მუნიციპალიტეტის მერიიდან – 3 საჯარო მოხელე; ახალქალაქის მუნიციპალიტეტიდან – 1 საჯარო მოხელე; საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობიდან – 5 საჯარო მოხელე; ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან – 5 საჯარო მოხელე; ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან – 4 საჯარო მოხელე; გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან – 3 საჯარო მოხელე; ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან – 2 საჯარო მოხელე; ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიიდან – 8 საჯარო მოხელე; თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობიდან – 2 საჯარო მოხელე; დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობიდან – 9 საჯარო მოხელე; ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან – 3 საჯარო მოხელე; დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან – 3 საჯარო მოხელე; შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან – 1 საჯარო მოხელე; ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან – 1 საჯარო მოხელე; ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან – 2 საჯარო მოხელე; კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან – 6 საჯარო მოხელე.

საჯარო მოხელე; ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან გათავისუფლდა 51 საჯარო მოხელე; ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან რეორგანიზაციის საფუძველზე გათავისუფლდა 44 საჯარო მოხელე; ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან, ტერიტორიული ორგანოს ლიკვიდაციის საფუძველზე – 46 საჯარო მოხელე; ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან, ტერიტორიული ორგანოს ლიკვიდაციის საფუძველზე – 37 საჯარო მოხელე; დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან რეორგანიზაციის საფუძველზე გათავისუფლდა 40 საჯარო მოხელე. აღნიშნული საფუძვლით მოხელეები გათავისუფლდნენ სხვა მუნიციპალიტეტებშიც.[791]

ქვეყანაში არსებული დასაქმების პრობლემის გათვალისწინებით, ზემოაღნიშნული ინფორმაციის ანალიზი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს საჯარო მოხელეთა მხრიდან, საკუთარი ინიციატივით დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, მათ მიერ გამოხატული ნების ნამდვილობას და ამ ნების საფუძველზე, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან მათი გათავისუფლების შესახებ მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტების კანონიერებას.

---

[791] ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან ტერიტორიული ორგანოების და წარმომადგენლების შტატების გაუქმების გამო გათავისუფლდა 73 საჯარო მოხელე;
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობიდან ტერიტორიული ორგანოების და წარმომადგენლების შტატების გაუქმების გამო გათავისუფლდა 73 საჯარო მოხელე;
ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან ტერიტორიული ორგანოს ლიკვიდაციის საფუძველზე გათავისუფლდა 19 საჯარო მოხელე;
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან ტერიტორიული ორგანოების გაუქმების გამო გათავისუფლდა 32 საჯარო მოხელე;
ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან გათავისუფლდა 26 საჯარო მოხელე.
სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან გათავისუფლდა 1 საჯარო მოხელე.
რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიიდან გათავისუფლდა 9 საჯარო მოხელე;
ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან გათავისუფლდა 7 საჯარო მოხელე;
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან გათავისუფლდა 7 საჯარო მოხელე;
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობიდან გათავისუფლდა 1 საჯარო მოხელე;
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობიდან გათავისუფლდა 29 საჯარო მოხელე;
გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან გათავისუფლდა 5 საჯარო მოხელე;
კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან გათავისუფლდა 20 საჯარო მოხელე;
წალკის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან გათავისუფლდა 2 საჯარო მოხელე;
ქუთაისის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან გათავისუფლდა 27 საჯარო მოხელე;
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობიდან გათავისუფლდა 1 საჯარო მოხელე;
ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან გათავისუფლდა 6 საჯარო მოხელე.

უნდა აღინიშნოს, რომ ხელმძღვანელთა მითითებით დაკავებული თანამდებობებიდან გათავისუფლების შესახებ განცხადებების დაწერა წარმოადგენს წლების განმავლობაში დამკვიდრებულ მანკიერ პრაქტიკას. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული განცხადებების დასაწერად ყოველთვის არ გამოიყენება იძულება, ხშირ შემთხვევაში მოხელეებს სიტყვიერი დაპირება ეძლევათ, რომ მათ აუცილებლად დანიშნავენ სხვა თანამდებობებზე, თუმცა მოხელეს არ აქვს გარანტია, რომ სხვა თანამდებობაზე გადაიყვანენ და პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში ის უსამსახუროდ რჩება. აღნიშნულის განმაპირობებელ ერთ–ერთ გარემოებას წარმოადგენს მოხელეთა დაბალი ინფორმირებულობა საკუთარი უფლებების თაობაზე. გარდა ამისა, ქვეყანაში საჯარო მოხელეების დაცულობის დაბალი სტანდარტების არსებობა ხელს უშლის ქვეყანაში ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერებას, მდგრადი ინსტიტუტებისა და ინსტიტუციური მეხსიერების ჩამოყალიბებას. უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განცდის არარსებობა, პოლიტიკურ ცვლილებებთან ასოცირებული სამსახურის დაკარგვის შიში კი მნიშვნელოვნად ამცირებს შრომის ნაყოფიერებას.

ამდენად, უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის განმავლობაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მხრიდან, ხშირ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი რეგულაციებით ნაკისრი ვალდებულებების უგულებელყოფას და ადამიანის უმნიშვნელოვანესი სოციალურ–ეკონომიკური უფლების – შრომის უფლების დარღვევას.

საქართველოს სახალხოდ დამცველს ასევე მიმართეს სხვა სახელმწიფო ორგანოებიდან გათავისუფლებულმა მოქალაქეებმა, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ მათ დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე განცხადება დაწერეს არა საკუთარი ნებით, არამედ მათზე განხორციელებული ზეწოლის შედეგად. აღნიშნული განცხადებები შემდგომი რეაგირებისთვის საქართველოს მთავარ პროკურატურას გადაეგზავნა.

მოქალაქე ნ.ბ.–ს საქმე

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა მოქალაქე ნ.ბ.–ს განცხადება. განმცხადებლის განმარტებით, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N19 დაწესებულების უფროსის მოადგილემ, გ.პ.–მ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N19 დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ინსპექტორი (კონტროლიორი) ნ.ბ. აიძულა საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ დაეწერა პატაკი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ.

2014 წლის 6 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ზემოაღნიშნულ ფაქტზე შემდგომი რეაგირებისთვის საქართველოს მთავარ პროკურატურას მიმართა . საქართველოს მთავარმა პროკურატურამ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს აცნობა, რომ

აპარატის წერილი, თანდართულ მასალებთან ერთად, განსახილველად გადაეგზავნა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტს.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის წერილით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ მოქალაქე ნ.ბ. სამსახურიდან გათავისუფლდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის ბრძანებით, რასაც საფუძვლად უდევს მისივე პირადი პატაკი.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის ცნობილია, რომ არსებობს მოქალაქე ნ.ბ.–ს პატაკი, რომლითაც ამ უკანასკნელმა მოითხოვა სამსახურიდან გათავისუფლება. თუმცა, მოქალაქე, სწორედ იმაზე აპელირებდა, რომ აღნიშნული პატაკი არ წარმოადგენდა მისი თავისუფალი ნების გამოხატულებას და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N19 დაწესებულების უფროსის მოადგილის, გ.პ.–ს მიერ უკანონო ზემოქმედების, იძულების შედეგად დაიწერა. საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ სასჯელაღსრულების დეპარტამენტში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წერილის გადაგზავნა და შესაბამისად, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ზემოაღნიშნული წერილით მოწოდებული ინფორმაცია, არ წარმოადგენდა შესაძლო დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შედეგად საგამოძიებო ორგანოს მიერ განხორციელებულ ქმედით ღონისძიებას.

2014 წლის 18 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველმა, მოქალაქე ნ.ბ.–ს მიმართ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N19 დაწესებულების უფროსის მოადგილის, გ.პ.–ს მიერ განხორციელებულ შესაძლო დანაშაულებრივ ფაქტზე გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებით, წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს.

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ საქართველოს სახალხო დამცველს აცნობა, რომ მოქალაქე ნ. ბ.–ს მიმართ რაიმე სახის კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელების ფაქტი არ დადასტურდა, რის გამოც განცხადებაში მითითებულ გარემოებებთან დაკავშირებით გამოძიება არ დაწყებულა.

შპს „საქართველოს ფოსტიდან“ გათავისუფლებული პირების შრომის უფლება

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს სახალხო დამცველმა შეისწავლა შპს „საქართველოს ფოსტიდან“ გათავისუფლებული პირების გათავისუფლების კანონიერების საკითხი „საქართველოს ფოსტის“ გაერთიანებულ პროფკომიტეტის თავმჯდომარის განცხადების საფუძველზე. განცხადებით ირკვეოდა, რომ შპს „საქართველოს ფოსტადან“ ხელშეკრულების ვადის გასვლის საფუძვლით 120-ზე მეტი პირი იყო გათავისუფლებული. საქართველოს

სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა გათავისუფლებული პირების შრომის უფლების დარღვევას.

საქართველოს სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ დაირღვა შპს „საქართველოს ფოსტის“ ადმინისტრაციას, საქართველოს კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფესიულ კავშირსა და შპს „საქართველოს ფოსტის“ გაერთიანებულ პროფკომიტეტს შორის გაფორმებული კოლექტიური შეთანხმება. აღნიშნული შეთანხმების თანახმად, დასაქმებულებს გაფორმებული ჰქონდათ ხანგრძლივვადიანი ხელშეკრულებები. ამავე კოლექტიური ხელშეკრულებით, მხარეებს შეთანხმების ვადის გასვლამდე უფლება არ ჰქონდათ ცალმხრივად შეეცვალათ ან შეეწყვიტათ მასში შეტანილი ვალდებულებები, ხოლო მხარეთა ურთიერთშეთანხმებით შეტანილ ცვლილებებს არ უნდა გაეუარესებინა მუშაკთა შრომითი პირობები. შესაბამისად, დაუშვებელი იყო მოცემული შეთანხმების დებულებების ცალმხრივად შეცვლა. თუმცა, შპს „საქართველოს ფოსტის“ გენერალური დირექტორის 2012 წლის 27 ნოემრის N15-01/120 ბრძანების თანახმად, შევიდა ცვლილება შპს „საქართველოს ფოსტას“ მიერ გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში და გაფორმებული გრძელვადიანი შრომითი ხელშეკრულებების ნაცვლად, საქართველოს ფოსტის თანამშრომლებს გაუფორმდათ ახალი ერთთვიანი შრომითი ხელშეკრულებები, ხოლო, დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის პრეტენზიების არარსებობის შემთხვევაში, ხელშეკრულების ვადის გასვლისას ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდებოდა ავტომატურად ერთი თვით ყოველ ჯერზე.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეაფასა აღნიშნული ხელშეკრულებები, როგორც ვადიან ისე უვადო ხელშეკრულების ჭრილში. აპარატის მოსაზრებით, ახალი ხელშეკრულებები არ წარმოადგენენ საქართველოს ორგანული კანონით, „საქართველოს შრომის კოდექსით“ გათვალისწინებულ ტიპიურ ვადიან ან უვადო ხელშეკრულებას და შეიცავენ ორივე ტიპის ხელშეკრულებისთვის დამახასიათებელ ნიშნებს. კერძოდ: ვადიანი ხელშეკრულების არსებობის პირობებში, ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს ვადის გასვლა და ხელშეკრულების შეწყვეტისთვის დამსაქმებელს არ სჭირდება დასაქმებულთან რაიმე პრეტენზიის არსებობა, ხოლო უვადო ხელშეკრულების შემთხვევაში შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ორგანული კანონის, „საქართველოს შრომის კოდექსის“ 37–ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლებით[792] და მხოლოდ დამსაქმებლის პრეტენზიის არსებობა არ არის საკმარისი.

[792] საქართველოს ორგანული კანონის – „საქართველოს შრომის კოდექსი“ 37–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია: ა)ეკონომიკური გარემოებები, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებები, რომლებიც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას; ბ) შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა; გ) შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება; დ) დასაქმებულის მიერ

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ვადიან ხელშეკრულებად მიჩნევის პირობებშიც ადგილი ექნებოდა კანონდარღვევას, გამომდინარე იქიდან, რომ შრომითი ხელშეკრულება წინააღმდეგობაში მოდის კოლექტიურ შეთანხმებასთან, რადგან ადმინისტრაცია ვალდებული იყო გაეფორმებინა თანამშრომლებთან ხელშეკრულებები ერთ თვეზე მეტი ვადით (პირველი კონტრაქტის შემთხვევაში 3 თვის, ხოლო სამ წელზე მეტი ვადით დასაქმებულ თანამშრომლებთან განუსაზღვრელი ვადით), თუმცა მან თანამშრომლებთან გააფორმა ერთთვიანი კონტრაქტები, რითაც გაუარესდა დასაქმებულთა მდგომარეობა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „საქართველოს ფოსტამ“ დაარღვია დასაქმებულების მიმართ, კოლექტიური შეთანხმებით დადგენილი სოციალური გარანტიები, რისი უფლებამოსილებაც აღნიშნული შეთანხმების საფუძველზე, მას არ გააჩნდა.

თანამდებობის/სამუშაოს საკუთარი ნებით, წერილობითი განცხადების საფუძველზე დატოვება; ე) მხარეთა წერილობითი შეთანხმება; ვ) დასაქმებულის კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების შეუსაბამობა მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან; ზ) დასაქმებულის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევა; თ) დასაქმებულის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების დარღვევა, თუ დასაქმებულის მიმართ ბოლო 1 წლის განმავლობაში უკვე გამოყენებულ იქნა ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის რომელიმე ზომა; ი) თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ხანგრძლივი შრომისუუნარობა – თუკი შრომისუუნარობის ვადა აღემატება ზედიზედ 40 კალენდარულ დღეს, ან 6 თვის განმავლობაში საერთო ვადა აღემატება 60 კალენდარულ დღეს, ამასთანავე, დასაქმებულს გამოყენებული აქვს ამ კანონის 21-ე მუხლით გათვალისწინებული შვებულება; კ) სასამართლო განაჩენის ან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა, რომელიც სამუშაოს შესრულების შესაძლებლობას გამორიცხავს; ლ) ამ კანონის 51-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად სასამართლოს მიერ მიღებული და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება გაფიცვის უკანონოდ ცნობის შესახებ; მ) დამსაქმებელი ფიზიკური პირის ან დასაქმებულის გარდაცვალება; ნ) დამსაქმებელი იურიდიული პირის ლიკვიდაციის წარმოების დაწყება; ო) სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც ამართლებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას.

რეკომენდაციები:

საქართველოს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს/დაწესებულებებს

- საჯარო მოხელის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, მათ შორის იმ შემთხვევებშიც, როდესაც მოხელე საკუთარი განცხადების საფუძველზე ითხოვს დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებას, დეტალურად შეისწავლოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და მათ სამართლებრივ აქტში ასახვისას მიეთითოს ის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინამძღვრები, რომლებიც წარმოადგენენ ამ გადაწყვეტილების მიღების საფუძველს

საქართველოს პარლამენტს

- კანონმდებლობაში შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს შუა და დაბალი რგოლის საჯარო მოხელეების განთავისუფლებების შესაძლებლობა ხელისუფლების ცვლილებების მიუხედავად და უზრუნველყოს საჯარო მოხელეთა დაცვის მაღალი სტანდარტების დაწესება.

სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლება

გარემოს დაცვითი საკითხები – თანამედროვე კაცობრიობის ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემა, გარემოზე მავნე ანთროპოგენული ზემოქმედების შედეგად არის გამოწვეულია. ეს კი დღის წესრიგში აყენებს ბუნების დაცვის აუცილებლობას არა მარტო ცალკეული საზოგადოების, არამედ მთელი კაცობრიობის გადასარჩენად.

სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლება გარანტირებულია როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო კანონმდებლობით. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად,

> „ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კაცობრიობამ უნდა გაიაზროს ადამიანის ჯანმრთელობისათვის ის რეალური საფრთხე, რაც გარემოს დაბინძურებას სდევს თან და ეტაპობრივად გადაწყვიტოს პრობლემური საკითხები. ამასთან, გლობალურად უნდა განმტკიცდეს ისეთი უფლებების დაცვის მექანიზმები, როგორიცაა: ჯანსაღ გარემოში ცხოვრების, სათანადო კომპენსაციისა და გარემოს შესახებ სრული, დროული და ობიექტური ინფორმაციის მიღების უფლებები. [793]

ამასთან, საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-4 პუნქტის ადგენს, რომ

> „სახელმწიფო ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს გარემოს დაცვას და ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობას, ქვეყნის მდგრად განვითარებას საზოგადოების ეკონომიკური და ეკოლოგიური ინტერესების შესაბამისად ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად.“

ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლება აღიარებულია მრავალ საერთაშორისო სამართლებრივ აქტში, რომელთაც სავალდებულო იურიდიული ძალა აქვს ხელშემკვრელი მხარეებისათვის და ადგენს ადამიანის

[793] მაია ბითაძე, „ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე“ (სტატიათა კრებული, გამომცემელი გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ), 2006 წელი), გვ. 8.

გარემოსდაცვითი უფლებების გარანტიებს. კერძოდ, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია ადასტურებს, რომ ყოველ ადამიანს უფლება აქვს ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე, რომელიც აუცილებელია თვითონ და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად. [794]

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი სახელმწიფოებს ავალდებულებს გააუმჯობესონ ეკოლოგიური და სამრეწველო ჰიგიენის ყველა ასპექტი.[795]

„გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენცია ახლანდელი და მომავალი თაობების ყოველი ადამიანისათვის საკუთარი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის შესაფერის გარემოში ცხოვრების უზრუნველყოფის მიზნით, იძლევა საზოგადოებისათვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის და მასთან დაკავშირებული მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლების გარანტიას.[796]

ამ უფლებას და შესაძლებლობას ეხმიანება საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტი, რომლის მიხედვითაც, „ყველას აქვს უფლება, დროულად მიიღოს სრული და ობიექტური ინფორმაცია გარემოს დაცვის მდგომარეობის შესახებ.“

საქართველოს კონსტიტუციის ზემოაღნიშნულ ნორმათა განხორციელებისათვის მიღებული იქნა კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, რომლის ძირითადი მიზანია „დაიცვას გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი ადამიანის ძირითადი უფლებები - ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში და სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი“.[797]

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ზემოთ დასახელებული საკითხების მარეგულირებელ ნორმებს, საქართველოს სახალხო დამცველის მიერ ამ მიმართულებით შესწავლილი შემთხვევების ანალიზი ცხადყოფს, რომ გარემოსდაცვით საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების

[794] ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხ. 25, პუნ. 1.
[795] ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხ. 12, პუნ. 2, ქპ. „ბ“.
[796] კონვენცია „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“, მუხ. 1.
[797] საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, მუხ. 3, პუნ. 1, ქპ. „ბ“.

მონაწილეობისა და მათი ინფორმირებულობის კუთხით აუცილებელია, ეროვნულ კანონმდებლობაში უფრო დეტალური წესების და პროცედურების გაწერა.

აღნიშნული დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა საქართველოს სახალხო დამცველის მიერ შესწავლილი არაერთი საქმე, რომელიც აისახა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის ანგარიშში[798]. ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ მიერ შუახევის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის მშენებლობის კანონიერების შესწავლის შედეგად გამოვლენილ პრობლემურ საკითხებზე.

შუახევის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის მშენებლობის საქმე[799]

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველო მდიდარია ჰიდრორესურსებით. აუცილებელია ამ რესურსის რაციონალური გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ენერგეტიკული სისტემის და ეკონომიკის განვითარებასა და მდგრადობას. თუმცა, ამ პროცესში მაქსიმალურად უნდა იქნეს დაცული ადამიანისათვის ისეთი სასიცოცხლოდ აუცილებელი უფლება, როგორიცაა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლება. ამ უფლების სრულფასოვანი რეალიზების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ადმინისტრაციულ[800] და სისხლისსამართლებრივ[801] პასუხისმგებლობას გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის წესების წინააღმდეგ ჩადენილი ქმედებებისათვის.

„გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებისა და ადამიანის ჯანმრთელობის, ბუნებრივი გარემოს, ასევე კულტურულ და მატერიალურ ფასეულობათა დაცვის მიზნით, საქართველოს ტერიტორიაზე საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელია გარემოზე ზემოქმედების ნებართვა.“

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარემოზე შეფასების ზემოქმედების სისტემა არაეფექტურია როგორც საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდებისა და მონაწილეობის შესაძლებლობის თვალსაზრისით, ასევე, შესაბამისი ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით და იგი არ შეესაბამება „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში

[798] N2031/1 ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის კანონიერების შესწავლის თაობაზე.
[799] საქმე N295/1 და N9480/1.
[800] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, თავი 7.
[801] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, კარი მეათე.

საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის მოთხოვნებს.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ამ დასკვნის გაკეთება შესაძლებელი გახდა შუახევის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის მშენებლობის კანონიერების შესწავლის შედეგად, რის გამოც წინამდებარე თავში დეტალურად აღვწერთ მდინარე აჭარისწყალზე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესს. კერძოდ,

2010 წლის 22 მარტს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის N15 ბრძანებით გამოცხადდა ინტერესთა გამოხატვა „აჭარის რეგიონში მდინარე აჭარისწყალზე ჰიდროელექტროსადგურების კასკადის მშენებლობის შესახებ" და დამტკიცდა „აჭარის რეგიონში მდინარე აჭარისწყალზე ჰიდროელექტროსადგურების კასკადის მშენებლობის შესახებ“ ინტერესთა გამოხატვის "პირობები და წესი“, რომლის თანახმად, საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმები იყო მშენებლობისა და ექსპლუატაციაში გაშვების ვადები და ინვესტორის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით საბანკო გარანტიის ოდენობა.[802] ასაშენებელი კასკადი შედგებოდა ოთხი ჰიდროელექტროსადგურისაგან: ზომლეთიჰესი,[803] ვაიოჰესი,[804] კორომხეთიჰესი[805] და ჭოროხიჰესი[806].

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ინფორმაციით, „აჭარის რეგიონში მდინარე აჭარისწყალზე ჰიდროელექტროსადგურების კასკადის მშენებლობის შესახებ“ ინტერესთა გამოხატვის პირობებისა და წესის შესაბამისად, განცხადების წარდგენისათვის განსაზღვრულ ვადაში საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში შევიდა სამი განაცხადი: კომპანია Limak constuction industry and trade co, LTD-ის (თურქული კომპანია); Kolin constuction, tourism, industry and treding co, INC (თურქული კომპანია) და Clean Energy Invest AS (ნორვეგიული კომპანია).

აჭარის რეგიონში, მდინარე აჭარისწყალზე ოთხი ჰიდროელექტროსადგურისაგან შემდგარი კასკადის მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვაში მშენებლობისა და ექსპლუატაციაში გაშვების ვადების და ინვესტორის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, საბანკო გარანტიის ოდენობის მიხედვით, გამარჯვებულად გამოცხადდა ნორვეგიული კომპანია Clean Energy Invest AS.[807]

---

[802] საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის წერილი N04/158 (20.01.2014წ.).
[803] 30.10 მგვტ. გამომუშავება 142.60 კვტ.სთ.
[804] 35.10 მგვტ. გამომუშავება 169.30 კვტ.სთ.
[805] 21.10 მგვტ. გამომუშავება 114.50 კვტ.სთ.
[806] 29.10 მგვტ. გამომუშავება 152.00 კვტ.სთ.
[807] საქართველოს მთავრობის განკარგულება N527 (28.04.2010).

დასახელებულმა კომპანიამ ასევე გამოხატა ინტერესი ზემოაღნიშულ ოთხ ელექტროსადგურთან ერთად მდინარე აჭარისწყალზე ჰიდროელექტროსადგურების - აჭარისწყალიჰესი 1, აჭარისწყალიჰესი 2 და აჭარისწყალიჰესი 3 პროექტის[808] განხორციელების თაობაზე.

კომპანია Clean Energy Invest AS-სა და საქართველოს მთავრობას შორის მოლაპარაკებების შედეგად, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული მდინარე აჭარისწყალზე შვიდი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა: ზომლეთიჰესი (30.1 მგვტ.), ვაიოჰესი (35.1 მგვტ.), კორომხეთიჰესი (21.1 მგვტ.) ჭოროხიჰესი (29.1 მგვტ.), აჭარისწყალიჰესი - 1 (26.46 მგვტ.), აჭარისწყალიჰესი - 2 (13.76 მგვტ.) და აჭარისწყალიჰესი - 3 (6.09 მგვტ.), რომელთა ჯამური სიმძლავრე შეადგენს 175 მეგავატს.

2011 წლის 12 აპრილს საქართველოს მთავრობამ #812 განკარგულებით მოიწონა Clean Energy Invest AS-სთან გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტი, ხოლო 2011 წლის 10 ივნისს საქართველოს მთავრობას, კომპანია Clean Energy Invest AS-სა და შპს „აჭარისწყალს“ შორის გაფორმდა მემორანდუმი მდინარე აჭარისწყალზე შვიდი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ.[809]

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2011 წლის 5 აგვისტოს N136 ბრძანებით ზემოაღნიშნული მემორანდუმი მიჩნეულ იქნა კომერციულ საიდუმლოებად. შესაბამისად, საკითხები, რომელიც დაკავშირებულია ელექტროენერგიის ტარიფებთან და ზოგადად პროექტის ეკონომიკურ სარგებელთან, საზოგადოებისათვის ცნობილი არ არის.

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.“

გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენციის (ორჰუსის კონვენცია)[810] მე-6 მუხლის მე-2 პუნქტითა და მე-7 მუხლით გათვალისწინებული ნორმები

---

[808] ეს ჰესები 2010 წლის განმავლობაში შეტანილი იყო განახლებადი ენერგიის პოტენციური წყაროების ნუსხაში.

[809] ცვლილებები შევიდა 2012 წლის 28 სექტემბერს.

[810] რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 11 თებერვლის N135-IIს დადგენილებით.

ადგენს დაინტერესებული საზოგადოების ადეკვატურ, დროულ და ეფექტურ ინფორმირებას გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესის საწყის ეტაპზე.

საქართველოს მთავრობის 2008 წლის 18 აპრილის #107 დადგენილებით დამტკიცებულია სახელმწიფო პროგრამა „განახლებადი ენერგია 2008“ - საქართველოში განახლებადი ენერგიის ახალი წყაროების მშენებლობის უზრუნველყოფის წესი, რომლის მე-5 მუხლის თანახმად[811], განისაზღვრებოდა ელექტროსადგურების სავარაუდო განთავსების სქემა (სქემები) და ძირითადი პარამეტრები, რომლის თაობაზეც შემდგომში იდებოდა მემორანდუმი სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის.

იგივე წესია შენარჩუნებული საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 აგვისტოს N214 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესით. კერძოდ, დასახელებული წესის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს და თავის ოფიციალურ ვებგვერდზე განათავსებს ასაშენებელი პოტენციური ელექტროსადგურების ნუსხას და მათ თაობაზე სამინისტროში არსებულ ძირითად ინფორმაციას. ნუსხა ექვემდებარება გადახედვას, რასაც ახორციელებს სამინისტრო.

ამავე წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს: ასაშენებელი ელექტროსადგურის დასახელებას, სავარაუდო განთავსების ადგილს, სავარაუდო სქემას და სავარაუდო ძირითად პარამეტრებს; ელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის ნებართვის საფუძველზე ელექტროსადგურის მშენებლობის დაწყებისა და ექსპლოატაციაში მიღების ვადას, ელექტროსადგურის მშენებლობის სავარაუდო საინვესტიციო ოდენობას და სხვა პირობებს. ამასთან, აღნიშნული ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ პირთან დასადები მემორანდუმის პროექტს.

როგორც ვხედავთ, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის[812] თანახმად, დასახელებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შედეგად, სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის ფორმდება მემორანდუმი ამა თუ იმ ელექტროსადგურის აშენების თაობაზე. მხოლოდ ამის შემდეგ არის ინვესტორისათვის სავალდებულო გარემოზე ზემოქმედების შესახებ ანგარიშის მომზადება, გარემოზე

[811] ამოღებულია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 აგვისტოს N212 დადგენილებით;

[812] ეს წესი მოქმედებდა მდინარე აჭარისწყალზე ჰიდროელექტროსადგურების კასკადის აშენების თაობაზე მემორანდუმის გაფორმების დროს;

ზემოქმედების შესახებ ნებართვის, ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნისა და მშენებლობის ნებართვის მისაღებად.

პოტენციური ელექტროსადგურების მშენებლობის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ეტაპზე უზრუნველყოფილი არ არის საზოგადოების ინფორმირებულობა და შესაბამისად, მათი ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამასთან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განსახილველ შემთხვევაშიც, ჰესის მშენებლობის თაობაზე საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმები იყო მხოლოდ მშენებლობისა და ექსპლუატაციაში გაშვების ვადები და ინვესტორის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით საბანკო გარანტიის ოდენობა და არა ის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხები, რაც უკავშირდება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად,[813] გარემოზე ზემოქმედების ნებართვა აუცილებელია, რათა დაცული იქნეს საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ინტერესები და ადმიანის ჯანმრთელობა, ბუნებრივი გარემო, ასევე კულტურული და მატერიალური ფასეულობები.

ზემოთ ჩამოთვლილი საკანონმდებლო ნორმებისა და მდინარე აჭარისწყალზე ჰიდროელექტროსადგურების კასკადის მშენებლობის თაობაზე მთავრობასა და ინვესტორს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ანალიზი ცხადყოფს, რომ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული, ჰესის მშენებლობისათვის საჭირო ნებართვების მიღების პროცედურა, ამ შემთხვევაში ინვესტორისათვის მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს. ამასთან, მემორანდუმით და/ან კონტრაქტით უკვე გაწერილია ჰესის როგორც სიმძლავრე, ასევე მისი გამომუშავება და მხარეების მიერ აღებულია ვალდებულებები ყოველგვარი წინასწარი შესწავლისა და გამოკვლევის გარეშე, რომლის საფუძველზეც უნდა გადაწყდეს, რამდენად შესაძლებელია ამა თუ იმ ადგილზე ჰესის მშენებლობა და რა სიმძლავრის შეიძლება იყოს იგი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2011 წლის 10 ივნისის ხელშეკრულება არ არეგულირებს შემთხვევას, როდესაც პროექტის შემსრულებელი კომპანია ვერ მიიღებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნებართვებს ხელშეკრულების მხარეთა მიერ საკუთარი ვალდებულებების შესრულების მიუხედავად.

ამდენად, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ჰესის მშენებლობისათვის საჭირო გადაწყვეტილების მიღების პროცედურა აზრს უკარგავს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, თავდაპირველად ფორმდება მემორანდუმი სახელმწიფოსა და ინვესტორ შორის ჰესის მშენებლობის შესახებ, რითაც მთავრობა იღებს ვალდებულებას კერძო კომპანიის წინაშე და მხოლოდ ამის შემდეგ მოწმდება კონკრეტული

[813] „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 35.

პროექტის ზეგავლენა ისეთ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ინტერესები და ადამიანის ჯანმრთელობა, ბუნებრივი გარემო, ასევე კულტურული და მატერიალური ფასეულობები.

ჰესის მშენებლობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების ზემოაღნიშნული წესი[814] არ შეესაბამება „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის მე-6, მე-7 და მე-8 მუხლების ნორმებს[815].

ამასთან, გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემა დიდწილად შესაბამისობაში არ არის ევროკავშირის დირექტივებთან.[816] მაგალითისთვის შეიძლება აღვნიშნოთ, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სკრინინგისა და სკოპინგის ეტაპებს, უშვებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარების ვალდებულებისაგან გათავისუფლებას, თუ ამას სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები ახორციელებენ, არ ითვალისწინებს საზოგადოების ინფორმირებულობას გადაწყვეტილების მიღების საწყის ეტაპზე და სხვა.

ეს ფაქტი განსაკუთრებით საყურადღებოა, იმ ფონზე, როდესაც საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014 წლის 27 ივნისს გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებით საქართველოს მთავრობას აღებული აქვს ვალდებულება უზრუნველყოს საკუთარი კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის სამართლებრივ აქტებთან, რომელთა შორისაა გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის სფეროებში არსებული კანონმდებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,

---

[814] საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ, ინვესტორთან მემორანდუმის გაფორმება, გარემოზე ზემოქმედების შეფასების წარდგენა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვისა სამინისტროში, შენიშვნების გათვალისწინების შემდეგ, ამავე სამინისტროში ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარდგენა და მშენებლობის ნებართვის მიღება, რომელიც თავის მხრივ, სამ ეტაპს მოიცავს: მიწის სამშენებლოდ გამოყენების შემოწმება (იდენტიფიცირება), არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა.

[815] უზრუნველყოფილი არ არის საზოგადოების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების დასაწყის ეტაპზე.

[816] გარემოზე ზემოქმედების შეფასების დირექტივა, სტრატეგიულ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დირექტივა, საზოგადოების მონაწილეობის დირექტივა და სხვა.

რეკომენდაციები:

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს

- მაქსიმალურად მოკლე ვადაში შემუშავდეს კანონპროექტები გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის სფეროებში არსებული კანონმდებლობის ევროკავშირის შესაბამის სამართლებრივ აქტებთან დაახლოების მიზნით

- ელექტროსადგურების მშენებლობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების ყველა ეტაპზე უზრუნველყოფილი იქნეს საერთაშორისო ნორმებით ნაკისრი ვალდებულების - გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის - შესრულება და ამ უფლების უზრუნველსაყოფად მოქმედ კანონმდებლობაში გაიწეროს დეტალური პროცედურები

ჯანმრთელობის დაცვის უფლება

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია ჯანმრთელობას განმარტავს, როგორც დაავადებებისა და პათოლოგიური პროცესების არარსებობას სრული ფიზიკური, სულიერი და სოციალური კეთილდღეობის ფონზე.[817]

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაციის 25-ე მუხლის თანახმად, „ყველას აქვს უფლება მისი ან მისი ოჯახის ჯანმრთელობის და კეთილდღეობის ადეკვატური სტანდარტებით ცხოვრებისა“. თითოეული ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა ისარგებლოს „ჯანმრთელობის უმაღლესი ხელმისაწვდომი სტანდარტებით“. ჯანმრთელობის უფლების განუყოფელი ნაწილია ჯანმრთელად ყოფნა და სამედიცინო დახმარების მიღება.

ჯანმრთელობის უფლება არის არა მხოლოდ უფლება იყო ჯანმრთელი, ან უფლება მის დაცვაზე, არამედ ჯანმრთელობის უფლების კომპლექსური და ნიუანსების მქონე აღქმა. გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებათა კომიტეტის მე-14 ზოგადი კომენტარი განმარტავს, რომ „ჯანმრთელობის უფლება მოიცავს სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების მთელ რიგს, რაც ხელს უწყობს პირობებს, რომლებშიც ადამიანებს შეუძლიათ იცხოვრონ ჯანსაღი ცხოვრებით და ვრცელდება ფუძემდებელ პირობებზე“.[818]

ჯანმრთელობის დაცვის უფლების დეფინიციების გაანალიზების შედეგად ჩანს, რომ უფლება მოიაზრებს ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალური მდგომარეობის უმაღლეს შესაძლო სტანდარტს, რომელიც, თავის მხრივ, დამოკიდებულია სახელმწიფოს დისკრეციის ზღვარზე და არსებულ რესურსზე; მაგრამ ის მოითხოვს სახელმწიფოსაგან, შექმნას ისეთი კანონმდებლობა და სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც ჯანდაცვა ხელმისაწვდომი იქნება ყველასათვის, შესაძლო უმოკლეს დროში. ამავდროულად, სახელმწიფო უნდა პასუხობდეს სოციალური სახელმწიფოს მოთხოვნებს, რომ წარმატებით მოახდინოს ჯანმრთელობის დაცვის უფლების რეალიზაცია.

ჯანმრთელობის დაცვის უფლება შეიძლება გაიმიჯნოს ორ დონეზე: 1.რომელიც წარმოშობს ვალდებულებებს საერთაშორისო დონეზე, რაც გარკვეულწილად სავალდებულოა ქვეყნებისათვის და 2.ეროვნულ დონეზე. ეს არის ორი პარალელური უფლება - ფართო და ვიწრო. ფართო, რომელიც წარმოიქმნება საერთაშორისო პაქტების და ჯანდაცვის მსოფლიო

[817] WHO - www.who.org მსოფლიო ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაცია.

[818] Committee on Economic, Social and Cultural Rights, General Comment 14, The right to the highest attainable standard of health (Twenty-second session, 2000), U.N. Doc. E/C.12/2000/4 (2000). http://www1.umn.edu/humanrts/gencomm/escgencom14.htm.

ორგანიზაციის განმარტებებიდან და ვიწრო, რომელიც კანონმდებლობის უშუალო მოქმედებით აღწევს ამ უფლების შესრულებას. [819]

ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია თანხმდება რამდენიმე მნიშვნელოვან მოსაზრებაზე. პირველი, ადამიანის უფლება ჯანმრთელობაზე არის სამართლებრივი უფლება და არა უბრალოდ მორალური ვალდებულება. მეორე, უფლების უზრუნველსაყოფად და მისი განხორციელების გასაზომად საჭიროა რეალური ძალისხმევა და პროგრამული აქტივობები. მესამე, მცდელობების ყველა სფერო, რომელიც გავლენას ახდენს ჯანმრთელობაზე - მოცემულია ჯანმრთელობის უფლების შესახებ კონცეფციაში. მეოთხე, ვალდებულება არის უნივერსალური, სიღარიბე არ არის საბაბი არაფრის კეთებისათვის. მეხუთე, უფლება საჭიროებს როგორც პრევენციულ ქმედებებს, ასევე გამაჯანსაღებელს.

> „საერთაშორისო დეკლარაციები ჯანმრთელობისა და ჯანმრთელობის დაცვის უფლებაზე ან შეიცავს მხოლოდ რჩევებს განხორციელებაზე, ან საერთოდ არა აქვს სქემა შიდა განხორციელებისათვის. ეს დოკუმენტები თავაზობს მორალურ მიმართულებებს პოლიტიკის შემქმნელ ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებს, როგორიცაა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია; ისინი არ უზრუნველყოფენ ინდივიდების ჯანდაცვის ხელმისაწვდომობას. აზრს მოკლებულია მოითხოვო ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაციაზე დაყრდნობით, ანუ ეს ნიშნავს, რომ „მე მაქვს ჯანდაცვის უფლება, მაგრამ კანონი არ მაძლევს საშუალებას განხორციელებისათვის.“[820]

კონსტიტუციურ სამართლიანობას უმეტესად განაპირობებს პოლიტიკური და სოციალური რეალობა და არა სხვადასხვა სამართლებრივი აქტები. ეს ხდის უფლებებს საცხოვრებელზე, დასაქმებაზე, განათლებასა და ჯანდაცვაზე, ფუნდამენტურს, ისეთ ტრადიციულ უფლებებთან ერთად, როგორიცაა გამოხატვის, შეკრებისა და სინდისის თავისუფლება; მაგრამ ერთია ამ უფლებათა კოდიფიცირება, და მეორე - პრაქტიკულად მათი რეალიზაცია.

სამართლებრივი ვალდებულებები გადამწყვეტია ჯანმრთელობის უმაღლესი შესაძლო სტანდარტის მისაღწევად. ამისათვის, ჯანდაცვის სისტემას უნდა ჰქონდეს ეროვნული ჯანდაცვის გეგმა, სოციალური პროგრამები დაუცველთათვის, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სერვისების მინიმალური პაკეტი, ეფექტიანი რეფერალური პროგრამა და უნდა ახასიათებდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ბენეფიციარების ჩართულობა, კულტურული განსხვავებების პატივისცემა და ა.შ.[821]

---

[819] 18 Jamar S.D., The International Human Right to Health, Southern University Law Review, 1994, გვ. 56

[820] Sandhu P.K., A Legal Right to Health Care: What can the United States Learn from Foreign Models of Health Rights Jurisprudence?, California Law Review, 2007.

[821] Backman G., Hunt P… Health systems and The Right To Health:an assessment of 194 Countries, The Lancet, Vol. 372,2008.

ჯანმრთელობის უფლება მჭიდროდ უკავშირდება და დამოკიდებულია ადამიანის სხვა უფლებათა რეალიზებაზე. ეს მოიცავს საკვების, საცხოვრებლის, მუშაობის, განათლების, ადამიანის ღირსების, სიცოცხლის, დისკრიმინაციის დაუშვებლობის, თანასწორობის, წამების აკრძალვის, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის და შეკრების, გაერთიანების და გადაადგილების თავისუფლების უფლებებს. ეს და სხვა უფლებები და თავისუფლებები ეხება ჯანმრთელობის უფლების განუყოფელ კომპონენტებს.

სახელმწიფოს მიერ მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ-ერთი უტყუარი მაჩვენებელია სახელმწიფო ბიუჯეტში ამ მიმართულებით გათვალისწინებული დანახარჯები. 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში, როგორც წინა წელს, პრიორიტეტებს შორის აღნიშნულია ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, რაც ითვალისწინებს ისეთი პროგრამების არსებობას, სადაც უზრუნველყოფილი იქნება ქვეყნის მთელი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობა, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და შესაბამისი ბენეფიციარების საჭიროებებზე დაფუძნებული სოციალური გარანტიების შეთავაზება.

„2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლით ჯანდაცვის ბიუჯეტი განისაზღვრა 2,785,000 ლარით, რაც წინა წლის ბიუჯეტთან შედარებით 127 000 ლარით მეტია.[822] აღსანიშნავია, რომ ამ მაჩვენებლის ზრდის ტენდეცია შემცირებულია, ვინაიდან 2014 წელს, ამ სფეროს დაფინანსება გაიზარდა 313 000 ლარით.

მიმდინარე წლის ანგარიშში, როგორც წინა წლების საანგარიშო მოხსენებებში, გაანალიზებულია 2014 წლის განმავლობაში ჯანდაცვის უფლების დაცვის კუთხით არსებული პრობლემატიკა, ასევე სახელმწიფოს მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების დინამიკა.

სახელმწიფო, შემდგომი განვითარების სტრატეგიის მნიშვნელოვან პრიორიტეტად მიიჩნევს ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია: ა) ჯანმრთელობის დაცვის უფლების უზრუნველსაყოფად სახელმწიფოში არსებული რესურსების შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალური კონცენტრირება; ბ) ჯანმრთელობის დაცვის უფლების ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე უზრუნველყოფა; გ) ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელება მოწყვლადი ჯგუფებისთვის ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად[823].

---

[822] „2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონი, თავი VI მუხლი 15.

[823] საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 30 აპრილის დადგენილება „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2014–2020 წლებისთვის)“ დამტკიცების შესახებ.

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა

ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის ზრდის თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი მიღწევა იყო 2013 წელს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დანერგვა, რომელმაც საქართველოს ყველა მოქალაქე უზრუნველყო სამედიცინო მომსახურების საბაზისო პაკეტით. 2014 წელს, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, პროგრამის ბენეფიციართა 80.3% კმაყოფილი იყო საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით მიღებული ამბულატორიული სერვისით, ხოლო 96.4% კმაყოფილებას გამოთქვამდა ჰოსპიტალურ დონეზე მიღებული გადაუდებელი სამედიცინო მომსახურებით.

ჯანდაცვის სფეროს პოლიტიკისა და პროგრამების, მათ შორის, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შემდგომი განვითარება, მიზნად ისახავს მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას. საქართველოს მოსახლეობა უფრო მეტად არის დაცული ჯანდაცვის გამო კატასტროფული დანახარჯებისა და გაღარიბების რისკებისაგან.[824]

2014 წლის მონაცემებით, პირველადი ჯანდაცვის დონეზე რეგისტრირებულია 2 882 238 ადამიანი, რაც წინა წლებთან შედარებით, გაზრდილი მაჩვენებელია. სამედიცინო დაწესებულებებს მოსახლეობა ძირითადად მიმართავს გადაუდებელი სტაციონარული თუ ამბულატორიული მომსახურების მიზნით.[825]



[824] სამთავრობო პროგრამა „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“ 2014 წ.

[825] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ანგარიში, 2014 წელი.

2013 წლის 21 თებერვლიდან ამოქმედდა მთავრობის №36 დადგენილება „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“. პროგრამა მიზნად ისახავდა პირველადი ჯანდაცვის, ამბულატორიულ, გადაუდებელ და გეგმიურ სტაციონარულ მომსახურებაზე მოსახლეობის გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდას, სამედიცინო მომსახურების ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შექმნას.

2014 წელს სახელმწიფო დაზღვევის მქონე პირები საყოველთაო ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამაში გაერთიანდნენ. არსებობდა საშიშროება, რომ ამ გეგმის განხორციელების შემთხვევაში გაუარესდებოდა საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მაისის №165 და 2009 წლის 9 დეკემბრის №218 დადგენილებით განსაზღვრული შესაბამისი მოსარგებლეების ფაქტობრივი მდგომარეობა. 2014 წელს მთავრობის დადგენილებაში შეტანილი ცვლილებებით, სხვადასხვა სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით მოსარგებლე ბენეფიციარებს ძირითადად შეუნარჩუნდათ სამედიცინო მომსახურების ის პირობები, რომლებითაც ისინი სარგებლობდნენ სახელმწიფო დაზღვევის პროგრამის ფარგლებში.

აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს „ჯანდაცვის სისტემების განმტკიცების პროგრამის“ (USAD HSSP) ფარგლებში ჩატარდა კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შეფასებას, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას. კვლევამ მოიცვა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის სამიზნე მოსახლეობის ორი ქვეჯგუფი: ა) პაციენტები, რომლებმაც ისარგებლეს გეგმიური ამბულატორიული მომსახურებით და ბ) პაციენტები, რომლებმაც პროგრამის განხორციელების ბოლო 1 წლის განმავლობაში მიიღეს სტაციონარული ან/და გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება.

აღსანიშნავია, რომ ბენეფიციართა ნახევარი მიიჩნევს, რომ სჭირდება მეტი ინფორმაცია პროგრამით დაფინანსებულ გეგმიურ ამბულატორიულ მომსახურებასა და პროცედურებთან დაკავშირებით და ამას განიხილავს პრიორიტეტულ საკითხად, რაც მათი აზრით უნდა გაითვალისწინონ მომავალში პროგრამის დახვეწისას. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ბენეფიციართა ზოგადი კმაყოფილება მიღებული გეგმიური ამბულატორიული მომსახურებით ძალიან მაღალია (80.3%).[826]

[826] საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შეფასება ბენეფიციართა და მომსახურების მიმწოდებლის ჭრილში (საბოლოო ანგარიში) USAD HSSP 2014 წ. გვ.8



ბენეფიციართა ზოგადი კმაყოფილება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში მიღებული გეგმიური ამბულატორიული მომსახურებით

პროგრამით გამოკითხულ ბენეფიციართა 12.3%-მა (53 რესპონდენტი) განაცხადა, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში ჰქონდა შემთხვევა, როდესაც ვერ მიიღო საჭირო კვალიფიციური ამბულატორიული დახმარება გარკვეული მიზეზის გამო. რესპონდენტებმა დაასახელეს შემდეგი ბარიერები, როგორც სამედიცინო მომსახურების მიღების ხელისშემშლელი ფაქტორები:

- კონკრეტული მომსახურება არ იფარებოდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით
- უარს მიიღებდა მომსახურების მიმწოდებლისგან (იმ მიზეზით, რომ მომსახურებას არ ფარავს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა).

ბენეფიციართა 85% ფიქრობს, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ყველაზე დადებითი მხარე/დიდი მიღწევა არის სახელმწიფო დაფინანსება, სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საჭიროა პროგრამის გაფართოება - საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამბულატორიული მომსახურების სარგებლის პაკეტს უნდა დაემატოს გარკვეული სერვისები, ასევე გაფართოვდეს ფარმაცევტული პრეპარატების ნუსხა. რაც შეეხება მედიკამენტების ხარჯების დაფარვის კუთხით მდგომარეობას, ის კვლავ უცვლელია: წლიური ლიმიტი 50 ლარის ფარგლებში, 50% თანაგადახდით.[827] მივიჩნევთ, რომ აუცილებელია გაიზარდოს როგორც ასანაზღაურებელი მედიკამენტების ნუსხა, ასევე ანაზღაურების ლიმიტიც, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ბენეფიციართა ფინანსურ ხელმისაწვდომობას პოზიტიურ ჯანდაცვაზე.

[827] საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილება „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“.

მაღალია საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ბენეფიციართა კმაყოფილება მიღებული სტაციონარული და გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურებით (96.4%). უკმაყოფილო ბენეფიციართა მაქსიმალური პროცენტული მაჩვენებელი (5.7%) განპირობებულია „პაციენტის მომვლელისთვის სტაციონარში დარჩენის პირობებით“ და სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებით (4%-ზე მეტი უარყოფითად აფასებს სოციალური მომსახურების სააგენტოს რეაგირებას და მათ მიმართ გამოჩენილ თავაზიანობას).[828]

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის წარმატებით განხორციელების ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის საკითხის უზრუნველყოფა. სახალხო დამცველის 2013 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „აღნიშნული კუთხით პრობლემები ექმნება მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას, რომელსაც ეზღუდება ადგილზე სრულყოფილი სამედიცინო მომსახურების მიღება. დაბალი დატვირთვისა და მაღალკვალიფიციური კადრების შენარჩუნების სირთულის გამო, სამედიცინო დაწესებულებების მმართველი კომპანიები ვერ ახერხებენ მოსახლეობის უზრუნველყოფას სრულყოფილი სამედიცინო მომსახურებით, რაც დამატებით სირთულეებს უქმნის მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ პირებს, რომლებიც იძულებულნი არიან ახლომდებარე რაიონებში არსებულ სამედიცინო დაწესებულებებს მიმართონ“.[829]

2013 წლის მდგომარეობით არ არსებობდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურების სწორი გეოგრაფიული დაყოფა; არ იყო დაცული ოპტიმალური დახმარების ადრეული მიღების პრინციპი; ერთ რეგიონში მოქმედი რამდენიმე ოპერატორი კომპანია ქმნიდა მუნიციპალიტეტებს შორის გადაადგილების პრობლემას, იყო მოძველებული და ამორტიზებული ავტოპარკი და სხვა.

2013-2014 წლებში სახელმწიფოს მხრიდან დაიწყო სადაზღვევო კომპანიებისაგან მაღალმთიან რეგიონებში განთავსებული სამედიცინო ცენტრების გამოსყიდვის პროცესი, ვინაიდან ოპერატორი კომპანიები ვერ უზრუნველყოფდნენ სამედიცინო სერვისების სრული სპექტრით შენარჩუნებას.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით შეიქმნა სახელმწიფოს 100% - იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“, რომლის ძირითადი ამოცანა რაიონული სავადმყოფოების რეაბილიტაცია, განვითარება და მართვაა. შემდგომ სახელმწიფომ გამოისყიდა შპს „ალიანს მედი+“-ის საკუთრებაში არსებული შპს „რეგიონული სამედიცინო ცენტრის“ 100% წილი, რომელიც ფორმირებულია მესტიის, ონის, ცაგერის და

[828] საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შეფასება ბენეფიციართა და მომსახურების მიმწოდებლის ჭრილში (საბოლოო ანგარიში) USAD HSSP 2014 წ. გვ.13.
[829] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2013წ. გვ.337.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტებში მოქმედი შესაბამისი სამედიცინო ცენტრების ინფრასტრუქტურის (მოძრავი და უძრავი ქონების) საფუძველზე.[830] ამჟამად ზემოაღნიშნულ მუნიციპალიტეტებში სამედიცინო სერვისების მიწოდებას ახორციელებს სახელმწიფო. მიღებულია გადაწყვეტილება სადაზღვევო კომპანია „ირაოსა“ და „ჯიპიაის“ საკუთრებაში მყოფი (ყაზბეგი, თიანეთი, ბაკურიანი, წალკა, თეთრიწყარო) სამედიცინო ცენტრების გამოსყიდვაზე.

შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების და ხარისხიანი სასწრაფო სამედიცინო დახმარების მიწოდების პრობლემის გადაჭრის მიზნით, 2013 წელს შეიქმნა სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“ რომელიც უზრუნველყოფს მთელი საქართველოს მასშტაბით (თბილისის გარდა) სასწრაფო სამედიცინო სამსახურის ეფექტიან მენეჯმენტს.

განისაზღვრა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადებში სავალდებულო რაოდენობა.[831] გატარებული ღონისძიებების შედეგად მნიშვნელოვნად განახლდა ავტოპარკი და სამედიცინო აღჭურვილობის მიწოდება. 2014 წელს ჯანდაცვის სამინისტრომ 180 ერთეული მაღალი და საშუალო გამავლობის ავტომობილი შეიძინა,[832] რაც გარკვეულწილად მოაწესრიგებს გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრობლემას. „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განისაზღვრა საექიმო და საექთნო პუნქტების რაოდენობა.[833]

აღსანიშნავია, რომ მაღალმთიან რეგიონებში განსაზღვრული პუნქტების რაოდენობა სრულად ვერ უზრუნველყოფს იქ მცხოვრები მოსახლეობის სამედიცინო საჭიროებებს. მაგალითისათვის, დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღაროსკარის სოფლების (მათ შორის ჩარგალი) მოსახლეობას (900-მდე მოსახლე) ემსახურება ერთი ექიმი და ერთი ექთანი.[834]

საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში კვლავ პრობლემად რჩება მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის საკითხი და მათი მაღალი ფასი. მოქმედი ავტორიზებული აფთიაქების ქსელი და მათი რაოდენობა სრულად ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებებს წამლებზე, რაც ხშირ შემთხვევაში იწვევს მოსახლეობის მხრიდან უკმაყოფილებას და ამბულატორიული

---

[830] საქართველოს მთავრობის განკარგულება №2093 „სამედიცინო რაიონების მიხედვით ვაუჩერის ფასის დადგენის, მზღვეველი კომპანიის გამოვლენისა და კონკურსის შედეგად გამოვლენილი მზღვეველის ან ამხანაგობის მიერ აღებულ ვალდებულებათა შესრულებისა და ასევე პროგრამის ზედამხედველობის მიზნით შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის“ 2014 წლის 22 ოქტომბრის №19 სხდომის ოქმით მიღებული გადაწყვეტილებების მოწონების შესახებ.

[831] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 იანვრის დადგენილება №89.

[832] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ანგარიში, 2014 წელი;

[833] ჯანდაცვის მინისტრის 2013 წლის 23 დეკემბრის №01-264/ო ბრძანება.

[834] ჯანდაცვის სამინისტროს 2015 წლის 16 იანვრის №01/2785 წერილი.

მკურნალობისაგან თავის არიდებას, რასაც მოყვება ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ფარმაცევტულ პროდუქტზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით ფარმაცევტული განათლების მქონე პერსონალს ან დამოუკიდებელი სამედიცინო საქმიანობის სუბიექტს, უფლება აქვს განახორციელოს ფარმაცევტული პროდუქტის საცალო რეალიზაცია სოფლისა და დაბის ტიპის დასახლებაში.[835] ამ ტიპის სერვისებზე მოსახლეობა ნაკლებად ინფორმირებულია.

ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების ეფექტიანად განხორციელებისათვის საჭირო გახდა ამ პროგრამის ბენეფიციართა პრეტენზიების განხილვის დამოუკიდებელი და ეფექტიანი მექანიზმის არსებობა. ამ მიზნით, 2012 წელს შეიქმნა სსიპ „სამედიცინო მედიაციის სამსახური“, რომლის ძირითად ფუნქციასაც სახელმწიფო დაზღვევის პროგრამების ფარგლებში წარმოშობილი დავების განხილვა და მედიატორის ფუნქციის შესრულება წარმოადგენს. ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციართა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ინტეგრაციის შემდეგ, საგრძნობლად შემცირდა მედიაციის სამსახურში განცხადებების რაოდენობა, ვინაიდან პაციენტს მიეცა სამედიცინო დაწესებულების თავისუფალი არჩევანის საშუალება,[836] რაც დადებითად უნდა შეფასდეს.



სახელმწიფო დაზღვევის პროგრამით მოსარგებლე პირების „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში“ გაერთიანებით „სამედიცინო მედიაციის სამსახურმა“ ფაქტობრივად დაკარგა მასზე დაკისრებული ფუნქციები.

[835] საქართველოს კანონი „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ მუხ.16.

[836] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ანგარიში, 2014 წელი;

ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის უფლების დაცვა

„საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიაში (2014–2020 წლებისთვის)“ ერთ-ერთ პრიორიტეტად გაცხადებულია ბავშვთა დაცვისა და დახმარების სისტემების გაუმჯობესება, სოციალური მომსახურების განვითარება, სიღარიბისა და სიკვდილიანობის შემცირება და ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა.[837]

2002 წელს გაერო-ს გენერალური ასამბლეის სპეციალურ სესიაზე აღიარეს მოზარდთა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ეროვნული სტრატეგიების და პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების აუცილებლობა, შესაბამისი მიზნების და ინდიკატორების განსაზღვრის ჩათვლით.[838]

ამ თვალსაზრისით, გაეროს მოსახლეობის ფონდმა (UNFPA) შეიმუშავა „ოთხი გასაღები“, რაც გულისხმობს განვითარების ეროვნულ სტრატეგიებში ახალგაზრდობის ჩართვას და სიღატაკის შემცირებას; სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროში განათლების ხელმისაწვდომობის გაფართოებას, რაც ეფუძნება ცხოვრებისეულ გამოცდილებებს და ითვალისწინებს გენდერულ სპეციფიკას; ახალგაზრდების დახმარებას სამედიცინო მომსახურების ძირითადი პაკეტისა და პროფილაქტიკის საშუალებების მიღების საქმეში; ახალგაზრდების შესაძლებლობების გაფართოებას, რათა ისინი აქტიურად ჩაერთონ იმ გადაწყვეტილებათა მიღებაში, რომლებიც მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ეხება.[839]

2014 წელს, სახალხო დამცველის აპარატის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად ჯანდაცვის უფლებით სარგებლობის მონიტორინგი იყო. სახალხო დამცველის ოფისის მხარდაჭერით, საერთაშორისო ორგანიზაციების „Oxfam“-ის და „Welfare Foundation“-ის მიერ განხორციელდა კვლევა „ჯანმრთელობის უფლების დაცვის მდგომარეობა 18 წლამდე ასაკის მოსახლეობაში“. კვლევის მიზანი იყო ქვეყანაში არსებული სამედიცინო სერვისების ბავშვთა და მოზარდთა მოსახლეობისთვის მიწოდების მდგომარეობის, საყოველთაო ჯანდაცვის პირობებში სამედიცინო მომსახურებისადმი ხელმისაწვდომობის (ფინანსური, გეოგრაფიული) და სერვისების განაწილების სამართლიანობის (თანასწორუფლებიანობის), აგრეთვე სადაზღვევო პაკეტის ფარგლებში მოსახლეობისთვის შეთავაზებული სამედიცინო მომსახურების შესახებ მოსახლეობის ინფორმირების მდგომარეობის და მომსახურების მოცულობისა და ხარისხისადმი მოსახლეობის კმაყოფილების დონის შესწავლა.

---

[837] საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 30 აპრილის დადგენილება N2315-IIს „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2014–2020 წლებისთვის)“ დამტკიცების შესახებ.

[838] http://www.unicef.org/specialsession/

[839] http://www.georgiaunfpa.ge/unfpa/supporting-youth

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შეიმუშავა კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი) „ბავშვის ჯანმრთელობაზე ზედამხედველობის ძირითადი პრინციპები“. სახელმძღვანელო პრინციპები მოიცავს თანმიმდევრული ღონისძიებების ერთობლიობას, რომლის მიზანია ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და განვითარების მონიტორინგი, განვითარების ხელშეწყობა, არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და მართვა, დაავადებების გამოვლენა და დროული რეფერალი. რეკომენდაციები განკუთვნილია პირველადი ჯანდაცვის რგოლის პერსონალისათვის.

ბავშვთა ჯანმრთელობის უფლებების დაცვის მონიტორინგის კვლევები ჩატარდა ორ რეგიონში (გორის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში). ის მოიცავდა როგორც თვისობრივ, ისე რაოდენობრივ კვლევას. შეირჩა დაინტერესებულ მხარეთა 3 წარმომადგენლობითი ჯგუფი: 1. სამედიცინო პერსონალი 2. არასრულწლოვან ბავშვთა დედები 3. სასკოლო ასაკის ბავშვები. კვლევა ჩატარდა რაოდენობრივ და თვისობრივ ჭრილში.

კვლევის ძირითად მიგნებებად და პრობლემებად (სხვა ნაკლოვანებებთან ერთად) შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი:

რაოდენობრივ კვლევებში გამოვლენილი პრობლემები:

- საყოველთაო ჯანდაცვის პირობებში, მაღალია სამედიცინო მომსახურებაზე გაწეული დანახარჯების წილი ყოველთვიურ საშუალო შემოსავლებში;
- ძალიან დაბალია მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე საყოველთაო დაზღვევით შეთავაზებული სამედიცინო სერვისების შესახებ;
- დიდია მოსახლეობის წუხილი იმასთან დაკავშირებით, რომ სადაზღვევო პაკეტი არ შეიცავს საჭირო მედიკამენტებს და მათ შესაძენად თანხის გადახდა უწევთ საკუთარი სახსრებით;
- საკმაოდ მაღალია იმ რესპონდენტთა რიცხვი, რომელთაც დასჭირდათ სამედიცინო დახმარება და ვერ მიიღეს სხვადასხვა (ძირითადად თანხის უქონლობის) მიზეზით;
- დიდია მოსახლეობის წუხილი იმის გამო, რომ სამედიცინო დაწესებულებაში არ ჰყავთ სტომატოლოგი;
- მაღალია იმ რესპონდენტთა რიცხვი, ვინც თანხის უქონლობის გამო ვერ მიიღო საჭირო სტომატოლოგიური მომსახურება.[840]

ორივე რეგიონში მაღალია იმ რესპონდენტთა რიცხვი, რომელიც აღნიშნავს, რომ შეუძლებელია სკოლებში პირველადი სამედიცინო დახმარების მიღება (არ ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტი). არის მნიშვნელოვანი პრობლემები პირველადი ჯანდაცვის სერვისებში პრევენციული მედიცინის (პირველადი პრევენციის) კომპონენტის მუშაობის

[840] ჯანმრთელობის უფლების დაცვის მდგომარეობის კვლევა 18 წლამდე ასაკის მოსახლეობაში Welfare Foundation გვ. 58-61.

თვალსაზრისით. მოსახლეობას არ მიეწოდება სათანადო ინფორმაცია ძირითადი ქცევითი რისკ-ფაქტორების (თამბაქოს, ნარკოტიკების, ალკოჰოლის მოხმარების პრევენცია, ჯანსაღი კვება, ფიზიკური აქტივობა) და დაავადებათა თავიდან აცილების შესახებ. დაბალია ხარისხიანი სასმელი წყლით მოსახლეობის (განსაკუთრებით სკოლებში) უზრუნველყოფის მაჩვენებლები. ძალიან მაღალია იმ ბავშვთა რიცხვი, რომელიც არასათანადო რაოდენობით ხილს იღებს ყოველდღიურად.

თვისებრივ კვლევებში გამოვლენილი ძირითადი პრობლემები:

- მოსახლეობის და სამედიცინო პერსონალის დაბალი ინფორმირებულობა;
- გაზრდილი მიმართვიანობა და სამედიცინო პერსონალის დატვირთული გრაფიკი;
- პროვაიდერ კლინიკებში ექიმთა შრომის დაბალი ანაზღაურება;
- სამედიცინო პერსონალის დაბალი კვალიფიკაცია და სპეციალისტთა დეფიციტი;
- დიდი პასუხისმგებლობა და ექიმთა უფლებების დაუცველობა;
- მოსახლეობაში იმუნიზაციის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება.

ამ პრობლემების გამოსწორებისათვის აუცილებელია გაუმჯობესდეს მოსახლეობის ინფორმირების დონე საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სამედიცინო სერვისების შესახებ. საჭიროა სკოლებში პირველადი სამედიცინო დახმარების სერვისის გაუმჯობესება, სადაც შეეძლება მოსწავლეს აუცილებლობის შემთხვევაში მიიღოს პირველადი დახმარება. უნდა გაუმჯობესდეს ბავშვთა კვების მდგომარეობა. აუცილებლად მიგვაჩნია სკოლებში, აგრეთვე მშობლებისთვის მოკლე საინფორმაციო-საგანმანათლებლო კურსების პრაქტიკის დანერგვა ჯანსაღი (სწორი) კვების თემატიკებზე.

პირველადი ჯანდაცვის სერვისებში უნდა გაძლიერდეს პრევენციული მედიცინის (პირველადი პრევენციის) კომპონენტი. მოსახლეობას უნდა მიეწოდოს მეტი ინფორმაცია ძირითადი ქცევითი რისკ-ფაქტორების (თამბაქოს, ნარკოტიკების, ალკოჰოლის მოხმარების პრევენცია, ჯანსაღი კვება, ფიზიკური აქტივობა) და დაავადებათა თავიდან აცილების შესახებ.

საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015 წლებისთვის) მიხედვით დაგეგმილია ბავშვთა ჯანმრთელობის უფლების ხელშეწყობა. განხორციელდება დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირების ღონისძიებები. პირველადი ჯანდაცვის დონეზე გაუმჯობესდება ბავშვთა ჯანმრთელობის სერვისები. 2015 წლიდან პილოტურ რეგიონებში დაიწყება სოფლის ექიმთა გადამზადება 0-3 წლამდე ასაკის ბავშვთა ზრდისა და განვითარების მეთვალყურეობასთან დაკავშირებით.

ფსიქიკური ჯანმრთელობის უფლების დაცვა

საქართველო, როგორც დემოკრატიული სახელმწიფო, აღიარებს, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობა არის ადამიანის ჯანმრთელობის ფუნდამენტური ნაწილი და საზოგადოების კეთილდღეობის აუცილებელი პირობა, ხოლო ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა უფლებების დაცვა სახელმწიფოს მოვალეობაა.[841]

სწორედ ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიკური კეთილდღეობა განსაზღვრავს ადამიანის, ოჯახის, თემის და, ზოგადად, მოსახლეობის ცხოვრების ხარისხსა და პროდუქტიულობას. ფსიქიკური აშლილობა მძიმედ აწვება არა მარტო ადამიანს, არამედ მის ოჯახსა და მთლიანად საზოგადოებას. ფსიქიკური აშლილობის მქონე პირები საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე დაუცველ ჯგუფს განეკუთვნებიან, რადგან, შრომისუნარიანი ასაკისა და განათლების მიუხედავად, მათი აბსოლუტური უმრავლესობა უმუშევარია.

სამწუხაროდ, ჯანმრთელობის სისტემები ფსიქიკური აშლილობების ტვირთს ადეკვატურად კვლავ ვერ პასუხობენ; სხვაობა მკურნალობის საჭიროებასა და მის მიწოდებას შორის მთელ მსოფლიოში ძალიან დიდია. დაბალ და საშუალო შემოსავლების ქვეყნებში მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა 76%-დან 85% ვერ იღებს მკურნალობას; მაღალი შემოსავლების ქვეყნებშიც კი ეს მაჩვენებელი მაღალია და მერყეობს 35%-დან და 50%-ს შორის.[842]

საშუალოდ, ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე კერძო (ჯიბიდან) დანახარჯების წილია 17.8%, დაბალი საშუალო შემოსავლების ქვეყნებში (რომელთა რიცხვს საქართველო მიეკუთვნება) – 11% ფარგლებში, თუმცა კონკრეტულად საქართველოში ეს მაჩვენებელი (უხეში გათვლებით) 40% შეადგენს.[843] სტაციონარულ მომსახურებაზე საქართველო ხარჯავს ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე გამოყოფილი თანხების დიდ წილს (71%) და აღნიშნული

მაჩვენებელი არ იცვლება წლების განმავლობაში (2006 წლიდან დღემდე).[844]

საქართველოში ნეიროფსიქიკური დაავადებები დაავადებათა გლობალური ტვირთის 22,8%-ს შეადგენს.[845] ფსიქიკური აშლილობა საქართველოში ისევეა გავრცელებული, როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. იგი სიკვდილის, შესაძლებლობათა შეზღუდვის, ეკონომიკური ჩამორჩენილობისა და სიღარიბის ხელშემწყობი ერთ-ერთი ფაქტორია. საქართველოში

---

[841] საქართველოს კანონი ფსიქიატრიული დახმარების შესახებ.
[842] WHO (2013) Mental Health Action Plan 2013-2020; WHO-Geneva.
[843] გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში - თბილისი (2008) „უკეთესი ფსიქიკური ჯანმრთელობა მოსახლეობის დაუცველი ფენებისთვის. ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანთა მდგომარეობა და საჭიროებები საქართველოში“. ანალიტიკური ანგარიში.
[844] საქართველოს პარლამენტის დადგენილება N1741-Iს „ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ.
[845] Mental Health Atlas 2011.

ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ არსებული ოფიციალური მონაცემებით, 2012 წელს 100.000 მოსახლეზე ფსიქიკური აშლილობის გავრცელების მაჩვენებელი 1743.5 იყო. ამასთანავე, გამოვლინდა ფსიქიკური აშლილობის 4.075 ახალი შემთხვევა, ანუ 100.000 მოსახლეზე – 90.7. ასევე საკმაოდ დაბალია ფსიქიატრების რაოდენობა და ფსიქიატრიული საწოლების მაჩვენებელი. ამ კუთხით საქართველო საშუალოზე ნაკლებად განვითარებული ქვეყანაა.

ამ სფეროს სამედიცინო დაწესებულებების და მომსახურების მდგომარეობა ხასიათდება დაბალი გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობით, დაბალი ხარისხით და ეფექტიანობით, კვალიფიკაციის არასაკმარისი დონით. საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის სფერო მწვავედ განიცდის ადამიანური რესურსების ნაკლებობას, რაც აბსოლუტურ ციფრებში, ქვეყნის მასშტაბით, გამოიხატება სულ მცირე 250 ფსიქიატრის დეფიციტით. კიდევ უფრო სავალალოა მდგომარეობა სხვა კადრების მხრივ. [846]

ამ მიმართულებით აუცილებლად უნდა გაუმჯობესდეს მოსახლეობის ფსიქიკური ჯანმრთელობა, ფინანსური დაცულობის განცდა, უნდა ამაღლდეს საზოგადოების ცნობიერება. ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სფეროს განვითარებისათვის საჭირო რესურსი მოიცავს, როგორც ტექნიკურ ისე მეთოდოლოგიურ მიმართულებას. საჭიროა ფინანსური რესურსების მოზიდვა როგორც სახელმწიფოს, ისე დონორების მხრიდან. პროფესიული კადრების მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.

2012 წელს, სახალხო დამცველის სპეციალურმა ჯგუფმა, პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის ფარგლებში, განახორციელა მონიტორინგი საქართველოს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში. შემოწმების პროცესში შეფასდა დაწესებულებების ინფრასტრუქტურა, ჯგუფის წევრები გაესაუბრნენ როგორც პაციენტებს, ასევე ექიმებს და დაწესებულებების დირექციას. მონიტორინგის შედეგები აისახა რეკომენდაციებში, რომლებიც გადაეგზავნა სხვადასხვა უწყებებს. [847]

2012 წელს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახალხო დამცველის მიერ გაეწია რეკომენდაცია, შეიმუშაოს ამ სფეროს რეფორმის სამოქმედო გეგმა, მის მომზადებაში ჩაერთონ სამოქალაქო საზოგადოების და პროფესიონალების ფართო წრეები. ჩამოყალიბდეს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფდა პაციენტების უფლებების რეალურ დაცვას და აღკვეთდა არასათანადო მოპყრობის ფაქტებს.

---

[846] საერთაშორისო ფონდი „კურაციო“ (2014) ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვა საქართველოში: ხარვეზები და შესაძლო გადაჭრის გზები. ფინანსური ბარიერების კვლევის შედეგები. პოლიტიკის ნარკვევი.

[847] საქართველოს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის ანგარიში, 2012 წ.

საქართველოს პარლამენტს მიეცა წინადადება „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლში შევიდეს შესაბამისი ცვლილებები და დამატებები, რათა განისაზღვროს არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული სტაციონარების გადაწყვეტილებების მიღებისას დამოუკიდებელი ფსიქიატრის აზრის მოპოვების და გათვალისწინების ვალდებულება. კანონში დღემდე არ შესულა ცვლილება.

დადებითად უნდა შეფასდეს საკითხის ეფექტიანად და სწრაფად გადაჭრის მიზნით შემუშავებული „ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო კონცეფცია“. მისი მიზანია ამ სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა და ყველა დაინტერესებული მხარის დახმარება, რათა მათ საკუთარი საჭიროებების, შესაძლებლობებისა და ინტერესების შესაბამისად შეიტანონ თავიანთი წვლილი ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სფეროს განვითარებასა და გამართულ ფუნქციონირებაში.[848]

საქართველოს მთავრობის მიერ ასევე შემუშავდა ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული გეგმა (2015-2020 წლების) გეგმა ასახავს ქვეყანაში ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარების ხედვას მომავალი 5 წლის პერიოდისთვის, განსაზღვრავს ფასეულობებსა და პრინციპებს, რასაც ეფუძნება ფსიქიკური ჯანმრთელობის მოწყობა, და ძირითად საჭიროებებს, რომლებიც აუცილებელია მომავლის ხედვის რეალიზაციისთვის. დოკუმენტი ასევე გამოიყენება შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების შესამუშავებელ სახელმძღვანელოდ.[849]

ამ რეფორმის კონცეპტუალურ საფუძველს წარმოადგენს ახალი მიდგომა - „ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ბალანსირებული ზრუნვა“, რაც თავის მხრივ მოიცავს ბალანსირებულ სტაციონარულ და თემზე დაფუძნებულ ზრუნვას; მედიკამენტურ და არამედიკამენტურ მკურნალობას; პიროვნების, ოჯახისა და საზოგადოების ინტერესების დაცვას; აგრეთვე, პრევენციის, მკურნალობისა და რეაბილიტაციის მეთოდებს.

ტუბერკულოზის მართვის სახელმწიფო პროგრამა

---

[848] საქართველოს პარლამენტის დადგენილება № N1741-Iს „ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ.

[849] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის დადგენილება №762 „ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტი და 2015-2020 წლის სამოქმედო გეგმის“ დამტკიცების შესახებ.

ადამიანები, რომლებიც ტუბერკულოზით ავადდებიან, საკუთარი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით უშუალოდ უკავშირდებიან ადამიანის უფლებების დაცვის სფეროს. შიდსის, ტუბერკულოზის და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის მიხედვით: „ტუბერკულოზი არის სიღარიბით და უთანასწორობით გამოწვეული დაავადება... ფაქტორთა უმეტესობა, რაც ტუბერკულოზით ინფიცირების რისკს ზრდის და ამცირებს დიაგნოსტიკის, პრევენციის და მკურნალობის ხელმისაწვდომობას, დაკავშირებულია ადამიანების შესაძლებლობასთან, მოახდინონ საკუთარი უფლების დაცვა."[850]

ადამიანის უფლებების უგულებელყოფა ზრდის ტუბერკულოზის გავრცელების რისკს და წარმოშობს ისეთ ეკონომიკურ, სოციალურ და გარემო პირობებს, რომლებიც ხელს უწყობენ დაავადების გავრცელებას. ძირითადი მოწყვლადი ჯგუფებია: სიღარიბეში მცხოვრები ადამიანები, ეთნიკური უმცირესობები, ქალები, ბავშვები, აივ ინფიცირებულები, პატიმრები, უსახლკაროები, მიგრანტები, ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებული პირები. ეს ჯგუფები, დიდი ალბათობით, ისეთ პირობებში იმყოფებიან, რომლებიც ხელს უწყობენ ტუბერკულოზის განვითარებას და სავარაუდოდ მინიმალურად ფლობენ საკუთარი ჯანმრთელობის გაუმჯობესებისათვის აუცილებელ ინფორმაციას, შესაძლებლობებსა და რესურსებს. დამატებით რისკ-ჯგუფებს წარმოადგენენ ინსტიტუციებში მომუშავე ადამიანები და ასევე ალკოჰოლის, თამბაქოსა და ნარკოტიკების მომხმარებლები.[851]

ტუბერკულოზი საფრთხეს უქმნის ადამიანის უფლებების რეალიზებას დაავადების მიმართ მოწყვლადობის გაზრდით. ტუბერკულოზით დაავადებული პირები დაზარალებულნი არიან ერთი მხრივ, ავადობის გამო და მეორე მხრივ, იმის გამო, რომ „ავადობის შედეგად კარგავენ სხვა უფლებებს".[852] ტუბერკულოზი იწვევს სიღარიბეს: ის ხელს უშლის ადამიანს მუშაობაში და ამავე დროს, ზრდის მკურნალობასთან და მოვლასთან დაკავშირებულ ხარჯებს. ადამიანები შესაძლოა აღმოჩნდნენ ისეთი გაუმართლებელი და ზიანის მომტანი ქმედებების მსხვერპლი, როგორიცაა იძულებითი მკურნალობა, დაკავება, იზოლირება და დაპატიმრება. და ბოლოს, ტუბერკულოზთან დაკავშირებული სტიგმა და დისკრიმინაცია – სქესით, სიღარიბით და აივ სტატუსით განპირობებული დამატებითი დისკრიმინაცია – გავლენას ახდენს სამუშაოს, საცხოვრებლის და სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობაზე.

ტუბერკულოზის მართვის თანამედროვე მოდელი ემყარება პაციენტის მართვას ამბულატორიულად დიაგნოზის დასმის პირველივე დღიდან და მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში განიხილავს ჰოსპიტალური მართვის აუცილებლობას. საერთაშორისო გამოცდილებისა და რეკომენდაციების შესაბამისად, მრავალ ქვეყანაში, განსაკუთრებით კი

---

850 Global Fund to Fights AIDS, Tuberculosis and Malaria, Global Fund Information Note: TB and Human Rights (2011). http://goo.gl/vyb6Z.

851 Global Fund, Global Fund Information Note: TB and Human Rights (2011)

852 IPU, UNAIDS, UNDP, Taking Action Against HIV: A Handbook for Parliamentarians (2007).

ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, ჰოსპიტალიზაცია, როგორც რეგულარული ისე რეზისტენტული პაციენტებისთვის მკურნალობის უფრო გავრცელებული მოდელი იყო და ასეც რჩება. ჰოსპიტალური მკურნალობის მოდელის პრიორიტეტულობა აიხსნებოდა ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა: მკურნალობის მონიტორინგის, ინფექციის კონტროლის, გვერდითი მოვლენების მართვისა და მკურნალობისადმი დამყოლობის უკეთესი შესაძლებლობა.[853]

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ შეიმუშავა რეკომენდაცია, რომლის თანახმადაც, ტუბერკულოზის მხრივ მაღალი პრევალენტობის ქვეყნებმა სასურველია მკურნალობის მოდელის არჩევისას, უპირატესობა მიანიჭონ მკურნალობის ამბულატორიულ მოდელს. რაც შეეხება სტაციონარულ მკურნალობას, იგი უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ განსაკუთრებული ჩვენებების დროს. საქართველოში უკანასკნელ წლებში აქცენტი გადადის ამბულატორიულ მომსახურებაზე.

ჰოსპიტლების რეგიონული განაწილება გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით.

[853]. Bassili A. Fitzpatrick C. Qadeer E. Fatima R. Floyd K. Jaramillo E -A systematic review of the effectiveness of hospital- and ambulatory-based management of multidrug-resistant tuberculosis. American Journal of Tropical Medicine & Hygiene. 89(2):271-80, 2011წ.

ასევე მოქმედებს ტუბერკულოზის მართვის სახელმწიფო პროგრამა, რომლის მიზანია ტუბერკულოზის ავადობის, სიკვდილიანობის და საზოგადოებაში ინფექციის გავრცელების შემცირება, ტუბსაწინააღმდეგო მედიკამენტების მიმართ რეზისტენტობის განვითარების პრევენცია.[854] მოსარგებლე, ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას, იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

დღეისთვის, ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამა საქართველოში ხორციელდება სახელმწიფო და დონორული დახმარებებით, სახელმწიფო თავის აქტივობებს ახორციელებს ,,ტუბერკულოზის მართვის სახელმწიფო პროგრამის“ სახით, რომელიც მოიცავს ამბულატორიულ, სტაციონარულ სერვისებს, ეპიდზედამხედველობის და ლაბორატორიული მომსახურების კომპონენტებს. ანტიტუბერკულოზური მედიკამენტებისა და ტუბერკულოზის სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემების უზრუნველყოფა ხორციელდება გლობალური ფონდის და ახალი და ინოვაციური დიაგნოსტიკური საშუალებების ფონდის, „FIND“-ის მიერ, ხოლო ასევე ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტი, როგორიცაა დარგის განვითარებაზე ზრუნვა, აქტიურად მუშაობს USAID - აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ტუბერკულოზის პრევენციის პროექტი.

„2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონით ტუბერკულოზის მართვის პროგრამისათვის განისაზღვრა 11 850 00 ლარი, რაც წინა წლის დანახარჯებთან შედარებით უმნიშვნელოდ გაზრდილი მაჩვენებელია.

ჯანდაცვის მომსახურებაზე არასაკმარისი ხელმისაწვდომობა იწვევს ტუბერკულოზის დიაგნოსტიკაში და მკურნალობაში წყვეტას, რაც განაპირობებს აქტიური ტუბერკულოზის შემთხვევების, გაუარესებული კლინიკური სიმპტომების და წამალ-რეზისტენტულობის ზრდას. ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი ფაქტორების გამო ინდივიდი ვერ ახერხებს ჯანდაცვის სისტემებთან დროულად დაკავშირებას. ძირითად ბარიერებს წარმოადგენს: ფინანსების ნაკლებობა, ტრანსპორტირება სამედიცინო პუნქტამდე, არასაკმარისი ინფორმაცია მკურნალობის რეჟიმის შესახებ, დიაგნოზის დასმის შემთხვევაში – სტიგმის შიში და ავადმყოფობის შემთხვევაში – სოციალური მხარდაჭერის არქონა. ბევრი ადამიანისთვის სამუშაოს შენარჩუნება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჯანმრთელობა.

სისტემურ დონეზე დაუცველ და რისკის ქვეშ მყოფ ჯგუფებს სავარაუდოდ ნაკლებად მიუწვდებათ ხელი ჯანდაცვის ისეთ სისტემებზე, რომლებსაც გააჩნიათ შესაფერისი მკურნალობის ალტერნატივა, რეფერალური პროცედურები და მკურნალობის კოორდინირების ძლიერი მექანიზმები.

---

[854] [საქართველოს მთავრობის დადგენილება N92, „2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“] 2012წ. 15მარტი.

ფრაგმენტული ან შეწყვეტილი მკურნალობის და ასევე, სოციალური მომსახურების დაკარგვის შემთხვევებს ადგილი აქვს ძირითადად მობილურ და მიგრანტ მოსახლეობაში. დაზარალებული ჯგუფები მოიცავენ მიგრანტებს, უსაბუთო ადამიანებს, უსახლკაროებს, ლტოლვილებს და იძულებით გადაადგილებულ პირებს. Human Rights Watch-ის მიხედვით:

ჩვეულებრივ, ტუბერკულოზის მკურნალობა ადვილი და იაფია. თუმცა, წამალრეზისტენტული ტუბერკულოზის რთულად სამკურნალო შტამების პრევალენტურობის, აივ-კოინფექციის მაღალი პროცენტულობის, უცხოეთში რეფერალის (ექიმის კონსულტაციის) მექანიზმების, შემდგომი მკურნალობის და მეთვალყურეობის ქვეშ მკურნალობის ნაკლებობა და გადაადგილების დროს მკურნალობის თანმიმდევრულობის დაცვის სირთულე მობილურ და მიგრანტ მოსახლეობას ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემების წინაშე აყენებს.[855]

2014 წელს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპულმა ოფისმა საქართველოში შეისწავლა საკითხი, რომელიც მიზნად ისახავდა ტუბერკულოზთან ბრძოლის ეროვნული პროგრამის ხელშეწყობას, ადამიანის უფლებების დაცვას და ამ სფეროს კანონმდებლობის დახვეწას. მისიის დასკვნის მიხედვით დადგინდა, რომ ეროვნულ კანონმდებლობაში არ არის ერთიანი მკაფიო მიდგომა ამ საკითხისადმი. არსებობს სხვადასხვა სახელმძღვანელო პრინციპები და ინსტრუქციები, რომლებშიც არ არის განსაზღვრული, თუ რა შემთხვევებშია შესაძლებელი პაციენტის იძულებითი ჩართვა მკურნალობის პროცესში.[856]

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამსახურს უფლება აქვს ფიზიკურ პირს მოსთხოვოს სამედიცინო შემოწმების გავლა, თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ იგი გადამდები დაავადების მატარებელია და საფრთხეს უქმნის საზოგადოების ჯანმრთელობას. აღნიშნული უნდა განხორციელდეს ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვით. ადამიანის იზოლაცია და კარანტინში მოთავსება დასაშვებია მხოლოდ საგანგებო მდგომარეობის დროს. გადაწყვეტილებას ადამიანის იზოლაციის ან/და მის მიმართ საკარანტინო ღონისძიებების გამოყენების შესახებ იღებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამსახური „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენციის პრინციპების დაცვით.[857]

სახალხო დამცველის მოსაზრებით, აუცილებელია სპეციალური საკანონმდებლო პაკეტის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდუალური და საზოგადოებრივი

---

[855] Human Rights Watch, No Healing Here: Violence, Discrimination and Barriers to Health for Migrants in South Africa (Dec. 7, 2009). www.hrw.org/node/86959.

[856] Human Rights Applied to Tuberculosis (TB) Control in the National Legislation of Georgia Mission Report 9-12 December 2014.

[857] საქართველოს კანონი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ.

ჯანმრთელობის დაცვას ტუბერკულოზის ეფექტიანი კონტროლის გზით. რაც თავის მხრივ მოიცავს ტუბერკულოზის პრევენციის, მისი მკურნალობისა და ტუბერკულოზით დაავადებულ პირთა გრძელვადიანი მოვლის საკითხებს. ეს კანონი უნდა ეფუძნებოდეს პაციენტის ინდივიდუალური და სოციალური უფლებების პატივისცემასა და დაცვას. ასევე აუცილებელია ტუბერკულოზის კონტროლის საერთაშორისოდ აღიარებული ნორმების შესაბამისი გრძელვადიანი ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება.

უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება ტუბერკულოზით დაავადებულ ადამიანთა უფლებების დაცვის მონიტორინგი იქნება. არსებული მდგომარეობის შეფასების შემდგომ, შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობის შედეგად, უნდა გაძლიერდეს ჯანდაცვის სისტემის რელევანტური ასპექტები, როგორიცაა, ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკა და მართვა, ფინანსური და ადამიანური რესურსების მოძიება და მობილიზაცია, დიაგნოსტიკის და წამლის მიმართ გამძლეობის გამოვლენის გაუმჯობესებული ლაბორატორიული შესაძლებლობები, მენეჯმენტი და ჯანდაცვის სერვისების მართვა, მიწოდება, წამლების, სამედიცინო ტექნოლოგიების და მონაცემებისა და ინფორმაციის მართვა. ამასთან, მნიშვნელოვანია არსებული საკანონმდებლო ბაზის გადახედვა, დახვეწა და ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის საჭიროებაზე მორგება.

რეკომენდაციები:

- **შემუშავდეს წინადადებები საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამებით გათვალისწინებული სერვისების გაზრდის თვალსაზრისით**
- **გადაიხედოს და გაიზარდოს სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული მედიკამენტების ნუსხა, ასევე მათი ღირებულების ანაზღაურების ლიმიტი**
- **გატარდეს ეფექტური ზომები ჯანდაცვის უფლებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის მაქსიმალურად უზრუნველსაყოფად**
- **შემუშავდეს სახელმწიფოს ერთიანი სტრატეგია, რომელიც უზრუნველყოფს მაღალმთიან რეგიონებში მოსახლეობის სამედიცინო საჭიროებების და მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობას**
- **შემუშავდეს ბავშვთა და მოზარდთა ჯამრთელობის დაცვისათვის აუცილებელ ღონისძიებათა სახელმძღვანელო პრინციპები**

- გატარდეს ქმედითი ზომები საგანმანათლებლო დაწესებულებებში პირველადი ჯანდაცვის სერვისების გასაუმჯობესებლად. შემუშავდეს საინფორმაციო-საგანმანათლებლო ხასიათის ღონისძიებები მოსახლეობის ცნობიერების ასამაღლებლად

- ფსიქიკური ჯანმრთელობის უფლების დაცვის და განმტკიცების მიზნით შემუშავდეს კომპლექსური ხასიათის ღონისძიებები, რათა უზრუნველყოფილ იქნას საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, სამედიცინო მომსახურეობის გაძლიერება და პროფესიული კადრების მომზადება

- განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები კანონმდებლობაში, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ტუბერკულოზით დაავადებულ ადამიანთა ინდივიდუალური და სოციალური უფლებების, ასევე საზოგადოების ინტერესების დაცვას.

ბავშვის უფლებები საქართველოში

შესავალი

საქართველოში ბავშვთა კეთილდღეობის გაუმჯობესების მიმართულებით სახელმწიფოს მიერ 2014 წელს გადადგმული ნაბიჯებიდან უნდა აღინიშნოს შემდეგი: საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა 2014 წელი ბავშვთა უფლებების დაცვის წლად გამოაცხადა[858], ხოლო პარლამენტმა მიიღო „2014 წლის ბავშვთა უფლებების დაცვის წლად გამოცხადების შესახებ“ კონცეფცია და სამოქმედო გეგმა, რომლის მიზანიც იყო კონკრეტული კანონების შემუშავება და პოლიტიკაზე ზეგავლენის მოხდენა, რათა ბავშვთა უფლებები სრულად ყოფილიყო გათვალისწინებული და დაცული; საქართველოს მთავრობამ გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტს წარუდგინა მე–4 პერიოდული მოხსენება ბავშვის უფლებათა კონვენციის იმპლემენტაციის შესახებ; საქართველო შეუერთდა[859] ევროპის საბჭოს კონვენციას „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან ბავშვთა დაცვის შესახებ“; საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა[860] ადამიანის უფლებების დაცვის 2014–2015 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა, რომელშიც ცალკე თავად გაიწერა ბავშვის უფლებების დაცვის პრიორიტეტები, რომელთა იმპლემენტაციაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას; 2014 წლის 14 აპრილს, საქართველოს მთავრობის N291 დადგენილებით დამტკიცდა „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2014 წლის სახელმწიფო პროგრამა, რომლის საფუძველზეც შემუშავდა ბავშვთა სოციალური უფლებების დაცვაზე ორიენტირებული ქვეპროგრამები. მათ შორის არის „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის“ და „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების“ ქვეპროგრამები; შემუშავდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პროექტი, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯია ბავშვთა სპეციალიზირებული მართლმსაჯულების სისტემის დანერგვის პროცესში; საქართველოს

---

858 http://www.parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komitetebi/adamianis-uflebata-dacvisa-da-samoqalaqo- integraciis-komiteti/axali-ambebi-adamianis/parlamentis-adamianis-uflebata-dacvisa-da-samoqalaqo-integraciis-komitetma-2014-weli-bavshvta-uflebebis-dacvis-wlad-gamoacxada.page

859 საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 19 მარტის N2145–IIს დადგენილება

860 საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივლისის N445 დადგენილება „საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014–2015 წლებისათვის) დამტკიცებისა და საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014–2015 წლებისათვის) საკოორდინაციო უწყებათაშორისო საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფარგლებში შემუშავდა სკოლამდელი განათლების კანონის პროექტი, თუმცა სათანადო საკანონმდებლო ცვლილებები სხეულებრივი სასჯელების სრულად აღმოფხვრის მიზნით, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში 2014 წლის განმავლობაში არ განხორციელებულა; საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა მიზნობრივი სოციალური დახმარების განახლებული სისტემა, რომლის მიხედვითაც ყველა ბავშვიანი ოჯახისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა 100 000 ნაკლებია, გათვალისწინებულია ფულადი დანამატი; 2014 წლის დეკემბერში საქართველოს მთავრობის ინიციატივით დაიგეგმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის სხვადასხვა ღონისძიების გატარება[861], როგორიც არის პენსიის გაზრდა, აგრეთვე, სპეციალური სერვისების შექმნა, მათ შორის, შინ მოვლის პროგრამა, რომლის ამოქმედებაც 2015 წლისთვის იგეგმება.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე პრობლემურია „არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისგან დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პრაქტიკაში ეფექტური იმპლემენტაცია, „იოდის, სხვა მიკროელემენტებისა და ვიტამინების დეფიციტით გამოწვეული დაავადებების პროფილაქტიკის შესახებ“ კანონის განხორციელება, რასაც აღნიშნულ აქტებში არსებული საკანონმდებლო ხარვეზები აფერხებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მიუხედავად სახალხო დამცველის არაერთი მოთხოვნისა, 2013 წელს დაწყებული გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მესამე დამატებითი ოქმის „კომუნიკაციის პროცედურების შესახებ“[862] ხელმოწერისა და რატიფიკაციის პროცესი დღემდე არ არის დასრულებული.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრის მიერ 2014 წლის საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა უწყებებისადმი ბავშვის უფლებრივი მდგომარეობის შემოწმების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მომზადდა და გაიცა 9 რეკომენდაცია და წინადადება. მათგან შესრულდა 4, 3 - ნაწილობრივ, ხოლო 2 რეკომენდაცია არ შესრულებულა. გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში, საქმისწარმოება დაიწყო ბავშვის უფლებების დარღვევის 419 შემთხვევაზე. საქმისწარმოების ანალიზმა გამოავლინა, რომ რაოდენობრივი მაჩვენებლის მიხედვით, არასათანადოდ ხორციელდება განათლების, ბავშვის მიმართ ძალადობისა თუ სხვა სახის არასათანადო მოპყრობისაგან, აგრეთვე, სიღარიბისა და ცხოვრების არასათანადო დონისაგან დაცვის, სკოლამდელი აღზრდისა და ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის უფლებები. მაღალია 5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი, კვლავ პრობლემურია ბავშვთა დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი, ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე არასრულწლოვნების საჭიროებებზე ორიენტირებული სახელმწიფო სერვისების განხორციელება.

---

[861] http://unicef.ge/62/unicefis_gantskhadeba_shezguduli_shesadzleblobebis_mqone_bavshvebis_shesaxeb/301

[862] მიღებულია გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს 2011 წლის 14 ივლისის N17/18 რეზოლუციით

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრმა ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა სისტემურად შეამოწმა. მონიტორინგი განხორციელდა სკოლამდელ სააღმზრდელო და არასრულწლოვანთა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, აგრეთვე, მცირე საოჯახო ტიპის სახლებში. ბავშვთა უფლებების დაცვის განხორციელების ხარისხი შემოწმდა საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში, საჯარო სკოლებში, სკოლა–პანსიონებში, მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებად დღის ცენტრებში, კრიზისული ინტერვენციის 24 საათიან თავშესაფრებსა და ტრანზიტულ ცენტრებში, ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებში.

გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, ცენტრმა შეიმუშავა 2014–2017 წლების სტრატეგია, რომელშიც ცენტრის საქმიანობის უმთავრეს მიმართულებებად გაიწერა ადამიანის უფლებების ეროვნულ სამოქმედო გეგმაში ბავშვის უფლებების განხორციელების სისტემური მონიტორინგი და სახალხო დამცველის რეგიონული წარმომადგენლობების შესაძლებლობების გაძლიერება ბავშვის უფლებების დაცვის კუთხით.

უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო დამცველის მანდატის ფარგლებში, სპეციალური პრევენციული ჯგუფის ექსპერტებთან ერთად, პირველად განხორციელდა სხვადასხვა რელიგიური კონფესიების დაქვემდებარებაში ფუნქციონირებადი ბავშვთა სახლების მონიტორინგი, რომლის შედეგებსაც სახალხო დამცველი სპეციალურ ანგარიშში ასახავს.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ბავშვის უფლებების ცენტრში მიმდინარე საქმისწარმოების სტატისტიკური ინფორმაცია:



არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში

2014 წლის 1 მაისიდან 2015 წლის 31 იანვრის ჩათვლით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრმა, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის - „ბავშვის უფლებების ცენტრის შესაძლებლობების გაძლიერება“ ფარგლებში, ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა შეამოწმა საქართველოს

მაღალმთიან რეგიონებში, კერძოდ, მესტიის, ყაზბეგის, ახმეტის, ონის, ამბროლაურის, შუახევისა და ქედას ტერიტორიული ერთეულებში. მონიტორინგის ამოცანას წარმოადგენდა აღნიშნულ რეგიონებში მცხოვრებ ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის შემოწმება ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

ბავშვთა სიღარიბისა და ცხოვრების არასათანადო დონისაგან დაცვის უფლება

მაღალმთიან რეგიონებში არასრულწლოვანთა მნიშვნელოვანი ნაწილი ცხოვრობს როგორც უკიდურეს, ისე ფარდობით სიღარიბეში. არასათანადოდაა დანერგილი ადრეულ ასაკში ბავშვთა განვითარებისა და პერინატალური ზრუნვის სახელმწიფო პროგრამების სისტემა. ხარვეზებით ხორციელდება ამ მიზნით დაფინანსებული ინკლუზიური და ინტეგრირებული პოლიტიკა და ქვეპროგრამები 0-6 წლამდე ასაკის ყველა ბავშვისათვის, განსაკუთრებით – მოწყვლადი ჯგუფებისათვის.

გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მონაცემების[863] მიხედვით, ჯერ კიდევ 2011 წელს, ბავშვთა 9.4% უკიდურესად ღარიბ შინამეურნეობებში ცხოვრობდა. UNICEF–ის ანგარიშის[864] თანახმად, მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში, ქვეყანაში ბავშვთა სიღარიბის შესამცირებლად საჭიროა სოციალური დაცვის მექანიზმების გაუმჯობესება სოციალური შეღავათების უკეთ გასანაწილებლად: მიზნობრივ სქემებში ბავშვთა საჭიროებების ადეკვატური ასახვა ყველა ღარიბი შინამეურნეობის მოსაცველად მიზნობრივი სოციალური დახმარებისა და სამედიცინო პროგრამების მთლიანი დაფარვის გაზრდა.

2014 წლის 14 აპრილს, საქართველოს მთავრობის N291 დადგენილებით დამტკიცდა „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2014 წლის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების“ ქვეპროგრამის ფარგლებში ითვალისწინებს სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილებას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფი ზოგადია და ბენეფიციართა განმსაზღვრელი ხელშესახები კრიტერიუმები ნორმატიულ დონეზე არ არის გაწერილი. ამასთან, დაბალია მაღალმთიანი რაიონებიდან ზემოაღნიშნულ ქვეპროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობა – ბავშვიანი 38 ოჯახი 8 მაღალმთიანი რეგიონისათვის, მაშინ, როდესაც აღნიშნულ რაიონებში სოციალური პაკეტის მიმღები 1510, ხოლო საარსებო შემწეობის მიმღები 8638 არასრულწლოვანია რეგისტრირებული[865] (იხ. ცხრილი N1).

---

[863] UNICEF, „საქართველო–ბავშვთა სიღარიბის შემცირება“, თბ., 2012.
[864] UNICEF, „საქართველო და ბავშვის უფლებათა კონვენცია“, თბ., 2011.
[865] http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=882
http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=766

2014 წლის 31 მარტს, საქართველოს მთავრობის N262 დადგენილებით, დამტკიცდა ,,დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა'', რომელშიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საქართველოს მაღალმთიანი რეგიონებიდან ჩაერთო 102 ოჯახი. პროგრამის სამიზნე ჯგუფს არ წარმოადგენენ ხულოს, შუახევისა და ქედას მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახები, მაშინ, როდესაც არასრულწლოვანთა სიღარიბის მაჩვენებელი და შემდგომი რისკფაქტორები აღნიშნულ რეგიონებშიც საკმაოდ მაღალია (იხ. ცხრილი N 1)

ცხრილი N1



	მესტია	ახმეტა	ყაზბეგი	ხულო	ქედა	შუახევი	ამბროლაური	ონი
სოციალური პაკეტის მიმღებ ბავშვთა რაოდენობა	92	207	26	336	167	217	57	29
კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების ქვეპროგრამაში ჩართულ ბავშვიან ოჯახთა რაოდენობა	5	10	1	5	4	4	8	1
დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივ სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ ბავშვიან ოჯახთა რაოდენობა	21	56	7	0	0	0	10	8
საარსებო შემწეობის მიმღებ ბავშვთა რაოდენობა	1037	2159	251	2129	986	1033	598	440

სოციალური უფლებების უზრუნველყოფის სისტემის ფარგლებში მოქმედი სახელმწიფო პროგრამების/ქვეპროგრამების ანალიზისას, იკვეთება, რომ მათში არასათანადოდ აისახება მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ ბავშვთა სოციალურ–ეკონომიკურ საჭიროებები. შესაბამისად, ეფექტური ინტერვენციები, რომელთა მეშვეობითაც მოხდება აღნიშნულ რაიონებში მცხოვრებ არასრულწლოვანთა თანაბარზომიერი დაცვა სიღარიბისა და

http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=775

ცხოვრების არასათანადო დონისაგან, მაღალმთიან რეგიონებში დღემდე არასაკმარისად ხორციელდება.

ბავშვთა სიღარიბისა და ცხოვრების არასათანადო დონის შემცირებაზე ორიენტირებული მუნიციპალური სოციალური პროგრამების/ქვეპროგრამების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ მუნიციპალურ დონეზე მოქმედი სიღარიბისგან დამცავი მექანიზმები ძირითადად ორიენტირებულია მრავალშვილიან ოჯახში მცხოვრებ ბავშვებზე, თუმცა დაფინანსება მწირია. დაბალია პროგრამებში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობაც. მაგალითად, ონის მუნიციპალიტეტში მოქმედი „მრავალშვილიან ოჯახებში ახალშობილი და მარჩენალდაკარგული ბავშვებისათვის განკუთვნილი სოციალური დახმარების“ პროგრამით გათვალისწინებულია, რომ ბენეფიციარი ოჯახებისთვის განკუთვნილია 3 შვილზე 80 ლარის, ხოლო 4 შვილზე 100 ლარის ოდენობის ერთჯერადი ფულადი დახმარება. ხულოს მუნიციპალიტეტში მოქმედ „მუნიციპალური უფასო სასადილოს“ მიზნობრივ ქვეპროგრამაში 2014 წლის განმავლობაში მხოლოდ 3 არასრულწლოვანი ბენეფიციარი იყო ჩართული.

აღსანიშნავია აგრეთვე მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახების დაბალი ინფორმირებულობა მიზნობრივი სოციალური დახმარების სისტემით გათვალისწინებული ქვეპროგრამების ფარგლებში მოქმედი სერვისების შესახებ. აღნიშნული მდგომარეობა ფიქსირდება როგორც სახელმწიფო, ისე – ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე მოქმედი მუნიციპალური პროგრამების მიმართ. ინფორმაციული ხელმისაწვდომობის ერთ–ერთი დამაბრკოლებელი გარემოებაა სახელმწიფო და მუნიციპალური სოციალური სამსახურების არაეფექტური კომუნიკაცია მოსახლეობის ყველა, განსაკუთრებით კი, ყველაზე დაუცველ ფენასთან.

საქართველოს კონსტიტუციის 31–ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თანაბარი სოციალურ–ეკონომიკური განვითარებისათვის, ხოლო 36–ე მუხლის მე–2 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას.

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის 27–ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ყოველი ბავშვის უფლებას ცხოვრების დონეზე, რომელიც აუცილებელია ბავშვის ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი და სოციალური განვითარებისათვის“, ხოლო მე–3 პუნქტის ნორმატიული შინაარსიდან გამომდინარე, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები, ეროვნული პირობების შესაბამისად და თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში, უნდა ატარებდნენ ყველა საჭირო ზომას, მატერიალურ დახმარებას უწევდნენ და ხელს უწყობდნენ პროგრამებს, განსაკუთრებით კი კვებით, ტანსაცმლითა და საცხოვრებლით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული სერვისების განვითარებას.

გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტის (CRC) 2008 წლის 23 ივნისის „დასკვნითი შენიშვნები ბავშვის უფლებების შესახებ“ 54–ე პუნქტში გაიწერა, რომ სახელმწიფომ უნდა განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები ბავშვთა სიღარიბის აღმოსაფხვრელად, განსაკუთრებით, სოფლად და მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახებისათვის[866].

საქართველოს მთავრობის ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის თანახმად, ბავშვთა სიღარიბის აღმოსაფხვრელად საჭიროა ბავშვთა სოციალური დაცვის სისტემის გაუმჯობესება, რაც მოიცავს მიზნობრივი სოციალური დაცვის სისტემის სრულყოფას ბავშვთა საჭიროებების უკეთ ასახვისათვის.

ძალადობისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობისგან დაცვის უფლება

საქართველოში დიდ პრობლემას წარმოადგენს ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციის, მისი აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების საკითხები.[867] აღნიშნულს ადასტურებს 2013 წელს გაეროს ბავშვთა დაცვის ფონდის მიერ ჩატარებული კვლევა, „ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში“.

საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის შემოწმების შედეგად გამოვლინდა გარკვეული დარღვევები ბავშვთა მიმართ ძალადობისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობის სფეროში.

ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები[868] ადგენს, რომ ძალადობის ფაქტების გამოვლენა, აღკვეთა, ძალადობის მსხვერპლთა დაცვა უნდა განახორციელონ შსს საპატრულო პოლიციისა და საუბნო სამსახურების წარმომადგენლებმა[869]. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შესწავლილ იქნა შსს–ს მიერ ძალადობის ფაქტების იდენტიფიცირებისა და შემდგომი ღონისძიებების განხორციელების ეფექტიანობის საკითხი, ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების შესახებ რეგისტრირებული მონაცემები. საქართველოს შინაგან საქმეთა ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის

[866] http://www.refworld.org/type,CONCOBSERVATIONS,CRC,GEO,4885cfab0,0.html

[867]საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2013 წელი, გვ. 454.

[868]საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 31 მაისის ერთობლივი ბრძანება N 152/ნ – N 496 – N 45/ნ „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ“

[869] იქვე, მე–4 მუხლის მე–2 პუნქტი.

მიხედვით არსებული სტატისტიკური მონაცემებით[870], სსკ 126[1] მუხლით 2014 წლის 6 თვეში (იანვარი–ივნისი) რეგისტრირებულია 208 საქმე, რომელთა საფუძველზეც მაღალმთიან რეგიონებში არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის თაობაზე გამოძიება დაიწყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, თუმცა, კანონით დადგენილ ვადაში[871] შსს–ს აღნიშნული მიმართვების საპასუხო კორესპონდენციები არ მოუწოდებია.

ბავშვთა ძალადობისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის უფლების განხორციელებისას უმნიშვნელოვანესია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების როლი, რომელთაც ეკისრებათ ვალდებულება ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენისას ადგილზე შემთხვევის გაანალიზება და პოლიციასა თუ სააგენტოსთან თანამშრომლობით ძალადობის მსხვერპლი ბავშვის მდგომარეობაზე ზედამხედველობა[872].

საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში ხშირ შემთხვევაში, ვერ ავლენენ არასრულწლოვანზე ძალადობის ფაქტებს (აღნიშნული განსაკუთრებით ეხება ოჯახური ძალადობის შემთხვევებს, მათ შორის, ფსიქოლოგიური მუქარისა და ზეწოლის საკითხს), ეფექტიანი სამართალწარმოება და ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა დაცვისათვის საჭირო ღონისძიებები. ამის ერთ–ერთ მაგალითს წარმოადგენს ქედას მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში 16 წლის არასრულწლოვანი ა.ჩ.–ს საქმე. სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრის მიერ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, ოჯახში ბავშვზე სისტემატურად ხორციელდებოდა ფსიქოლოგიური ძალადობა, რის საფუძველზეც, არასრულწლოვანმა სცადა თვითმკვლელობა, თუმცა საქმისწარმოების არცერთ ეტაპზე არ ჩართულან სამართალდამცავი ორგანოების ადგილობრივი წარმომადგენლები და არ განხორციელებულა ძალადობის მსხვერპლი ბავშვის დაცვის ღონისძიებები. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ა.ჩ.–ს უფლებრივი მდგომარეობა არსებითად იქნა შესწავლილი – განხორციელდა პრევენციული ღონისძიებები არასრულწლოვანის შემდგომი არასათანადო მოპყრობისგან დაცვის მიზნით.

აუცილებელია ძალადობის ყველა ფაქტის გამოვლენა სკოლის, სამედიცინო დაწესებულების, სოფლის ექიმის, ბავშვთა სპეციალიზებული დაწესებულების, სსიპ სოციალური

---

[870] http://police.ge/files/pdf/9%20%E1%83%9D%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%202007-2014--6%20%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94 .pdf

[871] „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე–18 მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტები.

[872] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 31 მაისის ერთობლივი ბრძანება N152/ნ – N496 – N45/ნ „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ“ მე–4 მ.–ის მე–4 პ.

მომსახურების სააგენტოს, საუბნო სამსახურისა და საპატრულო პოლიციის მიერ.[873] როგორც პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობებით გამოიკვეთა, აღნიშნული რეგულაციის პრაქტიკაში იმპლემენტაცია ბრკოლდება შემდეგი ფაქტობრივი გარემოებების გამო: სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ ცენტრებში ფსიქოლოგის შტატის დეფიციტი, სოციალურ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების საჭიროება ბავშვის მდგომარეობის შესწავლისა და შემდგომი შეფასების მიზნით, გეგმიური და არაგეგმიური ვიზიტების განხორციელების პრობლემატიკა (მათ შორის არასათანადო ინფრასტრუქტურა, მაგალითად, სატრანსპორტო საშუალების არქონა, რაც აბრკოლებს სოციალური მუშაკის მიერ როგორც გეგმიურ, ისე არაგეგმიურ ვიზიტებს), საქმისწარმოების დროულად განხორციელებისა და ფაქტობრივი გარემოებების საფუძვლიანად შესწავლის პრობლემატიკა. 2014 წლის მსგავსად, 2013 წლის საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში აისახა, რომ საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში ბავშვთა უფლებების ეფექტური განხორციელებისათვის აუცილებელი იყო სოციალური მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლება. ამასთან, 2013 წელს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს (როგორც ბავშვზე ზრუნვის განმახორციელებელი მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს), ადეკვატური სატრანსპორტო რესურსით უზრუნველყოფისათვის, თუმცა აღნიშნული წინადადება 2013–14 წლების განმავლობაში არ შესრულებულა.

ნ.ჭ–ს, თ.ჭ–სა და დ.ჭ–ს საქმე

ბავშვის მიმართ ოჯახური ძალადობის განხორციელების ტიპური შემთხვევაა ნ.ჭ–ს, თ.ჭ–სა და დ.ჭ–ს საქმე. საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებს მიეწოდათ ინფორმაცია[874] ზემო სვანეთის ერთ–ერთ მუნიციპალიტეტში მცხოვრები არასრულწლოვნების, ნ.ჭ–ს, თ.ჭ–სა და დ.ჭ–ს უფლებრივი მდგომარეობის შესახებ. როგორც საქმისწარმოებისას დადგინდა, ბავშვები იყვნენ ოჯახური ძალადობის მსხვერპლნი. მათზე ხორციელდებოდა სისტემატური ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, ნ.ჭ.–ს, თ.ჭ–სა და დ.ჭ.–ს მიმართ სავარაუდო ძალადობის შემთხვევებზე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და შსს ადგილობრივ რაიონულ განყოფილებებში არ განხორციელებულა შესაბამისი სამართალწარმოება და ბავშვთა დაცვის ღონისძიებები.

---

[873] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 31 მაისის ერთობლივი ბრძანება N152/ნ – N496 – N45/ნ „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ“, მ. 6 (1).
[874] საქმე N12507/1.

საქმეზე შემდგომი რეაგირებისა და ბავშვთა დაცვის ღონისძიებების განხორციელების მოთხოვნით საქართველოს სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრმა მიმართა[875] საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს. აღნიშნული მიმართვის საფუძველზე, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მომსახურების რაიონული ცენტრის სოციალურმა მუშაკმა განახორციელა ოჯახში გეგმიური ვიზიტები[876]. არასრულწლოვნების მდგომარეობის შეფასების შედეგად გამოკვეთა, რომ მათზე ხორციელდებოდა ძალადობა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობა, მათ შორის უგულებელყოფა და იძულება. სოციალური მუშაკის დასკვნის საფუძველზე, გამოიკვეთა ბავშვების ოჯახიდან გამოყვანისა და სახელმწიფო მზრუნველობაში განთავსების საჭიროება. შედეგად, ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნები ჩართეს მინდობით აღზრდის ქვეპროგრამაში[877].

ბავშვის უფლებების კონვენციის მე–19 მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ყველა აუცილებელ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სოციალურ ზომებს იღებენ და საგანმანათლებლო ღონისძიებებს მიმართავენ,, რათა ბავშვი დაიცვან მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ბავშვზე მზრუნველი ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან ნებისმიერი ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისგან, შეურაცხყოფისა თუ ბოროტად გამოყენებისაგან, მზრუნველობის მოკლებისა თუ დაუდევარი მოპყრობისაგან, უხეში მოქცევისა თუ ექსპლუატაციისაგან. გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტმა 2008 წლის 23 ივნისის ბავშვის უფლებების შესახებ დასკვნითი შენიშვნების[878] 31–33 პარაგრაფებში მიუთითა საქართველოს ვალდებულებაზე, მიიღოს ყველა ზომა არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის, განსაკუთრებით კი ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

2014 წელს საქართველო შეუერთდა ევროპის საბჭოს „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ“ კონვენციას, რომლის მე–4 მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოს, აღნიშნულ სფეროში მიიღოს აუცილებელი საკანონმდებლო და სხვა სახის ზომები შემდგომი პრევენციისა და არასრულწლოვანთა დაცვის მიზნით.

ოჯახში ძალადობის შემთხვევებში ბავშვთა დაცვისა და დახმარებისათვის გასატარებელ აუცილებელ პროცედურებს ითვალისწინებს საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“.

---

[875] კორესპონდენცია N10-2/10099, 05/08/2014.
[876] კორესპონდენცია N14277/1, 04/09/2014.
[877] კორესპონდენცია N19923/1, 23/12/2014.
[878] http://www.refworld.org/type,CONCOBSERVATIONS,CRC,GEO,4885cfab0,0.html

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–3 და მე–20 მუხლები განსაზღვრავს სახელმწიფოს ვალდებულებას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ძალადობის აღმოსაფხვრელად.

ბავშვთა ჯანმრთელობის უფლების ხელმისაწვდომობა

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) ანგარიშის „საქართველო – ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობის შეფასების“ თანახმად, საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის ეროვნულ პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა სამედიცინო ინფრასტრუქტურისა და კომპეტენტური საკადრო რესურსების უწყვეტი განვითარების მეშვეობით[879].

შემოწმების შედეგებმა გვიჩვენა, რომ საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების რიგ ტერიტორიულ ერთეულებსა და სოფლებში არ ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტები და საავადმყოფოები, ამბულატორიების დიდ ნაწილს არ ჰყავს ბავშვთა ექიმი, რაც არასრულწლოვნებს პრობლემებს უქმნის სახელმწიფო სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობისა და უწყვეტობის მხრივ. პრობლემურ ხასიათს ატარებს ასევე ამბულატორიების ინფრასტრუქტურული მდგომარეობა, სამედიცინო პერსონალის პროპორციული შეუთავსებლობა ფუნქციონირებადი ამბულატორიების რაოდენობასთან, პირველადი ჯანდაცვის ცენტრების საჭირო ინვენტარით უზრუნველყოფა. საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში ბავშვთა ჯანდაცვის უფლების ხელმისაწვდომობის პრობლემების აღმოფხვრა/პრევენციის მიზნით საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით[880] მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს და მოითხოვა შესაბამისი ღონისძიებების გატარება, თუმცა რელევანტური ღონისძიებები აღნიშნულ სფეროში დღემდე არ განხორციელებულა.

2014 წლის 17 ნოემბრის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, მაღალმთიან რეგიონებში ბავშვთა სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის პრობლემები განპირობებულია დეფიციტური და პრიორიტეტული სპეციალობების ექიმთა ნაკლებობით. ამ პრობლემის გადასაჭრელად, იგეგმება საექიმო სპეციალობის მაძიებელთა დიპლომის შემდგომი

[879] http://www.healthrights.ge/wp-content/uploads/2011/07/2009_Shepaseba_Jand.-Sistemis-Angarishi_Georgia.pdf

[880] კორესპონდენცია N10/14687, 24/12/2014.

განათლების კურსის (რეზიდენტურის) დაფინანსება სახელმწიფოს მიერ. მართალია, აღნიშნული ხელს შეუწყობს ჯანდაცვის უფლების განხორციელებას, თუმცა შესაძლოა, ნაკლებ ეფექტიანი იყოს ბავშვებისათვის სამედიცინო მომსახურების მიღების უწყვეტობისა და რაოდენობრივი პროპორციის კრიტერიუმების შესასრულებლად.

რაც შეეხება ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ჯანდაცვის პროგრამებს, აღსანიშნავია, რომ იკვეთება წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მიერ ჯანდაცვის შესაბამისი სერვისების სისტემური მიწოდების პრობლემები, მუნიციპალური პროგრამების მცირე რაოდენობა და არასაკმარისი დაფინანსება. მაგალითად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 20 იანვრის N2 დადგენილების „მოსახლეობის სოციალური დახმარების 2014 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მე–5 მუხლით გაწერილი სამიზნე ჯგუფები და პრიორიტეტულ მიმართულებები არ ასახავს არასრულწლოვანთა ჯანდაცვის უზრუნველმყოფ სერვისებს.

მუნიციპალურ დონეზე მოქმედი პროგრამების ნაწილი ორიენტირებულია ბავშვთა სამედიცინო მედიკამენტებით უზრუნველყოფაზე, თუმცა ხასიათდება მცირე საბიუჯეტო დაფინანსებით. მაგალითად, მესტიის მუნიციპალიტეტში „18 წლამდე ასაკის მოავადე ბავშვებისათვის მედიკამენტებით უზრუნველყოფისათვის“ ფულადი დახმარების ქვეპროგრამით გათვალისწინებულია, რომ თითოეულ ბენეფიციარზე ერთჯერადად გაცემული თანხა არ უნდა აღემატებოდეს 100 ლარს.

ჯანმრთელობის დაცვის უფლება, როგორც სოციალური სახელმწიფოს პრინციპის გამოხატულება, განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის 37–ე მუხლის ნორმატიული შინაარსით, რომელიც ადგენს ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების სამ ურთიერთდაკავშირებულ კრიტერიუმს – გეოგრაფიულ, ფინანსურ და ინფორმაციულ ხელმისაწვდომობას.

გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციის 24–ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის უფლებას, ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ყველაზე სრულყოფილი მომსახურებით, ავადმყოფობათა მკურნალობისა და ჯანმრთელობის აღდგენის საშუალებებით. თუ კომიტეტის 2008 წლის 23 ივნისის „დასკვნითი შენიშვნები ბავშვის უფლებების შესახებ[881]“ 44–ე პარაგრაფს გავაანალიზებთ, ვნახავთ, რომ საქართველოში ბევრ ბავშვს, გეოგრაფიული პირობების გამო, შეზღუდული აქვს წვდომა ჯანმრთელობის დაცვის სერვისებსა და დაწესებულებებზე.

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–4 მუხლის „ა“, „ბ“ და „კ“ პუნქტები განამტკიცებენ სამედიცინო დახმარების საყოველთაო და თანაბარი

[881] http://www.refworld.org/type,CONCOBSERVATIONS,CRC,GEO,4885cfab0,0.html

ხელმისაწვდომობის უფლებას, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას, პატივის, ღირსებისა და მისი ავტონომიის აღიარებას, პირველადი ჯანმრთელობის დაცვის, მათ შორის, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების პრიორიტეტულობას, საოჯახო მედიცინისა და ოჯახის ექიმის ინსტიტუტის განვითარებას და მასზე დაფუძნებული სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

ზოგადი განათლების უფლების იმპლემენტაცია

მაღალმთიან რეგიონებში განთავსებულ საჯარო სკოლებში პრობლემურია ზოგადი განათლების კონსტიტუციური უფლების შემდეგი ძირითადი კრიტერიუმების განხორციელება: *(1) საბაზო/ზოგადი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის პრაქტიკაში ეფექტური იმპლემენტაცია; (2) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირება გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრინციპის დაცვით; (3) საბაზო/ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთათვის უსაფრთხო და სათანადო ფიზიკურ–ინფრასტრუქტურული გარემოს შექმნა; (4) ეფექტიანი და ხარისხიანი განათლების მიღების უფლება; (5) ინკლუზიური განათლების საყოველთაო დანერგვა და დაწესებულებათა ფიზიკური/საგანმანათლებლო გარემოს ადაპტაცია შეზღუდული შესაძლებლობების/სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისათვის.*

ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უფლება – მაღალმთიან რეგიონებში განათლების თანაბარი ხელმისაწვდომის სტანდარტის დანერგვის პრობლემები, ძირითადად, დაკავშირებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების არასაკმარის რაოდენობასთან, ფიზიკურ, ინფრასტრუქტურულ და ტერიტორიულ ხელმისაწვდომობასთან, „სკოლების ხელმისაწვდომობის[882]“ პროგრამაში საჯარო სკოლების ჩართვის დაბალ მაჩვენებელთან (იხ., ცხრილი N2).

ზოგადი განათლების ფიზიკური/ტერიტორიული ხელმისაწვდომობის მხრივ, პრობლემური მდგომარეობაა მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ადიშში, სადაც არ ფუნქციონირებს საჯარო სკოლა. სოფელ ადიშიდან უახლოესი საჯარო სკოლა მდებარეობს სოფელ იფარში.

[882] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 11 აპრილის N412 ბრძანება „პროგრამა ზოგადი განათლების ხელშეწყობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 26 ნოემბრის N1171 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და „ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 30 დეკემბრის N1124 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.“

აღნიშნულ სოფლებს შორის მანძილი 9 კმ-ია, თავის მხრივ, იფარის საჯარო სკოლა არ არის უზრუნველყოფილი სასკოლო ტრანსპორტით, რის გამოც სოფელ ადიშში მცხოვრებ სასკოლო ასაკის არასრულწლოვნებს შეზღუდული აქვთ ზოგადი განათლების მიღების უფლება.

ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის იმპლემენტაციის წარმოსაჩენად აღსანიშნავია, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში არსებული მდგომარეობაც, სადაც 7 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან „სკოლების ხელმისაწვდომობის" პროგრამაში ჩაერთო მხოლოდ დაბა გუდაურის საჯარო სკოლა, მიუხედავად იმისა, რომ მონიტორინგის პროცესში, ფიზიკური ხელმისაწვდომობის დამაბრკოლებელი გარემოებები და რისკფაქტორები მუნიციპალიტეტის დანარჩენ 6 სკოლაშიც დაფიქსირდა.



საბაზო/ზოგადი განათლების ინფრასტრუქტურული ხელმისაწვდომობის მხრივ ასევე რელევანტურია *ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ძიბახევში* არსებული ფაქტობრივი მდგომარეობა. სოფელ ძიბახევში საჯარო სკოლა არ ფუნქციონირებს. 2005 წელს, ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნით, დაწყებითი კლასები 2 ოთახისგან შემდგარ ,,ფიცრულ სახლში'' გაიხსნა, ფუნქციონირებდა 4 დაწყებითი კლასი – პირველი და მე–2, მე–3 და მე–4 კლას–კომპლექტები[883]. ბავშვებს ჰყავდათ 3 პედაგოგი. სოფელ ძიბახევიდან უახლოესი საჯარო სკოლა სოფელ ბირკიანში მდებარეობდა და ზემოაღნიშნული კლას-კომპლექტები ბირკიანის გარე კლასებს წარმოადგენდა. მშობლების მოთხოვნა იყო სოფელ ძიბახევში არსებული კლას-კომპლექტების სათანადო ინფრასტრუქტურული

[883] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კორესპონდენცია N10675/1, 22/05/2014.

უზრუნველყოფა, თუმცა 2014 წელს სოფელ ძიბახევში არსებული კლას-კომპლექტები საერთოდ გაუქმდა[884].

მაღალმთიან რეგიონებში საბაზო/ზოგადი განათლების თანასწორობის, ხელმისაწვდომობისა და ინკლუზიის უზრუნველყოფის მისაღწევად, აუცილებელია, პოზიტიური ვალდებულების ფარგლებში სახელმწიფომ გაზარდოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების გეოგრაფიული და ხარისხობრივი ფუნქციონირების მასშტაბები, საჭიროების შემთხვევაში კი გაიცეს გაზრდილი სახელმწიფო ვაუჩერი[885]. ასევე, განათლების კლასიფიკაციის საერთაშორისო სტანდარტების[886] დასაკმაყოფილებლად, უნდა შემუშავდეს სპეციალური მიზნობრივი პროგრამები ფორმალური/არაფორმალური განათლების ხელმისაწვდომი და ეფექტიანი იმპლემენტაციისათვის.

ხარისხიანი და ეფექტიანი ზოგადი განათლების მიღების უფლება – ეფექტიანი, ინკლუზიური და ხარისხიანი სწავლა-სწავლების პროცესის დანერგვა დაკავშირებულია ისეთ ძირითად გამოწვევებთან, როგორიც არის მასწავლებელთა კვალიფიკაციისა და პროფესიული ზრდის საჭიროება, რაც მოიცავს, ერთი მხრივ, კვალიფიციური კადრების მოზიდვასა და პედაგოგთა კორპუსის განახლებას, ხოლო მეორე მხრივ, მოქმედი პედაგოგების უწყვეტ პროფესიულ განვითარებას, გარდა ამისა, ეროვნული სასწავლო გეგმით გაწერილი სწავლების მეთოდოლოგიური სისტემის ეფექტიანობის დაბალ ხარისხთან და ამ მიზნით დამტკიცებული და დაფინანსებული სახელმწიფო პროგრამების განხორციელების მასშტაბებთან.

ხარისხიანი ზოგადი განათლების უფლების განხორციელებისას მაღალმთიან რეგიონებში გვხვდება ისეთი ძირითადი პრობლემები, როგორიც არის პედაგოგთა კვალიფიკაციის დონე და გადამზადების/კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროება, რომლის ერთ–ერთი ინდიკატორიც მუნიციპალიტეტებში სერტიფიცირებულ მასწავლებელთა მცირე მაჩვენებელია (იხ., ცხრილი N3). მაგალითად, მესტიის მუნიციპალიტეტში საჯარო სკოლებში დასაქმებული 430 პედაგოგიდან მხოლოდ 34–ია სერტიფიცირებული, ხოლო ხულოს მუნიციპალიტეტის 1051 პედაგოგიდან – 67.

2014 წლის განმავლობაში მაღალმთიან რეგიონებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ პედაგოგთა გადასამზადებლად განხორციელდა რამდენიმე ძირითადი

[884] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კორესპონდენცია N13940/1, 30/07/2014.
[885] „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი.
[886] UNESCO, „International Standard Classification of Education“, 2011.

პროგრამა[887], თუმცა ხსენებული ღონისძიებები არ არის საკმარისი განათლების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად.

კიდევ ერთი ინდიკატორი, რომელიც ზოგადი განათლების პრაქტიკაში ეფექტიან განხორციელებას აბრკოლებს, არის მაღალმთიან რეგიონებში მდებარე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში კლასს–კომპლექტების დიდი რაოდენობა (იხ., ცხრილი N3). მაგალითად, ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მაღრაანის საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს 10 კლას–კომპლექტი, ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტუნაძეების სკოლაში – 6.



	ხულოს	შუახევი	ქედა	ონი	ამბროლაური	ახმეტა	ყაზბეგი	მესტია
კლას–კომპლექტების რაოდენობა	27	70	137	3	18	43	4	29
პედაგოგთა რაოდენობა	1051	929	654	155	304	665	128	430
სერტიფიცირებულ პედაგოგთა რაოდენობა	67	87	61	32	66	114	21	34

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურული მდგომარეობა – განხორციელებულმა შემოწმებამ გამოავლინა, რომ საბაზო/საჯარო სკოლების მნიშვნელოვანი ნაწილი ფუნქციონირებს მოსწავლეთათვის არაკეთილსაიმედო ინფრასტრუქტურულ და სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებში.

განსაკუთრებით პრობლემურია მესტიის მუნიციპალიტეტში მდებარე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურული მდგომარეობა. მაგალითად, აღნიშნული პრობლემა დგას სოფელ ყარსგურიშის საჯარო სკოლის დაწყებითი გარე კლასის წინაშე, რომელიც ზემო მარღში მდებარეობს. აღნიშნულ გარე კლასს არა აქვს გამოყოფილი სპეციალური შენობა. გაკვეთილები 4 ბავშვს სახლში უტარდება. იგივე პრობლემაა მულახის საჯარო სკოლის დაწყებით გარე კლასში, რომელიც სოფელ მუშკელში მდებარეობს. სკოლა მიტოვებულ სახლშია განთავსებული და 3 მოსწავლესა და 4 მასწავლებელს იტევს.

887 http://www.tpdc.ge/uploads/pdf_documents/consolidated%20program%202014%20Inclusion%20May%201.pdf

ფიზიკური და ინფრასტრუქტურული გარემოს გაუმჯობესება ესაჭიროება ასევე ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ სნოს საჯარო სკოლას. გასაახლებელია ინფრასტრუქტურა (სასწავლო ინვენტარი ათეულობით წელია არ შეცვლილა, კლას-კაბინეტებში არსებული თვალსაჩინოებების დიდი ნაწილი 1960-იანი წლებით თარიღდება), ნაგებობა სარეაბილიტაციოა და სანიტარულ-ჰიგიენური პირობები მოსაწესრიგებელი.

მძიმე ინფრასტრუქტურული მდგომარეობა დაფიქსირდა ასევე სოფელ წვირმის საჯარო სკოლაშიც. კერძოდ, აღნიშნულ დაწესებულებაში საფრთხის შემცველი ფიზიკური გარემოს პირობებში ფუნქციონირებდა 10 საკლასო ოთახი. სკოლის შენობა იყო ავარიული, ნესტიანი და საკლასო ოთახს კედლებზე ჰქონდა სოკოვანი წამონაზარდები. საკლასო ოთახებში დანესტიანება იმდენად ძლიერი იყო, რომ ფანჯრები მუდმივად სველი იყო. სკოლის შენობის იატაკი ჩაწეული იყო, ხოლო სკოლის ბიბლიოთეკის კედელი – ჩამონგრეული. სკოლის ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გაუმჯობესების მოთხოვნით, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით (N10/9591, 22/07/2014) მიმართა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რის საფუძველზეც, დაიწყო სკოლის ახალი შენობის მშენებლობისათვის საჭირო პროცედურები.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებიდან არადამაკმაყოფილებელი სანიტარულ-ჰიგიენური პირობებია ყარსგურიშის თემის, სოფელ ლატალის, სოფელ ნაკრასა და მულახის თემის საჯარო სკოლებში (მესტიის მუნიციპალიტეტი), სადაც შენობების შიდა პერიმეტრზე არ ფუნქციონირებს სველი წერტილები. სკოლებს არ გააჩნიათ მუდმივი წყალმომარაგებისა და სარეზერვო სისტემები.

დადებითად უნდა შეფასდეს, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან გამოთხოვილი ინფორმაციის[888] თანახმად, 2014 წლის განმავლობაში ფიზიკურ-ინფრასტრუქტურული გარემოს სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა მაღალმთიანი რეგიონების მთელ რიგ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში: საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის ეფექტიანობის გასაზრდელად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურული გარემოს გაუმჯობესების მიზნით, 2013 წელს სახალხო დამცველის რამდენიმე რეკომენდაცია გაიცა, თუმცა 2013–14 წლების განმავლობაში მათი მხოლოდ ნაწილი შესრულდა. აღნიშნული ტენდეცია ფიქსირდება ასევე, შეზღუდული შესაძლებლობების/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა უფლებრივი მდგომარეობის განხორციელების სფეროში. შედეგად, კვლავ პრობლემად რჩება საჯარო სკოლების ფიზიკური გარემოს ადაპტაცია, გეოგრაფიული და ინფრასტრუქტურული ხელმისაწვდომობის გაზრდა, პედაგოგთა კვალიფიკაციის დაბალი ხარისხი და სხვა სფეროები.

[888] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კორესპონდენცია N19908/1, 16/12/2014.

საქართველოს კონსტიტუციის 35–ე მუხლის მე–4 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო მხარს უჭერს საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირებას კანონით დადგენილი წესით.

გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციის 28–ე მუხლის თანახმად, ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ საშუალო და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში. ბავშვის უფლებების კომიტეტის (CRC) 2008 წლის 23 ივნისის „დასკვნითი შენიშვნები საქართველოს მიმართ[889]“ 57–ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში ხაზგასმულია სახელმწიფოს ვალდებულება, გამოყოს დამატებითი ფინანსური რესურსები განათლების უფლების განხორციელების მიზნით. იმავე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, კომიტეტმა სახელმწიფოს მიმართ გასცა რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც საქართველომ ყურადღება უნდა გაამახვილოს ქვეყანაში განათლების ხარისხის გაუმჯობესებასა და ხელმისაწვდომობაზე, განსაკუთრებით რეგიონებში. იმავე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, საქართველომ უნდა გააუმჯობესოს განათლების ხარისხი სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების გზით.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–3 მუხლიდან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ზოგადი განათლების ღიაობა და თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველასათვის.

მინდობით აღზრდისა და რეინტეგრაციის ქვეპროგრამების განხორციელება

სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში განხორციელებული ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის შემოწმების შედეგად გამოიკვეთა გარკვეული ხარვეზები მინდობით აღზრდისა და რეინტეგრაციის ქვეპროგრამების ფუნქციონირების სფეროში.

მინდობით აღზრდის ქვეპროგრამა საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში შეფერხებით ხორციელდება. 8 მუნიციპალიტეტიდან აღნიშნულ ქვეპროგრამებში მხოლოდ 16 ბავშვია ჩართული, მათ შორის – 3 შშმ. მიუხედავად რეალური საჭიროებისა, მინდობით აღზრდის ქვეპროგრამა ვერ ხორციელდება მესტიის, ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებში. აღნიშნული ნაწილობრივ განპირობებულია იმ ფაქტით, რომ მოცემულ მუნიციპალიტეტებში არ არიან დარეგისტრირებული მიმღები ოჯახები. რაც შეეხება ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრაციის ქვეპროგრამას, უნდა აღინიშნოს, რომ მასში, 8 მუნიციპალიტეტის მასშტაბით, 12 ოჯახი და 21 ბავშვია ჩართული შემდეგი პროპორციით: ამბროლაური – 2, ახმეტა – 9 და მესტია –10 ბენეფიციარი, ყაზბეგი, ონი, ხულო, შუახევი და ქედა – 0 ბენეფიციარი.

---

[889] http://www.refworld.org/type,CONCOBSERVATIONS,CRC,GEO,4885cfab0,0.html

მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონული ცენტრების საქმიანობის ეფექტიანობა მინდობით აღზრდისა და რეინტეგრაციის ქვეპროგრამის განხორციელების სფეროში. სოციალური მუშაკების მიერ ვერ ხორციელდება მიმღებ ოჯახებში (რეინტეგრაციის შემთხვევაში – ბიოლოგიურ ოჯახებში) ხშირი გეგმიური/არაგეგმიური ვიზიტები. სოციალური მუშაკების საქმიანობის შეფერხება, საბოლოოდ, მინდობით აღზრდის/ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრაციის ქვეპროგრამებში ჩართული არასრულწლოვნების საჭიროებების ეფექტიანი გამოკვეთისა და რელევანტური ნაბიჯების გადადგმის სფეროში არსებულ პრობლემებში გამოიხატება.

ლ.მ –სა და ლ.ფ–ს საქმე

საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებს მიეწოდათ ინფორმაცია მინდობით აღზრდის ქვეპროგრამაში ჩართული ორი შშმ არასრულწლოვანის – ლ.მ –სა და ლ.ფ–ს შესახებ. საქმის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ მინდობით აღზრდის ქვეპროგრამაში ჩართული შშმ ბავშვების მიმართ მიმღებ ოჯახში ხორციელდებოდა ძალადობა და არასათანადო მოპყრობა. სოციალური მუშაკი არასათანადოდ ახორციელებდა „მინდობით აღზრდის პროცედურებისა და ფორმების დამტკიცების შესახებ“ ბრძანებითა და „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონით გაწერილ ვალდებულებებს, კერძოდ, გეგმიურ და არაგეგმიურ ვიზიტებს, რის გამოც, არასრულწლოვანთა საჭიროებები და მათ მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტები დროულად ვერ გამოიკვეთა. საქართველოს სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრის მიერ გაგზავნილი კორესპონდენციის შედეგად, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლებმა შეისწავლეს ბავშვების მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტები და გამოიკვეთა ლ.მ–ს სხვა მიმღებ ოჯახში გადაყვანის საჭიროება.

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე–20 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, არასრულწლოვანს, რომელიც დროებით ან მუდმივად მოკლებულია ოჯახურ გარემოს, ანდა, მისივე ყველაზე ჭეშმარიტი ინტერესებიდან გამომდინარე, არ შეიძლება დარჩეს ასეთ გარემოში, უფლება აქვს, სარგებლობდეს სახელმწიფოს განსაკუთრებული მფარველობითა და დახმარებით. ამავე კონვენციის 39–ე მუხლი მიუთითებს, რომ ბავშვის რეინტეგრაცია უნდა ხორციელდებოდეს ღირსეულ გარემოში.

„შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–11 მუხლი განსაზღვრავს მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოს უფლებამოსილებებს მინდობით აღზრდის სფეროში.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N291 დადგენილების „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2014 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ 1.9 დანართით რეგულირდება მინდობით აღზრდის ქვეპროგრამა. აღნიშნული

ქვეპროგრამის ფარგლებში უნდა გატარდეს ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ პირობებში აღზრდის ხელშეწყობა, ბავშვის ფსიქოსოციალური მხარდაჭერა და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადების ხელშეწყობა, ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახთან კონტაქტის გაძლიერება და მისი ხელშეწყობის უზრუნველყოფა, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს.[890]

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა

საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე არასრულწლოვანთა უფლებების განხორციელების შემოწმების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათი განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის უფლებები სერიოზული ხარვეზებით ხორციელდება.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა უფლებრივი მდგომარეობა – საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში შეზღუდული შესაძლებლობების/სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეთა უფლებრივი მდგომარეობის სფეროში ძირითადი პრობლემები უკავშირდება ინკლუზიური განათლების პროგრამის არასათანადოდ განხორციელების, სპეციალური განათლების პედაგოგთა არასაკმარისი რაოდენობისა და სასწავლო–ინფრასტრუქტურული გარემოს არაადაპტირებულობის საკითხებს. მაგალითად, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში – დაბებში სტეფანწმინდასა და გუდაურში და სოფელ სიონში ზოგად განათლებას იღებს 6 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვი, თუმცა აღნიშნულ სკოლებში არ ფიქსირდება სპეციალური განათლების პედაგოგის შტატი. ამ დაწესებულებების ფიზიკურ-ინფრასტრუქტურული გარემო არ არის ადაპტირებული ინკლუზიური სწავლებისათვის. მსგავსი მდგომარეობაა მესტიის მუნიციპალიტეტშიც, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დიდი ნაწილის სოციალიზაცია და აქტიურ საგანმანათლებლო პროცესში ჩართვა შეზღუდულად ხორციელდება.

უნდა აღნიშნოს, რომ საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს აქვთ პრობლემები ჯანმრთელობის დაცვის უფლების რეალიზაციის სფეროში. მათთვის პრობლემურია უფასო სამედიცინო დაზღვევით

[890] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N 291 დადგენილება „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2014 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“; დანართი N 1.9, მ. 2.

გათვალისწინებული მომსახურების სერვისებით სარგებლობა, შესაბამისი მედიკამენტების ხელმისაწვდომობა და სპეციალიზებული სამედიცინო პერსონალის არარსებობა.

რაც შეეხება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ჩართულობის დონეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვანთა სოციალური დახმარების სფეროში, რელევანტურია, რომ მუნიციპალური ორგანოების მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთათვის განკუთვნილი სოციალური დახმარებები მისი ოდენობის გათვალისწინებით, თუნდაც საქართველოს მთავრობის მიერ დაწესებულ სოციალურ დახმარებასთან ერთად,[891] არ არის საკმარისი ბავშვისათვის ადეკვატური საცხოვრებელი პირობების შესაქმნელად[892]. ცალკეულ შემთხვევებში, სოციალური დახმარებები არ ვრცელდება ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვანზე. მაგალითად, ახმეტის მუნიციპალიტეტის სოციალური დახმარების 2014 წლის ბიუჯეტში სოციალური დახმარების სამიზნე ჯგუფებში მხოლოდ 16 წლამდე ასაკის პირები გვხვდებიან ,[893] ხოლო შუახევის, ქედისა და ხულოს მუნიციპალიტეტების გამგეობის 2014 წლის ბიუჯეტში საერთოდ არ არის გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებზე ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემა.

ბავშვის უფლებების კონვენციის 23–ე მუხლის პირველი პუნქტი განამტკიცებს გონებრივად ან ფიზიკურად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის სრულფასოვან და ღირსეულ პირობებში ცხოვრების უფლებას.

გაეროს 2006 წლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მე–4 მუხლის მიხედვით, სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, უზრუნველყონ და ხელი

---

[891]იხ. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 23 ივლისის N279 დადგენილება „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“.

[892]ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 20 იანვრის N2 დადგენილება „ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2014 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტი დამტკიცების შესახებ“; ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 იანვრის N3 დადგენილება „ონის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“; ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 1 სექტემბრის N32 დადგენილება „ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“; ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 აგვისტოს N16 დადგენილება „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სამედიცინო მომსახურებისა და სოციალური დახმარების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“; შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 25 დეკემბრის N14 დადგენილება „შუახევის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“; მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 17 დეკემბრის N38 დადგენილება „მესტიის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

[893]ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 20 იანვრის N2 დადგენილება „ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2014 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, მ. 5.

შეუწყონ შშმ პირთა მიერ ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა სრულ რეალიზებას შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე აღმოცენებული ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–3 მუხლის მე–2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების დანერგვას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების მონიტორინგი

საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს, რომ ,,სკოლამდელ აღზრდას უზრუნველყოფს სახელმწიფო კანონით დადგენილი წესით''. აღნიშნული კონსტიტუციური რეგულაცია ავალდებულებს სახელმწიფოს, ერთი მხრივ, პოზიტიური ვალდებულების ფარგლებში უზრუნველყოს სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ეფექტური ფუნქციონირება, ხოლო მეორე მხრივ, ნეგატიური ვალდებულების ფარგლებში არ მოახდინოს არამართლზომიერი ჩარევა დაცული სფეროს ამ ნაწილში.

გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციის მე–2 მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტისა და მე–4 მუხლის ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სასწავლო–სააღმზრდელო ინსტიტუციებში განთავსებულ ბავშვთა უფლებების სრული იმპლემენტაცია. გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტის(CRC) 2008 წლის დოკუმენტში „დასკვნითი შენიშვნები საქართველოში ბავშვის უფლებების შესახებ“ 57-ე პუნქტის „ე“ ქვეპუნქტში გაიწერა კომიტეტის რეკომენდაციები, რომელთა თანახმადაც, სახელმწიფომ უნდა გაატაროს საჭირო ღონისძიებები სკოლამდელ სააღმზრდელო ინსტიტუციებში ადრეული ასაკის ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად[894].

2014 წელს მიღებული ადამიანის უფლებათა სამთავრობო გეგმა ასევე ითვალისწინებს სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებების სასწავლო პროგრამებში ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხთა ინტეგრირებასა და არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამის

[894] http://www.refworld.org/type,CONCOBSERVATIONS,CRC,GEO,4885cfab0,0.html

ხელმისაწვდომობის დანერგვას, ისვე, როგორც სკოლამდელი აღზრდის პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე.

საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველის მანდატის[895] ფარგლებში, საბავშვო ბაგა-ბაღებში აღსაზრდელთა უფლებრივი მდგომარეობის სისტემური შემოწმება პირველად განხორციელდა[896]. რენდომული შერჩევის მეთოდის გამოყენებით შემოწმდა 61 სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

უსაფრთხო და სათანადო ფიზიკური გარემო, სანიტარულ–ჰიგიენური პირობები.

გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ბავშვის ზრუნვაზე ან დაცვაზე პასუხისმგებელი დაწესებულებები, სამსახურები ან ორგანოები უნდა შეესაბამებოდნენ კომპეტენტური ორგანოების მიერ დაწესებულ ნორმებს უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სააღმზრდელო პერსონალის რაოდენობრივი და კომპეტენტური ზედამხედველობის თვალსაზრისით.

სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში ბენეფიციართა უფლებრივი მდგომარეობის მომწესრიგებელი შიდა სამართლებრივი სტანდარტის თანახმად, ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების შენობაში აუცილებლად უნდა იყოს საექიმო კაბინეტი და სამრეცხაო[897]. ასევე, ავადმყოფი ბავშვების იზოლაციისათვის შენობის პირველ სართულზე უნდა განთავსდეს იზოლატორი ცალკე გასასვლელით. ამასთან, სამედიცინო პერსონალმა უნდა უზრუნველყოს ბავშვთა კვების, ფიზიკური აღზრდის, გაკაჟების, ეპიდემიის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარების, სასწავლო-აღმზრდელობითი რეჟიმის დაცვის ყოველდღიური კონტროლი[898].

სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ვიზუალური დათვალიერებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის შემოწმების ანალიზიდან გამოიკვეთა, რომ მათი 20% საჭიროებს გადაუდებელ სარეაბილიტაციო სამუშაოებს, 35% – სარემონტო სამუშაოებს, 25%

---

[895] „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12 და მე-18 მუხლები.

[896]გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით განხორციელებული პროექტი „ბავშვის უფლებების ცენტრის შესაძლებლობების გაძლიერება“

[897] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს ბრძანება 308/ნ „სკოლამდელი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოწყობის, აღჭურვისა და სამუშაო რეჟიმის სანიტარული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ“.

[898] იქვე.

ფუნქციონირებს ნაწილობრივ დამაკმაყოფილებელი ფიზიკური გარემოს პირობებში, ხოლო 20 %–ს გააჩნია ხელმისაწვდომი და უსაფრთხო ინფრასტრუქტურული გარემო. ამასთან, ფიზიკური გარემო ძირითადად არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის/სპეციალური საჭიროებების მქონე აღსაზრდელებისათვის. შემოწმებული 61 საბავშვო ბაგა–ბაღიდან ნაწილობრივ ადაპტირებული ფიზიკური გარემო ფუნქციონირებს მხოლოდ თბილისის №91 საბავშვო ბაგა–ბაღში.

შემოწმებული სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების 40%–ში რამდენიმე ათეული წელია (10-დან – 30 წლამდე პერიოდულობით) არ განახლებულა ძირითადი სააღმზრდელო ინვენტარი და სანიტარულ–ჰიგიენური ნივთები. საბავშვო ბაგა–ბაღების 60%–ში ძირითადი ინვენტარის განახლების საშუალო პერიოდული მაჩვენებელია 5 წელი, ხოლო დამატებითი ინვენტარის – 1 წელი. საბავშვო ბაგა–ბაღების 40%–ში არ ფუნქციონირებდა სამედიცინო პუნქტი და არ დაფიქსირდა ექთნის შტატი. დაწესებულებების 50%–ს არ მიეწოდებოდა ბენეფიციართათვის განკუთვნილი პირველად სამედიცინო დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტები.

უსაფრთხო და სათანადო ფიზიკური გარემოს სფეროში დარღვევები დაფიქსირდა შემდეგი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში:

მესტიის მუნიციპალიტეტი – საბავშვო ბაგა–ბაღების ფიზიკურ–ინფრასტრუქტურული გარემოს რეაბილიტაციის საჭიროება დაფიქსირდა შემდეგ თემებსა და სოფლებში: ეცერი, ლატალი, მუჟალი, იფარი და ყარსგურიში. მონიტორინგის პროცესში აღნიშნული დაწესებულებების კედლებზე შეინიშნებოდა ობისა და სოკოს წამონაზარდები, დაწყებული იყო ჯგუფური ოთახების კედლების ჩამოშლის პროცესი, არ ფუნქციონირებდა ცენტრალური გათბობისა და ვენტილაციის სისტემები. ჯგუფების ოთახები თბებოდა შეშის ღუმელების მეშვეობით, რომლებიც არ იკეტებოდა ჰერმეტულად და არ იყო შემოსაზღვრული აღსაზრდელებისაგან. 2014 წლის 20 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით (№10/10900) მიმართა მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მოითხოვა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. რეკომენდაციის საფუძველზე, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხორციელდა დაწესებულებების ინფრასტრუქტურული გარემოს ნაწილობრივი რეაბილიტაცია, ასევე, 2015–2016 წლებისათვის დაიგეგმა საბავშვო ბაღების მშენებლობა შემდეგ თემებსა და სოფლებში – ცხუმარი, იდლიანი, ხაიში, მულახი, მაზერი, ნაკრა, ჭუბერი, ფარი, ყარსგურიში, ლენჯერი, ლატალი.[899]

[899] კორესპონდენცია №19693/1, 08/12/2014, №12366/1, 25/2014

ხულოს მუნიციპალიტეტი – არასათანადო ინფრასტრუქტურული გარემო დაფიქსირდა დაბა ხულოს, სოფელ დიოკნისისა და ხიხაძირის საბავშვო ბაგა–ბაღებში. როგორც საქმისწარმოების[900] მასალებიდან გამოიკვეთა, რომ დიოკნისის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებას ესაჭიროება კაპიტალური სარემონტო სამუშაოები. შენობის ფართობი შეადგენს 136 კვ.მ–ს, რომელიც განკუთვნილი იყო ერთი ჯგუფისათვის, თუმცა დაწესებულებაში ფუნქციონირებს 2 სააღმზრდელო ჯგუფი. რაც შეეხება ხიხაძირის საბავშვო ბაგა–ბაღს, შენობის მეორე სართულზე იატაკი ამორტიზირებულია. ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობიდან გამოთხოვილი ინფორმაციის[901] თანახმად, აღნიშნულ საბავშვო ბაგა–ბაღებში სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება 2015 წლისთვის იგეგმება.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტი – 7 საბავშვო ბაგა–ბაღიდან არასათანადო ინფრასტრუქტურული მდგომარეობა დაფიქსირდა სოფელ სიონის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებაში[902]. აღნიშნული საბავშვო ბაგა–ბაღი ნაქირავები, კერძო საკუთრებაში არსებული სახლის მეორე სართულზეა განთავსებული. შენობა არ შეესაბამება სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებისათვის დადგენილ სტანდარტებს და ვერ აკმაყოფილებს აღსაზრდელთა საჭიროებებს: ჯგუფური უჯრედები არასრულია, არ ფუნქციონირებს სააბაზანო და საპირფარეშო, ბენეფიციარებს სასმელი წყალი მიეწოდებათ აივანზე დამონტაჟებული ნიჟარით, 1980–იანი წლების შემდეგ საბავშვო ბაღში არ განახლებულა ინფრასტრუქტურა და სასწავლო ინვენტარი.[903]

ახმეტის მუნიციპალიტეტი – სოფელ ქისტაურის №1 და სოფელ ოჟიოს საბავშვო ბაგა–ბაღებში აღსაზრდელთათვის შეზღუდულია უსაფრთხო ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობა. საქმეზე[904] დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, შენობებსა და კვების ბლოკს არ გააჩნიათ ცენტრალიზებული გათბობა. ბავშვთა ძირითადი განთავსების ოთახებში ფუნქციონირებს შეშის ღუმელები, რომლებიც არ იხურება ჰერმეტულად. სოფელ ოჟიოს საბავშვო ბაღის სასწავლო–სააღმზრდელო ინვენტარი არ განახლებულა 1983 წლიდან. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, სახალხო დამცველის რეკომენდაცია[905] წარედგინა ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს. რეკომენდაციის საფუძველზე, საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება ქისტაურის №1 და ოჟიოს საბავშვო

[900] საქმე №16943/1, 15/10/2014.
[901] კორესპონდენცია №18646/1, 18/11/2014.
[902] საქმე №17319/1, 19/10/2014.
[903] კორესპონდენცია №10–4/13280, 10/11/2014, №10–4/267, 15/01/2015.
[904] საქმე №10593/1, 22/07/2014; №10595/1, 20/08/2014; №10596/1, 20/08/2014.
[905] კორესპონდენცია №10/9596, 22/07/2014.

ბაგა–ბაღების ინფრასტრუქტურული და სანიტარულ–ჰიგიენური პირობების გასაუმჯობესებლად დამატებითი ფინანსური თანხების გამოყოფის შესახებ[906].

სიღნაღის მუნიციპალიტეტი – სოფელ ბოდბისხევის №9 სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება ფუნქციონირებდა ავარიულ და აღსაზრდელებისათვის საფრთხის შემცველ პირობებში[907]. საბავშვო ბაღში არ იყო მინიმალური პირობები სანიტარულ–ჰიგიენური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან გამოთხოვილი ინფორმაციის[908] თანახმად, 2015 წლიდან ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის ფარგლებში იგეგმება საბავშვო ბაღის ახალი კორპუსის მშენებლობა. აღნიშნული სამუშაოების დასრულებამდე კი, ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე, დაწესებულება განთავსდა კერძო საკუთრებაში არსებულ შენობაში.

თბილისის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებები – ფიზიკური და ინფრასტრუქტურული გარემოს დაცვის სფეროში ფიზიკური გარემოსა და ბავშვთა სააღმზრდელო ჯგუფების პროპორციული შეუსაბამობა გამოვლინდა №71, №117, №98, №60, №201, №205 საბავშვო ბაგა–ბაღებში. თბილისის შემოწმებული საბავშვო ბაგა–ბაღების 80%–ში ადრეული ასაკის მეორე ჯგუფისა და სკოლამდელი ასაკის პირველი და მეორე ჯგუფებისათვის არ ფუნქციონირებს საძინებლები, არ არის ერთმანეთისგან დიფერენცირებული კვებისა და ძირითადი განთავსების ოთახები.

სკოლამდელი აღზრდის ხელმისაწვდომობის უფლების განხორციელება

სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ვიზუალური დათვალიერების, დოკუმენტაციის შემოწმებისა და გამოთხოვილი ოფიციალური მონაცემების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ მუნიციპალურ დონეზე სკოლამდელი აღზრდის ხელმისაწვდომობის საშუალო მაჩვენებელი შეადგენს 70%–ს. თუმცა, ცალკეულ ტერიტორიულ ერთეულებში სკოლამდელი აღზრდის ხელმისაწვდომობა განსაკუთრებით დაბალია, მათ შორისაა თბილისის, მარნეულის, ქუთაისის, ონის, მესტიის, ხულოს, შუახევისა და ქედას მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღები.

თბილისი – დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების[909] თანახმად, 2014 წლის მონაცემებით, თბილისის საბავშვო ბაგა–ბაღების მართვის სააგენტოში ელექტრონული რეგისტრაციის მოთხოვნით შევიდა 75 000 განაცხადი. მათგან დარეგისტრირდა 52 000 აღსაზრდელი, მათ შორის, სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების სათათბირო ორგანოებმა

[906] კორესპონდენცია №14560/1, 12/08/2014.
[907] საქმე №12914/1, 15/07/2014.
[908] კორესპონდენცია №1514/1, 26/08/2014; №1869/1, 19/11/2014.
[909] კორესპონდენცია №15660/1, 12/09/2014.

დამატებით დაარეგისტრირეს 7000 ბენეფიციარი. შედეგად, 2014 წლის განმავლობაში, თბილისში 23 000 ბავშვი სკოლამდელი სააღმზრდელო მომსახურების მიღმა დარჩა. ასევე, ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა–ბაღების მართვის სააგენტოდან გამოთხოვილი მონაცემების[910] მიხედვით, სკოლამდელი აღზრდის მომსახურების ხელმისაწვდომობის გასაზრდელად, 2015 წლისათვის იგეგმება ქ. თბილისის სხვადასხვა რაიონის ადმინისტრაციულ საზღვრებში 8 ახალი სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების მშენებლობა და უკვე არსებული ბაგა–ბაღებისათვის ადრეული, საშუალო და უფროსი ასაკობრივი ჯგუფების დამატება.

მარნეულის მუნიციპალიტეტი – აღნიშნულ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია ადრეული და სკოლამდელი ასაკის 9 000 ბავშვი. მიუხედავად ამისა, მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში მდებარე საბავშვო ბაგა–ბაღებში გათვალისწინებულია 890 აღსაზრდელის მიღება, ხოლო 2014 წლის სექტემბერ–დეკემბრის მონაცემებით, მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში აღსაზრდელთა ფაქტობრივი ჩარიცხვის მაჩვენებელი 1500–ს შეადგენს[911]. სკოლამდელი აღზრდის ხელმისაწვდომობის უფლება ასევე შეზღუდული აქვთ სოფელ ალგეთსა და სოფელ საბირქენდში მცხოვრებ ბავშვებს, სადაც საბავშვო ბაგა–ბაღები არ ფუნქციონირებს[912].

ონის მუნიციპალიტეტი – მონიტორინგის შედეგად აღნიშნულ რაიონში დაფიქსირდა სკოლამდელი აღზრდის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის შეზღუდვა, კერძოდ, 64 სოფლიდან და 1 ტერიტორიული ცენტრიდან დაბა ონში ფუნქციონირებს 1 საბავშვო ბაგა–ბაღი, ხოლო სოფელ ღარში – სკოლამდელი აღზრდის ცენტრი, რომელსაც არ გააჩნია ბავშვთა სასწავლო–სააღმზრდელო პროცესის სათანადოდ წარმართვისათვის საჭირო პირობები. იგი განთავსებულია კერძო სახლში, ნაქირავებ შენობაში და ვერ აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს სანიტარულ–ჰიგიენური პირობების თვალსაზრისით.

ხულოს მუნიციპალიტეტი – აღნიშნულ ტერიტორიულ ერთეულში დაფიქსირდა სკოლამდელი აღზრდის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრობლემები[913]. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედებს 9 სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება, თუმცა რიგ თემებსა და სოფლებში საბავშვო ბაგა–ბაღები არ ფუნქციონირებს, მათ შორის, თხინვალას თემის სოფლების – ბაკოსა და მთის უბნებში, ზემო და ქვემო თხინვალაში, რის გამოც, აღნიშნულ ტერიტორიულ ერთეულებში მცხოვრები ბავშვები სკოლამდელი სააღმზრდელო პროცესის მიღმა რჩებიან[914].

---

[910] კორესპონდენცია №20205/1, 06/01/2015.
[911] საქმე №18056/1, 06/11/2014; კორესპონდენცია №18870/1, 28/11/2014.
[912] იქვე.
[913] საქმე №17049/1, 12/11/2014.
[914] კორესპონდენცია №18482/1, 17/11/2014.

ინდივიდუალური მიდგომის სტანდარტის განხორციელება

სკოლამდელი აღზრდის სფეროში, აღნიშნული მიმართულებით მოქმედი შიდა სამართლებრივი მექანიზმებიდან აღსანიშნავია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 11 ნოემბრის ,,სკოლამდელი განათლებისა და აღზრდის ეროვნული მიზნების დამტკიცების შესახებ'' №958 ბრძანება, რომელიც განამტკიცებს აღსაზრდელთა მიმართ ინდივიდუალური მიდგომის განვითარების უფლებებს.

სასწავლო–სააღმზრდელო სფეროში მომსახურების ინდივიდუალიზაცია, რომელიც შემოწმების ერთ-ერთ საგანს წარმოადგენდა, გულისხმობს ბავშვის საჭიროებებზე ორიენტირებული სწავლების პროცესის განხორციელებას, რთული ქცევის მართვასა და პრევენციას, სწავლების ინდივიდუალიზაციას, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ადეკვატური რესურსებით უზრუნველყოფას, მათ შორის ძირითადი საშუალებების მოძიებას მატერიალური და ადამიანური რესურსების თვალსაზრისით.

გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციის თანახმადაც, მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის უფლებას, სარგებლობდეს განსაკუთრებული მზრუნველობით და სათანადო რესურსების არსებობის პირობებში.

მონიტორინგის პროცესში, რაოდენობრივი/თვისობრივი მეთოდის ფარგლებში განხორციელებული ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუების ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა ინდივიდუალური მიდგომის სტანდარტის განხორციელების შემდეგი ძირითადი პრობლემური მიმართულებები:

პერსონალის კვალიფიკაცია – სააღმზრდელო/ადმინისტრაციული პერსონალის გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროება გამოიკვეთა ბავშვთა მიმართ/შორის რთული ქცევის პრევენციისა და მართვის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობის, ბენეფიციართა მიმართ დისკრიმინაციის გამოვლინებისა და მათი აღმოფხვრა/პრევენციის სფეროებში.

სწავლების ინდივიდუალიზაციის მეთოდის დანერგვა – სასწავლო–სააღმზრდელო პროცესის ეფექტიანად წარმართვის ერთ–ერთ დამაბრკოლებელ ფაქტორს წარმოადგენს ბენეფიციართა ინდივიდუალური საჭიროებებისა და შესაძლებლობების უგულებელყოფა სასწავლო–შემეცნებითი აქტივობების განხორციელების დროს. მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, რომ აღმზრდელ–პედაგოგთა მნიშვნელოვანი ნაწილი ინდივიდუალური მიდგომის დანერგვის უგულებელყოფით ყველა აღსაზრდელთან საერთო მიდგომის გამოყენებას ცდილობს.

შეზღუდული შესაძლებლობების/სპეციალური საჭიროებების მქონე ბენეფიციართა უფლებრივი მდგომარეობა – აღნიშნულ სფეროში გამოიკვეთა ისეთი ძირითადი

პრობლემები, როგორებიცაა ბავშვებისათვის ადაპტირებული სასწავლო–შემეცნებითი გარემოს მიწოდება, მულტიდისციპლინური გუნდის მიერ ბენეფიციართა საჭიროებების არარეგულარული და არასისტემური შეფასება, მეთოდისტის, ლოგოპედის, ფსიქოლოგისა და სპეციალური განათლების პედაგოგის შტატის არარსებობა. შემოწმებული დაწესებულებების უმრავლესობაში სასწავლო–სააღმზრდელო გარემო ძირითადად არაადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აღსაზრდელებისათვის. გარდა ამისა, ბენეფიციართა ინდივიდუალური საჭიროებებისა და შემდგომი განვითარების საკითხებზე არ მუშაობს მულტიდისციპლინური გუნდი.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სააღმზრდელო სფეროში აღსანიშნავია ქ. თბილისის №45 საბავშვო ბაგა–ბაღი, სადაც მუშაობს მულტიდისციპლინური ჯგუფი, სპეციალური განათლების პედაგოგის, ფსიქოლოგის, ლოგოპედის, პედიატრის და მეთოდისტის შემადგენლობით. მულტიდისციპლინურმა გუნდმა შეაფასა 15 ბენეფიციარი, მათგან 10 ბავშვისთვის შედგა ინდივიდუალური განვითარების გეგმა და მათ შესრულებაზე მიმდინარეობს სისტემური ზედამხედველობა.

ძალადობისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის უფლება

სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში აღნიშნული უფლების ძირითად გარანტიებს განამტკიცებენ გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე–19 მუხლი, გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტის (CRC) 2006 წლის №8 ზოგადი კომენტარი, ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტის მე–7 მუხლი, ეკონომიკური, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტის №13 ზოგადი კომენტარი. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 31 მაისის ერთობლივი ბრძანების №152/ნ-№496-№45/ნ ,,ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ'' მე-4 მუხლის პირველი პუნქტის, მე-5 მუხლის "ა", "ბ" და "გ" პუნქტებისა და მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება ვალდებულია, საბავშვო ბაღში შეაფასოს ძალადობის მსხვერპლი ბავშვი, მდგომარეობა და განახორციელოს შესაბამისი მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურა.

მონიტორინგის ყველა ეტაპზე გამოყენებულ იქნა გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტის(CRC) მიერ დადგენილი განმარტება არასრულწლოვანთა ძალადობის ფორმების შესახებ, რომლის მიხედვითაც, ძალადობა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობა მოიცავს

„სხეულებრივ“/„ფიზიკურ“ თუ ფსიქოლოგიურ ასპექტებს, რომელიც შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ფორმაში, თუმცა ნებისმიერი მათგანი დამამცირებელ მოპყრობად ითვლება.[34]

მონიტორინგის შედეგად საბავშვო ბაგა–ბაღებში ბავშვთა მიმართ ძალადობისა და არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის უფლების განხორციელების შემდეგი პრობლემური მიმართულებები გამოიკვეთა:

სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების მნიშნველოვან ნაწილში სასწავლო–სააღმზრდელო პერსონალის მიერ ბენეფიციართა მიმართ ძალადობისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობა, მათ შორის, სხეულებრივი სასჯელების გამოყენება, ფსიქოლოგიური ძალადობა და ზეწოლა, სისტემატურ ხასიათს ატარებს. შემოწმებული 61 სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებებიდან 70%–ში დაფიქსირდა ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევები, ხოლო 40%–ში ფიზიკური ძალადობისა და სხეულებრივი სასჯელების გამოყენების პრაქტიკა. გამოკითხული აღმზრდელების 30% მიზანშეწონილად მიიჩნევდა ბენეფიციართათვის საკვების შემცირებას აღსაზრდელთა დაუმორჩილებლობის ან/და რთული ქცევის რომელიმე ფორმის გამოხატვის შემთხვევაში. მონიტორინგის შედეგად, სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებაში დაფიქსირდა დაბალი მაჩვენებელი ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) მექანიზმის პრაქტიკაში გამოყენებისა. საბავშვო ბაღების აღმზრდელების 90% არ ფლობს ინფორმაციას რეფერირების მექანიზმის[915]შესახებ. იმ პედაგოგთა დიდი ნაწილი, ვინც ინფორმირებულია ძალადობის რეფერირების პროცედურის შესახებ, მიიჩნევს, რომ გადამისამართება უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ძალადობის მძიმე და მათ შორის, განმეორებადი ფორმა.

სკოლამდელი აღზრდის პრობლემურ მახასიათებლად უნდა ჩაითვალოს ასევე შეზღუდული შესაძლებლობების/სპეციალური საჭიროებების მქონე აღსაზრდელთა მიმართ ძალადობისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობის განხორციელების, ასევე არატოლერანტული დამოკიდებულების ხშირი შემთხვევები თბილისისა და ქუთაისის საბავშვო ბაგა–ბაღებში. აღსანიშნავია, რომ თბილისის №6 საბავშვო ბაგა-ბაღში დაფიქსირებულია შემთხვევა, როდესაც აღმზრდელის მიერ სისტემატურად ხდებოდა ფიზიკური ძალადობა აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე აღსაზრდელის მიმართ. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით შესაბამისი მიმართვა წარედგინა[916] ააიპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს. საპასუხო მომართვის თანახმად[917],სააგენტოს მიერ თბილისის №6 საბავშვო ბაგა-

[915] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 31 მაისის ერთობლივი ბრძანებით №152/ნ-№496-№45/ნ „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ.“
[916] კორესპონდენცია №10-2/13660, 05/11/2014.
[917] კორესპონდენცია №19441/1, 21/11/2014.

ბაღში ჩატარდა პრევენციული ხასიათის ღონისძიება – დამატებითი ტრენინგები აღმზრდელ-პედაგოგთათვის ბავშვთა სააღმზრდელო სფეროში.

აღმზრდელ–პედაგოგებთან რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუირების შედეგად გამოიკვეთა მათი ინფორმირებულობის დაბალი დონე და გამოცდილება ბენეფიციართა მიმართ ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირების, ფაქტებზე ეფექტიანი რეაგირების, რეფერირების პროცედურისა და აღსაზრდელთა მიმართ ყველა სახის არასათანადო მოპყრობის პრევენციის სფეროში. აღმზრდელ–პედაგოგთა განცხადებით, ესაჭიროებათ სასწავლო კურსები და კვალიფიკაციის ამაღლება ბავშვის მიმართ ძალადობის გამოვლენის, პრევენციისა და ადეკვატური რეაგირების საკითხებში[918]. გამოკითხული აღმზრდელების 60%–ს არ გაუვლია მეთოდოლოგიური სწავლება ძალადობისგან დაცვის სფეროში, 30%–მა გაიარა აღნიშნული სწავლება, თუმცა არ ფლობს შესაბამის ინფორმაციას.

კვების ორგანიზაციული წესების განხორციელება

გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციის 24–ე მუხლის მე–2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გაატარონ ყველა აუცილებელი ღონისძიება ბავშვების სათანადო საკვებითა და სასმელი წყლით უზრუნველყოფისათვის. ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის №12 ზოგადი კომენტარის (1999 წ.) თანახმად, საკვების რეალიზაციის უფლებას მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ყველა ბავშვს ნებისმიერ დროს აქვს სათანადო საკვებზე ხელმისაწვდომობა.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №78 დადგენილების ,,ტექნიკური რეგლამენტი- ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში კვების ორგანიზაციის სანიტარული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ'' მე-12 მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს, რომ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში კვების ორგანიზებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციები უსაფრთხო კვებასთან დაკავშირებით, ხოლო მე–3 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ბავშვთა კვების ხარისხზე აუცილებელია დაწესდეს ყოველდღიური კონტროლი.

[918] აღნიშნული ეხება როგორც რეგიონების, ისე თბილისის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებს. აღნიშნული პრობლემები დაფიქსირდა, მაგალითად, თბილისის №98, №9, 205 საბავშვო ბაგა-ბაღებში, ასევე, სოფელ ბოდბისხევის №9 და №10, სოფელ მაღაროს, სოფელ წვირმის საბავშვო ბაგა-ბაღებში.

მონიტორინგის პროცესში შემოწმდა კვების ორგანიზაციული წესების სტანდარტით[919] დადგენილი ძირითადი მიმართულებები და სპეციალური კვებითი მოთხოვნების მქონე აღსაზრდელთა ინდივიდუალური საჭიროებების უზრუნველყოფის საკითხი. მონიტორინგის შედეგების ანალიზიდან, ბავშვთა კვების ორგანიზების სფეროში იკვეთება შემდეგი ძირითადი პრობლემები:

დეფიციტური კვება – სტანდარტის[920] მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში ბენეფიციართა რაციონი უნდა აკმაყოფილებდეს ბავშვთა ორგანიზმის მოთხოვნილებებს ძირითად საკვებ ნივთიერებებსა და ენერგიაზე სარეკომენდაციო ასაკობრივი ნორმების გათვალისწინებით. ამასთან, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას სეზონურობა, აღზრდის პირობები, ჯანმრთელობის მდგომარეობა, კვების თავისებურებები და სხვა. ამავე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ბავშვის ორგანიზმისთვის აუცილებელი პროდუქტები აღსაზრდელის რაციონში უნდა შედიოდეს ყოველდღე. მიუხედავად აღნიშნული სავალდებულო ხასიათის მოთხოვნისა, შემოწმებული საბავშვო ბაგა-ბაღების მნიშვნელოვან ნაწილში დღიური კვების რაციონი დეფიციტურ ხასიათს ატარებდა და ვერ უზრუნველყოფდა ბავშვისთვის საჭირო პროდუქტების მიწოდებას. შემოწმებული 61 დაწესებულებიდან 35 მათგანში დაფიქსირდა დეფიციტური კვება. ბავშვთა ინდივიდუალური კვებითი საჭიროებების უგულებელყოფა – სპეციალური კვებითი საჭიროებების მქონე ბენეფიციართა მოთხოვნები არასათანადოდ აისახება საბავშვო ბაგა-ბაღების 14 დღიან საორიენტაციო და ყოველდღიურ მენიუებში. ასევე, პრობლემურია, რომ ბენეფიციართა ინდივიდუალური საჭიროებებიდან ნაკლები ყურადღება ექცევა ჭარბწონიან და ალერგიულ ბავშვთა კვებას. შემოწმებული დაწესებულებებიდან 36 მათგანში დაფიქსირდა სპეციფიკური კვებითი საჭიროებების მქონე ბენეფიციართა ინტერესების უზრუნველყოფის პრობლემები.

პროდუქტების შენახვა/დამუშავების პროცედურები – საბავშვო ბაგა-ბაღების მნიშვნელოვან ნაწილში დარღვეულია საკვები პროდუქტების შენახვისა და დამუშავებისთვის განსაზღვრული სავალდებულო მოთხოვნები[921]. არ ფუნქციონირებს საკვების შესანახი

---

[919] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტი - ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში კვების ორგანიზაციის სანიტარული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ“.

[920] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტი - ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში კვების ორგანიზაციის სანიტარული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ“.

[921] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტი - ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში კვების ორგანიზაციის სანიტარული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტი.
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის ბრძანება №303/ნ „განსაკუთრებით მალფუჭებადი პროდუქტების შენახვის პირობებისა და ვადების დამტკიცების შესახებ“, დანართი №1.

მაცივრები, საწყობები და სპეციალური კონტეინერები, დარღვეულია მალფუჭებადი პროდუქტებისა და ბოსტნეულის დიფერენცირებულად შენახვის ორგანიზაციული წესები. კვების ბლოკში სათანადო ინვენტარი არ დაფიქსირდა 31 დაწესებულებაში. გარდა ამისა, საკვები პროდუქტების შენახვის/დამუშავების სანიტარულ–ჰიგიენური ნორმების დარღვევა დაფიქსირდა 20 დაწესებულებაში. აღნიშნულ საბავშვო ბაღებს შორისაა მესტიის მუნიციპალიტეტის სოფლების, ბეჩოს, ეცერის, მუჟალის, ყარსგურიშის, მცხეთის მუნიციპალიტეტის №6, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის №1 და მაღლაკის საბავშვო ბაგა–ბაღები.

საკვები პროდუქტების მიწოდების პრობლემები – მაღალმთიან რეგიონებში ფუნქციონირებად საბავშვო ბაგა–ბაღებში მონიტორინგის პროცესში დაფიქსირდა დაწესებულებებისათვის საკვები პროდუქტების მიწოდების არასათანადო პერიოდულობა. პერსონალი – პრობლემური საკითხია, რომ საბავშვო ბაღებს არ აქვთ კვების სპეციალისტის შტატი და საორიენტაციო მენიუს ბაღების დირექტორი საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანებები ადგენენ.

ადრეული და სკოლამდელი განათლების უფლების იმპლემენტაცია

გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციის 28-ე მუხლის პირველი პუნქტი დაცულ სფეროდ აცხადებს ეფექტური განათლების ხელმისაწვდომობის უფლებას. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-13 მუხლის პირველი პუნქტი პარალელურად განამტკიცებს განათლების საყოველთაობის უფლებას.

ევროპის სოციალური ქარტიის მე–17 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის ანალიზიდან გამომდინარე, ბავშვების ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების სრული განვითარებისათვის მხარეები იღებენ ვალდებულებას, მიიღონ ყველა აუცილებელი ზომა არასრულწლოვანთა განათლებისა და მომზადებისა და ამ მიზნის მისაღწევად საჭირო ინსტრუმენტების შექმნისა და შენარჩუნებისათვის.

ადრეულ და სკოლამდელ სასწავლო–სააღმზრდელო პროგრამებში ხარისხიანი და ეფექტური განათლების ჩართვა სკოლამდელი აღზრდის სტანდარტის[922] ერთ-ერთი ელემენტია. აღნიშნულის იმპლემენტაცია დამოკიდებულია ისეთ ძირითად კრიტერიუმებზე, როგორიცაა ადრეულ და სკოლამდელ სწავლებებში შესაბამისი მეთოდოლოგიური მასალის გამოყენება,

[922] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, „ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტები", თბ., 2011. http://preschooleducation.ge/admin/uploads/1.%20standartebi.pdf

აღსაზრდელთათვის სასწავლო ინვენტარის ხელმისაწვდომობა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბენეფიციართათვის ადაპტირებული საგანმანათლებლო გარემოს მიწოდება, ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვებისათვის შესაბამისი პირობებით უზრუნველყოფა.

სასწავლო–სააღმზრდელო მეთოდოლოგიური მასალის იმპლემენტაციის მიმოხილვა: ადრეული და სკოლამდელი განათლების უფლების პრაქტიკაში იმპლემენტაციისათვის შემუშავდა შემდეგი ძირითადი პროგრამები: „ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტები[923]“; „სკოლამდელი განათლების პროგრამა[924]“; „სკოლამდელი ასაკის ბავშვთა შეფასების ფორმა[925]“; „ქართული ენა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვებისათვის[926]“ და ა.შ. სააღმზრდელო პერსონალთან განხორციელებული ინტერვიუების ანალიზიდან ჩანს, რომ მათ 60%-ს არ მიეწოდება მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოები და შეფასების ფორმები. აღმზრდელთა 70%–ს ესაჭიროება კვალიფიკაციის ამაღლება ადრეული და სკოლამდელი განათლების, მოქმედი მეთოდოლოგიური მასალისა და სახელმძღვანელოების პრაქტიკაში დანერგვის სფეროში; აღნიშნულ პედაგოგთა 25% გადამზადებულია სკოლამდელი აღზრდის სხვადასხვა სფეროში, თუმცა მათი კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხობრივი მაჩვენებელი მაინც დაბალია.

აღსანიშნავია მარნეულის N3 საბავშვო ბაგა–ბაღში არსებული მდგომარეობა[927], სადაც ირიცხებიან როგორც ეთნიკურად ქართველი, ისე აზერბაიჯანელი ეროვნების აღსაზრდელები. შესაბამისად, რეკომენდირებულია,[928] სასწავლო–სააღმზრდელო პროცესში გამოყენებულ იქნეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული აღმზრდელის მეთოდური სახელმძღვანელო „ქართული ენა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის“. მიუხედავად იმისა, რომ მონიტორინგის დროს აღნიშნული სახელმძღვანელოები დაფიქსირდა თითოეულ სააღმზრდელო ჯგუფში, დადგინდა, რომ მათი პრაქტიკაში გამოყენება, ძირითადად, არ ხორციელდება[929].

სასწავლო-სააღმზრდელო რესურსების დანერგვა სკოლამდელი სწავლების სფეროში - ადრეული და სკოლამდელი განათლების დანერგვისათვის საგანმანათლებლო ინვენტარით უზრუნველყოფის მაჩვენებელი დაბალია შემოწმებული ბაღების 70%–ში. არასათანადო მდგომარეობა დაფიქსირდა ბენეფიციართა სასწავლო-სააღმზრდელო ინვენტარის

---

[923] http://preschooleducation.ge/admin/uploads/1.%20standartebi.pdf
[924] http://preschooleducation.ge/admin/uploads/4,%20INSTRUMENT[1].pdf
[925] http://preschooleducation.ge/admin/uploads/5.%20skolamdeli%20ganatlebis%20programa.pdf
[926] http://preschooleducation.ge/admin/uploads/metod.pdf
[927] საქმე №18056/1, 07/11/2014.
[928] http://preschooleducation.ge/admin/uploads/metod.pdf
[929] კორესპონდენცია №10–2/13398/1, 11/11/2014.

საჭიროებებზე ორიენტირების მხრივ, რაც გამოიხატა შემდეგ ასპექტებში: ბავშვების სამუშაო/საგანმანათლებლო ინვენტარი არ აკმაყოფილებდა უსაფრთხოების, ადაპტირებულებისა და შესაბამისობის კრიტერიუმებს[930]. შემოწმებულ 35 სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებაში სასწავლო–სააღმზრდელო ინვენტარი ნაწილობრივ უსაფრთხოა, 40 დაწესებულებაში ინვენტარი უსაფრთხოა, მაგრამ არ არის ბენეფიციართა საჭიროებებზე ორიენტირებული, 25 დაწესებულებაში ინვენტარი ძირითადად უსაფრთხო და ხელმისაწვდომია აღსაზრდელებისათვის, ხოლო 30–ში ფიზიკური გარემო საფრთხის შემცველია აღსაზრდელთათვის.

სააღმზრდელო ჯგუფების რიცხოვნობა – სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში განთავსებულ ბენეფიციართა ეფექტური სკოლამდელი განათლების ერთ-ერთი დამაბრკოლებელი ფაქტორია ჯგუფებში ბავშვების ჩარიცხვის სტანდარტზე შეუსაბამოდ მაღალი მაჩვენებელი. მოქმედი სტანდარტის[931] მიხედვით, ჯგუფების დაკომპლექტება უნდა ხდებოდეს შემდეგი პროპორციული შეფარდების მიხედვით: პირველი უმცროსი ჯგუფი – არაუმეტეს 20 აღსაზრდელი, მეორე უმცროსი, საშუალო და უფროსი (სკოლამდელი ასაკის) ჯგუფები – არაუმეტეს 25 აღსაზრდელისა. შემოწმების შედეგების მიხედვით, თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, მარნეულის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების *პირველ უმცროს ჯგუფებში ბავშვების რიცხოვნობის საშუალო სტატისტიკური მონაცემია – 30, მეორე უმცროს ჯგუფში – 35, საშუალო ჯგუფში – 37, უფროს ჯგუფში – 38 აღსაზრდელი.* აღნიშნულ საბავშვო ბაგა–ბაღებში გამოკითხული აღმზრდელების 70%–ის განცხადებით, სასწავლო პროცესის წარმართვისას, ძირითადი დაბრკოლებები გამოწვეულია სააღმზრდელო ჯგუფებში ბავშვთა რაოდენობის გადაჭარბებული მაჩვენებლით და შესაბამისი ინვენტარის სიმცირით.

ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობა

დაბადებიდან 5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა საქართველოში ერთ–ერთ ყველაზე მწვავე პრობლემად რჩება. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის, ასევე, სახელმწიფო სერვისების

[930] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მეთოდოლოგიური დოკუმენტი „სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების ფიზიკური გარემო - პრინციპები და პრაქტიკა“, 2010წ.

[931] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001წლის 16 აგვისტოს ბრძანება №308/ნ „სკოლამდელი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოწყობის, აღჭურვის, სამუშაო რეჟიმის, სანიტარული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ“.

განვითარების სააგენტოს ერთობლივი მონაცემების მიხედვით[932] , 2014 წელს 5 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთა სიკვდილიანობის 635 შემთხვევა დაფიქსირდა (აქედან, ადრეული ნეონატალური (0–6 დღის ბავშვთა) სიკვდილიანობა – 259 შემთხვევა, ნეონატალური (7–28 დღის ბავშვთა) სიკვდილიანობის 157 ფაქტი, 28 დღიდან – 1 წლამდე ბავშვთა – 148, ხოლო 1–5 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთა სიკვდილიანობის 69 შემთხვევა). აღნიშნული მაჩვენებელი ყოველ ათას ცოცხლად შობილზე წარმოადგენს 9.7–ს, რაც წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვან კლებაა[933] და კავკასიაში ყველაზე დაბალი მაჩვენებელია.[934] მიუხედავად აშკარა პროგრესისა, მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით, საქართველოში არასრულწლოვანთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნების მონაცემების ფონზე კვლავ ძალიან მაღალი რჩება. მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელი თითქმის ორჯერ ნაკლებია და 4.6–ს შეადგენს., ამასთან, ევროპის მასშტაბით, საქართველო მხოლოდ ალბანეთს, მოლდოვას, სომხეთსა და აზერბაიჯანს უსწრებს.

საქართველოში ახალშობილთა სიკვდილიანობაზე ისეთი ფაქტორები მოქმედებს, როგორიცაა უკიდურესი სიღარიბე, საკვების ვარგისიანობა, ორსულთა პატრონაჟის სისტემა, მეან-გინეკოლოგებისა და სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაცია,[935] პერინატალური მომსახურების ხარისხი. აღნიშნულ ფაქტორებთან ერთად, განსაკუთრებით აღსანიშნავია მშობელთა მნიშვნელოვანი ნაწილის დაბალი ცნობიერება. უმეტეს შემთხვევებში, მშობლებს არ აქვთ გამომუშავებული ბავშვის მოვლის შესაბამისი უნარ–ჩვევები, არ ფლობენ ინფორმაციას არასრულწლოვანთა საჭიროებებისა და ჭეშმარიტი ინტერესების, კერძოდ, საყოველთაო ჯანდაცვის სისტემის მუშაობის მინიმალური ნორმების შესახებ. აღნიშნულის აღმოსაფხვრელად, უდიდესი როლი ენიჭება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული ორგანოს - სოციალური მომსახურების რაიონული ცენტრის სოციალურ მუშაკს, აგრეთვე ადგილობრივი ამბულატორიის სამედიცინო პერსონალს. ამ სამსახურების თანამშრომლობა ოჯახთან და ეფექტური საქმიანობა, ახალდაბადებულის მოვლაში მშობლის უნარ-ჩვევების გაძლიერების მხრივ, ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირების ერთ–ერთ წინაპირობას შექმნის.

---

[932] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2015 წლის 27 თებერვლის კორესპონდენცია N01/14396.

[933] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაცემებით, 2013 წელს ყოველ 1000 ცოცხლადშობილზე სიკვდილიანობის მაჩვენებელი 13.9, ხოლო 2014 წელს – 13. 5 იყო.

[934] *The World Bank*, Mortality Rate Under - 5 (per 1000 live births), http://data.worldbank.org/indicator/SH.DYN.MORT.

[935] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2013 წ., გვ. 447.

2014 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით,[936] 5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მიზეზების პროცენტული მაჩვენებელი შემდეგნაირად გამოიყურება: რესპირატორული დისტრეს სინდრომი – 32 %, პნევმონია, ბრონქიტი და სუნთქვის უკმარისობა – 21 %, შოკი და სიკვდილის დაუზუსტებელი მიზეზები –14 %, ახალშობილთა სეფსისი – 8 %, ასფიქსია – 4 %, გულის თანდაყოლილი მანკები და განვითარების ანომალიები – 5 %. ამასთანავე, არასრულწლოვანთა გარდაცვალების მიზეზებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია სამედიცინო პერსონალის გულგრილობა და მათ მიერ დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულება – 2014 წლის განმავლობაში 5 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთა გარდაცვალების 19 შემთხვევა იყო შესწავლილი კომისიური წესით. შესაბამისად, პროფესიული განვითარების საბჭოს გადაწყვეტილების შედეგად, 40 ექიმს შეუჩერდა სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედება, ხოლო 64 ექიმს კი წერილობითი გაფრთხილება მიეცა.

სიცოცხლის უფლების დაცვის პოზიტიური ვალდებულება კონსტიტუციით დაცული უფლებაა. აღნიშნული უფლება საერთაშორისო დონეზე განმტკიცებულია ისეთი დოკუმენტებით, როგორებიცაა – ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია (მუხლი 2) და საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (მუხლი 6).

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის 24-ე მუხლის მე–2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი მონაწილე სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას, მიიღონ ეფექტური და აუცილებელი ზომები არასრულწლოვანთა სიკვდილიანობის შესამცირებლად. გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტი, თავის N15 ზოგად კომენტარში მიუთითებს კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და ყველა სხვა სახის ღონისძიებების გატარების საჭიროებაზე, კონვენციის 24-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებების დისკრიმინაციის გარეშე იმპლემენტაციის მიზნით.[937]

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ზომები, რომლის მიღებაზეც პაქტის მონაწილე სახელმწიფოები არიან ვალდებული, უნდა შეიცავდეს ღონისძიებებს, რომლებიც აუცილებელია მკვდრადშობადობის, ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებისა და ბავშვის ჯანსაღი განვითარების უზრუნველსაყოფად.

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 133-ე მუხლის პირველი პუნქტი მიუთითებს, რომ „ბავშვთა სიკვდილიანობისა და ავადობის შემცირების სამედიცინო

---

[936] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2015 წლის 27 თებერვლის კორესპონდენცია N 01/14396.

[937] Committee on the Rights of the Child, General comment No. 15 on the right of the child to the enjoyment of the highest attainable standard of health (Art. 24), 2013, P. 20.

ასპექტების მართვა, ბავშვებისათვის რეალურად შესაძლო უმაღლესი დონის სამედიცინო დახმარების, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა ჯანმრთელობის დაცვის სისტემის პრიორიტეტული ამოცანაა."

არსებული საერთაშორისო თუ შიდასამართლებრივი სტანდარტების გათვალისწინებით, ბავშვთა სიკვდილიანობის აღმოფხვრის მიზნით, 2014 წელს სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯებიდან აღსანიშნავია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 2 დეკემბრის N650 დადგენილება „2014 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ". დოკუმენტი, რომლის მიღებაც ყოველწლიურად ხდება, შეიცავს დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის პროგრამას (დანართი N9). აღნიშნული პროგრამის ერთ–ერთ მიზანს ახალშობილთა სიკვდილიანობის შემცირება წარმოადგენს. 2014 წლის დადგენილება შინაარსობრივად მისი წინამორბედებისგან[938] იმით განსხვავდება, რომ არასრულწლოვანთა გარდაცვალების ერთ–ერთ მნიშვნელოვან მიზეზად ნაადრევი მშობიარობა და თანდაყოლილი ანომალიების არსებობაა დამატებული და, შესაბამისად, სხვა მიზეზებთან ერთად, პროგრამის მიზანს ბავშვთა სიკვდილიანობის განმაპირობებელ ზემოაღნიშნულ ფაქტორთა შემცირებაც წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ 2014 წლის პროგრამაში პირველად დამატებულია ორსულთა მედიკამენტებით (მათ შორის, ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატებით) უზრუნველყოფა.

ბავშვთა მიმართ ძალადობისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობისგან დაცვის უფლების იმპლემენტაცია.

ბავშვთა მიმართ ძალადობის, ექსპლოატაციური ქმედებისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის უფლება საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების ფუძემდებლური პრინციპია. 2014 წლის განმავლობაში სახალხო დამცველის მიერ განხორციელებულმა მონიტორინგმა გამოავლინა, რომ აღნიშნული პრინციპის პრაქტიკაში იმპლემენტაციის პრობლემები უკავშირდება ისეთ ძირითად საკითხებს, როგორებიცაა – ყველა სახის არასათანადო მოპყრობის, მათ შორის სექსუალური ძალადობისა და სხეულებრივი დასჯის მსხვერპლი ბავშვების იდენტიფიკაცია, მათ მიმართ რეფერირებისა და სარეაბილიტაციო ფსიქო–სოციალური ღონისძიებების განხორციელება, პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებების მიერ ძალადობის სავარაუდო შემთხვევების გონივრულ ვადაში ეფექტური გამოძიება[939], ბრალდებულ პირთა გამოვლენა, არასათანადო მოპყრობის რეალური და უშუალო რისკის აცილება[940] და სხვა სახის შემდგომი რეაგირება.

---

[938] იხ. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 ოქტომბრის N 279 დადგენილება „2013 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ", დანართი N 9.

[939] *Assenov v. Russia*, October 28, 1998, para. 102; *Lapida v. Italy*, App. N 26772/95, para. 131; *Kaya v. Turkey*, February, 19, 1998, para. 124; ECHR.

[940] *Z v. United Kingdom*, (1998), ECHR, App. No. 29392/95 (Comm. Rep 10.9.99), para 94.

ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის აღმოფხვრისა და პრევენციის სფეროში მნიშვნელოვან ინსტრუმენტებს ადგენს ევროპის საბჭოს „სექსუალური ექსპლოატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ“ კონვენცია, რომელსაც საქართველო სწორედ 2014 წელს შეუერთდა. აღნიშნული კონვენციის მე–2 და მე–14 მუხლების ნორმატიული შინაარსიდან გამომდინარე, პასუხისმგებელმა უწყებებმა ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე უნდა მიიღონ აუცილებელი საკანონმდებლო და სხვა სახის ზომები ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის პრევენციისა და მსხვერპლთა დაცვის უზრუნველყოფის მიზნით. ამასთან, კონვენციის მე–5 მუხლი ადგენს განათლების, ჯანდაცვის, სოციალური დაცვის, სასამართლო და სამართალდამცავ სექტორებში მომუშავე პირთა ინფორმირების ვალდებულებას ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის საკითხებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ 2008 წლის გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტის (CRC) „დასკვნით შენიშვნებში“ საქართველოს მიმართ გაიწერა ძირითადი რეკომენდაციები ბავშვთა მიმართ ძალადობრივი, ექსპლუატაციური და სხვა სახის არასათანადო მოპყრობის აღმოფხვრისა და პრევენციისათვის საჭირო ღონისძიებები[941], დღემდე ეფექტური ინსტრუმენტი, რომელიც აღნიშნული შემთხვევების გამომწვევ რისკფაქტორებს მინიმუმამდე დაიყვანს, სახელმწიფოს არ გააჩნია.

სახალხო დამცველის აპარატში საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხორციელებული საქმისწარმოების შედეგების მიხედვით გამოიკვეთა, რომ ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევები აქტუალურია სკოლამდელ და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, ოჯახსა და სახელმწიფო მზრუნველობის ქვეპროგრამებში ჩართულ ბენეფიციართა მიმართ. ძალადობის ფაქტების იდენტიფიკაცია განსაკუთრებით შეფერხებით ხორციელდებოდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, რასაც, ძირითადად, ძალადობისაგან დაცვის რეფერირების პროცედურების შესახებ საჯარო სკოლების სასწავლო და ადმინისტრაციული პერსონალის ინფორმირების დაბალი ხარისხი განაპირობებს. კვლავ სისტემურ პრობლემას წარმოადგენდა სკოლამდელ და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ბავშვთა მიმართ სხეულებრივი სასჯელების გამოყენების შემთხვევები. აღნიშნული საქმეებიდან დისციპლინური პასუხისმგებლობა მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაზე იქნა გამოყენებული[942].

2014 წლის განმავლობაში ასევე პრობლემურ მიმართულებად უნდა შეფასდეს ბავშვთა მიმართ განხორციელებული ძალადობისა და ექსპლუატაციური ქმედებების შემთხვევებზე სამართალდამცავთა მიერ ნაკლებად ეფექტური რეაგირების საკითხი. კერძოდ, სახალხო დამცველის აპარატში განხორციელებულმა საქმისწარმოების შედეგებმა აჩვენა, რომ ხშირ

[941] გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტი (CRC) 2008 წლის 23 ივნისის ბავშვის უფლებების შესახებ დასკვნითი შენიშვნების[941] 31–33 პარაგრაფებში.
[942] საქმე N16432/1, 01/10/2014.

შემთხვევაში, სახეზეა გამოძიების გაჭიანურება და სისხლისსამართლებრივი საპროცესო ღონისძიებების განხორციელება არაგონივრულ ვადაში, ასევე ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნების მიმართ დაზარალებულის სტატუსის მინიჭების პრობლემატიკა. საქართველოს შსს გამოთხოვილი ინფორმაციის[943] თანახმად, 2014 წლის განმავლობაში არასრულწლოვანთა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული 80 შემთხვევაა რეგისტრირებული, რომლებზეც დაიწყო გამოძიება. აღნიშნული შემთხვევებიდან მხოლოდ 38–ზე დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა. რაც შეეხება ბავშვთა მიმართ ცემის (სსკ 125.2 მუხლი), ძალადობისა (სსკ 126.2 მუხლი) და ოჯახური ძალადობის(126[1].2. მუხლი) გამოძიების ეფექტურობას, 33 შემთხვევიდან მხოლოდ 12 მათგანზე დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა.

ძალადობის, ექსპლოატაციური და სხვა სახის არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი არასრულწლოვნების საკითხის განხილვისას, მეტად რელევანტურია მოქმედი დაცვითი და სარეაბილიტაციო ღონისძიებების სისტემის პრაქტიკაში განხორციელების პრობლემები. მიუხედავად იმისა, რომ რეფერირების პროცესის ფარგლებში, ბავშვის მიმართ ძალადობრივი ქმედების გამოვლენის შემთხვევაში, იგი უნდა განათავსონ ისეთ გარემოში[944], რომელიც ხელს შეუწყობს არასრულწლოვნის უსაფრთხოებასა და რეაბილიტაციას, 2014 წლის განმავლობაში სახალხო დამცველის აპარატში განხორციელებული საქმისწარმოების ანალიზიდან იკვეთება, რომ არასრულწლოვანთა შესაბამის მომსახურებაში განთავსება (ძირითადად, მინდობით აღზრდის ქვეპროგრამის ფარგლებში) ხორციელდება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში და არაგონივრულ ვადაში, ძირითადად სისტემატური ფიზიკური ძალადობის ან/და სექსუალური თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული ქმედებების განხორციელების შემთხვევაში[945].

ბავშვთა ძალადობის, ექსპლოატაციისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობის აღმოფხვრა–პრევენციის ერთ–ერთი მექანიზმია რეფერირების პროცედურით გათვალისწინებული ღონისძიებების სისტემატური განხორციელება. თუმცა, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამოვლინდა, რომ ხშირ შემთხვევაში რეფერირების პროცედურა არ ხორციელდება, რაც იწვევს ძალადობის მსხვერპლი ბავშვის იდენტიფიკაციის არასათანადო მოპყრობისგან შემდგომი პრევენციული ღონისძიებების განხორციელებისა და რეაბილიტაციის პრობლემებს. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსგან გამოთხოვილი

---

[943] კორესპონდენცია N2134/15, 25.02.2015

[944] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 31 მაისის ერთობლივი ბრძანება N152/ნ-N496-N45/ნ „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ“.

[945] საქმე N11487/1, 20/06/2014; საქმე N14993/1, 01/09/2014.

ინფორმაციის[946] თანახმად, 2014 წლის განმავლობაში, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში ზეპირი განცხადების, ელექტრონული და სატელეფონო ფორმით ბავშვთა ძალადობის შესახებ 336 შეტყობინება დაფიქსირდა [947]. მათგან სოციალური მუშაკის მიერ საქმისწარმოება გაგრძელდა 250 შემთხვევაზე, ხოლო ფსიქოლოგიური სერვისი მიეწოდა 94 საქმეზე. რაც შეეხება რეფერირების შემთხვევის მაჩვენებელს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბავშვის მიმართ სავარაუდო ძალადობის განხორციელების შესახებ 65 შეტყობინება გადაეცა. ამასთან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემების[948] თანახმად, 2013–2014 წლების (იანვარი–ივნისი) განმავლობაში მხოლოდ ოჯახური ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნების რაოდენობრივი მაჩვენებელი ქვეყნის მასშტაბით შეადგენს 36 შემთხვევას. პრობლემურია, რომ აღნიშნული მონაცემები მცირეა და ძირითადად ვერ ასახავს 2014 წლის განმავლობაში არასრულწლოვნის მიმართ ძალადობის, ექსპლოატაციისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობის შემთხვევების სრულ მაჩვენებელს, იმ ფაქტთან შედარებით, რომ მხოლოდ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში ბავშვთა მიმართ ოჯახური ძალადობის 200–მდე შემთხვევა იქნა იდენტიფიცირებული.

გ. ნ.–ს საქმე

2014 წლის 16 ოქტომბრიდან, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრში მიმდინარეობდა საქმისწარმოება[949]თბილისის ერთ–ერთ კერძო სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აღსაზრდელის მიმართ განხორციელებული სავარაუდო ფიზიკური ძალადობის (ცემის) შესახებ.

სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს მთავარი პროკურატურიდან და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან

---

[946] კორესპონდენცია N04/102901, 26/12/2014 (შიდა N20223/1, 06/01/2015).

[947] აღნიშნულ მონაცემებში ასახულია როგორც ოჯახური ძალადობის, ისე სახელმწიფო ინსტიტუციებში ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა რაოდენობა.

[948] http://police.ge/ge/useful-information/statistics/skhvadaskhva-sakhis-statistika-kvlevebi?y=2014
http://police.ge/files/pdf/9%20%E1%83%9D%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%202007-2014--6%20%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94 pdf.

[949] საქმე N17045/1, 16/10/2014.

გამოითხოვა[950]საქმის შესწავლისათვის საჭირო დოკუმენტაცია. ამასთან, ობიექტური ფაქტობრივი გარემოებების დადგენის მიზნით, სახალხო დამცველის რწმუნებულები სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებაში შეხვდნენ ბავშვის აღმზრდელ–პედაგოგებს[951].

საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის მიმართ ფიზიკური ძალადობის სავარაუდო შემთხვევაზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში მიმდინარეობდა გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125–ე მუხლის (ცემა) პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში დაიკითხნენ მოწმეები, დაინიშნა და ჩატარდა ტრასოლოგიური და სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზები, თუმცა სისხლის სამართლებრივი დევნა კონკრეტული პირის მიმართ არ დაწყებულა. აღსანიშნავია, რომ გამოძიების ეტაპზე არ იქნა ამოღებული დანაშაულის სავარაუდო საგანი. ასევე, გაჭიანურდა დაზარალებულის სტატუსის მინიჭება. მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველის აპარატმა რამდენჯერმე მიმართა[952] საქართველოს მთავარ პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს, გონივრულ ვადაში წარემართათ გამოძიება და გამოეყენებინათ მათ ხელთ არსებული ყველა სამართლებრივი საშუალება, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული გამოძიების გაჭიანურება და დადგენილიყო საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტება, აღნიშნულ შემთხვევაში 2014 წლის განმავლობაში პასუხისმგებელი პირები არ გამოვლენილან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ძალადობის მსხვერპლი ბავშვის უფლებრივი მდგომარეობის ანალიზისას იკვეთება, რომ სახეზეა ბავშვის უფლებების კონვენციის მე–3 და მე–19 მუხლებიდან და შშმ პირთა უფლებების კონვენციის მე–16 მუხლიდან გამომდინარე სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა. შესაბამისი უწყებების მიერ არასათანადოდ განხორციელდა ძალადობის მსხვერპლი ბავშვის სარეაბილიტაციო ქმედებები და მართლსაწინააღმდეგო ქმედების ეფექტური გამოძიებისათვის საჭირო საპროცესო ღონისძიებები.

ს.მ.–ს საქმე

2014 წლის 12 ნოემბრიდან საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საკუთარი ინიციატივით[953] დაიწყო საქმისწარმოება[954] 12 წლის არასრულწლოვანის მიმართ სექსუალური თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის სავარაუდო განხორციელების შესახებ.

---

[950] კორესპონდენცია N10-1/1104, 12/02/2015; N10-1/12959, 29/10/2014.
[951] ოქმი N17045/1, 16/10/2014.
[952] კორესპონდენცია N10-1/1104, 12/02/2015; N10-1/12983, 29/10/2014; N10-1/14376, 15/12/2014.
[953] „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე–12 მუხლი.
[954] საქმე N18309/1, 12/11/2014.

საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, გოგონა ძალადობისა და ძალადობის მუქარის გამოყენებით, რამდენჯერმე გახდა ჯგუფური გაუპატიურების მსხვერპლი. აღნიშნული ქმედება მის მიმართ განგრძობად ხასიათს ატარებდა 2 თვის განმავლობაში, თუმცა გონივრულ ვადაში ვერ მოხდა სექსუალური ძალადობის იდენტიფიცირება პასუხისმგებელი უწყებებისა და პირების მიერ.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების[955] თანახმად, არ განხორციელებულა ბავშვის ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია და საქმეში ფსიქოლოგის ჩართვა. ამასთან, არსებითად არ მომხდარა ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნის ფსიქოსოციალური მდგომარეობის საფუძვლიანი ანალიზი და შემდგომი რეაბილიტაციისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა[956]. ამასთან, საქმეზე დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა და ბრალდებულის სტატუსი მიენიჭა 1 პირს[957].

მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის მონიტორინგი

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრის წარმომადგენლებმა, ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების[958] მიხედვით, განახორციელეს მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში არსებული დღის ცენტრების, კრიზისული ინტერვენციის თავშესაფრებისა და ტრანზიტული ცენტრების მონიტორინგი.

ქვეპროგრამის მომსახურების მიმწოდებლებს წარმოადგენენ პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციები: World Vision International საქართველო, საქველმოქმედო ფონდი „საქართველოს კარიტასი“ და კავშირი „ბავშვი და გარემო“.

2014 წლის განმავლობაში, „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა“ ხორციელდებოდა თბილისსა და რუსთავში. თბილისში ფუნქციონირებს ორი დღის ცენტრი, ორი კრიზისული ინტერვენციის თავშესაფარი და ერთი 24 საათიანი ტრანზიტული ცენტრი, ხოლო რუსთავში ერთი 24 საათიანი ტრანზიტული ცენტრი. გარდა ამისა, საქველმოქმედო ფონდ „საქართველოს კარიტასის“ ფარგლებში ფუნქციონირებს ერთი

[955] კორესპონდენცია N10-4/14072, 04/12/2014; N10–4/14270, 10/12/2014; N10–4/171, 12/01/2015.
[956] კორესპონდენცია N19969/1, 22/12/2014.
[957] კორესპონდენცია N949/15, 22/01/2015.
[958] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N66 დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების“ შესახებ ტექნიკური რეგლამენტი.

მობილური ჯგუფი, ხოლო World Vision საქართველოს ფარგლებში – ორი მობილური ჯგუფი. აღნიშნული ჯგუფები შედგება ოთხი წევრისგან: ფსიქოლოგი, თანატოლ–განმანათლებელი, ადმინისტრაციული მუშაკი და სახელმწიფო სოციალური მუშაკი. მომსახურების დაფინანსება ხორციელდება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N291 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ შესაბამისად, არამატერიალიზებული სახელმწიფო ვაუჩერით. 2013 წლის ივლისსა და აგვისტოში განხორციელდა ორთვიანი გადამზადების კურსი, რომლის დროსაც არსებული მომსახურების თანამშრომლებმა გაიარეს „World Vision საქართველოს“ მიერ შემუშავებული სატრენინგო პროგრამა.

კავშირს „ბავშვი და გარემო“, ეკუთვნის თბილისში მდებარე ერთი ტრანზიტული ცენტრი, რომელიც გათვალისწინებულია 15 ბენეფიციარის მომსახურებაზე. მონიტორინგის დროს იქ ირიცხებოდა 7 ბენეფიციარი. ერთი წლის მანძილზე ცენტრი მოემსახურა 12 ბენეფიციარს. საქველმოქმედო ფონდი „საქართველოს კარიტასი“ ორგანიზებას უწევს რუსთავში არსებული ტრანზიტული ცენტრის, თბილისში არსებული კრიზისული ინტერვენციის თავშესაფრისა და დღის ცენტრის მომსახურებას. ტრანზიტული ცენტრი გათვალისწინებულია 20 ბენეფიციარზე. მონიტორინგის ეტაპზე იქ ირიცხებოდა 9 ბავშვი. აღნიშნულმა ცენტრმა ერთი წლის განმავლობაში მომსახურება გაუწია 13 ბავშვს. რაც შეეხება კრიზისული ინტერვენციის თავშესაფარსა და დღის ცენტრს, ორივე მათგანი ფუნქციონირებს ერთ შენობაში. კრიზისული ინტერვენციის თავშესაფარი გათვალისწინებულია 8 ბენეფიციარზე, ხოლო დღის ცენტრი – 21 ბავშვზე. მომსახურების მიმწოდებელ მესამე ორგანიზაციას, „World Vision International საქართველოს“ ეკუთვნის თბილისში მდებარე დღის ცენტრი და კრიზისული ინტერვენციის თავშესაფარი, რომლებიც ასევე განთავსებულია ერთ შენობაში. კრიზისული ინტერვენციის თავშესაფარი გათვალისწინებულია 10 ბენეფიციარზე. მონიტორინგის დროს იქ ირიცხებოდა 7 ბავშვი, ხოლო დღის ცენტრი გათვლილია 20 ბენეფიციარის მომსახურებაზე. მონიტორინგის მომენტისთვის დღის ცენტრით მოსარგებლე ბენეფიციარების რაოდენობა, ცვალებადობის გამო, ვერ დადგინდა.

ბენეფიციარების მომსახურებაში განთავსება და ზოგადი ინფორმაცია მომსახურების შესახებ

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის მესამე პუნქტის მიხედვით, ბავშვზე ზრუნვისათვის ან მათი დაცვისათვის პასუხისმგებელი სამსახურები უნდა შეესაბამებოდეს კომპეტენტური ორგანოების მიერ დაწესებულ ნორმებს. ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების პირველი მუხლით განსაზღვრულია იმ დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რომელიც უნდა

აწარმოოს მომსახურების მიმწოდებელმა და უზრუნველყოს მისი ხელმისაწვდომობა დაინტერესებული პირებისათვის.[959]

მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში მოქმედ დღის ცენტრებში, კრიზისული ინტერვენციის თავშესაფრებსა და ტრანზიტულ ცენტრებში ბენეფიციარები, ძირითადად, თავსდებიან ქვეპროგრამის ფარგლებში მოქმედი მობილური ჯგუფის საშუალებით, იშვიათ შემთხვევებში კი, საპატრულო პოლიციის ან საკუთარი ინიციატივით. მომსახურებაში შესვლის შემდეგ, პირველ ეტაპზე, არასრულწლოვანს უტარდება სამედიცინო შემოწმება. იმ შემთხვევაში, თუ ის საჭიროებს დამატებით გამოკვლევებს, ბავშვი გადაჰყავთ სამედიცინო დაწესებულებაში. მობილური ჯგუფი ყოველდღიურად ახორციელებს ვიზიტებს სამიზნე ჯგუფის ბავშვების პოტენციური ყოფნის/მუშაობის ადგილებზე. ბავშვის აღმოჩენისთანავე, ჯგუფი ქუჩაშივე ახორციელებს აქტივობას.

„ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების[960] შესაბამისად, ზემოაღნიშნულ პროცედურებში ჩართული ერთ-ერთი სუბიექტია საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი, რომელმაც უნდა გამოავლინოს და აღკვეთოს ბავშვზე ძალადობის ფაქტები, ასევე, განახორციელოს შესაბამისი სამართალწარმოება, ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და სააგენტოს ინფორმირება. მობილური ჯგუფის წევრებისგან მიღებული ინფორმაციის თანახმად, საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი, ხშირ შემთხვევებში, არ არის ინფორმირებული რეფერირების პროცედურების შესახებ და არაეფექტურად თანამშრომლობს მობილურ ჯგუფთან.

24–საათიანი მომსახურების მისაღებად, ბენეფიციარი გადის რამდენიმე ეტაპს. პირველად ის თავსდება კრიზისული ინტერვენციის თავშესაფარში, სადაც იწყება მუშაობა მისი ფსიქო–სოციალური რეაბილიტაციისა და ინტეგრაციის კუთხით, მიმდინარეობს მისი საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილება, სასწავლო პროცესში ჩართვა. თავშესაფარში ბენეფიციარები 3–6 თვის განმავლობაში რჩებიან, შემდეგ ისინი იცვლიან გარემოს, გადადიან ტრანზიტულ ცენტრში და იწყება ბენეფიციართან თავიდან მუშაობა. მომსახურების მიმწოდებელი პროვაიდერი ორგანიზაციის წარმომადგენლები და ბენეფიციარები განმარტავენ, რომ საცხოვრებლისა და გარემოს შეცვლა უარყოფითად მოქმედებს მათზე და ხშირ შემთხვევაში კრიზისული ინტერვენციის თავშესაფარში ბავშვთან ინდივიდუალური მუშაობის გზით მიღწეული შედეგი იკარგება.

---

[959] ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №66 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი.

[960] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 31 მაისის ერთობლივი ბრძანება №152/ნ-№496-№45/ნ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქვეპროგრამის ფარგლებში მოქმედი ორი დღის ცენტრი ფუნქციონირებს კრიზისულ ცენტრთან ერთად. დღის განმავლობაში ორივე სერვისის ბენეფიციარები ერთობლივად ახორციელებენ დაგეგმილ ღონისძიებებს, რაც პროვაიდერი ორგანიზაციის წარმომადგენლების განმარტებით, ხელს უწყობს მათ რესოციალიზაციას და დადებითად აისახება არასრულწლოვნების მოტივაციაზე. „საქართველოს კარიტასის“ წარმომადგენლებმა გვაცნობეს, რომ მათი დღის ცენტრის[961] მომსახურებით სარგებლობენ როგორც ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები, ასევე რისკის ქვეშ მყოფი და სოციალურად დაუცველი არასრულწლოვნები.

მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების უმრავლესობას არა აქვს წესრიგში დოკუმენტაცია. სოციალური მუშაკები მუშაობენ ბენეფიციარებისთვის ამ პრობლემის მოგვარების კუთხით, თუმცა პროცესი დროში ჭიანურდება, რის გამოც ბავშვებს ეზღუდებათ არაერთი უფლება. ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების მნიშვნელოვანი ნაწილი არ არის საქართველოს მოქალაქე, ხშირ შემთხვევაში ისინი არ ამჟღავნებენ საკუთარ ვინაობას, რის გამოც ვერ ხერხდება მათთვის ზემოაღნიშნული პრობლემის დროულად მოგვარება. ერთ–ერთ კრიზისული ინტერვენციის თავშესაფარში[962] ვერ წარმოადგინეს აღმზრდელების კვალიფიკაციის, ტრენინგების გავლის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და გვაცნობეს, რომ აღნიშნული ინახება პროვაიდერი ორგანიზაციის ოფისში. ასევე, სრულყოფილად არ იქნა წარმოდგენილი ბავშვზე ზრუნვის სტანდარტებით განსაზღვრული ჟურნალები.

დადებითად უნდა შეფასდეს, რომ „ბავშვი და გარემოს“ ტრანზიტულ ცენტრში წარმოადგინეს თანამშრომელთა კრების ოქმები. კრებაზე განიხილავენ პრობლემურ საკითხებს თითოეულ ბენეფიციართან დაკავშირებით. რუსთავის ტრანზიტულ ცენტრში აწარმოებენ ბავშვზე დაკვირვების ბარათს, სადაც ფიქსირდება მისი ყოველდღიური აქტივობები და ბავშვის ფსიქოემოციური მდგომარეობა.

ბენეფიციარების პირადი დოკუმენტაციის გაცნობისას ბავშვების ინდივიდუალური განვითარების გეგმები არასრულად იყო შევსებული და ატარებდა ფორმალურ ხასიათს. მომსახურების ინდივიდუალურ გეგმებში განსაზღვრულია ბავშვთან განსახორციელებელი კონკრეტული აქტივობა, თუმცა ამ კუთხით მიღწეული შედეგები არ იყო დაფიქსირებული.

დოკუმენტაციის შევსების წესთან დაკავშირებით აღმზრდელებს არ აქვთ გავლილი გადამზადება.

---

[961] საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი; დღის ცენტრი – თბილისი, მანჯგალაძის ქ. 59

[962] World Vision International საქართველოს; კრიზისული ინტერვენციის თავშესაფარი – თბილისი, გოცირიძის2/ჩიქობავას 29

2. ძალადობა – ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების მე–11 მუხლით განსაზღვრულია ბავშვის უფლება დაცული იყოს ძალადობისგან[963]. ბავშვის უფლებათა კონვენციის მე–19 მუხლით ყოველი ბავშვი დაცულია ნებისმიერი სახის ძალადობისგან, ხოლო ამავე კონვენციის 36–ე მუხლი ავალდებულებს თითოეულ სახელმწიფოს, დაიცვას ბავშვი ექსპლუატაციის ყველა ფორმისგან.

განხორციელებული მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ბენეფიციარები არიან ძალადობის მსხვერპლი. ბენეფიციარების უმეტესობას აქვს ფსიქოლოგიური/ფსიქიატრიული პრობლემები და საჭიროებს შესაბამისი სპეციალისტის დახმარებას. რთული ქცევის ან ემოციური აშლილობის მქონე ბავშვებს ექმნებათ აღმზრდელებთან ურთიერთობის პრობლემები. მაგალითად, ერთ–ერთი ბენეფიციარის მხრიდან ცენტრის თანამშრომლების მიმართ განხორციელდა ფიზიკური ძალადობა, რა დროსაც გამოიძახეს საპატრულო პოლიცია. აღნიშნული ბენეფიციარის მიმართ არ გატარებულა კონკრეტული პრევენციული ღონისძიება. აღსანიშნავია, რომ ბავშვების უმეტესი ნაწილი, თავშესაფარში ცხოვრების პარალელურად, კვლავ აგრძელებს მათხოვრობას, რასაც მათ ოჯახის წევრები აიძულებენ. არის თავშესაფრიდან გაპარვის შემთხვევებიც, რის შესახებაც ინფორმაცია მიეწოდება პოლიციას, მაგრამ უმეტესად, ბავშვი ან თავად ბრუნდება უკან ან მას მობილური ჯგუფები პოულობენ. არის შემთხვევები, როდესაც ბენეფიციარები, რომლებსაც, შესაძლებელია, ჰქონდეთ ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა, პერიოდულად ბრუნდებიან თავშესაფარში რამდენიმე დღით, ძირითადად დასაძინებლად, სამკურნალოდ და საკვების მისაღებად, შემდეგ კი კვლავ აგრძელებენ ქუჩაში თავიანთ ჩვეულ საქმიანობას. ერთ–ერთი თავშესაფრის 16 წლის ბენეფიციარი, რომელიც, სავარაუდოდ, ჯგუფური გაუპატიურების და ოჯახური ძალადობის მსხვერპლია, ამჟამად არის ორსულად. იგი საკუთარმა მშობლებმა იძულებით დააბრუნეს ოჯახში. ამასთან დაკავშირებით, თავშესაფრის თანამშრომლებმა მიმართეს პოლიციას, თუმცა შესაბამისი რეაგირება არ განხორციელებულა. ერთ–ერთი თავშესაფრის ხელმძღვანელთან საუბრისას, ცნობილი გახდა 14 წლის ბავშვის მიმართ განხორციელებული პედოფილიის სავარაუდო ფაქტის შესახებ. აღნიშნული ფაქტის შესახებ შეატყობინეს პოლიციას. რეაგირება არც ამ ფაქტზე მომხდარა. მონიტორინგის განხორციელების დროს არასრულწლოვანის ადგილსამყოფელი გაურკვეველი დარჩა. არსებობს ეჭვი, რომ ისიც ორსულადაა და სხვა ბენეფიციართან ერთად ჩართულია პროსტიტუციაში. მობილური ჯგუფის წევრებთან საუბრისას, ცნობილი გახდა, რომ არასრულწლოვანთა პროსტიტუციის სავარაუდო ადგილი შესაძლებელია იყოს ვარდების მოედანზე, სასტუმრო „რედისონის“ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული თურქული ბარი, სადაც მობილური ჯგუფი

[963] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N66 დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების“ შესახებ ტექნიკური რეგლამენტი, სტანდარტი N11

სისტემატურად ახორციელებს მონიტორინგს. მიღებული ინფორმაციით, პოლიციის მხრიდან არც ამ ფაქტზე გატარებულა კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.

გამოიკვეთა ტენდენცია, რომ არასრულწლოვნები ხშირად ღამეს ინტერნეტ–კაფეებში ათენებენ, ირღვევა მათი დღე–ღამის რეჟიმი, რის გამოც ბავშვები აგრესიული ხდებიან.

მობილური ჯგუფის წევრისგან მივიღეთ ინფორმაცია 9 წლის არასრულწლოვანის შესახებ, რომელიც ოჯახის წევრს ჩაქუჩით ჰყავდა ნაცემი. იგეგმებოდა მისი გადაუდებელ მინდობით აღზრდაში განთავსება. თუმცა ამის უფლება სოციალურ მუშაკს, მისი თქმით პოლიციამ არ მისცა. ამ დრომდე ბავშვი იმყოფება ბიოლოგიურ ოჯახში, სადაც კვლავ არის ოჯახური ძალადობის მსხვერპლი. ოჯახი აიძულებს მას, უმცროს ძმასთან ერთად, გააგრძელოს მათხოვრობა და არ აძლევს სოციალურ მუშაკს ბავშვების კრიზისული ინტერვენციის თავშესაფარში განთავსების საშუალებას. ხშირია შემთხვევები, როდესაც მშობელს ბავშვი იძულებით გაჰყავს თავშესაფრიდან. ამის საფუძველს ის წარმოადგენს, რომ კრიზისული ინტერვენციის თავშესაფარში ჩარიცხვისას, მას უჩერდება სოციალური დახმარება. საქველმოქმედო ფონდ „საქართველოს კარიტასის“ მობილურმა ჯგუფმა მოგვაწოდა ინფორმაცია ისან–სამგორის ტერიტორიაზე (აფრიკის დასახლება) არსებულ დასახლებაში მცხოვრები 6 აზერბაიჯანული ეროვნების ოჯახის შესახებ. მათი საცხოვრებელი პირობები უკიდურესად მძიმეა. იქ მცხოვრებ არასრულწლოვნებს კი მუდმივად აიძულებენ მათხოვრობას.

ბავშვებს შორის გავრცელებულია ბულინგი, ფიზიკური ძალადობა. მათთან მუშაობენ თავშესაფრის და მობილური ჯგუფის ფსიქოლოგები. ბენეფიციარებისთვის განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს თავშესაფარში არსებული წესების და დღის რეჟიმის დაცვა. აღმზრდელებს უჭირთ გააკონტროლონ სად ატარებენ ბავშვები დროის უმეტეს ნაწილს, რითი არიან დაკავებული თავშესაფრის გარეთ და აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას, ძირითადად, მობილური ჯგუფების საშუალებით ან სხვა ბენეფიციარებისგან იღებენ. მობილური ჯგუფის წევრებმა აღნიშნეს, რომ ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებს ჰყავთ ზედამხედველები, რომლებიც, ძირითადად, მათი ოჯახის წევრები არიან. აღნიშნული განსაკუთრებით შესამჩნევია თბილისის მეტროში, სადაც ეს ზედამხედველები ხელს უშლიან მობილური ჯგუფის წევრებს არასრულწლოვნებთან მუშაობისას.

ანგარიშში მოყვანილ უფლებადარღვევის ფაქტებზე, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებათა ცენტრმა დაიწყო საქმისწარმოება საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში და მიმართა შესაბამის უწყებებს.

განათლება და თავისუფალი დრო – გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის 28-ე მუხლის თანახმად, ბავშვს აქვს განათლების მიღების უფლება და თანაბარი შესაძლებლობების საფუძველზე, სახელმწიფო ვალდებულია, ხელი შეუწყოს ამ უფლების რეალიზებას. ბავშვზე

ზრუნვის სტანდარტების[964] მე–8 მუხლი განსაზღვრავს იმ ვალდებულებებს, რომლებიც მომსახურების მიმწოდებელს ბავშვის მიმართ გააჩნია განათლების უფლების სრულყოფილი რეალიზაციის თვალსაზრისით.

მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის მომსახურებით მოსარგებლე ბენეფიციარების უმრავლესობა არ იღებს ზოგად და პროფესიულ განათლებას. ბავშვების უმრავლესობას არ აქვს სასწავლო უნარ-ჩვევები და შემეცნებითი განვითარების სათანადო დონე. არასრულწლოვნები არ იჩენენ ინტერესს სასწავლო პროცესის მიმართ. ნაწილი ვერ იღებს ზოგად განათლებას, რადგან, დოკუმენტაციის უქონლობის გამო, ვერ აკმაყოფილებენ ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის მოთხოვნებს. ბავშვების უმეტესობა დამოუკიდებლად მეცადინეობს, მიუხედავად იმისა, რომ საგნებში დამატებით მომზადებასაც საჭიროებენ. არასრულწლოვნები შეფასებული არიან მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, თუმცა თავად სკოლაში ჩარიცხვის ეტაპზე ექმნებათ პრობლემები, რადგან დირექტორები უარს აცხადებენ მათ მიღებაზე და მიზეზად, ხშირად, სკოლის გადატვირთულობას ასახელებენ.

პროვაიდერი ორგანიზაციები თავიანთი შესაძლებლობების გათვალისწინებით ცდილობენ ჩართონ არასრულწლოვნები სხვადასხვა არაფორმალურ აქტივობებში. ბავშვები დაჰყავთ კინოში, თეატრებში, თავად ცენტრებში ეწყობა ფილმების ჩვენება და განხილვა, ჰყავთ მოხალისეები, რომლებიც ბავშვებს ასწავლიან ცეკვას, სიმღერას, თექაზე მუშაობის ტექნიკას, ამზადებენ ტაიკვანოდოში. „კარიტასის" კრიზისული ინტერვენციის თავშესაფარში/დღის ცენტრში[965] ბავშვებს ასევე უტარდებათ ტრენინგები ასაკობრივი საჭიროებების გათვალისწინებით. მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ რუსთავის 24 საათიან ტრანზიტულ ცენტრში[966] ბავშვები პრაქტიკულად არ არიან ჩართული არაფორმალურ აქტივობებში, რადგან არასრულწლოვნები არ იჩენენ ინტერესს ერთი და იმავე აქტივობის ხანგრძლივად განხორციელების მიმართ.

„ბავშვი და გარემოს" ტრანზიტულ ცენტრში[967] განხორციელებული მონიტორინგის დროს დაფიქსირდა, რომ ცენტრის ეზო მოუწესრიგებელია და სტანდარტებთან შეუსაბამო. საკანალიზაციო სისტემა დაზიანებულია, რაც იწვევს ანტისანიტარიას და ხელს უწყობს მწერების გავრცელებას. ამდენად, ბავშვები ვერ ახერხებენ თავისუფალი დროის ეზოში გატარებას. ცენტრის ეზოში ასევე მდებარეობს კეთილმოუწყობელი სტადიონი. ,,ბავშვი და

[964] ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №66 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი.
[965] საქართველოს კარიტასი; თბილისი, მანჯგალაძის ქ. 59.
[966] საქართველოს კარიტასი; ტრანზიტული ცენტრი, ქ. რუსთავი, ფალიაშვილის ქ. 18.
[967] ორგანიზაცია „ბავშვი და გარემო"; თბილისი, აბასთუმნის ქ. N4.

გარემოს“ ხელმძღვანელის ინფორმაციით, მან, ზემოაღნიშნული პრობლემების მოგვარების მიზნით, არაერთხელ უშედეგოდ მიმართა დიდუბის რაიონის გამგეობას.

ჯანმრთელობის დაცვის უფლება – ბავშვზე ზრუნვის სტანდარტის[968] მე-9 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ბენეფიციარები უნდა იზრდებოდნენ ისეთ გარემოში, სადაც წახალისებულია ცხოვრების ჯანსაღი წესი და სათანადო ყურადღება ექცევა მათი ჯანმრთელობის მდგომარეობას.

მომსახურებაში განთავსების ეტაპზე, ხორციელდება ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება თავად ბავშვისგან, რაც ძირითადად მისი ზეპირი გამოკითხვით ან ფიზიკური დათვალიერებით ხორციელდება. მოწმდება, აქვს თუ არა მას ფიზიკური დაზიანებები, ძალადობის ნიშნები, გამონაყარი. გადამდებ და ქრონიკულ დაავადებებზე ინფორმაციას გამოკითხვით იღებენ, რა დროსაც არის მაღალი ალბათობა იმისა, რომ ბავშვმა დამალოს ან თავადაც არ ფლობდეს ინფორმაციას საკუთარი ჯანმრთელობის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ჩნდება ეჭვი კონკრეტულ დაავადებაზე, ბავშვი მოწმდება შესაბამის სპეციალისტთან. ბენეფიციარები, რომლებსაც არ აქვთ პირადი დოკუმენტაცია, ვერ სარგებლობენ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით. ასეთ დროს კი მათი მკურნალობის ხარჯები დამოკიდებულია პროვაიდერი ორგანიზაციის ფინანსურ შესაძლებლობაზე. ამ მხრივ, რთული მდგომარეობაა ორგანიზაცია „ბავშვი და გარემოს“ ტრანზიტულ ცენტრში[969], რადგან აღნიშნული ორგანიზაცია მთლიანად დამოკიდებულია სახელმწიფოს ვაუჩერულ დაფინანსებაზე.

ცენტრში მიღების ეტაპზე, თითქმის ყველა ბავშვს აღენიშნება კუჭ–ნაწლავის პრობლემა, რაც ჯანსაღი საკვების რეგულარული მიწოდების შედეგად მეტ–ნაკლებად რეგულირდება. ბავშვების უმეტესობას არ გააჩნია ცნობები ჯანმრთელობის შესახებ. რუსთავში მდებარე ტრანზიტული ცენტრის[970] ბენეფიციარებისთვის, აღნიშნულის საჭიროების შემთხვევაში, ცნობას ამზადებს ცენტრის ექიმი. დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ ცენტრში გამოყოფილია გადამდები დაავადების შემთხვევების იზოლირების ოთახი. გარდა ამისა, წარმოდგენილია ბენეფიციართა განვითარების სამედიცინო ბარათები, სადაც აღნიშნულია თითოეული ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა და სრული ინფორმაცია მათ მიმართ ჩატარებული მკურნალობის კურსის შესახებ.

მომსახურებაში ჩართული არასრულწლოვნების უმრავლესობა მოიხმარს თამბაქოს. გამოიკვეთა სააფთიაქო ნარკომანიის შემთხვევებიც. მონიტორინგისას, ერთ–ერთი თავშესაფრის თანამშრომლებისგან მიღებული ინფორმაციით, ბავშვებს რამდენჯერმე

---

[968] საქართველოს მთავრობის დადგენილება №66, 2014 წლის 15 იანვარი, ტექნიკური რეგლამენტი– ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ.
[969] ორგანიზაცია „ბავშვი და გარემო“; თბილისი, აბასთუმნის ქ. N4.
[970] საქართველოს კარიტასი; ტრანზიტული ცენტრი, რუსთავი, ფალიაშვილის ქ. 18.

აღმოუჩინეს ერთ–ერთ აფთიაქში რეცეპტის გარეშე შეძენილი მედიკამენტი, კერძოდ, დიმედროლი. რამდენიმე აბი დიმედროლის მიღება კი იწვევს ნარკოტიკულ თრობას. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებათა ცენტრმა მიმართა სსიპ სამედიცინო რეგულირების სააგენტოს. საპასუხო წერილით გვეცნობა, რომ მოკვლევის შედეგად ჩვენს მიერ მიწოდებული ინფორმაცია დადასტურდა და სამართალდამრღვევის მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

კვება – ბავშვზე ზრუნვის სტანდარტის[971]მე–6 მუხლით განსაზღვრულია მომსახურების მიმწოდებლის ვალდებულებები ბენეფიციარების საკვებით უზრუნველყოფის პროცესში[972] . სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვი უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო ოდენობის საკვებით მისი ასაკის გათვალისწინებით.

კრიზისული ინტერვენციის თავშესაფრებსა და ტრანზიტულ ცენტრში განსაზღვრულია ოთხჯერადი კვება, „საქართველოს კარიტასის“ დღის ცენტრის მომსახურებით მოსარგებლე ბენეფიციარებისთვის – სამჯერადი, ხოლო World Vision International საქართველოს დღის ცენტრებისთვის, ორჯერადი კვება. World Vision International საქართველოს კრიზისული ინტერვენციის თავშესაფარში[973] პროვაიდერი ორგანიზაციის წარმომადგენელი საჭირო პროდუქტებს იღებს ორ კვირაში ერთხელ. მენიუს ადგენს კოორდინატორი. მენიუს შედგენის დროს კალორიების დათვლა და გათვალისწინება არ ხდება. კარიტასის ტრანზიტულ ცენტრში[974] გამოიკვეთა, რომ ექიმი ადგენს მენიუს კალორაჟის გათვალისწინებით. სახლების მენეჯერები უმეტესწილად არ ფლობენ ინფორმაციას მათ მიერ მოხმარებული წყლის უსაფრთხოებაზე. ორგანიზაცია „ბავშვი და გარემო“ პროდუქტის გარკვეულ ნაწილს იღებს შემოწირულობით. ერთ–ერთი კერძო სკოლა ყოველდღიურად აწვდის ცენტრს სადილს ბენეფიციარებისთვის. პროვაიდერი ორგანიზაციის წარმომდგენლები პროდუქტებს იძენენ საჭიროებისამებრ სხვადასხვა პერიოდულობით. ბავშვების სურვილი, იკვებონ უპირატესად ძეხვეულით, გაყინული პროდუქტით, მიიღონ ტკბილეული, ხშირ შემთხვევაში კმაყოფილდება. აღნიშნული არ პასუხობს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, ორგანიზმის ჯანსაღი ზრდა–განვითარების მოთხოვნებს. ბავშვები საკმაოდ ხშირად იღებენ გაზიან სასმელებსაც. ყველა ზემოთაღნიშნულ დაწესებულებაში სამზარეულო კეთილმოწყობილია და აღჭურვილია საჭირო რაოდენობის ჭურჭლით.

---

[971] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №66 დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების“ შესახებ ტექნიკური რეგლამენტი.

[972] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №66 დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების“ შესახებ ტექნიკური რეგლამენტის მე–6 მუხლი.

[973] World Vision International საქართველოს; კრიზისული ინტერვენციის თავშესაფრი – თბილისი, გოცირიძის 2/ჩიქობავას 29.

[974] საქართველოს კარიტასი; ტრანზიტული ცენტრი, ქ. რუსთავი, ფალიაშვილის ქ. 18.

დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადება – ბავშვზე ზრუნვის სტანდარტი ავალდებულებს მომსახურების მიმწოდებელს, მოამზადოს ბავშვი დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და დაეხმაროს მას მომსახურების დატოვებაში.[975]

პროვაიდერი ორგანიზაციები საკუთარი რესურსით ან საქველმოქმედო ორგანიზაციების დახმარებით ცდილობენ ბენეფიციართათვის პროფესიული განათლების მიცემას. დადებითად უნდა შეფასდეს „საქართველოს კარიტასის“ მიერ დაფინანსებული ახალგაზრდული სახლი, სადაც ამ ეტაპზე ცხოვრობს 4 ახალგაზრდა, რომელთა დასაქმებასა და პროფესიული განათლების მიღებაზე თავად ორგანიზაციამ იზრუნა. „World Vision International საქართველოს“ 2 ბენეფიციარი ჩართულია კომპანია ნატახტარის პროექტში, რომლის ფარგლებშიც ერთ-ერთი ახალგაზრდისთვის კომპანიამ იქირავა ბინა. პრობლემად რჩება ბენეფიციარების დაინტერესება კონკრეტული აქტივობით, პროფესიული განათლებით, რაც განსაკუთრებით რთულდება უფროსი ასაკის არასრულწლოვნების შემთხვევაში. ბენეფიციარების უმრავლესობას უჭირს საკუთარ თავზე ზრუნვის უნარ–ჩვევების გამომუშავება. მონიტორინგის პროცესში გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ბავშვები ხშირად უარს ამბობენ დასაქმებაზე, რადგან შეთავაზებული სამუშაოს ანაზღაურება გაცილებით ნაკლებია იმ თანხაზე, რასაც ისინი ქუჩაში მათხოვრობით აგროვებენ.

ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის უფლება

საქართველოს კონსტიტუციის 37–ე მუხლით დაცულია ჯანმრთელობის დაცვის უფლება, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს აღნიშნული უფლების განხორციელება.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე–12 მუხლით აღიარებულია თითოეული ადამიანის უფლება „ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლეს შესაძლო სტანდარტებზე“. ბავშვის უფლებების კონვენციის 24-ე მუხლის თანახმად კი ყველა ბავშვს აქვს უფლება, სარგებლობდეს ხარისხიანი სამედიცინო დახმარებით.

აღნიშნულს ეხმიანება ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N15, რომელიც უფრო ფართოდ განსაზღვრავს ბავშვის ჯანმრთელობის უფლებას.

[975] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №66 დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების“ შესახებ ტექნიკური რეგლამენტი, სტანდარტი №13

2014 წლის განმავლობაში, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრმა შეისწავლა 43 საქმე, რომლებიც არასრულწლოვანთა ჯანმრთელობის უფლების არაჯეროვან განხორციელებას ეხებოდა. ამ კუთხით, განსაკუთრებით გამოიკვეთა მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს ონკოლოგიისა და ჰემატოლოგიის დეპარტამენტის ლეიკემიით დაავადებულ და ტუბერკულიოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის არასრულწლოვანთა განყოფილებებში არსებული პრობლემური მდგომარეობა.

მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო

მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, სახალხო დამცველის რწმუნებულები იმყოფებოდნენ მ.იაშვილის სახელობის ცენტრალურ საავადმყოფოში. რწმუნებულებისთვის ცნობილი გახდა, რომ რეანიმაციულ განყოფილებაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების შედეგად საფრთხე შეექმნა ონკოლოგიისა და ჰემატოლოგიის დეპარტამენტის ლეიკემიით დაავადებულ არასრულწლოვან პაციენტთა ჯანმრთელობის მდგომარეობას. ბავშვები რამდენიმე დღის განმავლობაში მუდმივად იმყოფებოდნენ მტვრიან გარემოში. სარემონტო სამუშაოების შედეგად დაზიანდა პალატები. მშობლების ინფორმაციით, სამუშაოები ღამის საათებშიც მიმდინარეობდა, რაც არასრულწლოვან პაციენტებს ძილის საშუალებას არ აძლევდა და მათ ნერვულ სისტემაზე უარყოფითად მოქმედებდა. მიუხედავად მშობლების არაერთჯერადი მოთხოვნისა, საავადმყოფოს ადმინისტრაციის მხრიდან კონკრეტული პრევენციული ქმედება არ განხორციელებულა. გარდა ზემოაღნიშნულისა, გამოიკვეთა ინფრასტრუქტურული პრობლემები, განსაკუთრებით კი სველ წერტილებსა და პალატებში. ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის არ არსებობს ინდივიდუალური პალატები. განყოფილებაში არ არის სავენტილაციო სისტემა.

საქმის შესწავლის პროცესში, სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრმა აღნიშნულ შემთხვევაზე რეაგირების განხორციელებისა და კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარების მოთხოვნით, მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს.

საქმისწარმოების შედეგად, რეანიმაციის განყოფილებაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოები გაგრძელდა უსაფრთხოების ნორმების დაცვით. გარდა ამისა, სამზარეულოსა და სველ წერტილებში განხორციელდა სარემონტო სამუშაოები.

სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრის მიმართვის საფუძველზე, რეაგირება მოხდა სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ, რომლის წარმომადგენლებმაც განახორციელეს ადგილზე ვიზიტი. „სამედიცინო საქმიანობის, ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა

და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის N385 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესასრულებლად, მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოს განსაზღვრული აქვს გონივრული ვადა, 2015 წლის 1 მაისამდე, რომლის გასვლის შემდგომაც, სააგენტოს მიერ კვლავ გადამოწმდება საავადმყოფოში არსებული მდგომარეობა.

საქმისწარმოების შედეგად დადგინდა, რომ მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს ადმინისტრაციის მხრიდან არ იქნა გათვალისწინებული ლეიკემიით დაავადებულ არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესები, რის გამოც საფრთხის ქვეშ დადგა მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა. ამ ეტაპზე განყოფილებაში მყოფი ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობას ამ კუთხით საფრთხე აღარ ემუქრება. მიუხედავად ამისა, საავადმყოფოში ამ დრომდე რჩება მთელი რიგი პრობლემები, რაც მიუთითებს სახელმწიფოს მხრიდან არასრულწლოვანთა ჯანდაცვის სფეროში ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულებაზე.

ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ 2015 წლის 26 იანვარს ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრში ვიზიტის შედეგად გამოვლინდა, რომ აღნიშნული ცენტრის არასრულწლოვანთა განყოფილებაში არსებული მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა.

შენობას, სადაც იმყოფებიან არასრულწლოვანი პაციენტები, აქვს ბზარები. სამედიცინო პერსონალის განმარტებით, წვიმის დროს სახურავიდან ჩამოდის წყალი. ცენტრის დირექტორის ინფორმაციით, არსებული შენობა რეკონსტრუქციას აღარ ექვემდებარება. პრობლემას წარმოადგენს აგრეთვე შენობის გათბობის, ცხელი წყლით მომარაგებისა და სანიტარული ნორმების დაცვის საკითხიც. შენობაში მხოლოდ ორი სველი წერტილია და არცერთი მათგანი არ თბება. შხაპის მიღება მხოლოდ ერთ მათგანშია შესაძლებელი, თუმცა ცხელი წყალი არც აღნიშნულ წერტილშია მუდმივად ხელმისაწვდომი. საპირფარეშოებსა და სააბაზანოებში ანტისანიტარიაა. შენობა არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ არასრულწლოვანთა განყოფილებაში ერთად არიან მოთავსებული დაავადების კონტაგიოზური (გადამდები) და არაკონტაგიოზური ფორმით დიაგნოსტირებული პაციენტები. განყოფილებაში არსებული მძიმე ფიზიკური პირობების გამო, მშობლები ადრეულ ეტაპზე წყვეტენ ბავშვების მკურნალობის პროცესს და გაჰყავთ ისინი ცენტრიდან, რაც დაავადების გავრცელების სერიოზულ საფრთხეს ქმნის უკვე კლინიკის ფარგლებს გარეთ, განსაკუთრებით

საგანმანათლებლო დაწესებულებებში. განყოფილებაში არ არის რეანიმაციის ბლოკი და ინტენსიური პალატა შესაბამისი ინვენტარით.

სახალხო დამცველის რწმუნებულებმა დაათვალიერეს კვების ბლოკი და გაეცნენ არსებულ მენიუს. მართალია, საკვები არასრულწლოვანი პაციენტებისთვის ცალკე მზადდება, მაგრამ, კვების ბლოკის სიშორის გამო, პრობლემას წარმოადგენს მომზადებული საკვების არასრულწლოვანთა განყოფილებამდე ტრანსპორტირება.

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სტრატეგია განსაზღვრავს საკუთარი მოქალაქეების ტუბერკულოზისგან დაცვის პოლიტიკურ ვალდებულებას. 2013–2015 წლების ტუბერკულიოზის ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის თანახმად, „პაციენტების შედეგიანი მკურნალობის უზრუნველსაყოფად, მხოლოდ მკურნალობაში ჩართვის შესაძლებლობა საკმარისი არ არის. მნიშვნელოვანია მათ გაიარონ მკურნალობის სრული კურსი, რაც განკურნებისთვის აუცილებელი პირობაა“[976].

საქმისწარმოების პროცესში, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრმა, წერილით მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს. საპასუხო წერილით გვეცნობა, რომ სს „ტუბერკულიოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის“ პედიატრიული დეპარტამენტის ინფრასტრუქტურის საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 13 მაისის 01–115/ო ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. ასევე, სამინისტროში მიმდინარეობს მუშაობა სხვადასხვა ორგანიზაციებთან და უწყებებთან პრობლემის მოსაგვარებლად, კერძოდ, განიხილება აღნიშნული პედიატრიული დეპარტამენტის სს „ტუბერკულიოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის“ ბაზაზე არსებულ ალტერნატიულ ფართში განთავსების ან ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე თანამედროვე ტიპის კორპუსის მშენებლობის საკითხი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ დრომდე, პრობლემების მოგვარების მიზნით, კონკრეტული ნაბიჯები არ გადადგმულა. შესაბამისად, სს „ტუბერკულიოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის“ პედიატრიულ დეპარტამენტში არსებული მძიმე ინფრასტრუქტურული მდგომარეობა კვლავ უცვლელი რჩება.

ტუბერკულიოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის არასრულწლოვანთა განყოფილებაში არსებული გარემო არა მარტო ვერ უზრუნველყოფს ხარისხიან სამედიცინო მომსახურებას და მკურნალობის სრული კურსის განხორციელებას არასრულწლოვანი პაციენტებისთვის, არამედ საფრთხის ქვეშ აყენებს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობას, რაც მიუთითებს სახელმწიფოს მხრიდან ჯანდაცვის სფეროში არსებული ვალდებულებების

[976] ტუბერკულიოზის ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2013–2015; სტრატეგიული მიმართულება 2: ტუბერკულოზის მკურნალობისა და მოვლის მაღალი ხარისხი და საყოველთაო მოცვა.

არაჯეროვან შესრულებასა და ბავშვის უფლებების კონვენციის 24-ე მუხლით გარანტირებული არასრულწლოვანის ჯანმრთელობის უფლების უგულებელყოფაზე.

ბავშვთა სიღარიბისა და ცხოვრების არასათანადო დონისაგან დაცვის უფლება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგებმა გვიჩვენა, რომ 2014 წელს არასრულწლოვანთა სიღარიბისა და ცხოვრების არასათანადო დონისაგან დაცვის უფლების იმპლემენტაცია კვლავ წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემურ მიმართულებას ბავშვთა სოციალური უფლებების განხორციელების სფეროში.

საქართველოს კონსტიტუციის 36–ე მუხლის მე–2 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას. აღნიშნული მუხლების ნორმატიული შინაარსიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ლეგიტიმურ კონსტიტუციურ მიზანსა და პოზიტიურ ვალდებულებას წარმოადგენს, ბავშვთა კეთილდღეობისა და ამ მიზნით მოქმედი ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების განმახორციელებელი იმანენტური დებულებების ეფექტური იმპლემენტაცია, მათ შორის სოციალური უზრუნველყოფის სფეროში.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თანახმად[977], სოციალური სახელმწიფოს მიზანია, მოსახლეობის შეძლებისდაგვარად თანაბარზომიერი უზრუნველყოფა, ქვეყნის მასშტაბით ცხოვრების მაქსიმალური პირობების შექმნა. აღნიშნული განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს უკიდურესად ღარიბ შინამეურნეობებში მცხოვრებ ბავშვთა მიმართ და მომეტებულ პასუხისმგებლობას აკისრებს სახელმწიფოს ეფექტური ინტერვენციების განსახორციელებლად.

ბავშვთა სიღარიბისა და ცხოვრების არასათანადო დონისაგან დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტები განმტკიცებულია გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციის 27–ე მუხლით, რომლის პირველი და მე–3 პუნქტების შინაარსიდან გამომდინარე, სახელმწიფომ პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებების ფარგლებშიც უნდა უზრუნველყოს ყოველი ბავშვის უფლების ხელმისაწვდომობა ცხოვრების ისეთ დონეზე, რომელიც აუცილებელია არასრულწლოვანის ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი და სოციალური განვითარებისათვის; აღნიშნული მიზნის იმპლემენტაციისათვის სახელმწიფოები, ეროვნული პირობების შესაბამისად და თავიანთი შესაძლებლობების

[977] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის N2/1–392 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

ფარგლებში, უნდა ატარებდნენ ყველა საჭირო ზომას ხელისუფლების განმახორციელებელი სამივე შტოს დონეზე.

2014 წლის განმავლობაში, სახალხო დამცველის აპარატში განხორციელებული საქმისწარმოების შედეგების მიხედვით, იკვეთება ისეთი ძირითადი პრობლემური მიმართულებები, როგორებიცაა სოციალური დაცვის მოქმედ სახელმწიფო ქვეპროგრამებში უკიდურეს და ფარდობით სიღარიბეში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახების სპეციფიკური საჭიროებების არასათანადოდ ასახვა, უკიდურესად ღარიბ შინამეურნეობებში მცხოვრებ არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ეფექტური ინტერვენციების განხორციელების ხარვეზები, არასრულწლოვანთათვის სოციალური მომსახურების სახელმწიფო სერვისების დროული მიწოდება და ბავშვზე ზრუნვის განმახორციელებელი პერსონალის მიერ ცხოვრების არასათანადო პირობებში მცხოვრებ არასრულწლოვანთა საჭიროებების გონივრულ ვადაში იდენტიფიკაცია.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოქმედი მიზნობრივი სოციალური დახმარებების ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ ქვეყანაში სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ ბავშვთა რიცხობრივი მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია: 2014 წლის განმავლობაში მიზნობრივი სოციალური სახელმწიფო დახმარების მიმღები გახდა 0-დან 6 წლამდე ასაკის 51 435 ბავშვი, ხოლო 6–დან 18 წლამდე ასაკის – 105 540 არასრულწლოვანი[978]. მათგან საარსებო შემწეობის მიმღებს წარმოადგენდა 0–დან 6 წლამდე ასაკის 35 826, 6–დან 18 წლამდე ასაკის – 72 009 ბავშვი[979].

ბავშვთა სოციალური უფლებების გაუმჯობესების მიზნით, 2014 წელს დამტკიცებული „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა“[980] მოიცავს ისეთ ძირითად ქვეპროგრამებს[981], როგორებიცაა „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი სახელმწიფო დახმარების ქვეპროგრამა“, „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა“, „დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა“, „ბავშვთა რეაბილიტაციის/აბილიტაციის ქვეპროგრამა“, „ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამა“, „მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების კვების უზრუნველყოფის ქვეპროგრამა“. აღნიშნული ქვეპროგრამების ანალიზისას იკვეთება, რომ ამ ქვეპროგრამებით გათვალისწინებული ფინანსური და მატერიალური რესურსები და შესაბამის მომსახურებებში ჩართულ არასრულწლოვან ბენეფიციართა რაოდენობა, საარსებო შემწეობის მიმღებ ბავშვთა რაოდენობასთან და სპეციფიკურ საჭიროებებთან შედარებით, მცირეა. მათ შორის, ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამაში ჩართულ იქნა 382

[978] http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=769
[979] http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=769
[980] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N291 დადგენილება ,,სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ''.
[981] იქვე, პირველი მუხ., დანართი N1, მე–2 მუხ., „ა“, „ბ“, „გ“, „თ“, „ლ“, „ნ“ ქვეპუნქტები.

ბენეფიციარი, მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამაში – 103 ბენეფიციარი, კვების ვაუჩერით უზრუნველყოფის ქვეპროგრამაში – 988 ბენეფიციარი, ბავშვთა რეაბილიტაციის/აბილიტაციის ქვეპროგრამაში – 563 ბენეფიციარი.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ასევე გამოვლინდა, რომ არასრულწლოვანთა სიღარიბისა და ცხოვრების არასათანადო დონისაგან დაცვის უფლების იმპლემენტაციის მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს ბავშვიანი ოჯახების ინფორმირებულობის დაბალი დონე მიზნობრივი სოციალური დახმარების სისტემით გათვალისწინებული ქვეპროგრამების ფარგლებში მოქმედი სერვისების შესახებ. აღნიშნული მდგომარეობა ფიქსირდება როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე მოქმედი მუნიციპალური სოციალური პროგრამების მიმართ. ინფორმაციული ხელმისაწვდომობის ერთერთი დამაბრკოლებელი გარემოებაა სახელმწიფო და მუნიციპალური სოციალური სამსახურების არაეფექტური კომუნიკაცია მოსახლეობის ყველაზე დაუცველ ფენებთან.

მოქალაქე ლ. გ.–ს საქმე – 2014 წლის განმავლობაში ბავშვთა სიღარიბისა და ექსპლუატაციის ერთ–ერთ პრობლემურ შემთხვევას წარმოადგენდა თბილისში მცხოვრები მოქალაქე *ლ.გ.–ს* საქმე[982].

საქმისწარმოების პროცესში დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, მოქალაქე ლ.გ.–ს ჰყავდა 9 არასრულწლოვანი შვილი, რომლებიც უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახი საარსებო შემწეობის მიმღებ ბენეფიციარად იყო რეგისტრირებული, ბავშვებს არ ჰქონდათ სათანადო საცხოვრისი, სასწავლო და სააღმზრდელო ინვენტარი, საჭირო საკვები და განვითარებისათვის საჭირო სხვა აუცილებელი მატერიალური რესურსი. უკიდურესი სიღარიბის პირობების გაუმჯობესების მიზნით, ბავშვები ძირითად დროს შრომას უთმობდნენ და საგანმანათლებლო პროცესში არცერთი მათგანი არ იყო ჩართული. ამასთან, დაფიქსირდა არასრულწლოვნების კანონიერი წარმომადგენლების (მშობლების) მხრიდან ბავშვებით მანიპულირების შემთხვევები.

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების იდენტიფიკაციის შემდეგ, სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა[983] სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს და მოითხოვა ბავშვების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებები განხორციელება. საპასუხო კორესპონდენციების თანახმად, საქმეში ჩაერთო სოციალური მუშაკი და მოხდა ბავშვების საცხოვრებელი პირობების შეფასება, თუმცა პასუხისმგებელი უწყების მიერ არსებითი ღონისძიებები, რომლებიც ბავშვთა სიღარიბისა და ცხოვრების არასათანადო დონის გაუმჯობესებას უზრუნველყოფად არ განხორციელდა.

---

[982] საქმე N17690/1, 07/11/2014.

[983] კორესპონდენცია N10–1/13661, 21/11/2014; N10–1/1178; 13/02/2015.

რეკომენდაციები:

საქართველოს მთავრობას:

- უკიდურეს და ფარდობით სიღარიბეში მცხოვრებ ბავშვთა სპეციფიკური საჭიროებების იდენტიფიკაციისა და განხორციელების მიზნით მოქმედ სახელმწიფო სოციალურ ქვეპროგრამებში პროპორციულად აისახოს ბავშვთა სოციალურ–ეკონომიკური საჭიროებები;
- შემუშავდეს საგანგებო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში უკიდურესად ღარიბ შინამეურნეობებსა და ფარდობით სიღარიბეში მცხოვრებ არასრულწლოვანთა ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად, ინფორმაციული ხელმისაწვდომობის გაზრდის ჩათვლით;
- განხორციელდეს ინტერვენციები დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის პროგრამაში 5 წლამდე არასრულწლოვანთა სიკვდილიანობის აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანი და ეფექტური ზომების იმპლემენტაციის გაგრძელების მიზნით. განსაკუთრებით, არასრულწლოვანთა სიკვდილიანობის გამომწვევ ყველაზე გავრცელებულ მიზეზებთან ბრძოლის კუთხით.

რეკომენდაციები საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- შემუშავდეს სათანადო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა მაღალმთიან რეგიონებში არასრულწლოვანთა ჯანდაცვის უფლების ხელმისაწვდომობის გაზრდის უზრუნველსაყოფად;
- შემუშავდეს მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამები მცირეწლოვან ბავშვებში დეფიციტური კვებით გამოწვეულ დაავადებათა პრევენციისათვის და განისაზღვროს მაღალმთიან რეგიონებში მათი იმპლემენტაციის ეფექტური მექანიზმები;
- გადაიდგას ადეკვატური ნაბიჯები მინდობით აღზრდის/რეინტეგრაციის ქვეპროგრამების ფარგლებში სოციალური მუშაკების საქმიანობის ხარიხის გასაუმჯობესებლად;
- საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით მიღებულ იქნეს ეფექტური ზომები 5 წლამდე არასრულწლოვანთა სიკვდილიანობის გამომწვევი ყველა შესაძლო მიზეზის შესასწავლად და აღმოსაფხვრელად. გატარდეს მნიშვნელოვანი ზომები სამედიცინო პერსონალის გადამზადების ჩათვლით, რათა მინიმუმამდე იყოს დაყვანილი მათ მიერ მოვალეობების არასათანადო შესრულების ფაქტები, როგორც არასრულწლოვანთა სიკვდილიანობის გამომწვევი ერთ–ერთი ძირითადი საფუძველი;
- გადაიდგას მნიშვნელოვანი ნაბიჯები სოციალური მუშაკების საქმიანობის ეფექტურობისა და პროაქტიურობის გასაზრდელად, პრობლემური ოჯახების იდენტიფიცირების, არასრულწლოვანი ბავშვის მშობლებისათვის აუცილებელი უნარ–ჩვევების ჩამოყალიბებისა და განვითარების სფეროში. სასწრაფოდ გატარდეს კონკრეტული ზომები სს „ტუბერკულიოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის“ პედიატრიულ დეპარტამენტში არსებული ინფრასტრუქტურული პრობლემების აღმოსაფხვრელად და მიღებულ იქნეს საბოლოო გადაწყვეტილება დეპარტამენტის ალტერნატიულ ფართში

განთავსების ან ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე თანამედროვე ტიპის კორპუსის მშენებლობის შესახებ.

რეკომენდაცია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს *მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში არსებული დღის ცენტრების, კრიზისული ინტერვენციის თავშესაფრებისა და ტრანზიტული ცენტრების ბენეფიციართათვის:*

- უზრუნველყოფილ იქნეს ბენეფიციარების დამატებითი სისტემური და კვალიფიციური მეცადინეობა საჭირო საგნებში და მათი მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა;
- შემუშავდეს დოკუმენტაციის არმქონე პირების საკითხთან დაკავშირებით ერთიანი სტრატეგია და არსებული პრობლემების გადაწყვეტის გზები;
- გადაისინჯოს კრიზისული ინტერვენციის თავშესაფრებიდან ტრანზიტულ ცენტრებში ბენეფიციართა გადაყვანის მიზანშეწონილობის საკითხი;
- უზრუნველყოფილ იქნეს ბენეფიციართათვის ადეკვატური სამედიცინო მომსახურების დროული მიწოდება;
- ხელი შეეწყოს ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას. გაიზარდოს ფიზიკური და სპორტული აქტივობებისა როლი ბენეფიციართა ყოველდღიურ ცხოვრებაში;
- უზრუნველყოფილ იქნეს აღმზრდელთა და ბენეფიციართა ინფორმირებულობა გადამდები დაავადებებისა და პრევენციული ღონისძიებების შესახებ;
- განხორციელდეს ბავშვის რთული ქცევის მულტიდისციპლინური მართვა ფსიქოლოგისა და საჭიროების შემთხვევაში, ფსიქიატრის აქტიური მონაწილეობით
- უზრუნველყოფილ იქნეს დამოუკიდებელი ცხოვრების მხარდამჭერი ეფექტური პროგრამის შემუშავება.
- სტანდარტებთან შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი „ბავშვი და გარემოს“ ტრანზიტულ ცენტრის ეზოში არსებული ფიზიკური გარემო.

რეკომენდაციები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები ბავშვებისთვის შემუშავდეს მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამები, რომლითაც შესაძლებელი გახდება განათლების ხელმისაწვდომობის, ეფექტურობისა და ინკლუზიურობის სისტემური უზრუნველყოფა;
- პედაგოგთა პროფესიული ზრდისა და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველსაყოფად განხორციელდეს ფართომასშტაბიანი და სისტემური ქვეპროგრამები, გაიზარდოს ამ მიზნით დაფინანსებული მოქმედი პროგრამების დაფარვის გეოგრაფიული არეალი;
- გაუმჯობესდეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურული მდგომარეობა, სანიტარულ-ჰიგიენური პირობები და განახლდეს სასწავლო ინვენტარი;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, აქტიურად განხორციელდეს ინკლუზიური განათლების პროგრამა და მოხდეს სკოლათა ინფრასტრუქტურულ-საგანმანათლებლო გარემოს ადაპტირება

რეკომენდაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- განხორციელდეს პასუხისმგებელი უწყებების სისტემური ინფორმირება რეფერირების მექანიზმის გამოყენების შესახებ. ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისათვის აქტიურად დაინერგოს ფსიქო–სოციალური რეაბილიტაციის ღონისძიებები და ბენეფიციართათვის შესაბამისი სახელმწიფო სერვისების მიწოდება, მოხდეს პასუხისმგებელ უწყებებს შორის ინფორმაციის მუდმივი გაცვლა და განხორციელდეს კოორდინირებული აქტივობები არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობრივი ქმედებების სფეროში, მათ შორის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების აღსაზრდელებისთვის.

რეკომენდაცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- გადაუდებლად გატარდეს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული ძალადობის, არასრულწლოვანთა პროსტიტუციისა და მათხოვრობაზე დაყოლიების სავარაუდო ფაქტებზე. უზრუნველყოფილ იქნეს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების შესახებ საპატრულო პოლიციის ყველა თანამშრომლის ინფორმირება და მათი თანამშრომლობა სოციალური მომსახურების სააგენტოსთან.
- რეკომენდაცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავარ პროკურატურას:
- ბავშვთა მიმართ ძალადობის, მათ შორის სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შემთხვევებზე განხორციელდეს დროული და ეფექტური საგამოძიებო მოქმედებები, გონივრულ ვადაში მოხდეს ბრალდებული პირების იდენტიფიცირება და შემდგომი ძალადობრივი ქმედების აღმოფხვრისათვის საჭირო პრევენციული ღონისძიებები

რეკომენდაციები ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებს:

- მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე სკოლამდელი აღზრდის ხელმისაწვდომობის გასაზრდელად ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტებიდან გამოიყოს შესაბამისი ფინანსური რესურსი
- განხორციელდეს დროული და ეფექტური ღონისძიებები მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე მოქმედი სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების უსაფრთხო და სათანადო ფიზიკურ-ინფრასტრუქტურული და სანიტარულ-ჰიგიენური გარემოს უზრუნველყოფის მიზნით.
- მიღებულ იქნეს ზომები ყველა სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების პერსონალის ინფორმირებულობის გასაზრდელად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და რთული ქცევის ბავშვთა მიმართ დისკრიმინაციის შემთხვევების გამოვლინებისა და აღმოფხვრა/პრევენციის სფეროში.
- განხორციელდეს სათანადო ღონისძიებები სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში კვების ორგანიზაციული წესების სრულად დაცვის მიმართულებით.

- ხარისხიანი და ეფექტიანი სკოლამდელი განათლების იმპლემენტაციისათვის განხორციელდეს ადრეული და სკოლამდელი განათლების პედაგოგთა სისტემური გადამზადება.

გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებები

საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით ერთ-ერთ სერიოზულ გამოწვევად რჩება გენდერული თანასწორობის მიღწევა. საზოგადოება კვლავ ცხოვრობს სტერეოტიპულ გარემოში, სადაც, უმრავლეს შემთხვევაში, ქალის მიმართ ოჯახში ძალადობა გამართლებული ქმედებაა; მაღალია ადრეულ ასაკში ქორწინების რიცხვი, ქალები წარმოადგენენ უმცირესობას გადაწყვეტილების მიღების დონეზე და ხშირია გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით უფლებადარღვევის შემთხვევები.

ქალთა უფლებები ყველაზე მეტად ირღვევა იქ, სადაც ადამიანი ყველაზე დაცულად უნდა გრძნობდეს თავს - ოჯახში. საანგარიშო პერიოდში შემაშფოთებელი იყო ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მასშტაბები და სიმძაფრე. უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში ოჯახში ძალადობის შედეგად 17 ქალი იქნა მოკლული[984].

მისასალმებელია საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის მიერ გადადგმული არაერთი ნაბიჯი ქალთა უფლებრივი მდგომარეობის მოწესრიგებისა და გენდერული თანასწორობის მიღწევის გზაზე. გათვალისწინებულ იქნა საქართველოს სახალხო დამცველის რიგი რეკომენდაციები. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წლის საპარლამენტო ანგარიშში წარმოდგენილი რეკომენდაციების დიდი ნაწილის გათვალისწინება არ მომხდარა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სახალხო დამცველმა არაერთხელ მოუწოდა შესაბამის უწყებებს განსაკუთრებული ყურადღების საგნად ექციათ ადრეულ ასაკში ქორწინების წინააღმდეგ ბრძოლა, ამ მიმართულებით არსებული პრაქტიკის გაუმჯობესებისათვის ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა. მართალია, საქართველოს პარლამენტმა იძულებითი ქორწინების კრიმინალიზაცია მოახდინა, თუმცა არსებული რეგულაციების პრაქტიკული განხორციელება კვლავ მთავარ გამოწვევად რჩება.

მისასალმებელია, რომ 2014 წელს განისაზღვრა მარტოხელა მშობლის სტატუსი, დაიხვეწა ოჯახში ძალადობის სფეროში არსებული კანონმდებლობა, ხელი მოეწერა ევროსაბჭოს კონვენციას ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლასა და პრევენციაზე. შემუშავდა ძალადობის პრევენციის ეროვნული სტრატეგია, რომელმაც ძალადობის განხორციელების სხვადასხვა სფეროები დაფარა, თუმცა საკითხის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, უმჯობესი იქნებოდა ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციის სტრატეგიის როგორც ცალკეული დოკუმენტის შემუშავება.

---

[984] საქართველოს მთავარი პროკურატურა; წერილი #13/16016; 17/03/2015.

მისასალმებელია პრეზიდენტის ინიციატივა 2015 წლის ქალთა წლად გამოცხადების თაობაზე, რამეთუ ეს ინიციატივა კიდევ უფრო გააძლიერებს საზოგადოების ინტერესს და წინ წამოწევს საკითხის მნიშვნელობას. ამასთან, მნიშვნელოვანია სიმბოლურ დატვირთვასთან ერთად 2015 წელი იყოს ქალთა უფლებრივი მდგომარეობის რეალური გაუმჯობესების წელი.

უნდა აღინიშნოს, რომ ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ხელშესაწყობად; არ გათვალისწინებულა საქართველოს სახალხო დამცველის არცერთი რეკომენდაცია ლგბტ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. კვლავ გამოწვევას წარმოადგენს ქალთა ეკონომიკური გაძლიერება, განსაკუთრებით კი სოფლად მცხოვრები, დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების ეკონომიკური აქტივობა და მონაწილეობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესებში.

2014 წელს საქართველომ ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტს მე–4 და მე–5 გაერთიანებული ანგარიში წარუდგინა, რომელიც კომიტეტმა 58–ე სესიის ფარგლებში განიხილა. საქართველოს სახალხო დამცველმა პირველად ისარგებლა ადამიანის უფლებადაცვითი ეროვნული ინსტიტუტებისათვის მინიჭებული უფლებამოსილებით და კომიტეტის წინაშე ალტერნატიული ანგარიშით წარსდგა. ჩრდილოვანი ანგარიში წარადგინეს არასამთავრობო ორგანიზაციებმაც. კომიტეტმა დასკვნით რეკომენდაციებში[985] განსაკუთრებული შეშფოთება გამოთქვა ქალთა პოლიტიკური გაძლიერების ხელშეწყობისათვის სპეციალური დროებითი მექანიზმების არარსებობის, პარტნიორების მხრიდან ქალთა მკვლელობების განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლისა და არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად, სახელმწიფოს მხრიდან ქმედითი ნაბიჯების სიმცირის გამო.

გენდერული მეინსტრიმინგი საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში

გენდერული თანასწორობის საკითხების ინტეგრირებას ყველა ტიპის საქმიანობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი პირველი სახელმწიფო ინსტიტუტია, რომელმაც გენდერული თანასწორობის საკითხებზე სტრუქტურული ერთეული – გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის შექმნა და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს გენდერული თანასწორობის საკითხების ინტეგრირებას უფლებადაცვით საქმიანობაში.

---

[985] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ–გვერდზე: http://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CEDAW%2fC%2fGEO%2fCO%2f4-5&Lang=en > [ბოლოს ნანახია 2015 წლის 15 მარტს].

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახალხო დამცველის პრაქტიკა ყურადღებას იქცევს საერთაშორისო დონეზე და სამაგალითოა სხვა ინსტიტუტებისთვის. 2014 წელს შეიარაღებული ძალების დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრის (DCAF) მიერ გამოცემულ პუბლიკაციაში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის შექმნისა და განვითარებისათვის ადამიანის უფლებადაცვით ინსტიტუტებს შორის საუკეთესო პრაქტიკის მაგალითად იქნა განხილული[986].

ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტმა საქართველოს მე–4 და მე–5 გაერთიანებული ანგარიშის განხილვის შემდეგ წარდგენილ რეკომენდაციებში ხაზი გაუსვა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის მნიშვნელობას და მოუწოდა სახელმწიფოს **გამოუყოს საკმარისი რესურსები საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს, რათა უზრუნველყოფილ იქნას გენდერული თანასწორობის კანონმდებლობის ეფექტური განხორციელება[987].**

გენდერული თანასწორობის სფეროში საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობა მოიცავს როგორც შიდა ინსტიტუციურ განვითარებას, ასევე ქვეყანაში გენდერული თანასწორობის მიღწევის პროცესში წვლილის შეტანას. დასახული მიზნის მისაღწევად კი საქართველოს სახალხო დამცველმა შეიმუშავა გენდერული თანასწორობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2014-2016 წლებისათვის.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი მოწინავე ინსტიტუტია ქალთა თანამდებობრივი დაწინაურების მაჩვენებლით. საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილეებს შორის გენდერული ბალანსი 50%–ია; ხელმძღვანელ პოზიციებზე ქალები 55,6%–ით არიან წარმოდგენილი; ხოლო სპეციალისტების დონეზე – 62 %–ით. მთლიანად დასაქმებულთა გენდერული ბალანსი კი ასე გამოიყურება: 60,4 % ქალი, ხოლო 39,6% კაცი.

საქართველოს სახალხო დამცველი დიდ ყურადღებას უთმობს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას გენდერული თანასწორობის სფეროში, რისი დასტურიცაა წარმატებით განხორციელებული ტრენინგი – „გენდერი, სტერეოტიპები და თანასწორობა“, რომელშიც აპარატის 86 თანამშრომელი იღებდა მონაწილეობას; მათ შორის, ტექნიკურ–ადმინისტრაციული პერსონალი.

2014 წლის 25 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა დაამტკიცა პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი სექსუალური შევიწროების პრევენციისათვის. აღნიშნული ინიციატივით საქართველოს სახალხო დამცველმა გადაწყვიტა ხელი შეუწყოს დასაქმების

---

[986] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ–გვერდზე: < http://www.dcaf.ch/Publications/Integrating-Gender-into-Oversight-of-the-Security-Sector-by-Ombuds-Institutions-National-Human-Rights-Institutions > [ბოლოს ნანახია 2015 წლის 15 მარტს].

[987] დასკვნითი დებულებები საქართველოს მეოთხე და მეხუთე კომბინირებული პერიოდული ანგარიშების შესახებ; ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტი.

ადგილზე სექსუალური შევიწროების პრევენციის მნიშვნელობაზე ხაზგასმას, თანამშრომლებს შეუქმნას შევიწროებისაგან თავისუფალი გარემო და მისი გამოცდილება დაინტერესებული ორგანიზაციებისათვის ხელმისაწვდომი გახადოს.

საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობაში გენდერული თანასწორობის საკითხების ინტეგრირებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი აპარატის ზოგადი საქმიანობის წარმართვისას თანასწორობის პრინციპების დამკვიდრებას.

მნიშვნელოვანია, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა, ისე კერძო ორგანიზაციებმა გაიზიარონ საქართველოს სახალხო დამცველის წარმატებული პრაქტიკა და ქვეყანაში გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, მათ საქმიანობასა და პოლიტიკის განხორციელების დოკუმენტებსა თუ სტრატეგიებში დანერგონ თანასწორობის პრინციპები.

გენდერული მეინსტრიმინგისაკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია პრემიერ-მინისტრის თანაშემწეს დანიშვნა ადამიანის უფლებათა დაცვისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში. განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობა. ამასთან, ქვეყნის გენდერული პოლიტიკის ეფექტური განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია ამ უწყებების ადმინისტრაციული და ფინანსური რესურსით გაძლიერება, ასევე უწყებათაშორისი კოორდინაციის ამაღლება. არანაკლებ მნიშვნელოვანია სამინისტროების დონეზე გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების ჩამოყალიბების ხელშეწყობა და განვითარება.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ რეგიონში გამგეობის დონეზე გამოყოფილია გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი, თუმცა სტრუქტურული ერთეულის შექმნა ამ საკითხების ინსტიტუციონალიზაციას, ინსტიტუციური მეხსიერების ჩამოყალიბებასა და გენდერული პოლიტიკის მიმართულების შექმნას შეუწყობდა ხელს.

მედიასაშუალებების როლი ქალთა უფლებების დაცვისა და გენდერული თანასწორობის მიღწევის სფეროში

გენდერული უთანასწორობისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის პროცესში მედიასაშუალებებს უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავიათ. საქართველომ „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კონვენციის ხელმოწერით ნათლად გამოხატა, თუ რა მიმართულებას ირჩევს ქვეყანა და ამასთან, კონვენციის პრინციპების დანერგვის ვალდებულება აიღო. კონვენცია თავის საწყისს იღებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებიდან - განამტკიცონ რწმენა ადამიანის ძირითადი უფლებებისადმი, ადამიანის, პიროვნების ღირსებისა და ფასეულობისადმი, ქალთა და მამაკაცთა

თანასწორუფლებიანობის მიმართ. ამ მიმართულებით უკვე მრავალი ნაბიჯი გადაიდგა, თუმცა, ცნობიერების ამაღლება და მოსახლეობის ინფორმირება მუდმივი პროცესია, რომელიც, სწორედ მედიასაშუალებების აქტიური ჩართულობით იქნება სრულყოფილი.

უკანასკნელ პერიოდში, მედიასაშუალებები ინტენსიურად აშუქებდნენ ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებთან დაკავშირებულ ფაქტებს. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ ამდენი შემთხვევა გამოაშკარავდა და საზოგადოების ინტერესი საგრძნობლად გაიზარდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ოჯახში ძალადობა ძალიან მგრძნობიარე თემაა და მისი სწორად გაშუქება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ადამიანებისთვის, ვინც ამ პრობლემის წინაშე ახლაც დგას. მათ უნდა დაინახონ გამოსავალი და მიეცეთ იმედი, რომ ყველაფრის გამოსწორებაა შესაძლებელი. ასევე, მნიშვნელოვანია მსხვერპლთა კონფიდენციალობის საკითხი, რადგან უნდა გვახსოვდეს იმ საფრთხეებისა და სტერეოტიპების შესახებ, რომლის წინაშეც პიროვნება იდგა.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია სექსისტური გამონათქვამებისა და რეკლამების ტირაჟირება. მაგალითისათვის, 2014 წლის 9 დეკემბერს, საქართველოს სახალხო დამცველმა მიმართა სს საქართველოს ბანკს მათი სარეკლამო რგოლის სექსისტურ ხასიათთან დაკავშირებით და მოუწოდა, მომავალში თავი შეიკავონ სექსისტური შინაარსის შემცველი სარეკლამო რგოლების დამზადება–გავრცელებისგან და სარეკლამო რგოლების მომზადების დროს მაქსიმალურად შეუწყონ ხელი ქალის ღირსებისადმი პატივისცემას და მის წარმოჩენას მამაკაცის თანასწორად[988].

მედიასივრცეში არსებული რეკლამებიდან ყველაზე უფრო გავრცელებულია სტერეოტიპი ქალის გენდერულ როლთან დაკავშირებით. რეკლამები, სადაც ქალები განასახიერებენ დიასახლისებს, რომლებიც სახლის საქმეებით არიან დაკავებული; რეკლამას უკეთებენ საკვებს, საყოფაცხოვრებო ნივთებს. ხშირია შემთხვევა, როცა რეკლამა ამტკიცებს შეხედულებას, თითქოს ქალისათვის ყველაზე ძვირფასი და მნიშვნელოვანი აქტივი სილამაზეა, მაშინ როდესაც რეკლამებში კაცის ძირითადი მახასიათებელი ავტორიტარიზმი და განათლებაა.

„ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კონვენციის მე-5 მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა შესაბამის ზომას იმ პრაქტიკის აღმოფხვრის მიზნით, რომელიც ემყარება ერთ-ერთი სქესის არასრულფასოვნების ან უპირატესობის იდეას, ან მამაკაცის და ქალის როლის სტერეოტიპულ გააზრებას[989].

---

[988] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ–გვერდზე: < http://www.ombudsman.ge/ge/recommendations-Proposal/winadadebebi/saxalxo-damcvelma-ss-saqartvelos-banks-diskriminaciis-tavidan-acilebisa-da-mis-winaagmdeg-brdzolis-sakitxze-zogadi-winadadebit-mimarta.page > [ბოლოს ნანახია 2015 წლის 15 მარტს].

[989] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ–გვერდზე:
< http://www.ohchr.org/Documents/ProfessionalInterest/cedaw.pdf > [ბოლოს ნანახია 2015 წლის 15 მარტს].

ნეგატიური სტერეოტიპების დასამსხვრევად და გენდერული თანასწორობის გაზრდის მიზნით, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2010 წლის 1751 რეზოლუცია[990] მოუწოდებს სახელმწიფოებს კანონმდებლობაში შეიტანონ დისპოზიციები, რომელიც მიზნად ისახავს გენდერული სტერეოტიპების წინააღმდეგ ბრძოლას. ამავე რეზოლუციის თანახმად, მედიაში გამოყენებული სექსისტური სტერეოტიპების გავლენა საზოგადოებრივ და განსაკუთრებით, ახალგაზრდების აზრის ფორმირებაზე, სავალალოა. ეს სტერეოტიპები უკვდავყოფენ ქალისა და კაცის მარტივ, უცვლელ, კარიკატურულ იმიჯს; ისინი ამართლებენ ყოველდღიურ სექსიზმს და დისკრიმინაციულ პრაქტიკას და შეუძლიათ გააადვილონ ან გაამართლონ გენდერული ნიშნით ძალადობა. ამასთან, ევროსაბჭომ 2002 წლის 1555-ე რეკომენდაციით - „ქალის სახე მედიაში“[991] - მოუწოდა სახელმწიფოებს კანონმდებლობაში დანერგონ „სექსიზმის“ კონცეფცია, რომელიც განისაზღვრება, როგორც ადამიანთა ღირსების იგნორირება მათი სქესის საფუძველზე.

ევროპის პარლამენტის 2013 წლის 12 მარტის „გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრის შესახებ“ რეზოლუციის[992] შესაბამისად, გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია, რომელსაც ადგილი აქვს მედიაში, მაუწყებლობასა და სარეკლამო სფეროში, აადვილებს გენდერული სტერეოტიპების გადაცემას; განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი ქალებს წარმოადგენენ როგორც გაყიდვის მიზნით სტიმულის მისაცემ სექსუალურ საგანს. ამავე რეზოლუციის შესაბამისად, ბავშვები, მედია საშუალებებში გენდერთან დაკავშირებულ სტერეოტიპებს ძალიან დაბალი ასაკიდან აწყდებიან, რაც გავლენას ახდენს მათ წარმოდგენაზე, თუ რა ქცევებით უნდა ხასიათდებოდეს ქალი და მამაკაცი; იმ შეხედულებებზე, რაც ბავშვებს აქვთ საკუთარი თავის შესახებ, მათი ოჯახის წევრებზე, გარე სამყაროზე. მედია საშუალებებში განსახიერებული სტერეოტიპები ამცირებს საზოგადოების პატივისცემას ქალთა მიმართ და ხელს უწყობს მათ წინააღმდეგ განხორციელებულ ძალადობას.

სამწუხაროდ, საქართველოს კანონმდებლობა არ შეიცავს სექსისტური რეკლამის აკრძალვის დებულებებს. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, იკრძალება არასათანადო, არაკეთილსინდისიერი, არასარწმუნო, არაეთიკური და აშკარად ყალბი რეკლამის განთავსება. „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი არასათანადო რეკლამას განმარტავს როგორც არაკეთილსინდისიერ, არასარწმუნო,

---

[990] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ–გვერდზე:
< http://assembly.coe.int/Main.asp?link=/Documents/AdoptedText/ta10/ERES1751.htm > [ბოლოს ნანახია 2015 წლის 15 მარტს].

[991] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ–გვერდზე:
<http://assembly.coe.int/Main.asp?link=/Documents/AdoptedText/ta02/EREC1555.htm > [ბოლოს ნანახია 2015 წლის 15 მარტს].

[992] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ–გვერდზე: <
http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?pubRef=-%2F%2FEP%2F%2FTEXT+TA+P7-TA-2013-0074+0+DOC+XML+V0%2F%2FEN > [ბოლოს ნანახია 2015 წლის 15 მარტს].

არაეთიკურ, შეცდომაში შემყვან ან სხვა რეკლამას, რომელშიც დარღვეულია მისი შინაარსის, დროის, ადგილის ან გავრცელების წესის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებებისა და გენდერული თანასწორობის მიღწევის სფეროში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია საქართველოს კანონმდებლობაში არსებობდეს შესაბამისი რეგულაცია, რომელიც მოაწესრიგებს სარეკლამო რგოლების მომზადებისა და ტელესივრცეში გავრცელების დროს სექსისტური შეხედულებების აკრძალვას.

ქალთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში

ქალთა პოლიტიკური აქტივობის მაჩვენებლით, ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოს პროგრესი არ განუცდია. 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების მიხედვით, ქალთა წარმომადგენლობამ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში მხოლოდ 11.1% შეადგინა. საქართველოს მთავრობაში ქალთა წარმომადგენლობის პროცენტული მაჩვენებელი 16%-ს შეადგენს; საქართველოს პარლამენტში კი მხოლოდ 12%-ია.

2014 წლის გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსის[993] მიხედვით, საქართველო ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მაჩვენებლით 142 ქვეყანას შორის 94-ე ადგილზეა, ხოლო პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის მაჩვენებლით 107–ე ადგილს იკავებს. პარლამენტთაშორისი კავშირის მონაცემების[994] მიხედვით, საქართველო 2014 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით, 190 ქვეყანას შორის 106-ე ადგილს იკავებს.

აღსანიშნავია, რომ 2013 წლის 29 ივლისს, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ხელშეწყობისათვის საქართველოს ორგანულ კანონში მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ 30-ე მუხლს დაემატა 7^1 პუნქტი; იმ შემთხვევაში, თუ პარტიის მიერ წარდგენილ პარტიულ სიაში კანდიდატთა ყოველ ათეულში განსხვავებული სქესი სულ მცირე 30%-ით იქნება წარმოდგენილი, პარტიისათვის დაფინანსებაზე 30%-ის ოდენობით დანამატს ითვალისწინებს. მიუხედავად ამ ცვლილებისა, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ გამოქვეყნებულ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის

[993] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ–გვერდზე: <http://www3.weforum.org/docs/GGGR14/GGGR_CompleteReport_2014.pdf > [ბოლოს ნანახია 2015 წლის 15 მარტს].

[994] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ–გვერდზე: < http://www.ipu.org/wmn-e/classif.htm > [ბოლოს ნანახია 2015 წლის 15 მარტს].

არჩევნების გენდერულ სტატისტიკაში[995] ნათლად ჩანს, რომ პარტიებში გენდერული თანასწორობის მისაღწევად წინ გადადგმული ნაბიჯები არ შეიმჩნევა. კერძოდ: თბილისის მერობის 14 კანდიდატიდან მხოლოდ 2 ქალი დაფიქსირდა; თვითმმართველ ქალაქებში კი, მერობის რეგისტრირებული კანდიდატების გენდერული შემადგენლობა ასე ნაწილდება – 65 კაცი, 8 ქალი. აგრეთვე, მნიშვნელოვანია საარჩევნო სუბიექტების პარტიული სიით წარდგენილი კანდიდატების გადანაწილება, სადაც 1129 კანდიდატიდან მხოლოდ 427 ქალია. რაც შეეხება მაჟორიტარული სისტემით არჩევნებში პარტიის მიერ რეგისტრირებული კანდიდატების გენდერულ შემადგენლობას, 5707 კანდიდატიდან მხოლოდ 846 იყო ქალი. შესაბამისად, ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებში ქალთა წარმომადგენლობის სავალალო შედეგი მივიღეთ, კერძოდ: არცერთი მერი არ არის ქალი, ხოლო 59 გამგებლიდან მხოლოდ 2 ქალია.

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მიმართულებით ბოლო ათწლეულის ანალიზი ნათლად აჩვენებს პროცესის სტატიკურობას. უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური სისტემა, რომელიც გამორიცხავს ან ხელს არ უწყობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში სქესთა შორის თანაბარ მონაწილეობას, არ შეიძლება განხილული იქნას როგორც წარმატებული, რადგან დემოკრატიული განვითარების გზაზე უმნიშვნელოვანესია გამოყენებულ იქნას ქალთა ნიჭი, გამოცდილება და შესაძლებლობები სამართლიანობის და თანასწორობის პრინციპების დამკვიდრების საკითხებში, რაზეც რთულია ვისაუბროთ მაშინ, როცა ქვეყნის მოსახლეობის 53%–ს ქალები შეადგენენ, მაგრამ მათი ხმა გადაწყვეტილების მიღების პროცესში 20%–მდეც ვერ აღწევს.

აღსანიშნავია, რომ 2014 წლის გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსის მონაცემების[996] მიხედვით 138 ქვეყანას შორის საქართველო 61–ე ადგილზეა, სადაც გოგონების განათლების დონე უმაღლეს სასწავლებლებში უფრო მაღალია (31), ვიდრე ბიჭების (25); თუმცა, ისინი გადაწყვეტილების მიღების დონეზე არ არიან წარმოდგენილი.

საქართველოს სახალხო დამცველის 2012 და 2013 წლების საპარლამენტო ანგარიშებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რეკომენდაციებს ქალთა პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის ხელშეწყობისათვის, რომელიც, სამწუხაროდ, არ იქნა გათვალისწინებული. 2014 წლის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველი არაერთხელ გამოეხმაურა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს და ისაუბრა ქალთა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ჩართვის აუცილებლობაზე, თუმცა ამ დროისათვის არსებული მონაცემები კვლავ შეშფოთებას და უიმედობის განცდას იწვევს.

---

[995] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ–გვერდზე: < http://www.cesko.ge/uploads/other/29/29124.pdf > [ბოლოს ნანახია 2015 წლის 15 მარტს].

[996] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ–გვერდზე: <http://www3.weforum.org/docs/GGGR14/GGGR_CompleteReport_2014.pdf > [ბოლოს ნანახია 2015 წლის 15 მარტს].

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გარდაუვლად მნიშვნელოვანია დაიწყოს მუშაობა სპეციალური დროებითი მექანიზმების შემუშავებაზე, რაც საშუალებას მისცემს სახელმწიფოს თავი დააღწიოს უთანასწორო მდგომარეობას. უნდა აღინიშნოს, რომ არაერთი განვითარებული, მაღალი დემოკრატიული ღირებულებების მქონე ქვეყნის წარსული გამოცდილებაც სწორედ კვოტირების სისტემის მეშვეობით გენდერული ბალანსის მიღწევა იყო. მაგალითისათვის შეიძლება განხილული იქნას სკანდინავიური ქვეყნების პრაქტიკა და გამოცდილება, რომლებიც დღემდე, მიუხედავად იმისა, რომ კვოტირების სისტემა აღარ მოქმედებს, მოწინავე არიან ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მაჩვენებლით.

2014 წელს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტმა საქართველოს მე–4 და მე–5 გაერთიანებული ანგარიშის განხილვისას შეშფოთება გამოთქვა სავალდებულო კვოტებისა და სხვა ზომების არარსებობის გამო. კომიტეტი შეშფოთებულია, რომ ასეთი მექანიზმები არ გამოიყენება, რათა მიღწეულ იქნას რეალური ან დე–ფაქტო თანასწორობა ქალებსა და მამაკაცებს შორის კონვენციით გათვალისწინებულ ყველა ასპექტში. კომიტეტმა რეკომენდაცია მისცა სახელმწიფოს, მიიღოს დროებითი სპეციალური ზომები, მათ შორის რეგლამენტირებული კვოტები, კონვენციის მე–4 მუხლის (1-ელი პარაგრაფის) მე–7 მუხლის და კომიტეტის 23–ე და 25-ე ზოგადი რეკომენდაციის შესაბამისად, როგორც აუცილებელი სტრატეგიის ნაწილი ქალთა რეალური თანასწორობის მისაღწევად.

ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის 25–ე ზოგადი რეკომენდაცია[997] მოუწოდებს მონაწილე მხარეებს ხელი შეუწყონ ქალთა მონაწილეობის გაზრდას სპეციალური დროებითი მექანიზმების შემუშავებით. შეაფასონ ეროვნული კონტექსტი და შეარჩიონ შესაფერისი მექანიზმი, რომელიც ორიენტირებული იქნება დე–ფაქტო თანასწორობის მიღწევაზე. ხოლო 23–ე ზოგადი რეკომენდაცია უშუალოდ შეეხება ქალთა მონაწილეობას პოლიტიკურ და საჯარო სფეროებში. რეკომენდაცია მოუწოდებს მონაწილე მხარეებს მოახდინონ ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრა საჯარო და პოლიტიკურ სფეროებში, ასევე უზრუნველყონ თანაბარი მონაწილეობა ხმის მიცემისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.

ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება

[997] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ–გვერდზე: <http://www.un.org/womenwatch/daw/cedaw/recommendations/General%20recommendation%2025%20%28English%29.pdf > [ბოლოს ნანახია 2015 წლის 15 მარტს].

განუზომელია ქალთა როლი მშვიდობის მშენებლობის პროცესში. ასევე ფართოა იმ პრობლემათა სპექტრი, რასაც ქალები და გოგონები კონფლიქტურ და პოსტ კონფლიქტურ სიტუაციებში აწყდებიან. საქართველოში არსებულმა არაერთმა კონფლიქტმა, დევნილობამ და ოკუპაციამ არსებითი გავლენა იქონია ქალთა ჯგუფზე.

მისასალმებელია ქალთა ორგანიზაციების როლი მშვიდობის მშენებლობის პროცესში, რომლებიც მუშაობენ საზღვრისპირა სოფლებში კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ გოგონებსა და ქალებთან იმდენად, რამდენადაც მათი საჭიროებებისა და პრობლემების იდენტიფიცირების შესახებ მიღებული ინფორმაცია მაქსიმალურად უნდა იქნას გათვალისწინებული და ასახული პოლიტიკის დოკუმენტებში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 2000 წელს მიიღო რეზოლუცია 1325, რომლითაც ხაზი გაუსვა ქალებისა და გოგონების საჭიროებას კონფლიქტურ და პოსტ კონფლიქტურ სიტუაციებში და მოუწოდა სახელმწიფოებს დანერგონ გენდერულად მგრძნობიარე მიდგომები თავიანთ პოლიტიკასა და პროგრამებში, უზრუნველყონ ქალებისა და გოგონების უსაფრთხოების დაცვა სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობისაგან და ყველა ღონე იხმარონ, რომ ქალთა ხმა მოსმენილი იქნას გადაწყვეტილების მიღების პროცესში[998].

მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების გათვალისწინებით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ დამატებით მიიღო რეზოლუციები, რომელთა მეშვეობითაც სპეციფიკური საკითხების მოწესრიგების შესაძლებლობა გახდა ხელმისაწვდომი.

ქვეყნებმა რეზოლუციების განსახორციელებლად თავიანთი მზადყოფნა სამოქმედო გეგმების მიღებით წარმოაჩინეს. საქართველოში 2011 წლის 27 დეკემბერს „ქალებზე მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს №№ 1325, 1820, 1888, 1889 და 1960 რეზოლუციების განსახორციელებელი 2012-2015 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა (შემდგომში 1325 რეზოლუციის სამოქმედო გეგმა) დამტკიცდა.

სამოქმედო გეგმამ მოიცვა 1325 რეზოლუციის მთავარი ასპექტები: პრევენცია, მონაწილეობა, დაცვა და დახმარება. სამოქმედო გეგმის განმახორციელებელთა შორის მნიშვნელოვანი როლი აკისრია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს. ამ მიმართულებით ორივე უწყებამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა, მაგრამ ბევრი საკითხი კვლავ მოუწესრიგებელია.

სამოქმედო გეგმის ფარგლებში საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ვალდებულია უზრუნველყოს, შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებსა და სამშვიდობო კონტიგენტში ქალთა მონაწილეობის სტიმულირების მიზნით, შეიარაღებულ ძალებში მოქმედი ფიზიკური ნორმატივების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ცვლილებების

[998] გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325.

განხორციელება. ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო პასუხიმგებელია ყოველწლიურად ჩაატაროს სათანადო სწავლება-ტრენინგები გენდერული საკითხებისა და გაეროს უშიშროების საბჭოს №№1325, 1820, 1888, 1889 და 1960 რეზოლუციების შესახებ, განსაკუთრებით ქალებისა და გოგონების მიმართ გენდერული ძალადობის პრევენციის, გამოვლენისა და რეაგირების თაობაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ქალთა წარმომადგენლობა კვლავ დაბალია და სამოქმედო გეგმის ერთ–ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობისთვის განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებს.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ქალთა წარმომადგენლობის შესახებ[999], რომელიც ასე გამოიყურება:

- საქართველოს თავდაცვის მინისტრის 3 მოადგილიდან არცერთი არ არის ქალი;
- თავდაცვის სამინისტროში დასაქმებულია 400 მოხელე, მათ შორის 182 ქალი;
- ხელმძღვანელ პოზიციაზე დასაქმებულია 116 მოხელე, მათ შორის 34 ქალი;
- საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებულია 132 მოხელე, მათ შორის 4 ქალი;
- სამშვიდობო მისიებში (კოსოვო, ერაყი, ავღანეთი, აფრიკა) მონაწილეობა აქვს მიღებული 22 614 პირს, მათ შორის – 219 ქალს.

რაც შეეხება ქალთა მონაწილეობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობაში, სტატისტიკა შემდეგნაირად გამოიყურება[1000]:

- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 5 მოადგილიდან არცერთი არ არის ქალი;
- სამინისტროში დასაქმებულ პირთა შორის 15,2% არის ქალი; აქედან ხელმძღვანელ პოზიციებზე – 4,4%;
- ტერიტორიულ დანაყოფებში დასაქმებულ პირთა შორის 16,5% არის ქალი.

2014 წელს გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით დამოუკიდებელმა ექსპერტმა განახორციელა რეზოლუცია 1325–ის ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების შუალედური შეფასება ძირითადი ტენდენციების გამოკვეთისათვის. შეფასების მიხედვით, ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ხარისხი განსხვავებულია როგორც მიმართულებების, ასევე პასუხისმგებელი უწყებების მხრივ. გამოიკვეთა, რომ შესრულების მაღალი მაჩვენებელი სწორედ იმ უწყებებშია, სადაც კონკრეტული დოკუმენტი

[999] საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; წერილი #MOD415 00196918; 13/03/2015.
[1000] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; წერილი #619126; 23/03/2015.

არეგულირებს სამოქმედო გეგმის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების განხორციელებას ან გამოყოფილია პასუხისმგებელი თანამდებობის პირი[1001]. სწორედ ამიტომ, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, თითოეულმა განმახორციელებელმა უწყებამ შეიმუშაოს სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონკრეტული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, ასევე უზრუნველყოფილი იქნას პასუხისმგებელი პირების გამოყოფა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით შეიქმნა უწყებათაშორისი საკოორდინაციო ჯგუფი, რომელიც სამოქმედო გეგმის განხორციელების კოორდინაციასა და ანგარიშგებაზეა პასუხისმგებელი. მნიშვნელოვანია, რომ 2015 წლიდან აღნიშნული ჯგუფი სტრუქტურულად საქართველოს პრემიერ–მინისტრის აპარატის დაქვემდებარებაში გადავა. ამასთან, აუცილებელია გაძლიერდეს საკოორდინაციო ჯგუფის საქმიანობა და დაიხვეწოს ანგარიშგების მექანიზმი სამოქმედო გეგმის ეფექტური განხორციელების ხელშესაწყობად.

როგორც ზემოთ აღინიშნა, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა თითოეულ სახელმწიფო უწყებაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირის საშტატო ერთეულის განსაზღვრა, რათა მოხდეს სხვადასხვა ეროვნული სამოქმედო გეგმებისა თუ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების კოორდინაცია, ანგარიშგება და მონაცემთა სრული ანალიზი. ასეთივე მნიშვნელობის მქონეა თითოეულ სამინისტროში გენდერული თანასწორობის საკითხებზე სტრუქტურული ერთეულის შექმნა.

გამომდინარე იქიდან, რომ ამ ეტაპზე გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა აკისრიათ როგორც საქართველოს პარლამენტს, აგრეთვე მთავრობას, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ინიციატივაა, მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგი განახორციელოს 2015 წელს.

ქალთა ეკონომიკური აქტივობა და შრომითი უფლებები

ქალთა ეკონომიკური დამოუკიდებლობა პირდაპირ კავშირშია ქვეყანაში არსებულ გენდერულ თანასწორობასთან; 2014 წელს ქალთა ეკონომიკური აქტივობა და მონაწილეობა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში არ გაუმჯობესებულა. „გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსის“ მონაცემებით[1002], საქართველო 142 ქვეყანას შორის 66–ე ადგილზეა.

[1001] გაეროს უშიშროების საბჭოს 1325 რეზოლუციის ეროვნული სამოქმედო გეგმის შეფასების დოკუმენტი.
[1002] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ–გვერდზე:

წყაროს მიხედვით, 2006 წელს საქართველო 41–ე პოზიციაზე იმყოფებოდა, რის შემდეგაც მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. 2013 წლის მონაცემებით, საქართველოს 64-ე პოზიცია ეკავა; ხოლო 2012 წელს – 57-ე.

რეგიონების მიხედვით, ევროპასა და ცენტრალურ აზიაში ქალთა ეკონომიკური აქტივობის მაჩვენებლით საქართველო 125 ქვეყნიდან 85–ე ადგილზეა. ამავე მონაცემების მიხედვით, თანაბარი ღირებულების შრომის თანაბარი ანაზღაურების მაჩვენებლით საქართველო 29–ე ადგილს იკავებს. ქალთა და მამაკაცთა მიღებული წლიური შემოსავლის თანაფარდობის მიხედვით კი, გასულ წელთან შედარებით, 114-ე ადგილიდან 112–ზე გადაინაცვლა. ასევე, განსხვავდება სქესთა შორის შემოსავლის საშუალო მაჩვენებლის თანაფარდობა. კაცის სავარაუდო წლიური შემოსავალი ორჯერ აღემატება ქალისას და შეადგენს 9,567 აშშ დოლარს, მაშინ როდესაც ქალები საშუალოდ 4,348 აშშ დოლარს გამოიმუშავებენ.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2013 წლის მონაცემების მიხედვით, დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო ნომინალური ხელფასი საქმიანობის სახეებისა და სქესის მიხედვით თვიურად 773.7 ლარს შეადგენს; აქედან – 585.0 მოდის ქალზე, ხოლო 920.3 – კაცზე. რაც შეეხება ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა შრომის საშუალო თვიურ ანაზღაურებას სქესის მიხედვით – ქალი 566.7, კაცი – 881.0 ლარს იღებს.[1003]

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სახალხო დამცველის, პროფესიული გაერთიანებების კავშირისა თუ სხვადასხვა ორგანიზაციების არაერთი მოწოდების მიუხედავად, სახელმწიფოს მხრიდან ოჯახური ვალდებულებების მქონე ქალთა შრომითი უფლებების გაუმჯობესებისაკენ ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა. მართალია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით დაიწყო ქალთა შრომითი უფლებების გაუმჯობესების მეორე ტალღა, თუმცა, პროცესი ამ დრომდე შეჩერებულია და მისი განახლების კონკრეტული თარიღი ცნობილი არ არის.

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ წარმოდგენილ 2013 წლის საპარლამენტო ანგარიშში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 183–ე დედობის დაცვის შესახებ კონვენციის რატიფიცირების, ასევე, ევროკავშირის რიგი დირექტივების განხორციელების მნიშვნელობას, თუმცა, ქმედითი ნაბიჯები ამ მიმართულებითაც არ შეიმჩნევა.

2014 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის ცნობილი გახდა შესაძლო დისკრიმინაციის ფაქტის შესახებ. კერძოდ, ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობის

< http://www3.weforum.org/docs/GGGR14/GGGR_CompleteReport_2014.pdf > [ბოლოს ნანახია 2015 წლის 15 მარტს].

[1003] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ–გვერდზე:
< http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/qali%20da%20kaci.pdf > [ბოლოს ნანახია 2015 წლის 15 მარტს].

სამსახურეობრივი თათბირის ვიდეოჩანაწერში ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა განაცხადა, რომ მინისტრის ბრძანებით, სოფლების ამბულატორიებში გასათხოვარი ექიმების მიღებისგან თავი უნდა შეიკავონ, რადგან ისინი გადამზადების შემდეგ თხოვდებიან და სამსახურს ტოვებენ. შესწავლის პროცესში გაირკვა, რომ აღნიშნული ფაქტი მხოლოდ რწმუნებულის მოსაზრებას წარმოადგენდა და პრაქტიკაში ასახვა არ უპოვია. თუმცა, პრევენციული ღონისძიებების გატარებისა და თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლებისათვის, საქართველოს სახალხო დამცველმა მოუწოდა ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებელს უზრუნველეყო თანამშრომელთა გადამზადება გენდერული თანასწორობის საკითხებზე. მისასალმებელია, რომ გამგეობამ გაითვალისწინა საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია და გამგეობაში დაინიშნა მრჩეველი გენდერულ საკითხებში, ასევე ჩატარდა ტრენინგი თანამშრომლებისათვის.

<u>სექსუალური შევიწროება დასაქმების ადგილზე</u>

დასაქმების ადგილზე სექსუალური შევიწროება წარმოადგენს ქალთა უფლებადარღვევის ყველაზე ხშირ და ამავდროულად დაფარულ პრობლემას. ევროკავშირის ქვეყნებში ქალების 40-50% სამუშაო ადგილებზე არასასურველ სექსუალურ მოპყრობას, ფიზიკურ კონტაქტს ან სექსუალური ძალადობის სხვა ფორმებს განიცდის.[1004] გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონის მე–6 მუხლში მოცემულია შრომით ურთიერთობებში გენდერული თანასწორობის საკითხი, რომელიც შევიწროების ზოგად დეფინიციას განსაზღვრავს, თუმცა აღნიშნული კანონი დასაქმების ადგილზე სექსუალური შევიწროების ფაქტზე სამართლებრივი რეაგირების შესაძლებლობას არ იძლევა.

ევროსაბჭოს მიერ 2011 წლის 12 აპრილს მიღებული „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ (სტამბოლის) კონვენციის მე-40 მუხლი სახელმწიფოებს უწესებს ვალდებულებას, მიიღონ ყველა ზომა, რათა სექსუალური შევიწროების გამოვლენის ყველა ფორმა დასჯადი იყოს ქვეყნის კანონმდებლობით. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული კონვენცია საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ ხელმოწერილი იქნა 2014 წელს და უახლოეს პერიოდში რატიფიცირების პროცესის თანმდევად ვიმედოვნებთ, რომ სექსუალური შევიწროების პრევენციის დეფინიციაც განისაზღვრება.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო დოკუმენტებით ნაკისრი ვალდებულებების განხორციელების პროცესში უმნიშვნელოვანესი იქნება დასაქმების ადგილზე სექსუალური

[1004] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ–გვერდზე:
< http://endviolence.un.org/pdf/pressmaterials/unite_the_situation_en.pdf > [(ბოლოს ნანახია 2015 წლის 15 მარტს].

შევიწროების პრევენცია; თუმცა, ამ პროცესში ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება დამსაქმებელთა მიერ შიდა ინსტიტუციური რეაგირების მექანიზმების დანერგვას. წარმატებული ქვეყნების პრაქტიკა აჩვენებს, რომ დამსაქმებელთა მიერ სექსუალური შევიწროების პრევენციის მექანიზმების დანერგვა გაცილებით ეფექტური, ნაკლები დანახარჯების მომტანი და ეფექტიანია დარღვეული უფლების აღდგენის თვალსაზრისით.

სექსუალური შევიწროება კვლავ რჩება ტაბუდადებულ თემად, რომელზეც არ საუბრობენ. 2014 წელს საქართველოს სახალხო დამცველისათვის ცნობილი გახდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოში მომხდარი სექსუალური შევიწროების ფაქტის შესახებ. საქმისწარმოების პროცესში დადასტურებული იქნა აღნიშნული ფაქტი და საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სამსახურის უფროსს, შეემუშავებინა სექსუალური შევიწროების პრევენციის რეაგირების მექანიზმი, შესაბამისი სანქციების სისტემით, რომელიც სექსუალური შევიწროებისგან თავისუფალ, უსაფრთხო სამუშაო გარემოს შეუქმნიდა დასაქმებულებს და მინიმუმამდე შეამცირებდა სექსუალური შევიწროების რისკს; უნდა აღინიშნოს, რომ სამსახურმა სრული მზადყოფნა გამოთქვა გაიზიაროს სახალხო დამცველის პრაქტიკა.

მამაკაცებისათვის ბავშვის მოვლის გამო შვებულებით სარგებლობის უფლება

2014 წელს საქართველოს სახალხო დამცველს მიმართეს მამაკაცებმა, რომლებიც დაბრკოლებებს აწყდებოდნენ დამსაქმებლებთან ურთიერთობისას საქართველოს შრომის კოდექსის 27–ე მუხლით გარანტირებული უფლებით – ბავშვის მოვლის გამო შვებულებით სარგებლობასთან დაკავშირებით.

საქართველოს შრომის კოდექსის 27–ე მუხლის თანახმად, დასაქმებულს, თავისი მოთხოვნის საფუძველზე, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო ეძლევა შვებულება 730 კალენდარული დღის ოდენობით; აქედან, ანაზღაურებადია 183 კალენდარული დღე, ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში – 200 კალენდარული დღე. საქართველოს შრომის კოდექსის მე–3 მუხლის მე–3 ნაწილის მიხედვით, დასაქმებული არის ფიზიკური პირი, რომელიც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დამსაქმებლისათვის ასრულებს გარკვეულ სამუშაოს. შესაბამისად, ამავე კანონის 27-ე მუხლში მითითება, რომ შვებულებით შეუძლია ისარგებლოს დასაქმებულმა, ნიშნავს იმას, რომ ორივე სქესის წარმომადგენელ დასაქმებულს შეუძლია ისარგებლობს შვებულებით ბავშვის მოვლის გამო.

ასევე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 აგვისტოს ბრძანება #231/ნ „ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების ანაზღაურების წესის შესახებ“ არეგულირებს საჯარო მოსამსახურეებისა და დასაქმებულთათვის დახმარებისა და

კომპენსაციის დანიშვნის გაანგარიშებისა და გაცემის საკითხებს. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ხსენებული ბრძანების მე–6 მუხლის მიხედვით, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარების გაცემის საფუძველს წარმოადგენს დასაქმებულზე/მოსამსახურეზე შევსებული საავადმყოფოს ფურცელი. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის #232ნ ბრძანების მე–5 მუხლის მიხედვით, საავადმყოფოს ფურცელი გაიცემა მეან–გინეკოლოგის მიერ ორსულობის 30 კვირიდან ერთდროულად 126 კალენდარული დღით. ხოლო მამას ან ბავშვის უშუალოდ სხვა მომვლელს საავადმყოფოს ფურცელი მიეცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მშობიარობის შემდეგ დედა გარდაიცვლება. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ბავშვის მომვლელი ცალსახად არის დედა და მამას ბავშვის მოვლის პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ დედის არყოლის შემთხვევაში.

აღნიშნული ჩანაწერი ეწინააღმდეგება საქართველოს ორგანული კანონის შრომის კოდექსის 27-ე მუხლით დასაქმებულთათვის გარანტირებულ უფლებას და გენდერული თანასწორობის უმნიშვნელოვანეს საკითხს, რომელიც გულისხმობს შვილების აღზრდასა და განვითარებაში მოვალეობების და პასუხისმგებლობების თანაბრად გადანაწილებას. ამასთან, იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილ წესს, რომლის მონაწილე მხარესაც საქართველო წარმოადგენს.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანია შრომის კოდექსის 27–ე მუხლში არსებული ჩანაწერის დახვეწა, რადგან ის ბუნდოვანებას იწვევს მუხლის კუმულატიური პირობიდან გამომდინარე. სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს იუსტიციის მინისტრს, ქალთა შრომითი უფლებების გაუმჯობესებისაკენ მიმართული ცვლილებების მეორე ტალღის პროცესში გათვალისწინებული იქნას აღნიშნული საკითხი. ასევე, მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, შემუშავდეს შესაბამისი ცვლილებები მინისტრის #231/ნ ბრძანებაში. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ გაითვალისწინა საქართველოს სახალხო დამცველის წინადადება და დაწყებულია მუშაობა აღნიშნული საკითხის დარეგულირებისათვის.

რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები

რეპროდუქციული ჯანმრთელობა მხოლოდ ქალებს არ ეხება, რადგან ის ორივე სქესისთვის უსაფრთხო სქესობრივი ცხოვრების, გამრავლებისა და მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობას გულისხმობს. წყვილებს უფლება აქვთ ყოველგვარი დისკრიმინაციის, ძალადატანებისა და ძალადობის გარეშე თვითონ მიიღონ რეპროდუქციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები.

მსოფლიოში უამრავი ადამიანი ვერ სარგებლობს რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებებით, რაც ადამიანის სქესობრივი ცხოვრებისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ადეკვატური განათლების არქონით, სათანადო სამსახურების არარსებობით ან მათ მიერ გაწეული სერვისების უხარისხობით არის განპირობებული. შემთხვევითი სექსუალური კავშირები ასევე შეიძლება რისკის შემცველად ჩაითვალოს, რომელიც რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებას აკნინებს. განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენენ მოზარდები, რომლებიც ფაქტობრივად დაუცველნი არიან, რადგან მათ ინფორმაციასა და შესაბამის მომსახურებაზე ხელი არ მიუწვდებათ.

საქართველოში მოსახლეობის ცნობიერების დონე, რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობისა და უფლებების კუთხით, საკმაოდ დაბალია. მოზარდებში არასასურველი ორსულობის, მისი შეწყვეტისა და შემდგომ წარმოქმნილი პრობლემების გახშირებული ფაქტები, სწორედ, ინფორმაციისადმი დაბალ ხელმისაწვდომობას, საზოგადოებაში სქესობრივი და რეპროდუქციული უფლებების შესახებ განათლების დაბალ დონესა და გენდერულ თანასწორობაზე გავრცელებულ უარყოფით შეხედულებას უკავშირდება. აღსანიშნავია ისიც, რომ საინფორმაციო კამპანიები, მეტწილად, დიდ ქალაქებში ტარდება და რეგიონებში ნაკლებად აღწევს ინფორმაცია. ამასთან, რთულია ინფორმაციის სრულად გავრცელება, რადგან ცნობიერების ამაღლების კამპანიებზე, ძირითადად, არასამთავრობო ორგანიზაციები მუშაობენ და მათ არ აქვთ შესაბამისი რესურსი, რომ ყველა რეგიონი დაფარონ. ინფორმაციული ვაკუუმი ყველაზე მეტად ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში გვხვდება.

რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევების თანახმად, 1995-2009 წლების განმავლობაში საქართველოში კონტრაცეპციის (მათ შორის თანამედროვე მეთოდების) გავრცელების დონე მატულობდა და 2010 წელს ამ მაჩვენებელმა 32% შეადგინა. კონტრაცეპციის გამოყენების მაჩვენებლის ზრდა, ძირითადად, თანამედროვე მეთოდების გამოყენების ზრდით (8.9%-ით) იყო განპირობებული.[1005]

მონაცემები დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შესახებ

მსოფლიოს განვითარების ძირითადი გამოწვევების შესაბამისად, გაეროს ათასწლეულის სამიტზე წევრი სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ 2015 წლამდე მიაღწევდნენ ათასწლეულის განვითარების რვა მიზანს. ეს მიზნები, აგრეთვე, მოიცავს გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებამოსილების გაზრდას, ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებასა და დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესებას.

[1005] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ–გვერდზე: < http://www.ncdc.ge/AttachedFiles/2013_geo.pdf > [ბოლოს ნანახია 2015 წლის 15 მარტს].

2014 წლის 26 დეკემბერს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა 2014–2020 წლების საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სახელმწიფო კონცეფცია – „საყოველთაო ჯანდაცვა და ხარისხის მართვა პაციენტთა უფლებების დასაცავად“[1006]. დოკუმენტის მიხედვით, სახელმწიფო პოლიტიკის ერთ–ერთი პრიორიტეტია „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის ხელშეწყობა“, რაც გულისხმობს დედათა და ბავშვთა გარდაცვალებისა და მკვდრადშობადობის აღრიცხვიანობის, გარდაცვალების მიზეზების განსაზღვრისა და ანალიზის გასაუმჯობესებლად სავალდებულო შეტყობინების სისტემის გაუმჯობესების, აქტიური ზედამხედველობის მექანიზმების ჩართვას.

ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით, საქართველოში დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 2003-2008 წლებში კლების დინამიკით ხასიათდებოდა. დედათა სიკვდილიანობის შესახებ მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, 2009 წლიდან დაიწყო სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, ხოლო 2013 წლიდან - შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის „დედათა და ბავშვთა სიკვდილობის/მკვდრადშობადობის შემთხვევების სავალდებულო შეტყობინების ფორმისა და წესის შესახებ“ 2013 წლის #01-30/ნ ბრძანების საფუძველზე მიღებული მონაცემების შეჯერება.

გაეროს დედათა სიკვდილიანობის შეფასების სააგენტოთაშორისი ჯგუფი ყოველწლიურად აქვეყნებს დედათა სიკვდილიანობის შეფასებით მაჩვენებლებს, რომლებიც, როგორც წესი, განსხვავდება ქვეყნების ეროვნული სტატისტიკისგან. საქართველოში წლების მანძილზე შეფასებითი მაჩვენებლები საკმაოდ მაღალი იყო, როგორც ოფიციალურ, ასევე კვლევებით მიღებულ მაჩვენებლებთან შედარებით. გაეროს დედათა სიკვდილიანობის შეფასების სააგენტოთაშორისი ჯგუფის 2012 წლის გათვლებით, საქართველოსთვის დედათა სიკვდილიანობის 1990 წლის შეფასებითი მაჩვენებელი 92-ით, ხოლო 2000 წლის მაჩვენებელი 113-ით განისაზღვრა. 2012 წლის შეფასებითი მაჩვენებლის წინასწარი მნიშვნელობა 77-ს შეადგენდა.[1007]

[1006] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ–გვერდზე: < https://matsne.gov.ge/ka/document/view/2657250 > [ბოლოს ნანახია 2015 წლის 15 მარტს].

[1007] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ–გვერდზე: < http://en.calameo.com/read/0007135297b8958ebd678 > [ბოლოს ნანახია 2015 წლის 15 მარტს].

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ბოლო ხელმისაწვდომი მონაცემებით, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი აღემატება ევროპის, ევროკავშირის და დსთ-ს ზოგიერთი ქვეყნის მაჩვენებელს.

აბორტის სერვისის ხელმისაწვდომობა

2013 წელს საქართველოში 37 000 რეგისტრირებული აბორტი დაფიქსირდა. აბორტების ძირითადი წილი – 34 881 აბორტი, 20-დან 44 წლის ქალბატონებზე მოდიოდა; თუმცა, ბოლო წლებში, თითქმის გაორმაგდა აბორტის შემთხვევები 15 წლამდე ასაკის გოგონებში – 34 აბორტი. აგრეთვე, გაიზარდა აბორტების მაჩვენებელი 45 და მეტი წლის ქალებში – 270 აბორტი.[1008] რაც შეეხება 2014 წლის სტატისტიკას, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსგან გამოთხოვილი წინასწარი მონაცემების მიხედვით[1009], საქართველოში 2014 წელს 31 908 აბორტი დაფიქსირდა, მათ შორის 26 013 – ხელოვნური აბორტი. აბორტების ყველაზე დიდი რაოდენობა, ტერიტორიული განფენილობის მიხედვით, თბილისშია (11 938), ხოლო დედაქალაქის შემდეგ იმერეთში (4903), შიდა ქართლსა (3 835) და აჭარაში (3 629) ფიქსირდება. აღსანიშნავია, რომ 2013 წელთან შედარებით, 2014 წელს აბორტების რაოდენობამ იკლო თითქმის ყველა ასაკობრივ ჯგუფში, მათ შორის არასრულწლოვნებში.

2014 წლის პირველი აგვისტოდან ამოქმედდა ორსულისთვის სამედიცინო დაწესებულებაში წინასწარი გასაუბრების ჩატარების წესი და განისაზღვრა 5-დღიანი მოსაფიქრებელი ვადა გასაუბრებიდან ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის მიზნით სამედიცინო ჩარევის განხორციელებამდე. ასევე, გათვალისწინებულია აბორტისწინა მოსაფიქრებელი 5 დღიანი

[1008] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ–გვერდზე:
< http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/qali%20da%20kaci.pdf > [ბოლოს ნანახია 2015 წლის 15 მარტს].
[1009] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; წერილი #01/17833, 13/03/2015 .

პერიოდის გამონაკლისიც, კერძოდ: იმ შემთხვევაში, როცა ორსულობის ვადიდან გამომდინარე (მე-12 კვირა) შესაძლებელია შეიზღუდოს სერვისის მიწოდების საშუალება, რადგანაც 5 დღის შემდეგ იწურება ლეგალური აბორტის ჩატარების პერიოდი, შესაძლებელია მოსაფიქრებელი პერიოდი შემცირდეს არანაკლებ 3 დღემდე.

დაწესებულებების რაოდენობით, სადაც ხელმისაწვდომია აბორტის სერვისი – თბილისი პირველ ადგილზე იმყოფება, თუმცა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსგან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად[1010], ყველაზე ცუდი მდგომარეობა ამ მიმართულებით რაჭა–ლეჩხუმში გამოვლინდა, სადაც მხოლოდ ამბროლაურისა და ლენტეხის რაიონშია ხელმისაწვდომი აბორტის სერვისი.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის[1011] თანახმად, სამედიცინო დაწესებულებებს აბორტის პროცედურასთან დაკავშირებით შეტყობინების გაგზავნის ან რაიმე სხვა სახის ინფორმირების ვალდებულება არ გააჩნიათ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახეზეა ძალადობის ფაქტი, რაც განსაზღვრულია „სამედიცინო დაწესებულებებიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურებისათვის ოპერატიული ინფორმაციის მიწოდების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 31 მაისის #152/ნ – #496 – #45/ნ ერთობლივი ბრძანებით. ამასთან დაკავშირებით გვეცნობა, რომ 2014 წლის განმავლობაში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებულ სტრუქტურაში არ შესულა შეტყობინება აბორტის გამო მიმართვისას გამოვლენილი არასრულწლოვანზე ძალადობის ფაქტის შესახებ, ხოლო რაც შეეხება არასრულწლოვანის ორსულობის ფაქტის შეტყობინებას, დაფიქსირდა მხოლოდ 2 შემთხვევა.

აბორტებზე საუბრისას აუცილებელია აღინიშნოს აბორტის ისეთი ფორმა, როგორიცაა გენდერული ნიშნით სქესის სელექცია, რომელიც ბავშვის სქესის გამო ორსულობის შეწყვეტას გულისხმობს. გენდერული ნიშნით სქესის სელექცია ძირითადად ისეთ ქვეყნებშია მაღალი, სადაც დომინანტი პატრიარქალური კულტურაა, გენდერული თანასწორობა დარღვეულია და პრიორიტეტი მამრობით სქესს ენიჭება. საქართველოში არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკა სელექციური აბორტების შესახებ, რაც იმით არის განპირობებული, რომ აბორტის მიზეზებში არავინ უთითებს სქესის შერჩევას. რაც შეეხება კანონმდებლობას, „ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

[1010] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; წერილი #01/17833; 13/03/2015.
[1011] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; წერილი #01/17833; 13/03/2015.

მინისტრის 2014 წლის 7 ოქტომბრის #01–74/ნ ბრძანების შესაბამისად, აკრძალულია ორსულობის შეწყვეტის სამედიცინო ჩარევის განხორციელება სქესის შერჩევის მიზნით.[1012]

ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა

შემაშფოთებელია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მასშტაბები; პრობლემის სიმძაფრე მთელი სიცხადით შევიგრძენით 2014 წელს როდესაც ოჯახში ძალადობის შედეგად 17[1013] ქალი იქნა მოკლული. ხშირად ისმის არგუმენტი, რომ რთულია ოჯახში ძალადობის იდენტიფიცირება, რადგან იგი ჩაკეტილ სოციალურ წრეში ხდება. თუმცა, ქალთა მიმართ ძალადობა დიდი ხანია გასცდა ჩაკეტილ სივრცეს. შემაშფოთებელია, რომ რიგ შემთხვევებში, მსხვერპლს შესაბამისი რეაგირების თხოვნით სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისთვის ინციდენტამდე ჰქონდა მიმართული.

საზოგადოების გულგრილ დამოკიდებულებასთან ერთად, მთავარ გამოწვევას დაცვისა და დახმარების ღონისძიებების არაეფექტური გამოყენება წარმოადგენს. ხშირად, ძალადობის მსხვერპლ ქალთა დასაცავად არ ხდებოდა იმ მექანიზმების გამოყენება, რომელიც კანონით არის გათვალისწინებული და შესაბამისად, მათი თხოვნა დახმარების თაობაზე სამართალდამცავების მხრიდან უგულებელყოფილი რჩებოდა.

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2014 წელს ოჯახში ძალადობის არაერთი ფაქტი იქნა შესწავლილი, განხორციელდა ქალთა მკვლელობების მონიტორინგი და სერვისების შეფასება. შესწავლის შედეგები ცხადყოფს, რომ ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემა საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და სექტორთაშორის თანამშრომლობას შემთხვევათა დროული იდენტიფიცირების, მსხვერპლთა ეფექტური დაცვისა და დახმარებისათვის.

საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ საქართველოს სახელით „ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ“ ევროპის საბჭოს 2011 წლის კონვენციის ხელმოწერას, რაც კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

2014 წელს მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა საქართველოს კანონმდებლობაში, რომლებმაც გააუმჯობესა ძალადობისგან დაცვის მექანიზმები. „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ძალადობის ფორმებს დაემატა – უგულებელყოფა, რომელიც

[1012] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ–გვერდზე: < https://matsne.gov.ge/ka/document/view/2514236 > [ბოლოს ნანახია 2015 წლის 15 მარტს].

[1013]საქართველოს მთავარი პროკურატურა; წერილი #13/16016; 17/03/2015.

მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან ბავშვის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური საჭიროების დაუკმაყოფილებლობას, სამედიცინო ან სხვა მომსახურებით სარგებლობისთვის აუცილებელი მოქმედების განუხორციელებლობას ითვალისწინებს, თუკი მშობელს/წარმომადგენელს ჰქონდა ხელმისაწვდომობა შესაბამის მომსახურებაზე.

ძალიან მნიშვნელოვანი იყო ცვლილება, რომელიც ოჯახში ძალადობის მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის მიერ სტატუსის მინიჭების ვადის 18 თვემდე გაზრდას ეხებოდა, თუმცა, ამასთან, თავშესაფრის მომსახურების ვადა კვლავ უცვლელი 3 თვე დარჩა.

აღსანიშნავია ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით განხორციელებული აქტივობები. მათ შორის, შემაკავებელი ორდერის გამოცემის უფლების მინიჭება ტერიტორიული ორგანოს ინსპექტორ-გამომძიებლებისათვის[1014] (რაც უფრო მოქნილს გახდის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებებს), პოლიციელთა გადამზადება, არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაძლიერება, საინფორმაციო კლიპის მომზადება და განთავსება მედიასივრცეში, საინფორმაციო შეხვედრები ახალგაზრდებთან და სხვა. თუმცა, კვლავ რჩება საკითხები, რაც საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას და უწყებათაშორის აქტიურ კოორდინაციას.

ქალთა მიმართ ძალადობის მასშტაბები გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის შეშფოთების საგნადაც იქცა. კერძოდ, 2014 წელს 58-ე სესიაზე საქართველოს მეოთხე და მეხუთე გაერთიანებული ანგარიშების განხილვის შედეგად, კომიტეტმა საქართველოს მთავრობას ქმრებისა და პარტნიორების მიერ ქალთა მკვლელობების მზარდი ფაქტებისა და ოჯახში ძალადობის სხვა ფორმების აღსაკვეთად, სასწრაფო ზომების მიღებისკენ მოუწოდა.

2014 წლის განმავლობაში არსებულ პრობლემათა შორის უნდა გამოიყოს ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მიმნიჭებელი ჯგუფის საქმიანობის შეჩერება, რამაც მნიშვნელოვნად დააზარალა თავშესაფრის საჭიროების მქონე პირები, ვინაიდან, ის ერთ–ერთ ყველაზე ქმედით მექანიზმს წარმოადგენდა მსხვერპლთა სახელმწიფო სერვისებში ჩასართავად.

საქართველოს სახალხო დამცველის შესწავლით დადგინდა, რომ ჯგუფის საქმიანობის შეჩერების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა. მართალია, საქართველოს მთავრობას 1 აპრილამდე უნდა დაემტკიცებინა მსხვერპლთა იდენტიფიცირების წესი, რაც ერთგვარ საქმიანობის ვადად განისაზღვრა არსებული ჯგუფისათვის, თუმცა ამავდროულად „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებდა არსებული ჯგუფის საქმიანობის გაგრძელებას იმ დრომდე, სანამ საქართველოს მთავრობის მიერ ახალი წესის დამტკიცება არ მოხდებოდა. ჯგუფის

[1014] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება №491/ 02.07. 2014.

საქმიანობის შეწყვეტის მიზეზი, როგორც საქართველოს მთავრობის კანცელარიიდან გვეცნობა[1015], მათთვის უცნობია. სამწუხაროდ, ჯგუფის მუშაობის შეწყვეტამ ძალიან ცუდი ზეგავლენა იქონია ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის კუთხით.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს საკმაოდ გაურთულდა სტატისტიკური მონაცემების მიღება შესაბამისი უწყებების მხრიდან. მიუხედავად კანონით გათვალისწინებული ვალდებულებებისა, სტატისტიკური მონაცემების მოწოდება დაგვიანებით, არასრულყოფილი და არაამომწურავი სახით ხდებოდა. აღნიშნული ცხადყოფს, რომ შესაბამისი სტრუქტურების მიერ არ ხორციელდება მათი სათანადოდ დამუშავება. უნდა აღინიშნოს, რომ ანგარიშში წარმოდგენილი სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა სხვადასხვა წყაროდან მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე მოახდინა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2014 წელს, შსს სსიპ „112"–ის გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრში ოჯახში ძალადობის/კონფლიქტის შესახებ მიღებული შეტყობინებების რაოდენობა 9290–ს[1016] შეადგენს. თუმცა, აღნიშნული მონაცემები მხოლოდ პირველად ინფორმაციას წარმოადგენს, ხოლო ასეთ შეტყობინებებზე უფლებამოსილი სამსახურების მიერ განხორციელებული რეაგირების შედეგად შემთხვევის ადგილზე არსებული რეალური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის დამუშავება არ მომხდარა.

დამცავი მექანიზმების ეფექტურობის შესაფასებლად, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა საქართველოს საერთო და მაგისტრატი სასამართლოებიდან გამოითხოვა დამტკიცებული დამცავი და შემაკავებელი ორდერების სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც საქართველოს მასშტაბით გამოცემულია 87 დამცავი და 902 შემაკავებელი ორდერი, დამტკიცებაზე კი უარი ეთქვათ ან სხვა კანონით გათვალისწინებული მიზეზების გამო არ დამტკიცდა 4 დამცავი ორდერი და 17 შემაკავებელი ორდერი.

დამტკიცებული დამცავი და შემაკავებელი ორდერების დეტალური სტატისტიკა კი ასე გამოიყურება:

[1015]საქართველოს მთავრობის კანცელარია; წერილი #38030; 11/11/2014.

[1016] მონაცემები მოიცავს 2014 წლის დეკემბერი – ოქტომბრის მონაცემებს/ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო / #2376761 ; 24/11/2014.





ასევე, საინტერესოა შემაკავებელი და დამცავი ორდერის პირობების დარღვევის ფაქტებზე შესაბამისი სამსახურების რეაგირება. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული დანაყოფების მონაცემების თანახმად, 2014 წელს, 10 თვის მონაცემებით საქართველოს სსკ 175[2] მუხლის პირველი ნაწილით, რეგისტრირებულია 39 სამართალდარღვევა, მეორე ნაწილით – 15 სამართალდარღვევა[1017]. ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381[1] მუხლით (დამცავი ან შემაკავებელი ორდერით

[1017] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; #176433 / 26.01.15.

გათვალისწინებული მოთხოვნების ან/და ვალდებულებების შეუსრულებლობა) სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო ხუთი[1018] პირის მიმართ. გენდერული ნიშნით დიფერენცირებული სტატისტიკური მონაცემები, შემაკავებელი ორდერისთვის შემდეგნაირია:



რაც შეეხება ოჯახში ძალადობის ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი მექანიზმების გამოყენების სტატისტიკას, საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს სსკ 126[1] მუხლით – ოჯახში ძალადობა - სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო 17 პირის მიმართ, ხოლო სსკ 11[-1]–126[1] მუხლების მიხედვით - 333 პირის მიმართ. სულ რეგისტრირებულია 495 ოჯახში ძალადობის შედეგად დაზარალებული პირი[1019]. ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად სსკ 11[1]–126[1] მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისთვის გამოძიება დაიწყო 480 საქმეზე, ხოლო სსკ 126[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის 44 საქმეზე, აღნიშნული მუხლებით დევნა დაიწყო 479 მამაკაცისა (აქედან ერთი არასრულწლოვანი) და 37 ქალის მიმართ, ხოლო დაზარალებულად ცნობილი იქნა 525 ქალი, აქედან 32 არასრულწლოვანი, 135 მამაკაცი, აქედან 18 არასრულწლოვანი.[1020]

[1018] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; # 564736 / 16.03.15.
[1019] საქართველოს მთავარი პროკურატურა; #13/79703 / 23.12.2014.
[1020] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; #541888/ 12.03.2015.



<u>დაცვისა და დახმარების მექანიზმები</u>

ოჯახში ძალადობის პრობლემა საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას და თემატური უწყებების ეფექტურ ჩართულობას. სამწუხაროდ, არაერთი რეკომენდაციის მიუხედავად, კვლავ ღიად რჩება სოციალურ მუშაკთა როლი ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირებისათვის. პრობლემის არსიდან გამომდინარე კი სამართალდამცავ უწყებათა ჩართულობა ყოველთვის არაა საკმარისი და საჭიროებს სპეციალისტთა დახმარებას.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ძალიან ზუსტი ინსტრუქცია, თუ რა ღონისძიებები უნდა იქნას გამოყენებული სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ოჯახში ძალადობის ფაქტზე რეაგირების დროს, საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა მნიშვნელოვანი ტენდენციები, რომელიც კანონით გათვალისწინებული მოქმედებების არაჯეროვან შესრულებაზე მიგვანიშნებს.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი რიგი შემთხვევებიდან დგინდება, რომ ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირების დროს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ გამოყენებულ იქნა ხელწერილი, ასეთ ფორმას კი საერთოდ არ ითვალისწინებს ძალადობისგან დასაცავად არსებული სამართლებრივი მექანიზმები. შესწავლილმა შემთხვევებმა აჩვენა, რომ ხელწერილი სრულიად არაეფექტური საშუალებაა და ვერ უზრუნველყოფს მსხვერპლის დაცვას, რადგან არ აქვს თანმდევი სამართლებრივი შედეგები, ამასთანავე, ის ვერ უზრუნველყოფს განმეორებითი ძალადობის პრევენციას, ან მომხდარის შემთხვევაში მოძალადის პასუხიმგებლობის დაყენებას.

აღსანიშნავია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაწეული სამუშაო პოლიციელთა გადამზადებისათვის, ასევე ყველა განყოფილებაში ოჯახში ძალადობის

საკითხებზე პასუხისმგებელ პირთა გამოყოფა, თუმცა მნიშვნელოვანია ინსტიტუციონალიზაცია და სპეციალური სტრუქტურული ერთეულის შექმნა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე. ამ მხრივ მისასალმებელი იქნება სახალხო დამცველის პრაქტიკის გაზიარება, როდესაც გენდერული თანასწორობის საკითხებზე სპეციალური დეპარტამენტი შეიქმნა.

მნიშვნელოვანია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად ოჯახში ძალადობის პრევენციის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების ღონისძიებებში ჩართული იყოს სოციალური მუშაკის ინსტიტუტი. „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სოციალურ მუშაკთა პასუხისმგებლობის ძალაში შესვლის თარიღად 2015 წლის 1 სექტემბერი განისაზღვრა. თუმცა რესურსების სიმცირიდან გამომდინარე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო არ გეგმავს ძალადობის საკითხებზე სპეციალიზირებული სოციალური მუშაკების დამატებას, იგეგმება უკვე არსებული რესურსების გადამზადება ოჯახში ძალადობის საკითხებზე და რამდენიმე ათეული პირის დამატება. უნდა აღინიშნოს, რომ სოციალურ მუშაკთა არსებული ვალდებულებებისა და საკითხების სპექტრი ძალიან ფართოა, მათი რაოდენობა და რესურსები კი – მცირე. შესაბამისად, დამატებითი გაძლიერების გარეშე ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე მათი მუშაობა არაეფექტური იქნება.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა სასამართლოებიდან მიღებული 2014 წელს დამტკიცებული დამცავი და შემაკავებელი ორდერების დამუშავების საფუძველზე, მოახდინა დამცავი მექანიზმების პირველადი შეფასება. შეფასების მიხედვით იკვეთება, რომ ოჯახში ძალადობის ფაქტების მიხედვით, ყველაზე ხშირად, პარტნიორის მხრიდან ძალადობის ფაქტები გვხვდება. თუმცა, ასევე ხშირია ყოფილი პარტნიორის მხრიდან ძალადობის შემთხვევები. შემაკავებელი ორდერების მიხედვით სტატისტიკური მონაცემები ასე გამოიყურება:



როგორც ზემოთ აღინიშნა, ქალების მიმართ გამოცემული ორდერები მნიშვნელოვნად მცირეა და მოძალადეები ძირითადად მამაკაცები არიან.

დამცავი და შემაკავებელი ორდერების ანალიზის შედეგად ჩანს, რომ ყველაზე ხშირად მათი გამოცემა ხდება ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის ერთობლივად არსებობის დროს (სულ 881) ყველაზე იშვიათად კი სექსუალური ძალადობის შემთხვევების შეტყობინება ხდება, ამ ფორმის ძალადობაზე მხოლოდ 7 შემაკავებელი ორდერია გამოცემული.

თვალშისაცემია შემაკავებელი და დამცავი ორდერების შეფარდება, ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირების დროს გამოცემული შემაკავებელი ორდერები 91%–ით აღემატება დამცავი ორდერების რაოდენობას (შეფარდებაში 9%).

თავისთავად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შემაკავებელი ორდერის ვადის გასვლის შემდეგ, ყველას არ აქვს უფრო ხანგრძლივი დამცავი მექანიზმების გამოყენების სურვილი, თუმცა ამდენად განსხვავებულ მაჩვენებელს მექანიზმების (ორდერების) გამოცემისა და დამტკიცების წესები განაპირობებს. შემაკავებელი ორდერი საპატრულო პოლიციის მიერ მსხვერპლის დასაცავად განხორციელებული პროაქტიული ღონისძიებაა, რომელსაც მათ კანონი ავალდებულებს, ხოლო დამცავი ორდერის მოსაპოვებლად პირმა თავად (ან დამხმარე პირების მეშვეობით) უნდა მიმართოს სასამართლოს. ამ პროცედურის არსებობის შესახებ ბევრმა მოქალაქემ არც კი იცის. მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება აღნიშნული მიმართულებით კიდევ უფრო გააძლიერებდა მსხვერპლთა დაცვასა და პრევენციული ღონისძიებების დანერგვას.

ქალთა მკვლელობები

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი ახორციელებდა ქალთა მკვლელობების შემთხვევების მონიტორინგს. საქართველოში 2014 წელი განსაკუთრებული სიმწვავით გამოირჩეოდა ქალთა მკვლელობების რიცხოვნობიდან გამომდინარე. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად[1021], 2014 წელს ქმრის, ყოფილი ქმრის, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირის (პარტნიორის) მიერ მოკლულია 13 ქალი, (სსკ 108, 109, 117 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული), ასევე დაფიქსირდა მამამთილის მიერ რძლის მკვლელობის ერთი და შვილის მიერ დედის მკვლელობის ორი შემთხვევა. სულ ოჯახში ქალის მიმართ ჩადენილია – 17 მკვლელობა. საქართველოს სსკ 108–109 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული (არა ოჯახურ გარემოში) ჩადენილია 17 ქალის მიმართ.

საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად[1022], მომხდარი 17 დანაშაულებრივი ფაქტიდან სასამართლო განხილვა დასრულდა 9 საქმეზე, ხოლო 3 საქმეზე არსებითი განხილვა მიმდინარეობს. 5 საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა სხვადასხვა საფუძვლით (ერთი – ბრალდებულის გარდაცვალებით, ორი – ბრალდებულის თვითმკვლელობით და ორი – ბრალდებულის შეურაცხადობით).

2014 წელს მოკლულია 33 ქალი, თუმცა მონაცემების არქონის გამო შეუძლებელია ზოგიერთ შემთხვევაში გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის იდენტიფიცირება. 2014 წელს მოკლულ ქალთა 49% ოჯახში ძალადობის შედეგად არის გარდაცვლილი, როგორც სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს ქალთა მკვლელობების ყველაზე მაღალი რიცხვი პარტნიორულ ურთიერთობებში ფიქსირდება. სამწუხაროდ, არ ხერხდება ქალთა თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტების დათვლა, რადგან, როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან გვაცნობეს[1023], დანაშაულის ფაბულაში ყოველთვის არ არის დეტალურად მითითებული დანაშაულის გარემოებანი, მათ შორის მსხვერპლის მონაცემები, ხოლო საქართველოს სსკ 115–ე მუხლით (თვითმკვლელობამდე მიყვანა) გათვალისწინებული რეგისტრირებული დანაშაული წარმოადგენს მონაცემთა დიდ მოცულობის მასივს, ამიტომ მათი დეტალური დამუშავება ვერ ხდება.

ხშირად, ძალადობის ფაქტის შესახებ საზოგადოებისთვის ცნობილია, თუმცა, ერიდება სამართალდამცავების ინფორმირებას და მსხვერპლს ამით მოძალადის პირისპირ ტოვებს. სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება ქალთა უფლებების საკითხში კიდევ ერთი აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ მოხდეს პრევენცია და ტრაგიკული შემთხვევების შემცირება.

[1021] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; #541888/ #541934 / 12.03.2015.
[1022] საქართველოს მთავარი პროკურატურა; #13/16016; 17/03/2015.
[1023] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; #541934 / 12.03.2015.

ჯერჯერობით, პრაქტიკიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყოველი კონკრეტული მკვლელობის შემთხვევასთან დაკავშირებით, რომელიც გახმაურდა მედიასაშუალებების მეშვეობით, საზოგადოება მსხვერპლის ბრალეულობაზეც კი საუბრობდა და რიგ შემთხვევებში ამართლებდა კიდეც მოძალადეს. ძალადობის მოტივიც, ძირითადად, გენდერული უთანასწორობის შედეგად არის წარმოქმნილი. ყოფილი ქმრების მხრიდან მკვლელობების შემთხვევაში, საუბარი იყო ეჭვიანობაზე და მამაკაცის ღირსების დაცვაზე, იმ დროს, როდესაც არავინ საუბრობს ქალთა უფლებებზე და მათი თავისუფლად არსებობის პირობებზე.

შესწავლის პროცესში გამოიკვეთა ორი შემთხვევა, როდესაც გარდაცვალებამდე მსხვერპლს მიმართული ჰქონდა სამართლადამცავი ორგანოებისთვის ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით, თუმცა, მათი მხრიდან სათანადო რეაგირება არ განხორციელებულა. ასევე დაჭრის ერთი შემთხვევა, როდესაც პოლიციისადმი მსხვერპლს მიმართული ჰქონდა. მომხდარმა ტრაგიკულმა შემთხვევებმა ნათლად დაგვანახა, თუ რა შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს დამცავი მექანიზმების უგულებელყოფამ და ძალადობის ფაქტის შესახებ შეტყობინების შესაბამისი რეაგირების გარეშე დატოვებამ. აუცილებელია ინტენსიური მუშაობა იმისათვის, რომ ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე რეაგირება კიდევ უფრო გააქტიურდეს და სამართალდამცავმა ორგანოებმა გააცნობიერონ თავიანთი პასუხისმგებლობა მსხვერპლთა დაცვასთან დაკავშირებით.

მ.წ-ს საქმე

16 ოქტომბერს მ.წ. ყოფილმა ქმარმა ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა და შემდეგ თავი მოიკლა. მ.წ.-ს მიმართ ქმრის მუდმივ ძალადობასთან დაკავშირებით პოლიცია საქმის კურსში იყო. დაზარალებულმა ორჯერ მიმართა სამართალდამცავებს დაცვის ღონისძიებების გატარებისათვის, თუმცა ორივე შემთხვევაში მხოლოდ გაფრთხილებითა და ხელწერილით შემოიფარგლნენ. შემაკავებელი ორდერი გამოცემული არ ყოფილა.

თ.მ-ს საქმე

2014 წლის 20 მაისს, ყოფილმა ქმარმა 52 წლის თ.მ. ცივი იარაღით მკლავისა და გულ-მკერდის არეში დაჭრა. აღნიშნულ ფაქტამდე 2014 წლის 5 მაისს მოქალაქე თ.მ-მ განცხადებით მიმართა შსს გორის რაიონულ სამმართველოს მის მიმართ ე.მ-ს მიერ ცივი იარაღით განხორციელებული მუქარის ფაქტთან დაკავშირებით. ხსენებულის თაობაზე, შსს-ს არ განუხორციელებია ქმედითი ღონისძიებები, რაც გამოიხატება შემაკავებელი ორდერის გამოცემაში. მიმართვიდან 2 კვირაში მოხდა დანაშაული. შემაკავებელი ორდერი გამოცემული არ ყოფილა.

ს.ზ-ს საქმე

ს.ზ. ყოფილმა ქმარმა მოკლა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით. ს.ზ.-ს მიმართ პოლიციელი ქმრის მხრიდან ძალადობის ფაქტებზე არაერთხელ იყო გამოძახებული საპატრულო პოლიცია. არაერთი მიმართვის მიუხედავად დაცვის მექანიზმი არ გამოყენებულა.

აღსანიშნავია საგამოძიებო ორგანოების მხრიდან დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხი. 2014 წლის 15 მაისს, ყოფილმა ქმარმა ცეცხლსასროლი იარაღით რამდენჯერმე გაისროლა ყოფილი ცოლის ს.ზ.–ს და ცოლის ძმის თ.ზ.–ს მიმართულებით. ს.ზ. საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. აღნიშნულ საქმეზე ბრალდებულ ა.ც.–ს წარედგინა ბრალი სსკ–ს 11–117 მუხლის მე–8 ნაწილითა და 118–ე მუხლის I ნაწილით თ.ზ-სა და ს.ზ.–ს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე, რამაც გამოიწვია ს.ზ–ს სიცოცხლის მოსპობა. აღკვეთის ღონისძიების სახით ა.ც.–ს შეეფარდა პატიმრობა. ჩადენილი დანაშაულისათვის კვალიფიკაციის მინიჭება სახალხო დამცველის კომპეტენციას სცდება; თუმცა, ნათელია, რომ კვალიფიკაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ახალგაზრდა ქალის დაღუპვასთან დაკავშირებით ასეთი ინტერპრეტაცია, მოძალადის მიმართ ლოიალური დამოკიდებულების შთაბეჭდილებას ტოვებს.

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ საკითხის შესწავლა ცხადყოფს, რომ გენდერული ნიშნით მოტივირებული დანაშაულის განსაზღვრისა და შესაბამისად, კვალიფიკაციის პრაქტიკის არარსებობა მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ამ მიმართულებით კი საჭიროა სიღრმისეული კვლევა და ანალიზი. მომხდარი ძალადობრივი ფაქტების შედეგად იკვეთება, რომ დანაშაულის ჩადენა მოტივირებული იყო სწორედ გენდერული უთანასწორობით, ქალის გენდერულ როლზე არსებული შეხედულებითა და სტერეოტიპული დამოკიდებულებით. გამომდინარე აქედან მნიშვნელოვანია, რომ დაინერგოს გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობრივი ქმედებების შეფასებისა და ანალიზის პრაქტიკა.

თვითმკვლელობები

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა შეისწავლა ქალთა თვითმკვლელობის ის შემთხვევები, სადაც გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სისტემატიური ხასიათის ოჯახში ძალადობა გახდა შესაძლო მიზეზი. შესწავლის პროცესში გამოიკვეთა, რომ ხშირად, მათი, როგორც თვითმკვლელობამდე მიყვანის კვალიფიკაცია ვერ ხორციელდება, რადგან ძალადობის ფაქტები სამართალდამცავი ორგანოებისთვის გარდაცვალებამდე ცნობილი არ ხდება.

2014 წლის 19 მარტს საქართველოს სახალხო დამცველისთვის ცნობილი გახდა 16 წლის გოგონას თვითმკვლელობის ფაქტი, რომლის სავარაუდო მიზეზი მშობლების მხრიდან იძულებითი ქორწინებისგან თავის არიდება გახდა. შსს-ს თელავის რაიონულ სამმართველოში შეწყდა გამოძიება აღნიშნულ საქმეზე სისხლის სამართლის კანონით

გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო. მიუხედავად ამისა, საინფორმაციო საშუალებების თანახმად, ჩადენილი თვითმკვლელობის წინაპირობა ძალადობა ან იძულებითი ადრეული ქორწინება იყო.

2014 წლის 9 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველისთვის ცნობილი გახდა ხ.ჯ–ს თვითმკვლელობის შესახებ. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გარდაცვლილი მთელი სოფლის დასანახად ქმრის ნათესავებმა სასტიკად სცემეს, რის შემდეგაც მან თავი ჩამოიხრჩო. შსს–ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს კორესპონდენციით გვეცნობა, რომ ზემოაღნიშნულ საქმეზე სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო, 2014 წლის 28 სექტემბერს სისხლის სამართლის საქმეზე - ხ.ჯ–ს თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე შეწყდა გამოძიება. თუმცა, მედიასაშუალებების მეშვეობით გამოიკვეთა ფაქტები, რომლებიც გამოძიებისთვის აქამდე ცნობილი არ იყო. შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეზე კვლავ განახლდა გამოძიება, რომელიც დღემდე მიმდინარეობს.

2014 წლის 16 სექტემბერს, საქართველოს სახალხო დამცველისთვის ცნობილი გახდა 21 წლის გ.უ.–ს თვითმკვლელობის შესახებ. გავრცელებული ინფორმაციით, გარდაცვლილს სისტემატური კონფლიქტი ჰქონდა ქმართან, რომელიც მასზე ფიზიკურად ძალადობდა და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა. თბილისის ისანი–სამგორის სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე - გ.უ.–ს თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე. გამოძიების თანახმად, ოჯახში ძალადობის ფაქტებს ადგილი არ ჰქონია. ამასთანავე, გარდაცვლილის ან მისი ნათესავების მხრიდან პოლიციის რაიონულ განყოფილებაში ოჯახში ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით, რაიმე სახის შეტყობინება არ შესულა.

ზემოაღნიშნული და სხვა ჩვენ მიერ შესწავლილი თვითმკვლელობის შემთხვევები გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ქალთა მიმართ ძალადობის კიდევ ერთი უმძიმესი შედეგი თვითმკვლელობამდე მიყვანაა, ხოლო ყველაზე სამწუხარო ტენდენცია დანაშაულის ჩამდენის დასჯის სირთულეებია, ვინაიდან ფაქტების არარსებობის გამო გამოძიება წყდება. ისევ ვუბრუნდებით საზოგადოების დამოკიდებულებას ოჯახში ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით. ხშირად იკვეთება, რომ მეზობლებისა თუ ნათესავებისთვის ცნობილი იყო შესაძლო ძალადობის ფაქტების შესახებ; თუმცა, ისინი უარს აცხადებენ გამოძიებასთან თანამშრომლობაზე და დუმილს ირჩევენ. შედეგები, როგორც ნათელი გახდა, სავალალო შეიძლება აღმოჩნდეს. სწორედ ამიტომ, აუცილებელია გაგრძელდეს მუშაობა მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების კუთხით და დანაშაულის შეუტყობინებლობის შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები იქნას გამოყენებული იმ შემთხვევებში, სადაც იკვეთება, რომ პირისთვის ცნობილი იყო ძალადობის ფაქტი და უარს აცხადებს შესაბამისი სტრუქტურებისთვის ინფორმაციის მიწოდებაზე.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის არსებული სერვისების შეფასება

2014 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრებისა და ცხელი ხაზის მონიტორინგი განახორციელა. მონიტორინგი მიზნად ისახავდა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი სამი თავშესაფრისა და ცხელი ხაზის სერვისის შემოწმებას, არსებული მდგომარეობის შეფასებასა და იმ საჭიროებების გამოვლენას, რომელიც სერვისით მოსარგებლე პირებს შეიძლება ჰქონდეთ.

ძალადობის მსხვერპლთათვის სახელმწიფო თავშესაფრების შექმნა მნიშვნელოვნად აუმჯობესებს და ხელს უწყობს ოჯახში ძალადობისგან დაცვის მექანიზმებს. თუმცა, მიუხედავად წინ გადადგმული, პოზიტიური ნაბიჯებისა, ნათელია, რომ ასეთი ტიპის მომსახურებას მუდმივად ესაჭიროება დახვეწა. მონიტორინგი ჩატარდა სწორედ იმ ხარვეზებისა და შესაძლო დანაკლისების შესაფასებლად, რომელთა აღმოფხვრაც მომსახურების გაუმჯობესებას დაეხმარება.

მონიტორინგი ჩატარდა სამ სახელმწიფო თავშესაფარში: თბილისში, გორსა და ქუთაისში. გამოკითხულ იქნა ყველა, იმ დროისათვის თავშესაფარში მაცხოვრებელი სრულწლოვანი პირი. ასევე შედგენილი იყო სპეციალური გამოკითხვის ფურცელი დირექციისთვის, რომელიც ზოგადი ინფორმაციის მოგროვებისათვის იყო განკუთვნილი და გამოააშკარავა ის ხარვეზები თუ დადებითი ასპექტები, რომელიც მართვის პროცესში შეიძლება იჩენდეს თავს. ასევე მოხდა საცხოვრებლის ვიზუალური დათვალიერება და არსებულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

გადინება–შედინების სტატისტიკა

თავშესაფარში მოსახვედრად შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებია აუცილებელი: თავშესაფარში მიიღება ოჯახში ძალადობის ყველა მსხვერპლი/დაზარალებული, რომელსაც აქვს ასეთი საჭიროება. თავშესაფრების შინაგანაწესის თანახმად, ოჯახში ძალადობის მსხვერპლად ჩაითვლება ოჯახის წევრი, რომელმაც განიცადა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური ძალადობა ან იძულება და რომელსაც მსხვერპლის სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა ან/და სასამართლო ორგანომ (იგულისხმება დამცავი ან შემაკავებელი ორდერი) ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა ჯგუფმა, ასევე თავშესაფრების ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სასამართლო დადგენილების საფუძველზე, დაზარალებულად ცნობის შემთხვევაში, გორის თავშესაფარში ასეთი გადაწყვეტილების საფუძველზე ორი პირი იქნა მოთავსებული თავშესაფარში.

აღსანიშნავია 2014 წელს 2013 წელთან შედარებით 38%[1024] ნაკლებმა ადამიანმა ისარგებლა თავშესაფრით. 2014 წლის პირველი აპრილიდან მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფის მუშაობა დროებით შეჩერებული იყო, რაც აფერხებდა მსხვერპლთა თავშესაფარში მოხვედრას. თუ დავაკვირდებით 2013–2014 წლის თავშესაფარში მსხვერპლთა მიღების სამართლებრივი საფუძვლების სტატისტიკას, ცხადია, რომ საგრძნობლად გაიზარდა (175%–ით) შემაკავებელი ორდერით განთავსებულთა რიცხვი, თუმცა შემცირდა მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის მიერ მინიჭებული სტატუსის მქონე პირთა რაოდენობა (53%–ით). ნათელია, რომ ეს გარემოება სტატუსის მიმნიჭებელი ჯგუფის მუშაობის შეწყვეტამ განაპირობა.

მნიშვნელოვანია საპატრულო პოლიციის გააქტიურება და მათი მხრიდან კანონით გათვალისწინებული ზომების გამოყენება, ძალადობის შესაძლო ფაქტთან დაკავშირებით. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მხრიდან 2013 წლის მონაცემებთან შედარებით, 2014 წელს 175%–ით გაიზარდა შემაკავებელი ორდერის საფუძველზე მსხვერპლთა თავშესაფარში გადაყვანის შემთხვევები, რაც ძალიან კარგ ტენდენციაზე მიუთითებს, თუმცა ცხადია, რომ ამ მიმართულებით კიდევ ბევრი სამუშაოა შესასრულებელი. საქართველოს სახალხო დამცველმა შეისწავლა რამდენიმე საქმე, სადაც საპატრულო პოლიციამ ძალადობის შემთხვევის არსებობისას, კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების ნაცვლად კვლავ ხელწერილი გამოიყენა. ამასთან, მონიტორინგის დროს თითქმის ყველა რესპოდენტმა აღნიშნა, რომ თავშესაფარში მოხვედრამდე რამდენჯერმე მიმართა პოლიციას, როგორც პატრულს, ასევე უბნის ინსპექტორს და მათი მხრიდან მხარდაჭერა არ მიუღია, ხოლო შემაკავებელი ორდერი პირველივე გამოძახების დროს მხოლოდ ერთ შემთხვევაში გამოიწერა. დანარჩენებმა ხაზი გაუსვეს, რომ ძირითადად დამცინავი დამოკიდებულება იგრძნობოდა პოლიციის თანამშრომლების მხრიდან.

მიღებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ 2014 წელს თავშესაფრებში ბენეფიციართა რაოდენობის შემცირება უარყოფითი ტენდენციაა, რადგან ეს ფაქტი არა მსხვერპლთა ზოგადი რაოდენობის შემცირებამ, არამედ, პროცედურების მოუქნელობამ გამოიწვია, თუმცა ვინაიდან კომისიისა და სტატუსის მიმნიჭებელი ჯგუფის მუშაობა აღდგენილია, ვიმედოვნებთ, რომ კვლავ მოხდება სერვისის ყველა იმ პირისთვის მიწოდება, ვისაც აღნიშნული საჭიროება აქვს.

საყოფაცხოვრებო პირობები

თავშესაფრები კეთილსაიმედოდ არის მოწყობილი, ყველა მათგანში არის სისუფთავე და სითბო, ცხოვრებისათვის აუცილებელი პირობები. ოთახები კეთილმოწყობილია, გათვალისწინებულია ბავშვთა საწოლები, დაცულია სანიტარული ნორმები.

[1024] მონაცემები აღებულია 2013–2014 წლის მონაცემების შედარებით.

კანონის თანახმად, თავშესაფრების ადგილსამყოფელი კონფიდენციალურია და გამჟღავნება არ შეიძლება, რათა დაცული იყოს მსხვერპლთა უსაფრთხოება, აღნიშნული დარეგულირებულია თავშესაფრის დებულებით, მსხვერპლთა დაცვისათვის, ასევე აუცილებელია რკინის კარი და 24 საათიანი დაცვა. აღსანიშნავია, რომ რეგიონებში არსებული თავშესაფრების მისამართი ცნობილია ყველა დაინტერესებული პირისთვის, მათ ძალიან უჭირთ კონფიდენციალურობის შენარჩუნება პატარა ქალაქებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკიდან გამომდინარე. ამიტომ მიზანშეწონილია დაცვის ღონისძიებების გაძლიერება. ამასთან, გორის თავშესაფარს არ აქვს რკინის კარი, რაც სტანდარტებს ეწინააღმდეგება.

ქუთაისის თავშესაფარი ადაპტირებულია ეტლით მოსარგებლე შშმ პირთათვის, მას ერთი ასეთი ადამიანის მიღება შეუძლია, ადაპტირებულია როგორც ოთახი, ასევე სველი წერტილები და სასადილო, რაც დადებითი ფაქტია. თუმცა სხვა სახის შეზღუდვების მქონე პირებს (ფსიქიკური, მხედველობადაქვეითებული...) ვერც ერთი თავშესაფარი ვერ მიიღებს.

მომსახურე პერსონალი

მონიტორინგის დროს გორის თავშესაფარში დასაქმებული იყო 14 თანამშრომელი, ქუთაისში – 11, ხოლო თბილისში – 17 პირი. ყველას გავლილი აქვს გადამზადება ოჯახში ძალადობის თემასთან დაკავშირებით. თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები თავშესაფრების დებულებაში დეტალურად არის გაწერილი.

გორისა და ქუთაისის დაწესებულებებს არ ჰყავთ იურისტი, თუმცა იურიდიული კონსულტაციის საჭიროების წარმოშობის დროს დახმარებისთვის მიმართავენ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც უწევენ კონსულტაციას და საჭიროების შემთხვევაში იცავენ მსხვერპლების ინტერესებს სასამართლოში. ქუთაისის თავშესაფარში ასევე არ ჰყავთ სოციალური მუშაკი, „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრისა და ცხელი ხაზის ფუნქციონირების სახელმძღვანელო პრინციპების“ თანახმად, თავშესაფრის პერსონალის სავალდებულო შემადგენლობაში შედის: თავშესაფრის მენეჯერი, სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, მედ.პერსონალი-მედდა, მორიგე. თუმცა ვინაიდან ქუთაისის თავშესაფარმა ფუნქციონირება 2014 წლის მაისიდან დაიწყო და პერსონალი დაკომპლექტების პროცესშია, სავარაუდოა, რომ დასაქმებულთა ნუსხას სოციალური მუშაკის თანამდებობა უახლოეს პერიოდში დაემატება.

ძირითადი მიგნებები

მონიტორინგის შედეგებიდან დგინდება, რომ ძალიან მნიშვნელოვანია გადაიხედოს თავშესაფრებში პირთა მოთავსების ვადები, ვინაიდან ნათელია, რომ არსებულ პერიოდში

შეუძლებელია მსხვერპლთა რეაბილიტაციას და ფსიქო–სოციალურ ადაპტაციაზე საუბარი, არსებული ვადების პირობებში ვერ ხდება მათთვის იმ საკითხების მოგვარება, რომელიც თავშესაფრის დატოვების შემდეგ ცხოვრების გაგრძელებისათვის პირველად საჭიროებებს წარმოადგენს. შედეგების მიხედვით ისედაც ნათელია, რომ ვადის გაგრძელება თითქმის ყველა შემთხვევაში ხდება. მეტიც, ხშირია ვადის კანონით გათვალისწინებულ ხანგრძლივობაზე მეტად გაზრდაც, რაც თავის მხრივ რაციონალური გადაწყვეტილების საფუძველზე ხდება, რომ პირი არსებული ვითარებიდან გამომდინარე არ არის მზად დამოუკიდებლად ცხოვრებისთვის.

ასევე, გამოიკვეთა საკვებისა და მედიკამენტების მიწოდების საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები. კერძოდ, მცირეწლოვანი და ჩვილი ბავშვებისათვის მრავალფეროვანი მენიუს ნაკლებობა, რომელიც აუცილებელია მათი ჯანსაღი განვითარებისთვის, რესპოდენტებმა გამოთქვეს წუხილი, რომ არ აქვთ მრავალფეროვანი საკვების ყიდვის შესაძლებლობა, ხოლო თავშესაფრის ხელმძღვანელობა ბავშვთა კვების განსაკუთრებულობას არ ითვალისწინებს. რაც შეეხება მედიკამენტებით მომარაგებას, თავშესაფარი, ექიმის დანიშნულებით გამოწერილ მედიკამენტთა შესყიდვას სახელმწიფო შესყიდვების წესის შესაბამისად ახორციელებს, რაც დროში გაწერილი პროცედურაა და აფერხებს წამლების დროულ მიწოდებას. აუცილებელია ბენეფიციართა წამლებით უფრო ეფექტური მომარაგების წესის შემუშავება, რადგან ასეთი მოპყრობა ადამიანის უფლებათა დარღვევას წარმოადგენს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც მონიტორინგის შედეგებიდან გამოიკვეთა, თავშესაფარში ძიძის ან დედის დამხმარე პირის დაქირავების შესაძლებლობას შეეხება. იმისათვის, რომ შვილებთან ერთად მცხოვრებმა ძალადობის მსხვერპლმა პირებმა შეძლონ სამსახურის მოძებნა და სხვადასხვა პროგრამებში მონაწილეობა, აუცილებელია მათ ბავშვის თუნდაც მოკლე დროით დატოვების საშუალება ჰქონდეთ, მითუმეტეს, რომ სამსახურისა და გადამზადების კურსების არსებობა ამ ადამიანებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მატარებელია.

ცხელი ხაზი

მონიტორინგის დროს, ცხელ ხაზზე მუშაობდა 4 ადამიანი, რომლებიც მორიგეობით, ყოველ მეოთხე დღეს ენაცვლებოდნენ ერთმანეთს, თითო დასაქმებულის სამუშაო დრო გრძელდება 24 საათი, სერვისის ხასიათიდან გამომდინარე.

ცხელი ხაზის სამსახური მოიცავს შემდეგი ტიპის მომსახურებას: კრიზისული დახმარება, იურიდიული კონსულტაცია, ფსიქოლოგიური დახმარება, ინფორმირება, თავშესაფარსა თუ საკონსულტაციო ცენტრში გადამისამართება, ასევე აბონენტის თანხმობით პოლიციის ან საჭიროების შემთხვევაში სასწრაფო სამედიცინო სამსახურის გამოძახება.

იმ პირების მონაცემები, ვინც ცხელი ხაზზე რეკავს კონფიდენციალურია, ზარის დროს ხდება მხოლოდ სქესისა და ასაკის დაზუსტება, თუმცა რესპოდენტებმა აღნიშნეს, რომ უმრავლეს შემთხვევაში პირი თვითონ ასახელებს საკუთარ ვინაობას. საშუალოდ ერთი პირი 2–3–ჯერ მაინც რეკავს, იმისათვის, რომ მიიღოს სრული კონსულტაცია და საბოლოო გადაწყვეტილება ამა თუ იმ სერვისით სარგებლობაზე. თავშესაფრების მონიტორინგის დროს რამდენიმე პირმა აღნიშნა, რომ სწორედ ცხელი ხაზის მეშვეობით შეიტყო თავშესაფრის შესახებ და მიიღო ინსტრუქცია, თუ რა რეგულაციების გავლა იყო საჭირო იქ მოსახვედრად.

2014 წელს ცხელ ხაზზე შემოსული ზარების მთლიანი რაოდენობა იყო 766, აქედან 659 – ქალის, ხოლო 107 კაცის მიერ იქნა განხორციელებული. აღსანიშნავია, რომ ის ოთხი ადამიანი, რომლებიც ზარებს პასუხობენ, უცხო ენებს არ ფლობენ, შესაბამისად ნაკლებად სავარაუდოა მათ არაქართულენოვანი პირების კონსულტირება შეძლონ.

2013–2014 წლების მანძილზე ცხელი ხაზის მეშვეობით ყველაზე ხშირად ფიზიკური ძალადობის ფაქტები იქნა დაფიქსირებული, შეტყობინებების სიხშირის მიხედვით, შემდეგი არის ფსიქოლოგიური ძალადობა, რასაც მოსდევს სექსუალური და ეკონომიკური ძალადობა და ბოლოს – იძულება. ყველაზე ხშირად ძალადობის ფაქტის შეტყობინების მიზნით რეკავენ ქალები, შემდეგ მეზობლები ან ნათესავები, ხოლო მამაკაცები და ბავშვები ძალიან იშვიათად მიმართავენ ამ მომსახურებას. ზარების ხანგრძლივობა შეზღუდული არ არის.

ცხელი ხაზის თანამშრომლებისთვის რამდენჯერმე ჩატარდა შიდა ტრენინგები, დასაქმებულები პროფესიით იურისტები არიან.

ცხელი ხაზის სრული მონიტორინგისათვის აუცილებელია ზარების შემოწმება ე.წ. მისტიური მომხმარებლის მეთოდის გამოყენებით იმისათვის, რომ პრაქტიკაში შემოწმდეს ზარებზე მოპასუხეთა კვალიფიკაცია და კონსულტირების ეფექტურობა.

ადრეულ ასაკში ქორწინება

ადრეულ ასაკში ქორწინება არის რეგისტრირებული ან არარეგისტრირებული კავშირი ორ ადამიანს შორის, რომელთაგან ერთ–ერთს ჯერ არ მიუღწევია სრულწლოვანების ასაკისთვის. ადრეულ ასაკში ქორწინება არღვევს ბავშვის ჯანმრთელობის, განათლების, თანასწორობის, ძალადობისა და ექსპლუატაციისგან თავისუფალ გარემოში ცხოვრების უფლებას. ეს უფლებები დაცულია გაეროს ადამიანის უფლებათა დეკლარაციით, ბავშვის უფლებათა კონვენციითა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციით.

მთელს მსოფლიოში მცხოვრები 700 მილიონზე მეტი ქალი დაქორწინებულია არასრულწლოვან ასაკში, დაახლოებით 250 მილიონი კი 15 წელსაც არ იყო მიღწეული. გოგონები, რომლებიც 18

წლის ასაკამდე თხოვდებიან, ხშირ შემთხვევაში აღარ აგრძელებენ სკოლაში სიარულს და წყვეტენ განათლებას, ისინი ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მაღალი რისკის ჯგუფს განეკუთვნებიან. ცნობილია, რომ არასრულწლოვან გოგონათათვის ორსულობა და მშობიარობა მრავალი რისკის შემცველია, გამომდინარე იქიდან, რომ მათი ორგანიზმი ხშირად არ არის მზად ასეთი დატვირთვისთვის, 15–19 წლამდე პირთა შორის მშობიარობის გამო გარდაცვალების შესაძლებლობა ორჯერ უფრო დიდია ვიდრე 19 წელს გადაცილებული პირებისათვის. რისკის ჯგუფს განეკუთვნება როგორც ორსული არასრულწლოვანი პირები ასევე მათი ახალშობილი შვილები. კვლევების თანახმად ასეთ ახალშობილებს ხშირად ახასიათებთ წონის ნაკლებობა და სხვა ჯანმრთელობისთვის საშიში პრობლემები.[1025]

საქართველოში 18 წელს მიუღწეველ პირთა შორის ქორწინება 14%–ს შეადგენს, 15 წელს მიუღწეველ პირთა შორის კი 1%[1026]. თუმცა, ზუსტი მონაცემები დათვლილი არ არის, რადგან სკოლებსა თუ სხვა დაინტერესებულ უწყებებში სკოლის მიტოვებისა და არასრულწლოვანთა ქორწინების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება არ წარმოებს.

აღსანიშნავია, რომ 2014 წლის ბოლოს განხორციელდა ცვლილება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, რომლის თანახმადაც 150[1] მუხლი – ქორწინების იძულება ჩაემატა, რითაც მისი კრიმინალიზაცია მოხდა. თუმცა, აღნიშნული ცვლილება ძალაში მხოლოდ 2015 წლის პირველი აპრილიდან შევა. ასევე მისასალმებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებული ცვლილება, რომლის მიხედვითაც სკოლის მიტოვების შემთხვევაში მიეთითება მიტოვების საფუძველი.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის მიერ 2014 წელს, სხვა მნიშვნელოვან შემთხვევებთან ერთად, არასრულწლოვან გოგონათა ადრეულ ასაკში ქორწინებისა და მოტაცების არაერთი შემთხვევა იქნა შესწავლილი. ასევე მოხდა შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების მიერ ამ მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებებისა თუ საქმიანობის მონიტორინგი.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ აღნიშნული საკითხის შესწავლა ცხადყოფს, რომ მთავარ გამოწვევას საზოგადოების ცნობიერების დაბალი დონე და სერვისების არაეფექტური მიწოდება წარმოადგენს.

[1025] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ–გვერდზე: http://www.cfr.org/peace-conflict-and-human-rights/child-marriage/p32096?cid=ppc-Google-grant-infoguide_child_marriage-understanding_ad&gclid=CjwKEAjw56moBRD8_4-AgoOqhV4SJADWWVCctba3hsxexTq-yNGGBQtPCj3C-kyPiuwaxFfnZPbOFRoCBgHw_wcB#!/ > [ბოლოს ნანახია 2015 წლის 15 მარტს]

[1026] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ–გვერდზე: < http://www.cfr.org/peace-conflict-and-human-rights/child-marriage/p32096?cid=ppc-Google-grant-infoguide_child_marriage-understanding_ad&gclid=CjwKEAjw56moBRD8_4-AgoOqhV4SJADWWVCctba3hsxexTq-yNGGBQtPCj3C-kyPiuwaxFfnZPbOFRoCBgHw_wcB#!/> [ბოლოს ნანახია 2015 წლის 15 მარტს]

გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა საკითხის სიღრმისეულად შესწავლის მიზნით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, საინფორმაციო შეხვედრები მოაწყო. შეხვედრები მიზნად ისახავდა ადრეულ ასაკში ქორწინების შესახებ ინფორმაციის მოგროვებას, მისი გამომწვევი მიზეზებისა და თანმდევი პრობლემების ადგილზე გაცნობას. ვიზიტების ფარგლებში გასაუბრება მოხდა როგორც პედაგოგებთან თუ სხვა სერვისის მიმწოდებელ სტრუქტურებთან, ასევე, სკოლის მოსწავლეებთან. ზოგადი დასკვნის სახით შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ძირითადი პრობლემა, რომელიც ადრეულ ასაკში ქორწინებას უკავშირდება: მოსახლეობას და მათ შორის ბავშვებს არ აქვთ სათანადო ინფორმაცია იძულებითი ქორწინების კანონსაწინააღმდეგო ხასიათის შესახებ, დღემდე მოქმედებს პრინციპი „ოჯახის საქმე“, რომელში ჩარევასაც თავს არიდებენ სხვადასხვა დაინტერესებული პირები. პასუხისმგებლობას არ გრძნობენ პედაგოგებიც, რომლებიც ფაქტის შეტყობის შედეგად არ მოქმედებენ კანონით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად, მეტიც, შეხვედრაზე დამსწრე მასწავლებელთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ არც კი იცოდა ასეთი ვალდებულებების არსებობის შესახებ.

შესაბამისად, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ერთ–ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია ადრეულ ასაკში ქორწინებასთან ბრძოლის დროს. ამასთან, აუცილებელია კანონით განსაზღვრული ყველა დაინტერესებული სტრუქტურის ჩართულობა და გაწერილი ინსტრუქციების შესრულება. ასევე, გამოიკვეთა ინფორმაციის ნაკლებობის პრობლემა რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და კონტრაცეფციის საშუალებების შესახებ. შეხვედრების შედეგებიდან გამომდინარე ირკვევა, რომ ადრეულ ასაკში ქორწინების ერთ–ერთი განმაპირობებელი ფაქტორი ორსულობაა, რომლის მიღებულ ჩარჩოებში მოქცევის მიზნით ახალგაზრდები (16 წელს მიუღწეველი პირებიც კი) ქორწინდებიან. ქვეყანაში არსებული ვითარებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია არასრულწლოვან პირთათვის რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა თუ კონტრაცეფციის საშუალებებზე ინფორმაციის მიწოდება, რათა შესაძლებლობა ჰქონდეთ სწორად გააანალიზონ მოსალოდნელი შედეგები და შეაფასონ მათ წინაშე მდგარი რისკები.

ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტმა საქართველოს მე–4 და მე–5 გაერთიანებული ანგარიშის განხილვის შემდეგ მომზადებულ რეკომენდაციებში ხაზი გაუსვა ადრეულ ასაკში ქორწინების პრობლემას და მოუწოდა სახელმწიფოს, რომ სამოქალაქო კოდექსში შეიტანოს შესაბამისი ცვლილება, რომლის მიხედვითაც 16–დან 18 წლამდე პირთა ქორწინება შესაძლებელი იქნება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით.[1027]

შემთხვევათა მართვა

[1027] დასკვნითი დებულებები საქართველოს მეოთხე და მეხუთე კომბინირებული პერიოდული ანგარიშების შესახებ; ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტი.

ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევები განხილული უნდა იქნას როგორც ძალადობა. „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში: რეფერირების პროცედურები) 2010 წლის 31 მაისის ბრძანებაში დეტალურად არის გაწერილი საქართველოს შინაგან საქმეთა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერებისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების მოვალეობები და ვალდებულებები, როდესაც ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევა წარმოიშობა. თუმცა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მუშაობის შედეგები ცხადყოფს, რომ ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევებთან დაკავშირებით რეფერირების პროცედურით გათვალისწინებული საკითხები თითქმის არ სრულდება.

როგორც უკვე აღინიშნა, ადრეულ ასაკში ქორწინების პრევენციის ერთ–ერთ მნიშვნელოვან რგოლს პედაგოგები წარმოადგენენ, რომელთა ვალდებულებაშიც ფაქტის შეტყობის შემდეგ შესაბამისი სტრუქტურების ინფორმირება შედის. გასაუბრებიდან ირკვევა, რომ პედაგოგების აზრით, რისკის ჯგუფის ბავშვთა იდენტიფიცირება და შესაბამისი სტრუქტურების ინფორმირება სცდება მათ კომპეტენციას და ისინი ვერ ჩაერევიან ოჯახში, სკოლის გარეთ არსებულ საკითხებში. ასევე, ასეთი ჩარევის შემთხვევაში არ აქვთ კონფიდენციალობის შენარჩუნების იმედი, რაც საბოლოოდ მათ პასიურობას იწვევს. ასეთი მოქმედებებით უგულვებელყოფილია რეფერირების მექანიზმი და პედაგოგები კანონით დაკისრებული მოვალეობის შესრულებაზე ამბობენ უარს[1028].

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის[1029] თანახმად, 2014 წლის განმავლობაში მათ ადრეულ ასაკში ქორწინების არცერთი შემთხვევის შესახებ არ მიუღიათ შეტყობინება სკოლებიდან ან შინაგან საქმეთა სამინისტროდან. ხოლო იმ რამდენიმე ფაქტის შესწავლა, რაც მათ მიერ განხორციელდა, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიმართვის შედეგად გახდა ცნობილი, 1 შემთხვევის შესახებ კი – საავადმყოფოდან ეცნობათ.

რეფერირების პროცედურების შესაბამისი სტრუქტურების მხრიდან უგულებელყოფას ცხადყოფს საქართველოს სახალხო დამცველის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის პრაქტიკაც:

2014 წლის 21 თებერვალს ქუთაისში მ.ს.–ს რამდენიმე დღით გაუჩინარების შემთხვევა, რომელზეც დაიწყო სისხლის სამართლის საქმის გამოძიება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 140–ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის წინააღმდეგ. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2014 წლის 13 მაისის წერილის თანახმად, მ.ს.-ს გაუჩინარების ფაქტის შესახებ ინფორმაცია სამართალდამცავი უწყებების მხრიდან არ იყო

[1028] საინფორმაციო შეხვედრა სამცხე–ჯავახეთის რეგიონში; 13/03/2015

[1029] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; წერილი #04/16119; 09/03/2015

მიწოდებული და მათ აღნიშნული ფაქტის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წერილიდან შეიტყვეს;

ასევე, 2014 წლის 7 მაისს საქართველოს სახალხო დამცველისთვის ცნობილი გახდა ლაგოდეხის რაიონში ხ.უ.–ს გატაცებისა და გაუპატიურების საქმე. გოგონას გამტაცებელმა უკანონოდ აღუკვეთა თავისუფლება და ძალის გამოყენებით დაამყარა მასთან სქესობრივი კავშირი. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ორი პირი იქნა დაკავებული და მათ აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ, ხოლო მესამე პირის მიმართ გამოცხადდა ძებნა. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ლაგოდეხის რაიონული განყოფილების 2014 წლის 28 მაისის წერილის თანახმად, მათ ხ.უ.-ს საქმის შესწავლა დაიწყეს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ გაგზავნილი კორესპონდენციის საფუძველზე, ხოლო მანამდე არ ჰქონდათ ინფორმაცია მომხდარზე.

2014 წლის 10 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის ცნობილი გახდა მარნეულის რაიონში მცხოვრები ს.გ.–ს თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის საქმე, რომელზეც დაიწყო გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143–ე მუხლის მე–3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მარნეულის რაიონული განყოფილების მიერ 2014 წლის 24 აპრილს მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, მათ ხსენებულ ფაქტთან დაკავშირებით ცნობები არ მიუღიათ.

ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევასთან დაკავშირებით, კანონით დადგენილი წესის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატიდან ეცნობა მეურვეობისა და მზრუნველობის ტერიტორიულ ორგანოებს, რათა მათ მოეხდინათ შესაბამისი რეაგირება და დაეცვათ არასრულწლოვანთა ინტერესები. თუმცა, გამოიკვეთა შემდეგი ტენდენცია, რომ არც ერთ ჩამოთვლილ შემთხვევაში, საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოები არ აწვდიდნენ ინფორმაციას სოციალური მომსახურების სააგენტოს შესაბამის სამსახურებს და მათთვის შემთხვევის შესახებ მხოლოდ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიწოდებული ინფორმაციის შედეგად ხდებოდა ცნობილი.

სერვისები ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი პირებისთვის

2014 წლის მანძილზე სხვადასხვა საქმეების შესწავლისას არაქართულენოვანი პირებისთვის სერვისის მიწოდების ხარვეზები გამოიკვეთა. როგორც ირკვევა, ადგილობრივ სოციალური მომსახურების სააგენტოებს რიგ შემთხვევებში არ აქვთ თარჯიმნის დაქირავების შესაძლებლობა. კერძოდ, ეთნიკურ უმცირესობათა თემში, როდესაც საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, საჭირო ხდება უცხო ენაზე მოლაპარაკე პირთან პირისპირ გასაუბრება. ერთ–

ერთი ასეთი შემთხვევის მაგალითი იყო გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის მიერ შესწავლილი ხ.უ–ს საქმე:

25 მარტს ხ.უ სკოლიდან სახლში დაბრუნებისას ქუჩიდან მოიტაცეს სოფელ კ.–ში მცხოვრებმა ა.ი–მ და მისმა მეგობრებმა. გოგონა ავტომანქანაში ძალის გამოყენებით ჩასვეს და წაიყვანეს ლაგოდეხის რაიონის სოფელ ჭიაურის ტყეში, სადაც ჰყავდათ 2 დღე. ა.ი–მ ხ.უ.–სთან , ძალის გამოყენებით, დაამყარა სქესობრივი კავშირი.

შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სააგენტოსათვის სოფელ კ–ში მცხოვრებ აზერბაიჯანულ თემთან ურთიერთობის პრობლემას ენობრივი ბარიერი წარმოადგენს. ხ.უ.–ს ოჯახთან სტუმრობისას, სააგენტოს თანამშრომლებს სოფელში აზერბაიჯანული და ქართული ენის მცოდნე სანდო პირის პოვნა გაუჭირდათ. პირი, რომელიც მათ დაეხმარა, ქართულად კარგად ვერ ლაპარაკობდა. სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლებმა მოუსმინეს ხ.–ს ძმას - კ.უ–ს, რომელიც მათ ხ–ს მდგომარეობის შესახებ ესაუბრა.

სოციალური მომსახურების სააგენტოს წერილში ვკითხულობთ: „ორი თარჯიმნის დახმარების მიუხედავად, გაჭირდა ხ.უ–სთან გულღია და პირდაპირი საუბარი. მასთან და მის ოჯახთან რამდენიმე საათიანი შეხვედრების შედეგად, შეძლებისდაგვარად, ჩავწვდით ბავშვის ემოციებს და ოჯახის წევრების დამოკიდებულებას მისდამი“.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში საქმისწარმოება დაიწყო 2014 წლის 7 მაისიდან. სოციალური მომსახურების სააგენტოდან მიღებული ინფორმაციით, მართალია გვეცნობა, რომ დაუბრკოლებლად ხდება მომსახურების გაწევა, თუმცა ფაქტია, რომ 7 თვის განმავლობაში არ ჩატარებულა გაუპატიურების მსხვერპლი მოზარდის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამა.

არსებულმა ვითარებამ ნათელი გახადა, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს უძნელდება კანონით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება ისეთ რეგიონებში, სადაც ეთნიკური უმცირესობები ცხოვრობენ, ვინაიდან ენის ბარიერი საგრძნობლად აფერხებს მუშაობის პროცესს და ასევე, განაპირობებს სერვისების ნაკლებობას. შედეგად კი ზარალდება ისეთი მოწყვლადი ჯგუფი, როგორიც ძალადობის მსხვერპლი ბავშვებია. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველმა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეკომენდაციით მიმართა.

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)

გენდერული ნიშნით ძალადობის ერთ-ერთი ფორმის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) განხილვისას, საქართველოს წინაშე მდგარი მნიშვნელოვანი გამოწვევაა სექსტრეფიკინგი.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2014 წლის ანგარიშის მიხედვით[1030], სახელმწიფო სრულად ვერ ასრულებს ტრეფიკინგის აღმოფხვრის მინიმალურ სტანდარტს; არსებობს პრობლემები შემთხვევათა იდენტიფიცირებისა და მასში ჩართულ პირთა გამოვლენის მიმართულებით. ანგარიშის მიხედვით, გოგონები და ქალები საქართველოდან არიან სექსტრეფიკინგის მსხვერპლნი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. ჩართულნი არიან იძულებით პროსტიტუციაში ისეთ ტურისტულ ადგილებში, როგორიცაა ბათუმი და გონიო. თუმცა, ასეთ შემთხვევებზე სახელმწიფო რეაგირების ღონისძიებები არასაკმარისია.

მისასალმებელია ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში განხორციელებული ინიციატივები, საზოგადოების თუ სერვისის მიმწოდებელთა ცნობიერების ამაღლება. აღსანიშნავია, რომ უწყებათაშორისმა საბჭომ 2014 წლის 12 თებერვლის სხდომაზე დაამტკიცა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია და 2014–2015 წლების სამოქმედო გეგმა.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლ და დაზარალებულ მოსახლეობას სხვადასხვა მომსახურებას სთავაზობს. მათ შორისაა: ცხელი ხაზი, იურიდიული კონსულტაცია, სამედიცინო მომსახურება, თავშესაფრით უზრუნველყოფა. 2014 წელს[1031] ფონდის მომსახურებით 34-მა ბენეფიციარმა ისარგებლა: ცხელ ხაზზე დაფიქსირდა 121 ზარი, კონსულტაცია გაეწია 19 პირს, ხოლო მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებით (თავშესაფრით) ისარგებლა 5–მა ბენეფიციარმა.

ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის მიზნით, შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მეორე მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოში ჩამოყალიბდა და ფუნქციონირებს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული შემოწმების ოთხი მობილური ჯგუფი. 2014 წლის იანვარში შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის აჭარის ა/რ სამმართველოში შეიქმნა და ფუნქციონირებს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო, რომელიც დაკომპლექტებულია რვა დეტექტივ-გამომძიებლით.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემების მიხედვით, 2014 წელს მობილური ჯგუფების მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად ტრეფიკინგის ფაქტზე გამოძიება დაიწყო სამ სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო საერთო ჯამში, შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მიერ ტრეფიკინგის ფაქტზე გამოძიება დაიწყო 13 სისხლის სამართლის საქმეზე. ტრეფიკინგის ბრალდებით სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო 5 პირის მიმართ, ტრეფიკინგის შვიდ ფაქტზე.

[1030] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ–გვერდზე:
< http://www.state.gov/documents/organization/226846.pdf > [ბოლოს ნანახია 2015 წლის 15 მარტს].

[1031] ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი; წერილი #07/230; 02/03/2015 წელი.

აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა პრევენციისათვის, თუმცა, ამავდროულად, ძალიან ბევრ ტურისტულ ადგილებში, სადაც სექსტრეფიკინგის რისკის მაღალი ალბათობაა, შემთხვევათა იდენტიფიცირების ღონისძიებები არასაკმარისია.

ლგბტ პირთა უფლებრივი მდგომარეობა

საქართველოში ლგბტ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა. საზოგადოებაში არსებულ ჰომოფობიურ დამოკიდებულებებთან ერთად, კვლავ გამოწვევას წარმოადგენს სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულების დროული, ეფექტური და ანგარიშვალდებული გამოძიების საკითხი. 2013 წლის 17 მაისს მომხდარ ძალადობის არც ერთ ფაქტზე არ დამდგარა სამართლებრივი შედეგი და არავინ დასჯილა სიძულვილით განპირობებული ფიზიკური ძალადობის ჩადენისთვის.

2014 წლის 17 მაისს, როდესაც მსოფლიოში ჰომოფობიასთან და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე აღინიშნება, საქართველოში მართლმადიდებელმა ეკლესიამ და მრევლმა ოჯახის სიმტკიცისა და მშობლების პატივისცემის დღე აღნიშნა. 17 მაისი არ აღნიშნეს ლგბტ თემის წარმომადგენლებმა და უფლებადამცველებმა, რადგან გასული წლების გამოცდილებით მიიჩნევდნენ, რომ სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფდა მათ უსაფრთხოებას.

შემაშფოთებელი იყო დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის მიღებამდე გამართული დისკუსიები, ხელმოწერების შეგროვება და საზოგადოებრივი აზრი, რომ დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძვლით არ უნდა მოქცეულიყო აღნიშნული კანონით დაცულ სფეროში. რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს საზოგადოებაში არსებული დამოკიდებულებების სიძლიერეზე და ცნობიერების ამაღლებისათვის კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს.

საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის საპარლამენტო ანგარიშში წარმოდგენილი იქნა დეტალური ინფორმაცია ლგბტ უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად, თუმცა არცერთი რეკომენდაცია არ შესრულებულა და ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯებიც არ გადადგმულა.

საქართველოში ლგბტ ადამიანთა მდგომარეობის ამსახველ კვლევებსა და ანგარიშებში[1032] ერთხმად არის აღიარებული, რომ ტრანსგენდერი ადამიანების საჭიროებები

[1032] ლგბტ ადამიანთა მდგომარეობა საქართველოში. WISG. თბილისი. 2012. იხ. <http://women.ge/wp-content/uploads/2012/12/WISG_situation-of-lgbt-persons-in-Georgia_GEO-www.pdf> [ბოლოს ნანახია 1.02.2014].

არასაკმარისადაა გათვალისწინებული კანონმდებლობაში, რაც ზოგ შემთხვევაში, მათი ფუნდამენტური უფლებების დარღვევით სრულდება.

„სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციასთან ბრძოლის ზომების შესახებ“ ევროპის მინისტრთა საბჭოს კომიტეტის რეკომენდაციის მიხედვით: „წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა ცხოვრების ყველა სფეროში მოახდინონ პირის სქესის შეცვლის სრული სამართლებრივი აღიარება. კერძოდ, შესაძლებელი უნდა გახადონ ოფიციალურ დოკუმენტებში სახელისა და სქესის შეცვლა სწრაფი, გამჭვირვალე და ადვილად ხელმისაწვდომი გზით; ასევე უნდა უზრუნველყონ, საჭიროების მიხედვით, არასახელმწიფო ერთეულების მიერ შეცვლილი სქესის და აღნიშნულთან დაკავშირებით განხორციელებული სხვა ცვლილებების შესაბამისი აღიარება ისეთ ძირითად დოკუმენტებში, როგორიცაა განათლების დამადასტურებელი დიპლომი ან შრომის წიგნაკი.“[1033]

საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება რეკომენდაციის მიხედვით დაწესებულ მოთხოვნას. ტრანსგენდერი ადამიანები პრობლემებს აწყდებიან სამოქალაქო აქტების ჩანაწერში სქესის შეცვლისას, რაც თავის მხრივ, ხელშემშლელი ფაქტორია განათლების მიღებისა და დასაქმების პროცესში. საქართველოს კანონი „სამოქალაქო აქტების შესახებ“ (მუხლი 78), განსაზღვრავს გარემოებათა ჩამონათვალს, რაც შესაძლოა გახდეს სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების შეტანის საფუძველი. ერთ-ერთ ასეთ გარემოებად მითითებულია „სქესის შეცვლა – თუ სქესის შეცვლასთან დაკავშირებით პირს სურს სახელის ან/და გვარის შეცვლა“. თუმცა, არ არსებობს დოკუმენტების ჩამონათვალი, რომელიც პირმა უნდა წარადგინოს სამოქალაქო აქტში შესაბამისი ცვლილების განხორციელებისათვის, ასევე არაა განსაზღვრული ამ მუხლის მიზნებისათვის რა ითვლება „სქესის შეცვლად“. დამკვიდრებული პრაქტიკის საფუძველზე, სქესის ლეგალურად შეცვლისათვის აუცილებელია სქესის კვლავმინიჭების სრული პროცედურის გავლა, ქირურგიულის ჩათვლით.

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა ტრანსგენდერი სექსმუშაკების უფლებრივი მდგომარეობის საკითხი. 2014 წელს, საქართველოს სახალხო დამცველს არაერთხელ მიმართეს ტრანსგენდერმა სექსმუშაკებმა, რომლებიც მიუთითებდნენ პოლიციური კონტროლის დროს პოლიციის მხრიდან შესაძლო ზეწოლის ფაქტებსა და ჰომოფობიურ დამოკიდებულებაზე. ისინი აღნიშნავდნენ, რომ პოლიციის მოთხოვნა – დატოვონ შეკრების ადგილი, მათთვის გაუგებარია, რადგან წესრიგს არ არღვევენ. აღნიშნულთან დაკავშირებით, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან გვეცნობა, რომ

[1033]ევროპის მინისტრთა საბჭოს კომიტეტის რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისთვის „სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციასთან ბრძოლის ზომების შესახებ“ – CM/REC(2010)5. პუნ. 21.

დანაშაულის პრევენციის მიზნით, სისტემატიურად ხორციელდება პრევენციული ღონისძიებები თბილისის სარისკო უბნებში, მათ შორის ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე.

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 172[3] მუხლის მიხედვით, პროსტიტუცია დასჯადი ქმედებაა და ითვალისწინებს გაფრთხილებასა და დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ნახევარ მინიმალურ ოდენობამდე, თუმცა დამკვიდრებულ პრაქტიკას წარმოადგენს ადგილის დატოვების მოთხოვნა პოლიციის მიერ. ამის შემდეგ კი ხშირია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ისეთი ზომების გამოყენება, როგორიცაა ჯარიმა ან ადმინისტრაციული პატიმრობა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ან/და პოლიციის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობის მიმართულებით.

მნიშვნელოვანია, რომ პოლიციის მხრიდან პრევენციული ღონისძიებების თუ სხვა ქმედებების ჩატარებისას ნათელი უნდა იყოს ჩატარებული ქმედებების მიზნობრიობა და სექსმუშაკებს მიეწოდოთ ინფორმაცია. ასევე, მაქსიმალურად უნდა იქნას აღმოფხვრილი სექსმუშაკების შეურაცხყოფისა თუ მათ მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტები; ტრანსგენდერი სექსმუშაკების შემთხვევაში კი აღკვეთილი უნდა იყოს ჰომოფობიური გამოვლინებები.

რეკომენდაციები

გენდერული მეინსტრიმინგი

საქართველოს მთავრობას

- ხელი შეეწყოს გენდერული მეინსტრიმინგის განხორციელებას აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე, გენდერული თანასწორობის საკითხებზე სტრუქტურული ერთეულების მანდატის, ადამიანური და ფინანსური რესურსების გაძლიერების გზით
- სამინისტროების მიერ საშტატო ერთეულის ნუსხაში გამოიყოს გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირები, რომლებიც უშუალოდ ჩაერთვებიან ქალთა უფლებებსა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე მიმდინარე პროცესებში
- გაზიარებული იქნას საქართველოს სახალხო დამცველის წარმატებული პრაქტიკა და დაინერგოს დასაქმების ადგილზე სექსუალური შევიწროების პრევენციის შიდა ინსტიტუციური მექანიზმები

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს:

- დაიწყოს მუშაობა საკრებულოში გენდერული თანასწორობის საკითხებზე სტრუქტურული ერთეულის შექმნისათვის, ასევე ხელი შეეწყოს გამგეობის დონეზე გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრას

მედიასაშუალებების როლი ქალთა უფლებების დაცვისა და გენდერული თანასწორობის მიღწევის სფეროში

საქართველოს პარლამენტს

- განისაზღვროს სექსისტური რეკლამის დეფინიცია რეკლამის შესახებ საქართველოს კანონსა და მაუწყებლობის შესახებ კანონში, როგორც აკრძალული რეკლამა შესაბამისი სანქცირების სისტემით

საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს

- გაძლიერდეს ქალთა უფლებებსა და გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული ღონისძიებები

ქალთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში

საქართველოს მთავრობას; საქართველოს პარლამენტს

- გათვალისწინებული იქნას ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის რეკომენდაცია და დაიწყოს მუშაობა სპეციალური დროებითი მექანიზმების–კვოტირების სისტემის შემუშავებაზე

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს

- ხელი შეეწყოს ლიდერ ქალთა ჩართულობას თვითმმართველობის განხორციელების პროცესებში, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა ჩართულობას
- სოფლის განვითარების პროგრამებისა, თუ თემისათვის პრიორიტეტული პროექტების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების ყველა ეტაპზე უზრუნველყოფილი იქნას ქალთა ჩართულობა

ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება

„ქალებზე მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს №№ 1325, 1820, 1888, 1889 და 1960 რეზოლუციების განსახორციელებელი 2012-2015 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელ უწყებებს:

- სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის შემუშავდეს და დამტკიცდეს სპეციალური სტრატეგია/ბრძანება სადაც გაიწერება დაგეგმილი აქტივობები შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების მითითებით
- უზრუნველყოფილი იქნას პასუხისმგებელი პირების ოფიციალური წესით განსაზღვრა, რომლებიც სრულად ჩაერთვებიან როგორც ნაკისრი ვალდებულებების შესრულების, ასევე ანგარიშგების პროცესებში

საქართველოს პრემიერ–მინისტრის აპარატს:

- დაიხვეწოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე ანგარიშგების სისტემა. შესრულებაზე პასუხისმგებელ უწყებებს დაევალოთ გარკვეული პერიოდულობით ანგარიშის წარმოდგენა, რაც შესაძლებელს გახდის სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესის გაზომვას
- გაძლიერდეს უწყებათაშორისი კოორდინაცია, რათა განხორციელდეს ინფორმაციის ეფექტური გაცვლა და შედეგზე ორიენტირებული ღონისძიებების დაგეგმვა

საზოგადოებრივ მაუწყებელს:

- საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისათვის მოხდეს გენდერული თანასწორობისა და 1325 რეზოლუციის პრინციპების ინტეგრირება და დანერგვა საზოგადოებრივი მაუწყებლის ტელე–რადიო გადაცემებში

ქალთა ეკონომიკური აქტივობა და შრომითი უფლებები

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს

- განახლდეს ქალთა შრომითი უფლებების გაუმჯობესებისაკენ მიმართულ ცვლილებებზე მუშაობა, რომელიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს შრომითი კანონმდებლობის სრულყოფაზე, მათ შორის არსებული საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ქალთა შრომითი უფლებების გათვალისწინებაზე
- დაიწყოს შესაბამისი პროცედურები შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 183-ე დედობის დაცვის კონვენციის ხელმოწერისა და შემდგომი რატიფიცირების მიზნით, ასევე უზრუნველყოფილი იქნას განხილვების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის მაქსიმალური მონაწილეობა
- განისაზღვროს დასაქმების ადგილზე სექსუალური შევიწროების დეფინიცია და შემუშავდეს ადეკვატური სანქციების სისტემა

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

- უახლოეს პერიოდში მოხდეს ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებით სარგებლობისა და თანმდევი გასაცემელის მიღების წესის გადახედვა, რათა გამოირიცხოს სქესის ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევები

რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

- დაიგეგმოს და განხორციელდეს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები რეპროდუქციულ და სქესობრივ ჯანმრთელობასა და უფლებებზე
- განხორციელდეს სამედიცინო დაწესებულებების მიერ აბორტის წინა, მოსამზადებელი პერიოდის დაცვის მონიტორინგი

- შეფასდეს აბორტისა თუ სხვა გინეკოლოგიური სერვისების გეოგრაფიული, ფინანსური და ენობრივი ბარიერისაგან თავისუფალი ხელმისაწვდომობის საკითხი. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სოფლად მცხოვრები და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალებისათვის სერვისების ხელმისაწვდომობას
- დაიგეგმოს და განხორციელდეს გენდერული ნიშნით სქესის სელექციის პრევენციული ღონისძიებები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

- დაინერგოს სკოლის მოსწავლეთათვის რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობისა და უფლებების ძირითადი საკითხების სწავლება
- ადგილობრივ სამედიცინო დაწესებულებებთან თანამშრომლობით მოეწყოს სასემინარო სწავლებები სკოლის მოსწავლეთათვის რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობის საკითხებზე

ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა

საქართველოს პარლამენტს

- მოხდეს ევროპის საბჭოს 2011 წლის „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ კონვენციის რატიფიკაცია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმოდგენიდან უახლოეს მომავალში

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

- უზრუნველყოფილი იქნას ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის შესახებ დეტალური სტატისტიკური მონაცემების წარმოება
- გაძლიერდეს მუშაობა მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების კუთხით და სამართალდამცავ ორგანოებს დაევალოთ ინფორმაციის გავრცელება ოჯახში ძალადობის ფაქტზე გამოძახების დროს, არსებული კანონით გათვალისწინებული დამცავი მექანიზმებისა თუ სერვისების შესახებ
- შეიქმნას სპეციალიზირებული სტრუქტურული ერთეული, რომელიც უშუალოდ იქნება პასუხისმგებელი გენდერული ნიშნით ჩადენილ და ოჯახში ძალადობის დანაშაულებზე რეაგირებაზე

საქართველოს მთავრობას

- განხორციელდეს ერთიანი სტატისტიკის წარმოება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით
- გადაიხედოს თავშესაფარში პირის მოთავსების ვადები და მოხდეს მისი შესაბამისობაში მოყვანა კანონით განსაზღვრული მსხვერპლის სტატუსის მინიჭების პროცედურით დადგენილ ვადებთან

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

- „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებების შესაბამისად, მოხდეს ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე სპეციალიზირებული სოციალური მუშაკების მომზადება, მათი სათანადო პირობებითა და უფლებამოსილებებით აღჭურვა
- თავშესაფარში სოციალურად დაუცველი პირის მოთავსების შემთხვევაში მისი შემწეობა ისე შეჩერდეს, რომ სერვისის დატოვების შემდეგ შემწეობა ავტომატურად გაგრძელდეს
- გადაიხედოს და გაძლიერდეს თავშესაფრების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მეთოდები, ეთხოვოს საპატრულო პოლიციასა თუ უბნის ინსპექტორს არსებული სახელმწიფო სერვისების შესახებ მსხვერპლთათვის შემთხვევის ადგილზე ინფორმაციის მიწოდება
- უზრუნველყოფილი იქნას სამედიცინო სფეროს წარმომადგენელთათვის სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება ოჯახში ძალადობის იდენტიფიცირებისა და შეტყობინების ვალდებულების განსახორციელებლად

საქართველოს მთავარ პროკურატურას

- განხორციელდეს ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევათა სიღრმისეული ანალიზი მომხდარ დანაშაულებრივ ფაქტებში გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულების განსაზღვრისა და შესაბამისი რეაგირებისათვის

ადრეულ ასაკში ქორწინება

საქართველოს პარლამენტს

- მოხდეს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის რეკომენდაციის გათვალისწინება და განხორციელდეს ცვლილება საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, რომლის მიხედვითაც 16–დან 18 წლამდე პირთა ქორწინება შესაძლებელი იქნება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

- უზრუნველყოს მასწავლებელთა ცნობიერების ამაღლება ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხებთან დაკავშირებით არსებულ ვალდებულებებზე
- ხელი შეეწყოს ბავშვთა დაცვის შესახებ რეფერირების დოკუმენტით განსაზღვრული კოორდინაციის განხორციელებას სოციალური მომსახურების სააგენტოსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის, ზედამხედველობა გაეწიოს შეტყობინების ვალდებულების შესრულებას ბრძანებით გათვალისწინებულ პასუხისმგებელ სტრუქტურებს შორის
- უზრუნველყოფილი იქნას სკოლებში ღია გაკვეთილების/სემინარების ორგანიზება რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ სპეციალისტთა მონაწილეობით
- სამოქალაქო განათლების სწავლებისას მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმოს ადრეულ ასაკში ქორწინებისა, თუ სხვა გენდერული უთანასწორობის საკითხების მხრივ საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

- განხორციელდეს ეთნიკური ჯგუფებისათვის მშობლიური ენის მცოდნე ფსიქოლოგების მოძიება, რათა ბავშვთა მიმართ ძალადობის მსგავს შემთხვევებზე მოხდეს ადეკვატური რეაგირება
- მოხდეს სტრატეგიის შემუშავება, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი პირებისთვის საქართველოსა თუ საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების განსახორციელებლად, მათ შორის, ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევებისას არსებული მომსახურებისა და სერვისების მიწოდების უზრუნველსაყოფად

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

- ხელი შეეწყოს ბავშვთა დაცვის შესახებ რეფერირების დოკუმენტით განსაზღვრული კოორდინაციის განხორციელებას სოციალური მომსახურების სააგენტოსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, მათ შორის შეტყობინების ვალდებულების შესრულებას
- უზრუნველყოფილი იქნას ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევებზე რეაგირების სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება და უბნის ინსპექტორის როლის გაძლიერება რათა მოახდინოს ადგილობრივი თემის (განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა) ინფორმირება და შესთავაზოს კონსულტაციები ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხებზე

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)

საქართველოს მთავრობას:

- გაძლიერდეს ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული ღონისძიებები, მათ შორის სერვისების შესახებ ინფორმაციის გავრცელება განსაკუთრებით მაღალი მიგრაციის მქონე ტერიტორიულ ერთეულებსა და ტურისტულ ზონებში

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

- გაძლიერდეს სექსტრეფიკინგის შემთხვევათა იდენტიფიცირების ღონისძიებები ტრეფიკინგის მაღალი რისკის მქონე ტერიტორიულ ერთეულებში
- სექსტრეფიკინგში ჩართულ პირთა გამოვლენის მიზნით გააქტიურდეს პრევენციული ღონისძიებების გატარება ტურისტულ ადგილებსა და სხვადასხვა ტიპის დაწესებულებებში სადაც უცხო ქვეყნის მოქალაქე და ადგილობრივი ქალები არიან დასაქმებულნი

ლგბტ პირთა უფლებრივი მდგომარეობა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- განხორციელდეს სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულებისა და სიძულვილით მოტივირებული სხვა შემთხვევების დროული, ეფექტური და ანგარიშვალდებული გამოძიება

- პოლიციის მხრიდან პრევენციული ღონისძიებების თუ სხვა ქმედებების ჩატარებისას ტრანსგენდერ პირებს განემარტოთ გატარებული ქმედებების მიზნობრიობა და მაქსიმალურად იქნას აღკვეთილი ჰომოფობიური გამოვლინებები

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს:

- დაინერგოს ტრანსგენდერი პირებისთვის სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებების მიერ გაცემულ ყველა ძირითად დოკუმენტში მათი გენდერული იდენტობის ასახვის სწრაფი, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი პროცედურა
- ხელი შეეწყოს სქესის კვლავმინიჭების პროცესის იმგვარად დარეგულირებას, რომ ტრანსგენდერ პირებს ეფექტურად მიუწვდებოდეთ ხელი საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის სამედიცინო მომსახურებაზე

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები

ზოგადი მიმოხილვა

საანგარიშო პერიოდში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კუთხით განხორციელებული პოზიტიური ცვლილებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 2014 წლის 12 აპრილიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს 2006 წლის კონვენციის (UN CRPD) ძალაში შესვლა[1034]. ამასთან კვლავ ღიაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების გაეროს 2006 წლის კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირების თემა. როგორც ცნობილია, კონვენციის რატიფიცირება ფაკულტატური ოქმის გარეშე განხორციელდა. საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიუხედავად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ჯერ არ არის დაწყებული მისი რატიფიცირებისთვის საჭირო პროცედურები, რაც უარყოფითი ფაქტია, რადგან კონვენციის ფაკულტატური ოქმი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს აძლევს საშუალებას ინდივიდუალურ უფლება-დარღვევებზე მიმართონ გაეროს შესაბამის კომიტეტს. საქართველოში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ამ უფლებას დღემდე ვერ ახორციელებენ.

2014 წლის 27 ოქტომბერს საქართველოს მთავრობამ აღნიშნული კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და განხორციელების მონიტორინგის სტრუქტურად საქართველოს სახალხო დამცველი დაასახელა.

კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების იმპლემენტაციისთვის უწყებათაშორისი კოორდინაციისა და კომუნიკაციის ეფექტურობის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში მოქმედი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკოორდინაციო საბჭოს სამდივნო პრემიერ-მინისტრის ადამიანის უფლებათა სამდივნოს დაქვემდებარებაში გადავიდა.

საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, 2014 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველმა გამართა საჯარო დებატები თემაზე: „გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციის განხორციელებისა და მონიტორინგის გამოწვევები“. დებატებში მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო უწყებების

[1034] https://matsne.gov.ge/ka/document/view/2334289, ძალაშია 2014 წლის 12 აპრილიდან.

წარმომადგენლებმა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა, მათი მონაწილეობით შექმნილი არასამთავრობო ორგანიზაციების წევრებმა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლებმა.

2014 წლის ბოლოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მონიტორინგის მექანიზმის შემუშავების საკითხზე სახალხო დამცველის აპარატთან შეიქმნა სამუშაო ჯგუფი და მოეწყო ამ ჯგუფის შეხვედრები.

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და განხორციელების მონიტორინგის ფუნქციის წარმართვის მიზნით, 2015 წლის 15 იანვრიდან ომბუდსმენის აპარატში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების შესაბამისად ფუნქციონირება დაიწყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტმა, რომელიც სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან აქტიური თანამშრომლობის რეჟიმში აგრძელებს კონსულტაციებს კონვენციის მონიტორინგის მექანიზმის საბოლოო სახით ჩამოყალიბების მიმართულებით.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არსებული პოზიტიური მოვლენებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2014 წლის 8 ოქტომბერს მიღებული გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. ამ გადაწყვეტილებით სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ფსიქიური დაავადების გამო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ქმედუუნაროდ აღიარებისა და მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო რეგულაციები. საკონსტიტუციო სასამართლომ დაავალა საქართველოს პარლამენტს შეიმუშაოს და მიიღოს ისეთი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული ადამიანის უფლებების სტანდარტებთან, ასევე გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ მოთხოვნებთან.

ქმედუუნარობის სამართლებრივი ინსტიტუტის რეფორმის განხორციელებისა და ეროვნული კანონმდებლობის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის გადაწყვეტილებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შეყვანილია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი[1035].

[1035] საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2014 წლის 13 ნოემბრის სხდომის ოქმი.

ეროვნული კანონმდებლობის გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ სტანდარტთან დაახლოების მიმართულებით უნდა აღინიშნოს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილება, რომელიც გულისხმობს ტერმინის – „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი“ სოციალურ მოდელზე დაფუძნებულ განმარტებას.[1036] თუმცა, კანონმდებლობაში სხვა მნიშვნელოვანი ცვლილება არ განხორციელებულა, მხოლოდ ტერმინის განმარტების შეცვლა კი ვერ უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობისადმი არსებული სამედიცინო მიდგომიდან სოციალურზე გადასვლას.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით განხორციელებული დადებითი მოვლენებიდან ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის 6 იანვარს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება N41 „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“[1037], რომლის მიზანია თანამედროვე საზოგადოებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ადაპტაციის, ინდივიდუალური განვითარებისა და მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის ხელშეწყობა. თუმცა, დოკუმენტს ხარვეზიც აქვს – არ არსებობს მასში მოცემული სტანდარტების აღსრულების მექანიზმი.

საქართველოს მთავრობამ 2014 წლის დასაწყისში გამოსცა დადგენილება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე[1038]. აღნიშნული დოკუმენტი, ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმის[1039] ანალოგიურად, მიზნად ისახავს კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების განხორციელებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული დოკუმენტები არ შეიცავს ინფორმაციას ამ ამოცანების შესრულებისთვის საჭირო კვლევებისა და ფინანსური მხარდაჭერის თაობაზე, რამაც შეიძლება დააბრკოლოს დაგეგმილი ღონისძიებების წარმართვის პროცესი.

2014 წლის დასაწყისში დამტკიცდა ტექნიკური რეგლამენტი „ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის სტანდარტების თაობაზე[1040]“. სტანდარტები შემუშავებულია „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და ადგენს ზოგად მოთხოვნებს ფსიქო–სოციალური რეაბილიტაციის ცენტრისათვის.

[1036] https://matsne.gov.ge/ka/document/view/2283593
[1037] https://matsne.gov.ge/ka/document/view/2186893
[1038] http://government.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=381&info_id=40157; http://www.moh.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=377
[1039] https://matsne.gov.ge/ka/document/view/2391005
[1040] https://matsne.gov.ge/ka/document/view/2198173

2014 წლის 31 დეკემბერს საქართველოს მთავრობამ „ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო კონცეფციის“ პრინციპების გათვალისწინებით, დაამტკიცა ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო სამოქმედო სტრატეგიული გეგმა[1041].

2014 წლის 23 ივლისს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დაამტკიცა „სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმულთა მომსახურების მინიმალური სტანდარტები“[1042], რაც თავისთავად დადებითი მოვლენაა, თუმცა მნიშვნელოვანია მიღებული სტანდარტების პრაქტიკაში სათანადოდ დანერგვა და მისი განხორციელების მონიტორინგის წარმოება.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველთათვის თანაბარი საარჩევნო პირობების და არჩევნების ხელმისაწვდომობის კუთხით ცენტრალური საარჩევნო კომისიის მხრიდან 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობების არჩევნებზე განხორციელებული არაერთი აქტივობის მიუხედავად, რის შედეგადაც გაიზარდა ადაპტირებული საარჩევნო უბნების რიცხვი, მცირემხედველი ამომრჩევლებისთვის ხელმისაწვდომი გახდა ე.წ. ლინზა ფურცლები, ყველა საარჩევნო რეკლამა გავიდა ეთერით სურდო-თარგმანით, თუმცა ჯერ კიდევ პრობლემურია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა არჩევნებში სრულფასოვანი მონაწილეობა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან გადადგმული არაერთი ნაბიჯის მიუხედავად (საჯარო სკოლების ზოგად ინკლუზიურ განათლებაში ჩართვა, სპეციალური პედაგოგების დაფინანსება/მათთვის სპეციალური სამაგისტრო მოდულის შემუშავება და დანერგვა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, პროფესიული განათლების სტრატეგიის იმპლემენტაცია, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის პროფესიულ განათლებაში ჩართვა) დღემდე ინკლუზიური განათლების სისტემის მიღმა რჩება ადრეული და სკოლამდელი განათლება, უმაღლესი განათლების ინკლუზიურ განათლებაში სათანადო ჩართვა, მშობელთა განათლების სტრატეგიის შემუშავება და დანერგვა. დღის წესრიგში დგას სკოლამდელი განათლების დაწესებულებების ლიცენზირების/ავტორიზაციის საკითხი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა განათლების უფლების რეალიზებისა და მათზე ძალადობის პრევენციისთვის.

საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ფარგლებში დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი და ბავშვთა დიდი ზომის რეზიდენტული დაწესებულებების ოპტიმიზაცია. ბოლო მონაცემებით, 2015 წლის იანვარში განხორციელდა

[1041] https://matsne.gov.ge/ka/document/view/2667876
[1042] https://matsne.gov.ge/ka/document/view/2391345

სენაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სახლის ოპტიმიზაცია და ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი, რომელთა განთავსება ვერ მოხერხდა მცირე საოჯახო ტიპის დაწესებულებაში ან მინდობით აღზრდაში, მოთავსებულია კოჯრის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა პანსიონატში.

საქართველოს სახალხო დამცველი დადებითად აფასებს აღნიშნულ ფაქტს, ამასთან მიიჩნევს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დიდი ზომის რეზიდენტული დაწესებულებების ოპტიმიზაციის პროცესი დროებით ღონისძიებად უნდა იქნას მიჩნეული. შესაბამისად, აუცილებელია სახელმწიფომ შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში განახორციელოს ბენეფიციართა ალტერნატიული სერვისებით უზრუნველყოფა (მინდობით აღზრდა, მცირე საოჯახო ტიპის სახლის სერვისის შეთავაზება და სხვა), რაც ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მომსახურების ოჯახთან მიახლოებულ პირობებში მიწოდებას.

2014 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის „112“-ის მიერ გათვალისწინებულ იქნა სახალხო დამცველის რეკომენდაცია სმენისა და მეტყველების შეზღუდვის მქონე პირთათვის საგანგებო და გადაუდებელი სერვისების ხელმისაწვდომობის თაობაზე და გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრთან მარტივი წვდომის უზრუნველყოფის მიზნით, გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, მათი ორგანიზაციების ჩართულობით შეიმუშავა პროექტი, რომელიც ითვალისწინებს სმენისა და მეტყველების შეზღუდვის მქონე პირების მიერ „112“-თან მოკლე ტექსტური შეტყობინების ან ვიდეო-ზარის მეშვეობით დაკავშირებას. აღნიშნული პროექტი 2015 წლის 27 მარტიდან ამოქმედდა.

აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველოს სახალხო დამცველის მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ შემუშავებული არაერთი რეკომენდაციის მიუხედავად, დღემდე პრობლემას წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ძალადობის ფაქტების იდენტიფიცირების, შესაბამისი მხარდამჭერი სერვისებისა და რეაბილიტაციის რეფერალის შექმნა.

2014 წლის ბოლოს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების ცენტრმა სასჯელაღსრულების დაწესებულებებსა და შპს „აკადემიკოს ბ.ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში“ განახორციელა ვიზიტები, რომელთა მიზანი იყო 2013 წლის 21 ოქტომბრიდან 13 ნოემბრამდე პენიტენციურ დაწესებულებებში, დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული მკურნალობის დაწესებულებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

პირთა მდგომარეობის მონიტორინგის შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულების შემოწმება.

ვიზიტების შედეგად დადგინდა, რომ მიუხედავად გარკვეული პოზიტიური ცვლილებებისა, სამწუხაროდ, რეკომენდაციების შესრულების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პროგრესი არ შეიმჩნევა და მთელ რიგ რეკომენდაციებთან მიმართებით არცერთი ღონისძიება არ გატარებულა.

მართალია, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში ხანგრძლივი მოვლის განყოფილება გაიხსნა; თუმცა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში კვლავ რჩებიან ფიზიკური და მენტალური შეზღუდვის მქონე პატიმრები, რომელთა საჭიროებები სრულად დაკმაყოფილებული არ არის.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია ზედმიწევნით შესრულდეს ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარების სტრატეგიულ დოკუმენტსა და 2015-2020 წლის სამოქმედო გეგმაში გაწერილი ღონისძიებები, რათა პენიტენციურ სისტემაში და სხვა დახურულ დაწესებულებებში პაციენტებს მიეწოდოთ ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ფსიქიატრიული სერვისები (ანგარიში ვრცლად იხილეთ პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის ნაწილში).

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015 წლებისთვის) შესრულების შუალედური ანგარიშის პროექტზე, მომზადდა კომენტარები, რომლებიც ძირითადად შეეხებოდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შეფასებისა და სტატუსის მინიჭების სისტემის რეფორმირებისა და სოციალურ მოდელზე გადასვლის თემას; აღნიშნულ პირთა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭოს დებულების შემუშავების ვადას და მასში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობის ფორმას; ეროვნულ საკანონმდებლო აქტებში განსახორციელებელ ცვლილებებს; ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის მიზნით, პროფესიული განათლების გარდა განათლების სხვა საფეხურებისათვის მონიტორინგისა და მხარდაჭერის ჯგუფების შექმნის თემას; საჯარო სკოლების სპეციალური მასწავლებლების გადამზადების ვადებს; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომი შეტყობინების მექანიზმის დანერგვას, რაც შესაძლებელს გახდის სავარაუდო უფლებადარღვევის ფაქტების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას შესაბამისი უწყებისათვის; აბილიტაციისა და რეაბილიტაციის სერვისების მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით საჭიროებების კვლევას და სხვა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ მომზადებულ კომენტარებში ასევე აღინიშნა, რომ ანგარიშის პროექტი სრულყოფილად არ მოიცავს შეზღუდული

შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზანმიმართულობის, სტრუქტურისა და მართვის ეფექტიანობის, ასევე ამ პირთა ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემის გაუმჯობესების კუთხით გათვალისწინებული საქმიანობის ანგარიშს.

საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015 წლებისთვის) შესრულების შუალედური ანგარიშის პროექტი არ მოიცავს ინფორმაციას საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებისა და მომსახურების, მათ შორის საჯარო დაწესებულებების ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის პროცესის აქტიურად წარმართვის მიზნით, აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი უწყებების მიერ დაგეგმილი ან/და განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე. აღნიშნულ დოკუმენტში ასევე არ არის ინფორმაცია ადაპტირებული სატრანსპორტო საშულებების, გადაადგილებისა და მოგზაურობის თანაბარი მისაწვდომობის ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი რეგულაციების შემუშავებასთან დაკავშირებით განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური ანგარიშის პროექტზე მოსაზრებები გადაუგზავნა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნოს ადამიანის უფლებათა საკითხებში.

საანგარიშო პერიოდში, ისევე როგორც გასულ წელს, საზოგადოებაში გაძლიერდა დისკუსია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე. განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლები.

2014 წელს გატარებული დადებითი ღონისძიებების პარალელურად ადგილი ჰქონდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კუთხით არსებულ ხარვეზებს.

კვლავ გამოწვევად რჩება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა მომსახურების ერთიანი სისტემის შექმნა, ოჯახის მხარდამჭერი სერვისების განვითარება, 0-3 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მინიჭება, მოზარდთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის არარსებობა, თემზე დაფუძნებული საოჯახო ტიპის სერვისებისა და სოციალური საცხოვრისის დანერგვა/განვითარება.

აუცილებელ მოგვარებას საჭიროებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობელთა მიერ მათი შვილების უფლებების დასაცავად მომზადებულ პეტიციაში დასმული საკითხები. მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა პროგრამების სახელმწიფო დაფინანსების გაზრდა (კერძოდ, დღის ცენტრის, შინ მომსახურების, ბავშვთა ადრეული განვითარების, სამკურნალო რეაბილიტაციის სერვისები); შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა პენსიის ზრდა საარსებო მინიმუმის ოდენობამდე;

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებზე მზრუნველი პირებისათვის (მშობლები, მეურვე) ფულადი დახმარების დანიშვნა; საყოველთაო სამედიცინო დაზღვევის პროგრამის გადახედვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა საჭიროებებზე მორგების მიზნით; 18 წლის და ზემოთ ასაკის მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების, ჩამორჩენის მქონე პირებისთვის სერვისების (დღის ცენტრი, სამკურნალო რეაბილიტაცია, შინმომსახურება, სათემო ორგანიზაციები, მცირე საოჯახო ტიპის სახლები და სხვა) შექმნა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (კორესპონდენცია N01/92212 –14.11.14) გამოთქვამს მზადყოფნას „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის“ შემუშავების პროცესში განიხილოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა შინ მოვლის პროგრამის განხორციელების შესაძლებლობა.

სამინისტროს ინფორმაციით[1043] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მათი მშობლებისთვის ფულადი გასაცემლის გაზრდის/დანიშვნის საკითხის შესაძლებლობის შესწავლა დაევალა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმება.

სახელმწიფოს მხრიდან ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული ამ პირთა დასაქმების ხელშეწყობის პოლიტიკა და შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩო, რამაც მეტად მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინკლუზიისთვის.

რაც შეეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის დაცვის უფლების სრულფასოვან რეალიზებას, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაზე გადასვლით შექმნილი გარკვეული დადებითი ტენდენციების მიუხედავად, კვლავ პრობლემურია ამ პირთა განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინება, ასევე მათი მედიკამენტებით უზრუნველყოფის საკითხი.

ქვეყნის მასშტაბით კვლავ პრობლემად რჩება ადაპტირებული ინფრასტრუქტურისა და სატრანსპორტო საშუალებების არარსებობა, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების შესაძლებლობას და ხშირად ხდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დისკრიმინაციის საფუძველი. საქართველოს სახალხო დამცველმა საკუთარი ინიციატივით დაიწყო საქმის შესწავლა, 2015 წლის 12 თებერვალს პაატა ბურჭულაძის საიუბილეო საღამოზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ შესაძლო დისკრიმინაციულ მოპყრობასთან

[1043] კორესპონდენცია N01/92212 –14.11.14.

დაკავშირებით. ეტლით მოსარგებლე ადამიანებმა, რომლებიც მიწვეულნი იყვნენ საიუბილეო საღამოზე, ვერ შესძლეს ღონისძიებაზე დასწრება, ვინაიდან არ იყო გათვალისწინებული მათი საჭიროებები – არ მოხდა პანდუსების დამონტაჟება რომელიც სპორტის სასახლეს აქვს. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები გადაადგილდებოდნენ დაცვის თანამშრომელთა დახმარებით, რის გამოც, მათ პროტესტის ნიშნად დატოვეს დაწესებულება. მოცემულ შემთხვევაში, ომბუდსმენი აპირებს გამოიყენოს კანონმდებლობით მინიჭებული ახალი და უმნიშვნელოვანესი მანდატი, რომელიც დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობის განხორციელებას გულისხმობს. ვფიქრობთ, ეს იქნება მნიშვნელოვანი პრეცენდენტი და ხელს შეუწყობს მომავალში მსგავსი ფაქტების პრევენციას.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების თანაბარი ხელმისაწვდომობის უფლება საზოგადოებრივი სარგებლობის შენობა–ნაგებობებზე და საგზაო ინფრასტრუქტურაზე

ხელმისაწვდომობის უფლების რეალიზება, მისი პრაქტიკული იმპლემენტაცია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სრულფასოვანი ცხოვრების უზრუნველყოფისთვის ერთ–ერთი ფუნდამენტური პირობაა. სწორედ ამიტომ, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მონიტორინგის დროს, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს კომპლექსურად გააზრებულ ხელმისაწვდომობაზე (მოიცავს როგორც სივრცეზე, ასევე ინფორმაციასა და სერვისებზე წვდომას), რომლის ერთ–ერთ კომპონენტს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უფლება წარმოადგენს.

აღნიშნული საკითხის მნიშვნელობა გამოიკვეთა ცალკეული საქმეების შესწავლის პროცესშიც. სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტებზე ხელმისაწვდომობის უფლების რეალიზების კუთხით, 2014 წლის განმავლობაში აღსანიშნავია საქართველოს სსიპ იუსტიციის სახლის ფილიალის ადაპტირებასთან[1044] და თბილისის საგზაო ინფრასტრუქტურასთან[1045] დაკავშირებული საქმეები, რომელთა ანალიზი ადამიანის უფლებების კუთხით, ცხადყოფს ეროვნული კანონმდებლობითა და ადამიანის უფლებების საერთაშორისო დოკუმენტებით გარანტირებული უფლებების დარღვევას.

[1044] საქმე №09–1/7326.
[1045] საქმე №09–1/14470.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების“ შესახებ გაერთიანებული ერების 2006 წლის კონვენციის (UN CRPD) თანახმად, აღიარებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ფიზიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული გარემოს, ჯანდაცვისა და განათლების, ასევე ინფორმაციისა და კომუნიკაციის ხელმისაწვდომობის მნიშვნელობა, რაც მათ საშუალებას აძლევს სრულყოფილად ისარგებლონ ადამიანის ყველა უფლებითა და ფუნდამენტური თავისუფლებით.

კონვენციის მე–9 მუხლი წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს მიმართონ ყველა შესაბამის ზომას, რათა ამ პირთათვის უზრუნველყონ, სხვების თანასწორად, ფიზიკური გარემოს, ტრანსპორტის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის, ტექნოლოგიური სისტემების, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების ჩათვლით, საზოგადოებისთვის განკუთვნილი სხვა მოწყობილობებისა და მომსახურებების ხელმისაწვდომობა.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის საფუძველს და მიზნად ისახავს, სხვა პირთა თანაბრად უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების რეალიზაცია, შექმნას ხელსაყრელი პირობები მათი სრულფასოვანი ცხოვრებისა და საზოგადოების ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობისათვის. აღნიშნული კანონი ითვალისწინებს გარემოს ხელმისაწვდომობის უფლებას და ადგენს სოციალური ინფრასტრუქტურით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შეუფერხებელი სარგებლობისათვის აუცილებელი პირობების შექმნის ვალდებულებას. მითითებული აქტი ითვალისწინებს როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპეციალური საჭიროებების გათვალისწინების ვალდებულებას შენობის პროექტირებისას და მშენებლობისას, ასევე არსებული შენობა–ნაგებობების სათანადო მოდიფიცირებას.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 იანვრის №76 განკარგულებით დამტკიცებული „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის“ 2014–2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმით დადგენილია ღონისძიებათა ნუსხა, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტებზე. მათ შორისაა: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის შემუშავება–მიღება, ახალი სამშენებლო ნორმების აღსრულების ზედამხედველობა, ფიზიკურ გარემოში არსებული ბარიერების გამოვლენა, მათი აღმოფხვრის მიზნით წინადადებების შემუშავება, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების და საბავშვო ბაღების ფიზიკური გარემოს გაუმჯობესება, სატრანსპორტო საშუალებათა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ადაპტირებისთვის

საჭირო ნორმებისა და მათი დაცვის აღსრულების მექანიზმის შემუშავება, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის: გაჩერებების, გადასასვლელების, გზაჯვარედინებისა და შუქნიშნების ადაპტირება დადგენილი ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად. ამასთან, მნიშვნელოვანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სპეციალური ადგილების გამოყოფა ავტოსადგომებზე და აღნიშნულ პირთა საჭიროებების გათვალისწინება ახალი საზოგადოებრივი სატრანსპორტო საშუალებების შეძენისას.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საჯარო დაწესებულებების ფიზიკური გარემოს მისაწვდომობის უფლების დარღვევა

2014 წლის 21 ნოემბერს, საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებული ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან შეხვედრის მიზნით, იმყოფებოდა მარნეულის მუნიციპალიტეტში. ვიზიტის განმავლობაში მიღებული ინფორმაციის თანახმად, მარნეულის მუნიციპალიტეტში არსებული იუსტიციის სახლი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

იმის გათვალისწინებით, რომ იუსტიციის სახლი არის შენობა, რომლის ფარგლებშიც მოქცეულია სახელმწიფო სერვისების დიდი უმრავლესობა, მისი მიზანი კი იმ დოკუმენტების გაცემა და მომსახურების განხორციელებაა, რომელზეც ექსკლუზიური უფლება მხოლოდ სახელმწიფოს გააჩნია, მას აქვს ვალდებულება სწრაფი და ეფექტური ნაბიჯების გადადგმით მნიშვნელოვნად გაამარტივოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოქალაქეების ურთიერთობა საჯარო სექტორთან.

2014 წლის 17 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ოფიციალურად მიმართა[1046] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაწყებულიყო შენობის ადაპტირებისთვის საჭირო ღონისძიებები, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის უზრუნველყოფილიყო ხელმისაწვდომობის უფლება საზოგადოებრივი სარგებლობის შენობა–ნაგებობებზე.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2015 წლის 5 იანვრის საპასუხო კორესპონდენციის[1047] თანახმად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ იუსტიციის სახლის ფილიალში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებიდან გამომდინარე, სათანადო პანდუსის მოწყობის მიზნით,

[1046] საქმე N091/14470. 17.12.14.
[1047] საქმე N18. 05.01.15.

გასული წლის განმავლობაში ორჯერ გამოცხადდა ტენდერი და ორივე შემთხვევაში ჩაიშალა, რადგან არ იქნა წარდგენილი არც ერთი სატენდერო წინადადება.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტმა, 2015 წლის 2 თებერვალს, ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით,[1048] ოფიციალურად მიმართა სსიპ იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილეს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ იუსტიციის სახლის ფილიალების (გორის, ოზურგეთის, გურჯაანის, თელავის, ქუთაისის, რუსთავის, თბილისის, ბათუმის, ყვარლის, მარნეულის, ახალციხის, მესტიის, ზუგდიდის) ინფრასტრუქტურის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ხელმისაწვდომობის თაობაზე.

სსიპ იუსტიციის სახლის 2015 წლის 12 თებერვლის კორესპონდენციის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს აცნობეს, რომ მათი ყველა ფილიალი ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სერვისის შეუფერხებლად მიწოდებისთვის. ერთადერთი გამონაკლისია მარნეულის ფილიალი, რომლის ადაპტირებისთვის გამოცხადდა ტენდერი და სამუშაოების დასრულება სატენდერო პროცედურების გათვალისწინებით დაგეგმილია მიმდინარე წლის მარტის ბოლოს. ამასთან ყველა იუსტიციის სახლის პროექტში გათვალისწინებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საჭირო ინფრასტრუქტურა[1049].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2014 წლის იანვარში საქართველოს მთავრობამ მიიღო ახალი სამოქმედო გეგმა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის“ შესახებ. აღნიშნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში გათვალისწინებულია საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებისა და მომსახურების, მათ შორის, საჯარო დაწესებულებების, ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ამასთან, საქართველოს „ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა“, 2014–2015 წლებისთვის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სხვა უწყებებთან ერთად, აკისრებს გარკვეულ ვალდებულებებს, საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებისა და სატრანსპორტო საშუალებების ადაპტირების თვალსაზრისით.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“[1050] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის #41 დადგენილების პირველი

[1048] საქმე N09/2863. 02.02.2015.
[1049] კორესპონდენცია N322–12.02.2015.
[1050] https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=2186893

მუხლის თანახმად, ტექნიკური რეგლამენტის მიზანია თანამედროვე საზოგადოებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ადაპტაციის, ინდივიდუალური განვითარებისა და მათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის ხელშეწყობა. ასევე, მათთვის ხელმისაწვდომი ფიზიკური გარემოს სტანდარტების გათვალისწინება პროექტირებისა და მშენებლობის პროცესში. ამავე მუხლის მე–3 პუნქტი ადგენს საზოგადოებრივი შენობა–ნაგებობების პროექტირებისა და მშენებლობის პროცესებში ყველა იმ მოთხოვნის გათვალისწინების ვალდებულებას, რომელიც აუცილებელია მოსახლეობის ამ კატეგორიისათვის. აღნიშნული პირობების შესასრულებლად საჭიროა მოეწყოს შედარებით განიერი გასასვლელები, დერეფნები, პანდუსები. შენობა–ნაგებობების დაპროექტება მიზანშეწონილია განხორციელდეს „უნივერსალური დიზაინის“[1051] პრინციპების გათვალისწინებით. ამავე დადგენილების 30–ე მუხლის მე–3 ქვეპუნქტის მიხედვით, საზოგადოებრივ, განსაკუთრებით ხალხმრავალ თავშეყრის ადგილებში, საჭიროა გათვალისწინებულ იყოს ვიზუალურ და ხმოვან ინფორმაციათა დუბლირების შესაძლებლობები. ამასთან, შუქნიშნები და სხვა მოწყობილობები, რომლებიც ახდენენ ფეხით მოსიარულეთა რეგულირებას სატრანსპორტო კომუნიკაციებზე, აგრეთვე იმ ადგილებში, რომლებიც სახიფათოა მთლიანად ან ნაწილობრივ მხედველობადაკარგულ (უსინათლო) ადამიანთათვის, საჭიროა დუბლირებულ იქნეს ხმოვანი სიგნალებით. მითითებული აქტი განსაზღვრავს შენობა–ნაგებობებთან დაკავშირებულ სტანდარტებს, თუმცა იგი მხოლოდ ფიზიკური გარემოს მისაწვდომობის შესახებ სტანდარტის დადგენით შემოიფარგლება და არ ეხება მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად კონვენციით დადგენილ სხვა კომპონენტებს (ფიზიკური გარემო მის ყველა ფორმაში, სერვისები და ინფორმაცია).

როგორც ზემოთ ითქვა, დოკუმენტის მთავარ ხარვეზს მასში მოცემული სტანდარტების აღსრულების საკითხი წარმოადგენს. ამასთან, ის არ არის მოქნილი, რადგან მასში საკითხების მნიშვნელობიდან გამომდინარე პრიორიტეტები განსაზღვრული არ არის. ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მისაწვდომობის სტანდარტი, რომელიც ვრცელდება როგორც საჯარო, ისე კერძო დაწესებულებებზე ადგენს, რომ აშენებული და მშენებარე შენობა–ნაგებობები აღნიშნულ სტანდარტთან შესაბამისობაში უნდა მოვიდეს რეგლამენტის დამტკიცებიდან 5 წლის ვადაში და არ ითვალისწინებს შემჭიდროვებულ ვადებს ცალკეული საზოგადოებრივი დანიშნულების, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტების ადაპტირებისთვის (სსიპ იუსტიციის სახლის ფილიალები; სხვა სახელმწიფო დაწესებულებები). ის ასევე არ ითვალისწინებს შუალედურ ვადებს ადაპტაციის პროცესის

[1051] „უნივერსალური დიზაინი“ – გულისხმობს პროდუქტის, გარემოს, პროგრამებისა და მომსახურების ისეთ დიზაინს, რომელიც ყველა ადამიანის აძლევს მისი მაქსიმალური გამოყენების საშუალებას, ადაპტაციისა და სპეციალური დიზაინის გამოყენების აუცილებლობის გარეშე. „უნივერსალური დიზაინი“ არ გამორიცხავს საჭიროების შემთხვევაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე კონკრეტული ჯგუფის მიერ დამხმარე საშუალებების გამოყენებას

კონტროლისათვის, რაც ახალი სამშენებლო სტანდარტების ზედამხედველობის განხორციელების შესაძლებლობას ეჭქვეშ აყენებს.

მიუხედავად ტექნიკური რეგლამენტის მიღებისა, პრობლემურია მისი დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი რეაგირების საკითხი. ყოველივე ზემოაღნიშნული კი კვლავ დღის წესრიგში ტოვებს შენობა–ნაგებობების მისაწვდომობის რეალური იმპლემენტაციის საკითხს.

ავტობუსის მარშუტების თუ სხვა სახის სატრანსპორტო გაჩერებებზე მოსაცდელი ჯიხურების ადაპტირება პირდაპირ კავშირშია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტებზე მისაწვდომობის უფლების რეალიზებასთან.

ვ.მ.–ს შემთხვევა – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საგზაო ინფრასტრუქტურის მისაწვდომობის სტანდარტის დარღვევა

2014 წლის 15 აპრილს, საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაცია „ამპუტის“ წარმომადგენელმა მოქალაქე ვ.მ.–მ.[1052] განცხადება ეხებოდა თბილისში ავტობუსის მარშუტების გაჩერებებზე ისეთი სახის სატრანსპორტო მოსაცდელი ჯიხურების არარსებობას, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის საინფორმაციო დაფებზე განთავსებული ინფორმაციის აღქმა. ამას ერთვოდა ის გარემოებაც, რომ მოსაცდელი ჯიხურების მარცხენა მხარე დაფარული იყო სხვადასხვა სახის სარეკლამო ბანერებით, რაც შეუძლებელს ხდიდა მომავალი ავტობუსის ნომრის დანახვას. აღნიშნული გარემოებები რიგ შემთხვევაში მნიშვნელოვან სირთულეებს ქმნის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმული პირებისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2014 წლის 16 მაისს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ოფიციალურად მიმართა[1053] ქალაქ თბილისის მერიას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმულთა უსაფრთხო გადაადგილების მიზნით, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში უზრუნველყოს ვიზუალურ და ხმოვან ინფორმაციათა დუბლირება; ავტობუსის (M3 კატეგორია) მარშუტების გაჩერებებზე დამონტაჟებული ელექტრონული ტაბლოს მორბენალი სტრიქონების წაკითხვის ტექნიკური შესაძლებლობებით აღჭურვა და საქალაქო ტრანსპორტის მოსაცდელი კონსტრუქციების ორივე მხარის გამჭვირვალობა.

[1052] საქმე N8842/1. 15.04.14.

[1053] საქმე N091/7326. 16.05.14.

თბილისის მერიისგან მიღებული საპასუხო წერილის[1054] თანახმად, თბილისის მერიასა და საქალაქო ტრანსპორტის მოსაცდელი კონსტრუქციების მესაკუთრე შპს „ბას სტოპისა“ დაშპს „Color Media“–ს შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად, სახელწიფო საკუთრებაში არსებული საზოგადოებრივი სარგებლობის მიწის ნაკვეთების გარკვეული ნაწილი ზემოაღნიშნულ შპს–ებს გადაეცათ საქალაქო ტრანსპორტის მოსაცდელი კონსტრუქციების მოსაწყობად, სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმებული პროექტით. ამასთან აღნიშნულ შპს–ებს შესაძლებლობა მიეცათ საკუთარი ინვესტიციების ხარჯზე დამონტაჟებული საქალაქო ტრანსპორტის მოსაცდელი კონსტრუქციები გამოეყენებინათ სარეკლამო საქმიანობის მიზნით. სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა, მგზავრთა სატრანსპორტო მოსაცდელი ჯიხურების მარცხენა მხარის გამჭვირვალობაზე საკითხები ერთობლივად განიხილა საქალაქო ტრანსპორტის მოსაცდელი კონსტრუქციების მესაკუთრე შპს „ბას სტოპისა“ და შპს „Color Media“–ს წარმომადგენლებთან. შეხვედრების პერიოდში აღინიშნა, რომ კომპანიებმა მგზავრთა სატრანსპორტო მოსაცდელი ჯიხურების დამონტაჟება ავტობუსების გაჩერებებზე განახორციელეს საკუთარი ინვესტიციების ხარჯზე, იმის იმედით, რომ ამჟამად მოსაცდელ ჯიხურებზე განთავსებული სარეკლამო ბანერებიდან მიღებული შემოსავლით შეძლებდნენ მიწის საიჯარო გადასახადების გადახდას და პერიოდულად მოსაცდელი ჯიხურების მოწესრიგებას. მოსაცდელის ერთ–ერთი მხრიდან აღნიშნული სარეკლამო ბანერის გაუქმება კი გამოიწვევდა შემოსავლების საკმაო კლებას და ვერ უზრუნველყოფდნენ სარემონტო სამუშაოების ჩატარებას, დასუფთავებას და სხვა საჭირო საქმიანობის განხორციელებას. ამდენად, ზემოაღნიშნული ფაქტორებიდან გამომდინარე, მათ ექსპლოატაციაში არსებულ საქალაქო ტრანსპორტის მოსაცდელ კონსტრუქციებზე ვერ იქნა აღნიშნული მოთხოვნა გათვალისწინებული.

კორესპონდენციაში მითითებული იყო, რომ მგზავრთა სატრანსპორტო მოსაცდელი ჯიხურების დამონტაჟებაზე მსურველ კომპანიებს სამომავლოდ ერთ–ერთ მოთხოვნად წარედგინებოდათ მარცხენა მხარის (ბანერის) გამჭვირვალობა (უკვე 2013 წლის ბოლოს თბილისის რაიონულმა გამგეობებმა მათთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, ავტობუსის გაჩერებებზე საქალაქო ტრანსპორტის მოსაცდელი კონსტრუქციების დამონტაჟების მიზნით გამოაცხადეს ტენდერი, სადაც ერთ–ერთ პირობად გაითვალისწინეს საქალაქო ტრანსპორტის მოსაცდელ კონსტრუქციებზე ორივე მხარის გამჭვირვალედ დატოვება). რაც შეეხება ავტობუსის გაჩერებაზე დამონტაჟებულ, ავტობუსის მისვლის დროის მაჩვენებელ ელექტრონულ ტაბლოზე მითითებული სტრიქონების აღქმას, წერილის თანახმად, შესაბამისმა სამსახურმა შეისწავლა საკითხი და მოხდა ზოგიერთი ავტობუსის გაჩერებაზე აღნიშნული ტაბლოების შესაძლო

[1054] საქმე N06/14140712-14. 09.06.14.

ადგილმონაცვლეობა და მათი ისეთ მდგომარეობაში მოყვანა, რაც აღნიშნული კატეგორიის პირებს გაუადვილებს წაკითხვას.

2014 წლის ივნისის მდგომარეობით, დედაქალაქში დამონტაჟებულია 900 (ცხრაასი) ერთეული ავტობუსის მისვლის დროის მიმთითებელი ელექტრონული ტაბლო, საიდანაც მხოლოდ 10 (ათი) ერთეულია ტროტუარის პარალელურად დამონტაჟებული (ტროტუარის სივიწროვის გამო). თბილისის მერია იუწყება, რომ უახლოეს პერიოდში დამატებით გათვალისწინებული იყო გლდანის მე–8 მ/რ–ში, №1 კორპუსის მიმდებარედ დამონტაჟებული ელექტრო ტაბლოს ადგილმონაცვლეობა.

ვიზუალურ და ხმოვან ინფორმაციათა დუბლირების შესაძლებლობების გათვალისწინების საკითხთან დაკავშირებით, კორესპონდენციაში აღნიშნულია, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ქუჩის სავალი ნაწილის უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაკვეთის მიზნით, თავშეყრის ადგილებში არსებულ შუქნიშნებთან მონტაჟდება ხმოვანი სიგნალები (2014 წლის ივნისის მონაცემებით, ხმოვანი სიგნალი დამონტაჟებულია შუქნიშნის 16 ობიექტთან). გზაჯვარედინებზე, სადაც არსებობს უსაფრთხოების კუნძულები, ქვეითთა გადასასვლელების ადგილები დაბლდება სავალი ნაწილის დონემდე, იმისათვის რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა შეძლონ ქუჩის უსაფრთხოდ გადაკვეთა.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მიუხედავად რიგი ცვლილებებისა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის კვლავ ხელმიუწვდომელია საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები, ტრანსპორტი, საზოგადოებრივი სარგებლობის გზები და სამედიცინო მომსახურება. [1055]

მისაწვდომობის მინიმალურ სტანდარტებს ისევ ვერ აკმაყოფილებს განახლებული საგზაო ინფრასტრუქტურა (ავტოპარკინგი, საგზაო მარეგულირებელი ნიშნები და მოწყობილობები). კვლავ მიუწვდომელი რჩება ინფორმაციის მიღების შესაძლებლობები – ელექტრონული მედია, პრესა, ადგილობრივი ტელე და რადიო მაუწყებლობა.

პრობლემურია ამ სფეროში არსებული საკანონმდებლო და ადმინისტრაციული რეგულაციების პრაქტიკაში განხორციელების თავისებურებები. შესაბამისი ფუნქციისა და რესურსის არარსებობის, ასევე კოდექსში არსებული ტექნიკური ხარვეზის (კოდექსით არ არის გათვალისწინებული საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო) გამო, კვლავ ვერ ხერხდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 178[1], 178[2] მუხლებით დადგენილი ნორმების პრაქტიკული იმპლემენტაცია. აღნიშნულ ფაქტზე საქართველოს სახალხო დამცველმა, კანონმდებლობის საფუძველზე მისთვის მინიჭებული

[1055] საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია # 4603/08/2353–12–19.10.12.

უფლებამოსილების ფარგლებში, ჯერ კიდევ 2013 წელს მიმართა რეკომენდაციით [1056] საქართველოს მთავრობას, რათა მას განეხორციელებინა შესაბამისი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული რეგულაციების რევიზია, დახვეწა და განახლება, რითაც შესაძლებელი გახდებოდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ყველა სფეროში შესაბამისი ზომების გატარება ფიზიკური გარემოს, ტრანსპორტის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის, მათ შორის ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და სისტემების, ასევე სხვა, საზოგადოებისათვის ღია ობიექტებისა და მომსახურების თანაბარი მისაწვდომობის კუთხით, როგორც ქალაქის, ისე სოფლის პირობებში. ამასთან, აღნიშნული რეკომენდაცია ითვალისწინებდა შესაბამისი ორგანოების მიერ სხვადასხვა ნორმატიული აქტით დაწესებული რეგულაციების განხორციელების მონიტორინგისა და დაწესებული სანქციების ამოქმედების საჭიროებას.

პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ხელმისაწვდომი გარემო ერთ–ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის. საჯარო სივრცე, შენობა–ნაგებობები, საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები თუ სატრანსპორტო საშუალებები არ არის ხელმისაწვდომი. მათ შორის, ამ ჯგუფისთვის არ არის ხელმისაწვდომი საკუთარი საცხოვრებელი სახლები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, ჯანდაცვის ობიექტები, ქუჩები, სკვერები, სახელმწიფო დაწესებულებები. არსებული შენობების შიდა და გარე ინფრასტრუქტურა არ არის ადაპტირებული და არ ხდება ტექნიკური რეგლამენტის სტანდარტების გათვალისწინება პროექტირებისა და მშენებლობის პროცესში.

მცირე გამონაკლისების გარდა, უხეშად ირღვევა გარემოს ხელმისაწვდომობის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები. საკითხი ეხება როგორც ძველი, ისე რეაბილიტირებული და ახალი შენობა–ნაგებობების ინფრასტრუქტურას. შედეგად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ვერ ახერხებენ დამოუკიდებლად გადაადგილებას და სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტებით სარგებლობას. აღნიშნული პრობლემები განსაკუთრებით თვალშისაცემია რეგიონებში. საკითხის ეფექტურად გადაჭრა შესაძლებელია სახელმწიფოს შესაბამისი ძალისხმევითა და რესურსებით, სისტემური ხედვის ჩამოყალიბებით, რომელიც უზრუნველყოფს ყველა სახის ბარიერის აღმოფხვრას არსებულ გარემოში.

რეკომენდაციები

[1056] საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია №452/09–30.04.2013.

საქართველოს პარლამენტს:

- *მოახდინოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება, რათა უზრუნველყოფილ იქნას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ ინდივიდუალურ უფლება-დარღვევებზე გაეროს შესაბამისი კომიტეტისთვის მიმართვა*

საქართველოს მთავრობას:

- უზრუნველყოს შესაბამისი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული რეგულაციების რევიზია, დახვეწა და განახლება, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ყველა სფეროში მიღებულ იქნას შესაბამისი ზომები აღნიშნულ პირთათვის ფიზიკური გარემოს, ტრანსპორტის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის, მათ შორის ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და სისტემების, ასევე სხვა, საზოგადოებისათვის ღია ობიექტებისა და მომსახურების თანაბარი მისაწვდომობა როგორც ქალაქის, ასევე სოფლის პირობებში

- *შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადებში დაიწყოს მუშაობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების ხელშემწყობი ერთიანი სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავებისთვის და უზრუნველყოს ამ პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის მაქსიმალური ჩართულობა*

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს:

- რეგიონული განვითარების პროექტების განხორციელებისას, რომლებიც დაკავშირებულია რეგიონების ინფრასტრუქტურული მომსახურებისა და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაუმჯობესებასთან, გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განსაკუთრებული საჭიროებები, როგორც შენობაში შეღწევის, ისე შენობის შიდა და გარე ინფრასტრუქტურით სარგებლობის თვალსაზრისით

- საგზაო ინფრასტრუქტურის (ტროტუარები, ავტოპარკინგი, ავტოსაგზაო მარეგულირებელი ნიშნები და მოწყობილობები) განახლებისას გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განსაკუთრებული საჭიროებები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად

ქალაქ თბილისის მერიას:

- მგზავრთა საქალაქო სატრანსპორტო მოსაცდელი კონსტრუქციების დამონტაჟების მიზნით გამოცხადებულ ტენდერებში, უმნიშვნელოვანეს პირობად იქნეს გათვალისწინებული საქალაქო ტრანსპორტის მოსაცდელ კონსტრუქციებზე ორივე მხარის გამჭვირვალედ დატოვება და უზრუნველყოს სატენდერო პირობების შესრულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმული პირებისათვის სამარშუტო ტრანსპორტის მისვლის დროის მიმთითებელ ტაბლოზე მოცემული სტრიქონების აღქმის გაუმჯობესების მიზნით, მოხდეს მათი ისეთ მდგომარეობაში მოყვანა, რაც შესაძლებელს გახდის აღნიშნულ პირთა მიერ მის მარტივად წაკითხვას

- ფეხით მოსიარულეთა გზებზე, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, გზებსა და ქუჩებზე, მოედნებზე, განსაკუთრებით გზაჯვარედინებზე, პარკებში, რკინიგზის სადგურებში, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებთან დაიდგას საინფორმაციო მაჩვენებლები, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს გააფრთხილებს შესაძლო ბარიერების არსებობის, ან საჭიროების შემთხვევაში სხვადასხვა საფრთხის შესახებ

- საზოგადოებრივ, განსაკუთრებით ხალხმრავალ თავშეყრის ადგილებში გათვალისწინებულ იქნეს ვიზუალურ და ხმოვან ინფორმაციათა დუბლირების შესაძლებლობები. შუქნიშნები და სხვა მოწყობილობები, რომლებიც ახდენს ფეხით მოსიარულის რეგულირებას სატრანსპორტო კომუნიკაციებზე, აგრეთვე იმ ადგილებში, რომლებიც სახიფათოა მხედველობის არმქონე (უსინათლო) ან მცირე მხედველი ადამიანებისთვის, საჭიროა დუბლირებულ იქნეს ხმოვანი სიგნალებით

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა უფლებები

2014 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში გაეროს ერთობლივი პროგრამა „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში“ მხარდაჭერით გრძელდებოდა პროექტი საქართველოს სახალხო დამცველის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების ცენტრის გაძლიერების მიმართულებით.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში არაერთი აქტივობა შესრულდა. მათ შორის შემუშავდა კვლევა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის მე-6 მუხლის იმპლემენტაცია: არსებული გამოწვევები და პერსპექტივები“.

კვლევის არეალი მოიცავდა ქვეყნის ოთხ რეგიონს: კახეთი, სამეგრელო, იმერეთი, მცხეთა-მთიანეთი.

კვლევის შედეგად კიდევ ერთხელ გამოიკვეთა საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა უფლებების კუთხით არსებული პრობლემები და გამოწვევები, რომლებიც აისახა ნაშრომში. იდენტიფიცირებულ იქნა შემდეგი საკითხები:

ინფორმაციის ნაკლებობა ადამიანის უფლებების შესახებ;

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, მათ შორის ქალთა (გოგონათა) ნაკლები ჩართვა და მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა/გოგონათა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა;

ჯანდაცვაზე, განათლებასა და დასაქმებაზე ხელმისაწვდომობის დაბალი ხარისხი;

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა საჭიროებაზე მორგებული სამედიცინო მომსახურების არარსებობა;

რეგიონებში სამედიცინო დაწესებულებების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრობლემა;

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობისთვის საჭირო მედიკამენტებით უზრუნველყოფის დეფიციტი;

გარემოს ხელმისაწვდომობისა და ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალებების გადაუჭრელი პრობლემა;.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების (გოგონების) ინკლუზიური განათლების პროცესში არაჯეროვანი ჩართვა;

არსებულ საკითხთან დაკავშირებული ინფორმაციის შესახებ მშობელთა დაბალი ცნობიერება;

საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის პრობლემა;

სასწავლო დაწესებულებაში გადაადგილების მიზნით ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალებების არარსებობა;

პრობლემები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პროფესიული გადამზადებისა და დასაქმების კუთხით;

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, მათ შორის ქალთა (გოგონათა) მიმართ ძალადობის ფაქტების იდენტიფიცირების, შესაბამისი მხარდამჭერი სერვისებისა და რეაბილიტაციის რეფერალის არარსებობა;

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ნაკლები ჩართულობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხების მოგვარების საქმეში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებული პრობლემებისა და საჭიროებების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა/არქონა;

რეგიონებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო სექტორის, განსაკუთრებით ახლად შექმნილი ორგანიზაციების მხარდამჭერი ღონისძიებების არარსებობა/ნაკლებობა.

პროექტის ფარგლებში გამოვლენილმა პრობლემებმა კიდევ ერთხელ ნათლად დაადასტურა სახელმწიფოს მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის მე-6 მუხლის იმპლემენტაციის მიზნით ქმედითი ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობა, რომლის დროსაც სახელმწიფო პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებას ყველა მიმართულებით.

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ კვლევის ფარგლებში იდენტიფიცირებულ გამოწვევებთან დაკავშირებით შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გაეროს 2006 წლის კონვენციის მე-6 მუხლის იმპლემენტაციის მიზნით, ქვეყანამ გაიზიაროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა უფლებების დაცვის მნიშვნელობის საერთაშორისო აღიარება და უზრუნველყოს სახელმწიფო პოლიტიკისა და სტრატეგიის ორიენტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, მათ შორის ქალებზე**

- **სახელმწიფოს სამთავრობო სტრუქტურების მიერ უზრუნველყოფილ იქნას საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საქართველოს კონსტიტუციით და ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობით აღიარებული დისკრიმინაციის აკრძალვისა და თანასწორობის პრინციპის დაცვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა (გოგონათა) უფლებების დაცვის მიზნით**

- უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე, მათ შორის ქალთა ინკლუზიაზე დაფუძნებული სამთავრობო სტრატეგიების განვითარების ხელშეწყობა, ადამიანის უფლებების დაცვის სახელმწიფო პროგრამებსა და სამოქმედო გეგმებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა განსაკუთრებული საჭიროებების გამოკვეთა, სხვა საჭირო და აუცილებელი ღონისძიებების გატარება

- უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, მათ შორის ქალთა (გოგონათა) გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის ხელშეწყობა; მათი დამოუკიდებლობის ხარისხი

- ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკისა და საკანონმდებლო რეგულაციების შემუშავების დროს უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა (გოგონათა) უფლებების განსაკუთრებული დაცვა; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ექსპლუატაციის, ძალადობისა და შეურაცხყოფის შემთხვევათა გამოვლენა, გამოძიება და ბრალეულ პირთა კანონის შესაბამისად დასჯა

- უზრუნველყოს მართლმსაჯულების პრინციპის დაცვა და სამართლებრივი დაცვის მექანიზმების ხელმისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, მათ შორის ქალთა (გოგონათა) მიმართ ძალადობის აქტების განხორციელების შემთხვევებში

- უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ გაერთიანებებში საქმიანობის ხელშეწყობა

- გაატაროს ქმედითი ღონისძიებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, მათ შორის ქალთა შრომისა და დასაქმების თანაბარი უფლების უზრუნველყოფის მიზნით

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- უზრუნველყოს ინკლუზიური განათლების ხელშემწყობი ღონისძიებები, მათ შორის საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებების გატარება რეგიონებში (განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში) მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის (გოგონებისთვის), რათა რეალიზებულ იქნას ამ პირთა უფლება ინკლუზიურ სკოლამდელ, ზოგად, უმაღლეს და პროფესიულ განათლებაზე

- აქტიურად წარმართოს სასწავლო დაწესებულებების ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის პროცესი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის განკუთვნილი სოციალური მომსახურებებისა და ფულადი გასაცემლების - „სოციალური პაკეტის“ გაუმჯობესება ინდივიდუალური საჭიროებების, მათ შორის გენდერული ასპექტების გათვალისწინებით

- უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემის გაუმჯობესება, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების საჭიროებებზე მორგებული სამედიცინო მომსახურების მიწოდება

- საქართველოს რეგიონებში (განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში) უმოკლეს ვადაში გადაიჭრას შეზღუდული შესაძლებლობის პირთათვის, მათ შორის ქალთათვის (გოგონებისთვის) სამედიცინო დაწესებულებების გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობის პრობლემა

- ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გადაიხედოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, მათ შორის ქალთა (გოგონათა) ჯანმრთელობისთვის საჭირო მედიკამენტებით უზრუნველყოფის საკითხი

- უზრუნველყოს საკანონმდებლო ცვლილების განხორციელება, რომლის მიხედვით სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებას ექნება ვალდებულება სამედიცინო–სოციალური ექსპერტიზის ჩატარების მიზნით გასვლითი სხდომა ჩაატაროს იმ პირის საცხოვრებელ ადგილზე, რომელსაც ეკონომიკური მდგომარეობის გამო არ შეუძლია დაწესებულებაში გამოცხადება

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს:

- უზრუნველყოს ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა უწყვეტი სწავლების სისტემის განვითარების შესახებ წინადადებების შემუშავების პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებული პრობლემებისა და საჭიროებების შესახებ ინფორმაციის გათვალისწინება

- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ჩართულობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პრობლემების მოგვარების საკითხში

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს:

- უზრუნველყოს საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებისა და მომსახურების, მათ შორის საჯარო დაწესებულებების ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის პროცესის აქტიურად წარმართვა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებზე ცნობიერების ამაღლების კამპანია ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის

2014 წლის ნოემბერში, გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, საქართველოს სახალხო დამცველის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრმა ჩაატარა ეროვნული და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებებზე ცნობიერების ამაღლების კამპანია. ამასთან, ეროვნული და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში შეისწავლა ადამიანის უფლებების სავარაუდო დარღვევის ფაქტები და შეიმუშავა შესაბამისი რეკომენდაციები/წინადადებები.

პროექტის დაფარვის არეალი: კახეთი (იორმუღანლო, კაბალი, პანკისი); სამცხე-ჯავახეთი (ახალქალაქი); ქვემო ქართლი (ბოლნისი, მარნეული).

პროექტის ფარგლებში განხორციელებული გასვლითი შეხვედრების დროს გამოიკვეთა ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების დაცვის კუთხით არსებული აქტუალური პრობლემები. მათ შორის:

- მძიმე სოციალური ფონი/სიღარიბე
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ დაბალი ცნობიერება
- ინფორმაციის ნაკლებობა/არქონა უფლებების თაობაზე
- ენობრივი ბარიერი
- ქალთა ნაკლები ჩართულობა
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების უგულებელყოფა და ვალდებულებების შეუსრულებლობა სოფლის (ოჯახის) ექიმების მხრიდან
- გარემოს ხელმისაწვდომობა
- ფსიქოტროპული მედიკამენტების მიწოდების პრობლემა
- ექსპერტიზის ბიუროების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის განსაზღვრა
- ინკლუზიური განათლების უფლების სრულფასოვანი რეალიზება
- ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა გადამზადების საჭიროება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებებისა და სახელმწიფო ვალდებულებების თაობაზე
- რეგიონებში სამოქალაქო სექტორის გაძლიერების აუცილებლობა

ყველა რეგიონისთვის განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონი. მოქალაქეთა დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ ცხოვრობს სიღატაკეში, განიცდის მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ გაჭირვებას. არ არიან დასაქმებულ, მწირია სოციალური პაკეტის (პენსიის) ოდენობა.

უმუშევრობა განსაკუთრებით უარყოფითად აისახება იმ ოჯახებზე, რომელთა შემადგენლობაში შედიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. არსებული მდგომარეობის მიუხედავად ბევრი მათგანი ვერ იღებს საარსებო შემწეობას. სახელმწიფოს მიერ სოციალური პაკეტის სახით დადგენილი ფულადი გასაცემელი, ვერ უზრუნველყოფს ამ პირებისა და მათი ოჯახების ფინანსურ მდგრადობას და საჭიროებებს. ხშირად არ ხდება მათი საბაზისო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. უჩივიან სახელმწიფოს მიერ დადგენილი ოჯახის სარეიტინგო ქულის მინიჭებისა და მისი გასაჩივრების პროცედურების არაეფექტურობას.

მოქალაქეთა უმრავლესობა ფულადი დახმარების დანიშვნას ითხოვს.

მ.ნ.–ს სოციალურ-ეკონომიკური უფლების სავარაუდო დარღვევის ფაქტი

კახეთის რეგიონში ვიზიტის დროს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებისთვის ცნობილი გახდა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მ.ნ.–ს სოციალურ-ეკონომიკური უფლების სავარაუდო დარღვევის შესახებ.

მ.ნ. ავღანეთის ომის ვეტერანია, მობილობის შეზღუდვის მქონე. ამპუტირებული აქვს ორივე ქვედა კიდური. უჭირს ეტლით გადაადგილებაც კი. არის სახელმწიფო სოციალური პაკეტის მიმღები, მაგრამ არ იღებს სახელმწიფო შემწეობას.

მოქალაქის ინფორმაციით 2014 წლის 14 აპრილს მოხდა მისი ოჯახის შეფასება და მიენიჭა მაღალი სარეიტინგო ქულა (84 990). შესაბამისად ვერ იღებს უმწეო ოჯახების დახმარებას. მიაჩნია, რომ სარეიტინგო ქულა არ შეესაბამება ოჯახის რეალურ მდგომარეობას და მისი გაზრდა შესაძლოა ნაწილობრივ განპირობებული იყოს დეკლარაციაში საბჭოთა წარმოების ავტომობილის მითითებით, რომელიც მ.ნ.-ს განმარტებით, ერთადერთი და შეუცვლელი საშუალებაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის გადასაადგილებლად. რეგიონში, სადაც აღნიშნული პირი ცხოვრობს, არაადაპტირებული გარემოს გამო შეუძლებელია ქვედა კიდურების არმქონე ადამიანისათვის გადაადგილება ავტომობილის გარეშე.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ორგანოები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უქმნიან სათანადო პირობებს ტრანსპორტითა და სატრანსპორტო

კომუნიკაციებით თავისუფალი ორიენტაციისა და გადაადგილებისათვის. ამავე კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სოციალური დახმარების ფარგლებში გათვალისწინებულია მათი ავტომობილებით უზრუნველყოფა. აღნიშნული კანონის ჩანაწერი განსაკუთრებით რელევანტურია მ. ნ.–ს მიმართ, ზემოთ მოყვანილი გარემოებების გამო.

მოცემულ შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო სამართლის ნორმებით გარანტირებული ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფის სახელმწიფო ვალდებულება სამწუხაროდ გაზიარებული არ არის.

ენობრივი ბარიერი

ეთნიკური და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებთან შეხვედრებმა ცხადყო ენობრივი ბარიერის პრობლემის არსებობა. აღნიშნული ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორია მოქალაქის მიერ საჭირო ინფორმაციის, მათ შორის სახელმწიფოს მხრიდან დაგეგმილი ღონისძიებების და პროგრამების, სერვისების, სოციალური შეღავათების შესახებ ინფორმაციის მიღების დროს.

ენობრივი ბარიერის გამო ადგილობრივ მოსახლეობას უჭირს კომუნიკაცია მომსახურების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან. ფიქსირდება შემთხვევები, როცა ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა ნაწილი არ ფლობს სახელმწიფო ენას.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების უგულებელყოფა და ვალდებულებების შეუსრულებლობა სოფლის (ოჯახის) ექიმების მხრიდან

ერთ-ერთი მწვავე პრობლემა, რომელიც გამოიკვეთა რეგიონებში გამართული ფოკუს-ჯგუფების მიმდინარეობის დროს, არის მედიცინის სფეროს მუშაკთა (სოფლის (ოჯახის)) ექიმების მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობა, რაც გამოიხატება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების უგულებელყოფაში.

გასვლითი შეხვედრების დროს მიღებული ინფორმაციის თანახმად, არაერთი მოქალაქე წლების განმავლობაში დარჩენილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის გარეშე იმ მიზეზით, რომ მედიცინის მუშაკთა მხრიდან არ მოხდა მათი ინფორმირება, სათანადო სადიაგნოსტიკო გამოკვლევებისა და დოკუმენტაციის მომზადება სამედიცინო-სოციალურ ექსპერტიზაზე გაგზავნის მიზნით.

რეგიონებში სამოქალაქო სექტორის გაძლიერების აუცილებლობა

მნიშვნელოვანია რეგიონებში სამოქალაქო სექტორის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობით ორგანიზაციების შექმნა და არსებულის გაძლიერება, რათა ისინი აქტიურად იქნან ჩაერთონ უფლებადაცვით საქმიანობაში, სპეციალური საჭიროების მქონე თემისთვის ინფორმაციის ორგანიზებულად მოგროვებასა და მიწოდებაში, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიმართულებით განხორციელებულ საქმიანობაში.

არასამთავრობო სექტორმა ყურადღება უნდა დაუთმოს შეზუდული შესაძლებლობის მქონე პირების პრობლემატიკის ანალიზს, რაც საფუძვლად დაედება ამავე ორგანიზაციების მიერ მათ საჭიროებაზე მორგებული სერვისების შეთავაზებას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გაძლიერება, რადგან მათი უმრავლესობა დღემდე მოკლებულია პიროვნული რეალიზაციის და სრულფასოვანი ცხოვრების შესაძლებლობებს. საჭიროა მათი უშუალო მონაწილეობა სამოქალაქო პროცესებში, რაც ხელს შეუწყობს ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბებას.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- **რეგიონებში მცხოვრები ეროვნული და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საარსებო წყაროსა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით განახორციელოს მათი ეკონომიკური საქმიანობის ხელშეწყობა, ამ პირთა ინკლუზიის მხარდამჭერი სხვა ღონისძიებები, გენდერული თანასწორობის დაცვით**

- **ხელი შეუწყოს რეგიონებში მცირე ბიზნესისა და მეწარმეობის პროგრამების განხორციელებას, რომლებიც წაახალისებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საქმიანობას, მათ მიერ შესაბამისი ცოდნისა და უნარჩვევების შეძენას**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის განკუთვნილი სოციალური მომსახურებებისა და ფულადი გასაცემლების გაუმჯობესება ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით

- უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემის გაუმჯობესება, მათ საჭიროებებზე მორგებული სამედიცინო მომსახურების მიწოდება, გენდერული ასპექტების გათვალისწინებით

- საქართველოს რეგიონებში გადაიჭრას სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის განმახორციელებელი სამედიცინო დაწესებულებების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრობლემა

- უზრუნველყოს რეგიონებში ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცნო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამების, ჯანდაცვის სფეროში არსებული სხვა ღონისძიებების შესახებ მოსახლეობის სათანადო ინფორმირებულობა მათთვის გასაგებ მშობლიურ ენაზე .

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- უზრუნველყოს ინკლუზიური განათლების ხელშემწყობი ღონისძიებები, მათ შორის საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებების გატარება რეგიონებში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის, რათა რეალიზებულ იქნას ამ პირთა უფლება ინკლუზიურ სკოლამდელ, ზოგად, უმაღლეს და პროფესიულ განათლებაზე

- აქტიურად წარმართოს სასწავლო დაწესებულებების ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის პროცესი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს:

- რეგიონებში უზრუნველყოს საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებისა და მომსახურების, მათ შორის საჯარო დაწესებულებების ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის პროცესის აქტიურად წარმართვა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს:

- უზრუნველყოს ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა უწყვეტი სწავლების სისტემის განვითარების შესახებ წინადადებების შემუშავების პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებული პრობლემებისა და საჭიროებების შესახებ ინფორმაციის გათვალისწინება

- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ჩართულობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პრობლემების მოგვარების საკითხში

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს:

- ადგილობრივი ბიუჯეტის შემუშავების დროს უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის თანაბარი შესაძლებლობების მხარდამჭერი პროგრამებისა და ღონისძიებების დაგეგმვაში ამ პირთა, მათ შორის ქალთა ან/და მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მონაწილეობა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი ჩართულობა

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს დროულად და მათთვის მისაწვდომი ფორმით ეცნობოთ ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მიერ განხორციელებული პროგრამების/ღონისძიებების შესახებ

საზოგადოებრივ მაუწყებელს და რეგიონულ მედია-საშუალებებს:

- უზრუნველყონ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებულ საკითხებზე, მათ შორის: კორექტული ტერმინოლოგიის გამოყენებისა და პოზიტიური განწყობის ჩამოყალიბების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებაში სტიგმატიზაციისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის, ამ პირთა უფლებებისა და ღირსების პატივისცემის საკითხებზე

- უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ხელმისაწვდომობა საგანმანათლებლო, შემეცნებით და საინფორმაციო გადაცემებზე

- საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდების დროს აქტიურად იქნას გამოყენებული ჟესტების ენა

ინტერნეტ-პროვაიდერებს:

- სერვისის მიწოდებისას აქტიურად დაუჭირონ მხარი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ხელმისაწვდომი ფორმების გამოყენებას

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა უფლებები

საანგარიშო პერიოდში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით გარკვეული დადებითი მოვლენები გამოიკვეთა, თუმცა მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა.

2014 წელს გრძელდებოდა ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ფარგლებში დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი და ბავშვთა დიდი ზომის რეზიდენტული დაწესებულებების ოპტიმიზაცია. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციის[1057] თანახმად, 2012 წლიდან დაიწყო სსიპ ადამიანით ვაჭრობის(ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ტერიტორიული ერთეულის (ფილიალის) სენაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სახლის აღსაზრდელების შეფასება, მათი ალტერნატიული ზრუნვის მომსახურებაში (მინდობით აღზრდა) განთავსების მიზნით. მოხდა ექვსი ბენეფიციარის მინდობით აღზრდაში გადაყვანა. 2015 წლის იანვარში განხორციელდა სენაკის 8 აღსაზრდელის გადაყვანა კოჯრის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სახლში. მათივე ინფორმაციით ბენეფიციარების ნაწილი სრულწლოვანების მიღწევის გამო ამოირიცხა დაწესებულებიდან.

საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ დიდი ზომის რეზიდენტული დაწესებულებების ოპტიმიზაციის პროცესი, დროებით ღონისძიებად უნდა იქნას მიჩნეული. შესაბამისად, საჭიროა სახელმწიფოს მიერ შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში განხორციელდეს ბენეფიციართა ალტერნატიული სერვისებით უზრუნველყოფა (მინდობით აღზრდა, მცირე საოჯახო ტიპის სახლის სერვისის შეთავაზება და სხვა), რაც ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მომსახურების ოჯახთან მიახლოებულ პირობებში მიწოდებას.

ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ფარგლებში, დეინსტიტუციონალიზაციის პროცესზე მონიტორინგის დროს გამოკვეთილი პრობლემებიდან საქართველოს სახალხო დამცველი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ბავშვთა რეზიდენტული დაწესებულებების იმ აღსაზრდელების უფლებრივ მდგომარეობაზე, რომლებიც სრულწლოვანების მიღწევის გამო ამოირიცხნენ ინსტიტუციებიდან. აღნიშნულ პირთა დიდ ნაწილს აქვს საცხოვრებლის, დასაქმების, სოციალური და სხვა უფლების რეალიზების პრობლემა. სამწუხაროდ, ჯერ

[1057] კორესპონდენცია N01/12240–20.02.2015.

კიდევ არ არსებობს სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს მათი დამოუკიდებელი ცხოვრების მხარდაჭერას და ამ პირთა საზოგადოებაში ღირსეულ ინტეგრაციას.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ 2014 წლის განმავლობაში განხორციელებული სხვადასხვა აქტივობების (გასვლითი შეხვედრები რეგიონებში) ფარგლებში არაერთხელ გამოიკვეთა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მიერ სხვადასხვა უფლების სათანადოდ რეალიზების პრობლემა. მათ შორის სრულფასოვანი ინკლუზიური განათლების, აბილიტაციისა და რეაბილიტაციის პროგრამების, დღის ცენტრის სერვისის სიმწირე და/ან არარსებობა (განსაკუთრებით რეგიონებში); იმ ოჯახებისათვის მომსახურების მიწოდება, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს უვლიან.

კვლავ დაბალია საზოგადოებაში დამკვიდრებული სტიგმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მიმართ, რასაც კიდევ ერთხელ ადასტურებს 2014 წლის განმავლობაში მომხდარი რამდენიმე შემთხვევა. მათ შორის, თბილისში, წერეთლის ქუჩაზე მდებარე სკვერში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისთვის დამონტაჟებული საქანელას ჩამოხსნის ფაქტი (საქმე N12130/1 –26.06.2014), ასევე ააიპ „თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრის“ წმინდა მიქაელის სახელობის სკოლის შემთხვევა, რომლის დროსაც სკოლის სათადარიგო შემოსასვლელის რკინის კარი, იქ მცხოვრებმა მოსახლეობამ შეადუღა (საქმე N15910/1– 18.09.14).

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოხდა აღნიშნული საქმეების შესწავლა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისთვის დამონტაჟებული საქანელას ჩამოხსნის ფაქტთან დაკავშირებით მივმართეთ თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობას[1058]. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოდან მიღებული საპასუხო კორესპონდენციის[1059] თანახმად გაირკვა, რომ მათთვის უცნობი იყო ვინ მოახდინა საქანელას დემონტაჟი. ამასთან, წერილში აღნიშნული იყო, რომ საქანელას ხელახალი მონტაჟი განხორციელდება უახლოეს პერიოდში.

რაც შეეხება ააიპ „თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრის“ წმინდა მიქაელის სახელობის სკოლის შემთხვევას, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის მიწოდებული ინფორმაციის თანახმად სკოლას ერთი მხრიდან ესაზღვრება ტუბდისპანსერი, რომლის ეზოში მანქანით შესვლის უფლება არ ეძლევათ სკოლის აღსაზრდელ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლებს, ხოლო სკოლის მეორე შემოსასვლელის რკინის

[1058] წერილი N09/8860– 04.07.2014.
[1059] შემოსული დოკუმენტი N13058/1–17.07.2014.

კარი, იქ მცხოვრებმა მოსახლეობამ შეადუღა. შესაბამისად, მშობლებს ხელით უწევდათ ბავშვების ტარება.

სახალხო დამცველი აპარატის მიერ საქმის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ბენეფიციარების მშობლები სარგებლობდნენ შპს „თბილისის N2 ტუბსაწინააღმდეგო დისპანსერის ცენტრალური შესასვლელით. ამასთან ააიპ „თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრის“ ადმინისტრაციას ეცნობა, რომ წმინდა მიქაელის სახელობის სკოლის პარკირების პრობლემის მოგვრების მიზნით უნდა მიმართოს თბილისი მერიას, ხოლო სათადარიგო შესასვლელის ხელის შეშლასთან ან გახსნის შემდეგ კვლავ დალუქვის შემთხვევაში მიმართოს შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს[1060].

საანგარიშო პერიოდში ადგილი ჰქონდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მიმართ განხორციელებულ სავარაუდო ძალადობის ფაქტებს, რომლებზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა მიმართ ძალადობისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის უფლების განხორციელება

ძალადობისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის უფლების ეფექტიანი იმპლემენტაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა საერთაშორისო უფლებადაცვითი სტანდარტების ერთ–ერთი ფუძემდებლური პირობაა.

საქართველოს კონსტიტუციის მე–17 მუხლის პირველი და მე–2 პუნქტების ნორმატიული შინაარსიდან გამომდინარე, ადამიანის პატივისა და ღირსების ხელშეუხებლობის დასაცავად, უზრუნველყოფილი უნდა იქნას წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და სასჯელის გამოუყენებლობა. აღნიშნული მუხლი მომეტებულ პასუხისმგებლობას აკისრებს სახელმწიფოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა მიმართ და ხელისუფლების განმახორციელებელი სამივე შტოს დონეზე, პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებების ფარგლებში მოუწოდებს, უზრუნველყოს დროული და ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელება ძალადობის რეალური და უშუალო რისკის აცილებისა[1061] და აღმოფხვრის ეფექტიანი იმპლემენტაციისათვის.

ექსპლოატაციის, ძალადობისა და ნებისმიერი სხვა სახის არასათანადო მოპყრობის ამკრძალავი საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტებიდან მეტად რელევანტურია „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების“ შესახებ გაერთიანებული ერების

[1060] სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2014 წლის 9 ოქტომბრის კორესპონდენცია N04/82742.
[1061] *Z v. United Kingdom*, (1998), ECHR, App. No. 29392/95 (Comm. Rep 10.9.99) (para 94).

ორგანიზაციის 2006 წლის კონვენცია (UN CRPD), რომელიც მე–16 მუხლის ფარგლებში ავალდებულებს სახელმწიფოს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ძალადობისა და შეურაცხყოფის შემთხვევათა გამოვლენის, გამოძიებისა და საჭიროების შემთხვევაში კანონით დასჯის უზრუნველსაყოფად, მოახდინოს ძალადობრივი ქმედების ყველა ფორმის პრევენცია და აღმოფხვრა, ეფექტური კანონმდებლობისა და სტრატეგიების შემუშავება. აღნიშნული კონვენციის პარალელურად, გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციის მე–19 მუხლი ადგენს, რომ მონაწილე სახელმწიფოები ყველა აუცილებელ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ზომას იღებენ ბავშვის დასაცავად მშობლების, მეურვეების ან ბავშვზე მზრუნველი ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან ყველა ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისგან, შეურაცხყოფისა თუ ბოროტად გამოყენებისაგან, მზრუნველობის მოკლებისა თუ დაუდევარი მოპყრობისაგან, უხეში მოქცევისა თუ ექსპლუატაციისაგან[1062].

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა მიმართ ძალადობისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობისაგან დამცავი სამართლებრივი სტანდარტების პრაქტიკაში იმპლემენტაციის პრობლემები უკავშირდება ისეთ საკითხებს, როგორიცაა – ექსპლოატაციის, სხვა სახის არასათანადო მოპყრობის, განსაკუთრებით კი, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის მსხვერპლი არასრულწლოვნების დროული იდენტიფიკაცია, შემდგომი დაცვითი, რეფერირებისა და რეაბილიტაციის ღონისძიებების განხორციელება, შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ ძალადობის სავარაუდო შემთხვევების გონივრულ ვადაში გამოძიება და პასუხისმგებელი პირების გამოვლენა და ა.შ. გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტის (CRC) თანახმად[1063], თითოეულ შემთხვევაზე სახელმწიფოს შესაბამისმა ორგანოებმა უნდა მიიღონ ყველა საჭირო ზომა არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის, განსაკუთრებით, ოჯახსა და სახელმწიფო მზრუნველობაში განთავსებულ ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

2014 წელს საქართველო შეუერთდა ევროპის საბჭოს კონვენციას „სექსუალური ექსპლოატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ“[1064] (მიღებულ იქნა 2007 წლის 25 ოქტომბერს, ესპანეთის ქალაქ ლანსაროტში) . კონვენციის მე–2, მე–4 და მე–14 მუხლების საფუძველზე, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, მიიღოს აუცილებელი საკანონმდებლო და სხვა სახის ზომები, ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის პრევენციისა და მსხვერპლთა დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.

[1062] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901

[1063] გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტი (CRC) 2008 წლის 23 ივნისის ბავშვის უფლებების შესახებ დასკვნითი შენიშვნების[1063] 31–33 პარაგრაფებში.

[1064] https://matsne.gov.ge/ka/document/view/2684715

ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩოს თანახმად, კერძოდ, „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ყურადღება გამახვილდა არასრულწლოვანთა დაცვის საკითხებზე. აღნიშნული კანონის მეოთხე თავი (მუხლი 14-15) ეხება ოჯახში ძალადობისაგან არასრულწლოვნის, როგორც განსაკუთრებულად მოწყვლადი ჯგუფის, დაცვის სპეციფიკურ ღონისძიებებს[1065].

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა მიმართ ექსპლოატაციისა და ნებისმიერი ხასიათის ძალადობრივი ქმედების აღმოფხვრის სფეროში შიდა სამართლებრივი ნორმატიული აქტებიდან აღსანიშნავია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, საქართველოს შინაგან საქმეთა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრების ერთობლივი ბრძანებით N152/ნ – N496 – N45/ნ დამტკიცებული „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები“, რომელიც ავალდებულებს შესაბამის სახელმწიფო უწყებებს, უზრუნველყონ ძალადობის მსხვერპლი ბავშვის გამოვლენა, მდგომარეობის შეფასება და შემთხვევაზე აქტიური ზედამხედველობა[1066].

საკანონმდებლო რეგულაციების მიუხედავად, სამწუხაროდ, საკუთარი უფლებებით დღემდე ბევრი ბავშვი ვერ სარგებლობს. გაეროს ბავშვთა ფონდის 2013 წლის კვლევის - „ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში“ შედეგებმა აჩვენა, რომ ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში ფართოდაა მიღებული. ყოველი მეორე ქართველი მიიჩნევს, რომ დასჯის ძალადობრივი ფორმები უფრო ქმედითია, ვიდრე არაძალადობრივი, აღმზრდელობითი მეთოდები. უფრო ხშირად ქალები, ვიდრე კაცები, ფიქრობენ, რომ ბავშვის მიმართ ძალადობა დასაშვები დისციპლინური სასჯელია. ამის გარდა, კვლევამ მოგვცა სხვადასხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია საქართველოში მცხოვრები ოჯახების შესახებ. მოსახლეობის დიდ უმეტესობას, მათ შორის პროფესიონალებს – მასწავლებლებს, სოციალურ მუშაკებს და პოლიციელებს – სჯერათ, რომ ოჯახის შიდა საქმეები მხოლოდ ოჯახს ეხება და გარეშე პირები ამაში არ უნდა ჩაერიონ. ეს ერთ-ერთი მთავარი დამაბრკოლებელი ფაქტორია, რომელიც ხელს უშლის ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას და რეფერირებას. [1067]

საგულისხმოა, რომ გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენციის ზოგადი კომენტარის[1068] თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე გოგონები ხშირად უფრო მოწყვლადი არიან დისკრიმინაციისა და ძალადობისათვის. ამის გათვალისწინებით, მონაწილე

[1065] https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422

[1066] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1021481 ,,ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ'' მე–5 მუხლის „ა“, „ბ“ და „დ“ პუნქტები.

[1067] http://unicef.ge/uploads/Unicef_VAC_GEO_Final3_02_09.pdf

[1068] მე–9 ზოგადი კომენტარი, გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტის 43–ე სესია, ჟენევა, 2006 წლის 16–29 სექტემბერი, გვ. 4, გვ. 21.

სახელმწიფოებმა უნდა მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება და მიიღონ ყველა აუცილებელი ზომა და დამატებითი ღონისძიებებიც კი, რათა უზრუნველყონ შშმ გოგონების ეფექტური დაცვა და მომსახურებებზე ხელმისაწვდომობა. გათვალისწინებული უნდა იქნეს ის გარემოებაც, რომ კომუნიკაციის უნარის ან/და ინტელექტუალური შეზღუდვების შემთხვევაში, ხშირად არასწორად ესმით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ჩივილი ძალადობის ფაქტების შესახებ. არაერთხელ არის ხაზგასმით აღნიშნული ისიც, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები წარმოადგენენ ბავშვთა ერთ–ერთ ყველაზე უფრო მოწყვლად ჯგუფს.

ნ.ვ.–სა და თ.ვ.–ს საქმე, ოჯახში/ოჯახურ გარემოში ძალადობის ფაქტი

2014 წლის 4 აგვისტოს, საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით[1069] მიმართა მოქალაქე თ.ბ.–მ, რომელმაც მოგვაწოდა ინფორმაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების, ნ.ვ.–სა და თ.ვ.–ზე მათი მშობლის მეგობრის მხრიდან განხორციელებულ შესაძლო ძალადობრივ ქმედებასთან დაკავშირებით. საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა, საქმის შესწავლის მიზნით, დაგეგმეს ვიზიტი ამ პირთა საცხოვრებელ ადგილზე, თუმცა ბავშვების დედა – ი.ბ. ინტერვიუს არ დათანხმდა და განაცხადა, რომ ძალადობას მის შვილებზე ადგილი არ ჰქონია.

აღნიშნულ საქმეზე შემდგომი რეაგირების მიზნით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის ისანი–სამგორის რაიონის პოლიციის სამმართველოსა[1070] და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს.[1071]

თბილისის ისანი–სამგორის რაიონის პოლიციის სამმართველოს პასუხის[1072] მიხედვით, ბავშვების მიმართ გაუპატიურების მცდელობას, ან სხვა გარყვნილ ქმედებას ადგილი არ ჰქონია. თუმცა, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის[1073] თანახმად, სავარაუდოდ, დასტურდება ბავშვებზე სექსუალური ძალადობის ფაქტები, რის საფუძველზეც ისანი–სამგორის სოციალური მომსახურების ცენტრმა შსს თბილისის ისანი–სამგორის სამმართველოს შესაბამისი რეაგირების თხოვნით[1074] მიმართა. ამასთან, სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლების ვიზიტის შედეგად გამოვლინდა, რომ მშობლებს არ ჰქონდათ ბავშვებზე ზრუნვის სათანადო უნარ–ჩვევები.

[1069] განცხადება #13359/1, 2014 წლის 4 აგვისტო.
[1070] წერილი #09/10189; 2014 წლის 6 აგვისტო.
[1071] წერილი #09/101130; 2014 წლის 5 აგვისტო.
[1072] წერილი #1613760; 2014 წლის 19 აგვისტო.
[1073] წერილი #04/84807; 2014 წლის 20 ოქტომბერი.
[1074] წერილი #04–05/6948; 2014 წლის 8 ნოემბერი.

შესაბამისად, მათ ზრუნვის ალტერნატიული სერვისი შესთავაზეს და ბავშვები მცირე საოჯახო ტიპის სახლში გადაიყვანეს.

მოცემულ შემთხვევასთან დაკავშირებით საგულისხმოა გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენციის ზოგადი კომენტარში[1075] განვითარებული მსჯელობა, რომლის თანახმად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე გოგონები ხშირად უფრო მოწყვლადი არიან დისკრიმინაციისა და ძალადობისათვის. ამის გათვალისწინებით, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება და მიიღონ ყველა აუცილებელი ზომა და დამატებითი ღონისძიებებიც კი, რათა უზრუნველყონ მათი ეფექტური დაცვა და მომსახურებებზე ხელმისაწვდომობა. გათვალისწინებული უნდა იქნეს ის გარემოებაც, რომ კომუნიკაციის უნარის ან/და ინტელექტუალური შეზღუდვების შემთხვევაში, ხშირად არასწორად ესმით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ჩივილი ძალადობის ფაქტების შესახებ. არაერთხელ არის ხაზგასმით აღნიშნული ისიც, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები წარმოადგენენ ბავშვთა ერთ–ერთ ყველაზე უფრო მოწყვლად ჯგუფს.

ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში, ოჯახის მეგობრის მხრიდან სავარაუდო ძალადობის ფაქტის გარდა, იკვეთება მშობლების მხრიდან ბავშვის ინტერესების უგულებელყოფა. მათ არ მიიღეს სათანადო ზომები, რათა თავიდან აერიდებინათ არასრულწლოვანთა მიმართ სავარაუდო ძალადობა; უარი განაცხადეს საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან ინტერვიუზე, ინფორმაცია არ მიაწოდეს პოლიციის მუშაკებს (მოცემული ირკვევა სოციალური მომსახურების სააგენტოს კორესპონდენციიდან[1076]). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ე.წ. „ჩარევაზე უარის თქმა“[1077] – როგორც ძალადობის სახე, რომელიც გულისხმობს ოჯახის წევრების, მეზობლების, ჯანდაცვისა თუ სოციალური მუშაკების მხრიდან ბავშვზე ძალადობის შესახებ ინფორმაციის იგნორირებას. მშობლების მიერ ბავშვის ინტერესების უგულებელყოფა უნდა ჩაითვალოს ძალადობის ფორმად.

„ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 31 მაისის ერთობლივი ბრძანების (#152/ნ – #496 – #45/ნ) მე–4 მუხლის მე–2 ნაწილის თანახმად, საპატრულო პოლიციისა და საუბნო სამსახურების უფლებამოსილება ამ პროცედურების ფარგლებში ხორციელდება ბავშვზე ძალადობის ფაქტების გამოვლენით, აღკვეთით, შესაბამისი სამართალწარმოების განხორციელებით, ძალადობის მსხვერპლთა

[1075] მე–9 ზოგადი კომენტარი, გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტის 43–ე სესია, ჟენევა, 2006 წლის 16–29 სექტემბერი, გვ. 4, გვ. 21.
[1076] წერილი #04/84807; 2014 წლის 20 ოქტომბერი.
[1077] გაეროს ბავშვთა ფონდის შემაჯამებელი ანგარიში, 2005 წლის 28 ივლისი.

დაცვით, სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმირებით. საუბნო სამსახურები თავისი კომპეტენციის ფარგლებში ჩართული არიან ძალადობის მსხვერპლ ბავშვზე ზედამხედველობის პროცესში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი–სამგორის სოციალური მომსახურების ცენტრმა ფაქტზე რეაგირების მიზნით მიმართა შსს თბილისის ისანი–სამგორის სამმართველოს.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი აგრძელებს საქმის შემდგომ მსვლელობაზე ზედამხედველობას.

გ.ნ.–ს საქმე, ძალადობა საგანმანათლებლო დაწესებულებაში

საანგარიშო პერიოდში, 2014 წლის 29 აგვისტოს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის ცნობილი გახდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის გ.ნ.–სადმი განხორციელებული ფიზიკური ძალადობის ფაქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებაში. მიღებული ინფორმაციით, სკოლა–კომპლექს „სადუნთან“ არსებული კერძო ბაღიდან 4 წლის გ.ნ. მშობლებმა შინ სახეზე არსებული დაზიანებებით წაიყვანეს. დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნით დაზიანებები მკვრივი, ბლაგვი საგნის არაერთჯერადი მოქმედებით იყო მიყენებული. დაზიანებების სიმძიმიდან გამომდინარე მშობლები მიიჩნევდნენ, რომ იგი ზრდასრული ადამიანის მიერ იყო მიყენებული.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრმა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დეპარტამენტმა საქმის შესწავლა[1078] დაიწყო.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან[1079] მიღებული კორესპონდენციის თანახმად, საქმეზე დაიწყო გამოძიება[1080]; ჩატარდა ექსპერტიზა[1081]; თბილისის მთავარი სამმართველოს კრიმინალური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საგამოძიებო სამსახურში მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეზე, 2014 წლის 28 ნოემბერს გამოტანილ იქნა დადგენილება მოქალაქე გ.ნ.–ს დაზარალებულად ცნობის შესახებ[1082], რომელსაც გაეცნო მისი კანონიერი წარმომადგენელი. ამჟამად სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება[1083].

[1078] #16336/1, 2014 წლის 29 აგვისტო.
[1079] 09–1/12311; 2014 წლის 6 ოქტომბერი.
[1080] #008280914009.
[1081] #005408514, 2014 წლის 7 ნოემბერი.
[1082] #238589, 2015 წლის 3 თებერვალი.
[1083] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი #238589, 03.02.2015.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი აგრძელებს საქმის შემდგომ მსვლელობაზე ზედამხედველობას.

საანგარიშო პერიოდში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ დაფიქსირებული ძალადობის სავარაუდო ფაქტები ცხადყოფს, რომ საქართველოში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ამ პირთა მიმართ ძალადობას, როგორც ოჯახში, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებებში. თუმცა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ჩადენილი ძალადობა ხშირად „უხილავია“ და სათანადო რეაგირების გარეშე რჩება, რაც სხვადასხვა ფაქტორით არის განპირობებული. ასეთი მახასიათებლებია ინფორმაციის არქონა, საზოგადოების დაბალი ცნობიერება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ, სტერეოტიპული შეხედულებები, ასევე არსებული საკანონმდებლო და ადმინისტრაციული რეგულაციები, რომელთა მიხედვით არ არის გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სპეციფიური საჭიროებები. სწორედ ამ ფაქტორების ერთობლიობა აბრკოლებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტების იდენტიფიცირების შესაძლებლობას.

რეკომენდაციები:

საქართველოს მთავრობას:

ბავშვთა რეზიდენტული დაწესებულებების იმ ბენეფიციარების უფლებების სათანადოდ დაცვის მიზნით, რომლებმაც სრულწლოვანების ასაკის მიღწევის გამო დატოვეს ინსტიტუციები, შემუშავდეს ამ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების მხარდაჭერისა და საზოგადოებაში მათი ღირსეული ინტეგრაციის უზრუნველყოფის პოლიტიკა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- **ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელობისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სპეციფიური საჭიროებების გათვალისწინებით, მოახდინოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე/ბავშვებზე მორგებული შეტყობინების სისტემის შემუშავება**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- **უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან, ძალადობისა ან/და მათი ინტერესების უგულებელყოფისაგან**

დაცვის მექანიზმების სათანადოდო ფუნქციონირება; აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციების ამოქმედება ბავშვის უფლებების დამრღვევთა მიმართ

- მოახდინოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტების აღრიცხვა/სტატისტიკის წარმოება; შემდგომი მონიტორინგი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- განახორციელოს ადეკვატური ზომები იმ საგანმანათლებლო დაწესებულებების პერსონალის სათანადოდ მომზადებისათვის, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები იღებენ განათლებას, რათა დაცული იყვნენ ძალადობისა და მათი ინტერესების უგულებელყოფისაგან

- განახორციელოს სათანადო ზომები (შეიმუშავოს საგანმანათლებლო პროგრამები) იმ საგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა და მათი მშობლების ცნობიერების დონის ასამაღლებლად, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები იღებენ განათლებას

- ძალადობის ფაქტების იდენტიფიკაციისა და პრევენციის მიზნით, საგანმანათლებლო დაწესებულებებში უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის ხელმისაწვდომი შეტყობინების სისტემის დანერგვა.

ხანდაზმულთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში

საქართველოში ხანდაზმული მოსახლეობა ერთ–ერთ განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფს განეკუთვნება, მათ წინაშე არსებული გამოწვევებიც საკამოდ მძიმეა. თუ გარკვეული ნაწილი ცდილობს ჩაერთოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, უფრო დიდ ნაწილს ადეკვატური სერვისების და დაცვის მექანიზმების არარსებობის გამო სიღარიბის, უსახლკარობისა და იზოლაციის საფრთხე ემუქრება. მათ მიმართ დისკრიმინაციის ფაქტებიც განსხავებულ ნიშნებს ეფუძნება, მათ შორის სქესს, სოციალურ–ეკონომიკურ სტატუსს, ეთნიკურ წარმოშობასა და ჯანმრთელობის მდგომარეობასაც კი. სახელმწიფოს არ გააჩნია ხანდაზმულთა მიმართ ეფექტური პოლიტიკა და მათი უფლებებისა და სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფის სტრატეგია. არასაკმარისი და არაადეკვატურია სახელმწიფო პროგრამები და სერვისები.

ხანდაზმულ პირთა დიდი ნაწილი სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფება. საარსებო შემწეობის მიმღებ პირთა რაოდენობა 2014 წლისთვის 421 358 პირს შეადგენდა, მათგან 105 202 60 წელს არის გადაცილებული. სოციალურად დაუცველების ყველაზე დიდი ნაწილი 70 და მეტი წლისაა (67 934 პირი). სოციალური პაკეტის მიმღებთა შორის კი 59 წელზე მეტი ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რაოდენობა – 14 080–ზე მეტია.[1084]

საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშებში უკვე რამდენიმე წელია ყურადღება მახვილდება ასაკოვანი მოსახლეობის პრობლემატიკაზე. 2013 წლის საპარლამენტო ანგარიშში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, ვსაუბრობდით ხანდაზმულთა მძიმე სოციალურ–ეკონომიკურ პირობებზე და სიდუხჭირეზე, ასევე, მათ მიმართ ძალადობის ფაქტებზე. ხელისუფლებას მიეცა რეკომენდაციები არსებული სიტუაციის გამოსასწორებლად, მათ შორის, სამთავრობო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების, საკანონმდებლო ცვლილებების, ალტერნატიული მომსახურებების დანერგვის და ზრუნვის სერვისების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის თაობაზე. თუმცა რეკომენდაციების დიდი ნაწილი არ შესრულდა.

აღსანიშნავია, რომ 2013 წლის დეკემბერში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კოორდინირებით შეიქმნა დაბერების თემაზე მულტისექტორული სამუშაო ჯგუფი. საქართველოს სახალხო დამცველი დადებითად აფასებს აღნიშნულ ფაქტს და იმედოვნებს, რომ ჯგუფის საქმიანობა მომავალში მეტად

[1084] იხ. <http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=610> [ბოლოს ნანახია 30.01.2015]

ნაყოფიერი იქნება. პოზიტიურად უნდა შეფასდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის N01–54/ნ ბრძანებით „სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმულთა მომსახურების მინიმალური სტანდარტების“ დამტკიცება, თუმცა მისი სათანადოდ იმპლემენტაციის გარეშე ზრუნვის ხარისხის ამაღლება ვერ მოხდება. ცნობილია, რომ 2015 წლის 1 სექტემბრიდან იგეგმება ასაკის გამო პენსიის 10 ლარით გაზრდა, თუმცა აღნიშნული მნიშვნელოვან გავლენას ვერ მოახდენს არსებულ მძიმე სიტუაციაზე და ვერ უზრუნველყოფს ხანდაზმულ პირთა ცხოვრების ადეკვატურ სტანდარტთან მიახლოებასაც კი.

ხანდაზმულ ადამიანთა უფლებების დაცვის გლობალური ხედვის და პოლიტიკის გაძლიერების კუთხით მცდელობები საერთაშორისო მასშტაბით ბოლო რამდენიმე წელია შეინიშნება, თუმცა საქართველოში ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ძვრები არ განხორციელებულა. ჯერ კიდევ 2002 წლის აპრილში, მადრიდში გამართულ დაბერების პრობლემების შესახებ გაეროს მეორე მსოფლიო ასამბლეაზე მიიღეს „პოლიტიკური დეკლარაცია და მადრიდის საერთაშორისო სამოქმედო გეგმა დაბერების შესახებ“ და მისი რეგიონული იმპლემენტაციის სტრატეგია[1085]. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 2010 წელს დააარსა სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანსაც ხანდაზმულთა უფლებების დაცვის გაძლიერება, შესაძლო პრობლემების გამოვლენა და მათი გადაჭრის საუკეთესო გზების მოძიება წარმოადგენს[1086]. ხანდაზმულთა საკითხებზე ასევე აქტიურად მუშაობს გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია.

მადრიდის საერთაშორის სამოქმედო გეგმა და იმპლემენტაციის რეგიონული სტრატეგია (MIPAA/RIS) განსაზღვრავს სახელმწიფოს შემდეგ ძირითად ვალდებულებებს: პოლიტიკის ყველა მიმართულებაში ძირითადი აქცენტი გაკეთდეს დაბერების საკითხებზე; მოხდეს ხანდაზმული პირების საზოგადოებაში სრული ინტეგრაცია და ჩართულობა; ხელი შეეწყოს თანაბარი და მდგრადი ეკონომიკის ზრდას მოსახლეობის დაბერების საპასუხოდ; დარეგულირდეს/მოწესრიგდეს სოციალური დაცვის სისტემა; მიეცეს შესაძლებლობა შრომის ბაზარს რეაგირება მოახდინოს მოსახლეობის დაბერების ეკონომიკურ და სოციალურ შედეგებზე; ხელი შეუწყოს სიცოცხლის მანძილზე სწავლებას და საგანმანათლებლო სისტემის მორგებას; ეცადოს უზრუნველყოს ცხოვრების ადეკვატური ხარისხი ყველა ასაკში და მხარი დაუჭიროს დამოუკიდებელ ცხოვრებას, მათ შორის ჯანმრთელობას და კეთილდღეობას; ძირითადი აქცენტი გააკეთოს გენდერულ მიდგომაზე ასაკში შემავალ

[1085]იხ. <http://undesadspd.org/Ageing/MadridPlanofActionanditsImplementation/RegionalImplementationStrategiesoftheMIPAA.aspx> [ბოლოს ნანახია 28.01.15]

[1086] გაეროს გენერალური ასამბლეის 2010 წლის 21 დეკემბრის რეზოლუცია. იხ. http://www.un.org/en/ga/search/view_doc.asp?symbol=A/RES/65/182 [ბოლოს ნანახია 28.01.2015]

საზოგადოებაში; მხარი დაუჭიროს მოხუცზე მზრუნველ ოჯახებს და ხელი შეუწყოს თაობათა შორის სოლიდარობას; უზრუნველყოფილ იქნას სამოქმედო გეგმის და იმპლემენტაციის რეგიონული სტრატეგიის დანერგვა.

მადრიდის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის ფარგლებში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ორგანიზებით ჩატარდა 30–ზე მეტი შეხვედრა და ვიზიტები განხორციელდა ხანდაზმულ პირთა სამ თავშესაფარში თბილისში, ქუთაისსა და ბათუმი.[1087] გარდა ამისა, როგორც უკვე აღინიშნა, 2013 წლის დეკემბერში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც სამთავრობო და არასამთავრობო აქტორებთან ერთად, საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელიც იყო ჩართული. **ჯგუფის საქმიანობის მთავრ მიზანს ხანდაზმულთა უფლებების სფეროში სამთავრობო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება წარმოდგენდა, თუმცა ამ დროისათვის ასეთი დოკუმენტების შექმნა ვერ მოხერხდა.** ასევე, არ არსებობს რეგულარული და სტაბილური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფდა სახელისუფლებლო უწყებებს შორის საკითხის ირგვლივ თანამშრომლობას. აღნიშნულის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **დაბერების შესახებ მადრიდის საერთაშორისო სამოქმედო გეგმის და მისი რეგიონული იმპლემენტაციის სტრატეგიის განხორციელების პროცესი შეფერხებულია.**

დაბერების მეინსტრიმინგი

წინგადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის ეგიდით „დაბერების მეინსტრიმინგის გზამკვლევი: საქართველოს“ შემუშავება, რომელიც სახელმწიფოს უზრუნველყოფს დაბერების შესახებ მადრიდის საერთაშორის სამოქმედო გეგმის და იმპლემენტაციის რეგიონალური სტრატეგიის (MIPAA/RIS) დანერგვისთვის მის კონკრეტულ რეალობაზე დაფუძნებული სახელმძღვანელო მითითებებით. მოცემული დოკუმენტი შესაძლოა მიღებული იქნეს როგორც ეროვნული სტრატეგია ან გახდეს ასეთი სტრატეგიის სხვა დოკუმენტში განვრცობის საფუძველი.

გზამკვლევის თანახმად, „დაბერების მეინსტრიმინგი არის დაბერების საკითხების პოლიტიკის ყველა მიმართულებასა და დონეზე ინტეგრირების სტრატეგია, პროცესი და მრავალგანზომილებიანი მცდელობა. ეს ნიშნავს საზოგადოებაში ხანდაზმული ადამიანების ხვედრითი წილის ზრდის შედეგების განხილვას პოლიტიკის ყველა მიმართულებით – ეკონომიკა, შრომის ბაზარი, საცხოვრისით უზრუნველყოფა, ტრანსპორტი, ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა, განათლება, თაობათაშორისი ურთიერთობები და გენდერული თანასწორობა. ეროვნულ სტრატეგიაში კონკრეტულ პერიოდზე გათვლილი (მაგ. ათი წელი) პოლიტიკის უფრო ფართო მიმართულებებზე დაყრდნობით, ინტერდისციპლინარულმა

[1087] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2015 წლის 19 თებერვლის N01/11983 წერილი.

სამუშაო ჯგუფმა უნდა გადაიყვანოს იგი სამოქმედო გეგმაში, რომელიც უფრო მოკლე პერიოდს ფარავს (მაგ. 2 წელი). სამოქმედო გეგმა უნდა მოიცავდეს აქტივობებს, რომელთა განხორციელება შესაძლებელია სწრაფად და დამატებითი ხარჯების გარეშე, მაშინ როდესაც სხვა აქტივობებს მეტი დრო, ცვლილებები და ინვესტირება დაჭირდება. სამოქმედო გეგმის მომზადებისას ასევე სასარგებლო იქნება დაინტერესებულ პირთა უფრო ფართო ჯგუფთან კონსულტაციის გავლა. ამავდროულად, სამოქმედო გეგმის მომზადებისას, ყველა სამინისტროსთან კონსულტაციის გზით მკაფიოდ უნდა გადანაწილდეს პასუხისმგებლობები სხვადასხვა სფეროში.[1088]

ხანდაზმულ პირთა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკა და პროგრამები

მადრიდის სამოქმედო გეგმა ავალდებულებს სახელმწიფოს იზრუნოს ხანდაზმულ ადამიანთა ცხოვრების ადეკვატური პირობების, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფაზე. მოახდინოს სიღარიბის დონის შემცირება და პრევენცია, შეიმუშავოს შესაბამისი სტრატეგია და პროგრამები; უზრუნველყოს დასაქმების, შემოსავლებისა და კრედიტების თანაბარი ხელმისაწვდომობა.[1089] ამასთან, მოხდეს ადეკვატური საპენსიო/სოციალური უზრუნველყოფა და სამედიცინო დაზღვევა.[1090] განსაკუთრებული რისკის ქვეშ მყოფი პირებისთვის გათვალისწინებული იქნეს სხვადასხვა ტიპის სოციალური პაკეტები საარსებო მინიმუმის უზრუნველსაყოფად. ამავდროულად, ცხოვრების სტანდარტის გაუმჯობესებისთვის განხორციელდეს საპენსიო და სადაზღვევო სისტემების რეფორმირება.[1091]

მიუხედავად ნაკისრი ვალდებულებებისა, ხელისუფლებას არ გააჩნია მკაფიოდ განსაზღვრული ხედვა და ეფექტური პოლიტიკა ხანდაზმულ პირთა უფლებების სათანადოდ რეალიზებისთვის. მრავალფეროვნებით არც სახელმწიფო პროგრამები გამოირჩევა.

არასაკმარისი შემოსავლები აბრკოლებს ხანდაზმულთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაციას. პრიორიტეტს, რა თქმა უნდა, წარმოადგენს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ხარჯების დაფარვა, ამიტომ ვეღარ ხერხდება რესურსის გამოძებნა კულტურული, გასართობი და სპორტული აქტივობისთვის, თუ ისინი არ არის უფასო ან შეღავათიან ფასებში.

[1088] *„დაბერების მეინსტრიმინგის გზამკვლევი: საქართველო“*, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია, ჟენევა, 2014 წელი, გვ. 40.
[1089] იქვე, პარაგრაფი 48.
[1090] იქვე, პარაგრაფი 52.
[1091] იქვე, პარაგრაფი 53.

სოციალური პოლიტიკა ძირითადად ორიენტირებულია პენსიის ზრდაზე, „2013 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 32 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, 2013 წლის 1 სექტემბრიდან ყველა ასაკით პენსიონერისათვის სახელმწიფო პენსიის ფულადი ოდენობა განისაზღვრა 150 ლარით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2015 წლის 1 სექტემბრიდან იგეგმება პენსიის კიდევ 10 ლარით გაზრდა. გარდა ამისა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, გაიზარდა მოსახლეობის საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობა, ანუ უფრო მეტმა ადამიანმა მიაღწია საპენსიო ასაკს. 2014 წელს მათი რაოდენობა 8000–ით გაიზარდა და პენსიის მიმღებთა რაოდენობა 697 240 პირს შეადგენდა. შესაბამისად, მიმდინარე და მომავალ წელს სახელმწიფოს იმაზე მეტი საპენსიო ვალდებულებების შესრულება მოუწევს, ვიდრე წინა წლებში[1092].

ძირითადი სახელმწიფო პროგრამების პარალელურად, ადგილობრივ ხელისუფლებას აქვს სოციალური დახმარების ზომების შემუშავების და ადმინისტრირების უფლება ადგილობრივ დონეზე. ეს აძლევს მუნიციპალიტეტებს საშუალებას, რომ სოციალური დაცვის სისტემა მოარგონ ადგილობრივ გარემოს და დააკმაყოფილონ რეგიონისთვის დამახასიათებელი საჭიროებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, თვითმმართველობები ხშირად საკუთარი ბიუჯეტის ფარგლებში ადგენენ გარკვეულ პროგრამებსა და შეღავათებს ხანდაზმული მოქალაქეებისთვის. მაგალითად, თბილისში, პენსიონერები, სარგებლობენ შეღავათიანი ტარიფით, ხოლო ვეტერანებისათვის და მხედველობის შეზღუდვის მქონე პირებისათვის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა არის უფასო.[1093]

სოციალური რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამები

2014 წლის სოციალური რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის გარკვეული ქვეპროგრამების მოსარგებლეებად განსაზღვრული იყვნენ ხანდაზმული პირები, მათ შორის: ომის მონაწილეთა რეაბილიტაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამა; დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ყავარჯნებით, ხელჯოხ–ყავარჯნებით, უსინათლოთა ხელჯოხებით და გადასაადგილებელი ჩარჩოებით უზრუნველყოფის კომპონენტი;[1094]

[1092] იხ. <http://www.moh.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=29&info_id=2138> [ბოლოს ნანახია 30.01.2015]

[1093] მეტი დეტალებისათვის იხილეთ http://ttc.com.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=157.

[1094] „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2014 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N291 დადგენილება, დანართები 1.4 და 1.6.

ხანდაზმულებზე ზრუნვის სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს მათი პანსიონური მომსახურება და კათარზისები, რაც ერთის მხრივ შესაძლებელს ხდის მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ხანდაზმული ადამიანების მეტ–ნაკლებად ღირსეული საცხოვრებელი პირობით უზრუნველყოფას, ამავდროულად, იწვევს საზოგადოებისგან მათ იზოლაციას და სეგრეგაციას. მსგავსი მომსახურება ხორციელდება სახელმწიფოს დიდი ზომის რეზიდენტულ დაწესებულებებსა და სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამის ფარგლებში.

სახელმწიფო რეზიდენტული დაწესებულებები ექვემდებარება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს. სოციალური მომსახურების სააგენტო კოორდინაციას უწევს ხანდაზმული ადამიანების პანსიონატებში მიღების საკითხებს, იღებს აპლიკაციებს, ადგენს საჭიროებას და იღებს გადაწყვეტილებას მათი განთავსების შესახებ. ამ დროისათვის არსებობს ორი სახელმწიფო ხანდაზმულთა პანსიონატი (თბილისსა და ქუთაისში), სადაც 2014 წლის განმავლობაში მომსახურებას იღებდა 214 ადამიანი (თბილისში – 94 პირი, ქუთაისში – 120 პირი)[1095]. პანსიონატებში განთავსების მსურველთა რაოდენობა გაცილებით მეტია, რის გამოც არსებობს „მომლოდინეთა რიგი“. აღნიშნულთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა გასულ წლის საპარლამენტო ანგარიშში რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, რათა განისაზღვროს ხანდაზმულთა პანსიონატის მომლოდინეთა რიგში მდგომი პირების რაოდენობა, მათი საჭიროებები და საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნას ალტერნატიული მომსახურება. სამინისტროს ინფორმაციით, ხანდაზმულთა პანსიონატებში და სათემო ორგანიზაციებში მოთავსების სურვილის მქონე პირთა ბაზაში ამ დროისათვის რეგისტრირებულია 33 ადამიანი.[1096] მათი საჭიროებების დადგენისა და ალტერნატიული სერვისებით უზრუნველყოფის თაობაზე კორესპონდენციაში კვლავ არაფერია აღნიშნული.

სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფი ხანდაზმულებთან ერთად არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. პროგრამის ბიუჯეტი 2014 წელს განისაზღვრა 836 000 ლარით[1097]. ქვეპროგრამის ამოცანაა სამიზნე ჯგუფისათვის ოჯახურ გარემოსთან მიახლოებული პირობების შექმნა, დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა და სოციალური ინტეგრაცია. ამ მიზნით ხორციელდება ბენეფიციართა საცხოვრებლით, ყოველდღიური მომსახურებითა და სამჯერადი კვებით უზრუნველყოფა; საჭიროებისამებრ, პირველადი

[1095] იხ. <http://www.atipfund.gov.ge/images/stories/pdf/statistika/2014/statistika4.pdf>, [ბოლოს ნანახია: 2.09.1015]

[1096] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2015 წლის 19 თებერვლის N01/11986 წერილი.

[1097] „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2014 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N291 დადგენილება, დანართი 1.2, მუხლი 4, პუნქტი 1.

სამედიცინო დახმარების გაწევა, ამბულატორიული და სტაციონარული სამედიცინო მომსახურების მიღების ორგანიზება; დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლებისთვის ინდივიდუალური მომსახურების პროგრამის შედგენა და განხორციელება; პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება (ბენეფიციარების ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და სურვილის გათვალისწინებით – ხელობის შერჩევა, სწავლება და პრაქტიკული გამოყენების ხელშეწყობა); ასაკის, სქესისა და სეზონის შესაბამისი სამოსით და პირადი ჰიგიენისათვის აუცილებელი ნივთებით უზრუნველყოფა; საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშემწყობი სხვა ღონისძიებები[1098]. აღნიშნულ მომსახურებას ამჟამად ეწევა 6 დაწესებულება, სადაც 73 ადამიანი ცხოვრობს[1099].

სოციალური რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, ასევე, მოქმედებს დღის ცენტრების მომსახურება, რომლებიც სერვისს აწვდიან მათ შორის 60–65 წელზე მეტი ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს. პროგრამის ძირითადი მიზანი ბენეფიციართა ოჯახების მხარდაჭერა და მიტოვების პრევენციაა. სერვისი ითვალისწინებს ყოველდღიურ (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა) მომსახურებას ორჯერადი კვებით; ბენეფიციართა საყოფაცხოვრებო და სახელობო-პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობას; კულტურულ და სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში ჩართვის უზრუნველყოფას; საჭიროების შემთხვევაში – ამბულატორიული სამედიცინო და ფსიქოლოგიური მომსახურების ორგანიზებას; ბენეფიციართა ცენტრებში მიყვანისა და შინ დაბრუნების ორგანიზებას.[1100] პროგრამით მოსარგებლედ 2014 წლის განმავლობაში მოიაზრებოდა 18 წელზე მეტი ასაკის 426 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი (მათ შორის ხანდაზმულებიც).[1101] თუმცა, მოთხოვნა გაცილებით მეტია, რის გამოც, პოტენციურ ბენეფიციართა უდიდეს უმრავლესობას დღის ცენტრის მომსახურებაზე ხელი არ მიუწვდება. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აუცილებელია დღის ცენტრის სერვისის გაძლიერება და მოსარგებლეთა რაოდენობის მნიშვნელოვნად გაზრდა.

დღის ცენტრების მომსახურების უპირატესობა პანსიონატებთან შედარებით არის ის, რომ ხანდაზმულ ადამიანს აქვს დამოუკიდებლობის უფრო მაღალი ხარისხი და მეტი შესაძლებლობა იყოს ჩართული საზოგადოებრივ აქტივობებში. თუმცა, ხანდაზმულთა და მათი ოჯახების სოციალურ–ეკონომიკური და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების საუკეთესო საშუალება იქნებოდა მათთვის „შინმოვლის“ სერვისის სათანადოდ უზრუნველყოფა. იმისათვის, რომ ადამიანები სიცოცხლის ბოლომდე დარჩნენ ოჯახებში,

---

[1098] იქვე, დანართი 1.2, მუხლი 2.

[1099] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2015 წლის 9 თებერვლის N01/8200 წერილი.

[1100] „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2014 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N291 დადგენილება, დანართი 1.5, მუხლი 2.

[1101] იქვე, დანართი 1.5, მუხლი 3, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.

შეინარჩუნონ დამოუკიდებლობა და ჰქონდეთ ცხოვრების სათანადო პირობები, სახელმწიფო მიზნად უნდა ისახავდეს მთელი ქვეყნის მასშტაბით სახლში ზრუნვის სერვისების ამოქმედებას რეალური საჭიროებების კვლევაზე დაყრდნობით. უნდა მოხდეს კერძო და არასამათავრობო პროვაიდერების მიერ მსგავსი სერვისების შეთავაზების წახალისება. მომსახურება გათვალისწინებული უნდა იყოს იმ ხანდაზმული პირების და მათი ოჯახებისთვისაც, რომელებიც არ ხვდებიან სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ბაზაში. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციით,[1102] „შინმოვლის მომსახურების" სტანდარტი ამ ეტაპზე არ არის დამტკიცებული ნორმატიული აქტით, თუმცა სხვადასხვა რეგიონში, ადგილობრივი თვითმმართველობა აფინანსებს არასამთვრობო ორგანიზაციების მიერ ადმინისტრირებული შინმოვლის მომსახურებებს. სამინისტრო, დაინტერესებული და წარმატებული პრაქტიკის მქონე ორგანიზაციებთან ერთად, გეგმავს მუშაობის გაგრძელებას ამ მიმართულებით, რათა შემუშავდეს შინმოვლის მომსახურების სტანდარტი და ხელი შეეწყოს მომსახურების შემდგომ განვითარებას.

ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები

საერთაშორისო სტანდარტის თანახმად, ხანდაზმულებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე, მათ შორის იმ მომსახურებაზე, რომელიც გათვლილია დაავადების და შესაძლებლობების შეზღუდვის პრევენციაზე. ამასთან, უნდა გაუმჯობესდეს იმ პირთა ცხოვრების ხარისხი, ვინც უკვე ფლობს შეზღუდულ შესაძლებლობას. ჯანდაცვის და მომსახურების პროგრამები უნდა მოიცავდეს შესაბამისი პერსონალის გადამზადებას და გარემოს/ინფრასტრუქტურის გონივრულ მისადაგებას მოხუცი მოსახლეობის სპეციალურ საჭიროებებთან. ხანდაზმულებზე ზრუნვის მზარდი საჭიროება მოითხოვს ადეკვატური პოლიტიკის გატარებას, რომელიც წაახალისებს სიცოცხლის ბოლომდე ჯანმრთელობის შენარჩუნებას, დაავადებათა პრევენციას, სარეაბილიტაციო მზრუნველობას და საჭიროების შემთხვევაში ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებს.[1103]

საქართველოში ხანდაზმული პირები სარგებლობენ ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების გარკვეული კომპონენტებით, თუმცა სპეციფიური პროგრამები, რომლებიც დაეფუძნებოდა მათი საჭიროების სიღრმისეულ კვლევას და პრობლემების გადაჭრის გრძელვადიან ხედვას, სახელმწიფოს არ გააჩნია. ქვეყანაში არსებობს 20–მდე ე.წ. „ვერტიკალური" (ცალკეულ დაავადებაზე ორიენტირებული) პროგრამა. ერთ–ერთი ასეთია „ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობის პროგრამა", რომლის უპირველესი ამოცანაა ტკივილისა და

[1102] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2015 წლის 19 თებერვლის N01/11983 წერილი.

[1103] *„დაბერების მეინსტრიმინგის გზამკვლევი: საქართველო"*, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია, ჟენევა, 2014 წელი, პარაგრაფები 58–60.

სხვა პათოლოგიური სიმპტომების მოხსნა და ავადმყოფთა სოციალური, ფსიქოლოგიური და სულიერი მხარდაჭერა. ასევე, ავადმყოფებისა და მათი ოჯახების ცხოვრების უკეთესი ხარისხის მიღწევა.[1104] ინკურაბელურ პაციენტთა ამბულატორიული პალიატიური მზრუნველობა მოიცავს თბილისის, ქუთაისის, თელავის, ზუგდიდის, ოზურგეთისა და გორის მუნიციპალიტეტში ინკურაბელურ პაციენტთა ბინაზე ამბულატორიულ პალიატიურ მზრუნველობას პალიატიური მობილური გუნდის (ექიმი/ექთანი) მიერ; ინკურაბელურ პაციენტთა სტაციონარულ პალიატიურ მზრუნველობას და სიმპტომურ მკურნალობას; მედიკამენტებით უზრუნველყოფას; პროგრამის ბიუჯეტი 2014 წლისთვის შეადგენდა 1 413 000 ლარს.[1105] **აღსანიშნავია, რომ პროგრამის თაობაზე ინფორმაცია პოტენციურ ბენეფიციარებს ნაკლებად აქვთ, ასევე არ იცნობენ მასში ჩართვის მექანიზმებს. აქედან გამომდინარე, ძირითადად ოჯახის წევრების ან სათემო ორგანიზაციების მზრუნველობის იმედად, სიცოცხლის ბოლომდე მწვავე ტკივილებით იტანჯებიან.**

ქვეყნის ყველა მოქალაქის მსგავსად, ხანდაზმული პირებისთვის ხელმისაწვდომია ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამა, რომლითაც იფარება შემდეგი მომსახურება: სასწრაფო სამედიცინო მომსახურება და სამედიცინო ტრანსპორტირება; სამედიცინო ჩვენებით პაციენტის ჰოსპიტალიზაციის უზრუნველყოფა; კრიტიკული და გადაუდებელი მდგომარეობების რეფერალური შემთხვევების მართვა; ამბულატორიული მომსახურება; ოჯახის ან სოფლის ან უბნის ექიმის და ექთნის მიერ მიწოდებული ამბულატორიული მომსახურება; ექიმ-სპეციალისტების მიერ მიწოდებული ამბულატორიული მომსახურება ოჯახის ან სოფლის ან უბნის ექიმის დანიშნულებით; ექიმის დანიშნულებით, ამბულატორიულ დონეზე ნებისმიერი სახის ინსტრუმენტული და კლინიკურ-ლაბორატორიული გამოკვლევები; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ექსპერტიზისათვის, სტატუსის მისანიჭებლად საჭირო გამოკვლევები; ამბულატორიულ დონეზე ყველა სახის სამედიცინო ცნობების, დასკვნებისა და რეცეპტების გაცემა; გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება; სტაციონარული მომსახურება (საპენსიო ასაკის პირებისათვის თანაგადახდა შეადგენს 10%-ს) და სხვ.[1106] **მიუხედავად იმისა, რომ ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამამ გააუმჯობესა ხანდაზმულთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ზრუნვის შესაძლებლობა, პრაქტიკამ ცხადყო, რომ ხშირ შემთხვევაში, მათ აქვთ გარკვეული ჩივილები ადმინისტრირებასთან დაკავშირებით, რაც უკავშირდება სამედიცინო დაწესებულებებში არსებულ რიგებს, ყველა საჭირო მედიკამენტის თანხის აუნაზღაურებლობას და ზოგიერთ შემთხვევაში, სამედიცინო**

[1104] „ინსტრუქცია ქრონიკული ინკურაბელური დაავადებებით შეპყრობილი პირების პალიატიური მზრუნველობით უზრუნველყოფის შესახებ“, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 10 ივლისის N157/ნ ბრძანება, დანართი, მუხლი 1.

[1105] „2014 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების თაობაზე“, საქართველოს მთავრობის N650 დადგენილება, დანართი N15.

[1106] იხ. <http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=36> [ბოლოს ნანახია 30.01.2015]

პერსონალის მიერ გამოჩენილ გულგრილობას/დაუდევრობას. ასევე, შეიმჩნევა უთანასწორობა დაწესებულებებზე წვდომის თვალსაზრისითაც სოფელსა და ქალაქში.

სამედიცინო პერსონალისა და სოციალური დაცვის სისტემის წარმომადგენელთა დაუდევრობა ზოგჯერ საბედისწერო შედეგებსაც იწვევს. მსგავს ფაქტს ჰქონდა ადგილი ხანდაზმული ვ.ტ.–ს შემთხვევაშიც.

ვ.ტ.–ს საქმე

2014 წლის 13 მარტს საქართველოს სახალხო დამცველმა საკუთარი ინიციატივით დაიწყო სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევში ა(ა)იპ „თაობათა კერას“ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმულთა პანსიონატის ბენეფიციარის, 78 წლის ვ.ტ.–ს საქმის შესწავლა, რომელიც აღნიშნულ დაწესებულებაში 2014 წლის 14 თებერვალს გადაიყვანეს ს.ს. ზუგდიდის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო „რესპუბლიკადან“ სოციალური მომსახურების სააგენტოს სამეგრელო–ზემო სვანეთის რეგიონული საბჭოს გადაწყვეტილებით. როგორც სოციალური მომსახურების სააგენტოს 2014 წლის 17 აპრილის წერილით ირკვევა, ვ.ტ. 2013 წლის 30 დეკემბერს ბარძაყის ძვლის ყელის მოტეხილობით მოათავსეს საავადმყოფოში. პაციენტმა გასაუბრებისას თქვა, რომ საკუთარი არაფერი გააჩნდა და სამადლოდ ცხოვრობდა სხვადასხვა მეზობელთან, იყო მწოლიარე და საჭიროებდა მომვლელს, ითხოვდა თავშესაფარს. სააგენტომ მას მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის გამო შესთავაზა სათემო ორგანიზაციის პროგრამაში ჩართვა, რაზეც მიიღო თანხმობა. თუმცა, სააგენტოს იმავე წერილში მითითებული იყო, რომ

> „ვ.ტ.–ს, როგორც პაციენტის უფლება დაირღვა ს.ს. ზუგდიდის მრავალპროფილიან კლინიკურ საავადმყოფოში, სადაც არ ჩაუტარდა სათანადო მკურნალობა. განუვითარდა ღრმა ნაწოლები. ბენეფიციარი გამოწერილია სტანციონარიდან უმძიმეს მდგომარეობაში კახექსიური, მოუვლელი. ბენეფიციარის ჯანმრთელობის მდგომარეობის სიმძიმის მიუხედავად, იგი ზუგდიდიდან სოფელ ბოდბისხევში გადაიყვანეს სასწრაფო დახმარების მანქანით. უნდა აღინიშნოს, რომ ბენეფიციარის ჯანმრთელობის მდგომარეობა არ შეესაბამებოდა ს.ს. ზუგდიდის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო „რესპუბლიკას“ მიერ გაცემულ ფორმა NIV–100–ში დაფიქსირებულ დიაგნოზსა და ანამნეზს, რითაც შეცდომაში იქნა შეყვანილი სააგენტოს ზუგდიდის რაიონული განყოფილების სოციალური მუშაკი, რომელმაც ყურადღებით არ აღწერა შექმნილი ვითარება, რის შემდეგაც მოხდა უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი ბენეფიციარის ტრანსპორტირება ზუგდიდიდან სიღნაღის რაიონში. მიუხედავად ბენეფიციარის კრიტიკული მდგომარეობისა, სათემო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა სამეგრელოდან ჩამოყვანილი მიუსაფარი ბენეფიციარი უკან არ გააბრუნა და განათავსა სათემო ორგანიზაციაში, სადაც ვ.ტ.–ს ყოველდღიურად უტარდებოდა მკურნალობა და ჭრილობების დამუშავება სერტიფიცირებული ექიმის დანიშნულებითა და კვალიფიციური მედ–პერსონალის მიერ. ვინაიდან ბენეფიციარის

მდგომარეობა ჩარიცხვის მომენტიდანვე კრიტიკული იყო, იგი გარდაიცვალა 2014 წლის 10 მარტს.“

აღნიშნული საქმის შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტსა და სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს. ამ უკანასკნელის 2014 წლის 27 ოქტომბრის N02/86365 კორესპონდენციის თანახმად, სააგენტომ კომისიური წესით შეისწავლა სახალხო დამცველის მიმართვაში მოყვანილი ფაქტები და 2014 წლის 24 ოქტომბრის N8 სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება ს.ს. „ზუგდიდის მრავალპროფილიან კლინიკურ საავადმყოფო „რესპუბლიკას“ შვიდი ექიმის მ.ს.–ს და პ.ა.–ს, მ.რ.–ს, ვ.ფ.–ს, ლ.გ.–ს, მ.ჯ.–ს, ქ.წ.–ს, ასევე, ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის საექიმო ამბულატორიის ექიმ ი.მ.–ს და ა(ა)იპ „თაობათა კერას“ ექიმ თ.ბ.–ს პროფესიული პასუხისმგებლობის თაობაზე (1 თვით სერტიფიკატის ვადის შეჩერება და „წერილობითი გაფრთხილება“). სააგენტოს ინფორმაციით, სს „ზუგდიდის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო რესპუბლიკას“ ექიმებმა პაციენტ ვ.ტ.–ს არ ჩაუტარეს „აუცილებელი მკურნალობა“. ასევე, ა(ა)იპ „თაობათა კერას“ ექიმებმა და ადმინისტრაციამ ვერ უზრუნველყო შესაბამისი პროფილის ექიმ–სპეციალისტთა კონსულტაციები და სასწრაფო დახმარების ბრიგადა.

საქართველოს სახალხო დამცველი დადებითად აფასებს კომპეტენტური სახელმწიფო უწყების მიერ ხანდაზმულ ვ.ტ.–ს საქმეზე რეაგირებას, თუმცა, ვინაიდან, საქმე გვაქვს უხეშ და სერიოზულ ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტთან, საჭიროა უფრო სერიოზული ღონისძიებების გატარება, ვიდრე *post factum* სამედიცინო პერსონალის პროფესიული პასუხისმგებლობის დაყენებაა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მომავალში მსგავსი შემთხვევების პრევენცია.

ყოველ ადამიანს აქვს უფლება ხელი მიუწვდებოდეს ცხოვრების ადეკვატურ სტანდარტზე, რომელიც უზრუნველყოფს მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას, მათ შორის საკვებს, ტანსაცმელს, საცხოვრებელს და სამედიცინო და აუცილებელ სოციალურ სერვისებს.[1107]

გაეროს საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ აღიარებს თითოეული ადამიანის უფლებას ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლეს შესაძლო სტანდარტებზე. „ზომები, რომლებიც სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ამ უფლების სრული რეალიზაციისათვის, უნდა შეიცავდეს ღონისძიებებს,

[1107] „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 1948 წელი, მუხლი 25.

რომლებიც აუცილებელია ისეთი პირობების შესაქმნელად, რომლებიც ავადმყოფობის შემთხვევაში ყველასათვის უზრუნველყოფს სამედიცინო დახმარებასა და მოვლას".[1108]

გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარების მიხედვით, ჯანმრთელობის უფლება არ უნდა იქნას გაგებული, როგორც მხოლოდ უფლება – იყო ჯანმრთელი. აღნიშნული მოიცავს უფლებებსაც და თავისუფლებებს. კერძოდ, თავისუფლებას, – აკონტროლო საკუთარი ბიოლოგიური მდგომარეობა და უფლებას ჯანდაცვის ისეთ სისტემაზე, რომელიც უზრუნველყოფს ჯანმრთელობის უმაღლესი სტანდარტით სარგებლობის თანაბარ შესაძლებლობას.[1109] ხანდაზმულ პირთა სპეციფიკიდან გამომდინარე, ჯანმრთელობის უფლება მოიცავს პრევენციის, მკურნალობისა და რეაბილიტაციის კომბინირებულ ელემენტებს, ასევე, მომსახურებას, რომელიც შესაძლებელს გახდის ტკივილის თავიდან აცილებასა და ღირსეულად სიკვდილს.[1110]

ჯანმრთელობის უფლება მჭიდროდ არის დაკავშირებული და დამოკიდებული სხვა ადამიანის უფლებების რეალიზებაზე, მათ შორის სიცოცხლის უფლებაზე.[1111] სიცოცხლის უფლება კი სახელმწიფოს აკისრებს ორი სახის ვალდებულებას: არავის წაართვას სიცოცხლე და გადადგას გონივრული ნაბიჯები სიცოცხლის დასაცავად, აღნიშნული მოიაზრებს პოზიტიური ღონისძიებების პრაქტიკაში განხორციელებას.

ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს თითოეულ მოქალაქეს უფლება აქვს სამედიცინო მომსახურების ყველა გამწევისგან მიიღოს ქვეყანაში აღიარებული და დანერგილი პროფესიული და სამოსამსახურეო სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო მომსახურება.[1112] სახელმწიფო იცავს პაციენტის უფლებას სამედიცინო მომსახურებაზე, რომლის გადაუდებლად განხორციელების გარეშე გარდაუვალია პაციენტის სიკვდილი ან ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესება.[1113]

ვთვლით, რომ ზემოთ მოცემულ შემთხვევაში დაირღვა პაციენტ ვ.ტ.–ს ჯანმრთელობის უფლება. **აღნიშნული საქმე ცხადყოფს, რომ სახელმწიფოს მხრიდან ხანდაზმულ პირთა მიმართ არასათანადო/არაეფექტური ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის**

[1108] „საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ", გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 1966 წელი, მუხლი 12.

[1109] გაეროს ეკონომიკურ, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი N14, უფლება ჯანმრთელობის უმაღლეს სტანდარტზე **E/C.12/2000/4 (2000), პარაგრაფი 8.**

[1110] გაეროს ეკონომიკურ, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი N6 ხანდაზმულთა უფლებების შესახებ, **E/1996/22 at 20 (1996), პარაგრაფები 34–35.**

[1111] გაეროს ეკონომიკურ, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი N14, უფლება ჯანმრთელობის უმაღლეს სტანდარტზე **E/C.12/2000/4 (2000), პარაგრაფი 3.**

[1112]„პაციენტის უფლებების შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 5.

[1113] იქვე, მუხლი 12, პუნქტი 1.

ღონისძიებები ხელყოფს როგორც ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, ასევე არღვევს საერთაშორისო დოკუმენტებით ნაკისრი ვალდებულებებსა და ეროვნულ კანონმდებლობას.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო აღნიშნავს, რომ მისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს ხანდაზმულ პირთა ალტერნატიული მომსახურების (სათემო მომსახურების) განვითარება, რომელიც იზიარებს მსოფლიოში აღიარებულ, თანამედროვე – ე.წ. „სოციალური მოდელის“ მიდგომებს ხანდაზმულ პირთა მომსახურების განვითრების პროცესში. „მოცემული მიდგომით, ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი არიან ინდივიდუალურ საჭიროებებზე დაფუძნებული ყოველდღიური ზრუნვით, ასევე, სარეაბილიტაციო აქტივობებით, რომლებიც ხელს უწყობს მათი შესაძლებლობების განვითარება/რეალიზებას, რაც თავის მხრივ, წაახალისებს თითოეულის დამოუკიდებელ ფუნქციონირებას“.[1114]თუმცა, პრაქტიკამ ცხადყო, რომ ვ.ტ.–ს შემთხვევაში, რეზიდენტული დაწესებულების ადმინისტრაციამ ვერ უზრუნველყო სათანადო და მინიმალური ზრუნვის განხორციელება, რამაც ფატალური შედეგი გამოიწვია. აღსანიშნავია, რომ დღემდე არ განხორციელებულა რეზიდენტულ დაწესებულებებში მოთავსებულ ხანდაზმულთა მიმართ მოპყრობის, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის და საცხოვრებელი პირობების სისტემური შეფასება/მონიტორინგი. **საქართველოს სახალხო დამცველი, მუდმივად მოახდენს ხანდაზმული პირების უფლებრივი მდგომარეობის შეფასებას, ასევე, სამინისტროს მიერ ახლახან დამტკიცებული „სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმულთა მომსახურების მინიმალური სტანდარტების“ შესრულების მონიტორინგს.**

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობამ:

- **მიიღოს ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელსაც ექნება ყოვლისმომცველი მიდგომა და უპასუხებს საქართველოში დაბერების პროცესში მყოფი მოსახლეობის საჭიროებებს. გეგმამ უნდა უზრუნველყოს ვალდებულებების მკაფიოდ გადანაწილება პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებებზე**
- **შეიმუშავოს ადეკვატური სოციალური დაცვისა და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები, რომელიც დაეფუძნება ხანდაზმულ პირთა საჭიროებების კვლევას და უპასუხებს მათ წინაშე არსებულ გამოწვევებს**

[1114] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2015 წლის 19 თებერვლის N01/11983 წერილი

- უზრუნველყოს საინფორმაციო და საგანმანათლებლო ღონისძიებების გატარება ხანდაზმულთა უფლებებისა და მათი განსაკუთრებული საჭიროების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად
- მოახდინოს კანონების და კანონპროექტების, პოლიტიკისა და პროგრამების ძირეული გადახედვა, რათა მათში ასახული იყოს დაბერებაზე მადრიდის საერთაშორისო სამოქმედო გეგმაში/იმპლემენტაციის რეგიონალური სტრატეგიაში (MIPAA/RIS) მოცემული პრინციპები

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ:

- ეფექტიანი პროგრამებისა და სერვისების შეთავაზებით უზრუნველყოს ხანდაზმულ პირთათვის ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა (რაც ასევე მოიცავს მედიკამენტებით უზრუნველყოფას)
- საჭიროებების შეფასებაზე დაყრდნობით, ჯანდაცვის ეროვნულ სტრატეგიაში მოახდინოს გრძელვადიანი ზრუნვის ელემენტების ასახვა
- უზრუნველყოს გერიატრიული ზრუნვის დაწესებულებების, ხანდაზმულთათვის პალიატიური ზრუნვის, სათემო, ასევე, დღის ცენტრების მომსახურების დანერგვა/შემდგომი გაუმჯობესება
- შეიმუშავოს შინმოვლის მომსახურების სტანდარტი და უზრუნველყოს აღნიშნული მომსახურების დანერგვა/განვითარება
- უზრუნველყოს ხანდაზმულთა მიმართ ზრუნვის ხარისხის მართვის ერთიანი სისტემის შექმნა, მათ შორის, სახელმძღვანელო პრინციპების და ინსტიტუციური სტანდარტების შემუშავება და რეგულარული განახლება
- უზრუნველყოს პერსონალის მომზადება/გადამზადება შემუშავებული სტანდარტების შესაბამისად
- აწარმოოს საზოგადოების ინფორმირების კამპანია სახელმწიფოს პროგრამების/სერვისების და მათით სარგებლობის მექანიზმების თაობაზე

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა:

- უზრუნველყონ ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში ხანდაზმულ პირთათვის საჭიროებების კვლევაზე დაფუძნებული ადეკვატური სერვისებისა და პროგრამების შეთავაზება

სათანადო საცხოვრებლის უფლება

სათანადო საცხოვრებლის უფლება საქართველოს მიერ მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულებით დაცულ უფლებას წარმოადგენს. შესაბამისად, სახელმწიფო აღიარებს

უფლებიდან გამომდინარე ნეგატიურ და პოზიტიურ ვალდებულებებს[1115]. განსახილველ უფლებასთან დაკავშირებით ძირითად საერთაშორისო დოკუმენტად მიჩნეულია სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი და მისი მე-11 მუხლი, რომელიც იცავს: *„თითოეულის უფლებას, უზრუნველყოფილი იყოს სათანადო კვებით, ტანსაცმლითა და ბინით, აგრეთვე უფლებას, განუწყვეტლივ იუმჯობესებდეს ცხოვრების პირობებს“.*

სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების კომიტეტი განმარტავს მუხლის შინაარსს, რომელიც წევრი სახელმწიფოების მიერ უფლების ობიექტური და კეთილსინდისიერი იმპლემენტაციისათვის არსებითად მნიშვნელოვანია. განმარტების თანახმად: *„ბინის უფლება არ უნდა იქნეს განხილული ვიწრო ან შეზღუდული გაგებით, რაც მას მაგალითად თავშესაფრით უზრუნველყოფასთან გაათანაბრებდა, რაც მხოლოდ ჭერის ქონას ნიშნავს. იგი განხილული უნდა იქნეს როგორც ნებისმიერ ადგილას უსაფრთხო, მშვიდობიან და ღირსეულ პირობებში ცხოვრების უფლება“*[1116]. აღნიშნულიდან გამომდინარე, სათანადო საცხოვრებლის უფლება უფრო მეტია, ვიდრე ოთხი კედელი და ჭერი, იგი იმ მინიმალური პირობების ერთიანობაა, რომელიც აუცილებელია პიროვნების ფიზიკური და სულიერი მთლიანობისთვის.

სათანადო საცხოვრებლის უფლებაზე გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა თავის ერთ-ერთ მოხსენებაში ყურადღება გაამახვილა იმ ძირითად ასპექტებზე, რისი შესრულებაც წევრი სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელი იქნება უფლების პროგრესული რეალიზაციისათვის. მოხსენების თანახმად, სახელმწიფო უნდა შეეცადოს, ყველა სათანადო საშუალების გამოყენებით უზრუნველყოს თითოეული ადამიანის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის, საყოფაცხოვრებო პირობებისა და უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამის საბინაო რესურსებზე. იმ შემთხვევაში, თუ პირი უსახლკაროა და არ გააჩნია სათანადო საბინაო პირობები, მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა სასარჩელო წესით მოითხოვოს საბინაო რესურსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. გარდა ამისა, სახელმწიფომ უნდა განახორციელოს ღონისძიებები, რომელიც სათანადო საცხოვრებლის უფლების განხორციელებისათვის საჭირო პოლიტიკის შემუშავებაზე და საკანონმდებლო აღიარებაზე იქნება ორიენტირებული[1117].

[1115] იხ. მაგ. 1) საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ 1965 წელი, მე-5 მუხლი e პუნქტი მე-3 ქვეპუნქტი; 2) კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ 1979 წელი, მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი h ქვეპუნქტი; 3) ბავშვის უფლებათა კონვენცია 1989 წელი, 27-ე მუხლი მე-3 პუნქტი; 4) კონვენცია ლტოლვილის სტატუსის შესახებ 1951 წელი, 21-ე მუხლი და სხვ.

[1116] სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის #4 ზოგადი კომენტარი, 1991 წ. პარაგრაფი 7.

[1117]სათანადო საცხოვრებლის უფლებაზე გაეროს სპეციალური მომხსენებელი, UN doc. E/CN.4/Sub.2/1995/12, პუნქტი 12.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სათანადო საცხოვრებლის უფლების კომპლექსურობის და მზარდი მნიშვნელობის გამო, პრაქტიკაში ხშირია მისი არასწორად განმარტების შემთხვევები. ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ შეცდომას წარმოადგენს იმის დაშვება, რომ სახელმწიფოს მოეთხოვება მოსახლეობისათვის სახლების აშენება და რომ ყველა მოქალაქე, ვინც ამას მოითხოვს, უნდა დაკმაყოფილდეს ბინით[1118]. აღნიშნულის საპირისპიროდ, საერთაშორისო სამართალში დამკვიდრებული პრინციპების მიხედვით, სახელმწიფო მხოლოდ გარკვეული პირობების შემთხვევაშია პასუხისმგებელი პირის სათანადო საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე. მეორე გავრცელებული შეცდომაა სათანადო საცხოვრებლის უფლების, როგორც საკუთრების, განმარტება. სათანადო საცხოვრებლის უფლება უფრო მეტია ვიდრე საკუთრება, ვინაიდან ქონების უფლების მიუხედავად, უსახლკარო პირები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ უსაფრთხო, მშვიდობიანი და ღირსეული პირობებით. ამასთან, სახელმწიფოს არ ეკისრება ვალდებულება შესაბამისი საჭიროების მქონე პირს შეთავაზებული საცხოვრებელი ფართი გადასცეს საკუთრებაში.

კიდევ ერთი გავრცელებული შეცდომაა იმის დაშვება, რომ სახელმწიფო ვალდებულია დაუყოვნებლივ განახორციელოს სათანადო საცხოვრებლის უფლების ყველა ასპექტი[1119]. აღნიშნულის საპირისპიროდ სახელმწიფოს ეკისრება პასუხისმგებლობა არსებული რესურსების მაქსიმალური გამოყენებით განახორციელოს ღონისძიებები უფლების თანდათანობითი, სრული რეალიზაციის მისაღწევად. ამასთან, ეს ღონისძიებები უნდა იყოს გააზრებული, კონკრეტული და პაქტით აღიარებული ვალდებულების შესრულებაზე მკაფიოდ ორიენტირებული[1120].

სათანადო საცხოვრებლის უფლებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა დაცვის რეგიონული ხელშეკრულებებიდან უნდა აღინიშნოს ევროპის სოციალური ქარტიის 31-ე მუხლი. წინამდებარე ნორმა ადგენს, რომ საცხოვრებელ ადგილზე უფლების ეფექტიანი განხორციელების მიზნით, სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას, რომლებიც მიზნად ისახავს: 1) ხელი შეუწყონ საცხოვრებელი ადგილის ადეკვატური სტანდარტის ხელმისაწვდომობას; 2) თავიდან აიცილონ და თანდათან შეამცირონ უსახლკარობა მისი აღმოფხვრის მიზნით; 3) შექმნან საცხოვრებელი ფასების ხელმისაწვდომობა, მათთვის, ვისაც სათანადო სახსრები არ გააჩნიათ. იმის გათვალისწინებით, რომ მუხლზე საქართველოს დათქმა აქვს გაკეთებული, სახელმწიფო ამ ეტაპზე არ აღიარებს მისი პატივისცემის, დაცვის და შესრულების ვალდებულებებს, თუმცა, სახალხო დამცველის არაერთ ანგარიშში მოყვანილი რეკომენდაციების შესრულების შემთხვევაში, სახელმწიფოს ერთიანი

[1118] იქვე, პუნქტი 11.
[1119] იქვე.
[1120] სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის №3 ზოგადი კომენტარი, 1991 წ. პარაგრაფი 2.

პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავება მისცემს საქართველოს შესაძლებლობას, გააუქმოს დათქმა ზემოაღნიშნულ მუხლზე.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სათანადო საცხოვრებლის უფლებიდან გამომდინარე ვალდებულებები არაერთი საერთაშორისო ხელშეკრულებით აქვს აღიარებული, პრაქტიკაში მათი იმპლემენტაცია არ ხდება და უფლების დარღვევები საგანგაშო ხასიათს ატარებს. წინა წლების მსგავსად, 2014 წლის განმავლობაში მაღალი იყო თავშესაფრის ან სათანადო საცხოვრებელი პირობების უქონლობის ფაქტებთან დაკავშირებით მიღებული განცხადებების რაოდენობა. განცხადებათა შესწავლის შედეგები აჩვენებს, რომ უცვლელია ამ მიმართულებით არსებული პრობლემები და უფლების რეალიზაციის შემაფერხებელი გარემოებების თემატიკაც[1121].

2014 წელს პრობლემად რჩება უსახლკარო პირთა, როგორც რეგიონული, ისე ცენტრალიზებული მონაცემთა ბაზების უქონლობა; უსახლკარო პირებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურული რესურსის არარსებობა და ამ მიმართულებით გამოყოფილი ფინანსური სახსრების სიმწირე, ხოლო რიგ შემთხვევაში ასეთი სახსრების უქონლობა. მნიშვნელოვან ხარვეზად რჩება სოციალურად დაუცველი ოჯახების სახელმწიფო პროგრამაში უსახლკარო პირების ჩართულობა. ვინაიდან ზემოთ ხსენებულ პრობლემებს საქართველოს სახალხო დამცველი რეგულარულად ეხებოდა ბოლო 5 წლის საპარლამენტო ანგარიშებში, წინამდებარე თავში მათ აღარ შევეხებით[1122]. ამასთან, უცვლელი დარჩება სათანადო საცხოვრებლის უფლებასთან დაკავშირებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გაცემული რეკომენდაციები,. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე სახალხო დამცველმა 2015 წლის მარტში გამოაქვეყნა სპეციალური ანგარიში, სადაც დეტალურად განიხილა ის გამოწვევები, რაც სათანადო საცხოვრებლის უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებით დგას საქართველოში[1123].

ამრიგად, მოცემულ თავში ყურადღებას გავამახვილებთ იმ პრობლემებზე, რომლებმაც თავი იჩინა 2014 წლის საანგარიშო პერიოდში. კერძოდ, განხილული იქნება გასულ წელს ამ მიმართულებით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები და სხვადასხვა ობიექტებში შეჭრილი უსახლკარო ოჯახების იძულებითი გამოსახლებისგან დაცვის საკითხი. აგრეთვე, მიუსაფარი პირებისთვის მოწყობილ კარვის მობინადრეთა მდგომარება.

[1121] იხ. „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის 2009 წლის მე-2 ნახევრის საპარლამენტო მოხსენება, თავი: „სათანადო საცხოვრებლის უფლება“., გვ. 204-209; 2010 წლის საპარლამენტო მოხსენება, თავი: იგივე, გვ. 367-371; 2011 წლის საპარლამენტო მოხსენება, თავი: იგივე, გვ. 148-151; 2012 წლის საპარლამენტო მოხსენება, თავი: იგივე, გვ. 575-584; 2013 წლის საპარლამენტო მოხსენება, თავი: იგივე, გვ. 551-561.

[1122] იქვე.

[1123] http://www.ombudsman.ge/ge/reports/specialuri-angarishebi/ufleba-satanado-sacxovrisze-specialuri-angarishi.page

საკანონმდებლო ცვლილებები

საქართველოს პარლამენტმა 2014 წელს მიიღო „საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2014-2020 წლებისთვის)“ დამტკიცების შესახებ დადგენილება, სადაც სათანადო საცხოვრებლის უფლებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულება სახელმწიფოს ერთ-ერთ პრიორიტეტად განისაზღვრა. უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრალური ხელისუფლების მიერ უსახლკარობასთან ბრძოლის წინააღმდეგ, სისტემური მიდგომის ჩამოყალიბების მიზნით, აქამდე არ ყოფილა მიღებული რაიმე პოლიტიკური/სტრატეგიული დოკუმენტი. სტრატეგიის 21-ე მუხლი სათანადო საცხოვრებლის უფლებასთან დაკავშირებით ითვალისწინებს შემდეგი ამოცანების შესრულებას: ა) სათანადო საცხოვრებლის უფლების უზრუნველსაყოფად სახელმწიფოში არსებული რესურსების შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალური კონცენტრირება; ბ) სათანადო საცხოვრებლის უფლების ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე უზრუნველყოფა; გ) ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელება მოწყვლადი ჯგუფებისთვის სათანადო საცხოვრებლის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად; დ) სათანადო საცხოვრებლის უფლების უზრუნველსაყოფად საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კანონმდებლობისა და სახელმწიფო საბინაო სტრატეგიის შექმნა, რომელიც ყველა ჯგუფის ინტერესებს გაითვალისწინებს; ე) უსახლკაროთა აღრიცხვა და მონაცემთა ბაზის შექმნა; ვ) მინიმალური საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფა.

2014 წელს მიღებულ იქნა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, ადამიანის უფლებათა დაცვის 2014-2015 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომლითაც სტრატეგიის ფარგლებში დასახული ამოცანების შესასრულებლად განისაზღვრა აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ განსახორციელებელი პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები[1124]. სამწუხაროდ, ეროვნული სამოქმედო გეგმა არ მოიცავს კონკრეტულ ღონისძიებათა პაკეტს, რომელიც აუცილებელია სათანადო საცხოვრებლის უფლებასთან დაკავშირებით სტრატეგიაში დასახული ამოცანების შესასრულებლად. ამრიგად, გვაქვს მდგომარეობა, როდესაც ქვეყანაში უსახლკარობასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა სახელმწიფოს განსაკუთრებული ყურადღების საგანს წარმოადგენს, თუმცა ამ ეტაპზე არ არსებობს პრობლემის დასაძლევად აუცილებელი სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილი იქნება კონკრეტული ღონისძიებები, სათანადო რესურსები, პასუხისმგებელი ორგანოები და ვადები, რომლებიც უზრუნველყოფენ დასახული მიზნების რეალიზაციას.

[1124] „საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015 წლებისთვის) დამტკიცებისა და საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015 წლებისთვის) საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივლისის #445 დადგენილება.

ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების გარდა, 2014 წელს დამტკიცდა ტექნიკური რეგლამენტი - მიუსაფართა დროებითი თავშესაფრის ფუნქციონირების მინიმალური სტანდარტების შესახებ[1125]. დოკუმენტით განსაზღვრულია თავშესაფრის მოწყობის და ექსპლოატაციაში მიღებისთვის აუცილებელი საკითხები. თავშესაფრებთან და მათ ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი გარანტიების ფონზე, არცერთ მუნიციპალიტეტში, ბათუმის გარდა, არ არსებობს მსგავსი ინსტიტუციები, რასაც ადასტურებს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებიდან მიღებული ინფორმაცია[1126]. თუმცა, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით დგინდება, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანო ლილოს ტერიტორიაზე გეგმავს თავშესაფრის მშენებლობას და მისი ექსპლოატაციაში მიღება ნავარაუდევია 2015 წლის მეორე ნახევარში. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2014 წლის 19 დეკემბრის #18-57 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის 2015 წლის ბიუჯეტით დგინდება, რომ მიუსაფარ პირთა თავშესაფრის მშენებლობისათვის 1 211 300 ლარია გათვალისწინებული (პროგრამული კოდი 6.2.21.). 2015 წელს მიუსაფარი პირებისთვის თავშესაფრის მოწყობას გეგმავს ქუთაისის მერიაც და ამ მიმართულებით ადგილობრივ ბიუჯეტში 300 000 ლარია გამოყოფილი[1127].

ზემოხსენებული რეგლამენტის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე ეროვნულ კანონმდებლობაში გაჩნდა მიუსაფარი პირის ცნება და ასეთად მიჩნეულ იქნა: *„პირი, რომელიც ცხოვრობს ღია ცის ქვეშ, არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ლეგალური შემოსავალი და მის სახელზე არ არის რეგისტრირებული უძრავი ქონება, ან პირი, რომელიც მოცემულ მომენტში იმყოფება ქუჩაში და მისი სიცოცხლე არის რისკის ქვეშ“.* წინამდებარე დეფინიციის წარმოშობის შედეგად, პრაქტიკაში თავი იჩინა უსახლკარო პირის განმარტებასთან დაკავშირებულმა პრობლემამ. კერძოდ, საუბარია რეგლამენტით განსაზღვრული „მიუსაფარი“ და „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული „უსახლკარო“ პირთა ცნებების ურთიერთ თავსებადობის საკითხზე[1128].

2014 წლის განმავლობაში, საქართველოს სახალხო დამცველის მიერ დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში „უსახლკარო პირის“ ბუნდოვანი დეფინიციის ფონზე, თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

[1125] „ტექნიკური რეგლამენტი - მიუსაფართა დროებითი თავშესაფრის ფუნქციონირების მინიმალური სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვალის #131 დადგენილება;

[1126] 1)ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა 17.09.2014წ. წერილი #05-1/416, 2) ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია 22.09.2014წ. წერილი #1403/645, 3) თბილისის მუნიციპალიტეტის მერია 21.10.2014წ. წერილი #06/14288340-10;

[1127] http://www.kutaisi.gov.ge/news/id/876 ბოლოს ნანახია 2015 წლის 26 იანვარს;

[1128] „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს 2006 წლის 29 დეკემბრის კანონი, მე-4 მუხლი „ჟ“ პუნქტი.

უსახლკარო პირს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის #131 დადგენილების ჩანაწერზე დაყრდნობით განმარტავდა. აღნიშნული მიდგომა გაუმართლებელია, ვინაიდან მიუსაფარი პირები წარმოადგენენ უსახლკაროების ერთ-ერთ მოწყვლად ჯგუფს - ჭერის არმქონე პირებს, მაშინ როდესაც ტერმინი „უსახლკარო“ უფრო ფართო მნიშვნელობისაა და იგი მოიცავს სხვადასხვა გამოვლინების მქონე უსახლკარობის ფორმებს, რომლებსაც ასევე აქვთ საცხოვრებლით დაკმაყოფილების საჭიროება. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ თბილისის დროებითი თავშესაფრის პროგრამა, მისთვის დამახასიათებელი სპეციალური პროფილიდან გამომდინარე, ვერ შეეთავაზება უსახლკარო პირთა ყველა კატეგორიას. შესაბამისად, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ საცხოვრებლით უზრუნველყოფის თაობაზე მიღებული განცხადებების სტანდარტულად აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხილვა მიუღებელია.

საქართველოს სახალხო დამცველი დადებითად აფასებს 2014 წელს თავშესაფრის ფუნქციონირებისათვის საჭირო რეგლამენტის დამტკიცებას და სათანადო საცხოვრებლის უფლებასთან დაკავშირებული გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯები არ არის საკმარისი ქვეყანაში უსახლკარობის დასაძლევად და საჭიროა ამ მიმართულებით აქტიური მუშაობის გაგრძელება. საქართველოს სახალხო დამცველი იმედს გამოთქვამს, რომ სათანადო საცხოვრებლის უფლებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესასრულებლად დაწყებული პროცესები შეუქცევადი იქნება.

პროგრამა „სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში“

საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის საპარლამენტო ანგარიშში განხილულია სხვადასხვა რეგიონებში და მათ შორის დედაქალაქში „შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს“ დახმარებით, 2013 წელს განხორციელებული პროექტი „სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში“[1129]. 2013 წლის მსგავსად, გასულ წელს პრობლემას წარმოადგენდა პროგრამის ფარგლებში თბილისში შექმნილი წარმომადგენლობითი დროებითი კომისიის მიერ შერჩეული ოჯახების საცხოვრისში შესახლება. კერძოდ, დაწესებულებაში შესახლებამდე შერჩეული ბენეფიციარების კუთვნილი ფართები თვითნებურად დაიკავეს სხვა პირებმა. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2014 წლის ბოლოს მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კომისიის მიერ შერჩეული 24 ოჯახიდან 7 ვერ ახერხებს კანონიერ სარგებლობაში გადაცემული ფართით სარგებლობას[1130]. აღსანიშნავია, რომ კანონიერი მოსარგებლეების ნაწილმა მათი ინტერესების დაცვის მიზნით,

[1129] იხილეთ, *საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის 2013* წლის საპარლამენტო ანგარიში, თავი: „სათანადო საცხოვრებლის უფლება“, გვ. 551-561.

[1130] თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2014 წლის 21 ოქტომბრის #2568135 წერილი.

სასამართლოს მიმართა და ამჟამად, მიმდინარეობს სამართალწარმოების პროცესი[1131]. საქართველოს სახალხო დამცველი ყურადღებით ადევნებს თვალყურს აღნიშნულ საკითხზე მოვლენების განვითარებას და იმედს გამოთქვამს, რომ უფლებამოსილი ორგანოები კანონიერ მოსარგებლეთა ინტერესების დასაცავად კანონით გათვალისწინებულ ყველა საშუალებას გამოიყენებენ.

ზემოხსენებულ პროექტთან დაკავშირებით, მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს საცხოვრისის ბენეფიციარების საზოგადოებაში ინტეგრაციის მხარდამჭერი პროგრამების ამოქმედება. აქ იგულისხმება, ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური რეაბილიტაცია და საცხოვრისის დატოვების შესაძლებლობის გაჩენა, რაც სათანადო საცხოვრებლის უფლების ტრანზიტულობას შეუწყობს ხელს. სახელმწიფომ უნდა გამოიჩინოს ძალისხმევა, რომ სათანადო საცხოვრებლის უფლება არ აღიქმებოდეს, როგორც საკუთრება. როგორც შესავალში აღინიშნა, ხსენებული უფლება სახელმწიფოს არ ავალდებულებს შესაბამისი საჭიროების მქონე პირს შეთავაზებული საცხოვრებელი ფართი გადასცეს საკუთრებაში. ამასთან, სათანადო საცხოვრებლის უფლება უფრო მეტია ვიდრე საკუთრება, ვინაიდან ფართზე საკუთრების მიუხედავად, უსახლკარო პირები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ უსაფრთხო, მშვიდობიანი და ღირსეული საცხოვრებელი პირობებით.

პროექტის ფარგლებში საცხოვრებლით დაკმაყოფილებული ოჯახების შესახებ რეგიონებიდან და დედაქალაქიდან მიღებული სტატისტიკური მონაცემებით დგინდება, რომ თბილისში 2009 წლიდან 2014 წლამდე სათანადო საცხოვრებლით დაკმაყოფილებულია 75 უსახლკარო ოჯახი, მათ შორის იძულებით გადაადგილებული პირები[1132]. ქუთაისში 2010-2014 წლებში დაკმაყოფილდა 14 ოჯახი, მათ შორის 6 ადგილობრივი და 8 დევნილი[1133]. ბათუმში 2010-2013 წლებში სათანადო საცხოვრებლით უზრუნველყოფილ იქნა 15 ადგილობრივი და 14 დევნილი ოჯახი[1134]. მოთხოვნის მიუხედავად, ზუგდიდის მერიამ და გორის მუნიციპალიტეტის გამგეობამ არ წარმოადგინა ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე პროგრამის ფარგლებში სათანადო საცხოვრებლით დაკმაყოფილებული ოჯახების სტატისტიკური მონაცემები.

რაც შეეხება ბენეფიციარების მხრიდან სოციალური საცხოვრისის დატოვების სტატისტიკას, ადგილობრივი ხელისუფლებიდან მიღებული მონაცემები ადასტურებს, რომ არსებობს სოციალური დახმარების ტრანზიტულობის პრობლემა. კერძოდ, დედაქალაქში

[1131] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება (საქმე #4564-13) უცვლელად დარჩა ძალაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 28 ნოემბრის განჩინებით (საქმე #3/ბ-1132-14). მეორე ინსტანციის სასამართლოს განჩინება გასაჩივრებულია საქართველოს უზენაეს სასამართლოში.
[1132] თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 21.10.2014წ. #2568135 წერილი.
[1133] ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის 19.09.2014წ. #01-766 წერილი.
[1134] ბათუმის მერიის 27.11.2013წ. #04-04/29908 წერილი.

დაწესებულება სულ ორჯერ დატოვა ბენეფიციარმა. აღნიშნულის საფუძველს ერთ შემთხვევაში გარდაცვალება, მეორე შემთხვევაში კი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ დევნილი ოჯახის ალტერნატიული საცხოვრებლით დაკმაყოფილება წარმოადგენდა. რაც შეეხება ქუთაისს, საცხოვრისი მხოლოდ ერთხელ გამოთავისუფლდა ბენეფიციარის გარდაცვალების გამო. ბენეფიციარების საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის საჭირო პროგრამების არარსებობის გამო, ერთი მხრივ პირი უუნაროა დატოვოს თავშესაფარი, ვინაიდან იგი დამოუკიდებლად ვერ იუმჯობესებს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და ვერ უზრუნველყოფს თავს საცხოვრებლით, მეორე მხრივ კი აღნიშნული იწვევს სახელმწიფოს ხარჯების არაგონივრულ ზრდას. ამავე მიზეზით, დაწესებულების სერვისით ვერ სარგებლობენ სხვა პირები, რომლებსაც სოციალური სახლის ბენეფიციარების მსგავსად აქვთ უსახლკარობასთან დაკავშირებული პრობლემები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პრინციპულად მნიშვნელოვანია სახელმწიფომ მიმართოს ძალისხმევა, რათა სოციალურ საცხოვრისში ან თავშესაფარში მოხვედრილ პირს, სხვადასხვა მიზნობრივი პროგრამების შეთავაზებით დაეხმაროს სათანადო საცხოვრებელი პირობების შესაქმნელად საჭირო მატერიალური სახსრების დამოუკიდებლად გამომუშავებაში. ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფო უსახლკარო პირს ხელს უწყობს სახელმწიფო კმაყოფაზე ყოფნის დაძლევაში, ქმნის წინაპირობებს მისი საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის და ამით გრძელვადიან პერსპექტივაში ზოგავს სახელმწიფო რესურსებს. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია იმ რესურსების იდენტიფიცირება, რომლებიც პრობლემის არა პირველად (თავშესაფრის/საცხოვრებლის შეთავაზება), არამედ სისტემურ მოგვარებაზე (უსახლკარობის დაძლევა) იქნება ორიენტირებული. არსებული რესურსის გამოვლენის შემდეგ კი საჭიროა განისაზღვროს მათი ოპტიმალური გამოყენების გზები.

იძულებითი გამოსახლებისგან დაცვა

საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის საპარლამენტო ანგარიშში განხილულ იქნა სახელმწიფო და კერძო საკუთრებაში არსებულ ობიექტებში შეჭრილი უსახლკარო და სოციალურად დაუცველი პირების გამოსახლების შემთხვევები[1135]. საგულისხმოა, რომ აღნიშნულ საკითხს აქტუალურობა არც 2014 წელს დაუკარგავს. საანგარიშო პერიოდის ყველაზე გახმაურებულ საქმეს წარმოადგენდა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის

[1135] იხილეთ, *საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის 2013* წლის საპარლამენტო ანგარიში, თავი: „სათანადო საცხოვრებლის უფლება“, გვ. 551-561.

რაონის ტერიტორიაზე მდებარე ყოფილი სამხედრო ჰოსპიტლის შენობაში შეჭრილი სოციალურად დაუცველი, უსახლკარო და იძულებით გადაადგილებული პირების საქმე.

საქართველოს სახალხო დამცველი აქტიურად ადევნებდა თვალყურს ობიექტში შეჭრილი პირების მიმართ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ განხორციელებული ღონისძიებების მართლზომიერების საკითხს. კერძოდ, საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა საკითხის დეტალურად შესწავლის მიზნით, არაერთხელ განახორციელეს ობიექტის მონიტორინგი. გარდა ამისა, წინამდებარე საკითხის ირგვლივ შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოებიდან დეტალურად იქნა გამოთხოვილი მონაცემები. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით დგინდება, რომ უძრავ ქონებაზე საკუთრების ხელყოფის აღკვეთა სსიპ „სახელმწიფო ქონების მართვის ეროვნულმა სააგენტომ“ მოითხოვა. ამავე უწყების მონაცემებით, 2014 წლის 8 დეკემბრიდან 2014 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით დევნილმა ოჯახებმა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან შეთანხმებით ნებაყოფლობით დატოვეს ობიექტი[1136]. სამინისტროს მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ბინის ქირის შეთავაზების საფუძველზე შენობიდან 126 დევნილი ოჯახი იქნა გაყვანილი[1137]. საქართველოს სახალხო დამცველის ხელთ არსებული ინფორმაციით, ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან დაგეგმილია აღნიშნული ობიექტის რეაბილიტაცია და დევნილი ოჯახების საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილება.

ზემოხსენებულ საქმესთან დაკავშირებით თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის მიერ 2014 წლის დეკემბრის ბოლოს მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, შენობა დაკავებული აქვს 117 ოჯახს, აქედან სოციალურად დაუცველია 81 ოჯახი[1138]. ამავე ინფორმაციაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ ისნის რაიონის გამგეობამ ინდივიდუალურად შეისწავლა ოჯახების საცხოვრებლით დაკმაყოფილების საჭიროება, რის შედეგადაც 100 ოჯახს დაუდასტურდა საცხოვრებლის არქონის ფაქტი, 9 ოჯახს დაუდგინდა საკუთრება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, 3 ოჯახს - საკუთრება საცხოვრებელ ფართზე. ადგილობრივმა ხელისუფლებამ დამატებით გვაცნობა, რომ ისნის რაიონის გამგეობა მის ტერიტორიაზე რეგისტრაციის მქონე 63 ოჯახს, ერთი საბიუჯეტო წლით სთავაზობს ბინის ქირით უზრუნველყოფას. რაც შეეხება დანარჩენ ოჯახებს, მათ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გამგეობები რეგისტრაციის ადგილის მიხედვით შეთავაზებენ მიზნობრივ დახმარებას.

[1136] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 06.01.2015 წ. #26979 წერილი.

[1137] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო 29.12.2014 წ. #05/02-12/38062 წერილი.

[1138] თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის გამგეობის 26.12.2014 წ. #2685928 წერილი.

ე.წ. „ისნის ჰოსპიტლის საქმესთან“ დაკავშირებით, სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები ცხადყოფს, რომ უსახლკარო და სოციალურად დაუცველი ოჯახების საცხოვრებელთან დაკავშირებულ პრობლემას ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები ლოკალურ დონეზე ჭრიან. მდგომარეობა არც მაშინ იცვლება , როცა სახეზე გვაქვს უსახლკარო პირთა დიდი რაოდენობა, რომლებსაც ესაჭიროებათ სათანადო საცხოვრებლის უფლების დაუყოვნებელი რეალიზაცია. იმის გათვალისწინებით, რომ ადგილობრივ დონეზე არ არსებობს ინფრასტრუქტურული რესურსი მსგავს მასშტაბურ შემთხვევებთან გასამკლავებლად, სათანადო რესურსის მოსაძიებლად და შესაქმნელად საჭიროა ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერა. საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ადგილობრივი ხელისუფლების მიერ შეთავაზებული ბინის ქირა არის პრობლემის დროებითი და გრძელვადიან პერსპექტივაში გამოუსადეგარი ღონისძიება. გამოთქმულ მოსაზრებას ამყარებს თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოწოდებული სტატისტიკა დედაქალაქის ტერიტორიაზე თვითნებურად დაკავებული სხვადასხვა ობიექტების და მათში მცხოვრები ოჯახების შესახებ.

თბილისის მერიაში 2014 წლის ნოემბერში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლების მონაწილეობით გაიმართა შეხვედრა, რომელიც დედაქალაქის ტერიტორიაზე სხვადასხვა ობიექტებში თვითნებურად დაკავებული ფართების შესახებ მონაცემების შეგროვებას და იქ მყოფი ოჯახების საცხოვრებელთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრას უკავშირდებოდა. შეხვედრის ფარგლებში, თბილისის გამგეობების მიერ წარმოდგენილი ოფიციალური ინფორმაციით ირკვევა, რომ თბილისის მასშტაბით იდენტიფიცირებულია 401 ობიექტი, რომელიც 9 805 ოჯახს თვითნებურად აქვს დაკავებული. ქვემოთ წარმოდგენილ პირველ და მეორე დიაგრამაზე ნაჩვენებია შეხვედრაზე მოწოდებული სტატისტიკური მონაცემები ობიექტების მესაკუთრეთა შესახებ, აგრეთვე შენობებში შეჭრილი ოჯახები კატეგორიების და რაოდენობის მიხედვით.

1. **დიაგრამა**

ა) ოჯახების განაწილება შენობების მესაკუთრეების მიხედვით



ბ) ობიექტებში შეჭრილთა უფლებები დაკავებულ ქონებაზე



2. დიაგრამა

ობიექტებში შეჭრილთა სტატუსი



ბათუმში ყოფილი 25-ე და 53-ე ბატალიონების ტერიტორიებზე მცხოვრები მოქალაქეების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ

დედაქალაქის გარდა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა წარმოადგენს მეორე პრობლემურ რეგიონს, სადაც გამოიკვეთა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ობიექტებში გახშირებული შეჭრის ფაქტები. საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველს მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით მიმართავდნენ ბათუმში, ყოფილი 25-ე და 53-ე ბატალიონების ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეები.

აღნიშნულ ტერიტორიაზე მოქალაქეებმა დასახლება 2012 წლის ოქტომბრიდან დაიწყეს. საწყის ეტაპზე დასახლებული ოჯახების რაოდენობა მცირე იყო, დღეისთვის კი, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ბათუმში, ყოფილი 25-ე და 53-ე ბატალიონების ტერიტორიაზე დაახლოებით 1 000-ზე მეტი ოჯახი ცხოვრობს. დასახლებაში მცხოვრებ ოჯახებს მძიმე

საყოფაცხოვრებო პირობებში უწევთ ცხოვრება. ასევე საგანგაშოა ბავშვთა უფლებების დაცვის მდგომარეობა, ვინაიდან არასათანადო საცხოვრებელი პირობები და სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების არარსებობა მათ სრულფასოვან განვითარებას სერიოზულ საფრთხეს უქმნის. ოჯახების უმრავლესობა ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე ალტერნატიული საცხოვრებელი ფართის არარსებობის გამო დასახლდა. ადგილობრივი კომისიების წარმომადგენლების მიერ შედგენილი აქტების თანახმად, მობინადრეები საცხოვრებელი სახლების სიძველეზე ან სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებაზე მიუთითებენ. ასევე, ბათუმში ყოფილი 25-ე და 53-ე ბატალიონების ტერიტორიაზე დასახლების მიზეზად მეწყერსაშიშ ზონაში არსებულ საცხოვრებელ სახლებზე ან ფართის სიმცირეზე საუბრობენ.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ბათუმში, ყოფილი 25-ე და 53-ე ბატალიონის ტერიტორიაზე მცხოვრებმა რამდენიმე ოჯახმა საკუთარი სახსრებით კაპიტალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობა თვითნებურად დაიწყო.

2014 წლის 7 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველი ბათუმში, ყოფილი 25-ე და 53-ე ბატალიონების ტერიტორიაზე მაცხოვრებლებს შეხვდა[1139] და პირადად გაეცნო მათ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. აღნიშნულ ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახების მძიმე საცხოვრებელი პირობების შესახებ საქართველოს სახალხო დამცველმა ინფორმაცია მიაწოდა და გადაჭრის გზებზე ისაუბრა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა წერილობით[1140] გამოითხოვა ინფორმაცია, ბათუმში ყოფილი 25-ე და 53-ე ბატალიონის ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლისა და დახმარების მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, ბათუმის მერიის, ქედას, შუახევის, ხულოს, ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტების მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ.

მიღებული ინფორმაციის[1141] შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებით[1142] 2012 წლის 16 ნოემბერს შეიქმნა

[1139] http://ombudsman.ge/ge/about-us/struqtura/sammartveloebi/regionuli-sammartvelo/siaxleebi-region/saxalxo-damcveli-batumshi-ew-muyaos-dasaxlebis-macxovreblebs-shexvda.page [ბოლოს ნანახია 24.01.2015]

[1140] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის N04-9/12328; N04-9/7898; N04-9/12329; N04-9/14929; N04-9/7895; N04-9/14927; N04-9/47 და N04-9/726 წერილები.

[1141] ბათუმის მერიის N25/20996 და N25/12086; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს N04/02-09/14770 და N04/02-09/17046; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის N05-113/26 და N01-19/1571;

სახელმწიფო (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მოქალაქეთა მიერ თვითნებურად დაკავების ფაქტების შემსწავლელი სამთავრობო კომისია. ასევე შეიქმნა 5 ადგილობრივი კომისია[1143], რომლებიც შეისწავლიდნენ საკუთარი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, ბათუმში ყოფილი 25-ე და 53-ე ბატალიონების ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

ამ ეტაპზე საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის მოწოდებული მასალებიდან ირკვევა, რომ ზემოაღნიშნულმა ადგილობრივმა კომისიებმა 2013 წელს შეისწავლეს ბათუმში, ყოფილი 25-ე და 53-ე ბატალიონების ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობა. 2014 წლის ოქტომბერში მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სამინისტროში არ არსებობდა ინფორმაცია აღნიშნული ოჯახების ზუსტი რაოდენობის შესახებ, ვინაიდან ტერიტორიაზე უწყვეტად მიმდინარეობდა თვითნებურად ჩასახლების პროცესები[1144]. თუმცა, ადგილობრივი კომისიებიდან მიღებული მონაცემებით დგინდება, რომ სამხედრო ბატალიონების ტერიტორიაზე შეჭრილი პირებიდან შუახევის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 224 ოჯახი, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში 223 ოჯახი, ბათუმის მუნიციპალიტეტში 237 ოჯახი, ქობულეთის მუნიციპალიტეტში 7 ოჯახი[1145]. რაც შეეხება, ქედას და ხულოს მუნიციპალიტეტებს, მათ არ წარმოუდგენიათ სტატისტიკური მონაცემები.

ადგილობრივმა კომისიებმა ასევე შეისწავლეს ბათუმში, ყოფილი 25-ე და 53-ე ბატალიონების ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახების უძრავი ქონების საკუთრებაში არსებობის საკითხიც. წარმოდგენილი მასალების თანახმად, მობინადრეების ნაწილს საკუთრებაში გააჩნიათ საცხოვრებელი ფართი, მიწის ნაკვეთი, ხოლო მცირე ნაწილს სახელმწიფოს მხრიდან ერთხელ უკვე გაეწიათ მატერიალური დახმარება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს N01-19/938 და N01-19/1081; შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის N01-15/52; ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის N01-12/558 და N01-12/15; ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის N01-17/25 და ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 06 მარტის N01-21/265 წერილი; წერილები.

[1142] ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2012 წლის 16 ნოემბრის N402 ბრძანება.

[1143] შუახევის მუნიციპალიტეტის, ქედას მუნიციპალიტეტის, ხულოს მუნიციპალიტეტის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის.

[1144] აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2014 წლის 30 ოქტომბრის №0109/1571 წერილი.

[1145] ბათუმის მერიის N25/20996 და N25/12086 წერილები; შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის N01-15/52 წერილი; ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის N01-12/558 და N01-12/15 წერილები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებით[1146] 2012 წლის 16 ნოემბერს შექმნილმა კომისიამ შეიმუშავა წინადადება ბათუმში, ყოფილი 25-ე და 53-ე ბატალიონების ტერიტორიაზე შესაბამისი მშენებლობის ნებართვის გარეშე აშენებული საცხოვრებელი სახლების დემონტაჟთან დაკავშირებით. 2013 წელს განხორციელდა უნებართვოდ აშენებული შენობების ნაწილის დემონტაჟი და გამოთავისუფლდა 3 378 $м^2$ ფართობის ტერიტორია, თუმცა, დემონტაჟის სამუშაოები მოსახლეობაში გამოწვეული წინააღმდეგობის გამო შეწყდა. მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2014 წლის განმავლობაში, ბათუმის მერიამ უნებართვოდ განხორციელებული მშენებლობის გამო დაჯარიმებისა და დემონტაჟის განხორციელებასთან დაკავშირებით 6 ბრძანება გასცა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ[1147] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს აცნობა, რომ ბათუმში, ყოფილი 25-ე და 53-ე ბატალიონის ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახებიდან მხოლოდ 3 ოჯახი იყო სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული (ეკომიგრანტი). ვინაიდან, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი მასალებიდან ირკვევა, რომ ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ოჯახებიც მიუთითებენ სტიქიის შედეგად საცხოვრებელი სახლის დაზიანებაზე ან მეწყერსაშიშ ზონაში საცხოვრებელი ფართის არსებობაზე, აღნიშნული ფაქტები შესაბამის რეაგირებას საჭიროებს როგორც ადგილობრივი, ასევე ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან.

ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მათ მიერ შესწავლილი მასალები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებით[1148], შემდგომი რეაგირებისთვის გადაეგზავნა 2012 წლის 16 ნოემბერს შექმნილ კომისიას. საანგარიშო პერიოდში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებით[1149] 2012 წლის 16 ნოემბერს შექმნილმა კომისიამ მუშაობა შეწყვიტა და ამავე წლის ბოლოს, 2014 წლის 5 დეკემბერს შეიქმნა სახელმწიფოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და მუნიციპალიტეტების საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მოქალაქეთა მიერ თვითნებურად დაკავების ფაქტების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისია.[1150]

[1146] აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2012 წლის 16 ნოემბრის N402 ბრძანება.

[1147] აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს N01-19/1081 წერილი.

[1148]აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2012 წლის 16 ნოემბრის N402 ბრძანება.

[1149]აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2012 წლის 16 ნოემბრის N402 ბრძანება.

[1150]აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2014 წლის 5 დეკემბრის N407 ბრძანება.

მიუხედავად იმისა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მიერ შეიქმნა ბათუმში, ყოფილი 25-ე და 53-ე ბატალიონების ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შემსწავლელი კომისიები, პრობლემის მასშტაბურობიდან გამომდინარე, გატარებული ღონისძიებები არ არის საკმარისი პრობლემის აღმოსაფხვრელად და შესაბამისი უწყებების მხრიდან დროული და ადეკვატური რეაგირებაა საჭირო. ამასთან, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შექმნილი კომისიის ეფექტიანად მუშაობას, იმისათვის, რათა თითოეული ოჯახის/პირის საკითხი სრულად და ყოველმხრივ იქნეს შესწავლილი და მხოლოდ მსგავსი სრულყოფილი შესწავლის შედეგად დაისახოს რეაგირების გეგმა. სხვა შემთხვევაში, პრობლემა მხოლოდ დროებით მოგვარდება და სახელმწიფოს მცირე პერიოდის შემდგომ კვლავ დასჭირდება იმავე პრობლემის გადასაჭრელად განმეორებით ზრუნვა, მათ შორის შესაძლოა დამატებითი ფინანსური ხარჯების გაღებით.

ფოთში მცხოვრები უსახლკარო პირები

საანგარიშო პერიოდში თავშესაფრის მოთხოვნით სახალხო დამცველის აპარატში ფოთიდან ათეულობით მოქალაქის განცხადება შემოვიდა. განცხადებების შესწავლით გამოიკვეთა, რომ ფოთში ერთ-ერთ გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენდა უსახლკარო პირების სათანადო საცხოვრისით უზრუნველყოფა, ამასთან ფოთის მერიამ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს გადასცა 632 (ექვსას ოცდათორმეტი) პირის სია, რომლებიც მერიას თხოვდნენ თავშესაფარს/საცხოვრებელს. აღნიშნული სიის შესწავლით განხორციელდა რამდენიმე ჯგუფის კლასიფიკაცია, მათ შორის:

1. ოჯახები, რომლებსაც არ გააჩნდათ საცხოვრებელი ფართი და შეჭრილები იყვნენ კერძო საკუთრებაში, რომელშიც ადრე იძულებით გადაადგილებული პირები იყვნენ შესახლებული;
2. ოჯახები, რომლებსაც გააჩნდათ საცხოვრებელი ფართი, თუმცა აღნიშნული იმდენად გაუმართავი იყო, რომ იქ ცხოვრება ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო;
3. ოჯახები, რომლებიც ცხოვრობდნენ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ფართებში, თუმცა მათი იქ ყოფნა საფრთხეს უქმნიდა მათ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას;
4. ოჯახები, რომლებიც შესახლებული იყვნენ კერძო ფართებში და მესაკუთრის მოთხოვნისთანავე უწევდათ აღნიშნული ფართების დატოვება.

არსებული მდგომარეობის საილუსტრაციოდ უნდა გამოიყოს რამდენიმე განცხადება:

1. მოქალაქე ე.გ.-მ საქართველოს სახალხო დამცველისთვის გამოგზავნილ განცხადებაში აღწერა ის გაუსაძლისი პირობები, რომელშიც მას შვიდსულიან ოჯახთან ერთად უწევდა ცხოვრება: ნახევრად გადახურულ, ორ შეულესავ ოთხში, სადაც ორი საწოლი და ერთი ტახტი იყო განთავსებული, მცირეწლოვან ბავშვებთან ერთად მოზრდილი ადამიანები მორიგეობით იძინებდნენ. ე.გ.-ს მიერ ოჯახის შემოსავლის ერთადერთ წყაროდ დასახელდა ფულადი სოციალური დახმარება, რაც ოჯახის წევრების რაოდენობის მიხედვით 348

(სამასორმოცდარვა) ლარს შეადგენდა. ოჯახი საკვებს მხოლოდ დღეში ერთხელ ღებულობდა, რაც მათი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე უკვე აისახა; ოჯახის წევრი სკოლის მოსწავლე აუცილებელი ნივთების უქონლობის გამო სკოლაში სიარულს ვერ ახერხებდა.

2. მოქალაქეების, თ.მ-სა და ლ.გ-ს განცხადებებში აღწერილი იყო მძიმე სოციალური პირობები, კერძოდ: ორივე ოჯახი ზღვის ნაპირზე მდგარ, ავარიულ შენობაში ცხოვრობდა. სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლების მიერ აღნიშნული შენობის ადგილზე შესწავლით დადგინდა, რომ ის სრულად იყო ამორტიზირებული და საფრთხეს უქმნიდა იქ მცხოვრები პირების სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. ქარის დროს განმცხადებლების ოჯახები მეზობელს აფარებდნენ თავს.

საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო ვალდებულებების საფუძველზე, საქართველოს სახალხო დამცველმა 2014 წლის 17 ნოემბერს რეკომენდაციით მიმართა ფოთის მერს, ი. კაკულიას, ფოთში უსახლკარო პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფის მხრივ შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, უზრუნველეყო შესაბამისი სამუშაო გეგმის შემუშავება და „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით ადგილობრივი თვითმმართველობისთვის დაკისრებული ვალდებულებების შესრულება. კერძოდ, ბიუჯეტის ფორმირებისას გაეთვალისწინებინა შესაბამისი ხარჯები საბინაო ფონდის შესაქმნელად ან/და სხვა ალტერნატიული პროექტის განსახორციელებლად, რომელიც შესაძლებელს გახდიდა უსახლკარო პირთა სათანადო საცხოვრისის უფლების რეალიზაციას. რეკომენდაციაზე საქათველოს სახალხო დამცველის აპარატს ფოთის მერიიდან პასუხი არ მიუღია.

სტატისტიკური მონაცემები ადასტურებს, რომ დედაქალაქში, ბათუმსა და ფოთში უსახლკარობასთან დაკავშირებული პრობლემა მასშტაბურ ხასიათს ატარებს. ასეთ დროს სახელმწიფოს მხრიდან აქცენტი უნდა გაკეთდეს პრობლემის არა დროებით ან წერტილოვან, არამედ სისტემურ მოგვარებაზე. გამომდინარე აქედან, სხვადასხვა ობიექტში შეჭრილი უსახლკარო პირების მიმართ, სათანადო საცხოვრებლის უფლების ფარგლებში დაკისრებული ვალდებულებების შესრულების ერთადერთ და ძირითად საშუალებად დაუშვებელია ბინის ქირის შეთავაზების მექანიზმის გამოყენება. აღნიშნული მიზნობრივი დახმარება უნდა განიხილებოდეს, როგორც დამხმარე ღონისძიება, ინფრასტრუქტურული რესურსის მოძიებამდე უსახლკარო ოჯახების სხვისი საკუთრებიდან გასაყვანად. ასეთ შემთხვევებში, პრინციპულად მნიშვნელოვანია ხელისუფლების მხრიდან გადაიდგას ნაბიჯები საკუთრების ინსტიტუტის ეფექტიანი დაცვის და ობიექტში შეჭრილი უსახლკარო ოჯახების საცხოვრებელთან დაკავშირებული პრობლემის სისტემური აღმოფხვრის მიმართულებით.

მიუსაფარი პირებისთვის მოწყობილი დროებითი თავშესაფრები/კარვები

საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის საპარლამენტო ანგარიშის სათანადო საცხოვრებლის უფლების თავში მიმოხილულია 2013 წელს ზამთრის პერიოდში მიუსაფარი პირებისთვის დედაქალაქში, გორში, ბათუმსა და ქუთაისში შექმნილი დროებითი თავშესაფრების/კარვების მოწყობის საკითხი. ამ მიზნით მთავრობამ ჩამოაყალიბა უწყებათაშორისი დროებითი კომისია, რომელსაც დაევალა მიუსაფარ პირთა პრობლემებზე მუშაობა[1151]. საქართველოს სახალხო დამცველმა დადებითად შეაფასა საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი ჯგუფის დასახმარებლად სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები, თუმცა იქვე ყურადღება გაამახვილა, რომ მნიშვნელოვანი იყო მიუსაფარი პირების უსახლკარობასთან დაკავშირებული პრობლემის გრძელვადიან პერსპექტივაში გადაწყვეტა.

2014 წელს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებიდან გამოთხოვილ იქნა ბენეფიციართა სტატისტიკა და დეტალური ინფორმაცია თავშესაფრის ფუნქციონირების შესახებ. სამწუხაროდ, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარდა, საქართველოს სახალხო დამცველს არ მიეწოდა წინამდებარე საკითხზე გამოთხოვილი ინფორმაცია. დედაქალაქის ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებული მონაცემების თანახმად, თბილისში, მოსკოვის გამზირზე განთავსებული კარვები გათვლილია 240 ადამიანზე და ბოლო მდგომარეობით იგი დაკავებული აქვს 180 ადამიანს[1152].

2014 წლის იანვრის მსგავსად, 2015 წლის იანვარში საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა თბილისში მოწყობილი კარვების მონიტორინგი განახორციელეს. მოპოვებული მონაცემებით დგინდება, რომ კარვის ძირითადი ბენეფიციარები არიან მიუსაფარი ადამიანები, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზის გამო, გაწყვეტილი აქვთ კავშირი ოჯახთან, ნათესავებთან და ქუჩაში უწევთ ცხოვრება. კარავში მცხოვრები პირების უსახლკარობის მიზეზებს შორის იკვეთება განსხვავებული ფაქტორები. მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის, ხანდაზმულობის და ალკოჰოლზე დამოკიდებულების გამო ოჯახიდან გარიყულობა. კარვის ბენეფიციარების ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს სოციალურად დაუცველი ოჯახების პროგრამაში ჩართვის და პროგრამით გათვალისწინებული სოციალური ბენეფიტებით სარგებლობის საკითხი. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ კარავში მცხოვრები პირები უფრო დიდ გარიყულობას განიცდიან, ვიდრე სახელმწიფო ობიექტებში თვითნებურად მცხოვრები ოჯახები. აქ უმთავრესად იგულისხმება შიდა მეურნეობის ორგანიზების და ოჯახური ცხოვრების წესის შენარჩუნების შესაძლებლობა, რისი საშუალებაც კარვის ბენეფიციარებს არ აქვთ. ამდენად, კარავში

[1151] „2013-2014 წლების ზამთრის პერიოდში მიუსაფარი პირების დახმარების მიზნით გასატარებელ გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის #1946 განკარგულება.
[1152] თბილისის მუნიციპალიტეტის მერია 21.10.2014 წ. #2568135 წერილი.

მცხოვრები პირებისთვის სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული სერვისი არ უწყობს ხელს მათ რესოციალიზაციას.

კარვის ბენეფიციართა პირობების გასაუმჯობესებლად და გრძელვადიან პერსპექტივაში მიუსაფარ პირთა პრობლემების გადასაჭრელად, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან 2014 წელს გადაიდგა პოზიტიური ნაბიჯები. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, 2014 წელს საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა თავშესაფრის ფუნქციონირებისათვის საჭირო სტანდარტები. გარდა ამისა, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში მიუსაფარი პირების დახმარების მიზნით გასატარებელი გადაუდებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 24 ოქტომბრის #1918 განკარგულების საფუძველზე გაუქმდა უწყებათაშორისი დროებითი კომისია და თბილისის მუნიციპალიტეტს დაევალა მიუსაფარ პირთა პრობლემებზე მომუშავე დროებითი კომისიის შექმნა. ამ უკანასკნელმა მიუსაფარ პირთა სოციალური სერვისის გასაუმჯობესებლად 2015 წლისთვის დაგეგმა თავშესაფრის მშენებლობა, რომელიც ექსპლოატაციაში მიღების შემდეგ, ჩაანაცვლებს კარვის ბენეფიციარებისთვის დადგენილ მომსახურებას და თბილისში მცხოვრებ მიუსაფარ პირებს გაუწევს დახმარებას.

საქართველოს სახალხო დამცველი იმედს გამოთქვამს, რომ მიუსაფარი პირებისთვის სხვა რეგიონებში მოწყობილი კარვები დედაქალაქის მსგავსად, სამომავლოდ ჩანაცვლდება სტაციონარული ტიპის დაწესებულებით, რომელიც ბენეფიციარებს მათ საჭიროებებზე მორგებულ დახმარებას შესთავაზებს. ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს, რომ კარავი გრძელვადიან პერსპექტივაში არ შეიძლება მოიაზრებოდეს მიუსაფარი პირების განთავსების ადგილად. ამასთანავე, მნიშვნელოვანია გარდამავალ პერიოდში, შენარჩუნდეს მიუსაფარი პირებისთვის არსებულ სოციალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა, რომელიც პირს უსახლკარობისგან დაცვის გარკვეულ ხარისხს სთავაზობს.

რეკომენდაციები:

საქართველოს მთავრობა

- ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიაში (2014-2020 წლებისთვის) სათანადო საცხოვრებლის უფლებიდან გამომდინარე ამოცანების შესასრულებლად, შემუშავდეს სამოქმედო გეგმა და საბინაო სტრატეგია, სადაც გაიწერება კონკრეტული ღონისძიებები, პასუხისმგებელი ორგანოები და ვადები, რომლებიც უზრუნველყოფს დასახული მიზნების განხორციელებას

- განხორციელდეს ცვლილება სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესში, რის საფუძველზეც

უზრუნველყოფილი იქნება უსახლკარობის ყველაზე მძიმე კატეგორიის ბენეფიციარების - ჭერის არმქონე პირთა პროგრამაში ჩართულობა

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, აგრეთვე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასა და ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს

- სახელმწიფო და მუნიციპალურ ობიექტებში შეჭრილი, სოციალურად დაუცველი, უსახლკარო ოჯახების საცხოვრებელთან დაკავშირებული პრობლემების ინდივიდუალური შესწავლა და პრობლემის ზუსტი მასშტაბის გამოვლენის შედეგად, მის გადასაჭრელად აუცილებელი გეგმის/სტრატეგიის ფორმირება, რომელიც ოჯახების უსახლკაროდ დარჩენის საფრთხეს მინიმუმამდე დაიყვანს

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს

- იმ ობიექტებზე, სადაც უკიდურესად მძიმე საცხოვრებელი პირობებია და არ არსებობს საბაზისო ინფრასტრუქტურა, მათ შორის, ხელმისაწვდომობა ელექტროენერგიაზე, სასმელ წყალზე, კანალიზაციის სისტემაზე, მაქსიმალურად მოკლე ვადაში გაუმჯობესდეს მდგომარეობა, რათა ის შესაბამისობაში მოვიდეს სათანადო საცხოვრებლის უფლების მინიმალურ/ძირითად სტანდარტებთან

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს

- ქვეყნაში უსახლკარობის მასშტაბის გამოსავლენად, სათანადო საცხოვრებლის უფლების რეალიზაციის მონიტორინგის ჩატარება და უსახლკარო პირების ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნა. მიღებული მონაცემების გამოყენება უსახლკარობის დასაძლევად საჭირო სამოქმედო გეგმაზე მუშაობის პროცესში

ადგილობრივ თვითმმართველობებს

- უსახლკარობის მონიტორინგის მიზნით, მონაცემთა ბაზების წარმოება და აღნიშნული ინფორმაციის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

- „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, დედაქალაქის და ქუთაისის გარდა, იმ რეგიონებში, სადაც პრობლემას წარმოადგენს უსახლკარო პირების საცხოვრებლით დაკმაყოფილება,

ადგილობრივმა ხელისუფლებამ მიმართოს ძალისხმევა ინფრასტრუქტურული რესურსის შესაქმნელად, რომელიც შესაძლებელს გახდის მიუსაფარი პირების უსახლკარობისგან დაცვას

- „სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში“ პროექტის და ქუთაისის და თბილისის თავშესაფრების ექსპლოატაციაში შესვლის შემდეგ, დაიწყოს მუშაობა ბენეფიციარების სოციალურ-ეკონომიკური რეაბილიტაციის პროგრამებზე, რომლებიც ხელს შეუწყობს მიუსაფარ პირთა რესოციალიზაციას

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასა და ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს

- კოორდინირებულად და სრულყოფილად შეისწავლონ ბათუმში, ყოფილი 25-ე და 53–ე ბატალიონების ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახების უსახლკარობის ფაქტი და გაატარონ ადეკვატური ღონისძიებები მათთვის სათანადო და გრძელვადიანი დახმარების გაწევის მიზნით.

სოციალური უზრუნველყოფის უფლება

სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამა

სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგია

მოცემულ ქვეთავში განხილული იქნება საქართველოს სახალხო დამცველის საანგარიშო პერიოდში, ბენეფიციართა სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების სისტემასა და მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით განხორციელებული ცვლილებები. საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის საპარლამენტო ანგარიშში განხილულია სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიაში არსებული პრობლემის სისტემურობა[1153]. კერძოდ, საუბარია იმ ბენეფიციართა პრობლემებზე, რომლებიც იმყოფებოდნენ მძიმე სოციალურ–ეკონომიკურ პირობებში და მათი შემოსავლის ერთადერთ წყაროს ასაკის საფუძვლით დანიშნული სახელმწიფო პენსია წარმოადგენდა. მსგავს მდგომარეობაში მყოფ ოჯახებს საარსებო შემწეობის დანიშვნისა და სამედიცინო დაზღვევის მინიჭებისათვის დადგენილ ზღვრულ ქულაზე მაღალი სარეიტინგო ქულა ენიჭებოდათ. საქართველოს სახალხო დამცველი ეჭვს გამოთქვამდა, რომ მოცემული პრობლემა შესაძლოა დაკავშირებული ყოფილიყო სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიაში არსებულ ხარვეზებთან.

საქართველოს მთავრობამ 2014 წლის 31 დეკემბრის #758–ე დადგენილებით, საქართველოს მოქალაქეების სოციალური დაცვის უზრუნველსაყოფად, შეიმუშავა სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ახალი მეთოდოლოგია[1154]. მოცემული დადგენილება ითვალისწინებს ახალი მეთოდოლოგიის ამოქმედებამდე გარდამავალ პერიოდს. კერძოდ, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული ოჯახების სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობა ახალი მეთოდოლოგიით შეფასდება 2015 წლის 1 აპრილიდან. ახალი სისტემის ამოქმედებამდე, ძალაში რჩება საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის N93 დადგენილებით

[1153] იხილეთ, „საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქარველოს სახალხო დამცველის 2013 წლის ანგარიში. თავი: „სოციალური უზრუნველყოფის უფლება“ გვ. 561-570;

[1154] „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება, 2014 წელი, 31 დეკემბერი, #758;

დამტკიცებული მეთოდოლოგია[1155]. შესაბამისად, ძალას ინარჩუნებს „ძველი მეთოდოლოგიით“ შესწავლილი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი პირობითი ერთეული – სარეიტინგო ქულა.

საქართველოს მთავრობის #758–ე დადგენილების მიხედვით, 2015 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 აპრილამდე პერიოდში, ახალი მეთოდოლოგიის გამოყენებით სოციალურად დაუცველი ოჯახები (შინამეურნეობები) ტესტირების რეჟიმში უნდა შეფასებულიყო . სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან მიღებული ინფორმაციით[1156], ახალი მეთოდოლოგიის გამოყენებით, ტესტირების რეჟიმში სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) შეფასება არ დაწყებულა. მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები – მათ შორის, ტესტირების რეჟიმში შესაფასებელი ოჯახების შერჩევა.

საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის საპარლამენტო ანგარიშის სოციალური უზრუნველყოფის უფლების თავში ფართოდ იქნა მიმოხილული სააგენტოს უფლებამოსილი პირის სუბიექტური შეფასებების ბლოკში ასახული მონაცემების პრობლემურობის საკითხი. კერძოდ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის #141/ნ ბრძანების მიხედვით, დეკლარაციის „F“ ბლოკში მოცემული გრაფები ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, ივსება სააგენტოს უფლებამოსილი პირის ვიზუალური დაკვირვების საფუძველზე. შესაბამისად, მოცემული შეფასება მთლიანად ეყრდნობა სოციალური აგენტის სუბიექტურ შეფასებებს და შესაძლებელია მოპოვებული ინფორმაცია არ ასახავდეს ობიექტურ რეალობას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის #758–ე დადგენილებით დამტკიცებული ახალი მეთოდოლოგიით, იცვლება სოციალური აგენტის სუბიექტურ შეფასებებზე დაყრდნობით ბენეფიციარის ქონებრივი მდგომარეობის შეფასების საკითხი. კერძოდ, ოჯახების სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ახალი მეთოდოლოგია არ ითვალისწინებს ოჯახის დეკლარაციაში სააგენტოს უფლებამოსილი პირის მხრიდან ოჯახის ვიზუალური დათვალიერების შედეგების დაფიქსირებას (გამონაკლისს წარმოადგენს დეკლარაციაში ოჯახის საცხოვრისის ძირითადი საცხოვრებელი ნაწილის იატაკის მასალის დაფიქსირება). ასევე, დეკლარაციაში აღარ იქნება დაფიქსირებული სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ ოჯახის სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის საკუთარი, სუბიექტური შეფასებაც[1157]. შესაბამისად, ოჯახის სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების დოკუმენტში ამ ცვლილების საფუძველზე, მინიმუმამდე დაიყვანება სოციალური

[1155] „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის N93 დადგენილება.

[1156] სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს წერილი #04/8208, 09.02.2015წ.

[1157] სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს წერილი #04/8208, 09.02.2015წ.

აგენტის სუბიექტური შეფასება და ბენეფიციარი ოჯახის საარსებო შემწეობის მიღება სოციალური აგენტის სუბიექტურ შეხედულებებზე ნაკლებად იქნება დამოკიდებული, თუმცა, მოცემული საკითხის ეფექტიანობა, მხოლოდ პრაქტიკაში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად იქნება ცნობილი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მიუხედავად მაძიებლის სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველ მეთოდოლოგიაში განხორციელებული ცვლილებებისა, კვლავ პრობლემად რჩება უსახლკარო/მიუსაფარი პირების მიერ სოციალური დახმარებებით სარგებლობის საკითხი. აღნიშნული პრობლემა საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშებში პერმანენტული განხილვის საგანია[1158]. კერძოდ, საქართველოს მთავრობის #758–ე დადგენილებით დამტკიცებული მეთოდოლოგია წინა მეთოდოლოგიის მსგავსად, არ იძლევა უსახლკარო პირების სოციალურ პროგრამაში ჩართვის შესაძლებლობას, შესაბამისად, განსაკუთრებული ზრუნვის საჭიროების მქონე (უსახლკარო) პირები, კვლავ რჩებიან მთელი რიგი სოციალური პაკეტებისა და დახმარებებით სარგებლობის მიღმა. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით უცვლელი რჩება.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ–გვერდიდან მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის რაოდენობა 2014 წელს, 2013 წელთან შედარებით უმნიშვნელოდ შემცირდა, შეიძლება ითქვას, რომ მდგომარეობა არ შეცვლილა.

[1158] იხ. „საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქარველოს სახალხო დამცველის 2012 და 2013 წლის ანგარიშები, თავი: „სოციალური უსზრუნველყოფის უფლება“ გვ. 561-570 და გვ. 584-597.



სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ობიექტებში შეჭრილი პირები

სოციალურად დაუცველი და უსახლკარო ოჯახების მიერ სახელმწიფო ობიექტების თვითნებურად დაკავების პროცესის პრევენციის მიზნით, „სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის #126 დადგენილებაში 2013 წლის 17 მაისს განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილება. კერძოდ, ნორმატიული აქტის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით: „განაცხადი მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციისათვის არ მიიღება, თუ მაძიებელი უკანონოდ იმყოფება სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ფართში და ამ ფართის კანონიერი მესაკუთრე არ ეთანხმება ამ ფაქტს, რაც სააგენტოსთვის ცნობილი გახდა კანონიერი მესაკუთრის მომართვის საფუძველზე“. ამდენად, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო სახელმწიფო უწყების მიმართვის შემდეგ, აღარ განიხილავს ობიექტში შეჭრილი პირების განცხადებებს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირების თაობაზე.

საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან გამოითხოვა ინფორმაცია თბილისის მასშტაბით იმ ობიექტების შესახებ, სადაც უსახლკარო და სოციალურად დაუცველ პირებს ეკრძალებათ მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება და აღნიშნული შეზღუდვის შედეგად რამდენმა ოჯახმა დატოვა სახელმწიფო საკუთრება. სამინისტროს მიერ მოწოდებული მონაცემებით დგინდება, რომ დედაქალაქში ამჟამად, აღრიცხვაზეა 49 ობიექტი, რომელზეც სსიპ

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ მოთხოვნილია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის შეზღუდვა. ამასთან გვეცნობა, რომ სამინისტროში არ არსებობს მონაცემები იმ ოჯახების შესახებ, რომელთაც ამ მექანიზმის ამოქმედების შემდგომ დატოვეს ობიექტები[1159]. აღნიშნულ ფაქტზე დაყრდნობით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ხელისუფლების მიერ არ ხდება მიღებული საკანონმდებლო რეგულაციის ეფექტიანობის მონიტორინგი და შედეგის გაზომვა.

საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლების მიერ სახელმწიფო ობიექტებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ შენობების მობინადრეთა უმრავლესობა უსახლკარო ოჯახების რიცხვს განეკუთვნება და ისინი უკიდურესად მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში ცხოვრობენ. შესაბამისად, სახელმწიფო ობიექტებში შეჭრილი ოჯახებისთვის სოციალური შეღავათების შეწყვეტა იწვევს მათ სოციალურად დაუცველ მდგომარეობაში ჩაყენებას და გარიყულობას. თვალსაჩინოა, რომ საკანონმდებლო ცვლილება არსებითად აუარესებს მოწყვლადი ჯგუფის მდგომარეობას და ეწინააღმდეგება სოციალური სახელმწიფოს პრინციპს, რომლის საფუძველზეც ხელისუფლებას ეკისრება ვალდებულება უზრუნველყოს პროგრესული სოციალური პოლიტიკის განხორციელება.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის განმარტებით, სახელმწიფო ვალდებულია გადადგას ნაბიჯები პაქტით აღიარებული უფლებების თანდათანობით სრული განხორციელებისთვის. ამასთან, ხელისუფლებას ეკისრება ამ მიზნისკენ სწრაფი და ეფექტიანი სვლის ვალდებულება[1160]. რეგრესული ღონისძიების ლეგიტიმაცია შესაძლოა ორი გარემოებით. ერთ შემთხვევაში, როდესაც სახეზე გვაქვს, მიზნობრივი სოციალური დახმარების საჭიროების გაქარწყლება, ხოლო მეორე მხრივ, მისი ალტერნატიული ან გაუმჯობესებული პროგრამით ჩანაცვლება. სოციალური უფლებების გამოყენების დროს რეგრესულობის აკრძალვის პრინციპთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა. სასამართლოს განცხადებით, დაუშვებელია ადრე მოქმედი შეღავათების, უპირატესობების, უფლებების, დახმარების გაუქმება ან გაუარესება, თუ არ იქნება მიღებული სხვა ტოლფასი გარანტიები: *„... მხოლოდ სტაბილური და სამართლიანი კანონმდებლობაა ადამიანის კონსტიტუციით აღიარებული უფლებების დაცვის სერიოზული გარანტი. ნორმატიულმა აქტმა მხოლოდ ასე შეიძლება შეინარჩუნოს სრულად მისთვის დამახასიათებელი ნიშან-*

[1159] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, 24.09.2014წ. წერილი #01/78245.

[1160] სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის #3 ზოგადი კომენტარი, 1991 წ. პარაგრაფი 9.

თვისებები. აღნიშნული მოთხოვნის უგულებელყოფით კი ირღვევა კანონთა სამართლიანობისა და შეუქცევადობის პრინციპი[1161]".

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მოქალაქეთა მხრიდან სახელმწიფო ობიექტების თვითნებურად დაკავების პრევენციის მიზნით იქ მყოფი პირებისთვის დაკანონებული რეპრესიული პოლიტიკა ცალსახად ლახავს უსახლკარო პირთა სოციალური უზრუნველყოფის უფლებას. შესაბამისად, პრინციპულად მნიშვნელოვანია შეიცვალოს განხილული საკანონმდებლო რეგულაცია და ხელისუფლებამ მიიღოს ალტერნატიული ზომები, რომლის დროსაც ყველა კანონიერი საშუალება იქნება გამოყენებული, როგორც სახელმწიფო, ისე უსახლკარო პირთა კანონიერი ინტერესების ეფექტიანი დაცვის უზრუნველსაყოფად.

რეკომენდაცია:

საქართველოს შრომის, ჯანმრთლობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- **შეიმუშაოს და საქართველოს მთავრობას წარუდგინოს ოჯახის სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიაში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების პროექტი, რომელიც საშუალებას მისცემს უსახლკარო ოჯახებსა და იმ ოჯახებს, რომლებიც თავს აფარებენ სხვათა საკუთრებაში არსებულ სახლებს, საჭიროების შემთხვევაში მიიღონ დახმარება.**

საქართველოს მთვარობას:

- **გაუქმდეს „ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის #126 დადგენილებაში 2013 წლის 17 მაისს #115 დადგენილებით შეტანილი ცვლილება.**

[1161] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 18 აპრილის 1/1/126,129,158 გადაწყვეტილება, პარაგრაფი 4.

დევნილთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში

ყველა დევნილს საქართველოში აქვს აფხაზეთსა
და სამხრეთ ოსეთში დაბრუნების უფლება[1162]

შესავალი

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი ყოველწლიურად შეისწავლის საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა უფლებრივ მდგომარეობას. 2014 წლის განმავლობაში სახალხო დამცველი ჩართული იყო თითქმის ყველა პროცესში, რომელსაც შესაძლოა გავლენა მოეხდინა დევნილთა უფლებრივ მდგომარეობაზე. სახალხო დამცველის აპარატში არსებული დევნილთა საკითხებზე მომუშავე პროექტის ფარგლებში განხორციელდა 600-ზე მეტი ვიზიტი დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტებში და სამართლებრივი კონსულტაცია გაეწია 800-ზე მეტ დევნილ პირს. გარდა რეგულარული მონიტორინგისა, საქართველოს სახალხო დამცველი ასევე შეისწავლიდა სახალხო დამცველის აპარატში შემოსულ დევნილთა განცხადებებს.

სახალხო დამცველი პირადად იმყოფებოდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში დევნილთა სხვადასხვა ჩასახლებებში. ის ეწვია ფოცხო-ეწერისა და წყალტუბოს დევნილთა დასახლებებს. ამასთან, სახალხო დამცველმა 2014 წლის 29 მაისს საკუთარი მოსაზრებები წარადგინა გაეროს ადამიანის უფლებათა სპეციალური მომხსენებლის ანგარიშისთვის საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების შესახებ. სახალხო დამცველის მოსაზრებებში საუბარი იყო იმ ძირითად დადებით და პრობლემატურ მიმართულებებზე, რომლებიც იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებრივ მდგომარეობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ.

საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლები აქტიურად იყვნენ ჩართული საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის მუშაობაში. სახალხო დამცველი ასევე არის „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ 2012-2014 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის სამეთვალყურეო საბჭოს“ წევრი. გარდა ამისა ჩვენი თანამშრომლები აკვირდებოდნენ თბილისში მიმდინარე დევნილთა გამოსახლებისა და განსახლების პროცესებს საქართველოში სხვადასხვა რეგიონებში. აღსანიშნავია, რომ გამოსახლებების პროცესი მეტწილად მშვიდ გარემოში წარიმართა და მას იძულებითი ხასიათი არ ჰქონია.

[1162] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, 2014 წლის 5 ივნისის, №68/274 რეზოლუცია.

დევნილთა უფლებრივი მდგომარეობის ზოგადი ანალიზის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საზოგადოების აღნიშნული ჯგუფის ძირითად პრობლემები წლების განმავლობაში უცვლელია. მიუხედავად იმისა, რომ ყოველ კონკრეტულ ოჯახს ინდივიდუალური და განსხვავებული პრობლემები შეიძლება ჰქონდეს, ჩვენი საქმიანობის პროცესში გამოიკვეთა ძირითადი მიმართულებები, რომლებზე მუშაობაც უნდა გაგრძელდეს, რათა იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემების დიდი ნაწილი გადაიჭრას. უპირველეს ყოვლისა, ეს არის დევნილთა გრძელვადიანი განსახლების საკითხი, რომელიც საქართველოში იძულებით გადაადგილების დაწყების დღიდან აწუხებს დევნილ მოსახლეობას. განსახლების საკითხს ებმის იმ დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტების მდგომარეობა, რომლებშიც დევნილებს უმძიმეს პირობებში უწევთ ცხოვრება. ასევე საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემის პროცესი, რომელიც თავისთავად მისასალმებელი ინიციატივაა, თუმცა 2009 წლიდან დღემდე შეფერხებებით და ნელი ტემპით მიმდინარეობს. გარდა აღნიშნული საკითხებისა, დევნილი მოსახლეობის დიდი ნაწილი სოციალური პრობლემების წინაშე დგას, რომელთა გადაუჭრელად მათი სრულფასოვანი ინტეგრაცია საზოგადოებაში ვერ მიიღწევა.

2014 წელს იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებით რამდენიმე მიმართულებით იყო სიახლეები. საანგარიშო წლის პირველ მარტს ძალაში შევიდა „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს ახალი კანონი. კანონის ძალაში შესვლის დღიდან გაიზარდა დევნილთა ყოველთვიური შემწეობა. ცვლილებები შევიდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის №320 ბრძანებაში, რომელიც აწესებს დევნილთა გრძელვადიანი განსახლების კრიტერიუმებს. 2014 წელს მომზადდა „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთათვის საარსებო წყაროების ხელმისაწვდომობის მხარდაჭერის სტრატეგია“ და „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის სამოქმედო გეგმა“. ზემოაღნიშნულ სიახლეებს და პრობლემატიკას ვრცლად მიმოვიხილავთ ანგარიშის შემდგომ ქვეთავებში.

სიახლეები იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკაში

როგორც უკვე აღინიშნა, 2014 წლის პირველ მარტს ძალაში შევიდა „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს ახალი კანონი. ახალი კანონის ძალაში შესვლით შეიცვალა მრავალი მიდგომა, რომელიც სახელმწიფოს დევნილთა მიმართ წლების განმავლობაში ჰქონდა. მათ შორის უმთავრესია იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის განმარტება, რომელიც აღარ არის შეზღუდული ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებით. აღსანიშნავია, რომ კანონის ძალაში შესვლამდე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა“ შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლის (დევნილის ცნება) პირველი პუნქტის სიტყვები - „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან“, საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით[1163]. დევნილის განმარტების მოქმედი კანონის ფორმულირებით, იძულებით გადაადგილებული პირის, დევნილის სტატუსის მიღება შეუძლია არა მხოლოდ ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირს, არამედ პირსაც, რომელიც იძულებით გადაადგილდა ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო.

გარდა აღნიშნული სიახლისა, ახალი კანონით გაუქმდა კომპაქტური და კერძო ჩასახლებების ცნებები, რაც წლების განმავლობაში იყო დევნილთა ორი კატეგორიის მიმართ უთანასწორო დამოკიდებულების გამომწვევი. კანონმდებლობით ასევე განისაზღვრა დევნილთა ინტეგრაციის და გამოსახლებისგან დაცვის ვალდებულები.

თუმცა აღნიშნულ კანონს ასევე ჰქონდა ხარვეზები, რომლებიც სახალხო დამცველს 2013 წლის ანგარიშში აქვს განხილული.[1164] 2014 წელს აღნიშნული კანონის გადახედვის მიზნით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის ბრძანებით შეიქმნა კომისია, რომელსაც ევალებოდა კანონის სრულყოფა, საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების, საჭიროებებზე მორგებული დახმარებების სისტემაზე გადასვლისა და დევნილთა საკითხებში თვითმმართველობების როლის გაზრდის გზით. სამწუხაროა, რომ 2014 წელს სამინისტროს აღნიშნული კომისიის სხდომა არ მოუწვევია. აუცილებელია კომისიამ დროულად დაიწყოს მუშაობა ზემოაღნიშნულ საკითხებზე, რათა კანონში შევიდეს ცვლილებები, რომლებიც მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან დევნილთა ყველაზე მოწყვლად კატეგორიაზე დახმარების გაწევისათვის.

დევნილთა პრობლემების გრძელვადიანი გადაჭრის მიზნით, აუცილებელია საჭიროებებზე მორგებული მიდგომა. ეს უნდა მოხერხდეს იმ მწირი რესურსების გათვალისწინებით, რომელიც დღეს სახელმწიფოს გააჩნია დევნილთა შორის ყველაზე მოწყვლადი პირებისთვის პრიორიტეტულად დახმარების გასაწევად. სტატუსზე მორგებული მიდგომა, რომელიც დღეს სახელმწიფოს გააჩნია, ვერ უზრუნველყოფს ყველაზე მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფი დევნილების პირობების გაუმჯობესებას. საჭიროებებზე მორგებულ მიდგომაზე გადასვლის პროცესი საკმაოდ ხანგრძლივი და რისკების შემცველი იქნება, ამიტომ აუცილებელია სახელმწიფომ დროულად დაიწყოს ამ საკითხზე მუშაობა და უზრუნველყოს ამ პროცესში, როგორც არასამთავრობო სექტორის, ასევე დევნილთა ჩართულობა.

[1163] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე - „მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
[1164] კანონი ძალაში 2014 წლის პირველ მარტს შევიდა, თუმცა პარლამენტმა 2013 წელს მიიღო.

2014 წელს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ შეიმუშავა 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის საწყის ეტაპზე, არასამთავრობო ორგანიზაციები ჩართულები არ ყოფილან. არასამთავრობო ორგანიზაციები და სახალხო დამცველი გეგმის შემუშავებაში მხოლოდ 2014 წლის ბოლოს ჩაერთნენ. ჩვენს მიერ მიწოდებული კომენტარების ნაწილი სამინისტრომ გაითვალისწინა. აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმის თანახმად, სამინისტრო უზრუნველყოფს სახალხო დამცველის წარმომადგენელთა სრულ წვდომას დევნილთა განსახლების პროცესის განმავლობაში, რაც მოიცავს ინფორმაციის გაცვლას, ერთობლივი მონიტორინგის მისიებს და სხვა ღონისძიებებს.

სამოქმედო გეგმა 3 ძირითად ნაწილად არის დაყოფილი: ა) დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, ალტერნატიული გრძელვადიანი განსახლების პროგრამებით უზრუნველყოფის გზით; ბ) დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება; გ) დევნილთა ინფორმირებულობის გაზრდა. თითოეული ამოცანის მისაღწევად სამოქმედო გეგმაში სხვადასხვა ღონისძიებებია გაწერილი, რომელთა ნაწილი სიახლეა დევნილთა სფეროში და აქამდე არ განხორციელებულა.

მაგალითად სიახლეს წარმოადგენს გრძელვადიანი განსახლების მიზნით, სახელმწიფოს მიერ ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემა იმ დევნილ ოჯახებზე, რომლებმაც 2015 წლის პირველ იანვრამდე იპოთეკური სესხით შეიძინეს საცხოვრებელი სახლი/ბინები და აღნიშნული საცხოვრებელი სახლი/ბინები არის მათი ერთადერთი ფაქტიური საცხოვრებელი.[1165]

სამოქმედო გეგმა კვლავ არ ითვალისწინებს ე.წ. „კომპენსირებული“ იძულებით გადაადგილებული პირების პრობლემებს. აღნიშნულზე, საქართველოს სახალხო დამცველი 2013 წლის დევნილთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ანგარიშში საუბრობდა.[1166] სამინისტროს განმარტებით, დევნილი ოჯახი საცხოვრებელი ფართით ან ფულადი კომპენსაციით დაკმაყოფილდება მხოლოდ ერთჯერადად და არ აქვს უფლება მოითხოვოს სახელმწიფოსგან, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისგან ან სხვა პირისგან რაიმე სახის კომპენსაცია, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მიუხედავად ასეთი პოზიციისა, 2014 წლის 30 ოქტომბერს საქართველოს მთავრობის №1940 განკარგულებით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით

[1165] საქართველოს მთავრობის, 2015 წლის 4 თებერვლის განკარგულება №127, „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ 2015-2016 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“, პუნ. 2.1.7.

[1166] „დევნილთა და კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში“, საქართველოს სახალხო დამცველი, 2013 წელი, გვ. 34.

გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოეყო თანხა, 2011 წლის აგვისტოში თბილისში, ვაჟა ფშაველას გამზირზე, №25-ში მდებარე სასტუმრო „აფხაზეთის“ შენობიდან გამოსახლებული დევნილი ოჯახებისთვის საკომპენსაციო თანხის გადასაცემად. აღსანიშნავია, რომ სასტუმრო „აფხაზეთიდან“ გამოსახლებულ დევნილებს ერთხელ უკვე ჰქონდათ მიღებული ფულადი კომპენსაცია. ზემოაღნიშნული განკარგულებით მოხდა მათი ხელმეორედ კომპენსირება. შესაბამისად, გაუგებარია თუ რატომ არ უნდა გავრცელდეს იგივე პრაქტიკა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრებ დევნილებზე, რომლებიც იძულებით გამოასახლეს 2006 წელს ყოფილი „კოლექტიური ცენტრებიდან“ და მცირე ფულადი კომპენსაცია მიიღეს. სახელმწიფოს ასეთი მიდგომა უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს დევნილთა სხვადასხვა ჯგუფებს.

2014 წელს ცვლილებები შევიდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებაში. აღნიშნული ცვლილებებით სულადობის მიხედვით დაწესდა შეზღუდვები იმ თანხის მაქსიმალურ ოდენობაზე, რომელიც გამოიყოფოდა დევნილთა კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის შესყიდვისთვის. ცვლილებების მიხედვით ნასყიდობის ოდენობის მაქსიმალური ღირებულება შემდეგნაირად განისაზღვრა:

ა) არაუმეტეს 17 000 ლარისა - ოჯახზე, რომელიც შედგება 1-2 წევრისაგან;
ბ) არაუმეტეს 21 000 ლარისა - ოჯახზე, რომელიც შედგება 3-4 წევრისგან;
გ) არაუმეტეს 26 000 ლარისა - ოჯახზე, რომელიც შედგება 5-7 წევრისაგან;
დ) არაუმეტეს 31 000 ლარისა- ოჯახზე, რომელიც შედგება 8 და მეტი წევრისგან.[1167]

ჩვენი აზრით, მსგავსი მიდგომა უფრო სამართლიანია და დევნილი ოჯახების საჭიროებებზე მეტად მორგებული, ვიდრე ცვლილებებამდე არსებული პრაქტიკა, როდესაც დევნილი ოჯახისთვის, მიუხედავად ოჯახის წევრების რაოდენობისა, არაუმეტეს 20 000 ლარისა გამოიყოფოდა. გარდა აღნიშნული ცვლილებებისა, №320 ბრძანებაში ასევე განხორციელდა სხვა ცვლილებები, რომლებსაც დევნილთა გრძელვადიანი განსახლების ნაწილში განვიხილავთ.
მიუხედავად იმისა, რომ №320 ბრძანება რამდენჯერმე შეიცვალა, ის კვლავ საჭიროებს დახვეწას და აუცილებელია ამ პროცესის გაგრძელება. მაგალითად, ბრძანების მე-9 მუხლი სამოქმედო გეგმის ბოლო ეტაპზე განიხილავს იმ დევნილი ოჯახების დახმარების შესაძლებლობებს, რომელთა ოჯახის წევრ(ებ)ი არიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომელთაც კანონმდებლობით დადგენილი წესით მინიჭებული აქვთ საქართველოს

[1167] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2014 წლის 12 დეკემბრის ბრძანება №28886, მუხ. 1, პუნ. 2.

მოქალაქეობა. ასეთი ჩანაწერი ასევე გვხვდება სამოქმედო გეგმაშიც.[1168] გაუგებარია რას ემსახურება მოქალაქეობის ნიშნით შეზღუდვა. ასეთ ოჯახებს აღარ ეძლევათ საშუალება მონაწილეობა მიიღონ გრძელვადიანი განსახლების პროცესში.

რაც შეეხება სხვა ახალ მიმართულებებს, აღსანიშნავია „დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს“ შექმნა. სააგენტო 2013 წლის 31 მაისს შეიქმნა[1169], თუმცა მუშაობა 2014 წლის ოქტომბერში დაიწყო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2014 წელს არასამთავრობო სექტორის სამინისტროსთან აქტიური თანამშრომლობით შემუშავდა „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთათვის საარსებო წყაროების ხელმისაწვდომობის მხარდაჭერის სტრატეგია“, რომელიც განსაზღვრავს დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის პრიორიტეტებს და მათი განხორციელების გზებს. აღნიშნული სტრატეგიისა და სააგენტოს შექმნის ძირითადი მიზანი გრძელვადიან ჭრილში დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაა. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის 2014 წლის 19 აგვისტოს მეოთხე პერიოდული ანგარიშის დასკვნითი ნაწილის მიხედვით, სახელმწიფომ გარდა განსახლებისა, მუშაობა უნდა გააძლიეროს დევნილთა ახალი განსახლების ადგილებში მათთვის საარსებო წყაროების შექმნის კუთხითაც.[1170] სააგენტო დააფინანსებს დევნილების მიერ წარდგენილ სხვადასხვა სახის პროექტებს. საქართველოს სახალხო დამცველი 2015 წლის განმავლობაში დააკვირდება სააგენტოს მუშაობას და დაკვირვების შედეგებს მომავალი წლის ანგარიშში წარმოადგენს.

დევნილთა გრძელვადიანი განსახლების პროცესი

იძულებით გადაადგილებულ ყველა პირს აქვს თავშესაფრის უფლება.[1171] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 2005 წლის 28 ივნისს მიღებული დოკუმენტის, ე.წ. „პინეიროს პრინციპების“ თანახმად:

> „ყველა ლტოლვილს და იძულებით გადაადგილებულ პირს აქვს უფლება დაუბრუნდეს სახლი, მიწა ან/და საკუთრება, რომელიც მათ სავალდებულო წესით ან უკანონოდ ჩამოერთვათ, ან

[1168] საქართველოს მთავრობის, 2015 წლის 4 თებერვლის განკარგულება №127, „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ 2015-2016 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“, პუნ. 2.1.11.
[1169] საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 31 მაისის №367 ბრძანებულება.
[1170] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე:
< http://daccess-dds-№y.uN№.org/doc/UN№DOC/GEN№/G14/141/85/PDF/G1414185.pdf?OpeN№ElemeN№t > [ბოლოს ნანახია 2015 წლის 10 იანვარს]
[1171] გაეროს 1998 წლის სახელმძღვანელო პრინციპები იძულებით გადაადგილებაზე, მუხ. 18.

მიიღოს იმ სახლის, მიწის ან/და საკუთრების სანაცვლო კომპენსაცია, რომელთა მისთვის დაბრუნდება შეუძლებელია...“[1172]

იძულებით გადაადგილებული პირების განსახლების ვალდებულება უპირველესად აქვს სახელმწიფოს.[1173] ზემოაღნიშნულ პრინციპებს არ გააჩნია კონვენციური ხასიათი და სახელმწიფოებისთვის სამართლებრივ ვალდებულებას არ წარმოადგენს. თუმცა, აღნიშნული პრინციპები დაფუძნებულია საერთაშორისო, რეგიონული და ეროვნული სამართლის წყაროებზე. პრინციპები შექმნილია გაეროს ექსპერტების მიერ და უნდა გაითვალისწინონ გაეროს წევრმა ორგანიზაციებმა. [1174]

ზემოაღნიშნულ საერთაშორისო პრინციპებს ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობაც. ყველა დევნილს აქვს უფლება ისარგებლოს სათანადო საცხოვრებლით საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში, ხოლო სახელმწიფოს აქვს ვალდებულება ყოველი დევნილი უზრუნველყოს ასეთი საცხოვრებელით.[1175] მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა დევნილთა სათანადო საცხოვრებლის უზრუნველყოფის მხრივ მეტწილად გამართულია, დღემდე დევნილთა უდიდეს ნაწილს სახელმწიფოსგან საცხოვრებელი ფართი არ მიუღია.

2014 წლის პირველ ივნისს დასრულდა დევნილთა ხელახალი რეგისტრაცია, რომელიც 2013 წლის 27 დეკემბერს დაიწყო. დღეს საქართველოში რეგისტრირებულია 262 186 დევნილი.[1176]

[1172] გაეროს პრინციპები საცხოვრებლისა და საკუთრების რესტიტუციაზე ლტოლვილი და დევნილი პირებისთვის, მუხ. 1.1.

[1173] „საცხოვრებლისა და საკუთრების რესტიტუცია ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთათვის - პინეიროს პრინციპების იმპლემენტაცია“, 2007 წ.

[1174] იქვე.

[1175] „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ საქართველოს კანონი“ მუხლები 12 და 14.

[1176] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2014 წლის 2 დეკემბრის №05/01-14/33815 წერილი.



დევნილთა საერთო რაოდენობიდან ე.წ. „კერძო სექტორში“ 140 584 დევნილი ცხოვრობს, ხოლო ყოფილი კომპაქტური განსახლების ობიექტებში 121 602 დევნილია რეგისტრირებული.

დევნილთა უმთავრეს პრობლემად დღემდე გრძელვადიანი განსახლება რჩება. 90 000-ზე მეტი ოჯახიდან, 2014 წლის ბოლოსთვის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფილია 33 349 დევნილი ოჯახი, ხოლო 60 000-ზე მეტი ოჯახი კვლავ საჭიროებს თავშესაფრით უზრუნველყოფას.[1177]

დღეს დევნილთა გრძელვადიანი განსახლების 3 ძირითადი პროგრამა არსებობს:

- რეაბილიტირებულ და ახალაშენებულ შენობებში დევნილთა განსახლება;
- დევნილი ოჯახებისთვის ინდივიდუალური სახლებისა და ბინების შეძენა;
- კერძო საკუთრებაში არსებული დევნილთა ჩასახლებების ობიექტების გამოსყიდვა და დევნილებისთვის გადაცემა.

დევნილთა გრძელვადიანი განსახლება ახალაშენებულ და რეაბილიტირებულ შენობებში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით რეგულირდება. აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესით“ დაწესებულია კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზე დევნილ ოჯახს განაცხადის შევსების შემდეგ კომისია ანიჭებს ქულებს. ქულების რაოდენობის მიხედვით განისაზღვრება, თუ რომელი დევნილი ოჯახები მიიღებენ

[1177] იქვე.

საცხოვრებელ ფართს პრიორიტეტულად. კომისიის კომპეტენციაში შედის, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ 2012-2014 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 13 ივნისის №1162 განკარგულებისა და წესის შესაბამისად, დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროცესის ორგანიზება და დევნილთა საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადების განხილვა, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, როგორც დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტებში, ისე სახელმწიფოს მიერ შესყიდულ, რეაბილიტირებულ ან/და აშენებულ შენობებში დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა.

სამინისტრომ, №320 ბრძანების ფარგლებში, შევსებული აპლიკაციებისა და მინიჭებული ქულების გათვალისწინებით, დევნილ ოჯახებს საქართველოს მასშტაბით რამდენიმე ობიექტში გადასცა საცხოვრებელი ფართები. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა და მასთან არსებულმა პროექტმა, მონიტორინგი ჩაატარა კრიტერიუმების შესაბამისად განაწილებულ ობიექტებზე. მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ საცხოვრებელი ფართები დევნილი ოჯახების წევრთა რიცხოვნების გათვალისწინებით დადგენილ საცხოვრებელი ფართის საორიენტაციო სტანდარტებს შეესაბამება. ეს ობიექტებია: **თემქის მე-3 მ/რ-ში მდებარე ყოფილი №142 სკოლის შენობა; ჯიქიას ქ. №5-ში მდებარე ყოფილი საწარმოს შენობა, რუსთავში დავით გარეჯის ქ.№4ა-ში მდებარე ყოფილი საბავშვო ბაღის შენობა, რუსთავში ფალიაშვილის ქ. №24-ში მდებარე ობიექტი, რუსთავში, რუსთაველის ქ. №16-ში მდებარე ობიექტი, თეთრიწყაროს რაიონში მდებარე ყოფილი საავადმყოფოს შენობა 121 ბინა; მარნეულში ყოფილი საბავშვო ბაღის შენობა, თბილისში, ღოღობერიძის ქუჩაზე მდებარე ყოფილი სკოლის შენობა; თბილისში ყოფილი №78 სკოლის შენობა.**

მაგრამ მიუხედავად სტანდარტებთან შესაბამისობისა, გარკვეული პრობლემები მაინც არსებობს ზემოაღნიშნულ შენობებში. კერძოდ, შენობების დიდი ნაწილი გაზიფიცირებული არ არის. თეთრიწყაროს ობიექტში დევნილებს წყალი მიეწოდებათ გრაფიკით და უკმაყოფილოები არიან სარეაბილიტაციო სამუშაოებით.

დადებით შეფასებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ №320-ე ბრძანების მიხედვით დევნილთა განსახლების პროცესში პრიორიტეტი ენიჭებათ იმ დევნილ ოჯახებს, რომლებიც ცხოვრობდნენ ნგრევად და სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველ მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართებში. აღნიშნული უნდა დასტურდებოდეს „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასკვნით (მაგ.: ჯიქიას №5-ში განსახლდნენ დევნილები, რომლებიც ჭავჭავაძის №49ა-ში მდებარე „ნგრევად ობიექტში“ ცხოვრობდნენ). 2014 წელს სამინისტრომ კომპაქტური ობიექტის მდგრადობასთან დაკავშირებით „ლევან სამხარაულის სახელობის

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან“ ინფორმაცია 34 ობიექტზე მოითხოვა.[1178] აღნიშნული ობიექტების ნაწილი, ექსპერტიზის ბიუროს დასკვნის მიხედვით ავარიულია, შესაბამისად იქიდან დევნილები უმოკლეს ვადებში უნდა გამოიყვანონ. სახალხო დამცველი 2015 წელს დააკვირდება ავარიული შენობებიდან დევნილების გამოყვანის პროცესს და დაკვირვების შედეგებს 2015 წლის ანგარიშში ასახავს.

დევნილების გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით ერთ-ერთ წინ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს, 2014 წლის მარტში ზუგდიდში ბ. ბერანძის №100-ში მდებარე **სააფთიაქო სამმართველოს** შენობის რეაბილიტაცია და დევნილებისათვის გადაცემა. ზუგდიდში საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით სამინისტროში შესული განცხადებებიდან, შეირჩა 74 დევნილი ოჯახი.

ასევე აღსანიშნავია ორგანიზაცია USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოები **ქუთაისის** კოლექტიურ ცენტრებში, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა დევნილთა საცხოვრებელი პირობები.

USAID -ის პროექტის ფარგლებში რეაბილიტირებული ყოფილი „ჩვილ ბავშვთა სახლი“, ქუთაისი

[1178] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2014 წლის 29 დეკემბრის №05/02-12/38169 წერილი.

2014 წელს ყველაზე მასშტაბურად განსახლების პროცესი **ფოთში** წარიმართა. საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლები აკვირდებოდნენ როგორც კომისიის მიერ ქულების დათვლის, ასევე ბინების განაწილების პროცესს. მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა გარკვეული ხარვეზები. კერძოდ, საცხოვრებელი ფართების განაწილებას წინ უძღოდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ შექმნილი სპეციალური კომისიის სხდომა, რომელმაც განიხილა ფოთის ახალ რაიონში დევნილებისათვის აშენებული საცხოვრებელი ფართის მიღებისა და დევნილების მიერ შევსებულ სააპლიკაციო ფორმაში აღწერილი ინფორმაციის დეტალური განხილვისა და გადამოწმების საკითხი. კომისიამ ამ საკითხზე მუშაობას დაახლოებით ერთი კვირა მოანდომა და ამ ხნის განმავლობაში დევნილების შევსებული 440 აპლიკაციის ფორმა განიხილა. კომისიამ ასევე განიხილა ფოთში ჭავჭავაძის ქუჩის №30-ში მდებარე სასწავლო ცენტრის №3 კორპუსში მცხოვრები დევნილების განაცხადები საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე. ამ შენობას ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად ნგრევადი ობიექტის სტატუსი მიენიჭა. კომისიის მუშაობისას სულ განიხილეს დაახლოებით 550 დევნილი ოჯახის აპლიკაცია, საიდანაც 262 დევნილი ოჯახი დაკმაყოფილდა საცხოვრებელი ფართით.

2014 წლის 7 აგვისტოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ ფოთში №2 საჯაროს სკოლის სპორტულ დარბაზში დევნილებისთვის საცხოვრებელი ფართის გასანაწილებლად კენჭისყრა ჩაატარა. დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისია კენჭისყრაში მონაწილეობის მისაღებად ერთი დღით ადრე დაუკავშირდა ყველა დევნილ ოჯახს, რომლის შესახებაც კომისიამ მათი საკითხის განხილვის შემდეგ დადებითი გადაწყვეტილება მიიღო. კომისიის მიერ წარმოდგენილი სიის მიხედვით სულ კენჭისყრაში მონაწილეობა უნდა მიეღო 231 დევნილ ოჯახს.

უნდა აღინიშნოს, რომ კენჭისყრის პროცესი საერთო ჯამში ტოვებდა არაორგანიზებულობის შთაბეჭდილებას. მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ იყო განსაზღვრული, ვის უნდა მიეღო კენჭისყრაში მონაწილეობა, დარბაზში მოვიდნენ ის დევნილი ოჯახებიც, რომელთა შესახებაც კომისიას უარყოფითი გადაწყვეტილება ჰქონდა მიღებული. ისინი ცდილობდნენ ადგილზე მიეღოთ პასუხი, თუ რატომ არ მოხვდნენ შერჩეულ დევნილთა სიაში, რამაც ხმაური და ქაოსური სიტუაცია გამოიწვია.

კენჭისყრა დაიწყო დღის 12 საათზე და გაგრძელდა ღამის 12 საათამდე. ადგილზე გამოცხადებულ დევნილებს სიის მიხედვით იძახებდნენ კენჭისყრის ყუთთან. კენჭისყრაში მონაწილეობის შემდეგ დევნილი წარდგენილი საბუთების შესაბამისად გადიოდა რეგისტრაციას. დაყოვნების საფუძველს ქმნიდა ის გარემოება, რომ დევნილებისთვის არ იყო

ცნობილი, რომ ხელშეკრულებაზე ხელმოსაწერად ადგილზე უნდა გამოცხადებულიყო ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრი.

დევნილთა უკმაყოფილება გამოიწვია და დაპირისპირებისა და ჩხუბის საფუძველი გახდა სამინისტროს მიერ შეთავაზებული ფართების ოდენობა. 5-6 სულიან ოჯახებს სამოთახიანი ფართების არარსებობის მიზეზით ოროთახიანი ბინები შესთავაზეს. თუმცა, უკმაყოფილების მიუხედავად, იმის შიშით, რომ მომავალში შეიძლება ფართები აღარ დარჩენილიყო, დევნილთა უმრავლესობა მაინც დათანხმდა სამინისტროს შეთავაზებას და ხელი მოაწერა ხელშეკრულებას. იყო შემთხვევები, როდესაც კომისიის სხდომაზე შეთავაზებული 5 სულიან ოჯახზე 2+1 ოთახის ნაცვლად, საცხოვრებელი ფართების განაწილების დღეს მხოლოდ 2 ოთახიანი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილდნენ. ფართების განაწილებისას ასევე არ გაუთვალისწინებიათ სრულწლოვანი განსხვავებული სქესი, გარკვეულ შემთხვევებში კი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. იყო 3 სულიან ოჯახზე ერთი ოროთახიანის და ერთი ერთოთახიანი ფართის გაცემის შემთხვევაც, თუმცა ხელშეკრულების გაფორმებისას კომისიის წევრმა ეს შეამჩნია და საკითხი დამატებითი განხილვისთვის გადადო. იყო შემთხვევები, როცა 5-6 სულიან ოჯახებს სთავაზობდნენ ორ ოროთახიან ან 2+1 ოთახიან ფართებს. ჩვენთვის უცნობი იყო სხვა მსგავსი ოჯახებიდან დიფერენციაციის ამგვარი პრინციპი.

პროცესს აბრკოლებდა იმ ოჯახების მიერ ხელშეკრულების გაფორმებაც, ვისაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ყავდათ. ისინი არ ფლობდნენ ინფორმაციას, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ნაცვლად ხელმოწერისთვის ესაჭიროებოდათ ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობის წარდგენა. პრობლემას ქმნიდა ის გარემოებაც, რომ დევნილები სხვადასხვა რეგიონებიდან იყვნენ ჩამოსულები და უკან დაბრუნების, ან იმ დღესვე საბუთების მოგვარების შესაძლებლობა დაუყოვნებლივ არ ეძლეოდათ.

სასურველი იყო კენჭისყრის პროცესი უფრო ორგანიზებულად დაეგეგმათ დევნილები უკეთესად უნდა ყოფილიყვნენ ინფორმირებულნი, თუ რა სახის დოკუმენტაციით უნდა გამოცხადებულიყვნენ კენჭისყრაზე. ეს თავიდან ააცილებდათ ზედმეტ გაუგებრობებს და პროცესიც შეუფერხებლად წარიმართებოდა.

2014 წელს დასრულდა ზუგდიდში დევნილთა საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობაც. ამავე წლის 15 მაისს დაიწყო განაცხადების შევსების პროცესი, რომელიც ასევე ცუდად იყო ორგანიზებული. დევნილებს ცოცხალ რიგში ღამეების თენება მოუწიათ, რისი ერთ-ერთი მიზეზი მათი არაინფორმირებულება იყო. ნაწილს მიაჩნდა, რომ თანაბარი ქულების შემთხვევაში უპირატესობა იმ ოჯახს მიენიჭებოდა, რომელმაც უფრო ადრე შეავსო განაცხადი. აღნიშნულ კორპუსებში ბინების განაწილების პროცესი საანგარიშო პერიოდში არ დაწყებულა.

როდესაც დევნილთა გრძელვადიან განსახლებაზე ვსაუბრობთ, აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ უხარისხო რეაბილიტაციის პრობლემაზე. მონიტორინგის პროცესში უხარისხოდ რეაბილიტირებული ობიექტების პრობლემა გამოიკვეთა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში. შენობები, რომელთაც რეაბილიტაცია 3-4 წლის წინ ჩაუტარდა, უკვე მძიმე მდგომარეობაშია. ასეთებია აბაშაში მდებარე „აბანოს“ და მარტვილში - ყოფილი სკოლის შენობები. ამ შენობებს რეაბილიტაცია რამდენიმე წლის წინ ჩაუტარდა, მაგრამ საკანალიზაციო სისტემები უკვე დაზიანებულია. დაზიანებულია შენობების სახურავებიც, რის გამოც საცხოვრებელ ფართებში ჩადის წვიმის წყალი. უხარისხოდ რეაბილიტაციის პრობლემებია ქუთაისში, ყოფილი „44-ე სკოლა-პანსიონის“ შენობაშიც.

უხარისხო რეაბილიტაციაა აჭარის რეგიონში მცხოვრები დევნილების ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაც. თამარის დასახლებაში 2014 წელს ჯერ კიდევ არ ყოფილა დასრულებული სარემონტო სამუშაოები. საყოფაცხოვრებო პირობების პრობლემებია ბათუმში ყოფილი ნარკოლოგიურისა და დაბა ჩაქვში მდებარე ყოფილი ქართული სკოლის შენობებშიც.

უხარისხო რეაბილიტაციის პრობლემა 2014 წელსაც აქტუალური იყო. გორში ყოფილი საავადმყოფოს შენობა რეაბილიტაციის პროცესში ჩამოინგრა. შესაბამისად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საცხოვრებელი ფართების რეაბილიტაციის პროცესში კონტრაქტორი კომპანიების მიერ სამშენებლო სტანდარტების დაცვა.

მისასალმებელია, რომ საქართველოს მასშტაბით გრძელდება დევნილთათვის ახალი საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა. საქართველოს სახალხო დამცველის ინფორმაციით, 2015 წელს დევნილთა გრძელვადიანი განსახლება იგეგმება ქვემო ქართლში, იმერეთში, სამცხე-ჯავახეთში, შიდა ქართლში, სამეგრელოსა და თბილისში. დევნილთა განსახლება იგეგმება შემდეგ ობიექტებში: **ვაზიანის სამხედრო დასახლება** - 224 ბინა; **ქუთაისი,** ნიკეას ქუჩა №21, ავტომშენებლის ქუჩა, შერვაშიძის ქუჩა №53 – 321 ბინა; **ახალციხე,** რუსთაველის ქუჩა №113 – 66 ბინა; **ფოთი,** ფიროსმანის ქუჩა - 9 ბინა; **გორი** - 62 ბინა; **ხაშური,** რუსთაველის ქუჩა №38 – 111 ბინა და **თბილისი** - ვარკეთილი და ბაღდათის ქუჩა - 378 ბინა.[1179] საქართველოს სახალხო დამცველი გასული წლის მსგავსად დააკვირდება აღნიშნულ ობიექტებში განსახლების პროცესს .

თბილისში დევნილთა გამოსახლების პროცესი

[1179] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2014 წლის 3 დეკემბრის, № 05/01-14/33862 წერილი.

2014 წელს ადგილი ჰქონდა რამდენიმე შენობიდან დევნილთა გამოსახლების ფაქტს. სახალხო დამცველის აპარატი აქტიურად იყო ჩართული გამოსახლების პროცესის მონიტორინგში.

2010-2012 წლის საპარლამენტო ანგარიშებში საქართველოს სახალხო დამცველი დეტალურად განიხილავდა თბილისის მასშტაბით განხორციელებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა გამოსახლება/განსახლების პროცესს. სახალხო დამცველი აქტიურად იყო ჩართული ამ პროცესებში. არაერთი განცხადება გაკეთდა პროცესის არასწორ დაგეგმვასა და განხორციელებაზეც, განსაკუთრებით კი პროცედურულ დარღვევებზე დევნილთა სხვადასხვა ობიექტებიდან გამოსახლებისას.[1180]

საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის საპარლამენტო ანგარიშში დეტალურად აისახა ის 53 ობიექტი, რომელიც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ თვითნებურად დაიკავეს დევნილებმა. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა შენობებში თვითნებურად შესულ დევნილთა რაოდენობის დადგენასა და დეტალური ინფორმაციის მოძიებაში.

მონიტორინგის[1181] შედეგად გამოიკვეთა, რომ ობიექტების უმეტესობა, საიდანაც გამოასახლეს დევნილები, არ წარმოადგენდა დევნილთა ყოფილ კომპაქტურად განსახლების ობიექტს.

მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ ობიექტებში დევნილებთან ერთად სოციალურად დაუცველი ოჯახების გარკვეული კატეგორიაც ცხოვრობდა. დევნილთა უმრავლესობის განცხადებით, შენობების დაკავების მთავარი მიზეზი საცხოვრებელთან დაკავშირებული პრობლემები და მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა იყო. მონიტორინგის პროცესში ასევე შევხვდით დევნილ ოჯახებს, რომელთაც ადგილზე შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მიღების შეუძლებლობის გამო დატოვეს რეგიონებში არსებული ყოფილი კოლექტიური ცენტრები და თბილისში დაიკავეს შენობები.

რაც შეეხება შენობებში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ოჯახებს, საქართველოს სახალხო დამცველი თავის ყოველწლიურ ანგარიშებში დეტალურად განიხილავს სათანადო საცხოვრებლის უფლებასთან დაკავშირებულ პრობლემებს და შუამდგომლობებით მიმართავს შესაბამის ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებს თავშესაფრის არმქონე პირების საცხოვრებლით დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით. სამწუხაროდ ადგილობრივი

[1180] სახალხო დამცველის 2011 წლის 21 იანვრის განცხადება, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < http://www.ombudsma№.ge/ge/№ews/1458-saxalxo-damcvelis-ga№cxadeba.page > [ბოლოს წანახია 2015 წლის 10 იანვარს].

[1181] მონიტორინგი განხორციელდა შემდეგ ობიექტებზე: თბილისი, გურამიშვილის №17 - ყოფილი კვების მრეწველობის ინსტიტუტი, აღმაშენებლის გამზირი №60 - ყოფილი მიხაილოვის საავადმყოფო, რიჩარდ ჰოლბრუკის ქ.№8-ში მდებარე ყოფილი „სამხედრო ჰოსპიტალი“.

თვითმმართველობის ორგანოები მიუთითებენ შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში საბინაო ფონდის არარსებობაზე, რის გამოც შეუძლებელია ბენეფიციარების დაკმაყოფილება საცხოვრებლით. [1182]

2014 წელს დევნილები გამოასახლეს თბილისში **მარჯანიშვილის გამზირის №60-ში** მდებარე ყოფილი „მიხაილოვის საავადმყოფოდან". აღნიშნული ობიექტი არ წარმოადგენდა დევნილთა ყოფილ კომპაქტურად განსახლების ობიექტს. შენობაში სულ 16 ოჯახი ცხოვრობდა, აქედან 12 დევნილი და 4 სოციალურად დაუცველი ოჯახი.

დევნილთა განმარტებით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ მათ წერილობითი შეთანხმება დაუდო, რომლითაც იღებდა მათი ქირით უზრუნველყოფის ვალდებულებას, ვიდრე მუდმივი საცხოვრებელი ფართით არ დააკმაყოფილებდა.

2014 წლის აგვისტოში, იძულებით გადაადგილებული პირები - დევნილები გამოასახლეს თბილისში, **გურამიშვილის ქუჩის №17-ში** მდებარე შენობიდან. მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ ეს შენობა დევნილთა ყოფილ კომპაქტურად განსახლების ობიექტს წარმოადგენდა. შენობაში ცხოვრობდნენ სხვადასხვა კატეგორიის დევნილები, მათ შორის როგორც ამავე შენობაში კომპაქტურად დამისამართებული, ისე თვითნებურად შესული დევნილთა ოჯახები. სამინისტრომ დევნილთა ამ ჯგუფების მიმართ ალტერნატიულ საცხოვრებელ ფართთან დაკავშირებით სხვადასხვა ვალდებულებები იკისრა.

აღნიშნული ობიექტიდან დევნილთა გამოსახლებასთან დაკავშირებით, სახალხო დამცველის აპარატმა წერილით[1183] მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს და გამოითხოვა შემდეგი ინფორმაცია:

1. რამდენი დევნილი გამოსახლდა ზემოაღნიშნული შენობიდან;
2. გამოსახლებული დევნილებიდან რამდენი იყო დამისამართებული თბილისში, გურამიშვილის ქუჩის №17-ში და რამდენი ცხოვრობდა თვითნებურად;
3. შეეთავაზათ თუ არა ზემოაღნიშნული უძრავი ქონებიდან გამოსახლებულ პირებს ალტერნატიული საცხოვრებელი ფართები;

[1182] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის საპარლამენტო ანგარიშის თავი - სათანადო საცხოვრისის უფლება.
[1183] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2014 წლის 24 ნოემბრის წერილის №04-9/13706.

სამინისტროს წერილით[1184] გვეცნობა, რომ გურამიშვილის ქუჩის №17-ში რეგისტრირებული იყო მხოლოდ 9 დევნილი ოჯახი და დანარჩენი 40 ოჯახი თვითნებურად იკავებდა საცხოვრებელ ფართს.

ამავე წერილით გვეცნობა, რომ შენობაში რეგისტრირებულ 9 ოჯახს საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებამდე სამინისტრო ბინის ქირის საკომპენსაციო თანხით უზრუნველყოფდა. აღნიშნული ოჯახები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანების საფუძველზე, სულადობის მიხედვით პირდაპირი წესით დაკმაყოფილდებიან საცხოვრებელი ფართებით რეაბილიტირებულ ან ახალაშენებულ ობიექტზე, რაზეც გაფორმდა შესაბამისი შეთანხმება.

უნდა აღინიშნოს, რომ საბოლოო ჯამში პროცესმა მშვიდ გარემოში ჩაიარა. გამოსახლება ერთი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა, დევნილები ნებაყოფლობით ტოვებდნენ შენობას. თუმცა, გამოსახლების პროცესში რამდენიმე პრობლემა მაინც გამოიკვეთა, კერძოდ:

1. გამოსახლების გონივრული ვადები - დევნილებმა გამოსახლების შესახებ გაფრთხილება 2014 წლის 28 აგვისტოს მიიღეს. პროცესი 29 აგვისტოს დაიწყო. შესაბამისად გაუჭირდათ საცხოვრებელი ფართების მოძიება და შემდეგ დაქირავება.

2. დევნილთა განმარტებით, ბინის დასაქირავებლად თანხა ზოგიერთ მათგანს გამოსახლების დღეს, ხოლო ზოგიერთს მეორე დღეს ჩაერიცხათ, ბინის მეპატრონეები კი მათგან წინასწარ ითხოვდნენ სამი თვის ქირის გადახდას.

მნიშვნელოვანია, რომ მომავალში დევნილთა გამოსახლების პროცესში სამინისტრომ გაითვალისწინოს აღნიშნული პრობლემები.

ყოფილი მიხაილოვისა და ისნის ჰოსპიტლის შენობიდან გამოსახლება

2014 წელს საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია თბილისში რიჩარდ ჰოლბრუკის ქ. №8-ში მდებარე ყოფილი „სამხედრო ჰოსპიტალის“ შენობიდან დევნილთა და სოციალურად დაუცველ პირთა გამოსახლების პროცესმა.

დევნილთა გამოსახლება 2014 წლის 8 დეკემბერს დაიწყო და 2 კვირაზე მეტხანს გასტანა. სახალხო დამცველის აპარატი აქტიურად აკვირდებოდა დევნილი და სოციალურად დაუცველი ოჯახების მიერ ყოფილი ისნის სამხედრო ჰოსპიტლის შენობის დატოვების პროცესს.

[1184] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2014 წლის 1 დეკემბერის წერილი №05/02-12/33649.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა წერილით[1185] მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს და ზემოაღნიშნული ობიექტიდან დევნილთა გამოსახლების შესახებ დეტალური ინფორმაცია გამოითხოვა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წერილით[1186] გვეცნობა, რომ ყოფილი ისნის სამხედრო ჰოსპიტალში თვითნებურად 134 დევნილ ოჯახს ჰქონდა ფართი დაკავებული. რაც შეეხება ალტერნატიული საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებას, ამავე წერილით გვეცნობა, რომ შენობიდან გამოსახლებულ დევნილებს ბინის დაქირავების მიზნით გაეწიათ ფინანსური დახმარება.

ჩატარებული მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ შენობაში სხვადასხვა კატეგორიის დევნილები ცხოვრობდნენ, კერძოდ:

- დევნილები, რომლებიც 2011 წელს გამოასახლეს ყოფილი სამხედრო ჰოსპიტლის შენობიდან, თუმცა, 2012 წელს კვლავ დაუბრუნდნენ თავიანთ დროებით თავშესაფარს სხვა ალტერნატიული საცხოვრებელი ფართის არარსებობის გამო;
- ე.წ. კერძო სექტორის დევნილები;
- უკვე კომპენსირებული დევნილები, რომელთაც მიღებული თანხით არ შეუძენიათ გრძელვადიანი საცხოვრებელი;
- დევნილები, რომლებსაც ამა თუ იმ ობიექტში დაკანონებული აქვთ ფართი, მაგრამ მისი სიმცირის გამო უწევდათ ამ შენობაში ცხოვრება;
- დევნილები, რომლებიც დამისამართებული არიან კომპაქტურად, თუმცა რეალურად არ ფლობენ ფართს და არც არასოდეს უცხოვრიათ ამა თუ იმ ობიექტში.

შენობაში მცხოვრები დევნილების უმრავლესობის მოთხოვნას, მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი ფართის რეაბილიტაცია და შემდგომ მათ საკუთრებაში გადაცემა წარმოადგენდა.

რაც შეეხება სოციალურად დაუცველ ოჯახებს, მათი განმარტებით, თავშესაფრით დაკმაყოფილების მოთხოვნით არაერთხელ მიმართეს როგორც თბილისის მერიას, ისე რაიონულ გამგეობას, თუმცა საბინაო ფონდების არარსებობის გამო მათი მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდა.

[1185] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2014 წლის 24 დეკემბრის წერილი №04-09/14572.

[1186] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2014 წლის 29 დეკემბრის წერილი №05/02-12/38062.

ყოფილი ისნის სამხედრო ჰოსპიტლის შენობიდან გამოსახლების თაობაზე, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა განცხადებაც[1187] გაავრცელა, რომლითაც მოუწოდა თბილისის მერიასა და თბილისის ისნის რაიონის გამგეობას, კოორდინირებულად შეესწავლათ ზემოაღნიშნულ შენობაში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების უსახლკარობის ფაქტი და მათ დასახმარებლად შესაბამისი ღონისძიებები გაეტარებინათ.

შეიძლება ითქვას, რომ 2014 წლის გამოსახლების პროცესები ბევრად უფრო მშვიდ გარემოში წარიმართა, ვიდრე ის იძულებითი გამოსახლებები, რომლებზეც საუბარია სახალხო დამცველის წინა წლების ანგარიშებში. გამოსახლების პროცესს ზოგიერთ შემთხვევაში ჰქონდა ხარვეზები, მაგრამ მათი ნაწილი ადგილზევე აღმოიფხვრებოდა. მნიშვნელოვნად არ დაძაბულა ვითარება დევნილებსა და სამინისტროს თანამშრომლებს შორის და რაც მთავარია, ყველა დევნილმა ოჯახმა, მათ შორის მათ, რომლებიც არამართლზომიერად იკავებდნენ ფართს, მიიღეს სამი თვის ბინის ქირის დასაფარად საჭირო თანხა.

საცხოვრებელი ფართების პრივატიზაციის პროცესი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის შესაბამისად, გრძელვადიანი განსახლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფორმას ყოფილ კომპაქტურად განსახლების ობიექტებში დევნილთა სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი ფართების მათთვის საკუთრებაში გადაცემა წარმოადგენს.

ზემოაღნიშნული პროცესი 2009 წელს დაიწყო (საქართველოს პრეზიდენტის №62 განკარგულების საფუძველზე) და გულისხმობს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ყოფილი კოლექტიური ცენტრების დევნილი ოჯახებისათვის საკუთრებაში გადაცემას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პრივატიზაციის პროცესი ნებაყოფლობითია და ამავე განსახლების ობიექტში მცხოვრები დევნილის თანხმობის შემთხვევაში სახელმწიფო საკუთრებაში გადასცემს მას კუთვნილ ფართს. პრივატიზაციის პროცესში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს გარდა, არაერთი სტრუქტურაა ჩართული.[1188]

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად,[1189]

[1187]სახალხო დამცველის განცხადება ისნის ჰოსპიტლიდან გამოსახლებასთან დაკავშირებით

[1188]საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია.

[1189] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2014 წლის 26 ნოემბრის წერილი №54003/01.

2014 წელს კერძო საკუთრებაში გადაიცა სულ 1698 დევნილი ოჯახის მიერ დაკავებული საცხოვრებელი ფართი.[1190] (თბილისი - 493 ოჯახი; შიდა ქართლი - 282; ქვემო ქართლი - 202; იმერეთი - 309; აჭარა - 183; სამეგრელო - 229.) 2013 წელთან შედარებით, 2014 წელს კერძო საკუთრებაში გადაცემული ფართების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2013 წელს მხოლოდ 604 დევნილს გადაეცა საკუთრებაში მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი ფართი.[1191]

პრივატიზაციის პროცესში წლების განმავლობაში უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს დევნილთა არაინფორმირებულობა. ისინი არ ფლობენ ინფორმაციას, როდის გადაეცემათ საკუთრებაში საცხოვრებელი ფართი. პროექტის[1192] ფარგლებში მონიტორინგი ჩატარდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონის კომპაქტურად განსახლების ობიექტში, რომელთა ნაწილი დევნილებს უკვე დაუკანონდათ ან დაკანონების პროცესშია. კითხვარი, რომლის მიხედვითაც გამოიკითხნენ დევნილები, პრივატიზაციის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებსაც მოიცავდა.

მონიტორინგის შედეგად არაერთი პრობლემა გამოიკვეთა. ჩვენი წარმომადგენლები დაინტერესდნენ, კონკრეტულად რა ინფორმაციას ფლობდნენ დევნილები პრივატიზაციის პროცესთან დაკავშირებით. შეკითხვაზე, კოლექტიური ცენტრის პრივატიზაციის დროსთან დაკავშირებით, გამოკითხულთა უმრავლესობას ინფორმაცია არ ჰქონდა.



[1190] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა 2014 წლის 8 დეკემბრის წერილი №05/02-12/34549.

[1191] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2013 წლის 18 დეკემბრის წერილი №05/02-12/53953.

[1192] „საქართველოს სახალხო დამცველის (ომბუდსმენის) აპარატის მხარდასაჭერად იძულებით გადაადგილებულ პირთა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა მიმართებაში არსებული პრობლემების გადასაჭრელად“.

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სათანადო საცხოვრებელი გულისხმობს დევნილისათვის საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელს, სადაც უზრუნველყოფილია ღირსეული ცხოვრებისათვის აუცილებელი, მათ შორის უსაფრთხოებისა და სანიტარული თვალსაზრისით დამაკმაყოფილებელი პირობები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გრძელვადიანი საცხოვრებლით დაკმაყოფილება თავის მხრივ მოიცავს ყოფილი კომპაქტურად განსახლების ობიექტების დევნილთათვის საკუთრებაში გადაცემას, რაც თავისთავად მისასალმებელია. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საცხოვრებელი პირობები დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტებში ერთმანეთისგან განსხვავდება. ყოფილი კოლექტიური ცენტრების ნაწილში საცხოვრებელი პირობები საკმაოდ კარგია, თუმცა მრავლად გვხვდება ობიექტები, რომლებიც სათანადო საცხოვრებლის მინიმალურ სტანდარტებსაც ვერ აკმაყოფილებს. ამდენად, ვერ სრულდება „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტის მოთხოვნები.

მიუხედავად მძიმე საცხოვრებელი პირობებისა, დევნილები მაინც თანხმდებიან სამინისტროს, მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემას, ვინაიდან არ ფლობენ ინფორმაციას ფართის პრივატიზებაზე უარის თქმის შემთხვევაში არსებული ალტერნატივების შესახებ.

შეკითხვაზე, ფლობენ თუ არა ინფორმაციას ფართის პრივატიზებაზე უარის თქმის შემთხვევაში, გრძელვადიანი განსახლების ალტერნატივების შესახებ, გამოკითხულ დევნილთა უმრავლესობამ უარყოფითად უპასუხა.



სახალხო დამცველი, თავის არაერთ ანგარიშში განიხილავდა პრივატიზაციის პროცესის ნებაყოფლობითობის საკითხს. წინა წლებისგან განსხვავებით, დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ გამოკითხული დევნილების უმრავლესობა ფლობს ინფორმაციას პრივატიზაციის პროცესის ნებაყოფლობითობის შესახებ.[1193]



უცვლელ პრობლემად რჩება არაინფორმირებულობა დევნილი ოჯახების წევრთა რიცხოვნების გათვალისწინებით საცხოვრებელი ფართის საორიენტაციო სტანდარტების შესახებ.[1194] გამოკითხული დევნილების უმრავლესობა ისე აწერდა ხელს საპრივატიზაციო ხელშეკრულებას, რომ ფართის ოდენობას არ ამოწმებდა. კითხვაზე, ფლობდნენ თუ არა ინფორმაციას საცხოვრებელი ფართის სტანდარტების შესახებ, გამოკითხულთა უმრავლესობამ უარყოფითად უპასუხა.

[1193] საქართველოს სახალხო დამცველის 2011 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ.189.

[1194] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანების დანართი №6.



კვლავ პრობლემას წარმოადგენს ფართების არათანაბარი განაწილება და ე.წ. „ნახევრად დაკანონებული“ ობიექტები, სადაც, არაერთხელ ჩატარდა აზომვითი სამუშაოები, თუმცა ამ დრომდე არ განხორციელებულა მათი სრული პრივატიზაცია. იმის გამო, რომ შენობის მხოლოდ გარკვეული ნაწილი აქვთ დაკანონებული, დევნილები ვერ ახერხებენ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შექმნას, ქონების საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგვას და სხვა სამოქალაქო უფლებების რეალიზაციას. ზემოაღნიშნული საკითხები 2013 წლის ანგარიშშიც იყო განხილული.

ასევე, 2014 წელს დევნილთათვის საცხოვრებელი ფართების კერძო საკუთრებაში გადაცემის პროცესი საქართველოს მასშტაბით 476 ობიექტზე დაიწყო და ეს პროცესი გაგრძელდება 2015 წელსაც.[1195] 2014 წლის ნოემბერში დევნილთა და განსახლების სამინისტრომ დაიწყო პროექტი, რომლის ფარგლებშიც, 10 თვეში 10 000-მდე დევნილი ოჯახისთვის იგეგმება საცხოვრებელი ფართის გადაცემა. პროექტის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, ეს იქნება ასეთი რაოდენობის დევნილი ოჯახებისთვის საცხოვრებელი ფართების ასეთ მოკლე დროში საკუთრებაში გადაცემის პირველი შემთხვევა. პროექტის მასშტაბურობასთან ერთად არსებობს საფრთხე, რომ საცხოვრებელი ფართები, რომლებიც დევნილებს გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით საკუთრებაში გადაეცემათ, შესაძლოა არ იყოს, საცხოვრებელი ფართის საორიენტაციო სტანდარტების შესაბამისი. აუცილებელია, პრივატიზაციის პროცესში დევნილებს ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდონ განსახლების ალტერნატივების შესახებ. პრივატიზაციის პროცესს დააკვირდება საქართველოს სახალხო დამცველიც და შედეგებს მომავალი წლის ანგარიშში წარმოადგენს.

[1195] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა 2014 წლის 8 დეკემბრის წერილი №05/02-12/34549.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში მყოფი ობიექტები

მიუხედავად გარკვეული პოზიტიური სიახლეებისა, იძულებით გადაადგილებულ პირთა უმთავრეს პრობლემად უმძიმესი საცხოვრებელი პირობები რჩება. მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ ე.წ. ყოფილ კოლექტიურ ცენტრებში, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი პირობები ძალიან მძიმეა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში მყოფ ობიექტებზე, საქართველოს სახალხო დამცველი 2013 წლის საპარლამენტო ანგარიშშიც საუბრობდა.[1196]

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა წერილით[1197] მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს და იმ ობიექტების სია გამოითხოვა, რომლებთან დაკავშირებითაც სამინისტროს 2014 წლის განმავლობაში მიღებული ჰქონდა ექსპერტიზის დასკვნა შენობის მდგრადობასთან დაკავშირებით.

მიღებული ინფორმაციით, 2014 წლის განმავლობაში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 34 ობიექტთან დაკავშირებით ჰქონდა ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან გამოთხოვილი ინფორმაცია.[1198]

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს რამდენიმე ობიექტი, მათ შორის თბილისში ქ. წამებულის ქ. №71-ში მდებარე „**საქინფორმაგროპრომის**“ შენობა. ობიექტში დაზიანებულია სახურავი, წყალგაყვანილობის სისტემა, ასევე მოუწესრიგებელია საკანალიზაციო მილები.

გარდა ამისა შენობასთან დაკავშირებით არსებობს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასკვნა, რომელშიც აღნიშნულია, რომ შენობა არადამაკმაყოფილებელია, სეისმურ ნორმებთან შეუსაბამოა და მეორე-მესამე ხარისხის დაზიანებები აღენიშნება. მიუხედავად ამისა, დევნილები მრავალი წელია ამ მისამართზე ცხოვრობენ.

[1196] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 602.
[1197] 2014 წლის 22 დეკემბრის წერილი №04-9/14569.
[1198] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა 2014 წლის 29 დეკემბრის წერილი №05/02-12/38169.

„საქინფორმაგროპრომის“ შენობა, ქეთევან წამებულის ქ. №71, თბილისი

საქართველოს სახალხო დამცველი 2013 წლის ანგარიშშიც საუბრობდა თბილისში, **დადიანის ქ. №2-ში**[1199] მდებარე ობიექტის უმძიმეს მდგომარეობაზე. აღნიშნულ მისამართზე დაახლოებით 12 ოჯახს უწევს ცხოვრება. 2014 წელს ობიექტის მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. შენობა საფრთხეს უქმნის იქ მაცხოვრებელთა ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს. დევნილებისთვის კვლავ უცნობია, როდის იგეგმება მათი ალტერნატიული საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილება.

[1199] აღნიშნულ ობიექტთან დაკავშირებით არსებობს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასკვნა, შენობის არამდგრადობისა და ავარიულობის თაობაზე.



დადიანის ქ. №2, თბილისი

ასევე უმძიმეს მდგომარეობაშია თბილისში, **იუმაშევის ქ. №21-ში „დუზანის“** და აეროპორტის დასახლებაში მდებარე ყოფილი **სასტუმრო „აეროპორტის“** შენობები.

სასტუმრო „აეროპორტში“ დაახლოებით 400-მდე დევნილი ცხოვრობს. შენობაში დაბზარულია კედლები, დაზიანებულია სადრენაჟო სისტემა. დევნილთა განმარტებით, ალტერნატიული საცხოვრებელი ფართის გამოყოფის თაობაზე ისინი წლების განმავლობაში მიმართავდნენ განცხადებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს.

ზემოაღნიშნულ შენობაში მცხოვრებ დევნილებს 2014 წლის 14 ნოემბერს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წერილით[1200] ეცნობათ, რომ ჩატარებული საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, შენობას დაზიანებათა მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით აღენიშნება მესამე (მძიმე) ხარისხის დაზიანება. შენობის საერთო ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. შესაბამისად, დევნილი ოჯახები საცხოვრებელი ფართით უნდა დაკმაყოფილდნენ თბილისში პირველივე რეაბილიტირებულ ან ახალაშენებულ შენობაში.

იუმაშევის ქ. „დუზანის“ შენობა, თბილისი

მძიმე საცხოვრებელი პირობებია თბილისში, ჩანტლაძის ქ. **№4/2-ში** მდებარე ავტობაზა „ტურისტის“ შენობაში. შენობას არ აქვს კარ-ფანჯარა, მისასვლელი გზა, წვიმის დროს შენობაში ჩადის წყალი და არის მძიმე ანტისანიტარული პირობები.

[1200]საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2014 წლის 14 ნოემბრის №05/02-12/31872 წერილი.

ავტობაზა „ტურისტი“, თბილისი

დაზიანებული შენობების მხრივ ასევე მძიმე მდგომარეობაა სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონში. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს რამდენიმე ავარიული კომპაქტური ცენტრი, რომლებიც დევნილებისთვის წარმოადგენს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველ ობიექტებს. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში უწევთ ცხოვრება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭითაწყარში მდებარე **ონარიის ჩასახლებაში** მცხოვრებ დევნილებს. აქ დაახლოებით 45 დევნილი ოჯახი ცხოვრობს.

ონარიაში არსებული კოტეჯის ტიპის ყველა საცხოვრებელი ორსართულიანი სახლი ამორტიზებულია, დაზიანებულია მზიდი კედლები, ყველა სახლის სახურავიდან ჩამოდის წვიმის წყალი, რაც ასევე იწვევს მძიმე ნესტიანობას. დაზიანებულია საცხოვრებელი სახლების საძირკველიც. მოშლილია საკანალიზაციო სისტემა, რის შედეგადაც იქმნება ძლიერი ანტისანიტარია. დაფიქსირდა მცირეწლოვანი ბავშვების მოწამვლის ფაქტიც. აღნიშნულ ჩასახლებაში მცხოვრებ დევნილებს სასმელი წყლის ნაკლებობის პრობლემაც აქვთ. ისინი ამბობენ, რომ მცირე ზომის ჭაბურღილები გათხარეს თავიანთი სახსრებით, მაგრამ წყლის პრობლემის გადასაჭრელად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

აღნიშნულ ჩასახლებაში მცხოვრებმა დევნილებმა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ან ალტერნატიული საცხოვრებელი ფართის მიღების მოთხოვნით,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ჯერ კიდევ 2010 წელს მიმართეს, მაგრამ ამას რეალური შედეგი დღემდე არ მოჰყოლია.

დევნილთა საერთო საცხოვრებელი, ონარია, ზუგდიდის რაიონი

აღსანიშნავია, რომ ონარიაში დევნილებთან ერთად ცხოვრობენ სოციალურად დაუცველი ოჯახები. ოჯახების საერთო რაოდენობა 350-ს აღწევს. საქართველოს სახალხო დამცველმა 2014 წელს რეკომენდაციით მიმართა საქართველოს მთავრობას, რომ გაეთვალისწინებინა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭითაწყარის, ონარიის თემში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და მატერიალური პრობლემები და მოსახლეობისათვის ადეკვატური დახმარების გაწევა მაქსიმალურად მჭიდრო ვადებში უზრუნველეყო.

საქართველოს სახალხო დამცველს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის საპასუხო წერილით[1201] ეცნობა, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2015/2016/2017 წლების სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია ონარიის დასახლებაში სახლების რეაბილიტაცია. ხოლო 2015

[1201] ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2014 წლის 29 დეკემბრის №02/690 წერილი.

წლისთვის 200 000 ლარია გამოყოფილი საცხოვრებელი სახლების სახურავების შესაკეთებლად.

სახალხო დამცველი განაგრძობს ამ დასახლებაში არსებული მდგომარეობის მონიტორინგს. დასადგენია ისიც, სარეაბილიტაციო სამუშაოები შეეხება იძულებით გადაადგილებული პირების მიერ დაკავებულ ფართებსაც, თუ სამინისტრო მათთვის გრძელვადიანი განსახლების ალტერნატივების შეთავაზებას გეგმავს.

დევნილთა საერთო საცხოვრებელი, ონარია, ზუგდიდის რაიონი

უმძიმეს მდგომარეობაშია ზუგდიდში, გამსახუდიას №208-ში მდებარე **„ყოფილი სამზარეულოს“ შენობაც**, სადაც ამჟამად ცხოვრობს დაახლოებით 12 დევნილი ოჯახი. ობიექტი ფაქტობრივად დანგრევის პირასაა. აღნიშნულ შენობაში მცხოვრები დევნილები სასწრაფოდ საჭიროებენ განსახლებას.

ზუგდიდის რაიონის მსგავსად, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში მყოფი ობიექტებია იმერეთის რეგიონშიც. ერთ-ერთი მათგანია ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეღვაში მდებარე ყოფილი „ბალნეოლოგიურის“ შენობა. მას არ აქვს კარ-ფანჯარა, სახურავიდან ჩადის წვიმის წყალი და დაზიანებულია საკანალიზაციო სისტემა.

ყოფილი „ბალნეოლოგიურის“ შენობა, სოფელი ლეღვა

სახალხო დამცველი პირადად გაეცნო წყალტუბოში, კოლექტიურ ცენტრში მცხოვრები დევნილების მდგომარეობას. სანატორიუმის შენობების ნაწილი დაზიანებულია. კერძოდ, სახურავები საჭიროებენ შეკეთებას, მოშლილია საკანალიზაციო სისტემები. წყალტუბოში მცხოვრები მძიმე მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველმა სპეციალური განცხადებაც გაავრცელა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საპასუხო განცხადების მიხედვით, წყალტუბოს დევნილთა დასახლებებში ხორციელდება სხვადასხვა პროექტები, რომელთა ფარგლებში შედის დევნილთა განსახლება და გვარდება მათი საყოფაცხოვრებო პრობლემები. სახალხო დამცველის აპარატი 2015 წელსაც განაგრძობს ამ დასახლებაში სისტემატურ მონიტორინგს და იქ მცხოვრები დევნილების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ მომავალი წლის ანგარიშში ისაუბრებს.

წყალტუბოს მსგავსად, ასევე მძიმე მდგომარეობაა ქუთაისში, **ყოფილი სკოლა-ინტერნატის სასადილოს** შენობაში.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე რამდენიმე ყოფილი „კოლექტიური ცენტრი“. უმძიმესი მდგომარეობაა **სანატორიუმ „სურამის“** ძველ

შენობაში, **სასტუმრო „ქართლში“, ყოფილი ნარკოლოგიურის შენობაში, „ტურბაზის ხის კოტეჯებში“,** ბორჯომში, **სანატორიუმ „ლიკანი 2“- სა** და **სანატორიუმ „ლიკანი 3“-ში.**

სანატორიუმ „სურამის“ ძველ შენობაში, სადაც აფხაზეთიდან დევნილები არიან ჩასახლებულნი, უმძიმესი მდგომარეობაა. შენობა ამორტიზებულია და როგორც მათ განუმარტეს, არ ექვემდებარება აღდგენას. შესაბამისად, აქ მცხოვრები დევნილები შენობის ჩამოშლის მუდმივი შიშის ქვეშ იმყოფებიან. შენობის მძიმე მდგომარეობას ფართის სიმცირისა და ანტისანიტარიის პრობლემები ემატება. შენობაში ფართი ისეა განაწილებული, რომ შეუძლებელია მათი საცხოვრებლად გამოყენება, არის მცირე და არ შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს.

სანატორიუმი „სურამი“, დაბა სურამი.

ყოფილი ნარკოლოგიური/კომბინატის პოლიკლინიკაში ჩასახლებული დევნილების უმთავრეს პრობლემას სველი წერტილები და არასაკმარისი, საცხოვრებლად გამოუსადეგარი

ფართი წარმოადგენს. მეზობლებში ხშირია დავა საერთო სველი წერტილების გამო. საცხოვრებელი ფართები არ არის იზოლირებული, შესაბამისად დევნილები სამზარეულოდ დერეფანს იყენებენ. სადარბაზოში არ არის განათება და სუფევს მძიმე ანტისანიტარიული მდგომარეობა.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, საქართველოს მასშტაბით მძიმე მდგომარეობაა დევნილთა მრავალ ყოფილ „კოლექტიურ ცენტრში“. ამ შენობებიდან დევნილთა განსახლება, სახელმწიფოსთვის 2015 წლის ერთ-ერთ პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს. მძიმე მდგომარეობაში მყოფ შენობებზე, უნდა მომზადდეს „ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასკვნა და ამ დასკვნის საფუძველზე განსახლდნენ დევნილები ახლად აშენებულ საცხოვრებელ კორპუსებში.

ინფორმირებულობის ნაკლებობა დევნილებში

ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა, რომელიც დევნილ მოსახლეობას გააჩნია, არის ინფორმაციის ნაკლებობა იმ სიახლეებსა და მოვლენებზე, რომლებიც უშუალოდ ახდენენ გავლენას მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე. ინფორმაციის ნაკლებობის პრობლემაზე სახალხო დამცველი საუბრობდა წინა წლების ანგარიშებშიც. 2013 წელი საქართველოს იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებული მრავალი სიახლით გამოირჩეოდა. 2014 წელს სახალხო დამცველისა და მასთან არსებული პროექტის თანამშრომლებმა შეადგინეს სპეციალური კითხვარი, რომლებსაც ავსებდნენ დევნილები მათთან ჩვენი თანამშრომლების ვიზიტისას. კითხვარი მოიცავდა კითხვებს ყველა იმ ძირითადი მიმართულებიდან, რომელიც გავლენას ახდენს დევნილთა უფლებრივ მდგომარეობაზე საქართველოში. კითხვარები ზუგდიდში, ქუთაისში, გორსა და თბილისში 324-მა დევნილმა პირმა შეავსო.

შეკითხვაზე, არიან თუ არა ინფორმირებულები დევნილთა შესახებ ახალი კანონის სიახლეების შესახებ, დევნილების უმეტესობამ უარყოფითი პასუხი გასცა.



როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2013-2014 წლის ერთ-ერთ უმთავრეს სიახლეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის 2013 წლის №320-ე ბრძანება წარმოადგენს, რომელიც დევნილთა გრძელვადიანი განსახლების წესს ადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე საინტერესო იყო, რა ინფორმაციას ფლობდნენ დევნილები ამ ბრძანებით დაწესებული კრიტერიუმების შესახებ. შეკითხვაზე, იცით თუ არა დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესის შესახებ, დევნილთა უმეტესობამ ასევე უარყოფითი პასუხი გასცა.



დევნილთა უმეტეს ნაწილს არ აქვს ან აქვს ნაწილობრივი ინფორმაცია, თუ რა დოკუმენტაცია უნდა წარადგინოს სამინისტროში საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადის მიღებისას. დევნილები ასევე არ ფლობენ ინფორმაციას, თუ როგორ უნდა მოიქცნენ იმ შემთხვევაში, თუ შენობა მძიმე მდგომარეობაშია და მასში ცხოვრება სახიფათოა.

მიუხედავად ძირითადად უარყოფითი ტენდეციებისა ინფორმაციის ქონის მხრივ, დევნილთა უმეტესობამ იცის, საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში გასაჩივრების შესაძლებლობის შესახებ.

ჩვენთვის ასევე საინტერესო იყო, თუ რა წარმოადგენს დევნილთათვის ინფორმაციის მიღების უმთავრეს წყაროს.



როგორც შედეგებიდან ჩანს, ყველაზე ნაკლებად დევნილთა სფეროში არსებული სიახლეების შესახებ დევნილები მასმედიისგან ღებულობენ ინფორმაციას. ინფორმაციის ძირითადი წყარო სამინისტროა. აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია სამინისტრომ გააძლიეროს მუშაობა აღნიშნული კუთხით. 2014-2016 წლების დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ ამოცანას დევნილთა ინფორმირებულობის გაზრდა წარმოადგენს. სამოქმედო გეგმა ამ მიზნის მისაღწევად სხვადასხვა ღონისძიებებს ითვალისწინებს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობის გამოყენებაა. ასევე უმნიშვნელოვანესია გადაწყვეტილების მიღების პროცესში დევნილთა ჩართულობის უზრუნველყოფა.

დასკვნა

2014 წელი დევნილთა უფლებრივი მდგომარეობის მხრივ მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა 2013 წლისგან. ძირითადი პრობლემები და გამოწვევები, როგორიც არის დევნილთა გრძელვადიანი განსახლებისთვის აუცილებელი საცხოვრებელი ფართების ნაკლებობა, ნელი ტემპებით მიმდინარე საცხოვრებელი ფართების დევნილთათვის საკუთრებაში გადაცემის პროცესი და დევნილთა ინფორმირებულობის პრობლემა, იგივე

რჩება. თუმცა ასევე აღსანიშნავია, რომ 2014 წელს დევნილთა უფლებების სისტემური დარღვევები სახალხო დამცველის აპარატს მონიტორინგის შედეგად არ გამოუვლენია.

დევნილები საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი ჯგუფია.[1202] ისინი მოწყვლადი არიან რესურსებისა და წვდომის მიმართ. დევნილთა პრობლემების გრძელვადიანი გადაწყვეტა მხოლოდ გრძელვადიან განსახლებას არ მოიცავს. გარდა გრძელვადიანი განსახლებისა, აუცილებელია დევნილთა ინტეგრაცია მათი განსახლების ადგილებში. უმუშევრობა წარმოადგენს უმთავრეს პრობლემას, რომელიც დევნილთა საზოგადოების უდიდეს ნაწილს აწუხებს. უმუშევრობის პრობლემა განსაკუთრებით მძიმეა დევნილთა იმ ჩასახლებებში, რომლებიც მოწვეტილია ცენტრალურ ქალაქებს. დევნილთა პრობლემების გრძელვადიანი გადაჭრის მიზნით აუცილებელია მათი საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა. აღნიშნულიდან გამომდინარე უმნიშვნელოვანესია სწორად წარიმართოს „დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს“ მუშაობა.

ამასთან აუცილებელია 2015 წელს სამინისტრომ გააქტიუროს და გააღრმავოს თანამშრომლობა არასამთავრობო სექტორთან, რათა სამინისტროს საქმიანობის გამჭვირვალობა არ დადგეს ეჭვქვეშ. გარდა არასამთავრობო სექტორისა აუცილებელია დევნილი მოსახლეობის ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რათა ერთი მხრივ გაიზარდოს მათი ინფორმირებულობა თემებზე, რომლებიც უშუალოდ ახდენენ გავლენას მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე და ამასთან, სწორად განისაზღვროს პრიორიტეტები.

მნიშვნელოვანია, რომ 2015 წელს გაგრძელდეს კანონმდებლობის დახვეწის პროცესი. საჭიროებებზე მორგებულ მიდგომაზე გადასვლა უნდა გახდეს სამინისტროს საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტი. როგორც უკვე აღინიშნა, გასათვალისწინებელია გარემოება, რომ ეს პროცესი უმტკივნეულო არ იქნება, თუმცა მის მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო რესურსების ფოკუსირება დევნილთა ყველაზე მოწყვლად ჯგუფებზე. ასეთი მიდგომით ამოიფხვრება მრავალი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა, რომელიც დღეს დევნილი საზოგადოების უდიდეს ნაწილს გააჩნია.

რეკომენდაციები:

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს:

[1202]იხ. „ეკონომიკური და სოციალური მოწყვლადობა საქართველოში“, გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, 2013 წ.

- 2015 წელს, დევნილთა გრძელვადიანი განსახლების პროცესში, პრიორიტეტი მიანიჭოს იმ ობიექტებიდან დევნილთა განსახლებას, რომლებზეც არსებობს საექსპერტო დასკვნა, რომ ისინი ავარიულია
- დაიწყოს მუშაობა დევნილთა შესახებ ახალი კანონის დახვეწაზე, რათა მოხდეს ე.წ. საჭიროებებზე მორგებულ მიდგომაზე გადასვლა და აღნიშნულ პროცესში ჩართოს არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები
- გააძლიეროს მუშაობა დევნილთა ინფორმირებულობის გაზრდის მხრივ
- 2015 წელს დაგეგმილი მასშტაბური პრივატიზაციის პროცესში, დევნილებს, მათ მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე მიეწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია განსახლების ალტერნატივებისა და პრივატიზაციის პროცესის ნებაყოფლობითობის შესახებ
- დევნილთა გამოსახლების პროცესში გაითვალისწინოს ხარვეზები, რომელიც თან ახლდა 2014 წლის გამოსახლებების პროცესებს
- ბინების განაწილების პროცესი დაიგეგმოს სწორად, რათა არ განმეორდეს 2014 წლის განაწილების/კენჭისყრის პროცესში გამოკვეთილი ხარვეზები.

კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის უფლებები

საქართველოში მიმდინარე შეიარაღებულმა კონფლიქტებმა მძიმე დაღი დაასვა არა მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობას, არამედ, მის დემოკრატიულ განვითარებასაც. სწორედ ამიტომ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყურადღება მიქცეს კონფლიქტით დაზარალებულ პირებს, რომელიც ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 20-30%-ს შეადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ღია საბრძოლო მოქმედებები აღარ მიმდინარეობს, კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობა ჯერ ისევ მწვავედ განიცდის ომის შედეგებს და დღემდე ირღვევა მათი ფუნდამენტური უფლებები და თავისუფლებები.

მისასალმებელია, რომ საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის 2014-2015 წლის სამთავრობო სამოქმედო გეგმაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ოკუპირებულ ტერიტორიებსა და გამყოფი ხაზების სიახლოვეს მცხოვრები ადამიანების უფლებების დაცვას. სამოქმედო გეგმაში გაწერილია სახელმწიფო სტრუქტურების მიერ განსახორციელებელი ის ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. კონკრეტულად, საუბარია გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებზე, უსაფრთხოებისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე, ასევე ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანდაცვის და განათლების ხელმისაწვდომობაზე.

2014 წელს, სახალხო დამცველის აპარატმა გააქტიურა მუშაობა კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის და კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრები პირების უფლებრივი მდგომარეობის შესწავლის მიზნით. განხორციელდა არა ერთი შეხვედრა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების მოსახლეობასთან, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ პირებთან, ასევე, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური უფლებები

2009 წლიდან აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზებზე განლაგებულმა რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო ჯარებმა აქტიურად დაიწყეს საზღვრის გავლების სამუშაოები, რაც გულისხმობს მავთულხლართების და ღობეების გავლებას, თხრილების გაკეთებას, სათვალთვალო ბოძების ჩადგმას და მესაზღვრეების რეგულარულ პატრულირებას. სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზზე, რომლის საერთო სიგრძე 350 კმ-ია, მავთულხლართების და ღობეების გავლება დასახლებულ პუნქტებში, ძირითადად გორის და

ქარელის მუნიციპალიტეტებში მიმდინარეობს. დღეისათვის, მავთულხლართებია გავლებული დაახლოებით 50 კმ-იან მონაკვეთზე, ანუ საერთო პერიმეტრის 20%-ზე.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახების ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობა უმრავლეს შემთხვევაში მძიმეა და ამას რამდენიმე მიზეზი აქვს: უსაფრთხოების დაბალი დონე, სარწყავი წყლის არ ქონა, სახნავ-სათესი მიწებისა და საძოვრების დაკარგვა, უმუშევრობა. [1203]

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად, ორი არხი და ორი წყალსაცავი, რომლებიც სარწყავი წყლით ამარაგებდა შიდა ქართლის სოფლებს, საქართველოს ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიაზე დარჩა და დე ფაქტო ხელისუფლებამ გადაკეტა. ამის გარდა, გამყოფ ხაზზე განლაგებული სოფლების უმეტესობამ დაკარგა სახნავ-სათესი მიწები და საძოვრები, რითაც მოსახლეობის მთავარი შემოსავლის წყარო - სოფლის მეურნეობა და მესაქონლეობა - დაიკარგა. მაგალითისთვის, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კოშკაში და გუგუტიაანთკარში სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების დაახლეობით 50-60 % არაკონტროლირებად ტერიტორიაზეა მოქცეული. სოფელ ჯარიაშენში მცხოვრები 138 ოჯახიდან, 29 ოჯახმა დაკარგა კუთვნილი მიწების გარკვეული ნაწილი.

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხურვალეთის მოსახლეობის თქმით, 2008 წლის შემდეგ, უწყლობის გამო ისინი მიწებს ვეღარ ამუშავებდნენ, თუმცა, საქონელს მაინც ინარჩუნებდნენ, რადგან საძოვრებზე ხელი მიუწვდებოდათ. 2012-2013 წლებში მავთულხლართების გავლების შემდეგ, საძოვრებითაც ვეღარ ახერხებენ სარგებლობას. გარდა ამისა, გახშირებული დაკავებების გამო, მოსახლეობას ეშინია ტყეში შესვლა და ზამთარში შეშის მომარაგება. რადგანაც რეგიონი სრულად გაზიფიცირებული არ არის, შეშა იყო და არის გათბობის ერთადერთი საშუალება. იმ სოფლებში სადაც ტყით სარგებლობა შესაძლებელია, მოსახლეობა აცხადებს, რომ შეშის მარაგი ტყეში აღარ არის (კასპის მუნიციპალიტეტის სოფელი ხვითი, საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელი პერევი).

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში, ისევე როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში, მწვავედ დგას სუფთა სასმელი წყლის საკითხი, რაც მოსახლეობის ჯანმრთელობის უფლებას ლახავს. გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის განმარტებით, ჯანმრთელობის უფლება მრავალ სოციალურ და ეკონომიკურ ასპექტს

[1203] აღსანიშნავია, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების, ასევე ტყეებითა და საძოვრებით სარგებლობის პრობლემა ადგილობრივებისთვის მხოლოდ 2008 წლის შემდეგ გაჩნდა. მანამდე, შიდა ქართლის სოფლის მაცხოვრებლები შეუზღუდავად სარგებლობდნენ მათ კუთვნილებაში მქონე მიწის ფართებით, ასევე სოფლის ფარგლებში არსებული ტყითა და საძოვრებით.

მოიცავს, მათ შორის, უსაფრთხო სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობასა და სათანადო სანიტარულ პირობებს.[1204]

სსიპ სურსათის ეროვნულის სააგენტოს მიერ ჩატარებული ლაბორატორიული კვლევებით დგინდება, რომ შიდა ქართლის მრავალ სოფელში, მათ შორის გამყოფი ხაზის სოფლებსა და იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურ ჩასახლებებში სასმელი წყალი დაბინძურებულია.[1205] სახალხო დამცველისათვის ასევე ცნობილი გახდა კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხვითის შემთხვევა, სადაც მოსახლეობა დაბინძურებულ სასმელ წყალს უჩიოდა. საკითხის შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელს მიმართა. გამგეობიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2014 წელს, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში აშენდა წყლის რეზერვუარი, რომელიც მოეწყო მიწის ქვეშ, დახურულ მდგომარეობაში, შესაბამისად მასში დაბინძურების კერა ვერ მოხვდებოდა.[1206] თუმცა, დამოუკიდებელმა ლაბორატორიულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ წყალშემკრები ჭის (რეზერვუარის) ფსკერისა და კედლების ბეტონის საფარი დარღვეულია, ჭა არ იკეტება ჰერმეტულად, შესაბამისად, ნალექის დროს ჭაში ზედაპირული ჩამონადენი ხვდება. ამის გარდა, წყალი მიკრობიოლოგიურად დაბინძურებული აღმოჩნდა (კოლიფორმული ბაქტერიებითა და ფეკალური სტრეპტოკოკით), რაც ზრდის ნაწლავური ინფექციური დაავადებების რისკს.[1207]

საკუთრების უფლების დარღვევების ფაქტები 2008 წლის ომის დროს არ დასრულებულა. ეს პროცესი გრძელდება და ამაზე პასუხისმგებლობა რუსეთის ფედერაციას ეკისრება, გამომდინარე იქიდან, რომ სწორედ რუსეთის ფინანსური, სამხედრო, ადამიანური რესურსითა და მატერიალური დახმარებით ხდება მავთულხლართების გავლება, საოკუპაციო ხაზის აღჭურვა და კონტროლი.

მაგალითისთვის, მიუხედავად იმისა, რომ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯარიაშენში მავთულხლართები გაბმულია და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ აღმნიშვნელი ბანერიც დგას, 2015 წლის 3 თებერვალს, რუსმა მესაზღვრეებმა ადგილობრივ მკვიდრ შ.ს.-ს

[1204] იხილეთ ზოგადი კომენტარი N 4 (2000), The right to the highest attainable standard of health (article 12 of the International Covenant on Economic, Social and Cultural Rights), N E/C.12/2000/4. ინფორმაცია ხელმისაწვდომია <http://documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/G00/439/34/pdf/G0043934.pdf?OpenElement> [ბოლოს ნანახია 2015 წლის 12 მარტს].

[1205] შიდა ქართლის რომელ სოფლებშია სასმელი წყალი ბაქტერიებით დაბინძურებული, კახეთის საინფორმაციო ცენტრი, 4 დეკემბერ 2014. ინფორმაცია ხელმისაწვდომია <http://ick.ge/rubrics/society/20269-i.html> [ბოლოს ნანახია 2015 წლის 11 მარტს].

[1206] კასპის მუნიციპალიტეტის წერილი 2/62. 2015 წლის 14 იანვარი.

[1207] ანალიზი გაკეთებულია შპს გ. ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინოს ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ. 11.02.2015. ინფორმაცია მოწოდებულია გორის საინფორმაციო ცენტრისა და Saferworld-ის მიერ.

არ მისცა ბანერის მიმდებარედ საკუთარი მიწის ნაკვეთის დამუშავების საშუალება. თუ 2014 წლამდე, მოქალაქე სარგებლობდა თავისი საკუთრებით, ინციდენტის შემდეგ, იგი სავარაუდოდ ვეღარ შეძლებს მის გამოყენებას.[1208]

აღსანიშნავია, ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ღოღეთის 3 ოჯახის შემთხვევაც. მათ, 2013 წლის დასაწყისში, კუთვნილ ბაღში ნიორი დათესეს, მალევე, რუსმა მესაზღვრეებმა მათი ნაკვეთი ღობით შუაზე გაყვეს, რაც განსაკუთრებით ცხადი გახდა მაშინ, როდესაც დათესილი ნიორი ღობის ორივე მხარეს ამოვიდა. სახალხო დამცველის ხელთ არსებული ინფორმაციით, სოფელ ღოღეთში მცხოვრები 77 ოჯახიდან, მავთულხლართებს მიღმა მოჰყვა 19 ოჯახის მიწები.

მართალია, სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების რეგისტრაციისა და საკუთრების უფლების აღიარების საკითხი მთელს ქვეყანაში მოუწესრიგებელია, მაგრამ, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში, განსაკუთრებით კი შიდა ქართლის რეგიონში, ეს გაცილებით უფრო მწვავედ დგას მიწებით სარგებლობის შეზღუდვებიდან გამომდინარე. საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაციის არ არსებობის გამო, ადგილობრივები ვერ იყენებენ სამართლებრივ საშუალებებს თავიანთი უფლებების დასაცავად.

პრობლემას რამდენიმე შემადგენელი აქვს. პირველი, ის რომ წლების მანძილზე მოუწესრიგებელი საკომლო წიგნების, შესაბამის დოკუმენტაციის არ არსებობისა თუ არაფორმალური შეთანხმებების გამო, დღემდე ვერ ხერხდება მიწების რეგისტრაცია ან საკუთრების აღიარება. მეორე, მათაც კი ვისაც გააჩნიათ გარკვეული დოკუმენტაცია, სიდუხჭირის გამო, ვერ იხდის დაკანონებისათვის აუცილებელ თანხას, რომელიც სულ მცირე 150 ლარი ჯდება. დაურეგისტრირებელია არა მხოლოდ მიწები, არამედ მიწაზე არსებული სახლები და სხვა შენობა- ნაგებობებიც.

უდავოა, რომ სახელმწიფოს ქმედითი ზომების გარეშე ეს პრობლემა ვერ მოგვარდება. დოკუმენტაციის მოწესრიგება მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია მოსახლეობის საკუთრების უფლების დასაცავად და დარღვეული უფლებების შემთხვევაში, სამართლებრივი მექანიზმების გამოსაყენებლად.

უნდა აღინიშნოს, რომ გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში ქართველებთან ერთად, ცხოვრობენ ოსებიც, რომელებიც მეზობელი ქართველების მსგავსად ზარალდებიან. მძიმეა გაყოფილი ოჯახების ყოფაც, რომლებიც წლებია ვერ ახერხებენ გამყოფის ხაზის მიღმა დარჩენილი ოჯახის წევრების მონახულებას და ხშირ შემთხვევაში სატელეფონო კავშირსაც კი.

[1208] სახალხო დამცველის წარმომადგენლის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგები.

შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო, გამყოფი ხაზის სოფლებიდან მიგრაცია მაღალია. მოსახლეობის რაოდენობა უმრავლეს შემთხვევაში განახევრებულია. ისინი ცდილობენ შემოსავლის წყარო სოფელს გარეთ მოძებნონ. მაგალითისთვის, პერევის სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა ბოლო 10 წლის მანძილზე, თანდათან მცირდება, რაც დემოგრაფიული პრობლემის ერთერთი მთავარი ინდიკატორია

საჩხერის მუნიციპალიტეტის პერევის საჯარო სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა[1209]

წელი	I კლასი	XI კლასი
2004	12	17
2005	9	14
2006	10	17
2007	10	15
2008	3	17
2009	3	12
2010	11	14
2011	2	10
2012	7	11
2013	6	16
2014	4	6

სახალხო დამცველი წარმომადგენლების მიერ განხორციელებული მონიტორინგის დროს გორის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა აღნიშნავდა, რომ 2008 წლის ომის შემდგომ ბევრი მათგანი ჩაერთო სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების დახმარების პროგრამაში და იღებდა ფულად შემწეობას. მათი თქმით, დახმარების შეწყვეტა 2013 წლიდან ინტენსიურად დაიწყო, მაშინ როდესაც მათი არც საცხოვრებელი პირობები და არც შემოსავლის წყარო არ შეცვლილა.

[1209] საჩხერის მუნიციპალიტეტის პერევის საჯარო სკოლის ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.



	2008 დეკ	2009 დეკ	2010 დეკ	2011 დეკ	2012 დეკ	2013 დეკ	2014 დეკ
გორის მუნიციპალიტეტი	4,426	6,097	6,875	7,767	9,059	8,363	7,634
კასპის მუნიციპალიტეტი	2,535	2,706	2,743	3,026	3,554	3,554	3,598
ქარელის მუნიციპალიტეტი	1,921	2,815	3,696	4,191	4,753	4,245	3,809

წყარო: სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო

განსაკუთრებით მძიმე სოციალური ფონია კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში მცხოვრებ ხანდაზმულთა შორის. ომის დროს, მათმა დიდმა ნაწილმა სახლები არ მიატოვა და საომარი მოქმედებების უშუალო მომსწრე გახდა. რუსი და ოსი სამხედროების მიერ ტყვედ აყვანილთა შორის, უმეტესობა ხანდაზმული ადამიანი იყო.[1210] მაგრამ, სახელმწიფოს მხრიდან არ მომხდარა მათთვის სისტემატური ჯანდაცვისა თუ ფსიქოლოგიური დახმარების გაწევა, რამაც კიდევ უფრო გააუარესა მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა. მაღალი მიგრაციის გამო, დიდია მარტო დარჩენილ მოხუცებულთა რიცხვიც. სახალხო დამცველის აპარატს არაერთმა მათგანმა მიმართა საარსებო შემწეობის მიღებაში დახმარების თხოვნით.

ამის გარდა, შიდა ქართლის გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში შეზღუდულია მობილური კავშირი. მოსახლეობის განცხადებით, ამის მიზეზი არის ფიჭური კავშირგაბმულობის ანძების არასაკმარისი რაოდენობა, რის გამოც გამყოფი ხაზის სოფლებში მობილური კავშირის სიხშირე ან შეზღუდულია ან საერთოდ არ არის. გარკვეულ შემთხვევებში, ასევე ხდება მობილური კავშირის ჩახშობაც საქართველოს ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებადი ტერიტორიიდან. სახალხო დამცველის ხელთ არსებული ინფორმაციით, მობილური კავშირი შეზღუდულია შემდეგ სოფლებში: დვანი, ერგნეთი,

[1210] Human Rights Watch, „ცეცხლის ალში: საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევა და დაზარალებული მშვიდობიანი მოსახლეობა სამხრეთ ოსეთში განვითარებული კონფლიქტის დროს“ 2009 წლის იანვარი. ინფორმაცია ხელმისაწვდომია <http://www.hrw.org/sites/default/files/reports/georgia0109web.pdf> [ბოლოს ნანახია 2015 წლის 16 მარტს].

გუგუტიაანთკარი, ფლავი, ზარდიაანთკარი, ხურვალეთი, დიცი, ნიქოზი, ქვემო არცევი, მერეთი, კოშკა, კოშკები და ატოცი. შექმნილი მდგომარეობის გამო, მოსახლეობა ვერ ახერხებს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ან პატრულის გამოძახებას. გამომდინარე იქიდან, რომ სოფლები კონფლიქტურ ზონაში მდებარეობს, სადაც მუდმივად არის უსაფრთხოების პრობლემები, სატელეფონო კავშირის არქონამ, შესაძლოა, სავალალო შედეგები მოუტანოს მოქალაქეების სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას. აღნიშნული პრობლემის თაობაზე, სახალხო დამცველმა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიას აცნობა.

მდგომარეობა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარდიაანთკარში

ზარდიაანთკარი გორის მუნიციპალიტეტის ერთერთი ყველაზე პატარა სოფელია, თუმცა, იგი ერთადერთია (პერევის გარდა), სადაც 2008 წლის ომის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ კონტროლის აღდგენა მოახერხა. ომის დროს, სოფელი სხვა სოფლებთან შედარებით მეტად დაზარალდა და მოსახლეობა კვლავაც არ დაბრუნებულა საკუთარ სახლებში. ზარდიაანთკარის ბევრი პრობლემის განზოგადება და სხვა სოფლებზე გავრცობა შესაძლებელია. თუმცა, ეს სოფელი დღემდე რჩება შიდა ქართლის კონფლიქტით დაზარალებულ სოფლებს შორის ერთ-ერთ ყველაზე სავალალო მდგომარეობაში მყოფ სოფლად და პრობლემების დროულად მოუგვარებლობის შემთხვევაში, მის ეკონომიკურ სიცოცხლისუნარიანობას საფრთხე ემუქრება.

კერძოდ, 2008 წლის საომარი მოქმედებების დროს, სახლების უმეტესობა მნიშვნელოვნად დაზიანდა და საცხოვრებლად უვარგისია, მაგრამ დაზიანებული სახლებისათვის კომპენსაცია 15 ათასი დოლარიც მხოლოდ იმ სამმა ოჯახებმა მიიღო, რომელთა სახლებიც მთლიანად იყო დამწვარი. შესაბამისად, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ 2008 წლის ომის შედეგების აღმოსაფხვრელი სამუშაოები სოფელში არ ჩატარებულა, თუ არ ჩავთვლით ორ ოჯახს, რომელმაც სახურავის შესაკეთებლად რამდენიმე ცალი შიფერი მიიღო.

მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებიდან გამომდინარე, ზარდიაანთკარელების დიდმა ნაწილმა გორის საბავშვო ბაღში დარჩენა და იქ ახალი შესაძლებლობების ძიება არჩია. ეს რეალურად, ნიშნავს იმას, სოფელი საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზეა მაგრამ მოსახლეობა მუდმივ დაბრუნებაზე უარს ამბობს. ისინიც კი, ვინც დაბრუნდა სოფელში, საომარი მოქმედებების განახლების შიშით გორის საბავშვო ბაღში ფართს არ თმობს, რადგან ომისა და ხელახალი დევნილობის შემთხვევაში, სურთ ჰქონდეთ გარანტირებული თავშესაფარი. საბავშვო ბაღს შეკედლებული მოსახლეობა კი იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსს და თანმდევ სოციალური პაკეტს ვერ იღებს, რადგან

მათი სახლები საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მდებარეობს.

გორის საბავშვო ბაღში მცხოვრები მოსახლეობისთვის განკუთვნილი ფართი სავალალო მდგომარეობაშია: მოშლილია სველი წერტილები, გაფუჭებულია იატაკი, დერეფნებს არ აქვს ფანჯრები, თითო ოჯახისთვის გათვალისწინებულია მხოლოდ ერთი ოთახი. გარდა ამისა, საბავშვო ბაღს შეკედლებული მოსახლეობა ვერც სახელმწიფოს იმ პროგრამებით სარგებლობს, რომელიც კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობისთვისაა განკუთვნილი, მაგალითად შეშით უზრუნველყოფის პროგრამა. საბავშვო ბაღში შეყვანილი არ არის ბუნებრივი აირი, ელექტროენერგიის გადასახადს კი მოსახლეობა საკუთარი სახსრებით ფარავს.

მდგომარეობა ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ატოცში

სოფელი ატოცი გამყოფ ხაზზე მდებარეობს, რაც სოფლისათვის მრავალი პრობლემის წყაროა. თუმცა, ადგილობრივებისათვის ყველაზე მტკივნეული არის სკოლის და გზის პრობლემა. ატოცის საჯარო სკოლა, სადაც 51 მოსწავლე სწავლობს, ავარიულია და მძიმეა შენობაში არსებული პირობები. თუმცა, სკოლის ადმინისტრაციას ექსპერტიზის დასკვნა სკოლის ავარიული მდგომარეობის შესახებ არ აქვს. ამის გარდა, ამორტიზირებულია სოფლამდე მისასვლელი დაახლოებით 3 კმ-იანი მონაკვეთი. გადაადგილება ნალექიან ამინდში იმდენად რთულია, რომ სასწრაფო დახმარების მანქანა ვერ ახერხებს სოფლამდე მისვლას. იმ პირობებში, როდესაც სოფელს ასევე არ ჰყავს ექიმი და ექთანი, ასფალტირებული გზის უქონლობა სერიოზულ პრობლემას უქმნის არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის ცენტრთან კომუნიკაციას, არამედ პირველადი ჯანდაცვის ხელმისაწვდომობასაც.

მდგომარეობა კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხვითში

სარწყავი წყლის პრობლემა სოფელს 1993 წლიდან აწუხებს, მას შემდეგ რაც სატუმბი სადგური გამოვიდა მწყობრიდან. აღსანიშნავია, რომ მეზობელ სოფლებს - თვაურებს, ლამისყანას, ბოჟამს, სამთავისს - სარწყავი წყალი მიეწოდებათ თეზი-ოკამის სარწყავი არხიდან. სატუმბი სადგურის აღდგენის შემთხვევაში, შესაძლებელია, რომ სარწყავი წყალი მიეწოდოს სოფელ ხვითსაც ამავე არხიდან. კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის ცნობით, სოფელ ხვითის სრულად უზრუნველსაყოფად საჭიროა 500 000 ლარი, რომელიც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს არ გააჩნია. ხვითის სატუმბი სადგურის რეაბილიტაციის პროექტი ასევე არ მოხვდა საქართველო სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2015-2017 წლებში კასპის მუნიციპალიტეტში დაგეგმილი პროექტების სიაში.

მდგომარეობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ხურჩაში

სოფელი ხურჩა აფხაზეთის გამყოფ ხაზზე მდებარეობს და 1992-93, 1998 და 2008 წლების ომისა და დაპირისპირების გამო მნიშვნელოვნად დაზარალდა. მოსახლეობას სოციალური და საყოფაცხოვრებო ხასიათის პრობლემები აწუხებს: სოფელში არ არის დაწყებითი სკოლა და ამბულატორია; მოუხერხებელი განრიგით მოძრაობს მუნიციპალიტეტის ცენტრთან დამაკავშირებელი ტრანსპორტი; მოსახლეობა ითხოვს მდინარე ენგურის ნაპირის გამაგრებასა და 1993-1998 წლებში საომარი მოქმედებების შედეგად მიყენებული ზარალის გამო სახელმწიფო კომპენსაციას.

სოფელ ხურჩაში ელექტროენერგიის სადენები არის მოძველებული, ბოძები ამორტიზირებული და ხშირ შემთხვევაში უსაფრთხო არ არის მოსახლეობისათვის. თუმცა, პრობლემას ქმნის ის ფაქტი, რომ სოფელი ელექტროენერგიით აფხაზეთის არაკონტროლირებადი ტერიტორიიდან მარაგდება და რადგანაც საქართველოში მოქმედი კომპანია არ ახდენს სოფლის ელექტროენერგიით უზრუნველყოფას, შესაბამისად, მათი განცხადებით, არც სარემონტო სამუშაოებზეა პასუხისმგებელი.

მდგომარეობა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ფახულანში

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ფახულანი აფხაზეთის გამყოფ ხაზზე მდებარეობს. 2013 წელს სოფელში მავთულხლართები გაიბა, რის შედეგადაც ერთი ოჯახი მავთულხლართის მიღმა დარჩა. სახალხო დამცველის აპარატმა აღნიშნული ოჯახისთვის ალტერნატიული საცხოვრებელი ფართის გამოყოფის და დევნილის სტატუსის მინიჭების საკითხი დააყენა. მავთულხლართები გავლებულია მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებში, რაც უზღუდავთ მიწით სარგებლობის საშუალებას და იწვევს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუარესებას. მოცემულ ტერიტორიაზე ხშირია მოქალაქეების დაკავებები რუსი და აფხაზი სამხედროების მიერ. მოსახლეობის განმარტებით, დაკავებებს იშვიათად, გაფრთხილების მიზნით, სროლებიც ახლავს თან.

ასევე, პრობლემატურია უსაფრთხოების საკითხი. ადგილობრივები აცხადებენ, რომ რუსი მესაზღვრეები საღამოს საათებში სოფლის ტერიტორიაზე შედიან. ამის გამო, მოსახლეობა სოფელში შინაგან საქმეთა სამინისტროს (პოლიციის) საგუშაგოს განთავსებას ითხოვს. სახალხო დამცველის მიერ დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც მოქალაქე უსაფრთხოების არ ქონის გამო სახლში ვერ რჩება.

სახელმწიფო პროგრამები კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობისათვის და გამოწვევები

2013 წელს, საქართველოს ხელისუფლებამ, კონფლიქტით დაზარალებულად ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მიმდებარე შიდა ქართლის და სამეგრელოს დაახლოებით 50 სოფლისათვის სპეციალური პროგრამა შეიმუშავა, რაც გულისხმობს ინტენსიურ გაზიფიცირებას და სარწყავი წლის სისტემის რეაბილიტაციას, ამბულატორიების და საბავშვო ბაღების მშენებლობას, სხვა ინფრასტრუქტურულ მოწყობას, უმაღლესი განათლების სრულ დაფინანსებას, და აშ.

2013 წლის ოქტომბერში შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროს თანა-თავმჯდომარეობით საფუძველი ჩაეყარა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებით სამთავრობო კომისიას (შემდგომში სამთავრობო კომისია), რომელმაც არაერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო მავთულხლართების გავლების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის კეთილდღეობის და უფლებების გასაუმჯობესებლად.

2014 წელს კონფლიქტით დაზარალებულ სოფლებში ინტენსიურად მიმდინარეობდა გაზიფიცირების სამუშაოები, რაზეც მთავრობამ 19 მილიონი ლარი გამოყო. ენერგეტიკის სამინისტროს ინფორმაციით, გამყოფ ხაზთან მდებარე 58 სოფლიდან, 33-ში გაზიფიცირება დასრულდა. თითოეული ოჯახისათვის, სახლში გაზის შეყვანას ერთ წერტილზე და ინდივიდუალური გამრიცხველინების სამუშაოები უფასოდ ხორციელდება.[1211]

ასევე, ინტენსიურად მიმდინარეობდა შიდა ქართლში სარწყავი სისტემის რეაბილიტაციაც. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ცნობით, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით, დასრულდა სალთვისი-ტირიფონის საირიგაციო სისტემის რეაბილიტაცია, რის შედეგადაც შიდა ქართლში გამყოფი ხაზის მიმდებარე 39 სოფლის 20 ათას ჰექტრამდე მიწის სარწყავი სისტემა გაუმჯობესდა, რაც 18 ათას ოჯახს მოუტანს სარგებელს.[1212] 2008 წლამდე ტირიფონის საირიგაციო სისტემით გორის მუნიციპალიტეტის სოფლების დიდი

[1211] ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებს: ზემო და ქვემო ნიქოზს, ზემო ხვითსა და ერგნეთს დღეიდან ბუნებრივი აირი მიეწოდება, ენერგეტიკის სამინისტრო, 4 მარტი 2015. ინფორმაცია ხელმისაწვდომია <http://www.energy.gov.ge/show%20news%20mediacenter.php?id=414&lang=geo> [ბოლოს ნანახია 2015 წლის 10 მარტს].

[1212] პროექტის ღირებულება დაახლეობით 14 მილიონი ლარი იყო. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ 2 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის ანგარიში. ინფორმაცია ხელმისაწვდომია <http://www.smr.gov.ge/2014angarishi.pdf> [ბოლოს ნანახია 2015 წლის 2 თებერვალს]. იხილეთ ასევე „სალთვისი-ტირიფონის საირიგაციო სისტემის რეაბილიტაცია დასრულდა“, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო. ინფორმაცია ხელმისაწვდომია <http://www.mrdi.gov.ge/ge/news/press/54059ac60cf23064fe48cc9d> [ბოლოს ნანახია 2015 წლის 10 მარტს].

ნაწილი სარგებლობდა, მაგრამ ომის შემდეგ დე-ფაქტო ხელისუფლებამ არხი გადაკეტა. ასევე, 2014 წელს შიდა ქართლში მოწესრიგდა 6 სარწყავი წყლის სატუმბი სადგური.

აღსანიშნავია, რომ გაწეული ინფრასტრუქტურული სამუშაოების საბოლოო შედეგი ჯერ-ჯერობით არ დამდგარა და 2014-2015 წლის ზამთარს, შიდა ქართლის მოსახლეობის დიდი ნაწილი კვლავ გაზისა და სარწყავი წყლის გარეშე შეხვდა. თუმცა, ახლო მომავალში, ეს ღონისძიებები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას

მავთულხლართების გავლების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად მნიშვნელოვანი პროგრამები განახორციელეს დონორმა ორგანიზაციებმა, მათ შორის გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა (UNHCR), გაეროს განვითარების პროგრამამ (UNDP), თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტომ (TIKA), მსოფლიო ბანკმა, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (USAID) და აშ.

განათლების უფლების რეალიზაციის თვალსაზრისით, საქართველოს მთავრობის #501 დადგენილებით, სახელმწიფო გრანტით უზრუნველყოფილ იქნენ 2014-2015 სასწავლო წელს, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტები, მათ შორის:

- 170 სტუდენტი, რომლებიც ბოლო ორი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, ან რომელთა სრული ზოგადი განათლების აღიარება მოხდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით;
- სტუდენტები, რომლებიც 2008 წლის 7 აგვისტომდე, ბოლო ერთი წლის განმავლობაში სწავლობდნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ხოლო სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს ოკუპირებული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, აქედან: აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, მათ შორის, აჟარის მუნი-ციპალიტეტში – 90 სტუდენტი; ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიები), მათ შორის, ქურთის, ერედვისა და ახალგორის მუნიციპალიტეტებში – 75 სტუდენტი; და საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევში – 5 სტუდენტი.
- 50 სტუდენტი, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს ოკუპირებული

ტერიტორიის საზღვრისპირა სოფლებში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. [1213]

მნიშვნელოვანი ინიციატივა იყო, 2014 წლის მაისში საქართველოს პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში განათლების საერთაშორისო ცენტრის შექმნაც, რომლის მიზანია ქვეყნის მოსახლეობისათვის, მათ შორის საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირებისათვის, ევროპისა და აშშს წამყვან უნივერსიტეტებში სამაგისტრო და სადოქტორო სწავლების შესაძლებლობის მიცემა.

აღსანიშნავია, რომ სამთავრობო კომისიის 2014 წლის ოქტომბრის სხდომაზე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების 600 სტუდენტების დაფინანსების შესახებ. ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს სიებს შედგენა დაევალათ, თუმცა, ცდომილებების გამო, ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრომ მოწოდებული სიები მუნიციპალიტეტებს უკან დაუბრუნა გადასამოწმებლად. ამის გარდა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სამართლებრივი შეზღუდვების გამო ვერ მოახერხა დროულად უნივერსიტეტებისათვის თანხის გადარიცხვა. შედეგად, 2014-2015 აკადემიური წლის საფასური 2015 წლის მარტის დასაწყისში ჯერ ისევ არ იყო დაფარული.

აღნიშნულმა შეფერხებამ პრობლემები შეუქმნა სტუდენტებს, რომლებიც სწავლის გადასახადის გადაუხდელობის გამო სტატუსის შეჩერების საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. რამდენიმე შემთხვევაში, სახალხო დამცველის აპარატს ჩარევაც მოუხდა (სოფლები: კირბალი, ატოცი, წითელუბანი). სამწუხაროდ, სტუდენტთა დაფინანსების პროგრამის შესახებ უმაღლესი სასწავლებლები ინფორმირებულნი არ არიან და სტუდენტებს თანხის დაფარვას ავალდებულებენ. ასეთი შემთხვევები კარგი ინიციატივების არაეფექტურად განხორციელების მაგალითია.

ჯანმრთელობის დაცვის უფლებისა და პირველადი ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად 2013-2014 წლებში, გამყოფი ხაზის 23 სოფელში მოეწყო ამბულატორიები. ამის გარდა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხში მიმდინარეობს მრავალპროფილიანი, თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი, საუნივერსიტეტო კლინიკის მშენებლობა, თავისი საერთო საცხოვრებელით, რომელიც თბილისის, ქუთაისის, ზუგდიდისა და სხვა ქალაქების საავადმყოფოების გარდა დამატებით მოემსახურება ოკუპირებული რეგიონების მაცხოვრებლებს. ხოლო, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავში შენდება ახალი გადაუდებელი დახმარების ცენტრი.

[1213] „სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსება ბაკალავრებისათვის“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ინფორმაცია ხელმისაწვდომია < http://mes.gov.ge/content.php?id=4791&lang=geo> [ბოლოს ნანახია 2015 წლის 15 თებერვალს].

კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებების დაცვისა და ნდობის აღდგენის მიზნით, საქართველოს ხელისუფლებამ 2010 წელს დაამტკიცა „რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამა“ (შემდგომ რეფერალური პროგრამა), რის საფუძველზეც ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოქალაქეებს შესაძლებლობა მიეცათ ისარგებლონ უფასო სამედიცინო მომსახურებით. აღნიშნული პროგრამა კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების პოლიტიკის ყველაზე წარმატებული მიმართულება აღმოჩნდა.

პროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო დახმარების კომპონენტი ვრცელდება ოკუპირებული ტერიტორიებზე მცხოვრებ იმ პირებზე, რომლებიც არ მონაწილეობენ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ სხვა სოციალურ პროგრამაში. შესაბამისად, რეფერალური პროგრამა არ ვრცელდება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ იმ პირებზე, რომლებსაც საქართველოს მოქალაქეობა აქვთ, რადგან ისინი მონაწილეობენ სხვადასხვა სოციალურ პროგრამებში (მაგალითად, საყოველთაო დაზღვევის პროგრამა, იძულებით გადაადგილებულ პირთა სტატუსი და მასთან დაკავშირებული შემწეობა და ა.შ.);

სახალხო დამცველისათვის ასევე ცნობილი გახდა ორი შემთხვევის შესახებ, როდესაც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, გალის რაიონის ორმა მკვიდრმა ვერ ისარგებლა სახელმწიფო დაფინანსებით. ერთმა პაციენტმა მიმართა რეფერალურ კომისიას მკურნალობის ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნით, მაგრამ იგი საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში გადაამისამართეს და მკურნალობის ხარჯების თანადაფინანსება მოუწია (1800 ლარიდან 1000 ლარი გადაიხადა პაციენტმა). მეორე შემთხვევაში, პაციენტს უარი უთხრეს რეფერალურ კომისიაზე მისი საკითხის გატანაზე. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში პაციენტს ურჩიეს ესარგებლა საყოველთაო დაზღვევით.

სახალხო დამცველის ხელთ არსებული ინფორმაციით, გალის რაიონში მოსახლეობის სერიოზულ უკმაყოფილებას იწვევს ასეთი მიდგომა, რადგან ხშირ შემთხვევაში ეს პრაქტიკა მოქალაქეობის ნიშანზე გადის. ანუ, ის პირები, რომლებიც საქართველოს მოქალაქეები არიან და სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობენ, ძირითადად ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ეთნიკურად ქართველი, საქართველოს მოქალაქეობის მქონე მოსახლეობაა. მათთვის მკურნალობის თუნდაც 30%-ის თანადაფინანსება მძიმე ფინანსური ტვირთია. აღნიშულ საკითხთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, სადაც აღნიშნულია, რომ აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ყველა პაციენტი თანაბარ პირობებში უნდა იყვნენ ჩაყენებული და მათდამი ერთგვაროვანი მიდგომა უნდა იყოს შემუშავებული

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დადებითად გადაწყდა სახალხო დამცველის მიმართვები გალის რაიონში მცხოვრები (მათ შორის, საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირების) სამი პაციენტის თაობაზე, რომელთა მკურნალობაც სრულად დაფინანსდა პროგრამის ფარგლებში.

რაც შეეხება სოციალურ პროგრამებს, ისინი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით საქართველოს მოქალაქეებისთვისაა გათვლი და შესაბამისად, არ არის ხელმისაწვდომი აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ადამიანებისათვის, რომელთაც საქართველოს მოქალაქეობა არ გააჩნიათ. ე.წ. ოსური და აფხაზური პასპორტები, ისევე როგორც ოკუპირებულ ტერიტორიებზე გაცემული სხვა ოფიციალური დოკუმენტები არალეგიტიმურია და იურიდიული ძალა არ აქვს. თუმცა, პირის იდენტიფიკაციის მიზნით, არის ამ პასპორტების გამოყენების პრეცედენტები. მაგალითად, აფხაზეთიდან ან ცხინვალის რეგიონიდან გადმოსულმა პიროვნებამ, რომელსაც საქართველოს რეფერალური პროგრამის ფარგლებში უფასოდ მკურნალობა სურს, იდენტიფიკაციისათვის სწორედ აფხაზური ან ოსური პასპორტი უნდა წარმოადგინოს. გარდა ამისა, ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი ასევე განმარტავს, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, უკანონო ორგანოების მიერ გაცემული აქტები ასევე უკანონოა „გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული აქტი გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის გაცემის მიზნებისათვის.“

ასევე, ე.წ. ოსური და აფხაზური პასპორტები გამოიყენება მაშინაც, როდესაც ოჯახის წევრები ჩამოდიან საქართველოს ციხეებში პატიმრების მოსანახულებლად. ასეთი პრეცედენტები მხოლოდ დადებითად შეიძლება შეფასდეს, რადგან ის ერთი მხრივ, ხელს უწყობს ადამიანის უფლებების დაცვას და მეორე მხრივ, შესაძლებელს ხდის გამყოფი ხაზებით დაშორებულ საზოგადოებებს შორის კონტაქტებისა და ნდობის აღდგენას.

საქართველოს ხელისუფლებას აკისრია ვალდებულება დაიცვას კონფლიქტური რეგიონების მკვიდრი მოსახლეობის უფლებები და უზრუნველყოს მათთვის სოციალურ პროგრამებზე ხელმისაწვდომობა, საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის არ ქონის მიუხედავად. საქართველოს სახალხო დამცველისათვის ცნობილი გახდა ისეთი შემთხვევის შესახებაც, როდესაც ე.წ. ოსური პასპორტის მქონე მოქალაქეს უარი ეთქვათ სოციალური დახმარებაზე:

მოქალაქე ნ.პ.-ს საქმე

სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე ნ.პ.-მ, რომელიც ცხინვალში მცხოვრები სიძისთვის შრომითი მოვალეობის შესრულებისას მისი ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად ყოველთვიურ დახმარებას ითხოვს. ეს საკითხი 2013

წლის 1 მარტის საქართველოს მთავრობის №45 დადგენილებით რეგულირდება. თუმცა, დახმარებით სარგებლობა *შეუძლია მხოლოდ საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირს* და ამ მოტივით, სოციალური მომსახურების სააგენტომ ცხინვალში მცხოვრები მოქალაქისთვის, რომელიც ე.წ. სამხრეთ ოსეთის პასპორტის მფლობელია, დახმარების დანიშვნაზე უარი განაცხადა.

საქმის სრულყოფილად შესწავლის შემდეგ, სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს. წინადადებაში აღნიშნულია, რომ ე.წ. ოსური და აფხაზური პასპორტების, როგორც საიდენტიფიკაციო დოკუმენტის გამოყენების პრაქტიკა ქვეყანაში არსებობს. შესაბამისად, კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ მოსახლეობას უნდა შეეძლოს ისარგებლონ სხვა სოციალური თუ საგანმანათლებლო პროგრამებით ამ დოკუმენტების საშუალებით.

სახალხო დამცველის მოსაზრებით, საწყის ეტაპზე ცვლილებები უნდა შევიდეს შემდეგ საკანონმდებლო და ნორმატიულ აქტებში, რომლებიც საშუალებას მისცემს კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას, ისარგებლოს საქართველოს ხელისუფლების მიერ შეთავაზებული სოციალური და საგანმანათლებლო პროგრამებით:

- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის დადგენილება №291 სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2014 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ;
- საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის დადგენილება №45 შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე;
- საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 1 დეკემბრის ბრძანება №1067.

მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა არაერთხელ ისაუბრეს ამ საკითხზე, მათ შორის „ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით“ შექმნილი სამთავრობო კომისიის სხდომაზეც, დღემდე საკითხის ირგვლივ შინაარსობრივი დისკუსია და ქმედითი ნაბიჯების გადადგმა არ დაწყებულა.

პრემიერ–მინისტრის აპარატმა სახალხო დამცველის წინადადება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან გადაამისამართა, ხოლო ჯანდაცვის სამინისტრომ, ცვლილებების პაკეტის მომზადების ნაცვლად, სახალხო დამცველს აცნობა, რომ „ფულადი დახმარებებით/სერვისებით სარგებლობასთან მიმართებაში ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოქალაქეებისათვის შესაბამისი ღონისძიებების

დაგეგმვის/განხორციელების საკითხები განხილული იქნას უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის ფორმატში“. წერილიდან გაურკვეველია რომელ უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფზეა საუბარი ან როდისთვის იგეგმება განხილვა. სახალხო დამცველის აპარატი აგრძელებს ამ საკითხზე მუშაობას.

გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა და უსაფრთხოების პრობლემები

ისევე როგორც წინა წლებში, 2014 წელსაც მოსახლეობის უსაფრთხოების სერიოზულ პრობლემად რჩება დაკავებები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზზე. სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა პირადად მოინახულეს დაკავებული პირები შიდა ქართლისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის გამყოფი ხაზის სოფლებში. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, 2014 წელს, რუსმა სამხედროებმა, „საზღვრის უკანონო გადაკვეთის“ ბრალდებით, სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზზე 142 პირი დააკავეს, აფხაზეთის მიმართულებით კი 380, რომელთა უმეტესობა გალის რაიონის მკვიდრია.

განსხვავებულ ინფორმაციას ავრცელებს აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში განლაგებული რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის (ФСБ) საზღვრის დაცვის სამსახური, რომლის განცხადებითაც 2014 წლის იანვარი-სექტემბრის მონაცემებით, მათ დააკავეს 3 500-ზე მეტი ადამიანი,[1214] ხოლო, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში აფხაზეთის „სახელმწიფო საზღვრის დარღვევისათვის“ დაკავებული იქნა 10 000-ზე მეტი ადამიანი და 1 000-ზე მეტი სატრანსპორტო საშუალება, აღკვეთილი იქნა 800-ზე მეტი „კონტრაბანდის“ შემთხვევა.[1215] რაც შეეხება სამხრეთ ოსეთის მიმართულებით, ოსური დე ფაქტო სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის (КГБ) განცხადებით, 2014 წელს, „სასაზღვრო რეჟიმის“ დარღვევის გამო სულ დაკავებული იყო 493 ადამიანი, აქედან 249 ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოქალაქე, 140 საქართველოს მოქალაქე, 75 რუსეთის მოქალაქე და 29 სხვა ქვეყნების მოქალაქეები.[1216] 2013, წელს დაკავებულთა საერთო რაოდენობა ამავე სამსახურის მონაცემებით, 331 იყო, მათ შორის 136

[1214] С начала года задержаны 3,5 тыс нарушителей границы Абхазии с Грузией, რია ნოვოსტი, 01.10.2014 ინფორმაცია ხელმისაწვდომია < http://ria.ru/incidents/20141001/1026508132.html> [ბოლოს ნანახია 2015 წლის 10 თებერვალს].

[1215] Погрануправление ФСБ России в Абхазии отмечает пятую годовщину со дня образования,“ აფსნიპრესი, 28.04.2014. ინფორმაცია ხელმისაწვდომია http://apsnypress.info/news/11823.html> [ბოლოს ნანახია 2015 წლის 10 თებერვალს].

[1216] В 2014 году в Южной Осетии зарегистрировано 493 факта нарушения госграницы – КГБ, საინფორმაციო სააგენტო რეს, 27.01.2015. ინფორმაცია ხელმისაწვდომია <http://cominf.org/node/1166504080> [ბოლოს ნანახია 2015 წლის 10 თებერვალს].

ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოქალაქე, 143 საქართველოს მოქალაქე და 52 სხვა ქვეყნის მოქალაქეები.[1217]

2013 წელს ქართულ-აფხაზურ გამყოფ ხაზზე, ენგურის ხიდის საკონტროლო გამშვები პუნქტის გარდა, კიდევ 4 პუნქტი გაიხსნა (ფახულანი-ჭალე; თაგილონი-შამგონა, ოტობაია-განმუხური, ხურჩა-ნაბაკევი), რომლით სარგებლობის უფლება მხოლოდ გალის რაიონის მოსახლეობას აქვს აფხაზური პასპორტისა და ე.წ. ფორმა N9-ის ფლობის შემთხვევაში. გამომდინარე იქიდან, რომ აფხაზური პასპორტი და ფორმა N9 გალის რაიონში მცხოვრები მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს არ აქვს, მათ შემოვლითი გზებით უწევს საქართველოს კონტროლირებად ტეროტორიაზე მოხვედრა, რაც დაკავების რისკთან არის დაკავშირებული. სწორედ ამით აიხსნება აფხაზეთის გამყოფ ხაზზე დაკავებების ესოდენ მაღალი სტატისტიკა. საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთათვის, მათ შორის მიმდებარე სოფლების მკვიდრთათვის, გამყოფი ხაზის გადაკვეთა აკრძალულია დე ფაქტო ხელისუფლების მიერ.

4 ახალი გამშვები პუნქტის გახსნა დადებითი მოვლენა იყო ადგილობრივი მოსახლეობის გადაადგილების თავისუფლების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. სოფლის მოსახლეობას აღარ უწევთ საათობით მგზავრობა ენგურის ხიდამდე მისაღწევად, რომელიც ფინანსურ ხარჯთანაც იყო დაკავშირებული. თუმცა, აფხაზეთში, 2014 წელს განვითარებული პოლიტიკური ცვლილების შემდეგ, დღის წესრიგში კვლავ დადგა ზემოთ აღნიშნული 4 პუნქტის გაუქმების საკითხი. ასეთი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, აშკარაა რომ გაიზრდება შემოვლითი გზებით მოსარგებლე ადამიანების რაოდენობა, შესაბამისად, დაკავებულთა რაოდენობაც, რითაც კიდევ უფრო გაუარესდება ადამიანის უფლებების მდგომარეობას აფხაზეთში.

გადაადგილების თავისუფლების თვალსაზრისით კიდევ უფრო რთული ვითარებაა სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზზე, რადგან იქ ერთადერთი მოქმედი გამშვები პუნქტი არის ახმაჯი-მოსაბრუნის პოსტი, რომლით სარგებლობაც მხოლოდ ახალგორის რაიონის მკვიდრთ შეუძლიათ, ისიც სპეციალური საშვების საფუძველზე. საკითხის სირთულე გამოიხატება იმაში, რომ 2014 წელს დე ფაქტო ხელისუფლებამ შეზღუდა ახალგორის რაიონის მკვიდრთათვის საშვების გაცემა, რამაც რაიონში სერიოზული დაძაბულობა გამოიწვია. მაისის თვეში, მოსახლეობის უმრავლესობას თითქმის ერთი თვის მანძილზე შეეზღუდა გადაადგილება. შემდეგ კი, საშვები გაიცა ქაოტურად, გაურკვეველი კრიტერიუმებით, ხოლო უარის თქმის შემთხვევაში ახსნა-განმარტებების გარეშე. დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ოჯახის ზოგიერთ წევრზე გაიცა საშვი, მაგალითად 2 წლის ბავშვზე, მაგრამ დედას უარი

[1217] В 2013 году в Южной Осетии зарегистрировано 331 факт нарушения режима пересечения госграницы, ოსრადიო, 10.01.2014. ინფორმაცია ხელმისაწვდომია http://osradio.ru/raznoe/67403-v-2013-godu-v-juzhnojj-osetii-zaregistrirovano.html> [ბოლოს ნანახია 2015 წლის 10 თებერვალს].

ეთქვა. სახალხო დამცველის წარმომადგენელი ასევე ესაუბრა თბილისში სასწავლებლად მყოფ სტუდენტებს, რომელთაც საშვები ვერ მიიღეს და ვეღარ ახერხებენ ახალგორში დაბრუნებას და მშობლების მონახულებას, მშობლებს კი საშვის არ ქონის გამო, ახალგორის დატოვების საშუალება არ აქვთ.

იმ პირებმა, ვინც ვერ მიიღო საშვი და ესაჭიროებათ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლა, ახალგორის „კაგებემ“ გამოსავალი შესთავაზა: მოქალაქე სიტყვიერად ატყობინებს მათ, რომ სურს რაიონის დატოვება „დეპორტით“, რაც გულისხმობს ტერიტორიის დატოვებას 5 წლის ვადით. ეს ინფორმაცია გადაეცემა რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო ჯარების მიერ კონტროლირებად გამშვებ პოსტს, სადაც ხდება გაფორმება. ამ გზას ძირითადად სტუდენტები მიმართავენ, რომლებიც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე სწავლობენ. თუმცა, 5 წლის მანძილზე თუ იგივე პიროვნება მიიღებს საშვს, მას შესაძლებლობა ექნება დაბრუნდეს რაიონში და გადაადგილდეს ადმინისტრაციულ ხაზზე.[1218]

ახმაჯი-მოსაბრუნის გამშვები პუნქტით ვერ სარგებლობენ ცხინვალის, ჯავის ან ზნაურის რაონებში მცხოვრები მოსახლეობა. მათ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მოხვედრის მხოლოდ ორი შესაძლებლობა აქვთ: პირველი, შემოვლითი გზებითა და ბილიკებით, რითაც საფრთხეში ჩაიგდებენ თავს დაკავების მაღალი რისკის გამო და მეორე, რუსეთის ფედერაციის პასპორტებით შეუძლიათ საქართველოში შემოვიდნენ საქართველო-რუსეთის საზღვარზე განლაგებული ზემო ლარსის გამშვები პუნქტის გავლით. აღსანიშნავია, რომ ცხინვალში გაცემული რუსეთის პასპორტების მფლობელებს, რუსი მესაზღვრეები ზემო ლარსის გამშვები პუნქტის გადმოკვეთის უფლებას არ აძლევენ. ამ შემთხვევაში, აუცილებელია პირი ფლობდეს რუსეთის ტერიტორიაზე გაცემულ რუსეთის ფედერაციის პასპორტს.

სამწუხაროა, რომ გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა გადაუდებელი თუ დაგეგმილი სამედიცინო დახმარების აუცილებლობის დროსაც ხდება. სახალხო დამცველისათვის ცნობილი გახდა შემთხვევის შესახებ, როდესაც გალის რაიონის საავადმყოფოში, კომატოზურ მდგომარეობაში მყოფი 13 წლის გოგონას საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად ოჯახის წევრებს საათზე მეტი დასჭირდათ, რათა მოეძებნათ „გასვლის საშვის“ მქონე ავტომობილი და მისი მძღოლი.[1219] სიტუაციას ისიც ამძიმებს, რომ გალის საავადმყოფოში რეანიმაციული განყოფილება არ ფუნქციონირებს, სასწრაფო დახმარების მანქანას კი 2011 წლიდან

[1218] ახალგორში საკონტაქტო პირების მიერ საქართველოს სახალხო დამცველისათვის მიწოდებული ინფორმაცია.

[1219] გალში საკონტაქტო პირის მიერ საქართველოს სახალხო დამცველისათვის მიწოდებული ინფორმაცია.

აფხაზური მხარის გადაწყვეტილებით, ენგურის ხიდზე აღარ ატარებენ. საბოლოო ჯამში, გოგონას ტრანსპორტირება მოხდა ჩვეულებრივი მსუბუქი ავტომობილით, რომელიც, თავისთავად არ არის შესაფერისი მძიმე პაციენტების ტრანსპორტირებისათვის. ადგილობრივი მოსახლეობა წლებია ითხოვს, გალის რაიონის სასწრაფო დახმარების მანქანებს მიეცეთ უფლება დაუბრკოლებლად გადავიდნენ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე.

სახალხო დამცველს ასევე აცნობეს აფხაზეთი გამყოფ ხაზზე, 12 წლის ავადმყოფი გოგონას დაკავების შესახებ, რომელიც 2014 წლის დეკემბერში, გალის რაიონიდან დედასთან ერთად საოპერაციოდ მიდიოდა თბილისში. მას რუსეთის ბაზის გაყინულ სარდაფში 5 საათის გატარება მოუწია, რის შედეგადაც ბავშვს აეწია ტემპერატურა და დაეწყო ასთმური შეტევები. შექმნილი ვითარების გამო მოზარდისათვის ოპერაციის გაკეთება რამდენიმე თვით გადაიდო.[1220]

ასეთი ფაქტები ჯანმრთელობის დაცვის უფლების ხელყოფად უნდა შეფასდეს. ჯანმრთელობის დაცვის უფლება არაერთი საერთაშორისო დოკუმენტით არის აღიარებული. მათ შორის, „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის“ მე-12 მუხლის თანახმად, ყველა ადამიანს აქვს უფლება ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლეს შესაძლო სტანდარტებზე. ჯანმრთელობის დაცვის უფლება ასევე მოიცავს ჯანდაცვის სისტემაზე ხელმისაწვდომობას და იგი ადამიანის აბსოლუტურ უფლებას და შესაბამისად სამართლებრივი დაცვის განსაკუთრებულ საგანს წარმოადგენს.

ასევე, ხშირია გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა იმ სკოლის მოსწავლეებისათვისაც, რომლებიც გამყოფი ხაზის მიღმა მდებარე სკოლებში იღებენ საშუალო განათლებას. ასეთია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლების ფახულანისა და წყოუშის სკოლები, სადაც გალის რაიონში მცხოვრები 40 მოსწავლე დადის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ განმუხურის სკოლა, სადაც გალის რაიონიდან 18 მოსწავლე გადმოდის. მათ, აფხაზური დე ფაქტო ადმინისტრაციის მიერ გაცემული სპეციალური საშვები აქვთ, რითაც გადაადგილდებიან გამშვებ პუნქტებზე. თუმცა, საშვები დროებითია და ვადის გასვლის შემთხვევაში რუსი მესაზღვრეები მათ ან არ აძლევენ გზის გაგრძელების საშუალებას გამშვებ პუნქტზე ან სულაც, რამდენიმე საათით აკავებენ. ამასთან, მოსწავლეებს 3-4 კმ-ის გავლა უწევთ ფეხით რათა გამშვებ პუნქტამდე მივიდნენ. პოსტიდან სკოლამდე კი მათ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სკოლისათვის გამოყოფილი ტრანსპორტი ემსახურება.

[1220] გალში საკონტაქტო პირის მიერ საქართველოს სახალხო დამცველისათვის მიწოდებული ინფორმაცია.

ამის გარდა, ზუგდიდი მუნიციპალიტეტის სოფელ ხურჩაში მცხოვრები 6 ბავშვი გალის რაიონის სოფელ ნაბაკევის სკოლაში დადის ტერიტორიული სიახლოვის გამო. აღსანიშნავია, რომ 2013 წლამდე 19 მოსწავლე დადიოდა ნაბაკევის სკოლაში. თუმცა, 2014 წლის ახალი სასწავლო წლიდან ბავშვებს კატეგორიულად აუკრძალეს აფხაზური პასპორტის გარეშე გამყოფი ხაზის გადაკვეთა, რის გამოც მოსწავლეები იძულებულნი გახდა სწავლა ხურჩიდან შორს მდებარე სკოლებში გაეგრძელებინათ. დარჩენილი 6 მოსწავლე სკოლაში შემოვლითი გზით დადის, რის გამოც რუსი მესაზღვრეები მათ ხშირად აკავებენ ან გზის გაგრძელების საშუალებას არ აძლევენ. ამით, არა მხოლოდ მათი გადაადგილების უფლება, არამედ განათლების უფლებაც ირღვევა.[1221]

გამყოფ ხაზზე რეგულარულად მოძრაობს ჯავის რაიონის სოფელ სინაგურში მცხოვრები 14 ბავშვი, რომელიც საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევის სკოლაში სწავლობს და დე ფაქტო ოსური ადმინისტრაციის მიერ გაცემული სპეციალური საშვებით გამშვებ პუნქტზე უფრო თავისუფლად გადაადგილდებიან ვიდრე აფხაზეთში მცხოვრები მოსწავლეები. თუმცა, მოსწავლეებს ყოველდღიურად 6-7კმ-ს გავლა უწევთ ფეხით რუსულ საგუშაგომდე მისასვლელად. საქართველოს მიერ კონტროლირებად მხარეს კი მათ სკოლამდე მისასვლელად ტრანსპორტი ემსახურებათ.

ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებისა და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრის ფარგლებში, ქართულმა მხარემ არაერთხელ დააყენა მოსწავლეების გადაადგილების თავისუფლების, განათლების უფლების და მათთვის გამშვებ პუნქტებამდე ტრანსპორტით უზრუნველყოფის საკითხი. თუმცა, პრობლემები რჩება და სისტემურ გადაჭრას საჭიროებს.

მოქალაქე ი.ბ.–ს საქმე

ი.ბ. და მისი ოჯახის 4 წევრი, რომელთაგანაც ორი არასრულწლოვანია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ფახულანის განაპირას ცხოვრობენ. 2013 წლის გაზაფხულზე, რუსმა მესაზღვრეებმა მათ სახლსა და სოფელს შორის მავთულხლართები გააბეს, რითაც ოჯახი საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიას მოწყვიტეს. ამის შედეგად ოჯახს, მათ შორის ბავშვებს, შეეზღუდა გადაადგილების თავისუფლება. იმის გამო, რომ ბავშვებს სწავლაში ხელი არ შეშლოდათ, მშობლებმა ისინი სოფელში დარჩენილ ნათესავებს მიაბარეს, თვითონ კი მალულად ცდილობენ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მოხვედრას, რის გამოც რუსმა მესაზღვრეებმა არაერთხელ დააკავეს და დააჯარიმეს.

[1221] განათლების უფლება სოციალურ უფლებათა კატეგორიას მიეკუთვნება და აღიარებულია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტითა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის №1 დამატებითი ოქმით, ბავშვთა უფლებების კონვენციით და სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით.

საქართველოს სახალხო დამცველმა მიმართა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სახელმწიფო მინისტრის აპარატს, რათა ოჯახის საკითხი ჟენევის საერთაშორისო დისკუსიის ფარგლებში დაესვათ აფხაზურ და რუსულ მხარესთან. სახალხო დამცველის აპარატმა პრობლემის თაობაზე ასევე აცნობა ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების თანა-თავმჯდომარეებს.

სახალხო დამცველმა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ი.ბ.-ს ოჯახის მდგომარეობა აცნობა. სახალხო დამცველის თანამშრომლებთან კონსულტაციის შემდეგ, ი.ბ.-მ განცხადებით მიმართა სამინისტროს საცხოვრებლით დაკმაყოფილების თაობაზე. მოქალაქის საცხოვრებლით დაკმაყოფილების საკითხი დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის უახლოეს სხდომაზე განიხილება.

მოქალაქე ბ.წ.- საქმე

საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა სამხედრო მოსამსახურე ბ.წ.-მ, რომელიც გამყოფ ხაზზე მდებარე სოფელში, მავთულხლართების სიახლოვეს ცხოვრობს. სახალხო დამცველის მიერ საქმის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ რუსი მესაზღვრეები ფლობენ ინფორმაციას, იმის შესახებ, რომ ბ.წ. საქართველო-რუსეთის ომის მონაწილეა და რეგულარულად კითხულობენ მის ადგილსამყოფელს. მისი დაკავების ან გატაცების მუდმივი მაღალი რისკის გამო ბ.წ. დათხოვნისა თუ კუთვნილი შვებულების გამო ვერ ახერხებს სახლში დაბრუნებას და ოჯახის წევრების მონახულებას. სავარაუდოა, რომ იგი მანამდე ვერ შეძლებს სახლში დაბრუნებას, სანამ გამყოფ ხაზზე განლაგებული იქნებიან რუსეთის სასაზღვრო თუ სახმელეთო ჯარები.

ბ.წ.-ს უსაფრთხოების და უფლებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სახალხო დამცველმა მიმართა თავდაცვის მინისტრს შეესწავლა ბ.წ.-ს შემთხვევა და იმის გათვალისწინებით, რომ იგი ფაქტობრივად ვერ ბრუნდება თავის საცხოვრებელ სახლში, განეხილა მისი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის შესაძლებლობა. შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბიდან სახალხო დამცველს ეცნობა, რომ საბინაო ფონდში არსებული შეზღუდული რაოდენობის ბინების გამო ბ.წ.-ს დაკმაყოფილება ვერ მოხერხდა.

დაკავებები გამყოფ ხაზზე და დაკავებულთა მდგომარეობა

შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, უსაფრთხოების განცდა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების მოსახლეობაში დაბალია. ადგილობრივების ცნობით, არის შემთხვევები, როდესაც რუსი მესაზღვრეები საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოდიან და მოსახლეობას საკუთარ ბაღებში, სოფლის გზაზე ან სასაფლაოზე აკავებენ (სოფლები: ფლავი, ბერშუეთი, ზემო სობისი). 2014 წლის პიკად ალბათ მაისის თვე შეიძლება ჩაითვალოს, როდესაც 2-დან 12 მაისამდე, სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზზე 26 ადგილობრივი მკვიდრი დააკავეს ჯონჯოლის კრეფის დროს.

დაკავებები გამყოფ ხაზზე, როგორც წესი რამდენიმე დღე გრძელდება და დე ფაქტო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ჯარიმის გადახდის შემდეგ დაკავებულს ათავისუფლებენ. სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზზე დაკავებისათვის ჯარიმა 2, 000-11,000 რუბლია (დაახლოებით 100-600 ლარი), იმის მიხედვით, თუ რამდენჯერ იყო პირი დაკავებული. აფხაზეთის მიმართულებით ჯარიმა გალის რაიონის მოსახლეობისათვის 1,000-1,200 რუბლს (დაახლოებით 35-50 ლარი) შეადგენს, ხოლო საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრებთათვის 30,000-100,000 რუბლს (დაახლეობით 500-5,000 ლარი) შორის მერყეობს. ეს თანხა ადგილობრივი მოსახლეობისათვის მძიმე ფინანსური ტვირთია. მოსახლეობა დახმარების გაწევას ითხოვს, რადგან მათი უმეტესობა სოციალურად დაუცველია. არის შემთხვევები როდესაც ოჯახიდან ორ წევრს აკავებენ. აკავებენ ბავშვებსაც, ქალებსაც და მოხუცებსაც.

სახალხო დამცველის წარმომადგენლები ესაუბრნენ 15 წლის სკოლის მოსწავლეს, რომელიც 2014 წლის ნოემბერში, მაშინ დააკავეს რუსმა სამხედროებმა, როდესაც სოფლის ტერიტორიაზე საქონელს ეძებდა. მისი განმარტებით, ორი დღე 3 დაკავებულთან ერთად ცივ, ნესტიან სარდაფში გაატარა რის გამოც შეექმნა ჯანმრთელობის პრობლემები. მესამე დღეს იგი შედარებით უკეთეს პირობებში გადაიყვანეს და ჯარიმის გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს.

2014 წლის დეკემბერში, ცხინვალის ციხეში თავისუფლება აღკვეთილი ჰქონდა საქართველოს 6 მოქალაქეს. აქედან ორი ახალგორის მკვიდრია, რომლებსაც ჯაშუშობა და ადამიანის გატაცება ედებათ ბრალად, ორი გამყოფი ხაზის სოფლის მკვიდრი, რომლებიც „საზღვრის კვეთის“ ბრალდებით არიან დაკავებულნი, და ორი ძმა, რომლებიც სამშობლოს ღალატის ბრალდებით მაშინ დააკავეს, როდესაც ცხინვალში, დედის გასვენებაში იმყოფებოდნენ.

პატიმრობიდან გათავისუფლებული პირები, რომელთაც სახალხო დამცველის წარმომადგენლები ესაუბრნენ, დაკავებისას მოპყრობას არ უჩივიან, თუმცა, საუბრობენ გაუსაძლისი პირობების შესახებ.

როგორც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის, ისე საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულია ყველა ადამიანის თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება, პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება.

კონფლიქტურ რეგიონებში საქართველოს მოქალაქეების ე.წ „სასაზღვრო რეჟიმის“ დარღვევისათვის დაკავება/დაპატიმრება წარმოადგენს ადამიანების თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების ხელყოფას. ადამიანის თავისუფალი გადაადგილების და მიმოსვლის უფლება გარანტირებულია არაერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო ხელშეკრულებით/ კონვენციით. გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-3 და მე-9 მუხლი განსაზღვრავს, რომ ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება და არავის დაპატიმრება, დაჭერა ან გაძევება არ შეიძლება თვითნებურად. ევროპულმა სასამართლომ საქმეში „ილაშკუ და სხვები მოლდოვასა და რუსეთის წინააღმდეგ“ დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე–5 მუხლის (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება) დარღვევა, იმის გამო, რომ განმცხადებელთა პატიმრობა არ იყო კანონიერი, რადგან განაჩენი, რომლის თანახმადაც ისინი დააპატიმრეს, არ იყო გამოტანილი კომპეტენტური სასამართლო ორგანოს მიერ. ევროპული სასამართლოს შეფასებით, არც ერთი განმცხადებელი არ ყოფილა მსჯავრდებული „სასამართლოს“ მიერ და რომ პატიმრობის სასჯელის გამოტანა ისეთი ორგანოს მიერ, როგორიც არის ე.წ „დნესტრისპირეთის რესპუბლიკის“ უზენაესი სასამართლო, არ შეიძლება ჩაითვალოს „კანონიერ პატიმრობად“.

საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, რუსთავის და ქსნის ციხეებში 7 ოსი პატიმარია, რომლებიც „გაცვლას“ ან ცხინვალში გადაყვანას ითხოვენ, მათ შორის ორი ქალბატონია, სამ მამაკაცს კი სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი.

გიორგი ზასეევის, გიორგი ვალიევისა და სოსლან კოჩიევის საქმე

2005 წლის 1 თებერვლის გორის ტერაქტის ორგანიზებისათვის, რომლის შედეგადაც 3 პოლიციელი დაიღუპა და 30-მდე პირი დაიჭრა, მსჯავრდებულ სამ პირს გიორგი ზასეევს, გიორგი ვალიევსა და სოსლან კოჩიევს სამუდამო პატიმრობა აქვთ მისჯილი. ზასეევმა და ვალიევმა სასამართლოზე დანაშაული აღიარეს, თუმცა აცხადებენ, რომ კოჩიევი პირველად ციხეში გაიცნეს და რომ მას ტერაქტთან კავშირი არ ჰქონია. დივერსიული ჯგუფის დანარჩენ ექვს წევრზე ძებნაა გამოცხადებული.

ოსური მხარე ყოველთვის აქტიურად აყენებდა მათი გათავისუფლების საკითხს. მიუხედავად მათი აღიარებითი ჩვენებისა, ცხინვალში დარწმუნებული არიან მათ უდანაშაულობაში, საუბრობენ ბრალდებულთა დაშინებასა და ზეწოლაზე, მიუთითებენ სხვადასხვა პროცესუალურ დარღვევებსა და სამართლიანი სასამართლოს ხელმისაწვდომობის შეზღუდვის ფაქტებზე.

საქართველოს ხელისუფლებას მათ გათავისუფლებაზე ჩამოყალიბებული პოზიცია არ აქვს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების მიერ სახალხო დამცველისათვის მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) ფარგლებში, ოსურ მხარეს არაერთხელ შესთავაზეს ტერორიზმისათვის გასამართლებული სამი პატიმრის გარდა, ყველა დანარჩენი პატიმრის გათავისუფლება ცხინვალის ციხეში მყოფი პატიმრების სანაცვლოდ, თუმცა ოსური მხარე ამაზე უარს აცხადებდა.

გადაადგილების თავისუფლებასა და პატიმართა საკითხს სახალხო დამცველმა 2014 წელს სპეციალური ანგარიში მიუძღვნა, სადაც განხილული იყო გადაადგილების თავისუფლების საკითხი და დაკავებულთა მდგომარეობა.[1222]

აფხაზეთის ციხეებში პატიმრების საკითხი

საქართველოს ხელისუფლებას ამ ეტაპზე არ გააჩნია სრული სია აფხაზეთში თავისუფლება აღკვეთილ საქართველოს მოქალაქეებსა და მათდამი წაყენებული ბრალდებების შესახებ. 2012 წლის 8 ოქტომბერს, აფხაზეთის დე-ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა 15 პირის სია, რომლებიც გასამართლებულები არიან ჯაშუშობის, ტერორიზმის, ყაჩაღობის, იარაღის უკანონო შენახვისა და კონტრაბანდის ბრალდებით.[1223] მათ შორის 9 გალის რაიონის მკვიდრია, დანარჩენი კი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის. ამ სიის სიზუსტის გადასამოწმებლად ან აფხაზეთში პატიმართა მდგომარეობის შესწავლაზე სახალხო დამცველს ხელი არ მიუწვდება. სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა, ერთ-ერთი პატიმრის ოჯახის წევრმა, რომელიც პატიმრის მძიმე ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობასა და საპატიმროში გაუსაძლის პირობებზე საუბრობს, თუმცა, ობიექტური გარემოებების გამო, სახალხო დამცველს არც ამ გარემოებების შესწავლის შესაძლებლობა

[1222] ნარკვევის სრული ხელმისაწვდომია http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1771.pdf>.

[1223] Доклад о террористической деятельности спецслужб Грузии на территории Республики Абхазия აფსნიპრესი, 15.10.2012. ინფორმაცია ხელმისაწვდომია <http://apsnypress.info/docs/7502.html>. [ბოლოს ნანახია 2014 წლის 20 სექტემბერს].

გააჩნია. სახალხო დამცველმა რეაგირებისათვის ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუგზავნა.

მედიასაშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ 2013 წლის 25 სექტემბერს აფხაზეთის დე ფაქტო უზენაესმა სასამართლომ 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა გ.ლ.-ს, რომელსაც, როგორც პარტიზანული ჯგუფის „ტყის ძმების“ წევრს, ბანდფორმირების შექმნა, მკვლელობა და ადამიანთა გატაცება ედება ბრალად.[1224] მედიაშივე გავრცელებული ინფორმაციით, ასევე დაკავებული არიან გალის მკვიდრი მანუჩარ შონია, დათო თორდია და გიორგი ნარმანია.[1225]

სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა, ერთ-ერთი პატიმრის ოჯახის წევრმა, რომელიც პატიმრის მძიმე ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობასა და საპატიმროში გაუსაძლის პირობებზე საუბრობს.

კრიმინოგენული სიტუაცია გალის რაიონში

ადამიანის უფლებების თვალსაზრისით, 2014 წელი განსაკუთრებით მძიმე გამოდგა გალის რაიონის მცხოვრებთათვის.[1226] მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტის ზონებში დიდი ხანია აღარ მიმდინარეობს საბრძოლო მოქმედებები, ფორმალური და არაფორმალური სტატუსის შეიარაღებული ფორმირებები აგრძელებენ უკანონო მოქმედებებს და არღვევენ მშვიდობიანი მოსახლეობის უფლებებს.

მართალია, საქართველოს ხელისუფლება აცხადებს, რომ მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკის წყალობით, შემცირდა ინციდენტების რაოდენობა გალის რაიონში და დაძაბულობის კერები საოკუპაციო ხაზის გასწვრივ,[1227] სანდო სტატისტიკური მონაცემები ამ მიმართულებით არ მოიპოვება, გალის რაიონის მოსახლეობა კი განსაკუთრებით გახშირებულ გატაცებებს, თავდასხმებსა და დაყაჩაღებებს უჩივის.

[1224] Один из руководителей грузинской вооруженной банды «Лесные братья» приговорен к 20 годам лишения свободы. აფსნიპრესი. 16.10.2013. ინფორმაცია ხელმისაწვდომია <http://apsnypress.info/news/10328.html> [ბოლოს ნანახია 2014 წლის 20 სექტემბერს].

[1225] აფხაზეთში ქართული სადაზვერვო ქსელი ჩავარდა, ამერიკის ხმა, 16 სექტემბერი 2013. ინფორმაცია ხელმისაწვდომია <http://m.amerikiskhma.com/a/georgia-citizens-are-condemned-in-occupied-abkhazia-for-espionage/1750271.html> [ბოლოს ნანახია 2014 წლის 20 სექტემბერს].

[1226] გალში საკონტაქტო პირების მიერ სახალხო დამცველისათვის მიწოდებული ინფორმაცია.

[1227] შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ 2 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის ანგარიში. ინფორმაცია ხელმისაწვდომია <http://www.smr.gov.ge/2014angarishi.pdf> [ბოლოს ნანახია 2015 წლის 2 თებერვალს].

ადამიანის უფლებების თვალსაზრისით, გალის რაიონი დღემდე რჩება საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე მძიმე რეგიონად. ადგილი აქვს ისეთი ფუნდამენტური უფლებების დარღვევას, როგორიცაა სიცოცხლის, საკუთრების, პირადი თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება.

ერთის მხრივ, ცენტრალური ხელისუფლება ვერ ახორციელებს ეფექტურ კონტროლს და შესაბამისად ვერ იღებს კრიმინალის წინააღმდეგ საბრძოლველად გადამჭრელ ზომებს. მეორეს მხრივ, გალის რაიონის მოსახლეობა პირისპირ არის დარჩენილი ადგილობრივ, არაეფექტურ დე ფაქტო სამართალდამცავ სისტემასთან, კრიმინალურ დაჯგუფებებთან და რუსეთის საოკუპაციო ჯარებთან. დე ფაქტო აფხაზური ხელისუფლებისა და რუსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიები, მათ შორის ადამიანის უფლებების სფეროში მომუშავე ორგანიზაციები, რაიონში ვერ შედიან და ადგილობრივი მოსახლეობა სრულიად დაუცველია.

2014 წელი გამოირჩეოდა გამოსასყიდის სანაცვლოდ მოსახლეობის გატაცებების ინტენსივობით. სახალხო დამცველის აპარატმა არაერთი ასეთი შემთხვევა დააფიქსირა, მათ შორის 5 და 8 წლის არასრულწლოვნების. გატაცებების ცალკეული შემთხვევები ფატალურადაც დამთავრდა. ადგილობრივების განცხადებით, გამოსასყიდის მიხედვით შესაძლებელია იმის გამოცნობა, თუ რამდენკაციანი დაჯგუფებაა ამის ჩამდენი. გამოსასყიდი 1 500 დოლარიდან 30 000 დოლარის ფარგლებში მერყეობს. ხშირად გატაცების შემთხვევების შესახებ ოჯახის წევრები დე ფაქტო სამართალდამცველებს არც ატყობინებენ.[1228]

გალში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების განცხადებით, გაუარესებული უსაფრთხოების სიტუაციის გამო, გალის ე.წ. ქვედა ზონაში მუშაობას ვეღარ ახერხებენ. თუ აქამდე გატაცებები ძირითადად გალის რაიონის ე.წ. ქვედა ზონის სოფლებში ხდებოდა, წელს ასეთმა ფაქტებმა გალსა და მის გარშემო განლაგებულ სოფლებშიც იმატა.[1229]

2015 წლის 12 იანვარს, კრიმინალურმა დაჯგუფებამ, გამოსასყიდის მიღების მიზნით, სოფელ ჭუბურხინჯის მკვიდრი გ.გ. გაიტაცა. გ.გ-მ ღამით თავი დაიხსნა, ერთ-ერთი გამტაცებელი მოკლა და დასახმარებლად აფხაზ სამართალდამცველებს მიმართა, რომელთაც გამტაცებელთა დასაკავებლად სპეც-ოპერაცია განახორციელეს. სპეც-ოპერაცია მიმდინარეობდა დასახლებულ პუნქტებში და მას ოპერაციაში მონაწილე აფხაზეთის კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლისა და რუსეთის სასაზღვრო ჯარების

[1228] გალში საკონტაქტო პირების მიერ საქართველოს სახალხო დამცველისთვის მიწოდებული ინფორმაცია.
[1229] გალში საკონტაქტო პირების მიერ საქართველოს სახალხო დამცველისთვის მიწოდებული ინფორმაცია.

სამხედრო მოსამსახურის სიცოცხლე შეეწირა.[1230] ამის შემდეგ, გალში ინტენსიურად პატრულირებენ შეიარაღებული სპეც-სამსახურების წარმომადგენლები, რომლებიც მოსახლეობას რეგულარულად უმოწმებენ დოკუმენტებს.[1231]

2014 წლის 17 დეკემბერს, 1992-93 წლებში აფხაზეთის ომში მონაწილეობის ბრალდებით გალის 8 მკვიდრი დააკავეს. აფხაზურმა მედიამ ერთ-ერთი დაკავებულის, ჩვენებაც გაავრცელა, სადაც იგი 1992-93 წლებში საომარ მოქმედებებში მონაწილეობას აღიარებდა[1232] თუმცა, „აღიარების" მიუხედავად იგი დანარჩენ 7 პირთან ერთად ათდღიანი პატიმრობის შემდეგ გაათავისუფლეს და გავრცელებული ინფორმაციით, აფხაზეთის დატოვება აიძულეს.[1233] აღნიშნული ფაქტი თავისუფლების უკანონოდ აღკვეთად უნდა შეფასდეს. თავისუფლებისა და პირადი უსაფრთხოების უფლებას ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-5 მუხლი იცავს. ვინაიდან პიროვნების თავისუფლება არ არის აბსოლუტური უფლება, მისი შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე და აუცილებლად, კანონით დადგენილი წესით. თუმცა, ამ შემთხვევაში, არა თუ ლეგიტიმური სასამართლოს მიერ არ ყოფილა განაჩენი გამოტანილი, არამედ, სახალხო დამცველისათვის აფხაზეთიდან მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, დე ფაქტო სამართალდამცავ სტრუქტურებს სისხლის სამართლებრივი დევნაც კი არ დაუწყიათ.[1234]

მაშინ, როდესაც ადგილობრივ მოსახლეობას რეგულარულად აკავებენ ე.წ. „საზღვრის გადაკვეთის" ბრალდებით, სახალხო დამცველის მიერ მოპოვებული ინფორმაციით, კრიმინალური დაჯგუფებები, რომელშიც ჩართული არიან, როგორც აფხაზი, ისე ქართველი კრიმინალები, თავისუფლად გადაადგილდებიან გამყოფ ხაზზე, რაც შესაძლოა, მიუთითებდეს, რომ მათ აფხაზეთის გარკვეულ წრეებთან დანაშაულებრივი კავშირი აქვთ. მაგალითისათვის, 12 იანვრის გატაცების ერთ-ერთი ორგანიზატორი, სახალხო დამცველის

[1230] В Галском районе убиты сотрудники правоохранительных органов, აფსნიპრესი, 12 იანვარი 2015. ინფორმაცია ხელმისაწვდომია <http://www.apsnypress.info/news/v-galskom-rayone-ubity-sotrudniki-pravookhranitelnykh-organov> [ბოლოს ნანახია 2015 წლის 12 მარტს].

[1231] გალში საკონტაქტო პირების მიერ საქართველოს სახალხო დამცველისთვის მიწოდებული ინფორმაცია.

[1232]Задержаны восемь граждан Грузии, сотрудничавшие с грузинскими оккупационными властями в период Отечественной войны народа Абхазии 1992-1993 гг. ნუჟნაია გაზეტა, 19.12.2014. ინფორმაცია ხელმისაწვდომია <http://abh-n.ru/zaderzhany-vosem-grazhdan-gruzii-sotrudnichavshie-s-gruzinskimi-okkupacionnymi-vlastyami-v-period-otechestvennoj-vojny-naroda-abxazii-1992-1993-gg> [ბოლოს ნანახია 2015 წლის 12 მარტს].

[1233] გალში დაკავებული 8 ქართველი გაუშვეს და აფხაზეთში შესვლა აუკრძალეს, რეზონანსი, 31.12.2014. ინფორმაცია ხელმისაწვდომია< http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=23159> [ბოლოს ნანახია 2015 წლის 12 მარტს].

[1234] აფხაზეთში საკონტაქტო პირის მიერ საქართველოს სახალხო დამცველისთვის მიწოდებული ინფორმაცია.

ხელთ არსებული ინფორმაციით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათში ცხოვრობდა.[1235]

შექმნილი მდგომარეობა მიუთითებს, რომ გალის რაიონში კრიმინოგენული სიტუაცია სავალალოა, რაც უარყოფითად აისახება ადამიანის უფლებების მდგომარეობაზე. დე ფაქტო სამართალდამცავი სტრუქტურები, არა მხოლოდ ვერ უმკლავდებიან კრიმინალურ სიტუაციას, ხშირად თავადაც არღვევენ ადამიანის უფლებებს. საქართველოს ხელისუფლებას აკისრია პოზიტიური ვალდებულებები გამოიყენოს ყველა მის ხელთ არსებული საშუალება, რათა აღკვეთოს კრიმინოგენული სიტუაცია და უზრუნველყოს ადამიანების უსაფრთხოება და მათი უფლებების სრული დაცვა. ამისათვის, მიზანშეწონილია, მოხდეს ცენტრალურ ხელისუფლებასა და დე ფაქტო ხელისუფლებას შორის თანამშრომლობა. შექმნილი სიტუაციის ფონზე, სამწუხაროა, რომ აფხაზური მხარე, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის განახლებაზე კვლავ უარს ამბობს და ადამიანის უფლებების დასაცავად პოლიტიკურ წინაპირობებს აყენებს.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მშობლიურ ენაზე განათლების უფლება

გალის რაიონში სულ 31 სკოლაა, რომელშიც 2014 წლის მონაცემებით 4459 მოსწავლე სწავლობს, აქედან დაახლოებით 97% ეთნიკურად ქართველი, ხოლო 3% სხვა ეროვნების.[1236] მიუხედავად ამისა, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება მათ მშობლიურ ენაზე საშუალო განათლების მიღების უფლებას უზღუდავს.

გალის რაიონში არსებულ 31 სკოლიდან, დღეისათვის მხოლოდ 11–ში მიმდინარეობს სრულად ქართულ ენაზე სწავლება.[1237] ეს სკოლები ძირითადად გალის რაიონის ე.წ. ქვედა ზონაში მდებარეობს. თუმცა, თერთმეტივე სკოლაში, 4-4 საათით შემცირდა ქართული ენისა და ლიტერატურის საათები (თუ მანამდე ჰქონდათ 10-10 საათი, ახლა აქვთ 6-6). ქართულისთვის ჩამორთმეული საათები გამოყენებულ იქნა რუსული ენის გასაძლიერებლად და ამ ენის სწავლების პირველი კლასიდანვე დასაწყებად (რუსული ენის სწავლება 2014

[1235] Отец одного из преступников – участник боевых действий в составе войск Госсовета Грузии в 1992-93 гг., აფსნიპრესი, 13 იანვარი 2015. ინფორმაცია ხელმისაწვდომია <http://www.apsnypress.info/news/otets-odnogo-iz-prestupnikov-uchastnik-boevykh-deystviy-v-sostave-voysk-gossoveta-gruzii-v-1992-93-g> [ბოლოს ნანახია 2015 წლის 12 მარტს]. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში საკონტაქტო პირის მიერ საქართველოს სახალხო დამცველისთვის მიწოდებული ინფორმაცია.

[1236] ინფორმაცია მოწოდებულია გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურს ცენტრის მიერ.

[1237] შედარებისათვის, 1992-93 წლის ომამდე აფხაზეთში, გალის რაიონში 58 სკოლა იყო, აქედან, მხოლოდ ორი იყო რუსული.

წლამდე მესამე კლასიდან იწყებოდა). ეს პროცესი მიანიშნებს, რომ „ქვედა ზონის“ სკოლებიც, გალის ე.წ. „ზედა ზონის“ სკოლებივით თანდათან რუსულენოვან სწავლებაზე გადავა.

რაც შეეხება, ზედა ზონის სოფლებს, სწავლება სრულად რუსულ ენაზე მიმდინარეობას და ყოველწლიურად ხდება ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საათების შემცირება. 2014 სასწავლო წლისათვის ზედა ზონის ყველა სკოლის ყველა კლასში (I-XI) თითო საათით შემცირდა ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილები და ქართულ ენას ერთი საათი, ხოლო ლიტერატურას ერთი საათი ეთმობა (მაშინ, როდესაც წინა წელს ორ-ორი საათი ეთმობოდა). გალის ორივე სკოლაში ბავშვები განათლებას მხოლოდ რუსულ ენაზე იღებენ.

გარდა იმისა, რომ იზღუდება მშობლიურ ენაზე განათლების მიღება, სწავლების რუსულ ენაზე გადასვლამ სერიოზულად გააუარესა განათლების ხარისხი. მოსწავლეებს რუსულ ენაზე სწავლა, ხოლო მასწავლებლებს საგნების რუსულ ენაზე სწავლება უჭირთ, რადგან მათი აბსოლუტური უმრავლესობა ეთნიკურად ქართველია, მასწავლებლებს კი განათლება ქართულ ენაზე აქვთ მიღებული. განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში არიან მოსწავლეები, იმის გამო, რომ შინ მეგრულად ან ქართულად საუბრობენ, სკოლაში კი ყველა საგანს რუსულად ასწავლიან და უცხო ენებთან ერთად აფხაზურ ენასაც სწავლობენ.[1238] შედეგად, ვერც ერთ ენას ვერ ფლობენ სრულყოფილად, რაც სამომავლოდ მათ უმაღლესი განათლების მიღებასა და კარიერულ განვითარებას უზღუდავს.

აფხაზური მხარის გადაწყვეტილებით, ტყვარჩელის, ოჩამჩირისა და გალის „ზედა ზონის“ სკოლებში მიმდინარეობს აფხაზური ენის სწავლებაც, თუმცა მას რუსულთან შედარებით უფრო ნაკლები დრო ეთმობა.

უკეთესი მდგომარეობაა ოკუპირებულ ახალგორის რაიონში, სადაც 11 სკოლიდან 6 ქართულია და 5 რუსული და მოსწავლეებს მშობლიურ ენაზე განათლების მიღების პრობლემა არ აქვთ, რადგან 2008 წლის ოკუპაციის შემდეგ, სიტუაცია კარდინალურად არ შეცვლილა.

ე.წ. პასპორტიზაცია და მასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებების დარღვევები

გალის რაიონის ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის საკითხი, 2014 წელს აფხაზეთში განვითარებული პოლიტიკური პროცესების ერთ-ერთი მთავარი თემა იყო. ამას გალის

[1238] განათლება გამყოფ ხაზთან: განათლების ხელმისაწვდომობა საქართველოში გამყოფი ხაზის გასწვრივ და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისთვის, ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტი და ქსელი „სინერგია“, თბილისი, 2015.

მოსახლეობაში ვნებათაღელვა მოჰყვა. სიტუაცია დღემდე დაძაბულია, რადგან ბოლომდე არ არის გადაწყვეტილი გალის რაიონის მოსახლეობის დოკუმენტაციისა და გადაადგილების თავისუფლების საკითხი.

თუ აქამდე საუბარი იყო გალის მაცხოვრებლების იძულებით პასპორტიზაციაზე,[1239] 2014 წელს ვითარება რადიკალურად შეიცვალა და დაიწყო გაცემული პასპორტების ჩამორთმევის პროცესი. დე ფაქტო პროკურატურის განცხადებით, გალის, ტყვარჩელის და ოჩამჩირის რაიონებში შემოწმდა 26 197 საპასპორტო საქმე, რის შედეგადაც გამოვლინდა, რომ დარღვევით გაიცა ე.წ. აფხაზეთის მოქალაქის პასპორტი 791 პირზე გალში, 387 პირზე - ტყვარჩელში და 10 პირზე - ოჩამჩირეში, საერთო ჯამში, კი - სამივე რაიონში 1 188 პირზე.[1240] გალის რაიონის დე ფაქტო ადმინისტრაციის ცნობით გალის მოსახლეობაზე გაცემულია დაახლეობით 13 000 აფხაზური პასპორტი და 10 000 ფორმა N9.[1241]

დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებით, პასპორტიზაციის პროცესში მთავარი პრობლემა არის გალის მოსახლეობის მიერ საქართველოს მოქალაქეობის ფლობა. ამიტომ, მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ გალის რაიონის ის მოსახლეობა რომელიც განაცხადებს, რომ ფლობს საქართველოს მოქალაქეობას, მიიღებს ბინადრობის ნებართვას. ბინადრობის ნებართვა, დე ფაქტო გალის ადმინისტრაციის განცხადებით, გულისხმობს გადაადგილების შესაძლებლობას გამყოფ ხაზზე და მხოლოდ ადგილობრივ არჩევნებში ხმის მიცემის საშუალებას. მათ, ვისაც სურთ აფხაზეთის მოქალაქეობის მიღება, უნდა წარადგინონ საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის დამადასტურებელი დოკუმენტი.

აფხაზური მოქალაქეობა არ წარმოადგენს საქართველოსა და საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებულ სამართლებრივ დოკუმენტს, შესაბამისად მხოლოდ აფხაზური პასპორტის მქონე პირი მოქალაქეობის არ მქონე პირად ჩაითვლება, ხოლო საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის სანაცვლოდ აფხაზური პასპორტის აღების შეთავაზება, ფაქტობრივად ამ პირთა აპატრიდებად ქცევას ნიშნავს, მაშინ როცა საერთაშორისო საზოგადოება თანხმდება იმაზე, რომ სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები აპატრიდობის შესამცირებლად.

[1239] Human Rights Watch „ცხოვრება გაურკვევლობაში - ეთნიკური ქართველების უფლებრივი მდგომარეობა გალის რაიონში“ 15 ივლისი 2011. ინფორმაცია ხელმისაწვდომია <http://www.hrw.org/reports/2011/07/15/living-limbo-0> [ბოლოს ნანახია 2015 წლის 16 მარტს].

[1240] В нарушение закона РА «О гражданстве» в ПВС Ткуарчалского, Галского и Очамчырского РОВД документировано 1188 граждан, აფსნიპრესი, 4 აპრილი 2014, ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <http://www.apsnypress.info/news/v-narushenie-zakona-ra-o-grazhdanstve-v-pvs-tkuarchalskogo-galskogo-i-ochamchyrskogo-rovd-dokumentir> [ბოლოს ნანახია 2015 წლის 16 მარტს].

[1241] „Проблема паспортизации будет решена“, ეხო კავკაზა, 25.02.2015. ინფორმაცია ხელმისაწვდომია <http://www.ekhokavkaza.com/content/article/26869642.html> [ბოლოს ნანახია 2015 წლის 16 მარტს].

მიუხედავად იმისა, რომ დე ფაქტო ხელისუფლება არ ითვლება საერთაშორისო სამართლის სუბიექტად, მას აქვს ვალდებულება პატივი სცეს საყოველთაოდ აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს. ეს ვალდებულება გამომდინარეობს სხვადასხვა გარემოებებიდან: ა) ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მნიშვნელოვანი ნაწილი აღიარებულია, როგორც, ჩვეულებითი სამართალი, რაც გულისხმობს, აღნიშნული ნორმების ნაწილის უნივერსალურ აღიარებას; ბ) დე ფაქტო ხელისუფლება, როგორც გარკვეული ტერიტორიისა და მოსახლეობის მაკონტროლებელი არასახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, ვალდებულია პატივი სცეს მისი კონტროლის ქვეშ არსებული მოსახლეობის უფლებებს, მათ შორის ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის, როგორც უმცირესობების უფლებებს.

უგზოუკვლოდ დაკარგულთა და იძულებით გაუჩინარებულთა საკითხი

საქართველოს საგამოძიებო ორგანოები იძიებენ 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების და მის შემდგომ პერიოდში ეთნიკურად ოსი პირების უგზო-უკვლოდ გაუჩინარების ფაქტებს. კერძოდ, მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით (თავისუფლების უკანონო აღკვეთა) 1) ა.ხ.-ს, ა.ხ-ს და ს.პ.-ს გაუჩინარებასთან დაკავშირებით, 2) თ.კ.-ს უგზო-უკვლოდ გაუჩინარების ფაქტზე და 3) რ.ი.-ის გაუჩინარების ფაქტზე. დღემდე არცერთ ზემოაღნიშნულ საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული არ არის. მთავარი პროკურატურის განცხადებით, ვერ ხერხდება რამდენიმე მნიშვნელოვანი მოწმის დაკითხვა რადგან ისინი იმყოფებიან საზღვარგარეთ და საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიაზე.

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა 2014 წლის 23 ივლისის საქართველოს მეოთხე პერიოდული ანგარიშის მიმართ გაკეთებულ დასკვნით შენიშვნებში განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა წარსულში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების გამოძიების საკითხზე. კომიტეტი შეშფოთებულია 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის და მის შემდეგ ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების გამოძიების, დამნაშავეთა იდენტიფიცირებისა და მათი პასუხისგებაში მიცემის გაჭიანურებული პროცესით. კონკრეტულად, ეს ეხება იძულებით გაუჩინარების, სამოქალაქო მოსახლეობისა და სხვა დაცულ პირთა მიმართ არაპროპორციული და განურჩეველი ძალის გამოყენების, უკანონო დაკავებების, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის, ქონების განადგურებისა და ჩამორთმევის საქმეებს, რომლებიც თავისი არსით შესაძლოა წარმოადგენდეს ომისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს.

2008 წლის საბრძოლო მოქმედებების დასრულების შემდეგ, გაუჩინარების შემთხვევები ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში პირველად 2014 წელს დაფიქსირდა.

2014 წლის 3 ივნისს, ახალგორის რაიონში მცხოვრები 20 წლის დ. ბ. თანამშრომელ დ.ა.-სთან ერთად სამსახურიდან წაიყვანეს ახალგორის დე ფაქტო მილიციაში დასაკითხად, როგორც ქურდობაში ეჭვმიტანილი. დ.ა. დაკითხვის შემდეგ გამოუშვეს. დ.ბ. ბოლოს დ.ა.-მ სწორედ მილიციაში ნახა და მას შემდეგ მისი ადგილსამყოფელი უცნობი იყო. ოჯახის ინფორმაციით, იგი გამომძიებელს არ დაუკითხავს. დღის ბოლოს, კი ახალგაზრდის პირადი ნივთები მილიციამ ოჯახის შორეულ ნათესავს მიუტანა სახლში. ახლობლების განცხადებით, ახალგორის დე ფაქტო მილიცია ოჯახს ეუბნებოდა, რომ დ.ბ. სახლთან დატოვეს და იგი საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადავიდა. ახალგორის დე ფაქტო მილიციის თანამშრომლებმა არა ერთხელ მიაყენეს სიტყვიერ შეურაცხყოფა დ.ბ.-ს დედას, რომელიც სიტუაციის გარკვევას ცდილობდა.

7 თვის შემდეგ, 2015 წლის 4 იანვარს, დ.ბ.-ს ცხედარი ახალგორის რაიონის სოფელ დოლიაანის მიმდებარე ტერიტორიაზე, ხეზე ჩამოკიდებული ადგილობრივმა მოსახლეობამ აღმოაჩინა.

20 იანვარს, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების რიგით 51-ე შეხვედრაზე, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა დ.ბ.-ს საქმესთან დაკავშირებით ადგილზე არსებული გამოძიების დეტალების გაცნობა და ცხედრის მაქსიმალურად მოკლე ვადებში ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვენება მოითხოვეს. თუმცა, ოსი წარმომადგენლების მხრიდან ეს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. მოგვიანებით, ცხედარი ჯერ ცხინვალში, შემდეგ რუსეთში გადაასვენეს გენეტიკური ანალიზისათვის, ისე რომ ოჯახის წევრებისთვის ნახვის საშუალება არ მიუციათ. 28 იანვარს ცნობილი გახდა, რომ დე ფაქტო ხელისუფლებამ თბილისს დ.ბ.-ს ცხედარი გადასცა, რომელსაც ექსპერტიზა ჩაუტარდა. ამ ეტაპზე, სახალხო დამცველისთვის ექსპერტიზის შედეგები უცნობია.

კვლავ უცნობია, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაფილასთან გაუჩინარებული რ.შ.-ს ბედი. სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებმა გამყოფი ხაზის სოფლების მონიტორინგისას სოფელ საკორინთლოს მაცხოვრებელ გ.ა-სგან შეიტყვეს, რომ იგი ცხინვალის იზოლატორში რ.შ.-თან ერთად იყო დაკავებული. მისი ინფორმაციით, რ.შ. კასპის მუნიციპალიტეტის სოფელი ყარაფილაში დააკავეს რუსმა მესაზღვრეებმა და 2008 წლის ომში მონაწილეობის გამო დახვრეტით ემუქრებოდნენ. თუმცა, რ.შ. მასთან საუბარში ამბობდა, რომ ავადმყოფობის გამო ომში მონაწილეობა არ მიუღია და სთხოვა გ.ა-ს საჯაროდ განეცხადებინა მისი მდგომარეობის შესახებ. რ.შ.-ს ადგილსამყოფელის შესახებ საუბარი იყო ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის შეხვედრებზეც, თუმცა, ოსური მხარე უარყოფს რ.შ.-ს დაკავებას.

მნიშვნელოვანია, რომ საგამოძიებო ორგანოებმა 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების დროს და მის შემდგომ პერიოდში, სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების, მათ შორის უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა საქმეების გამოძიება წარმართონ ეფექტურად, შემჭიდროვებულ ვადებში.

კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის მოქალაქეობის საკითხები

1990-იანი წლების დასაწყისში, კონფლიქტებისა და ეთნიკური დაძაბულობის გამო, საქართველოში მცხოვრები ოსების დიდი ნაწილი იძულებული გახდა დაეტოვებინა საქართველო, რა დროსაც მიიღეს რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობა. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ისინი ფლობენ როგორც რუსეთის, ისე საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელ საბუთებს. ეს კი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, იწვევს მათთვის საქართველოს მოქალაქეობის ავტომატურ შეწყვეტას. 2012 წელს ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, მოხდა კანონის მკაცრი აღსრულება, რამაც წარმოშვა ძალიან ბევრი სამართლებრივი და პრაქტიკული ბარიერები ოსი მოსახლეობისათვის. სახალხო დამცველის აპარატს არაერთმა ეთნიკურად ოსმა პირმა მიმართა დახმარების თხოვნით.

2015 წლის მარტში სახალხო დამცველმა სპეციალური ანგარიში გამოაქვეყნა, სადაც მიმოხილულია კონფლიქტით დაზარალებული ეთნიკურად ოსი მოსახლეობისათვის საქართველოს მოქალაქეობის მიღების საკითხები.[1242]

უცხო ქვეყნის (რუსეთის ფედერაციის თუ სხვა) მოქალაქეობის ფლობა მათთვის ნიშნავს, შესაძლებლობას იმოგზაურონ რუსეთის ფედერაციაში ოჯახის წევრების მოსანახულებლად და ასევე სოციალური დახმარების (პენსიის) მისაღებად ან/და ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, თუმცა, ამავე დროს, საქართველოში მათ ეზღუდებათ საქართველოს მოქალაქეებისათვის გათვალისწინებული უფლებები, როგორიცაა ხმის მიცემის უფლება, საჯარო სამსახურში დასაქმების უფლება, უფლება კენჭი იყაროს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში ასარჩევად, და აშ.

რაც შეეხება საქართველოს მოქალაქეობას, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მცხოვრები ოსი მოსახლეობისთვის საქართველოს მოქალაქეობის ფლობას გარკვეული ემოციური დატვირთვა გააჩნია და წარმოადგენს კავშირის მნიშვნელოვან ფორმას იმ ქვეყანასთან, სადაც ისინი დაიბადნენ და დღემდე ცხოვრობენ. წარსულში გადატანილი უფლებების დარღვევის

[1242] სპეციალური ანგარიში ეყრდნობა სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებულ კვლევას საქართველოში მცხოვრები ეთნიკურად ოსი მოსახლეობის მიგრაციისა და მოქალაქეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. კვლევის მიზანი იყო, 1989–1992 წლებში შეირაღებული კონფლიქტისა და ეთნიკური დაძაბულობის დროს ადამიანთა უფლებების დარღვევებისა შესწავლა და მათი უფლებების აღდგენისათვის აუცილებელი რეკომენდაციების შემუშავება.

ფაქტები მათ მეხსიერებაში ჯერ ისევ ნათლადაა შემორჩენილი. შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეობა მათთვის ერთდროულად უფლებების აღდგენისა და დაცვის გარანტიაცაა. რუსეთის მოქალაქეობა კი მათი არსებობის ძირითადი წყაროა.

შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ოსი მოსახლეობისათვის ერთ-ერთი მისაღები გამოსავალია საქართველოს მოქალაქეობის გამონაკლისის წესით მინიჭება, რაც გულისხმობს საქართველოს პრეზიდენტის მიერ საგამონაკლისო წესით უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებას. ამისათვის, აუცილებელია გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილება. კერძოდ კი, პრეზიდენტის მიერ საქართველოს მოქალაქეობა განსაკუთრებული პირობით შეიძლება მიენიჭოს იმ უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც აქვს საქართველოს წინაშე *განსაკუთრებული დამსახურება* ან მისთვის მოქალაქეობის მიღება *გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან.*

კვლევისა და განმცხადებელთა მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესწავლის შემდეგ გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც საგამონაკლისო წესით მოქალაქეობის მინიჭებაზე უარი ეთქვათ პირებს, რომლებიც საქართველოში დაიბადნენ, აქვე აქვთ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ქონება და ჯამრთელობის მდგომარეობის გამო იშვიათად თუ გადადიან რუსეთში. შესაბამისად მათთვის საქართველოს მოქალაქეობა წარმოადგენს ერთი მხრივ იმის გარანტიას, რომ თავი იგრძნონ სრულუფლებიან მოქალაქეებად და მეორე მხრივ, არ შეექმნათ პრობლემები საქართველოში ლეგალურად ცხოვრებასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, მათ უარი ეთქვათ საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებაზე.

მოქალაქეობის საკითხი, თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე წარმოადგენს უფლებრივი მდგომარეობის აღდგენის საწყისს და უკავშირდება როგორც კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა ქონებრივ რესტიტუციას, ასევე მათი ინტეგრაციის საკითხებს.

რეკომენდაციები

ჟენევის საერთაშორისო დისკუსიაში მონაწილე დელეგაციებს (შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი და საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო):

- გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა საშუალება, რათა უზრუნველყოფილი იქნას გამყოფ ხაზზე სასწრაფო დახმარების მანქანის, პაციენტებისა და სკოლის მოსწავლეების შეუფერხებელი გადაადგილება

- გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა საშუალება, რათა დაცული იქნას ადგილობრივი მოსახლეობის გადაადგილების თავისუფლება ორივე მხარეს; გამოინახოს გზები დაკავებულთა და პატიმართა გასათავისუფლებლად, რომელიც შესაძლოა იყოს გათავისუფლება – „ყველა ყველაზე“, ვადაზე ადრე გათავისუფლების, ამნისტიის ან შეწყალების გზით; პატიმრების საკითხის გადაჭრის პარალელურად, მხარეები უნდა შეთანხმდნენ ისეთ მექანიზმებზე, რომლებიც უზრუნველყოფს გამყოფ ხაზზე დაკავებების მანკიერი პრაქტიკის აღმოფხვრას
- დღის წესრიგში შეიტანოს აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის მიერ მათ კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებულ საპატიმრო დაწესებულებში განთავსებული ეთნიკურად ქართველი პატიმრების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის საკითხი;
- გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა საშუალება, რათა აღკვეთოს კრიმინოგენული სიტუაცია გალის რაიონში, უზრუნველყოს ადამიანების უსაფრთხოება და მათი უფლებების სრული დაცვა. ამისათვის, ითანამშრომლოს დე ფაქტო რეჟიმის და რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებთან, როგორც ტერიტორიაზე ეფექტური კონტროლის განმახორციელებელ ჯგუფებთან
- გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა საშუალება, რათა უზრუნველყოფილ იქნას მეტი საერთაშორისო ჰუმანიტარული თუ ადამიანის უფლებების დაცვითი ორგანიზაციების მუშაობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე
- გააქტიუროს გაყოფილი ოჯახების საკითხი და საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით, შექმნას სივრცე სადაც ოჯახი წევრები შეძლებენ ერთად გარკვეული დროის გატარებას
- გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები, გალში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრების აღსადგენად

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებით სამთავრობო კომისიას და მის ინდივიდუალურ წევრებს:

- იმსჯელოს და მიიღოს გადაწყვეტილება 2008 წლის შეიარაღებული მოქმედებების დროს დაზიანებული სახლების რეაბილიტაციის თაობაზე (რომელთაც, სახელმწიფოსგან ამ დრომდე რაიმე სახის დახმარება ან კომპენსაცია არ მიუღიათ). განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარდიაანთკარში შექმნილ ვითარებას
- იმსჯელოს და მიიღოს გადაწყვეტილება გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მობილური კავშირის გაუმჯობესების ღონისძიებებთან დაკავშირებით
- იმსჯელოს და მიიღოს გადაწყვეტილება კონფლიქტით დაზარალებულს სოფლებში სუფთა სასმელი წყლით უზრუნველყოფის თაობაზე

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრს:

- საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, ხელი შეეწყოს არაფორმალურ განათლებას ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ახალგაზრდებისათვის
- დაიწყოს მუშაობა საქართველოს ტერიტორიაზე 90-იან წლებში კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა, ქონებრივი უფლებების აღდგენისა და რესტიტუციის ახალ პოლიტიკის შემუშავებაზე

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- შეიმუშაოს სოციალური დახმარების ისეთი პროგრამა, რომელიც გაითვალისწინებს 2008 წლის შემდეგ შექმნილ რთულ სოციალურ და ეკონომიკურ სიტუაციას. კონკრეტულად სოციალური დახმარების სააგენტოს მიერ გამყოფ ხაზზე მცხოვრები ოჯახის შეფასებისას მხედველობაში იქნას მიღებული ის ფაქტი, რომ ოჯახს შესაძლოა საკუთრებაში ჰქონდეს უძრავი ქონება - მიწის ნაკვეთი, თუმცა მავთულხლართების გავლების შედეგად ვერ სარგებლობდეს ამ ნაკვეთით
- თანაბარ პირობებში იყვნენ ჩაყენებული და შემუშავდეს ერთგვაროვანი მიდგომა აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ყველა პაციენტისადმი. მოამზადოს ცვლილებები „რეფერალური მომსახურების ფარგლებში შესაბამისი სამედიცინო დახმარების გაწევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით კომისიის შექმნისა და მისი საქმიანობის წესის განსაზღვრის შესახებ“ მთავრობის დადგენილებაში, რათა სავალდებულო ხასიათი ჰქონდეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა პირთა მიმართ ერთგვაროვან პრაქტიკას, მიუხედავად მოქალაქეობისა
- უზრუნველყოს კონფლიქტური რეგიონების მკვიდრი მოსახლეობისათვის სოციალურ პროგრამებზე ხელმისაწვდომობა, საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის არქონის მიუხედავად. ამისათვის ცვლილება შევიდეს, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის №45 დადგენილებაში შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე

შინაგან საქმეთა მინისტრს:

- მოქალაქეების უსაფრთხოების დასაცავად გააძლიეროს პატრულირება გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში. მოაწყოს დამატებითო საგუშაგოები წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ფახულანსა და გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯარიაშენში

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს:

- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, სამთავრობო კომისიასთან ერთად, უზრუნველყოს უმაღლესი სასწავლებლების ინფორმირება მავთულხლართების გავლების შედეგად დაზარალებული სტუდენტების დაფინანსების პროგრამის თაობაზე, რათა თავიდან იქნას აცილებული სტუდენტებისათვის სტატუსის შეჩერება. დროულად მოხდეს ბიუროკრატიული ბარიერების გაანალიზება და აღმოფხვრა
- ხელი შეუწყოს გალისა და ახალგორის რაიონებში საშუალო განათლების ხარისხის ამაღლებას, მათ შორის სკოლის მოსწავლეების, აბიტურიენტების და მასწავლებლების მომზადების კუთხით. ასევე, უზრუნველყოს ქართულენოვანი მოსწავლეებისათვის წიგნების დროული მომარაგება, შეიმუშაოს გაცვლითი პროგრამები ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსწავლეებისათვის, რომელთაც შესაძლებლობა მიეცემათ იცხოვრონ ოჯახებში საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიებზე, განსაკუთრებით კი დიდ ქალაქებში

იუსტიციის მინისტრს:

- დაჩქარდეს გამყოფი ხაზების მიმდებარე სოფლებში მიწისა და ქონების რეგისტრაციის პროცესი

საქართველოს მთავარ პროკურორს:

- 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების დროს და მის შემდგომ პერიოდში, სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების, მათ შორის უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა საქმეების გამოძიება წარიმართოს ეფექტურად, შემჭიდროვებულ ვადებში

საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების პროცესში ჩართულ შესაბამის სტრუქტურებს (საქართველოს პრეზიდენტი, პრეზიდენტის ადმინისტრაცია, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტი):

- საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების დაცვით, საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭებისას გათვალისწინებულ იქნას სახელმწიფოს განსაკუთრებული ინტერესის კრიტერიუმი საქართველოს მოქალაქეობის მსურველი ეთნიკური ოსების მიმართ, რომლებიც ადასტურებენ საქართველოში ცხოვრებას და გამოთქვამენ საქართველოს მოქალაქეობის მიღების სურვილს. საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების საფუძვლად განისაზღვროს სახელმწიფო ინტერესები
- საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭებისას, ადეკვატურად შეფასდეს კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ადამიანების ვითარება, გადაწყვეტილების მიმღებმა ორგანოებმა იხელმძღვანელონ მათი უფლებებითა და საჭიროებებით და მოამზადონ დასკვნები ინდივიდუალური მდგომარეობის გათვალისწინებით.

სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და იძულებით გადაადგილებული პირების/ეკომიგრანტების უფლებრივი მდგომარეობა

საქართველო გამოირჩევა ბუნებრივი კატასტროფების სიხშირით. შესაბამისად, დღეისათვის მწვავე პრობლემაა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და იძულებით გადაადგილებული პირების – ეკომიგრანტების საკითხები. საქართველოს სახალხო დამცველი აღნიშნული პრობლემის შესახებ წლებია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის შესახებ საპარლამენტო ანგარიშებში საუბრობს. სახალხო დამცველმა ამ საკითხს სპეციალური ანგარიში „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და იძულებით გადაადგილებული პირების/ეკომიგრანტების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ" მიუძღვნა.[1243] მიუხედავად აღნიშნულისა, დღემდე არ არსებობს სახელმწიფოს ერთიანი ხედვა/სტრატეგია ამ მიმართულებით; სახალხო დამცველის სპეციალურ თუ საპარლამენტო ანგარიშებში ასახული რეკომენდაციების დიდი ნაწილი ამ დრომდე არ შესრულებულა.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველს მიმართავდნენ სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული პირები/ეკომიგრანტები, რომლებიც მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, არასათანადო საცხოვრებელ პირობებსა და მუდმივი საცხოვრებელი ფართის არარსებობაზე მიუთითებდნენ.

განცხადებების შესწავლის შედეგად გამოვლინდა არაერთი პრობლემური საკითხი, რომლებზეც ყურადღება გამახვილებული იქნება წინამდებარე ანგარიშში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სახელმწიფოში დღემდე არ შექმნილა სრულყოფილი სამართლებრივი ბაზა, რომელიც დაარეგულირებს სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ პირთა უფლებრივ მდგომარეობას და არ ჩამოყალიბებულა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული/ეკომიგრანტის დეფინიცია საკანონმდებლო დონეზე. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 6 ივნისის N123 ბრძანებით შექმნილმა კომისიამ, რომლის საქმიანობაში სხვადასხვა სახელმწიფო უწყების წარმომადგენლებთან ერთად ჩართული იყვნენ სახალხო დამცველის აპარატისა და საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, შეიმუშავა „ეკომიგრანტთა შესახებ" კანონის პროექტი, რომელიც ამ დრომდე არ არის მიღებული, ვინაიდან მისი წარდგენა საქართველოს პარლამენტში არც მომხდარა.

დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ 2014 წლის 1 ივნისს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და

[1243] http://www.ombudsman.ge/uploads/other/0/103.pdf

ლტოლვილთა სამინისტროში შეიქმნა ეკომიგრანტთა საკითხების დეპარტამენტი.[1244] ამავე წელს სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახებს პირველად მიეცათ შესაძლებლობა, შეევსოთ „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების განსახლების კრიტერიუმების დამტკიცებისა და განსახლების საკითხების მარეგულირებელი კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის N779 ბრძანებით დამტკიცებული განაცხადი საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ინფორმაციით, 2015 წლის საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში, სამინისტრო სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ 90-მდე ოჯახს განასახლებს, რაც 3-ჯერ აღემატება სამინისტროს მიერ 2013-2014 წლებში განსახლებული ოჯახების რაოდენობას.[1245]

ეკომიგრაციის შესახებ არსებული კანონმდებლობა

ეკომიგრაციის შესახებ არსებული კანონმდებლობა დეტალურადაა მიმოხილული საქართველოს სახალხო დამცველის 2010, 2011 და 2013 წლების საპარლამენტო და 2013 წლის სპეციალურ ანგარიშებში.[1246] ვინაიდან, 2014 წელსაც არ ამოქმედებულა კანონი, რომლითაც განისაზღვრებოდა ეკომიგრანტთა სამართლებრივი სტატუსი და დარეგულირდებოდა მათი უფლებრივი მდგომარეობა, ძალაში რჩება საქართველოს სახალხო დამცველის 2010, 2011 და 2013 წლების საპარლამენტო ანგარიშებში გაცემული რეკომენდაციები, ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის შექმნის თაობაზე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და იძულებით გადაადგილებული პირების/ეკომიგრანტების განსახლებისას ხელმძღვანელობს „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების განსახლების კრიტერიუმების დამტკიცებისა

[1244] „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 22 თებერვლის N34 დადგენილება, მე-6 მუხლი, მე-4 პუნქტი, „ბ[1]“ ქვეპუნქტი.

[1245] http://mra.gov.ge/geo/news/show/189/5750 ბოლოს ნანახია 21/01/2015.

[1246] საქართველოს სახალხო დამცველის 2010 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 450-453; საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 613-617; საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და იძულებით გადაადგილებული პირების/ ეკომიგრანტების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ, გვ. 9-18.

და განსახლების საკითხების მარეგულირებელი კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის N779 ბრძანებით. ზემოაღნიშნული ბრძანება წარმოადგენს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს, რომელიც არეგულირებს სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების განსახლების წესებს. როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოში დღემდე არ არსებობს კანონი, რომლითაც განისაზღვრება ეკომიგრანტთა სტატუსი, უფლებრივი მდგომარეობა და მათი სოციალური უზრუნველყოფის საკითხი.

აღნიშნული ბრძანებით დარეგულირებულია სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების განსახლების წესი, განსახლების კრიტერიუმები და საცხოვრებელი სახლის დაზიანების კატეგორიების შეფასების ფორმები. ამავე ნორმატიული აქტით დამტკიცებულია კითხვარი, რომლის შევსების შემდეგაც, დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით, თითოეულ ოჯახს ენიჭება შესაბამისი ქულა. მაღალი ქულის მქონე ოჯახები თავშესაფრით უზრუნველყოფის რიგითობისას პრიორიტეტით სარგებლობენ. ასეთ ოჯახებს სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და გადაადგილებას დაქვემდებარებულ ოჯახთა განსახლების საკითხების მარეგულირებელი კომისია მისცემს გონივრულ ვადას, მოიძიონ საცხოვრებლად ვარგისი სახლი, რომელიც აუცილებლად რეგისტრირებული უნდა იყოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. მოძიებული საცხოვრებელი სახლის ეკომიგრანტი ოჯახისათვის შესყიდვას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო უზრუნველყოფს.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის N779 ბრძანებით დამტკიცებულ განაცხადებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო იღებდა 2014 წლის 20 იანვრიდან 20 თებერვლამდე და 30 ივნისიდან 12 ივლისის ჩათვლით. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის N779 ბრძანებაში 2014 წლის 29 ოქტომბერს შეტანილი ცვლილებების შედეგად, საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადები 2014 წლის 5 ნოემბრიდან უწყვეტ რეჟიმში მიიღება. განაცხადების მიღება 2015 წლის განმავლობაშიც გაგრძელდება.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის N779 ბრძანებაში ცვლილება განხორციელდა განსახლების კრიტერიუმების კუთხითაც. კერძოდ, ცვლილებების შედეგად, მანამდე არსებული საცხოვრებელი სახლის

დაზიანების 4 კატეგორია შეიცვალა და 2 კატეგორიად ჩამოყალიბდა.[1247] ასევე შეიცვალა აღნიშნული კატეგორიისათვის მინიჭებული ქულის რაოდენობაც.[1248]

მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით არსებობს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის ბრძანება,[1249] რომელიც მხოლოდ ეკომიგრანტთა განსახლების საკითხებს არეგულირებს, მნიშვნელოვანია კანონის მიღება, რომელიც გაითვალისწინებს სტიქიის შედეგად დაზარალებულიპირების სოციალურ გარანტიებს, სამართლებრივ სტატუსსა და სხვა საკითხებს.

როდესაც ეკომიგრაციის შესახებ კანონმდებლობაზე ვსაუბრობთ, აუცილებელია ვახსენოთ ის შეუსაბამობა რაც ქართულ კანონმდებლობას გაეროს 1998 წლის იძულებით გადაადგილების სახელმძღვანელო პრინციპებთან აქვს. კერძოდ, ამ პრინციპების მეორე მუხლის თანახმად:

> „იძულებით გადაადგილებულ პირებად ითვლებიან ის პირები ან პირთა ჯგუფები, რომლებიც გამოძევებულ იქნენ ან იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ თავიანთი სახლი ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, რათა გაქცეოდნენ შეიარაღებულ კონფლიქტს, საყოველთო ძალადობას, ადამიანის უფლებათა ხელყოფასა და სტიქიურ ან ადამიანის მიერ შექმნილ კატასტროფებს და, ამასთან, არ გადაუკვეთავთ საერთაშორისოდ აღიარებული სახელმწიფო საზღვარი.“

სახელმძღვანელო პრინციპები არ ანსხვავებს იძულებით გადაადგილებულ პირებს გადაადგილების გამომწვევი მიზეზებზე დაყრდნობით. საქართველოს კანონმდებლობა კი იძულებით გადაადგილებულ პირებად მხოლოდ მათ აღიარებს, ვინც მუდმივი საცხოვრებელია ადგილი ოკუპაციის, აგრესიის, შეიარაღებული კონფლიქტის საყოველთაო

[1247] პირველი კატეგორია მოიცავს ეკომიგრანტ ოჯახებს, რომელთა სახლი ან მისი ნაწილი დანგრეულია ან დაზიანებულია სტიქიური მოვლენის შედეგად (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი, ქვათა ცვენა, მდინარის ნაპირების გარეცხვა, თოვლის ზვავი, გარდა მიწისძვრისა და ვულკანისა) და არ ექვემდებარება აღდგენას. მეორე კატეგორია აერთიანებს სტიქიით დაზარალებულ ოჯახებს, რომელთა სახლი არ არის დანგრეული, მაგრამ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სტიქიური მოვლენები (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი, ქვათა ცვენა, მდინარის ნაპირების გარეცხვა, თოვლის ზვავი, გარდა მიწისძვრისა და ვულკანისა), საფრთხეს უქმნის იქ მცხოვრებ ადამიანთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და მათ საკუთრებაში არსებულ ქონებას.

[1248] პირველი კატეგორიისთვის განისაზღვრა10 ქულა, ხოლო მეორე კატეგორიისთვის - 7 ქულა.

[1249] „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების განსახლების კრიტერიუმების დამტკიცებისა და განსახლების საკითხების მარეგულირებელი კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის N779 ბრძანება.

ძალადობის ან/და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო დატოვა.[1250] ასეთი მიდგომა და ის ფაქტი, რომ ამ დრომდე არ არსებობს სისტემატიზირებული საკანონმდებლო ბაზა, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის სტატუსთან და უფლებებთან დაკავშირებით, არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს მათ იმ პირებთან შედარებით, რომლებსაც ეროვნული კანონმდებლობით დევნილის სტატუსი გააჩნიათ. ეკომიგრანტებისთვის არ არის ხელმისაწვდომი ის სოციალური შეღავათები, რომლებიც დევნილებზე ვრცელდება. შესაბამისად, აუცილებელია გაგრძელდეს მუშაობა ეკომიგრანტების შესახებ კანონპროექტზე რათა სამართლებრივად დარეგულირდეს არა მხოლოდ განსახლების, ასევე ეკომიგრანტთა განსახლების ადგილზე ინტეგრაციის და მათთვის სხვა სახის სოციალური დახმარებების გაწევის საკითხები.

ეკომიგრანტთა განსახლების პრაქტიკა

2014 წლის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში გაგრძელდა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულთა/ეკომიგრანტთა იმ განცხადებების[1251] შესწავლა, რომლებშიც მიუთითებდნენ, რომ საცხოვრებელი სახლები, სადაც ეკომიგრანტები ცხოვრობენ, წარმოადგენს სახელმწიფოს საკუთრებას და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ პირებს არ გადასცემია კერძო საკუთრებაში. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განსახლებული ეკომიგრანტი ოჯახებისათვის სახნავ-სათესი და საძოვარი მიწის ნაკვეთების არარსებობა კვლავაც პრობლემად რჩება.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, საკითხის შესწავლის მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან წერილებით[1252] გამოითხოვა ინფორმაცია, საქართველოს სხვადასხვა რაიონში[1253] ჩასახლებული ეკომიგრანტებისათვის საცხოვრებელი სახლების კერძო საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კორესპონდენციით[1254] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ ეკომიგრანტებისათვის საცხოვრებელი ფართების კერძო საკუთრებაში გადაცემისთვის საჭირო პროცედურები დაწყებულია.

[1250] საქართველოს 2014 წლის კანონი „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“, მუხ. 6

[1251] N1355/1; N1358/1; N1356/1; N1744/1; N2092/1; N6867/1; N6865/1 და N6861/1.

[1252] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2014 წლის 18 მარტის N04-9/5337, 2015 წლის 20 იანვრის N04-9/373 წერილი.

[1253] ახმეტის, მარნეულისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტების სოფლები.

[1254] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 27 ივნისის N524099 წერილი.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საანგარიშო პერიოდში ასევე შეისწავლა იმ ეკომიგრანტთა განცხადებები, რომლებიც განმეორებით ეკომიგრაციის საფრთხის ქვეშ არიან. კერძოდ, სახელმწიფოს მიერ განსახლებულ ტერიტორიაზე[1255] სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების დროებითი საცხოვრებელი სახლები ზიანდება, „მიმდინარე ტერიტორიის ამგები თიხური ქანების გაჯირჯვებადი (ფუებადი) თვისებებისა და გრუნტის წყლების ზედაპირთან სიახლოვის გამო“. [1256]

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროდან წერილით[1257] გამოითხოვა ინფორმაცია 2014 წლის განმავლობაში საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე შევსებული განაცხადებისა და თავშესაფრით დაკმაყოფილებული ეკომიგრანტების რაოდენობის შესახებ. ამავე წერილით გაიგზავნა შეკითხვა, არსებობს თუ არა სტიქიის შედეგად დაზარალებულთა მონაცემების ერთიანი ბაზა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წერილით[1258] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ 2014 წლის განმავლობაში საცხოვრებელი სახლის მიღების თაობაზე შეივსო 210 განაცხადი, დაზარალებულის მიერ საცხოვრებელი სახლის მოძიების თაობაზე განაცხადი შეავსო 1 786-მა ოჯახმა. მიღებული განაცხადებიდან „საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადის“ საფუძველზე 33 ოჯახს გადაეცა 2013 წელს შესყიდული და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლები, ხოლო „დაზარალებულის მიერ საცხოვრებელი სახლის მოძიების თაობაზე განაცხადის“ საფუძველზე 32 ოჯახი[1259].დაკმაყოფილდა, ამასთანავე, 2014 წელს „შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსთან“ დადებული საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში დამატებით 4 ოჯახს[1260] გადაეცა საცხოვრებელი ფართი. ამავე კორესპონდენციის თანახმად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ეკომიგრანტთა საკითხების დეპარტამენტის მიერ შექმნილია სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების მონაცემთა ბაზის პროექტი.

[1255] თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელი გოლთეთი.

[1256] საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 3 ივნისის N12-15/1931 წერილი.

[1257] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2015 წლის 20 იანვრის N04-9/377 წერილი.

[1258] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან, იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2015 წლის 23 იანვრის N03-01/03/1551 წერილი.

[1259] საცხოვრებელი სახლების შესყიდვის მიზნით დაიხარჯა 601297.8 ლარი.

[1260] საცხოვრებელი სახლების შესყიდვის მიზნით დაიხარჯა 77474 ლარი.

ადაპტაცია–ინტეგრაციის პროგრამები

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულებით[1261] აკისრია ეკომიგრანტთა არამარტო განსახლების ვალდებულება, არამედ განსახლების შემდგომი ადაპტაცია–ინტეგრაციისათვის შესაბამისი ღონისძიებების გატარება. ამდენად, ბენეფიციარის განსახლება ამ უფლების სრული რეალიზაციისათვის არ არის საკმარისი. განსახლების შემდგომი ღონისძიებების გატარება გულისხმობს ეკომიგრანტისათვის ადეკვატური საცხოვრებელი და სოციალური პირობების შექმნას, რაც საბოლოოდ ემსახურება განსახლებული პირის ახალ რეგიონში ადაპტაციასა და დამკვიდრებას.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროდან წერილით[1262] გამოითხოვა ინფორმაცია 2014 წლის განმავლობაში გატარებული ადაპტაცია–ინტეგრაციის პროგრამებთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ. მიღებული კორესპონდენციით[1263] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ 2014 წელს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, აჭარის ა/რ მთავრობას, ა/ო „რეგიონული განვითარებისა და სოციალური დახმარების ცენტრსა“ და „შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს შორის“ დადებული საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში დაგეგმილი იყო 45 ეკომიგრანტი ოჯახის განსახლება და მათი ადგილზე ინტეგრაცია.

სამწუხაროდ, მიღებული კორესპონდენციიდან ირკვევა, რომ ეკომიგრანტთა განსახლების შემდგომ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ ადაპტაცია-ინტეგრაციის კუთხით რაიმე სახის ღონისძიება ამ დრომდე არ გატარებულა.

ბენეფიციართა მიმართ ადაპტაცია–ინტეგრაციის პროგრამების განხორციელებას ასევე ითვალისწინებს 1998 წლის გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები იძულებით გადაადგილების შესახებ. მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ, ამ კუთხით დღესდღეობით არც ერთი პროექტი არ ხორციელდება, რაც დამატებით პრობლემებს უქმნის ეკომიგრანტებს.

[1261] „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 22 თებერვლის N34 დადგენილება.

[1262] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2015 წლის იანვრის N04-9/694 წერილი.

[1263] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2015 წლის 23 იანვრის N03-01/03/1551 წერილი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს პრობლემა კიდევ ერთხელ მიუთითებს ეკომიგრანტთა შესახებ კანონმდელობის შემუშავების აუცილებლობაზე. გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილება არ არის საკმარისი ღონისძიება ეკომიგრანტთა პრობლემების გრძელვადიანი გადაჭრის მხრივ. ინტეგრაციის საკითხები უნდა დარეგულირდეს საკონონმდებლო დონეზე. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, რესურსებიდან გამომდინარე ვერ იქნება ერთადერთი სახელმწიფო უწყება, რომელიც პასუხისმგებელი იქნება როგორც ეკომიგრანტების განსახლებაზე, ასევე მათ ინტეგრაციაზე. აუცილებელია გადანაწილდეს კომპეტენციები სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებსა და თვითმმართველობებს შორის ეკომიგრანტთა განსახლების ადგილზე ინტეგრაციის მხრივ.

ფინანსური უზრუნველყოფა

ეკომიგრანტთა უფლებების რეალიზაციისათვის მნიშვნელოვან ასპექტს შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერა წარმოადგენს. საქართველოს სახალხო დამცველი საპარლამენტო ანგარიშებში[1264] საუბრობდა ეკომიგრანტების უფლებების დაცვის მიზნით საბიუჯეტო ასიგნებით გამოყოფილ მიზერულ თანხებზე, რაც შეუძლებელს ხდიდა ეფექტური პოლიტიკის დაგეგმვასა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროდან წერილობით[1265] გამოითხოვა ინფორმაცია, თუ რა თანხა დაიხარჯა 2014 წლის განმავლობაში სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების თავშესაფრით უზრუნველსაყოფად.

მიღებული ინფორმაციის[1266] თანახმად, 2014 წლის განმავლობაში ეკომიგრანტების განსახლების მიზნით საბიუჯეტო ასიგნებიდან დაიხარჯა 601 297.8 ლარი; შესაბამისად ეკომიგრანტებისათვის შეიყიდეს 32 სახლი.

2004-2010 წლებში ეკომიგრანტების განსახლების მიზნით, ეკომიგრანტი ოჯახებისათვის შეიძინეს 1 062 სახლი.[1267] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს

[1264] საქართველოს სახალხო დამცველის 2011 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 218, საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 619.
[1265] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2015 წლის 20 იანვრის N04-9/377 წერილი.
[1266] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2015 წლის 23 იანვრის N03-01/03/1551 წერილი.
[1267] საქართველოს სახალხო დამცველის 2011 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 218.

კორესპონდენციის[1268] თანახმად, 2013 წელს შესყიდულ 32 საცხოვრებელ სახლში 2014 წელს განსახლდნენ სტიქიის შედეგად დაზარალებული პირები.

საქართველოში სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული 35 204 ოჯახი[1269] არის დარეგისტრირებული. რაც შეეხება ეკომიგრანტი ოჯახების რაოდენობას, აღნიშნულის შესახებ სამინისტროს მონაცემები არ გააჩნია. აუცილებელია მოხდეს ეკომიგრანტი ოჯახრბის რაოდენობის განსაზღვრა და აღნიშნულის მიხედვით დაიგეგმოს მათი განსახლებისა და ინტეგრაციის პროცესები.2004-2014 წლებში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ შეიძინა მხოლოდ 1131[1270] საცხოვრებელი სახლი. ეკომიგრანტთა განსახლების პროგრამებში მონაწილეობის მსურველების რაოდენობიდან გამომდინარე, ეკომიგრანტთა სავარაუდო რაოდენობა საკმაოდ დიდია და ის თანხები, რომელბსაც სახელმწიფო გამოყოფს მათი განსახლების მიზნით საკმარისი არ არის მნიშვნელოვანი პროგრესის მისაღწევად.

პრევენცია

ეკომიგრაციის სფეროში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია მოსალოდნელი სტიქიური უბედურებების პროგნოზირება და პრევენცია. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულების თანახმად,[1271] მის ერთ-ერთ ვალდებულებას წარმოადგენს სტიქიასაშიში რეგიონებიდან მოსალოდნელი მიგრაციის პროგნოზირება. გეოლოგიური პროცესების მიმდინარეობაზე კონტროლს ასევე ახორციელებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, გარემოს ეროვნული სააგენტო.[1272] აღნიშნული სააგენტოს ვალდებულებებში სხვა ვალდებულებებთან ერთად, შედის საქართველოს ტერიტორიაზე ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური სტიქიის ზონებიდან მოსახლეობის გასახლების აუცილებლობის დადგენა, ეკომიგრანტების განსახლების არეალების განსაზღვრა და

[1268] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2015 წლის 23 იანვრის N03-01/03/1551 წერილი.
[1269] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წერილი N 04/02-09/8630.
[1270] 2004-2010 წლებში შეძენილია 1 062 სახლი, ხოლო 2013-2014 წლებში – 69 სახლი.
[1271] „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 22 თებერვლის N34 დადგენილება.
[1272] შეიქმნა 2008 წლის 29 აგვისტოს.

შეფასება, ჰიდრომეტეოროლოგიური, გეოლოგიური და ეკოლოგიური საშიშროების რისკების შეფასებაში მონაწილეობა.[1273]

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო ყოველწლიურად შეიმუშავებს სპეციალურ ბიულეტენს, რომელიც ეხება ქვეყანაში მიმდინარე გეოლოგიურ პროცესებს. ბიულეტენი ეგზავნება ყველა სათანადო სტრუქტურას. ასევე, საინფორმაციო ბიულეტენი თავსდება ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა წერილობით[1274] გამოითხოვა ინფორმაცია სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოდან ეკომიგრანტების განსახლების არეალების განსაზღვრის, შეფასებისა და პრევენციული ღონისძიებების კუთხით 2014 წლის განმავლობაში გატარებული ღონისძიებების შესახებ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს წერილით[1275] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ 2014 წლის განმავლობაში სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლების მიერ შეფასდა 982 საცხოვრებელი სახლი და საკარმიდამო ნაკვეთი. შემოწმებული ოჯახებიდან 222 კომლი დაექვემდებარა განსახლებას გეოლოგიურად მდგრად ადგილზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის და სტრატეგიის შემუშავება სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის უფლებების დაცვის, სტიქიის შედეგების აღმოფხვრის, ასევე სტიქიური უბედურებების თავიდან აცილების მიზნით განსახორციელებელი სამუშაოებისთვის. სწორედ ამიტომ, ამ სფეროში სახალხო დამცველის მთავარ რეკომენდაციას სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის შემუშავება და მიღება წარმოადგენს..

რეკომენდაციები:

საქართველოს მთავრობას/საქართველოს პარლამენტს

- საკანონმდებლო დონეზე ჩამოყალიბდეს ეკომიგრანტის დეფინიცია და განისაზღვროს პირთა წრე, რომელზეც გავრცელდება აღნიშნული სამართლებრივი სტატუსი.

[1273] „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოს ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის №27 ბრძანება.

[1274] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2015 წლის იანვრის N04-9/603 წერილი.

[1275] სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 09 თებერვლის N21/892 წერილი.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და დევნილთა სამინისტროს

- შეიქმნას სტიქიის შედეგად იძულებით გადაადგილებული და დაზარალებული პირების მონაცემთა ერთიანი ელექტრონული ბაზა;
- შემუშავდეს სტრატეგია/სამოქმედო გეგმა ეკომიგრანტთა განსახლებისა და სხვა სოციალური გარანტიების უზრუნველყოფის მიზნით;
- სტიქიის შედეგად იძულებით გადაადგილებული და დაზარალებული პირების უფლებათა დაცვის მიზნით შემუშავდეს და განხორციელდეს ეკომიგრანტთა განსახლების შემდგომი ადაპტაცია-ინტეგრაციის პროგრამები.

საქართველოს მთავრობას

- ქვეყანაში მიმდინარე გეოლოგიური პროცესების შესახებ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ ყოველწლიურად მომზადებულ დასკვნებს მიეცეს სათანადო შეფასება და დასკვნებში მოყვანილი სავარაუდო შედეგების პრევენციისათვის ან/და უკვე დამდგარი შედეგების შესაბამისად, სათანადო სახელმწიფო უწყებებმა მოახდინონ ადეკვატური და დროული რეაგირება.

ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-დან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ

2014 წელს, გასულ წლებთან შედარებით, გაიზარდა სახალხო დამცველის აპარატში მესხეთიდან გადასახლებული მოქალაქეების მომართვიანობა. შესაბამისად, აღნიშნულ თავში განვიხილავთ ყოფილი სსრკ-ს მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-დან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციასთან დაკავშირებულ საკითხებს და მათ პრობლემებზე გავამახვილებთ ყურადღებას.

სამხრეთ საქართველოდან გადასახლებული მესხების დაბრუნების საკითხი დღემდე აქტუალური განსჯის საგნად რჩება. როგორც მოგეხსენებათ, 1999 წელს ევროსაბჭოში გაწევრიანებასთან ერთად, საქართველომ აიღო ვალდებულება[1276] ყოფილი სსრკ-ს მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-დან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტი, მისი მიღებიდან ორი წლის განმავლობაში ავალდებულებდა საქართველოს ხელისუფლებას რეპატრიაციისა და ინტეგრაციის სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავებას, მათ შორის სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეობისათვის მოქალაქეობის მიღების უფლებას, ხოლო თორმეტი წლის განმავლობაში რეპატრიაციის პროცესის დასრულებას. მიუხედავად აღნიშნული ვადებისა, რეპატრიანტის სტატუსის მაძიებელ პირთა განცხადებების განხილვა ამჟამადაც მიმდინარეობს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში. 2014 წლის მონაცემებით, სულ 1533 პირი სარგებლობს რეპატრიანტის სტატუსით, აქედან 2014 წელს 359 პირს მიენიჭა სტატუსი[1277], ხოლო საქართველოს მოქალაქეობა 382 პირმა მიიღო.

კანონმდებლობა

2007 წელს საქართველოს პარლამენტმა, გადასახლებულ პირთა ღირსეული დაბრუნებისა და რეპატრიაციის პროცესის სამართლებრივი რეგულირების მიზნით, მიიღო კანონი „ყოფილი

[1276] PACE Opinion, January 27, 1999 - ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://www.assembly.coe.int//Main.asp?link=http://www.assembly.coe.int/Documents/AdoptedText/ta99/eopi209.htm#1>[ბოლოს ნანახია: 2014 წლის 24 დეკემბერს]

[1277] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტის ინფორმაცია (შეხვედრა 02.02.2015 წ.)

სსრკ–ს მიერ XX საუკუნის 40–იან წლებში საქართველოს სსრ–დან იძულებით გადაადგილებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ“.

აღნიშნული კანონის მიზანია გადასახლებულ პირთა და მათ შთამომავალთა საქართველოში დაბრუნებისათვის სამართლებრივი მექანიზმების შექმნა, ხოლო კანონით დადგენილი რეპატრიაციის სისტემა ეფუძნება ისტორიული სამართლიანობის აღდგენას, ღირსეული და ნებაყოფლობითი დაბრუნების პრინციპებს და ითვალისწინებს ეტაპობრივ რეპატრიაციას.[1278] თუმცა აღსანიშნავია, რომ მოცემული კანონი განსაზღვრავს მხოლოდ რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების პროცედურებს. მასში არ არის განსაზღვრული სოციალურ–ეკონომიკური გარანტიები და ქონებასთან დაკავშირებული საკითხები, რაც მიგვაჩნია, რომ რეპატრიანტთა ღირსეული დაბრუნების კუთხით ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია.

კანონი ასევე ავალდებულებს სახელმწიფოს რეპატრიანტთათვის გამარტივებული წესით საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებას, თუმცა ამ კუთხითაც არსებობს პრობლემები. კერძოდ, სახალხო დამცველის აპარატში საანგარიშო პერიოდში შემოსული განცხადებების ანალიზი აჩვენებს, რომ არსებობს პირთა გარკვეული ჯგუფი, რომელიც ვერ ახერხებს მოქალაქეობის მიღებას. აღნიშნული კატეგორიის ჯგუფში არიან როგორც რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირები, ასევე კანონის მიღებამდე ჩამოსახლებული პირები, რომლებიც არ ფლობენ რეპატრიანტის სტატუსს. აღნიშნული განცხადებების შესწავლისას დადგინდა, რომ პირთა მცირე ნაწილს უკვე აქვს საქართველოს მოქალაქეობა მინიჭებული, თუმცა ბრძანებულება ამოქმედდება მათ მიერ სხვა ქვეყნის მოქალაქეობაზე უარის თქმის დამადასტურებელი დოკუმენტის კომპეტენტურ ორგანოებში წარდგენისთანავე. სწორედ აქ აწყდებიან მესხეთიდან გადასახლებული პირები პრობლემებს, რადგან მათი თქმით, ეს არცთუ ისე გამარტივებული პროცედურაა და ბევრისათვის, მათი მოქალაქეობის ქვეყანაში განვითარებული ბიუროკრატიული თუ სხვა ბარიერების გათვალისწინებით, შეუძლებელია მოქალაქეობიდან გამოსვლა. ხოლო აღნიშნული დოკუმენტის ბრძანებულების გამოცემიდან 2 წლის განმავლობაში წარმოუდგენლობის შემთხვევაში პრეზიდენტის ბრძანებულება მოქალაქეობის მინიჭების შესახებ ძალადაკარგულად ითვლება. შესაბამისად, აღნიშნული კატეგორიის პირები, რადგან მათი საქართველოში ყოფნის სამართლებრივი საფუძველი აღარ იარსებებს, იძულებულები იქნებიან დატოვონ ქვეყანა ან დაექვემდებარონ გაძევებას.

საქართველოს მოქალაქეობის მიღებასთან დაკავშირებულ პრობლემებს ადასტურებს სტატისტიკური ინფორმაციაც. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტის ინფორმაციით, ჯერ მხოლოდ 382 რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირმა მიიღო საქართველოს მოქალაქეობა.

[1278] საქართველოს კანონი „ყოფილი სსრკ–ს მიერ XX საუკუნის 40–იან წლებში საქართველოს სსრ–იდან იძულებით გადაადგილებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ“, მუხ. 1.

„ყოფილი სსრკ–ს მიერ XX საუკუნის 40–იან წლებში საქართველოს სსრ–დან იძულებით გადაადგილებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ“ საქართველოს კანონით არ არის განსაზღვრული რეპატრიანტის სტატუსის მაძიებლის განაცხადისა და მისთვის შესაბამისი სტატუსის მინიჭების ვადა, რაც კანონის კიდევ ერთ ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს.

ბუნდოვანია აღნიშნული კანონის მე–7 მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით განსაზღვრული მოთხოვნები, რომლის მიხედვით საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია დაადგინოს დამატებითი მოთხოვნები რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვასთან დაკავშირებით, რადგან არ არის განსაზღვრული ვადები და მიგვაჩნია, რომ აღნიშნული მუხლი არ გამოხატავს რეპატრიანტის მაძიებელი პირის ინტერესებს.

რეპატრიანტთა ინტეგრაცია

მიუხედავად იმ პოზიტიური და მნიშვნელოვანი ღონისძიებებისა, რაც საქართველოს მთავრობამ იძულებით გადასახლებულ პირთა დასაბრუნებლად განახორციელა, პრობლემად რჩება, განსაკუთრებულ ყურადღებასა და ძალისხმევას იმსახურებს რეპატრირებული მოსახლეობის სრულყოფილი სამოქალაქო ინტეგრაცია. 2014 წლამდე არ არსებობდა მესხეთიდან გადასახლებულ პირთა ღირსეული რეპატრიაციისათვის ჩამოყალიბებული სტრატეგია, რომელიც საანგარიშო პერიოდში, 2014 წლის სექტემბერში დამტკიცდა, რაც წინგადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს.

„ყოფილი სსრკ–ს მიერ XX საუკუნის 40–იან წლებში საქართველოს სსრ–იდან იძულებით გადაადგილებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ სახელმწიფო სტრატეგია“ მიზნად ისახავს რეპატრიანტთა ღირსეული და ნებაყოფლობითი დაბრუნების ხელშეწყობას და რეპატრირებული მოსახლეობის სამოქალაქო ინტეგრაციას.[1279]

აღნიშნულ სტრატეგიაში ასახულია ზოგადი დებულებები, რომლის თანახმად დოკუმენტი განსაზღვრავს სახელმწიფო ხედვასა და ამოცანებს ორი მიმართულებით: რეპატრიანტთა ღირსეული დაბრუნება და საზოგადოებაში ინტეგრაცია. აღნიშნული ამოცანების განსახორციელებლად საჭიროა რეპატრიანტთა მაქსიმალური ინფორმირებულობა და ახალ სამართლებრივ გარემოში ადაპტირება.

სტრატეგია ვრცელდება იმ პირებზე, რომლებსაც კანონის შესაბამისად მიენიჭათ რეპატრიანტის სტატუსი და პირებზეც, რომლებმაც საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვეს „ყოფილი სსრკ–ს მიერ XX საუკუნის 40–იან წლებში საქართველოს სსრ–დან იძულებით გადაადგილებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ“ კანონისა და „რეპატრიანტის სტატუსის

[1279] „ყოფილი სსრკ–ს მიერ XX საუკუნის 40–იან წლებში საქართველოს სსრ–დან იძულებით გადაადგილებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ სახელმწიფო სტრატეგია“, პრეამბულა.

მქონე პირთა მიერ საქართველოს მოქალაქეობის გამარტივებული წესით მიღების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად.

სტრატეგიის თანახმად, რეპატრიანტთა ღირსეული დაბრუნებისათვის აუცილებელია მათი მაქსიმალური ინფორმირება და ახალ სამართლებრივ გარემოში ადაპტირება და სწორედ ამ მიზნით განსაზღვრულია რეპატრიანტთა საჭიროებების შესწავლა, რეგიონებში არსებული რესურსების იდენტიფიცირება, ინფორმაციის მათთვის გასაგებ ენაზე მიწოდება.

აღნიშნული სტრატეგია მეტად მნიშვნელოვანია რეპატრიაციის პროცესის ხელშეწყობისა და მათი ინტეგრაციის საქმეში, თუმცა კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ დოკუმენტი მხოლოდ ზოგად ინფორმაციას მოიცავს. ამიტომ მიგვაჩნია, რომ საჭიროა დაჩქარდეს სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელშიც აისახება კონკრეტული მექანიზმები და ქმედებები, კერძოდ, რეპატრიაციის შემდგომ პერიოდში ინტეგრაციის ხელშეწყობის ღონისძიებები.

განსაკუთრებული პრობლემა, რაც დგას დაბრუნებული მესხი მოსახლეობის წინაშე, არის განათლება და სახელმწიფო ენის შესწავლა. ბენეფიციართა უმრავლესობა არ ფლობს ქართულ ენას, რაც რეპატრიაციის შემდგომ მათი ინტეგრაციისა და ქვეყნის ცხოვრებაში სრულფასოვანი ჩართვის შემაფერხებელი ფაქტორია და უმოკლეს დროში საჭიროებს პრობლემის გადაწყვეტას.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს რეპატრიანტთა ჩართვა სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამაში, რასაც ამჟამად მოკლებულები არიან. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული გაიწერება სამოქმედო გეგმაში, რომელიც მუშავდება და უახლოეს მომავალში დამტკიცდება.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ყოფილი სსრკ–ს მიერ XX საუკუნის 40–იან წლებში საქართველოდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი სამთავრობო საბჭოს შექმნა, რომელიც 2011 წლის 1 მარტიდან ფუნქციონირებს. საბჭოს მიზანია, კოორდინაცია გაუწიოს რეპატრიაციის საკითხზე მომუშავე უწყებების საქმიანობას და ხელი შეუწყოს კონკრეტული ინიციატივებისა და რეკომენდაციების შესრულებას[1280], თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოს მუშაობა, მისი მოწვევის ინტენსივობიდან გამომდინარე, საკმაოდ არაეფექტიანია. ასევე ფაქტია, რომ დაბრუნებული მესხების პრობლემები დღემდე მოუგვარებელია. კერძოდ, კვლავ მწვავედ დგას საქართველოში მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე მესხების პრობლემა. დიდი სურვილის მიუხედავად ისინი ვერ გადიან სამხედრო სამსახურს, ვერ სარგებლობენ იმ

[1280]ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://mra.gov.ge/geo/static/173> [ბოლოს ნანახია 2014 წლის 18 დეკემბერს]

დახმარებით და შეღავათებით, რაც გააჩნია საქართველოს მოქალაქეს. მათთვის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას დასაქმება წარმოადგენს. მათ უწევთ სამსახურის სხვა ქვეყანაში შოვნა, ხოლო მიღებული შემოსავლით საქართველოში მყოფი ოჯახების შენახვა, რაც რა თქმა უნდა არ უწყობს ხელს ამ პირების ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციას. მიგვაჩნია, რომ რეპატრიაციის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისმა სამთავრობო საბჭომ უფრო ინტენსიური და ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგას რეპატრირებული მოსახლეობის პრობლემების მოსაგვარებლად.

ე.წ. „თვითრეპატრირებული“ მესხები

არანაკლებ პრობლემურია იმ მესხების მდგომარეობა, რომლებმაც საკუთარი ნებით დაიწყეს საქართველოში ჩამოსახლება. 1960-80-იან წლებში რამდენიმე მესხური ოჯახი საკუთარი ინიციატივით დაბრუნდა და მცირე დასახლებებად ცხოვრობენ საქართველოში. დღესდღეობით ქვეყანაში სულ 557 დაბრუნებული მესხი ცხოვრობს და ძირითადად გადანაწილებულნი არიან იმერეთსა და გურიაში ორ დასახლებად - ნასაკირალში, გურია (139 ადამიანი - 28 ოჯახი) და იანეთში, იმერეთი (168 ადამიანი - 30 ოჯახი). მხოლოდ რამდენიმე ოჯახი ცხოვრობდა სამცხე-ჯავახეთში, თუმცა ბოლო წლების განმავლობაში აზერბაიჯანიდან დაახლოებით 150 მესხი დაბრუნდა ამ რეგიონში. ისინი კონცენტრირებულნი არიან ძირითადად ახალციხესა და აბასთუმანში. დაახლოებით 100 მესხი აგრეთვე ცხოვრობს თბილისში (ძირითადად ყირგიზეთიდან და ყაზახეთიდან). განსაკუთრებით აღსანიშნავია რამდენიმე ოჯახის მდგომარეობა გორში, რომლებიც, 2006 წელს, საქართველოს პრეზიდენტის სპეციალური მოწვევით დაბრუნდნენ, რადგან მათი სამართლებრივი სტატუსი დღემდე გაურკვეველია და საქართველოს მოქალაქეობის მიღებას დღემდე უშედეგოდ ცდილობენ. რაც შეეხება ოფიციალური რეპატრიანტის სტატუსით დაბრუნებულებს, ისინი ახალციხის მიმდებარე ტერიტორიაზე არიან დასახლებულები.[1281]

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული კატეგორიის პირთა უმრავლესობა არ ფლობს რეპატრიანტის სტატუსს და შესაბამისად ვერ სარგებლობს გამარტივებული წესით მოქალაქეობის მიღებით, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ. უმრავლესობა არ ფლობდა ინფორმაციას კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შესახებ რეპატრიაციის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით, ნაწილმა ვერ მოახერხა ყველა საჭირო საბუთის მოგროვება და შესაბამისი სამართლებრივი სტატუსის მიღება. მიგვაჩნია, რომ აუცილებელია აღნიშნულ პირთა შესახებ ინფორმაციის მოძიება და მათი საქართველოში ყოფნის სამართლებრივი საფუძვლების დარეგულირება სახელმწიფოს მხრიდან.

[1281] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://repatriation.ge/uploads/_EC_ECMI_ACF.pdf> [ბოლოს ნანახია 2014 წლის 11 დეკემბერს]

მიუხედავად იმისა, რომ რეპატრიაციის პროცესის განხორციელებისა და ხელშეწყობის ვალდებულება საქართველოს მთავრობას აკისრია, ამ დრომდე გაჭიანურებულია რეპატრიაციის პროცესისათვის საჭირო კონკრეტული ნაბიჯების შემუშავება. მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო ვალდებულია დააჩქაროს რეპატრიაციის პროცესი, რითაც სრულყოფილად შესრულდება ევროსაბჭოს წინაშე აღებული ვალდებულება, რაც ხელს შეუწყობს ისტორიული სამართლიანობის აღდგენას.

რეკომენდაციები:

საქართველოს პარლამენტს, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს:

- გადაიხედოს საქართველოს კანონი „ყოფილი სსრკ–ს მიერ XX საუკუნის 40–იან წლებში საქართველოს სსრ–იდან იძულებით გადაადგილებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ“. კერძოდ, კანონში არ არის განსაზღვრული რეპატრიანტის სტატუსის მაძიებლის განაცხადისა და მისთვის შესაბამისი სტატუსის მინიჭების ვადა. ასევე გადაიხედოს აღნიშნული კანონის მე–7 მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით განსაზღვრული მოთხოვნები, რომლის მიხედვით საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია დაადგინოს დამატებითი მოთხოვნები რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვასთან დაკავშირებით
- დაჩქარდეს „ყოფილი სსრკ–დან XX საუკუნის 40–იან წლებში საქართველოს სსრ–დან იძულებით გადაადგილებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ სახელმწიფო სტრატეგიაზე“ დაფუძნებული სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელშიც აისახება სხვადასხვა სფეროებში, როგორც რეპატრიაციის პროცესის ხელშეწყობის, ასევე რეპატრიაციის შემდგომ პერიოდში, მოქალაქეთა ინტეგრაციისთვის აუცილებელი ღონისძიებები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- შეიქმნას რეპატრიანტებისა და რეპატრირების მსურველებისთვის ქართული ენის შემსწავლელი პროგრამები
- რეპატრირებული მოსახლეობისთვის პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობისთვის განხორციელდეს შესაბამის მიზნობრივი პროგრამები

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს,

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს:

- რეპატრიანტის სტატუსის მქონე და ე.წ. „თვითრეპატრირებულ“ პირთა მოქალაქეობის მინიჭების პროცესის ხელშესაწყობად და დასაჩქარებლად ზომების მიღება

უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში

საკანონმდებლო ცვლილებები

ქვეყნის დემოკრატიულობის ერთ–ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია, თუ რამდენად არის აღიარებული და დაცული სახელმწიფოში უცხოელი მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების უფლებები და თავისუფლებები. საქართველოში უცხოელთა უფლებების სამართლებრივ გარანტიას წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 47–ე მუხლი. საქართველოს კონსტიტუციით, უცხოელი მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები ძირითადად გათანაბრებული არიან საქართველოს მოქალაქეებთან. კონსტიტუციური დებულებების საფუძველზე უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობა რეგულირდება საქართველოს კანონით „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ.“

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ კანონმდებლობაში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. 2014 წლის პირველი სექტემბრიდან ძალაში შევიდა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის ახალი რედაქცია. მიღებულ იქნა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები; საქართველოს მთავრობის დადგენილებები იმ ქვეყნების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელთა მოქალაქეებსაც შეუძლიათ საქართველოში უვიზოდ შემოსვლა და საქართველოს მიგრაციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ.

განხორციელებული ცვლილებების შედეგად დამკვიდრდა ახალი სავიზო რეჟიმი. კერძოდ, უვიზოდ საქართველოში ყოფნის ვადა შემცირდა და 360 დღის ნაცვლად 180 დღიან პერიოდში 90 დღით განისაზღვრა. 24 ქვეყანას კი გაუუქმდა საქართველოსთან უვიზო რეჟიმი. კანონში ცვლილებების შეტანამდე უვიზო რეჟიმით 118 ქვეყანა სარგებლობდა, აღნიშნული ქვეყნების რაოდენობა დღევანდელი მდგომარეობით 94-ს შეადგენს.

სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლთა განმარტებით, კანონის შემუშავება განაპირობა ღია სავიზო პოლიტიკის შედეგად ქვეყანაში წარმოშობილმა მოუწესრიგებელმა იმიგრაციულმა პროცესებმა, ხოლო ევროკავშირთან დაახლოების პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სწორედ მიგრაციული პროცესების სწორი მართვა.[1282]

[1282] http://www.mfa.gov.ge/MainNav/ConsularInformation/VisaInfoForeign/100-questions.aspx, 30.03.2015.

ახალი კანონის მიხედვით, იუსტიციის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო აღარ გასცემს საქართველოს ვიზებს. საქართველოს ვიზა გაიცემა საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში. ამასთან, 2014 წლის ნოემბერში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელზე საიმიგრაციო ვიზას გასცემს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.[1283] კანონის მიხედვით, საქართველოს ვიზის აღება საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე შესაძლებელი იქნება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. ახალი რეგულაცია გარკვეულ დაბრკოლებებს წარმოშობს ისეთ შემთხვევაში, თუ კონკრეტულ ქვეყანაში არ არსებობს საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა და საკონსულო. შესაბამისად, ჩამოსვლის მსურველ უცხოელს მოუწევს გაემგზავროს თავის ქვეყნის ახლოს მდებარე მესამე ქვეყანაში, სადაც საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა ან საკონსულო მდებარეობს, რაც საქართველოში ჩამოსვლის მსურველი უცხოელისთვის შეიძლება წარმოადგენდეს დამაბრკოლებელ ბარიერს.

აღსანიშნავია, რომ ახალი კანონით, უცხოელს, რომელიც 2014 წლის 17 მარტამდე შემოვიდა და 2015 წლის 19 თებერვლისთვის[1284] იმყოფებოდა საქართველოში, უფლება აქვს, საქართველოში კანონიერი საფუძვლით ყოფნის ვადის ამოწურვის შემდეგ, 2015 წლის 1 ივლისამდე, საქართველოში წარადგინოს განაცხადი საიმიგრაციო ვიზის მისაღებად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მას უარი ეთქვა საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე. უცხოელს, რომელიც აღნიშნულ შემთხვევაში მიიღებს საიმიგრაციო ვიზას, საქართველოში კანონიერი საფუძვლის გარეშე ყოფნის ვადა საპატიოდ ჩაეთვლება და იგი გათავისუფლდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ჯარიმის გადახდის ვალდებულებისაგან. საიმიგრაციო ვიზის გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე უცხოელი არ შეიძლება გაძევებულ იქნეს საქართველოდან.

საზოგადოებაში გარკვეული კითხვის ნიშნები გაჩნდა კრიტერიუმებთან დაკავშირებით, რომელთა მიხედვითაც არის შედგენილი უვიზო შემოსვლის უფლების მქონე ქვეყნების ახალი სია. ეს მიუთითებს ახალი რეგულაციების შემუშავების პროცესში საზოგადოების ნაკლებ ჩართულობასა და ინფორმირების პრობლემაზე. ინფორმირებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უცხოელ სტუდენტებთან მიმართებით, რომლებმაც საჭირო დოკუმენტაციის შეგროვებისა და განაცხადის გაკეთების პროცესში უნდა გაითვალისწინონ თავიანთი შედარებით მცირე ფინანსური და დროითი რესურსები.

[1283] „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–6 მუხლის 1[1] პუნქტი.

[1284] 2015 წლის 19 თებერვლის N3101 ცვლილება, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 72–ე მუხლის მე–5 პუნქტი.

ახალი კანონით დამკვიდრდა ვიზისა და ბინადრობის ახალი კატეგორიები. ამასთანავე, კანონპროექტით განისაზღვრება ვიზის ორი ტიპი - მოკლევადიანი და გრძელვადიანი.

უცხოელთათვის საქართველოში გარკვეული პერიოდით კანონიერად ყოფნის საფუძველს წარმოადგენს ბინადრობის ნებართვის მიღება. ბინადრობის ნებართვის მოპოვებისთვის უცხოელს უნდა ჰქონდეს იმავე მიზნით გაცემული საქართველოს გრძელვადიანი ტიპის ვიზა, რა მიზნითაც მას სურს საქართველოში ბინადრობის ნებართვის მოპოვება, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა. მაგალითად, ახალი კანონის მიხედვით, სასწავლო ბინადრობის ნებართვა უცხოელებზე გაიცემა მხოლოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის მიზნით და მისი მოპოვებისთვის დაინტერესებულ პირს უნდა ჰქონდეს სასწავლო ტიპის გრძელვადიანი საიმიგრაციო ვიზა. ძველი კანონის მიხედვით, ბინადრობის ნებართვის მისაღებად საკმარისი იყო საქართველოში კანონიერი ყოფნა.[1285]

ახალი კანონი ითვალისწინებს დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობას, როგორც პირადობის დამადასტურებელ დროებით დოკუმენტს, რომელიც გაიცემა ლტოლვილის, ჰუმანიტარული სტატუსისა და საქართველოში მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის მაძიებლებზე და კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებმაც ეს სტატუსი ახალი კანონის ამოქმედებამდე მოიპოვეს და რომელთაც ბინადრობის მოწმობებს ვადა გაუვიდათ, ვალდებულები არიან, 2015 წლის 1 სექტემბრამდე მიმართონ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ახალი ბინადრობის მოწმობის ასაღებად. აღნიშნულ ვადაში ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მათ შეუწყდებათ მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსი.

კანონით გათვალისწინებულ ერთ-ერთ ნოვაციას წარმოადგენს მოქალაქეობის არმქონე პირის, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მაძიებელ პირთათვის დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობის გაცემა. აღნიშნული დოკუმენტი ხელს შეუწყობს შესაბამისი პირებისთვის გარკვეული უფლებების რეალიზებას.

კანონპროექტის ერთ-ერთი სიახლეა უცხოელების საქართველოდან გაძევების დეტალური რეგლამენტაცია. პროექტის მიხედვით, უცხოელის საქართველოდან გაძევების თაობაზე გადაწყვეტილებას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აღსრულებს.

[1285] რაც გულისხმობდა იმას, რომ შესაძლებელი იყო ბინადრობის ნებართვის აღება ნებისმიერი კატეოგრიის ვიზის საფუძველზე, ასევე კანონით განსაზღვრულ საგამონაკლისო შემთხვევებში – უვიზოდ ყოფნის დროსაც.

კანონში განხორციელებულმა ცვლილებებმა საქართველოში მყოფი უცხოელების გარკვეული დაბნეულობა გამოიწვია. აღნიშნულის თაობაზე განცხადება გააკეთა ასევე საქართველოს პრემიერ–მინისტრმა, რომელმაც ბოდიში მოუხადა[1286] იმ უცხოელებს, რომლებიც მტკივნეულად აღიქვამენ საქართველოში შემოსვლისა და ყოფნის ახალ რეგულაციებს და განაცხადა, რომ მთავრობა განიხილავს მათთვის დახმარების აღმოჩენის შესაძლო გზებს. პრემიერ–მინისტრის დავალებით, იუსტიციის, შინაგან საქმეთა და საგარეო საქმეთა სამინისტროებმა მაქსიმალური ყურადღება უნდა მიაქციონ ყველა უცხოელს, რათა მათი სამართლებრივი მდგომარეობა დამატებითი ხარჯების გარეშე მოექცეს ახალი კანონის შესაბამის რეგულაციებში.

დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა მართლაც მოახდინეს მიგრაციის პროცესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების სისტემტიზაცია და კანონმდებლის მიზანი, შესაბამისობაში მოიყვანოს საქართველოს კანონმდებლობა ევროკავშირის სტანდარტებთან, მისასალმებელია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული კანონის მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენდა და, ახალი რეგულაციების მიხედვით, დღესაც წარმოადგენს ბინადრობის ნებართვის/ვიზის გაცემასა და საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმა ეროვნული უსაფრთხოების არგუმენტით.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემოსული საქმეების ანალიზის შედეგად გამოვლენილმა პრაქტიკამ ცხადყო, რომ ხსენებული საფუძვლით გადაწყვეტილების მიღება ხორციელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნაზე დაყრდნობით. უნდა აღინიშნოს, რომ დეპარტამენტის დასკვნა თავისი სამართლებრივი ბუნებით ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტს არ წარმოადგენს, შესაბამისად, ცალკე მისი გასაჩივრების შესაძლებლობა დაინტერესებულ პირს არ გააჩნია. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ თავად დასკვნა იყოს შეძლებისდაგვარად დასაბუთებული და მითითება კეთდებოდეს დასკვნის ფაქტობრივ საფუძვლებზე იმდენად, რამდენადაც ეს არის შესაძლებელი (სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული საკითხების გათვალისწინებით). აღნიშნული ხელს შეუწყობს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოების მხრიდან თვითნებურად გადაწყვეტილებების მიღების პრევენციას. აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნული სამთავრობო სამოქმედო გეგმის მიხედვით, გათვალისწინებულია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის მაღალი სტანდარტების დანერგვა და ამ მიზნით საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა.

[1286] http://rustavi2.com/ka/news/821, 08.10.2014 [ბოლოს ნანახია 28.03.2015].

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა რამდენიმე განცხადება შეისწავლა, რომლებიც ვიზისა და ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხებს შეეხებოდა. განცხადებებისა და შესაბამისი უწყებების მიერ მოწოდებული ინფორმაციის შედეგად გამოიკვეთა გარკვეული ტენდენცია. უცხოელებისათვის საქართველოში კანონიერად ყოფნის საფუძვლების – ვიზისა და ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველს ყველა შემთხვევაში წარმოადგენდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნა ვიზის/ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლობის თაობაზე. დასკვნები, როგორც წესი, შაბლონური შინაარსის მატარებელია და დასაბუთებას არ შეიცავს, ასევე არ შეიცავს მითითებას უარის თქმის ფაქტობრივი საფუძვლების შესახებ. სახალხო დამცველის აპარატის მიერ ზემოაღნიშნული შემთხვევების შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ საერთო სასამართლოებში სსიპ ეროვნული სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ ბინადრობის ნებართვის მიღებაზე გაცემული უარის გასაჩივრების შემთხვევაში, სასამართლოები არ ითხოვდნენ დამატებით ინფორმაციას საქართველოს შს კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან და გადაწყვეტილებებს მხოლოდ აღნიშნული უწყების მიერ გაცემულ დასკვნაზე მითითებით იღებდნენ. ასევე, საქმის სასამართლოში განხილვის დროს აქცენტი კეთდებოდა იმაზე, რომ კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ხელთ არსებული ინფორმაცია სახელმწიფო საიდუმლოების მატარებელი იყო. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენებით თბილისის საქალაქო სასამართლოში ო.ს.ს.–ს საქმის განხილვის დროს წარადგინა სასამართლოს მეგობრის მისაზრება[1287], რომელიც დეტალურად აღწერს თუ რა სამართლებრივი ნორმებით უნდა იხელმძღვანელონ სასამართლოებმა მსგავსი საქმეების განხილვის დროს იმისათვის, რომ არ მოხდეს უცხოელის პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევა. აღნიშნულ საქმეზე ქვემოთ დეტალურად იქნება საუბარი.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი საქმეები

ვ. ა.–სა და მ. მ.–ს საქმეები

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში საქმის შესწავლის შედეგად განმცხადებლის უფლებების დარღვევა დადგინდა თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქის ვ. ა.–ს განცხადების საფუძველზე. აღნიშნულ პირს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე უარი ეთქვა 2011 წლის 02 დეკემბრსა და 2012 წლის 04 ივლისს, სწორედ

[1287] საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის 27 ოქტომბრის N04-11/12851 სასამართლო მეგობრის მოსაზრება.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნის საფუძველზე.

განმცხადებლის შვილი სწავლობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ ბათუმის N7 საჯარო სკოლაში, ხოლო მეორე შვილი მუშაობს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდში. განმცხადებელი საქართველოში საკუთრების უფლებით ფლობს უძრავ ქონებას, მას ჰქონდა სამედიცინო საქმიანობის 25 წლიანი სტაჟი საქართველოში და განცხადების შემოტანის მომენტში მუშაობდა ბათუმის ერთ–ერთ კლინიკაში ექიმად.

დადგინდა, რომ განმცხადებელი ოჯახთან ერთად ინტეგრირებულია საქართველოში. დროის იმ მონაკვეთმა, რომელიც განმცხადებელმა საქართველოს ტერიტორიაზე ოჯახთან ერთად დაჰყო, მოახდინა მათი სოციალური კავშირების ფორმირება და საცხოვრებელ ადგილზე ადაპტირება. ვინაიდან, ვ.ა–ს ორივე შვილი საქართველოს მოქალაქეა, ერთი მათგანი დასაქმებულია საჯარო სამსახურში, ხოლო მეორე სკოლის მოსწავლეა, ცალსახაა, რომ ისინი ვერ შეძლებენ ოჯახური ურთიერთობის შენარჩუნებას სხვა სახელმწიფოში. მოცემულ შემთხვევაში, საქმე გვაქვს საქართველოს ტერიტორიაზე დამკვიდრებულ ოჯახთან და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცენდენტული სამართლის თანახმად, სახელმწიფო ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლის ფარგლებში, კისრულობს ვალდებულებას, პატივი სცეს ოჯახის არჩევანს, დარჩნენ იმ სახელმწიფოში, სადაც ისინი ინტეგრირებულები არიან. ამასთან, დართოს ნება მათ ოჯახის წევრებს იცხოვრონ ერთად.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შესწავლის შედეგების მიხედვით, თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვის დროს სასამართლომ არ გამოიკვლია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნის საფუძვლად არსებული ფაქტობრივი გარემოებები და გარემოებათა სრულყოფილად (?) გამოკვლევის გარეშე ძალაში დატოვა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გადაწყვეტილება. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყო დაუსაბუთებელი და ლახავდა განმცხადებლის ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას.

მსგავს ფაქტობრივ და ანალოგიურ სამართლებრივ საფუძვლებზე დაყრდნობით საქართველოს სახალხო დამცველმა ოჯახური ცხოვრების უფლების ხელყოფა ასევე დაადგინა ეგვიპტის არაბულ რესპუბლიკის მოქალაქის მ.მ.–ის საქმის განხილვისას.

ო. ს. ს.–ს საქმე

განმცხადებელი იყო ნიგერიის მოქალაქე, რომელიც 2012 წლის 26 ივლისიდან სწავლობს საქართველოში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 ივლისის №722 ბრძანების საფუძველზე. სასწავლო პროგრამა 4 წლიანია და გრძელდება 2016 წლის ივნისამდე. ო. ს. ს.–ს ჰქონდა მოლოდინი, რომ აღნიშნული პროგრამის დასრულების შესაძლებლობა მიეცემოდა და შესაბამისად წარმართა საკუთარი პროფესიული და პირადი გეგმები. დოკუმენტაციიდან ირკვეოდა, რომ იგი მოტივირებული სტუდენტია და ინტეგრირებულია საქართველოში.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2014 წლის 04 მარტის №1000375701 გადაწყვეტილებით, ნიგერიის მოქალაქეს უარი ეთქვა დროებითი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე, ვინაიდან შს სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტმა მიზანშეუწონლად მიიჩნია განმცხადებლისთვის დროებითი ბინადრობის ნებართვის მინიჭება. ო. ს. ს–მა აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა სასამართლოში.

ვინაიდან მოცემული საქმე შეიცავდა მნიშვნელოვან საკითხს (პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დაცვას, ქვეყანაში შემოსვლისა და ცხოვრების უფლების ჭრილში), რომელიც საგულისხმოა ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით და რომელთა გადაწყვეტა ხელს შეუწყობდა სამომავლოდ საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით დაცული გარანტიების უკეთ უზრუნველყოფასა და საქართველოს სახელმწიფოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას, საქართველოს სახალხო დამცველმა, მისთვის ორგანული კანონით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე სასამართლო მეგობრის[1288] მოსაზრებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს.

როგორც საქართველოს კანონმდებლობის, ასევე საერთაშორისო ნორმებისა და პრაქტიკის ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ არ არსებობს რომელიმე ქვეყანაში შესვლის უფლება per se და ქვეყანაში შესვლაზე უარის თქმა, თავისთავად, არ წარმოადგენს დარღვევას. თუმცა, მდგომარეობა იცვლება, როდესაც პირს აქვს ოჯახური კავშირები ქვეყანასთან და შემოსვლაზე უარის თქმა წარმოადგენს მის პირად ან ოჯახურ ცხოვრებაში ჩარევას;

როდესაც ქვეყანაში შემოსვლაზე უარს თან სდევს ადამიანის ძირითადი უფლებების შეზღუდვა, სახელმწიფოს მოეთხოვება უფრო დეტალური პროცედურის უზრუნველყოფა, რომელიც შესაბამისი უფლებების დაცვის საშუალებას შექმნის. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა მოწმობს, რომ თუნდაც შემოსვლაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენდეს ქვეყნის უშიშროებასთან დაკავშირებული და თავისი არსით კონფიდენციალური ინფორმაცია, სახელმწიფოს არ შეუძლია ახსნა–განმარტებისა და

[1288] საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის 27 ოქტომბრის N04-11/12851 სასამართლო მეგობრის მოსაზრება.

პროცედურული სამართლიანობის მოთხოვნების უგულებელყოფით უთხრას უარი მოქალაქეს ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსვლისას.

ევროპული სასამართლოს განმარტებით[1289], თუ განმცხადებელს აქვს პროფესიული კავშირები და ინტერესები ქვეყანასთან, მისთვის სახელმწიფოში შესვლის აკრძალვა შეიძლება წარმოადგენდეს პირად ცხოვრებაში ჩარევას.

როდესაც პირის უფლებები იზღუდება ეროვნული უსაფრთხოების დაცვის მოტივით, ეს არ გულისხმობს იმას, რომ პირს არ აქვს სამართლებრივი გარანტიებით სარგებლობის უფლება, პირიქით, თვითნებობის რისკი ამ შემთხვევაში კიდევ უფრო იზრდება. შესაბამისად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზაციას, რომელიც მხოლოდ პირის ფორმალური შესაძლებლობას – მიმართოს სასამართლოს კი არ გულისხმობს, არამედ ეფექტური ღონისძიების არსებობას, როდესაც პირს გააჩნია უფლებადარღვევის ფაქტზე რეაგირების ეფექტური, ქმედითი და არა ილუზორული მექანიზმი.[1290] საქართველოს ეროვნული კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დადგენილ პრაქტიკაზე დაფუძნებით საქართველოს სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს ფაქტობრივ გარემოებებს, რომლის გადამოწმების შესაძლებლობა მიეცემა სასამართლოს. ხოლო სასამართლო არ უნდა შემოიფარგლოს სსიპ სერვისების განვითარების სააგენტოს გადაწყვეტილებების ფორმალური კანონიერების შემოწმებით.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი აკვირდებოდა ასევე ო. ს. ს.–ის სასამართლო პროცესებს. მისასალმებელია და დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოითხოვა და შეისწავლა კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან ის ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომლებზე დაყრდნობითაც აღნიშნულმა დეპარტამენტმა მიზანშეუწონლად მიიჩნია განმცხადებლისთვის ბინადრობის ნებართვის მიცემა. ისეთ პირობებში, როდესაც ადმინისტრაციული ორგანოს პასუხი არ შეიცავს დასაბუთებას, შესაბამისად, ფაქტობრივი გარემოებების არცოდნის გამო, პრაქტიკულად არ არსებობს იმის შემოწმების შესაძლებლობა, ადგილი აქვს თუ არა დისკრიმინაციას, თანასწორ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ უთანასწორო მოპყრობას და აღნიშნულის პრევენციის შესაძლებლობა მინიმუმამდე დაჰყავს. მსგავსი რისკი დამატებით მიუთითებდა სასამართლოს მხრიდან ყველა ფაქტობრივი გარემოების არსებითი შესწავლის აუცილებლობაზე. შესაბამისად, სასამართლოს მხრიდან ზემოაღნიშნული გარემოებების შემოწმების აუცილებლობა ასევე მნიშვნელოვანია იმის შესაფასებლად, თუ რამდენად

[1289] Dalea v. France, 964/07, 2.2.2010.

[1290] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის #1/466 გადაწყვეტილება, II.პ.14.

მოქმედებს ადმინისტრაციული ორგანო კანონისმიერი დანაწესის, თანაზომიერების პრინციპის ფარგლებში.

თბილისის საქალაქო სასამართლომ 2015 წლის 09 თებერვალს ნაწილობრივ დააკამყოფილა ო.ს.ს–ს სასარჩელო მოთხოვნა, ნაწილობრივ ბათილად ცნო განმცხადებლისათვის ბინადრობის ნებართვაზე უარის თქმის შესახებ სსიპ სერვისების განვითარების ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილება და დააბრუნა მას საქმე ხელახლა განსახილველად.

უცხო ქვეყნის მოქალაქეების საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლის საკითხები

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა განცხადებები, რომლებშიც ადგილი ჰქონდა პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების შესაძლო დარღვევას, საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის გამო.

განცხადებების თანახმად, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს[1291], რომლებსაც საქართველოს მოქალაქეობის მქონე ოჯახის წევრები ჰყავდათ, უარი ეთქვათ საქართველოში შემოსვლაზე.

უცხო ქვეყანაში შესვლის უფლებასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, თავის გადაწყვეტილებებში[1292] არაერთხელ აღნიშნა, რომ „სახელმწიფოებს გააჩნიათ უფლება, გააკონტროლონ უცხოელთა ქვეყანაში შესვლა, ცხოვრება და გაძევება. კონვენცია არ უზრუნველყოფს უცხოელთა კონკრეტულ ქვეყანაში შესვლისა და ცხოვრების უფლებას, და, თავიანთი ამოცანიდან გამომდინარე – შეინარჩუნონ საჯარო წესრიგი – ხელშემკვრელ სახელმწიფოებს გააჩნიათ… უცხოელის გაძევების უფლებაც. თუმცა, ამ სფეროში მათი გადაწყვეტილება, რამდენადაც ეს შეიძლება წარმოადგენდეს მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილით დაცულ უფლებაში ჩარევას, უნდა შეესაბამებოდეს კანონს, ემსახურებოდეს კანონიერ მიზანსა და იყოს აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

როდესაც მე-8 მუხლის ძირითად ობიექტს წარმოადგენს ინდივიდების დაცვა ხელისუფლების ორგანოების მხრიდან თვითნებური ჩარევისაგან, ის არა მხოლოდ ავალდებულებს სახელმწიფოებს თავი შეიკავონ ჩარევისაგან: ამ ნეგატიურ ვალდებულებასთან ერთად შეიძლება არსებობდეს პოზიტიური ვალდებულება, რომელსაც ითვალისწინებს პირადი ცხოვრების ეფექტური პატივისცემა. აღნიშნული ვალდებულებები შეიძლება მოიცავდეს ისეთი ღონისძიებების მიღებას, რომლებიც შექმნილია პირადი ცხოვრების დაცვისათვის, მათ შორის ინდივიდებს შორის ურთიერთობის სფეროშიც.[1293]

[1291] ზ.გ; ზ.ბ; ს.ს.

[1292] *Üner v. The Netherlands* № *46410/99* , § 54;

[1293] *Tavlı v. Turkey*, №*11449/02*, § 28;

პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევა არ წარმოადგენს კონვენციის დარღვევას, თუ იგი „კანონის შესაბამისად“, მიზნად ისახავს ერთ ან მეტ კანონიერ მიზანს, რომელიც მოცემულია მე-8 მუხლის მე-2 ნაწილში და „აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში“.[1294]

უცხოელთა საქართველოში შემოსვლის საკითხი დარეგულირებულია ეროვნული კანონმდებლობით. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონი[1295] (ძალაშია 2014 წლის 1 სექტემბრიდან) აწესებს უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის საფუძვლებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკისა და ეროვნული კანონმდებლობის გაანალიზების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რომელიმე ქვეყანაში შესვლაზე უარის თქმა თავისთავად არ წარმოადგენს უფლების დარღვევას. თუმცა, როდესაც პირს აქვს ოჯახური კავშირები ქვეყანასთან, შემოსვლაზე უარის თქმით შესაძლოა დაირღვეს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში განხილულ საქმეებში, მოქალაქეებს, რომელთაც ოჯახური კავშირების გამო სურდათ ქვეყანაში შემოსვლა, საქართველოში შემოსვლაზე უარი ეთქვათ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 2014 წლის 1 სექტემბრამდე მოქმედი რედაქციით გათვალისწინებული საფუძვლებით.

კერძოდ, შესწავლილი საქმეებიდან, უცხო ქვეყნის მოქალაქე ზ.გ.-ს საქართველოში შემოსვლაზე უარი ეთქვა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის (2014 წლის 1 სექტემბრამდე მოქმედი რედაქცია) მე-14 მუხლის „ე“[1296] და „ვ“[1297] ქვეპუნქტების შესაბამისად;[1298] უცხო ქვეყნის მოქალაქე ს.ს.-ს საქართველოში შემოსვლაზე უარი ეთქვა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის (2014 წლის

[1294] *Messina v. Italy*, № *25498/94* , § 63.

[1295] „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 1 პუნქტი.

[1296] „საქართველოში მისი ყოფნა საფრთხეს შეუქმნის საქართველოს საზოგადოებრივ წესრიგს და უშიშროებას, საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოში მცხოვრებ პირთა ჯანმრთელობის, უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას“.

[1297] „საქართველოში მისი ყოფნა ზიანს მიაყენებს საქართველოსა და რომელიმე უცხო სახელმწიფოს შორის ურთიერთობებს“.

[1298] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2014 წლის 06 ივნისის N1068594 წერილი.

1 სექტემბრამდე მოქმედი რედაქცია) მე-14 მუხლის „თ“[1299] ქვეპუნქტის თანახმად.[1300] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოითხოვა ახსნა-განმარტება[1301], არის თუ არა განსაზღვრული რომელიმე საკანონმდებლო/კანონქვემდებარე აქტით (გარდა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლისა) უცხოელისათვის საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის სხვა საფუძვლები. სამწუხაროდ, აღნიშნული ინფორმაცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის არ მოუწოდებია. ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქე ზ. ბ.-სთვის საქართველოში შემოსვლის შეზღუდვის შესახებ ინფორმაცია მიეკუთვნება სახელმწიფო საიდუმლოებას და მინიჭებული აქვს შესაბამისი სახელმწიფო საიდუმლოების ხარისხი (გრიფი) – „საიდუმლო“.[1302] განმცხადებლები მიუთითებდნენ, რომ მათ არ განემარტათ საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის საფუძვლები.

თუმცა, კანონმდებლობით გათვალისწინებულია უცხოელისათვის საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის საფუძვლების განმარტების ვალდებულება. კერძოდ, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის (2014 წლის 1 სექტემბრამდე მოქმედი რედაქცია) მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „შემოსვლაზე უცხოელს უარი ეთქმება წერილობითი ფორმით ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული უარის თქმის საფუძვლის მითითებით“.

ვინაიდან უცხო ქვეყნის მოქალაქეებს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე შემოსვლის დროს არ უმარტავდნენ შემოსვლაზე უარის თქმის არც ფაქტობრივ და არც სამართლებრივ საფუძვლებს, აღნიშნული პირები მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას სასამართლოს გზით გაესაჩივრებინათ აღნიშნული გადაწყვეტილება.

სამწუხაროდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის განხილული საქმეებიდან არცერთ შემთხვევაში არ უცნობებია უფლების შეზღუდვის ფაქტობრივი საფუძველი.

„უცხოელთა შესახებ საქართველოს კანონმდებლობა პატივს სცემს და იცავს ოჯახის ერთიანობის პრინციპს“.[1303] აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მოცემულ პრინციპთან დაკავშირებით უფრო დეტალური რეგულირებები 2014 წლის 1 სექტემბრამდე მოქმედ რედაქციაში არ გვხვდებოდა. აღნიშნული საკითხი მიმოხილულია საქართველოს სახალხო

[1299] „საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია უარის თქმის სხვა საფუძველი“.
[1300] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2014 წლის 16 ოქტომბრის N2060176 წერილი.
[1301] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2015 წლის 29 იანვრის N04-9/747 წერილი.
[1302] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2014 წლის 22 დეკემბრის N2612986 წერილი.
[1303] „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის (2014 წლის 1 სექტემბრამდე მოქმედი რედაქცია) მე-3 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი.

დამცველის 2013 წლის საპარლამენტო ანგარიშში.[1304] სამწუხაროა, რომ აღნიშნული კანონის 2014 წლის 1 სექტემბრიდან მოქმედ რედაქციაშიც არ არის საუბარი უცხოელის საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლის საკითხის გადაწყვეტისას მისი საქართველოში ოჯახური კავშირების შემოწმებაზე, განსხვავებით უცხოელის საქართველოდან გაძევების საკითხის გადაწყვეტილების მიღებისას.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი განცხადებების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს ხელისუფლების ის ორგანოები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან განახორციელონ კონტროლი საქართველოში უცხოელის შემოსვლაზე, ქვეყანაში შემოსვლაზე უარის თქმისას არ ითვალისწინებენ მის კავშირებს საქართველოსთან. აღნიშნული პრაქტიკა შესაძლოა, განპირობებული იყოს იმ გარემოებითაც, რომ მსგავსი ინფორმაციის გადამოწმების ვალდებულება მხოლოდ ქვეყნიდან გაძევების შემთხვევაში არის კანონმდებლობით გათვალისწინებული.

უნდა აღინიშნოს, რომ, „უცხოელთა შესახებ საქართველოს კანონმდებლობა პატივს სცემს და იცავს ოჯახის ერთიანობის პრინციპს“. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, შესაბამისი სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლებმა უცხოელის საქართველოში შემოსვლასთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტისას იხელმძღვანელონ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის (2014 წლის 1 სექტემბრამდე მოქმედი რედაქცია) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით.

რეკომენდაციები:

საქართველოს მთავრობას/საქართველოს პარლამენტს:

- საკანონმდებლო დონეზე დარეგულირდეს უცხოელის საქართველოში შემოსვლის საკითხის გადაწყვეტისას მისი საქართველოსთან კავშირის შემოწმების საკითხი

საქართველოს მთავრობას:

- უზრუნველყოს საქართველოში კანონიერად მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეების, განსაკუთრებით საქართველოში მცხოვრები უცხოელი სტუდენტების ინფორმირება უცხოელთა სამართლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით განხორციელებული და დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილებების თაობაზე

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

[1304] საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 364.

- უზრუნველყოს ეროვნული უსაფრთხოების არგუმენტით ბინადრობის ნებართვის/ვიზის გაცემის მიზანშეუწონლობის დასკვნის კანონით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად დასაბუთება და, შესაძლებლობის ფარგლებში, იმ პირის სათანადო ინფორმირება, რომელსაც უარი ეთქვა აღნიშნული უფლებით სარგებლობაზე

- საქართველოს შს სამინისტროს შესაბამისი უწყების თანამშრომლებმა უცხო ქვეყნის მოქალაქეების ან/და მოქალაქეობის არმქონე პირების საქართველოში შემოსვლის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს ყოველთვის უზრუნველყონ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დაცული ოჯახის ერთიანობის პრინციპის დაცვა

- იმ პირებს, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლაზე მიიღებენ უარს, უფლებამოსილი პირების მიერ განემარტოთ უფლების შეზღუდვის როგორც სამართლებრივი, ასევე ფაქტობრივი საფუძვლები

საქართველოს საერთო სასამართლოებს:

- საქმის განხილვის დროს სასამართლომ გამოითხოვოს და გაეცნოს საქართველოს შს სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტში არსებულ ყველა იმ ინფორმაციას, რომელიც გახდა პირისათვის ქვეყანაში შემოსვლის უფლების მიღებაზე უარის თქმის საფუძველი

თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში

2014 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, საქართველოში 442 ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირი იმყოფება.[1305] ლტოლვილის სტატუსი 297 პირს აქვს, ხოლო ჰუმანიტარული – 145 პირს.[1306] აქედან, 228 რუსეთის ფედერაციის მოქალაქეა, რომელთაც prima facie[1307] პრინციპით მიენიჭათ ლტოლვილის სტატუსი. მიუხედავად იმისა, რომ თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვი ბოლო სამი წლის განმავლობაში საგრძნობლად იზრდება, წინა წლების მსგავსად არც 2014 წელი ყოფილა გამორჩეული თავშესაფრის მაძიებელთა და თავშესაფრის მქონე პირთა მომართვიანობით სახალხო დამცველის აპარატში. მიუხედავად ამისა, სახალხო დამცველის აპარატი აქტიურად ახორციელებს თავშესაფრის მაძიებელ, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა საკითხების მონიტორინგს, მათი უფლებრივი მდგომარეობის შესწავლისა და გაუმჯობესების მიზნით.[1308]

თავშესაფრის მაძიებელ პირთა მომართვიანობის ზრდა

როგორც უკვე აღინიშნა, ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვმა იმატა, რაც მსოფლიოში, კერძოდ, ერაყში, სირიასა და უკრაინაში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტებით არის გამოწვეული. 2012–2013 წლებთან შედარებით საანგარიშო პერიოდში თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობის უპრეცედენტო ზრდა დაფიქსირდა. 2012 წლის მონაცემებით, თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვმა 599 პირი შეადგინა, 2013 წელს – 717, ხოლო 2014 წელს მათი რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა და 1792 პირი შეადგინა.

[1305] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წერილი N 02–01/05/2449.

[1306] იქვე N 02–01/05/2449.

[1307] ლტოლვილთა მასობრივი შემოსვლა (ლათ. პირველი შეხედვით).

[1308] „დევნილთა და კონფლიქტით დაზარალებულ სხვა პირთა საკითხებში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის დახმარების პროექტის“ ფარგლებში 2014 წლის ნოემბრიდან მიმდინარეობს თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა საკითხებზე მუშაობა.





თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვის ზრდას ადეკვატური ნაბიჯები უნდა მოყვეს სახელმწიფოს მხრიდან, რაც გულისხმობს ხელისუფლების მიერ პასუხისმგებლობის აღებას საკუთარ თავზე, რათა აღნიშნული პირები, მათი უფლებების დაცვის კუთხით

უზრუნველყოფილი იყვნენ შესაბამისი დახმარებითა და პროცედურებით საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.

თავშესაფრის პროცედურა საქართველოში

„ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“, ჟენევაში 1951 წელს მიღებული კონვენცია წარმოადგენს დღეს მოქმედ ძირითად დოკუმენტს ლტოლვილის სტატუსის, მისი დაცვისა და უფლებათა განსაზღვრისათვის. აღნიშნული კონვენციის მიზანი იყო დახმარებოდა მეორე მსოფლიო ომის შედეგად სამშობლოდან გადახვეწილ და მიმოფანტულ ადამიანებს. მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ლტოლვილთა რაოდენობა დღითიდღე იზრდებოდა, 1967 წელს საჭირო გახდა კონვენციის დამატებითი ოქმის მიღება, რომელმაც გააფართოვა კონვენციის სამოქმედო საზღვრები და თარიღები. კონვენციის მიხედვით, ლტოლვილი არის პირი, რომელსაც „საფუძვლიანი შიში აქვს, რომ იგი შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი რასის, რელიგიის, ეროვნების, რომელიმე სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულების გამო, იმყოფება იმ ქვეყნის გარეთ, რომლის მოქალაქეც არის, და არ შეუძლია ან ამგვარი შიშის გამო არ სურს, გამოიყენოს ქვეყნის მფარველობა; ან არ გააჩნია გარკვეული მოქალაქეობა და აღნიშნული მოვლენების გამო იმყოფება ადრინდელი საცხოვრებელი ქვეყნის გარეთ, არ შეუძლია ან ამგვარი შიშის გამო არ სურს უკან დაბრუნება.“[1309]

რაც შეეხება საქართველოს, თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსების მქონე პირთა სამართლებრივ სტატუსს, მისი მინიჭების, შეწყვეტისა და შეჩერების წესებს, ამ სტატუსებიდან გამომდინარე უფლებებსა და ვალდებულებებს ,,ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონი და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის ბრძანება N100 „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების მინიჭების პროცედურის შესახებ“ განსაზღვრავს. ხოლო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო ერთადერთი ადმინისტრაციული ორგანოა, რომელიც პასუხისმგებელია თავშესაფრის მაძიებელ პირთა განცხადების მიღებაზე, განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაზე.

მიუხედავად თავშესაფრის მსურველთა გაზრდილი რაოდენობისა, თავშესაფრის მაძიებელთათვის სახელმწიფოს მიერ სტატუსის მინიჭების მაჩვენებელი დაბალია. იმის გათვალისწინებით, რომ თავშესაფრის მაძიებლები უმეტესად ისეთი ქვეყნებიდან არიან, როგორიცაა სირია და ერაყი, რომლებიც, იქ მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტების

[1309] „ლტოლვილის სტატუსის შესახებ“ ჟენევის 1951 წლის კონვენცია, მუხლი 1ა(2).

შედეგად, წარმოშობენ საერთაშორისო დაცვის საჭიროების მქონე პირთა დიდ ნაკადს,[1310] საქართველოში თავშესაფრის (ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსები) მინიჭების მაჩვენებელი საგრძნობლად დაბალია. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ინფორმაციით, საანგარიშო პერიოდში მხოლოდ 133 პირს მიენიჭა სტატუსი (29 ლტოლვილის და 104 ჰუმანიტარული), მაშინ როდესაც თავშესაფრის მინიჭებაზე 228 პირს ეთქვა უარი, 209 პირის საქმის წარმოება დაიხურა გამოუცხადებლობის გამო, 172 საქმე შეწყდა თავშესაფრის მაძიებელი პირის პირადი განცხადების საფუძველზე, ხოლო 234 პირს ეთქვა უარი თავშესაფრის მაძიებლად რეგისტრაციაზე.[1311] თავშესაფრის მაძიებლად რეგისტაციაზე უარი, მიგვაჩნია, რომ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს და არ უზრუნველყოფს სამართლიანი თავშესაფრის პროცედურაზე ხელმისაწვდომობას. წარმოდგენილი მაჩვენებელი რეალურად ნიშნავს, რომ 234 შემთხვევაში თავშესაფრის მაძიებელ პირს არ მიეცა თავშესაფრის პროცედურაზე სრული წვდომის საშუალება.

„ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–12 მუხლის თანახმად, პასუხისმგებელი ორგანო 10 დღის განმავლობაში შეისწავლის მიზანშეწონილობას, ეკუთვნის თუ არა პირს თავშესაფრის მაძიებლად დარეგისტრირება, რაც მიგვაჩნია არ არის საკმარისი დრო, მაშინ როდესაც ამავე კანონის თანახმად, თავშესაფრის საქმის განხილვისთვის ექვსი (ზოგ შემთხვევაში ცხრა) თვეა მიცემული. 10 დღიანი წინასწარი განხილვის პერიოდი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების საფუძვლიანი შესწავლისთვის საკმარის ვადად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ მაღალია სხვა საფუძვლით (პირადი განცხადებით, თავშესაფრის მაძიებლის გამოუცხადებლობით კანონით გათვალისწინებულ პროცედურებზე) შეწყვეტილი საქმეების მაჩვენებელიც, რაც სხვადასხვა მიზეზით შეიძლება აიხსნას. აღნიშნული შესაძლოა გამოწვეული იყოს თავშესაფრის პროცედურის ხარვეზებითა და ნაკლები მოქნილობით. პრობლემის ერთ-ერთი მიზეზი შესაძლოა იყოს თავშესაფრის განაცხადის განხილვის ვადები (სრულად პროცედურა შესაძლოა 9 თვემდე გაგრძელდეს),[1312] ან თავშესაფრის მაძიებლად დარეგისტრირებული პირის მიზანი, რომლის მიხედვითაც ბენეფიციარი შესაძლოა არ განიხილავდეს ქვეყანას გრძელვადიან საცხოვრებელ ადგილად და მხოლოდ ტრანზიტით იმყოფებოდეს საქართველოში.

რაც შეეხება თავშესაფრის პროცედურის ხანგრძლივობასთან დაკავშირებულ პრობლემებს, მოწყვლადი კატეგორიის პირისათვის დაბრკოლების შემქმნელია, რადგან ამ პერიოდის

[1310] გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიტს შუა წლის მიმართულებები, 2014წ, გვ. 5, ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე <http://www.unhcr.org/54aa91d89.html>, [ბოლოს ნანახია 2015 წლის 11 მარტს]

[1311] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წერილი N 02–01/05/2450.

[1312] „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 14, პუნ. 1.

განმავლობაში თავშესაფრის მაძიებელი პირი არ სარგებლობს შეღავათებით (გამონაკლისს წარმოადგენენ თავშესაფრის მიმღებ ცენტრში მცხოვრები პირები, რომლებიც იღებენ ყოველთვიურ შემწეობას). ევროკავშირის წევრი ქვეყნის მაგალითზე, როგორიცაა პოლონეთი, თავშესაფრის პროცედურა ექვსი თვე გრძელდება, თუმცა იმ შემთხვევაში თუ აღნიშნულ ვადაში ვერ მოხერხდა გადაწყვეტილების მიღება, თავშესაფრის მაძიებელი პირი მიმართავს „უცხოელთა საქმეების ოფისს", რათა მასზე გაიცეს დოკუმენტი, რომლის საფუძველზე პირს განსაზღვრული დროით შეუძლია დასაქმდეს ლეგალურად.[1313] რაც შეეხება ევროკავშირის კიდევ ერთ ქვეყანას, ავსტრიას, ეროვნული კანონმდებლობით თავშესაფრის განაცხადის განხილვის ვადა ასევე ექვსი თვეა, თუმცა თავშესაფრის განხილვის ვადები სამ თვემდე მცირდება იმ შემთხვევაში, თუ პირი დაკავებულია ან მისი ქვეყნიდან გაძევების პროცედურებია დაწყებული.[1314]

როგორც ქვემოთ მოცემული ცხრილიდან ჩანს, 2014 წლის მონაცემებით, ლტოლვილის სტატუსის მინიჭების მაჩვენებელი 8% შეადგენს, ხოლო სრული მინიჭების პროცენტი (რაც მოიცავს დამატებით სამართლებრივ დაცვას, ჰუმანიტარული სტატუსის სახით) 37%-ს. არსებული რეალობის გათვალისწინებით, თუ მხედველობაში მივიღებთ თავშესაფრის მაძიებლების წარმოშობის ქვეყნებს, რომლებიც რეალურად წარმოშობენ დაცვის საჭიროების მქონე პირებს, ჩვენს ქვეყანაში არსებული ლტოლვილის სტატუსის მინიჭების მაჩვენებელი დამაკმაყოფილებლად ვერ შეფასდება.

[1313] „თავშესაფრის ეროვნული პოლიტიკა პოლონეთში", ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://www.dublin-project.eu/fr/content/download/557/4483/version/3/file/Long_Brochure_Poland.pdf> [ბოლოს ნანახია 2015 წლის 27 მარტს]

[1314] ევროპული საბჭოს ლტოლვილების, გაძევებულების და თავშესაფრის მონაცემთა ბაზა, ანგარიში ავსტრიაზე, 2014 წლის მაისი, ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://www.refworld.org/docid/5406c62d4.html> [ბოლოს ნანახია 2015 წლის 27 მარტს].



აღნიშნულთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია დასავლეთ ევროპის ქვეყნებში სტატუსის მინიჭების საკმაოდ მაღალი პროცენტი. კერძოდ, სირიისა და ერაყის მოქალაქეებისათვის სტატუსის მინიჭების მაჩვენებელი 62%–დან 95%–მდეა.[1315] რაც შეეხება თავშესაფრის მოთხოვნებს, ცენტრალური ევროპა ერთადერთი რეგიონია, სადაც დაფიქსირდა თავშესაფრის შესახებ განაცხადის კლება 2013 წლის მეორე ნახევართან შედარებით. მომართვიანობის მაჩვენებელი 47%–დან 27%–მდე შემცირდა.[1316]

კიდევ ერთ მნიშვნელოვან და პრობლემატურ საკითხს თავშესაფრის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძვლად „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის გამოყენება წარმოადგენს. აღნიშნული მუხლის მიხედვით, პირს არ მიენიჭება ლტოლვილის სტატუსი, თუ მის მიმართ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ საფრთხეს შეუქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას, ტერიტორიულ მთლიანობას, საზოგადოებრივ წესრიგს და საჯარო მართლწესრიგს. ჩვენს მიერ შესწავლილი ინდივიდუალური საქმეებიდან გამომდინარე ირკვევა, რომ აღნიშნული მუხლი, შესაბამისი შეფასების განუხორციელებლად გამოიყენება.

[1315] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < http://www.unhcr.org/532afe986.html> [ბოლოს ნანახია 2015 წლის 20 მარტს.

[1316]ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე < http://www.unhcr.org/5423f9699.html> [ბოლოს ნანახია 2015 წლის 20 მარტს].

თავშესაფრის მაძიებელ პირს განემარტება, რომ მას ეკუთვნის ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსი, თუმცა სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე ვერ მიენიჭება აღნიშნული სტატუსი. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, გასაუბრებისას პირს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, განმარტება გააკეთოს ყველა იმ საკითხზე, რაც მისთვის სტატუსზე უარის თქმის მიზეზი ხდება. შესაბამისად, მიზანშეწონილად მივიჩნევთ, რომ იმ საქმეების განხილვისას, სადაც სახელმწიფო უსაფრთხოების ინტერესები ხდება პირისთვის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი, აუცილებლად განხორციელდეს თავშესაფრის პროცედურის კიდევ ერთი კომპონენტი, გამორიცხვის შეფასება, სადაც განიმარტება, თუ რატომ არ იმსახურებს ესა თუ ის პირი ლტოლვილის ან ჰუმანიტარულ სტატუსს.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, უმრავლესობა ზემოხსენებული საფუძვლით უარნათქვამი საქმეებისა ამ ეტაპზე სასამართლო განხილვის პროცესშია. აღნიშნულ სფეროში არსებული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, არ ხდება საქმეების არსებითი განხილვა და სასამართლოს მხოლოდ ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის გადაწყვეტილება გამოაქვს, რის შედეგადაც საქმე, ხელახალი განხილვის მიზნით, კვლავ სამინისტროში ბრუნდება. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის კვლავ მნიშვნელოვან საკითხად რჩება აღნიშნული საქმეების აქტიური მონიტორინგი, რომელიც კვლავაც გაგრძელდება. ასევე თვალყურს ვადევნებთ, თუ რა სახის მტკიცებულებებს წარმოადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო და როგორ მიუდგება სასამართლო მსგავსი საქმეების განხილვას.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ინფორმაციით, საანგარიშო პერიოდში აღნიშნული მუხლით უარი 47 თავშესაფრის მაძიებელს ეთქვა. დღეისთვის არსებული პრაქტიკა ცხადყოფს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა საქმინისტრო ადმინისტრაციულ აქტში (შეტყობინება) არაფერს განმარტავს, მითითებულია მხოლოდ შესაბამისი მუხლი და მისი შინაარსი, ხოლო თავშესაფრის მაძიებელს განემარტება უარის თქმის მხოლოდ სამართლებრივი საფუძველი, ვინაიდან ფაქტობრივი გარემოებები სამინისტროსთვის ცნობილი არ არის.[1317] ასეთი პრაქტიკით ირღვევა ეფექტიანი სამართალწარმოების პრინციპი, რადგან ინფორმაცია სტატუსის მინიჭებაზე უარის მიზეზების შესახებ უცნობია, როგორც თავშესაფრის მაძიებლისთვის, ასევე მისი დაცვის მხარისთვის.

[1317] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წერილი N 02–01/05/7468 (13.03.2015).

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში ჩაჰალი დიდი ბრიტანეთის წინაამდეგ[1318], მკაფიოდ არის გამოხატული, რომ საფრთხე, რომელიც გამომდინარეობს ინდივიდის მიერ კონკრეტული სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების მიმართ, უნდა დაბალანსდეს, როდესაც საკითხს განვიხილავთ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე–3 მუხლის[1319] ჭრილში, რადგან ასეთი საქმეების შემთხვევაში დიდი ალბათობაა იმისა, რომ ინდივიდი გახდეს წამებისა და ცუდად მოპყრობის მსხვერპლი. სახელმწიფო ინტერესებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პიროვნების ინტერესების უგულებელყოფა იმ შემთხვევაში, თუ არსებითი საფუძველი არსებობს საიმისოდ, რომ მას შესაძლოა ემუქრებოდეს წამება და ცუდად მოპყრობა საკუთარ ქვეყანაში.

საქართველოს კანონმდებლობა

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის ამოქმედების შემდეგ გარკვეული შეზღუდვები დაწესდა უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე, მათ რიცხვში მოყვნენ თავშესაფრის მაძიებელი პირებიც. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ახალი კანონი გარკვეული სახის სამართლებრივ ბარიერს წარმოადგენს თავშესაფრის მაძიებელთათვის. კერძოდ, ახალი კანონის ამოქმედების შემდეგ (2014 წლის 1 სექტემბერი) აიკრძალა საზღვარზე ვიზის გაცემა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ თავშესაფრის მაძიებელთა უმრავლესობის წარმოშობის ქვეყანებში (სირია და ერაყი) არ არის საქართველოს საკონსულო წარმომადგენლობები, რეალურად შეიზღუდა თავშესაფრის მოთხოვნის მიზნით საქართველოში ლეგალურად შემოსვლის საშუალება. აღნიშნული კანონის მე–6 მუხლის მე–4 პუნქტის თანახმად, საზღვარზე მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში გაიცემა ვიზა, მათ შორის ჰუმანიტარული მიზნებისთვის, თუმცა კონკრეტულად თავშესაფრის მაძიებლები არ არის მოხსენებულნი იმ პირთა შორის, ვისზეც შესაძლოა გაიცეს ვიზა, რაც ჩვენი აზრით, წარმოადგენს კანონის ხარვეზს, რადგან „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ ჟენევის 1951 წლის კონვენციის 33–ე მუხლის თანახმად, *non refoulement*–ის[1320] პრინციპი თავშესაფრისა და ლტოლვილთა შესახებ საერთაშორისო სამართლის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. კონვენციის აღნიშნული მუხლი ცალსახად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ თავშესაფრის მაძიებელი პირის გასახლება ან იძულებით დაბრუნება დაუშვებელია.

[1318] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1996 წლის 15 ნოემბრის განჩინება საქმეზე ჩაჰალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Chahal v. The United Kingdom).

[1319] „არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას“, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხ. 3.

[1320] იძულებითი დაბრუნების აკრძალვა.

თუმცა მისასალმებელია ამავე კანონით გათვალისწინებული ცვლილება თავშესაფრის მაძიებელთათვის დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობების გაცემის კუთხით, რაც აღნიშნული კატეგორიის პირებისთვის აადვილებს საგანმანათლებლო თუ ჯანდაცვის პროგრამებში ჩართვას.

საქართველოს სახალხო დამცველის 2011–2013 წლების ანგარიშებში[1321] განხილული იყო „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონი, და აღნიშნული ფაქტი თავშესაფრის სისტემის გაუმჯობესების კუთხით წინგადადგმულ ნაბიჯად იყო შეფასებული. თუმცა აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ანგარიშებში მითითებული ხარვეზებიდან[1322] არცერთი არ გამოსწორებულა. თავშესაფრის მაძიებელ, ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს კანონმდებლობა დღემდე საჭიროებს დახვეწას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის მიღებიდან ერთ თვეში, პირს შეუძლია წარადგინოს სარჩელი სასამართლოში. თუმცა, ამავე კოდექსის თანახმად, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის ან თავშესაფრის მაძიებელს სტატუსის მინიჭებაზე ან თავშესაფრის მიცემაზე უარის გასაჩივრებისთვის მხოლოდ 10 დღე აქვს,[1323] თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტორს, რომ ბენეფიციარმა არ იცის სახელმწიფო ენა და ადგილობრივი კანონმდებლობა, რაც მისთვის საკუთარი უფლებების დაცვის საქმეში დამატებით დამაბრკოლებელ ფაქტორს წარმოადგენს, აღნიშნული ჩანაწერი უთანასწორო მდგომარეობაში ამყოფებს თავშესაფრის მაძიებლებს. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „იურიდიული დახმარების შესახებ“ კანონის შესაბამისად, ამ პირებს არ მიუწვდებათ ხელი უფასო სახელმწიფო იურიდიულ მომსახურებაზე (გარდა სისხლის სამართლის საქმეებისა). „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილების თანახმად, გარკვეული კატეგორიის გადახდისუუნარო პირებზე, როგორებიც არიან დევნილები, ომის ვეტერანები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, განხორციელდება უფასო იურიდიული დახმარება სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების ნაწილში. აღნიშნულ მოწყვლად კატეგორიის პირებში არ შედიან თავშესაფრის მაძიებლები, ლტოლვილები თუ ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები, რომელთაც ასევე არ გააჩნიათ საკმარისი თანხა იმისათვის, რომ მოამზადოს სარჩელი და სასამართლოში ისარგებლონ წარმომადგენლის მომსახურებით. აღნიშნულის გარეშე კი მათთვის, როგორც

[1321] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2011 წლის ანგარიში - ანგარიში ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე < http://www.ombudsman.ge/uploads/other/0/85.pdf>[ბოლოს ნანახია 2015 წლის 16 მარტს]; იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის ანგარიში - ანგარიში ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე <http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1563.pdf> [ბოლოს ნანახია 2015 წლის 16 მარტს].

[1322] საქართველოს სახალხო დამცველის 2011 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 204-208; საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 628-629.

[1323] საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხ. 21[24]

სამართალწარმოების ენისა და საქართველოს კანონმდებლობის არმცოდნე პირებისათვის, შეუძლებელია დაცვის უფლების ეფექტიანი რეალიზაცია.

მივიჩნევთ, რომ ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთათვის საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებების გათვალისწინებით, გარანტირებული უნდა იყოს მიუკერძოებელი, კვალიფიციური და უფასო იურიდიული დახმარება. შესაბამისად უნდა გადაიხედოს „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ კანონი, რათა შეიცვალოს გასაჩივრების პროცედურა და პირობები. ასევე უნდა გადაიხედოს „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი და გავრცელდეს სხვა მოწყვლადი კატეგორიის ბენეფიციარებთან ერთად გადახდისუუნარო ისეთ პირებზეც, რომლებიც ექცევიან „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების სფეროში.

„ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–12 მუხლი განსაზღვრავს თავშესაფრის მსურველი პირის განცხადების წინასწარ განხილვას, ანკეტირებასა და პირის თავშესაფრის მაძიებლად რეგისტრაციას 10 დღის ვადაში, რომლის განმავლობაში პირს უტარდება ანკეტირება და მიიღება მისი თავშესაფრის მაძიებლად დარეგისტრირების გადაწყვეტილება. მივიჩნევთ, რომ აღნიშნული პერიოდი არ არის საჭირო თავშესაფრის მაძიებლის საქმის წინასწარი განხილვისათვის. უპრიანი იქნება თავშესაფრის მოთხოვნისთანავე პირი თავშესაფრის მაძიებლად დარეგისტრირდეს და ისარგებლოს კანონით გათვალისწინებული ყველა უფლებით. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ყველა თავშესაფრის მაძიებელს უნდა ჰქონდეს სრული წვდომა თავშესაფრის პროცედურაზე და პირის განაცხადის ადეკვატურობა და სანდოობა რეგისტრაციის ეტაპზე არ უნდა დადგინდეს. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროდან გამოთხოვილი საქმეების განხილვამ ცხადყო, რომ რიგ შემთხვევებში თავშესაფრის მაძიებელი იმსახურებს ლტოლვილის ან ჰუმანიტარულ სტატუსს, თუმცა სამინისტროს გადაწყვეტილებაში პირის მიმართ გამოყენებულია შიდა გადაადგილების ალტერნატივა, რის საფუძველზეც პირს არ ენიჭება სტატუსი. მიგვაჩნია, რომ აუცილებელია კანონში არსებობდეს შესაბამისი მუხლი, სადაც განიმარტება შიდა გადაადგილების ალტერნატივის არსი და მისი გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები, წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული საფუძვლით პირს სტატუსზე უარი არ უნდა ეთქვას. ცხადია, აქვე ვადასტურებთ, რომ შიდა გადაადგილების ალტერნატივა, როგორც უარის თქმის საფუძველი, არაერთი ქვეყნის პრაქტიკაში გამოიყენება და პრინციპის გამოყენებას არ ვეწინააღმდეგებით, მაგრამ აუცილებელია შესაბამისი კვლევა/შეფასება, რომლის სტანდარტიც კანონით/პროცედურით უნდა იყოს დეტალურად განსაზღვრული.

„ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონი არ შეიცავს მუხლს, რომელიც შესაბამისობაში იქნება „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ ჟენევის 1951

წლის კონვენციის 31–ე მუხლთან, რომელიც ეხება თავშესაფრის ქვეყანაში უკანონოდ მყოფ ლტოლვილებს. ასევე არ არის აღნიშნული დებულება საქართველოს სისხლისა და ადმინისტრაციულ კოდექსში. სისხლის სამართლის კოდექსის 344–ე მუხლი, რომელიც ეხება საზღვრის უკანონო კვეთას, არ ითვალისწინებს თავშესაფრის მაძიებლებს, რომელთაც ყალბი დოკუმენტებით უწევთ მგზავრობა იმისათვის, რომ თავი დააღწიონ წარმოშობის ქვეყანას იქ არსებული საომარი თუ სხვა არასტაბილური მდგომარეობის გამო და ითხოვენ თავშესაფარს საქართველოში. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344–ე მუხლით ისჯება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო კვეთა, ხოლო 322[1]–ე მუხლი ინკრიმინირებულ ქმედებად აცხადებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის დარღვევას. ვინაიდან საქართველო არის „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ გაეროს 1951 წლის კონვენციისა და ამ კონვენციის 1967 წლის ოქმის ხელშემკვრელი სახელმწიფო, მას აქვს ვალდებულება, არ დასაჯოს ის პირები, რომლებიც საქართველოში თავშესაფრის მიღების მიზნით კვეთენ საზღვარს. მიგვაჩნია, რომ ზემოაღნიშნული მიზეზების გათვალისწინებით, უნდა აღმოიფხვრას აღნიშნული ხარვეზი კანონმდებლობიდან და არ დაკავდნენ თავშესაფრის მაძიებელი პირები, ან დაკავების შემთხვევაში, აღნიშნული გარემოებების აღმოჩენისთანავე, გათავისუფლდნენ სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან. აღნიშნულ პრობლემაზე უფრო ვრცლად სახალხო დამცველის 2010 წლის ანგარიშში იყო საუბარი.[1324]

თავშესაფრის მაძიებელ პირთა განსახლება, კომპაქტურად ჩასახლებულ ლტოლვილთა უფლებრივი მდგომარეობა და ინტეგრაციის პრობლემები

ყურადღებას იმსახურებს თავშესაფრის მაძიებელ პირთა განსახლების საკითხიც. მაშინ როდესაც ქვეყანაში თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა, თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ცენტრი[1325] მხოლოდ 60 ადამიანზეა გათვლილი. თუმცა უნდა აღინიშნოს არსებული ცენტრის თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობა და კეთილმოწყობა. პოზიტიურად შეიძლება შეფასდეს ცენტრის ადმინისტრაციის მუშაობა და თავშესაფრის მაძიებელთა საყოფაცხოვრებო პირობები, რასაც თავად ბენეფიციარებიც ადასტურებენ. აქვე მისასალმებელია ის ფაქტი, რომ აშშ-ს არმიის ევროპული სარდლობის დაფინანსებით დაიწყო ახალი, თანამედროვე სტანდარტების მიმღები ცენტრის მშენებლობა დაბა მარტყოფში, რომელიც გააუმჯობესებს თავშესაფრის მაძიებელთა საცხოვრებელ პირობებს.

თავშესაფრის მაძიებელთა პრობლემებზე საუბრისას ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ აღნიშნული კატეგორიის პირები არ იღებენ შემწეობას სახელმწიფოს მხრიდან, როგორც ეს

[1324] საქართველოს სახალხო დამცველის 2010 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 23.

[1325] დაბა მარტყოფში არსებული თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ცენტრი ფუნქციონირებს 2010 წლის ივნისიდან.

გათვალისწინებულია ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებისთვის. როგორც მონიტორინგის შედეგად დავადგინეთ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტროსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ერთობლივი პროექტით მხოლოდ თავშესაფრის მიმღებ ცენტრში განსახლებული პირები იღებენ ყოველთვიურ ფულად შემწეობას, ხოლო სხვა დანარჩენი თავშესაფრის მაძიებლები, რომლებიც საკუთარი სახსრებით ცხოვრობენ საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, მოკლებულნი არიან ამგვარი სახის დახმარებას.

მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო ვალდებულია თანაბრად იზრუნოს იმ მოწყვლადი კატეგორიის პირებზე, რომლებიც თავშესაფარს ითხოვენ საქართველოში და მათაც გამოეყოთ შემწეობა, როგორც ლტოლვილებს და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს მათი საჭიროებებიდან გამომდინარე.

საქართველოში რეგისტრირებულ ლტოლვილთა უმრავლესობა რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები არიან. ისინი 1999–2001 წლებში განვითარებული მოვლენების შედეგად გახდნენ იძულებულები დაეტოვებინათ ჩეჩნეთის რესპუბლიკა და დასახლებულიყვნენ პანკისის ხეობაში. აღნიშნულ პირებს prima facie–ს პრინციპით მიენიჭათ ლტოლვილის სტატუსი. საანგარიშო პერიოდში ჯერ არ იყო დასრულებული ლტოლვილთა ყოველწლიური რეგისტრაცია და მათი რაოდენობა 2014 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენდა 228 პირს.

2009–2012 წლებში 536 - მა ლტოლვილის სტატუსის მქონე ეთნიკურად ჩეჩენმა მიიღო საქართველოს მოქალაქეობა, რაც ინტეგრაციის კუთხით წარმატებად უნდა ჩაითვალოს. თუმცა დღეს კვლავ რჩებიან ჩეჩენი ეროვნების ლტოლვილები პანკისის ხეობაში, რომლებსაც სახელმწიფომ ნატურალიზაციაზე უარი განუცხადა, რაზეც ვრცლად სახალხო დამცველის 2013 წლის ანგარიშში დაიწერა.[1326] მიგვაჩნია, სახელმწიფომ დროულად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად, რადგან პრობლემა დღემდე მოუგვარებელია.

ნატურალიზაციაზე უარის გამო პრობლემები შეექმნათ იმ ლტოლვილებს, რომლებიც სხვადასხვა სახის გრანტებს იღებდნენ. UNHCR[1327]-ის სტანდარტული ოპერაციული პროცედურების მიხედვით, პირის ინტეგრაციისთვის საჭირო გრანტები, ე.წ. „განსახლების გრანტი“ გაიცემოდა მხოლოდ ნატურალიზებულ ლტოლვილებზე. შედეგად, პირები, რომლებსაც 2013 წელს უარი ეთქვათ ნატურალიზაციაზე, აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობას ვერ მიიღებენ. პრობლემები შეექმნათ ბავშვებსაც, რომლებიც სკოლაში მხოლოდ მსმენელის სტატუსით ესწრებიან გაკვეთილებს და სტატუსის უქონლობის გამო ვერ აიღებენ საშუალო განათლების დამადასტურებელ სერთიფიკატს. პრობლემები ექმნებათ

[1326] საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 632.
[1327] გაერთიანებული ერების ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლობა (UNHCR).

ლტოლვილებს უმაღლესი განათლების მიღებასთან დაკავშირებითაც. მართალია, „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონი ასეთი სტატუსის მატარებლებს ანიჭებს საქართველოს მოქალაქესთან გათანაბრებულ უფლებებს განათლების სფეროში, მაგრამ ხშირად იქმნება სამართლებრივი კოლიზია, როდესაც განათლების სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამები მასში მონაწილეობისთვის ერთ-ერთ მოთხოვნად საქართველოს მოქალაქეობას აყენებენ. „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ ჟენევის 1951 წლის კონვენციის 34-ე მუხლის თანახმად, „ხელმომწერი სახელმწიფოები შეძლებისდაგვარად გააადვილებენ ლტოლვილთა ასიმილაციას და ნატურალიზაციას“. ხოლო ლტოლვილთათვის მოქალაქეობის მინიჭების გამარტივებული პროცედურა საქართველოს კანონმდებლობით გთვალისწინებული არ არის, რაც თავისთავად წინააღმდეგობაში მოდის ზემოაღნიშნულთან.

2014 წლის ივლისში, UNHCR-მა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ ერთობლივად ჩაატარეს „მონაწილეობრივი შეფასება ლტოლვილის და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა საინტეგრაციო საჭიროებების იდენტიფიცირებისათვის საქართველოში“, რამაც ინტეგრაციის ყველაზე პრიორიტეტული საჭიროებები გამოავლინა. ესენია: დასაქმება, რაც მჭიდროდაა დაკავშირებული ენობრივ ბარიერთან და ართულებს ამ პირებისათვის სამსახურის პოვნის შესაძლებლობას; საცხოვრებელი, ლტოლვილებსა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს ეშინიათ, რომ ვერ შეძლებენ ქირის გადახდას, თუ სამინისტრო ან UNHCR არ დაფარავს ამ ხარჯს. ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა, რაც უმრავლეს შემთხვევაში დაკავშირებულია უფასო სახელმწიფო დაზღვევის არსებობის შესახებ ინფორმაციის უქონლობასთან ან დაზღვევის გამოყენების პროცესში არსებულ დაბრკოლებებთან; ამასთან, მათ ხშირად არ იციან ხელმისაწვდომი სახელმწიფო მომსახურების (სერვისების) შესახებ; დოკუმენტაციასთან დაკავშირებული საკითხები, რაც ძირითადად დაკავშირებულია ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებისათვის სამგზავრო დოკუმენტების გაცემასთან. [1328]

ზემოხსენებული კვლევის ერთ-ერთი მთავარი რეკომენდაციაა, გამოვლენილი ფაქტებისა და ინტეგრაციის საჭიროებების საფუძველზე შემუშავდეს ყოვლისმომცველი, მრავალწლიანი ადგილობრივი ინტეგრაციის სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა. სახელმწიფომ ასევე უნდა იზრუნოს სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესაბამისი კვლევის ჩატარებაზე, მოკლე და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და პროექტებზე საარსებო წყაროების უზრუნველსაყოფად. ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობა 2015 წლისთვის სახელმწიფოს მიერ ნაკისრ ვალდებულებას

1328 UNHCR- ის „მონაწილეობრივი შეფასება ლტოლვილის და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა საინტეგრაციო საჭიროებების იდენტიფიცირებისათვის საქართველოში“ 2014 წლის ივლისი–აგვისტო.

წარმოადგენს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების ფარგლებში.[1329] საქართველოს მთავრობას 2013-2015 წლების მიგრაციის სახელმწიფო სტრატეგიით[1330] აღებული აქვს ვალდებულება სტატუსის მქონე პირების ინტეგრაციის შესახებ, რომლის მიხედვით, დაიგეგმება დამატებითი ღონისძიებები თავშესაფრისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა სისტემის განვითარების, დახვეწისა და ლტოლვილთა ინტეგრაციისათვის. შესაბამისად, ვიმედოვნებთ, რომ შესაბამისი უწყებების კოორდინაციით უახლოეს მომავალში შემუშავდება ინტეგრაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დოკუმენტები, რაშიც საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი მზადაა აქტიური მონაწილეობა მიიღოს.

რეკომენდაციები:

საქართველო პარლამენტს:

- საქართველოს სახალხო დამცველის 2011-14 წლების ანგარიშებში მოყვანილი რეკომენდაციების შესაბამისად გადაიხედოს „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონი
- გადაიხედოს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონი
- გადაიხედოს „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონი
- გადაიხედოს სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული კოდექსები
- გადაიხედოს „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს:

- აღუდგეთ/მიენიჭოთ ლტოლვილის სტატუსი იმ პირებს, რომლებსაც მათი ოჯახის წევრების მიერ საქართველოს მოქალაქეობის მიღების შედეგად, შეუწყდათ ლტოლვილის სტატუსი
- მომზადდეს „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების პროექტი

[1329] ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა, პუნ. 169.

[1330] „საქართველოს მთავრობა გამოხატავს მზადყოფნას ლტოლვილთა სტატუსის შესახებ გაეროს 1951 წლის კონვენციისა და მისი 1967 წლის ოქმის შესაბამისად, მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა უზრუნველყოს ლტოლვილთა, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა და თავშესაფრის მაძიებელთა უფლებების დაცვა და მათთვის ღირსეული საცხოვრებელი პირობების შექმნა“, 2013–2015 წლებში საქართველოს მიგრაციის სტრატეგია.

- დაიხვეწოს თავშესაფრის პროცედურა, მოვიდეს სრულ შესაბამისობაში საერთაშორისო სტანდატებთან
- სხვა შესაბამის უწყებებთან კოორდინირებით შემუშავდეს ინტეგრაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო:

- მომზადდეს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების პროექტი (ჰუმანიტარული ვიზის გაცემის შესაძლებლობა არსებობდეს თავშესაფრის მაძიებლებისთვის)
- ლტოლვილებისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებისათვის ნატურალიზაციის პროცესის გამარტივების მიზნით, გადაიხედოს მოქალაქეობის შესახებ არსებული კანონმდებლობა

საქართველოს მთავრობას:

- ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთათვის ხელმისაწვდომი გახდეს სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამები განათლებისა და ჯანდაცვის კუთხით.